

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი



სახელმწიფოსა და სემინარის
ეკუმენური პრეზენტაცია

საიუბილეო კრებული

მიმდინორ თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის
80 წლისთავისადმი



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2003

კრებულში გაშუქებულია საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები. მასში ცალკეული სტატიების სახითაა წარმოდგენილი როგორც კონსტიტუციურსამართლებრივი, ისე სამოქალაქო და სისსლისსამართლებრივი ციკლის დაუმუშავებული საკითხები. მრომა მომზადებულია ივ. ჯაფახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და ასპირანტების მიერ და ეძღვნება ამ სახელოვანი კოლექტივის საიუბილეო თარიღს. იგი განკუთვნილია იურისტების, პოლიტოლოგების, ეკონომისტებისა და სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებით დაინტერესებული საზოგადოებისათვის.

მთავარი რედაქტორი – პროფ. რომან შენგელია

რედაქტორის მოადგილე – დოც. ზურაბ ძლიერიშვილი

სარედაქციო კოლეგია: საქ. მეცნიერებათა აკადემიის წ/კორესპონდენტი
პროფ. გივი ინჭკირველი, პროფ. ვალერი ლორია,
პროფ. ვალერიან მეტრეველი, პროფ. შოთა ფაფიაშვილი
პროფ. გ. ტყეშელაძე

რეცენზენტები: პროფ. ოთარ მელქაძე, პროფ. აეთანდილ კობახიძე,
პროფ. ზაურ წულაია

სამდიენო: თამარ შოთაძე, ხათუნა ლორია,
გვანცა გუგუშაშვილი, შორენა გაბიანი,
თამარ გაბელაია

იურიდიული ფაკულტეტის 80 წლისთავი

რომან შინგალია

ივ. ჯაფახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

1918 წლის 26 იანვარს (ახალი სტილით 8 თებერვალს) დავით აღმაშენებლის მოსახსენიებელ დღეს, წყნეთის ქუჩაზე /№41/ მდებარე ქართული გიმნაზიის შენობაში დიდი ივანე ჯაფახიშვილისა და მისი თანამოაზრეების მიერ გაიხსნა პირველი ქართული უნივერსიტეტი, რომელიც შემდგომ საფუძველი გახდა საქართველოში ყველა უმაღლესი სასწავლებლისა და თვით მეცნიერებათა აკადემიის შექმნისა. უნივერსიტეტი შეიქმნა ქართველ პატრიოტთა მცირე ჯგუფის მიერ კერძო ფინანსური სახსრების საფუძველზე. ივანე ჯაფახიშვილს ამ მამულიშვილური მიზნის განხორციელებისას მხარში ედგნენ: პეტრე მელიქიშვილი, გიორგი ახვლედიანი, ანდრია ბენაშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, ანდრია რამზაძე, დიმიტრი უზნაძე, იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვები. უნივერსიტეტის გახსნის ცერემონიას, საქართველოს ეროვნული საბჭოს დაეალებით, ხელმძღვანელობდა საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი. იგი გულთბილად მიესალმა ქართული უნივერსიტეტის დაარსების ინიციატორს პროფ. ივ. ჯაფახიშვილს და „ღრმა მადლობა უბღვნა დიდი ამაგისათვის“. უნივერსიტეტის გახსნას ესწრებოდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კირიონ მეორე, რომელიმაც გახსნის წინ შესარულა საღმრთო წირვა, რასაც მოჰყვა თბილელი მიტროპოლიტის მიერ სამადლობელი პარაკლისის გადასა. ქართული უნივერსიტეტის გახსნა მოასწავებდა იმ დიდი სამეცნიერო, კულტურული და აღმზრდელობითი ტრადიციების აღდგენისა და განვითარების შესაძლებლობებს, რასაც საფუძველი ჩაუყარეს მესამე საუკუნის კოლხიდის უმაღლესმა რიგორიკულმა აკადემიამ და დავითისდროინდელმა გელათისა და იყალთოს აკადემიებმა.

უნივერსიტეტის თავდაპირველი დანიშნულება და მისი შემდგომი ფუნქცია ქართველი ერის წინაშე შესანიშნავად გამოიხატა მის ემბლემაში, რომელიც ივ. ჯაფახიშვილის დაკვეთით შესარულა მსაგებარმა დიმიტრი შევარდნაძემ – მედალიონის შუაგულში დახატული იყო დედა ირემი, რომელიც ნუკის ტუბუს აწოვებდა. უნივერსიტეტი იმ დროს მართლაც დედამშობელს, „აღმამატერს“ განასახიერებდა, რომელიც ცოდნამოწყურებულ ქართველ ახალგაზრდობას სიბრძნის რძით კვებავდა და საქვეყნო საქმეთა მოსაეღებლად ზრდიდა.

უნივერსიტეტმა ქართული გიმნაზიის შენობაში მხოლოდ სამი ოთახი დაიკავა /თსუ-ის I კორპუსი/. ამ შენობის აგება კი 1900 წელს დაიწყო ილია ჭავჭავაძის თაოსნობით და დამთავრდა 1903 წელს. წინასწარი ჩანა-ფიქრით, მისი მშენებლობა გამიზნული იყო უნივერსიტეტისათვის. მშენებ-ლობის დაწყებისას იგი გაფორმდა როგორც „თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობა. ექვთიმე თაყაიშვილის სიტყვით: „გიმნაზიის შენობის აგებით სანახევროდ გადაწყდა ქართული უნივერსიტეტის ღიდი საქმე“. გიორგი ასელედიანი კი აღნიშნავდა, რომ „შენობა, რომელშიც უნივერსი-ტეტი გაიხსნა, შენდებოდა სააზნაურო გიმნაზიისათვის, იგი გამიზნული იყო ილიას ჩანაფიქრით მომავალი უნივერსიტეტისათვის“. ილია კი უნი-ვერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 1890 წელს თავის „იე-ერიაში“ წერდა, რომ უმაღლესმა სკოლამ „უწინარეს ყოვლისა უნდა მო-ამზადოს კაცი კაცად განათლებული და ჯანმრთელ არსებად“.

ქართული უნივერსიტეტი თავდაპირველად გაიხსნა როგორც კერძო უმაღლესი სასწავლებელი. ამის მიზეზს ივ. ჯავახიშვილი ასე ხსნის: „ჩვენი უნივერსიტეტი იმ დროს დაარსდა, როცა საქართველო ჯერ კიდევ და-მოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადებული არ იყო. ამიტომ იგი კერძო უნივერსიტეტად გაიხსნა და თავისი არსებობის პირველი სემესტრი ისე გაატარა, რომ საკუთარი ძალ-ღონითა და სახსრით შეინახა თავი, ხოლო მეორე სემესტრითგან მოყოლებული ის უკვე სახელმწიფო უნივერსიტეტ-ად გამოცხადდა და ამიერიდან მას სახსარსაც სახელმწიფო აძლევს“. უნი-ვერსიტეტის გახსნისას საქართველო, ფაქტობრივად, რუსეთის კოლონია იყო. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა და უკვე იმავე წლის 27 აგვისტოს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიი-ლო გადაწყვეტილება „ქართული უნივერსიტეტის“ „თბილისის სახელმწი-ფო უნივერსიტეტად“ გამოცხადების შესახებ.

უნივერსიტეტის პირველი რექტორობა ივ. ჯავახიშვილის ინიციატივით „პროფესორთა საბჭომ“ დააკისრა ღვაწლმოსილ მეცნიერ-ქიმიკოსს პეტრე მელიქიშვილს.

სამეცნიერო კადრების სიმცირის გამო მაშინ უნივერსიტეტში შეიქმნა მხოლოდ ერთი ფაკულტეტი – სიბრძნისმეტყველებისა, რომლის დეკანად-აც დაინიშნა პროფ. ივ. ჯავახიშვილი. ამ ფაკულტეტს ჰქონდა სამი განყო-ფილება: 1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა (ფილოსოფია, ისტორია, ლიტერა-ტურა, ენათმეცნიერება, სოციალური მეცნიერებანი, პედაგოგია), 2. სამა-თემატიკო და 3. საბუნებისმეტყველო.

ღღის წესრიგში თანდათან ღებოდა იურიდიული ფაკულტეტის გახს-ნის საკითხი. იურიდიული მეცნიერების შესწავლასა და განვითარებას უძ-ველესი გრადიციები გააჩნია. ფეოდალური დაქვემდებარების დაძლევისა და ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნისთანავე მომეტებულად გაიზარდა ინტერესი სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემებისადმი ძველ ქართულ აკადემიაში პოლიტიკური და სამართლებრივი საკითხებიც ისწავლებოდა. ჩვენამდე მოღწეული სიგელ-გუჯრები, ანდერძები და საკა-ნონსმდებლო მასალები ცხადყოფს იურიდიული მეცნიერების განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს, რომელიც შენარჩუნდა და უფრო სრულყოფილ

სახე მიიღო XVIII-XIX საუკუნეებში. ამ მდიდარი გრადიციებით უნდა აიხსნას საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებისთანავე იურიდიული ფაკულტეტის შექმნა-განვითარებისათვის უდიდესი ზრუნვა, რომელსაც სათავეში ივ. ჯავახიშვილი ედგა. დიდ მეცნიერს კარგად ესმოდა, რომ უნივერსიტეტი უნდა ყოფილიყო ის კერა, რომელიც შეძლებდა იურისტთა ეროვნული კადრების აღზრდას. მის კედლებში ქართველი ახალგაზრდობა, რომლის მისწრაფება სოციალური, სამართლებრივი მეცნიერებისადმი ამ პერიოდში განსაკუთრებით ძლიერი იყო, მშობლიურ ენაზე დაუფლებოდა იურიდიულ მეცნიერებას. რუსეთისა და ევროპის უნივერსიტეტში ქართველები უმეტესად იურიდიულ ფაკულტეტებზე სწავლობდნენ. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ქართველ იურისტთა ერთი ნაწილი სოციალური და პოლიტიკური თავისუფლებისათვის იბრძოდა, ხოლო მეორე ნაწილი მეფის რუსეთის სახელმწიფო აპარატში ჩინოვნიკური თანამდებობის მისაღებად ზრუნავდა. ბუნებრივია, ასეთ პირობებში მეცნიერ იურისტთა რიცხვი ძალზე მცირე იყო. ამიტომ ახალფეხადგმულ უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის თავიდანვე გახსნა შეუძლებელი იყო. ნებისმიერი უნივერსიტეტისათვის გრადიციული იურიდიული ფაკულტეტის საჭიროება კი არაერთარ ეჭვს არ იწვევდა. უნივერსიტეტის დამაარსებლებს ეს მხოლოდ დროის საქმედ მიაჩნდათ.

1919 წლის ოქტომბერში ივ. ჯავახიშვილი წერდა, რომ „იურიდიული ფაკულტეტი მცოდნე იურისტ-პროფესორთა უქონლობის გამო არ არსებობს და ორ-სამ წელიწადზე ადრე მისი გახსნა ჩვენს უნივერსიტეტში შეუძლებელი იქნება“. „იურიდიული ფაკულტეტის გახსნა – ეს უფრო საძნელოა, – ამბობდა მაშინ იგი, – რადგანაც სამეცნიერო ხარისხის მქონე იურისტები ქართველთა შორის გარდა 1-2-ისა არ მოიპოვებიან, მაშინ როდესაც სხვა დარგის მეცნიერებისათვის 30-მდე სწავლულია უკვე ხარისხიანი“. საჭირო იყო მეცნიერ-იურისტთა მოზიდვა უნივერსიტეტში სამუშაოდ. ეს პროცესი უნივერსიტეტის გახსნისთანავე დაიწყო. 1918 წლის 1 აგვისტოდან მოიწვიეს გიორგი ნანეიშვილი, იმავე წლის 8 ნოემბრიდან – ვლადიმერ ემხვარი, 1919 წლის 18 ივლისიდან – ყაზანის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული მოსე შანიძე (აკაკი შანიძის ძმა). 1918 წლის 23 ნოემბრიდან სისხლის სამართალში საპროფესოროდ მოსამზადებლად დატოვებულ იქნა მოსკოვის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ლაზარე შურღაია. ჯერ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის საბჭომ 1921 წლის 15 დეკემბერს, შემდეგ კი – უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ 1921 წლის 12 იანვარს დაადგინეს, რომ ლექციების წასაკითხად მოეწვიათ რუსეთში მოღვაწე პეტერბურგის უნივერსიტეტდამთავრებული ლუარსაბ ანდრონიკაშვილი. 1922 წლიდან მოიწვიეს საქართველოში მოღვაწე, ქ. ღორპკის (იურიევის, შემდეგ კი ტარტუს) უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ირ. სურგულაძე. შემდეგ მათ რიგებს შეემატნენ ალექსანდრე ვაჩიშვილი, ერეკლე ტატიშვილი, გრიგოლ რცხილაძე და სხვები. ასე რომ, 1922 წლისათვის იურისტ-მეცნიერთა საკმაოდ ძლიერი ბირთვი შეიქმნა ერთობლივი საქმიანობისათვის.

1919 წლის 19 ოქტომბერს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო დაეთანხმა პროფესორ პეტრე მელიქიშვილის თხოვნას რექტორობიდან გადადგომის თაობაზე (ამ თანამდებობაზე მას ხელფასი არც კი მიუღია). ამის შემდეგ რექტორის მოვალეობას, როგორც უხუცესი დეკანი, ივანე ჯავახიშვილი ასრულებდა. მალე იგი (1919 წლის დეკემბერს) პროფესორთა საბჭომ ერთხმად აირჩია უნივერსიტეტის რექტორად, ხოლო სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანად კი დაინიშნა პროფესორი კორნელი ეკელიძე. სწორედ ამ ფაკულტეტის მესვეურთა წაქეზებით, მისსავე წიაღში დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები იურიდიული ფაკულტეტის შესაქმნელად, რომლებსაც სათავეში ჩაუდგნენ: ფილოსოფიასა და იურისპრუდენციაში ღრმად განსწავლული, განათლებული თეორეტიკოსი და კანონების უბაღლო ინტერპრეტატორი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი და ცნობილი ეკონომისტი, თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი ფილიპე გოგიჩაიშვილი.

1922 წლის მაისში რეალურად დადგა საკითხი, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტიდან გამოყოფილიყო იურიდიული და ეკონომიკური პროფილის სტრუქტურა. 7 ივნისს უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ დაადგინა დაარსებულყოფი სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი, სოციალური და ეკონომიკური განყოფილებებით, ოქტომბრიდან კი ფაკულტეტმა დაიწყო მუშაობა. ფაკულტეტის პირველ დეკანად აირჩიეს პროფესორი მალეა ნუცუბიძე. პირველ ლექციებს კითხულობდნენ საქუყნოდ ცნობილი მეცნიერები და მამულიმედიები: ი. ჯავახიშვილი, შ. ნუცუბიძე, დ. უზნაძე, ლ. ანდრონიკაშვილი, გ. ნანეიშვილი, ირ. სურგულაძე, ა. ვაჩიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, გ. ჩუბინიშვილი და სხვები. ამ პერიოდიდან მოყოლებული, ეროვნული სახელმწიფოებრიობისათვის იურიდიული კადრების მოსამზადებლად მიმდინარეობს ინტენსიური საქმიანობა.

სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი არსებობდა 1930 წლამდე. ამ პერიოდში რამდენიმე ახალი კათედრა დაარსდა. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია 1923 წელს დაარსებული საერთაშორისო საჯარო სამართლის კათედრა, რომლის ლექტორად და გამგედ მიწვეულ იქნა ერეკლე ტატიშვილი; ასევე, 1923 წელს სახელმწიფო სამართლის კათედრაზე – ირ. სურგულაძე, რომელსაც 1925 წლიდან მიენდო ადმინისტრაციული სამართლის კურსის წაკითხვა. ფაკულტეტის დეკანის პროფ. შ. ნუცუბიძის მიერ 1925 წლის 19 ივნისს გაყვამულ ცნობაში აღნიშნულია, რომ „სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის ლექტორი ირ. სურგულაძე 1923 წლიდან სრულიად დაშოკირებულად კითხულობს სახელმწიფო სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის კურსებს და ფაქტობრივად განაგებს ამ კათედრებს“. კათედრის ცნებაში თავდაპირველად მისი ვიწრო გაგება მოიაზრებოდა. ძირითადი საგანი განსაზღვრავდა კათედრის არსებობას.

1930 წლის 7 ივნისს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში უმაღლესი და საშუალო განათლების სკოლების რეორგანიზაციის შესახებ“, რაც საფუძვლად დაედო უნივერსიტეტის რამდენიმე ინსტიტუტად დაშლას. შეიქმნა საფინანსო, პედაგოგიური და აგრონომიული ინსტიტუტები. უნივერსიტეტის

სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების იურიდიული განყოფილება კი გადაკეთდა „საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტად“. იგი ითვლებოდა საქართველოს სსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ინსტიტუტად, თუმცა ფორმალურად საქართველოს განათლების სახალხო კომისიარიაგის განკარგულებაში დარჩა. ინსტიტუტის დირექტორი იყო კერ ალექსანდრე თუმანოვი, ხოლო შემდეგ – ბესარიონ კვიციანი. (1922 წელს იგი პირველი საბჭოთა კონსტიტუციის შემუშავებელი კომისიის თავმჯდომარე იყო). დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილში იყო პროფ. ირ. სურგულაძე, ინსტიტუტის სწავლული მდივანი – იონა ბოჭორიშვილი, ხოლო საქმეთა მმართველი – გრიგოლ ბიწაძე. ლექტორთა რიგებს ამშვენებდნენ უკვე სახელმოსყეპილი მეცნიერები და პრაქტიკოსები, პროფესორები: გიორგი ნანეიშვილი, იროდიონ სურგულაძე, ალექსანდრე ვაჩიშვილი, გიორგი ნათაძე, კოტე ბაქრაძე, ალექსანდრე ერქომაიშვილი, შალვა გოგებაშვილი, ამბროსი ინწკირველი, დოცენტები და მასწავლებლები: მარიამ ორახელაშვილი, ვია გამყრელიძე, დავით გეგენაეა, აკაკი მენაბდე, ნოე ჯინჭარაძე, კოტე გორდელაძე, დავით კომახიძე, ვ. ხვიჩია, ს. ფურცელაძე, ს. ჩხილაძე, ივ. ძაძაძიძე, კ. ბარამიძე, ალ. გეგენაეა, იონა ბოჭორიშვილი და სხვ. ინსტიტუტი ტერიტორიულად დღევანდელი უზენაესი სასამართლოს I და II სართულებზე იყო განთავსებული.

საქართველოში საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის პარალელურად ფუნქციონირებდა მოსკოვის დაუსწრებელი იურიდიული ინსტიტუტის თბილისის ფილიალი, რომლის დირექტორი იყო დავით მირიანაშვილი, სასწავლო ნაწილს კი წლების განმავლობაში განაგებდა იონა ბოჭორიშვილი. დაუსწრებელ ინსტიტუტში ლექტორები ძირითადად ქართველები იყვნენ, რომლებიც რამდენიმე კათედრაზე იყვნენ გაერთიანებული. ფილიალმა იარსება 1950 წლამდე. ფილიალიც დღევანდელი უზენაესი სასამართლოს შენობაში არსებობდა. ინსტიტუტისა და ფილიალის თანამშრომლებს შორის არ არსებობდა კოლევიალური დამოკიდებულება. პრიორიტეტისათვის ბრძოლა მოგვიერ არასასურველ სახეს – იღებდა. განუწყვეტელი დისკუტები, ურთიერთდავა საგნების გადანაწილებისათვის. ბრძოლა მიმდინარეობდა თვით ინსტიტუტის კათედრებს შორისაც. მაგალითად, საგანს „მოძღვრება საბჭოთა სახელმწიფოზე“ ინსტიტუტში სხვა სპეციალურ საგნებთან ერთად კითხულობდნენ პროფ. ა. ვაჩიშვილი (1931-32–სასწ. წელს) და პროფ. გ. ნანეიშვილი (1932-33 სასწ. წელს). ამავე საგანში მუშაობდა ა. გეგენაეა, რომელიც ახლებურად ამროყნების წარმომადგენლად თვლიდა თავს. 1930 წლის 25 ოქტომბერს თბილისში მოწყობილი საჯარო დისკუსიის დროს ა. გეგენაეა ძირითად მოხსენებით გამოვიდა და გაილაქრა სამართლებრივ ამროყნებაში იდეალიზმის წინააღმდეგ მან გააკრიტიკა გ. ნანეიშვილის, ირ. სურგულაძისა და ა. ვაჩიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა და „ძველი ეპოქის პროფესურად“ ჩათვალა ისინი. ასეთ ფონზე შემდგომ არასასიამოვნოდ გამოჩნდა გ. ნანეიშვილსა და ირ. სურგულაძეს შორის არსებული მეცნიერული დავა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინსტიტუტებად დაშლის შემდეგ ხშირად მიმართავდნენ ექსპერიმენტებს, შემოჰქონდათ სწავლების

ახალი მეთოდები, რომელთა უმრავლესობა ვერ ამართლებდა და უარყოფით შედეგებსაც იძლეოდა. ამიგომ დაიგმო ჯგუფური მეცადინეობა, გამოცდების კოლექტიური ჩაბარება და სხვ. სწავლების ღონე ინსტიტუტებში მკვეთრად დაეცა. საუნივერსიტეტო მუშაობა ადრე ვაცოილებით უკეთეს შედეგებს იძლეოდა. 1933 წლის 8 იანვარს საქართველოს ცაკმა და სახკომსაბჭომ მიიღეს დადგენილება ცალკეული ინსტიტუტების ბაზაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღდგენის შესახებ. საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტი თავისი სამი კურსით ფაკულტეტის სახით შევიდა უნივერსიტეტის სტრუქტურაში. მის პარალელურად 1933 წლიდან უნივერსიტეტში შეიქმნა: ფიზიკა-მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, ისტორიულ-ლიტერატურული და ეკონომიკური ფაკულტეტები.

საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ფაკულტეტის პირველი დეკანი იყო პროფ. ირ. სურგულაძე. ახალი კათედრები ძირითადად შემდეგი სახით არსებობდა: სამართლის ზოგადი თეორიისა (გამგე - პროფ. ირ. სურგულაძე), სამეურნეო სამართლისა (გამგე - პროფ. გ. ნანეიშვილი), სისხლის სამართლისა (გამგე - პროფ. ა. ვაჩიიშვილი) და საბჭოთა აღმშენებლობისა (გამგე - დოც. ალ. გეგენაია). ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა პირველი (1933 წ.) და მეორე (1934 წ.) გამოშვება ღიფერენციულად - საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის განყოფილებების შესაბამისი პროფილებით მოხდა. 1935 წლიდან კი იურისტიკის უნივერსიტეტის სახელწოდებით ხდება კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის განსაზღვრა. 1934 წლის ოქტომბრიდან საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ფაკულტეტს ეწოდა „საბჭოთა სამართლის“ ფაკულტეტი. 1935 წლიდან კი დღევანდელი სახელწოდება - იურიდიული ფაკულტეტი. ამ პერიოდიდან მოყოლებული, იურიდიული ფაკულტეტი ყოველთვის უნივერსიტეტის კედლებში იყო და მის ძირითად ინგრედიენტს წარმოადგენდა. უნივერსიტეტში მოხდა მისი გაფართოება, პროფესორ-მასწავლებლთა და სტუდენტთა რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა, მისი სამეცნიერო, აღმზრდელობითი და პედაგოგიური საქმიანობის საქვეყნოდ აღიარება. ამაში მნიშვნელოვანი წვლილი იურიდიული ფაკულტეტის ბეერმა გამოიჩინილმა თანამშრომელმა და თავკაცმა შეიტანა. უნივერსიტეტის აღდგენის შემდეგ, სხვადასხვა დროს, იურიდიული ფაკულტეტის ლეკანები თანმიმდევრობით იყვნენ: ირ. სურგულაძე, ი. ბოჭორიშვილი, დ. მირიანაშვილი, ი. გალახაძე, ბ. ფურცხანიძე, ი. დოლიძე, დ. პოლუმორდინოვი, თ. წერეთელი, გ. ინწკირველი, ვ. აბაშმაძე, ე. ლორია, მ. ლეკვიშვილი, რ. შენგელია, ე. მეტრეველი, გ. ინწკირველი, რ. შენგელია და იქნება უამრავი სხვა.

დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი ქართული სახელმწიფოებრიობისა და სამართლის პრობლემათა მეცნიერული კვლევის ძირითადი კერა და მაღალკვალიფიციური იურიდიული კადრების აღზრდის ფლავამანია. ფაკულტეტის დაარსებიდან დღემდე იგი საქართველოს უზრდიდა თავისი განვითარების ამა თუ იმ ეტაპის შესაბამისი ეროვნული იდეებითა და პოზიციებით გამსჭვალულ პრაქტიკოს და მეცნიერ იურისტთა ღირსეულ კადრებს. იურიდიული ფაკულტეტი, რომელიც აერთიანებს ქართული იურისპრუდენციის გამოიჩენილ და საყოველთა-

ოღ ალიარებულ მეცნიერებსა და პრაქტიკოსებს, წარმატებით ასრულებს საკმაოდ მრავალრიცხოვან სტუდენტთა აღზრდასთან დაკავშირებულ პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას. ამასთან, აქტიურად მონაწილეობს სახელმწიფოში მიმდინარე კანონმდებლობით მოღვაწეობაში და სამართლებრივი რეფორმის პროგრამით გათვალისწინებული სხვა პრობლემების გადაწყვეტაში. დღეს არსებულ შეიღსავე კაიფორაზე უპირველესი ყურადღება ეთმობა საბაზრო მეურნეობის შესაბამისი ახალი დისციპლინების შემოღებას, ახალი კანონმდებლობის შინაარსის ამსახველი სახელმძღვანელოებისა და მეცნიერული გამოკვლევების შექმნას. თითქმის ყველა ძირითად საგანში არსებობს სასწავლო წიგნები. მეცნიერული კვლევის სიღრმეს განაპირობებს ქართველ სწავლულთა ხშირი მონაწილეობა საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში, სადაც ძირითადი ყურადღება გამახვილებულია საქართველოში სამართლებრივი რეფორმისა და იურიდიული განათლების სრულყოფის პრობლემატიკაზე.

ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა რიგებს ამშვენებს: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთი ნამდვილი წევრი (დ. ალექსიძე), ორი წევრ-კორესპონდენტი (გ. ინწკირველი, ჯ. ხეცურიანი), ორ ათეულზე მეტი მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი და კიდევ უფრო მეტი მეცნიერებათა კანდიდატი და დოცენტი. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ღარვობრივი მეცნიერებათა აკადემიების წევრები და წევრ-კორესპონდენტებია. ფაკულტეტის წევრთა რიგებში არიან: მეცნიერების დამსახურებული მოღვაწეები, ღირსების ორდენის კავალრები, ვ. გორგასლის ორდენის მფლობელები და საპატიო თბილისელი (გ. ინწკირველი). ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ერთი ნაწილი საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური წევრები არიან. (გ. ინწკირველი, ვ. ლორია, ჯ. ხეცურიანი, მ. ჯინჯოლაია, პ. ცნობილაძე და სხვ).

ფაკულტეტის უდიდეს პოტენციურ შესაძლებლობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მეცნიერული მიღწევები წარმატებული პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებით ვლინდება, რაზეც ნათლად მეტყველებს ჯ. ხეცურიანის, ლ. ჭანტურიას, ჯ. ვახოკიძის, გ. ქარქაშაძის, ბ. ბიწაძის, გ. მეუარისიშვილის, თ. ნინიძის, მ. ტურაეას, ნ. გვენეტაძის, მ. ჯინჯოლაიას, ბ. ზოიძის, ი. ფუტყარაძის, ავთ. დემეტრაშვილის, გ. გოგიაშვილის, ო. გამყრელიძის, გ. შამბახიძის, ა. კობახიძის, ლ. ალექსიძის, მ. ცაცანაშვილისა და სხვათა მოღვაწეობა. ისინი გამორჩეული მეცნიერები და კომპეტენტური პრაქტიკოსები არიან.

დღევანდელ საუნივერსიტეტო იურიდიულ განათლებას საფუძვლად უდევს ევროპისა და ამერიკის უმაღლეს იურიდიულ სასწავლებელთა გამოცდილება, აგრეთვე, საქართველოში არსებულ რეალიების გათვალისწინებით შემუშავებული სისტემა. ქართველი და უცხოური საუნივერსიტეტების მიერ მომზადდა იურიდიული განათლების ახალი კონცეფცია და რამდენიმე კანონპროექტი. მათი რეალიზაციის დაწყებამდე კი ყველაფერი კეთდება იურიდიული განათლების სფეროში მიღწეულ წარმატებათა შესანარჩუნებლად. იურიდიული განათლების მოქმედი კონცეფციის მიხედვით, იგი ორსაფეხურიანია. თავიდან გათვალისწინებული იყო სამი საფეხური:

ბაკალავრიატი (4 წელი), მაგისტრატურა (2 წელი) და ასპირანტურა (2 წელი), მაგრამ, რადგანაც ბაკალავრისა და მაგისტრის შრომითი მოწყობის პრობლემების გადაწყვეტა იურიდიული სამსახურის სხვადასხვა დონისა და ხარისხის სიმრავლის გამო შეუძლებელი ხდებოდა, გადაწყდა, რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით, მომხდარიყო ორსაფეხურიან სისტემაზე გადასვლა, ოღონდ ორივე საფეხურის გაძლიერებით.

პირველ საფეხურს – ფართო პროფილის იურისტ-სპეციალისტის მომზადებას – ეთმობა არა ოთხი, არამედ ხუთი წელი და თეორიულ მომზადებასთან ერთად მნიშვნელოვანი ყურადღება მეხუთე წელს ეთმობა – პრაქტიკული ჩვევების გამომუშავებას; მეორე საფეხური ითვალისწინებს იურისტთა მომზადებას სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობისათვის და ასპირანტურაში სწავლების პერიოდი მოიცავს არა ორ, არამედ სამ წელიწადს, რომელიც სადისერტაციო ნაშრომის მომზადებას ითვალისწინებს. იურიდიულ და პედაგოგიურ მეცნიერებათა ზოგიერთი ფუნდამენტური დისციპლინის შესწავლის შემდეგ, საბოლოოდ, საყოველთაოდ მიღებული სამსაფეხურიანი სისტემის მეორე საფეხური – მაგისტრატურა – თითო წლით ჩაირთო პირველ და მესამე საფეხურში და ამით გაძლიერდა სპეციალისტ-იურისტთა მომზადების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები. ასევე მეტი სიღრმე შეიძინა იურისტ-მეცნიერისა და პედაგოგის მომზადებამ. სწავლების საერთო რეაწლიანი ვადა უცვლელი დარჩა.

საბაზრო მეურნეობის პირობებში წარმომობილ საზოგადოებრივ ურთიერთობათა უმნიშვნელოვანესი ნაწილის ახლებურად რეგულირების აუცილებლობამ დღის წესრიგში დააყენა სამართლის სფეროში ფუნდამენტურ დებულებათა ახლებურად გააზრების საჭიროება და ასალი სასწავლო დისციპლინების შემოღება. სხვა საგნებთან ერთად ახლა წარმატებით ისწავლება ისეთი ახალი დისციპლინები, როგორებიცაა: სამეწარმეო სამართალი, ვაკოტრების სამართალი, სავადასახადო და საბაჟო სამართალი, ჰუმანიტარული სამართალი, ლგოლვილთა სამართალი, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, ევროპის სამართალი, კომპარატივისტიკა, საექლესიო სამართალი და სხვ.

დამკვიდრდა სავალდებულო და ასარჩევ საგანთა სწავლების სისტემა. სტუდენტი პირველ საფეხურზე – თეორიული კურსის გავლისას – სწავლობს ყველასათვის სავალდებულო საგანთა განსაზღვრულ რაოდენობას. ამასთან ერთად, მას უფლება აქვს და ვალდებულებაც არის, სხვადასხვა სპეციალიზაციის (სისხლისამართლებრივი, სამოქალაქო-სამართლებრივი და კონსტიტუციურ-სამართლებრივი) ციკლიდან წარმოდგენილი საგნები თვითონვე აირჩიოს და ჩააბაროს. ამით სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ, ფუნდამენტურ იურიდიულ განათლებას თაყიანთი ინტერესების, მისწრაფებებისა და მომავალი საქმიანობის სურვილის შესაბამისად შეუხამონ ვიწრო სპეციალიზაცია. ასეთი, ნებაყოფლობითი, შინაგანი სპეციალიზაციის მიხედვით ხდება სწავლების მეხუთე წელს პრაქტიკაზე განაწილება. ისინი პრაქტიკა-სტაჟირებას გადიან ერთ ადგილზე სამართალდამცავ, აღმასრულებელ, საკანონმდებლო ორგანოებსა ან კერძო სტრუქტურებში. პრაქტიკაზე ხანგრძლივი პერიოდით (6-10 თვე) ყოფნა ფორმა-

ლურ ხასიათს უკარგავს ამ ღონისძიებას. მით უმეტეს, რომ სახელმწიფო გამოცდებზე გასვლის წინ მათ გამოცდა უნდა ჩააბარონ პრაქტიკის პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებში. სახელმწიფო კურსებით გამოცდაც სპეციალობაში შიდა სპეციალიზაციის მიხედვით გარდება.

ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭო დღენიადავ მრუნავეს იურიდიული განათლების სფეროში არსებულ ხელისშემშლელ ვარემოებათა აღმოსაფხვრელად.

იურიდიული პროფესიისადმი ღტობა საქართველოში ყოველთვის შეიმჩნეოდა. დიდია იგი დღესაც. სამოქალაქო საზოგადოების შექმნა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების დამკვიდრება შეუძლებელია სამართლებრივი კულტურის ამაღლებისა და იურისპრუდენციის საფუძვლების დაუფლების გარეშე. მისთვის დამახასიათებელი რომანტიკულობაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს იურისტობის პოპულარობას. ამიგომაა შედარებით მაღალი კონკურსი მისაღებ გამოცდებზე და შესაბამისად სტუდენტთა კონტინგენციც მნიშვნელოვნად არის გაზრდილი. სტუდენტთა სიმრავლე სწაულების ფასიანი ფორმის შემოღებითაცაა განპირობებული. სახელმწიფოში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო ვერ ხდება სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული საბიუჯეტო დაფინანსება, ამიტომ იგი იძულებულია, მიმართოს თავისი საქმიანობის ნაწილობრივ კომერციალიზაციას. სწაულების ფასიანი სექტორიდან შემოდის, თუმცა კაბალური საგადასახადო დაბეგვრით, უნივერსიტეტის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ფულადი სასარგების მნიშვნელოვანი ნაწილი. სახელმწიფო უნივერსიტეტი თანდათან მისი არსებობის საწყისი ეტაპისაკენ მიემართება. კერძო სტრუქტურად მისი გადაქცევა ყოველად დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული. სტუდენტთა კონტინგენტის სიმრავლე, სასწაულო პროცესის ორგანიზაციასთან დაკავშირებულ სიძნელებებთან ერთად, პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო და პედაგოგიური დაგვირთვის მნიშვნელოვან ზრდას იწვევს. ეს განაპირობებს ლექციებისა და სემინარების ჩატარებაში მოწვეულ სპეციალისტთა ჩვეულებრივზე მეტად ჩართვას, რაც მათ მიმართ წაყენებული მოთხოვნების შესრულების ხარისხიანობის ალბათობას ქმნის. ასეთ ვითარებაში საესებით მიუღებლად უნდა ჩაითვალოს არაჯეროვანი სახელმწიფოებრივი პოზიცია ქვეყანაში იურიდიული განათლებით სრულყოფისა და შესაბამისი კადრების მომზადების პროცესის რეგულირებასთან დაკავშირებით. უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია: იმ სახელმწიფო და კომერციული სასწაულებლების სიმრავლე, რომლებიც, მაგერიალური და ინტელექტუალური ბაზის უქონლობის მიუხედავად, „ამზადებენ“ იურიდიული პროფილის კადრებს; იურიდიულ კადრების მომზადების არარეალურად დაზარალებული სახელმწიფო შეკვეთა; უმაღლეს იურიდიულ სასწაულებელთა ობიექტური ლიცენზირების, ატესტაციისა და აკრედიტაციის სისტემის უკუღებულყოფა, იურიდიული განათლების სრულყოფისათვის გამოყოფილი გრანტებისა და დახმარებების არამიმზობრივი და არაეფექტური გამოყენება და სხვ. ამიტომ, რომ საქართველოში მზადდება ბევრად უფრო მეტი იურისტი, ვიდრე საჭიროა. ეს სახელმწიფოს მხრივ ამ საკითხისადმი სრული ინდიფ-

ერენგიზმის გამოხატულებაა. ასეთი განუკითხაობა ხდება იმის საფუძველი, რომ ზოგიერთი გუშინ შექმნილი სასწაულებლისა და ვითომ სახელოვანი იურისტის ამბიციის უფრო შორს მიდის და ჰკუის დამრიგებლისა და იურიდიული განათლების გულშემატკივარის როლში გამოსვლას ცდილობს. ამაში მათ ზოგიერთი საერთაშორისო ფონდისა და უცხოური ფირმების წარმომადგენელთა ანგარებითი მიზნებით გაჯერებული ღონისძიებებიც უწყობს ხელს (მაგალითად, არაკომპეტენტური კონფერენციის ჩატარება იურიდიული განათლების პრობლემებზე). სინამდვილეში მსგავსი „ღონისძიებები“ რომელიღაც ფონდის ან ფირმის წინაშე ანგარიშად უნდა ჩაითვალოს იმ სახსრების გამოყენების ასახსნელად, რაც, თითქოსდა, საქართველოში სამართლებრივი რეფორმის ჩასატარებლად გამოიყოფა.

იურიდიული განათლების სფეროს საქართველოში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე დიდი ჭირისუფალი და გულშემატკივარი არა ჰყავს, ამიტომ მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული ის წინადადებები და კონცეპტუალური მიმართულებანი, რომლებიც, იურიდიული ფაკულტეტის კოლექტივის აზრით, საფუძვლად უნდა დაედოს იურიდიული განათლების რეფორმას. ფაკულტეტზე შექმნილია შემოქმედებითი შრომის კარგი ატმოსფერო და მუშაობის მეცნიერთა და პედაგოგთა ისეთი კოლექტივი, რომელსაც შეუძლია, წარმატებით გადაჭრას მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდისა და იურიდიული მეცნიერების უმნიშვნელოვანესი პრობლემები.

იურიდიული ფაკულტეტის დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებაზე, საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სწავლების ფორმაზე, ქართულ და რუსულ სექტორზე სულ 38000 სტუდენტი სწავლობს, მათგან 600-მდე სტუდენტს უკვე აქვს უმაღლესი განათლება სხვა პროფილით, დანარჩენი საშუალო განათლების ბაზაზე ეუფლება იურისპრუდენციის საფუძვლებს. ფაკულტეტს აქვს ასპირანტურა, სამეცნიერო ხარისხების მაძიებელთა და ასპირანტთა რაოდენობა 100-ზე მეტია. მაღალი ღონის სამეცნიერო და პედაგოგიური კადრების მომზადება ხდება არა მარტო საკუთრივ იურიდიული ფაკულტეტის ცალკეული კათედრებისათვის, არამედ სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლებისათვისაც. ახლახან ფუნქციონირება დაიწყო ევროპული კერძო სამართლის გერმანულენოვანმა მაგისტრატურამ. იქ სწავლა შეუძლია ნებისმიერ იურისტს, ვინც შესარჩევ გამოცდას წარმატებით ჩააბარებს. მაგისტრის ხარისხი უკრსდამთავრებულს ენიჭება ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტისა და თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით და შემდგომი მოღვაწეობის შესაძლებლობა ეძლევა ევროპულ კერძო სამართლის სივრცეში. დაგეგმილია მაგისტრატურის საქმიანობის მნიშვნელოვანი გაფართოება – ქართული, ინგლისური, და ფრანგული პროფილებით.

უმაღლეს სასწავლებელში სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის ძირითადი რგოლი კათედრაა, ამიტომ რამდენიმე სიგყვით კათედრათა გაბგეების მიერ მოწოდებული მასალების საფუძველზე გაეაანალიზოთ იურიდიული ფაკულტეტის კათედრების საქმიანობა. როგორც აღინიშნა,

ფაკულტეტის კოლექტივი არც ისე მრავალრიცხოვანია და კათედრათა რაოდენობაც ჯერჯერობით საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურება.

სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრა ახორციელებს რვა დისციპლინის სწავლებას თსუ იურიდიულ ფაკულტეტზე. აქედან ხუთი საგანი ძირითადია, ხოლო სამი არჩევითი, რომელთა შორის, ძირითადი დისციპლინებია: საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, საქართველოს პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, რომის სამოქალაქო სამართალი, პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ზოგადი ისტორია. კათედრის წევრთა ძალისხმევით ბოლო წლებში შექმნილ იქნა სამი ახალი დისციპლინა: მუსლიმური სამართალი, ქართული საეკლესიო სამართალი, ქართული ჩვეულებითი სამართალი.

ამ დისციპლინებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სტუდენტთა იურიდიული აზროვნების ჩამოყალიბებისათვის, ამას ხელს უწყობს სამართლისა და პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიის შესწავლა, ცალკეული იურიდიული ინსტიტუტების, მოძღვრებების ისტორიულ ასპექტსა და დინამიკაში განხილვა, რის გარეშეც შემდგომში შეუძლებელი იქნება დარგობრივი იურიდიული დისციპლინების სრულყოფილი შესწავლა და გააზრება. ეს საგნები ხელს უწყობს მსოფლიოს და ქართული სამართლებრივი კულტურისა და აზროვნების შესწავლას, იურიდიული ინსტიტუტების ისტორიული, ფილოსოფიური და რელიგიური ასპექტით გააზრებას, ფართო იურიდიული განათლების მიცემას სტუდენტთათვის.

საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის შესწავლას ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი, ხოლო ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის ჭეშმარიტად მეცნიერული შესწავლა დიდმა ივანე ჯავახიშვილმა დაიწყო. ნიშანდობლივია, რომ უნივერსიტეტის გახსნის პირველსავე დღეს მან პირველი ლექცია ქართულ სამართალში წაიკითხა ძველი საქართველოს სახელმწიფო წყობილების შესახებ. ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით, ქართული სამართლის ისტორია საეალღებულო საგნად შემოიღეს ახალდაარსებულ უნივერსიტეტში.

დიდი წვლილი შეიტანეს ძველი ქართული სამართლის შესწავლაში სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრის გამოჩენილმა მეცნიერებმა. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის პროფ. ივანე სურგულაძეს, რომელიც თითქმის 40 წლის მანძილზე უცვლელად ხელმძღვანელობდა სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრას. მას გამოქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი ნაშრომი, რომელთაგან 15 მონოგრაფიაა. უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს აკად. ისიდორე დოლიძის მეცნიერულ მოღვაწეობას, კერძოდ მის რამდენიმე მონოგრაფიას ქართული სამართლის ისტორიაში და მისი რედაქციით შედგენილ ქართული სამართლის ძეგლებს 8 ტომად. ქართული სამართლის ისტორიის შესწავლაში გარკვეული წვლილი შეიტანა პროფ. ალ. ვაჩიიშვილმა. მან გამოიკვლია სისხლის, პროცესუალური და სამოქალაქო სამართლის პრობლემები. სასამართლო ორგანიზაციისა და პროცესის შესწავლაში დიდი ღვაწლი მიუძღვის პროფ. მიხეილ კეკელიას, რომელიც ასევე ქართული ჩვეულებითი

(ხალხური) სამართლის იურიდიულ-მეცნიერული შესწავლის ფუძემდებელია საქართველოში და მისი თეალსაზრისით მან არაერთი საველე ექსპედიცია მოაწყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ნაყოფიერად მოღვაწეობს ქართული სამართლის ისტორიაში პროფ. გიორგი ნადარეიშვილი. იგი გარკვეული წლების მანძილზე მუშაობდა სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრაზე. მას შრომები აქვს გამოქვეყნებული ქართული საოჯახო, სამემკვიდრეო, სისხლის, საპროცესო სამართლის, სასჯელების საკითხებზე. ქართული სამემკვიდრეო სამართალი მონოგრაფიულად შეისწავლა პროფ. ბესარიონ ზოიძემ, ბრალის პრობლემა – დოც. ნ. კორძია-სამადაშვილმა, პროფ. ე. მეტრეველს შესწავლილი აქვს ებრაული სამართლის ქართული ვერსია, ასევე საქართველოს საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილება ადრეფეოდალურ ხანაში.

„საქართველოს პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია“ ფაქტობრივად პროფ. ივ. სურგულაძემ დააფუძნა თბილისის უნივერსიტეტში, მანვე შექმნა სახელმძღვანელო ამ დარგში და გამოაქვეყნა რამდენიმე მონოგრაფია. ამავე დარგში მოღვაწეობდა პროფ. ვახტანგ აბაშმაძე, რომელსაც ნაშრომები აქვს ასევე პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ზოგად ისტორიაში. ქართული პოლიტიკური და სამართლებრივი აზრის შესწავლაში დიდი წვლილი მიუძღვის პროფ. ვალერიან მეტრეველს. მან შეისწავლა ქართული პოლიტიკური და სამართლებრივი იდეოლოგია XIX საუკუნის მეორე ნახევარში, რასაც მიუძღვნა 4 მონოგრაფია.

გარკვეული სამეცნიერო, მათ შორის მთარგმნელობითი, საქმიანობა ჩატარდა სხვა ძირითად დისციპლინებში.

ბოლო ხანს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრაზე ძალზე გააქტიურდა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. უკანასკნელ წლებში ქართულ ენაზე გაჩნდა რამდენიმე ახალი სახელმძღვანელო, რომლებიც კათედრის წევრებმა შეადგინეს. აღსანიშნავია პროფ. ე. მეტრეველის სახელმძღვანელო რომის სამოქალაქო სამართალში, მარიამ ცაცანაშვილის სახელმძღვანელო საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიაში, ვალერიან მეტრეველისა და გიორგი დაეითაშვილის – პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიაში. აღსანიშნავია, რომ ამ დისციპლინაში ორიგინალური სახელმძღვანელო მანამდე არ არსებობდა. კათედრის მიერ ხელახლა გამოიცა ივ. სურგულაძის ნაშრომი: „საქართველოს პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიისათვის“, რაც სახელმძღვანელოდ გამოიყენება შესაბამისად დისციპლინებში. მიმდინარეობს მუშაობა სახელმძღვანელოებზე საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიაში და მუსლიმურ სამართალში.

კათედრა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს რომის სამართლის შესწავლასა და ქართულ ენაზე რომის სამართლის წყაროების თარგმნას. ამ საქმიანობას საფუძველი ჩაეყარა კათედრის გამგის ვალერიან მეტრეველის ინიციატივით, მას ეს იდეა გაუჩნდა მას შემდეგ, რაც ქალაქ რომში დაესწრო საერთაშორისო კონფერენციას რომის სამართლის შესწავლასთან და სწავლებასთან დაკავშირებით. რომის სამართლის წყაროების ლათინურიდან ქართულ ენაზე თარგმნას საფუძველი დაუდო კათედრის

პროფესორმა ნუგზარ სურგულაძემ, რისი საშუალება მას მისცა ლათინურის უშუალო ცოდნამ და იურისპრუდენციაში, კერძოდ რომის სამართალში, განსწავლულობამ. უკვე თარგმნილია და გამოცემულია იუსტინიანეს დიკესტების ორი წიგნი. მზადაა გამოსაცემად იუსტინიანეს „ინსტიტუციები“. განზრახულია აღნიშნული წყაროების გამოყენება სემინარულ მუშაობაში. ეს გამოცემები აკადემიურ ხასიათს ატარებს (დართული აქვს შენიშვნები, საძიებელი, ლექსიკონი). რომის სამართლის წყაროების ორიგინალიდან ქართულ ენაზე თარგმანი ეპოქალურ მოვლენას წარმოადგენს არა მარტო კათედრის, არამედ მთელი ფაკულტეტის სამეცნიერო ცხოვრებაში. ფაქტობრივად შეიქმნა რომის სამართლის შესწავლელი ცენტრი, რომლის პრეზენტაციაც ახლო მომავალშია მოსალოდნელი.

კათედრა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ქართველოლოგიური იურიდიული დისციპლინების მეცნიერულ შესწავლას. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, საქართველოს პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, ქართული ჩვეულებითი სამართალი, ქართული საეკლესიო სამართალი სწორედ ის ქართველოლოგიური დისციპლინებია, რომელთა შესწავლა ძირითადად მხოლოდ საქართველოში ხდება. კათედრის მიზანია, განაგრძოს ის საქმე, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს: ივანე ჯავახიშვილმა, ივანე სურგულაძემ, ისიდორე დოლიძემ, დავით ფურცელაძემ, მისიელ კეკელიძემ, გიორგი ნადარეიშვილმა და სხვებმა.

კათედრა მიზნად ისახავს ქართული სამართლის ისტორიის წყაროებისა და მონოგრაფიულად ცალკეული ინსტიტუტების შესწავლას, ასევე ქართული ხალხური (ჩვეულებითი) სამართლის ყოელისმომცველ კვლევას, ქართული ხალხური სამართლის იმ უნიკალური ინსტიტუტების წარმოჩენას და ანალიზს, რომლებსაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვთ ქართული სამართლებრივი კულტურის შესწავლისათვის და ასევე შედარებითი იურისპრუდენციის თვალსაზრისით.

კათედრის სტრატეგიული მიზანია, გახდეს ქართველოლოგიური იურიდიული დისციპლინების შესწავლის ცენტრი და ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების დისერტაციათა უმრავლესობა სწორედ ქართველოლოგიურ დისციპლინებშია შექმნილი.

სამართლის თეორიასა და კონსტიტუციური სამართლის კათედრა მასში გაერთიანებული დარგების შინაარსიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, ერთ-ერთი წამყვანი კათედრაა იურიდიულ ფაკულტეტზე: სახელმწიფოსა და სამართლის თეორია ისეთი დარგია, რომელსაც გარკვეული მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს იურიდიული მეცნიერების სხვა დარგების მიმართ, ხოლო კონსტიტუციური სამართალი იურიდიული მეცნიერების ის დარგია, რომლის შესწავლის საგანია ქვეყნის საზოგადოებრივი წესწყობილებისა და პოლიტიკის საფუძვლების, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის, მოქალაქეობისა და აღამიანის უმთავრესი უფლება-მოვალეობების მარეგულირებელი ნორმები და შესაბამისი ურთიერთობანი.

თბილისის უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ, როდესაც ჯერ კიდევ დამოუკიდებლად არ არსებობდა იურიდიული ფაკულტეტი და შესაბამისად

არც იურიდიული პროფილის კათედრები, მაინც იკითხებოდა ისეთი საგნები, როგორცაა, მაგალითად: სახელმწიფო სამართალი, პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია, საქართველოს სახელმწიფოს ისტორია, სამართლის თეორია. 30-იანი წლების მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრა, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფესორი იროდიონ სურგულაძე და სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის კათედრა, რომლის გამგის მოვალეობას 1951 წელს უნივერსიტეტიდან მის დათხოვნამდე ასრულებდა „წითელი პროფესორი“ ი. გალახაძე. 1947 წელს სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის კათედრას გამოეყო სახელმწიფო სამართლის კათედრა, რომლის გამგედ დაინიშნა დოცენტი ისიდორე დოლიძე (შემდგომში – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი); სახელმწიფო სამართლის გარდა იგი კითხულობდა სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კურსს მომიჯნავე კათედრის ხაზით. მისი სხვა სამუშაოებზე გადაყენების შემდეგ, 1956-1962 წლებში ამ კათედრის გამგედ მუშაობდა დოცენტი გრიგოლ ერემოვი (შემდგომში – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე). მასვე პქონდა დაეალეული სახელმწიფო სამართლის გარდა ადმინისტრაციული სამართლის კურსის წაკითხვა.

1962 წლიდან სახელმწიფო სამართლის კათედრის გამგის თანამდებობაზე კონკურსის წესით აირჩიეს დოცენტი ვიეი ინწკირველი (შემდგომში – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი (1965 წ.), პროფესორი (1966 წ.), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1997 წ.). ამასთან, როდესაც 1979 წელს სახელმწიფოსა და სამართლის თეორიისა და ისტორიის კათედრას (კათედრის გამგე პროფ. ივანე სურგულაძე) გამოეყო სამართლის თეორიის დარგი და შეუერთდა პროფ. ინწკირველის კათედრას, – მას დაერქვა სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრა, ხოლო მოგვიანებით ეს სახელწოდებაც დაზუსტდა და კათედრას ეწოდა „სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრა“.

გარდა უშუალოდ ამ სახელწოდებასთან დაკავშირებული სპეციალობებისა, კათედრა წლების მანძილზე აერთიანებდა საერთაშორისო სამართლისა და, აგრეთვე, ადმინისტრაციული სამართლის დარგების და შესაბამის სასწავლო დისციპლინებს. მაგრამ სათანადო სპეციალისტების მომზადების შემდეგ, 1977 წელს სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრას გამოეყო და დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბდა საერთაშორისო სამართლის კათედრა, რომელსაც სათანავეში ჩაუდგა საქართველოსა და მსოფლიოში უკვე აღიარებული მეცნიერი პროფესორი ლეჟან ალექსიძე, 2002 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. ასევე, სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრას გამოეყო და დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბდა ადმინისტრაციული სამართლის კათედრა, რომლის გამგედ არჩეულ იქნა საქართველოში ამ დარგის ფუძემდებელი და წამყვანი სპეციალისტი პროფესორი ვალერი ლორია, რომელიც წინა

წლებში ხელმძღვანელობდა სამართლის საფუძვლების კათედრას. დღის წესრიგში დგება საკითხი კონსტიტუციური სამართლის კათედრის დამოუკიდებელ ერთეულად გამოყოფისა და სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის უშუალოდ ამ დარგის ფარგლებში ფუნქციონირების შესახებ.

ჯერჯერობით კი სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრა დაკომპლექტებულია ორივე ამ დარგის სპეციალისტებით, რომლებიც ამუშავებენ სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიისა და კონსტიტუციონალიზმის პრობლემებს. შესაბამისად ამისა შემოღებულია და იკითხება გრადიუიული სალექციო კურსები და სასწავლო დისციპლინები, სპეკურები, გარდება სემინარები და პრაქტიკული მეცადინეობები შემდეგ საგნებში: სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის პრობლემები, სამართლის ფილოსოფია, თეორიები სახელმწიფოსა და სამართლის არსის შესახებ, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, მუნიციპალური სამართალი, სახელმწიფო კონგრესის ორგანიზაციის სამართლებრივი პრობლემები და სხვ. სტუდენტობა ძირითადად უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელოებით, დამხმარე სახელმძღვანელოებითა და აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებული სხვა ლიტერატურით. კათედრის წევრები აქტიურად მონაწილეობენ კანონშემოქმედებით პროცესში სხვადასხვა ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავების დროს.

40 წლის მანძილზე სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრას ხელმძღვანელობს ცნობილი ქართველი მეცნიერი და პედაგოგი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი გივი (გიორგი) ინჭიკიშვილი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, უმაღლესი სკოლის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი). იგი არჩეულია მსოფლიოს იურისტთა ასოციაციის საპატიო წევრად, არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია „იურისტთა კავშირის“ თავმჯდომარის მოადგილედ, პოლიტიკური მეცნიერების მსოფლიო ასოციაციის წევრია, მონაწილეობს ამ ორგანიზაციების მრავალი მსოფლიო კონგრესის, კონფერენციის, სემინარისა და სხვა ფორუმის მუშაობაში – ვაშინგტონში, მონრეალში, რიო-დე-ჟანეიროში, ბუენოს-აირესში, პარიზში, ბერლინში, ბრიუსელში, დუბლინში, სტოკჰოლმში, მანილაში, სეულსა და სხვა ქალაქებში. ასევე, არაერთგზის ყოფილა მიწვეული სახელმწიფო საგამოცდო კომისიების თავმჯდომარედ მოსკოვის, ეკატერბურგის, ხარკოვის, როსტოვისა და სხვა ქალაქების წამყვან იურიდიულ უმაღლეს სასწავლებლებში. 2001 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ბიოგრაფიების ინსტიტუტის მიერ იგი აღიარებული იყო და დასახელებულია მეცნიერების დარგში მსოფლიო მნიშვნელობის ათას ლიდერთა შორის, რომლის მოღვაწეობის შესახებ გაკეთდა „მუდმივი ჩანაწერი აშშ-ის კონგრესის ბიბლიოთეკაში“.

პროფესორ გივი ინჭიკიშვილის ნაშრომები დაკავშირებულია სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის აქტუალურ პრობლემებთან, საქართვე-

ლოს სახელმწიფოებრიობის განვითარებასთან, პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის საკითხებთან და გამოქვეყნებულია სხვადასხვა გამოცემაში ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და პოლონურ ენებზე, აქტიურად მონაწილეობს სხვა საკანონმდებლო აქტების პროექტების შემუშავებასა და მიღებულ აქტების კომენტარების შედგენაში. თანაავტორია პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის მოსკოვში გამოცემული საკავშირო სახელმძღვანელოსი, რომელშიც მისი ინიციატივით შეტანილი და გაშუქებულია შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძისა და ეგნატე ნინოშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებები. მაგრამ მისი მთავარი ნაშრომია „სახელმწიფოსა და სამართლის თეორია“ – ორიგინალური სახელმძღვანელო, რომელიც გახდა საფუძველი დისერტაციისა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 1962 წლიდან დღემდე მრავალჯერ გამოცემული ეს ნაშრომი სამაგიდო წიგნად იქცა იურისგთა მთელი თაობებისათვის. როგორც სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, იგი კათედრის წევრებთან და სხვა კოლეგებთან ერთად, თანაავტორია საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის პროექტისა.

წლების მანძილზე პროფესორი ვივი ინწკირველი თავმჯდომარეობს იურიდიულ მეცნიერებათა დარგში საკანდიდატო და სადოქტორო ხარისხების მიმნიჭებელ საქართველოში ერთადერთ სამეცნიერო საბჭოს, რომელიც ცნობილია თავისი კომპეტენტურობით, ობიექტურობითა და საჯაროობით. აღსანიშნავია პროფესორის მუშაობა ასპირანტებთან და დოქტორებთან. უშუალოდ მისი ხელმძღვანელობითა და კონსულტანტობით მომზადდა ათეულობით საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

კათედრის ერთ-ერთი ყველაზე სტაჟიანი წევრია 1993 წლიდან იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზაურ ჯინჯოლავა, რომელმაც საკანდიდატო დისერტაცია 1973 წელს დაიცვა თემაზე – „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო“, ხოლო სადოქტორო დისერტაციის თემა იყო „ხელისუფლების ორგანოები სახელმწიფო მექანიზმის საერთო სისტემაში“. ეს აქტუალური თემა წამყვანია მის სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობაში და სრულად აისახა მის მონოგრაფიაში – „საქართველოს პარლამენტი“, რომელშიც ღრმა მეცნიერულ ღონებზე გაშუქებული თანამედროვე ქართული პარლამენტარიზმის ზოგადთეორიული და პრაქტიკული საკითხები. მისი სხვა ნაშრომებიც დაკავშირებულია აღნიშნულ თემატიკასთან. მას მიჰყავს კათედრის პროფილის ერთ-ერთი წამყვანი სალექციო კურსი – საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, აგრეთვე სხვა სპეციალური კურსები. მან დიდი ავტორიტეტი და სიყვარული დაიმსახურა სტუდენტებსა და კოლეგებს შორის.

პროფესორმა მ. ჯინჯოლავამ აქტიური მონაწილეობა მიიღო, როგორც სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის კომპეტენტურმა წევრმა, საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის პროექტის შემუშავებაში და მისი დებულებების კომენტარებში ფართო საზოგადოებისათვის. მიუხედავად ასეთი სრულფასოვანი სამეცნიერო-მედიაციური და აღმზრდელი მითი მოღვაწეობისა, მან თანხმობა განაცხადა, ემუშავა კონსტიტუციის საფუძ-

ველზე 1996 წელს შექმნილ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად. ამ საპასუხისმგებლო პოსტზე ყოფნისას პირველსავე წლებში მკაფიოდ გამოკლინდა ზ. ჯინჯოლავეას ისეთი პიროვნული თვისებები, როგორცაა: დაკისრებული მოვალეობისაღმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, ობიექტურობა და პრინციპულობა, რაც სასიკეთოდ გამოადგა საქართველოს სახელმწიფოებრიობის მშენებლობისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების ჯერ კიდევ მიმდინარე პროცესებს.

1992 წელს სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრის წევრთა შემადგენლობას შეემატა მინამღევე უკვე საქმად ცნობილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, იმ დროს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, შემდგომში დოქტორი და პროფესორი ოთარ მელქაძე, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში იმყოფებოდა ხელმძღვანელ თანამდებობებზე სახალხო კონგროლისა და მმართველობის უმაღლეს ორგანოებში. საკანდიდატო დისერტაციაც, რომელიც მან დაიცვა ქ. მოსკოვში საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიაში და შემდგომში სადოქტორო დისერტაცია, რომელიც დაიცვა უკვე თბილისის უნივერსიტეტში, დაკავშირებულია კონგროლის პრობლემებთან. 1992-1995 და 1995-1999 წლებში ო. მელქაძე არჩეული იყო დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს – პარლამენტის წევრად.

პროფესორმა მელქაძემ სოლიდური მეცნიერული საფუძველი ჩაუყარა იურიდიულ ფაკულტეტზე საზღვარგარეთის კონსტიტუციური სამართლის კურსის თანამედროვე დონეზე სწავლებას და შესაბამისი პრობლემების ღრმად დამუშავებას. მისი ინიციატივით შემოღებულ იქნა კონსტიტუციური სამართლის კურსის განმტოების – „მუნიციპალური სამართლის“ – დამოუკიდებელი სახელმძღვანელო საგნის სახით, ხოლო „სახელმწიფო კონგროლის ორგანიზაციის სამართლებრივი პრობლემების“ არჩევითი საგნის სახით სწავლებას. საამისოდ კი, ო. მელქაძის უშუალო ხელმძღვანელობით კათედრაზე მომზადდა შესაბამისი პედაგოგიური და სამეცნიერო ახალგაზრდა კადრები. რამდენიმე მათგანმა უკვე დაიცვა დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. ასეთები არიან: გიორგი კვერენჩილაძე, კახი ყურაშვილი, გიორგი თვედორაშვილი, ომარ მახარაძე და აგრეთვე სხვები, რომლებიც ემზადებიან დისერტაციების დასაცავად; მათი უმრავლესობა მონაწილეობს მელქაძესთან ერთად თანაავტორობის სახით სახელმძღვანელოების მომზადებაში. უშუალოდ პროფესორ მელქაძის ავტორობით გამოცემულ ნაშრომებს შორის აღსანიშნავია: „საუბრები ქართულ კონსტიტუციაზე“ (1996), „ქართული კონსტიტუციონალიზმის თანამედროვე პრობლემები“ (2001 წ.), „გერმანიის კონსტიტუციური სამართალი“ (1999 წ.), ნ. რამიშვილთან ერთად; „საფინანსო კონგროლი ევროპულ ქვეყნებში“ (2001 წ.), „მსოფლიოს ქვეყნების სამართლებრივი სისტემები“ (2001 წ.), ბ. დვალთან ერთად; და სხვ. სულ ახლახან ფრანგულ ჟურნალში გამოქვეყნდა ო. მელქაძის სტატია „საქართველოს კონსტიტუციური სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის კონსტიტუციურობის ზოგიერთი ასპექტის შესახებ“. პროფესორ ო. მელქაძის თაოსნობით დამოუკიდებლად ფუნქციონირებს „მსოფლიო პარლამენტა-

რიზმის კელევიითი ცენტრი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ამ პროფილის სახელმძღვანელოებისა და დამხმარე ლიბერატორის, მონოგრაფიებისა და საცნობარო ლიბერატორის გამოცემას. მისი ინიციატივით პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საქციალბობის მაგისტრატურებში დაინერგა და იკითხება ლექციები კონსტიტუციონალიზმის პრობლემებზე.

ამჟამად პროფესორი ოთარ მეღვინე ასრულებს სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრის გამგის მოადგილის მოვალეობას, რაც უფრო ადრე პერიოდში დაკისრებული ჰქონდათ შაბაგ ცნობილად, მაურ ჯინჯოლაძესა და გია ხუბუას.

სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრის პროფესორთა შორის არის იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი გიორგი (გია) ხუბუა, რომელიც ამავდროულად ხელმძღვანელობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტს. მისი მეცნიერული ინტერესები მოიცავს ორივე ამ დარგის პრობლემებს. არის ფუნდამენტური ნაშრომების ავტორი სახელმწიფოსა და სამართლის თეორიისა და კონსტიტუციურ სამართალში. კითხულობს ლექციებს ამ სასწავლო დისციპლინებში და აგრეთვე ბოლო დროს შემოღებულ ახალ საგანში – სამართლის ფილოსოფიაში. მისი მთავარი მონოგრაფიაა მრავალტომიანი წიგნი – „ფედერალიზმი როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი“ (2000 წ.), რომელიც სადოქტორო დისერტაციის სახით იქნა წარდგენილი და დაცული იურიდიულ ფაკულტეტთან არსებულ სადისერტაციო საბჭოში. პროფესორი გ. ხუბუა რამდენიმე წლის მანძილზე სტაჟირებას გადიოდა გერმანიის წამყვან სამეცნიერო ცენტრში, სრულყოფილად დაეუფლა გერმანულ ენას და დიდი ავტორიტეტი მოიპოვა არა მარტო საქართველოს, არამედ საზღვარგარეთელ მეცნიერთა შორისაც. აქტიურად მონაწილეობს სამეცნიერო საერთაშორისო ფორუმების მუშაობაში და ორგანიზებას უწევს სხვადასხვა სახის კონფერენციებისა და სიმპოზიუმების ჩატარებას საქართველოში. დიდ ყურადღებას უთმობს კანონმემოქმედებით საქმიანობასა და შესაბამის კომისიებში მუშაობას.

კათედრის შედარებით ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ერთ-ერთი წამყვანი წევრი და პერსპექტიული მეცნიერი მუშაობს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი შაბაგ ცნობილად, რომელიც ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ არის სამეცნიერო მუშაობის დარგში. მისი, როგორც იურისტის, ვიწრო საქმიანობა მოიცავს სამართლის ზოგად თეორიასა და კონსტიტუციურ სამართალს და სამეცნიერო ნაშრომებიც დაკავშირებულია ორივე ამ დარგთან. ლექციებსაც კითხულობს და სხვა სახის მეცადინეობებს ატარებს ამავე სასწავლო საგნებში. მისი მთავარი დაბეჭდილი ნაშრომებია: მონოგრაფია „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“ (1996 წ.), რომელიც პირველი ცდაა, სისტემურად და მეტ-ნაკლები სისრულით წარმოაჩინოს დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციური სამართალი და შესაბამისი სალექციო კურსი; ცნობარი „კონსტიტუციური (სახელმწიფო) სამართალი“ (1998 წ.), რომელიც შეიცავს ამ დარგში ყველაზე გავრცელებულ ტერმინებსა და ცნებებს. ძირითადად დასრულებული აქვს

მუშაობა სალოქტორო დისერტაციის თემაზე: „კანონშემოქმედება საქართველოში“; მონაწილეობს საერთაშორისო კონგრესებისა და კონფერენციების მუშაობაში. 2001 წელს პროფესორ გ. ინწკირველთან ერთად მიწვეული იყო მსოფლიო იურისტთა ასოციაციის კონგრესზე ირლანდიის ქალაქ დუბლინში, ხოლო მიმდინარე 2002 წელს საერთაშორისო კონფერენციაზე გერმანიის ქალაქ შტუტგარტში.

პაატვა ცნობილად არის ზემოთ დასახელებული მსოფლიო ასოციაციის ეროვნული პრეზიდენტი, აგრეთვე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „იურისტთა კავშირის“ სამეცნიერო-საკუთრდინაციო საბჭოს წევრი და საქართველოს იურისტთა კავშირის თავმჯდომარე, ქურნალ „სამართლის“ მთავარი რედაქტორი.

კათედრის ახლანდელი შემადგენლობის დეაწლმოსილ წევრთა შორის გამოირჩევა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ვიოლეტა გეწაძე, რომელიც ადრე სამართლის საფუძვლების კათედრის წევრი იყო, მაგრამ მისი სასწავლო დატვირთვისა და სამეცნიერო კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი სამართლის ზოგადი თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრის ფარგლებში სრულდებოდა. იგი მაღალკვალიფიციურად კითხულობს ლექციებს სამართლის თეორიის საგანსა და სამართლის თეორიის პრობლემების სპეკურსში, წარმატებით ხელმძღვანელობს სტუდენტებს სადიპლომო ნაშრომების შესრულებაში, ახალგაზრდა დამწეებ მეცნიერებსა და ასპირანტებს კვალიფიკაციის ამაღლებაში.

ასევე, სამართლის საფუძვლების კათედრიდან სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრაზე მოღვაწეობს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი ნანა ჭილაძე, რომელიც აქტიურად მუშაობს კონსტიტუციონალიზმის პრობლემატიკაზე, კითხულობს ლექციებს და გამოქვეყნებული აქვს შესაბამისი სამეცნიერო შრომები: „საპარლამენტო ფრაქციის სტატუსი“ (1999 წ.), „საქართველოს პარლამენტის კომიტეტების სამართლებრივი მდგომარეობა“ (1999 წ.), მისი საკანდიდატო დისერტაციის თემა იყო: „საქართველოს პარლამენტის სამუშაო ორგანოების სამართლებრივი რეგლამენტაციის საკითხები“. არის ფაკულტეტის საბჭოს წევრი, ფაკულტეტის პროფორგანიზაციის თავმჯდომარე.

უკვე სამი ათეული წელია, კათედრაზე მეტად ნაყოფიერად მუშაობს დოცენტი ანზორ კალმხელიძე, რომელიც სხვადასხვა სპეკურსში ლექციების კითხვის გარდა ხელმძღვანელობს სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკისა და სტაჟირების პროცესს სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში.

ახალგაზრდა ლექტორებიდან გარკვეული ავტორიტეტი უკვე დაიმსახურეს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა გიორგი გოგიაშვილმა, რომელიც თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეა, არჩილ ლორიაძე მა გიორგი კერენჩხილაძე, კახი ყურაშვილმა, მალხაზ ბეგიაშვილმა, ლევან იბორიაძე, აგრეთვე კახაბერ წერეთელმა, რომელიც წლების მანძილზე სახელმწიფო მმართველობისა და სამართალდამცავ სისტემაში საქმიანობდა და ამჟამად ისეე ძირითად პედაგოგიურ მუშაობას დაუბრუნდა სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრაზე.

კათედრის მდივანია მთელ ფაკულტეტზე აღიარებული როგორც საქმიანი მუშაკი, უნიჭიერესი ახალგაზრდა პედაგოგი და პერსპექტიული მეცნიერი ირმა ნოზაძე, რომელსაც ჯერ კიდევ დისერტაციის დაცვამდე კათედრამ დააეხლა სტუდენტებთან სასემინარო მეცადინეობების ჩატარება. მას უკვე გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო სტატიები სპეციალურ ჟურნალებში და წარმოდგინილი აქვს დასაცავად საკანდიდატო დისერტაცია.

კათედრის ამჟამინდელი ასპირანტებიდან წარმატებით არსულენ თავის მოვალეობას თამარ გარდაფხაძე და თამარ ალფიაძე. აგრეთვე, ზურაბ ეზუგბაია, გიორგი თევდორაშვილი, ბადრი კოჭლამაზაშვილი და სხვები.

ბოლო წლებში უდროოდ გარდაიცვალნენ კათედრის ახალგაზრდა, მაგრამ უკვე დიდი ავტორიტეტის მქონე, წევრები: ალექსანდრე (ბუჭა) გვანცელაძე – თბილისის ისნის რაიონის მოსამართლე, გოჩა უტიაშვილი, მთაწმინდის რაიონის მოსამართლე, ზურაბ ღუჭაშვილი – გენერალური პროკურატურის პასუხისმგებელი მუშაკი და მისი ძმა ზაქრო ღუჭაშვილი (მასზე უფრო ადრე გარდაიცვალა). მანამდე კი, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მიზეზით კათედრას გამოაკლდნენ მისი წევრები ან კათედრის თემატიკაზე მომუშავე პირები: პროფესორი ალექსანდრე ვაჩიშვილი, რომელმაც ჯერ კიდევ 1926 წელს გამოსცა წიგნი „სამართლის თეორია“, პროფესორი გიორგი ნანეიშვილი, რომელიც 1937 წელს იქნა რეპრესირებული, პროფესორი ვახტანგ აბაშაძე, რომელიც ქართული სამართლის ისტორიის გარდა დაინტერესებული იყო სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის საკითხებით, პროფესორები ვალერიან ფარქოსაძე და ალბერტ აბესაძე, რომლებიც მუშაობდნენ კონსტიტუციური სამართლისა და აღმინისტრაციული სამართლის თემატიკაზე, დოცენტი ილია ნატროშვილი და მასწავლებელი თენგიზ ნოზაძე, რომლებმაც სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო დატოვეს უნივერსიტეტი, დოც. შ. გვათუა და დოც. ბ. საეანელი, რომლებიც დატხოვნით იქნენ კათედრიდან კონკურსით არარჩევის გამო.

სამოქალაქო სამართლის კათედრა ერთ-ერთი უძველესი და მრავალრიცხოვანია. სოციალურ-ეკონომიკურ ფაკულტეტზე 1930 წლამდე არსებობდა სამართლის ისტორიისა და სამოქალაქო სამართლის კათედრა, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფ. ირ. სურგულაძე. საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ფაკულტეტზე კი დამოუკიდებელი სახით ფუნქციონირებდა სამეურნეო სამართლის კათედრა, რომლის გამგე იყო პროფ. გ. ინწკირველი. უნივერსიტეტის აღდგენის შემდეგ კვლავ გაერთიანებული კათედრა შეიქმნა და მას ისევე ირ. სურგულაძე ჩაუდგა სათავეში. 1944 წლიდან სამოქალაქო სამართლის კათედრა დამოუკიდებლად არსებობს. მისი პირველი გამგე იყო პროფ. ლ. პოლუმორდინოვი. 1952 წლიდან კათედრას თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე ხელმძღვანელობდა სახელგანთქმული მეცნიერი, პედაგოგი და სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი სერგო ჯორბენაძე. სწორედ მის ხელში მიაღწია კათედრამ მნიშვნელოვან სამეცნიერო წარმატებებს და ნოყიერი ნიადაგი შეიქმნა საქართველოში საბაზრო მეურნეობის პრინციპების დამკვიდრებისა და კერძო ურთიერთობათა სამოქალაქოსამართლებრივი რეგულირებისათვის. 1998 წლიდან ორი წლის გან-

მაელობაში კათედრას ხელმძღვანელობდა პროფ. ზ. ახელედიანი, რომელმაც გაამრავლა მიაოვებული წარმატებები. დღეისათვის სამოქალაქო სამართლის კათედრას ხელმძღვანელობს იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი რომან შენგელია.

კათედრის ორმოცამდე წევრი ნაყოფიერად მუშაობს ისეთ დისციპლინებში როგორცაა: სამოქალაქო სამართალი, სამოქალაქო სამართლის პროცესი, სამეწარმეო სამართალი, შრომის სამართალი, საფინანსო სამართალი, აგრარული სამართალი და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფესორების: შ. ჩიქვაშვილის, ა. კობახიძის, ლ. ადღეიშვილის, ა. ლაბარცყავას, ჯ. ხეყურიანის, ლ. ჭანტურიას, ბ. ზოიძის, რ. შერგელიას; დოცენტების: თ. ნინიძის, მ. კახიძის, მ. ძლიერიშვილის, დ. სუხიტაშვილის, თ. ჩიგოშვილის, ლ. ნადიბაიძის, თ. ზამბახიძის, რ. ცინცაძის, ე. შენგელიას, ნ. ხოფერიას, დ. ძამუკაშვილის, თ. მონიაეას, გ. ქირიას და სხვათა საქმიანობა სასწავლო ლიტერატურის შექმნასა და კანონშემოქმედებით საქმიანობაში. გამორჩეული აღნიშვნის ღირსია პროფ. ლ. ჭანტურიას საქმიანობა. მას უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართული ცივილისტიკის გერმანულ კოლეგებთან დაკავშირებაში, საქართველოში სამეწარმეო კანონმდებლობის შემუშავება-დამკვიდრებაში, სამოქალაქო კოდექსის შექმნასა და მისი კომენტარების ექსტრამეულის მომზადებაში. პროფესორ ლადო ჭანტურიას სასწავლო-სამეცნიერო შრომები ქართული, და არა მარტო ქართული, ცივილისტიკის აუცილებელ ინგრედიენტს წარმოადგენს. შეგად სასარგებლო სასწავლო წიგნები შექმნეს: შ. ჩიქვაშვილმა საოჯახო და სამემკვიდრეო სამართალში, დ. ძამუკაშვილმა ინტელექტუალურ სამართალში, ა. კობახიძემ სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, ბ. ზოიძემ სანიუთო სამართალში, დ. სუხიტაშვილმა სანოტარო სამართალში, რ. მიჯრიულმა გაკოტრების სამართალში, ლ. ჭანტურიამ და თ. ნინიძემ სამეწარმეო სამართალში, რ. შენგელიამ საოჯახო სამართალში, მ. ძლიერიშვილმა ვალდებულებათა სამართალში, ა. ლაბარცყავამ და თ. ჩიგოშვილმა აგრარულ სამართალში, ლ. ადღეიშვილმა და მ. კახაძემ შრომის სამართალში და სხვ.

კათედრას 50-ზე მეტი ასპირანტი და სამეცნიერო ხარისხის მაძიებელი ჰყავს. ყოველწლიურად რამდენიმე დისერტაცია სრულდება კათედრაზე. კათედრის ახალგაზრდა წევრები მუდმივად ზრუნავენ მეცნიერული და ედაგოგიური დონის ამაღლებაზე.

2002 წელს იუნესკოსა და უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე კათედრაზე ჩამოყალიბდა სააკტორო სამართლის სექცია, რომლის ამოცანებია: სასწავლო გეგმების სრულყოფა, სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის დახმარების აღმოჩენა ინტელექტუალური საკუთრების სამართლის საფუძვლებისა და საპრობლემო საკითხების შესწავლის პროცესში, თანამედროვე ლიტერატურის შეძენა, საზღვარგარეთის ქვეყნების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან კავშირების დამყარება და სხვ. სექციას წარმატებით ხელმძღვანელობს დოც. დ. ძამუკაშვილი.

სისხლის სამართლის კათედრაზე შესაბამისი პროფილით რამდენიმე თაობის მეცნიერები მოღვაწეობდნენ.

პირველი თაობის წარმომადგენელთაგან სისხლის სამართლის მეცნიერების დაფუძნებაში ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვის საქვეყნოდ განთქმულ, ფართოდ განსწავლულ ადვოკატს პროფ. ლუარსაბ ანდრონიკაშვილს (1872-1939). მან უმაღლესი იურიდიული განათლება მიიღო პეტერბურგის უნივერსიტეტში. სწავლობდა გერმანიაში, ეკრძოდ ჰაიდელბერგისა და სტრასბურგის უნივერსიტეტში გამოჩენილი მეცნიერების: ვიდელბანდის, კუნო ფიშერის, ლაბანდისა და სხვების ხელმძღვანელობით. ამის შემდეგ იგი შეუდგა საადვოკატო საქმიანობას, მაგრამ როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, მას არც ფილოსოფიისა და არც თეორიული იურის-პრუდენციისათვის თავი არ დაუნებებია და სახელი გაითქვა როგორც განათლებულმა თეორეტიკოსმა და კანონების ინტერპრეტატორმა.

ლ. ანდრონიკაშვილის ლექციები მეცნიერული პრობლემის ორიგინალური გადაწყვეტით გამოირჩეოდა – იგი კითხულობდა ლექციების კურსს სამართლის ზოგად თეორიაში, სამოქალაქო სამართალში, სისხლის სამართალში და სხვა. მანვე შექმნა ლექციების ორი ახალი კურსი – დანაშაულის ფსიქოლოგია და სიკვების კულტურა. ჩამოაყალიბა მაღალი ტიპის სემინარი სისხლის სამართალსა და სისხლის სამართლის პროცესში.

იურიდიულ ფაკულტეტზე ასევე ერთ-ერთი პირველი ლექტორი იყო პროფ. ალექსანდრე ეაჩიშვილი (1886-1964 წ.). იგი 1922 წლიდან მოღვაწეობდა ჩვენს უნივერსიტეტში, კითხულობდა ლექციების კურსს სოციოლოგიაში, სამართლის თეორიაში, სისხლის სამართალსა და სისხლის სამართლის პროცესში. 1931-1964 წლებში იყო სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის კათედრის გამგე. ფართო განსწავლულობა და რამდენიმე ევროპული ენის ცოდნა მკაფიოდ გამოვლინდა მის მონოგრაფიებში, რომლებიც მიძღვნილია დანაშაულის სუბიექტური მხარისადმი, სასჯელისა და სოციალური დაყვის ღონისძიებისადმი, მასვე ეკუთვნის ნაშრომები, რომლებშიც გაშუქებულია ქართული სამართლის ისტორიის ცალკეული საკითხები.

მეორე თაობის წარმომადგენელთაგან, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ პროფ. ლ. ანდრონიკაშვილის საამაყო მოწაფე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. თინათინ წერეთელი (1903-1980 წწ.). მისი სამეცნიერო ინტერესთა წრე სამართლის სამ მთავარ დარგს მოიცავდა: სამართლის თეორიას, სამოქალაქო სამართალსა და სისხლის სამართალს. თ. წერეთლის ფუნდამენტური გამოკვლევები მიზემობრიობის შესახებ სისხლის სამართალში საკითხების წრით, ეკლევადიების მასშტაბით, ფართო განმანათლებლური ინფორმაციით წარმოადგენს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ძირეული პრობლემების ღრმა მეცნიერულ გამოკვლევას.

თ. წერეთლის გამოკვლევებისათვის დამახასიათებელია ფილოსოფიური კატეგორიების, აგრეთვე ფსიქოლოგიური და სოციოლოგიურ მეცნიერებათა მონაცემების ფართო გამოყენება. მიზემობრიობისა და რეალური შესაძლებლობის კატეგორიების გამოყენების საფუძველზე თ. წერეთელმა

გამოიკვლია მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში, დანაშაულის მომხადება, მცდელობა, თანამონაწილეობა დანაშაულში. აქვე უნდა მოეხსენიოთ მისი მეუღლე, სისხლის სამართლის მეცნიერების ცნობილი მკვლევარი ე. მაყაშვილი (1909-1986 წწ.), რომელიც დიდი წარმატებით იკვლევდა განზრახ და გაუფრთხილებლობით ბრალის, მოტივის საკითხებს.

1964 წლიდან 1982 წლამდე სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის კათედრის გამგე იყო პროფ. ბ. ჟურცხანიძე (1901-1984 წწ.). იგი საგამომცემო-სასამართლო პრაქტიკის მასალების მომარჯვებით უპირატესად განიხილავდა სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილით ვათვალისწინებულ ნორმებს ცალკე დანაშაულთა შესახებ — პასუხისმგებლობას პატივისა და ღირსების, სიციცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის. იგი ავტორია სისხლის სამართლის ზოგადი და კერძო ნაწილების სახელმძღვანელოებისა.

პროფ. ბ. ხარაბიშვილმა (1918-1986 წწ.), მართალია, სისხლის სამართლისა და პროცესის საკითხებს იკვლევდა, მაგრამ იმედროულად დიდ ინტერესს იჩენდა დამნაშაულის ქცევის მოტივისადმი. ამ პრობლემას იგი განიხილავდა ფსიქოლოგიური თეორიების მიხედვით.

1982 წლიდან კათედრას ხელმძღვანელობს პროფ. გ. ტყეშელიაძე, რომელიც პროფ. თ. წერეთლის ერთ-ერთი გამორჩეული მოწაფეა. იგი ავტორია მონოგრაფიებისა, რომლებიც მან პროფ. თ. წერეთლისა და ე. მაყაშვილის თანაავტორობით გამოაქვეყნა. თავის დროზე მისი ავტორობისა და თანაავტორობით გამოაქვეყნდა იმდროინდელი სისხლის სამართლისა და ზოგადი ნაწილის კომენტარები. საერთოდ კი მისი გამოკვლევები უშუალოდ მიძღვნილია სისხლის სამართლის პრობლემებისადმი, საგანი მისი განხილვისა ორგანულადაა დაკავშირებული ფილოსოფიისა და სამართლის თეორიის პრობლემათიკასთან. მან საგანგებოდ გამოიკვლია დანაშაულის სიმრავლის სახეები, სასამართლო პრაქტიკისა და სისხლის სამართლის კანონის ურთიერთობის სპეციფიკა.

გ. ტყეშელიაძე ხელმძღვანელობდა საქართველოს პირველი სისხლის სამართლის კოდექსის შემდგენელ კომისიას. ამ კომისიის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ: პროფ. მ. ლეკეიშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის განყოფილების გამგე პროფ. ო. გამყრელიძე, პროფ. მ. უგრეხელიძე, პროფ. გ. ნაჭყებია, დოც. ს. პაჭკორია, დოც. მ. გურაევა, დოც. ლ. სურგულაძე, დოც. ნ. გვენევაძე, დოც. მ. მუმლაძე, დოც. გ. მამულაშვილი. მათ დიდი შრომა გასწიეს კოდექსის პროექტის შესამუშავებლად, შეისწავლეს ადგილობრივი ლიტერატურა, საგამომცემო-სასამართლო პრაქტიკა, უცხოური ქვეყნების სისხლის სამართლის ლიტერატურა და კანონმდებლობა.

ფართო მეცნიერული ინტერესებით გამოირჩევა პროფ. მ. უგრეხელიაძე, რომელსაც უცხო ენების ღრმა ცოდნამ საშუალება მისცა, დედანში გასცნობოდა ინგლისურ-ამერიკული სამართლის საკითხებს და იქაური სასამართლო პრაქტიკის მასალებს. იგი ავტორია ღრმა გამოკვლევებისა გაუფრთხილებლობითი ბრალის, საფრთხის შემქმნელი დელიქტების შესახებ.

პროფ. გ. ნაჭყეების გამოკვლევებით ნათელყოფილია სისხლის სამართლის საგნისა და სისხლის სამართლის მეცნიერების საგნის რაობა, განხილულია ფსიქოლოგიზმისა და ნორმატივიზმის თანაფარდობა. პროფ. გ. ნაჭყეებია იხილავს დანაშაულის კვალიფიკაციის ზოგად საკითხებს, ბრალს, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორიას. იგი დაინტერესებულია სისხლისსამართლებრივი ურთიერთობებისა და დანაშაულის ცნების ურთიერთდამოკიდებულებით.

წარმატებით განაგრძობს მეცნიერულ მოღვაწეობას ავსტრიაში ლამაგიორგი კუტალია, რომელმაც სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრაზე მოამზადა საკანდიდატო დისერტაცია „ბრალის ნორმატიული მოდელის შესახებ“. (ეს ნაშრომი მან ცალკე წიგნად გამოაქვეყნა). რაც მთავარია, ლ. კუტალიამ გამოაქვეყნა პირველი გომი სქელტანიანი მონოგრაფიისა ბრალის შესახებ სისხლის სამართალში. განზრახული აქვს ამ პრობლემაზე კიდევ რამდენიმე გომის გამოქვეყნება.

სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის საკითხებს კარგა ხანია დიდი წარმატებით იკვლევს პროფ. მ. ლეკვეიშვილი. რაც მთავარია, მან დოც. გ. მამულაშვილიდან ერთად ცალკე მონოგრაფიები გამოაქვეყნა ეკონომიკური დანაშაულისათვის, სახელმწიფო დანაშაულისათვის, სახელმწიფოსა და სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა იურიდიული ნიშან-თვისებების შესახებ. პროფ. მ. ლეკვეიშვილი ავტორია აგრეთვე ნაშრომისა სასამართლო პროცესის შესახებ მე-17 – მე-18 საუკუნეების საქართველოში. ფრიად საინტერესო დებულებებს შეიცავს მისი ნაშრომი არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ.

პროფ. მ. წულაია დიდი ხანია იკვლევს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის აქტუალურ პრობლემებს. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ კერძო ნაწილის შესახებ ორი გომი გამოაქვეყნა, ცალკე ნაშრომში მოცემულია ეკონომიკური დანაშაულის იურიდიული ანალიზი.

დოც. ნ. თოდუამ გამოაქვეყნა ნაშრომი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულისათვის. დოც. მ. ივანიძე იკვლევს რელიგიური დანაშაულის საკითხებს სინდისის თავისუფლებასთან მიმართებაში. დოც. გ. ხუროშვილი ავტორია ნაშრომისა, რომელშიც პრაქტიკული მაგალითების გამოყენებით განხილულია ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ნიშან-თვისებები.

სასჯელალსრულებითი სამართლის ლიბერატორა ქართულ ენაზე მეტად ღირსიბია. ამ მიმართულებით უსათუოდ კარგი საქმე გააკეთა დოც. გ. ყვარულაშვილმა, რომელმაც ცალკე ნაშრომად გამოაქვეყნა „პატიმრობის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარები“. მასთან ერთად ამ დარგში ლექციებს კითხულობს დოც. გ. გეგუჭკორი.

ლექციების კურსს კრიმინოლოგიაში კათედრის რამდენიმე წევრი კითხულობს: პროფ. მ. წულაია, პროფ. ა. გაბიანი, დოც. დ. მუმლაძე. პროფ. მ. წულაიამ ცალკე ნაშრომში გააშუქა დატაცებასთან ბრძოლის კრიმინოლოგიური საფუძვლები.

პროფ. ა. გაბიანს, ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის აღიარებულ თეორეტიკოსს, ეს პრობლემა სხეადასხეა, მათ შორის სოციალური, თვალ-

საზრისით აქვს განხილული. ვარდა ამისა, მის ნაშრომში გაშუქებულია დამნაშავეობის ეფექტურობის საკითხები. მან რუსულ ენაზე გამოაქვეყნა ნაშრომი, რომელშიც გაშუქებულია ქალთა დანაშაულების საკეიფიკა.

დოქ. ნ. გვენგაძის საეურნალო სტაგეებში გაშუქებულია დანაშაულების მიზეზებისა და პირობების შესახებ, აგრეთვე გაშუქებულია საკითხები საქართველოს, საფრანგეთის, იტალიის სისხლის სამართლის კოდექსების მიხედვით.

დიდი მეცნიერული პოტენციალითა და გრადიციებით, ძალისხმევით და ცვალებადობით ხასიათდება სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრა, რომელმაც მრავალჯერ შეიცვალა სახელწოდება.

გასული საუკუნის თითქმის ექვსი ათეული წელი კრიმინალური ციკლის სისტემაში შემავალი ყველა სასწავლო საგანი თავმოყრილი იყო „სისხლის სამართლის“ სახელწოდებით არსებულ კათედრაზე, რომელსაც ოცდასამი წელი (1931-1964 წწ.) უცვლელად ხელმძღვანელობდა ფრიად განსწავლული მეცნიერი და გულისხმიერი ლექტორი, დიდი გამოცდილების მქონე პროფესორი ალექსანდრე ვაჩიშვილი, რომელმაც ქართული სისხლისსამართლებრივი მეცნიერების განვითარებაში თავისი ფუნდამენტური სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომებით წარუშლელი კვალი დატოვა. ამავე პერიოდში კათედრაზე მოღვაწეობდა და ლექციებს კითხულობდა ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ქალთა შორის სისხლის სამართლის სპეციალობით პირველი იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი თინათინ წერეთელი.

პროფესორ ალექსანდრე ვაჩიშვილის გარდაცვალების შემდეგ სისხლის სამართლის კათედრას სათავეში ჩაუდგა და 1964 წლიდან 1982 წლამდე უცვლელად ხელმძღვანელობდა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ბორის ფურცხვანიძე. 1982 წელს კი კათედრა ორად გაიყო: „სისხლის სამართლისა“ და „სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის“ კათედრებად ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობა კელავ გააგრძელა პროფესორმა ბორის ფურცხვანიძემ, რომელმაც თავისი სიცოცხლე ფაქტობრივად ამ კათედრის სამუშაო ოთახში დაასრულა. უაღრესად დიდია მისი ღვაწლი ასალგაზრდა მაღალკვალიფიციური იურიდიული კადრების მომზადების საქმეში. იგი იყო პატიოსანი, უმწიკვლო პედაგოგი და მასწავლებელი. მან დროულად მიაწოდა სტუდენტებსა და პრაქტიკოს მუშაკებს ქართულ ენაზე დაწერილი სახელმძღვანელოები სისხლის სამართლის პროცესში, სისხლის სამართლის ზოგად და განსაკუთრებულ ნაწილში და შექმნა სხვა მრავალი პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობის ნაშრომი.

პროფ. ბ. ფურცხვანიძის გარდაცვალების შემდეგ 1983 წელს ამ კათედრის გამგედ ერთხმად აირჩიეს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი აპოლონ ფალიაშვილი, რომელიც ასევე თხუთმეტ წელზე მეტხანს შესანიშნავად უძღვებოდა ამ კათედრის საქმიანობას და მისივე ინიციატივით კათედრას ორჯერ შეეცვალა სახელწოდება. მან თვითონ ასალი საარჩევნო ვადით კათედრის გამგედ არჩევანში მონაწილეობაზე უარი განაცხადა და 2000 წელს საკუთარი განცხადებით გადადგა კათედრის გამგეობიდან. ლეკანაგისა და მისივე რეკომენდაციით იმავე წელს კათედრის

გამგის ეკანტურ თანამდებობაზე ერთხმად არჩეულ იქნა ამავე კათედრაზე აღმრდილი პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი შოთა ფაფიაშვილი, რომელმაც კათედრის საქმიანობას ასევე გარკვეული თავისებური სიახლე შემატა.

სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრას თავიანთი უმწიკლო სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობით ამშვენებდნენ და სახელს უხვევდნენ აწ განსვენებული პროფესორ-მასწავლებლები, კერძოდ: პროფესორი ბეჟან ხარაბიშვილი (ხორნაბუჯელი) – მრავალმხრივი მეცნიერული კვლევა-ძიების შემოქმედი, ყოველთვის ახლის მაძიებელი, ფართო პორიზონტის მეცნიერი, უჩვეულო, სანიმუშო და შეუვალი, პატიოსანი ცხოვრებასა და სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობაში, მართალი სიკეთის მოყვარული, ნიჭიერი და კეთილსინდისიერი ასპირანტებისა და მაძიებლების განუყრელი მეგობარი და ქომაგი, რომელმაც იურიდიული მეცნიერების მრავალ დარგში თქვა თავისი მართალი და პატიოსანი მეცნიერული სიკეთა. მან ფრიალ საინტერესო სამეცნიერო და პუბლიცისტური ნაშრომები დავეციგოვა სისხლის სამართალში, კრიმინალისტიკაში, სისხლის სამართლის პროცესში, მტკიცებულებათა სამართალში, სასამართლო ფსიქოლოგიასა და მხატვრული ნაწარმოებებისა და დეტექტივების სახით. ამ მიმართებით მისი მრავალრიცხოვანი ნაშრომებიდან შეიძლება ცალკე გამოვყოთ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოები, აგრეთვე დამხმარე სახელმძღვანელოები – „მტკიცებულობითი სამართალი“, „სიცრუის ფსიქოლოგია“, „დამნაშავეის ქცევის მოტივი საბჭოთა სისხლის სამართალში“ (რუსულ ენაზე); „დამნაშავეის ფსიქოლოგიური მხარე“ (რუსულ ენაზე); და დეტექტიური ნაწარმოებები: „პრობლემა № 13“, „ერთი საფლავის საიდუმლოება“ და სხვ.;

სხვადასხვა დროს ამავე კათედრაზე მოღვაწეობდნენ და ფართო სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდნენ ცნობილი პრაქტიკოსი მუშაკები და საზოგადო მოღვაწეები: აწ განსვენებული, საქართველოს უმაღლესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე, დოცენტი მიხეილ ვეფხვაძე, საქართველოს გენერალური პროკურორი ლერი თალაკვაძე, ქ. თბილისის პროკურორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი მიხეილ ქურდაძე, იუსტიციის ყოფილი მინისტრი და საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრე შუმანაშვილი. კათედრას თითქმის ხუთი ათეული წელი ამშვენებდა უაღრესად კეთილმობილი და თავისი მინაგანი ბუნებით უბოროტო მეცნიერ-პედაგოგი, დოცენტი დავით ცინცაძე და დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე პროფესორი რეზო ჭოდომოვილი, დოც. ოთარ ჯღენტი და სხვ.

იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა რაოდენობის მრდასთან ერთად გაიზარდა სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრის წევრთა რიცხვიც, რომელთა რაოდენობა გექნიკურ პერსონალთან ერთად ოცდახუთს აღემატება და, რომლებიც ღირსეულად აგრძელებენ კათედრის ძვირფას გრადიციებს. სახელდობრ, კათედრაზე მოღვაწეობენ: იურიდ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი შოთა ფაფიაშვილი (კათედრის გამგე), იურიდ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი აპოლონ ფალიაშვილი, იურიდ.

მეცნ. დოქტორი შოთა კომბანაშვილი, დოცენტები: რეზო გოგშელიძე (კათედრის გამგის მოადგილე), ირინა აქუბარდია, გია მუფარიშვილი, ვარლენ სიმონიშვილი, ლალი ფაფიაშვილი, აეთანდილ კახნიაშვილი, მასწავლებლები: პაატა კობალაძე, დავით კარიაული, ჯაბა კერესელიძე, ანზორ მახარაძე, შაბა ცინცაძე და კათედრის სხვა ახალგაზრდა მშარდი მეცნიერ-პედაგოგები: ვ. ხუციშვილი, ს. ჭელიძე, ი. ბოხაშვილი, ნ. გოგნიაშვილი, თ. შაყულაშვილი, თ. ჩაველიშვილი და სხვ.

კათედრის წევრები კითხულობენ და აგარებენ ლექცია-სემინარებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებს ფაკულტეტის ისეთ ფუნდამენტურ დისციპლინებში, როგორცაა: სისხლის სამართლის პროცესი, კრიმინალისტიკა, სამართალდამცავი ორგანოები, სასამართლო მედიცინა, სასამართლო ფსიქიატრია და მათი შესაბამისი სპეკურსები არჩევითი საგნების სახით: ადამიანთა უფლებების დაცვის პროცესუალური გარანტიები; სასამართლოსა და პროკურატურის ორგანიზაცია და ფუნქცია საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში; ადვოკატურის ორგანიზაცია და ფუნქცია საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში; სასამართლო ექსპერტიზის პრობლემები; სისხლის სამართალწარმოება მემდგომი ინსტანციის სასამართლოში; მოკვლევისა და გამოძიების ზოგიერთი ორგანიზაციული პრობლემა, სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა გამოძიების ზოგიერთი თავისებურება და სხვ. კათედრა ხელმძღვანელობს აგრეთვე ფაკულტეტის სტუდენტთა პრაქტიკა-სტაჟირებას.

კათედრის ზემოაღნიშნულ ძირითად და არჩევით საგნებში შემუშავებული და გამოქვეყნებულია სასწავლო პროგრამები და მათი შესაბამისი სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები და სასწავლო-მეთოდური მასალები. ამ მიმართებით კათედრის წევრთა მიერ უკანასკნელ წლებში გამოქვეყნდა თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის ისეთი ფუნდამენტური ნაშრომები, როგორცაა: პროფ. ა. ფალიაშვილის სახელმძღვანელო „საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები“, მისივე რედაქტორობითა და მონაწილეობით: „კრიმინალისტიკა, I და II ტომი“, „კრიმინალისტიკა, ტომი I“ და „სისხლის სამართლის პროცესი“ – სახელმძღვანელო, აგრეთვე, მოკვლევისა და გამოძიების საპროცესო დოკუმენტების ნიმუშები; პროფ. შ. ფაფიაშვილის „დანაშაულთა გახსნის ზოგადი მეთოდის პრობლემები“, „კრიმინალისტიკა. დანაშაულთა გახსნის ტექნიკა და მეთოდისა“, (ლექციების კურსი), „დაქვლოლოგია და მისი როლი დანაშაულებასთან ბრძოლის საქმეში“ (დამხმარე სახელმძღვანელო), „კრიმინალისტიკა. დანაშაულთა გახსნის ტექნიკა“ (სახელმძღვანელო), „სისხლის სამართლის საქმისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში“; დოც. რ. გოგშელიძის, „სასამართლოს ექსპერტიზის სამართლებრივი რეგლამენტაცია“; „სასამართლო-კრიმინალისტიკური საქმეების დაწესებულებების ჩამოყალიბება და განვითარება საქართველოში“; დოც. ი. აქუბარდიას „საქართველოს პროკურატურის ისტორია და თანამედროვე ორგანიზაცია“, „საქართველოს სასამართლო სისტემა“; დოც. ლ. ფაფიაშვილის „ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო“, „როგორ მიემართოთ ადამიანის უფ-

ლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოს“; დოც. ა. კახნიაშვილის „უდანა-
მაულობის პრემიუმში და მისი განხორციელების გარანტიები“; დოც. ვ. სი-
მონიშვილის „მეკლულობის გამოძიების მეთოდიკა“; „ოპერატიული მუშაქ-
ების სწავლების მეთოდოლოგია“; დოც. ი. გაბისონიას „პროკურატურის სტაგუსის
საზღვარგარეთ და საქართველოში“, „სისხლის სამართლის საქმის განხილ-
ვა სასამართლოში“; ვ. ჯაიშვილის რედაქციით დამზადებული სახელმძღვანელო
„სასამართლო ექსპერტიზები სამართალწარმოებაში“; დოც. გ. მეფარიშვილ-
მა კი მთელი თავისი სამეცნიერო საქმიანობა და ნაშრომების სერია მიუძ-
ღვნა თანამედროვე სასამართლო რეფორმის სრულყოფილად გატარებას.

კათედრა თავის საქმიანობაში დიდ ყურადღებას უთმობს სტუდენტე-
ბის მომზადებას სტუდენტთა საფაქულტეტო, საუნივერსიტეტო რესპუბლი-
კური და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებისათვის, რომელსაც
ხელმძღვანელობს კათედრის ერთ-ერთი ახალგაზრდა ნიჭიერი თანამშრო-
მელი ვახტანგ ხუციშვილი. აგრეთვე ასპირანტებისა და სამეცნიერო ხა-
რისხის მაძიებლების მომზადებასა და საქმიანობას და ამ მიმართებით კა-
თედრაზე ყოველწლიურად ტარდება მათი ატესტაცია.

კათედრის წევრები (ა. ფალიაშვილი, შ. ფაფიაშვილი, რ. გოგშელიძე,
ჯ. გაბოკიძე, შ. კოშჩანაშვილი, გ. ქარქაშაძე და სხვ.) აქტიურად მონაწი-
ლეობენ საქართველოს რესპუბლიკურ და საერთაშორისო სამეცნიერო-
პრაქტიკულ კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში. პროფ. ა. ფალიაშვილი
სისხლის სამართლის პროცესისა და სამართალდამცავი ორგანოების
პრობლემატიკურ საკითხზე ლექციებს კითხულობს, აგრეთვე, საზღვარგა-
რეთის სახელმწიფოებში.

კათედრა უწყვეტ მზრუნველობას იჩენს სამეცნიერო-პედაგოგიურ საქ-
მიანობაში პრაქტიკოსი მუშაკების ჩასაბმელად და ამ მიმართებით თეორი-
ისა და პრაქტიკის დასაახლოებლად. ამ მიზნით კათედრაზე სამუშაოდ
შეთავსებით მოწვეულნი არიან სამეცნიერო და დიდი პრაქტიკული გამო-
ცდილების მქონე სპეციალისტები, კერძოდ: იურიდიულ მეცნიერებათა
კანდიდატი დოცენტი ა. ბაქრაძე, საქართველოს გენერალური პროკურორ-
ის პირველი მოადგილე დოც. ბ. ბიწაძე, საქართველოს შს და უშიშროების
ყოფილი მინისტრი, ამჟამად საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის
მოადგილე, დოცენტი ჯ. გაბოკიძე, საქართველოს შსს აკადემიის უფროსი,
მეცნიერებათა კანდიდატი გ. ქარქაშაძე, საქართველოს საოლქო სასა-
მართლოს წევრი, იურიდ. მეცნ. კანდიდატი, დოცენტი ი. გაბისონია, საქარ-
თველოს უშიშროების მინისტრის მოადგილე ს. ძაგნიძე, იუსტიციის სამი-
ნისტროს სასამართლო ექსპერტიზების სამეცნიერო-კვლევითი ლაბორა-
ტორიის უფროსის მოადგილე ვ. ჯაიშვილი და სხვ.

კათედრა ამზადებს არა მარტო მაღალკვალიფიციურ იურისტებს, არა-
მედ მას მჭიდრო და საქმიანი ურთიერთობა აქვს დამყარებული სასამართ-
ლო და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან და სამართალდამცავი ორგა-
ნოების საქმიანობასთან, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოსატყობს კათედ-
რის წევრების აქტიური მონაწილეობით სასამართლო ხელისუფლების, სა-
გამოძიებო-საპროკურორო საქმიანობასა და მათთვის დამახასიათებელი სპე-
ციფიკური კანონმდებლობის მომზადებასა და კანონპროექტების განხილვაში.

აღსანიშნავია, რომ ამ მიმართებით კათედრის მიერ სერიოზული პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაიღვა, როცა იურიდიული მეცნიერებისა და საჯამოძიებო-სასამართლო პრაქტიკის კაპიტლის შემდგომი გაუმჯობესებისა და განმტკიცების მიზნით, კათედრის ინიციატივით, პირველად საქართველოში ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს როინ მეტრეველისა და საქართველოს გენერალური პროკურორის, ნუგზარ გაბრიჩიძის ერთობლივი ბრძანებით, საქართველოს გენერალური პროკურატორის სასწავლო ცენტრთან შეიქმნა ამავე კათედრის საბაზო კათედრა, რომლის დებულება ამავე ორი უწყების ხელმძღვანელებმა დაამტკიცეს. ამ კათედრის წევრებად გენერალური პროკურორის ბრძანებით დამტკიცებულნი არიან პროკურატურის სისტემაში მომუშავე მაღალკვალიფიციური სამეცნიერო ხარისხების მქონე პრაქტიკოსი მუშაკები, რომლებიც კათედრის გამგის დაეხმარებიან ახდენენ სტუდენტთა საკურსო და სადიპლომო შრომების რეცენზირებას, სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელობას და სადისერტაციო შრომების რეცენზირებას. ამ საბაზო კათედრის დაარსება თავისთავად პროკურატურის სისტემაში სასამართლო რეფორმის დაწყებაზე მიუთითებს. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის კათედრის მონაწილეობით პროკურატურის სისტემაში სასამართლო რეფორმის გაგარების თავისებური ფორმა, რაც ხელს შეუწყობს არა მარტო პროკურატურის საქმიანობის სწორად განხორციელებასა და გაგარებას, არამედ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა მომზადების საკითხსაც.

კათედრას აქვს კრიმინალისტიკის ლაბორატორია, რომელსაც ხელმძღვანელობს ამ დარგში გამოცდილი ყოფილი პრაქტიკოსი, იურიდ. მეცნ. კანდიდატი, დოც. ვ. სიმონიშვილი, მაგრამ ლაბორატორია უდავოდ საჭიროებს თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებით აღჭურვასა და სათანადო სამეცნიერო-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას. ეს საკითხი, ეფიქრობთ, ფაკულტეტის დეკანაგისა და რექტორატის მხარდაჭერით დროულად იქნება გადაწყვეტილი.

ადმინისტრაციული სამართლის კათედრა შეიქმნა 2001 წლის 15 ოქტომბერს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, ხოლო ბრძანება მისი შექმნის შესახებ დაიწერა რექტორის მიერ 2001 წლის 22 ოქტომბერს. ამ დროიდან მოქმედებს ეს კათედრა 6 წევრის შემადგენლობით. მანამდე ადმინისტრაციული სამართალი შედიოდა სახელმწიფო სამართლის კათედრაში, ხოლო ბოლო პერიოდში – სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრაში.

ადმინისტრაციულ სამართალში საქართველოში ვიწრო სპეციალისტი არ არსებობდა უკანასკნელ პერიოდამდე. 20-იან წლებში ამ საგნის (უფრო ზუსტად, სამეურნეო-ადმინისტრაციულ სამართალს) კითხულობდა ს. ჯაფარიძე, ხოლო ომის შემდგომ პერიოდში ეს საგანი მიჰყავდა პროფ. იროდიონ სურგულაძეს. 1965 წელს ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტში კანდიდატის ხარისხი ადმინისტრაციულ სამართალში დაიცვა ვალერი ლორიამ, ხოლო 1968 წელს მოსკოვის სახელმწიფოსა და სამართლის

ინსტიტუტში ალბერტ აბესაძემ. 1977 წლიდან პროფ. ვალერი ლორია ამ საგნის სპეციალისტი – დოქტორია, ხოლო 1988 წლიდან ამ დარგში სადოქტორო დისერტაცია დაიცვა ალბერტ აბესაძემ. ამჟამად კათედრაზე მუშაობს 5 მეცნიერებათა კანდიდატი, რომელთაც დისერტაციები დაცული აქვთ ადმინისტრაციულ სამართალში. მზადდება 3 საკანდიდატო დისერტაცია ადმინისტრაციულ სამართალში დასაცავად.

თბილისის უნივერსიტეტში არსებული ადმინისტრაციული სამართლის კათედრა აერთიანებს შემდეგ საგნებს: ადმინისტრაციული სამართალი, ადმინისტრაციულ-საპროცესო სამართალი, საბაჟო სამართალი და არჩევით საგნებს: ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, სახელმწიფო საზღვრების სამართლებრივი რეჟიმი და სხვ.

ადმინისტრაციული სამართალი სამართლის ძირითადი დარგია, რომელიც შეისწავლის საქართველოში მმართველობის ორგანოთა სისტემას, სახელმწიფო სამსახურის გაუღას, მოქალაქეთა ადმინისტრაციულსამართლებრივ უფლებებს, ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და სხვა საკითხებს. ამ საგნის მნიშვნელობა ქვეყანაში მართვა-გამგეობის ორგანიზაციისა და ადამიანის უფლებების დაცვისათვის მეტად დიდია.

ადმინისტრაციულ-საპროცესო სამართალი პროცესუალური სამართლის ერთერთი დარგია. იგი დიდი ხანი არაა, რაც იურიდიულ ფაკულტეტზე ისწავლება. მას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მოქალაქის უფლებების დაცვის თვალსაზრისით ადმინისტრაციის წინაშე. სამართლის ეს დარგი ემსახურება. აგრეთვე, მოსამართლეთა ნორმალურ საქმიანობას.

საბაჟო სამართალიც ახალშექმნილი დარგია. მისი მნიშვნელობა იმით გამოიხატება, რომ იგი ემსახურება ჩვენი ქვეყნის საზღვრების ეკონომიკურ დაცვას და უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას.

კათედრაზე მრავალი სიახლეა დანერგული. მას უშუალო კონტაქტები აქვს დარგობრივ სამინისტროებთან, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან, სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ კანონპროექტების შედგენასა და განხილვაში ადმინისტრაციული სამართლის პროფილით. კათედრის 3 თანამშრომელი არის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა საერთაშორისო ასოციაციის წევრი, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ მის ყრილობებსა და კონფერენციებში.

კათედრის ცხოვრებაში საინტერესო მომენტად შეიძლება დაეასახელოთ ეკოლოგიის სამინისტროს მიერ შემუშავებული პროექტის განხილვა (2002 წლის მაისი) კორუფციასთან ბრძოლის საკითხებზე. კათედრის წევრებმა ეს პროექტი დაიწუნეს და სამინისტრომ ჩვენი მონაწილეობით შეიმუშავა თავის სისტემაში კორუფციასთან ბრძოლის ახალი პროექტი.

იურიდიულ ფაკულტეტზე ფუნქციონირებს საფაკულტეტთაშორისო სამართლის საფუძვლების კათედრა, რომელსაც 2002 წლიდან ხელმძღვანელობს პროფესორი აეთანდილ კობახიძე. მანამდე კი კათედრას ხელმძღვანელობდა პროფესორი ვალერი ლორია. კათედრა ემსახურება უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტს. ძირითადი იურიდიული დისციპლინა, რომელიც ამ ფაკულტეტებზე იკითხება, არის საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები.

**კონსტიტუციურსამართლებრივი
სექცია**

ბაგრატიონთა ღვაწლი ქართულ სამართალში

ქართველ ბაგრატიონებს დიდი ღვაწლი მიუძღვით ქართული საერო სამართლისა და კანონმდებლობის შემუშავების, ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში. ბაგრატიონთა შორის ყურადღებას იჩქრობს ბაგრატ კურაპალატის, დაეით აღმაშენებლის, გიორგი ბრწყინვალის, ვახტანგ ირაკლის ძის, დაეით, იოვანე და თეიმურაზ ბატონიშვილების (ბაგრატიონების) ღვაწლი.

ბაგრატ კურაპალატს შედგენილი ჰქონია სამართლის წიგნი, რომელიც სრული სახით შემორჩენილი არ არის. საკვირველი ის არის, რომ ამ სამართლის წიგნს არსად არ ახსენებს თვით ვახტანგ VI, რომელმაც სრულად შეკრიბა მანამდე არსებული ყველა ქართული საკანონმდებლო ძეგლი. მაშ, საიდან „გაჩნდა“ ბაგრატ კურაპალატის კანონები? ბაგრატ კურაპალატის კანონებს 1909 წელს პირველად ყურადღება აკად. ივ. ჯავახიშვილმა მიაქცია. მან შენიშნა, რომ ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის ბოლო მუხლები – 99-ე, მე-100, 101-ე, 102-ე და 103-ე – ეკუთვნის მეფე ბაგრატ III კურაპალატს (978-1014). ივ. ჯავახიშვილის ეს ჰიპოთეზა მთლიანად არ გაიზიარა ს. კაკაბაძემ. მისი აზრით, სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი ბაგრატ III კი არ იყო, არამედ რაჭა-არგვეთის (ჩხარის) მფლობელი ბაგრატ მეფე, რომელიც 1541 წლიდან ფლობდა რაჭა-არგვეთის გურიტორიას. მანვე 1924 წელს უარყო თავისივე მოსაზრება და გამოთქვა ახალი თვალსაზრისი, რომ ბაგრატის სამართალი, რომელიც მოსდევს აღბუღას სამართალს (98-ე-175-ე მუხლები), შედგენილი უნდა იყოს დიდი ალექსანდრე მეფის დროს გამართული ბჭობისას, XV საუკუნის II ნახევარში. აღნიშნული მოსაზრება ქართველ მეცნიერებაში გამიარებული არ არის.

ბაგრატ კურაპალატის კანონების დროის, ავტორობის, შედგენილობის საკითხი საკმაოდ დაწვრილებით განიხილა აკად. ი. დოლიძემ (1, 43-60) და დაასაბუთა, რომ სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი არის მეფე ბაგრატ IV (1027-1072). მისივე მტკიცებით, ამ ავტორს მიეკუთვნება ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის ბოლოს დართული არა მხოლოდ ხუთი მუხლი, არამედ 99-ე – 160-ე მუხლები, ე.ი. 62 მუხლი.

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი არეგულირებს სისხლისა და სამოქალაქო სამართალთა ურთიერთობებს. აქ გათვალისწინებულია შემდეგი სახის დანაშაულები: მკვლელობა, სხეულის დაზიანება, შეურაცხ-

ყოფა, ცილისწამება, სქესობრივი დანაშაულები, ქალის მოგაცემა, ცოლის მიტოვება, ძარცვა, ქურდობა, ღალატი, თვითნებობა. სამოქალაქო სამართლიდან აღსანიშნავია გაყრა. ბავრატ კურაპალატის კანონები შეიცავს ასევე სასამართლო წყობილებისა და სასამართლო წარმოების მომწესრიგებელ მუხლებს. მათში საუბარია სასამართლო მტკიცებულებებზეც, როგორცაა: ფიცი და მოფიციანი, წერილობითი მტკიცებულებანი.

ბავრატ კურაპალატის კანონები ქართული საერო სამართლის ყველაზე ადრინდელი კანონებია.

მეტად მნიშვნელოვანია მეფე დავით აღმაშენებლის ღვაწლი ქართულ სამართალში. მართალია, ჩვენ არ შემოგვრჩენია დავით აღმაშენებლის დროინდელი კანონები (თუ მხედველობაში არ მივიღებთ დავითის ინიციატივით მოწვეულ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მიერ მიღებულ სასულიერო კანონებს), მაგრამ ყურადღებას იძყრობს სახელოვანი მეფის მიერ გატარებული სახელმწიფოსამართლებრივი რეფორმები – საეკლესიო, სამხედრო, ქვეყნის უშიშროებისა თუ სასამართლოს დარგში.

შუა საუკუნეების პროცესუალური სამართლისათვის დამახასიათებელია ის, რომ მეფე თვით გვევლინება მოსამართლედ. დავით აღმაშენებელი უშუალოდ იხილავდა მეტად მნიშვნელოვან სამართალდარღვევის საქმეებს. იგი გვევლინება ბემდგომი ინსტანციის სასამართლოს მეთაურად, მაგრამ მას შემდეგ, რაც მოხდა საქართველოს გაერთიანება, ქვეყნის ტერიტორიული გაფართოება და მეფის ფუნქციების გამრავლება-გართულება, დავითმა განიგვირთა თავი ნაკლებად მნიშვნელოვანი სამართალდარღვევების განხილვისაგან და ჩამოაყალიბა სპეციალური სასამართლო დაწესებულება „სააჯო კარი“, რომლის უფროსობაც დაავალა ვამირთუპირეელეს ანუ პრემიერ-მინისტრს – მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელს, რომელიც ორშაბათობით იღებდა საჩივრებს სხვადასხვა კატეგორიის სამართალდარღვევებზე და იხილავდა მათ.

გარდა პრაქტიკული სახელმწიფო სამართლებრივი საქმიანობისა, მეტად მნიშვნელოვანია დავით აღმაშენებლის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებანი, რომელთა საფუძველზეც მოქმედებდა გონიერი მეფე და ღიდ წარმატებებსაც აღწევდა, რისთვისაც მას მადლიერმა ქართველმა ერმა „აღმაშენებელი“ უწოდა.

დავით აღმაშენებლის შეხედულებათა წარმოსაჩენად უნდა გამოვიყენოთ ისეთი თხზულებები, როგორცაა: „გალობანი სინანულისანი“ (2,374-376), 1123 და 1125 წლების დავითის ანდერძები (3,12 – 18), „რუის-ურბნისის ძეგლისწერა“ (3,18 – 20) და დავითის ისტორიკოსის თხზულება მისი ცხოვრებისა და მოღვაწობის შესახებ (4,318).

თავის ნაშრომებში დავით აღმაშენებელი ავითარებს თვალსაზრისს სამეფო ხელისუფლებისა და მეფობის წარმოშობის შესახებ. მისი აზრით, მეფობა მომდინარეობს ღვთისაგან, ღმერთმა მისცა მას მეფობა და „პორფირი თვითმმართველობისა თანა მეფობისაიყა“. ამისათვის მან, (დავითმა) „ქედმოდრეკილმა“ და „მუხლმოდრეკილმა“, ანგარიში უნდა ჩააბაროს ღმერთს. მეფობისა და სამეფო ხელისუფლების ღვთიური წარმოშობის დადაგება დავით აღმაშენებელს ესაჭიროება იმისათვის, რომ თავისი ძალა-

უფლება, მეფობა, სამეფო ხელისუფლება ღმერთის რანგში აიყვანოს და ვინმესგან ხელშეუხებლად გამოაცხადოს.

დავით აღმაშენებლის შესხედულებებში მოცემულია ბუნებითი სამართლის იდეები. ბუნებითი სამართალი ქადაგებს მარადიულ და უცვლელ იდეებს, რომლებიც დროისა და საზღვრების მიუხედავად უცვლელია. ამ თეორიის მიხედვით, პოზიტიური სამართალი ცვალებადია, ადამიანის ნებაზეა დამოკიდებული, მაგრამ იგი უნდა შეესაბამებოდეს ბუნებით სამართალს, არ ეწინააღმდეგებოდეს მას. ბუნებითი სამართალი ქადაგებს სამართლიანობას, პუმანურობას, კაცთმოყვარეობას, მეგობრობას, ურთიერთაღიმაზრებას, სიყვარულს. დავით აღმაშენებელი, ბუნებითი სამართლის იდეოლოგიების მსგავსად, ქადაგებს ზემოაღნიშნულ იდეებსა და პრინციპებს, ამასთან, ხელმძღვანელობს ამ იდეებით სახელმწიფოს მართვის დროს. „გალობანი სინანულისანში“ დავით აღმაშენებელი მსჯელობს „წიგნის სჯულზე“, ე.ი. დაწერილ სამართალზე, „ბუნებით სჯულზე“, ანუ ბუნებით სამართალზე. ასევე ე.წ. „ხორციელ სჯულზე“. დავით აღმაშენებლის ინიციატივით მიღებული რუის-ურბნისის საეკლესიო კრების „ძეგლისწერაში“ პირდაპირაა მითითებული, რომ ღმერთმა აღამიანს მისცა „ბუნებითი სჯული“, მაგრამ აღამიანმა იგი დაარღვია, რის გამოც ღმერთმა იძულებული გახადა, აღამიანისათვის მიეცა „წიგნის სჯული“, რომელშიც კონკრეტულად მიუთითა იმ შეცდომაზე, იმ დარღვევაზე, რაც აღამიანებმა ჩაიდინეს „ბუნებითი სჯულის“ დარღვევით და მათ აღსაკვეთად სასჯელებიც განუსაზღვრა. დავით აღმაშენებელი, როგორც ბუნებითი სამართლის მიმდევარი, ქადაგებს: ბუნებითი სამართალი იგივე ღვთის სამართალია. ბუნებითი სამართლის მიხედვით, აღამიანი ღვთის ნების მიმდევარი და აღმსრულებელი უნდა იყოს, დაწერილი სამართალი კი კონკრეტულად მიუთითებს, როგორ უნდა აღსრულდეს ღვთის ანუ ბუნებითი სამართალი. დაწერილი სამართლის დებულებები ჩამოყალიბებულია „რუის-ურბნისის ძეგლისწერაში“, რათა აღსრულდეს ბუნებითი სჯული ანუ ღვთიური სამართალი. ამდენად, „ძეგლისწერაში“ ჩამოყალიბებული დებულებები სახელმწიფოსა და სამართლის სხვადასხვა საკითხზე, მაგალითად: ქორწინების შესახებ, საქორწინო ასაკის, ერთქორწინების „კიდით კიდე ქორწინების“, საეკლესიო თანამდებობის დაკავების, ქრთამის აღების, საეკლესიო წესების დაცვის, სოლომური ცოდვების თუ სხვათა შესახებ, რომელთა წარმოდგენა შორს წაგვიყვანდა, შესაბამისია და მაჩვენებელია დავით აღმაშენებლის შესხედულებისა.

დავით აღმაშენებელს გამოთქმული აქვს საინტერესო მოსაზრება გახტის მემკვიდრეობის შესახებ თავის 1125 წლის ანდერძში.

ამ ანდერძში დავით აღმაშენებელი მიმართავს თავის ვაჟს დემეტრეს, რომ მის შემდგომ გახტზე ავიდეს ძმა ცვაგა, სინამდვილეში გახტზე ავიდა დემეტრეს უფროსი ვაჟი დავითი, ე.ი. დავით აღმაშენებელს სურდა მოემართა ძველთაგან არსებული წესი გახტის მემკვიდრეობისა, რომლის მიხედვით, გახტს იკავებდა მეფის უფროსი შვილი, პირმშო და მის მაგიერად მოისურვა (იანდერძა), გახტზე ასულიყო ძმა ცვაგა.

დავით აღმაშენებლის შეხედულებებიდან და პრაქტიკული მოღვაწეობიდან მეტად დასაფასებელია დავითის მიერ სასულიერო ხელისუფლების დამორჩილება საერო ხელისუფლებისადმი. ამ პროგრესული ნაბიჯით დავით აღმაშენებელი შუა საუკუნეების იმ პროგრესულ მოღვაწეთა რიგებში დგას, ვინც საერო ხელისუფლების პრიმატს ქადაგებს სასულიერო ხელისუფლებასთან შედარებით და იღვწის მის განსახორციელებლად.

კანონმემოქმედებითი საქმიანობის მიმართულებით მეტად მნიშვნელოვანია მეფე გიორგი ბრწყინვალის (1314-1346) ღვაწლი. გიორგი ბრწყინვალემ თავისი შორსმჭერეგელობით, ნიჭით და უნარით მოახერხა საქართველოს კვლავ გაერთიანება, რის შემდეგ იწყო საქართველოს განაპირა, მათ შორის აღმოსავლეთ საქართველოს, მთიანეთისათვის ზრუნვა, სადაც სუფევდა სრული ანარქია, სხვადასხვა სახის დანაშაულობები: კაცის კვლა, ციხის დაქცევა, სალაშქრო საქმეზე უარის თქმა, ცოლის მოტაცება, ცოლის დაგდება... გიორგი ბრწყინვალეს შეუკრებია სამართლის მცოდნე პირები და მათთან ერთად შემოუვლია, ავგილზე გასცნობია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის (მთიულეთის) შემდეგ ტერიტორიას: ჩრდილოეთით – ჯერის გადასასვლელს, ანუ ჯვართა ყელს, ჩრდილო-აღმოსავლეთით – კიბენს, სამხრეთით – სოფელს მენესოს, აღმოსავლეთით – შანდუკის ხევი, სამხრეთ-დასავლეთით – ხადაცხაოტს. გიორგი ბრწყინვალე იმ დასკვნამდე მისულა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიულეთში გაერყელებული სხვადასხვა დანაშაულის მიზეზი, სხვა მიზეზებთან ერთად, ყოფილა ის, რომ აქ, მთიულეთში ძველი ადათ-წესები ვეღარ არეგულირებდა გამწვავებულ წინააღმდეგობებს, ამ წინააღმდეგობათა გადასაწყვეტად და დასარეგულირებლად კანონები არ არსებობდა და საჭირო იყო მათი დაუყოვნებლივ შემუშავება. ქალაქში დაბრუნებისთანავე გიორგი ბრწყინვალემ თავის თანამდგომებთან ერთად საქართველოს მთიულეთისათვის კანონები შეიმუშავა, ანუ „ძეგლი დადო“ (დაახლოებით 1335 წ.). გიორგი ბრწყინვალის ამ ნაღვაწს მოგვიანებით ვახტანგ VI უწოდებს: „ძეგლის დადება მეფეთ-მეფისა გიორგის მიერ“ ანუ „სამართალი მეფის გიორგისა“.

„ძეგლის დადება“ პარტიკულარული ხასიათის სამართლის ძეგლია. იგი აღმოსავლეთ საქართველოს მთიულეთისათვის იყო გათვალისწინებული. პროფ. ი. ლოლიძის მითითებით, „ძეგლის დადებაში აღწერილი საზოგადოებრივი წყობილება, მოხელეობა და ადათ-ჩვეულები დამახასიათებელი იყო მხოლოდ საქართველოს ამ ჩამორჩენილი კუთხისათვის...“ (5,614).

„ძეგლის დადება“ შედგება შესავლისა და 46 მუხლისაგან. იგი ისისხლის სამართლის კანონების ერთობლიობაა, სამოქალაქო სამართლიდან მხოლოდ ოთხიოდე მუხლია. „ძეგლის დადებაში“ მოცემულია ისეთი დანაშაულები, როგორცაა: მკვლელობა, სხეულის დამიანება, ცოლის ან საცოლის მოტაცება, ცოლის დაგდება, ქურდობა, ძარცვა, თვითნებობა, სალაშქრო სამსახურისათვის თავის არიდება, დანაშაულში თანამონაწილეობა. თითოეული დანაშაულისათვის გათვალისწინებული იყო შესაბამისი სასჯელი, ანუ „სისხლის ფასი“.

სამოქალაქო სამართლიდან აღსანიშნავია: მამულის მფლობელობა, ბეითალმანი ქონება, მემკვიდრეობა, სესხი. რამდენიმე მუხლი ეძღვნება სასამართლო წყობილებისა და სასამართლო წარმოების (პროცესის) საკითხებს (6).

ქართული სამართლის ისტორიაში რელიგიურად წარმოჩნდება დიდი სჯულმძღველი ვახტანგ VI. მას სამართლიანად უწოდებენ ქართველ „იუსტინიანეს“, ხოლო მის ნაღვაწს – საქართველოს Corpus iuris civilis-ს (5,3).

ვახტანგ VI-მ XVIII საუკუნის დასაწყისში (1705-1708) „სწავლულ კაცთა“ კომისია შექმნა, მოიძია და შეკრიბა ძველი ქართული სამართლის წიგნები, რომლებიც დაბნეულ-დაკარგულად ითვლებოდა, სათავეში ჩაუდგა „სწავლულ კაცთა“ კომისიას, პირადად ეხმარებოდა მას და უნიკალური სამართლის წიგნთა კრებული შექმნა. ვახტანგ VI, ჩვენი აზრით, უსათუოდ იცნობდა რომაული სამართლის შესანიშნავი კოდიფიკატორის იუსტინიანეს მოღვაწეობას, რომელმაც თავი მოუყარა უძველესი პერიოდიდან VI საუკუნემდე არსებულ ყველა კანონს, სისტემაში მოიყვანა, დაკარგვას გადაარჩინა და მსოფლიოს დაუტოვა უნიკალური Corpus iuris civilis.

იუსტინიანეს მსგავსად, ვახტანგ VI-მ შეკრიბა ძველი ქართული კანონები: ბექას და აღბუღას სამართალი, გიორგი ბრწყინვალის „ძველისდადება“, კათალიკოსთა სამართალი, მაგრამ ამით როდი დაკმაყოფილდა, მან საკუთრივ თავისი, ანუ ვახტანგ VI-ის სამართალი შეადგინა. კიდევ მეტი, „სწავლულ კაცთა“ კომისიას დაავალა, ეთარგმნათ უცხოური სამართლის ძეგლები, მათ შორის: ებრაული, ანუ მოსეს, სამართალი, სომხური სამართალი და ბერძნული, ანუ რომაულ-ბიზანტიური, სამართალი. ყველა შემთხვევაში დასახელებული კანონი ერთ კრებულში მოათავსა, მას გაუკეთა კრებულის მანდუკი ანუ საძიებელი, დაურთო შესავალი და სჯულმძღველის უნიკალური კრებული დაუტოვა ქართველ ხალხს. ეს კრებული მნიშვნელოვანია არა მარტო ქართული სამართლის ისტორიის, არამედ სამართლის ზოგადი მეცნიერების თვალსაზრისითაც. აკად ი. დოლიძის მითითებით, მსოფლიოს სამართლის მეცნიერება ასეთი სახის კრებულს არ იცნობს. მასში ეროვნული სამართლის ძეგლებთან შერწყმულია (გადმოქართულებულია) უცხოური სამართლის ძეგლები.

დიდია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის კულტურული და ისტორიული მნიშვნელობა. „კრებულის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის ერთი მხარე ის არის, რომ იგი შეიცავს საქრისტიანო მსოფლიოში მოქმედ სამართლის უმნიშვნელოვანეს ძეგლებს: მოსეს სჯულს, სირიულ-რომაულ, ბიზანტიურ და სომხურ კანონებს, რომელნიც საქართველოში, საქრისტიანო მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს ქვეყანაში, ვახტანგის კრებულის შედგენამდე დიდი ხნით ადრე მოქმედებდნენ... ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შემოსხენებული კანონები იმდენად გადამუშავებული სახითაა თარგმნილი, რომ ისინი შესაბამისი ძეგლების თავისებურ ქართულ ვერსიად უნდა ჩაითვალოს“ (5,5).

ვახტანგ VI არის არა მარტო სამართალმემოქმედი და კანონმდებელი, არამედ უდიდესი პოლიტიკოსიც: ქვეყნის გადარჩენის მიზნით მან მტკიცედ აიღო კურსი ეუროპაზე. მუსლიმანური გარემოცვიდან ქვეყნის გა-

მოსახსნელად, შაჰ-აბასის სისხლიანი ლაშქრობების თავიდან ასაცილებლად, ქართულთა ამოწყვეტისა თუ ფერეიდანში გადასახლების ნაცვლად ჭკვიანი მეფე დაუყოვნებლივ აგზავნის თავის წარმომადგენელს ევროპაში, რათა იქიდან მიიღოს დახმარება, როგორც ჭეშმარიტად ქრისტიანულმა ქვეყანამ. სამწუხაროდ, ვახტანგ VI-ს ამ ნაბიჯმა პრაქტიკული შედეგი ვერ მოუტანა. გულგატეხილი ვახტანგი, რომელმაც ვერ მიიღო ევროპის ქვეყნებისა და ქრისტიანული ეკლესიების დახმარება, იძულებული ხდება, სარწმუნოება შეიცვალოს, განთავისუფლდეს ირანის გყვეობიდან და დაუბრუნდეს თავის სამშობლოს, ქართლის სამეფო ტახტს. მართლაც, ვახტანგი განთავისუფლდა ირანის გყვეობიდან 1719 წელს, დაბრუნდა ქართლში, მაგრამ სამეფო ტახტზე დიდხანს არ დარჩენილა – მას კვლავ ქვეყნის ბედი, ქვეყნის ორიენტაციის პრობლემა აწუხებს. იგი ვერ ურიგდება ირანის ვასლობას და, ევროპისაგან დახმარების მიუღებლობით გულგატეხილი, რუსეთისაკენ მიემართება.

ვახტანგ VI-ის მიერ რუსეთზე ორიენტაცია ცარიელ ნიადაგზე არ იყო აღმოჩენილი. ამ დროს რუსეთი აღმოსავლეთის ქვეყნებთან – ირანსა და თურქეთთან – შედარებით გაცილებით პროგრესული ქვეყანა იყო. ამას ემატებოდა ერთმორწმუნეობა და, რაც მთავარია, რუსეთის ინტერესი სამხრეთში, რისთვისაც კარგად გამოიყენებდა საქართველოს. ამრიგად, ვახტანგის მიერ რუსეთზე ორიენტაციის აღება მისივე საგარეო პოლიტიკის კანონზომიერი გაგრძელება იყო. ვახტანგის ეს პოლიტიკა (რუსეთზე ორიენტაცია) მეცნიერებაში შეფასებულია როგორც პროგრესული ნაბიჯი, ამასთან, აღნიშნულია ის შეცდომები, რომლებიც ვახტანგმა ვერ გაითვალისწინა, ვერ აუღო ალღო საერთაშორისო ვითარებას და დაუშვა შეცდომები პეტრე პირველთან ურთიერთობების დამყარებისას, რასაც საბედისწერო შედეგები მოჰყვა. საბედისწერო შედეგი კი ის იყო, რომ ტრიუმფით შემოსულმა რუსის ჯარმა დაიპყრო კასპიის ზღვის სანაპიროები, თვით ბაქოც კი. ლაშქრობაში ვახტანგ VI აქტიურად მონაწილეობდა, მაგრამ 1722 წლის 29 აგვისტოს, თითქოს ჯარის მომარაგების სიძნელეების გამო, შეუძლებელი შეიქნა ბრძოლის გაგრძელება, სპარსეთისაკენ წინსვლა და პეტრე I-მა ჩრდილოეთისაკენ – ასტრახანისაკენ დაიხია. ასე მოაგყვა მან ვახტანგ VI. ამის შემდეგ კი, 1723 წლის 12 სექტემბერს პეტრე პირველმა პეტერბურგში სპარსეთს დაუღო ხელშეკრულება. ხელშეკრულებით კასპიის სანაპიროები რუსეთის ხელში გადავიდა.

საქართველო გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგან 1724 წელს რუსეთმა ოსმალეთსაც დაუღო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, ოსმალეთმა ცნო რუსეთის მიერ კასპიის ზღვის სანაპიროების დაკავება, ხოლო თვით ოსმალეთმა თითქმის მთელი ქართლი მიიღო.

ეს იყო ვახტანგ VI-ის საბედისწერო შეცდომა, მან ვერ განჭვრიტა იმ პერიოდის რუსეთის, თურქეთის, ირანისა და თვით თავისი ქვეყნის შესაძლებლობები, რის გამოც საქართველოს გამოეთხოვა და სამუდამოდ რუსეთს გადასახლდა, საიდანაც აღარც დაბრუნებულა. ვახტანგ VI-ს არ უნდა გადაეღვა ისეთი გაბედული ნაბიჯები, როგორიც იყო ჯარით გამოსვლა

პეტრე პირველის მხარეზე, მას უკანდასახევი ვგა უნდა დაეგოვებინა და ასეთ დიდ რისკზე არ უნდა წასულიყო.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ვახტანგ VI რჩება პროგრესულად მოაზროვნე პოლიტიკოსად და, რაც მთავარია, დიდ სჯულმდებლად.

ქართველ ბაგრატიონთაგან მეტად მნიშვნელოვანია ვახუშტი ბაგრატიონის (1696-1757) ნააზრევი სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებზე.

პროფ. ივ. სურგულაძის მითითებით, ქართული სამართლის ისტორიის სამეცნიერო ლიგერატურის განხილვა ვახუშტის შრომებით უნდა დაიწყოთ, ე.ი. ის გვევლინება ამ მეცნიერების დამწყებად, მეორე მხრივ, ვახუშტი ბაგრატიონი პრაქტიკულად ახორციელებდა სახელმწიფომმართველობით საქმიანობას. 1722 წელს იგი ქართლის სამეფოს განაგებდა, როცა მამამისი ქართული ჯარით განჯაში იმყოფებოდა პეტრე პირველთან შესახვედრად. 1724 წლიდან ვახუშტი რუსეთში გადასახლდა, სადაც ეწეოდა კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობას. ვახუშტი ბაგრატიონს გამოთქმული აქვს მოსაზრებანი სახელმწიფოსა და სამართლის სხვადასხვა საკითხზე.

მამის – ვახტანგ VI-ის – დახასიათებასთან დაკავშირებით, ვახუშტი იზიარებს მამის შეხედულებას, თუ როგორი უნდა იყოს მეფე, რა თვისებები უნდა გააჩნდეს მას. ვახუშტი ეთანხმება მამას და აღნიშნავს, რომ მეფე უნდა იყოს: „ღვთის მოშიში, მოყვარე და ღრიალ მოღვაწე, სამღვდელთა პატივის მცემელი, ქერიე-ობოლთა, გლახაკთა მიმცემელი, მოწყალე, ეკლესიათა მაშენებელი, ხატთა და ჯუართა მამკობელი, მოწყალე, ცოდნის მოყვარე, ბრძენი, მხნე და ახოვანი, მშვენიერ-ჰაეროვანი, მუშაკი, უხვი და მშვიდი“ (7,71).

ვახუშტის პოლიტიკური შეხედულებებიდან ყურადღებას იპყრობს მისი დამოკიდებულება ქრისტიანული სარწმუნოებისადმი. ვახუშტის აზრით, ქრისტიანობისათვის ბრძოლა და თავდადება ქართველობისათვის ბრძოლას და თავდადებას ნიშნავს. მუსლიმანობის მიღება – ქართველობაზე უარის თქმა და გათათრებაა. ვახუშტის იდეალია „თათრების დამდაბლება და ქართველების ამაღლება“.

ვახუშტი მომხრეა მეფის ხელისუფლების გაძლიერებისა, რამდენადაც ეს ქვეყნისათვის სასარგებლოა. ვახუშტი გმობს ქვეყნის დეცენტრალიზაციას და დაქუცმაცებას. მისი აზრით, ქვეყნის ერთიანობის საფუძველი არის საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოსახლეობა, ქართველები, მათი ენა ქართულია, მათ ერთი მეფე ჰყავთ და ეკლესიებსა და სხვა ნივთიერ ძეგლებზე წარწერებში საქართველოს მეფეები არიან მოხსენიებულინი. ვახუშტი მეგრულს ქართულ ენად თვლის, მაგრამ სვანურს არ თვლის ქართულ ენად. ერთი ენა, ერთი გვარგომობა, ვახუშტის აზრით, არის საფუძველი ერთმეფობისა.

ვახუშტი ბატონიშვილს ქართული სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებზე თავისი შეხედულებები მოცემული აქვს საქართველოს ისტორიის შესავალში სახელწოდებით: „ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“.

ვახუშტი ბაგრატიონი ქართული სახელმწიფოებრიობის სამ ძირითად პერიოდს გამოყოფს: 1. საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის პერი-

ოდი; 2. საქართველოს სამეფოებად და სამთავროებად დაყოფის პერიოდი; 3. გვიანფეოდალური, ანუ XVII-XVIII საუკუნეების, საქართველო.

თავისი ნაშრომი „მწენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“ განზოგადებული შინაარსის ნაწარმოებია, რომელშიც მოცემულია ვახუშტის დასკვნები ქართულ სახელმწიფოებრივ წყობილებასა და ქართულ სამართალზე. იგი ამ საკითხის გასარკვევად ეყრდნობა ლეონტი მროველს და მის შეცდომებსაც იმეორებს, მაგრამ მისი მსჯელობა პატრიოტული სულისკვეთებითაა გამსჭვალული და ემსახურება ქვეყნის ძლიერებისა და პროგრესის საქმეს. ვახუშტი საქართველოს წარსულს გაიდევალბულ თვისებებს მიაწერს, რომ ქართველთათვის ძველად დამახასიათებელი იყო თავისუფლებისათვის ბრძოლა, პირმკიცობა, ციხესიმაგრეთა და ქალაქთა შენება, ერთოლქმრობა (მონოგამია) და სხვ. ამ თვისებების ჩამოთვლით იგი შთამომავლობას მოუწოდებს ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაკენ. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იგი ქართულთა ისეთ ჩვეულებას, როგორცაა „მეფის მორჩილება“ და საქართველოს ერთიანობა. ვახუშტის ეს მოწოდება ისევ მისი სამშობლოს პროგრესს ემსახურება.

ყურადღებას იპყრობს ვახუშტის თვალსაზრისი გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო წყობილებაზე, კერძოდ კი სახელმწიფო მოხელეების შესახებ, როგორცაა: ერისთავნი, მთავარნი, აზნაურნი, ვაჰარნი, მსახურნი და მუშაკნი ანუ გლეხნი და სხვ. ვახუშტი ყურადღებას უთმობს გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს ჯარის საკითხსაც. მისი აზრით, ამ დროს საქართველოში ორგვარი ჯარი იყო: 1. მუდმივი ანუ დაქირავებული ჯარი, რომელიც ანაზღაურებას იღებდა; 2. საერისთავოებიდან საჭიროებისამებრ შეგროვილი ჯარი.

იქ, სადაც ვახუშტი მსჯელობს საქართველოს მწე-ჩვეულებებზე (8,15), ის ეხება სამართლის საკითხებსაც, კერძოდ, მსჯელობს დამამკიცებელ საბუთებზე. იგი ჩამოთვლის მკიცებულებათა ისეთ სახეებს, როგორცაა: ხმაღმი გატანება, შანთი, მღულარე, ფიცი და სისხლი (სისხლის ფასი). აღნიშნული მკიცებულებები დეტალურადაა ჩამოთვლილი ვახუშტის VI-ის სამართლის წიგნში და ვახუშტიც იქიდან ხელმძღვანელობს. ვახუშტი მსჯელობს ასევე დანაშაულისათვის ქონებრივ პასუხისმგებლობაზე, ანუ დაურევების სისტემაზე.

ვახუშტი ეხება დანაშაულის ცალკეულ სახეებს, როგორცაა: ქალის მოტაცება, ქურდობა და სხვ. მსჯელობს ამ დანაშაულთა სპეციფიკაზე და გამოთქვამს თავის მოსაზრებებს მათი შესაბამისი სასჯელების შესახებ. ვახუშტი მსჯელობს ისეთ მოხელეზე, როგორცაა მსაჯულთუხუცესი, რომელსაც ექვემდებარებოდნენ მსაჯულნი, ბჭენი და ხევისთავნი.

ბაგრატიონთა დინასტიის ბრწყინვალე წარმომადგენელია ერეკლე მეორე (1720-1798). იგი ძალზე ადრე გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე, როგორც პრაქტიკოსი პოლიტიკოსი და პრაქტიკოსი სამართალმემოქმედი. ერეკლე ყურადღებას იპყრობს სახელმწიფოსა და სამართლის სფეროში თვალსაჩინო იღებითა და შეხედულებებით.

ერეკლე II-მ თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის (მეფობის) განმავლობაში მრავალი პროგრესული ღონისძიება გაატარა, რომლებიც არის შედეგი მისივე პროგრესული პოლიტიკურ-იურიდიული შეხედულებისა. მან მთელი თავისი სიცოცხლე საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გაატარა დამპყრობელი ირანის, თურქეთისა თუ დაღესტნელი მეკობრეების ასალაგმავად.

სახელმწიფოს ცენტრალიზაციისა და გაძლიერების მიზნით, ერეკლე დაუნდობლად ებრძოდა მსხვილ და ურჩ ფეოდალებს, არ ინდობდა მოლაღატეებსა და სეპარატისტებს. ერეკლემ გააუქმა ქსნისა და არაგვის საერისთავოები და ისინი უშუალოდ დაუქვემდებარა სამეფოს. ასევე ჩამოართვა ამილახვარს მამულები. მსხვილ ფეოდალებთან ბრძოლაში ერეკლე II ეყრდნობოდა ნიჭითა და უნარით დაჯილდოებულ პირებს, მიუხედავად მათი წარმომავლობისა. იგი ღიდ ყურადღებას აქცევდა განათლების საქმეს. მან დააარსა სემინარიები თბილისსა და თელავში, გამართა სტამბა. ერეკლე ღიდ ძალისხმევას ახმარდა მუსლიმანური გარემოცვის გარღვევას და ევროპის კულტურასთან დაახლოებას (ზიარებას). ამის შემდეგ იყო, საბოლოოდ, საქართველოს მიერ რუსეთზე ორიენტაციის აღება.

ერეკლე ღიდ ყურადღებას იჩენდა ევროპული მიღწევებისადმი. იგი პირადად ესაუბრებოდა როგორც ევროპიდან ჩამოსულ უცხოელებს, ისე ევროპაში ნაცხოვრებ და განსწავლულ ქართველებს, ცდილობდა მათგან სიახლეების გაგებას და დანერგვას. ამის დამადასტურებელია მისი ბრძანებით რუსეთი ენიდან ნათარგმნი ალექსი მიხეილის ძის 1649 წლის ძეგლისდგა, ასევე პეტრე პირეელის სამხედრო წესდება. რუსული კანონმდებლობის თარგმნა ერეკლეს იმისათვის დასჭირდა, რომ მას განმრახული ჰქონდა ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრივი წყობილების გარდაქმნა ევროპულ ყაიდაზე. ერეკლეს ღიდი ღეაწლი მიუძღვის სხეადასხვა სახის ეკონომიკური რეფორმების გატარებაში, ვაჭრობის საქმის მოწესრიგებაში.

ერეკლე II-ის სახელი ევროპის ეურნალ-გაზეთებშიც მოიხსენიებოდა იმ კონტექსტში, რომ აღმოსავლეთში იგი არის ჰკეიანი და ღიდი მეფე. ერეკლეს განდიდებას უფრთხოდა რუსეთი და საგანგებო ღონისძიებებს სასავეა ამის საპირისპიროდ.

ერეკლე II იყო საოცრად შრომისმოყვარე, მას მოცლა არ ჰქონდა და დაუღალავად იღეწოდა. იგი მეგად დაკვირებული და გონიერი მმართველი გახლდა. განსაკუთრებული ნიჭით იყო დაჯილდოებული დიპლომატიამი. კარგად იცნობდა მეზობელი ქვეყნების (ირანის, თურქეთის, რუსეთის) შესაძლებლობებს, რამაც დაარწმუნა, რომ საქართველო საკუთარი ძალებით ვერ დააღწედა თავს ირანისა და თურქეთის უღელს. ევროპული ორიენტაციით იყო განსაზღვრული ის ფაქტი, რომ 1768-74 წლების რუსეთ-თურქეთის ომში ერეკლე რუსეთის მოკავშირეა, რუსეთთან ერთად ებრძვის თურქეთს. ძალზე საინტერესოა ერეკლე II-ის მოწოდება ქართველი ხალხისადმი ამ ომთან დაკავშირებით (9,160-163).

ერეკლე II-ის პოლიტიკური შეხედულებებიდან და პრაქტიკული პოლიტიკური მოღვაწეობიდან ყველაზე მნიშვნელოვანია მისი ორიენტაცია რუსეთზე და რუსეთთან ვასალურ დამოკიდებულებაში შესვლის განზრახვა.

ერეკლეს ეს ნაბიჯი აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა მის დროსაც და იწვევს დღესაც.

რუსეთთან ტრაქტატის დადება არ ყოფილა ერთი ან ორი დღის ფიქრის შედეგი. 1783 წელს, როდესაც ტრაქტატი გაფორმდა, ერეკლე 63 წლის იყო, ე.ი. ერეკლე მთელი თავისი მეფობის პერიოდში, დაახლოებით 38 წელი, ფიქრობდა ამ საკითხზე. მას ერთბაშად არ გაუწყვევტია კავშირი სპარსეთთან, იგი ნელა, თანდათანობით გამოდიოდა სპარსეთის ვასალობიდან, ხარკის შეწყვეტით, სხვადასხვა სახელოების (თანამდებობის) შეცვლით. ასევე უფროსხოდა იგი თურქეთს, ყოველმხრივ ერიდებოდა მის გაღიმიანებას. ამის დამადასტურებელი ამკარა მაგალითი ის არის, რომ, როდესაც გარდაიცვალა სოლომონ I, იმერეთის მოწინავე საზოგადოების დელეგაცია ერეკლეს წარუდგა და იმერეთის ქართლ-კახეთთან გაერთიანება შესთავაზა. ერეკლემ ამაზე უარი განაცხადა და დელეგაციას განუმარტა, რომ იმერეთის გაერთიანება მისი სამეფოს შემადგენლობაში გამოიწვევდა თურქეთთან ომსა და საქართველოს მთლიანად აოხრებას. ეს იმის დამადასტურებელია, რომ ერეკლე ძალზე ფრთხილად მოქმედებდა. რაც შეეხება რუსეთთან ვასალურ დამოკიდებულებაში შესვლას – ეს დიდი ხნის ნაფიქრი და მრავალგზის აწონილ-დაწონილი იყო. რუსეთის გზით ეზიარა საქართველო ევროპულ კულტურას, ქრისტიანულმა სარწმუნოებამაც შეუწყო ხელი დასავლეთზე ორიენტაციას, რის ნაყოფს დღეს ვიმკით.

ერეკლე II-ის პოლიტიკური შეხედულებებიდან აღსანიშნავია ეროვნული პოლიტიკური ინსტიტუტების აღდგენა, როგორცაა „მოურავის სარგო“, საბუთი, რომელშიც დაწვრილებითაა აღწერილი ეროვნული ინსტიტუტების აღსადგენად მიმართული ღონისძიებები.

ერეკლე II ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შესაქმნელად იღვწოდა. ამ მიზნით მან რეფორმები გაატარა მმართველობის დარგში, შემოიღო ახალი თანამდებობები, მათ შორის საგარეო საქმეთა უწყება, რომელსაც სათავეში ჩაუყენა მდივანთუხუცესი. მდივანთუხუცესი ორი იყო. ერთი მათგანი ახორციელებდა ქრისტიანულ სახელმწიფოსთან ურთიერთობას, მეორე კი – მუსლიმანურ სახელმწიფოებთან. ერეკლეს დროს გაუქმდა მუსლიმანური სახელოები – ვეზირი და მუსტოფი. ისინი სპარსეთის მოხელეები იყვნენ ერეკლეს კარზე.

ერეკლემ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა მმართველობის დარგში. მმართველობის დარგში განხორციელებულ რეფორმათა შორის მეტად მნიშვნელოვანი იყო ერეკლეს მიერ სახელმწიფო საბჭოზე დამტკიცებული „განჩინება“ მორიგე ჯარის შესახებ. ამ განჩინების დანიშნულება იყო ლეკთა თარემის აღაგმვა მორიგე ჯარის, ანუ მორიგე ლაშქრის მეშვეობით. ერთი თვის მანძილზე თითოეული მოლაშქრის მიერ თავისი ხარჯითა და თავისი იარაღით ხდებოდა სარწმუნოების, სჯულის, მეფისა და ქვეყნის სიმშვიდის დაცვა.

მეტად საინტერესოა ერეკლე II-ის 1765 წლის კანონი. ამ კანონით, თუ ტყვედ ჩაეარდნილი კაცი თავს დაიხსნიდა, იგი ძველ ბატონს აღარ დაუბრუნდებოდა, თავისუფალი იყო.

ერეკლე II-ის მრავალ პროგრესულ ღონისძიებათა შორის ზოგიერთი არასწორი იყო, რადგან არ უწყობდა ხელს ქვეყნის გაძლიერებას. ასეთი იყო მისი ანდერძი გახატის მემკვიდრეობის შესახებ. ამ ანდერძის მიხედვით, გახატვე უნდა ასულიყო უფროსი ძმა, მის შემდეგ – მომდევნო ძმა, ხოლო თუ ძმები აღარ იქნებოდნენ, მაშინ გახატი გადავიდოდა უფროსი ძმის უფროს შვილზე და ა.შ. ამ ანდერძმა დიდი დაპირისპირება შეიგანა გახატის მამიებელთა შორის, ერეკლეს გარდაცვალებისთანავე მან, ფაქტობრივად, ხელი შეუწყო სამეფოს დაშლას. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ერეკლე II გვევლინება მეტად აქტიურ, შორსმჭვრეტელ და ღრმად მოაზროვნედ სახელმწიფოსა და სამართლის სფეროში.

ბაგრატიონთა დინასტიიდან სახელმწიფოსამართლებრივი აზროვნების სფეროში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკვიდრა ვახტანგ ირაკლის ძე ბაგრატიონმა (1761-1814 წწ.). ვახტანგს რამდენიმე ნაშრომი აქვს შესრულებული სახელმწიფოსა და სამართლის დარგში. მათ შორის „განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა“, რომელიც ერეკლე II-ის მეფობის დროს არის დაწერილი. ეს „განჩინება“ 17 მუხლისაგან შედგება. იგი ადგილობრივი მნიშვნელობისაა და მხოლოდ არაგვის საერისთავოს ტერიტორიაზე მოქმედებდა (10).

ვახტანგს ეკუთვნის, აგრეთვე, „ეპისკოპოსი საქართველოს მეფის ირაკლის ძის ვახტანგისა“. ეს ნაშრომი გადათარგმნილია იაგორ ჭილაშვილის მიერ რუსულ ენაზე (11). ცალკე უნდა აღინიშნოს ვახტანგის ისტორიული შინაარსის ნაშრომი (12). ამ ნაშრომში ვახტანგს სამართლის მრავალ ინსტიტუტზე აქვს საუბარი, ამასთან, გამოთქმული აქვს ორიგინალური შეხედულებები. ვახტანგ ირაკლის ძე მსჯელობს დანაშაულისა და სასჯელის ცალკეულ სახეზე, ასევე სასამართლო ორდალებზე – ცეცხლით, მდუღარით, ხმლით გამოცდაზე. მსჯელობა აქვს ისეთ მტკიცებულებებზე, როგორცაა: ფიცი, მოწმე და სხვ.

ვახტანგი მსჯელობს გახატის მემკვიდრეობის პრობლემებზეც. ძალზე ვრცლად მიმოიხილავს საქართველოს მეფეებს და მათ პოლიტიკას. იგი ესება დაეით აღმაშენებელს, თამარ მეფეს, დაეით ულუსა და დაეით ნარინს, დიმიტრი თაედადებულს, ერეკლე II-ს და მსჯელობისას აკეთებს დასკვნებს, თუ როგორი უნდა იყოს მეფე, რა არის სამეფო ხელისუფლების დანიშნულება, რომელმა მეფემ რა გააკეთა, ან რა შეცდომები დაუშვა. იგი ამით, ფაქტობრივად, თავის პოლიტიკურ შეხედულებებს იძლევა. ვახტანგი გმობს სახელმწიფოს დანაწილებას, ეს დიდ უბედურებად მიაჩნია ქვეყნისათვის. დანაწილების მომხრეს კი ქვეყნის მტერს უწოდებს. განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ერეკლე II-ის მოღვაწეობას, წარმოაჩენს ერეკლეს მოღვაწეობის პროგრესულ მხარეებს. მას მოსწონს სოლომონ მეორის პოლიტიკა, რომელმაც მკაცრად გაილაშქრა ისეთი დანაშაულების წინააღმდეგ, როგორცაა მკვლელობა და პარკა, ასევე ტყვის მოტაცება და საზღვარგარეთ გაყიდვა.

ვახტანგ ირაკლის ძე მონარქიის მომხრეა. იგი მეხოტბეა განათლებული და გონიერი მონარქისა, რომელსაც უნდა ჰყავდეს კარგად შერჩეული მოხელეები და მათი საშუალებით მართავდეს სახელმწიფოს. მეფეს-

თან უნდა არსებობდეს მრჩეველთა საბჭო, რომელიც გარკვეულად შეზღუდავს მეფის თვითნებობას. ძალზე ვრცელადაა საუბარი მეფის პიროვნების, მისი უფლება-მოვალეობების, ფუნქციების შესახებ ეახტანგის ნაშრომში „ეპისტოლენი“. ამავე ნაშრომში მას გამოთქმული აქვს საინტერესო შეხედულებები ვალდებულების შესახებ. იგი ასახელებს ვალდებულებათა ოთხ სახეს წარმოშობის წყაროს მიხედვით: 1. ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშობა რწმენიდან (სარწმუნოებიდან); 2. ბუნებიდან ნაკარნახევი ვალდებულებები; 3. ხელისუფლებიდან წარმოშობილი ვალდებულებები; 4. ჩვეულებიდან წარმოშობილი ვალდებულებები.

განსაკუთრებით საინტერესოა ეახტანგის შეხედულებანი საკანონმდებლო ხელისუფლებიდან წარმოშობილი ვალდებულებების შესახებ. ფაქტობრივად, აქ დაყენებულია საკითხი პიროვნებისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართების შესახებ. ასევე საინტერესოა ავტორის მოსაზრებანი ჩვეულებათა შესახებ, ჩვეულებიდან წარმოშობილი ვალდებულებების შესახებ. საინტერესოა ეახტანგის თვალსაზრისი სამხედრო უწყების წარმოშობისა და აუცილებლობის შესახებ. იგი ძალზე ვრცელად მსჯელობს სამოვალეობის სხვადასხვა სოციალური ფენის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ.

საყურადღებოა ავტორის თვალსაზრისი სამოვალეობისა და სახელმწიფოს გაჩენის შესახებ. მისი აზრით, ამას საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკურმა მდგომარეობამ, არსებობისათვის ბრძოლამ, საკუთრების წარმოშობამ.

ამრიგად, ეახტანგ ირაკლის ძის შრომა „ეპისტოლენი“, შეიძლება ითქვას, პოლიტიკური გრაქტაგია, რომელშიც ჩანს მე-18 საუკუნის დასასრულისა და მე-19 საუკუნის პოლიტიკური აზროვნების სათანადო ღონე.

XVIII საუკუნის ბოლოს გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფო (აღმოსავლეთ საქართველო) მეგად რთული სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის წინაშე იდგა. სწორედ ამ პერიოდში საქართველოში ჩამოყალიბდა აზრი, რომ ქართულ ფეოდალურ სახელმწიფოსა და ქვეყანას იხსნის განათლებული აბსოლუტიზმი, ე.ი. სოციალური წოდებებისაგან დამოუკიდებელი, შეუმღუდავი მონარქია, რომლის სათავეშიც იდგება განათლებული, გონიერი საჭეთმპყრობელი. ასეთი სახელმწიფოს ჩამოყალიბება კი მოითხოვდა სერიოზული რეფორმების განხორციელებას, რაც საკანონმდებლო პრაქტიკაში უნდა ასახულიყო. სწორედ ამ დროს დაეით და იოანე ბატონიშვილებმა „ბრძანებითა მისის უმაღლესობის მეფის გიორგისათა“ შექმნეს საკუთარი საკანონმდებლო აქტები და ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის ყველაზე ოპტიმალური პროექტები.

ქართველ უფლისწულთა კულტურული მემკვიდრეობა ზოგადად და კერძოდ სამართალმემოქმედებითი ღვაწლი ქართული მეცნიერების უდიდეს მონაპოვარს წარმოადგენს და ღღემდე შესაბამისი შესწავლის საგნადაც ითვლება.

დავით ბატონიშვილი დაიბადა 1767 წელს. იგი იყო ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის – გიორგი XII-ის უფროსი ვაჟი და გახდის მემკვიდრე-რუსეთის საიმპერატორო კარმა ცნო მისი პრეტენდენტობა სამეფო ტახტზე და ფორმალურად მხარი დაუჭირა გიორგი XII-ის თხოვნას. – დაემტკიცებინათ მისი მემკვიდრე უპირველეს პრეტენდენტად, რათა ბოლო მოღუ-

ბოდა ერეკლე II-ის მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრთა შორის არსებულ მეტოქეობას, რომელსაც დასაბამი მისცა დარეჯან დედოფლის ინტრიგების შედეგად ერეკლე II-ის მიერ 1792 წელს შედგენილმა ანდერძმა.

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა უფლისწულმა მიიღო იმ დროისათვის საუკეთესო სწავლა-განათლება. მის აღზრდაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღოდა თვით პაპას – ერეკლე მეფესა და თელავის აკადემიის რექტორს – დავით ალექსი-მესხიშვილს. ერეკლე II-ის ინიციატივით დავით ბატონიშვილმა ორჯერ იმოგზაურა რუსეთში, სადაც გაიღრმავა ცოდნა მეცნიერების თითქმის ყველა დარგში. დავითი შესანიშნავად ფლობდა ექვს უცხო ენას, რაც მას ხელს უწყობდა როგორც მთარგმნელობით საქმიანობაში, ასევე ორიგინალურ სამეცნიერო მოღვაწეობაში. მის კალაშს ეკუთვნის მრავალი სამეცნიერო ნაშრომი ისტორიაში, ფიზიკაში, ლინგვისტიკაში, ფილოსოფიაში, სამართალმცოდნეობასა და მეცნიერების სხვა დარგებში. გარდა ამისა, დავითის ღვაწლი განუზომლად დიდია ქართული ლიტერატურის განვითარებაში.

თანამედროვე ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერება დიდ პატივს მიაგებს ბატონიშვილის ღვაწლს ქართული სამართლის განვითარების საქმეში. ჯერ კიდევ 1798 წელს მეფე გიორგი XII-ის ბრძანებით დავით ბატონიშვილს დაეუალა სამართლის წიგნის პროექტის შემუშავება, რომელიც შემდეგ მეფის მიერ იქნებოდა სანქცირებული და შეიძენდა სავალდებულო ხასიათს. ახალი სამართლის წიგნის შედგენა განპირობებული იყო მრავალი ფაქტორით. ქართლ-კახეთის სამეფოში, თუმცა არა ფართო მასშტაბით, არამედ კანტიკუნტად, ჯერ კიდევ დიდი სიფრთხილით და მხოლოდ ზოგიერთ პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეთა შეხედულებებში, მაინც აღწევს განმანათლებლობის მოწინავე იდეოლოგია, რომელიც მოითხოვს არსებული ფეოდალური წესწყობილებისათვის დამასასიათებელი მოვლენების გადასინჯვას, მოქველებული ურთიერთობების უარყოფას, ამ ურთიერთობების ახლებურად გაგებასა და შესაბამის სამართლებრივ რეგულირებას. გარდა ამისა, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული უკვე ვეღარ უზრუნველყოფდა ქვეყნის სამართალგანვითარებას და აუცილებელი გახდა მასში მნიშვნელოვანი ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, მით უმეტეს, რომ ვახტანგ VI-ის საკოდიფიკაციო საქმიანობის შემდეგ თითქმის 90 წელი იყო გასული და ამ დროის მანძილზე ქართლისა და კახეთის სამეფოებმა სერიოზული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებები განიცადეს. ამის შესაბამისად დავით ბატონიშვილის სამართალმემოქმედებითი საქმიანობა მუსგად ასახავდა ამ მნიშვნელოვან სიახლეებს და ერთდროულად ემსახურებოდა ახალი, პროგრესული იდეებისა და მათი შესაბამისი ურთიერთობების დამკვიდრება-მოწესრიგებას.

დავით ბატონიშვილის სამართალმემოქმედებითი საქმიანობა არ ვახლავთ მხოლოდ თეორეტიკოსის ნამოღვაწარი. ქართველ უფლისწულს დიდი პრაქტიკული გამოცდილებაჲც ჰქონდა მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში. ამიგომ მისი სამართალმემოქმედება ორმაგად მნიშვნელოვანია: იგი ემყარება როგორც ღრმა მეცნიერულ-თეორიულ საფუძველს, ისე დიდ პრაქტიკულ გამოცდილებას. 1800 წლის ნოემბრის ბოლო-

სათვის დავით ბატონიშვილმა დაასრულა მუშაობა თავის სამართლის წიგნზე, რომელსაც ეწოდა „სამართალი ბატონისშვილის დავითისა“ და გიორგი XII-ის მძიმე ავადმყოფობა რომ არა, რაც ხელს უშლიდა მეფეს მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების მიღებაში, ქართლ-კახეთის სამეფო ოფიციალურად მიიღებდა ახალ სამართლის წიგნს. „სამართალი“ დავით ბატონიშვილის პროგრესული აზრებისა და უდიდესი პრაქტიკული გამოცდილების ნაყოფია. ავტორი ამ ნაშრომში ყურადღებას ამახვილებს ისეთ საკითხებზე, როგორცაა: ბუნებითი და კომიგიური სამართლის თანაფარდობისა და ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა; ფრანგი განმანათლებლების გავლენით ჩამოყალიბებული მოსაზრებები სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ფორმის შესახებ და, ამ უკანასკნელთა შეხედულებებისაგან განსხვავებით, იმდროინდელი რუსეთის იმპერიის მაგალითზე წამოყენებული აქვს განათლებული აბსოლუტიზმის დამკვიდრების აუცილებლობა.

დავით ბატონიშვილის აზრით, მხოლოდ განათლებული აბსოლუტიზმი თუ გამოიყვანდა იმდროინდელ საქართველოს სახელმწიფოებრივი და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისიდან, შეუწყობდა ხელს ქვეყანაში მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცებას. რუსეთის მაგალითითვე იგი აყალიბებს სრულიად ახალ ცნებებს თვითმპყრობელი განათლებული მონარქის აღსანიშნავად და უწოდებს მას თვითღესპოგს, თვითმართლმადიდებელს და შემოაქვს მართლწესრიგის აღმნიშვნელი ტერმინი – „კარგიერება“, რომელიც ქართველ ბატონიშვილს შ. მონტესკიეს მიხედვით აქვს შექმნილი. თვითმპყრობელობის დამკვიდრების აუცილებლობის ქადაგებით, დავით ბატონიშვილი სცილდება ჯ. ლოკისა და შ. მონტესკიეს მიერ უკუგდებულ აბსოლუტიზმის იდეას, ამასთან, კანონიერებისა და მართლწესრიგის დამკვიდრების აუცილებლობის აღიარებითა და მოთხოვნით, იგი კვლავ ქართული განმანათლებლობის პატრიარქად გვევლინება და განაგრძობს ფრანგი მოაზროვნეების შეხედულებათა შემოგნას.

ამავე ნაშრომში ვხვდებით სამართლის ცალკეულ დარგებში აღიარებულ პროგრესულ სიახლეებს. ამ თვალსაზრისით ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მოსაზრებანი სამოქალაქო სამართალში. დავითი დიდ ყურადღებას უთმობს საკუთრების ფორმების პრობლემას და გამოყოფს საკუთრების სამ ძირითად ფორმას: 1. საკუთრება, რომელიც წარმოიშობა ნასყიდობის საფუძველზე და რომელზეც ხელი არ მიუწვდება საგვარეულოს სხვა წევრებს; 2. საერთო-საგვარეულო საკუთრება, რომლის თავისუფალი გასხვისება შეზღუდულია ოჯახის სხვა წევრების მიერ და რომელზეც ვრცელდება გვარის წევრებისათვის უპირატესი შესყიდვის უფლება; 3. სათავისო საკუთრება, რომელიც კეთილმონაგებია და რომელზეც ასევე არ ვრცელდება ოჯახის წევრთა უფლებები. კერძოსამართლებრივი ურთიერთობების სფეროს განეკუთვნება საოჯახო-საქორწინო სამართლებრივი ურთიერთობებიც. დავით ბატონიშვილის პროგრესული იდეები მკაფიოდ ჩანს ოჯახსა და ქორწინებასთან დაკავშირებულ საკითხებში. „სამართლის“ ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს ქორწინების აუცილებელ და დამაბრკოლებელ გარემოებებს, განქორწინების პირობებს, რომლებ-

მიც შეიმჩნევა ღვეთის შეხედულებების მკვეთრი განსხვავება იმდროინდელი ქართული საზოგადოებრივი აზრისაგან, კერძოდ, ღვეთ ბაგონიშვილი მოითხოვს, რომ თუ მშობლებსა და შვილებს შორის წარმოიშობა უთანხმოება და საჭირო იქნება სასამართლოს ჩარევა, მოსამართლემ გულმოდგინედ უნდა გამოიკვილოს უთანხმოების მიზეზები, რადგან ხშირად დაპირისპირება თვით მშობლების შვილებისადმი დამოკიდებულებით არის პროვოცირებული. მაგრამ შვილებს მაინც მართებთ მშობლებისადმი მორჩილება და პატივისცემა და არც სასამართლო ათავისუფლებს მათ მშობლების წინაშე პასუხისმგებლობისაგან. ჩვენი აზრით, ღვეთ ბაგონიშვილის ნააზრევში არანაკლებ საგულისხმოა მისი დამოკიდებულება მემკვიდრეობის პრობლემისადმი. „სამართლის“ ავტორი თვლის, რომ ქართველებში გავრცელებული მემკვიდრეობის განაწილების წესი, რომლის მიხედვითაც სავალდებულო იყო საუფროსო და საუმცროსო წილის გამოყოფა, მოქმედებულა და თანაც ეწინააღმდეგება ბუნებითი სამართლის მოთხოვნებს, ვინაიდან მშობლისათვის ყველა შვილი თანაბრად ძვირფასია და თანაც ყველა ადამიანი ღმერთის მიერაა გაჩენილი და, შესაბამისად, თანასწორუფლებიანია გამჩენის წინაშე. გარდა ამისა, შვილების ასეთი განსხვავება ხშირად იწვევს ურთიერთობის გამწვავებას და ურთიერთდაპირისპირებას, რომლის მიზეზიც თვით მშობელი იქნება.

შემოსხენებული ნაშრომის გარდა, ღვეთ ბაგონიშვილის კალამს განეკუთვნება რუსულ ენაზე დაწერილი „საქართველოს სამართლისა და კანონმდებლობის მიმოხილვა“, რომელიც მან შექმნა უკვე რუსეთში გადასახლების შემდეგ, დაახლოებით 1812-1813 წლებში. ამ ნაშრომს, აგრეთვე, დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერებისათვის. მასში ავტორი ცდილობს, მოგაღოდ, მოწინავე რუსულ საზოგადოებას გააცნოს ჭეშმარიტი ქართული კულტურა, კერძოდ, სამართლებრივი კულტურა და მართლმეტყველების დონე, რათა არ მოხდეს ქართველი ხალხის სამართლებრივი კულტურის უგულებელყოფა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ღვეთ ბაგონიშვილის მოსაზრებებს სისხლის სამართლის პრობლემებზე. სისხლის სამართლიდან ავტორი გამოყოფს ბრალის პრობლემას. ღვეთ ბაგრატიონი ბრალის პრობლემასთან დაკავშირებით ქართული სინამდვილის დიდ ისტორიულ წარსულს ეყრდნობა, სახელდობრ, ექვთიმე მთაწმინდელის, სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში დაცულ მნიშვნელოვან ცნობებს ამ პრობლემასთან დაკავშირებით. ღვეთ ბაგონიშვილი, ბრალის ფორმების განხილვისას იმეორებს ექვთიმე მთაწმინდელის მაგალითებს. მკვლევლობის დანაშაულთან დაკავშირებით ბაგონიშვილი განასხვავებს ბრალის ორ ფორმას: განზრახ და განუზრახველ ან გაუფრთხილებლობით მკვლევლობას. განზრახი მკვლევლობის ჩადენისას იგი მოითხოვს აბსოლუტურად განსაზღვრულ სანქციას – სიკვდილით დასჯას, ხოლო განუზრახველს უწოდებს უცაბედად, შემთხვევით მკვლევლობას. ასეთი დანაშაულის ჩადენისას, ავტორის აზრით, გამოიყენება უფრო მსუბუქი სასჯელი, მაგრამ სინდისის განწმენდისათვის აუცილებელია საეკლესიო მონანიება. აქვე უნდა აღვნიშნოთ,

რომ დავით ბატონიშვილმა მანის ეერ შეძლო ერთმანეთისგან გაემიჯნა შემთხვევა და გაუფრთხილებლობა.

ჩვენი აზრით, სამართლის წიგნების ავტორს რომ შესძლებოდა ამ ორი ცნების შინაარსის ერთმანეთისგან გამოიჯნა, მაშინ იგი ვახდებოდა სუბიექტური ბრალის აბსოლუტურად დამთავრებული მოძღვრების ავტორი ქართულ სამართალში.

საყურადღებოა დავით ბატონიშვილის მოსაზრებანი სასჯელის შესახებ. მისი აზრით, აღამიანის მოქმედება არის მრავალი ფაქტორის შედეგი. სასჯელის მიყენების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ის გარემოებანი, რომელთა დადგომის დროს ჩადენილია დანაშაული; თითოეული გარემოების კონკრეტულ ვითარებაში შესწავლა და განზრახი და განუზრახველი მოქმედების დიფერენცირება აუცილებელი პირობაა სასჯელის დანიშნისას.

დავით ბაგრატიონს გამოთქმული აქვს საინტერესო მოსაზრებანი სამართლო მტკიცებულებათა სისტემის, მათი გამოყენების და საეკლესიო იურისდიქციის შესახებ.

ბაგრატიონთა შორის მეტად საინტერესოა შუაიანა ძმის იოანე ბაგრატიონის იურიდიული შეხედულებები. იოანე გიორგის ძე ბაგრატიონი იყო ერეკლე II-ის შვილიშვილი, გიორგი XII-ის შვილი. იგი დაიბადა 1768 წელს, პირველი ქორწინებიდან. იოანე ბატონიშვილმა მიიღო თავისი დროისათვის შესანიშნავი განათლება: მშობლიური ენის გარდა, თავისუფლად ფლობდა რუსულ და სპარსულ ენებს. იოანე ბაგრატიონი ახალგაზრდობიდანვე აქტიურად მონაწილეობდა სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. ის გიორგი XII-ის პირველი მრჩეველი იყო. ამავე დროს, იოანე მეფის მიერ არტილერიის უფროსად იყო დანიშნული. იოანეს კალამს ეკუთვნის ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი – „კალმასობა“, რომელშიც მრავლად არის მოცემული ქართული სამართლის სხვადასხვა ინსტიტუტის ახსნა-განმარტება. რუსეთში გადასახლების შემდეგ, იოანე ბატონიშვილი მთლიანად ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწევა: ქმნის როგორც ორიგინალურ თხზულებებს, ისე უცხო ენებიდან ნათარგმნ შრომებს.

იოანე ბაგრატიონის მრავალრიცხოვან ნაშრომთა შორის ქართული სამართლის ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის „სჯულდებას“, რომელიც ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრივი წყობილების რეფორმების პროექტია.

იოანე ბატონიშვილი ქართული ფეოდალური საზოგადოების იმ პროგრესულ ნაწილს ეკუთვნოდა, რომელიც საქართველოში განმანათლებელთა იდეებით გამოიღია. ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად იცნობდა იოანე ბაგრატიონი XVII-XVIII საუკუნეების ევროპელ განმანათლებელთა შრომებს (მიუხედავად იმისა, რომ იოანეს უფროსი ძმა – დავით ბაგრატიონი – ვახლდით ქართველ განმანათლებელთა პაგრიარქი), მაგრამ იმის თქმა კი გარკვევით შეიძლება, რომ იოანე ბატონიშვილის პროექტში წამოყენებული მრავალი პროგრესული დებულება, თავიანთი არსით ფეოდალური რეაქციის წინააღმდეგ მიმართული, ნაყოფი იყო თვით ქართული პროგრე-

სული პოლიტიკური აზროვნების განვითარებისა. მაგალითისათვის შეიძლება დაეისახელოთ გლეხთა საკითხი.

იოანე ბატონიშვილის პროექტი ითვალისწინებს ქარხნების გახსნას და ხელოსნობის განვითარებას საქართველოში. ამისათვის კი საჭიროა კადრები, სათანადოდ მომზადებული მუშები, ხელოსნები. ამასთანავე, პროექტში გათვალისწინებულია ვაჭრობის განვითარება, რომელსაც იოანე ბატონიშვილი უდიდეს ეროვნულ საქმედ თვლის და მოითხოვს ვაჭრობის დანერგვას ქართველებში.

არანაკლებ მნიშვნელოვანი და პროგრესულია იოანე ბატონიშვილის შეხედულებანი სახელმწიფოებრივი წყობილების რეფორმების შესახებ. ქართველი მოაზრონე მოითხოვს ცენტრალიზებული ფეოდალური სახელმწიფოს შექმნას, რაც ხელს შეუწყობდა ფეოდალური დაქუცმაცებულობის აღმოფხვრასა და ქვეყნის საუკუნოვანი კრიზისიდან გამოყვანას. პროექტის მიხედვით, საერისთავოები, ე.ი. ყველაზე ძლიერი საფეოდალოები, უნდა გაუქმდეს; დარჩენილ მსხვილ საფეოდალოებში აუცილებლად უნდა დაინიშნოს „სამეფო მოხელე“, რომელიც იქნება ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელი და რომლის ხელშიც გადავა უშუალოდ საფეოდალოების მმართველობა.

ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას ემსახურებოდა იოანე ბატონიშვილის პროექტში წამოყენებული მოსაზრება მუდმივი ჯარის შექმნის შესახებ. ძველი ფეოდალური ლაშქარი უნდა დაექვემდებაროს ცენტრალურ ხელისუფლებას, რაც ხელს შეუწყობს ჯარში მტკიცე დისციპლინის შექმნას, ფეოდალური სეპარატიზმის აღაგმვასა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.

მმართველობის ცენტრალიზაციის პრინციპს ემსახურება, აგრეთვე, მმართველობის დარგებად დაყოფა და ამის მიხედვით სამინისტროების მსგავსი დაწესებულებების შექმნა.

ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების საქმეში უდიდესი როლი ეკუთვნოდა ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, რომლისადმი ყურადღების გამოჩენა არც იოანე ბატონიშვილს დავიწყებია. მისი აზრით, სასულიერო უწყებისათვის ყალიბდება დიკასტერია, რომლის წევრები იქნებიან: კათალიკოსი, მღვდელთმთავარი და მეფის მოხელე, ე.წ. „სასულიერო“ ან „სულიერი მთავარი“, რომელსაც დაევალება აქტიური მონაწილეობის მიღება სასულიერო საქმეების გადაწყვეტაში. იოანე ბატონიშვილი თვლის, რომ სასულიერო საქმეები უნდა დაექვემდებაროს მეფის ხელისუფლებას, რისთვისაც იგი ითვალისწინებს „სულიერი მთავრის“ თანამდებობის შემოღებას.

საყურადღებოა, რომ პროექტის ავტორი მოითხოვს, მეფესთან შეიქმნას ქვეყნის მართვის ისეთი ორგანო, როგორიც არის სამეფო საბჭო – სათათბირო ხასიათის ორგანო.

იოანე ბატონიშვილის პროექტი ეხება სისხლისმართლებრივი ურთიერთობების საკითხსაც, კერძოდ, ავტორი მოსაზრებას გამოთქვამს ისეთ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულზე, როგორიცაა სამშობლოს ღალატი. ასეთი დამნაშავე სასტიკად უნდა დაისჯოს, მისი სოციალური მდგო-

მარეობის მიუხედავად. თუმცა უნდა ითქვას, რომ პროექტი, ძირითადად, დგას ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპზე.

გემოაღნიშნული მოწინავე იდეები თვალნათლივ ამტკიცებს იოანე ბატონიშვილის შეხედულებების პროგრესულობასა და მათი განხორციელების აუცილებლობას. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის ავტორი მაინც თავისი დროისა და სოციალური ფენის შვილია, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს მის მიერ შემოთავაზებული რეფორმების განხორციელების რადიკალური სერხებისა და საშუალებების გამოყენებას, ვინაიდან იგი ილაშქრებდა არა საერთოდ ფეოდალიზმის, არამედ ამ საზოგადოების განსაკუთრებით უარყოფითი მხარეების წინააღმდეგ, იოანე ბატონიშვილს მიაჩნია, რომ ყმის ექსპლუატაციის საფუძველზე აშენებული საზოგადოება სრულიად ნორმალურია, მაგრამ ეს ექსპლუატაცია რაციონალურ საფუძველზე უნდა აიგოს იმ მხრივ, რომ ფეოდალების თვითნებობა ყმების მიმართ თვით სახელმწიფომ უნდა შეზღუდოს, შეაჩეროს, შეცვალოს, რათა ამით თვითონ საზოგადოება გადაურჩეს დაღუპვას.

დავით და იოანე ბაგრატიონების სამართალშემოქმედებასთან ერთად მეტად საინტერესოა მათი უმცროსი ძმის – თეიმურაზ გიორგის ძე ბაგრატიონის სამართლებრივი ნააზრევი. თეიმურაზ ბატონიშვილი დაიბადა 1782 წლის 23 აპრილს თბილისში. იგი ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის უმცროსი შვილი იყო პირველი ქორწინებიდან.

ახალშობილი თეიმურაზისათვის სახელოვან პაპას – ერეკლე II-ს, თავისი მამის – თეიმურაზ II-ის სახელი დაურქმევია. თვითონ თეიმურაზ ბატონიშვილის გადმოცემით, ერეკლე II-ს არც შერე დაუკლია ადრე დაობლებული პატარა შვილიშვილისათვის სიყვარული და მზრუნველობა. თეიმურაზ ბაგრატიონის სწავლა-აღზრდის საქმეს ხელმძღვანელობდა თელავის სემინარიის რექტორი, ცნობილი მწერალი და კალიგრაფი დავით ალექსი-მესხიშვილი. უმცროსი ძმის აღზრდას ცდას არ აკლებდა დავით და იოანე ბატონიშვილები. კერძოდ, დავითის შესახებ თეიმურაზი წერს: „კურთხეული გარდაცვალებული ძმა ჩემი მოჭირნახულე იყო და აღმზრდელი“.

1801 წლის 12 აპრილს თბილისში გამოცხადდა ალექსანდრე I-ის მანიფესტი. კნორინგის ცნობით, მანიფესტის ერთგულებაზე ანგონ II კათალიკოსთან, ვახტანგ და დავით ბატონიშვილებთან ერთად თეიმურაზსაც დაუფიცია. ამასთან დაკავშირებით გაიცა განკარგულება აპრილის შუა რიცხვებამდე საქართველოს სამეფო ოჯახის უკლებლივ ყველა წევრის რუსეთში გაგზავნის თაობაზე, ხოლო ბევრი ქართველი წარჩინებული კიდევაც დააპატიმრეს. 1803 წლის 19 თებერვალს ციციანოვმა რუსეთში გადაასახლა დავით გიორგის ძე ბაგრატიონი (ბატონიშვილი), ვახტანგ ირაკლის ძე, ერეკლე II-ის რძალი ქეთევანი, ხოლო გენერალ ლაზარევის გახმაურებული მკვლელობის შემდეგ, ეორონიეში გადაასახლეს მარიამ დედოფალი და მისი შვილები თამარ და ჯიბრბაილ ბატონიშვილები. თვითონ დავით ბატონიშვილს თუ დაეუჯერებთ, მისი უმცროსი და უსაყვარლესი ძმა პ. ციციანოვის მიზემით გაქეულა საქართველოდან ირანში: „...ეკალად სიფიცხისა და ბოროტებითა ციციშვილისათა ენებულ იქმნენ უმრავლესნი თა-

ვადნი და აზნაურნი კახეთისანი და წარედნენ სპარსეთად; ვგრეთვე მეფის გიორგის ქე თეიმურაზ, ვნებული ციციანოვისგან, წარეიდა სპარსეთად“.

საბოლოოდ კი თეიმურაზ ბატონიშვილმაც გაიზიარა დანარჩენი ბაგრატიონების ბედი და ისიც რუსეთში იქნა გადასახლებული, სადაც ხელი მიჰყო სამეცნიერო-სამწერლო საქმიანობას და დიდად გაითქვა კიდეც სახელი, როგორც შესანიშნავმა ქართველოლოგმა და ისტორიკოსმა. იგი გახდა რუსეთის იმპერიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსი. თეიმურაზ ბატონიშვილმა მჭიდრო სამეცნიერო და მეგობრული ურთიერთობა დაამყარა გამოჩენილ ფრანგ ორიენტალისტ მარი ბროსესთან. 1833 წელს მარი ბროსეს პარიზში ლითოგრაფიული წესით გამოუცია თეიმურაზ ბაგრატიონის სამი ნაშრომი, რომლებიც ფრანგ მეცნიერს შემდეგნაირად დაუსათაურებია როგორც ქართულ, ისე ფრანგულ ენებზე: „წამება წმიდათა შორის ქეთევანისა კახთ დედოფლისა“ და „დიდისა მოურავისა გიორგი სააკაძის სიკუდილი“, და „დავით ბატონიშვილის ცხოვრება“. წიგნს შესავალი სახით დართული აქვს მ.ბ.თ. (მეფის ძის თეიმურაზის) წინასიტყვაობა, საიდანაც ირკვევა, რომ სამივე თხზულების ავტორი თეიმურაზ ბატონიშვილია.

ამ ნაშრომს („დავით ბატონიშვილის ცხოვრება“) სამართლის ისტორიის მეკლევართათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. იგი თეიმურაზ ბატონიშვილს დაუმთავრებია 1831 წლის აგვისტოში და, როგორც ზემოთ ითქვა, სხვა ორ შრომასთან ერთად საჩუქრად გაუგზავნია პარიზის სააზიო სამოგადლოების ბიბლიოთეკისათვის. წიგნთან ერთად მ. ბროსესადმი გაგზავნილ წერილში თეიმურაზ ნაშრომის შექმნის მიზეზად შემდეგს ასახელებს: „ამისათვის შევირბენ ღირს საქებულნი სიმხნენი სიჭაბუკისა მისისანი, რათა არა წარწყმედილ იყო უქმად შემდგომთა ეპოთათვის ესე ვითარისა გმირისა ხსენებად და რათა დაიდგამს, ესენი აღგილსა ესევითარსა სახსენებლად მისსა და გმირთათვის მის ეამისათა“.

ამავე წერილში თეიმურაზ ბატონიშვილი სთხოვს მარი ბროსეს, რომ ნაშრომის გამოცემისას მან არ მიუთითოს „ისტორიის“ ავტორის ვინაობა, რაც მ. ბროსეს კიდეც შეუსრულებია.

თეიმურაზ ბაგრატიონის დამოკიდებულება თავისი უფროსი ძმისადმი ყველაზე უკეთ არის გადმოცემული იმ დახასიათებაში, რომელნიც მან დაგვიტოვა საკუთარ ნაშრომში – „დავით ბაგრატიონის ისტორია“. ამ დახასიათებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული გახტის შემკვიდრის არა მარტო პიროვნული თვისებების, არამედ მისი სამეცნიერო და სამწერლო მოღვაწეობის შესწავლისა და განსაზღვრისათვის.

თეიმურაზ ბატონიშვილის ზემოსხენებული ნაშრომი არანაკლებ მნიშვნელოვანი წყაროა ისეთი საკითხის გასარკვევად, თუ როგორი იყო ქართლ-კახეთის სამეფოს მესვეურთა პოლიტიკური ორიენტაცია XVIII საუკუნის ბოლო წლებში, რა მიმართულებით ვითარდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს საგარეო-პოლიტიკური კურსი, რომელ უცხო სახელმწიფოს ენიჭებოდა უპირატესობა ისეთი ფაქტში საკითხის გადაწყვეტის დროს, როგორცაა მფარველი და სასურველი მოკავშირე ქვეყნის მოძიება-შერჩევა. თეიმურაზ ბაგრატიონი ერთმნიშვნელოვნად მიგვანიშნებს იმაზე, რომ

ერეკლე მეფის მიერ რუსეთზე აღებული პოლიტიკური გეზი კვლავ მტკიცე და ურყევი იყო მას შემდეგაც კი, რაც ალა-შაჰმად-ხანის მოსალოდნელი შემოსევა ცნობილი გახდა და საქართველოს დაემუქრა სერიოზული საფრთხე. ასევე ალა-შაჰმად-ხანის თბილისში ყოფნის დროსაც, როცა ერეკლე მეფე მასთან მოლაპარაკებას აწარმოებდა და ჩრდილოეთიდან დახმარების მოლოდინში დროს აჭიანურებდა. იგივე განწყობილება კარგად ჩანს ერეკლე მეფის მიერ ალა-შაჰმად-ხანთან მოსალაპარაკებლად გაგზავნილ ქაიხოსრო (კენკია) ავალიშვილისათვის დანაბარებში. ერეკლე მეფე ალა-შაჰმად-ხანს ტყვეების განთავისუფლებას სთხოვს: „თუ არ გაათავისუფლებ... ერნი ქვეყნისა ჩვენისანი ფრიალ განრისხებულნი არიან... იხილეს რა თქვენ მიერ ესევეთარისა სახითა შეურაცხება... აოკრება და ტყვეყოფა ქალაქის ჩვენისა... და ვაცნობებთცა მპყრობელთა როსიისათა, რომელნიცა ერთსარწმუნოებითა და მეზობლობითისა მშვიდობითა ჩვენთანა შეკრულ არიან და არა თავს იღებენ იგინი თქვენ მიერ ბოროტის ყოფას ჩვენგელა“. ან კიდევ: „მაშინ როსიით მოვიდეს შემწედ ორი ბატალიონი მხედრობისა რუსთა, ვინაჲდგან აქენდა აღთქმულ კარსა როსიისა სახელმწიფოსასა, რათა თუ სადმე მოინებონ მძღავერობა სპარსთა, ანუ თურქთა და ანუ სხვათა მგერთა საქართველოჲსათა, სახლგელა მეფისა ირაკლისა და შემდგომთა შემკვიდრეთა მისთა ზელა და საპყრობელობათა მისთა ზელა – იმპერიაჲმან როსიისაჲმან მოახმაროს მათ მხედრობა და შეეწიენენ და არამოუშვან მგერნი მათნი ვნებად მათდა, ვინაიღგან არიან სარწმუნოებითა ერთნი და მეზობელნი ესე ერნი“... ორივე ციტატა მეტად სარწმუნო ცნობას წარმოადგენს, ვინაიდან მათი ავტორი გახლავთ მის მიერ აღწერილი ვითარების თანამედროვე და ერეკლე მეფის უახლოესი ნათესავი, თანაც მუდმივად მის გვერდით მყოფი. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ თეიმურაზ ბატონიშვილის ნაშრომებში ზოგჯერ ასახულია ავტორის სუბიექტური, გენდენციური დამოკიდებულება მოვლენებისადმი, რაც იწვევს იმ მოვლენების შელამაზებასა და ზოგჯერ მათი შინაგანი არსის მიჩქმალვას. ეს გარემოება სავსებით ბუნებრივი ჩანს სამეფო ოჯახის წევრისაგან, რომელიც თავისი დინასტიური თვალთახედვით ასახავს ისტორიულ მოვლენებს.

დასკვნის სახით უნდა შევნიშნოთ, რომ დავით და თეიმურაზ ბატონიშვილებმა, ყველა მათმა ახლობლებმა უდიდესი როლი შეასრულეს ქართული სამართლებრივი კულტურისა თუ მეცნიერების განვითარებაში და მდიდარი საგანძურიც დაგვიტოვეს. ამ მხრივ საინტერესოა დავით ბაგრატიონის წერილი უმცროსი ძმის – იოანე ბატონიშვილისადმი: „ჩემო საყვარელო და საგრფო ძმაო იოანე! ბედნიერად ჩემდა ვრაცხ ესეთსა თანამდებობასა, რომელისა თანამდებ მყავ შრომითა და უმეტეს ამით, ვინაითგან ვპხელავ შენ შორის სურვილისა ესე ვითარსა, რომლისა დასასრული მოიზღუდის ერთა ბედნიერებასა. სანაგრელ არს ესევეთარი კაცი, რომელსა აქვს სურვილი ერთა ზრუნვისა, მაგრამ რაი, უკეთუ მხოლოდ შენ გექნების საუნჯე დაფარული ხელქვეშაგანცა შენთა, რომელთა არა რაიმე უწყიანს და უკეთუ აღძრავ მათცა ხელოვნებისადმი და თანამდებობისა მათისა შემეცნებად, მაშინ იქმნების საქმე, ესე პატიოსან და ღირსსახელოვან მამულისაგან და საზოგადოებისა“.

ლიტერატურა

1. **ო. დოლიძე**, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953.
2. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია (ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით), თბ., 1946.
3. ქართული სამართლის ძეგლები (ო. დოლიძის რედაქციით), ტ. II, თბ., 1965.
4. ქართლის ცხოვრება (ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით), ტ. I, თბ., 1955.
5. ქართული სამართლის ძეგლები (ო. დოლიძის რედაქციით), ტ. I, თბ., 1963.
6. **ო. დოლიძე**, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957.
7. ქართლის ცხოვრება (დ. ჩუბინაშვილის გამოცემა), ნაწ. II, სპბ, 1854.
8. ვახუშტი ბატრატონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941.
9. ივ. სურგულაძე, მე-18 ს. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შესახებ, იბ. ეურ. „მნათობი“, №2, 1962.
10. **ო. ფუტყარაძე**, ქართველ შთიელთა სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1964.
11. Письма грузинского царевича Вахтанга Ираклиевича, персвод с грузинского Егора Чилаева, 1812.
12. **იბ. ისტორიებრი აღწერა ღირსთა ხსომისა შემთხვეულებათა საქართველოს აღწერითა მნეობათა და ჩვეულებათა მსახლობელთათა მის ქვეყნისა, თხზული საქართველოს მეფის ირაკლის ძის ვახტანგის მიერ, გამოცემული ს. კაკაბაძის მიერ 1914 წ.**

სისხლის ალბის ინსტიტუტის რეალიზირ-სამართლებრივი ასპექტები

საყოველთაოდ ცნობილია, რომ შურისძიების ინსტიტუტი სამოგადოებრივი განვითარების უძველეს სტადიაზე იღებს სათავეს და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. ივ. ჯავახიშვილის მითითებით, გვაროვნული წყობილების დროს ერთადერთ სამართლად საგვარეულო შურისძიება უნდა ყოფილიყო¹. გვარი მისი წევრის სიყოცხლის, ჯანმრთელობის, პატივისა და ღირსების, გვარის საკუთრების ხელყოფისას შურისძიებას მიმართავდა. გვაროვნული სოლიდარობის პრინციპი სამოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ელინდებოდა, უპირველეს ყოვლისა კი, გვარის ინტერესის დანაშაულებრივი ხელყოფისას. ქართულ ჩვეულებით სამართალში შურისძიების სხვადასხვა ფორმას ეხედებოთ. ესენია: შურისძიება მკვლელობისათვის – იგივე სისხლის აღება, შურისძიება დაჭრა-დასახიჩრებისათვის, რაც სამაგიერო დაჭრა-დასახიჩრებით გამოიხატება, ასევე ქონებრივი შურისძიება.

სამოგადოებრივი განვითარების გარკვეულ ეტაპზე შურისძიების პარალელურად ჩნდება კომპოზიციათა სისტემა, ანუ, როგორც მას ქართული სამართლის ძეგლები იხსენიებენ, „სისხლის დაურევების“ სისტემა. კომპოზიციათა სისტემის გაჩენა, ცხადია, მეყველად არ იწვევს შურისძიების ინსტიტუტის გაქრობას. სახელმწიფოს წარმოქმნის შემდეგაც კი შურისძიების ინსტიტუტი აგრძელებს მოქმედებას. შურისძიებისა და კომპოზიციათა სისტემის პარალელურად არსებობის პერიოდი საკმაოდ ხანგრძლივია. საქართველოს მთიანეთის სინამდვილეში, ჩვეულებითი სამართლის მასალების შესაბამისად, სწორედ ამ პერიოდთან გვაქვს საქმე. ცნობილი მეცნიერის, პოლდაკის აზრით, კავკასიელ მთიელებში (მათ შორის ქართველ მთიელებშიც) სისხლის დაურევა წარმოებს არა დამოუკიდებელი ფორმით, არამედ შერბილებულ სისხლის აღებასთან აღრეული ფორმით².

კომპოზიციათა სისტემის მიერ შურისძიების ინსტიტუტის სრული განდევნა თანდათანობით ხდება. საქართველოში შურისძიება ჯერ იზღუდება სახელმწიფო ხელისუფლების მიერ (მაგ. გიორგი ბრწყინვალის სამარ-

¹ ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984, გვ. 221.

² პოლდაკის მოსაზრება მოყვანილია ალ. ვაჩიეშვილის წიგნიდან: „ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან“, ტ. 2, თბ., 1948, გვ. 121.

თლით), შემდეგ კი ეკრძალება, რაც კარგად ჩანს ვახტანგის სამართლის წიგნიდან (24-ე მუხლი). ეგყობა, XVIII საუკუნის დასაწყისში შურისძიება, თვითგასწორება ჯერ კიდევ აღინიშნება საქართველოში და კანონმდებელი მეფე გარკვეულ ღონისძიებებს სახაავს შურისძიების თავიდან ასაცილებლად. საქართველოს მთიანეთში, განსაკუთრებით კი ხეესურეთსა და სენეთში, შურისძიების ინსტიტუტის არსებობას XX საუკუნეშიც ვხვდებით, თუმცა მისი მოქმედების ინტენსივობა, ცხადია, აშკარად შემცირების ტენდენციას იჩენს.

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ შურისძიებით მკვლელობის შესახებ ქართულ ჩვეულებით სამართალში, მხედველობაში გვაქვს სისხლის აღების ინსტიტუტი. ზოგადად, შურისძიებით მკვლელობა შესაძლოა ყველაზე უფრო ცივილიზებულ და მაღალგანვითარებულ საზოგადოებაში მოხდეს და ხდება კიდევ. ეს პიროვნების მხრიდან წმინდა ემოციური აქტია. კონკრეტულ სიტუაციაში იგი შესაძლოა, თვითონ გაუსწორდეს თავისი ახლობლის მკვლელს, თავისი ქონების ხელმყოფს, შეურაცხყოფელს და სხვა. თუმცა შესაძლოა, თავი აარიდოს შურისძიებას, თუნდაც ვერ გაბედოს იგი დიდი სურვილის მიუხედავად. ე.ი. თვით პიროვნების ფსიქიკურ განწყობაზე დამოკიდებული მის მიერ შურისძიების აქტის განხორციელება. რაც შეეხება სისხლის აღებას, რომელიც უძველესი დროიდან იღებს სათავეს, ყველა ხალხის ისტორიისა და სამართლებრივი კულტურის განუყოფელი ნაწილია და კავკასიის მთიანეთში საკმაოდ დიდხანს შემორჩა, იგი თავისი არსით მკვეთრად გამოხატული ვალდებულებაა და წმინდა სამართლებრივი ინსტიტუტია. გვარმა, რომელსაც წარმომადგენელი მოუკლეს, აუცილებლად სისხლი უნდა აიღოს, ან ისეთი რამ მოიმოქმედოს, რომელსაც ხალხის თვალში იგივე მნიშვნელობა ექნება, რაც ნატორალურ სისხლის აღებას აქვს. როგორც აღვნიშნეთ, სისხლის აღების ინსტიტუტი ყველა ხალხისათვის იყო ცნობილი. ისევე როგორც სხვა ჩვეულებით-სამართლებრივი ინსტიტუტებს, მასაც სარწმუნოებრივი საფუძველი ჰქონდა. სისხლის აღების ინსტიტუტი მიცვალებულის კულტანაა დაკავშირებული. მიცვალებულის კულტს კი ცენგრალური ადგილი უკავია მრავალი ხალხის რელიგიურ წარმოდგენებში, მათ შორის კავკასიელ მთიელთა წარმართულ სარწმუნოებაში. საერთოდ, რელიგიური წარმოდგენები (განსაკუთრებით მიცვალებულთა სამყაროზე) უდიდეს გავლენას ახდენდა ადამიანთა ყოფაზე, მათი ქცევის წესებზე, ადამიანთა მართლშეგნებისა და ჩვეულებითი სამართლის ნორმების ჩამოყალიბებაზე. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს კავკასიელ მთიელთა ჩვეულებით სამართალთან დაკავშირებით. მათი რწმენა-წარმოდგენით, საიქიო ცხოვრება მჭიდროდაა დაკავშირებული სააქაოსთან და უდიდეს ზეგავლენას ახდენს მასზე. ხალხის რწმენით, მიცვალებულის სული გარკვეულწილად აგრძელებს ხორციელ ცხოვრებას, საიქიოში მას ესაჭიროება საგზალი, წყალი, ცეცხლი, თამბაქო, განსაცემელი და სხვა. ხალხის კეთილდღეობა, ბედნიერება თუ უბედურება მიცვალებულთა სულების განწყობაზეა დამოკიდებული. ყოველი ოჯახი ცდილობს, დააკმაყოფილოს თავისი მიცვალებულის სული, მშვიდად ამყოფოს იგი. ამისათვის აუცილებელია სხვადასხვა წესის შესრულება მიცვალებულთა მიმართ, რაც არსებით მაგერიალურ დანახარჯებთანაა დაკავშირებული. საკუთარი მიცვალებულის

სულის მომსახურებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კავკასიელი, მათ შორის ქართველი, მთიელების ყოფაში. თუ ამ წესებს არ დაიცავენ, ან არასრულყოფილად შეასრულებენ, ეს, ხალხის შეხედულებით, სულს განაწყენებს და იგი სხვადასხვა სახის პრობლემას შეუქმნის სააქაოდ დარჩენილ მის ნათესაობას. სანიმუშოდ მოვიყვანთ ხევსურთა შეხედულებებს საიქიო ცხოვრებაზე: ხევსურეთში გარდაცვლილს დაბანდნენ, ასალ განსაცემელს აცმევენენ, თუ ვაჟი იყო, გულზე აბჯარსაყ დაუწყობდნენ. მიცვალებულთან დააყენებდნენ ცხენს, რომელსაც დასაფლავებამდე უკურთხებდნენ, შეკაზმავდნენ, ძუაფაფარს დაუწნავდნენ, ხურჯინს გადაკიდებდნენ, ხურჯინში პურებს ჩაუწყობდნენ. მიცვალებულის ცოლი ან ღელა ცხენს მათრახს დაარგყამდა სამჯერ და იცყოდა: „შენიმე სახმარი ას, შენამც გემსახურების, სწორებსამც ნუ ჩამორჩებიო“. ყოველივე ამას მიცვალებულს იმქვეყნიური ცხოვრებისათვის უმზადებდნენ. დასაფლავების შემდეგ მას „წყალთ დაულოციდნენ“ – ჭირისუფალი ამოარჩევა სადმე წყაროს, უფრო გზის პირას, სადაც მეტი მგზავრი დადიოდა. იქ წყაროზე ქვის კომკს აამენებდა და კომკის თავზე თეთრ ბროლებს დააწყობდა. როცა წყარო მზად იქნებოდა, არაყს გამოხდიდნენ, გამოაცხობდნენ ქაღებს, კევრებს, კუპატებს, სუფრაზე ერბოსა და ყველს დააბაგებდნენ და იქ წაიღებდნენ, სადაც წყარო იყო. ხუცესი წყალს დალოცავდა, აქვე ხალხი მოვიდოდა, არაყს დაღვედა და ქაღა-პურებს შეჭამდა, გამეღელ-გამომეღელი ხალხი წყაროსთან ისვენებდა, წყალს დაღვედა და მიცვალებულს შენდობას ეცყოდა. ხალხის წარმოდგენით, ამის გარეშე მიცვალებული საიქიოს უწყლოდ დარჩებოდა. ჭირისუფალთა მიერ გასაღები საკმაოდ დიდი ხარჯები, მრავალრიცხოვანი სუფრის გაშლა მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად აუცილებელი იყო იმისათვის, რომ მიცვალებულს საიქიოს რაიმე არ მოკლებოდა. საიქიოში, რომელსაც ხევსურები „სულებს“ უწოდებენ, სულ მხიარულებაა, სილაღვა (თუ, რა თქმა უნდა, სული სამოთხეში მოხვდა და არა ჯოჯოხეთში, ან კუპრის ალში). დილასაღამოობით მინდორში გადიან და ლხინს მართავენ, არის სიმღერები, უკრავენ ფანდურს და სხვა. „სულებში“ ძალზე უყვართ მხიარულება, მით უმეტეს, მაშინ, თუ „სამშეოს“ ხალხი მხიარულობს. მათ არ უყვართ არც გირილი, არც გლოვა სამშეოს მყოფი პაგრონებისა. სამოთხეში მყოფი სულები დილა-საღამოს ერთად იკრიბებიან, ერთად თამაშობენ, ცეკვავენ, მღერიან, ცხენებს აჯიბრებენ, რის შემდეგ გაშლილ სუფრასთან სხდებიან¹.

ამ ხევსურულ მასალებში ნათლად ჩანს, რომ, ხალხის წარმოდგენით, მიცვალებული საიქიოში ისევე ცხოვრობს, როგორც სააქაოში, ისეთივე ენებებით, მისწრაფებებით. მიცვალებულთა კეთილდღეობა საიქიოში კი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ აკმაყოფილებენ მათ სააქაოს დარჩენილი ნათესაეები. მიცვალებულთა სულების მიმართ ცოცხლად დარჩენილ ნათესაეთა მიერ ვალდებულებების მთელი რიგის შესრულება განაპირობებდა სწორედ მიცვალებულთა გუნება-განწყობას საიქიოში და მათ დამოკიდებულებას თავიანთი ნათესაეებისადმი. ხევსურულ მასალებში ჩანს,

¹ მ. ბაღაური, ნ. მაკაბთია, მიცვალებულის კულტი არხოვის თემში. „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, III, თბ., 1940, გვ. 10-12, 20-24, 59-60.

თუ რა ზეგავლენას ახდენდა მიცვალებულთა სამყარო ამქვეყნიურ ცხოვრებაზე. ხევისურთა რწმენით, საიქიოში ყველაფერს ადრე იგებენ, თუ სამზეოში ვის რა მოელის. პირველად „სულეთში“ გაარჩევენ სამშეოს ბედ-იღბალს – სამშეოში საიქიოს განაჩენის თანახმად მოხდება ყველაფერი. იქ იციან, ვინ როდის მოკვდება, ან ვის რა ბედი აქვს ცოლქმრობაში, ვაჟი ვის შეეძინება, ან ქალი, აგრეთვე სამშეოში თუ მგრები არიან შესარიგებელი, ძალიან ბევრსაც რომ ეყადონ „რჯულის კაცები“, ვერ შეარიგებენ, სანამ საიქიოში არ გადაწყვეტენ მათ შერიგებას. აგრეთვე, თუ ვინმემ სამშეოში კაცი მოკლა, ამასაც საიქიოში გადაწყვეტენ. მოსისხლე მგრები ჯერ საიქიოში უნდა შეარიგონ. სანამ სულეთს არ დასხდებიან „რჯულის კაცები“ და არ გაარჩევენ მათ საქმეს, მანამდე სამშეოში მოსისხლეები ვერ შერიგდებიან. მათი შერიგება არ მოხდება, სანამ სულეთიდან ხელს არ მოუშართავენო. როდესაც სამშეოში მოხდება მკვლელობა, როგორც აქ გადაემგერებიან ერთმანეთს გვარები, ისევე სულეთშიც – იქაც „აირვიან“. რაც სამშეოში ხდება, – გაჭირდება თუ დაღბინება, ქორწილი თუ სხვა, – მასში მიცვალებულებიც მონაწილეობენ¹. მიცვალებულის სული ცოცხლად დარჩენილებს საიქიოდან აფრთხილებდა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, ამცნობდა აუადმყოფობის მიზეზს, მოითხოვდა მათგან ლუდს და გაბლას. თუ მიცვალებული რაიმე ჭრილობისაგან იყო მკვდარი, საიქიოდან ითხოვდა „სახვიელს“ (შესახვევს) და წყლულის საპოხს. ამ შემთხვევაში ჩერებს, კარაქს შენდობას ეტყობენ².

როგორც ვხედავთ, მიცვალებულთა სამყაროს გავლენა ამქვეყნიურ სამყაროზე მართლაც დიდია, იმდენად დიდი, რომ მიცვალებულთა სულები წინასწარ ატვობნიან ნათესაეებს მოსალოდნელი უბედურების შესახებ, ცოცხლად დარჩენილთა ბედ-იღბლის განმსაზღვრელნიც კი არიან. სააქაოს არსებული მგრობა საიქიოშიც აისახება. მკვლელობის გამო გვარები საიქიოშიც გადაემგერებიან, იმავე გვარების მიცვალებულთა სულები საიქიოშიც მგრობენ ერთმანეთს.

ასეთი რწმენა-შეხედულებები დამახასიათებელია არა მარგო ხევისურებისათვის, არამედ კავკასიის სხვა მთიელებისათვისაც. მ. კოვალევსკი აღნიშნავს, რომ კავკასიელ მთიელთა რწმენით, მიცვალებულთა სული საიქიოში აგრძელებს მიწიერ ცხოვრებას და საკმაოდ მომთხოვნიანია სააქაოს დარჩენილ მოგვარეთა მიმართ. იგი საჭიროებს საჭმელ-სასმელს, ტანსაცმელს და სხვა. ცოცხლები ვალდებულნი არიან, მიცვალებულს მიართვან და გაუკეთონ ყველაფერი, რასაც ისინი ითხოვენ, რათა სულები მათი მგრები არ გახდნენ³.

ამ ვალდებულებათა შესრულების შემთხვევაში სული თავისი ნათესაობის მფარველი ხდება, ზრუნავს მათზე. ოსები, ჩერქეზები, სვანები, ფშაელები, თუ

¹ მ. ბალოური, ნ. შაკალათია, მიცვალებულის კულტი არხოტის თემში. „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, III, თბ., 1940, გვ. 61.

² იქვე. გვ. 40. მიცვალებულის სული თავის ნათესაეებს ესაუბრებოდა ე.წ. „მესულთნეს“ მემშეობით, რომელიც, ხალხის რწმენით, მიცვალებულის ენით ელაპარაკებოდა მის ჭირისუფლებს.

³ М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, т. I, М., 1888, стр. 33.

შები და სხეანი დარწმუნებულნი არიან, რომ წინაპართა სულები იცავენ მათ ყოველგვარი უბედურებისა და საშიშროებისაგან, მაგრამ როგორც კი შთამომავლები ზუსტად აღარ შეასრულებენ იმ ვალდებულებებს, რომლებიც მათ მიცვალებულთა სულების მიმართ აქვთ, წინაპართა სულები ბოროტდებიან, შურისმაძიებლნი სდებიან და უელჩენ თავიანთ შთამომავლებს აუადმყოფობას, მრავალგვარ უბედურებას, უიღბლობას საქმეებში და სხვა¹. განსაკუთრებით ბოროტდებიან სულები, თუ ცოცხლად დარჩენილი ნათესავეები მათ გამო შურს არ იძიებენ. ისინი მათი მკვლელების მოკვლას ითხოვენ თავიანთი ნათესავეებისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში კი საშინელი უბედურების მოვლენით ეშუქებიან მათ. აქედან გამომდინარე, სისხლის აღება ვალდებულებაა, რომლის საფუძველი მიცვალებულთა სამყაროს შესახებ შეხედულებებიდან მომდინარეობს და მიცვალებულის კულტს ეფუძნება. საკმაოდ სრულყოფილად წარმოაჩენს სისხლის აღების სარწმუნოებრივ საფუძველებს გამოჩენილი ქართველი რუსთველოლოგი ვიქტორ ნობაძე. იგი აღნიშნავს: „ხალხური ჩვეულებრივი შეხედულებით, რომელიც მთელ მსოფლიოში იყო გავრცელებული და საქართველოშიც, სადაც ამისი გადმონაშთი უკანასკნელ ხანამდე იყო შერჩენილი კავკასიელ ხალხთა შორის, მოკლულის სული მოსვენებას მოკვლას, დახევაობას, დაძრწის და თავისი ნათესავეებისაგან თუ სოფლებებისაგან სამაგიერო სისხლის აღებას მოითხოვს. თუ მოკლულის ნათესავეებმა, გვარმა ან თემმა შური არ იძია, მაშინ მოკლულის სული თვითონ გადაიქცევა შურისძიების სულად და მისი რისხვა მთელ თემს დაატყდება და თაობათა მანძილზე საშინლად იმოქმედებსო. ამიგომ სულის სურვილის აღსრულება წმინდა ქმედება იყო. მკვლელი უნდა მოკვდეს, ან მისი ნათესავი უნდა მოიკლას, ან მისი მოგვარე, ან მისი თემის რომელიმე წევრი. მხოლოდ ამ შემთხვევაში მოისვენებს მოკლულის სული“². ამრიგად, მკვლელის მოკვლა, სისხლის აღება, მოკლულის სულის მოთხოვნის დაკმაყოფილება და ვალდებულებაა სწორედ მოკლულის წინაშე, რომელიც თავისი ნათესავეებისაგან მკვლელის ან მისი ნათესავის სისხლს მოითხოვს. თუ იგი არ დაკმაყოფილდება, მაშინ სიკვდილიანობას, აუადმყოფობას და სხვა უბედურებას მოუვლენს მის ნათესაობას. სისხლის აუღებლობის შემთხვევაში ასეთი საშინელი საფრთხის (ერთგვარი რელიგიური სანქციის), როგორც სრულიად რეალურის წარმოსახვის გამო, სისხლის აღება მთიელთა წარმოდგენაში ვალდებულებად აღიქმება.

ასე რომ, კავკასიელ მთიელთა შეხედულებით, სამოგადოების წევრებს (კონკრეტული სულის მოგვარებს, შთამომავლებს) მიცვალებულთა სულებთან ვალდებულებითი ურთიერთობების მთელი ჯაჭვი აკავშირებთ. მიცვალებულთა სულები მათი სააქაოს დარჩენილი ნათესავეებისაგან მოითხოვენ გარკვეული მოქმედებების, ვალდებულებების შესრულებას, მათ შორის მათი მკვლელის მოკვლას, ხოლო სამოგადოების წევრები ვალდებულნი არიან, ეს წარმოსახვითი მოთხოვნები შეასრულონ. აღნიშნული ურთიერთობის საფუძველი რელიგიურ-სარწმუნოებრივია. ამ ვალდებულებების, მათ შორის სისხლის აღების, არსებობა ეფუძნება ხალხის წარმოდგენას იმის თაობაზე,

¹ М. Ковалевский, Современный обычай и древний закон, т. I, стр. 90.

² ვ. ნობაძე, „ვეფხისტყაოსნის“ სამოგადოებათმეტყველება, სანჯიაგო დე ჩილე, 1958, გვ. 220-221.

რომ მიცვალებულის სულს აქვს უნარი, გავლენა მოახდინოს თავისი ნათესავების ბედ-იღბალზე, შეცვალოს მათი ბედისწერა. სწორედ მიცვალებულთა სულების ეს შესაძლებლობა, ეს ძალა არის აღნიშნული ვალდებულებების შესრულების უზრუნველმყოფი. ე.ი., ხალხის რწმენით, მიცვალებულთა სულების მიმართ არსებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ამ სულებისაგან იწვევს ზემოქმედებას (ხალხის ცნობიერებაში არსებული ეს შესაძლებელი ზემოქმედება ალბათ უფრო ძლიერია, ვიდრე სახელმწიფოს იძულებითი ზემოქმედების შიში სამართლის ნორმის შესაძლო დარღვევისათვის). აღნიშნული ვალდებულებების განუსრულად შესრულების შემთხვევაში კი მიცვალებულთა სულები პირიქით, კეთილგანწყობილნი არიან ცოცხლად დარჩენილი ნათესავების მიმართ, მფარველობენ და იცავენ მათ.

სისხლის აღება რომ რელიგიური ხასიათის ვალდებულებაა, თუნდაც იმაშიც ჩანს, რომ ვინც სისხლი აიღო, მიდის მოკლულის საფლავზე, რათა ახაროს მას: „ახლა შეგიძლია დამშვიდდე, მე შური ვიძიე შენი მკვლელობისათვის“¹. ასე ხშირად სეანეთშიც ხდებოდა, როცა ისისხლებდნენ, მივიდოდნენ მოკლულის საფლავზე, ჯოხს ჩაარჭობდნენ და ჩასძახებდნენ: „გისისხლეო“².

მკვლელობა მთელი გვარის უდიდესი შეურაცხყოფაა, – როგორც ცოცხლად დარჩენილების, ასევე მიცვალებულთა სულებისა. ამიტომ მკვლელისა და მოკლულის გვარები სააქაოშიც მტრობენ ერთმანეთს და საიქიოშიც. ასეთ შეურაცხყოფაზე პასუხი შეიძლება იყოს მხოლოდ სისხლის აღება. სისხლის აუღებლობა კი უდიდეს სირცხვილად ითვლება. კაეკასიელ მთიელებში მოკლულის გვარი მანამ, სანამ შურს არ იძიებს, უაღრესად დამცირებულია. მაგალითად, სეანეთში მოკლულის მოგვარეები სანამ სისხლს არ აიღებენ, მანამ ისინი ვინმესთან ხმამაღლა დალაპარაკებასაც კი ძალიან ერიდებიან, რადგან თუ ვინმესთან წალაპარაკება მოუხდა, მაშინვე ეტყვიან: „შე სისხლის აუღებლის შვილოო“. სისხლის აღების შემდეგ მოკლულის მთელი გვარეულობა თავს იყრის და დიდ ზეიმს იხდის, სისხლის ამღები დიდ პატივისცემას იხვეჭს ხალხში და ამის შემდეგ ყველას ამაყად შეუძლია ხალხში გამოსვლა, ხმამაღლა დალაპარაკება და სხვა³. სისხლის ამღები გვარის შეურაცხყოფელსაც პასუხობს და მოკლულის სულის მიმართაც პირნათელია. მკვლელობის აღქმა გვარის უდიდეს შეურაცხყოფად და სისხლის აუღებლობისა – დიდ სირცხვილად თემურ საზოგადოებაში სისხლის აღებას ვალდებულების სახეს ანიჭებს.

კაეკასიელ, მათ შორის ქართველ, მთიელებში (ძირითადად ეს აღმოსავლეთ საქართველოს ეხება) სისხლის აღების ინსტიტუტი მიცვალებულისადმი შეწირვისათან არის დაკავშირებული. „შეწირვა“ აუცილებელი იყო მოკლულის შურისძიებით აღტკინებული სულის სავსებით დასაკმაყოფილებლად, დასამოშმინებლად. კაეკასიელ მთიელთა რწმენით, სისხლის ამღები თუ ნათესავის მკვლელს თავის მიცვალებულ ნათესავს „შესწირავდა“, ამით მის მიერ მოკლულს, ე.ი. ნათესავის მკვლელს, საიქიოში ამ ნა-

¹ М. Ковалевский, Современный обычай и древний закон, т.2, М., 1886, стр. 9.

² ეტ. გაბლიანი, ძველი და ახალი სეანეთი, გვ., 1925, გვ. 134.

³ ი ქ ე ე, გვ. 134-135.

თვისაეის მონა-მოსამსახურედ აქცეედა, რომელსაც სხეადასხეაგვარი სამსახური უნდა გაეწია მისთვის. ამით საბოლოოდ დააკმაყოფილებდა მიცვალებულის სულს. ეს გახლდათ „მიცვალებულისადმი შეწირვის“ არსი კავკასიელ მთიელებში. მისი საფუძველი კი ისეე საიქიო ცხოვრების შესახებ წარმოდგენებში უნდა ვეძიოთ. ამ წარმოდგენით, სრულიად შესაძლებელია, რომ ერთი მიცვალებული საიქიოში მეორეს მოემსახუროს, უზიდოს წყალი, დაუკეროს ფეხსაცმელი და გაუკეთოს მრავალი სხეა რამ. მკვლელის მიცვალებულისადმი (მის მიერ მოკლულისადმი) „შეწირვისათვის“ კი საჭირო იყო განსამზერული რიგულური მოქმედებების ჩატარება სათანადო ფრაზების წარმოთქმით. მაგალითად, ქისტებში მკვლელი მის მიერ მოკლულისადმი „შესაწირად“ ამ უკანასკნელის საფლავზე უნდა დაეკლათ, რის შემდეგაც იგი საიქიოში მის მონა-მორჩილად გადაიქცეოდა. თუმცა ის, ვისაც საფლავზე კლავენ, თუ არ შედრეებოდა, მკედრისადმი „შეწირულად“ არ ითვლებოდა და იგი რომც მომკედარიყო, ასეთ შემთხვევაში მიცვალებულს სრულად ვერ დააკმაყოფილებდა¹ (ამ რიგულს შესანიშნავად აღწერს ეაქა-ფშაველა თავის „სტუმარ-მასპინძელში“).

აღსანიშნავია, რომ მოკლულის ნათესაობა შეიძლება დაეკმაყოფილებინა ისეთ მოქმედებას, რომელიც მკვლელის მოკვლასთან არ იყო დაკავშირებული, მაგრამ, ხალხის წარმოდგენით, იგივე მნიშვნელობა ჰქონდა, რაც სრულფასოვან სისხლის აღებას. იმავე ქისტებში (კერძოდ კი პანკისის ხეობაში მცხოვრებ ქისტებში) ფიქსირდება მოკლულის საფლავზე მკვლელის „შეწირვა“. იგი მოკლულის ოჯახის მიერ მკვლელის პატიების რიგულადის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია. ამ შემთხვევაში მკვლელის საფლავზე დაკვლა აღარ ხდება, თუმცა „შეწირვა“ მაინც ხორციელდება. როდესაც არსებობს პატიების საფუძველი (ძირითადად გაუფრთხილებელი, უნებლიე მკვლელობის დროს), მთელი სოფელი მიდის მოკლულის ოჯახთან პატიების სათხოვნელად, ხოლო მკვლელს მიცვალებულივით თეთრ სუდარაში გახეეულს წაიყვანენ და დააწვენენ საფლავზე, სადაც იგი ყველას გასაგონად თანხმდება, შეეწიროს მოკლულს და გახდეს საიქიოში მისი მოსამსახურე. თუ მოკლულის ოჯახი დასთანხმდა პატიებაზე, მაშინ მისი ახლო ნათესავი მიეა მკვლელთან და საფლავიდან წამოაყენებს მას². როგორც ჩანს, მკვლელის საფლავზე დაკვლა დროთა განმავლობაში გრანსფორმირდება, თანდათანობით სიმბოლურ ხასიათს იღებს და მკვლელის სიცოცხლის ხელყოფასთან აღარაა დაკავშირებული, თანაც იგი მკვლელის ახლობლების ინიციატივით მოკლულის ოჯახთან შერიგების მიზნით სრულდება. ამ შემთხვევაში მკვლელის სიმბოლური „შეწირვა“ სრულიად აკმაყოფილებს მოკლულის ოჯახს და ამიტომ სთანხმდება იგი ამ რიგულის შესრულების შემდეგ მკვლელთან შერიგებას. სისხლის აღების მიზანი ხომ მიცვალებულისადმი მისი მკვლელის შეწირვაა, მიცვალებულის სულს მხოლოდ ეს ფაქტორი აკმაყოფილებს. მოცემულ შემთხვევა-

¹ გ. დავითაშვილი, „მიცვალებულისადმი შეწირვა“, როგორც სასამართლო მტკიცებულების ელემენტი ქართულ ჩვეულებით სამართალში, ეურნ., „სამართალი“, 1999, № 15.

² გ. დავითაშვილი, ეაქა-ფშაველა და ქართული ჩვეულებითი სამართალი, კრ., „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 2, თბ., 1990, გვ. 40.

ში მკვლელი, მიცვალებულის მსგავსად თეთრ სუდარაში გახვეული, საფლავზე დაწოლილი, ყველას გასაგონად აცხადებს, რომ საიქიოში მოკლულის მოსამსახურე გახდება. ასეთი თანხმობა გადამწყვეტი მნიშვნელობისაა და თუ მკვლელი ნებაყოფლობით აკეთებს ამას სათანადო რიტუალის შესრულებით, ეს მოცემულ შემთხვევაში საკმარისადაა მიჩნეული მოკლულის ოჯახის მიერ, რადგან სისხლის ალების ძირითადი მიზანი შესრულებულია და იგი აღარ უნდა უფროსად მოკლულის სულის გამპეინებად დასრულდეს. ასეთი უსისხლო, სიმბოლური „შეწირვა“ მაჩვენებელი უნდა იყოს სისხლის ალების ინსტიტუტის შესუსტებისა. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს მხოლოდ განზრახვის გარეშე ჩადენილი მკვლელობის დროს არის შესაძლებელი. განზრახვი მკვლელობისას შერიგების, პატივის აღბათობა უკიდურესად მცირეა და, აქედან გამომდინარე, სიმბოლური შეწირვაც არ ხდება. ამ დროს სრულფასოვანი სისხლის ალება უფროა მოსალოდნელი. იგივე მნიშვნელობა აქვს ოსეთში ე.წ. თვითშეწირვის რიტუალს (კიფელდისინ): სამგლოვიარო განსაცემელში გამოწყობილი მკვლელი მიდის მოკლულის საფლავზე და ნებაყოფლობით ეწირება მას. ამის სანაცვლოდ კი მოკლულის ჭირისუფალნი პატიობენ მას¹.

ქართველი მთიელები მოკლულის საფლავზე მკვლელის დაკვლას არ იცნობდნენ, თუმცა სისხლის ალებათან დაკავშირებული „მიცვალებულისადმი შეწირვა“ მათთვისაც ცნობილი იყო. მაგალითად, ბესარიონ გაბუური გვამცნობს „მიცვალებულისადმი შეწირვის“ ჩვეულების თაობაზე ხევსურეთში. მისი თქმით, სისხლის ალებისას ხევსური მოკლულს ყურს მოსჭრიდა და ამით თავის მიცვალებულს შესწირავდა. ყურის მოჭრის შემდეგ მკვლელი (ამ შემთხვევაში მიცვალებულისადმი შემწირავი) წარმოთქვამს შეწირვის გამომხატველ სიტყვებს: „უნცროსიე ხარაე ჩემის ძმისაო, წყალსამც უზიდავა, გაბლასაე უმზადებაე, ჯღანთამე უბანდავაე, უნცროსადაე ყეიხარაე“². როგორც ჩანს, მიცვალებულისადმი „შეწირვის“ არსი ხევსურეთში იგივეა, რაც ქისტებში. აქ ყურადღებას იპყრობს შესაწირავისათვის ყურის მოჭრა. ეს სიმბოლური გამოხატულება უნდა იყოს იმისა, რომ ის, ვისაც ყურს სჭრიან, „ყურმოჭრილი“ მონა-მოსამსახურე ხდება საიქიოში მის მიერ მოკლულისა, ე.ი. იმისა, ვისაც მას „სწირავენ“. ეტყობა, ძველად ხევსურეთში სისხლის ალება სრულფასოვანი რომ ყოფილიყო, სისხლის ამღებს მისი ნათესავის მკვლელი თავისი მიცვალებულისადმი უნდა „შეეწირა“, რასაც საესებით უნდა დაეკმაყოფილებინა ამ უკანასკნელის სული. შედარების თეალსაზრისით, ძალზე სანინგერესოა ლიგორებში დაფიქსირებული ჩვეულება, რომლის მიხედვითაც, თუ მკვლელს მოკლულის ნათესავი მხოლოდ ყურს მოაჭრის, ესეც დამთავრებულ შურისძიებად ითვლება და ყურს ზეიმით მარხავენ მოკლულის საფლავში³. იმავეს ვხვდებით ყაბარდოელებსა და ჩერქეზებშიც⁴.

¹ М. Ковалевский, Современный обычай и древний закон, т.2, стр. 10.

² ბ. გაბუური, ხევსურული მასალები, „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წილნაწილი“, I-II, 1923-1924, გვ. 178-179.

³ Н. Берзенов, Дигория. "Закавказский вестник", 1852, №39.

⁴ М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, т.1, М., 1888, стр. 34.

როგორც ჩანს, ამ ხალხის რწმენით, მკვლელისათვის ყურის მოჭრა მისი მოკვლის გარეშეუ კი აკმაყოფილებს მიცვალებულს, რადგანაც ასეთ შემთხვევაში მკვლელი მიცვალებულის „ყურმოჭრილი“ მონა იქნება საიქიოში – მიცვალებულის სურვილი კი სწორედ ეს არის.

სისხლის ალების მიმართ არაეითარი ხანდაზმულობის ვადა არ მოქმედებს. მოსისხლეობა თაობიდან თაობას გადაეცემა. შურისძიება ან მოსისხლეთა შერიგება შესაძლოა, შვილიშვილთა და შვილთაშვილთა თაობაში მოხდეს.

სისხლის ალების სუბიექტთა თუ ობიექტთა წრე, ცხადია, გეაროვნულ პრინციპზეა დაფუძნებული. თავდაპირველად მთელი გვარის ვალდებულებაა მოკლული მოგვარის გამო სისხლის ალება. სისხლის ალების ობიექტაც შეიძლება მკვლელი ან მისი საგვარეულოს ნებისმიერი წარმომადგენელი ყოფილიყო (ცხადია, მხედველობაშია სრულწლოვანი მამაკაცები). შემდეგ იკეთება როგორც სისხლის ალების სუბიექტთა, ისე ობიექტთა წრის თანდათანობით შემცირება. ეს გეაროვნული ურთიერთობების შესუსტების კვალდაკვალ ხდება. დროთა განმავლობაში გვარი განსაზღვრულ სტრუქტურულ ერთეულებად იყოფა („სამხუზი“ – სვანეთში, „მამიშვილობა“ – ხევსურეთში). სწორედ ეს ნათესაური ერთეულები წარმოადგენენ სუბიექტებს სისხლ-მოსისხლეობის გამო წარმოშობილ ურთიერთობაში. ე.ი., უკვე არა მთელი გვარი, არამედ გვარის შემადგენელი ახლო ნათესაური ერთეულია ვალდებული, იძიოს შური. იგივე ითქმის სისხლის ალების ობიექტთა წრეზეც. ეს წრე შემდგომშიც შევიწროების ტენდენციას იჩენს და უშუალოდ მკვლელით, მისი ოჯახის წევრებით ან ახლო ბიძაშვილებით შემოიფარგლება. მკვლელის ნათესავს, რომელიც შესაძლოა, სისხლის ალების ობიექტი გამხდარიყო, შეეძლო ნათესაობა გაეყარა მკვლელთან, სათანადო რიგუალის შესრულებით. ამის შემდეგ დაზარალებულები მას ვეღარ შეეხებოდნენ, თუმცა ეს სირცხვილად ითვლებოდა. ხალხის თეაღში ასეთი პიროვნება ნათესავის გასაჭირში მიმტოვებლად ჩაითვლებოდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საპასუხო მკვლელობა არ იწვევს სისხლ-მოსისხლეობის შეწყვეტას, იგი ახალი შურისძიების საფუძველია. ერთი მკვლელობის საფუძველზე წარმოშობილ სისხლ-მოსისხლეობას შესაძლოა, ორივე მხრიდან რამდენიმე მსხვერპლი გამოეწვიო. ამ თვალსაზრისით არაეითარი ზღვარი არ არსებობდა. სისხლ-მოსისხლეობას თან სდევდა სახლ-კარის გადაწვა, მკვლელის და მის ნათესაეთა აყრა და სხვაგან გადასახლება და სხვა. ყოველივე ეს მოსისხლე გვარების ურთიერთგანადგურების საფრთხეს ქმნიდა. თვითგადარჩენის ინსტინქტი, იმის შეგნება, რომ შეუბღუდავი სისხლ-მოსისხლეობა აბსოლუტურად უდანაშაულო ადამიანებს უქმნის უზარმაზარ პრობლემებს, უბიძგებს სამოგადოებას, დააწესოს კომპოზიციათა სისტემა – გამოსასყიდი სხვადასხვა დანაშაულისათვის, მათ შორის მკვლელობისათვის. ეს იყო კაცობრიობის უდიდესი მიღწევა. კომპოზიციათა სისტემის დაწესება მოსისხლეთა შერიგების გარანტიაა. ამით ხდება ზღვარის დადება სისხლ-მოსისხლეობისათვის, რადგანაც უკვე შესაძლებელია მტრების მორიგება, ხოლო დაზარალებული მხარე გარკვეულ კომპენსაციას იღებს დაკარგული ნათესავისათვის.

სამოგადოებრივი განვითარების გარკვეულ ეტაპზე კომპოზიციათა სისტემა საქართველოშიც მკვიდრდება. იგი ჯერ კიდევ ჩვეულებითი სამართლის ბატონობის პერიოდში ჩნდება. თავდაპირველად ყველა ადამიანის სიციცხლე თანაბრად უსდებდა, შემდეგ კი სამოგადოების სოციალური დიფერენციაციის ფონზე სხვადასხვა წოდების თუ სახელოს წარმომადგენლისათვის განსხვავებული კომპოზიცია დგინდება. ეს კარგად ჩანს გიორგი ბრწყინვალის, ბექა-ალბუღასა და ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნებში. რაც შეეხება საქართველოს მთიანეთს (მაგ., ფშავი, ხევსურეთი და სხვა), აქ სამოგადოების სოციალური დიფერენციაცია არ მისულა იმ დონემდე, რომ სახელმწიფო ხელისუფლება ჩამოყალიბებულიყო და ბოლომდე შემორჩა (XIX-XX საუკუნემდე) თანაბარი კომპოზიცია ნებისმიერი მამაკაცის მკვლელობისათვის. კომპოზიციის გადახდას მოსისხლეთა შერიგება შეიძლებოდა მოჰყოლოდა როგორც პირველივე მკვლელობის შემდეგ, ასევე ორივე მხრიდან მომხდარი მკვლელობების შემდეგაც. იმ რეგიონებში, სადაც ჩვეულებითმა სამართალმა დიდხანს შეინარჩუნა პოზიციები (სვანეთი, ხევსურეთი), კომპოზიციათა სისტემა მხოლოდ სისხლის აღების ინსტიტუტის პარალელურად არსებობდა.

საქართველოს მთის რეგიონებში მაინც სირცხვილად ითვლებოდა, როდესაც მოკლულის ნათესაობა სისხლს არ აიღებდა და ისე შეურიგდებოდა მკვლელის მხარეს, ცხადია, კომპოზიციის მიღების პირობით (ე.ი., სირცხვილია მკვლელისაგან გამოსასყიდის მიღება, „სისხლის“ გაყიდვა). როგორც ჩანს, ძველი გრადიცია ძალზე მყარადაა ჩაბუდებული ადამიანთა ცნობიერებაში. მიუხედავად ამისა, ასეთი შემთხვევები იშვიათი არ იყო, რაც კომპოზიციის სისტემათა შემოღების დაღების მნიშვნელობას წარმოაჩენს. ამ დროს, შერიგების მომენტში მკვლელის მხარე პირობას დებდა, არ წამოაძახებდა დამარალებულებს იმას, რომ მას მკვლელობა შერჩა. ასეთი წამოაძახება, შერიგების მიუხედავად, შურისძიების განახლების საფუძველი იყო.

საინტერესოა, თუ როგორ ხდება კომპოზიციათა სისტემის წარმოშობა. როგორც აღვნიშნეთ, ამის საფუძველი ისაა, რომ სამოგადოებაში ჩნდება შეგნება შურიძიების შეჩერების, ზღვარის დაღების აუცილებლობისა. მაგრამ როგორია პროცესი კომპოზიციათა სისტემის ჩამოყალიბებისა? ამ საკითხს შეეხო მ. კოეალექსი. იგი აღნიშნავს, რომ სხვადასხვა ხალხში კომპოზიციათა სისტემაზე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გადავიდნენ. ეს გადასვლა, მისი თქმით, ძალზე ბუნებრივად განხორციელდა. ცნობილია, რომ მკვლელობის შემდეგ მკვლელი გოვებდა თავის საცხოვრისს და სხვაგან გადაიხვეწებოდა. თუ დამარალებულ მხარეს არ შეეძლო განეხორციელებინა თავისი შურისძიება, იგი მკვლელის სახლ-კარს, მამულს და საერთოდ მთელ ქონებას ეუფლებოდა. როდესაც დღის წესრიგში დადგა კომპოზიციის განსაზღვრა ადამიანის მკვლელობისათვის, მხედველობაში იქნა მიღებული სწორედ ოჯახის ქონების შესაძლოდ მაქსიმალური ღირებულება¹. როგორც ჩანს, კომპოზიციათა სისტემის ჩამოყალიბებისას ადამიანის სიციცხლისა და ღირსების

¹ М. Ковалевский, Современный обычай и древний закон, т.2, М., 1986, стр. 54,60.

მაგერიული შეფასება არ მომხდარა. თუ რა ღირს ადამიანის სიცოცხლე და ღირსება, ეს ძველი ადამიანისათვისაც ისეთივე გადაუჭრელი პრობლემა იყო, როგორც თანამედროვე ადამიანისათვისაა¹. უნდა ითქვას, რომ ქართულ ჩვეულებით სამართალშიც კომპოზიციათა სისტემა, ადამიანის მკვლელობისათვის გადასახადის დაწესება იმავე მექანიზმით უნდა განსორციელებულიყო. ამაზე მიუთითებს თუნდაც ის გარემოება, რომ ხევსურული სამართლით მკვლელის ქონების, მამულის დაუფლება დაზარალებული მხარის მიერ იწვევდა „სისხლის“ დაკარგვას. ეს კარგად ჩანს ალ. ოჩიაურის მასალებში; იგი მიუთითებს: „მკვლელი თუ სახლ-კარს და მიწა-წყალს თავს დაანებებდა და სადღაც გაიხიზნებოდა, იმის სახლ-კარს და მამულს დაზარალებულის მეპატრონე დაეპატრონებოდა და სისხლი ამით იკარგებოდა. ხოლო ამ მამულს სამუდამოდ უნახავდნენ, ვინიყობა არის, რომ დაზარალებულის გვარს დამნაშაის გვარიდან ვინმე მოეკლა, ისეც იმ მამულს დაუბრუნებდნენ“². ასეთი ჩვეულების არსებობა ჯერ კიდევ კომპოზიციათა სისტემის ჩამოყალიბებამდე უნდა ვივარაუდოთ. შურისძიების სანაცვლოდ დაზარალებულს შეეძლო, გახიზნული მკვლელის ქონებას დაეპატრონებოდა. აქედან გამომდინარე, სრულიად შესაძლებელია, რომ „კაცის თავი“ (კომპოზიცია მამუკაცის მკვლელობისათვის) ხევსურეთში, ვთქვათ, შეძლებული ოჯახის მამულის ღირებულების მიხედვით შეფასებულიყო. საერთოდ, ხევსურეთში ვხედებით შემთხვევებს, როდესაც „სისხლში“ მამულის აღება ხდება, სვანეთში კი მკვლელობისათვის გადასახადის – „წორის“ – განმსაზღვრელი სწორედ მამული იყო.

¹ М. Ковалевский, Современный обычай и древний закон, т.2, М., 1986, გვ. 60.

² ალ. ოჩიაური, მომთაბარეობა ხევსურეთში, კრ. „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 2, გვ. 172.

*საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი, იურიდიულ მეც-
ნიერებათა დოქტორი, პროფესორი*

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის როლი იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში

იურიდიული მეცნიერება მთლიანად საზოგადოებრივი მეცნიერების ერთ-ერთი დარგია, ხოლო სახელმწიფოსა და სამართლის თეორია – თვით იურიდიული მეცნიერების ერთ-ერთი წამყვანი დარგი. მისი საგანია განსაზღვრული საზოგადოებრივი მოვლენების – სახელმწიფოსა და სამართლის შესწავლა ზოგადად, მთლიანად. იგი არკვევს სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობისა და განვითარების საერთო კანონზომიერებებს, იხილავს და წყვეტს ისეთ პრობლემებს, რომლებიც საერთოა იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში შემაჯავლი ყველა სხვა, ან ზოგიერთი დარგისათვის, იძლევა პასუხს სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ ყველაზე არსებით, ძირეულ საკითხებზე. სწორედ ამიტომაც ამ მეცნიერებას ხშირად უწოდებენ სახელმწიფოსა და სამართლის ზოგად თეორიას, რომელსაც გარკვეული მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს იურიდიული მეცნიერების სხვა დარგებისათვის. მას უწოდებენ, აგრეთვე, სამართალმცოდნეობის ფუნდამენტურ მეცნიერებას, რამდენადაც მისი დანიშნულებაა სახელმწიფოსა და სამართლისათვის დამახასიათებელი ძირითადი არსებითი ნიშნების, შინაგანი კავშირებისა და კანონზომიერებების გლობალურად შესწავლა, განმაზოგადებელი და დასაყრდენი თეორიული დასკვნების შემუშავება.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის მიერ ჩამოყალიბებული ამ ზოგადი დასკვნების, ცნებებისა და პრინციპების საფუძველზე სპეციალური, ე.წ. დარგობრივი იურიდიული მეცნიერებანი შეისწავლიან მხოლოდ სამართლებრივი მოვლენების კონკრეტულ ჯგუფს, სახელმწიფოს საქმიანობის ერთ რომელიმე მხარეს. სახელმწიფოსა და სამართალს რომ ერთი მეცნიერება შეისწავლის, ეს გარემოება იმითაა განპირობებული, რომ მათ შორის განუყოფელი კავშირი არსებობს. ისინი ერთდროულად წარმოიშენენ და ვითარდებიან, სახელმწიფოს არსებობა წარმოდგენილია სამართლის გარეშე, ისევე როგორც სამართლის არსებობა სახელმწიფოს გარეშე, სამართლის ნორმების შესრულება განუხორციელებელი იქნებოდა სახელმწიფოებრივი იძულების უნარის, სათანადო სახელმწიფო აპარატის არარსებობის პირობებში.

ამავე დროს, ბუნებრივია, რომ დასახელებული ორი საზოგადოებრივი მოვლენის – სახელმწიფოსა და სამართლის შემსწავლელი მეცნიერების ერთ დარგად ჩამოყალიბებასთან ერთად, შესაბამის სასწავლო კურსში და სასწავლო ღისციპლინაში გაერთიანებულია სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემები. მისი საგანი და კვლევის ობიექტი წმინდა თეორიული მასალაა, მაშინ როდესაც დარგობრივი იურიდიული ღისციპლინების შესწავლის ობიექტი უმთავრესად ნორმატიული მასალაა.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის მეცნიერება ასეთი სახელწოდებით შემოდის იურიდიულ ლიტერატურაში გასული საუკუნის პირველ ათწლეულებში, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირსა და სხვა ე.წ. სოციალისტურ ქვეყნებში, სპეციალური მონოგრაფიებისა და სასწავლო გამოცემების ავტორთა ნაშრომებში. მანამდე უფრო მეტად სამართლის თეორიაზე იყო გამახვილებული ყურადღება და შედარებით ნაკლებად იკვლევდნენ და შეისწავლიდნენ უშუალოდ სახელმწიფოსთან დაკავშირებულ პრობლემებს, ვიდრე სამართლისას, სახელმწიფოს წინაშე სამართალს უფრო პრიორიტეტულ როლსა და მნიშვნელობას ანიჭებდნენ საზოგადოების განვითარებაში. ასეთმა ტენდენციებმა თანამედროვე პერიოდშიც იჩინა თავი სამართლისმცოდნეთა წრეებში, რაც არ მიმართავს საესეებით დასაბუთებულად და, მით უმეტეს, უდავოდ. ამ საკითხს ვრცლად არ შევხებით, მაგრამ სტატიის თემის კონტექსტში ზოგადად მაინც ჩამოვყალიბებ ჩემს მოსაზრებას, რასაც, ცხადია, სხვა ავტორებიც იზიარებენ.

როგორც ცნობილია, თანამედროვე მეცნიერება მიიჩნევს, რომ სახელმწიფო და სამართალი ერთდროულად წარმოიშობა ადამიანთა საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ეს პროცესი ერთი და იმავე კანონზომიერებითაა განპირობებული, ხოლო მათი შემდგომი განვითარება და არსებობა ერთმანეთთანაა დაკავშირებული. ამ ურთიერთკავშირში ერთ-ერთისათვის უპირატესობის მინიჭება, რომელიმე მათგანის მეტი ან ნაკლები როლისათვის ხაზგასმა ადამიანთა ცხოვრებაში, ამჟამად სწორი არ იქნებოდა. ეს ურთიერთკავშირი მათი ურთიერთგემოქმედებისა და ურთიერთუკუმგემოქმედების პროცესში ხორციელდება. მაგრამ, მიუხედავად ასეთი მჭიდრო ურთიერთკავშირისა, მათი შემსწავლელი მეცნიერების – სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის მიერ ცალკეული პრობლემების დამუშავება, კონკრეტულ მოვლენათა მხარეებისა და თვისებების დადგენა, მათი ცნებებისა და განსაზღვრებების ჩამოყალიბება ერთად ხომ არ შეიძლება ხდებოდეს, ზუსტად ერთდროულად ხომ არ შეიძლება განიხილებოდეს? არც ზეპირად და არც წერილობით შეიძლება ერთდროულად ორი მოვლენის შესახებ მსჯელობა. ჯერ ერთი რიგის მოვლენათა განხილვა და მსჯელობაა საჭირო მეორე რიგის მოვლენათა მონაცემების გათვალისწინებით, შემდეგ კი მეორე რიგის მოვლენათა შესწავლა და მსჯელობა პირველი რიგის მოვლენათა მონაცემების გათვალისწინებით.

ამიგომ საესეებით გამართლებულია, რომ სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის მეცნიერება ამ მოვლენათა კვლევისა და შედეგების უფექტურობის უზრუნველსაყოფად გამოყოფს თავის ორ ნაწილს: სამართლის თეორიას და სახელმწიფოს თეორიას. და ესნაიდან სამართლის თეორიის

არსებობა უკვე რეალობაა, აუცილებლად უნდა არსებობდეს სახელმწიფოს თეორია; ერთობლიობაში კი ისინი შეადგენენ სახელმწიფოსა და სამართლის თეორიას, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგად თეორიას. რაც შეეხება სიკვყას – „ზოგადი“, ამ მეცნიერების სახელწოდებაში, როგორც უკვე მემოთ აღვნიშნეთ, სწორედ იურიდიული მეცნიერების ამ დარგის შინაარსიდან და მისი კვლევის საგნის შინაარსიდან გამომდინარე, მეცნიერთა დიდი ნაწილი თანდათან იხრება იქითკენ, რომ დარგის სახელწოდებაში მონაწილეობდეს სიკვყა ზოგადი; თუმცა, რომც არ იყოს, მაინც იგულისხმება. ამასთან დაკავშირებით უნდა აუცილებლად მოვიყვანოთ ერთი მეგად საინგერესო და საგულისხმო ფაქტი ამ დარგისა და სასწავლო დისციპლინის შესახებ, რომელიც იკითხებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

1926 წელს „ტფილისის უნივერსიტეტმა“ გამოსცა ამ ახალშექმნილი უმაღლესი სასწავლებლის ერთ-ერთი პირველი პედაგოგის, იურისტის, შემდგომში ცნობილი პროფესორისა და სისხლის სამართლის კათედრის გამგის ალექსანდრე ვაჩიშვილის წიგნი „სამართლის ზოგადი თეორია“. მას ოფიციალურად არ ჰქონდა მინიჭებული სახელმძღვანელოს გრიფი, მაგრამ თავისი შინაარსით სავესებით შეეძლო ამ ფუნქციის შესრულება იმ თემებთან დაკავშირებით, რომლებიც ავტორმა მასში შეიგანა. საბჭოთა პერიოდში, რბილად რომ ვთქვათ, ამ წიგნს რეკომენდაციას არ უწევდნენ როგორც სრულფასოვან სახელმძღვანელოს, იმის გამო, რომ იგი „არ იყო დაფუძნებული მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის პრინციპებზე“ და აგრეთვე „კრიტიკულად არ განიხილავდა“ იმ ბურჟუაზიულ თეორიებს სამართლის არსის შესახებ, რომლებიც დახასიათებულია წიგნში. ეს თეორიებია: ბუნებითი სამართლის თეორია, საერთო ნების თეორია, თავისუფლების თეორია, იძულების თეორია, ინგერესთა დაცვის თეორია, კორკუნოვის თეორია, მურომცევის თეორია, პეტრაფიციის თეორია, იერინგის თეორია, სამართლის ისტორიული სკოლა. სინამდვილეში დასახელებული თეორიების დახასიათება გადმოცემულია იყო უცხო ენების მცოდნე მეცნიერის მიერ პირველწყაროების გამოყენების საფუძველზე და იმსახურებდა მაღალ შეფასებას, ისევე როგორც წიგნში განხილული სხვა საკითხები. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ეს ნაშრომი სამუბეურო იშვიათობაა და მეგად მიზანშეწონილი იქნებოდა მისი ახლად გამოცემა სათანადო რედაქტირებით.

ამჟამად კი, ჩენი სგაგის თემიდან გამომდინარე, მკითხველის ყურადღებას გაეამახვილებ ავტორის მოსაზრებაზე, რომ მეცნიერების ამ დარგს უნდა ეწოდებოდეს არა უბრალოდ სამართლის თეორია, არამედ სამართლის ზოგადი თეორია. ეს პოზიცია მას დასაბუთებული აქვს წიგნის წინასიტყვაობაში. იგი მიუთითებს: „სამართლის ზოგად თეორიას, როგორც იურიდიულ მეცნიერებას, უცილობლად დიდი მნიშვნელობა აქვს. მას შეჰყავს მოსწავლე იურიდიულ მეცნიერებათა სისგემაში; იგი აძლევს მოსწავლეს სამართლის ძირითადი საფუძვლების ცოდნას... ამ წიგნს მიზნად აქვს დასახული, სგუდნგობას დახმარება გაუწიოს სამართლის ზოგადი ცნებების შესწავლასა და შეთვისებაში, მისცეს მას სახელმძღვანელო

პრინციპები, რომელთა საშუალებითაც შემდგომში უფრო ადვილად გაერკვევა ცალკე იურიდიულ დისციპლინებში“. ამასთან დაკავშირებით პროფ. ვაჩიშვილი ეყრდნობა და იზიარებს რევოლუციამდელი რუსი მეცნიერების შეხედულებებს, რომლებიც გამოთქმულია მათ ნაშრომებში: „Н.М. Коркунов, Общая теория права; Г.Ф. Шершеневич, Общая теория права, და სხვა.

გარდა ამისა, თავის წიგნში პროფესორი ვაჩიშვილი ეხება სამართლის ზოგადი თეორიისა და სამართლის ფილოსოფიის, აგრეთვე, სამართლის ენციკლოპედიის თანაფარდობის საკითხებს. იგი მიმოიხილავს ზოგიერთი ავტორის შეხედულებებს, რომელთა მიხედვით სამართლის ზოგადი თეორია გაიგივებულია სამართლის ფილოსოფიასთან, ზოგიერთის მიხედვით კი, სამართლის ფილოსოფია არის ფილოსოფია კომპიტიურ სამართალში და იკელევს სამართლის საფუძვლებს იმ სფეროში (სოციალურსა და კულტურულში), სადაც სამართალი შეადგენს მხოლოდ ნაწილს. ამ შემთხვევაში პროფესორი ვაჩიშვილი არცერთ განხილულ შეხედულებას არ აძლევს უპირატესობას და შემოიფარგლება მხოლოდ მათი გადმოცემით.

თანამედროვე იურიდიული მეცნიერება, ცხადია, გვერდს ვერ აუვლის სამართლის ფილოსოფიასთან ურთიერთდამოკიდებულების საკითხს. პირველყოფლისა კი, ეს ეხება სახელმწიფოსა და სამართლის ზოგად თეორიას, რომელსაც, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს იურიდიული მეცნიერების სხვა დარგებისათვის. თუ აზრთა სხვადასხვაობას გავითვალისწინებთ ფილოსოფოსებსა და იურისტებს შორის, ასევე ცალ-ცალკე თვით იურისტებსა და თვით ფილოსოფოსებს შორის, ჩვენი აზრით, მეტი საფუძველი ექნება იმ დასკვნას, რომ სამართლის ფილოსოფია უფრო ფილოსოფიაა, ვიდრე სამართალი და მეცნიერება, რომელიც იკელევს. უფრო მარტივად კი, ეს არის ფილოსოფია სამართლის შესახებ, რომელიც სწავლობს სამართლის სოციალურ საფუძვლებს. სწორედ ამ დებულებიდან უნდა გამოვდიოდეთ, როდესაც ვმსჯელობთ სახელმწიფოსა და სამართლის თეორიასა და სამართლის ფილოსოფიას შორის განსხვავებისა და მათი ურთიერთდამოკიდებულების საკითხებზე.

აღნიშნულ პრობლემებზე მომუშავე თანამედროვე რუსეთის უკვე ცნობილი სამართალმცოდნეებიდან სამართლის ფილოსოფიის საკითხებს სპეციალური ნაშრომები მიუძღვნეს: ს. ალექსეევი, ჯ. ქერიშვილი, ვ. ნერსე-სიანცმა, ი. გიხომიროვი და სხვებმა. მათი საერთო აღიარებით, სამართლის ფილოსოფია ისეთი მეცნიერებაა, რომლის დანიშნულებაა მსოფლმხედველობითი პოზიციებიდან სამართლის ახსნა მისი სოციალური განპირობებულობიდან და აღამიანის ყოფიერების არსიდან გამომდინარე. სხვა სიტყვებით, თითქმის იმავე შინაარსისაა სამართლის ფილოსოფიის საგნად სამართლებრივი ყოფიერების ლოგიკის, დიალექტიკისა და შემეცნების დამუშავების მიჩნევა. ეს გასაგებიც უნდა იყოს, ვინაიდან საერთოდ ფილოსოფიას იმიტომ მიეწერება მსოფლმხედველობითი ფუნქცია, რომ იგი შეიმუშავებს ზოგად შეხედულებებს გარე სამყაროსა და მასში აღამიანთა ყოფიერების შესახებ, ამასთან, როგორც ს. ალექსეევი აღნიშნავს, სამართალმცოდნეობის მიერ ფილოსოფიური კატეგორიების არა გამოყენებას, არამედ სამართალმცოდნეობის მჭიდრო ინტეგრირებას ფილოსოფიურ

იღებთან. ქართველი მკითხველისათვის საინტერესო იქნება პროფესორ ვია ხუბუას ამ საკითხებზე მუშაობის პირველი შედეგები, რაც ჩამოყალიბებულია მის მიერ უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შემოღებულ სალექციო კურსში და ბოლო წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომებში.

სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის სხვა მეცნიერებებთან კავშირის არსებობის განსაზღვრისას პროფესორი ალექსანდრე ვაჩეიშვილი ბევრთს ხსენებულ ნაშრომში მიუთითებს სამართლის ენციკლოპედიის ცნებაზე, რომელიც გავრცელდა რევოლუციამდე რუსულ ლიგერატურაში /ნ. კორკუნოვი, ე. ტრუბეცკოი, გ. შერშენევიჩი, ნ. რენენკამპფი/, თუმცა ენციკლოპედიური ხასიათის იურიდიული ლიგერატურა მანამდე არსებობდა დასავლეთი ევროპის ქვეყნებში. პროფ. ვაჩეიშვილი მიუთითებს, რომ ენციკლოპედია, საერთოდ აღებული, არ ნიშნავს ცალკე მოძღვრებას, რომ იგი წარმოადგენს ამა თუ იმ წესის მიხედვით მეცნიერებათა რომელიმე ჯგუფის, ანდა ყველა მეცნიერების შინაარსის მიმოსილვას და წმინდა თეორიული თეალსაშრისით არ შეაქვს მეცნიერებაში ახალი ცოდნა. თუკი სამართლის ენციკლოპედია გვაწვდის სამართლის საფუძვლების, მისი ძირითადი თვისებების ცოდნას, ამ სახით სინამდვილეში იგი არის სამართლის ზოგადი თეორია. რევოლუციამდელი რუსი მეცნიერი შერშენევიჩი იმავეს გულისხმობს, როცა ამბობს, რომ სამართლის ენციკლოპედია იწყებს დაახლოებას სამართლის ფილოსოფიასთან.

სამართლის ფილოსოფიის გარდა სახელმწიფოსა და სამართლის თეორია მეტ-ნაკლებად დაკავშირებულია სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებთან, რომელთაგან თითოეულს თავისი კვლევის საგანი გააჩნია, მაგრამ საქმე აქვთ სახელმწიფო-სამართლებრივ მოვლენებთანაც. მათ შორის აღსანიშნავია კავშირი ეკონომიკურ მეცნიერებებსა და პოლიტოლოგიასთან, სოციოლოგიასა და ფსიქოლოგიასთან, ისტორიასა და არქეოლოგიასთან, მაგრამ ამ შემთხვევაში ყურადღებას შევაჩერებ სახელმწიფოსა და სამართლის ურთიერთობაზე ე.წ. დარგობრივ იურიდიულ მეცნიერებებთან. თავიდანვე ისიც უნდა აღინიშოს, რომ ეს ურთიერთობა არ არის ცალმხრივი. ზოგად თეორიას თავისი კვლევისათვის ესაჭიროება და სარგებლობს სამართლის ცალკეული დარგის მონაცემებით, ხოლო დარგობრივი მეცნიერებანი სახელმწიფო და სამართლის ზოგადი თეორიისაგან ღებულობენ ზოგად ცნებებს და ღებულებებს თავისი კვლევის საგნების არსში გარკვევისათვის.

ღაღიწყით სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის მეცნიერებიღან, რომელიც თეორიულ-ისტორიული მეცნიერებაა და სწავლობს სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობისა და განვითარების კონკრეტულ პროცესებს ცალკეულ ქვეყანაში, ქვეყნების გარკეულ ჯგუფში, ან ყველა ქვეყანაში. ამისათვის კი საჭიროა სახელმწიფოსა და სამართლის არსის სწორი გაგება და მათი საერთო კანონზომიერების ცოდნა, რასაც სახელმწიფოსა და სამართლის თეორია იძლევა. ამ საერთო კანონზომიერებების ღადგენისათვის კი სახელმწიფოსა და სამართლის თეორია სარგებლობს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის მეცნიერების მიერ ცალკეული ეპოქის იურიდიული ძეგლებისა და სხვა ფაქტების შესწავლისა და შეფასების შედეგებით. ასევე მჭიდრო კავშირი აქვს სახელმწიფოსა და სამართ-

ლის თეორიას ისეთ მეცნიერებასთან, როგორცაა პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია. იგი სწავლობს სახელმწიფოსა და სამართლის არსის შესახებ უმთავრესი იდეების, შეხედულებების, თეორიების არსებობას და განვითარებას უძველესი დროიდან თანამედროვე პერიოდამდე. ხოლო იმისათვის, რომ ამ მეცნიერებამ სწორი შეფასება მისცეს ამა თუ იმ პოლიტიკურ მოძღვრებას, პოლიტიკურ მიმდინარეობას და პოლიტიკური მოაზროვნის შეხედულებებს, მან უნდა გამოიყენოს ამოსავალი დებულებების სახით სახელმწიფოსა და სამართლის ისეთი გაგება, როგორცაა იძლევა სახელმწიფოსა და სამართლის თეორია. ამრიგად, პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია იურიდიული მეცნიერების ერთ-ერთი დარგია, რომელიც განსხვავდება პოლიტოლოგიისაგან, რომელიც ბოლო ხანებში ჩამოყალიბდა, როგორც მეცნიერების დამოუკიდებელი დარგი. მისი შესწავლის ობიექტია პოლიტიკის ფართო სპექტრი, საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის მთელი სისტემა, რომლის მხოლოდ ერთი ელემენტია სახელმწიფო. ამიგომ მის მიერ თავისი კვლევის საგნის მასალად გამოიყენება ისტორიის, ეკონომიკის, კულტურის საერთაშორისო ურთიერთობების მშვიდობისათვის ბრძოლის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და ბევრი სხვა სფერო.

ვანსაკუთრებითაა გამოხატული სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის წამყვანი და წარმმართველი როლი დარგობრივ იურიდიულ მეცნიერებათა მიმართ, რის შესახებაც უკვე აღენიშნეთ ამ სტაგიის დასაწყისში. ზოგადი თეორიის მიერ შემუშავებული ცნებებისა და დებულებების გამოყენების გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების კონკრეტული სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების ფორმულირება და მათი შესწავლა კონკრეტული დარგის იურიდიულ მეცნიერებათა მიერ. ამიგომ მხოლოდ სახელმწიფოსა და სამართლის თეორიას შეუძლია შეიმუშაოს და ჩამოაყალიბოს განმამოგადებელი ცნებები, რომელთა საფუძველზე ეს დარგობრივი სამართლებრივი მეცნიერებანი და შესაბამისი სამართლებრივი დისციპლინები ურთიერთგაგების დამყარებით გადაწყვეტენ თავიანთ კომპლექსიში შემავალ საკითხებს და საზოგადოებისათვის მისაწვდომს გახდიან კვლევის შედეგებს.

თუ, მაგალითად, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია ჩამოაყალიბებს სამართლებრივი ურთიერთობის ზოგად ცნებას, როგორც ადამიანთა შორის ისეთ ურთიერთობას, რომლის მონაწილეებს ერთიმეორის მიმართ გააჩნიათ სამართლის ნორმით დადგენილი უფლებები და მოვალეობები, კონკრეტული დარგობრივი მეცნიერებანი: კონსტიტუციური სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, სამოქალაქო სამართალი, სისხლის სამართალი, შრომის სამართალი და სხვა, ამ ზოგადი ცნების საფუძველზე თითოეული მათგანი შესაბამისად შეისწავლის: კონსტიტუციურსამართლებრივ ურთიერთობებს, ადმინისტრაციულსამართლებრივ ურთიერთობებს, სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებს, სისხლისსამართლებრივ ურთიერთობებს, შრომისსამართლებრივ ურთიერთობებს, იმ სპეციფიკურობის გათვალისწინებით, რომლებიც გააჩნიათ ამ კონკრეტული დარგების სამართლებრივ ურთიერთობებს. იგივე ითქმის თეორიის მიერ ჩამოყალიბებული სხვა ზოგადი ცნებების მიმართ, მაგალითად: სამართ-

ლის ნორმა, სამართლის წყარო და ა.შ. ამის საფუძველზე კონსტიტუციური სამართლის მეცნიერების დარგი შეისწავლის კონსტიტუციური სამართლის ნორმებს, კონსტიტუციური სამართლის წყაროებს; აღმინისტრაციული სამართლის მეცნიერების დარგი – აღმინისტრაციულსამართლებრივ ნორმებს, აღმინისტრაციული სამართლის წყაროებს და ა.შ.

იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის როლის შესახებ ჩვენი ზემოთ მოყვანილი მოსაზრებების საფუძველზე შემდეგ დასკვნამდე მივდივართ:

მეცნიერების ამ დარგის სახელწოდებებიდან პრიორიტეტი უნდა მიეცეს „სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია“ სახელწოდებას „სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის“ სახელწოდების წინაშე. მაგრამ, ცხადია, სანამ რომელიმე მათგანი მყარად არ დამკვიდრდება მეცნიერებაში, ყველას შეუძლია, თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს ერთ-ერთი მათგანი. მე კი გადაწყვეტილი მაქვს, ამიერიდან და შემდგომში „სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია“ ჩავთვალოთ მიზანშეწონილად მეცნიერების ამ დარგისა და შესაბამისი სასწავლო კურსის დასახელებისას.

ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 1995.
2. ა. ვაჩიშვილი, სამართლის ზოგადი თეორია, თბ., 1926.
3. გ. ზუბუა, სამართლის ფილოსოფიის საგნის საკითხისათვის, გ. ინჭიკიშვილის საიუბილეო კრებულში, თსუ-ის გამომცემლობა, თბ., 2002.
4. С.С. Алексеев, Философия права. М., 1999. Изд-во «Норма».
5. Н.Н. Алексеев, Идея государства, С-Пб., 2001. Изд-во «Лань».
6. Жан-Лун Бержелъ, Общая теория права, М., 2000. Изд-во «NOTABENE».
7. Н.М. Коркунов, Общая теория права, С-Пб., 1909.
8. Проблемы теории государства и права, Учебное пособие, под редакцией, М.Н. Марченко, 1999.
9. П.Е. Недбайло, Введение в общую теорию права, Киев, 1971.
10. В.С. Нерсесянц, Юриспруденция – Введение в курс общей теории права и государства, М., 1999, Изд-во «Норма».
11. В.С. Нерсесянц, Проблемы общей теории права и государства, М., 2002, Изд-во «Норма».
12. В.Н. Протасов, Теория права и государства, М., 1999, изд-во «Новый юрист».
13. Ю.В. Тихомиров, Основы философии права, М., 1911.
14. Е. Трубецкой, Лекции по энциклопедии права, С-Пб., 1913.
15. В.Н. Хрананиук, Теория государства и права, М., 1997.
16. Теория государства и права, Учебник для вузов, под редакцией В.М. Корельского и В.Д. Перевалова, М., 1999
17. Г.Ф. Шершеневич, Общая теория права, М., 1911.

ՔՐՈՆ ԽԵՇՄՐԻԱՆՈ

*საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი, იურიდიულ მეც-
ნიერებათა დოქტორი, პროფესორი*

ქართული ეკლესიის კონსტიტუციური საფუძვლები

გასულ წელს საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას, რაც მიზნად ისახავდა სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობების, სახელდობრ, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსის განსაზღვრას, თან ახლდა მძაფრი პოლემიკა. დისკუსიებში მონაწილეობდნენ როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციები, სასულიერო თუ საერო პირები, მეცნიერები, სპეციალისტები და სხვა. გამოითქვა მრავალი მოსაზრება როგორც კონსტიტუციური ცვლილებების მხარდასაჭერად, ისე მის საწინააღმდეგოდ, საბოლოოდ, 2001 წლის 30 მარტს საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა საქართველოს პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივას და მიიღო კონსტიტუციური კანონი, რომელიც ახლებურად განსაზღვრავს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობებს. საყურადღებოა ის გარემოება, რომ პოლემიკა ამ საკითხებზე ამით არ დასრულებულა და ამჟამადაც გრძელდება. მართალია, არა ისეთი ინტენსივობით, როგორც ეს კონსტიტუციური კანონპროექტის განხილვისას იყო, მაგრამ არანაკლები სიმძაფრით, რომელიც ძირითადად განპირობებულია რელიგიურ ცხოვრებაში მომხდარი ცალკეული ფაქტით.

როგორია კონსტიტუციური ცვლილებების არსი, მათი დანიშნულება და შემდგომი საკანონმდებლო ნოვაციების პერსპექტივები?

თავიდანვე უნდა აღენიშნოთ, რომ კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად დასრულებული სახე მიიღო სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობების მომწესრიგებელი კონსტიტუციურმა ნორმებმა. ქვეყნის ძირითადი კანონის დონეზე გარკვეულია ის სამართლებრივი საფუძვლები, რომელთა შესაბამისადაც უნდა განვითარდეს სამართალშემოქმედება ამ სფეროში. კონსტიტუცია უკვე იძლევა იმ სამართლებრივ ფორმებსა და მექანიზმებს, რომელთა მეოხებითაც უნდა მოხდეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსის განსაზღვრა და ურთიერთობების მოწესრიგება სახელმწიფოსთან.

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობების განსამდგენისათვის გასაღებს გვაძლევს საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის ახალი რედაქცია. მასში ხუთი უმნიშვნელოვანესი დახვეწებაა მოცემული:

პირველი. სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას;

მეორე. სახელმწიფო აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში;

მესამე. ეკლესია დამოუკიდებელია სახელმწიფოსაგან;

მეოთხე. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით;

მეხუთე. კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს და ნორმებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში.

როგორც ვხედავთ, კონსტიტუციამ უარყო სახელმწიფო რელიგიად მართლმადიდებლობის გამოცხადების იდეა, როდესაც მკაფიოდ დაადგინა სახელმწიფოსაგან ეკლესიის დამოუკიდებლობა. ეს უაღრესად საყურადღებოა, რადგანაც პრესაში გამოითქვა მოსაზრება, რომ კონსტიტუციური შეთანხმების ინსტიტუტის შემოღებით, ფაქტობრივად, ხდება მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება. ამ მოსაზრებას არა მგონია რაიმე სერიოზული საფუძველი ჰქონდეს, რადგანაც ამა თუ იმ რელიგიის სახელმწიფო რელიგიად აღიარების დროს სახელმწიფოსაგან ეკლესიის დამოუკიდებლობაზე კი არ არის საუბარი, არამედ პირიქით, ქვეყნის ძირითადი კანონით – კონსტიტუციით – ამ რელიგიას ენიჭება ოფიციალური რელიგიის სტატუსი და შესაბამისი რელიგიური ორგანიზაციად სახელმწიფოს მექანიზმის შემადგენელი ნაწილი ხდება. პრაქტიკულად კი ეს იმას ნიშნავს, რომ ოფიციალურად აღიარებული რელიგიური ორგანიზაცია უშუალოდ მონაწილეობს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში, მისი დაფინანსება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და სხვა რელიგიურ ორგანიზაციებთან შედარებით სარგებლობს პრივილეგიებით. სახელმწიფო რელიგია ამჟამად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია კონსტიტუციით აღიარებული. სხვათა შორის, მათ რიცხვს მიეკუთვნება ჩვენთვის კარგად ცნობილი ევროპული სახელმწიფოებიც: დიდი ბრიტანეთი, დანია, საბერძნეთი და სხვა, სადაც უკვე კარგა ხანია, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა დასრულებულია და ადამიანის უფლებებიც სათანადოდ არის დაცული. როგორც ჩანს, ამა თუ იმ რელიგიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების დროსაც შესაძლებელი ყოფილა რწმენის, აღმსარებლობის თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა.

მიუხედავად ამისა, ჩვენმა კანონმდებლობამ სხვა გზა აირჩია და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფოსაგან ეკლესიის დამოუკიდებლობის პრინციპი აღიარა. ახლა დადგა საკითხი, თუ როგორ მოწესრიგებულიყო ურთიერთობები ორ დამოუკიდებელ სუბიექტს – სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის. საყოველთაოდ ცნობილი, რომ დამოუკიდებელ სუბიექტებს

შორის ურთიერთობების განსაზღვრის ოპტიმალური ფორმა ხელშეკრულებაა, რომლის დროსაც მხარეები თავისუფლად გამოხატავენ თავიანთ ნებას და თანხმდებიან მოსაწესრიგებელი ურთიერთობების ბედზე. საჭიროა აქვე აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობების განსაზღვრის სახელშეკრულებო ფორმა უცხო არ გახლავთ. იგი გამოიყენება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ამ ფორმის უპირატესობა, ჩვეულებრივ, საკანონმდებლო რეგულირებასთან შედარებით ისაა, რომ სახელმწიფო ხელისუფლება შეზღუდულია შეთანხმებით და არ ეძლევა საშუალებას, საკანონმდებლო ნოვაციებით ცალმხრივად შეცვალოს ეკლესიის სამართლებრივი მდგომარეობა, ამის მწარე გამოცდილება არცთუ შორეული წარსულიდან კარგად ახსოვს ჩვენს ხალხს. კომუნისტური რეჟიმის პირობებში აუნაზღაურებელი ენება და ზიანი მიაღდა ეკლესიას სწორედ სახელმწიფოსაგან და ყოველივე ეს ხდებოდა სამართლებრივი აქტების საფუძველზე. ამიტომ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობების განსაზღვრისას აუცილებელი იყო ისეთი სამართლებრივი ფორმის შემოღება, რომელიც მყარ სამართლებრივ გარანტიებს შეუქმნიდა ეკლესიის სტატუსს.

კონსტიტუციური კანონი ასეთ ფორმად მიიჩნევა კონსტიტუციურ შეთანხმებას, რომელმაც უნდა განსაზღვროს საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა.

კონსტიტუციური შეთანხმება სრულიად ახალი ინსტიტუტია ქართულ სამართალში. ამ შეთანხმებას კონსტიტუციური ეწოდება იმიტომ, რომ მისი დადების შესაძლებლობა, პროცედურები და სუბიექტთა წრე მხოლოდ სახელმწიფოს ძირითადი კანონით არის განსაზღვრული.

ცნობილია, რაც უფრო მნიშვნელოვანია სამართლით მოწესრიგებული სამოგადობრივი ურთიერთობები, მით უფრო დიდი უნდა იყოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის იურიდიული ძალა. ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესია უდიდეს როლს ასრულებდა საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ჩამოყალიბებისა და ქართველი ერის ფიზიკური და სულიერი გადარჩენისათვის ბრძოლის ისტორიულ პროცესში. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ქართული ცივილიზაციის მთავარი საფუძველი სწორედ მართლმადიდებლობა იყო. დღესაც არანაკლები მნიშვნელობა აქვს მართლმადიდებელ ეკლესიას ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში, ერის გამთლიანებასა და სამოგადობების მნიშვნელოვანი საფუძველების განმტკიცებაში.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლის გამო სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დადებულ კონსტიტუციურ შეთანხმებას, კონსტიტუციური კანონის თანახმად, ქვეყნის ძირითადი კანონის შემდეგ უპირატესი იურიდიული ძალა აქვს სხვა სამართლებრივი აქტების მიმართ. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლში შეტანილი ცვლილებების შემდეგ კონსტიტუციურ შეთანხმებას უპირატესი იურიდიული ძალა აქვს, ვიდრე კანონს, ორგანულ კანონსა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას. ამის შესაბამისად მნიშვნელო-

ვანი კორექტივი შევიდა სამართლებრივი აქტების იერარქიაში, კერძოდ, თუ აქამდე საერთაშორისო ხელშეკრულება კონსტიტუციის შემდეგ ყველაზე მაღალი იურიდიული ძალის მქონე აქტი იყო და კონსტიტუციასთან შესაბამისობა ამ აქტის ლეგიტიმურობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენდა, ცვლილებების შემდეგ ამ პირობას დაემატა აგრეთვე კონსტიტუციურ შეთანხმებასთან საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისობის აუცილებლობაც.

კონსტიტუციური შეთანხმების იურიდიული ძალა განპირობებულია მისი მიღების უაღრესად რთული პროცედურით, რაც საერთოდ ახასიათებს მაღალი იურიდიული ძალის მქონე სამართლებრივ აქტებს. საქართველოს კონსტიტუციის 66-ე და 73-ე მუხლებში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, კონსტიტუციურ შეთანხმებას საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან საქართველოს სახელმწიფოს სახელით დებს საქართველოს პრეზიდენტი და ამტკიცებს პარლამენტი სრული შემადგენლობის, სულ ცოცხა, სამი მეხუთედით.

გამოითქვა მოსაზრება, რომ კონსტიტუციური შეთანხმებისათვის ესოდენ მაღალი იურიდიული ძალის მინიჭება მიზანშეუწონელია, რადგანაც საერთაშორისო ხელშეკრულებების მიმართ მისი უპირატესობის დადგენა გამოიწვევს რწმენისა და აღმსარებლობის შესახებ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით აღიარებული ადამიანის უფლებებისა და სხვა რელიგიური ორგანიზაციების თანასწორუფლებიანობის დარღვევას.

ამასთან დაკავშირებით, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ საზღვარგარეთის მრავალ დემოკრატიულ ქვეყანაში სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობების ძირითადი პრინციპები განსაზღვრულია არა ჩვეულებრივი საკანონმდებლო აქტით, არამედ თავად კონსტიტუციით. შესაბამისად, ამ ქვეყნებში ეკლესიის სამართლებრივი მდგომარეობაც დადგენილია კონსტიტუციური ნორმებით, რომლებსაც, რასაკვირველია, უნდა შეესაბამებოდეს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტები, მათ შორის საერთაშორისო ხელშეკრულებებიც. ჩვენს შემთხვევაში კი კონსტიტუციური შეთანხმება კონსტიტუციის ქვემდებარე სამართლებრივი აქტია, ამდენად, იგი სრულად უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის ძირითადი კანონის მოთხოვნებს, მათ შორის რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების შესახებ კონსტიტუციურ ნორმებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, კონსტიტუციური კანონის შესაბამისად, შესაძლებელია, კონსტიტუციური შეთანხმება საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი სამართლებრივი აქტი გახდეს. კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად ქვეყნის ძირითადი კანონის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში გაჩნდა დებულება, რომლის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებებს კონსტიტუციასთან კონსტიტუციური შეთანხმების შესაბამისობის საკითხზე. მაშასადამე, თუ კონსტიტუციურ შეთანხმებაში დადგენილი იქნება ისეთი ნორმა, რომელიც დაარღვევს საერთაშორისო სამართლით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ყოველ პირს შესაძლებლობა ექნება, საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივროს კონსტიტუციური შეთანხმების კონსტიტუციურობა.

როგორც ვხედავთ, განსახილველ სფეროში ადამიანის უფლებების დაცვა გარანტირებულია არა მხოლოდ იმით, რომ ქვეყნის ძირითადი კანონით დეკლარირებულია რწმენისა და აღმსარებლობის სრული თავისუფლება, არამედ სასამართლო დაცვის შესაძლებლობითაც.

კონსტიტუციური შეთანხმების პრაქტიკა ქართულ სამართალში არ მოგვეპოვება. ჩვენი ამრით, კონსტიტუციური შეთანხმება ზოგადნორმატიული სამართლებრივი აქტი უნდა იყოს. იგი უნდა შეიცავდეს პრინციპებს და ზოგად ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ, ერთი მხრივ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამართლებრივ სტატუსს, მისი ორგანიზაციული მოწყობის წესს, უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფოსთან მისი თანამშრომლობის ძირითად მიმართულებებს, ეკლესიასთან ურთიერთობაში სახელმწიფოს ვალდებულებებს.

რაც შეეხება ერთობლივი ინტერესების ცალკეულ საკითხებს, სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილი უნდა იყვნენ, დაღონ კონკრეტული შეთანხმებები.

როგორც ცნობილია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, რელიგიური ორგანიზაციები საჯარო სამართლის იურიდიული პირები არიან. საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ“ განსაზღვრავს ამ კატეგორიას მიკუთვნებული იურიდიული პირების სახეობებს, მათი უფლებამოსილებების ფარგლებს, შექმნისა და ორგანიზაციული მოწყობის წესებს. რაც შეეხება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, იგი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, მაგრამ მას ამ კანონით შექმნა არ ესაჭიროება. იგი აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციით და იმ ფაქტით, რომ მასთან, როგორც საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან, სახელმწიფო დებს კონსტიტუციურ შეთანხმებას. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე შემოადინებული კანონის არც სხვა ნორმები გავრცელდება. შეთანხმებაში უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ორგანიზაციული მოწყობა და ამოცანები უნდა განისაზღვროს კანონიკური სამართლით, ხოლო ფუნქციების განხორციელება უნდა ხდებოდეს კანონიკური სამართლის, კონსტიტუციური შეთანხმებისა და კანონიკური სამართლის, კონსტიტუციური შეთანხმებისა და კანონმდებლობის სპეციალური ნორმების შესაბამისად. კონსტიტუციურმა შეთანხმებამ უნდა დაადგინოს სასულიერო პირების სამართლებრივი მდგომარეობა, მათი უფლებების დაცვის სამართლებრივი გარანტიები, საჯარო სამართლის სფეროში მოქმედი მოქალაქის ვალდებულებებისადაც მათი დამოკიდებულება და სხვა.

კონსტიტუციურმა შეთანხმებამ უნდა განსაზღვროს საჯარისო ფორმირებებში, სასჯელალსრულების ორგანოებში, საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო დაწესებულებებში, კულტურისა და სოციალურ სფეროში სახელმწიფოსა და ეკლესიის თანამშრომლობის ფორმები. ამასთან დაკავშირებით სასარგებლო იქნება საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინება, სადაც შემოადინებულ სფეროებში ეკლესიის საქმიანო-

ბის ფორმები კარგა ხანია დამკვიდრებულია და საზოგადოების მხრიდან სათანადო მხარდაჭერითაც სარგებლობს.

კონსტიტუციური შეთანხმება გვერდს ვერ აუელის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრების საკითხებს, ეკონომიკური და საჟინანსო საქმიანობის, ფისკალურ სფეროში მისთვის შეღავათების დადგენის პრინციპებს. აქედან, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება ეკლესიის საკუთრებით ურთიერთობებთან დაკავშირებულ მოვით საკითხს. ვფიქრობთ, სადავო არ უნდა იყოს კონსტიტუციურ შეთანხმებაში ისეთი ნორმის არსებობა, რომლის თანახმად, სახელმწიფომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებად უნდა ცნოს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებული მართლმადიდებლური ტაძრები, მონასტრები (როგორც მოქმედი, ისე უმოქმედო), აგრეთვე მიწის ნაკვეთები, რომლებზეც ისინია განლაგებული. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1990 წლის 12 აპრილს (ე.ი. კომუნისტური რეჟიმის დროს) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „რელიგიის საქმეთა საკითხების შესახებ“, რომლის მე-3 პუნქტის მიხედვით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული მართლმადიდებელი ეკლესიის ყველა საკულტო ნაგებობა და მათი უძრავ-მოძრავი ქონება გამოცხადდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებად. ამავ დიდგენილების მე-4 პუნქტით კი, აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის სტრუქტურებს დაევალებათ, უსასყიდლოდ გადაეცათ აღნიშნული საკულტო ნაგებობანი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსათვის. ამასთანავე, დაწესდა, რომ საქართველოში არსებული მართლმადიდებელი ეკლესიების, მათი ქონებისა და სახსრების აღრიცხვის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო განახორციელებს დამოუკიდებლად, დამკვიდრებული საეკლესიო გრადიციების შესაბამისად. საყურადღებოა, რომ მინისტრთა საბჭოს ეს დადგენილება შემდგომში არ გაუქმებულა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკმაო სამართლებრივი საფუძვლები არსებობს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის მისი კუთვნილი უძრავი ქონების დასაბრუნებლად. ეს ისტორიული სამართლიანობის აღდგენაც იქნება. ასევე, სახელმწიფომ უნდა ცნოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებად ამჟამად სახელმწიფო დაცვის ქვეშ მყოფი საეკლესიო საგანძური, რომელიც კომუნისტური რეჟიმის დროს ჩამოართვეს ეკლესიას. თუმცა ამ საეკლესიო საგანძურის, როგორც საერთო ეროვნული საგანძურის ნაწილის, უკეთ დაცვისა და მოვლა-პატრონობის მიზნით იგი შეიძლება დარჩეს სახელმწიფო დაწესებულებების მფლობელობაში. ამასთან, მფლობელობის სამართლებრივი საფუძველი უნდა განისაზღვროს მხარეთა სპეციალური შეთანხმებით. საეკლესიო საგანძურის რელიგიური და კულტურული მიზნებით საცაემბიდან გამოგანა და გამოყენება დასაშვებია უნდა იყოს მხოლოდ სახელმწიფოსა და ეკლესიის შეთანხმების საფუძველზე. სახელმწიფო და ეკლესია ერთობლივად უნდა ზრუნავდნენ ისტორიულ-არქეოლოგიური, კულტურული და არქიტექტურული ფასეულობების მქონე საეკლესიო ნაგებობებისა და საეკ-

ლესიო საგანძურის სათანადო დაიცვასა და მოელა-პატრონობაზე, უფრო მეტიც, სახელმწიფომ უნდა აიღოს ვალდებულება, აწარმოოს მოლაპარაკება სხვა სახელმწიფოებთან, მათ გერიგორიაზე არსებული ქართული მართლმადიდებლური ტაძრების, მონასტრების, მათი ნანგრევების, სხვა საეკლესიო ნაგებობებისა და მათში დაცული საეკლესიო ნივთების დაცვის, მოელა-პატრონობისა და საკუთრების თაობაზე.

კონსტიტუციური შეთანხმება მტკიცე სამართლებრივი საფუძველი გახდება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის. მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელი იქნება მხოლოდ სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთშეთანხმებით. ამასთანავე, სახელმწიფო ორგანოების მიერ კონსტიტუციური შეთანხმების ნორმებისა და პრინციპების საწინააღმდეგოდ გამოცემულ სამართლებრივ აქტებს იურიდიული ძალა არ ექნებათ.

ახლა რაც შეეხება საქართველოში მოქმედ სხვა რელიგიურ ორგანიზაციებთან სახელმწიფოს დამოკიდებულებასა და მათ სამართლებრივ მდგომარეობას. კერძოდ, ისმის კითხვა – ხომ არ იქნება აუცილებელი მათთანაც ანალოგიური შეთანხმების დადება? აქ, ჩვენი აზრით, გასათვალისწინებელია ორი ფაქტორი: ორგანიზაციულ-სამართლებრივი და ისტორიული.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ავტოკეფალიურია. იგი საქართველოში მოქმედი სხვა რელიგიური ორგანიზაციებისაგან განსხვავებით, საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებული ეკლესიის ნაწილი კი არ არის, არამედ ორგანიზაციულად დასრულებული სახით სწორედ საქართველოშია წარმოდგენილი. სხვა კონფესიები კი საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული რელიგიური ორგანიზაციების მხოლოდ სტურქტურული ერთეულებია და შესაბამისად ექვემდებარებიან თავიანთ ცენტრებს. მათ არ გააჩნიათ დამოუკიდებელი მოქმედების უფლებამოსილება. ამასთანავე, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან შედარებით სრულიად განსხვავებულია მათი როლი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ამდენად, არ არსებობს მათთან კონსტიტუციური შეთანხმების დადების არც იურიდიული და არც ისტორიული საფუძველი. მათი სამართლებრივი მდგომარეობა უნდა განისაზღვროს მოქმედი კანონმდებლობით სამოქალაქო კოდექსის, საჯარო სამართლის იურიდიული პირისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ სპეციალური კანონების შესაბამისად ისე, რომ არ შეიზღუდოს დემოკრატიულ საზოგადოებაში საყოველთაოდ აღიარებული ნორმები და პრინციპები.

დასასრულ, უპირანი იქნება, გავიხსენოთ წმინდა ილია მართალი, რომელიც თითქმის საუკუნე-ნახევრის წინათ შთაავონებდა ერს: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ მათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?“ ამ სიტყვებს დღესაც, მეორე და მესამე ათასწლეულების მიჯნაზე, არ დაუკარგავს თავისი ძალა ქართველი ერისათვის. მართალია, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღუადგინეთ, მაგრამ მამული ჯერ კიდევ ვერ გავამთლიანეთ. ქართული ენა სახელმწიფო ენად

გამოვაცხადეთ, მაგრამ ყველგან ვერ განვაერყეთ „ენა ქართული“ და ვერ მივაღწიეთ იმას, რაც ფარნაეაზმა შეძლო, როცა „არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა“. ქართველობა უძველესი ქრისტიანი მართლმადიდებელი ერია, მაგრამ სარწმუნოების დაცემა კვლავაც საშურ საქმედ რჩება.

ილია ჭავჭავაძის ნაანდერძევი „მამული, ენა, სარწმუნოება“ ჩვენი ეროვნული მრწამსის ყველაზე სრულყოფილი გამოსატყულებაა. ის არა მხოლოდ ქართველთა მსოფლგაგების არსს გადმოსცემს, არამედ, ამავე დროულად, მოწოდებაცაა, რომელსაც უნდა მისდევდეს ქართველი ერის უკლებლივ ყველა თაობა. „მამული, ენა, სარწმუნოება“ – ის მარადიული ფასეულობებია, რომელთაც თეალისჩინიერით უნდა ვუფრთხილდებოდეთ და ეპატრონობდეთ, თუ გესურს გადარჩენა და თუ გვწადია ათასწლეულებს გამოვლილი ჩვენი სვითმყოფალობის შენარჩუნება.

ადმინისტრაციული გადაცდომის საქმისწარმოება ადმინისტრაციულ ორგანოში

საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია აღიარებს ადამიანის იურიდიულ პასუხისმგებლობას მხოლოდ კანონის შესაბამისად და აცხადებს, რომ არაეინ არ აგებს პასუხს იმ ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა (42-ე მუხლის მე-5 პუნქტი). საქართველოს ადმინისტრაციული გადაცდომისა და მის საქმეთა წარმოების კოდექსის პროექტის მე-5 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომების დაკისრებისას კანონის დაცვას უზრუნველყოფს სხვადასხვა იურიდიული გარანტია, კერძოდ ადმინისტრაციული საქმისწარმოების საჯაროობა, გამოტანილ გადაწყვეტილებათა და ქმედებათა გასაჩივრების უფლება, ადვოკატის დახმარებით სარგებლობის უფლება, საქმის განმხილველი ორგანოს თუ თანამდებობის პირის თვითაცილების მოვალეობა, სასამართლოს, მმართველობის ზემდგომი ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მხრივ კონტროლი კანონის მოთხოვნათა შესრულებაზე და სხვა საშუალებები.

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციამ გააუქმა პროკურატურის საერთო ზედამხედველობა მმართველობის სფეროში. კანონიერების დაცვის მთელი სიმძიმე ამ სფეროში სასამართლო და სამედამხედველო ორგანოებს დააწვა. თუ ადრე მმართველობის სფეროში მომხდარ დარღვევების ფაქტებს პროკურატურა იხილადა, დღეს მას იხილავს სასამართლოები, რომლებსაც მიმართავენ მოქალაქეები და იურიდიული პირები.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი აწესებს ადმინისტრაციული სახდელების დაკისრებისას მმართველობის ზემდგომი ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მხრივ კონტროლს ამ სახდელების სწორად გამოყენების მიზნით. ეს არის ჩვენში პირველად შემოღებული სამსახურბრივი ზედამხედველობა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებისას. საქართველოს 2004 წლის 11 თებერვლის კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის შესახებ“ ადგენს ზემდგომი ორგანოების ზედამხედველობას ქვემდგომი ორგანოების მიმართ კანონიერების უზრუნველსაყოფად. ასეთი ზედამხედველობა გათვალისწინებულია ადმინისტრაციული გადაცდომე-

¹ იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2004, № 3, მუხ. 7.

ბის სფეროშიც, როდესაც დარღვევებთან ბრძოლისას შედგენილი ოქმების კანონიერებას ამოწმებს შემდგომი ინსპექცია თუ თანამდებობის პირი.

სამსახურებრივი ზედამხედველობა გულისხმობს სწორედ უკანონო სამართლებრივი აქტის გაუქმებას. პრეზიდენტი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობას ახორციელებს მხოლოდ საოლქო სასამართლო (გარდა დეკრეტისა), ხოლო კონსტიტუციის დარღვევისას საქმეს განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლო. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლში აღნიშნულია, რომ საოლქო სასამართლოები განიხილვენ ადმინისტრაციულ სარჩელს საქართველოს პრეზიდენტის, სამთავრობო დაწესებულებების ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტების კანონიერების შესახებ, აგრეთვე რესპუბლიკური ქალაქების საკრებულოებისა და მერიების მიერ მიღებული ადმინისტრაციულნორმატიული აქტების კანონიერების თაობაზე¹. ეს ფაქტი (გარდა პრეზიდენტის აქტებისა) შეიძლება შეეხებოდეს სამართალდამრღვევის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და, აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციული გადაცდომების ფაქტებს.

ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ დადგენილების გასაჩივრება ეფექტური საშუალებაა აღნიშნულ სფეროში კანონიერების აღსადგენად. იგი შეიძლება განხორციელდეს დადგენილების გაცნობიდან 10 დღის ვადაში, თუმცა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრების ერთთვიან ვადას აწესებს აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალურად მისი გაცნობის დღიდან, მაგრამ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ეს ვადა შემცირებულია. ამავე კოდექსის მიხედვით, გასაჩივრებისას ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის მოქმედება შეჩერდება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს აქტი წარმოადგენს პოლიციის სამართლებრივ აქტს, რომელიც მიღებულია სამოგადობრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით და ზოგიერთ სხვა შემთხვევაში. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით კი, ადმინისტრაციული საჩივრის შეტანა მის განხილვამდე შეაჩერებს ადმინისტრაციული სახდელის თაობაზე გამოგანილი დადგენილების აღსრულებას, გარდა გაფრთხილებისა და ადმინისტრაციული პატიმრობისა, აგრეთვე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას ჯარიმის ადგილზევე გადახვეწინების შემთხვევისა.

საჩივრის განმხილველი ორგანო უფლებამოსილია, ბათილად ან ძალადაკარგულად გამოაცხადოს, ან შეცვალოს გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საჭიროა დამატებითი მტკიცებულებების გამოკვლევა და საქმე უკანვე უბრუნდება ოქმის შემდგენელს. შემდგომი ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია დაავალოს აქტის გამომცემ ორგანოს, გამოსცეს ახალი ადმინისტრაციული აქტი, ხოლო მისი მითითებები სავალდებულოა ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოსათვის შესასრულებლად. ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველ ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს, თვითონ გამოსცეს ადმინისტრაციული

¹ იხ. დაწერილებით: ვ. ლორია, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი, თბ., 2002, გვ. 104.

ციული აქტი, თუ კანონით მისი გამოცემის უფლება აქვს მხოლოდ გასაჩივრებული აქტის გამომცემ ორგანოს. ეს წესი ადმინისტრაციულ სახდელეზბზე შეტანილ საჩივრებსაც ესება, ვინაიდან ადმინისტრაციული სახდელი შეიძლება გამოიყენოს როგორც შემდგომმა ორგანომ, ისე სასამართლომაც, სადაც საჩივრდება ადმინისტრაციული აქტი. საჩივრის განმზილველ ორგანოს უფლება აქვს, შეცეალოს სახდელი ნორმატიული აქტით გათეა-ლისწინებულ ფარგლებში, ოღონდ, ამასთან, იგი არ უნდა გაძლიერდეს.

ადმინისტრაციული სახდელების დაკისრებისას დაეული უნდა იყოს ისეთი დემოკრატიული ინსტიტუტი, როგორიცაა მმართველობის ორგანოს თანამდებობის პირის თვითაცილება¹. მთელი ადმინისტრაციული ორგანოს აცილების უფლება არ შეიძლება დაწესდეს, დასაშეუბია მხოლოდ თანამდებობის პირის თვითაცილება, ვინაიდან მთელი ორგანოს აცილება მისი კომპეტენციის უარყოფას ნიშნავს, სასამართლოში აცილება კი ასეთი შედეგების მომტანი არაა, ვინაიდან სასამართლო მმართველობის ორგანო არაა.

ზოგადე ადმინისტრაციული კოდექსის 93-ე მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს, როცა მიიჩნევის, რომ არსებობს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე თანამდებობის პირის აცილების საფუძველი, უფლება აქვს, განუცხადოს მას აცილება, რაც დასაბუთებული უნდა იყოს. ამავე კოდექსის 92-ე მუხლი აწესებს თანამდებობის პირის თვითაცილების წესს, რაც აცილების შესახებ განცხადების საფუძველიც უნდა იყოს. ამ მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობდეს ადმინისტრაციული ორგანოს ის თანამდებობის პირი, რომელიც თვითონ არის დაინტერესებული მხარე საქმეში, დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია, იყო ექსპერტი მოცულ საკითხთან დაკავშირებით, შრომით ურთიერთობაშია საქმეში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან, თვითონ ან მისი ოჯახის წერი ფლობს აქციებს, ან საწესდებო კაპიტალის ნაწილს იმ საწარმოში, რომელიც ეკუთვნის დაინტერესებულ მხარეს, ე.ი. დაინტერესებული მხარე ახდენს განაცხადს თანამდებობის პირის ეალდებულების საფუძველზე, რომ მან უნდა განაცხადოს თვითაცილების შესახებ. სხვა საკითხია მოსამართლის აცილება, სადაც მოსამართლის კომპეტენციაში არ შედის კონკრეტული საქმის ორგანიზაცია, მმართველობის კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტა, როგორც ეს ადმინისტრაციული თანამდებობის პირის მიმართ წამოიჭრება. ადმინისტრაციული გადაცდომისა და მის საქმეთა წარმოების კოდექსის პროექტის 324-ე მუხლი აწესებს თვითაცილების იმავე წესს, რომელითაც თანამდებობის პირი მოვალეა განაცხადოს თვითაცილება.

ადმინისტრაციული გადაცდომის საქმეზე მხარეები წარმოიშობა მხოლოდ გადაცდომის საქმის აღძვრის შემდეგ. თუ ასეთი არ მოხდა, არც მხარეები იარსებებს. ამიტომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქმის აღძვრას, რასაც უფლებამოსილი თანამდებობის პირი ახორციელებს.

¹ იხ. დაწერილებით: მ. აღვიშვილი, გ. ვინტერი, დ. ქიტოშვილი, საქართველოს ზოგადე ადმინისტრაციული კოდექსის კომენტარი, თბ., 2002, გვ. 227-230.

საქმის აღძვრის გამომსაგველია ოქმის შედგენა აღმინისგრაიული გადაცდომის საქმეზე, მაგრამ თუ პირი თანახმაა, პასუხი აგოს დარღვევის ჩადენის ადგილზე, მაშინ ოქმი არ შედგება. აღმინისგრაიულ სამართალ-დარღვევათა კოდექსის 242-ე მუხლში ჩამოთვლილია ის დარღვევები, რომელთა გამო ოქმი არ შედგება და პირი ადგილზე დაჯარიმდება (კერძოდ, გრანსპორტით სარგებლობის წესების დარღვევის შემთხვევაში, სანიტარული წესების დარღვევისას და სხვა), მაგრამ კოდექსში იქვე მითითებულია, რომ სხვა შემთხვევებშიც, როდესაც პირს კანონის შესაბამისად დაჯარიმებენ და ჯარიმას გადაახდებიან, ხოლო გაფრთხილებას გააფორმებენ აღმინისგრაიული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას, ოქმი არ შედგება, და თუ დამრღვევი სადავოდ ხდის სამართალდარღვევისათვის დაკისრებულ სასაძღვს, მაშინ ოქმი უსათუოდ უნდა შედგეს (242-ე მუხლის მეორე ნაწილი). ამდენად, ყველა შემთხვევაში, თუ პირი თანახმაა, გადაიხადოს ჯარიმა დარღვევის ადგილზე, ოქმი არ შედგება და ეს სახდელი სისრულეში მოიყვანება დარღვევის ადგილზე. აქ აღმინისგრაიული საქმისწარმოების სკადიები ერთმანეთს ემთხვევა და ამდენად ცალკე საქმის აღძვრა ამ შემთხვევაში არ ხდება.

მოცემულ უკანასკნელ შემთხვევაში წამოიჭრება პრობლემა იმ პირთა და ორგანოთა წრის განსაზღვრის შესახებ, რომელთაც უფლება აქვთ, განიხილონ აღმინისგრაიული სამართალდარღვევის საქმე, განსხვავებით იმ ორგანოებისა და პირებისაგან, რომელნიც მხოლოდ ოქმის შედგენის უფლებით სარგებლობენ. თუ ყველა შემთხვევაში შესაძლებელია ადგილზე დაჯარიმება დამრღვევის თანხმობის შემთხვევაში, მაშინ ოქმის ყველა შემდგენელი პირი ამავე დროს საქმის განმხილველი პირის როლში გამოდის, ამიტომ აღმინისგრაიულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-16 თავი, გარდა 208-ე მუხლისა, მთლიანად უნდა იყოს ამოღებული და მის ნაცვლად უნდა დარჩეს 239-ე მუხლი, რომელიც ჩამოთვლის 30-მდე ორგანოსა და თანამდებობის პირს, რომელნიც უფლებამოსილი არიან, შეადგინონ ოქმი აღმინისგრაიული სამართალდარღვევის შესახებ. რასაკვირველია, ამ ორგანოთა და თანამდებობის პირთა შორის მოხსენიებულია ის ორგანოებიც, რომლებიც უფლებამოსილი არიან, განიხილონ აღმინისგრაიულ სამართალდარღვევათა საქმეები.

აღმინისგრაიული სამართალდარღვევის ოქმი უნდა იყოს გარკვეული ფორმის და შეიცავედეს რეკვიზიტებს, კერძოდ, მასში უნდა აღინიშნოს მისი შედგენის თარიღი და ადგილი, შემდგენის თანამდებობა, სახელი და გვარი, მონაცემები დამრღვევის პიროვნების შესახებ, აღმინისგრაიული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი, ნორმატიული აქტი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ სამართალდარღვევისათვის, მოწმეთა და დამარალებულთა გვარები და მისამართები, თუ ისინი არიან; ოქმში უსათუოდ შეიგანება დამრღვევის ახსნა-განმარტება. თუ დამრღვევი უარს განაცხადებს ახსნა-განმარტებაზე, მაშინ ამის შესახებ ოქმში უნდა აღინიშნოს, ხოლო თუ დამრღვევი უარს იტყვის ოქმის ხელმოწერაზე, მაშინ ეს ფაქტი უნდა დამოწმდეს დამსწრეთა მიერ. წინააღმდეგ შემთხვევაში ოქმი არაკანონიერ ხასიათს იღებს, ვინაიდან შეიქ-

მნება შთაბეჭდილება, რომ ასეთი ოქმი დაიწერა თანამდებობის პირის მიერ თავის სამუშაო კაბინეტში ნებისმიერი პირის მიმართ, რომელსაც სამართალდარღვევა არ ჩაუდენია და ჯარიმას კი აკისრებენ უკანონოდ. ამიგომ ყველა ოქმში დამრღვევის ახსნა-განმარტება და ხელმოწერა აუცილებელი მომენტია, თანამოწმების დახმარება კი აუცილებელია, როცა დამრღვევი თავს არიდებს აღნიშნულ მოვალეობას. თანამდებობის პირმა უნდა აღნიშნოს ოქმში, თუ რატომ ამბობს დამრღვევი უარს ახსნა-განმარტებაზე ან ოქმის ხელმოწერაზე. ეს მონაცემებიც უნდა დადასტურდეს დამსწრეთა მიერ, რომელთაც ადრე თანამოწმეებს უწოდებდნენ.

კანონი აღნიშნავს, რომ სამართალდარღვევის ჩამდენ პირს უფლება აქვს, წარმოადგინოს ოქმისათვის დასართავი მასალები, ცალკე ახსნა-განმარტებები და შენიშვნები ოქმის შინაარსის გამო. მას შეუძლია ჩამოაყალიბოს ოქმის ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივები, რაც შეიძლება ცალკე დაერთოს ოქმს.

ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემულ პირს დიდი უფლებები აქვს. მას შეუძლია: გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებები, განაცხადოს შუამდგომლობანი, ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით. კოდექსის 252-ე მუხლში ლაპარაკია ადვოკატის დახმარებითი სარგებლობის შესახებ საქმის განხილვის დროს, მაგრამ მოქმედი კანონმდებლობა უფლებას აძლევს მოქალაქეებს, იყოლიონ ადვოკატი სამართალდარღვევის ჩადენის მომენტიდანვე, ხოლო თუ პირს კერძო ადვოკატი ჰყავს, რომელიც მის იურიდიულ საქმეებს განაგებს, მაშინ თავისთავად ცხადია, სამართალდარღვევის ჩადენის მომენტში ან მისი პოლიციაში მიყვანისას მას შეუძლია თან იყოლოს თავისი ადვოკატი.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება იმ პირის თანდასწრებით, რომელიც მიცემულია ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში. ამ პირის დაუსწრებლად საქმე შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როცა არის ცნობა მისთვის საქმის განხილვის ადგილისა და დროის დროულად შეგვობინების შესახებ, ხოლო მისგან არ შემოსულა შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების შესახებ.

კოდექსი მოითხოვს, რომ ზოგიერთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე (მაგალითად, მართვის მოწმობის ჩამორთმევისას, პოლიციელისადმი დაუმორჩილებისას და სხვა) განხილულ იქნეს მხოლოდ დამრღვევის მონაწილეობით, ხოლო თუ იგი თავს არიდებს გამოცხადებას, მაშინ შინაგან საქმეთა ორგანოს ან ადმინისტრაციული-მოსამართლის მოთხოვნით ასეთი პირი შეიძლება იძულებით იქნეს მიყვანილი საქმის განხილვაზე შინაგან საქმეთა ორგანოს მიერ. მიყვანის ეს წესი რეგულირდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 243-ე მუხლით. აქ აღნიშნულია, რომ საგრანსპორტო საშუალებებით სარგებლობის, მოძრაობის წესებისა და უსაფრთხოების დაცვის, გრანსპორტზე გვირთის შენახვის უზრუნველყოფის, სახანძრო უსაფრთხოების, სანიტარულ-ჰიგიენური და სანიტარულ-ეპიდსაწინააღმდეგო წესების დამრღვევი შეიძლება მიიყვანონ პოლიციაში, თუ მას არა აქვს პირადობის დამადასტურებელი

საბუთები და არ არიან მოწმეები, რომელთაც შეუძლიათ მიაწოდონ საჭირო ცნობები მის შესახებ. ასეთი მიყვანა გათვალისწინებულია სხვა სამართალდარღვევის ჩადენის დროსაც. კოდექსში ნათქვამია, რომ მიყვანა შეუძლიათ როგორც პოლიციის მუშაკებს, ისე დაუფლი ობიექტების გასამხედროებელი დაყვის მუშაკებსაც, აგრეთვე ბუნების დაყვის სამოგადოებრივ დივიზიონებს და საგაყვო სამოგადოებრივ ინსპექტორებს, აგრეთვე სახალხო რაზმელებს, რომლებიც დღეს არ არსებობენ. თანამდებობის პირთა და სამოგადოებრივ ინსპექტორთა ასეთი დიდი წრე, რომელიც ადამიანის იძულებით მიყვანის უფლებით სარგებლობს, მიუღებელია, რადგანაც იგი დაკავშირებულია ადამიანის პირადი ხელშეუხებლობის კონსტიტუციური უფლების დარღვევასთან.

კოდექსის 247-ე მუხლში აღნიშნულია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი შეიძლება დაკავებულ იქნეს სამ საათამდე ვადით, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში – მეტი ვადითაც. კერძოდ, ამავე მუხლში აღნიშნულია, რომ საბაჟო რეჟიმის დამრღვევი ოქმის შესადგენად და საჭიროების შემთხვევაში პიროვნების დასადგენად, აგრეთვე, სამართალდარღვევის გარემოებათა გამოსარკვევად პირი შეიძლება დაკავებულ იქნეს სამი დღე-ღამის ვადით, ხოლო თუ პიროვნებას არ გააჩნია მისი დამადასტურებელი საბუთები, იგი შეიძლება 10 დღე-ღამემდეც კი დააკავონ. ასეთი წესი ადამიანის კონსტიტუციური თავისუფლების აღმამფოთებელი ხელყოფაა. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით დაკავებული თუ სხვაგვარად უფლებამშებლადელი პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არაუგვიანეს 48 სათისა, ხოლო თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი მშებლდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. საბაჟო წესების დარღვევისათვის არ არის გათვალისწინებული ადმინისტრაციული პატიმრობა, იგი ითვალისწინებს მხოლოდ დაჯარიმებას. ამიგომ სასამართლო ვერ გამოიგანს გადაწყვეტილებას საბაჟო წესების დამრღვევის 72 საათიანი დაკავების შემდეგ მისი კვლავ დაპატიმრების შესახებ. ეს დასაშვებია მაშინ, თუ საბაჟო წესების დამრღვევი დანაშაულს ჩაიდენს.

როგორც ეხედავთ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პირის დაკავების ვადა მეგად შემცირებულია, ხოლო 3 დღე-ღამით და მით უფრო 10 დღე-ღამით დაკავება ყოელად დაუშვებელია. ამასთან, 3 საათზე მეტი ხნით პირის დაკავებისათვის აუცილებელია სასამართლოს გადაწყვეტილება. ასევე არასწორია წესი, რომლის თანახმადაც პირი, რომელმაც ჩაიდინა წერილმანი ხულიგნობა, ან დაარღვია კრებების, მიგინგების, ქუჩაში მსელელობისა და დემონსტრაციების ორგანიზაციისა და ჩატარების წესი, შეიძლება დაკავებულ იქნეს მისი საქმის განხილვამდე, რომლის ვადაც მოქმედი კანონმდებლობით ორი თვით განისაზღვრება. ასეთი ხანგრძლივი ვადით პირის ადმინისტრაციული დაკავება კი დაუშვებელია და მისი კონსტიტუციური თავისუფლების შელახვაა.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს საქართველოში განიხილავენ მრავალრიცხოვანი ინსპექციები, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები, თანამდებობის პირები, სხვა ორგანოები. ეს გამოწვეულია იმით, რომ საქართველოში სპეციალური ადმინისტრაციული სასამართლოები არა გვაქვს, ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებში ადმინისტრაციული იუსტიციის რამდენიმე სახის ორგანოა. საქართველოში კი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეებს განიხილავენ ადმინისტრაციული იურისდიქციის ორგანოები, ხოლო ნაწილი ამ საქმეებისა განიხილება რაიონების (ქალაქების) და საოლქო საერთო სასამართლოების მიერ.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი შეეხება იმ ორგანოებსა და თანამდებობის პირებს, რომლებიც განიხილავენ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებს. ამასთან, ასეთი ორგანოებისა და თანამდებობის პირების რიცხვი უფრო ნაკლებია, ვიდრე იმ ორგანოებისა და თანამდებობის პირებისა, რომლებიც ადგენენ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმებს.

მიუხედავად ორგანოებისა და თანამდებობის პირების მრავალრიცხოვნობისა, რომლებიც სარგებლობენ უფლებით, შეადგინონ აქტები ცალკეული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ, ზოგიერთი მათგანის როლი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან ბრძოლაში მხოლოდ სამართალდარღვევების ოქმის შედგენით ამოიწურება და ამის შემდეგ საქმის განხილვა სხვა ორგანოს ეკისრება.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი განსაზღვრავს იმ ორგანოთა სახეებს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან, განიხილონ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებთან ერთად ესენია: შინაგან საქმეთა, სახელმწიფო საგადასახადო, სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის, გრანსპორტის ორგანოები, შრომის ინსპექციის, სახელმწიფო ტექნიკური ზედამხედველობის, საბაჟო, სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის განმახორციელებელი, სახელმწიფო ექსპერინარიული ზედამხედველობის ორგანოები, საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს სისტემის ელექტროკავშირის სახელმწიფო ინსპექციის ორგანოები, სახელმწიფო სასინჯი ზედამხედველობის ორგანოები, საქსტანდარტის ორგანოები, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ორგანოები, მიწის მართვის სახელმწიფო საქვეუწყებო ორგანოები.

იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირი სადავოდ არ ხდის მის მიერ ჩადენილ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტს, იგი დაჯარიმდება ადგილზე უფლებამოსილი ორგანოს თანამდებობის პირის მიერ, დავის შემთხვევაში კი შედგება ოქმი სამართალდარღვევის შესახებ.

შინაგან საქმეთა ორგანოები იხილავენ შემდეგ საქმეებს: საგრანსპორტო ან სხვა მოძრაი საშუალების ექსპლოატაციის წესების დარღვევა, როდესაც გამონაბოლქვში დამაბინძურებელ ნივთიერებათა შემცველობა დადგენილ ნორმატივებს აღემატება; მცენარეთა დაცვის საშუალებების ან სხვა პრეპარატების გრანსპორტირების, შენახვის ან გამოყენების დაცვის

მოთხოვნათა დაუცველობა; ქიმიურ საშუალებათა გარემოში გამონაფრქვევის ნორმირებისა და ქიმიურ საშუალებათა გრანსპორტირების, შენახვისა და გამოყენების წესების დარღვევა; ნადირობისა და თაევზების წესების დარღვევა; საგრანსპორტო საშუალებათა მართვა ნასვამ მდგომარეობაში, ნარკოტიკულ ან ფსიქოტროპულ საშუალებათა ზემოქმედების ქვეშ; თავის არიდება ასეთი ზემოქმედების დადგენისათვის; გექსტრადი-ერებაგაუქმებული ავტოგრანსპორტის მართვა; საგრანსპორტო საშუალებათა ექსპლოატაციის წესების დარღვევა; საგრანსპორტო საშუალებებზე სპეციალური ხმაშემაღლა მოლაპარაკე ხელსაწყოების დაყენების წესების დარღვევა ან არადანიშნულებით გამოყენება; საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა, კერძოდ, საგრანსპორტო საშუალების მართვა იმ პირის მიერ, რომელსაც არა აქვს მართვის უფლება ან არასრულწლოვანისათვის მისი გადაცემა; სახელმწიფო სანომრე ნიშნის გარეშე საგრანსპორტო საშუალების მართვა; საგზაო წესების დარღვევად ითვლება, აგრეთვე, გზაზე, რკინიგზაზე გადასასვლელისა ან საგზაო ნაგებობის მოვლა-შენახვის წესების დარღვევა; ქვეითად მოსიარულეთა და საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეთა მიერ მოძრაობის წესების დარღვევა; გზების, რკინიგზაზე გადასასვლელებისა და სხვა საგზაო ნაგებობათა დამზინება, უბილეთოდ მგზავრობა; საავტომობილო გზების გასწვრივ პირუტყვის მეთვალყურეობის გარეშე დატოვება და სხვა.

სახელმწიფო საგადასახადო ორგანოები იხილავენ: გადასახადის გადამხდელებად აღრიცხვაზე აყვანის წესების დარღვევებს, შემოსავლისა და გადასახადით დასაბეგრი ობიექტების აღრიცხვის უქონლობას; საგადასახადო დოკუმენტების წარუდგენლობას ან მასში გაყალბებული მონაცემების შეტანას; მოგების დამალვას ამ შემთხვევებში, აუდიტორული წესების დარღვევას; საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშების გახსნის წესის დარღვევას; გადასახადებისა და სხვა საფაღდებულო გადასახადების არასწორად გადახდევინებას.

სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ორგანოები იხილავენ: ტყეში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევებს; რკინიგზის, საზღვაო და საჰაერო გრანსპორტზე სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევებს, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევებს ან შეუსრულებლობას.

შრომის ინსპექციის ორგანოები იხილავენ: შრომის დაცვის წესების დარღვევის, საგრანსპორტო საშუალებათა ხაზზე გაშვების, თანამდებობის პირის მიერ საგრანსპორტო საშუალების სამართადად უკანონოდ დაშვების საკითხებს.

სახელმწიფო ტექნიკური ზედამხედველობის ორგანოები იხილავენ: სამთო, სამრეწველო, სამშენებლო, ფეთქებადსაშიმ ან სხვა ობიექტებზე სამუშაოების უსაფრთხო წარმოების წესების დარღვევის, ინტენსიური გამოსხივების, რადიოაქტიური, ფეთქებადი მასალებისა და საშიში ქიმიური ნივთიერებების შენახვის, დაცვის წესების დარღვევის, ელექტრონული და თბოენერჯის მფლანგველური ხარჯვის საკითხებს.

საბაჟო ორგანოები იხილავენ: საბაჟო წესების დარღვევასა და საბაჟო კონტროლის ზონაში უკანონო საწარმოო ან სხვა საქმიანობას.

სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოები იხილავენ სანიტარულ-ჰიგიენური და სანიტარულ-ეპიდსაწინააღმდეგო წესებისა და ნორმების დარღვევას საერთოდ და ასევე ტრანსპორტზე; წყლის რესურსების დაცვის წესების დარღვევას და წყლის დაბინძურებას; საბაჟო საზღვრებზე სანიტარულ-საკარანტინო, ფიტოსანიტარული და ვეტერინარულ-საკარანტინო წესების დარღვევას.

სახელმწიფო ვეტერინარული ზედამხედველობის ორგანოები იხილავენ: საბაჟო საზღვრებზე სანიტარულ-საკარანტინო, ფიტოსანიტარული და ვეტერინარულ-საკარანტინო წესების დარღვევას, ვეტერინარიის შესახებ კანონმდებლობის დარღვევის, სანამუნო მეცხოველეობის წესების დარღვევის, ძაღლების, კატებისა და გარეული ცხოველების, ფრინველების ყოლის წესების საკითხებს.

საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს სისტემის ელექტროკავშირის სახელმწიფო ინსპექციის ორგანოები განიხილავენ რადიოელექტრონულ საშუალებათა შეძენის, დადგმის, მშენებლობისა და ექსპლოატაციის წესების დარღვევის, სათანადო რეგისტრაციის ან ნებართვის გარეშე მათი ექსპლოატაციის, რადიოგადამცემი მოწყობილობების უნებართვოდ დამზადებისა და გასაღების, კავშირგაბმულობის ხაზებისა და ნაგებობების დაცვის წესების დარღვევის, გაქსაფონის, სატელეფონო კაბინების, ავტომატური ტელეფონებისა და მომსახურების სხვა მოწყობილობის დაზიანების, აგრეთვე ტელეფონების ქსელში თვითნებური ჩართვის საკითხებს.

სახელმწიფო სასინჯი ზედამხედველობით ორგანოები იხილავენ: ძვირფასი ლითონების, ძვირფასი ქვების ან მათ შემცველ ნაკეთობათა გამოყენებასთან დაკავშირებული საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევას; ფურადი ლითონებისა და მათი შემცველი ნაკეთობების შეძენის, გაყიდვის, შეგროვების ან ჩაბარების წესების დარღვევას.

საქსტანდარტის ორგანოები იხილავენ: სტანდარტიზაციის წესების დარღვევას, სერტიფიკაციის წესების დარღვევას, გამოშვათა ერთიანობის უზრუნველყოფის წესების დარღვევას.

სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურები იხილავენ: სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელებისათვის ხელის შეშლას, მომხმარებლის უფლებების შელახვას, რეკლამის შესახებ კანონმდებლობის დარღვევას, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევას.

საჭიროა აღინიშნოს, რომ იმ ორგანოთა გვერდით, რომლებიც აღმინისგრაიულ სამართალდარღვევათა მრავალრიცხოვან შემთხვევებს ებრძვიან, კანონმდებლობაში მითითებულია ისეთი ორგანოებიც, რომლებიც ორ თუ სამ სამართალდარღვევას ებრძვიან და აღმინისგრაიული სახდელის გამოყენების შეზღუდვის თვალსაზრისით ასეთი ორგანოების კომპეტენცია ამ სფეროში შეიძლება სხვა ორგანოს გადასცემოდა, მაგალითად, კოდექსის 299-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო სასინჯი ზედამხედველობის ორგანოები განიხილავენ აღმინისგრაიული სამართალდარღვევების საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია კოდექსის 236-ე და

237-ე მუხლებით (ძვირფასი ლითონის, ძვირფასი ქვებისა და მათ შემცველ ნაკეთობასთან დაკავშირებული საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევა და ფერადი ლითონებისა და მათი შემცველი ნაკეთობების შექმნის, გაყიდვის, შეგროვების ან ჩაბარების წესების დარღვევა). ასეთი დარღვევები შეიძლება გადასცემოდა განსახილველად სასამართლოებს, რამდენადაც ამ წესების დარღვევა სპეციფიკური საეაჭრო წესების დარღვევის სფეროს განეკუთვნება.¹

¹ იხ. მ. სალხინაშვილი, ვ. ლორია, ადმინისტრაციული სახელეუბი და მათი გამოყენება, თბ., 2000, გვ. 238.

მლდარ ახმლელიანი
იურიდიულ მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი

გარდამავალი ტიპის სახელმწიფოსა და სამართლის ზოგიერთი თავისებურება

სახელმწიფოსა და სამართლის გარდამავალი პერიოდი არ არის რაიმე არაჩვეულებრივი, მით უფრო, განსაკუთრებული რომელიმე რეგიონის ქვეყნების ან ცალკეული ქვეყნისათვის. ეს საერთო მოვლენაა იმ სახელმწიფოსა და სამართლებრივი სისტემებისათვის, რომლებიც ობიექტურად არსებობენ მსოფლიოს ყოველ ქვეყანასა თუ რეგიონში. იგი აღინიშნება სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების ისტორიის მთელ მანძილზე. სახელმწიფოსამართლებრივ სისტემათა გარდამავალი პერიოდი კონკრეტულად გამოიხატება სახელმწიფოსამართლის განვითარების დროს.

ამასთან, პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს იმ ვარემოებას, რომ სახელმწიფოსა და სამართლებრივ სისტემათა ტიპოლოგია შეიძლება წარმოებდეს არა მხოლოდ ფორმაციულ, არამედ ცივილიზაციურ საფუძვლებზეც. ამ დროს განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მეორე შემთხვევისას „ტრადიციულ“, მსოფლიო ლიტერატურაში თავისებურ კლასიკად ქცეულ, სახელმწიფოსა და სამართლის მონათმფლობელურ და სხვა ტიპთა ნაცვლად ფიგურირებს მათი სხვა ტიპები. სახელმწიფოსა და სამართლის ტიპთაშორისი, გარდამავალი პერიოდის, როგორც ობიექტურად არსებული მოვლენის, შენარჩუნება ხდება ნებისმიერ შემთხვევაში, განურჩევლად სახელმწიფოსა და სამართლისა, მათი გარდამავალი პერიოდის აღქმისა თუ სახელწოდებისა.

რა თქმა უნდა, შეეძლოდა უნდა ჩაითვალოს იმის მტკიცება, რომ სახელმწიფო და სამართალი, მათთან ერთად კი საზოგადოება, პოლიტიკური სისტემა თუ ცალკეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინსტიტუტები, მათი მუდმივი ფუნქციონირებისა და განვითარების გათვალისწინებით, ყოველთვის გარდამავალ პერიოდში იმყოფებიან, რასაც თან სდევს ერთი ხარისხობრივი მდგომარეობიდან მეორეში განუწყვეტელი გადასვლა.

ვინაიდან სახელმწიფო და სამართალი ისტორიული კატეგორიები თუ სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენათა განსაზღვრული ტიპებია, ამიტომ ისინი არსებობენ და ფუნქციონირებენ გარკვეული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ფარგლებში.

სახელმწიფოსა და სამართალს, ისევე, როგორც ყველა სხვა სოციალურ ორგანიზმს, არა მარტო აღმაფრენის, გაცხოველებული მრდისა და განვითარების პერიოდები, არამედ გაწეული კრიზისების, ავადმყოფობის, საბოლოოდ კი მათი გადაგვარებისა და დაღმასვლის პერიოდები ახასიათებს.

სახელმწიფოსა და სამართლის ავადმყოფობის ისტორიებისა და მიზეზების, ისევე როგორც მათი მომცველი კრიზისების შესწავლას, უდიდესი მნიშვნელობა აქვს, არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისით. აღნიშნული გვეხმარება არა მარტო გარდამავალი პერიოდის სახელმწიფოსა და სამართლის არსისა თუ შემცველობის უფრო ღრმად და მრავალმხრივ აღქმაში, არამედ საშუალებას გვაძლევს, მათ კრიზისულ და ავადმყოფობებს სწორი დიაგნოზი დაეუსვათ მდგომარეობიდან გამოსაყვანად.

აღნიშნული განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დღევანდელი აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური ქვეყნების, ბალტიისპირეთის და დსთ-ის რესპუბლიკებისათვის, რომლებიც უსუველოსოციალიზმიდან კაპიტალიზმისაკენ გარდამავალ ეტაპზე იმყოფებიან.

სახელმწიფოსა და სამართლის გარდამავალი მდგომარეობა ყოველთვის საკმაოდ რთული, შინაგანად ურთიერთწინააღმდეგობრივი, ხშირად საკმაოდ მტკივნეული, ავადმყოფური მდგომარეობაა, რომელიც დაკავშირებულია წარსულის კრიტიკულ გადაფასებასა და საკუთარი – უახლოესი თუ შორეული – მომავლის არჩევის მტანჯველ გრძნობასთან. სახელმწიფოს, სამართლის სისტემისა და საზოგადოების კრიზისული მდგომარეობის გამომწვევი, მითითებული ნიშნებისა და პირობების ცოდნას გემოაღნიშნულ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, პრინციპული დანიშნულება აქვს.

თანამედროვე საზოგადოების, მასთან ერთად კი, სახელმწიფოსა და სამართლის გარდამავალი პერიოდი მნიშვნელოვანწილად განსხვავდება ადრეულ საუკუნეებში არსებული მათი გარდამავალი მდგომარეობისაგან. ამასთან დაკავშირებით სრულიად სამართლიანად შეიძლება აღინიშნოს, რომ სამამულო ლიტერატურაში თანამედროვე გარდამავალი პერიოდების შეიყაყენ მახასიათებელთა მთელ რიგს, რაც მათ არსებითად განასხვავებს კაცობრიობის ისტორიის ადრეულ საუკუნეებში მომხდარი ანალოგიური სოციალური ძვრებისაგან. ყურადღება მინდა გავამახვილო გარდამავალი გიპის სახელმწიფოსა და სამართლის ზოგად ნიშან-თვისებებზე, აგრეთვე, წარმოშობისა და განვითარების პირობებზე მათი არსებობის თუ უუნქეიონირების ნებისმიერ ფაქტორზე (დროის ფაქტორი და სხვა).

რა აერთიანებს, ვთქვათ, XX საუკუნის გარდამავალი გიპის სახელმწიფოსა და სამართლის სისტემებს შუა საუკუნეების ანალოგიური ხასიათის სახელმწიფოებსა და სამართლის სისტემებთან? რა მსგავსება და განსხვავება არსებობს მათ შორის? საერთოდაც, გვაქვს კი უფლება, ვისაუბროთ დროის სხვადასხვა განზომილებაში არსებულ სახელმწიფოთა და სამართლის სისტემათა ერთობაზე, მაშინ როდესაც ზოგიერთი მათგანი XVII-XIX საუკუნეებში უფოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გარდამავალი სისტემა იყო, ხოლო სხვებმა XX საუკუნეში თავის უმთავრეს მიზნად ოფიციალურად გამოაცხადეს სოციალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლა?

დასმულ კითხვებზე პასუხისას, უწინარეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მივაქციოთ არა მარტო კონკრეტულ, ყოველდღიურ ცხოვრებაში მაგერი-ალიზებად სოციალურ კლასობრივ არსს, სპეციფიკურ შემადგენლობასა თუ დანიშნულებას, რომლებიც განპირობებულია მკაცრად განსაზღვრული ისტორიული ჩარჩოებითა და ცხოვრების პირობებით, არამედ იმ ზოგად თვისებებსა და ნიშნებს, რომლებიც მათ, როგორც ერთგვაროვან მოვლე-ნებს, ახასიათებთ.

გარდამავალი პერიოდის სახელმწიფოსა და სამართალს უდავოდ გააჩ-ნია ყველა ის ნიშან-თვისება, რაც დამახასიათებელია ნებისმიერი სახელ-მწიფოსა თუ სამართლისათვის, ამასთან, „კლასიკური“ ტიპის (მონათმფლო-ბელური, ფეოდალური და მისთ.) სახელმწიფოსა და სამართლის სისტე-მებისაგან განსხვავებით, აქვთ გარკვეული თავისებურებანიც, მათ შორისაა:

პირველი. ზოგადი წესის თანახმად, გარდამავალი ტიპის ყოველი სა-ხელმწიფო თუ სამართლებრივი სისტემა უცილობლად წარმოიქმნება სხვადასხვა სოციალური ძვრების შედეგად რევოლუციების, ომების, წარუ-მატებელი რადიკალური რეფორმების სახით.

აღნიშნული თემისების დამადასტურებელ კონკრეტულ მაგალითებად შეგვიძლია მოვიყვანოთ: XVII საუკუნის (1640-1659) ინგლისის რევოლუ-ცია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ევროპის პირველი ბურჟუაზიული სა-ხელმწიფოსა და სამართლის ჩამოყალიბებას; XVIII საუკუნის (1789-1794) საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია, რომელიც სამართლიანად იწო-დება დიდ ფრანგულ რევოლუციად და რომელმაც საფრანგეთის და მრავა-ლი სხვა ქვეყნის სახელმწიფოსა და სამართლის ფეოდალიზმიდან კაპიტა-ლიზმზე გადასვლის საკითხში მნიშვნელოვანი სოციალური იმპულსის რო-ლი შეასრულა; 1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია რუსეთში, რომელმაც დასაბამი დაუდო რუსეთის, შემდგომში კი მრავალი სხვა სახელმწიფოსა და სამართლის კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლას.

ამა თუ იმ ქვეყნის კონკრეტულ-ისტორიული პირობებიდან გამომდი-ნარე, რევოლუციის ან მსგავსი სოციალური მოვლენის სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე ზემოქმედებით განპირობებული სახელმწიფოსა და სამართლის ჩამოყალიბების ტემპები საკმაოდ განსხვა-ვდება ერთმანეთისაგან.

აღნიშნულთან დაკავშირებით, იურიდიულ ლიტერატურაში სავსებით დასაბუთებულადაა მითითებული, რომ ფეოდალურ წესწყობილებასთან ბრძოლაში ბურჟუაზია, როგორც პოლიტიკური კლასი, უმეტეს წარმატებას აღწევდა იმ დროს, როდესაც იგი მოქმედებდა ხალხთან ერთად, ეყრდნო-ბოდა მშრომელი მასების რევოლუციურ გამოსვლებს აღნიშნულ ქვეყნებ-ში, სადაც გლეხებისა თუ ქალაქის მოსახლეობის პლებურე ქვედა ფენებ-ის ანტიფეოდალურმა განწყობამ უშუალო ზემოქმედება მოახდინა ბურ-ჟუაზიის პოლიტიკურ პოზიციამზე, ბურჟუაზიული სახელმწიფოსა და სა-მართლის პრინციპები ყველაზე სრულად იქნა რეალიზებული. ამის დამა-დასტურებელ ტიპურ მაგალითად შეგვიძლია საფრანგეთი მოვიყვანოთ.

იმ ქვეყნებში კი, სადაც რევოლუციები არასაკმარისად ღრმა იყო, ხო-ლო მათი ლიდერები, რომლებიც ფეოდალებთან კომპრომისისაკენ იხრე-

ბოდნენ, არ მიისწრაფოდნენ მუასაუკუნეობრივი სახელმწიფოს თუ სამართლებრივ დაწესებულებათა სრული განადგურების, ახალი, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წესების ჩამოყალიბებისაკენ, სახელმწიფოსა და სამართლის გარდამავალი პერიოდი მიმდინარეობდა დროის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, აღნიშნულის ერთ-ერთ დამადასტურებლად შეიძლება ინგლისი ჩაითვალოს.

სახელმწიფოს, სამართლის თუ თავად საზოგადოების განვითარების გარდამავალი პერიოდი შეიცავს სოციალური და სახელმწიფოსამართლებრივი მატერიის შემდგომი ევოლუციის რამდენიმე შესაძლო ვარიანტს, ამა თუ იმ გზით სახელმწიფოს, სამართლისა და საზოგადოების განვითარების ალტერნატივას.

მაგალითად, რუსეთის თუ სხვა ყოფილი სოციალისტური ქვეყნების ახლანდელი გარდამავალი პერიოდი შეიცავს ადრეული (ველური) ან გვიანდელი (მონოპოლიური) კაპიტალიზმის, ანდა სოციალური დემოკრატიზმის გზით მათი საზოგადოების აღმშენებლობის, სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების ალტერნატივას. ამასთანავე, იგი საშუალებას აძლევს პირებს, რომლებიც ისტორიის მოცემულ მონაკვეთზე ამ ქვეყნებისა თუ ერების ბედს განაგებენ, თავიანთი ქვეყნების ისტორიული თუ სხვა გრადიციების, ეკონომიკის განვითარების დონისა და საზოგადოების კულტურის, ერისა თუ დომინირებადი ეთნიკური ჯგუფის ყოფა-ცხოვრების თავისებურებების გათვალისწინებით გამოიმუშაონ სახელმწიფოს, სამართლისა და საზოგადოების განვითარების საკუთარი ხედვა.

გარდამავალ პერიოდში რეალური ალტერნატივის არსებობა, სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების გზის არჩევის ჭეშმარიტი თავისუფლება განპირობებულია მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორით. მათ შორისაა: სახელმწიფოსა და საზოგადოების ეკონომიკური შესაძლებლობები, ძალთა თანაფარდობა ურთიერთმებრძოლ კლასებს შორის, ახალ-მოელენილი ბელადებისა თუ პოლიტიკური ლიდერების ინტელექტუალური შესაძლებლობები, მათი პოლიტიკური ანგაჟირებისა და სავარეო დამოკიდებულების ხარისხი, ძალაუფლებასთან მყოფთა და ოპოზიციის იდეოლოგიური მისწრაფებები, კომპრომისების, აგრეთვე, გარდამავალი სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების კონცეფციების ერთობლივი შემუშავებისაკენ მათი მიდრეკილება, მათი პოლიტიკური მოქნილობა და სხვა.

ეს და სხვა მსგავსი ფაქტორები ძირითადად მოქმედებენ ჩვეულებრივ პოლიტიკურ, უფრო სწორად კი, პრაგმატულ-პოლიტიკურ დონეზე. ამასთანავე, მათ გვერდით არსებობს სხვა სახის ფაქტორებიც, რომლებიც ელენდება უფრო მაღალ, ფილოსოფიურ-ისტორიულ, ინტელექტუალურ დონეზე.

მათი არსი ისაა, რომ გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების გზის განსაზღვრის, მისი კონცეფციის დამუშავებისას საფუძვლად მიიღება არა მარტო დროითა და მანძილით ისტორიულად შემუშავდა მონაკვეთზე მოქმედი ფაქტორები, მოკლევადიანი სარგებელი და ინტერესები, არამედ სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების საერთოდ ისტორიულ პროცესთან დაკავშირებული ფილოსოფიური შეხედულებები, აგრეთვე, აღნიშნული ქვეყნის ინტელექტუალური ელიტის

მოსაზრებები იმის თაობაზე, თუ სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების რომელი გზა შეიძლება ჩაითვალოს პროგრესულად და რომელი – რეგრესულად.

საბჭოთა „პერესტროიკული“ და პოსტსაბჭოთა რუსეთის განვითარების გზების ძიების პროცესში, მარქსისტული მსოფლმხედველობით ხელმძღვანელობისას, ძალაუფლების მქონენი უნდა მისულიყვნენ იმ დასკვნამდე, რომ ქვეყნის განვითარების ერთადერთ, „ისტორიულად მართებულ“ და პროგრესულ გზას სახელმწიფოს კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ გარდამავალი, შემდგომში კი სოციალიზმის სრულყოფის გზა წარმოადგენს.

წინა საუკუნის 90-იან წლებამდე ამ კონცეფციას ემხრობოდნენ (ყოველ შემთხვევაში – ოფიციალურად, დემონსტრაციულად) რუსეთისა და დსთ-ის მრავალი ქვეყნის როგორც თანამედროვე მოღვაწენი, რომელთაც ადრე უმაღლესი პოსტები ეკავათ, ყოფილი პარტიული ფუნქციონერები, ისე აშკარად გადამდგარი პარტიული მუშაკები.

სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების გზის გარდამავალი პერიოდისას არამარქსისტული მსოფლმხედველობით ხელმძღვანელობის პირობებში, რუსეთისა თუ დსთ-ის სხვა ქვეყნების მმართველობის საჭესთან მდგომნი მიდიან საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების, „ჭეშმარიტად დემოკრატიული“ სახელმწიფოსა და სამართლის აღმშენებლობის გზით.

ამ დროს ასაგები კაპიტალიზმის („სახალხო“, „ოლიგარქიული“, „ეროვნული სპეციფიკის მქონე“ და მისთ.) ნაირსახეობას პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რომ ეს არის არა სოციალზმი, არამედ კაპიტალიზმი, რომ არჩევანი წილად ხედა არა პირველს, არამედ – მეორეს.

აღნიშნული მსოფლმხედველობითი მიდგომისას „პლუსი“ იქცა „მინუსად“ და პირიქით, ის, რაც პროგრესულად იყო აღიარებული, რეგრესული სახით წარმოჩნდა.

აღნიშნულ შემთხვევაში უდავოდ შეიმჩნევა პოლიტიკური ცინიზმისა და კონიუნქტურის ელემენტი. ამასთან, ინტელექტუალურ ელიტასთან მიმართებით, რომელსაც საზოგადოების, სახელმწიფოს განვითარების პროცესის გზის არჩევისა თუ თვით ხელისუფლებაზე ზემოქმედების საშუალება გააჩნია, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება წმინდად მსოფლმხედველურ, ფილოსოფიურ ფაქტორებს. ამ დროს დიდი როლი ენიჭება ისტორიული პროცესისა და სოციალურ-პოლიტიკური პროგრესის სხვადასხვაგვარ გაგებას.

ისტორიული პროცესისა და სოციალურ-პოლიტიკური პროგრესის თაობაზე ნებისმიერ სხვა შეხედულებას ლოგიკურად მიეყავართ სრულიად განხვავებულ დასკვნამდე.

მაგალითად, თუკი გარდამავალი ტიპის სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების გზის შესახებ მსჯელობისას ამოსავალ წერტილად ავიღებთ ისტორიული პროცესისა და სოციალურ-პოლიტიკური პროგრესის თაობაზე „ქრონომეტრულ“ შეხედულებას, რომლის თანახმადაც კაცობრიობის მთელი ისტორია, მასთან ერთად კი მსოფლიო პროგრესი ვითარდება არა აღმავალი სპირალური ხაზით, არამედ ციკლურად, აუცილებლად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ მთელ მსოფლიოში არ არსებობს სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების წინასწარ განსაზღვრული

პროგრესული თუ რევრესული სტადიები. ყველაფერი ფარდობითი და პირობითია, რამეთუ ისტორია მეორდება განსაზღვრული დროის ამოწურვის შემდეგ, ციკლურად.

მეხედულება ისტორიის განვითარების ციკლურობის თაობაზე არავითარ შანსს არ უტოვებს არც აღმოსავლეთის (მათ შორის ყოფილი სსრკ-ისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების) მარქსისტებს, რომლებიც სულ ახლახან საუბრობდნენ სოციალისტური წყობილების განსაკუთრებულობის, ჭეშმარიტი ფასეულობისა თუ პროგრესულობის თაობაზე, არც მათ დასაველელ მოწინააღმდეგეებს, რომლებიც იმავეს განუსრულად ამტკიცებდნენ კაპიტალისტურ წყობილებასთან მიმართებით.

მსოფლიო ისტორიის ცალკეული ხასიათის თეალსაზრისით, როგორც აღმოსავლეთის – სოციალისტური, ისე დასავლეთის – კაპიტალისტური, განვითარების გზები არამე და არამე არ არის საზოგადოებრივი და სახელმწიფო განვითარების ეტალონები. თითოეული მათგანი მოიცავს საკმაოდ პროგრესულ საწყისსაც და არანაკლებ რევრესულ დაბოლოებასაც.

სოციალიზმთან მიმართებით, რომელიც ათეულობით წლის განმავლობაში ხორციელდება სსრკ-ისა თუ აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის სხვა ქვეყნებში, ისტორიამ საკმაოდ თვალნათლივ დაგვიანახვა ამ ხელოვნურად შექნილი ფსევდომარქსისტული მოდელის არასრულყოფილება. მასთან დაპირისპირებულ დასავლეთის სოციალურ-პოლიტიკურ კონსტრუქციასთან დაკავშირებით კი, ისტორიის თავისი საფუძვლიანი სიტყვა ჯერ კიდევ არ უთქვამს.

სახელმწიფოს, სამართლისა და თავად საზოგადოების გარდამავალი პერიოდი, რომლის ბაზაზეც იქმნებიან და ვითარდებიან ისინი, უცილობლად დაკავშირებული გრადიციულ ეკონომიკურ ურთიერთობათა ხასიათისა თუ მასშტაბის მეკეთრ შეცვლასთან, ეკონომიკის დროებით მოშლასთან, სახელმწიფოსა და სამართლებრივი სისტემის მაგერიალური საფუძვლების შესუსტებასა თუ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ცხოვრების დონის მძაფრ დაცემასთან.

ეს ყოველი გარდამავალი ეტაპის თანამდევი სამწუხარო კანონზომიერებაა, რომელიც განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა საუკუნის უკანასკნელ დაკადაში, თანამედროვე რუსეთისა თუ სხვა ყოფილი სოციალისტური ქვეყნების მიერ საბაზრო ურთიერთობათა „მშენებლობის გამლის“ პერიოდში, სოციალიზმიდან „სახალხო“ ან „ოლიგარქიული“ კაპიტალიზმისაკენ „უკან დასაბრუნებელ“ გზაზე.

ამ გარემოების აღნიშვნისას ზოგიერთი ავტორი საესებით სამართლიანად მიუთითებს იმაზე, რომ ასეთი სახის ექსპერიმენტებს ხშირად ომების თუ მსგაესი ნეგატიური სოციალური მოვლენებისაკენ მიეყავართ.

გარდამავალი ტიპის სახელმწიფოსა და სამართლისათვის დამახასიათებელია სოციალური თუ პოლიტიკური საფუძვლების დროებითი შესუსტება, რაც გამოწვეულია ქვეყნის მოსახლეობის უდიდეს ნაწილში ახალ და ძველ სახელმწიფო ხელისუფლებასა და პოლიტიკურ ელიტას შორის მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ ფასეულობათა გადაფასებით ამ აღ-

ნიშნულ პერიოდში წარმოქმნილი სოციალური დაძაბულობით, საზოგადოებრივი დაბნეულობითა და ქაოსით.

გარდამავალი პერიოდის სახელმწიფო და სამართალი, როგორც წესი, გამოირჩევა სახელმწიფო ხელისუფლების დაყოფის სისტემაში აღმასრულებელ-განმკარგულებელი ხელისუფლების დომინირებით.

აღნიშნული განპირობებულია როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ფაქტორებით. ობიექტურ ფაქტორთა შორის გამოირჩევა, უწინარეს ყოვლისა, აღმასრულებელ-განმკარგულებელი (ან უბრალოდ – აღმასრულებელი) ხელისუფლების ბუნება და სასიათი. კერძოდ, მისი მობილურობა, ოპერატიულობა, ქმედითობა, სწრაფი კონცენტრაციისა და მაგერიალურ, სულიერ, ფინანსურ და სხვა ფასეულობათა ეფექტური გამოყენების უნარი.

სუბიექტური ფაქტორებიდან დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ადამიანთა ცალკეული ჯგუფებისა თუ კონკრეტული პირების ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სხვაგვარ ინტერესებს, რომლებიც აღმასრულებელ ხელისუფლებაზე გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენენ, აგრეთვე, აღმასრულებელი ძალაუფლებით უშუალოდ აღჭურვილ ადამიანთა პროფესიულ თუ პირად თვისებებს.

გარდამავალ პერიოდში სახელმწიფო ხელისუფლების ყველა სხვა განმტოებაზე აღმასრულებელი ხელისუფლების დომინირება შემდგომში, წლების განმავლობაშიც გამოვლენილ შიშველად სხვადასხვა ქვეყანაში, რომელთა შორის რუსეთიც არის.

გარდამავალი ტიპის სახელმწიფო და სამართალი, გემოაღნიშნული ნიშან-თვისებების გარდა, გამოირჩევა სხვა თავისებურებებითაც. მათ შორის: სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების პერიოდში სუბიექტური ფაქტორის ზეგავლენის ზრდა; გარდამავალი პერიოდის სახელმწიფოსამართლებრივ მექანიზმში ძველისა და ახლის ელემენტების ორგანიზებული შერწყმა; მითითებული პროცესებისას სახელმწიფოებრივი ფორმებისა თუ რეჟიმის პერიოდული ცვლა და სხვა.

ნებისმიერი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს, განვითარების გარდამავალი პერიოდი წარმოადგენს არა მარტო სახელმწიფოსა და სამართლის, არამედ იმ საზოგადოების, ეკონომიკის, პოლიტიკის, სოციალური ცხოვრების, იდეოლოგიის ევოლუციის განსაკუთრებულ ეტაპს, რომლის ბაზაზეც ისინი წარმოიქმნებიან და ვითარდებიან. სახელმწიფოსა და სამართლის ერთი ტიპიდან მეორეზე გადასვლის პროცესი თავისთავად საკმაოდ რთული, მრავალწახნაგოვანი და ურთიერთწინააღმდეგობებით აღსავსე პროცესია, რომელიც მიმდინარეობს არა მარტო სახელმწიფოსამართლებრივ სფეროში, არამედ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაშიც.

მითითებული პროცესის ცენტრში ყოფნისა და, როგორც წესი, მასზე უდიდესი ზეგავლენისას, სახელმწიფო მოცემულ პერიოდში, მოწოდებულია „ამოხსნას“ ურთიერთდაკავშირებულ და ერთმანეთის შემავსებელ ამოცანათა ორი კომპლექსური კრებული. პირველი მათგანი დაკავშირებულია თავად სახელმწიფო მექანიზმის რეორგანიზაციასთან – მისი არსის, შემადგენლობის, ორგანიზაციის ფორმის, მოღვაწეობის მეთოდების, სტრუქტურების შემცველობასთან. ამოცანათა მეორე ჯგუფი კი შეეხება საზოგად-

დოების გადასხვაფერებას, ეკონომიკის რეფორმირებას, სამინაო და საგარეო პოლიტიკაში ახალი ორიენტირების დადგენას, ახალი ოფიციალური იდეოლოგიის ჩამოყალიბებას.

ბუნებრივია, რომ ყოველი სახელმწიფოს წინაშე მდგარ ამოცანათა თუ საქმიანობის ძირითად მიმართულებათა ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური შინაარსი განპირობებულია მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორით.

მათ შორის უდიდესი მნიშვნელობა აქვს დროის, უფრო სწორად, ისტორიულ ფაქტორს. მისი არსი შემდეგია: საერთო დასახელების („გარდამავალი მდგომარეობა“) თუ ნებისმიერი გარდამავალი ტიპის სახელმწიფოსა და სამართლის დამახასიათებელი სხვა მრავალი ერთობლივი ნიშნის მიუხედავად, მათი კონკრეტული შინაარსი და, შესაბამისად, სახელმწიფოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები თუ გადასატრეული ამოცანები თითოეულ შემთხვევაში განპირობებულია კონკრეტული სამოგადობის განვითარების ღონით, სამოგადობაში ჩამოყალიბებულ ურთიერთობათა ხასიათითა და ტიპით.

საესებით დასაშვებია, რომ საერთაშორისო გაერთიანების განვითარების თანამედროვე პირობებში, მაგ., ლათინური ამერიკის, აფრიკისა და ამიის გარდამავალი ტიპის სახელმწიფოების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები თუ მათ წინაშე მდგარი ამოცანები მნიშვნელოვნად განსხვავებულად აღმოსაყვლეთ და ცენტრალური ევროპის იმავე ტიპის სახელმწიფოების საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისა და მათ წინაშე მდგარი ამოცანებისაგან.

ანალოგიურად დგას იმ სახელმწიფოების საკითხიც, რომლებიც არსებობდნენ სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებში. ერთი „ტიპური“ მდგომარეობიდან მეორეზე მათი გადასვლის „ტექნოლოგიასა“ და ფორმებს შორის გარეგნული მსგავსება, რა თქმა უნდა, არსებობს. მართალია, ისინი წარმოგვიდგებიან როგორც ერთგვაროვანი ფენომენები, მაგრამ მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისა და მათ წინაშე მდგარი ამოცანების კონკრეტულობა საკმაოდ განსხვავებულია.

ყოველივე შემოადინიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დაეასკენათ, რომ გარდამავალი ტიპის სახელმწიფოსა და სამართლის, აგრეთვე მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისა თუ გადასატრეული ამოცანების შესწავლისას ფრიად მნიშვნელოვანია, გამოვიდეთ არა გარდამავალ პერიოდში მყოფი ყოველი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ერთგვაროვანი ნიშან-თვისებებიდან, არამედ თითოეული სახელმწიფოს ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური თუ სხვა თავისებურებებიდან.

გარდამავალი ტიპის სახელმწიფოს საერთო კონცეფცია, მისი გვარობითი ნიშან-თვისებები განსაზღვრავენ აღნიშნული თემატიკის კვლევის მხოლოდ საერთო ნიშან-სეგებებსა და მიმართულებებს, საშუალებას გვაძლევენ, გამოვავლინოთ „გარდამავალი“ სახელმწიფოს წარმოშობისა თუ განვითარების ზოგადი კანონზომიერებები, დავინახოთ სახელმწიფოს ყოფილი გარდამავალი პერიოდი სხვა ანალოგიურ სახელმწიფოთა ფონზე. რაც შეეხება თითოეული კონკრეტული „გარდამავალი“ სახელმწიფოს

არსა და შემცველობას, მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებებსა და გადასაჭრელ ამოცანებს, ისინი განისაზღვრებიან მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში, თითოეულ კონკრეტულ საზოგადოებასთან, მისი ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარების დონესთან, ყოველ ცალკეულ ქვეყანასთან მიმართებით.

შემდგომში, გარდამავალი ტიპის სახელმწიფოსა და მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებებსა თუ გადასაჭრელ ამოცანათა განხილვისას, დავეყრდნობით მხოლოდ იმ მასალას, რომელიც თანამედროვე რუსეთისა და სხვა ყოფილი სოციალისტური ქვეყნების გარდამავალ მდგომარეობას შეეხება.

კითხვაზე – საქმიანობის რა ძირითადი მიმართულებები გააჩნია, ან რა ამოცანები აქვთ გადასაჭრელი თანამედროვე ეტაპზე მითითებულ სახელმწიფოებს, არც იურიდიულ და არც სხვა სამეცნიერო ლიგერატურაში ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს. აღნიშნული განპირობებულია გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს როლის განსაზღვრისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომებით, აგრეთვე, განსხვავებული პოლიტიკური და იდეოლოგიური მსოფლმხედველობით.

დასაუღეთის ავტორები განასხვავებენ ოთხ ამგვარ მიდგომასა თუ მსოფლმხედველობას:

გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს როლის განსაზღვრისადმი პირველ ამგვარ მიდგომას იქამდე მივყავართ, რომ სახელმწიფო განიხილება როგორც „ყოვლისმომცველი“ და „ყველგან შემღწევი“ ფუნქციონერი. გარდამავალი ტიპის სახელმწიფოს ამგვარი განსაზღვრება ასოცირდება ტოტალიტარულ სახელმწიფოსთან, შესაბამისად, მას არავითარი პერსპექტივა არ გააჩნია;

გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს როლის განსაზღვრისადმი მეორე მიდგომა სრულდება იმით, რომ იგი, ვინაიდან არის „ტოტალიტარული კორუმპირებული სახელმწიფო“, მოწოდებულია გამოხატოს მმართველი კორუმპირებული ელიტის ნება და დაიცვას მისი ინტერესები. ამგვარი სახელმწიფოს არსებობის მრავალრიცხოვან მაგალითს გვიჩვენებს ე.წ. „მესამე ქვეყნები“, სოციალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლელი სახელმწიფოები;

მესამე მიდგომა ასოცირდება საზოგადოების განვითარების გარდამავალ პერიოდში ლიბერალური სახელმწიფოს შექმნასა და ფუნქციონირებასთან, რომლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები თუ ამოცანები ამოიწურება იმით, რომ უზრუნველყოს საზოგადოება მხოლოდ ყველაზე აუცილებელით;

დასაუღეთში ეს მიდგომა მეტად გავრცელებულია და პოლიტიკური იდეოლოგიური თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულად ითვლება გეგმური, ცენტრალიზებული ეკონომიკიდან საბაზრო, დეცენტრალიზებულ ეკონომიკაზე, სოციალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლისას;

ლიბერალიზმის იდეის ზემოქმედების თავდაპირველ ობიექტს ის საზოგადოებრივი ურთიერთობები წარმოადგენდა, რომლებიც ყალიბდებოდნენ

ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლისა თუ კაპიტალიზმის განვითარების ადრეულ სტადიებზე. შემდგომში მითითებული იდეები აქტიურად იქნა გადატანილი სხვაგვარ ურთიერთობებზე, მათ შორის ისეთებზე, რომლებიც წარმოიშობიან და ვითარდებიან კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ გადასვლის პერიოდში.

ამჟამად ლიბერალიზმის იდეის მეშვეობით აქტიურად ამართლებენ არა მარტო რუსეთსა თუ სხვა ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში არსებულ, ეკონომიკაზე, სოციალურ თუ სახელმწიფო სტრუქტურებზე ხშირად დამანგრეველი ზემოქმედების მქონე ურთიერთობებს, არამედ სტიმულს აძლევენ ახალ, თავისი ხასიათით ანალოგიურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა წარმოქმნას;

მეოთხე მიდგომა – სოციალიზმიდან კაპიტალიზმზე გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს ადგილისა და როლის განსაზღვრასთან ასოცირდება, პოლიტიკური სარბიელიდან წამსვლელი სოციალისტური სახელმწიფოს ნაცვლად, სოციალურ-დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა და ფუნქციონირება.

ამ უკანასკნელის უმთავრეს თავისებურებას, დასაყვლელი ექსპერტების აზრით, უპირველეს ყოვლისა, ის წარმოადგენს, რომ მას ლიბერალური თუ გარდამავალი პერიოდისათვის პროექტირებადი ნებისმიერი სხვა სახელმწიფოსაგან განსხვავებით, გააჩნია მოსახლეობის წინაშე სოციალური პასუხისმგებლობის მაქსიმალურად მაღალი დონე.

აღნიშნული თეორია განუყრელადაა დაკავშირებული ისეთ მონათესავე თეორიებთან, როგორცაა: „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“, „სოციალური სახელმწიფოს“ დოქტრინა. „სახალხო კაპიტალიზმის“ კონცეფცია და სხვ. როგორც იმ ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, სადაც ამ თეორიებმა წარმატებულად გაიარეს აპრობაცია, პრაქტიკულად განხორციელებისას ისინი საფუძველშივე აღმოჩნდნენ წმინდად პროპაგანდისტული, პოლიტიკური დოქტრინები. მათ უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა კაპიტალისტური სახელმწიფოს არსებობის კანონზომიერებისა და უპირატესობის დამტკიცება ყველა სხვა სახელმწიფოსთან შედარებით. ამ თეალსაზრისით, ყველა ეს დოქტრინა არაფრით განირჩევა „საერთო-სახალხო სახელმწიფოს“ შესახებ ოდინდელი საბჭოთა დოქტრინისაგან.

რაც შეეხება სოციალურ-დემოკრატიული სახელმწიფოს დოქტრინას, გარდამავალ პერიოდში მყოფ სხვა ქვეყნებში მისი დანერგვის შესაძლებლობას, თუკი ეს პროცესი მიმდინარეობს, იგი ჩანასახის მდგომარეობაში იმყოფება და არაფრით ავლენს საკუთარ თავს. პრაქტიკულად კი ცხოვრების სახელმწიფო-სამართლებრივ სფეროში ლიბერალიზმი გაბატონებული.

უნდა აღინიშნოს შემდეგ: თუკი გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს განვითარების ლიბერალური გზა სახელმწიფოს წინაშე აყენებს ერთი სახის ამოცანებს და განსაზღვრავს სახელმწიფოს საქმიანობის შესაბამის მიმართულებებს, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია ეკონომიკის დარგში რეალური და პოტენციური კონკურენტებისთვის შესაფერისი პირობების შექმნასთან, აგრეთვე, საზოგადოების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სფეროებში სახელმწიფოს მინიმალურ ჩარევასთან, მაშინ, გარდა-

მაველი პერიოდის სახელმწიფოს სოციალურ-დემოკრატიული მოდელი შედარებით განსხვავებულ ამოცანებსა თუ მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებებზეა ორიენტირებული.

აღნიშნული მოდელის ფარგლებში სახელმწიფო, უპირველეს ყოვლისა, ახორციელებს იმ საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია ცენტრალიზებული გეგმური ეკონომიკის არაეცენტრალიზებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან, საკუთრების სხვადასხვა ფორმისა და „კითილსინდისიერი“ კონკურენციის პირობების შექმნასთან. მაგრამ, ამასთან ერთად, იგი გულგრილი არაა ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სხვა სფეროში მიმდინარე პროცესების მიმართ.

გარდამავალ პერიოდში სოციალურ-დემოკრატიული ორიენტაციის სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ამოცანები და მისი საქმიანობის შესაბამისი ძირითადი მიმართულებებია: ა) სოციალური დამღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის სისტემის გარდაქმნა ახალი, სოციალურ-დემოკრატიული წესის შესაბამისად; ბ) განათლებისა თუ სამედიცინო უზრუნველყოფის სისტემებში, რომლებიც იყვნენ და გარკვეულწილად რჩებიან კიდევ სახელმწიფო პრეროგატივად, საჯარო ელემენტებთან ერთად კერძო ელემენტების შეტანა; გ) მოქალაქეთა ფიზიკური და სულიერი აღზრდის სისტემის სრულყოფა, მათ მიერ ახალი სოციალური, პოლიტიკური, გარკვეულწილად ეკონომიკური თუ სხვა ფასეულობათა შეთვისების მიზნით; დ) შეცვლილ პირობებში შრომითი ურთიერთობების გარდაქმნა ახალი, „პარტნიორული“ წესის შესაბამისად; ე) ეკონომიკის სფეროში არსებული არა მარტო მაკროეკონომიკურ, არამედ მიკროეკონომიკურ პრობლემებზე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების ყურადღებისა და ძალისხმევის გამახვილება და სხვ.

სოციალურ-დემოკრატიული მოდელის მხარდამჭერთა აზრით, ჩამოთვლილი სოციალური ორიენტაციის საქმიანობა სახელმწიფომ უნდა განახორციელოს არასახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთკავშირითა და ურთიერთქმედებით. ამასთან, „გარდამავალი“, საკმაოდ სპეციფიკური პრობლემების გადაჭრისას სოციალურ-დემოკრატიული გიპის სახელმწიფომ არ უნდა დაივიწყოს საკუთარი ყოველდღიური, ყველა სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი, პრობლემები. საუბარია მათი საქმიანობის ისეთ მიმართულებებზე, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო თუ სხვა პოტენციალის შენარჩუნებასა და მხარდაჭერასთან, სახელმწიფო თუ ეროვნული ინტერესების დაცვასთან, მოქალაქეთა უფლებებისა თუ თავისუფლების უზრუნველყოფი გარანტიების გაძლიერებასთან და სხვ.

სახელმწიფოს მიერ გარდამავალ პერიოდში განხორციელებულ ყოველგვარ რეფორმისტულ (ევოლუციურ) და რევოლუციურ გარდაქმნათა სარგებლიანობისა თუ პროგრესულობის შეფასების ძირითადი კრიტერიუმი მათი კეთილისმყოფელი გავლენა ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის შემდგომ განვითარებაზე, ახალი ტექნოლოგიების შექმნა და დახვეწა, მოქალაქეთა უფლებებისა თუ

თავისუფლების უზრუნველყოფი გარანტიების გაძლიერება, მათი მაკერიალური თუ სულიერი კეთილდღეობის ამაღლება.

ამასთან, თუ ზემოაღნიშნული არ ხდება რევოლუციური ცვლილებებისა თუ რეფორმების გატარების პროცესში, ისინი საზოგადოებისათვის კარგავენ ყოველგვარ აზრს (განურჩევლად იმისა, თუ რა კეთილი მიზნებითა და ზრახვებით იქნენ განხორციელებულნი). უფრო მეტიც, თუკი ისინი აუარესებელ ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას, იწვევენ სამრეწველო თუ სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაღმასვლას, მოსახლეობის ცხოვრების დონის დაკლებას, ანაღვრებენ საუკუნოვან წესჩვეულებებსა და ტრადიციებს, ახდენენ საზოგადოების თუ თავად სახელმწიფოს დემორგანიზაციას, ხდიან მათ ეკონომიკურად, ფინანსურად ან სხვაგვარად დამოკიდებულს სხვა ქვეყნებზე, მაშინ ამდაგვარი ცვლილებები არ შეიძლება საზოგადოებისთვისა და სახელმწიფოსათვის სასარგებლოდ ჩაითვალოს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი მიმდინარეობენ დემოკრატიული, პროგრესული თუ მსგავსი ცვლილებების განხორციელების, მომავალში იდეალური სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი წესწყობილების შექმნის მიზნით.

ძალაუფლების მქონეთა სუბიექტური მიზნებისა თუ სურვილების მიუხედავად, ამგვარი რეფორმები თუ რევოლუციური გარდაქმნები უკანა პლანზე გადაისვრიან ქვეყნის ეკონომიკას, მასთან ერთად კი, მთლიანად სახელმწიფოსა და საზოგადოებას მათ მიმართ გამოხატული რეაქტიული ხასიათი აქვთ.

გარდამავალ პერიოდში მყოფ სხვა ყოფილი სოციალისტური ქვეყნების აკადემიურ (ნაწილობრივ პოლიტიკურ) წრეებში მუშავდება აღნიშნული პირობების არსებობისას სახელმწიფოსა და სამართლის როლისადმი მიძღვნილი კონცეფცია გარკვეული იდეალური მოდელის, ანუ „დემოკრატიამ გადასვლის იდეალური გიპის“ შესახებ. მისი ავტორების ჩანაფიქრით, იგი რეალიზაციის სხვადასხვა სტადიამზე უნდა მოიცავდეს როგორც ლიბერალიზმის, ისე სოციალ-დემოკრატიზმის ნიშან-თვისებებს.

განასხვავებენ აღნიშნული მოდელის რეალიზაციის ოთხ სტადიას: 1) პოლიტიკური ცხოვრების ლიბერალიზაცია, რომელიც ითვალისწინებს სამოქალაქო თავისუფლებათა ინსტიტუციონალიზაციას; 2) რეჟიმის კონტროლირებად „შემსუბუქებას“; მოძველებული ინსტიტუტების (ყოფილი პოლიტიკური სისტემის შემადგენელი ნაწილების) დემონტაჟს; 3) ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაციას; 4) შესაბამისი ზომების მიღებას მოქალაქეთა „რესოციალიზაციისათვის“, ე.ი. ახალ ფასეულობათა და ახალ-შექმნილი პოლიტიკური სისტემის პოზიტიური აღქმისათვის.

აღნიშნული მოდელი ძირითადად ორიენტირებულია საზოგადოების ცხოვრების პოლიტიკურ სფეროზე, მისი ერთი – ავტორიტარული მდგომარეობიდან მეორე – დემოკრატიულ მდგომარეობისაკენ გადასვლაზე.

ამასთან, იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა სფეროებშიც. გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს წინაშე სხვა ძირითადი ამოცანებიც დგას, კერძოდ: ახალი ფინანსური და მონეტარული სისტემის შექმნა, ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფა, სამართლებრივი სისტემის ძირეული შეცვლა, ახალ პირობებში გარემომცველ (გარე) სამყაროსთან

სავაჭრო, საკრედიტო თუ სხვა ურთიერთობათა დამყარება და შენარჩუნება.

სოციალიზმიდან კაპიტალიზმისაკენ გადასვლის გზაზე მყოფი საქართველო თუ სხვა ქვეყნებში მიმდინარე შინაგანი გარდაქმნები უცილობლად იწვევს მათი ურთიერთობების შეცვლას გარესამყაროსთან მიმართებითაც. „გარდამავალი“ სახელმწიფოების შესუსტებიდან გამომდინარე, მითითებულ ცვლილებათა ხასიათს, უპირატესად, დასავლეთის ქვეყნები განსაზღვრავენ, რომლებმაც აღნიშულ პერიოდში არა მარტო შეინარჩუნეს, არამედ გააძლიერეს კიდევ საკუთარი პოტენციალი.

გარდამავალ პერიოდში მყოფი სახელმწიფოს წინაშე, ჩვეულებრივ, სამინაო და საგარეო პოლიტიკაში პერიოდულად წარმოქმნილ პრობლემებთან ერთად, დგება, აგრეთვე, სპეციფიკური პრობლემებიც. მას ეკისრება არა მარტო ეკონომიკურ თუ სოციალურ-პოლიტიკურ რეფორმათა გატარების დინამიკის უზრუნველყოფისა და საზოგადოებასა თუ სახელმწიფოში სტაბილურობის შენარჩუნების, არამედ ცხოვრების ყველა სფეროში მათი სრული თვითმყოფადობის დაცვისა და საგარეო დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ამოცანა.

ბიორბი ბოზიაფვილი

*იურიდიულ მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი*

**ფედერალიზმის მსოფლიო
გამოცდილება და საქართველოს
ტერიტორიული მოწყობის პრობლემები**

თანამედროვე ფედერალიზმს საფუძველი ჩაეყარა ორი ასეული წლის წინ ფილადელფიაში, სადაც დაიწერა ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია. ამ კონსტიტუციის ავტორებმა შეიმუშავეს ახალი პოლიტიკური ფორმა, რომელიც, ჯეიმს მედისონის აზრით, არ იყო არც მთლიანად ეროვნული და არც მთლიანად ფედერალური. საზოგადოების ერთდროულად ურთიერთსაწინააღმდეგო პოლიტიკური მისწრაფებების ვათვალისწინებით ეს იყო ერთადერთი კომპრომისული ვარიანტი. ვინაიდან ინგლისის სახელმწიფოს ყოფილი ცამეტი კოლონია დამოუკიდებლობისათვის ომის შემდეგ მივიდა დასკვნამდე, გაერთიანებულიყვნენ „შეერთებულ შტატებში“ ისე, რომ არ დაეკარგათ და შეენარჩუნებინათ თავიანთი თვითმყოფადობის სრული გამოხატულება, კონსტიტუციის შემქმნელებისათვის მათზე დაკისრებული ამოცანების სიმძიმე ნათელი იყო: ცამეტი უნდა გამხდარიყო ერთი და ეს ერთი მაინც უნდა ყოფილიყო ცამეტი.

ყოველი ფედერალური სისტემის ორიგინალურობას მნიშვნელოვნად განაპირობებდა სწორედ ის განსხვავებული მიზნები და ფუნქციები, რომელთა გადაწყვეტაშიც ხედავდნენ მისი შემოღების არსს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ფედერალიზმის ფუნქცია იყო, ერთდროულად უზრუნველყო სახელმწიფოებრივი ერთიანობა და შტატების პოლიტიკური თავისუფლება. 1787 წლის კონსტიტუციის საფუძველზე ახალშექმნილი წყობილება უნდა გამხდარიყო საერთოეროვნული და ადგილობრივი ინტერესების კონტროლისა და ურთიერთშეკავების სისტემა; გერმანიაში მას უნდა გადაეწყვიტა განცალკევებული გერმანული სახელმწიფოების გაერთიანება; შვეიცარიაში ფედერალიზმი შემოიღეს იმ მიზნით, რათა ერთ სახელმწიფოში შესაძლებელი ყოფილიყო განსხვავებული რასის, ენის, რელიგიისა და პოლიტიკური გრადიციების მქონე ერთეულების თანაცხოვრება ისე, რომ არ დარღვეულიყო მათი ინდივიდუალურობა; ავსტრიაში იგი შემოიღეს ეროვნული საკითხების გამო; რუსეთში იდეოლოგიური და რეპრესიული რესურსების ამოწურვის შემდეგ, ფედერალიზმმა უნდა დაიცვას ქვეყანა მთლიანი ლეზინტეგრაციისაგან; ბელგიაში ფედერალიზმი შემოღებულ იქნა ვალონიელებსა და ფლამანდიელებს შორის ეროვნული წინააღ-

მდეგობების დაძლევისა და ბელგიის სახელმწიფოებრივი მთლიანობის შენარჩუნების მიზნით; იგალიაში ფედერალური იდეა წარმოიშვა ისტორიული დაქსაქსულობისა და ადგილობრივი მრავალფეროვნების ნიადაგზე; ესპანეთში პროვინციული, განსაკუთრებით კატალონიური და ბასკური პარტიკულარიზმის გამო; საფრანგეთში ადგილობრივი თვითმმართველობის გაფართოებისა და განსაკუთრებულ ცენტრალიზაციასთან ბრძოლის მიზნით; ინგლისში იმ მისწრაფებით, რომ მიეცათ უფრო ორგანული მოწყობა ფართო იმპერიისათვის, რათა შენარჩუნებულიყო გაერთიანებული სამეფოს სუვერენიტეტი შოტლანდიისა და უელსის სახელმწიფოებზე.

მიუხედავად ფედერალიზაციის მიზნების ამ მრავალფეროვნებისა, რომელიც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად განაპირობებს თითოეული სახელმწიფოს წყობილების ინდივიდუალურობას, შეიძლება გამოიყოს ფედერალიზმის ხუთი ძირითადი ფუნქცია:

1. ფედერალიზმი ემსახურება ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობის ორგანიზაციას, რომელიც აკავშირებს მრავალფეროვნებასა და ერთიანობას ერთმანეთთან. ქვეყიდან გვეით, პატარიდან დიდისაკენ, სიმრაველიდან ერთიანობისაკენ. ესაა კლასიკური ფედერალიზმი. აშშ, შვეიცარია, გერმანია, სადაც ფედერალიზმი აყალიბებს ახალ სახელმწიფოებრივ მთლიანობას ისე, რომ ფედერაციის წევრები მასში ინარჩუნებენ საკუთარ სრულ გამოხატულებას.

თვით ნიკოლო მაკიაველიც კი, რომლისთვისაც იდეალს წარმოადგენდა ძლიერი, ერთიანი, აბსოლუტური სახელმწიფო, აღიარებდა პოლიტიკური გაერთიანების ფედერალური ფორმის უპირატესობას. ძველ ისტორიაზე დაკვირვებით, ნ. მაკიაველი აღნიშნავს სახელმწიფოთა ზრდის სამ ხერხს, პოლიტიკური გაერთიანების სამ ფორმას: პირველი ხერხი არის ახალი პროვინციების დაპყრობებისა და მიერთების გზა; მეორეა ცენტრალისტური ხერხი; ამ შემთხვევაში მყარდება საკავშირო ურთიერთობები შეერთებულ სახელმწიფოებთან, მაგრამ სუვერენიტეტი ეძლევა მხოლოდ ცენტრალურ ხელისუფლებას. ასეთი გაერთიანება იყო რომის სახელმწიფო, და მესამე ხერხია – ფედერალური.

პირველი ხერხი – დაპყრობებისა და შეერთების გზა, ძნელიც არის და საშიშიც. იმისათვის, რომ ძალაზე დაყრდნობით მართო დაპყრობილი ქალაქები, განსაკუთრებით ისეთი, რომლებიც შეეჩვივნენ თავისუფალ ცხოვრებას, საჭიროა, მუდმივად ეყრდნობოდე უძლიერეს სამხედრო ძალას, სხვა ყველა მძლეობა არის ფუჭი. პოლიტიკური მოწყობის ეს ხერხი ძალიან ცუდია და სახელმწიფო მიყავს სწრაფ დაღუპვამდე.

იმპერიის ცენტრალისტური მოწყობის ხერხს მუდმივად იყენებდნენ რომაელები. მოკავშირეები, რომლებთანაც რომი დებდა ხელშეკრულებებს, ინარჩუნებდნენ შინაგანი მმართველობის დამოუკიდებლობას, რომი კი იმპერიის სახელით აწარმოებდა საომარ მოქმედებებს. ამ უკანასკნელი უფლების საფუძველზე რომის ძლიერება უაღრესად გაიზარდა და მოკავშირეები, მიუხედავად ფორმალური თანასწორობისა, უნებურად აღმოჩნდნენ მისდამი სრულად დაქვემდებარებულნი.

იმ სახელმწიფოთათვის, რომლებსაც სურთ გაფართოება, არ არსებობს ამაზე უფრო ჭკვიანური და უტყუარი სისტემა. მაგრამ ამ სისტემის გამოყენებისათვის საჭიროა თანამიმდევრულობა და პოლიტიკის სიბრძნე, რომელიც არავის არ აღმოაჩნდა რომაელების გარდა.

პოლიტიკური გაერთიანების მესამე ხერხია ფედერალური. მას უძველეს დროში იგალიაში იყენებდნენ ეგრუსეები, საბერძნეთში ახეილები და ეგოლოლები, უახლოეს დროში კი შვეიცარიული კანტონები. მისი არსი ისაა, რომ მრავალი სახელმწიფო ერთიანდება ერთ საერთო კავშირში.

მართალია, ეს ხერხი ხელს უშლის გაფართოებასა და დაპყრობით პოლიტიკას, მაგრამ სანაცულოდ სახელმწიფოს ანიჭებს სხვა უპირატესობას. „თუ ძნელია მიებაძოთ რომაელებს, უკიდურეს შემთხვევაში გოსკანელებს, იოლად შეგვიძლია წავიდეთ ძველი ეგრუსეების ნაკვალებზე. თუ მათ ვერ შეძლეს შეექმნათ ისეთი ფართო იმპერია, როგორც რომაელებმა, მათ მაინც შესძლეს მიეცათ იგალიისათვის უმაღლესი ხარისხის ძლევამოსილება. მათი სახელმწიფო დიდი ხნის განმავლობაში იყო მშვიდი და დიადი, თავისი სიმდიდრითაც, სამხედრო ძალითაც, მწე-ჩვეულებებითაც და რელიგიითაც¹, – ასკენის მაკიაველი.

6. მაკიაველის მიერ შემუშავებული სახელმწიფოთა გაერთიანების სქემის უტყუარობა კიდევ ერთხელ დაადასტურა ისტორიულმა განვითარებამ რუსეთის იმპერიის მაგალითზე, რომელმაც გაფართოება და იმპერიად ჩამოყალიბება შეძლო დამოუკიდებელი ქვეყნების დაპყრობისა და მიერთების გზით. ისეთ დიდ და განსხვავებულ ქვეყანას, როგორც გახდა რუსეთი, სახელმწიფოებრივი მთლიანობისა და სტაბილურობის შენარჩუნებისათვის ჰქონდა ორი გზა: ცენტრალისტური ან ფედერალური. მთელი თავისი განვითარების მანძილზე იგი ეყრდნობოდა დიქტატურასა და სამხედრო ძლევამოსილებას და უპირატესობას ანიჭებდა ცენტრალიზმს, მის შემადგენლობაში მყოფი სახელმწიფოების უუფლებობისა და მორჩილების პრინციპს. მაგრამ მას შემდეგ, რაც მოიშალა რუსეთის ერთიანობის შეკერის გრადიციული იდეოლოგიური და რეპრესიული რესურსები, მას აღარ შერჩა არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა, რადგანაც ვერავითარი ძალოვანი მეთოდებით ახალ გოგალიტარულ სახელმწიფოს ვეღარ შექმნიდა, დარჩა არსებობის ერთადერთი გზა – მოჩვენებითი ფედერალიზმიდან გადასულიყო რეალურ ფედერალიზმზე.

სახელმწიფოებრივი გაერთიანების ყველაზე უფრო სტაბილური და წარმატებული ფორმა ფედერაციაა. ასეთ გაკეთილს იძლევა პოლიტიკური გამოცდილება;

II. გამაერთიანებელი როლის საპირისპიროდ ფედერაციული წყობა შეიძლება ემსახურებოდეს ერთიანი პოლიტიკური ორგანიზმის დანაწევრებას, რომელიც ფედერალური წყობით დაცული უნდა იქნეს მთლიანი საბოლოო დემინტეგრაციისაგან. ამ პრინციპით სახელმწიფოთა ფედერალიზაციას ბევრი თეორიტიკოსი უკანასკნელ დრომდე ეჭვის თვალით უყურებდა და მიიჩნედა, რომ საპირისპიროდ ისტორიული განვითარებისა, სა-

¹ Маккиавели Н., Discorsi, II-14, М., 1964.

დაც ფედერალიზმს არ გააჩნდა სახელმწიფოთა გაერთიანების დაგვირთვა და გამოდიოდა სახელმწიფოს მთლიანობის დანაწევრების როლში, მას ელოდა სრული უნაყოფობა და წარუმატებლობა.

როგორც ჩანს, ისტორიულმა განვითარებამ იცვალა ვექტორი და შედეგში ბევრ სახელმწიფოში პოლიტიკური პროცესების მიმდინარეობა სწორედ ამ ნიშნით განაპირობებს მათ ფედერალიზაციას. ასეთია თანამედროვე სახელმწიფოებრივი განვითარების მოთხოვნები. როგორც ირკვევა, სავსებით სწორი იყო ბრაისი, როცა საუბრობდა თავის ერთ-ერთ ღიღებულ დაკვირვებაზე, რომ პოლიტიკური სიბრძნე მოითხოვს გარკვეული ფედერალური ელემენტების დანერგვას მკაცრად უნიტარულ სახელმწიფოში. ამას მოითხოვს თავად სახელმწიფოს ერთიანობის ინტერესები. ამ პრინციპის დაეწევა დანიას შლეზინგიისა და გოლშტინიის დაკარგვად დაუჯდა, პოლანდიას – ბელგიისა, ინგლისს – ამერიკული კოლონიებისა. ამ მაგალითების რიცხვი შეიძლება მნიშვნელოვნად გაგვეზარდა შემოადინებული პრინციპის გასამაგრებლად, რომელიც უფრო მეტად არის სახელმწიფოებრივი კეთილგონიერების გამოხატულება, ვიდრე პოლიტიკური მორალისა.

უნიტარული სახელმწიფოს ფედერალიზაციის ახალი მაგალითი გახდა ბელგია, სადაც 1993 წელს დასრულდა კონსტიტუციური ცვლილებების პროცესი და 1831 წლის კონსტიტუციით გათვალისწინებული უნიტარული წყობილება ფედერალური შეიცვალა. ბელგიის ფედერალიზაცია გამოიწვია აქ მცხოვრებ ორ ერს – ვალონიელებსა და ფლამანდიელებს – შორის გამწვავებულმა ეროვნულმა საკითხმა. 1830 წელს ბელგიის ახალი სახელმწიფოს შექმნასთან ერთად ვარაუდობდნენ, რომ შეიქმნებოდა ახალი ერთიანი ბელგიელი ერიც, რომელიც მასში მცხოვრებ ორ ძირძველ ერს – ვალონიელებსა და ფლამანდიელებს – სახელმწიფოებრიობის პატრიოტიზმზე დაყრდნობით გააერთიანებდა. სახელმწიფოებრიობის პირველსავე დღეებში გამოჩნდა, რომ ორი ერის ერთ სახელმწიფოში გაერთიანების საკითხი მეტად რთული და სერიოზული პრობლემა იყო. ეროვნული უთანხმოება დაიწყო ფრანგულ ენასთან ფლამანდიური ენის გათანაბრების მოთხოვნით, რათა ამ უკანასკნელსაც მისცემოდა ფრანგულის თანასწორი სახელმწიფოებრივი სტატუსი. ამ მოთხოვნის გადაწყვეტის შემდეგ გაირკვა, რომ ეროვნული საკითხი სრულიადაც არ ამოიწურებოდა მხოლოდ ენობრივი პრობლემებით.

ვალონიელთა ერთ-ერთი ლიდერი ე. დესგრე თავის მანიფესტში „წერილი მეფეს“ – უცხადებს ალბერტ I-ს, რომ ბელგიის პრობლემა ატარებს არა ლინგვისტურ, არამედ ეროვნულ ხასიათს: ბელგიელი არ არსებობს, ვინაიდან არ არსებობს ბელგიური სული. ბელგია – ეს არის უაღრესად ხელოვნური პოლიტიკური წარმონაქმნი და არა ეროვნება. ფლამანდიელთა და ვალონიელთა შერწყმა არასასურველი და შეუძლებელია.

სამინელი დასკვნა: ბელგიელი არ არსებობს, ვინაიდან არ არსებობს ბელგიური სული, რომელმაც ყველას აგრძნობინა, რომ ეროვნული პრობლემების მოსაგვარებლად უნდა დაწყებულიყო თვისებრივი კონსტიტუციუ-

¹ Брайс Р., Американская республика, т. 1, М., 1903, с. 405.

რი რეფორმების პროცესი, რომელიც 25 წელს გრძელდებოდა. ხანგრძლივი ანალიზისა და სხვადასხვა ვარიანტის განხილვის შემდეგ არჩეიანი ეროვნული საკითხების ფედერალურ გადაწყვეტაზე შეჩერდა. სახელმწიფო დაიყო სამ რეგიონად: ვალონია, ფლანდრია, ბრიუსელი და სამ კულტურულ გაერთიანებად: ფრანგულ, ფლამანდიურ და გერმანულენოვან გაერთიანებად, თითოეული მათგანი აღიჭურვა ფედერაციის სუბიექტის სტატუსით.

ბელგიის ერთიანი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებას, რომელიც თითქოს უნდა დაშლილიყო ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში, საერთო დაკვირვებით, დიდად შეუწყო ხელი შემდეგმა გარეგანმა და შინაგანმა ისტორიულ-პოლიტიკურმა ფაქტორებმა: ფლამანდიური მოძრაობის გამძაფრებას დაემთხვა პირველი და მეორე მსოფლიო ომები, რომლებმაც, თავის მხრივ, დაასუსტა იგი და გადაწია ბელგიის დაშლა; ფლამანდიელთა მნიშვნელოვანი და გავლენიანი ნაწილი მხარს უჭერდა კულტურულ ავტონომიას, ენის კანონების მკაცრ დაცვას და ერთენოვნებას მხოლოდ ფლანდრიის ტერიტორიაზე; ქვეყანაში ფართოდ იყო გავრცელებული აზრი, რომ კანონმდებლებს შეეძლოთ, გაეთვალისწინებინათ და დაექმაცოფილებინათ ფლამანდიელთა მიერ წამოყენებული ენობრივი და კულტურული ხასიათის ყველა მოთხოვნა; ვალონიელებსა და ფლამანდიელებს შორის ურთიერთობის გამწვავებით არ იყო დაინტერესებული მესამე ძალა, საკუთარი პრობლემების გადასაწყვეტად მათ ერთმანეთის გარდა ვერ იპოვეს სხვა პარტნიორი; იმ მომენტში, როდესაც ვალონიელებისა და ფლამანდიელთა გაჭიანურებულ კონფლიქტში მხარეთა შორის ძალთა წონასწორობა დაირღვა და უპირატესობა მოიპოვეს ვალონიელმა ნაციონალისტებმა, რომლებსაც შეეძლოთ მათი რეგიონის მოსახლეობისათვის თავს მოეხეიათ თავიანთი იდეები, გამოჩნდა ეროვნული პრობლემების ფედერალიზმის გზით გადაწყვეტის შესაძლებლობა; ბელგიური უნიტარიზმის ბოლო საყრდენი – ბრიუსელის ფრანკოფონული ბურჟუაზია დაიძლია იმ მომენტში, როცა ვალონია და ფლანდრია მივიდნენ ეროვნული პრობლემების ფედერალურ გადაწყვეტამდე, მათ შორის ბრიუსელში ორივე ენისათვის თანასწორი სტატუსის მიცემით.

ბელგიის დემინტეგრაციის პროცესი მიმდინარეობდა უაღრესად ნელა და მან მიიღო ქვეყნის რეგიონებისა და მოსახლეობის ყველა სოციალური ჯგუფის კულტურულ და პოლიტიკურ-ეკონომიკურ ავტონომიაზე თანმიმდევრული გადასვლის სახე. პოლიტიკური პარტიები არასდროს არ მოუწოდებდნენ ძალადობისაკენ. ამიგომ ბელგია გახდა ის ბელნიერი გამონაკლისი, რომელიც ეროვნულმა პრობლემებმა არ გადააქცია ტერორიზმითა და სამოქალაქო ომით მოცულ ქვეყნად.

ხანგრძლივი აღმოჩნდება თუ არა ბელგიის სახელმწიფოსთვის მიღწეული სტაბილურობა და ერთიანობა, ამას მომავალი გვიჩვენებს. იგი უპირატესად დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად ეფექტური საშუალება აღმოჩნდება ფედერალიზმი ეროვნული საკითხის გადასაწყვეტად. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ მისი შესაძლებლობები სრულიადაც არ არის ამოწურული. ეროვნული ნიშნით შექმნილმა საბჭოური ტიპის ფედერაცი-

ებმა: სსრკ-მა, ჩეხეთ-სლოვაკეთმა, იუგოსლავიამ სრული კრახი განიცადეს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იძლევა ეროვნული საკითხების გადაწყვეტაში ფედერალიზმის უძღურების შესახებ დასკვნის გაკეთების საფუძველს. ვინაიდან ეს ქვეყნები შორს იყვნენ რეალური ფედერალიზმისაგან, გამეფებული უკიდურესი ცენტრალიზმი და ერთპარტიული დიქტატურა ყოველგვარ შინაარსს აცლიდა ფედერალურ სისტემას, რომელსაც მხოლოდ წმინდა სააგიტაციო – იდეოლოგიური ფუნქცია ჰქონდა.

შეძლებს თუ არა ფედერალიზმი ეროვნული პრობლემის გადაწყვეტის ფუნქციის შესრულებას? რისი თქმაც დაბეჯითებით შეიძლება, ეს მხოლოდ ის არის, რომ ეროვნული ენერჯის სახელმწიფოს მშენებლობასა და მართვაში ჩართვის საკითხი არის უალრესად რთული და დელიკატური ამოცანა.

XIX საუკუნიდან, რომელიც იყო ეროვნული იდეის მრდისა და აყვავების ერა, ერისა და სახელმწიფოს საკითხთან მიმართებით გამოიკვეთა ორი უკიდურესი მიმართულება. ერთი მათგანი აღიარებდა ერის სრულ პრიორიტეტულობასა და სუვერენიტეტს და მიიჩნევდა, რომ ყოველი სამართლის საგანი სახელმწიფოს ნაცვლად უნდა ყოფილიყო ერი, ყოველი ერი თვითონ უნდა გამხდარიყო სახელმწიფოც. ამ მიმდინარეობის პოციზია თქვაოდა გამოხატა ბლუნჩლიმ: ყოველი ერი მოწოდებულია, შექმნას ცალკეული სახელმწიფო და უფლება აქვს, ეს გააკეთოს. მსოფლიო უნდა დაიყოს იმდენ სახელმწიფოდ, რამდენ ერადაც იყოფა კაცობრიობა. დაე, ყოველი ერი იყოს სახელმწიფო, ყოველი სახელმწიფო – ეროვნული ორგანიზმი.

მეორე მიმართულება ერს განიხილავდა არა როგორც ერთ მთლიან ერთობლიობას, არამედ როგორც ერთ ენაზე მოლაპარაკე ცალკეულ ინდივიდუუმთა ჯამს. იგი ვერ ხედავდა ერს, როგორც მთლიან არსებას და მიიჩნევდა, რომ ადამიანის ინდივიდუალური უფლებების სათანადო უზრუნველყოფის შემდეგ ერის არსებობას არანაირი სახელმწიფოებრივი აღიარება და დაცვა არ სჭირდებოდა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის პერიოდში დომინირებდა ეს მიმდინარეობა, რომ ადამიანის ინდივიდუალური უფლებები ეროვნულ უფლებებსაც მოიცავდა და მათ სპეციალური კოლექტიური დაცვა არ სჭირდებოდათ. ამიტომ არ იქნა მიღებული წინადადებები გაეროს წესდებასა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში ეროვნული უფლებების შეტანაზე.

ერის ცნობილი თეორეტიკოსის, რ. შპრინგერის თქმით, ამგვარ პირობებში მყოფი ერის მდგომარეობაც უალრესად უბადრუკია. ეროვნული ცხოვრების დაცვა არ არის გამოცალკეებული, დამოუკიდებელი მიზანი ადმინისტრაციული საქმიანობისათვის, ისეთი მიზანი, როგორც არის, მაგალითად, ჰკუასუსტების დაცვა, ან სახანძრო საქმე. ერების კოლექტიური ინტერესები უბრალოდ არ არსებობს ჩვენი სამართლისათვის.

ჩვენი კანონმდებლობა შეიძლება შევადაროთ თეატრის მოლარეს, რომელიც ჩაკეტილი მის ჯიხურში და თავის წინ მოხერხებულად მოწყობილი მწკრივის წყალობით ყოველთვის ხედავს მხოლოდ ერთ ადამიანს მომლოდინეთა მთელი ჯაჭვიდან. ამასთან, იგი სინანულით რწმუნდუ-

ბა, რომ ყველა ეს ცალკეული ინდივიდუმი ლაპარაკობს განსხვავებულ ენაზე, თუ იგი შეძლებს, დაელაპარაკოს ყოველ მათგანს საკუთარ მშობლიურ ენაზე, თავის ამოცანას შესრულებულად ჩათვლის.

როგორც მოსალოდნელი იყო, ერისა და სახელმწიფოს თაობაზე ორი უკიდურესი თეორიული მიმდინარეობიდან ვერცერთმა ვერ დაიმკვიდრა ადგილი სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესში. წმინდა ეროვნული სახელმწიფოების შექმნის იდეა იმთავითვე იყო სახსებით არარეალური და მიუღწეველი მოთხოვნა. მსოფლიოში არ არსებობს ისეთი სახელმწიფო, სადაც მთელი მოსახლეობა ერთ ენაზე ლაპარაკობს, მიეკუთვნება ერთ რასას, აქვს ერთნაირი კულტურა და ტრადიციები. ერთ სახელმწიფოში სხვადასხვა ეროვნებით ცხოვრება საყოველთაო მოვლენაა. ამიგომ პოლიტიკური საზღვრების ეთნიკურ საზღვრებზე გაელენის მცდელობა არასასურველთან ერთად შეუძლებელიცაა; მეორე მხრივ, ეროვნულობის უარყოფისათვის ბრძოლაც სრული წარუმატებლობით დასრულდა. ნაციონალიზმი აღარ განიხილება ნეგატიურ ცნებად, რომელსაც დახშობა ესაჭიროება. ეროვნული ინტერესები რეალურად არსებობს და მისი უარყოფის შემთხვევაში სად უნდა გადაეგდოთ ეროვნული ენერჯია?

ერი, როგორც კულტურული ფენომენი, ინდივიდუუმთა სულიერ-ფსიქოლოგიური კავშირი, საერთო ღირებულებებსა და ფასეულობებზე დამყარებული ერთიანი ცნობიერების მქონე ორგანიზმი, არ წარმოადგენს სახელმწიფოს ელემენტს. სახელმწიფოს ელემენტებია: ხელისუფლება, ტერიტორია და ხალხი – მოქალაქეთა ერთობლიობა, რომლებიც ექვემდებარებიან ერთსა და იმავე სამთავრობო ხელისუფლებას. ხალხის ცნება პოლიტიკური შინაარსის მაგარებელია, რომელიც პირთა ეროვნული კუთვნილების ნაცვლად პოლიტიკურ კუთვნილებას განსაზღვრავს. იგი წარმოადგენს მოქალაქეების მქონე პირთა მექანიკურ კრებულს, რომლის ყველა წევრიც თანაბარი პოლიტიკური სტატუსის მაგარებელია. მაგრამ მალე გამოამკარავედა ასეთი მიდგომის არსებითი ნაკლიც: აღამიანები პოლიტიკური უმრავლესობისა და უმცირესობის პრინციპის გარდა იყოფიან ეროვნული, ენობრივი და რელიგიური ნიშნითაც. აღამიანთა პოლიტიკური თანასწორობა როდი მოიცავდა მათ ეროვნულ თანასწორობასაც. აღამიანის ინდივიდუალური უფლებები ვერ უზრუნველყოფდა აღამიანის ეროვნული უფლებებისა და ინტერესების დაცვასაც, რის შემდეგაც პრობლემისადმი მიდგომა შეიცვალა და მთელ მსოფლიოში გაიშალა ფართო მოძრაობა სპეციალური კანონმდებლობის მიღების გზით ეროვნული უმცირესობების დასაცავად.

ამეამად კომპაქტურად მცხოვრები ეროვნული უმცირესობების დასაცავად გამოიყენება მათთვის კოლექტიური უფლებების, მათ შორის კულტურულ-აღმინისგრატიული ავგონომიის, ფორმა. ერთ სახელმწიფოში რამდენიმე თანაბარი უფლების მქონე ერის მოთავსების საკითხი პოლიტიკური ინსტიტუტების განვითარების დღევანდელ ეტაპზე წარმოადგენს ურთულეს ამოცანას, ამ მიზანს, ფედერალურ სისტემაზე დაყრდნობით, მიაღწია შეუძლებელია. ეროვნული პრობლემების მოწესრიგების ფედერალური ვარიანტი აიორჩია ასევე ბელგიაში, კანადაში, ინდოეთში, რუსეთში;

ფედერალიზმის სხვა მიზნები და ფუნქციები უკავშირდება დემოკრატიული მართლწესრიგისა და პლურალისტური სახელმწიფოს მიზანშეწონილობის მოთხოვნებს:

III. ფედერალიზმი არის სამუალება, რომელიც მოსახლეობას შესაძლებლობას აძლევს, მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ პროცესში ხელისუფლების რამდენიმე დონეზე;

IV. ფედერალიზმი, როგორც პოლიტიკური მექანიზმი, ბოჭავს ცენტრალური ხელისუფლების გირანიას;

V. იგი არის მეთოდი, რეგიონული კონკურენციის გზით გაზარდოს მთავრობის ეფექტურობა.

ეს მიზნები გამოიხატება ფედერალური სახელმწიფოს დემოკრატიული წარმომადგენლობის გაორმაგებით. ხალხი თავისი ორმაგი ორგანიზაციის გამო მონაწილეობს სახელმწიფოებრივ მართვაში ერთობლივად, როგორც ფედერაციის დონეზე, ასევე ფედერალურად დანაწევრებული ფედერაციის სუბიექტთა ხელისუფლების დონეზე, რითაც ფედერალიზმი იწვევს ორმაგ ეფექტს და ხელსაღწეობს დემოკრატიული პლურალისტური სახელმწიფოებრიობის არსებითი ნიშანი.

ამ ფუნქციების გამო, იმ ქვეყნების გარდა, სადაც დგას სახელმწიფოებრივი მთლიანობის პრობლემა, ფედერალიზმი ხდება ყველა დემოკრატიული ორიენტაციის მქონე ქვეყნის ინტერესის საგანი. პრუდონმა შორსმჭვრეტელურად უწოდა XX საუკუნეს ფედერალიზმის ერა. უნიტარულ სახელმწიფოში დემოკრატია იცნობს უმრავლესობასა და უმცირესობას, მთავრობისა და ოპოზიციის მკაცრ ალტერნატივებს. დემოკრატიულ მმართველობაშიც კი პოლიტიკური უმცირესობები დაუცველები რჩებიან უმრავლესობის გირანიის წინაშე, რომელსაც თავის სასარგებლოდ აქვს მობილიზებული ყველაფერი – ხელისუფლებით დაწყებული, საზოგადოებრივი აზრით დამთავრებული. დემოკრატიისათვის გადაწყვეტილებების უმრავლესობით მიღების პრინციპი არ არის უბრალო ტექნიკური ხერხი, ეს მისი შინაგანი მოთხოვნილებაა. მას საფუძვლად უდევს ბუნებრივ-სამართლებრივი იდეა ცალკეულ პიროვნებათა სრული გოლფასოვნების შესახებ. გოლფასოვან ერთეულებს შორის კი თავისთავად იგულისხმება, რომ არ შეიძლება იყოს სხვა გადამწყვეტი კრიტერიუმი, გარდა რიცხობრივი აღმატებისა. თანასწორობა თავისთავად გულისხმობს, რომ ხმები უნდა ითვლებოდეს და არა იწონებოდეს. უმცირესობები იძულებულნი არიან, უსიტყვოდ დამორჩილდნენ გაბატონებული უმრავლესობის ნებას. სწორედ მოვლენათა ამგვარი განვითარების გამო აკრიტიკებდა დემოკრატიას ყველა, პლატონით დაწყებული, ხოსე ორტეგა ი გასეგით დამთავრებული.

დემოკრატია, მართალია, პოლიტიკური რეჟიმის ყველაზე უფრო პროგრესული ფორმაა, მასაც აღმოაჩნდა არსებითი ხარეზი, საზოგადოების დემოკრატიზაციის განვითარებამ მით უფრო განამტკიცა უმრავლესობის ბატონობის პრინციპი, კოლექტიურმა საწყისმა დაჯაბნა ინდივიდუალური საწყისი. თუკი ანტიკური თავისუფლება გულისხმობდა ინდივიდის სახელმწიფო ხელისუფლებაში მონაწილეობის უფლებას, თანამედროვე თავისუფლება უკავშირდება სახელმწიფო ხელისუფლებისაგან მის დამოუკიდე-

ბლობას. მაგრამ საშიშია საზოგადოების კოლექტიური საწყისის მომლა და ინდივიდუალიზმის ცალმხრივი განვითარებაჲ. გოგალიგარული სახელმწიფოების პირობებში დისიდენტებმა და სამართალდამცელებმა განათარეს ნეგატიური კონსტიტუციონალიზმის იდეა. ისინი მიიჩნეოდნენ, რომ კონსტიტუციის ძირითადი მიზანი იყო უფლებათა დეკლარაციის საფუძველზე პიროვნების თავისუფლების უზრუნველყოფა, უმრავლესობის გირანისა და ხელისუფლების საქმიანობის შემზღვევა, ხოლო ხელისუფლების დაფუძნებისა და მისი სტრუქტურის საკითხი მათ მიაჩნდათ მეორეხარისხოვან ამოცანად. სახელმწიფო არ უნდა ჩარეულიყო სამოქალაქო საზოგადოების ცხოვრებაში. დისიდენტების მთელი მცდელობა, რეალობიდან გამომდინარე, მიმართული იყო ძლიერი გოგალიგარული ხელისუფლების აღკვეთისაკენ, მაგრამ ისინი არ ითვალისწინებდნენ მეორე უკიდურესობას: ხელისუფლების დაკნინება და კოლექტიური საწყისის მომლა მიგყიყვანდა არა პიროვნების თავისუფლებამდე, არამედ ანარქიის ყველაზე უფრო ცუდ ფორმებამდე.

საზოგადოების განვითარებისათვის აუცილებელია როგორც კოლექტიური, ასევე ინდივიდუალური საწყისის მხარდაჭერა და წონასწორობა; გადახრა ნებისმიერი მიმართულებით საშიანოა მისი ორგანული არსებობისათვის. თუ ადამიანის ინდივიდუალურ უფლებებს დაძლეეს გადაჭარბებული კოლექტივიზმი, საზოგადოება მიექანება გოგალიგარიზმისაკენ. საშიანოა კოლექტივიზმის მომლა და ინდივიდუალური საწყისის უპირატესობაც, რომელსაც უწესრიგობისა და ანარქიისაკენ მიეყავართ.

„პოპერმა დაასაბუთა, რომ ფაშიზმსა და კომუნიზმს ბევრი რამ ჰქონდათ საერთო, მიუხედავად იმისა, რომ ერთი უკიდურესად მემარჯვენე, ხოლო მეორე უკიდურესად მემარცხენე ფრთას წარმოადგენდა: ორივე მათგანი სახელმწიფო ძალაუფლების მეშვეობით ინდივიდის თავისუფლებას ემგერებოდა. მე ამ მსჯელობის გაერცობა მსურს. ჩემი მიზანია, დაეასაბუთო, რომ ღია საზოგადოებას საპირისპირო მხრიდან – მეტისმეტი ინდივიდუალიზმისაგანაც ემუქრება საფრთხე. მეტისმეგად დიდ კონკრენციასა და მეტისმეგად მკიერე თანამშრომლობას შედეგად დიდი უთანასწორობისა და არასტაბილურობის მოგანა შეუძლია. თუკი დღესდღეობით ჩვენს საზოგადოებაში საერთოდ არსებობს რაიმე გაბატონებული რწმენა, ეს არის რწმენა ბაზრის მაგიური ძალისა. Lisser-faire-ის თეორია („მიეცი უფლება აკეთოს“, რაც სახელმწიფოსაგან მეწარმის სრულ თავისუფლებას აღნიშნავს) გვარწმუნებს, უმოკლესი გზა საერთო კეთილდღეობისაკენ ინდივიდის კერძო ინტერესებზე გადის. მაგრამ თუკი ვერ მოხერხდა ამ კერძო ინტერესების გაწონასწორება, საერთო ინტერესებისადმი დაქვემდებარება, ჩვენი ამჟამინდელი სისტემა, მიუხედავად იმისა, რომ სრულებითაც არ არის სრულყოფილი, დასაღუპავად იქნება განწირული – ამბობს ჯორჯ სოროსი, საზოგადოების ახლებური მოწყობისადმი მიძღვნილ თავის გახმაურებულ ესეში – „კაპიტალიზმის საფრთხე“.

საზოგადოების განვითარების ამ ორმხრივი ბუნების გათვალისწინებით, ფედერალიზმის უპირატესობა ისაა, რომ იგი, როგორც სახელმწიფო წყობილების ფორმა, უზრუნველყოფს ხელისუფლების ერთიანობასა და

სიმტკიცეს, მეორე მხრივ, ვინაიდან ვერტიკალურად ანაწილებს ხელისუფლებას, უმრავლესობის გარეთ დარჩენილი უმცირესობების დაცვის საუკეთესო საშუალებაა, რითაც იგი ახერხებს უმრავლესობის გირანის – დემოკრატიის არსებითი ნაკლის – გამოსწორებას. სხვა ფორმებთან შედარებით, როგორცაა: ადამიანის უფლებები, სასამართლოს დამოუკიდებლობა, ავტონომია და სხვა, ფედერალიზმი ფლობს უმცირესობათა უფლებების რეალიზაციის უფრო დიდ შესაძლებლობებს.

ფედერალური დემოკრატიის პირობებში უმრავლესობები და უმცირესობები იცვლებიან რეგიონების მიხედვით. პოლიტიკური პარტია, რომელსაც ფედერაციაში უწევს საპარლამენტო ოპოზიციის როლში ყოფნა, ფედერაციის ცალკეულ სუბიექტში იმყოფება უმრავლესობაში და ახდენს რეგიონული მთავრობის ფორმირებასაც, მაშინ როცა პარტია, რომელიც მმართველია ფედერალურ დონეზე, ცალკეულ რეგიონში უნდა დაკმაყოფილდეს უმცირესობის პოზიციით. ფედერალურ სახელმწიფოში შეუძლებელია, ერთი მმართველი ძალა ახორციელებდეს ძალაუფლებას ხელისუფლების ყველა დონეზე. ამით ოპოზიციებს რჩებათ არა მხოლოდ ხელისუფლებასთან გამიჯნისა და მისი კრიტიკის ფუნქცია, არამედ მათთვის იხსნება შესაძლებლობა, ხელისუფლების დაბალ დონეზე კონკურენცია გაუწიონ ცენტრალური მთავრობის საქმიანობას, რეგიონების დონეზე აიღონ სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობა, ჯერ მცირე მასშტაბებით მოსინჯონ საკუთარი ძალები და მოამზადონ თავიანთი ლიდერები სახელმწიფოებრივი საქმეების გაძღოლისათვის, თუ მომავალში მოიპოვებენ უმრავლესობას ფედერაციის ფარგლებში, ფლობდნენ შემოწმებულ პოლიტიკურ საშუალებებს და გამოეცდილ ძალებს, რათა უმტკივნეულოდ მოახდინონ ხელისუფლების ცვლა.

ფედერალური ხელისუფლების დონეები ხდება გარკვეული ლაბორატორია, სადაც შესაძლებელია მცირე მასშტაბებით ექსპერიმენტების ჩატარება. ამომრჩეველი ყოველი პოლიტიკური ძალის შესაძლებლობებს თავდაპირველად ხელისუფლების ქვედა დონეზე ამოწმებს, რითაც დაკული ხდება საერთო სახელმწიფოებრივი მასშტაბებით არასწორი არჩევნის გაკეთებისაგან. ვერცერთი პოლიტიკური ძალა მხოლოდ სხვისი კრიტიკითა და დაპირებებით ვერ შეძლებს ამომრჩეველზე ზემოქმედებას, მას ამისათვის ფედერალური პროცესის გარკვეულ ეტაპზე უნდა პქონდეს მოპოვებული სახელმწიფოებრივი მართვის მიღწევები.

ამრიგად, ფედერალიზმი ორგანულად დაკავშირებულია მრავალპარტიული სისტემის ფუნქციონირებასთან. ერთპარტიული სისტემის მქონე ქვეყნებში, სადაც ხელისუფლების ყველა დონეზე ერთი პარტია იყო მმართველი, ყოველგვარ ფუნქციას კარგავდა ხელისუფლების დანაწილება და მთლიანად ფედერალიზმი. დიდი პარტიების ორმაგი როლი – იყოს მმართველიცა და გარკვეულ დონეზე ოპოზიციონერიც, ახშობს მათ ქედმაღლობასა და რადიკალიზმს, აყალიბებს დემოკრატიისა და პლურალისტური სახელმწიფოს ისეთ საფუძვლებს, როგორცაა მოლაპარაკება, თანამშრომლობა, კომპრომისებისაკენ სწრაფვა.

ფედერალიზმი, როგორც თავისუფალი გაერთიანების პრინციპი, სახელმწიფოს ცხოვრებას აგებს უმეტესწილად შეთანხმებებსა და თანამშრომლობაზე, ვიდრე ბრძანებასა და იძულებაზე, რითაც საბოლოო ჯამში იგი ხდება სამოგადობრივ ურთიერთობათა ტიპი და არა მხოლოდ სახელმწიფოებრიობის ფორმა. ამ ფუნქციების მუშეობით ფედერალიზმი სახელმწიფოში იწვევს ისეთ ეფექტებს, რომელთა მიღწევაც ძნელად თუ იქნებოდა შესაძლებელი სხვა გზით.

ისევე როგორც ყოველივე ბუნებაში, ფედერალიზმშიც არ არის თავისუფალი ხარვეზებისა და ნაკლისაგან. ფედერალიზმის ოპონენტთა შენიშვნებისა და კრიტიკის არგუმენტაციის დიდი ნაწილი შეეხება მის სახელმწიფოს მთლიანობასთან შეუთავსებლობის საკითხს. ფედერალიზმი ასუსტებს ცენტრალურ ხელისუფლებას და აქუცმაცებს სახელმწიფოს მთლიანობას, ასეთია მათი დასკვნა.

ამ კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ ფედერალური სახელმწიფო აყალიბებს ხელისუფლების სხვადასხვა ცენტრს. ესაა ფედერალური პოლიტიკური ერთეულების ხელისუფლება, რომელიც ფლობს თავის განსაკუთრებულ კომპეტენციას და ფედერაციის ცენტრალური ხელისუფლება, ფედერალური სახელმწიფო აგებულია ხელისუფლების ამ ორი დონის მუდმივ პარმონიულ თანამშრომლობასა და შერწყმაზე. ფედერალურ სახელმწიფოში სუვერენულია ცენტრალური ხელისუფლება, მაგრამ ფედერაციის სუბიექტები მონაწილეობენ სუვერენიტეტის წარმოქმნაში. ხელისუფლების ამ ორი დონის მნიშვნელოვანი განმდიდებისას სახელმწიფო უნდა დაირღვეს.

1996 წელს პრისტონის უნივერსიტეტში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ფედერალიზმის პრობლემებსა და აქტუალურ საკითხებს ეძღვნებოდა, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა პაულ ჰეტერსონმა გააკეთა მოხსენება – „ორმაგი სუვერენიტეტის თეორიის შემოწმება“, რომელიც მიეძღვნა ამერიკული ფედერალიზმის განვითარების ორსაუკუნოვან ისტორიას. ავტორის ძირითადი დასკვნის მიხედვით, ამერიკული სუვერენიტეტის ერთდროულად ორი წყაროდან – მთელი ამერიკული ფედერაციიდან და კონკრეტული შტატებიდან წარმოშობის კონცეფციამ საკმაოდ კარგად წარმოაჩინა თავი აშშ-ის ისტორიის პროცესში, ერთი გამონაკლისის გარდა, და ამ გამონაკლისის შესახებ ორაგორს უთითებდა ყველა მოკამათე: მუსტად ეს კონცეფცია გახდა იურიდიული საფუძველი ჩრდილოეთის შტატების სამხრეთიდან გამოყოფისა, რომელმაც გამოიწვია სამოქალაქო ომი და ხუთი მილიონი ადამიანის სიკვდილი.

ამ მიმართებით უნიტარიზმის უპირატესობა ისაა, რომ უნიტარულ სახელმწიფოში თუ მხარეთა მთავრობები გამოუცხადებენ ბოიკოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციას, ამ შემთხვევაში სახელმწიფოებრიობა, ლეგიტიმური სახელმწიფოს ნების გამომხატველი ხელისუფლება და სუვერენიტეტი არ წყვეტს არსებობას. უნიტარულ სახელმწიფოში გერიტორიული მთლიანობის რღვევა არ იწვევს სახელმწიფოს ნების გამომხატველი ხელისუფლების კეღობას. ფედერაციის დროს, თუკი ფედერაციის სუბიექტები შეწყვიტენ ცენტრალურ ხელისუფლებასთან ურთიერთობას, მაშინ სახელმწიფოებრიობა ირღვევა.

აღნიშნული პრობლემის გათვალისწინებით ინგლისმა უარი თქვა შოგლანდიასა და უელსთან ერთად კოლექტიური ხელისუფლების დაფუძნებაზე და გამოიყენა დეეოლუციის იდეა. დეეოლუცია – ესაა გამრდილი კომპეტენციის მიღება მთლიანი სახელმწიფოს ხელისუფლების დაფუძნებაში წილის გარეშე. მისი არსი გამოიხატებოდა შოგლანდიასა და უელსზე გაერთიანებული სამეფოს სუვერენიტეტის გაერცელებითა და სახელმწიფოს უნიტარული ფორმის შენარჩუნებით. სანაცვლოდ ინგლისი შოგლანდიას სთავაზობს საკანონმდებლო დეეოლუციას – პარლამენტის მიერ თავისი ზოგიერთი უფლებამოსილების გადაცემას, მასთან შედარებით დაბალი ღონის ლევისლატურისათვის. ჩამოყალიბდება გადაცემულ საქმეთა კატეგორია, რომელიც მოიცავს ყველა საშინაო საკითხს, გაერთიანებული სამეფოს პარლამენტს რჩება მხოლოდ ეროვნული და საერთოსახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხები. უელსისათვის განიხილება ადმინისტრაციული დეეოლუცია – ცენტრალური ორგანოების მიერ თავისი მმართველობის ზოგიერთი ფუნქციების გადაცემა.

როგორც გოკეილი ამბობდა, არის მიზეზები, რომლებიც სახელმწიფოებს უბიძგებენ ფედერალური სისტემის მიღებისაკენ და მიზეზები, რომელთა გამოც ამ სისტემის შემოღება არ შეიძლება ყველა ხალხში. შეუძლებელია, ფედერალიზმი გამოიგონო, იგი უნდა ამოიზარდოს ორგანულად. გაერთიანების შექმნა დეტერმინებული უნდა იყოს მრავალი ობიექტური გარემოებითა და ინტერესით. ფედერალიზმის იურიდიულ გაფორმებას ყოველთვის წინ უსწრებდა ასეთი კავშირის ბუნებრივი ჩამოყალიბება. ფედერალიზმის „ორგანული“ თეორია ამტკიცებს, რომ ფედერალური კავშირის წარმოშობა არის არა ხელშეკრულებითი, არამედ ორგანული. კავშირი არის ისტორიული ძალების მოქმედების შედეგი, ინტერესების ერთიანობითა და გეოგრაფიული მდგომარეობით განპირობებული. ფედერაციის წევრები საჭიროა, რეალურად იყვნენ დაკავშირებული და ესაჭიროებოდათ ერთმანეთი სტრატეგიული, პოლიტიკური და სამეურნეო საკითხების გადაწყვეტისას. საზოგადოებას უნდა ესმოდეს ფედერალიზმის საჭიროება, დარწმუნებული იყოს ქვეყნისათვის მის სარგებლობაში. ფედერალიზმის, ისევე როგორც ტერიტორიული მოწყობის სხვა ფორმის, წარმატება დიდად არის დამოკიდებული მის მიმართ საზოგადოებრივი ამრის კეთილგანწყობაზე. სწორედ ამ მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტას ისახავდა მიზნად ა. ჰამილტონის, ჯ. მედისონის, ჯ. ჯეის ცნობილი „ფედერალისტის“ გამოცემა. მან, საერთო აღიარებით, საზოგადოებრივი ამრის შემზადებით და მისი მხარდაჭერის მოპოვებით დიდად განაპირობა აშშ-ის ფედერალური კონსტიტუციის წარმატება.

ფედერალიზმს სიცოცხლისუნარიანობისათვის ესაჭიროება მუდმივი მოწონება და მხარდაჭერა. იქ, სადაც ცენტრიდანული ძალები აღემატება ცენტრისკენულ ძალებს, ფედერალური წყობილება ირღვევა. კოოპერაციული ფედერალიზმის თეორია, რომელმაც წამყვანი ადგილი დაიკავა, ძველი კლასიკური ფედერალიზმის გაგების საწინააღმდეგოდ მიიჩნევს, რომ ფედერალური ორგანოებისა და შტატების ურთიერთობა აკტუელი უნდა იყოს მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობაზე, მათში არ უნდა იყოს ინტერ-

ესთა ანგონომია, არამედ უნდა ჭარბობდეს ჰარმონია, დაფუძნებული მათი ინტერესების ერთიანობაზე. შტატებისა და კავშირის თანამშრომლობა მიმართული უნდა იქნეს, უპირველეს ყოვლისა, მათი მოქმედებისა და მიზნების გაერთიანებისაკენ, იმ ამოცანების განხორციელებისაკენ, რომელთაც საერთო მნიშვნელობა აქვთ.

ფედერალური გაერთიანების ჰარმონიულობა ასევე დამოკიდებულია ფედერაციის სუბიექტების რაოდენობაზე. ორსუბიექტიანი ფედერაცია ითვლება მძიმე ფედერაციად, ვინაიდან თითოეულ ნაწილს უჭირს, მთლიანობაში დაინახოს სახელმწიფო და ერთმანეთს უყურებენ როგორც საპირისპირო მხარეს. რაც მეტია სუბიექტების რაოდენობა, მით მეტია კონსენსუსის შესაძლებლობა. ჩეხოსლოვაკიის დაშლის შემდეგ ორსუბიექტიანი ფედერაცია არის ბელგია, სადაც სამი ტერიტორიული სუბიექტია: ვალონია, ფლანდრია და დედაქალაქი – ბრიუსელი, ფედერაციის სუბიექტის სტატუსით. ყველაზე უხესუბიექტიანია რუსეთის ფედერაცია – 89 ერთეული ფედერაციის სუბიექტის სტატუსით, რის გამოც ჭირს სახელმწიფოს ჰარმონიული მართვა.

ფედერალურთან შედარებით, უნიტარული სისტემის მთავარი ღირსება ისაა, რომ იგი ამარტივებს გადაწყვეტილებათა მიღების მექანიზმს იმგვარად, რომ უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების კომპეტენცია არაა შემღუღული (გარდა საერთაშორისო ნორმებისა) და არ არის აუცილებელი ხელისუფლების ქვემდგომ ორგანოებთან მრავალი საკითხის შეთანხმება. ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის პირობებში რადიკალური რეფორმების გატარებისას ეს უპირატესობა შეიძლება უადრესად არსებითი აღმოჩნდეს.

უნიტარული სახელმწიფო მნიშვნელოვნად უფრო ნაკლებად არის დამოკიდებული ხალხის მართლშეგნებასა და პოლიტიკურ კულტურაზე, ვიდრე ფედერაციული. ფედერალური მმართველობისას მხარეები ადვილად იპოვიან განაწყენების საბაბს, მთავარია, რომ არ დაიწყონ მისი ძებნა. საჭიროა, განვითარებული იყოს საერთო საქმისადმი თავდადება, უნარი – გამორიცხონ არაარსებითი და გაერთიანდნენ მთავარში.

ფედერალიზმის წარმატება შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც ხალხში გამოუმუშავებულია მოვალეობის გრძნობა, ვალდებულებებისა და ხელშეკრულებებისადმი ერთგულება, შეთანხმებების ხელოვნება და პოლიტიკური კომპრომისების ნიჭი. ასეთია ფედერალიზმის სასიცოცხლო საფუძვლები.

რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიული მოწყობის საკითხს – ჩვენი ქვეყანა დიდი ხნის განმავლობაში მოკლებული იყო შესაძლებლობას, დამოუკიდებლად განესაზღვრა თავისი სახელმწიფოს ფორმის საკითხი. ქართული მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი ტრადიციებისა და ისტორიული განვითარების გათვალისწინების გარეშე თავსმოხვეულმა სახელმწიფო წყობილების სისტემამ მრავალი რთული პრობლემა წარმოშვა, რომელთა გადაწყვეტაც ვერ მოხერხდება არსებული რეალობებისა და ახალი ქართული სახელმწიფოს წინაშე მდგარი მიზნებისა და ამოცანების გაუთვალისწინებლად. ქვეყანა უნდა დაუბრუნდეს თავისი განვითარ-

ების გრადიციულ ისტორიულ კალაპოგს, დროებით მოშლილ ბუნებრივ შინაგან ევოლუციას. ამასთანავე, ახალი სახელმწიფო წყობილების მოდელმა ხელი უნდა შეუწყოს დარღვეული ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ აღორძინებას.

ქართული ფედერალიზმის კონცეპტუალურ ბაზას საფუძველი ჩაეყარა 1925-1939 წლებში პარიზში გამოძვეალ ქართველ ნაციონალისტთა გაზეთში - „თეთრი გიორგი“, სადაც იბეჭდებოდა წერილების სერია, რომლებიც უშუალოდ საქართველოს ფედერალურ მოწყობას ეძღვნებოდა. ავტორთა ერთსულოვანი დასკვნით, საქართველო არასოდეს ყოფილა ცენტრალისტური სახელმწიფო. „საქართველოს ნამდვილი ერთობა ქართველი ერის კულტურული ერთობა და ქართველობის შეგნება იყო. დღესაც ასეთია საქართველოს აგებულება: - ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო, გურია, აფხაზეთი, სვანეთი, რაჭა, ლეჩხუმი, ხევსურეთი, ფშავეთი, თუშეთი უბრალო მაზრები, საადმინისტრაციო კუთხეები კი არ არიან, არამედ ინდივიდუალური სახისა და ისტორიის მქონე ნაწილნი საქართველოსა, - საკუთარი თვისებებით, მნიშვნეულებებით, ხასიათით განსხვავებულნი ურთიერთისაგან... ეს მრავალფეროვნება არ არღვევს საქართველოსა და ქართველი ერის მთლიანობას, არამედ სიმდიდრეა საქართველოსი. საქართველო მუდამ ასეთი იყო, მაგრამ გაერთიანებულმა მეფეთ-მეფეთა საქართველომ ძველად შესაფერისი პოლიტიკური ფორმა გამოიჩინა ამ მრავალფეროვნების ერთობათ ჩამოქნისა. მას შემდეგ დრონი და ცხოვრება იცვალნენ, მაგრამ საქართველო იგივე მრავალფეროვნებაა, როგორც იყო ძველად და დღესაც ახალი ცხოვრების შესაფერისი პოლიტიკური ფორმა უნდა გამოიჩინოს, რომ ეს მრავალფეროვნება ერთობაში მოთავსდეს, იყოს თვით უმტკიცესი საფუძველი საქართველოს ერთობისა“¹.

მ. წერეთლის დასკვნით, ფედერალურ საქართველოში ყოველი კუთხე თვითონ წაუძღვება ადგილობრივ საქმეს, ხოლო სრულიად საქართველოს გამგებლები ყველა კუთხის რჩეული წარმომადგენელნი იქნებიან. ის დამლუპველი მოვლენა, რამაც დაძაბა ურთიერთობა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის, აგრეთვე აფხაზეთთან, რომელიმე კუთხე რომ გამოირიყოს საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებიდან, ან მოხდეს მის ადგილობრივ საქმეში უხეში ჩარევა, გაქრება. ყოველგვარი უკმაყოფილება, სიძულელი, მტრობა მოისპობა ქართველთა შორის. სამეგრელო, სვანეთი, აფხაზეთი, აჭარა - ყველა შესაფერ ბინას ნახავს საქართველოს პოლიტიკურ წიაღში, სადაც დაცული და უზრუნველყოფილი იქნება მიწა-წყალი, ენა, მნიშვნეულება, თავისუფლება, სიამაყე და ღირსება. ეს არის მომავალი საქართველოს ფედერალურად აღდგენის საჭიროების მაჩვენებელი. თუ საქართველოში ცენტრალიზმი გამეფდა, ვერცერთი ეს დელიკატური საკითხი ვერ გადაწყდება.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციამ ობიექტურ მიზეზთა მთელი რიგის გამო ვერ გადაწყვიტა სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის საკითხი და მისი დარეგულირება მომავალში კონსტიტუციურ კანონს დააკი-

¹ მ. წერეთელი, ფედერაციული საქართველო, გაზ. „თეთრი გიორგი“, 1930, № 32.

სრა. კონსტიტუციური კანონის მიღების აუცილებელ წინაპირობად კი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენა მიიჩნია. კონსტიტუცია პირდაპირ არ მიუთითებს, ტერიტორიული მოწყობის რომელი ფორმა უნდა აირჩიოს საქართველომ – უნიტარული თუ ფედერალური. თუმცა კონსტიტუციის ნორმების ანალიზიდან შეგვიძლია განვსაზღვროთ ის მიმართულება, რომელიც კონსტიტუციამ კონსტიტუციურ კანონს დაუწესა.

კონსტიტუციის მე-4 მუხლის მიხედვით: „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ საქართველოს პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა – რესპუბლიკის საბჭო და სენატი.

რესპუბლიკის საბჭო შედგება პროპორციული წესით არჩეული წევრებისაგან. სენატი შედგება აფხაზეთში, აჭარასა და საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებში არჩეული წევრებისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული ხუთი წევრისაგან“.

ცნობილია, რომ ორპალატიანი პარლამენტი, რომლის გედა პალატაც ტერიტორიული ერთეულების მიერ კომპლექტდება, არის ფედერალური ან უნიტარული დეცენტრალიზებული სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელი. ამრიგად, სახელმწიფოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სტრუქტურა და შექმნის წესი უშუალოდ დაკავშირებულია ტერიტორიული ერთეულების არსებობასთან და ხელისუფლების დეცენტრალიზაციასთან, რასაც ფედერალიზმისაკენ, ან სულ მცირე რეგიონალიზმისაკენ მივყავართ. აქვე კონსტიტუციამ მომავალ ტერიტორიულ მოწყობაში მოიხსენია ორი ტერიტორიული ერთეული: აფხაზეთი და აჭარა, ხოლო სხვა ტერიტორიული ერთეულების ჩამოყალიბება მან კონსტიტუციურ კანონს დააეკლავა. კონსტიტუციური კანონით უნდა განისაზღვროს ასევე სენატში აფხაზეთის, აჭარისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენელთა რაოდენობა, მათი საარჩევნო ცენზი და არჩევის წესი, ასევე პალატებს შორის ურთიერთობების საკითხი და კანონპროექტთა განხილვისა და მიღების წესი. ორპალატიანი პარლამენტის სტრუქტურიდან გამომდინარე, იმ კანონპროექტებზე, რომლებიც უშუალოდ წამოჭრიან ტერიტორიული ერთეულების დეცენტრალიზაციას, სავალდებულო უნდა იყოს გედა პალატის თანხმობა, ასეთი საკითხების გადაწყვეტისას მას ექნება ვეტოს უფლება.

ამრიგად, საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოში იარსებებენ ტერიტორიული ერთეულები, რომელთა უმრავლესობას ექნება თანაბარი სტატუსი და კომპეტენცია, ხოლო აფხაზეთსა და აჭარას, ისტორიულ-პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული სტატუსი.

დღევანდელი რეალობისა და პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთს მიენიჭება ისეთი სტატუსი, რომელიც მთელ მსოფლიოში მიღებულია ფედერალური სახელმწიფოს ყველაზე უფრო ავტონომიური სუბიექტებისათვის. აქედან გამომდინარე, აფხაზეთს, ისევე როგორც აჭარას, შეიძლება ჰქონდეს კონსტიტუცია, სახელმწიფო სიმბოლიკა, თავისი საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო და სხვა სახელმწიფო ორგანოთა სისტემა, საქართველოს ცენ-

გრალურ ხელისუფლებაში წარმომადგენლობა და საერთოსახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობის უფლება. აფხაზეთისა და აჭარის მიმართ ცენტრალურ ხელისუფლებას ექნება მსოფლიო პრაქტიკის დაკვირვებით გათვალისწინებული ის უფლებამოსილებები, რომლებიც აუცილებელია მისი, როგორც სუვერენული სახელმწიფოს, არსებობისათვის.

აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრამ და უფლებამოსილების რეალურმა და სამართლიანმა გამიჯვნამ ხელი უნდა შეუწყოს აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებას, წაახალისოს საბოლოო შეთანხმების პროცესი და აღადგინოს მხარეებს შორის ურთიერთნდობის ჩაგებილი ფაქტორი. ვინაიდან აფხაზეთისა და, შესაბამისად, აჭარის ავტონომიური სტატუსი აღმატებული იქნება საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების სტატუსთან, მომავალი საქართველოს ტერიტორიული მოწყობა აისახება ასიმეტრიული ფედერალიზმის მოდელში. ამრიგად, საქართველოს ტერიტორიული მოწყობის ფორმას დიდი მნიშვნელობა ეკისრება პოლიტიკური თვალსაზრისითაც. მან უნდა ხელი შეუწყოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, წაახალისოს მხარეთა შეთანხმების პროცესი. ფედერალიზმი საქართველოსათვის არ იქნება მხოლოდ სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ფორმა, იგი ხდება პრობლემათა გადაწყვეტის მეთოდი. ამ თვალსაზრისით უნდა შეფასდეს საქართველოსთან მიმართებაში ფედერალიზმი.

კონსტიტუციამ დაყრდნობით, საქართველოს ტერიტორიული მოწყობის კონსტიტუციურმა კანონმა უნდა განსაზღვროს: ტერიტორიული ერთეულების რაოდენობა, მათი სახელწოდება და საზღვრები, სტატუსი, მათი ხელისუფლების ორგანოები და კომპეტენცია; თითოეული ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენელთა რაოდენობა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტის წყაროები.

კონსტიტუცია განსაზღვრავს კომპეტენციის ორ სახეობას: ესაა საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები და ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები. მის ჩამონათვალს კონსტიტუცია არ შეიცავს და იგი ცალკე განისაზღვრება. კონსტიტუცია, მართალია, არ აღნიშნავს ტერიტორიული ერთეულების განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს, მაგრამ ამით როდი გამორიცხავს მათი ასეთი უფლებამოსილების არსებობას. ის უფლებამოსილებები, რომლებიც არ შედიან ცენტრალური ხელისუფლების განსაკუთრებულ კომპეტენციასა და ერთობლივი კომპეტენციის ჩამონათვალში, მიეკუთვნება ე.წ. „დარჩენილი კომპეტენციის“ სახეობას.

ცენტრალურ ხელისუფლებასა და რეგიონულ ხელისუფლებას შორის დაპირისპირებისა და მრავალი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, ჩვენ უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გამოყენებულ იქნეს კომპეტენციის გამიჯვნის შემდეგი მოდელი: კონსტიტუციურმა კანონმა ცენტრალური ხელისუფლების განსაკუთრებული კომპეტენციის გვერდით განსაზღვროს ტერიტორიული ერთეულების განსაკუთრებული კომპეტენციებიც, ხოლო ის საკითხები, რომლებიც არ შედიან არცერთი ხელისუფლების განსაკუთრე-

ბულ კომპეტენციაში, გამოცხადდეს ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებად.

ჩვენი აზრით, საქართველოს ტერიტორიული მოწყობის კონსტიტუციური კანონით რეგიონების განსაკუთრებულ გამგებლობას შეიძლება მიეკუთვნებოდეს შემდეგი საკითხები:

- 1) სამხარეო კანონმდებლობა, მისი აღსრულება და კონტროლი;
- 2) საკუთარი უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოების ფორმირება;
- 3) ადგილობრივი თვითმმართველობა, მათი სამღერების დადგენა;
- 4) საკუთარი ბიუჯეტის მიღება, შესრულება და კონტროლი;
- 5) ადგილობრივი გადასახადები და საგადასახადო სისტემის მუშაობა;
- 6) სამხარეო საკუთრების განკარგვა;
- 7) საზოგადოებრივი წესრიგი, ადგილობრივი პოლიცია;
- 8) ადგილობრივი მშენებლობის გზები და ტრანსპორტი;
- 9) ენერგეტიკა;
- 10) ვაჭრობა;
- 11) სოციალური უზრუნველყოფა;
- 12) საყოფაცხოვრებო მომსახურება;
- 13) ჯანდაცვა და პიგიენა;
- 14) ადგილობრივი ტელე-რადიო და კავშირგაბმულობის სამსახური;
- 15) ბინათმშენებლობა;
- 16) სოციალური დაზღვევა;
- 17) საშუალო და პროფესიული განათლება;
- 18) კულტურა, ისტორიული ძეგლების დაცვა;
- 19) მეცნიერება;
- 20) ტურიზმი და სპორტი;
- 21) ბუნებათსარგებლობა;
- 22) ნადირობა და თევზჭერა შინაგან წყლებში;
- 23) სოფლის მეურნეობა, მეცხოველეობა, ტყეები და ტყის მეურნეობა.

საქართველოს ტერიტორიული მოწყობის ყოველი ვარიანტი უნდა შეფასდეს სახელმწიფოს სამ ფუნდამენტურ ფაქტორთან მიმართებით, ესენია: ეროვნული უსაფრთხოება, ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარება. ტერიტორიული მოწყობის ფორმა ხელს უნდა უწყობდეს სახელმწიფოს მიზნებისა და ფუნქციების განცხორციელებას. ამის მთავარი პირობა ის არის, რომ მან გააძლიეროს საერთო სახელმწიფოებრიობის შეგრძნება, გააერთიანოს, დააახლოვოს ადამიანები საერთოსახელმწიფოებრივ მიზნებში.

მახი ყურაუზილი
იურიდიულ მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი

ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციური პრინციპების რეალიზაციის პრობლემები საქართველოში

ადგილობრივი თვითმმართველობის 1985 წლის 15 ოქტომბრის ევრო-პული ქარტიის საფუძველზე საქართველოს კონსტიტუციის მეორე მუხლის მეოთხე პუნქტში განმტკიცებულია ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპი, როგორც კონსტიტუციური წყობის ერთ-ერთი საფუძველი.

ადგილობრივი თვითმმართველობა, როგორც უშუალო დემოკრატიის ერთ-ერთი ქმედითი ფორმა, საჯარო ხელისუფლების ნაწილია, ემიჯნება სახელმწიფო ხელისუფლებას და გულისხმობს ადგილობრივი საზოგადოების უფლებას, ნამდვილ შესაძლებლობას, გააკონტროლოს და მართოს კანონის ფარგლებში თავისი პასუხისმგებლობითა და მოსახლეობის საკეთილდღეოდ საზოგადოებრივ საქმეთა მნიშვნელოვანი ნაწილი.

მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო საქართველოს არ გააჩნია თვითმმართველობის დიდი ტრადიცია. მიუხედავად არსებული გარკვეული ისტორიული გამოცდილებისა (1919-1921, 1991-1994), თვითმმართველობის ხანგრძლივი ვაკუუმი საქართველოს სინამდვილეა. საქართველოში თვითმმართველობის ინსტიტუტმა ფუნქციონირება დაიწყო მხოლოდ 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, ამ კონსტიტუციის ძალით და მის შესაბამისად შექმნილი საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე და განაგრძნოს ფუნქციონირებას 2002 წლის 2 ივნისის ადგილობრივი არჩევნების საფუძველზე.

საქართველოს მოქალაქეები საჯარო ხელისუფლების განხორციელებისას ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებს აწესრიგებენ თვითმმართველობის ფორმით. ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში არის საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციით აღიარებული უფლება, შესაძლებლობა და პასუხისმგებლობა, დადგენილი წესით, თვითმმართველობის ერთეულში მათ მიერ შექმნილი ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით, კანონის საფუძველზე, საკუთარი პასუხისმგებლობითა და კანონმდებლობით განსაზღვრული ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები სახელმწიფო სუვერენიტეტის შეუღახავად.

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებას საფუძველად უდევს: ტერიტორიულობა; არჩევითობა; მრავალფეროვნება და ერთიანობა; დეცენტრალიზაცია, დამოუკიდებლობა და კომპეტენტურობა; ავტონო-

მიურობა და პასუხისმგებლობა; სახელმწიფო ხელისუფლებისაგან გამიჯნა და სახელმწიფო გარანტირებულობა.

1) ტერიტორიულობა. საქართველოში ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ კონსტიტუციური კანონის მიღებამდე საქართველოს რაიონების, ქალაქების, დაბების, თემებისა და სოფლების შექმნა-გაუქმება, საზღვრების დადგენა, გაერთიანება და გაყოფა, კატეგორიით შეცვლა, სახელების დარქმევა-გადარქმევა, აღრიცხვა და რეგისტრაცია ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 14 მაისის №321 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულებით „საქართველოს ადმინისტრაციული მოწყობის საკითხთა გადაწყვეტის წესის შესახებ“.

საქართველოს ტერიტორიული სისტემა, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, აერთიანებს შემდეგ დასახლებულ პუნქტებს: ქ. თბილისი, ქალაქის რაიონები, ქალაქები, რომლებიც არ შედიან რაიონის შემადგენლობაში (ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი, ცხინვალი), რაიონები, რაიონში შემავალი ქალაქები, დაბები, თემები და სოფლები, სულ – 4603 ერთეული; ამ დასახლებული პუნქტებიდან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ტერიტორიულ ერთეულებად ყალიბდება მხოლოდ 1195 ერთეული. საქართველოს თვითმმართველობისა და მმართველობის ტერიტორიული სისტემა, რომელიც სამართლებრივ დოქტრინაში ორ ღონედ იყოფა (პირველ ღონეს ქმნიან: რაიონში შემავალი ქალაქები, დაბები, თემები და სოფლები; მეორე ღონის ტერიტორიულ ერთეულებს წარმოადგენენ: ქ. თბილისი, ქალაქები, რომლებიც არ შედიან რაიონის შემადგენლობაში და რაიონები), კიდევ უფრო ვრცელია, ვიდრე თვითმმართველობის საქართველოში მოქმედი ტერიტორიული სისტემა (პირველი ღონის 1111 ტერიტორიულ კოლექტივს დამატებული ქალაქები, რომლებიც არ შედიან რაიონის შემადგენლობაში (6) და ნაწილობრივ ქ. თბილისი, სულ – 1118).

ა) პირველ ღონეზე – რაიონში შემავალ ქალაქებში, დაბებში, თემებსა და თემში არშემავალ სოფლებში, რომლებიც ტერიტორიულ კოლექტივებად მოიაზრებიან, სულ – 1111 ტერიტორიული ერთეულიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის გამო – ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციური პრინციპი სრულმასშტაბურადაა რეალიზებული მხოლოდ 889 ერთეულში;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება აგრეთვე ქალაქებში, რომლებიც არ შედიან რაიონის შემადგენლობაში (ამ გიპის 6 ქალაქიდან ფაქტობრივად მხოლოდ ბათუმში, რუსთავსა და ქუთაისში). მათი ადგილობრივი, თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, გარდა თვითმმართველობისა, დედეგაციის წესით, იმაედროულად ახორციელებენ ადგილობრივ მმართველობასაც, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ 1997 წლის 16 ოქტომბრის საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში;

გ) ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შერეული ფორმაა რეალიზებული დედაქალაქში, რომლის განსაკუთრებული სამართლებრივი მდგომარეობა განსაზღვრულია „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ 1998 წლის 20 თებერვლის კანონით. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს წარმოადგენს 4

წლის ვადით პროპორციული წესით არჩეული ქალაქის 49 წევრიანი საკრებულო. ქ. თბილისის მერია არის სახელმწიფო მმართველობის ორგანო. მას ხელმძღვანელობს თბილისის უმაღლესი თანამდებობის პირი – საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული მერი. მერია იმავდროულად ასრულებს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს აღმასრულებელი ორგანოს ფუნქციებს. მერიაში გაერთიანებულია თბილისის მთავრობა, რომელიც შედგება პრემიერის, პრემიერის მოადგილეების, ცალკეული საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელებისა და ქალაქის რაიონებისა და დაბა წყნეთის გამგებლებისაგან; ქალაქის რაიონების (სულ 5: ისანი-სამგორის, მთაწმინდა-კრწანისის, ვაკე-საბურთალოს, დიდუბე-ჩუკურეთის, გლდანი-ნაძალადეის) და დაბა წყნეთის გამგეობები; რაიონში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულების ორგანოები (დღეისათვის ამგვარი ადმინისტრაციული ერთეულები არაა შექმნილი). პრემიერსა და რაიონების გამგებლებს თანამდებობაზე საკრებულოს თანხმობის საფუძველზე ქალაქის მერის წარდგინებით ნიშნავენ საქართველოს პრეზიდენტი;

დ) გამონაკლისის სახით, ქ. ფოთში მერი – ქალაქის უმაღლესი თანამდებობის პირი და მთავრობის ხელმძღვანელი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს შემადგენლობიდან თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება საქართველოს პრეზიდენტის მიერ, ანუ ადგილობრივი მოსახლეობის საარჩევნო უფლება ერწყმის საქართველოს პრეზიდენტის დანიშნვა-გათავისუფლების პრეროგატივას. ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუალური შინაარსიდან ამოვარდნილია გორის რაიონის ერედვისა და ქურთის, ქარელის რაიონის თიღვისა და გულრიფშის რაიონის აჭარის თემებიც და მათში გაერთიანებული სოფლები, რომელთა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნა და უფლებამოსილებათა განსაზღვრა ხდება რაიონისათვის დადგენილი წესით. საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება ქალაქებში – სოხუმსა და ცხინვალში, აფხაზეთისა და შიდა ქართლის მხარის 7 რაიონში და პირველი დონის 218 თვითმმართველობის ტერიტორიულ ერთეულში;

ე) საქართველოს 67-დან 60 რაიონში საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ კონსტიტუციური კანონის მიღებამდე ხორციელდება ადგილობრივი მმართველობა, დანარჩენ 7 რაიონში მოქმედებს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული ხელი-სუფლება.

ადგილობრივი მმართველობა – ეს ადგილობრივი ორგანოებისათვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლება და დაკისრებული მოვალეობაა, საერთო სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით გადაწყვიტონ სახელმწიფო ორგანოების მიერ დელეგირებული სახელმწიფო მნიშვნელობის ადგილობრივი საკითხები. რაიონებში ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენლობით ორგანოსთან – საკრებულოსთან, რომელიც შედგება რაიონში შემავალი თვითმმართველი ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების თავმჯდომარეებისაგან, ფუნქციონირებს ადგილობრივი მმართველობის აღმასრულებელი ორგანო – რაიონ-

ნული გამგეობა, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი მმართველობის განხორციელებასა და დელიგირებულ უფლებამოსილებაზე გადაწყვეტილებათა მიღებას. ამ ორგანოს ხელმძღვანელი არის საქართველოს პრემიერ-დენგის მიერ საკრებულოს შემადგენლობიდან დანიშნული გამგებელი, რომელიც ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია საქართველოს პრემიერ-დენგისა და საკრებულოს წინაშე.

2) **არჩევითობა** თვითმმართველობის გრადიციული დამახასიათებელი ნიშანია. არჩევითი უნდა იყოს ადგილობრივი თვითმმართველობის როგორც წარმომადგენლობითი, ისე აღმასრულებელი ორგანო ან თანამდებობის პირი. ამასთან, შევნიშნაეთ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები არ წარმოადგენენ სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოებს, ხოლო მათი ექსკლუზიური კომპეტენცია არ არის სახელმწიფოს იურისდიქციული კომპეტენციის ნაწილი.

საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო სოფელში, თემში, ქალაქსა და იმ ქალაქში, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, არის საკრებულო. საკრებულოს არჩევანი გარდება 4 წელიწადში ერთხელ მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით, მაკორიგარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით აირჩევა საკრებულოს 5 წევრი, თუ ამომრჩეველთა რაოდენობა თვითმმართველობის ტერიტორიულ ერთეულში არ აღემატება 50000-ს, 7 – თუ ამომრჩეველთა რაოდენობა 5000-დან 10000-მდეა, 9 – თუ ამომრჩეველთა რაოდენობა აღემატება 10000-ს და 15 – ბათუმის, რუსთავის, სოხუმის, ფოთის, ქუთაისისა და ცხინვალის საკრებულოებში.

ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო სოფელში, თემში, დაბასა და ქალაქში არის საკრებულოს მიერ ფორმირებული გამგეობა, არა უმეტეს 7 წევრის შემადგენლობით, რომელსაც ხელმძღვანელობს საკრებულოს მიერ არჩეული გამგებელი – საკრებულოს თავმჯდომარე. სოფელსა და თემში, რომლის მოსახლეობაც არ აღემატება 3000 ადამიანს, საკრებულოს აღმასრულებელი ორგანოს – გამგეობის ფუნქციას ასრულებს უშუალოდ გამგებელი – საკრებულოს თავმჯდომარე. ქალაქის, რომლის ამომრჩეველთა რაოდენობა 5000-ზე მეტია, – აღმასრულებელი ორგანოს – გამგეობის ხელმძღვანელი – გამგებელი, აგრეთვე ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, გარდა ქ. ფოთისა – აღმასრულებელი ორგანოს მთავრობის (რომელიც შედგება არა უმეტეს 15 წევრისაგან) ხელმძღვანელი – მერი, აირჩევიან მაკორიგარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოს უფლებამოსილების ვადით საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით.

3) **მრავალფეროვნება და ერთიანობა.** ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებისას უშუალო დემოკრატიის მრავალი ფორმა გამოიყენება: ადგილობრივი რეფერენდუმი და პლენისციტი (უნგრეთი, ბულგარეთი), სოფლის ყრილობა და სასოფლო შეკრება (რუსეთი), წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევა და მის მიერ აღმასრულებელი თანამდებობის პირის შერჩევა (საფრანგეთი) ან აღმასრულებელი ორგანოს ფორმირება (იგალია, პოლონეთი), ადგილობრივი წარმომადგენლობითი და ადგილო-

ბრივი აღმასრულებელი თანამდებობის პირის პირდაპირი არჩევა ან ორგანოს ფორმირება (ბულგარეთი).

საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობა წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების სისტემად ყალიბდება. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები წარმომადგენენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს. არჩევითი საკრებულოსა და არჩევითი გამგებლის (მერის), გამგეობის (მერიის), ურთიერთდამოკიდებულება ერთიან მექანიზმს ქმნის. თვითმმართველობის პირველი დონის იმ გერიტორიულ ერთეულებში, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 5000-ზე ნაკლებია, თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს თავმჯდომარე და გამგებელი ერთი და იგივე პირია, ანუ ადგილობრივი თვითმმართველობა სტრუქტურული ერთიანობითაც ხასიათდება (ე.წ. სამხრეთ-გერმანული მოდელი).

თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო – საკრებულო მნიშვნელოვან მაკონტროლებელ ფუნქციებს ფლობს თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიმართ. კერძოდ, საკრებულოს კომპეტენციას შეადგენს ადგილობრივი ბიუჯეტის როგორც მიღება, ისე კონტროლი მის შესრულებაზე და შესრულების ანგარიშის დამტკიცება. საკრებულოს მხრიდან ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოზე კონტროლის ფორმას წარმოადგენს გამგებლის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ წელიწადში ერთხელ ანგარიშის წარდგენა საკრებულოს სხდომაზე და საკრებულოს მიერ შექმნილი ორგანოების ხელმძღვანელებისა და თანამდებობის პირთა ანგარიშების მოსმენა. სოფლის, თემის, დაბისა და ქალაქის გამგებელი პასუხისმგებელია შესაბამისი საკრებულოს წინაშე, ხოლო იმ ქალაქის მერი, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, ანგარიშვალდებულია საკრებულოს წინაშე, ამ უკანასკნელის უფლებამოსილებების ფარგლებში. საკრებულოს განსაკუთრებული უფლებამოსილებაა გამგებლის – საკრებულოს თავმჯდომარისათვის, გამგეობის (მთავრობის) ცალკეული წევრისათვის უნდობლობის გამოცხადება საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის, სახელმწიფო ღალატის ან სხვა სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის, აგრეთვე საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 78-ე მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის გამო, რაც ამ უკანასკნელის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას იწვევს, მთლიანად გამგეობისათვის (მთავრობისათვის) უნდობლობის გამოცხადება კანონმდებლობით დადგენილ უფლებამოსილებათა განუხორციელებლობისათვის, რაც ასევე მისი მთელი შემადგენლობის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას იწვევს. იმ ქალაქში, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, აგრეთვე ქალაქებში, რომლის ამომრჩეველთა რაოდენობაც აღემატება 5000-ს, საკრებულო უფლებამოსილია, მხოლოდ დასვას საქართველოს პრეზიდენტის წინაშე წინადადება ქალაქის მერის (გამგებლის) უფლებამოსილების შეწყვეტის (ქ. ფოთის მერის თანამდებობიდან გათავისუფლების) საკითხი ზემოთ მითითებული მოტივებით.

4) **დეცენტრალიზაცია, დამოუკიდებლობა და კომპეტენცია.** ადგილობრივი თვითმმართველობის სფერო ადგილობრივი მნიშვნელობის, ანუ კონკრეტული გერიტორიის მოსახლეობის, ცხოვრების უზრუნ-

ველყოფის ადგილობრივად წარმოშობილი საკითხებია. ცალკეული საზოგადოებრივი საკითხების ადგილობრივი თვითმმართველობის დამოუკიდებელ ობიექტად გამოყოფა ნიშნავს სახელმწიფო მმართველობის დეცენტრალიზებულ ფორმაზე გადასვლას. დეცენტრალიზაცია გულისხმობს საჯარო ხელისუფლების გადაცემას ცენტრიდან პერიფერიებზე და უზრუნველყოფს ქმედების არჩევის თავისუფლებას, გადაწყვეტილებების მიღების ავტონომიურობას საკუთარი პასუხისმგებლობით. დეცენტრალიზაციით ხდება ადგილობრივი მოსახლეობისათვის სწორედ იმ საკითხების გადაცემა, რომლებიც წარმატებით გადაწყდება მათ მიერვე დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით. ეს თავისთავად არ ნიშნავს, რომ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები იზოლირებულია სახელმწიფო ორგანოთა გამგებლობის საკითხებისაგან. დეცენტრალიზაცია არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს ადგილობრივი თვითმმართველობა მოწყვეტილია სახელმწიფო ორგანიზმისაგან და ეწინააღმდეგება მას: დეცენტრალიზაცია არ ნიშნავს ხელისუფლების დეკონცენტრაციას. დეცენტრალიზაციის პროცესისათვის დამახასიათებელია მისი მომდინარეობა „გვიდან“ ანუ ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლებიდან და განხორციელება სახელმწიფოს მხარდაჭერით, იმ კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც სწორედ სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე მოქმედებს. დეცენტრალიზაციის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ინდივიდუალური თვითშემოქმედებისა და დამოუკიდებელი ინიციატივის უზრუნველყოფა და წახალისება, ხოლო მისი მიზანია არა ხელისუფლების შეზღუდვა და სახელმწიფოებრივი ძალაუფლების შესუსტება, არამედ სოციალური ფორმების სიჯანსაღე და სიმყარე, სტაბილურობის უზრუნველყოფა.

ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების ადგილობრივი მოსახლეობის მიერ დამოუკიდებლად გადაწყვეტა მიიღწევა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კანონმდებლობით განსაზღვრული ექსკლუზიური და დელეგირებული უფლებამოსილებებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხელთ არსებული მაკერიალურ-ფინანსური რესურსების ურთიერთშესაბამისობით, ადგილობრივი მოსახლეობის საჯარო ნებისა და ინტერესების გამომხატველი ეფექტური დემოკრატიული ინსტიტუციური სისტემის არსებობით და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში კანონმდებლობის შესაბამისად გადაწყვეტილებათა მიღების თავისუფლებით.

დეცენტრალიზაციისას საქართველოში გამოიყენება თვითმმართველობის პრინციპებით, ასევე მიზნებითა და ამოცანებით განპირობებული უფლებამოსილებათა როგორც სამუდამო, ისე დროებითი გადაცემის, ასევე ცალკეულ უფლებამოსილებათა ნებაყოფლობითი თავის პასუხისმგებლობაში აღების პრაქტიკა.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს კომპეტენციის ნაწილი მინიჭებული აქვთ ექსკლუზიურ (საკუთარ) უფლებამოსილებად, ხოლო ნაწილს ახორციელებენ დელეგირების წესით სახელმწიფო ორგანოთა კონტროლის ქვეშ არა კანონის, არამედ მმართველობის აქტის საფუძველზე მმართველობის ორგანოებთან ურთიერთშეთანხმებით, რომელიც ატარებს დროებით ხასიათს. კანონმდებლობით შემღვდულია ადგილობრივი თვით-

მმართველობის ორგანოების დამოუკიდებლობა შესაბამის მაგერიალურ და ფინანსურ რესურსებთან ერთად გადაცემული (დელეგირებული) უფლებამოსილებების განხორციელებისას, რადგან სახელმწიფო ორგანოებს უფლება აქვთ, გააუქმონ მათი გადაწყვეტილებები იმ სფეროში, რომლის დელეგირებაც მოახდინეს. ნებაყოფლობით, ანუ ადვილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ საკუთარი ინიციატივით დაიშვება მხოლოდ ისეთი უფლებამოსილებების აღება, რომლებიც კანონის თანახმად არ არის ამოღებული მისი უფლებამოსილებებიდან და არც სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება, სუბსიდიურობის პრინციპის საფუძველზე.

ადვილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ადმინისტრაციულ, მომსახურებით, საინვესტიციო და მარეგულირებელ ფუნქციებს ახორციელებენ კანონმდებლობით, ზუსტად და ნაწილობრივ ამომწურავად განსაზღვრულ უფლებამოსილებათა რეალიზაციისას საზოგადოებრივი მართვის სფეროში (ადვილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დებულების მიღება, მასში ცვლილებების შეტანა და კონტროლი მის შესრულებაზე; ადვილობრივი არქივის შექმნა და შენახვა; ადვილობრივი სამსახურების შექმნა და ლიკვიდაცია), ქონებისა და ფინანსების სფეროში (ადვილობრივი თვითმმართველობის ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა; ადვილობრივი ბიუჯეტის ფორმირება, დამტკიცება, შესრულება და კონტროლი; ადვილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება), ეკონომიკისა და ურბანიზაციის სფეროში (დაქვემდებარებული გერიგორიის კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავება, დამტკიცება და შესრულება; ადვილობრივი საწარმოების შექმნა და ლიკვიდაცია; დაქვემდებარებულ გერიგორიაზე, სახელმწიფო აღმასრულებელი ხელისუფლების გერიგორიულ ორგანოსთან შეთანხმებით, დასახლებული პუნქტების გენერალური გეგმების შემუშავების ორგანიზება და კონტროლი მშენებლობის განხორციელებაზე; საცხოვრებელი სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების დაწესებულებათა მშენებლობისათვის ხელის შეწყობა), საბინაო-კომუნალურ სფეროში (ადვილობრივი თვითმმართველობის საბინაო და არასაცხოვრებელი ფონდის შექმნა და განკარგვა; კომუნალური მეურნეობა; სასაფლაოების მოვლა-პატრონობა), მიწათსარგებლობისა და გარემოს დაცვის სფეროში (მიწათსარგებლობის საკითხების გადაწყვეტა; დაქვემდებარებული გერიგორიის კეთილმოწყობა და გამწვანება; წყალმომარაგების ადვილობრივი სისტემის ორგანიზება, მისი შენახვა და განვითარება), ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროში (მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზებისათვის ხელის შეწყობა; ადვილობრივი საინფორმაციო სამსახურის ორგანიზება და შენახვა, მისი ფუნქციონირებისათვის ხელის შეწყობა; შიდა სარგებლობის გზების შეკეთება, რეკონსტრუქცია და მშენებლობა), განათლების, ჯანდაცვის, სპორტისა და კულტურის სფეროში (ადვილობრივი მნიშვნელობის განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურისა და სპორტის საკითხების გადაწყვეტა; ბიბლიოთეკების, თეატრების, კულტურისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი დაწესებულებების შექმნა და შენახვა; სოციალური მომსახურების ორგანიზება).

5) **სახელმწიფო გარანტირებულობა.** ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში სახელმწიფოს მიერ გარანტირებულია. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივ გარანტიას წარმოადგენს კანონით დადგენილი წესი, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობების პირების მიერ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები სავალდებულოა შესასრულებლად დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებისა და მოქალაქეთათვის.

საქართველოს მოქალაქეებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და თანამდებობის პირებს უფლება აქვთ, მიმართონ სასამართლოს – სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ მიღებული იმ აქტების გასასაჩივრებლად, რომლებიც მღუდავენ ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებებს.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, სხვა ფიზიკური და იურიდიული პირები პასუხს აგებენ იმ ზარალისათვის, რომელსაც ისინი თავიანთი ქმედებით ან გადაწყვეტილებებით მიაყენებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის გარანტიაა ორგანული კანონით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებათა შეჩერებისა და გაუქმების, საკრებულოს საქმიანობის შეჩერების, დათხოვნის ან მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის მუსტი და ადგილობრივი თვითმმართველობის პირდაპირი სახელმწიფო მმართველობით ვადიანი შეცვლის კონკრეტული რეგლამენტაცია.

ორგანული კანონის შესაბამისად, ერთადერთი ორგანო, რომელიც უფლებამოსილია, გააუქმოს თვითმმართველობის ორგანოთა კანონშესაბამო გადაწყვეტილებები, არის სასამართლო. საკრებულოს საქმიანობის შეჩერება ან დათხოვნა კი მხოლოდ პრეზიდენტისა და პარლამენტის შეთანხმებული გადაწყვეტილების შედეგი შეიძლება იყოს.

აღსანიშნავია, რომ ორგანული კანონი განაერცობს პრეზიდენტის კონსტიტუციურ უფლებამოსილებებს და ანიჭებს დამატებით უფლებას, პარლამენტის თანხმობით ვადამდე შეწყვიტოს საკრებულოს უფლებამოსილება სახელმწიფო რწმუნებულის წარდგინების საფუძველზე; თუ საკრებულოს წევრთა რაოდენობა შემცირდა ნახევარზე მეტით, თუ საკრებულომ 2 თვის მანძილზე ვერ აირჩია აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი და თუ საბიუჯეტო წლის დასაწყისიდან 2 თვეში არ დაამტკიცა სათანადო წესით შედგენილი ბიუჯეტი.

6) **ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა.** ადგილობრივი თვითმმართველობის ავტონომიურობას უნდა უზრუნველყოფდეს მისი ეკონომიკური საფუძველი – ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი (განუსხვისებელი) და არაძირითადი საკუთრება, საქართველოს სახელმწიფო და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებთან გამიჯნული ადგილობრივი ბიუჯეტი, რომლის ფორმირებისას ადგილო-

ბრივი თვითმმართველობის ორგანოები დამოუკიდებელი არიან, ცალკეული ეკონომიკური უფლებამოსილებანი.

ადგილობრივი თვითმმართველობის ავტონომიურობა ნიშნავს ყველა მიღებული გადაწყვეტილებისათვის და შესაბამისი შედეგისათვის პასუხისმგებლობის აღებასაც. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ადგილობრივი მოსახლეობისა და სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლობის ფორმები და მასშტაბები ექსკლუზიური, დელეგირებული და ნებაყოფლობით აღებული უფლებამოსილებების განხორციელებაზე კანონმდებლობით მუსტადაა რეგლამენტებული.

უმენაესი კანონი განსაკუთრებულად გამოყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის ვალდებულებას, არ შელახოს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტისას სახელმწიფო სუვერენიტეტი და 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტში აფიქსირებს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების პასუხისმგებლობას ქვეყნის სუვერენიტეტისათვის, გერიტორიული მთლიანობისათვის, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის საფრთხის შექმნისათვის, რაც იმას ნიშნავს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის რეალიზაცია უნდა განხორციელდეს მსოლოდ კონსტიტუციური ლეგიტიმაციის ფარგლებში, წინააღმდეგ შემთხვევაში დადგება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლობის საკითხი.

დელეგირებული კომპეტენციის შესრულებისათვის პასუხისმგებლობა შემდგულია სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი მატერიალურ-ფინანსური სახსრების ფარგლებით.

საქართველოს მოქალაქეები ახორციელებენ თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობაზე სამოგადოებრივი კონტროლს, რაც, ამ საქმიანობის გამო, სასამართლო პასუხისგებაში მიცემის საფუძველი შეიძლება გახდეს. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პასუხისმგებლობა ფიზიკურ და იურიდიულ პირთა წინაშე დგება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის საფუძველზე.

ადგილობრივი თვითმმართველობა, როგორც საქართველოს კონსტიტუციური წყობის საფუძველი, მისი, როგორც მოსახლეობის ადგილობრივი თვითმმართველობის უფლების რეალიზაციის ფორმები და საშუალებები, ქართველი კანონმდებლობის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია. მის შესახებ საქართველოში მიღებულია 1997 წლის 16 ოქტომბრის საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“, რომელშიც 1999 წლის 28 მაისის, 23 ივლისის, 28 დეკემბრის, 2000 წლის 28 ივნისის, 2001 წლის 2 აგვისტოს, 26 ოქტომბრის ორგანული კანონების საფუძველზე შესულია ცვლილებები და დამატებები. საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის საკანონმდებლო უზრუნველყოფა ხდება აგრეთვე 1998 წლის 20 თებერვლის საქართველოს კანონით „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“, 2001 წლის 22 აგვისტოს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“, 1998 წლის 29 მაისის საქართველოს კანონით „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“, 1998 წლის 26 ივნისის საქართველოს კანონით „ადგილობრივი

წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ“, 1999 წლის 22 ივნისის საქართველოს კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ეკონომიკური საქმიანობის შესახებ“, 1999 წლის 9 ივნისის საქართველოს კანონით „პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შესახებ“ (დაგეგმილია ადგილობრივი ბიუჯეტის შესახებ, გრანსფერების გამოთანაბრების მექანიზმისა და ფორმულის შესახებ, ადგილობრივი ქონების ფლობის, განკარგვისა და ამ ქონებით სარგებლობის წესის შესახებ, სახელმწიფო საკუთრების მიწაზე უმაღლეს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ საქართველოს კანონების მიღება).

ფრაქცია საპარლამენტო მუქანიზმი

საპარლამენტო ფრაქციების როლი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მექანიზმში წარმოუდგენლად დიდია. ფრაქცია დეპუტატთა ისეთი გაერთიანებაა, რომელთა არსებობა თანამედროვე პარლამენტის კონსტიტუციური საქმიანობის ჩარჩოებში აუცილებლობად იქცა. მათი უშუალო მონაწილეობით შენდება საკანონმდებლო კრების სტრუქტურა, ხდება პოლიტიკური ნების ფორმირება და ბრძოლა მისი განხორციელებისათვის. ამდენად, ისინი პარლამენტის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ.

ფრაქციათა არსებობას დასაბამიდანვე არ ჰქონია დადებითი რემონანსი და გარკვეულ პერიოდამდე უარყოფით მოვლენად აღიქმებოდა. პირველშობილი სახით ფრაქცია შევიდა პოლიტიკაში როგორც ჯგუფური ინტერესების მტარებელი და ამ საწყისმა თვისებამ, რომელიც გარკვეულწილად დღემდე შენარჩუნებულია, დიდი ხნით განაპირობა მისდამი ნეგატიური დამოკიდებულება, რომლის ჩანასახები ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ ანტიკურ სამყაროში.

fractio – დამგვრევას, დაქუცმაცებას ნიშნავს¹. წარმოდგება ლათინური facere-საგან, ხოლო ამ მზნიდან წარმოებულ fractio-ს რომაელი ავტორები იყენებდნენ ისეთი პოლიტიკური ჯგუფის აღსანიშნავად, რომელიც მზად იყო „დამანგრეველი, საზიანო მოქმედებისათვის“. წარმოუდგენელია საუბარი „ფრაქციაზე“, თუ ყურადღების მიღმა დავტოვებთ „პარტიას“. ჯერ კიდევ შორეულ წარსულში დაუკავშირდა ერთმანეთს ეს ორი ცნება. სულ ცოტა, საუკუნეზე მეტხანს ისინი თანაარსებობდნენ როგორც სინონიმები და ურთიერთშემცვლელად გამოიყენებდნენ. მათ შორის განსხვავების პრობლემა იპყრობდა მოაზროვნეთა გონებას და წინააღმდეგობრივად აიხსნებოდა. განსხვავების ზუსტ გაგებასა და მიღებაზე გადასვლა, როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში, ნელა ხდებოდა. თავიდან ნეოგრალური ცნება Part (ნაწილი) აქტიურად გამოიყენებოდა „პარტიის“ ან პოლიტიკური ჯგუფის (Party) მნიშვნელობით. XVII საუკუნეში, მცირე პერიოდში მოხდა ორი ცნების სინონიმური დაახლოება, რის შემდეგაც ფრაქციის ნეგატიური აღქმა გადავიდა პარტიამე². აქედან გამომდინარე, ფრაქციული სისტემის დამკვიდრების გზა ია-ვარდით არ ყოფილა მოფე-

¹ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი X, 1991, გვ. 395.

² Зяблук Н. Г., Теория фракции Дж. Медисона, ж. США, 8-9, 1994, стр. 77.

ნილი. არცთუ იშვიათად ისინი განიხილებოდნენ კრიზისების მაპროვოცი-რებელ და საზოგადოების გამხლეჩ ძალებად. ასეთი დამოკიდებულება აშკარად იგრძნობოდა ინგლისის პოლიტიკურ ამროვნებაში. სახელმწიფო მოღვაწე და კუბლიცისტი ჯ ბოლონგროკი პარტიას თვლიდა პოლიტიკურ ბოროტებად, ხოლო ფრაქციას ყველაზე უარესად ყველა პარტიას შორის. ფრაქციები, მისი ამრით, საზოგადოებრივ ინტერესებს ყოველთვის უქემდე-ბარებდნენ პირად ან ჯგუფურ ინტერესებს. რადგან ყოველი მათგანი საკუ-თარ მიზნებს ისახავს, საერთო ინტერესი იწირება. მსგავსი მსჯელობა გვხვ-დება სხვა ავტორთა ნაშრომებშიც. ინგლისელი ფილოსოფოსი დ. იუმი წერ-და, რომ ფრაქციები ანგრევენ მთავრობას, უძლურს ხდიან კანონებს, წარმო-შობენ გააფთრებულ შუღლს სახელმწიფოში.

მეგად საინტერესოდ დაამუშავა „ფრაქციების თეორია“ მედისონმა. ხაზგასასმელია, რომ თანამედროვე ამერიკელი მეკლევრები დღესაც და-ვობენ იმაზე, ხედავდა თუ არა კონსტიტუციის ფილოსოფოსი განსხვავებას ფრაქციასა და პარტიას შორის. უნდა ვაღიაროთ, რომ მედისონი ამ ცნე-ბებით ზოგჯერ მართლაც სარგებლობს როგორც სინონიმებით, თუმცა განსხვავებაც ხშირად აშკარად იგრძნობა. როგორც ჯეფერსონის ფრაქცი-ის წევრი, მედისონი აქტიურად იცავდა ვირჯინიელი მესაკუთრეების ჯგუ-ფურ ინტერესებს, მაგრამ, ვინაიდან ამაღლდა „კონსტიტუციის მამის“ ხა-რისხამდე და მოვლენათა მიმდინარეობა ეროვნული მოღვაწის თვალით შეაფასა, ფრაქციების მოღვაწეობა სულ სხვა ჭრილში წარმოუდგა. ფრაქ-ციების ფენომენში მან დაინახა ეროვნული მასშტაბის ისეთი პრობლემა, რომელიც გადაჭრას მოითხოვდა და ამ დონეზე ჩანდა სახელმწიფოებრი-ვი ხელისუფლების ორგანოებში საზოგადოებრივი ინტერესების წარმო-მადგენლობისა და მათ საქმიანობაში ჯგუფური და საზოგადოებრივი ინ-ტერესების შეფარდების პრობლემა.

კონსტიტუციური კონვენტის პერიოდში, მომავალი სახელმწიფო მო-წყობის საკითხებზე მუშაობის დროს, მედისონმა ჯერ კიდევ 1787 წლის მარტ-აპრილში, მონახაზეში – „შევრთებული შტატების პოლიტიკური სისტემის ნაკლოვანებების შესახებ“ – პირველად ჩამოაყალიბა თავისი მოსაზრებანი ამ პრობლემის ხასიათსა და მისი გადაჭრის გზებზე, შემ-დგომ კი განაავთარა კონვენტში გამოსვლებისას, „შედეგალისტგში“ გამოქვეყნებულ სტატიებსა და სხვადასხვა წერილში. საბოლოოდ, მედისონმა ჩამოაყალიბა ფრაქციის შემდეგი განსაზღვრება: „ფრაქციაში მე ეგულისხმობ მოქალაქეთა გარკვეულ რიცხვს, რომლებიც შეიძლება შე-აღგენენ მთელის როგორც უმრავლესობას, ისე უმცირესობას, გაერთიანე-ბულნი და მოქმედებისადმი შთავონებულნი არიან რაიმე საერთო სურვი-ლებითა და ინტერესებით და ეწინააღმდეგებიან სხვა მოქალაქეთა უფლე-ბებს, მუდმივ და ზოგად ინტერესებს“¹. მედისონი საუბრობს ფრაქციების მანვ საქმიანობის შესაძლებლობაზე, ხედავს წინააღმდეგობის გაწევის

¹ Зяблюк Н.Г., Теория фракции Дж. Медисона, ж. США, 8-9, 1994, стр. 77.

² Федералист, Политические эссе А. Гамильтона, Дж Медисона и Дж. Меджони, М., 1994, стр. 79.

საშუალებებსაც და მათ აყალიბებს ორი ფორმით. მისი აზრით, „ფრაქციულობის მიზეზების მოსაიბა პრაქტიკულად წარმოუდგენელია, რადგან ფრაქციულობის ფარული მიზეზები ჩადებულია ადამიანის ბუნებაში“¹. იგი გულისხმობს ან თავისუფლების მოსაიბას, რომლის გარეშეც ფრაქციას არ შეუძლია არსებობა, ან ყველა მოქალაქისათვის ერთი და იმავე შეხედულებების, განცდების, ინტერესების მინიჭებას. რასაკვირველია, მედისონი ფრაქციებისაგან გასათავისუფლებლად პოლიტიკური ცხოვრებისათვის აუცილებელი თავისუფლების დაკარგვასაც მიზანშეუწონლად მიიჩნევს და ადამიანთა შეხედულებების, განცდების, ინტერესების თანხვედრაც შეუძლებლად მიაჩნია, რადგან გადაულახავია წინააღმდეგობები ადამიანის უნარსა და შესაძლებლობებში.

მედისონი მიდის იმ დასკვნამდე, რომ, რადგან ფრაქციების წარმოშობი მიზეზების მოცილება შეუძლებელია, გამოსავალი უნდა მოიძებნოს მისი მოქმედებების კონტროლის საშუალებებში. „ფედერალისტური ჩანაწერების“ ყველაზე გამორჩეულ და ორიგინალურ მე-10 ნარკვევში, სადაც მედისონი ეხება ორმხრივ პირობას, იგი ძირითად მნიშვნელობას ანიჭებს ფრაქციების წინააღმდეგობის დაძლევას და მათი კონტროლის საჭიროებას. აქვე ხაზი უნდა გაეუსვათ იმას, რომ მედისონს განსხვავებული დამოკიდებულება გააჩნია ამ მიმართულებით უმრავლესობისა და უმცირესობის ფრაქციისადმი. კერძოდ, უმცირესობა მას პრაქტიკულად არ ამინებს, ვინაიდან რეალურად უმრავლესობას აქვს შესაძლებლობა, ჩააგდოს მისი ცუდი შედეგის მომგანი ყოველგვარი განზრახვა. განსაკუთრებულ საფრთხეს მედისონი ხედავს უმრავლესობის ფრაქციაში, რადგან, მისი ღრმა რწმენით, „თუ ფრაქცია უმრავლესობას შეიცავს, მამინ სახალხო მმართველობის ფორმა მოწოდებულია, თავის ჭარბ ენებასა და ინტერესს შესწიროს როგორც საზოგადოებრივი სიკეთე, ისე სხვა მოქალაქეთა უფლებები“². როდესაც საუბრობენ მედისონის დამოკიდებულებაზე უმრავლესობის ფრაქციისადმი, ზოგი ამერიკელი მკვლევარიც კი ხედავს რაღაც „მარქსისტული ინტერპრეტაციის მსგავსს“³. უმრავლესობის ფრაქციის პირველი კონკრეტული ნიშნები მედისონმა ჩამოაყალიბა მონახაზებში „მეერთებული შტატების პოლიტიკური სისტემის ნაკლოვანებების შესახებ“, სადაც იგი ხაზს უსვამს, რომ ადამიანს, რომელიც მიიღგვის საკანონმდებლო საკრებულოსაკენ, ამოძრავებს სამი მოტივი: ამბიციია, პირადი ინტერესი, საზოგადოებისათვის სიკეთის მოგანის სურვილი. სამწუხაროდ, გამოცდილება ამტკიცებს, რომ ჭარბობს პირველი ორი მოტივი. გამოძინარე აქედან, კანდიდატები, რომლებიც ხელმძღვანელობენ ამ მოტივებით, იჩენენ ყველაზე მეტად მონდომებას და შესაბამისად წარმატებას აღწევენ თავიანთი მიზნებით. ამიტომ სწორედ ისინი გახდებიან საკანონმდებლო ორგანოს წევრები, ხშირად შეადგენენ უმრავლესობას და ვინაიდან გააჩნიათ თავიანთი ამომრჩეველების საწინააღმდეგო ინტერესები საერთო ინტერესებისადმი, პირველს სწირავენ უკანასკნელს. „უმ-

¹ რ. შრედერი, ნარკვევები ამერიკელი ხელისუფლების შესახებ, გვ. 40.

² Федералист, стр. 80.

³ Зяблук Н.Г., Тсория фракции Дж. Медисона, ж. США, 1994, №8-9, стр. 79.

რაელესობა, ვისგანაც არ უნდა შედეგობოდეს იგი, საბოლოო ჯამში იღებს კანონს. ამიგომ ყოველთვის, როცა აშკარა ინტერესი ან საერთო ენება აერთიანებს უმრავლესობას, რაღას შეუძლია შეაკაოს იგი უმცირესობის ან ცალკეული მოქალაქეების უფლებებისა და ინტერესების უსამართლო დარღვევისაგან¹, მედისონმა არა მხოლოდ დაინახა სამშრობა უმრავლესობის ფრაქციისაგან, არამედ შემოგვთავაზა კიდეც მათი სახიფათო საქმიანობისაგან მოქალაქეთა საზოგადოებრივი სიკეთისა და კერძო უფლებების დაცვის საშუალებები. იგი აცხადებს, რომ, პირველყოფლისა, თავიდან უნდა იქნეს აცილებული უმრავლესობაში საერთო ინტერესების ერთდროული არსებობა, ან, თუკი მაინც შეიქმნა, უმრავლესობას უნდა ჩამოერთვას შეთანხმებულად მოქმედების შესაძლებლობა.

ურაქციულობის დამლუქველი შედეგებისგან თავის დაღწევის საშუალებად მედისონმა დაასახელა ფედერაციული რესპუბლიკა, რომელსაც დიდი ტერიტორია და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების სათანადო სტრუქტურა გააჩნია. „რაზე იყო დამყარებული მედისონის ეს კონცეფცია?... პირველი – წარმომადგენლობით სისტემაზე, მეორე – გეოგრაფიულ, სოციალურ და პოლიტიკურ პლურალიზმზე, მესამე – კონსტიტუციურ პლურალიზმზე“². მედისონის რწმენით, დიდი რესპუბლიკა იძლევა მეტ შესაძლებლობას ღირსეული კანდიდატების შესარჩევად, რომლებიც, როცა გახდებიან ხალხის წარმომადგენლები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში, შეძლებენ, სწორად განსაზღვრონ ქვეყნის ჭეშმარიტი ინტერესები და ემსახურონ მათ მიღწევას, ვინაიდან ასეთი წარმომადგენლების სიბრძნე, პატივითი და სამართლიანობის სიყვარული არ აძლევს მათ ნებას, ურაქციულობის ინტერესების, ადგილობრივი ცრუ ვრძნობებისა და ყოველგვარი ინტრიგების სასარგებლოდ უგულვებელყონ ეს ინტერესები³. თუმცა ეგონსტურ ჯგუფურ ინტერესებზე მაღლა დგომის უნარის მქონე ღირსეული სახელმწიფო მოღვაწეების არსებობა მხოლოდ ნაწილობრივ ამცირებს ურაქციული საქმიანობის მანერ დანახარჯებს, მაგრამ არ წყვეტს „უმრავლესობის ფრაქციის“ პრობლემას, ვინაიდან არ წარმოადგენს არც საკმარის კედელს მისი წარმოქმნის გზაზე და ამ აზრით, კიდე უფრო მნიშვნელოვანია რესპუბლიკის გეოგრაფიული და სახალხო საფუძვლის გაერთიანება, როგორც ეს მოხდებოდა კონსტიტუციით შემოთავაზებული ეროვნული მმართველობის შემთხვევაში. ის წერდა: ყოველ წარმომადგენელს დიდ რესპუბლიკაში უფრო დიდი ჯგუფი ირჩევს, ვიდრე პატარა რესპუბლიკაში, ამდენად უფრო გართულდება უღირსი კანდიდატების მიერ არაპატიოსანი ხერხის გამოარჯევა, როგორც ეს ხშირად ხდება არჩევნებში. „ურაქციულობის ლიდერების გავლენით შეიძლება მოგვარე მტაგში ალი აინთოს, მაგრამ ის ვერ გადაიმრდება დიდ ხანძარში, რომელიც სხვა მტაგებსაც მოედება“⁴.

ურაქციუების თეორიის ღერძი არის მედისონისეული პლურალიზმის პოსტულატი – რაც უფრო მეტია, მით უკეთესია. აქ ხაზი ესმება პლურა-

¹ Зяблюк Н.Г., Тсория фракции Дж. Медисона, ж. США, 1994, №8-9, в. 82
² იქვე. ვ. 84
³ რ. მრედერი, ნარკვევები ამერიკული ხელისუფლების შესახებ, ვ. 41.
⁴ Федералист, стр. 83.

ლიზმის პრინციპის მნიშვნელობას, როგორც ინდივიდუალური მრავალფეროვნებისა და თავისუფლების დამამტკიცებელ საბუთს, მაგრამ კიდევ უფრო მეტად წინააღმდეგობრივი სურვილებისა და ინტერესების გამანეიტრალებელს, მოგადად რომ ეთქვათ, რაც უფრო მეტი მრავალფეროვნებაა, მით უფრო ნაკლებია შანსები ერთიგვაროვნების წარმოსაქმნელად, რაც უფრო მეტია სოციალური ჯგუფები, ინტერესები, ფრაქციები, მით უკეთესია, ვინაიდან აქტიურ ურთიერთობაში, ურთიერთდაპირისპირებაში უფრო ეფექტურად მოახდენენ ურთიერთგაწონასწორებას, ურთიერთგაკონტროლებას და ურთიერთგანეიტრალებას, რითაც შეამცირებენ უმრავლესობაში საერთო ინტერესების ერთდროულ აღმოცენებას და მის ყოვლისშემძლე ფრაქციად ჩამოყალიბების შესაძლებლობას. და ბოლოს, თუ გეოსოპოლიტიკური პლურალიზმი რაიმეს გამო ვერ მოერია თავის ამოცანას, „უმრავლესობის ფრაქცია“ მაინც ჩამოყალიბდა და მას დაეუფლა საზოგადოებრივი ინტერესების საწინააღმდეგო ინტერესი, რეალიზაციას ხელს შეუშლის კონსტიტუციური პლურალიზმი – სახელმწიფო მოწყობის პლურალისტური სისტემა. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზებადი სტრუქტურების ღონეზე გადაყვანილი ფრაქციების მრავალფეროვნების პოსტულატი სპეციფიკურად გარდაიქმნა შეკავებისა და გაწონასწორების კონცეფციის შემადგენელ ნაწილად და დაემატა ხელისუფლების დანაწილების პრინციპს.

გემოაღნიშნული პრობლემები ხელს უშლიდა ფრაქციული სისტემის დამკვიდრებას საპარლამენტო მექანიზმში. მოქმედი პოლიტიკური პარტიებისა და იმ ჯგუფების სტატუსი, რომლებიც პარლამენტის მიზნით წარმოადგენენ პარტიების გამოსატყულებებს, ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ შეესაბამებოდა იმ მნიშვნელოვან როლს, რომელსაც ეს ორგანიზაციები ასრულებდნენ სახელმწიფოებრივ მექანიზმში. „ჯგუფებად გაერთიანების იდეას, პირველ რიგში, იწვევს ადამიანის ბუნებრივი მისწრაფება, ურთიერთობა დაამყაროს მასთან, ვინც იზიარებს მის შეხედულებებს“¹. ამდენად, იმ პირობებშიც კი, როცა კანონმდებლობა და საპარლამენტო ცხოვრების პროცედურის წესები მათ იგნორირებას ახდენენ, პოლიტიკური ჯგუფები თანდათან იკავებდნენ სასურველ ადგილს საპარლამენტო პრაქტიკაში. შემდგომში სახელმწიფოებრივი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ბუნებრივი შედეგი იყო ფრაქციების სტატუსის შემდგომი აღიარება და განმტკიცება საპარლამენტო მექანიზმში. მთელი რიგი ქვეყნების კონსტიტუციური განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი სწორედ პოლიტიკური სისტემის ინტენსიური სტრუქტურიზაცია აღმოჩნდა, რომელიც, პირველ ყოვლისა, გამოიხატა სხვადასხვა პოლიტიკური გაერთიანების – პოლიტიკურ ძალთა ბლოკების, პარტიების, დეპუტატთა ფრაქციების – დამკვიდრებით და მათი ბრძოლით ახალი სახელმწიფოს მშენებლობისთვის. „სწორედ პოლიტიკური პროცესის ლოგიკამ განაპირობა საპარლამენტო ჯგუფების შექმნა მათ ოფიციალურ აღიარე-

¹ Зяблюк И.Г., Теория фракции Дж. Медисона, ж. США, 1994, №8-9, стр. 85.

² Амеллер М., Парламенты, М., 1967, стр. 178.

ბამდე¹: პოლიტიკური ჯგუფების შექმნისა და განვითარების შედეგი იყო პროპორციული წარმომადგენლობის სისტემის დამკვიდრება საკანონმდებლო დაწესებულებებში, რომლებიც პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობის, შეკავებისა და წონასწორობის მნიშვნელოვან გარანტიად ითვლება, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იშვიათად საპარლამენტო ჯგუფების არსებობისადმი უარყოფითი დამოკიდებულება კელაე შეიმჩნევა. ასეთ შემთხვევაში თეორეტიკოსები თვლიან, რომ მმართველობის წარმომადგენლობითი სისტემა არ გოვებს ადგილს პოლიტიკური ჯგუფებისთვის, რამდენადაც ყოველი დეპუტატი ერს წარმოადგენს ერთ მთლიანობაში და არა მის ნაწილს. თუ მან მონაწილეობა უნდა მიიღოს ერის ნების გამოვლენაში, ეს უნდა გააკეთოს მხოლოდ ცალკეული პიროვნების ხარისხში, საკუთარ გამოხვედრებსა და კენჭისყრაში მან უნდა განასორციელოს მხოლოდ პირადი არჩევანი². ისეთ დემოკრატიულ სახელმწიფოებშიც კი, როგორცაა: ბელგია, ისლანდია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, ფინეთი..., საკმაოდ ნელა განმტკიცდა საპარლამენტო ფრაქციების სტაგუსი. რამდენადაც პოლიტიკური ჯგუფები განუყრელად არიან დაკავშირებული სახელმწიფოს პოლიტიკური რეჟიმის ბუნებასთან და განვითარების თავისებურებებთან, ქვეყნებში, რომლებიც ცნობენ მხოლოდ ერთ პარტიას, არაა საფუძველი მათი ჩამოყალიბებისთვის. ასეთ შემთხვევაში ზოგჯერ გეხდება ჯგუფები რეგიონული ან პროფესიული პრინციპით. მსგავს სახელმწიფოთა კლასიკურ ნიმუშად, ბუნებრივია, გამოგვადგება ყოფილი სოციალისტური სახელმწიფოები, სადაც ერთპარტიულობის პირობებში საპარლამენტო ფრაქციათა არსებობა გამოირიცხული იყო. მრავალ განვითარებად ქვეყანაში ასევე პარლამენტის ყველა დეპუტატი წარსულში უნდა ყოფილიყო მმართველი პარტიის წევრი და ფრაქციების საკითხი მათთან არც კი წარმოშობილა (მოზამბიკი, კონგო, განზანია), ჩინეთში დამუშავებული იყო რამდენიმე მცირე მოცულობის პარტიის არსებობა. პარტიული ფრაქციები, მითუმეტეს ერთპარტიულ პარლამენტში, არ იყო, ისევე როგორც არ არსებობს დღესაც, არის მხოლოდ გერიტორიული ერთეულების გაერთიანება. გოგალიტარული სოციალიზმის ქვეყნებში, რომლებსაც მრავალპარტიული სისტემა გააჩნდათ, პარტიული ფრაქციები მოქმედებდნენ, მაგრამ ხელმძღვანელი პარტიის არსებობის პირობებში პარლამენტის საქმიანობაში მნიშვნელოვან როლს არ ასრულებდნენ (გდრ, ბულგარეთი, პოლონეთი).

როდესაც საუბარია საპარლამენტო ფრაქციების როლის ზრდის საერთო ტენდენციაზე, არ შეიძლება ხაზი არ გავუსვათ იმ ფაქტს, რომ სახელმწიფომცოდნეობის დოქტრინა სეამს კითხვას – უნდა შეფასდეს აღნიშნული დადებით თუ უარყოფით მოვლენად. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, პასუხი დამოკიდებულია იმაზე, რა უნდა ჩაითვალოს საპარლამენტო საქმიანობაში პრიორიტეტულად – კონკრეტული პირების მოქმედება, რომელიც გამოწვეულია საკუთარი სინდისის კარნახით, თუ ორგანიზებული

¹ კ. კვერენჩხილაძე, თ. მეღვამე, საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა, თბ., 1997, გვ. 100.

² Сравнительное конституционно право, отв. В.Е. Чиркин. М., Машукилит. стр. 551.

და დისციპლინებული მოქმედება, რომელიც განსაზღვრულია პარტიული კურსით. ვფიქრობთ, აღნიშნული საკითხი სადავო არ უნდა იყოს, ვინაიდან „მიჩნეულია, რომ პოლიტიკური ჯგუფები, პარლამენტის ცალკეული წევრებისაგან განსხვავებით, უკეთ არიან ორგანიზებულნი თავიანთი ძირითადი ამოცანის შესასრულებლად“². დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, პარტიულ ჯგუფებს, რომლებიც, როგორც წესი, ჩამოყალიბებული პოლიტიკური კურსის მქონე ორგანიზებული, მეთანხმებული სტრუქტურული ერთეულებია, გააჩნიათ მყარი პოზიცია ყველა განსხვავებულ საკითხზე, რომელიც ხშირად ამრთა შეჯერების, მწვავე დისკუსიის შემდგომი კონსენსუსის შედეგია, საკითხის ობიექტური და ეუბექტური გადაწყვეტის მეტ გარანტიას იძლევიან, ვიდრე ცალკეული პარლამენტის წევრები, მათ მიერ წარმოჩენილი ინდივიდუალური პოზიციით. ამდენად, არ შეიძლება, საპარლამენტო ფრაქციების როლის ზრდის ტენდენცია უარყოფით მოვლენად ჩაითვალოს. გამონაკლისი, რასაკვირველია, შეიძლება არსებობდეს ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე.

არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს საპარლამენტო ფრაქციების სტატუსთან დაკავშირებით საპარლამენტო მექანიზმში. პროფ. ო. მელქაძე სამს უსვამს, რომ, „მართალია, ისინი (ფრაქციები) საპარლამენტო სტრუქტურის ელემენტს არ წარმოადგენენ, მაგრამ მნიშვნელოვან შემოქმედებას ახდენენ არა მხოლოდ მათ ფორმირებაზე, არამედ საერთოდ, პარლამენტის საქმიანობაზე“³. ვ. კლიანი, ვ. ცეე თვლიან, რომ „ფრაქციები პარლამენტის არსებით ნაწილს შეადგენენ, მაგრამ პარლამენტის სამუშაო ორგანოებს არ წარმოადგენენ“⁴. განსხვავებული ამრისაა ა. ანგონოვი. იგი მიიჩნევს, რომ „საპარლამენტო ჯგუფები კონსტიტუციაში განისიძლება როგორც პარლამენტის ერთ-ერთი სტრუქტურული დანაყოფი“⁵, ი. ლეიბოც პარტიულ ფრაქციებს პარლამენტის შინაგანი სტრუქტურის მნიშვნელოვან ელემენტებად მოიხსენიებს⁶. ვ. ჩირკინი საპარლამენტო ფრაქციებს არა მხოლოდ მიაკუთვნებს საკანონმდებლო კრების შიდა ორგანოებს, არამედ უმნიშვნელოვანეს სამუშაო ორგანოდაც თვლის⁷. ე.ი. დისკუსია შეეხება საკითხს, მიეკუთვნება თუ არა იგი პარლამენტის სამუშაო ორგანოთა რიცხვს. მსგავსად დასახელებული რიგი ავტორებისა, მიგვაჩნია, რომ საპარლამენტო ფრაქცია არ ჩაითვლება პარლამენტის სამუშაო ორგანოდ, მაგრამ წარმოადგენს მათი შექმნის საფუძველსა და ფუნქციონირების აუცილებელ პირობას. ფრაქცია პარლამენტის განუყოფელი, არსებითი ნაწილია და ხელს უწყობს მისი კონსტიტუციური უფლებამოსილებების განხორციელებას.

¹ Амелер М., Парламенты, М., 1967, стр. 178-179. Сравнительное конституционное право, отв. ред. Чиркин В.М., Манускрипт, 1996, стр. 557.

² ო. მელქაძე, საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი, თბ., 1996, გვ. 29.

³ ი ქ ე ე . გვ. 124.

⁴ Й. Изензее, П. Киррхоф, Государственное право Германии, М., 1992, стр. 190.

⁵ Парламенты мира, сб. М., Интерпракс, 1991, стр.256.

⁶ ი ქ ე ე . გვ. 460.

⁷ Чиркин В.Е., Элементы сравнительного государственстведения, М., 1994, стр. 80.

დღესდღეობით საპარლამენტო ფრაქციების არსებობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული საპარლამენტო დემოკრატიის განვითარება და ფუნქციონირება. დეკუგატა დაყოფა ფრაქციებად – ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია დემოკრატიული ქვეყნების პარლამენტების სტრუქტურებისა. პ. ავრილისა და ე. ჟიკოლის აზრით, ისინი წარმოადგენენ საპარლამენტო ცხოვრების ძირითად რგოლს, ე. ლაპორტი და მ. გულარი მათ განიხილავენ XX ასწლეულის ყველაზე მნიშვნელოვან საპარლამენტო ორგანოებად¹. ო. მელქაძე ხაზს უსვამს, რომ „პარლამენტის წევრთა ფრაქციებში გაერთიანება, გარდა იმისა, რომ მათ აძლევს... უფლებების მიკუთვნების საშუალებას, უქმნის შესაბამის სამუშაო და მატერიალურ პირობებს, აგრეთვე ხელს უწყობს პარლამენტში არსებულ პოლიტიკურ ძალთა გაერთიანებას, მრავალპარტიული სისტემის სრულყოფასა და ბალანსირებას². ა. ოსველიუკი ფრაქციების როლს წარმოუდგენლად ღიდად მიიჩნევს და თელის, რომ მათ გარეშე და გვერდის ავლით პარლამენტარებს არ შეუძლიათ თავიანთი ყველაზე არსებითი უფლებების რეალიზაცია³. ფრაქციები განსაზღვრავენ საპარლამენტო საქმიანობის საფუძველს, სახეს, რომელიც აირეკლება საზოგადოების თვალში. ქვეყანათა დიდ ნაწილში ისინი არა მარტო საპარლამენტო საქმიანობის, არამედ სახელმწიფოს მთელი პოლიტიკური სისტემის აქტიურ სუბიექტებს წარმოადგენენ. ისინი უშუალოდ მონაწილეობენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ფორმირებაში, წარმოადგენენ საკანონმდებლო დაწესებულებების სასიცოცხლო ძალას და ხშირად გადამწყვეტ გავლენას ახდენენ მათი გადაწყვეტილებების მიღებაზე.

¹ Керимов А.Д. Парламентские группы в национальном собрании современной фракции, Государство и право, 1993, №12, стр. 120.

² ო. მელქაძე, საუბრები ქართულ კონსტიტუციაზე, თბ., 1996, გვ. 98.

³ Конституционное (государственное) право зарубежных стран, отв. ред. Б.А. Страшун, т.2, М., 1996, стр.475.

საჯარო ადმინისტრაციული მმართველობა და სახელმწიფო სამსახურის ინსტიტუტები

(შედარებითი კვლევა დასახლეთის ქვეყნების მაგალითზე)

საჯარო ადმინისტრაციული მმართველობა მეცნიერების ერთ-ერთი ახალი მიმართულებაა დასახლეთის ქვეყნებში. ბოლო პერიოდში რუს მეცნიერთა გარკვეული ჯგუფიც დაინტერესდა აღნიშნული საკითხით, ეინაიდან პოლიტიკურ სისტემაში პროფესიულ მოხელეთა კვალიფიციური მომზადების პრობლემა წარმოიშვა. დასახლეთის ქვეყნებიდან კი ამ პრობლემასთან უფრო მეტად დაინტერესდნენ დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და გერმანიის სახელმწიფო სტრუქტურები.

საჯარო ადმინისტრაციული მმართველობის თეორია ერთ-ერთი ახალგაზრდა და შინაარსიანი თეორიაა საჯარო მმართველობის სფეროში და მან გარკვეული ადგილი დაიკავა რუსეთის, აშშ-ისა და დასახლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში. რაც შეეხება საქართველოს, სახელმწიფო სამსახურის თავისებურებებს, განსაზღვრავს 1997 წლის 31 ოქტომბრის კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, საჯარო ადმინისტრაციული მმართველობის თეორიაში კი საქართველოში ჯერაც ვერ პოვა სათანადო განვითარება, იგი მხოლოდ ნაწილობრივ აისახა დასახლეთულ კანონში. საჯარო ადმინისტრაციული მმართველობის თეორია ერთ-ერთ პერსპექტიულ და მნიშვნელოვან მიმართულებად გვევლინება თანამედროვე პოლიტიკურ აზროვნებაში. დიდი ხნის განმავლობაში იგი საერთო პოლიტიკური ტრადიციების საფუძველზე ვითარდებოდა. XIX საუკუნის ბოლოს კი დაიწყო გამოყოფა მეცნიერული კვლევის დამოუკიდებელ დარგად.

ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში არისტოტელე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მეცნიერებას სახელმწიფო მმართველობის შესახებ. მისი აზრით, მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება თავსდებოდა პოლიტიკური ცხოვრების ფარგლებში. იგი აღნიშნავდა: „მეცნიერება სახელმწიფოს შესახებ იყენებს სხვა მეცნიერებებსაც და განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა იმოქმედო და რომელი ქმედებებისაგან შეიკავო თავი. ამდენად, მისი მიზანი შეიცავს სხვა მეცნიერების მიზნებსაც. ეს მიზანი იქნება უმაღლესი კეთილდღეობა ადამიანებისათვის“¹.

¹ Аристотель, Политика, Соч., т. 4, с. 321.

იურიდიულ ლიგერატურაში პოლიტიკური მეცნიერების დასაწყისად მიიჩნევენ გერმანიაში XIX საუკუნის I ნახევარში აღმოცენებულ სამართლის სკოლას, რომელმაც მიზნად დაისახა სახელმწიფოს შესწავლა. აშშ-ში კოლუმბიის კოლეჯის საბჭომ ჯ. ბარჯესის ინიციატივით მიიღო გადაწყვეტილება პოლიტიკური მეცნიერების სკოლის შექმნის შესახებ.

დასაუღესის ქვეყნებსა და რუსეთში აღინიშნება მნიშვნელოვანი ცვლილებები აღმინისტრაციული სახელმწიფო აპარატის მმართველობაში. მმართველობის სტრუქტურის ყველა რგოლში ხდება შრომის სისტემური განაწილება. ამის შედეგად სახელმწიფოში იქმნება დაწესებულება და ვალდებულებათა იერარქია, ქვედა რგოლი ექვემდებარება ზედას, მოხელეები კი სახელმწიფოს მეთაურს, რომელიც „ძალაუფლების პირამიდის“ სათავეში იმყოფება. სახელმწიფო სამსახურში ცვლილებები მიმდინარეობდა წლების განმავლობაში. დასაუღეს ევროპაში ეს პროცესი დაიწყო XV-XVI საუკუნეში, რუსეთსა და ამერიკაში უფრო მოგვიანებით, XVIII საუკუნეში.

საჯარო აღმინისტრაციული მმართველობა გულისხმობს აღმინისტრაციული ფორმებისა და მეთოდების გამოყენებას ისეთ საჯარო სტრუქტურებში, რომლებიც სახელმწიფო აპარატსა და მის გარეთ არსებულ პოლიტიკურ ორგანიზაციებს წარმოადგენენ. აღსანიშნავია, რომ პირველად გერმინი „public administrative menegement“ (საჯარო აღმინისტრაციული მმართველობა) გამოყენებულ იქნა აშშ-ში რესპუბლიკელთა პარტიის პროგრამაში 1986 წელს. რუსულ ლიგერატურაში ამ გერმინს არასწორად უწოდებენ „აღმინისტრაციულ-სახელმწიფო მმართველობას“, ვინაიდან ეს ინსტიტუტი სცილდება სახელმწიფო მმართველობის ფარგლებს. მე-20 საუკუნის 20-იან წლებში აშშ-ში შეიქმნა კერძო ორგანიზაციების ქსელი – მუნიციპალური გამოკვლევების ბიურო, რომელიც ფინანსდებოდა სპეციალური ფონდების მიერ. ამ ბიუროებმა დაიწყეს საჯარო აღმინისტრაციული მმართველობის წესებისა და პროცედურების შემუშავება. იყენებდნენ სოციალური მეცნიერების უკანასკნელ მიღწევებს. პირველი მეცნიერი, რომელმაც სახელმწიფო ბიუროკრატის სისტემატიზებული ანალიზი მოგეცა, იყო გერმანელი სოციოლოგი მარკ ვებერი. მისი კლასიკური გამოკვლევა „მეურნეობა და სამოგადოება“ (1921) გეაძლევს ამოსაყვად წერტილს თანამედროვე მმართველობის შესასწავლად¹.

მ. ვებერის, ე. ვილსონისა და ფ. გუდნაუს იდეებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საჯარო აღმინისტრაციული მმართველობის თეორიის განვითარებაზე დასაუღესის ქვეყნებში. ამ მეცნიერებს ხშირად უწოდებენ „წინამორბედთა თაობას“. მათ ნაშრომებში შემუშავებულია საჯარო აღმინისტრაციული მმართველობის თეორიის ორი ფუძემდებლური იდეა: 1) მმართველობის აპარატის რეფორმისათვის საჭიროა მათი კარგად ცოდნა და მეცნიერული თვალსაზრისით შესწავლა; 2) საჯარო აღმინისტრაციული მმართველობის აპარატი უნდა გამოიყოს პოლიტიკის სფეროდან². დღეი-

¹ Вебер М., Политика как призвание и профессия, Избр. произведения, М., 1990, с. 665.

² Василенко И.А., Административно-государственное управление в странах Запада, М., 2000, с. 16.

სათვის იურიდიულ ლიგერატურაში გამოყოფენ მმართველობის რამდენიმე ისტორიულად ჩამოყალიბებულ სკოლას და მიმართულებას. მათ შორის წამყვანებია: ამერიკული, ინგლისური, ფრანგული და გერმანული.

ფედერალური ტიპის ევროპის ქვეყნებს შორის საჯარო ადმინისტრაციული მმართველობა ყველაზე გაელენიანია გერმანიაში. თანამედროვე გერმანიისათვის დამახასიათებელია პოლიტიკური და ადმინისტრაციული სფეროების ურთიერთშერწყმა, რაც გამოიხატა კანონში სახელმწიფო სამსახურის შესახებ, რომლის თანახმადაც, მოხელეებს უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკური პარტიების მოღვაწეობაში და შეიქმნან საპარლამენტო კარიერა. მოხელეები, რომლებიც კანდიდატად დასახელდებიან ბუნდესტაგის არჩევნებში, სარგებლობენ უფლებით, აიღონ ორთვიანი შევსება საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად. ამასთან, ისინი ინარჩუნებენ პენსიის მიღების უფლებას სახელმწიფო სამსახურისათვის. ევროპის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და აშშ), სახელმწიფო მოხელის კარიერა არ არის ალტერნატიული პოლიტიკური კარიერა, პირიქით, იგი წინაპირობაა წარმატებული პოლიტიკური მოღვაწეობისათვის¹.

საინტერესოა, რომ გერმანიაში დღეს არ არსებობს ცნება „სახელმწიფო სამსახური“. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გაჩნდა ტერმინი „საჯარო სამსახური“ და ეს ცნება შევიდა გერმანული პოლიტოლოგიის ლექსიკონში. ცნება „საჯარო სამსახური“ მოიცავს პირთა სამ კატეგორიას: მოხელეებს, მოსამსახურეებსა და მუშაკებს. მათი დანიშნის სამართლებრივი ფორმა მათი ვასხვავების კრიტერიუმია: მოხელეებისათვის დანიშნის აქტი გამოიყენა განსაზღვრული წესით კომპეტენტური ძალების მიერ; მოსამსახურეებისა და მუშებისათვის საკმარისია მხარეების მიერ მოლაპარაკება სამსახურის დაწყების შესახებ.

ძირითადი ნორმატიული აქტი, რომელიც არეგულირებს მოხელეთა საქმიანობას, არის „მოხელეთა შესახებ ფედერალური კანონი“ 1971 წლის რედაქციით. ამ კანონის თანახმად, მოხელეებად ცნობილნი არიან შემდეგი პირები: სახელმწიფო აპარატის მოხელეები, მოსამართლეები, სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგები, სამხედრო მოსამსახურეები, ფოსტის მუშაკები და სხვა. ტაბელი რანგების შესახებ ითვალისწინებს 16 ჯგუფის მოხელეებს: 1-5 დაბალი ჩინი (დამხმარე ტექნიკური), 6-9 – საშუალო ჩინი (სამთავრობო მდივნები), 14-16 II საფეხურის უმაღლესი ჩინები (უმაღლესი სამთავრობო მრჩეველები).

რამდენადმე განსხვავებული მნიშვნელობა აქვს გერმანიაში არსებულ საპატიო მოხელეთა ინსტიტუტს. საპატიო მოხელე შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს სამოქალაქო პროფესია, მათ ნიშნავენ საპატიო თანამდებობაზე ანაზღაურების გარეშე და აქვთ უფლება, განაცხადონ პრეტენზია განსაკუთრებულ სოციალურ უზრუნველყოფაზე. ასეთებს მიეკუთვნებიან მსაჯულები და არჩევითი კონსულეები.

¹ Василенко И.А., Административно-государственное управление в странах Запада, М., 2000, с. 129.

სამსახურის განვითარების სისტემა მეცხრად არის რეგლამენტირებული კანონებით. იგი დაფუძნებულია ორ პრინციპზე: კვალიფიკაციის ამაღლება (რაც დასტურდება ან სპეციალური შემოწმებით და შესაბამისი შეფასებით, ან სპეციალური გამოცდის ჩაბარებით) და საფეხურებიანი განვითარების პრინციპი (არ შეიძლება „გადაახტვ“ მომღვენო საფეხურს). ამ ორი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ ფედერალური კომისიის სპეციალური ნებართვით. ვფიქრობთ, ორივე წესი საქართველოს კანონმდებლობით ღებალურად უნდა იქნეს მოწესრიგებული და შემდგომ კი პრაქტიკაში დაყული.

გერმანიაში მოხელის საქმიანობის კონტროლის ძირითადი ფორმაა ადმინისტრაციული იუსტიცია. მისი სტრუქტურა მოიცავს სამ ინსტანციას. პირველი ინსტანციის სასამართლოები იქმნება, როგორც წესი, მიწების დიდ ქალაქებში, სადაც საქმეს ისმენს სასამართლო კოლეგია, რომელიც შედგება სამი პროფესიონალი მოსამართლისა და ორი მსაჯულისაგან; მეორე ინსტანციაა მიწების და მათთან გათანაბრებული ქალაქების უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოები (სულ 16) ისინი შედგებიან განსაზღვრული რაოდენობის პალატებისაგან, ორი მოსამართლისა და ორი მსაჯულისაგან; მესამე უმაღლეს ინსტანციას წარმოადგენს ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლო, რომელიც შედგება სენატისაგან. ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს ყველა სასამართლო აირჩევა პროფესიონალი მოსამართლეებისაგან სპეციალური კომისიის მიერ, რომელსაც თავმჯდომარეობს შინაგან საქმეთა ფედერალური მინისტრი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში საჯარო ადმინისტრაციული მმართველობის ცენტრალიზაციის პროცესი არათანაბრად ვითარდებოდა. აშშ-ის კონსტიტუციის ტექსტში აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს პრეზიდენტი, რომელიც ანაწილებს უფლებამოსილებებს მის მიერვე შექმნილ აღმასრულებელ დაწესებულებათა შორის. კონსტიტუციის მეათე შესწორებაში აღნიშნულია, რომ „უფლებამოსილება, რომელიც კონსტიტუციით მინიჭებული არა აქვს აშშ-ს და რომლითაც სარგებლობა არ ეკრძალებათ შტატებს, უნარჩუნდება შტატებს ან ხალხს“¹.

ამერიკელი ჩინოვნიკების საქმიანობა რეგულირდება კანონით სახელმწიფო სამსახურის შესახებ. 70-იანი წლების ბოლოს ქვეყანაში გატარდა რეფორმა სამოქალაქო სამსახურთან დაკავშირებით. კანონი სამოქალაქო სამსახურის შესახებ შემუშავდა კარტერის ადმინისტრაციის მიერ და 1978 წელს მიიღო კონგრესმა².

აშშ-ში სამოქალაქო სამსახური იყოფა ორ ნაწილად: საკონკურსო და გამონაკლისი. სახელწოდება „საკონკურსო“ გულისხმობს იმას, რომ ამ სამსახურში მოსახვედრად პირმა უნდა გაიაროს საკონკურსო გამოცდები. სახელმწიფო სამსახურების 90 პროცენტზე მეტი ამ სისტემით იქმნება.

¹ Бергман В., Право и система государственной службы в Германии, Проблемы теории и практики управления, 1992, №5, с. 87-88.

² Statistical abstract of the Unauited States, w. 1995.

„გამონაკლის“ სამსახურს მიეკუთვნება სახელმწიფო დეპარტამენტი, აშშ-ის წარმომადგენლობა საერთაშორისო ორგანიზაციებში.

აშშ-ში ასევე არსებობს პატრონაჟის სისტემა. ეს იმას ნიშნავს, რომ პირი შეიძლება დაინიშნოს მაღალ ადმინისტრაციულ თანამდებობაზე პოლიტიკური დამსახურების გამო. დღესდღეობით მაღალი თანამდებობების 50 პროცენტის შევსება „პატრონაჟის“ სისტემით ხდება.

მოხელეთა უმრავლესობის დაწინაურება ხდება გამოცდების შედეგების მიხედვით. თუმცა ამგვარი გამოცდები გარდება მორიგი თანამდებობის დაკავებისას, უფრო მნიშვნელოვანია მოხელეთა მოღვაწეობის პერიოდული შეფასება. 1979 წლამდე საჯარო მოსამსახურის მუშაობის შეფასების სამი კრიტერიუმი არსებობდა: ფრიადი, დამაკმაყოფილებელი და არადაამაკმაყოფილებელი. დღესდღეობით თითოეულ უწყებას აქვს შეფასების საკუთარი სისტემა. თუ დარღვევის გამო მოხელეს ემუქრება თანამდებობრივი დაქვეითება, ხელმძღვანელმა წინასწარ უნდა აცნობოს ამის შესახებ წერილობითი ფორმით. თუ ერთი წლის განმავლობაში მოხელე გამოასწორებს არსებულ ნაკლოვანებას, საყვედური მოეხსნება.

კანონის დარღვევისათვის მოხელე შეიძლება ჩამოაცილონ სამსახურს 30 დღით უხელფასოდ, ხოლო პოლიტიკური მიზეზით შეიძლება გადააყენონ დაკავებული თანამდებობიდან.

აშშ-ში არ არის ადმინისტრაციული სასამართლოების სისტემა, როგორც ეს საფრანგეთსა და გერმანიასა. მათ ფუნქციებს ასრულებს ღირსების დაცვის სისტემათა საბჭო, რომლის ძირითადი ფუნქციაა მოხელეთა დაცვა საკადრო მოქმედებათა ბოროტად გამოყენებისაგან. საბჭოსთან მჭიდროდ არის დაკავშირებული სპეციალური საბჭოს სამსახური.

აშშ-ში არსებული ეთიკური კოდექსის თანახმად: ყველა სახელმწიფო მოხელე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: დაიცვან კონსტიტუცია, კანონები, დადგენილებები და არ დაარღვიონ ისინი; მოქმედონ და გამოიყენონ ეკონომიკური და ეფექტური საშუალებები სამუშაოს შესასრულებლად; არ გამოიყენონ სამუშაოს შესრულების დროს მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია; მოსპონ კორუფცია; შეასრულონ ეს და სხვა მოთხოვნები იმ რწმენით, რომ საჯარო სამსახური არის ნდობა¹.

ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნებოდა, საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში შესულიყო ცვლილება და შემოგველო ერთიანი ეთიკური კოდექსი საჯარო მოხელეთათვის.

საფრანგეთში, სხვა დასავლეთეუროპული ქვეყნებისაგან განსხვავებით, ადრე მოხდა სახელმწიფო აპარატისა და სამოქალაქო საზოგადოების განცალკევება, წარმოიქმნა ბიუროკრატია, XVIII საუკუნის შუა წლებში მოხდა ადმინისტრაციულ-სახელმწიფოებრივი მმართველობის ცენტრალიზაცია.

დღეისათვის საფრანგეთში მოქმედი კანონმდებლობა სახელმწიფო სამსახურის შესახებ არის რეფორმის შედეგი, რომელიც გატარდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, კერძოდ, 1972 და 1983 წლებში, საფრანგეთში არ-

¹ Тарасова Н.И., Государственные работники США, М., 1992, с. 121-122.

სებობს ცნება „მოხელეთა კლასი“. სულ 4 კლასია: A, B, C და D. A კლასს ეკისრება გადაწყვეტილებებისა და მითითებების შემუშავება და შეადგენს მოხელეთა 20%-ს; B კლასს ეკისრება ამ დადგენილებების რეალიზაცია, მასში შედის მოხელეთა 40%; C კლასი დაკავებულია სპეციალიზებული შესრულებით – 32%; D კლასში შედიან ტექნიკური მუშაკები.

საფრანგეთის მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, პირი არ შეიძლება დაინიშნოს სამოქალაქო სამსახურში, თუ: 1) არა აქვს საფრანგეთის მოქალაქეობა; 2) არა აქვს სამოქალაქო უფლებები და არ აკმაყოფილებს მორალურ მოთხოვნებს; 3) არღვევს სამსახურის კანონმდებლობას.

საფრანგეთში არსებობს კონკურსის ორი ტიპი: გარეგანი და შინაგანი. გარეგან კონკურსებზე ხდება ახალი მოხელეების შერჩევა, შინაგანი კონკურსი ტარდება იერარქიულ კიბეებზე გადასაადგილებლად¹.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთი არის პირველი ქვეყანა, რომელმაც განამტკიცა ადმინისტრაციული იუსტიციის სისტემა.

დიდ ბრიტანეთში (ისევე როგორც აშშ-ში) XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე არ არსებობდა პროფესიონალური სამოქალაქო სამსახური. სამინისტროები, რომელთა სამუშაო შემადგენლობაში შედიოდნენ კლერკები, საკმაოდ ადრე ჩამოყალიბდა, კერძოდ კი XVIII საუკუნის II ნახევარში. ინგლისში 1850-1870 წლებში გატარდა რეფორმა, რომელმაც განაპირობა მუდმივი, პროფესიონალური სამსახურის შექმნა.

სამოქალაქო სამსახურის რეორგანიზაციის მიზნით 1971 წელს გატარდა რეფორმა, რომლის პირველ ეტაპზე შეიქმნა ჩინოვნიკების სამი ძირითადი ჯგუფი. პირველ ჯგუფს შეადგენდნენ უფროსი პოლიტიკური და ადმინისტრაციული ხელმძღვანელები; მეორე ჯგუფი ადმინისტრაციულია. იგი შეიცავს ორ საფეხურს – ადმინისტრატორის და უფროსის მოვალეობის შემსრულებელს; მესამე ჯგუფი აერთიანებს მეცნიერ-პროფესიონალ მუშაკებს და ტექნიკურ სპეციალისტებს.

2000 წლის მონაცემებით, დიდ ბრიტანეთში არსებობს 25%-მდე სახელმწიფო მოხელე – მათ შორის არიან: სამართლის, ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის სპეციალისტები: ასეთ სპეციალისტთა რიცხვი დღითიდღე იზრდება. ისინი შეადგენენ სახელმწიფო აპარატის ხელმძღვანელების 60%-ს. მაგალითად, პროფესიონალი ეკონომისტების რაოდენობა სახელმწიფო აპარატში 1963 წლიდან 1980 წლამდე გაიზარდა 20-ჯერ – 19-დან 400 პირამდე².

ისტორიულად ინგლისში ჩამოყალიბდა საჯარო ადმინისტრაციული მმართველობის სისტემაზე კონტროლის 4 ძირითადი ფორმა: საპარლამენტო, სასამართლო, ადმინისტრაციული გრიბუნალების სისტემა და საპარლამენტო უმრავლესობის ინსტიტუტი.

¹ იხ., აგრეთვე, Schwaltz B., Wade II, Legal control of Government. Administrative Law in Britain and the Unaiid States, Oxford, 1972.

² Василенко Н.А., Административно- государственное управление в странах Запада, М., 2000, с. 179-182.

ამრიგად, თუ გადავხედავთ აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის საჯარო ადმინისტრაციულ მმართველობას და, კერძოდ, ამ ქვეყნების სახელმწიფო სამსახურის სისტემას, დაერწმუნდებით, რომ ყველა ქვეყანაში განსხვავებული სისტემაა. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს სახელმწიფო სამსახურის სისტემა, რომელიც მოწესრიგებულია საქართველოს 1997 წლის 31 ოქტომბრის კანონით „საჯარო სამსახურის შესახებ“, საერთო დემოკრატიულ პრინციპებზეა აგებული და გულისხმობს სახელმწიფო სამსახურის გაელას მოქალაქეთა სპეციალური შეზღუდვებისა და დისკრიმინაციის გარეშე².

¹ ვალერი ლორია, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 2000, გვ. 206-209.

² საქართველოს 1997 წლის 31 ოქტომბრის კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, – პარლამენტის უწყებანი, №55, 21. 11. 1997 წ.

სამოქალაქო საზოგადოების სამართლებრივი საფუძვლები

მსოფლიო რეფორმების სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება-განვითარების პროცესს.

სამოქალაქო საზოგადოება – ეს არის ღია, დემოკრატიული, ანტიკორუპციული, თვითგანვითარებადი საზოგადოება, რომელშიც ცენტრალური ადგილი უკავია ადამიანს. სამოქალაქო საზოგადოების უმთავრესი ღირებულებებია: საკუთრება, თავისუფლება და კანონიერება.

მინდა აქვე აღენიშნო, რომ სამართლებრივი საზოგადოების იდეა აისახა რუსეთის 1993 წლის კონსტიტუციაშიც. სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში უმთავრესი ყურადღება ეთმობა საზოგადოების ინტერესების დაცვას. რუსეთის კონსტიტუციაში ჩამოყალიბებულია სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის სამი კომპონენტი: ჰუმანიტარულ-სამართლებრივი (ადამიანისა და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები); ნორმატიულ-სამართლებრივი (სამართლებრივი კანონების უზენაესობა) და ინტიტუციონალურ-სამართლებრივი (ხელისუფლების დანაწილებისა და ურთიერთდამოკიდებულების სისტემა)¹.

მინდა აღენიშნო, რომ აქ მეტად მნიშვნელოვანია სამართლებრივი სახელმწიფოს ნორმატიულ-სამართლებრივი კომპონენტი, ანუ საკითხი სამართლებრივი კანონების უზენაესობის შესახებ.

ზოგადად სამართლებრივია სახელმწიფო, სადაც უზრუნველყოფილია კანონის უზენაესობა, მაგრამ არსებობს უსამართლო ანუ არასამართლებრივი გზით მიღებული კანონები, რომელთა უზენაესობაც ვერ იქნება გარანტი სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობისა; ვფიქრობთ, სწორედ ეს აზრი გაითვალისწინა რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობამ, როდესაც სამართლებრივი საზოგადოების ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტად კონსტიტუციაში მიიჩნია არა უბრალოდ კანონის უზენაესობა, არამედ სამართლებრივი კანონის უზენაესობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობისას საკმარისი არ არის მხოლოდ კანონის უზენაესობის აღიარება. აუცილებელია ხაზი გაესვას სამართლებრივი კანონების უზე-

¹ Мухаев Р.Т., Тсория государства и права, М., 2001.

ნავსობას და, ამასთანავე, ქვეყანაში უნდა შეიქმნას შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც შექმნის მაკონტროლებელ სამართლებრივ ძალას, რაც ხელს შეუწყობს სამართლებრივი კანონების განხორციელებას ქვეყანაში.

დიდი ფილოსოფოსი ესქილე აღნიშნავდა: „თუ ძალა და სამართალი შეკავშირდა, რა იქნება ამა ქვეყნად ამ კავშირზე დიადი და უძლეველი?...“

სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში სწორედ სამართლიან ძალაზე დაყრდნობა არის გარანტი სამართლებრივი კანონების ჩამოყალიბებისა; სამართლებრივი კანონების უზენაესობა კი არის გარანტი სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობისა, ორივე ერთად – გარანტი სამოქალაქო საზოგადოების ნორმალური და პერსპექტიული განვითარებისა.

დღევანდელ საქართველოში, როგორც ვიცით, ხშირია კანონდარღვევები, ამიტომ სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება აქ უფრო რთული პროცესია; საჭიროა კონსტიტუციურ კანონმდებლობაში გამოიხატოს სამართლებრივი საზოგადოების ნორმატიული კომპონენტი, ანუ სამართლებრივი კანონის უზენაესობა; საჭიროა შეიქმნას ისეთი მექანიზმი, რომელიც აღვეს ყოველგვარ უსამართლობას, კანონდარღვევას და დააკანონებს სამართლიანი ძალის მეშვეობით სამართლებრივი კანონების უზენაესობას და მათ განუხრელ შესრულებას, ამით კი გზას გაუკვლევს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას.

ყურადღება გასამახვილებელია სამოქალაქო საზოგადოების კვლევის ოთხ ეტაპზე: პირველ, კონსტატაციის ეტაპზე, გადმოცემულია სამოქალაქო საზოგადოების თეორიულ-სამართლებრივი ანალიზის მეთოდოლოგია; მეორე, ექსპერიმენტულ-პირობითი ეტაპი ნებას გვაძლევს, განვახორციელოთ სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების სახელშეკრულებო თეორიების შეერთება პიროვნების სამართლებრივი სტატუსის განმსაზღვრელ პრაქტიკასთან საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში; მესამე, ანალიტიკურ-განმამოგადებელ ეტაპზე ხდება სამოქალაქო საზოგადოების მიღწევების სამართლებრივი საფუძვლების განვითარების, სამართლებრივი სახელმწიფო ორგანოების მოქმედებათა თანმიმდევრობისა და პრიორიტეტულობის ანალიზი; მეოთხე, დასკვნითი ანუ შემაჯამებელ-განმამოგადებელი ეტაპი მოიცავს მეცნიერული მიღწევების ათვისებასა და სამართლებრივ გამოყენებას.

სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში, კანონის განკარგულებაში – „იყავი პირი და პატივი ეცი სხვებს, როგორც პირებს“ – ჯერ კიდევ არ არის ლაპარაკი უმუალოდ პიროვნების, ადამიანის პატივისცემაზე, არამედ მხოლოდ პირის, ადამიანში მესაკუთრის უფლებების

¹ Стигниц Дж. Экономика государственного сектора, М., 1997.

² Мухаев Р.Т., Теория государства и права, М., 2001.

³ Стигниц Дж. Тодаро М., Мир накануне XXI века. Куда идет человечество. Ж. «Народное право», 1993.

პატივისცემა იგულისხმება. სამოქალაქო საზოგადოების უმთავრესი კრიტერიუმი ხომ სწორედ საკუთრებაა¹.

მაგალითად, აშშ-ში სტაგისტიკური მონაცემებით, დაახლოებით მოქალაქეთა 10%-ს ქონდა სურვილი, ყოფილიყვნენ დაქირაებული მუშაკები კარგად უზრუნველყოფილი ხელფასით.² მაგრამ საკუთრება, როგორც სოციალური ინსტიტუტი, ყოველთვის რჩებოდა და რჩება მთავარ ფასეულობად, „ხელშეუხებლად“. ეს არ იმშნავს იმას, რომ განურჩევლად ყველა ადამიანი გახდეს მესაკუთრე, ძალიან ბევრს ეს უბრალოდ არც კი სურს, მაგრამ მესაკუთრედ გახდომის შესაძლებლობა ყოველთვის უნდა არსებობდეს ქვეყანაში და მითუმეტეს სამოქალაქო საზოგადოებაში; გზა საკუთრებისაკენ ყოველთვის და ყველასათვის ღია უნდა იყოს. პიროვნების თავისუფლებისა და მთელი საზოგადოების მთავარ მიღწევად საკუთრება გამოდის. იქ, სადაც არ არის საკუთრების პატივისცემა, არ არის პიროვნების პატივისცემაც. სწორედ ამიტომ აუცილებელია, მესაკუთრეთა კლასის ფორმირება მოხდეს არა კრიმინალური გზით, არამედ ნორმალური, ცივილიზებული განვითარების პროცესში არაკრიმინალური გზით.

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე საინტერესოა აშშ-ის ერთ-ერთი უდიდესი მომგებიანი კორპორაციის IBM-ის პრინციპები; აქ სამი ძირითადი პრინციპიდან პირველი და ყველაზე მთავარია პიროვნების პატივისცემა. ინგლისური ფილიალის წლიურ ანგარიშში ნათქვამია, რომ სწორედ ამ პრინციპის დაცვა „ყველაზე მეტად განსაზღვრავს ჩვენს მუდმივ წარმატებას“. IBM-ის თვალსაზრისით, დასაქმების გარანტია არის კომპანიის მთავარი მორალური მოვალეობა. IBM-ის მართვის სისტემა, რითაც იქმნება სამოქალაქო საზოგადოება, ეს არის „კონტროლირებადი ანარქია“, სადაც არსებითია არა პირის, როგორც მესაკუთრის, პრინციპი პიროვნებაში, არამედ პიროვნების პრინციპები, სადაც პრიორიტეტად გამოდის არა ნივთი, არამედ ინტელექტი, როგორც ნივთი.³

მეტად საინტერესოა საკითხი სახელმწიფოს როლის შესახებ სამოქალაქო საზოგადოებაში. ჩემი აზრით, იურისტთა გარკვეული ნაწილის მტკიცება სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობის სფეროში სახელმწიფო ხელისუფლების სრული იგნორირების შესახებ მიუღებლად მიმამჩნია, რადგან სწორედ სახელმწიფო ხელისუფლებამ უნდა შექმნას ის სამართლებრივი კანონი, რომელიც ხელს შეუწყობს სრულფასოვანი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას (ამ აზრს ამტკიცებს მაგუმოვიც).

სამოქალაქო საზოგადოების ფარგლებში სახელმწიფომ უნდა შეასრულოს „მედამხედველის“, „ღამის გუშაგის“ როლი საზოგადოებასთან მიმართებით. სახელმწიფო სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობაში არ უნდა ჩაერიოს არასამართლებრივი, არაკანონიერი გზით. სწორედ კა-

¹ Шахназаров О.В., Частная собственность: тихая революция ж. «Международная жизнь», 1989, №6.

² Грейсон Дж. (младший). Американский менеджмент на прогрессе XXI века, М., 1990.

³ Мерсер Д., ТВМ: Управление в самой преуспевающей корпорации мира, М., 1991.

ნონით უნდა იყოს აკრძალული სახელმწიფო ხელისუფლების მოქმედება, რაც არასამართლებრივად მიიჩნევა საზოგადოების მხრიდან. სახელმწიფოს განცალკევება საზოგადოებისაგან, რა თქმა უნდა, მიუღებელია.¹

მუსხავეის აზრით, სწორედ სახელმწიფოა საზოგადოების ორგანიზაციული ფორმა. ამ საკითხთან დაკავშირებით მარქსი აღნიშნავდა: „სახელმწიფომ უნდა განამტკიცოს სამოქალაქო საზოგადოება და არა პირიქით, სამოქალაქო საზოგადოებამ განამტკიცოს სახელმწიფო“.²

სამართლებრივ სახელმწიფოში სამოქალაქო საზოგადოება ამართლებს თავის დასახელებას არა იმით, თუ რა ქმნის მოქალაქეებს, არამედ იმით, თუ რა უფლებებს აძლევს სახელმწიფო მოქალაქეებს.

ამრიგად, სამოქალაქო საზოგადოება – ეს არის თავისუფალი, დემოკრატიული, სამართლებრივი, ცივილიზებული საზოგადოება, სადაც არ არის პირადი ძალაუფლების რეჟიმი, ტოტალიტარიზმი, ხალხის წამება. აქ უმაღლეს დონეზეა აყვანილი კანონი და მორალი, ჰუმანიზმისა და პატიოსნების პრინციპები.

სამართლებრივი რეფორმები მოწოდებულია მიზანმიმართული გარდაქმნებისაკენ, რომლის შედეგაც არის ახალი სამართლებრივი სისტემის თანდათან ფორმირება და არსებული სამართლებრივი სისტემის ახალი თვისებებითა და ძირითადი ნიშნებით წარმოჩენა. სამართლებრივი რეფორმა, რომელიც ხორციელდება საქართველოში, ხასიათდება როგორც ეტაპობრივი პროცესი, მიმართული საზოგადოებრივი ურთიერთობების ცალკეული ასპექტების გამოსწორებისაკენ, სოციალურ სისტემაში დაძაბულობის გაჩენის, ხელისუფლებისა და მართვის გარკვეული პრობლემების დროული გადაწყვეტისაკენ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სისტემაში კრიზისის გამრდის აღკვეთისაკენ.

აქვე, გამომდინარე იმ ვითარებიდან, რომ ყოველი უფლება, ნებისმიერი სამართლებრივი სისტემა შესაბამის მოცემულ სამოქალაქო საზოგადოებაში დაფუძნებულია ადამიანზე, მის შესაძლებლობებსა და უფლებებზე, რომლებიც ორიენტირებულია პოზიტიურ საზოგადოებრივ აზრში ადამიანის „სახეზე“, მეცნიერებაში ჩამოყალიბებულია ფილოსოფიურ-სამართლებრივი კატეგორია – „ნორმირებული სახე ადამიანისა“⁴, რომელიც გულისხმობს სოციალურ-სამართლებრივ ღირებულებებს, ადამიანური თვისებების კომპლექსებს, და რომლებიც საზოგადოებაში ითვლება „აუცილებელ მომენტებად“.

ვფიქრობთ, ბოლო წლებში სამოქალაქო საზოგადოების პრობლემების მეცნიერული დამუშავება იმდენად გაფართოვდა, რომ უმაღლეს სასწავლებლებში შეიძლება ცალკე დარგად გამოიყოს სპეცკურსის სახით „სამოქალაქო საზოგადოება: სამართლებრივი თეორია და პრაქტიკა“.

¹ Четверин В.А., Демократическое конституционное государство: введение в теорию, М., 1991.

² Мухаев Р.Т., Теория государства и права, М., 2001.

³ Нерсесянц В.С., Право и закон, М., 1991.

⁴ Стигниц Дж., Экономика государственного сектора, М., 1997.

საეკურსის შემადგენელი ნაწილია სამართლებრივი რეფორმის პრობლემატიკა. სამართლებრივი რეფორმა კი ვარაუდობს იმას, რომ თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოება უნდა ეფუძნებოდეს სამართლებრივ პრინციპთა სისტემას, რომლებიც როგორც საზოგადოების, ასევე სახელმწიფოს ორგანიზაციის წყაროა. ასეთ პრინციპებს შეიძლება მივაკუთვნოთ:

ა) სამოქალაქო საზოგადოების ისტორიული განვითარება და მისი თანამედროვე ინტეგრირება;

ბ) ძველი ტრადიციების დამოკიდებულება სამოქალაქო საზოგადოების მიმართ და მათი პრაქტიკული შედეგი;

გ) სამართლისა და კანონის რაციონალური ურთიერთკავშირი;

დ) ადამიანის თავისუფლებისა და მოქალაქის რეალიზაციის თვითმარეგულირებელი მექანიზმის სამართლებრივი დაკავშირება;

ე) სამართლი, როგორც სოციალური ინსტიტუტი;

ვ) სამოქალაქო საზოგადოება, როგორც სტრუქტურალიზაციის ფაქტორი.

ეს რეფორმა მიმართული იქნება თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების სამართლებრივი საფუძვლების გამყარებაზე.

სამოქალაქო საზოგადოების სამართლებრივი მშენებლობის უმთავრესი მაჩვენებელი რეფორმების პერიოდში არის სამოქალაქო საზოგადოების კონსტიტუციური, კანონმდებლური ჩამოყალიბება და განვითარება.

სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება ჩვენს ქვეყანაში ხანგრძლივი დროის ამოცანაა, რომლის „ამოხსნაც“ უამრავ ფაქტორზეა დამოკიდებული, მაგრამ მიუხედავად ჩვენი ქვეყნის დღევანდელი რთული ეკონომიკური მდგომარეობისა, ფართო და მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელება მიგვანიშნებს სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების შესაძლებლობაზე.

ამდენად, საქართველოში მიმდინარე განახლების პროცესების სირთულე და მასშტაბურობა მოითხოვს სამართლებრივი მნიშვნელობის მეცნიერული პარადიგმების შეცვლას; მკვლევართა ყურადღების გადატანა კანონმდებლობის მიღებაზე, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების სამართლებრივი არსის, მისი ნორმატიული თავისებურების მექანიზმების შესწავლაზე ხელს შეუწყობს იმ სოციალური პროცესის გამოვლენას, რომელიც საჭიროებს სამართლებრივ მართვას საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით.

სწორედ სამოქალაქო საზოგადოება უნდა ვახდეს საქართველოს რეფორმების ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი და მაჩვენებელი, რომლებიც დაახასიათებენ ჩვენს ქვეყანას როგორც უფრო მაღალ, ზოგადსაკაცობრიულ ფასეულობას, ვიდრე უბრალოდ სამართლებრივ სახელმწიფოს.

ამრიგად, სამართლის ჩამოყალიბების, მისი პოტენციალის გახსნის ყველაზე მაღალი საფეხური არის არა უბრალოდ სამართლებრივი სახელმწიფო, არამედ მისი განვითარება, ვაგრძელება – სამოქალაქო საზოგადოება, რომელშიც მკვიდრდება სამართლიანი კანონის უზენაესობა.

სასამართლო პრეცედენტი ინგლისში

პრეცედენტული სამართალი მეტად გაერცელებული და მნიშვნელოვანი სამართლის წყაროა. უკეთ რომ გაეიგოთ მისი რაობა და მნიშვნელობა, უპრიანია, თავდაპირველად განვიხილოთ წარმოშობის ისტორია.

სასამართლო პრეცედენტს იცნობდნენ ჯერ კიდევ მონათმფლობელურ ეპოქაში. იგი ძველი რომის სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო იყო. როგორც ს. ალექსეევი აღნიშნავს, რომის სამართალი „პირველადი ფორმით ატარებდა პრეცედენტულ ხასიათს და ... წარმოადგენდა „მოსამართლეთა სამართალს“¹, თუმცა პრეცედენტული სამართლის (საერთო სამართლის) სამშობლოდ მაინც ინგლისი გვევლინება, სადაც XI ს-დან ის ყალიბდებოდა და ვითარდებოდა ავტონომიურად, რომის სამართალთან კავშირის გარეშე². მიუხედავად იმისა, რომ იგი გავრცელდა სხვადასხვა ქვეყანაში და მრავალი თავისებურება შეიძინა ყოველი კონკრეტული სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემაში ინტეგრაციის შემდეგ, მაინც რჩება ინგლისურ ფენომენად მთელი თავისი არსით.

საერთო სამართალი (common law) მეფის სასამართლოების მიერ იქმნებოდა ადგილობრივ ჩვეულებათა საპირისპიროდ და სამართლის წყარო იყო მთელი ინგლისის მასშტაბით. XIV ს-ში, მას შემდეგ, რაც განსაკუთრებული აღმშენებელი განიცადა (XIII ს.), საერთო სამართალი აღმოჩნდა კონკურენტი სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბების საფრთხის წინაშე, რომელსაც მისი შეცვლაც კი შეეძლო³. ლაპარაკია „სამართლიანობის სამართალზე“ (Law of Equity), როდესაც მეფის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით უკმაყოფილო პირები სამართლიანობის აღსადგენად მეფეს მიმართავენ. ასე ჩამოყალიბდა ლორდ-კანცლერის სასამართლო, რომელიც, მწიფობის კანონების თანახმად, მეფისა და მისი საბჭოს სახელით

¹ С.С.Алексеев. Право: азбука-теория – философия: Опыт комплексного исследования, М., 1999, с. 43.

² აღსანიშნავია, რომ XVII ს-ში, გიულორთა დინასტიის მეფობის დროს, სამოქალაქო ურთიერთობათა სფეროში ლორდ-კანცლერის სასამართლო აქტიურად იყენებდა რომის სამართალს (იხ.: Руне Давид, Основные правовые системы современности, пер. с фр. и вступ. ст. В.А. Туманова, М., 1988, с. 273-274.

³ ი ქ ე . გვ. 271.

აღასრულებდა მართლმსაჯულებას¹, და რომლის საქმიანობისა და საერთო სამართლის დაკნინების შედეგადაც XVI ს-ში „ინგლისის სამართალი კინაღამ ევროპის კონტინენტის სამართლებრივი სისტემების ოჯახში მოხვდა“².

საერთო სამართალმა ეს კრიზისი გადალახა სამართლიანობის სამართალთან „შეთანხმების“ გზით. კვლავ მოქმედებდნენ საერთო სამართლისა და ლორდ-კანცლერის სასამართლოები, თუმცა ამ უკანასკნელს გარკვეულ დათმობებზე მოუწია წასვლა (მაგ., ამიერიდან ის განახორციელებდა იურისდიქციას სამართლიანობის სამართლის პრეცედენტებთან შესაბამისად, ხოლო საერთო სამართლის სასამართლოები დასაბუხვებად მიიჩნეოდნენ ლორდ-კანცლერის ჩარევას, თუ იგი ეუუძნებოდა პრეცედენტს), ეინანიდან საერთო სამართლის სასამართლოებს მხარს პარლამენტი უჭერდა.

ყოველივე აღნიშნულმა განაპირობა ინგლისური სამართლის დუალიზმი – საერთო სამართლის ნორმების პარალელურად სამართლიანობის სამართლის ნორმების არსებობა, რომელთაც დამატებები და შესწორებები შეაქვთ საერთო სამართლის ნორმებში და, მიუხედავად მათი შერწყმისა 1873 და 1875 წლებში მიღებული სასამართლოს მოწყობის შესახებ აქტების საფუძველზე (რაც ფორმალურ ხასიათს აგარებდა)³, ეს დაყოფა ფაქტობრივად დღესაც ძირითადია ინგლისურ სამართალში. მოცემულმა აქტებმა მხოლოდ შემდეგი ცვლილება შეიტანეს არსებულ ვითარებაში: ამიერიდან საერთო სამართალსაც და სამართლიანობის სამართალსაც შეაფარდებდნენ ერთი და იგივე სასამართლო ინსტანციები, რითაც, თავის მხრივ: 1) საქმის საერთო სამართლისა თუ სამართლიანობის სამართლის სფეროსადმი მიკუთვნება განსაზღვრა ამ საქმის გარკვეული სამართლის დარგისადმი კუთვნილებამ, და, რაც მთავარია, 2) აღმოიფხვრა საერთო სამართალსა და სამართლიანობის სამართალს შორის პაექრობა.

* * *

პრეცედენტული სამართალი (case Law) როგორც ინგლისში, ასევე საერთო სამართლის ყველა სხვა ქვეყანაში ყალიბდება და ვითარდება მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოების საქმიანობის შედეგად, როდესაც სასამართლო ორგანო კონკრეტული საქმის გადაწყვეტისას ადგენს ზოგადი ხასიათის ქცევის წესს, რომელსაც სავალდებულო ძალა აქვს. ეს არის პრეცედენტი, რომლის საფუძველიც სასამართლო გადაწყვეტილებაა, ანუ არა მთლიანად გადაწყვეტილება, არამედ მხოლოდ მისი ნაწილი შეადგენს სასამართლო პრეცედენტს.

¹ მწეობის კანონებით ხელმძღვანელობა სულაც არ ნიშნავდა საერთო სამართლის სასამართლოების მიერ შექმნილი სამართლის იენორირებას. პირიქით, ლორდ-კანცლერი მას ყოველთვის პატივს სცემდა. მისი ჩარევა არასოდეს არ ითვალისწინებდა ახალი ნორმების შექმნას, რომელთაც მოსამართლეები მომავალში გამოიყენებდნენ.

² რენე დავიდი, დასახ. ნაშრ., გვ 274.

³ Правовые системы стран мира. Энциклопедический справочник (отв. ред. д.ю. н. проф. А.Я. Сухарев, 1-е изд. изм. и. доп. М., 2001, стр. 108.

საერთოდ სასამართლო გადაწყვეტილება შეიცავს კონკრეტული საქმის ანალიზს, მის ფაქტობრივ მხარეს, სამართლის ნორმის შინაარსს, რომლითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა გადაწყვეტილების გამოგანისას და დასკვნებს. პრეცედენტია სასამართლო გადაწყვეტილების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც გვევლინება როგორც გადაწყვეტილების „შეაგული“, „მოსამართლის სამართლებრივი პოზიციის არსი, პრინციპი, რომლის საფუძველზეც არის გამოგანილი გადაწყვეტილება“¹ – ratio desidendi. გარდა ამისა, სასამართლო გადაწყვეტილების შემადგენელი ნაწილია obiter dictum – გზად ნათქვამი – „განცხადება იმ საკითხზე, რომელიც არ არის გადაწყვეტილების საგანი“². მისი მნიშვნელობა შემოიფარგლება ამა თუ იმ პრინციპის დეკლარირებით და დამოკიდებულია მოსამართლის ავტორიტეტზე. თუ ratio desidendi უკვე თავისთავად არის პრეცედენტი, obiter dictum-ს შეუძლია ასეთად „გადაიქცეს“ მხოლოდ დამაჯერებლობის მაღალი ხარისხის მეშვეობით³.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სასამართლო გადაწყვეტილების ამ ნაწილების ერთმანეთისაგან გამოიჯენა საკმაოდ რთულია, ვინაიდან, როგორც ი. ბოვდანოვსკაია აღნიშნავს, „მათი გამოყოფის მეთოდოლოგია ბოლომდე არ არის შემუშავებული“⁴.

* * *

როგორც უკვე ვთქვით, პრეცედენტის სამშობლო არის ინგლისი და იგი გავრცელებულია როგორც სამართლის წამყვანი წყარო თითქმის ყველა ინგლისურენოვან ქვეყანაში იშვიათი გამონაკლისით. სწორედ აღნიშნული ქვეყნები წარმოადგენენ ანგლოსაქსურ (ანგლოამერიკულ) სამართლებრივ ოჯახს, სადაც განსაკუთრებულ როლს ასრულებს სასამართლო პრეცედენტი.

ინგლისის პრეცედენტული სამართლის⁵ სპეციფიკა ისაა, რომ აქ, განსხვავებით, მაგალითად აშშ-ისაგან, ე.წ. stare decisis (ამერიკულად star decisis) – პრეცედენტის წესი მოქმედებს შემდეგნაირად: გემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება ყოველი ქვემდგომი სასამართლოსათვის საეხლავებულოა: აგრეთვე, როგორც წესი, სასამართლოს გადაწყვეტილება საეხლავებულოა იმავე ინსტანციის სასამართლოებისათვის, და, ამასთანავე, სასამართლო შებოჭილია საკუთარი აღრეშილებული გადაწყვეტილებებით (აღნიშნული არ ეხება ლორდთა პალატას). მოქმედი წესი⁶ ინგლისში დამკვიდრდა XIX-ს-ის I ნახევარში, მანამდე კი, მართალია, ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ სასამართლო პრაქტიკის სტაბილურობა და შეთანხმებულობა, მაგრამ პრეცედენტის საეხლავებულობის აღიარების გარეშე.

¹ Теория государства и права. Учебник для юр. вузов и факультетов. Под ред. В.М. Корольского и В.Д. Перевалова, М., 1997, с. 288.

² ციტატა წინიდან: Богдановская И.Ю. Закон в английском праве, М., 1988, с. 102.

³ Теория государства и права. Под ред. проф. Г.Н. Манова. Учебник для вузов, М., 1996, с. 160.

⁴ ი. ბოვდანოვსკაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 103.

⁵ ინგლისის და არა „დიდი ბრიტანეთის“, ვინაიდან ინგლისური სამართალი მთელ სამეფოში არ მოქმედებს (იხ. Правовые системы стран мира. Энциклопедический справочник, с. 107.)

⁶ ლაპარაკია ე.წ. „მყარი პრეცედენტის“ პრინციპზე.

აღნიშნული წესი როგორც დადებით, ისე უარყოფით მომენტებს შეიცავს. პირველს უნდა მივაკუთვნოთ ზემოთ აღნიშნული სამართლის მთლიანობისა და სტაბილურობის დაცვა, მისი გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევა – გრადიციული სტრუქტურის შენარჩუნებით. უარყოფითი კი პირველ რიგში ის არის, რომ მითითებული პრინციპის საფუძველზე ინგლისში ძველი პრეცედენტების ავტორიტეტი კი არ ეცემა, პირიქით, მალდება¹, რაც არქაული ნორმების დაგროვებას უწყობს ხელს და, შეიძლება ითქვას, ხელოვნურად მრდის პრეცედენტთა საერთო რაოდენობას, რაც, თავის მხრივ, მათში ორიენტაციას საგრძნობლად ართულებს (თუ შეუძლებელს არ ხდის). გარდა ამისა, სასამართლოს საკუთარი თუ ზემდგომი სასამართლოების გადაწყვეტილებებით შებოჭილობა საგრძნობლად ბორკავს თავად მოსამართლეთა, როგორც სამართალმემკმნელთა, საქმიანობას². ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ სამართლის ნორმათა ძირითადი შემოქმედნი ინგლისში მოსამართლეები არიან, ძნელი წარმოსადგენი არ იქნება, როგორ შეუძლია აღნიშნულ წესს, შეაფერხოს ინგლისური სამართლის განვითარება.

ალბათ სწორედ ეს უკანასკნელი გაითვალისწინა სასამართლომ და 1944 წელს საქმეზე – „*Young v. Bristol Aeroplane Co. Ltd*“ – დაადგინა რამდენიმე გამონაკლისი³ *stare decisis* წესიდან, ანუ შემთხვევები, როდესაც სასამართლოს შეეძლო, უარი ეთქვა „მყარი პრეცედენტის“ პრინციპზე: 1. როდესაც სასამართლოს ორი გადაწყვეტილება ამკარად ეწინააღმდეგება ერთმანეთს (მოცემულ შემთხვევაში სასამართლო თავად წყვეტს, ამ ორი პრეცედენტიდან რომელი შეუფარდოს); 2. თუ გადაწყვეტილება ლორდთა პალატის გადაწყვეტილებით შემდგომში გადაისინჯება, ან თუ იგი, მართალია, პირდაპირ არ იყო უარყოფილი, მაგრამ, სასამართლოს ამრით, ლორდთა პალატის პრეცედენტს არ მიესადაგება; 3. თუ გადაწყვეტილება გამოტანილია დაუღვერობით. გარდა ამისა, აღინიშნა, რომ თუ არ არსებობს საჭირო პრეცედენტი, ან არასაკმარისია არსებული პრეცედენტების რაოდენობა, სასამართლოს შეუძლია განიხილოს საქმე ყოველგვარი „ბორკილების“ გარეშე⁴.

მითითებული გამონაკლისები შეეხებოდა სააპელაციო სასამართლოს, რომელსაც ახალი პრეცედენტების დადგენის ფართო შესაძლებლობა მიეცა. მაგრამ ლორდთა პალატამ, უკმაყოფილო იმით, რომ სააპელაციო სასამართლომ უარი თქვა თავის ერთ-ერთ ძველ გადაწყვეტილებაზე, 1977 წელს გააუქმა ამ სასამართლოს გადაწყვეტილება და აღნიშნა, რომ სააპელაციო

¹ საერთოდ, შეიძლება ითქვას, კონტინუიტივი ინგლისური სამართლის დამახასიათებელი თვისებაა (იხ. *Kiralf A,K, English legay sistem. L. 1954, p. 3; Jenks II. A short history of English Law. L. 1949, p.3-4*).

² *Ogwirike C. Concept of law in English speaking Afrika.N.Y., 1979, p. 65.*

³ გამონაკლისთა ტექნიკა ინგლისურ სამართალში ძირითადი ტექნიკური ხერხია, რომლითაც მიიღწევა სამართლის განვითარება (იხ. *Давид Р., Указ. соч., с. 331-332*).

⁴ იხ. *ბოგდანოვსკაია, დასახ ნაშრ., გვ 107. Gross R.Precedent in English law. Oxford, 1979, p. 140-141.*

სასამართლო ასე მოიქცა „დაუდევრობით“ (per inouriaim)¹. ამის შემდეგ სააპელაციო სასამართლო კვლავ დაქვემდებარა „მყარი პრეცედენტის“ პრინციპის მოქმედებას.

რასაკვირველია, აღნიშნული არ ნიშნავს, რომ „მყარი პრეცედენტის“ პოზიციები ინგლისში „ურყევია“. მართალია, ლორდთა პალატა ერთადერთი სასამართლოა, რომელსაც შეუძლია 1966 წლიდან² უარი თქვას თავის გადაწყვეტილებებზე, „როდესაც განსაკუთრებული მოსაზრებები მოითხოვენ ასე მოქცევას, მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე“³ და შექმნას ახალი პრეცედენტი, მაგრამ ის არსებობს და ეს უკვე ნიშნავს, რომ ინგლისში „მყარი პრეცედენტის“ პრინციპს ძირი შეერყა.

გარდა ამისა, ხაზი უნდა გაესვას, რომ საერთო სამართალი, როგორც სხვადასხვა წესების, დათქმების, ფიქციების რთული და წინააღმდეგობრივი კომპლექსი, ორმავე სტანდარტებს ქმნის, ანუ, ერთი მხრივ, ის მკაცრად მოითხოვს უკვე ჩამოყალიბებული პრეცედენტებისადმი „ერთგულებას“, ხოლო, მეორე მხრივ, ქმნის stare decisis პრინციპის „შენიღებულად“ გვერდის აელის შესაძლებლობას. მაგალითად, მოსამართლე მხოლოდ მაშინ იხელმძღვანელებს ძველი გადაწყვეტილებით, თუ „დაადგენს“ ანალოგიას იმ გადაწყვეტილებასა და განსახილველ საქმეს შორის. მაგრამ, ეინაიდან ყოველი ratio decidendi ემყარება არსებით ფაქტებს, ხოლო ორი აბსოლუტურად ერთნაირი საქმე თითქმის არ არსებობს, მოსამართლეს ეძლევა შესაძლებლობა, გამოაცხადოს, რომ პრეცედენტი და მოცემული საქმე არ ემთხვევა ერთმანეთს, რადგანაც საქმეში არის არსებითი ფაქტი, რომელიც არ არის მათთვის საერთო⁴. მაგრამ, თუკი მოსამართლე „დაადგენს“, რომ პრეცედენტს მავალეული ძალა აქვს, მან ის აუცილებლად უნდა შეუფარდოს, მიუხედავად იმისა, თელის თვითონ აღნიშნულს მიზანშეწონილად თუ არა⁵.

ვითარება არ იცვლება არც მაშინ, როდესაც ზემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებით ქვემდგომი სასამართლოს შეზღუდვების საკითხი დგება კონკრეტული საქმის განხილვისას. მართალია, ითვლება, რომ ქვემდგომმა სასამართლომ აუცილებლად უნდა იხელმძღვანელოს ზემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელშიც ფორმულირებულია საერთო სამართლის ნორმა ისეთსავე საკითხზე, როგორც ის, რომელიც ქვემდგომი სასამართლო განხილვის საგანია, მაგრამ რეალურად მხოლოდ მოსამართლეგა დამოკიდებული ზემდგომი სასამართლოს მრავალრიცხოვანი და, ხშირ შემთხვევაში წინააღმდეგობრივი, ნორმებიდან რომელს აირჩევს. „თითოეული

¹ რენე დავიდი, დასახ. ნაშრ., გვ. 320.

² ლორდთა პალატის გადაწყვეტილება, უარი თქვას თავის უწინდელ გადაწყვეტილებებზე. განმტკიცდა პარლამენტის 1966 წლის კანონით მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (იხ. Теория государства и права. Под ред. В.М. Корольского и В.Д. Перевалова, с. 514).

³ რენე დავიდი, დასახ. ნაშრ., გვ. 320.

⁴ Уолкер Р., Английская судебная система, М., 1980, с. 168-169.

⁵ იხ. Cross R., Op. cit., p. 54. Зив С.Л. Развитие формы права в современных империалистических государствах, М., 1960, с. 114.

გადაწყვეტილების მნიშვნელობა პრეცედენტის რანგში იცვლება... უთვალავე ფაქტორზე დამოკიდებულებით¹.

პრეცედენტის წესის შესახებ სრული წარმოდგენის მიღების მიზნით, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ პრეცედენტს ნებისმიერი სასამართლოს გადაწყვეტილება როდი უღევს საფუძვლად. მოცემულ საკითხთან მიმართებით უდიდესი მნიშვნელობა აქვს თავად სასამართლოთა იერარქიულ განლაგებას. მაგალითად, ინგლისში პრეცედენტები იქმნება მხოლოდ უმაღლესი სასამართლოების მიერ და ამ კატეგორიას მიკუთვნებული თითოეული სასამართლოს მიერ დადგენილი პრეცედენტის მოქმედების ფარგლები და სავალდებულო ძალა განისაზღვრება მათი ადგილით იერარქიაში: 1. ღორდთა პალატის მიერ დადგენილ პრეცედენტებს სავალდებულო ძალა აქვთ ყველა სასამართლოსათვის, ვინაიდან აღნიშნული სასამართლო ინსტანცია უმაღლესია მთელ გაერთიანებულ სამეფოში; 2. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ პრეცედენტებს სავალდებულო ძალა აქვთ ქვემდგომი სასამართლოებისათვის და თავად სააპელაციო სასამართლოსათვის (გამონაკლისის სისხლის სამართლის საქმეები წარმოადგენენ); 3. მაღალი სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს სავალდებულო პრეცედენტის ძალა აქვთ ქვემდგომი სასამართლოებისათვის, თავად მაღალი სასამართლოსათვის და გვირგვინის სასამართლოსათვის (თუმცა ამ უკანასკნელთათვის აბსოლუტურად სავალდებულო არ არის)².

მოცემულ სურათში თვალშისაცემი ცვლილებების შეგანის გარეშე და აღნიშნული წესების მნიშვნელობის შენარჩუნებით ხდება მათში არსებული გამონაკლისების ზრდა, ან იმ შემთხვევების უფრო ზუსტად განსაზღვრა, რომელთა მიმართაც ისინი გამოიყენებიან. „გამონაკლისი“ კი ინგლისური სამართლის ის საუცხოო მონაპოვარია, რომლის მეშვეობითაც სასამართლოს პრაქტიკის შეუცვლელად ხერხდება მისი განვითარება.

და ბოლოს, სწორედ პრეცედენტის წესი განსაზღვრავს სასამართლოს როლს სამართლის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. სასამართლო კონკრეტული საქმის განხილვისას გადაწყვეტილების გამოგანასთან ერთად „ქმნის სამართალს“ (ან „აყენებს მას“)³. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადგენს ქვეყის წესს და ანიჭებს მას სავალდებულო ძალას. სწორედ ამგვარ ქვეყის წესს წარმოადგენს ratio decidendi, რომელიც „აღება ინგლისურ სამართალში“, და რომელსაც ამის გამო იყავენ მომავალში. ამავე დროს, ინგლისური სამართლის სპეციფიკიდან გამომდინარე, ratio decidendi შეიძლება განიხილებოდეს როგორც სავალდებულო ან შემბოჭველ, ასევე დამაჯერებელ პრეცედენტად. და თუ, როგორც წესი, ის ყოველთვის სავალდებულოა, ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად, როდესაც ის ქვემდგომი სასამართლო გადაწყვეტილების ნაწილია და შემდგომ სასამართ-

¹ R.A. Leflar, The task of the appellate court "Notre Dame lawyer", 1958, p. 566.

² რენე დავიდი, დასახ. ნაშრ., გვ. 319.

³ თანამეგობრობის წევრ ქვეყანათა საქმეებზე პრეცედენტებს ქმნის საილუმო საბჭოს სასამართლო კომიტეტი.

⁴ პირველი ნიშნავს ახალი ნორმის გამოუმუშავებას, ხოლო მეორე – არსებულის გამოწერას ან განმარტებას (იხ. Теория права и государства, под. ред. Г.Н. Манова, с. 159).

ლოს სთავაზობენ მის გამოყენებას (კიდევ ერთი გამონაკლისი), ratio decidendi განიხილება როგორც დამაჯერებელი პრეცედენტი¹.

* * *

პრეცედენტული სამართალი იქმნებოდა კონკრეტული იურიდიული საქმეების გადაწყვეტის პროცესში მოსამართლეთა სამართალშემოქმედებითი საქმიანობის შედეგად, როდესაც საჭირო ნორმის არარსებობის შემთხვევაში მოსამართლე საქმეს წყვეტდა გონების² საფუძველზე და გამოქონდა გადაწყვეტილება, რომელიც მომავალში ანალოგიური ცხოვრებისეული შემთხვევების გადაწყვეტისას გამოიყენებოდა როგორც სავალდებულო. ამრიგად, სასამართლო პრეცედენტი არის ზოგადსავალდებულო ქცევის წესი, ნორმა, რაც იმას ნიშნავს, რომ მას „ზოგადნორმატიული ძალა აქვს“³. ეს დებულება, მიუხედავად დამაჯერებელი პრეცედენტების არსებობისა, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებულ მტკიცებას არ საჭიროებს, ვინაიდან პრეცედენტული სამართალი ყალიბდება მხოლოდ უმაღლესი სასამართლო ინსტანციების გადაწყვეტილებების საფუძველზე, ეს უკანასკნელნი კი ძირითადად „სავალდებულო პრეცედენტებს“ შეიცავენ.

მიუხედავად ამისა, სამართლებრივ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ სასამართლო პრეცედენტი არის სამართლის წყარო, რომელიც არ შეიკავს სამართლის ნორმას, „ვინაიდან ნორმა წესია და არა ინდივიდუალური გადაწყვეტილება“⁴. აღნიშნული პოზიციის განსამტკიცებლად მისი მომხრეები ახდენენ რენე დავიდის ციტირებას, თუმცა არამზუსტად.

ციტირება შემდეგნაირია: „რენე დავიდი თვლის, რომ ინგლისური Legal rule-ს თარგმნა სამართლის ნორმად არის მეტად მიახლოებითი და ამახინჯებს მის სწორ გაგებას“⁵, მაშინ, როდესაც რენე დავიდი წერს: „ინგლისური Legal rule-ს თარგმნა, როგორც სამართლის ნორმის, ამ პირობებში არის მეტად მიახლოებითი: ის დეფორმირებას ახდენს ინგლისური სამართლის ნორმის ნამდვილი გაგებისას“⁶. მოცემულ ციტატაში ხსენებულ „ამ პირობებში“ კი შემდეგს გულისხმობს: ინგლისური სამართლის ნორმები იქმნებიან მოსამართლეების მიერ, ისინი წარმოადგენენ სასამართლო გადაწყვეტილების ძირითად ნაწილს, ამრიგად, ინგლისური სამართლის ნორმა მჭიდროდ უკავშირდება კონკრეტულ საქმის გარემოებებს და გამოიყენება იმ საქმის ანალოგიური საქმეების გადასაწყვეტად, რომელზეც ეს გადაწყვეტილებაა გამოტანილი. ამისაგან განსხვავებით, კონტინენტურ ევროპაში სამართლის ნორმებს გამოიმუშაებენ დოქტრინის მეშვეობით, ან შექმნილია კანონმდებლის მიერ. სწორედ

¹ „ინგლისური სამართლისათვის დამახასიათებელია პრეცედენტების დაყოფა სავალდებულო ან შემოპყველად და დამაჯერებლად (persuasive authority)“ (იხ. მით. ნაშრ., გვ. 160).

² „საერთო სამართალი სხვა არაფერია, თუ არა გონი“ (Давид Р., მით. ნაშრ., გვ. 329).

³ ბ. სავანელი, სამართლის თეორია, თბ., 1993, გვ. 38.

⁴ Атаманова Э. Б. Иванова В.И., Теория государства и права: учебно-практическое пособие, М., 2000, с.131-133.

⁵ ე. ატამანოვა, ვ. ივანოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 132.

⁶ რენე დავიდი, მით. ნაშრ., გვ. 304.

ამიგომ ინგლისური სამართლის ნორმა უფრო კონკრეტული, კაზუალური და შეუძლია, დაუყოვნებლივ გადაწყვიტოს მოცემული საქმე, ხოლო რომანულ-გერმანული სამართლის ნორმა ზოგადი და აბსტრაქტულია და გათვლილია უამრავი, მათ შორის მოცემული საქმისაგან განსხვავებული, საქმეების გადასაწყვეტად. სწორედ ეს „პირობები“ ქმნიან განსხვავებას, რომელიც არსებობს რომანულ-გერმანული სამართლის ნორმასა და საერთო სამართლის ნორმას შორის.

ინგლისური სამართლის თავისებურებებიდან გამომდინარე, თავად საკანონმდებლო ნორმაც კი, მართალია, უფრო ზოგად ხასიათს ატარებს, ვიდრე პრეცედენტული სამართლის ნორმა, მაქსიმალურად კონკრეტულია¹. აღსანიშნავია ისიც, რომ ინგლისში ნებისმიერი ქვეყის წესი – ზოგადი თუ ინდივიდუალური ხასიათის – სამართლის ნორმას წარმოადგენს; ნორმატიული და ინდივიდუალური აქტები აქ ცალ-ცალკე არ მოიაზრება. „ინდივიდუალური აქტები ითვლებიან ნორმატიულად“² და ეს ბუნებრივია საერთო სამართლის ქვეყნებისათვის იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულმა ინდივიდუალურმა აქტმა შეიძლება სამართლის ნორმა წარმოშვას.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ *lex rule*-ს ინგლისური კონცეფცია, სწორედ იმიგომ, რომ საერთო სამართალი იქმნებოდა მოსამართლეების მიერ, გაცილებით უფრო ვიწროა, ვიდრე სამართლის ნორმის ის გაგება, რომელიც დამკვიდრდა „კანონმდებელთა სამართლის“ ქვეყნებში. ის მჭიდროდ უკავშირდება არა სამართლის ნორმათა „განმარტების ტექნიკას“, არამედ „განსხვავებათა ტექნიკას“³, რომელიც მდგომარეობს მოცემულ და წარსულში გადაწყვეტილ საქმეებს შორის განსხვავების გამოვლენასა და, უწინ მიღებული *lex rule*-დან გამომდინარე, ისეთი ნორმის მოძებნაში (თუნდაც ახალი ნორმის გამომუშავებაში), რომელიც მოცემულ საქმეს შეეფარდება⁴.

ამრიგად, ინგლისური სამართლის ნორმა⁵ ყველა იმ ზოგად მოთხოვნას პასუხობს, რაც წაეყენება იურიდიულ ნორმებს: 1. დადგენილია სახელმწიფო ორგანოს მიერ (მოცემულ შემთხვევაში უმაღლესი სასამართლო ინსტანციის მიერ); 2. სავალდებულო ძალა გააჩნია მომავალში ანალოგიური საქმეების განხილვისა და გადაწყვეტისას (მრავალჯერადი

¹ „ინგლისელები საერთოდ ამკობინებენ, არ ჩამოაყალიბონ... ზოგადი ხასიათის წესები, მათ აქვთ ფართო სამართლებრივი პრინციპების არგამოყენების პრეზუმუცია“ (იხ. Теория государства и права, под ред. В.М. Корельского и В.Д. Перевалова, с. 513).

² Christie G., Law, norms and authority, L, 1982, P.1.

³ რენე დავიდი, მით. ნაშრ., გვ. 305.

⁴ მოსამართლე „ამომებს“ კონკრეტულ შემთხვევას არა მზა ნორმას, არამედ სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე უწინ მომზადარ შემთხვევას, კაზუსს, ამოწმებს მათ მსგავსებას, რის შემდეგაც გამოაქვეყნებს დასკვნას პრეცედენტის განსახილველ საქმესთან შესაბამისობის ან შეუსაბამობის შესახებ (იხ. Теория государства и права под ред. В.М. Корельского и В.Д. Перевалова, с. 514.), ხოლო აქ უგანასკნელ შემთხვევაში ადგენს ახალ ნაშრომს.

⁵ ინგლისური მეცნიერები და პრაქტიკოსები მას თავისი საპეციფიკრობის გამო სხვადასხვა ტერმინით აღნიშნავენ: ერთნი command-ს (ბრძანება) უწოდებენ, მეორენი legal rule-ს („სამართლებრივი წესი“), მესამენი კი norm-ს (ნორმა).

გამოყენებისა); 3. მათი დაცვა დარღვევის შემთხვევაში „უზრუნველყოფილია შესაბამისი სასამართლო განაჩენის თუ გადაწყვეტილების შეცვლის ან გაუქმების გზით“¹; 4. აღგენს საზოგადოებრივი ურთიერთობების მონაწილეთა უფლებებსა და მოვალეობებს. რაც შეეხება ნორმის კაზუალურ (და არა აბსტრაქტულ) ხასიათს, მასზე როგორც ნორმის ნაკლზე ან ღირსებაზე² შეგვიძლია ვილაპარაკოთ, და არა იმაზე, რომ ნორმის კაზუალურობა გამოირიცხავს თავად ნორმის არსებობას³.

რაც შეეხება ფრაზას, – „ნორმა წესია და არა ინდივიდუალური გადაწყვეტილება“, აქ საქმე უფრო მარტივადაა: ინგლისურ სამართალში ნორმა არის, ანუ პრეცედენტის ძალა აქვს არა მთელ გადაწყვეტილებას, არამედ მხოლოდ მის ნაწილს (რამაც უკვე ვისაუბრეთ). გარდა ამისა (და ამ გარემოებასაც უკვე გავუსვით ხაზი), ინგლისური სამართალი, საერთო სამართლის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამართლის ნორმად აღიარებს როგორც ზოგადი, ასევე ინდივიდუალური ხასიათის ქცევის წესებს.

ერთი, რაშიც შეგვიძლია დავეთანხმოთ ჩვენ მიერ განხილული მონაწილების ავტორებს, ისაა, რომ „კონკრეტული გადაწყვეტილების ზოგადსაველდებულო მნიშვნელობა“, რასაც ისინი აღიარებენ, „არის სამარ-

¹ ბ. სავანელი დასახ. ნაშრ., გვ. 38.

² „საერთო სამართლის დოქტრინის თანახმად... პრეცედენტთა კაზუალური ხასიათი განიხილება არა როგორც ნაკლი, არამედ როგორც ღირსება, ვინაიდან ის იძლევა საშუალებას, უფრო ზუსტად ასახოს კონკრეტული საქმის ყველა დეტალი და თავისებურება, ეიღრე უოლქსის აბსტრაქტული ნორმა“ (იხ. Теория права и государства, под. ред. Г.Н. Манова, с. 160).

³ ინგლისური სამართლის ნორმა მართლაც განსხვავდება თავისი კონკრეტულობით „კონკრეტული ევროპის სამართლის ნორმისაგან“. ეს უკანასკნელი კანონმდებლის მიერ არის დადგენილი ან გამოშუქებული დოქტრინის მიერ წინასწარ და გათვლილია სავარაუდო, ტიპური ურთიერთობების რეგულირებისათვის. ინგლისელი სამართალმეცნიერდომოსამართლე კი ნორმას აღგენს კონკრეტული საქმის განხილვისას მისი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით. ეს ნორმა გათვლილია ანალოგიური ფაქტობრივი გარემოებების შემსველი საქმის გადასაწყვეტად აქედან გამომდინარე, ის უფრო აბსტრაქტული და ზოგადი ვერ იქნება, რადგან ეს თავად ინგლისური სამართლის ხასიათს შეეცვლის.

რომანულ-გერმანული ტიპის სამართლებრივი სისტემა შედარებით რაციონალური და ლოგიკური, ინგლისური სამართალი კი პირიქით, იქმნებოდა „ლოგიკაზე ზრუნვის გარეშე“ (რენე დავიდი, დასახ. ნაშრ., გვ. 283). პირუელისათვის ამა თუ იმ სიტუაციის ანალიტიკური გააზრებაა დამახასიათებელი, მეორესათვის – სასამართლო, მისი საქმიანობა, რომლის საფუძველში მრავალი, მათ შორის არა მხოლოდ იურიდიული, არამედ მწიგნობრივი კრიგერიუმებიც დევს. აქედან გამომდინარე, არა ანალიტიკური იურისპრუდენციის მოთხოვნებს, არამედ „რეალისტურ“ და „სოციოლოგიურ“ მიდგომებს ანიჭებს უპირატესობას ინგლისელი სამართალმცოდნე. ეს კი იმან განაპირობა, რომ პრეცედენტული ტიპის სამართლებრივი სისტემებს არ „შეხებიათ“ რომის სამართლის კულტურა, რომლითაც გაყვნილილია რომანულ-გერმანული სამართლებრივი ოჯახი. და სწორედ ამ განსხვავებამ ოჯახებს შორის გამოიწვია სამართლის ნორმათა შორის განსხვავება, რომელიც მხოლოდ „ნორმათა შორის გასხვავებაა“ და არა ინგლისური სამართლის ნორმის, კერძოდ კი – პრეცედენტული სამართლის ნორმის რაღაც სხვად, არანორმად „შერაცხვის“ საფუძველი. წინააღმდეგ შემთხვევაში მოვიწვევს ვიღიაროთ, რომ ინგლისური კანონი არ არის სამართლის ნორმის შემსველი, ვინაიდან ამ ქვეყანაში საკანონმდებლო ნორმაზე საკმაოდ კონკრეტულია, ვიმეორებთ, ისევე და ისევე ინგლისური სამართლის უნიკალურობიდან გამომდინარე.

თალშემოქმედების თავისებური ფორმა¹. სწორედ კონკრეტული გადაწყვეტილებისათვის ზოგადსაყვალდებულო მნიშვნელობის მინიჭების შემდეგ გადაიქცევა მისი გარკვეული ნაწილი სამართლის ნორმად.

მოცემული მსჯელობიდან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ სასამართლო პრეცედენტი სამართლის სწორედ ის წყაროა, რომელიც სამართლის ნორმებს შეიცავს² (წინააღმდეგ შემთხვევაში სამართლის იურიდიული წყარო ის ვერც იქნებოდა).

* * *

მიუხედავად იმისა, რომ საერთო სამართალი მოსამართლეების „შრომის ნაყოფია“, ერთიანი აზრი მოსამართლეთა სამართალშემოქმედებაზე თავად ინგლისელ თეორეტიკოსებსაც არ გააჩნიათ. ერთი უშუალოდ აღიარებენ „მოსამართლეთა სამართალს“ (ოსტინის „აღმშენებლობითი თეორიის“ მიმდევრები), ხოლო მეორენი (ბლექსტონის „დეკლარატორული თეორიის“ მიმდევრები) თელიან, რომ პრეცედენტულ სამართალში გამოიხატება ბუნებითი სამართალი, ამიტომ მოსამართლეები კი არ ქმნიან ახალ სამართალს, არამედ მხოლოდ „აყვადებენ“ ბუნებით სამართლებრივ ნორმებს³. აქედან გამომდინარე, პრეცედენტული სამართალი არასოდეს არ იცვლება, იგი მხოლოდ ხელმეორედ სწორად გადმოიცემა. იმ შემთხვევაში, თუ ზემდგომი სასამართლო პრეცედენტს გააუქმებდა, თეორიის მიმდევრები ამბობდნენ, რომ ნორმა მოსამართლემ არასწორად გადმოსცა.

ბლექსტონის თეორიას ბევრი მომხრე ჰყავდა როგორც ინგლისში, ასევე საერთო სამართლის სხვა ქვეყნებშიც, განსაკუთრებით მოსამართლეთა შორის. ეს განაპირობა იმ გარემოებამ, რომ თეორია ამართლებს პრეცედენტის ისეთ მახასიათებლებს, როგორებიცაა: მისი გაუქმების წესი, უკუძალა და სხვა. ამასთანავე, ის გარკვეულწილად პასუხისმგებლობას უხსნის მოსამართლეებს მათ მიერ „გადმოცემული“ ნორმების შინაარსის გამო.

ეს აზრთა სხვადასხვაობა გამოწვეულია იმ შეუსაბამობით, რომელიც არსებობს პრეცედენტის თეორიისა და მოსამართლეთა მიერ მის პრაქტიკულ გამოყენებას შორის. ინგლისელი მოსამართლის აზრით, „ახალ შემთხვევას უნდა შეესაბამებოდეს ახალი ნორმა“⁴ და თუ ის საქმის განხილვისას ვერ აღმოაჩენს საჭირო პრეცედენტს, ან თუ საზოგადოებრივი ურთიერთობა არ არის რეგლამენტებული კანონმდებლის მიერ, მიმარ-

¹ ე. ატამანოვა, ვ. ივანოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 131.

² ამ თვალსაზრისს იზიარებენ მთელი რიგი მეცნიერებისა (იხ. მაგ., Хряпников В.Н., Теория государства и права, 2-е изд. доп и испр. под ред. Стрекозова В.Г., М., 1997, с. 184-185; Саидов А.Х. Сравнительное правоведение и юридическая география мира, М., 1993, с. 103; Хатын М.Х., Сергейк П.Н., Энциклопедия права, М., 1995, с. 20-21 და სხვა).

³ Апрова Т.В., Основные тенденции английского прецедентного права. Уч.зап. ВЮЗИ.М., 1968. Вып. 17, ч.3, с. 145-148; Богдановская И.Ю., указ. соч., с. 104; Уолкер Р., указ. соч., с. 167; Теория права и государства. Под ред. Г.Н. Манова, с. 162; Большой юридический словарь, М., с. 545.

⁴ რენე ღავიდი, დასახ. ნაშრ., გვ. 305.

თავს გონებას, იურიდიულ პრინციპებს და ადგენს ახალი ქვეყის წესს. ასე იქცევა მოსამართლე მაშინაც, როდესაც საჭირო კანონი, მართალია, არსებობს, მაგრამ ბუნდოვანია მისი დებულებები. ის მიმართავს ზოგიერთ ზოგად დებულებას, რათა ჩასწვდეს იმ ცნებათა შინაარსს, რომლებიც კანონმდებელმა გამოიყენა, განსაზღვროს შემთხვევათა წრე, რომლებმაც, მისი აზრით, კანონის ნორმები ვრცელდება. ასე მოსამართლე ცდილობს, იმგვარად „კონიურულად და მიზანშეწონილად“ შეაფარდოს კანონი, როგორც ის საუკეთესოდ ასახავდა სამართლიანობის მოთხოვნებს, კანონმდებლის მიზნებს და ამოცანებს¹. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ქმნის განმარტების პრეცედენტებს². „არ არის საჭირო, მოსამართლეთა ახსნა-განმარტება დაუპირისპირო მოსამართლეთა სამართალმემოქმედებას, უნდა მხოლოდ ილაპარაკო მოსამართლეთა სამართალმემოქმედების ხარისხსა და ფარგლებზე“³ – ამბობს მ. კაპულეტი.

ამრიგად, განმარტების პრეცედენტებს, ისევე როგორც შეფარდების პრეცედენტებს, საფუძვლად უდევს კანონი – ისინი იქმნებიან მაშინ, როდესაც მოსამართლე, საჭირო პრეცედენტის არარსებობის შემთხვევაში (მოსამართლე პირველ რიგში სწორედ ანალოგიურ საქმეზე გამოგანილი პრეცედენტის არსებობას ან არარსებობას ამოწმებს) და მხოლოდ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ხელმძღვანელობს კანონით) შეაფარდებს კანონს. თავის უდიდეს ნაწილში პრეცედენტული სამართალი წარმოადგენს ზოგადი დებულების, პრინციპების, გრადიციული წესების ფორმულირებას, რომლებიც ადგენენ საკანონმდებლო ნორმათა შეფარდების პირობებს და განმარტების წესებს. აღნიშულმა აიძულა რ. ლეფლერი, ეთქვა: „საერთო სამართალი შედგება არა მხოლოდ დეტალიზებული ნორმებისაგან, არამედ პრინციპების, სტანდარტების, დოქტრინებისა და გრადიციებისგანაც, რომლებიც თავიანთი ეფექტურობით, მათი მოქმედების ხანგრძლივობით მნიშვნელოვნად აღემატებიან პაგარა წესებს“⁴, ანუ კონკრეტულ ნორმებს.

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კანონთა ხელახალი განმარტება „მორიგი“ კერძო საკითხის გადაწყვეტის მიზნით კანონს „გარს ახვევს“ უამრავ პრეცედენტს და, ხშირ შემთხვევაში, წარმოშობს განსხვავებას კანონის რეალურ შინაარსსა და იმ შინაარსს შორის, რომელიც მასში მოსამართლემ ამოიკითხა. ხოლო კანონსა და მის საფუძველზე წარმოშობილ პრეცედენტებს შორის მოსამართლე „ყოველთვის“ მეორეს ანიჭებს უპირატესობას, ვინაიდან „კანონი, გრადიციული ინგლისური კონცეფციის თანახმად, არ ითვლება სამართლის გამოხატულების ნორმალურ ფორმად“⁵.

ამრიგად, საერთო სამართალი ღია სისტემაა, სადაც მუდმივად იქმნება ახალი ნორმები ან „განსხვავებათა გექნიკის“ საფუძველზე (პრეცედენ-

¹ Теория государства и права, Гос. изд-во юр. лит-ры, М., 1949, с. 382.

² Боботов С.В. Буржуазные концепции судейского нормотворчества "Советское государство и право", 1986, 2, с. 98.

³ Capuletti M., The law - making power of the judge and comparative analysis /Monash Univ. law Rev 1981, Vol.8, p. 17..

⁴ R.A. Leftar, Op. Cit., 555.

⁵ რენე დავიდო, დასახ. ნაშრ., გვ. 324.

გებთან მიმართებით), ან „განმარგებების ტექნიკის“ საფუძველზე (კანონთან მიმართებით), ან „გამონაკლისთა ტექნიკის“ საფუძველზე (როგორც პრეცედენტებთან, ასევე კანონთან მიმართებით)¹, რაც საშუალებას აძლევს ინგლისურ სამართალს, იყოს დინამიური და ყოველთვის დროსთან შესაბამისი. სწორედ ამ თვალსაზრისით მოსამართლეთა სამართალმემოქმედება დასაშვები და სასარგებლოც კია.

* * *

საერთო სამართლის მოქნილობა, ოპერატიულობა და „სიმზგე“, ღირსებასთან ერთად, გარკვეულწილად, მისი ნაელიცაა. საქმე ისაა, რომ აღნიშნული „ღირსება“ ხელს უწყობს პრეცედენტების „დაგროვებას“: „ინგლისში უკვე საუკუნის დასაწყისში (XX ს.) სასამართლო პრეცედენტთა კრებულებმა 1800 გომს გადააჭარბა და ყოველწლიურად ათეული გომით იზრდება“ – წერს ს.ლ.მიხსი. ეს სიმრავლე, თავის მხრივ, განაპირობებს პრეცედენტებს შორის წინააღმდეგობების წარმოშობას. იქმნება ვითარება, როდესაც მოსამართლეს უჭირს უამრავ და წინააღმდეგობრივ პრეცედენტთა შორის მოცემული საქმის გადასაწყვეტად საჭირო პრეცედენტის მოძებნა და ის, როგორადაც პარადოქსული არ უნდა იყოს, ახალ პრეცედენტს ქმნის. ასე გარდაიქმნება „ღირსება“ „ნაკლად“.

სასამართლო მოგჯერ იყენებს პრეცედენტებს, რომელთა ასაკი 300 და 400 წელია. უფრო მეტი, პრემუმედიის თანახმად, სასამართლო პრეცედენტის მიერ შექმნილი მოგადი პრინციპები მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტენ თავიანთ მოქმედებას, როდესაც ეს პირდაპირ გამომდინარეობს კანონის ტექსტიდან. არადა, სასამართლო, კანონის შეფარდების დროს სასამართლო პრეცედენტების იმ დებულებებს ითვალწინებს, რომლებიც შესაბამისი კანონის მიღებამდე ბევრად უფრო ადრეა ჩამოყალიბებული. გარდა ამისა, ხშირია შემთხვევა, როდესაც გაუქმების შემდეგაც კი პრეცედენტი პერმანენტულად აგრძელებს მოქმედებას, რასაც განსაკუთრებული არეულობა შეაქვს სისტემაში.²

შექმნილი ვითარება აკნინებს პრეცედენტის ავტორიტეტს. სამართალი გაუგებარი ხდება არასპეციალისტებისთვის, რომელთაც წინასწარ წარმოღებნა არა აქვთ, კონკრეტული საქმის გადაწყვეტის დროს რომელი ნორმებით იხელმძღვანელებს მოსამართლე. ის კი არა და, თავად პროფესიონალებსაც უჭირთ ხშირ შემთხვევაში ასეთ „ლაბირინთში“ ორიენტირება.

აღნიშნულმა განაპირობა ის, რომ უკვე XIX-ის 30-იანი წლებიდან სასამართლო პრეცედენტის ინსტიტუტმა დაკარგა ის ადგილი, რომელიც მას აქამდე უჭირა სამართლის წყაროთა სისტემაში და შეიკვალა მისი ფუნქციური მნიშვნელობა. თუ უწინ მოსამართლეები პასუხისმგებელნი

¹ რენე ლავილი, დასახ. ნაშრ., გვ. 331-332.

² Зина С. Л., Развитие формы права в современных империалистических государствах. Изд-во АН СССР, М., 1960, с. 103.

³ რ. უოლგერი, დასახ. ნაშრ., გვ. 157.

იყენენ სამართლის უდიდესი ნაწილის განვითარებისათვის, ახლა მათი ამოცანა ძირითადად შემოიფარგლება კანონში გამოხატული სამართლის განმარტებით, პრეცედენტული სამართლის გრადიციულ ფორმულებში ჩადებული ზოგადი პრინციპების შესაბამისად.

სამართლის ნორმათა უდიდესი ნაწილი იქმნება პარლამენტის კანონებისა და მთავრობის ნორმატიული აქტების ფორმით. ამჟამად მოსამართლეთა სამართალშემოქმედების საგნობრივი სფეროს შევიწროება.

ყოველივე ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ სასამართლო პრეცედენტმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა. შენარჩუნებულია ზოგიერთი ისეთი ინსტიტუტი, რომელიც უშუალოდ საერთო სამართლის ან თუნდაც სამართლიანობის სამართლის¹ ნორმებით რეგულირდება. ესენია, მაგალითად: ხელშეკრულებათა ზოგიერთი სახე, პასუხისმგებლობის საკითხები ვალდებულებათა დარღვევისათვის და სხვა სამოქალაქო სამართალდარღვევებისათვის. კონსტიტუციურ სამართალში პრეცედენტების მოქმედების სფერო საკმაოდ შეზღუდულია. ისინი ძირითადად არეგულირებენ საკითხებს, რომლებიც ეხება გვირგვინის პრივილეგიებს, აგრეთვე მოქალაქეთა (ქვეშევრდობთა) ზოგიერთ უფლებას². მაგრამ, რაც მთავარია, ინგლისური სამართლის ისტორიულად ჩამოყალიბებული და უცვლელი თავისებურებების გამო, ყოველი ახალი კანონი უმაღვე „დაიხუნძლება“ უამრავი პრეცედენტით, რომელთა გარეშე ისინი უბრალოდ ვერ „იმუშავებენ“, ვინაიდან პრეცედენტები განმარტავენ, აზუსტებენ და განავითარებენ ლაკონიურ საკანონმდებლო ფორმულირებებს.

ამას, ალბათ, ისევე და ისევე პრეცედენტული სამართლის გემოთ ხსენებული ღირსებები განაპირობებს. რა თქმა უნდა, გრადიციასთან ერთად, იგულისხმება მისი მოქნილობა, ახალ პირობებთან ადაპტაციის უნარი, დროისა და ადგილის მოთხოვნების ოპერატიული აღქმის უნარი, პრეცედენტული სამართლის ღირსებებია, ასევე როგორც უკვე ვთქვით, ნორმის კონკრეტულობაც, რომელიც მას ერთმნიშვნელოვანს ხდის და აბსოლუტურად გამორიცხავს მის სხვადასხვა ინტერპრეტაციას. შეიძლება ითქვას, რომ პრეცედენტთა სიმრავლესაც აქვს თავისი დადებითი მომენტები, ვინაიდან „ნიჭიერი და კეთილსინდისიერი“ მოსამართლის ხელში ის იძლევა საშუალებას, შეირჩეს ნორმა, რომელიც მაქსიმალურად ზუსტად მიესადაგება მოცემული საქმის არსს. გარდა ამისა, ამ „სიმრავლესთან ბრძოლის“ საშუალებებიც არსებობს: პრეცედენტების გაუქმების შესაძლებლობა, გამოსაქვეყნებული სასამართლო გადაწყვეტილებების შერჩევა. და თუ ეს ბერკეტები ვუქმტურად იქნება გამოყენებული, პრეცედენტების რაოდენობა ვინივრულ ზღვარს არ გადააჭარბებს.

¹ საერთო სამართლისა და სამართლიანობის სამართალში, როგორც პრეცედენტული სამართლის (case law) ორ შემადგენელ ნაწილში, პრეცედენტის წესი (stare decisis) ერთნაირად მოქმედებს, ვინაიდან დღეს სამართლიანობის სამართალიც სამართლის ნორმათა კომპლექსს წარმოადგენს და, როგორც უკვე ითქვა, მათ შორის რადიკალური განსხვავება აღარ არსებობს.

² Иностранное конституционное право. Под ред. В.В. Маклакова, М., 1997, с. 46-47; В.Е. Чиркин, Конституционное право зарубежных стран, М., 1997, с. 350.

სამართლებრივ ლიტერატურაში, იურიდიულ ლექსიკონებში სასამართლო პრეცედენტი ყველაზე უფრო ხშირად განიმარტება როგორც „სასამართლო გადაწყვეტილება კონკრეტულ იურიდიულ საქმეზე, რომელსაც ზოგადსაველადებულო მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფო“, ან „სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც საველადებულო მომავალში ანალოგიური საქმეების განსილვისას“, ან ცოგაოდენ სხეეგვარად, მდგრამ აუცილებლად განსაზღვრებაში „სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულოობის“ დაფიქსირებით¹.

მითითებული განსაზღვრებები, რასაკვირველია, მიუღებლად არ მიგვჩნია, მდგრამ იმის ვათვალისწინებით, რომ, სამართლის წყაროს თვალსაზრისით, სავალდებულო ძალა გეაჩნია არა მთლიანად ვადაწყვეტილებას, არამედ მსოლოდ მის ნორმატიულ ნაწილს, რომელიც ქმნის კიდევ პრეცედენტს; ჩვენი აზრით, უპრიანი იქნებოდა, შემდგენაირად ჩამოგვეყალიბებინა მოცემული კატეგორიის დეფინიცია: სასამართლო პრეცედენტი არის ზოგადსაველადებულო ქვევის წესი, რომელიც დადგენილია უმადლესი სასამართლო ინსტანციის მიერ და გემოხაგულია კონკრეტულ საქმეზე გემოგანილ ვადაწყვეტილებაში.

ჩამოყალიბებული დეფინიცია ლაკონიური და გვეადია, ზუსტად ასახავს სასამართლო პრეცედენტის მახასიათებლებს: 1. პრეცედენტი არის მოსამართლეების (და არა, მდგალითად, კანონმდებლის სამართალმემოქმედების პროდუქტი; 2. მათი დადგენა უმადლესი სასამართლო ინსტანციის პრეროგატივია; 3. სასამართლო ქმნის პრეცედენტს კონკრეტული საქმის განხილვის პროცესში „აღმოჩენილი“ არარეგლამენტებული (ან თუნდაც, კანონის ნორმის მიერ, „ბუნდოვნად“ რეგლამენტებული) საზოგადოებრივი ურთიერთობის ვადაწყვეტის აუცილებლობის გემო და არა სავარაუდო საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირებისათვის, რომელიც მომავალში შეიძლება წარმოიშეას (როგორც ამას ხშირ შემთხვევაში კანონმდებელი აკეთებს); 4. სასამართლო პრეცედენტი ჩართულია სასამართლო ვადაწყვეტილებაში, ანუ მისი ნაწილია და არა თეად ვადაწყვეტილება („პრეცედენტს წარმოადგენს სასამართლო ვადაწყვეტილების ის ნაწილი, რომელსაც ოსტინის დროიდან ratio decidendi ეწოდება“);⁴ 5. სასამართლო პრეცედენტი არის ზოგადსაველადებულო ქვევის – სამართლის წესის ნორმა („ratio decidendi არის სამართლებრივი ნორმა“);⁵

¹ ვ. ხრანნიუკი, დასახ. ნაშრ., გვ. 185, *Общая теория права и государства*. Учебник. Под ред. В.В. Лазарева, 2-с изд. пер. и доп., М., 1996, с. 35-36.

² *Иностранное конституционное право*, под ред. В.В. Маклакова, с. 166.

³ *Общая теория права: Учебник для юр. вузов*, под общ. ред. А.С. Пиголкина, 2-е изд. испр. и доп., М., 1997, с. 46. *Теория государства и права*, под ред. В.М. Корольского и В.Д. Перевалова, с. 288; Чиркин В.И. *Указ. соч.*, с. 348 და სხეა.

⁴ ი. ზოგდანოვსკაია, დასახ. ნაშრ., 104.

⁵ Cross R. O., cit, p.76.

საბაჟო ურთიერთობები 1918-1921 წლების საქართველოში

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგ, 2 აგვისტოს საქართველოს იმდროინდელმა ეროვნულმა საბჭომ მიიღო „კანონი რუსეთის საერთო დაწესებულებათა და მათი განყოფილებების ლიკვიდაციის შესახებ“, რომლის საფუძველზეც საქართველოს მთავრობას დაევალა თავის ტერიტორიაზე დარჩენილი რუსეთის, კავკასიის ან ამიერკავკასიის საერთო დაწესებულებებისა და მათი ადგილობრივი განყოფილებების ლიკვიდაცია.

აღნიშნულ პერიოდში საქართველოს რესპუბლიკაში აღმასრულებელი ხელისუფლება – მთავრობა წარმოდგენილი იყო მინისტრთა კაბინეტის სახით, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო, ხოლო აღნიშნული სამინისტროს სისტემაში მოქმედებდა საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო სამსახური, რომლის ძირითად დანიშნულებას საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების დაცვა წარმოადგენდა.

მართლაც, 1918 წლის დამოუკიდებლობის მოპოვებამდე საქართველოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებდნენ საბაჟო ორგანოები, მაგრამ ისინი რუსეთის იმპერიის საბაჟო სამსახურის ერთიანი სისტემის შემადგენელ ნაწილად ითვლებოდნენ და საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, როგორც ტერიტორიულ ერთეულს, საბაჟო პოლიტიკის დამოუკიდებლად წარმართვის ფუნქცია წართმეული ჰქონდა.

იმის გათვალისწინებით, რომ სუვერენული ქვეყნის არსებობა, სხვა აუცილებელ აგრიბუტებთან ერთად, წარმოუდგენელია ძლიერი საბაჟო სამსახურის გარეშე, რომლის საფუძველიც, პირველ რიგში, საბაჟო კანონმდებლობაა, 1918-1921 წლების საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკაში აქტიურად მიმდინარეობდა სუვერენული ქვეყნის საბაჟო კანონმდებლობის შექმნის პროცესი.

კანონის ძალით გაუქმდა საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის იმპერიის მიერ დაარსებული ყველა საბაჟო დაწესებულება და 1918 წლის 30 აგვისტოს მიიღო მნიშვნელოვანი აქტი: „კანონი საქართველოს რეს-

¹ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921 წლები, თბ., 1990, გვ. 47.

პუბლიკის საბაჟო დაწესებულებათა მოწყობის შესახებ“¹, რომელიც არეგულირებდა საქართველოს რესპუბლიკაში საბაჟოსამართლებრივი ურთიერთობის საკითხებს.

აღნიშნული კანონის ძალით საქართველოს რესპუბლიკის გერიტორიაზე დაარსდა 19 საბაჟო უწყება. საბაჟო ორგანოები წარმოდგენილი იყო შემდეგი სისტემით:

ა) მთავარი საბაჟო ცენტრალური მართვა-გამგეობის უფლებით, ქ. თბილისში.

ბ) პირველი ხარისხის საბაჟო ქ. ფოთში.

გ) მეორე ხარისხის საბაჟო ნატანებსა და სოხუმში.

დ) მესამე ხარისხის საბაჟო, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის თითქმის ყველა კუთხეში იყო განთავსებული.

კანონის მე-9 მუხლით: მთავარი საბაჟოს გამგეს, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, ხოლო უშუალოდ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის განკარგულებით ინიშნებოდნენ: მთავარი საბაჟოს გამგის თანამემწენი, პირველი ხარისხის საბაჟოს გამგე და მისი თანამემწენი, მეორე და მესამე ხარისხის საბაჟოთა გამგენი, საბაჟო სამსახურის უფრო ქვემდგომ მოხელეებს მინისტრის ნებართვით ნიშნავდა მთავარი საბაჟოს გამგე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავარი საბაჟო ახორციელებდა საერთო ხელმძღვანელობას მართვა-გამგეობის მხრივ სხვა საბაჟო დაწესებულებების მიმართ, იძლეოდა სახელმძღვანელო განმარტებებს საბაჟო დაწესებულებათა მიმართ მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე, გამოსცემდა განკარგულებებს კომპეტენციის ფარგლებში, მთავარი საბაჟო წარმოადგენდა მთლიანად საბაჟო უწყებებს სასამართლოში.²

მართალია, აღნიშნული კანონი სრულყოფილებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ მისი მიღება იმ პერიოდის საქართველოსთვის პროგრესულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს.

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ 1919 წლის 19 დეკემბერს მიიღო „კანონი ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“³. საბჭოს კომპეტენციას შეადგენდა იმ მიმდინარე საკითხების განხილვა, რომელიც ეხებოდა აღნიშნული სამინისტროს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, მათ შორის საბაჟო ურთიერთობების სფეროშიც.

¹ „კანონი საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო დაწესებულებათა მოწყობის შესახებ“ – 1918 წლის 30 აგვისტო, გამ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წლის 13 სექტემბერი.

² „კანონი საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო დაწესებულებათა მოწყობის შესახებ“ – 1918 წლის 30 აგვისტო, მუხლი 9, გამ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წლის 13 სექტემბერი.

³ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921 წლები, თბ., 1990, გვ. 620-624.

საბაჟო სფეროში საბჭო განიხილავდა ისეთ საკითხებს, როგორც იყო: საბაჟო ურთიერთობების საქმეში ახალი კანონების გამოცემა, მოქმედ კანონთა შეცვლის ან გაუმჯობესების მასალების შემუშავება, სახელმწიფო შემოსაულებლის ხარჯთაღრიცხვის წინასწარი განხილვის, საბაჟო ტარიფისა თუ სხვა საკითხები.

საბჭოს სსდომებში, რომელთაც ხელმძღვანელობდა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი, მონაწილეობდა მთავარი საბაჟოს უფროსი გადამწყვეტი ხმის უფლებით. საბჭო იღებდა დადგენილებებს, რომელთაც ამტკიცებდა მინისტრი და აღსასრულებლად გადასცემდა შესაბამის დაპარტამენტს.

აღნიშნულმა ინსტიტუტმა დიდი როლი შეასრულა საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო ურთიერთობების განვითარების პროცესში.

საქართველოს რესპუბლიკა მჭიდროდ თანამშრომლობდა საზღვარგარეთის ქვეყნებთან საბაჟო ურთიერთობის სფეროში.

ამ მხრივ საინტერესოა საქართველოს რესპუბლიკის მიერ დადებული ხელშეკრულებები სომხეთსა და ამერბაიჯანთან, რომლებიც შეეხებოდა საბაჟო სფეროში თანამშრომლობის, კერძოდ ტრანზიტის, საკითხებს. ისინი აწესებდნენ შეღავათიან საბაჟო რეჟიმებს ტრანზიტის სფეროში საქართველოს რესპუბლიკასა და აღნიშნულ სახელმწიფოებს შორის.

1918-1921 წლების საქართველოში, ქვეყნის ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, მეტად გაუსაძლისი მდგომარეობა იყო შექმნილი საბაჟო ორგანოების ნორმალური ფუნქციონირების მხრივ. 1919 წლის 1 ოქტომბრის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდილ სტატიამი ვკითხულობთ: „... მიუხედავად გასაჭირისა მაინც შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ საბაჟო დაწესებულებებმა სძლიეს ყოველივე დაბრკოლებებს, პირნათლად აასრულეს თავიანთი მოვალეობა სამშობლოსა და ხალხის წინაშე და შეუბღალავად მოიგანეს თავისი ღრომა საანგარიშო წლის ბოლომდე“¹ – სიამაყით აღნიშნავენ სტატიის ავტორები.

1918-1921 წლების საქართველომ აღიდგინა ისტორიული ფუნქცია, როგორც უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზის ცენტრისა აზია-ევროპას შორის, ამიტომაც იმდროინდელი მოღვაწენი უდიდეს როლს ანიჭებდნენ საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო სამსახურს, რომელიც, მიუხედავად აურაცხელი სირთულისა, რაც ძირითადად საქართველოს სუსტი ეკონომიკური მდგომარეობით იყო გამოწვეული, მაინც ართმევდა თავს დაკისრებულ მოვალეობებს.

აღნიშნულ პერიოდში დაუნდობელი ბრძოლა ქჟონდა გამოცხადებული კონტრაბანდას, მას შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად საბაჟო სამსახური ახორციელებდა შემდეგი მეთოდებით: ყოველგვარ გასატან საქონელზე აწარმოებდა მოსაზღვრე საბაჟო კონტროლით გვირთის შემოწმებას, კონტროლს ექვემდებარებოდა სასაზღვრო საბაჟოდან უკვე საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოსული და სასაზღვრო საბა-

¹ საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო დაწესებულებათა წლიური ანგარიში 1918 წლის 26 მაისიდან 1919 წლის 1 ივლისამდე. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წლის 1 ოქტომბერი, გვ. 3-4.

ყო კონგროლგამოვლილი გვირთი, საბაჟო მოსელის მოსყიდვის თავედან აცილების შიზნით მთავეარი საბაჟო მათ ხშირად უცელიდა სამსახურის ადვილს; მთავეარ საბაჟოს მოწყობილი ჰქონდა აგენტურის ქსელი, რომელიც წინასწარ ატყობინებდა მათ კონგრაბანდისტების განზრახვას, რაც საშუალებას იძლეოდა, მიეღოთ კონგრაბანდისტთა წინააღმდეგ საგანგებო აღმკვეთი ზომები, და სხვ.

1918-1921 წლების საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში საბაჟო ინსტიტუტების შექმნა და დამკვიდრება მნიშვნელოვანი მონაპოვარი იყო, რომელსაც დამოუკიდებელი სახელმწიფოს საშინაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების საქმეში განსაკუთრებული ადგილი ეკავა. მის ფუნქციას შეადგენდა საზღვრებზე ვალუტის, საქონლისა და სხვა საგნების მიმართ კონგროლის უშუალოდ განხორციელება, კონგრაბანდის აღკვეთა, საზღვრების ეკონომიკური დაცვა.

ბიძინა სავანელი
იურიდიულ მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი

გლობალიზაცია, ადამიანი, სამართალი

(თანამედროვეობის ამტკალებრივი საქმისთვის)

წინამდებარე გამოკვლევაში განხილულია თანამედროვე სამართლის უძირითადესი პრობლემები დასავლეთში ამჟამად ფორმირებადი ახალი სამართლებრივი თეორიის ასპექტში: „გლობალიზმი“ და „პლურალიზმი“, „გლობალური სამართალი“ და „ეროვნული სამართალი“, „სამართლებრივი მონიზმი“ და „ნორმატიული პლურალიზმი“. ამ დაპირისპირებულ მიმართულებებს შორის მზარდი დაძაბულობის ფონზე იკვეთება სამართლის უნივერსალური დარგი – ადამიანის საყოველთაო უფლებათა სამართალი, როგორც სამართლის ნებისმიერი სუბიექტის მოქმედების ძირითადი ნორმა და ერთა თანამეგობრობის წვერი ქვეყნების ხალხებს შორის ერთადერთი საერთო სალაპარაკო ენა.

I. გლობალიზაცია და ადამიანი

ათ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც დაიმსხვრა რუსეთის საბჭოთა იმპერია და კაცობრიობამ განიცადა ღრმა ცვლილებები, დღევანდელი გადასახედიდან, როდესაც ვაფასებთ იმას, რაც აღმოსავლეთმა და ცენტრალურმა ევროპამ გადაიგანა კომუნისტური დიქტატურის დროს და მისი ნგრევის შედეგად, ამჟამად ვამჩნევთ განსხვავებას მომხდარის შეფასებაში გუშინ და დღეს. საერთაშორისო ურთიერთობის თანამედროვე სისტემა, რომელიც ჩამოყალიბდა ორპოლუსიანი მსოფლიოს შემდეგ, ამჟამად გამჭვირვალე, უფრო ურთიერთდამოკიდებული და გაცილებით დინამიკური გახდა.

ამიტომ დღეს კითხვის ნიშნის ქვეშ დგას სახელმწიფოს აბსოლუტური სუვერენიტეტის კლასიკური გაგება და მისი მომავალი, არა მარტო აკადემიურ წრეებში, არამედ რეალისტ პოლიტიკოსთა შორის. ეროვნული სახელმწიფოს აბსტრაქტულად გააზრება, როგორც გარკვეულ სამართლებრივ სამდერებში ფუნქციონირებადი იზოლირებული ხელისუფლებისა, განიხილება როგორც ანაქრონიზმი. ერთი მხრივ, ორი საშინელი მსოფლიო ომის მწარე გამოცდილება, „სუვერენული“ დიქტატორული, აგრესიული რეჟიმების წარმოქმნის ალკეების საერთაშორისო მექანიზმის არარსებობამ, ქვეყნებს შორის უთანასწორობამ, უმაღლეს თანამდებობის პირთა კორუფციის არნახულმა მასშტაბებმა, რელიგიურმა და ეკონომიკურმა ტერორიზმმა და, მეორე მხრივ, ხალხებისა და ადამიანთა სულ უფრო

მზარდმა გლობალურმა ურთიერთდამოკიდებულებამ სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში მკვეთრად შეცვალა საერთაშორისო ურთიერთობათა პროფილი და მოითხოვა საერთაშორისო სამართლის დემონტაჟი. ეს ტენდენციები ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ გლობალიზაცია დროის მოთხოვნა და ობიექტური კანონზომიერებაა.

გლობალიზაცია არის კაცობრიობის რთული, მაგრამ პროგრესული განვითარების მთავარი პერსპექტივა, რადგან ასეთი გლობალიზაციის უმთავრესი ღირებულება არის კულტურებს შორის დიალოგი, რაც პოლიტიკური, სოციალური, ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების დაძლევისა და პრევენციის გარანტიაა. ასეთ დიალოგს შეუძლია შექმნას წონასწორობა მსოფლიოში; მეორე მხრივ, გლობალიზაციამ წარმოშვა ნეგატიური მოვლენებიც: ეკონომიკური დანიშნულების გლობალიზაცია და კაპიტალის კონცენტრაცია გრანსნაციონალურ კორპორაციებში, კორუფციის ინტერნაციონალიზაცია, ქსენოფობიისა და ნაციონალისტური რიგორიკის ეპიდემია, ძირითადი რელიგიური მიმართულებების ფუნდამენტალიზაცია და პოლიტიკური ტერორიზმის გლობალიზაცია, რაც ბუნებრივად ითხოვს სამართლებრივ ჩარჩოებს და მოწესრიგებას გლობალურ დონეზე, მაგრამ არა გლობალური (იუდეური თუ ისლამური) მთავრობის შექმნის გზით და ეროვნულ სახელმწიფოებრიობაზე უარის თქმით, არამედ ადამიანის უფლებების სამართლის გლობალიზაციით. გლობალიზაცია არ უნდა იქნეს გაგებული როგორც კოსმოპოლიტიზმი.

გლობალიზაცია დასაშვებია მხოლოდ ადამიანის უფლებათა სფეროში. ადამიანის უფლებები ემსახურება როგორც საერთო საკაცობრიო იდეალებს, ისე ერების კულტურული მრავალფეროვნებისა და თავისთავადობის განვითარებას და, ამავე დროს, არის ზემოაღნიშნული ნეგატიური შედეგების დაძლევის ყველაზე ეფექტური საშუალება. ადამიანის უფლებათა გლობალიზაცია უნდა იქცეს ერთა თანამეგობრობის, მათ შორის ხელისუფლების რეალური პოლიტიკის უზენაეს ნორმად და თანამდებობის პირთა საქმიანობის შეფასების კრიტერიუმად. ფაქტია, რომ ადამიანის უფლებებმა წაშალა მღვარი საერთაშორისო სამართალსა და შიდასახელმწიფო სამართალს შორის. ეს ფაქტი დაადასტურა ვენაში გამართულმა საერთაშორისო კონფერენციამ თავის დასკვნით დოკუმენტში – „ვენის დეკლარაცია“ და მოქმედების პროგრამა“, რომელიც აღიარებულ იქნა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის წყაროდ.

გაჩნდა შანსი, რომ კაცობრიობამ შეასრულოს გიგანტური პროგრამა ჩაკეტილი პოლიტიკური სისტემების გრანსფორმაციისა საერთაშორისო საპარლამენტო მმართველობის რესპუბლიკურ ფორმად, და ამ გზით გამოიყვანოს ხალხები საერთაშორისო არენაზე, ადამიანი აქციოს სამართლის უნივერსალურ სუბიექტად. ეს ძალუბთ ეროვნულ და გრანსეროვნულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ ერთადერთი კრიტერიუმით – ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებით, და არა ხელისუფლებაში მოსვლის დაუოკებელი წყურვილით. მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, საერ-

თაშორისო, რევიონული და ეროვნული სამთავრობო ორგანიზაციების ძირეული რეფორმა. ეს ეხება გაეროს, ევროკავშირს, ევროსაბჭოს, პანაფრიკულ და პანამერიკულ და სამთავრობათაშორისო სხვა სტრუქტურებს, რადგან მათმა ბიუროკრატიზაციამ არნასული მასშტაბები მიიღო.

ამრიგად, საუბარია გლობალურ დემოლიტიზაციაზე და ადამიანის უფლებათა გლობალიზაციაზე. არადა, თანამედროვე მსოფლიოს დღემდე უცნობი პრობლემების ნორმატიულმა მოუგვარებლობამ შეიძლება რეალურად მიგვიყვანოს „გლობალურ ანარქიამდე“, მილტონის ჯოჯოხეთის დედაქალაქამდე – პანდომინიუმამდე, რომელიც სრულიად აღარ დაექვემდებარება რაიმე კონტროლს.

ამ პრობლემათა შორის პირველ ადგილზეა ისლამსა და იუდაიზმს შორის დაპირისპირების მოხსნა, რომელიც თანდათან იღებს გლობალურ სახეს. დღეს ისლამი არა მარტო ჯანყდება იუდაიზმის წინააღმდეგ, არამედ „ხელს უწყობს“ მას, აძლიერებს იუდაიზმს და პირიქით. საერთოდ კი გასარკვევია, იუდეოფობიამ ხომ არ შექმნა ისლამოფობია მსოფლიოში გაფანტულ ებრაელთა სულიერი კონსოლიდაციის გასაძლიერებლად და ეკონომიკური ბატონობის განსამტკიცებლად?! დღეს ამის უცყუარი ნიმუშია პალესტინა. ახლო აღმოსავლეთის არაბები 35 წელიწადზე მეტია, ჯვარცმულნი არიან ისრაელის რასისტული რეჟიმის მიერ, მიუხედავად ათეულობით რეზოლუციისა ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან ისრაელის შეიარაღებული ძალების გაყვანის შესახებ. ერთი ფაქტია, იუდეოფობიამ დაბადა მონსტრი – ისლამოფობია, რომლისაგანაც გარაღდება სრულიად უდანაშაულო ქრისტიანული დიასპორა. ხარკი, რომელსაც უხდის კაცობრიობა ებრაელობას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, შეუღარებლად მცირეა იმ პლანეტურ კატასტროფასთან, რომლის წინაშეც დღეს გვაყენებს ისრაელის მთავრობა. ამრიგად, საფრთხეშია პლანეტაზე მცხოვრები თითოეული ადამიანის ყველა უფლება ერთად აღებული ანუ მთლიანად კაცობრიობა.

თანამედროვე იუდაიზმისა და ისლამიზმისათვის საერთოა ის, რომ ორივე იბრძვის სუვერენული ეროვნული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ და ამით ანგრევს ეროვნული სახელმწიფოს დემოკრატიულ ინსტიტუტებს; თითოეული თავს არიდებს სამოქალაქო საზოგადოებას და აკნინებს ეროვნული მოქალაქეობის უფლებების მნიშვნელობას; ორივე ქმნის თანამეგობრობას, დამყარებულს „სისხლით ნათესაობაზე“, განსაკუთრებულობასა და მიუტევებლობაზე, ვინაიდან უპირატესობას ანიჭებს გლობალურ ტრიბალიზმს ან დესპოტურ პატერნალიზმს. განსხვავება მათ შორის ისაა, რომ პირველს მიეყვარათ გლობალურ ბაზრამდე, რომლისთვის უცხოა თანაგრძნობა და ზრუნვა, მეორეს კი – გლობალურ გეაროვნულ თემურ წყობილებამდე, რომელიც ეფუძნება დესპოტიზმსა და მმართველობის ავტოკრატიულ ფორმას. ორივე შემთხვევაში ნებისმიერი ადამიანი განიხილება როგორც მომხმარებელი და კოლექტივში გათქეფილი და ჩაპარგული არსება (ეს გაკეთილი უკვე გაიარეს „საბჭოთა“ ხალხებმა). სწორად შენიშნა რეჟი დებრემ: „ამერიკულმა მონოკულტურამ და ისლამურმა ფუნდამენტალიზმმა შეიძლება კაცობრიობას თავს მოახეოს სამწუხარო მომავალი ისეთი მსოფლიოს სახით, რომელშიც პლანეტა

გარდაიქმნება გლობალურ სუპერმარკეტად, სადაც ადამიანებს დარჩებათ შესაძლებლობა, გააკეთონ ცალსახა არჩევანი ადგილობრივ აიათოლასა და კოკა-კოლას შორის“¹. მაგრამ ეს საშიშროება არაფერია იმასთან, რაც შეიძლება მოჰყვეს დღევანდელ დაპირისპირებას იუდაიზმსა და ისლამიზმს შორის.

ერთი ცხადია, მათი გლობალური დაპირისპირება კატასტროფამდე მიიყვანს მსოფლიოს.

საქართველოში მდგომარეობას ამძიმებს ე.წ. დაპირისპირება „რუსულ“ და „ამერიკულ“ არჩევანს შორის. საქართველოში არიან ძალები, რომლებიც ხელისუფლებაში მოსვლას ან ხელისუფლების შენარჩუნებას ცდილობენ რუსეთის ან ამერიკის სპეცსამსახურებთან და სხვა სტრუქტურებთან თანამშრომლობის გზით. ერთნი თავგამოდებით ლანძღავენ ამერიკას, მეორენი რუსეთს. ამ დროს ორივე ერთი – გაზვიადებული ორჯონიკიძის ნაირსახეობაა. აშშ-იც და რუსეთიც სხვადასხვა ფორმის იმპერიალიზმის უკურნებელი სენით არიან შეპყრობილი. ჩვენთვის დამლუქველია ორიენტირება ერთ რომელიმე ქვეყანაზე. საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა გეკარნახობს, აქეცნატი გაეკეთოთ ევროპის კავშირზე, რადგან ევროკავშირი არ არის საბჭოთა კავშირი, ის არ არის იმპერია, მას არ აქვს იმპერიული ზრახვები... ცენტრსა და რეგიონში ზოგიერთი მაღალი რანგის პოლიტიკოსის მიზანია რუსეთის ბატონობის აღორძინება იმ დარჩენილ ტერიტორიებზე, რომელნიც არ არიან ოკუპირებულნი რუსეთის მიერ. პრორუსული „მთავრობები“ აფხაზეთში, აჭარასა და სამაჩაბლოში მათთვის არის გარდამავალი მთავრობის მოვლელი დანარჩენი საქართველოსათვის.

ამიგომ, დროა, რეალურად მოვშალოთ აჭედილი ფანჯარა ევროპისაკენ და დავებრუნდეთ წინაპრების მიერ ნაოცნებარ ჩვენს ოჯახს – ხმელთაშუა ზღვის კულტურულ სივრცეს, რომლის ფორმირებაში საქართველოს საგრძნობი წვლილი მიუძღვის.

და მაინც, კონკრეტულად როგორ დავუკავშირდეთ მსოფლიოს, რომელიც გაერთიანებულია ბაზრებით, მაგრამ დანარჩენში მკვეთრად დანაწევრებული? – გლობალიზაციაზე ორიენტირებული მთავრობით? – ასეთი მთავრობა სხვა არაფერია, თუ არა გლობალური ბაზრის მიერ „ნაყიდი მთავრობა“, რომელიც მოემსახურება გლობალურ მაფიას;

– საერთაშორისო სამართლით? – საერთაშორისო სამართალი ფაქტობრივად სხვა არაფერია, თუ არა ეროვნული სახელმწიფოების ბიუროკრატიების აკუმულაცია საერთაშორისო დონეზე, რომელიც უფრო მეტად დამორდა შესაბამისი საღებების სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ მისწრაფებებს და იქცა ანაქრონიზმად თანამედროვეობის გლობალური პრობლემების ფონზე. ხატოვნად შენიშნეს გლობალისტიკის აღიარებულმა სპეციალისტებმა ბენჯამინ ბარბერმა და რიჩარდ ბაგისტონიმ: „საერთაშორისო სამართალს არა თუ კბენა, ყეფაც კი არ შეუძლია“².

¹ The New York Times. 1997 January 2. p. H1.

² Benjamin Barber and Richard Battistoni, Education for Democracy, Kendall-Hunt Publishing Co., 1993, p. 13.

II. გლობალიზაცია და სახელმწიფო სამართალი

გერმინი „გლობალიზაცია“ ასახავს პროცესებს, რომლებიც აერთიანებენ მსოფლიო ეკონომიკას, ეკოლოგიურ სისტემას, საინფორმაციო კავშირებს, ისევე როგორც აყალიბებენ მსოფლიო სამოქალაქო საზოგადოებას და მსოფლიოს მოქალაქეობას პერსპექტივაში. აკავშირებენ ყველა ადამიანს სამართლებრივად.

ამ პროცესებს აქვთ გენდენცია, შექმნან უფლებამოსილებებით ანუ სამართლებრივად უფრო მეტად ურთიერთდაკავშირებული, ურთიერთდამოკიდებული და გაწონასწორებული მსოფლიო, მაგრამ ეს სულაც არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ჩვენ ვარდაუებად ვმოძრაობთ ერთიანი მსოფლიო მთავრობისაკენ. თუმცა გლობალიზაციის პროცესი ასუსტებს სახელმწიფო საზღვრების მნიშვნელობას, მაგრამ მისი გემოქმედება ყოველთვის არ არის მიმართული ცენტრალიზაციისაკენ, ან ფართო კავშირის შექმნისაკენ, ან პომოგენიზაციისაკენ, არამედ ორიენტირებულია კოორდინაციასა და თანამშრომლობაზე მომავალი საერთაშორისო საპარლამენტო მმართველობის პერსპექტივით.

ამ პროცესების საყოველთაო აღიარებამ ხელი შეუწყო ახალი აკადემიური ინდუსტრიის – გლობალიზაციის თეორიის¹ ჩამოყალიბებას. კერძოდ, „ეკონომიკაში გლობალიზაცია ნიშნავს ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციას და კაპიტალისტური საბაზრო ურთიერთობების გაფართოებას. საერთაშორისო ურთიერთობებში ყურადღება ფოკუსირებულია სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების გაძლიერებასა და დემოკრატიზაციაზე ორიენტირებული გლობალური პოლიტიკის განვითარებაზე. სოციოლოგიაში ბრუნვის საგანია საყოველთაო სოციალური დაცულობა და „მსოფლიო საზოგადოების“ კონცეპტაცია. კულტუროლოგიაში სწავლებებში აქცენტი გადატანილია გლობალურ კავშირებსა და მნიშვნელოვან სტანდარტებზე. ისტორიის მეცნიერებაში შესწავლის უმთავრესი საგანია „გლობალური ისტორიის“ კონცეპტუალიზება.¹

დღეს უკვე ფართოდ აღიარებულია, რომ ურთიერთობანი, რომლებიც გრადიციულად ფოკუსირებული იყო ეროვნულ სახელმწიფოთა სამართლებრივ ურთიერთობებზე (საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობანი), საგრძობლად გაფართოდა, მოიცვა საზღვრებგარეშე არასახელმწიფოთაშორისი ურთიერთობანი (გრანსნაციონალური სამართლებრივი ურთიერთობანი) და მზარდი გლობალური სისტემები (გლობალური სამართლებრივი ურთიერთობები) აქ მოყვანილი სამგანზომილებიანი გააზრება სქემატურია. რა თქმა უნდა, ურთიერთობათა სივრცე გაცილებით ფართო და რთულია.

სანიმუშოდ გამოვეყოფთ ისეთ პრობლემატურ ფენომენებს, რომლებიც უცხოა ცივილიზაციის ისტორიისათვის ფართომასშტაბიან ასპექტში: ისლამოფობია და იუდეოფობია, ეროკავშირი და ნაცო, მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი, საერთაშორისო გეროორიზმი და ნარკოტიკიზმი,

¹ Jan Nederweert Pieterse, Globalization as Hybridization, in M. Featherstone, S. Lash and R. Robertson, *Global Modernities*, 1995, p. 77.

ინტერნეტი და იმეილი, გლობალური დათბობა და ოზონის შრის გათხელება, უმრავლესობანი და უმცირესობანი, მსოფლიო ეკონომიკის მონოპოლიზაცია და უკიდურესი სიღატაკე, ემნესტი ინტერნეტიშენელი და გრინ-პისი, კოკა-კოლა და მაკდონალდსი, განუახლებადი ბუნებრივი რესურსების უკონტროლო ექსპლოატაცია და უუადრებული ნეოკოლონიალიზმი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციები და ქალთა გრანსნაციონალური კამპირები, „შავი აფრიკა“ და „ყვითელი ამია“, კათოლიკური ეკლესია და მართლმადიდებლობა, რუსოფობია და ამერიკანოფობია, ეთნიკური კონფლიქტები და ადგილნაცვალობა დიდი ტალღა, და ყველა აღნიშნული რეალის ურთიერთკვეთა და სინთეზი.

ამრიგად, „გლობალიზაცია არის მრავალსახოვანი და გაუწონასწორებელი პროცესი, რომელიც საესეა დაძაბულობითა და წინააღმდეგობებით აღნიშნულ ფენომენებს შორის, მაგრამ ეს არ არის ანარქიული პროცესი – ის ასახავს ურთიერთობებს პერიფერიულ და სემიპერიფერიულ გაერთიანებებს შორის“¹, თუმცა იმანენტურად ითხოვს სამართლებრივ ყალიბს, ნორმირებას.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ცხადია, გლობალიზაცია ფუნდამენტურ გამოწვევას უყენებს სამართლის თანამედროვე თეორიას. ეს გამოწვევა ოპერირებს ძირითადად, სანტოსის ტერმინოლოგიას თუ გამოიყენებთ, ორი მიმართულებით: ლოკალიზებული გლობალიზმისა და გლობალიზებული ლოკალიზმის მიმართულებით.

პირველი მიმართულების მიხედვით, სახელმწიფო სამართალს აღარ ძალუძს, იარსებოს გარე, მათ შორის საყოველთაოდ აღიარებული, სამართლებრივი პრინციპების რეცეფციის გარეშე. ამ პროცესის თვალნათელი მაგალითებია: ადამიანის საყოველთაო უფლებების სამართლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მუდმივად გაფართობადი ზემოქმედება საერთაშორისო და შიდასამართლებრივ ურთიერთობებზე სახელმწიფოსა და სამართლის სხვა სუბიექტებს შორის; დღეს უკვე ფართოდ აღიარებულია ფაქტი იმის შესახებ, რომ საერთაშორისო (სახელმწიფოთაშორის) სამართალს აღარ ძალუძს ადეკვატურად ასახოს და მოაწესრიგოს ისეთი პრობლემები, როგორც არის: გარემო, საერთაშორისო დანაშაულები, ადამიანის საყოველთაო უფლებები გლობალურ დონეზე და ბევრი ის ზემოხსენებული პრობლემური ფენომენი, რომელნიც სრულიად უცნობია კაცობრიობის ისტორიისათვის.

მეორე მხრივ, რეციონალურ დონეზე ახალი სამართლებრივი წესრიგები სწრაფად ვითარდებიან. უკვე უდავო ფაქტია, რომ ევროკავშირის სამართალი, როგორც იურიდიული ფენომენი, ამკარად ფუნქციონირებს საერთაშორისო სამართლის მიღმა და გარეშე. დღეს სამართლის თანამედროვე ევროპული თეორიის უმთავრესი თემაა სამართლისა და სახელმწიფოს განკერძოებულობა, სამართლის მზარდი განკერძოებულობა სახელმწიფოსაგან და ამ უკანასკნელზე სამართლის გადამწყვეტი ზემოქმედება.

¹ Boaventura Santos, *Towards a New Common Sense: Law, Science and Politics in Paradigmatic Transition*. 1995, p. 262. b. სანტოსი უპირისპირებს ერომანეთს ორ დაწყვილებულ კონტრეპიზიას: ერთი მხრივ, ლოკალიზებულ გლობალიზმსა და გლობალიზებულ ლოკალიზმს და, მეორე მხრივ, კოსმოპოლიტიზმსა და კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობას, იხ. იქვე, 263-265.

„Lus Humanitatis“, „Transnational lex Mercatoria“, ისლამური სამართალი, გრანსნაციონალური კუმანიტარული სამართალი, ადამიანის საყოველთაო უფლებების სამართალი, და სხვა სამართლებრივი წესრიგები არის უტყუარი საბუთი სამართლის ახალი, დამოუკიდებელი და უფრო ღრმა კატეგორიის არსებობისა, რომლის სახელია „არასახელმწიფო სამართალი“. თეოპოლიტიკური ასპექტით, სამართლის მთლიანად, განსაკუთრებით „არასახელმწიფო სამართლის“, უნივერსალიზაცია უზრუნველყოფს დემოკრატიის გლობალიზაციას, მაშინ როდესაც სახელმწიფოებრიობის უნივერსალიზაციას მიყვავართ მსოფლიოს გლობალურ ბიუროკრატიზაციასთან, და ბოლოს, გლობალურ დესპოტიზმთან.

III. გლობალიზაცია და სამართლებრივი პლურალიზმი

გლობალიზაცია არ არის ცალმხრივი პროცესი. მე მინდა ხაზი გავუსვა ურთიერთკონფლიქტურ ტენდენციებს, ესენია:

- სამართლის გლობალიზაცია და ფრაგმენტაცია;
- სამართლის ჰომოგენიზაცია და სამართლებრივი მრავალფეროვნება;
- ბიუროკრატიზებული სამართალი და პოსტმოდერნისტული პერიოდის სამართლებრივი კოლუსია.

ამ სამ ურთიერთსაწინააღმდეგო პროცესს აქვს თავისი გამოხატულება, რასაც შეიძლება ეწოდოს სამართლებრივი პლურალიზმი, მათ შორის ცალკე აღებულ სამართლებრივ სისტემაში. ასეთი გავებით ცალკე აღებული სამართლებრივი სისტემა არის განუმეორებელი ვაშა ამ სამი დაწყვილებული პროცესისა, რის შედეგად თითოეული სამართლებრივი სისტემა იძენს ინდივიდუალობას, ხოლო გლობალური მასშტაბით ვიღებთ სამართლებრივი სისტემის პლურალიზმს.

სამართლებრივი პლურალიზმი ერთი სამართლებრივი სისტემის ფარგლებში მოიცავს სამართლებრივი ნორმებისა და სამართლებრივი წესრიგების სამართლებრივ სისტემას, რომელიც ხასიათდება მრავალფეროვნებით. ამ აზრით, სამართლებრივი სისტემის პლურალიზმი შედგება სახელმწიფო და არასახელმწიფო ნორმებისა და წესრიგებისაგან.¹

სამართლებრივი პლურალიზმი ეფუძნება იდეას, რომ არსებობს ბევრი რეალური სამართლებრივი სივრცე, რომელიც სრულიად დამოუკიდებელია მათ შესახებ ჩვენი ცოდნისაგან.

მაგალითად, პოსტდამოუკიდებელ ტანზანიამი ისლამი, პინდუიზმი და ჩვეულებითი სამართალი ოფიციალურად იყო აღიარებული როგორც ტანზანიის სამართლის წყაროები. უფრო მეტი, სამართლის ეს წყაროები მოქმედებდნენ ადგილობრივი კანონმდებლობის პარალელურად. (მსგავსი სიტუაციაა სუდანში, ტანზანიასა და სხვა პოსტბრიტანულ ქვეყნებში).

ევროპის სამართალმა შეძლო საკანონმდებლო სამართლისა და პრეცედენტული სამართლის შეხამება, რითაც უარი თქვა როგორც გლობალურ სამართალზე, ისე საერთაშორისო სამართალზე, რადგან იგი უგუ-

¹ ბიძინა სავანელი, სამართლისა და მართლწესრიგის თანაფარდობა სამართლის აზრის წვდომის თვალსაზრისით, სალოქტორო დისერტაციის თეზისები, თბ., 1992.

ებს ერთმანეთს სამართლებრივ პლურალიზმს ანუ „სამართლებრივ მრავალფეროვნებას“ და საყოველთაოდ აღიარებულ სამართლებრივ პრინციპებს ანუ „სამართლებრივ ერთფეროვნებას“.

სამართლებრივი პლურალიზმი ერთი ეროვნული სამართლებრივი სისტემის ჩარჩოებში ერთი და იმავე დროის მონაკვეთსა და სიერცეში გულისხმობს როგორც მრავალწესრიგიანი სოციალური ინსტიტუტების თანაარსებობას, ისე განსხვავებული სამართლებრივი გრადიციებისა და სამართლის წყაროების აღიარებას.

დღეს არა მარტო სამართლებრივი პლურალიზმი, არამედ სახელმწიფო სამართლის პლურალიზმი აღიარებულია როგორც ფაქტი თითქმის ყველა ქვეყანაში.

და მიანც, სამართლებრივი პლურალიზმი უფრო მეტად ასოცირდება „არასახელმწიფო სამართალთან“, რომელსაც უფრო მეტად მისდევენ და იყავენ შესაბამისი „არასახელმწიფო“ ჯგუფის წევრები, ყიდრე სახელმწიფო სტრუქტურები, რადგან პირველთათვის სამართალი მათი ფაქტობრივი ყოფის ამსახველი ნორმების სისტემაა. საუბარია ნორმატიული ფაქტების სამყაროში.

სამართლებრივი პლურალიზმის დღევანდელი გაცება ეხმიანება სამართლის სოციოლოგიის მამამთავრის ეეგენი ერლხის „ჰემარიტი სამართლის“ მოძღვრებას და „სამართლის მოქმედების“ თეორიის პიონერის კარლ ლეველინის თეორიას.

ამრიგად, სამართლებრივი პლურალიზმის თეორია არის არა მარტო მნიშვნელოვანი ნაბიჯი „რეალიზმისაკენ“, არამედ იმ იდეის სრული დეკორონაცია, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ფლობს სამართლის შემოქმედების მონოპოლიას. გამომდინარე აქედან, სამართლის ფუნდამენტური ფუნქცია – იყოს კონფლიქტების პერევენციისა და დაეების გადწყვეტის ყველაზე ფექტური საშუალება, განხილულ უნდა იქნეს, უიირველეს ყოვლისა, „არასახელმწიფო სამართლის“ დონებე ერთი ქვეყნის ჩარჩოებში, განსაკუთრებით კერძო სამართლის დონებე.

უფრო მტკლედ და კონკრეტულად, გემოაღნიშნული ფაქტობრივი მდგომარეობა შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება და მოღვაწეობა იშლება ნორმატიული პლურალიზმის სიერცეში. ამ ფაქტის უგულებელყოფა ნიშნავს გლასქ მეწოლას ადამიანის ბუნებაზე, ხოლო რეალურ პოლიტიკაში მიეყაფართ დიქტატურამდე.

აქ იკეთება განსხვავება სამართალსა და მართლწესრიგს შორის. სამართალი აერთიანებს, ხოლო მართლწესრიგი აყალკეეებს. ეს არის მუდმივი ბუნებრივი დიალექტიკური პროცესი. სამართალი მონისტურია, მართ-

¹ ქართული სამართლის მეცნიერებაში სამართლებრივი პლურალიზმის იდეა პირველმა განაიითარა საქართველოში სამართლის თეორიის ფუძემდებელმა, „წითელი“ პროფესორების მეცადინეობით კომუნისტების მიერ დახერეტილმა, პროფ. ვიორგი ნანიშვილმა თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასახუტებისა“. (1928); იხ., აგრეთვე, „წითელი“ პროფესორებისაგან და კომკაემპირლებისაგან დენილი პროფ. ირ. სურგულაძის 1925 წელს გამოცემული ნაშრომი „ხელისუფლება და სამართალი“ ქართულად, გერმანულიდან ქართულად თარგმნილი 2002 წელს, გვ. 77.

ლწესრიგი – პლურალისტური. ამოცანა მათი დაახლოებაა, მათი ერთი საბოლოო მიზნისაკენ წარმართვა. ეს საბოლოო მიზანი ადამიანია.

ჯერ კიდევ იერემია ბენგამი განიხილავდა თავს მსოფლიოს მოქალაქედ. სწორედ ადამიანი, და არა სახელმწიფო, არის სამართლის უნივერსალური სუბიექტი. ადამიანის ამ თვისების დაცვის უზრუნველყოფი ძალა ადამიანის საყოველთაო უფლებათა სამართალია, როგორც „კაცობრიობის ერთადერთი საერთო სალაპარაკო ენა“ (იხ. ვენის 1993 წლის დეკლარაცია).

ამ თვალსაზრისით, მონიშმი და პლურალიზმი არის ერთიანი პროცესი, რომელიც აყალიბებს სამართლის ახალ სინთეტიკურ იერარქიულ სისტემას მსოფლიო მასშტაბით. ასეთი სისტემის მწვერვალი (Grundnorm) არის ადამიანის საყოველთაო უფლებათა სამართალი.

პანს კელზენმა სამართლის ყველა ნაციონალური სისტემა გააერთიანა საერთაშორისო სამართალში. „მე ვაერთიანებ საერთაშორისო სამართალს ერთი უნივერსალური სამართლის – ადამიანის საყოველთაო უფლებათა სამართლის ქვეშ, ვიყენებ რა კელზენ-მერკლის „საფეხუროვან“ თეორიას როგორც ფორმას. ამ ფორმის შინაარსი არის ადამიანის ბუნებითი უფლებები, რომლის რეფლექსიასა და ემანაციას უნდა წარმოადგენდეს საკანონმდებლო, პრეცედენტული თუ ჩვეულებითი სამართალი.“

უფლება ანიჭებს ამრს ადამიანის არსებობას პლანეტაზე.

ბოლოობა

ეს გამოკვლევა 2001 წლის 7 მაისს დაეასრულე. 11 სექტემბერს კი მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. არადა, 1993 წლის ბოლოს გელევიზიით განეაცხადე: „გაელენის სფეროების დღევანდელი გადანაწილება უდუნურია, მოჩვენებითია, რადგან აღმოსავლური „რენესანსი“ ისლამური ფუნდამენტალიზმის ფარაჯაში მარშით გაივლის მსოფლიოს. ამის პირველი და სერიოზული ნიშანი ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაა, უახლოეს მომავალში... ჩრდილო კავკასია და შემდეგ – 38-ე პარალელის გაყოფებით... თუ დასაველეთსა და რუსეთს სურთ, თავიე და ცივილიზაციაც გადაარჩინონ, მითუმეტეს რუსულ მესიანიზმს ამის პრეტენზია აქვს, მათ მთელი თავისი ძალისხმევა ფართო ფრონტით უნდა მიმართონ აღმოსავლეთის დეფუნდამენტალიზაციისაკენ და ქრისტიანული ქვეყნების კონსოლიდაციისაკენ, რადგან ქრისტიანობა ბედმეტად მიმტევებელი აღმოჩნდა“.

და მართლაც, აქციაშ დაბადა რეაქცია: 11 სექტემბერს აშშ, ისრაელის რასისტული რეჟიმის თავგამოდებული დამცველი, გახადა ენით გამოუთქმელი, ბარბაროსული აქტის სამიზნე 38-ე (!) პარალელზე, რამაც იმსხვერპლა რამდენიმე ათასი სრულიად უდანაშაულო ადამიანი. არადა, იგრძნობა, რომ კაცობრიობა ივიწყებს 11 სექტემბერს. ვაშინგტონი 38-ე პარალელზე მდებარეობს, ნიუ-იორკი იქვე; ჩრდილო და სამხრეთ კორეას შორის სამღვარი 38-ე პარალელზე გადის.

¹ იგივე წერილობით იხ. ბ. სავანელი, ბრძოლა უფლებისათვის, კრებულში: „სამართლის რეფორმა საქართველოში“, თბ., 1994, გვ. 23. იხ. Human Dimension of Pure Theory of Law by Prof. Ph. Dr. Savaneli Bizina, Eurolean Journal of International Law. Discussion Forum. 03/27/02 (7).

**სამოქალაქო სამართლებრივი
ს ე ქ ც ი ა**

დელიქტური ვალდებულებები სამოქალაქო სამართალში

სამოგალოებაში ჩვეულებრივი მოვლენა – ურთიერთმოქმედება აღამიანებისა ერთმანეთზე და ბუნებაზე უფრო და უფრო ინტენსიური ხდება, მისი შედეგების განჭვრეტა კი უმეტეს შემთხვევაში შეუძლებელია. ამ ურთიერთობების დროს ხშირად ადგება ზიანი პიროვნების მაგერიალურ თუ არამაგერიალურ სიკეთეს, ორგანიზაციებსა და სამოქალაქო სამართლის სხვა სუბიექტებს. ზიანი შეიძლება იყოს მოვლენათა შემთხვევითი თანწყობის, ბოროტი განზრახვის, გაუფრთხილებლობის ან დაუძლეველი ძალის შედეგი. მიუხედავად ამისა, ვინმემ უნდა იგვირთოს ამ შედეგების გამოსწორების ან ანაზღაურების ვალდებულება, მაგრამ ვინ? – ვისაც ზიანი მიადგა, ვინც ზიანი მიაყენა თუ ვინმე მესამე პირმა, რომელიც არც დაზარალებულია და არც ზიანის მიმყენებელი?

შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხის გადასაწყვეტად საკმარისი არ არის მხოლოდ ერთი სამართლებრივი ინსტიტუტის არსებობა (მაგ., დაზღვევა). მაქსიმალური სოციალური ეფექტის მისაღწევად აუცილებელია სხვადასხვა სამართლებრივი საშუალებების ურთიერთშეთავსება და ურთიერთქმედება, რომელთა შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დელიქტურ ვალდებულებებს (ლათ. delictum – სამართალდარღვევა).

„ზიანი“ სამოქალაქო სამართალში გულისხმობს ნებისმიერ არასასურველ ცვლილებას კანონით დაცული სიკეთისა, ანუ მასში მოიპოვება ფიზიკური ანდა იურიდიული პირის უფლების თუ კეთილდღეობის დამცირება, განადგურება და ა.შ.

ზიანი სამოქალაქო სამართალში შეიძლება წარმოიშვას, ერთი მხრივ, ერთ-ერთი მხარის მიერ ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებით, ან საერთოდ შეუსრულებლობით, მეორე მხრივ კი იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეებს ზიანის მიყენებამდე არ ჰქონდათ ვალდებულებითი ურთიერთობანი. ზიანის წარმოქმნისას სუბიექტის სხვადასხვა სამართლებრივი მდგომარეობისა და მისი ანაზღაურების ვალდებულების წარმოქმნის სხვადასხვა სამართლებრივი საფუძელის შესაბამისად, სამოქალაქო კანონმდებლობა განასხვავებს „სახელმეკრულებო“ და „არასახელმეკრულებო“ ზიანს. ვინაიდან ეს უკანასკნელი უშუალოდ სამართალდარღვევიდან (დელიქტიდან) წარმოიშობა, მას დელიქტურ ვალდებულებას უწოდებენ.

როგორც სახელმეკრულებო, ისე დელიქტური სამართალი მოწოდებულია, მოქალაქეთა ინტერესების შელახვით მიყენებული ზიანის სამართლიანი კომპენსაციის პრაქტიკა განახორციელოს. თუ სახელმეკრულებო სამართალი მოსარჩელეს მხოლოდ მოპასუხის მხრიდან სახელმეკრულებო ვალდებულებათა დარღვევისას აძლევს კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას, დელიქტური სამართალი პირიქით, ვრცელდება შემთხვევებზე, როდესაც „ინდივიდის ინტერესთა ზიანი მდგომარეობს არა იმდენად მიცემული სიტყვის მიმართ მოსარჩელის ნდობის გაცრუებაში სახელმეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობით პასუხისმგებლობის დარღვევის ვებით, არამედ მისი სხვა მრავალრიცხოვანი ინტერესის შელახვაში, როგორცაა ჯანმრთელობის დაზიანება ან რეპუტაციის შელახვა, მისი მოძრავი ან უძრავი ქონების დაზიანება ან სხვა ეკონომიკური სახის ზარალი“.¹ სხვაგვარად რომ ეთქვას, „არასახელმეკრულებოდ“ ითვლება ზიანი, რომელიც მიყენებულია ისეთი დარღვევის შედეგად, როდესაც მხარეებს არ ჰქონდათ ვალდებულებითი ურთიერთობები.

იურიდიულ ლიტერატურაში დელიქტური ვალდებულების აღსანიშნავად იხმარება ტერმინები: „სამართალდარღვევიდან წარმოშობილი ვალდებულებები“, „ნებადურთავი ქმედებისაგან წარმოშობილი ვალდებულებები“, თუმცა ეს ამ ინსტიტუტის შინაარსზე არ ახდენს არავითარ გავლენას და განისაზღვრება იმით, თუ მისთვის დამახასიათებელი რა ნიშანი გამოყოფილი დასახელებაში – ქმედების შედეგი (ზიანიდან წარმოშობილი ვალდებულება), ქმედების ხასიათი (სამართალდარღვევიდან, დელიქტიდან, ნებადურთავი ქმედებიდან წარმოშობილი ვალდებულება) ან ქმედება, განხორციელებული არასახელმეკრულებო ვალდებულებიდან (არასახელმეკრულებო ვალდებულება). მასთან, თითოეული დასახელებული ნიშანი თვისებრივად არ ასახავს ამ ვალდებულების არსს. მაგალითად, სახელმეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისას ასევე წარმოიშობა ზიანი, ხოლო თავად შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება ასევე წარმოადგენს სამართალდარღვევას. ლეგალური დეფინიცია შესაბამისი ვალდებულებისა არის „დელიქტური ვალდებულებანი“. უნდა ითქვას ისიც, რომ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ნორმები, რომლებიც არეგულირებენ არასახელმეკრულებო ვალდებულებებს, ვრცელდება ასევე ცალკეულ ვალდებულებებზე, რომლებიც წარმოიშობიან ხელმეკრულებიდან (მაგ., სამოქალაქო სამართლის კოდექსის 527-ე მუხლმა დელიქტური ვალდებულებების მარეგულირებელ ნორმებს დაუმორჩილა ჩუქების ხელმეკრულებიდან წარმოშობილი ურთიერთობა: იმ შემთხვევაში, თუ დასაჩუქრებულს მიაღდა ზიანი ნაჩუქარი ქონების ნაკლის გამო, თვით ზიანის მიყენების ფაქტი (კანონში მითითებული პირობების ერთობლიობით) სამართლის სპეციალური ნორმების საფუძველზე წარმოშობს მხარეებს შორის (დაზარალებული და ზიანის მიმყენებელი) სამართლებრივ ურთიერთობას.

¹ კ. ცვაიგერტი, პ. კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, გ. 2, თბ., 2000.

დამარალებული გვეყვინება როგორც კრედიტორი (მას აქვს მოთხოვნის უფლება), ხოლო მიანის მიმყენებელი – როგორც მოვალე (ვალდებული პირი), კრედიტორი შეიძლება იყოს ყოველი ფიზიკური და იურიდიული პირი, მოვალე კი მხოლოდ დელიქტუნარიანი პირი, ე.ი. პირი, რომელიც პასუხს აგებს თავისი ქმედებისათვის. დელიქტის დროს ვალდებულების წარმოშობის საფუძველია სავით მიანის მიყენების ფაქტი, რომელი ვალდებულების ძალითაც დამარალებულს უფლება აქვს, მოითხოვოს მიანის ანაზღაურება მიანის მიმყენებლისაგან.

ამ ვალდებულებებს შემდეგი ძირითადი ნიშნები ახასიათებთ:

ვალდებულებათა მოქმედების სფერო ვრცელდება როგორც ქონებრივ, ასევე პირად არაქონებრივ ურთიერთობებზე;

ვალდებულებანი აღმოცენდებიან აბსოლუტური ხასიათის მაგარებელი უფლებების დარღვევის შედეგად, იქნებიან ისინი ქონებრივი (უძრავ-მობრავი ქონება, საკუთრების უფლება და ა.შ.) თუ არაქონებრივი (სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ღირსება, პატივი და სხვ.) ხასიათის;

ეს ვალდებულებები აგარებენ არასახელშეკრულებო ხასიათს, ვინაიდან ისინი აღმოცენდებიან მხოლოდ აბსოლუტური უფლების დარღვევის შემდეგ. ვალდებულება მიმართულია დამარალებულისათვის მიანის სრული ანაზღაურებისაკენ, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მიანის ანაზღაურების ვალდებულება შეიძლება დაეკისროს არა მხოლოდ მიანის მიმყენებელს, არამედ სხვა პირებსაც (მაგ. პირს, რომლის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა დამარალებელი).

მიანის მიყენება შეიძლება როგორც აქტიური მოქმედებით, ისე უმოქმედობითაც. განსხვავებით მოქმედებისაგან, უმოქმედობა მართლსაწინააღმდეგოდ ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი მოქმედების განხორციელება შედიოდა მიანის მიმყენებლის ვალდებულებაში. უმოქმედობა, გამოხატული არასათანადო აღმრდით ან ზედამხედველობის განუხორციელებლობა მშობლის ან მეთვალყურეობაზე ვალდებული პირების მხრიდან საფუძველია მათთვის მიანის ანაზღაურების დაკისრებისა.

მიანი შეიძლება მიადგეს პირიყვნების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ან პირის ქონებას. სამართალდარღვევის მაგერიალური (ეკონომიკური) შედეგი (ქონების შემცირება), რომელსაც აქვს ღირებულებითი ფორმა, სამოქალაქო სამართალში იწოდება ქონებრივ მიანად.

ქონებრივი მიანი შეიძლება განისაზღვროს დამარალებულის მაგერიალური მდგომარეობით სამართალდარღვევაზე და მის შემდეგ. ქონებრივის გარდა, არსებობს მიანი მორალურიც, რომლის შინაარსია ადამიანის ფიზიკური ან სულიერი გრავმა, რომელსაც ფულადი ეკვივალენტი არ მოეძებნება. მისი ფულადი ანაზღაურების მოთხოვნა შეიძლება მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით (მორალური მიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის მე-18, 413-ე და 1005-ე მუხლები). თუ მორალური მიანი მიყენებულია ქონებრივ მიანთან ერთად, მაშინ ორივე უნდა ანაზღაურდეს, ხოლო თუ მხოლოდ მორალური მიანია მიყენებული,

მაშინ მისი ანაზღაურება მოხდება ქონებრივი ზიანის არსებობის მიუხედავად. წარმოშობის წყაროების მიხედვით, მაგერიალური და მორალური ზიანი არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. სიკეთე, რომლის ენებასაც ქონებივი ზიანი მოჰყვება, შეიძლება ქონება არ იყოს, ამ გერმინის იურიდიული გაგებით. შესაძლებელია, რომ მორალური სიკეთის ხელყოფამ გამოიწვიოს ქონებივი ზიანი (მაგ., ჯანმრთელობის დაზიანების შედეგად შრომისუნარიანობის დაქვეითება და შრომითი შემოსავლების შემცირება), ან პირიქით, მაგერიალური სიკეთის ხელყოფას მორალური ზიანის დადგომა მოჰყვეს (მაგ., ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის დაზიანებით ან დაღუპვით გამოწვეული გულისტკივილი).

ამდენად, სამოქალაქო სამართლის მიხედვით, ზიანის ბუნება იმაზე კი არ არის დამოკიდებული, თუ რა ხასიათის იყო სიკეთე, რომელიც ხელყოფის ობიექტი გახდა, არამედ იმაზე, მოეპოვება თუ არა ზიანის შედეგს ბუნებრივი, ფულადი ეკვივალენტი.

პირს ზიანის ანაზღაურება დაეკისრება, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები, კერძოდ, თუ სახეზეა ზიანი, თუ იგი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით. მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებელს მიუძღვის ბრალი. ამ პირობათა ერთობლიობა არის იურიდიული შემადგენლობა („გენერალური დელიქტი“). კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ზიანის მიმყენებელს შეიძლება დაეკისროს ვალდებულება, აანაზღაუროს იგი „გენერალური დელიქტის“ არარსებობის შემთხვევაშიც, კერძოდ კი, მის მოქმედებაში ბრალისა და მართლწინააღმდეგობის უქონლობის დროსაც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მარალის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია რამდენიმე პირობის არსებობა:

სახეზე უნდა იყოს თავად ზიანი. თუ არ არსებობს ზიანი, ანუ არ არის დარღვეული რაიმე უფლება, მაშინ აღნიშნული ვალდებულების აღმოცენებაზე საუბარიც კი ზედმეტია, ვინაიდან, თუ მარალი მიყენებული არ არის, ასანაზღაურებელიც არაფერია.

ქმედება უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო. იურიდიულ ლიტერატურაში მართლწინააღმდეგობის შესახებ არსებობს ორი პოზიცია: ერთის მომხრენი ამტკიცებენ, რომ თავად ფაქტი ზიანის მიყენებისა არღვევს კანონის საერთო აკრძალვას სხვა პირისათვის ზიანის მიყენების თაობაზე, ამიტომ ყველა ამგვარი მოქმედება უნდა შეფასდეს მართლსაწინააღმდეგოდ; მეორე მოსაზრების მომხრენი კი ამტკიცებენ, რომ მართლწინააღმდეგობა განისაზღვრება არა დაზარალებულის სუბიექტური უფლების დარღვევით, არამედ ობიექტური სამართლის ნორმის დარღვევით, ამასთან, ისეთი ნორმისა, რომელიც მიმართულია დაზარალებულის განსაზღვრული ინტერესის დაცვისაკენ.

კანონმდებლობით განისაზღვრება, ერთი მხრივ, მართლმომიერი მოქმედებით მიყენებული ზიანის შედეგები, და, მეორე მხრივ, არამართლმომიერი მოქმედებით მიყენებული ზარალის შედეგები. თვით ზიანის მიყენების ფაქტი (სამართალდარღვევა სუბიექტური ვაგებით) ყოველთვის არ

იწვევს მისი კომპენსაციის ვალდებულებას, ზარალი, რომელიც მიყენებულია მართლზომიერი მოქმედების შედეგად, საერთო წესის თანახმად, ანაზღაურებას არ ექვემდებარება, თუმცა შესაძლებელია ამ წესიდან გადახვევა, მხოლოდ კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში. სისხლის სამართლის კანონისაგან განსხვავებით, რომელიც გამორიცხავს პასუხისმგებლობას უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში ჩადენილი ქმედებისათვის, სამოქალაქო კანონი, როგორც წესი, ზიანის ანაზღაურებას აკისრებს იმას, ვინც მოქმედებდა უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში. საკითხის ასეთნაირად გადაწყვეტისას კანონი ითვალისწინებს იმას, რომ უკიდურესი აუცილებლობის დროს ინტერესების დაცვა, რომელსაც საფრთხე ემუქრება, მიიღწევა იმ პირის ინტერესების შელახვის ხარჯზე, რომელსაც არ შეუქმნია საფრთხე. ამიგომ არ იქნებოდა სამართლიანი ასეთი პირისათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წართმევა. ზოგჯერ პირი ზიანის მიყენებისას მოქმედებს არა თავისი, არამედ სხვისი ინტერესებისათვის. ამის გამო კანონი ადგენს, რომ იმ ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით, რომლებშიც მიყენებული იყო ზარალი, მისი ანაზღაურება შეიძლება დაეკისროს მესამე პირს, რომლის ინტერესებისათვისაც ზიანის მიმყენებელი მოქმედებდა, ანდა მილიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს ანაზღაურებისაგან, როგორც მესამე პირი, ისე ზარალის მიმყენებელი (სამოქალაქო კოდექსის 117-ე მუხლი). ზიანის მიყენების აუცილებლობა შეიძლება დადგეს ეპიდემიასთან ბრძოლის ან სხვა საგანგამო პირობების არსებობისას. ყველა ამ შემთხვევაში საუბარია ზარალის მიყენების უფლებამოსილებაზე. მასთან, ასეთი უფლებამოსილება დაიშვება უკიდურესი აუცილებლობის დროს და განსხვავებით უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის საერთო რეჟიმისაგან, სრულიად ათავისუფლებს პირს კომპენსაციის ვალდებულებისაგან;

არის კიდევ ერთი შემთხვევა, როდესაც დამზარალელების ქმედება მართლსაწინააღმდეგოდ არ ჩაითვლება და არ გამოიწვევს მის პასუხისმგებლობას. საუბარია ზიანის მიყენებაზე დამზარალელების თხოვნით ან მისი თანხმობით, იმ პირობით, თუ ზარალის მიმყენების ქმედება არ არღვევს საზოგადოების ზნეობრივ პრინციპებს (მაგ., არ შეიძლება ჩაითვალოს ზნეობრივად შესაკუთრის თანხმობით სახლისათვის ცეცხლის წაქიდება, თუ წამკიდებელმა იცის სახლის მესაკუთრის მიზნები სადამღვევო ანაზღაურების მიღების შესახებ).

დაიშვება, აგრეთვე, ადამიანის ორგანოების ან ქსოვილების გრანს-პლანგაცია მისივე თანხმობით, მაგრამ, ცხადია, ისეთი ორგანოების ამოღება, როგორცაა გული და ა.შ. – გამოიწვევს ღონორის სიკვდილს, არ შეიძლება ჩაითვალოს მართლზომიერ ქმედებად, რომელიც იწვევს ზიანის ანაზღაურებისაგან გათავისუფლებას. საქართველოში 2000 წლის 1 ივნისიდან მოქმედებს 2000 წლის 23 თებერლის კანონი „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“.

ზემოთ მოყვანილი მაგალითებისაგან განსხვავებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიყენებული ზიანის კომპენსაციის ვალდებულება

კი დგება ყველა შემთხვევაში, რაც გვაძლევს საფუძველს, ვამტკიცოთ: კანონმდებელი ემხრობა მართლწინააღმდეგობის შესახებ მეორე პოზიციას;

მიზეზობრივი კავშირის არსებობა ზიანის მიმყენებლის მოქმედებასა და ღამდგარ შედეგს შორის არის აუცილებელი პირობა ნებისმიერი იურიდიული პასუხისმგებლობისა, მათ შორის სამოქალაქოსიყ. პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ზიანის მიმყენებლის მოქმედება უსწრებს შედეგს დროში და თუ იგი მოგვეყვლინა პირდაპირ (არა ირიბ) და აუცილებელ (არა შემთხვევით) შედეგად დამაზარალებლის მოქმედებისა თუ უმოქმედობისა;

ზიანის მიმყენებლის ბრალი – თუ ზემოთ ჩამოთვლილი სამი ნიშანი ატარებს ობიექტურ ხასიათს, ეს უკანასკნელი ასახავს პიროვნების დამოკიდებულებას მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებისადმი, ანუ ატარებს წმინდა სუბიექტურ ხასიათს. სწორედ ქმედების სუბიექტური შეფასება განსაზღვრავს ბრალის ფორმებს: განზრახვასა და გაუფრთხილებლობას. არც ძველად მოქმედი და არც დღესდღეობით მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობა არ განსაზღვრავს ბრალის თითოეული ფორმის შინაარსს. ამ შემთხვევაში შესაძლებლობა გვეძლევა, ვისარგებლოთ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული განსაზღვრებით:

განზრახ დანაშაულად ითვლება ქმედება, რომელიც ჩადენილია პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრით.

ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას.

ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეყიდებოდა მის დადგომას.

გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულად ითვლება ქმედება, რომელიც ჩადენილია თვითიმედოვნებითა და დაუდევრობით.

ქმედება თვითიმედოვნებითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულების ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძველოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა.

ქმედება დაუდევრობითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულების ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდევ.

ზიანი, მიყენებული განზრახ ან გაუფრთხილებელი ქმედებით, ექვემდებარება ანაზღაურებას. მნიშვნელობა არა აქვს გაუფრთხილებლობის ფორმას, თუ დადგენილია პირის ბრალეულობა. ზიანის მიყენებით, იგი იწვევს ანაზღაურების ვალდებულებას დამაზარალებლისათვის მიყენებუ-

ლი ზიანისათვის. კანონი ითვალისწინებს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შემთხვევებსაც.

სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას ახასიათებს მისთვის დამახასიათებელი ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპი. ზიანის მიმყენებელი მიიჩნევა ბრალეულად, თუ არ დაამტკიცებს თავისი ბრალის არარსებობის ფაქტს. მის შესაბამისადვე ხდება მტკიცების გვირგვინის განაწილება დამარალებულსა და ზიანის მიმყენებელს შორის: დამარალებული, მიმართავს რა სასამართლოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, ვალდებულია დაამტკიცოს მისთვის ზიანის არსებობის ფაქტი, ასევე მიმეზობრივი კავშირის არსებობა ზიანის მიმყენებლის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. მოწინააღმდეგე მხარემ, თავის მხრივ, უნდა დაამტკიცოს მის ქმედებაში მართლწინააღმდეგობისა და ბრალის არარსებობა.

ზიანის კომპენსაციის მოვალეობა შეიძლება გამოიწვიოს დანაშაულმა ან ადმინისტრაციულმა გადაცდომამ, თუ მათ მიერ ვინმესათვის ზარალის მიყენება მოკვეა. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა მაშინაც დგება, როცა ჩადენილია დანაშაული და მაშინაც, როცა ქმედება დანაშაულის ნიშნებს არ შეიცავს. ამიგომ სისხლის სამართლის საქმეზე გამამართლებელი განაჩენის გამოგანა ყოველთვის არ არის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი. თუ ზიანი მიყენებულია ისეთი ქმედებით, რომელიც დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, მაშინ შეიძლება სახეზე იყოს სანქციათა კუმულაცია – დამნაშავეს ერთდროულად დაეკისრება სისხლისსამართლებრივი და სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ბრალის ფორმასა და ხარისხს სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დამარალებულის ბრალმა ხელი შეუწყო ზიანის წარმოშობას ან გაზრდას. მხედველობაში მიიღება დამარალებულის განზრახვა ან გაუფრთხილებლობა. ასეთ შემთხვევაში საკითხი შერეული ბრალის წესებით უნდა გადაწყდეს.

დამარალებულის განზრახვა, მიმართული ზიანის წარმოშობისაკენ, გამოირცხავს ზიანის მიმყენებლის ვალდებულებას, აანაზღაუროს ზიანი, უხეში გაუფრთხილებლობისას კომპენსაციის ოდენობა უნდა შემცირდეს, ან, შეიძლება, დამარალებულს საერთოდ უარი ეთქვას ზიანის ანაზღაურებაზე. აღსანიშნავია, რომ უხეში გაუფრთხილებლობის ცნება, მიუხედავად მისი არა მარტო დელიქტურ, არამედ სახელმეკრულებო პასუხისმგებლობის ფარგლებში გამოყენებისა, სამოქალაქო კანონმდებლობაში განმარტებული არ არის.

სამოქალაქო კანონში არსებობს ზოგადი წესი, რომლის მიხედვითაც ზიანის მიმყენებელმა სრულებით უნდა აანაზღაუროს ზარალი. იგი ვალდებულია, აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებული გარემოება (სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი). აღნიშნული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ ზიანი უნდა ანაზღაურდეს ნატურით, კერძოდ, განადგურებული ნივ-

თის სანაცვლოდ დაზარალებულს უნდა გადაეცეს იმავე გვარისა და ხარისხის ნივთი, ან მიანის მიმყენებლის მიერ აღდგენილ უნდა იქნეს დაზარალებული ნივთი და ა.შ. თუ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია, დაზარალებულს მიეცემა ფულადი ანაზღაურება.

რაც შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურების ეალდებულებას, ამას სამოქალაქო კოდექსი ძირითადად პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევას უკავშირებს. მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე, მაგრამ ეს მოთხოვნა მხოლოდ მოსარჩელის მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს გადასაწყვეტია. მორალური ზიანის ფულადი კომპენსაცია უნდა განხორციელდეს „გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით“ და, რა თქმა უნდა, ფულადი ანაზღაურება მორალური ზიანის ეკვივალენტი არ არის, მაგრამ ფულადი თანხის გადახდევინებას მორალურად დაზარალებულის სასარგებლოდ მანინგანსაზღვრული დაკმაყოფილების მნიშვნელობა აქვს.

მორალური ზიანის ანაზღაურების მართებულობა-უმართებულობის თაობაზე იურიდიულ ლიგერაგურაში საკმაოდ დიდხანს იყო გამართული სერიოზული დისკუსია. მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლიდა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურება დაუშვებელია, რასაც ძირითადად ასაბუთებდნენ იმით, რომ შეუძლებელია ადამიანის ჯაგვიისა და ღირსების, არამატერიალური უფლებების ფულით შეფასება, თუმცა 60-იანი წლებიდან იმპლავრა აზრმა მორალური ზიანის კომპენსაციის აუცილებლობის შესახებ. ყველაზე ფართოდ საკითხი ამგვარი ზიანის ანაზღაურების შესახებ დაისვა ს.ნ. ბრაგუსის მიერ.

მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე ზოგადი ნორმა საბოლოო ჯამში შემუშავდა და მოთავსდა არასახელშეკრულებო (დელიქტურ) ვალდებულებათა თავში, სადაც ჩაიღო ამ სახის ზიანის ანაზღაურების ძირითადი პრინციპები: მორალური ზიანი აუნაზღაურდება პირს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც იგი მიყენებულ იქნა მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული მოქმედებით; იგი ანაზღაურდება მატერიალური ფულადი ფორმით სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით; მორალური ზიანი ანაზღაურდება, მიუხედავად იმისა, დადგა თუ არა მორალურთან ერთად ქონებრივი ზიანი და ანაზღაურდება თუ არა ეს უკანასკნელი.

როგორც ყველა სამართლებრივ ინსტიტუტს, მორალურ ზიანსაც გააჩნია მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი:

ასეთი ზარალი აუნაზღაურდება პიროვნებას იმ შემთხვევაში, როცა იგი მიყენებულია მისი პირადი არაქონებრივი ან არამატერიალური სიკეთის დარღვევის შედეგად. ქონებრივი უფლებების დარღვევის შედეგად დამდგარი მორალური ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

მორალური ზიანის კომპენსაციის საფუძველი არის არა მხოლოდ ზიანის მიმყენებლის ბრალი. შესაძლოა ამგვარი ზარალის ანაზღაურების საკითხი ბრალის გარეშე დადგეს (მაგ., პიროვნების სიცოცხლისა და

ჯანმრთელობისათვის მომეგებული საფრთხის წყაროს მიერ მიყენებული ზიანი, პირის შეცდომით გასამართლება და ციხეში ჩასმა და ა.შ.).

მორალური ზიანის კომპენსაცია შესაძლებელია მხოლოდ ფულადი ფორმით.

მორალური ზიანი აღიარებულია მოქალაქეთა უფლებების დარღვევის ბუნებრივ თანამდევ შედეგად, რომელიც შეიძლება ანაზღაურდეს როგორც ქონებრივ ზარალთან ერთად, ისე მის გარეშეც. მაგ., მოქალაქეთა პატივისა და ღირსების შელახვისას ქონებრივი ზიანი არ დგება, მაგრამ მორალური ანაზღაურდება; პაციენტისათვის არასწორი დიაგნოზის დასმის შედეგად ხანგრძლივი მკურნალობის კურსის ჩატარების შემდეგ დგება როგორც მაგერიალური, ისე მორალური ზიანიც, რომლებიც ერთობლიობაში ექვემდებარებიან კომპენსაციას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დელიქტური ვალდებულებები შეიძლება განვსაზღვროთ როგორც არასახელშეკრულებო ვალდებულებანი, რომლებიც წარმოიშობიან დამარალებულის ქონებრივი ან პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევის შედეგად, ატარებენ აბსოლუტურ ხასიათს და მოწოდებულნი არიან, უზრუნველყონ ამ უფლებების მაქსიმალურად სრულად აღდგენა ზიანის მიმყენებლის ან სხვა პირთა ხარჯზე, რომლებსაც კანონით ეკისრებათ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

აპაპი ლაბარტყავა
იურიდიულ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

გარემოს საერთაშორისო სამართლებრივი დაცვის საკითხისათვის

ბუნებრივი გარემო, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა არსებობისათვის, ცხოველქმედებისათვის ბუნებრივი პირობების, ანუ ბიოლოგიური სფეროს შექმნას, თავად განიცდის ადამიანთა სამეურნეო და რეკრეაციული საქმიანობის შედეგად სერიოზულ უარყოფით ცვლილებებს, რომელნიც, პირველ რიგში, გამოიხატებიან ადამიანთა საბინადრო ბუნებრივი გარემოს პირობების გაუარესებით, კერძოდ, მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის, სიცოცხლისათვის საშიში, მანე ნივთიერებებით, ნარჩენებით და ბინძურებით, აგრეთვე ბუნებრივი ობიექტების, რესურსების დაზიანებით, გაფუჭებით, მათი მარაგების მკვეთრად შემცირებითა და გამოლევით.

ადამიანთა საქმიანობის შედეგად ბუნებრივი გარემოს დაზინძურების მასშტაბები არის მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, დიდი და, ამასთან ერთად, მას გააჩნია კიდევ უფრო გადილების, ზრდის ტენდენცია, აქედან გამომდინარე, და კიდევ იმის გამო, რომ ოკეანეებისა და ზღვების წყლებს, ატმოსფერულ ჰაერს არ გააჩნია სახელმწიფო საზღვრები, გარემომცველ გარემოზე საზიანო ზემოქმედებამ ერთ სახელმწიფოში შეიძლება მანე ზეგავლენა მოახდინოს სხვა სხელმწიფოს ან სახელმწიფოების ბუნებრივ გარემოზე, ამიტომ ბევრი შესაძლებელი მანე შედეგი /ჯანგბადის შემცირება, ოზონის დამცავი შრის დარღვევა, კლიმატის ცვლილებები და ა.შ./, თავიანთი ბუნებიდან გამომდინარე, იძენს პლანეტარულ ხასიათს. ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ საჭიროა და აუცილებელია ბუნებრივი გარემოს საერთაშორისო სამართლებრივი დაცვა და ამ სფეროში სახელმწიფოთა თანამშრომლობა. ცალკეულ სახელმწიფოთა ძალისხმევა თავიანთ ტერიტორიაზე გარემოს დაცვასთან დაკავშირებით აშკარად ნაკლებეფექტურია, არასაკმარისია ბუნებრივი გარემოს გლობალურად დაცვის უზრუნველსაყოფად, ვინაიდან ერთი ან რამდენიმე ქვეყნის ძალისხმევა ამ მიმართულებით არ არის საკმარისი, რამდენადაც მსოფლიო ოკეანეებმა, ატმოსფერულმა ჰაერმა, თევზებმა, და ზღვის სხვა ცხოველებმა, გარეულმა ფრინველებმა და ველურმა მცენარეებმა არ იციან სახელმწიფო საზღვრები. ჰაერის მასები გადაადგილდებიან დიდ მანძილზე, ძალიან ვრცელ ტერიტორიაზე, ამიტომ ერთი რომელიმე ქვეყნის ტერიტორიაზე დაზინძურებულმა ატმოსფერულმა ჰაერმა შეიძლება გამოიწვიოს სხვა, მეზობელი და არამეზობელი, ქვეყნების ატმოსფერული ჰაერის

და ბუნების ობიექტების /წყალი, გყე, მიწა/ მანე ნიეთიერებებით და-
ბინძურება, ამან კი მიანი მიაყენოს სხვა ქვეყნების მოსახლეობის ჯან-
მრთელობას. ზღვის ღინებებით ხდება ზღვის დამაბინძურებელი ნეთობ-
პროდუქტებისა და სხვა მანე ნიეთიერებების გადატანა, გადაადგილება
შორ მანძილზე, რის შედეგადაც შეიძლება მიანი მიადგეს სხვადასხვა
ქვეყნის პლაჟებს, კურორტებს, სანაპირო მეურნეობებს, მოხდეს მათი და-
ბინძურება, გაჭუჭყიანება და ა.შ.

მამასადამე, გარემომცველი გარემო, როგორც ეკოლოგიური სისტემა,
რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა ნორმალურ არსებობას, ცხოველ-
ქმელებას უკვე აშკარად განიცდის ადამიანური საქმიანობის შედეგად უდი-
დეს ცვლილებებს. ბუნებრივ გარემოში ასეთი ცვლილებების ვასაკონ-
გროლებლად, მათ შესაჩერებლად და თავიდან ასაცილებლად საჭირო და
აუცილებელია მსოფლიოს სახელმწიფოთა საერთო ძალისხმევა, ერთო-
ბლივი საქმიანობა, რათა არ მოხდეს საწარმოო, სამეურნეო საქმიანობის
შედეგად ბუნებრივ გარემოში უარყოფითი ცვლილებების საშიში ოდენო-
ბით ზრდა, ბუნებრივი გარემოსა და მისი შემადგენელი ბუნებრივი კომ-
პონენტების დაბინძურება გაუჭუჭება, განადგურება.

ბუნებრივი გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფოთა თანამშრომ-
ლობის სრულყოფისა და განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნე-
ლობა აქვს ისეთ პრინციპებს, რომლებიც მიმართულია გარემოს დაცვის
სფეროში სახელმწიფოთა თანამშრომლობის მოწესრიგებისაკენ, გაუმჯო-
ბესებისაკენ. ასეთი პრინციპებია: ბუნებრივი გარემოს დაცვა და გაუმჯო-
ბესება ადამიანთა ახლანდელი და მომავალ თაობათა ინტერესებიდან გა-
მომდინარე; ადამიანის უფლების დაცვა მისი ჯანმრთელობისათვის უენე-
ბელი გარემოს არსებობაზე; ბუნებრივი რესურსების რაციონალურად,
მეცნიერულად დასაბუთებულად გამოყენება; ბუნებრივი გარემოს ადამი-
ანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საშიში ნიეთიერებებით და-
ბინძურების თავიდან აცილება; ამ უკანასკნელი პრინციპებიდან გამომდი-
ნარეობს სახელმწიფოთა ვალდებულება, მიიღონ ზომები, რათა საკუთარ
გერიგორიამე განხორციელებული საქმიანობა არ იყოს სახელმწიფოს ან
სახელმწიფოების ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის გაუარესების მიზე-
ზი. ამასთან ერთად, გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფოთა საერთა-
შორისო თანამშრომლობის პრინციპის მნიშვნელობა გამოიხატება სახ-
ელმწიფოთა მიერ გარემომცველი გარემოს დაცვის პრობლემების ერთო-
ბლივად შესწავლით, ნაციონალური და საერთაშორისო მნიშვნელობის
ბუნებადაცვითი ღონისძიებების ეფექტიანობის ამაღლებით, ამ საკითხზე
ინფორმაციის გაცვლის გზით.

თანამედროვე პირობებში გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფოთა
საერთაშორისო თანამშრომლობა გამოიხატება იმით, რომ ფართოვდება
ამ სფეროში სახელმწიფოთა საქმიანობის გამოცდილების გაცვლა, გაზი-
არება, ყალკეულ სახელმწიფოთა მთაერობების საქმიანობის კოორდინა-
ცია. გარემოს დაცვის სფეროში საერთაშორისო საქმიანობის ამ მიმარ-
თულებას, მის სრულყოფასა და განვითარებას გააჩნია ძალიან დიდი
მნიშვნელობა, ვინაიდან გარემოს დაცვის საქმეში წარმატებები დამოკი-

დებულის, უპირველეს ყოვლისა, სწორედ გარემოს დაცვის ეფექტიანობაზე ცალკეულ ქვეყანაში. რამდენადაც კარგად იქნება ბუნებრივი გარემო დაუბინოებელი ცალკეული ქვეყნის ტერიტორიაზე, იმდენად უკეთესი იქნება გარემოს დაცვის მდგომარეობა მთელ მსოფლიოში.

გარემოს საერთაშორისო სამართლებრივი დაცვის სფეროში მსოფლიოს სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანი, მრავალმხრივი, ეფექტური თანამშრომლობის განხორციელების საფუძველს, გარანტიას წარმოადგენს გარემოს დაცვის საერთაშორისო ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, რომლებიც მიღებულია ბუნებრივი გარემოს უმთავრესი ელემენტების, ობიექტების /ხმელეთის ზედაპირი, მსოფლიო ოკეანე, ატმოსფერო, კოსმოსი, მცენარეთა და ცხოველთა სამყარო/ გამოყენების და დაცვის გამო.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა და ექცევა დღესაც ზღვისა და ოკეანის გარემოს, წყლის ცოცხალი ორგანიზმების არსებობისათვის და გამრავლებისათვის აუცილებელი ბუნებრივი პირობების დაცვის საკითხებს. ამასთან დაკავშირებით, 1972 წელს ხელმოწერილ იქნა კონვენცია ნარჩენებისა და სხვა მასალების ჩაყრით ზღვის დაბინძურების თავიდან აცილების შესახებ. კონვენცია მიზნად ისახავს ბრძოლას ზღვის გარემოს დაბინძურების, დაცვას დაბინძურების ნებისმიერი წყაროებიდან, ნარჩენებისა და სხვა მასალების ჩაყრისაგან, რომელიც საშიში იქნებოდა ადამიანთა ჯანმრთელობისათვის, ზღვის ცოცხალი რესურსებისათვის, დააზიანებდა დასვენების ზონებს და ხელს შეუშლიდა ზღვით სარგებლობის სხვა კანონიერ სახეობათა განხორციელებას. ასეთი შედეგების გამომწვევი ძირითადი მიზეზი იყო და რჩება ოკეანეებისა და ზღვების დაბინძურება ნავთობის პროდუქტებით. 1973 წელს ლონდონში მიღებულ იქნა ახალი საერთაშორისო კონვენცია, რომელიც ეხება ზღვებისა და ოკეანეების დაბინძურებას არა მარტო ნავთობით, არამედ სხვა მავნე ნივთიერებებით, აგრეთვე გემების ექსპლოატაციის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენებით. მსოფლიო ოკეანის დაცვისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს რეგიონალურ შესაბამის სამართლებრივ აქტებს, კერძოდ 1974 წელს პელსინკში მიღებულ კონვენციას ბალტიის ზღვის გარემოს დაცვასთან დაკავშირებით, აგრეთვე ხმელთაშუა ზღვაში მისი ბუნებრივი გარემოს დაცვის შესახებ 1976 წლის ბარსელონის კონვენციას, შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის კონვენციას, ხელმოწერილს შავი ზღვის ქვეყნების მიერ 1993 წელს. კონვენციის მიხედვით, ხელშეკრულების დამდები მხარეები, ანუ შავი ზღვის ქვეყნები, ინდივიდუალურად და ერთობლივად ახორციელებენ ყველა საჭირო ღონისძიებას იმისათვის, რომ შავი ზღვის გარემოს დაცვისა და შენარჩუნების მიზნით აღკვეთონ, შეამცირონ და კონტროლი გაუწიონ მის გაჭუჭყიანებას. კონვენციით განსაზღვრულია შავი ზღვის ქვეყნების თანამშრომლობა შავი ზღვის გარემოს დაცვისა და შენარჩუნების მიზნით სამეცნიერო კვლევის წარსამართავად. კონვენცია ითვალისწინებს შავი ზღვის ქვეყნების პასუხისმგებლობას შავი ზღვის გარემოს დაცვისა და შენარჩუნების საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისათვის. შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის კონ-

ვენცია რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 1993 წლის 11 მარტის დადგენილებით.

განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა გააჩნია საერთაშორისო ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებს ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების სფეროში, პირველ რიგში ცხოველთა იმ სახეობებისათვის, რომლებიც არიან მიგრირებადი. წყლის ფრინველთა დაცვისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხს ეხება 1971 წელს რამსარში/ირანი/ ხელმოწერილი, 1982 წლის პარიზის ოქმის შესწორებებით და 1987 წლის მონაწილე მხარეთა რეგინას კონფერენციის შესწორებებით კონვენცია – „საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარვისი გერიტორიების შესახებ“. კონვენციით ჭარბტენიან გერიტორიად ითვლება ჭაობები, ჭანჭრობები, გორფიანი ადგილები ან წყალსატევები ბუნებრივი თუ ხელოვნური, გამდინარე ან გაუმდინარე მდვის აკვატორიის ჩათვლით. კონვენცია საქართველოში ძალაშია საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 30 აპრილის №291 დადგენილებით.

აღსანიშნავია ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვაზე 1979 წელს ქ. ბონში ხელმოწერილი კონვენცია, რომლითაც გაცხადებულია, რომ ველური ცხოველები თავიანთი მრავალსახოვანი ფორმებით წარმოადგენენ დედამიწის ბუნებრივი სისტემების განუყოფელ ნაწილს, რომელთა დაცვა აუცილებელია აღამიანთა ამჟამინდელი და მომავალი თაობების საკეთილდღეოდ. კონვენცია ამახვილებს ყურადღებას ველურ ფრინველთა ისეთ სახეობებზე, რომლებიც მიგრირებადია, გადაკვეთენ სახელმწიფოთა საზღვრებს. აქედან გამომდინარე, ქვეყნები უნდა იყვნენ დამკვიდრები ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობებისა, რომლებიც ბინადრობენ მათი იურისდიქციის საზღვრებში, ან გადაკვეთენ მათ, რათა ველურ ცხოველთა მიგრირებადი სახეობები არ მივიდნენ გადაშენების პირას. აღნიშნული კონვენცია საქართველოში ძალაშია საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 11 თებერვლის № 186 დადგენილებით.

ცხოველთა სამყაროს დაცვა და რაციონალურად გამოყენება ვარკვეულწილად დამოკიდებულია ამ სფეროში საერთაშორისო ვაჭრობაზეც. აქედან გამომდინარე, 1973 წლის მარტში ვაშინგტონში ხელი მოეწერა საერთაშორისო კონვენციას „ველური ფაუნისა და ფლორის იშვიათ სახეობათა ვაჭრობის შესახებ“. ამ საკითხს ეხება და არეგულირებს 1996 წლის 12 დეკემბრის კონვენცია „გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის თაობაზე“. როგორც კონვენციის სათაურიდან ჩანს, იგი ეხება ველური ფლორისა და ფაუნის გადაშენების პირას მყოფ სახეობებს, რომლებითაც ვაჭრობა არახელსაყრელ გავლენას ახდენს, ან შეიძლება მოახდინოს მათ არსებობაზე, აქედან გამომდინარე, კონვენცია მოითხოვს ამ სახეობებით ვაჭრობის მკაცრად რეგულირებას და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, რათა შემდგომში საშიშროება არ შეექმნას მათ გადარჩენას. კონვენციით განსაზღვრულია გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის წესი და პირობები, მათი დარღვევისათვის პასუ-

ხისმგებლობის საკითხები. აღნიშნული კონვენცია საქართველოში ძალაშია 1996 წლის 12 დეკემბრიდან.

გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია 1993 წლის კონვენცია „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“. ბიომრავალფეროვნება – ეს არის ცოცხალი ორგანიზმების მრავალსახეობა, სმელეთის, მღვისა და წყლის ეკოსისტემები და ეკოლოგიური კომპლექსები, რომელთა დაცვა და შენარჩუნება, კონვენციის მიხედვით, მთელი კაცობრიობის საერთო ამოცანაა, ვინაიდან ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებას და თანაბარზომიერ გამოყენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს დედამიწის მზარდი მოსახლეობის მოთხოვნილება კვების პროდუქტებზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, აგრეთვე სხვა /კულტურული, ესთეტიკური/ მოთხოვნილებანი, ამდენად, კონვენციის მიზანს წარმოადგენს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება, მისი კომპონენტების თანაბარზომიერი გამოყენება. კონვენცია „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ საქართველოში ძალაშია საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 21 აპრილის დადგენილებით.

აგმოსფერული ჰაერის, როგორც ბიოსფეროს ანუ სიცოცხლისათვის აუცილებელი სფეროს, უპირველესი კომპონენტის დაცვის საკითხი ყოველთვის იყო საფიქრალი და საზრუნავი ადამიანებისა, სახელმწიფოებისა. ჯერ კიდევ 1964 წელს საფრანგეთში გაიმართა ევროპის კონფერენცია აგმოსფერული ჰაერის დაბინძურების საკითხებზე. აღსანიშნავია 1979 წელს ქ. ვენეციაში მიღებული კონვენცია „შორ მანძილზე ჰაერის გრანსასაზღვრო დაბინძურების შესახებ“. კონვენციაში მოცემულია ტერმინის – „ჰაერის დაბინძურება“ – განმარტება, რომ იგი ნიშნავს ჰაერში ადამიანის მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ ნივთიერებების ან ენერჯის შეყვანას, რაც შედეგად იწვევს ისეთი სახის უარყოფით მოვლენას, როგორცაა: ადამიანის ჯანმრთელობის საფრთხეში ჩაგდება, ზიანის მიყენება ცოცხალი რესურსებისათვის, ეკოსისტემებისადმი და მატერიალური ღირებულებებისადმი. კონვენციით შორ მანძილზე ჰაერის გრანსასაზღვრო დაბინძურება ნიშნავს ჰაერის ისეთ დაბინძურებას, რომლის ფიზიკური წყარო მდებარეობს მთლიანად ან ნაწილობრივ ერთი ქვეყნის ეროვნული იურისდიქციის გავრცელების არეში და ახდენს უარყოფით გავლენას სხვა ქვეყნის იურისდიქციის გავრცელების არეზე. კონვენცია საქართველოში ძალაშია 1999 წლის 13 ნოემბრიდან.

აგმოსფერული ჰაერის დაცვასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ხელოვნური ზემოქმედება კლიმატსა და ამინდის პირობებზე. ამინდზე აღნიშნული ზემოქმედება ხორციელდება მისი მართვის მიზნით და იგი გამოიხატება, ვლინდება ნისლის, სააუდრო ღრუბლის გაფანტვით, სეკცეის მოსვლის თავიდან აცილებით, ხელოვნური წვიმის მოყვანით და ა.შ., მაგრამ ასეთი მოვლენები, ღონისძიებები ზოგჯერ უარყოფით შედეგებსაც იწვევს, რომლებიც თავს იჩენენ აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელების ადგილიდან მნიშვნელოვნად მოშორებულ ტერიტორიაზე და შე-

იძლება ზიანი მიაყენოს შემობელ სახელმწიფოებს და გახდეს მიზეზი საერთაშორისო კონფლიქტებისა.

კლიმატზე ხელოვნური ზემოქმედების, ამით გამოწვეული უარყოფითი შედეგების თავიდან აცილებას ეხება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1992 წლის 9 მაისის /ნიუ-იორკ/ „საერთო კონვენცია კლიმატის ცვლილებების შესახებ“, რომელშიც აღნიშნულია, რომ აღამიანთა მოღვაწეობის შედეგად მოხდა სათბურის აირების კონცენტრაციის მნიშვნელოვანი ზრდა ატმოსფეროში, რომ ასეთი ზრდა აძლიერებს სათბურის ბუნებრივ ეფექტს და რომ ეს გამოიწვევს დედამიწის ზედაპირისა და ატმოსფეროს დამატებით გათბობას, რასაც შეუძლია მოახდინოს არახელსაყრელი ზემოქმედება ბუნებრივ ეკოსისტემებსა და კაცობრიობაზე. ამასთან ერთად, კონვენციაში მითითებულია, რომ სათბურის აირების გლობალური გამონაბოლქვების უმეტესი წილი მოდის განვითარებულ ქვეყნებზე. აქედან გამომდინარე, ასეთმა სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ არარეგულირებადი სათბურის აირების გამონაბოლქვის შემცირების, შემცირების ან შეწყვეტის განმაპირობებელი გექნოლოგიების, მეთოდებისა და პროცესების შემუშავებაში, გამოყენებაში, გავრცელებასა და გადაცემაში ყველა შესაბამის სექტორში, მათ შორის ენერგეტიკაში, ტრანსპორტში, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, საცხოვრო მეურნეობასა და ნარჩენების მოცილებაში.

გარემოს საერთაშორისო სამართლებრივი დაცვის განხორციელების საქმეში საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლებრივი აქტების განსაკუთრებულ როლთან ერთად, ძალიან დიდია საერთაშორისო, როგორც საერთო ისე გარემოსდაცვითი, ორგანიზაციების საქმიანობის მნიშვნელობა. პირველ რიგში აღსანიშნავია გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. იგი არის უნივერსალური სამთავრობათაშორისო საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 1945 წლის 24 ოქტომბერს სუეერუნულ სახელმწიფოთა ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვისა და განმტკიცების მიზნით, აგრეთვე ქვეყნებისა და ხალხების მშვიდობიანი ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებისათვის.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა და კიდევ ბევრს, მნიშვნელოვანს გააკეთებს, გარემოს საერთაშორისო დაცვის სფეროში თავის XVII კონფერენციაზე /1949წ/ მიიღო რეზოლუცია „ეკონომიკური განვითარება და ბუნების დაცვა“, რომლის მიხედვით, ბუნებრივი რესურსების დაცვა, შენარჩუნება, აღდგენა, გამდიდრება, რაციონალურად გამოყენება ეკონომიკური განვითარების პროცესში წარმოადგენდა ყველა სახელმწიფოს უპირველეს მოვალეობას. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მცენიერებისა და ტექნიკის განვითარების გამო წარმოების სხვადასხვა დარგების: მრეწველობა, შავი და ფერადი ქეჩა-ლურჯია, ქიმიური მრეწველობა, ტრანსპორტი, სამხედრო მრეწველობა და ა.შ. სწრაფი ტემპებითა და ფართო მასშტაბებით განვითარების შედეგად სხვადასხვა სახის მავნე ნარჩენებით, ნივთიერებებით გარემოს დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, 1972 წელს ქ. სტოკჰოლმში /შვე-

ცია/ გარემოს დაცვის შესახებ კონფერენციამ შეიმუშავა და მიიღო მთელი რიგი გარემოსდაცვითი მნიშვნელოვანი დოკუმენტებისა, კერძოდ: დეკლარაცია ადამიანის გარემომცველი გარემოს შესახებ და მოქმედების გეგმა, მიმართული მსოფლიოს ყველა ქვეყნის მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი. დეკლარაციის მრავალრიცხოვან რეკომენდაციებს შორის აღსანიშნავია ბუნების დაცვითი პოლიტიკის ხელმძღვანელობისათვის ახალი სამთავრობათაშორისო ორგანოს შექმნის, აგრეთვე გარემომცველი გარემოს დაცვის საერთაშორისო ფულადი ფონდისა და საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტოკჰოლმის კონფერენციის გადაწყვეტილებით შექმნა საერთაშორისო გარემოს მონიტორინგის გლობალური სისტემა, რომლის მიზანია, უზრუნველყოს დაინტერესებული ეროვნული და საერთაშორისო გარემოსდაცვითი ორგანიზაციები გარემომცველ გარემოში ბუნებრივი მოვლენებითა /წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი, ქარიშხალი და სხვა/ და ადამიანთა საქმიანობის შედეგად მომხდარი ცვლილებების შესახებ შესაბამისი ინფორმაციებითა და მასალებით. კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი, დაკავშირებული გარემოს დაცვის საკითხებზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტოკჰოლმის კონფერენციასთან, რომლის წინადადებით, მოყოლებული 1972 წლიდან, 5 ივნისს ყველა ქვეყანაში აღინიშნება გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე, ყველა ადამიანისათვის, მათი ჯანმრთელობისა და ღლეგრძელი ცხოვრებისათვის მეტად მნიშვნელოვანი დღე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია კაცობრიობისათვის თავის მეტად მნიშვნელოვან და ფართო საქმიანობას განახორციელებს მის მიერ შექმნილი საერთაშორისო და რეგიონალური სპეციალური ორგანიზაციების, ორგანოებისა და სხვა სამსახურების მეშვეობით, რომელთა შორის პირველად უნდა დასახელდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პროგრამა გარემომცველი გარემოს შესახებ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პროგრამის ძირითადი მიზანია ადამიანის ჯანმრთელობისა და მისი გარემომცველი გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება. მიწის, ნიადაგის, წყლების, ტროპიკული ტყის სავარგულების, ლანდშაფტების, გადაშენების პირას მისული ცხოველების ეკოსისტემათა შესწავლა. პროგრამა ხელს უწყობს უნივერსალური და რეგიონალური კონვენციების შემუშავებას ზღვის გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა და პრინციპების შესახებ, ზღვის ცოცხალი რესურსების დაცვისა და რაციონალურად გამოყენების თაობაზე. პროგრამის საქმიანობის უმთავრესი სფეროა გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი ახალი ნორმების შემუშავება და არსებული ნორმების კოდიფიკაცია, გარემოზე ზიანის მიყენებისათვის სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის პრინციპების შემუშავება და სხვა.

მეტად მნიშვნელოვანია გარემოს საერთაშორისო დაცვისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ისეთი დაწესებულების საქმიანობა, როგორცაა „ორგანიზაცია განათლების, მეცნიერების და კულტურის საკითხებზე“, რომელიც ძალიან რთული, მრავალსახოვანი მოღვაწეობის

პროცესში ეწევა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, საერთაშორისო მასშტაბით გარემომცველი გარემოს დაცვის საკითხებზე, პრობლემებზე. მის მიერ ჩატარებულია ფუნდამენტური გამოკვლევები გარემოს დაცვის შესახებ დედამიწის დაშრობილ და გროპიკულ რაიონებში და სხვა. აღნიშნულ ორგანიზაციაში შექმნილია სამთავრობათაშორისო ოკეანეგრაფიული კომისია. ორგანიზაცია ხელს უწყობს მსოფლიოში ბუნების ძეგლების დაცვის პროგრამების განხორციელებას, მოსახლეობის აღზრდასა და განათლებას ბუნებისადმი ფრთხილად მოპყრობის, დაცვის სულისკვეთებით. სწორედ გარემოს დაცვისათვის ამ მეტად მნიშვნელოვან პრობლემასთან დაკავშირებით განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ 1977 წლის 14-26 ოქტომბერს ქ. თბილისში ჩაატარა საერთაშორისო კონფერენცია გარემოს დაცვის სფეროში განათლების შესახებ. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა 68 ქვეყნის დელეგაცია და 21 საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები. კონფერენციამ მოიწონა დეკლარაცია და მრავალი რეკომენდაცია გარემოს დაცვის სფეროში. განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ განხორციელებულია მთელი რიგი მსხვილი გარემოსდაცვითი საერთაშორისო მასშტაბის სამეცნიერო პროგრამებისა, დაკავშირებული გარემოს დაცვის საკითხებთან.

გარემოსდაცვით საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის აღსანიშნავია „ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის საერთაშორისო კავშირი“, რომელიც შეიქმნა 1948 წელს. ამ ორგანიზაციას გააჩნია თავისი უფლებრივი მდგომარეობის განმსაზღვრელი სამართლებრივი აქტი – წესდება, რომლის მიხედვით, ორგანიზაცია ხელს უწყობს თანამშრომლობას ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის საკითხებთან დაკავშირებით სახელმწიფოთა მთავრობებს, რაციონალურ და საერთაშორისო ორგანიზაციებს, აგრეთვე ცალკეულ პირებს შორის, რომლებიც დაკავებულნი არიან გარემოს დაცვის საკითხებით. აღნიშნულ საქმიანობას „ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის საერთაშორისო მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ღონისძიებების განხორციელებით. კავშირის მიერ მთელი ყურადღება და ძალისხმევა მიმართულია განსაკუთრებულად ძვირფასი ბუნებრივი ობიექტების, საფრთხის წინაშე, გადაშენების პირას მისული მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნების სხვა ღირსშესანიშნაობათა დაცვის საკითხებზე. ამ მიმართულებით კავშირის მიერ განხორციელებულია მთელი რიგი მეტად საჭირო და სასარგებლო ღონისძიებებისა. მათ შორის აღსანიშნავია: საერთაშორისო კონვენციის პროექტის მომზადება, წყალტბობიანი სავარგულების დაცვის შესახებ, უბედურების მდგომარეობაში მყოფი ცხოველთა და მცენარეთა სახეობების საერთაშორისო ეაჭრობის ორგანიზაციის შესახებ და სხვა.

ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს, რომელიც შეიქმნა 1957 წელს, უპირველესი ამოცანაა, ატომური მასალების გამოყენებასა და დაყვამე უსაფრთხოების წესების შემუშავება და ამ წესების დაცვაზე მკაერი კონტროლის განხორციელება. ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო განახორციელებს მის მიერ შემუშავებულ პროგრამას „ბირ-

თველი, ატომური უსაფრთხოება, უშიშროება და გარემომცველი გარემოს დაცვა“. ამ პროგრამის მიზანი, ამოცანაა ატომური, ბირთვული ენერჯის გამოყენება, კაცობრიობისა და გარემომცველი გარემოს დაცვა ბირთვული რადიაციისაგან, რადიაქტიური, ატომური დანადგარების რადიაქტიური და არარადიაქტიური ნარჩენებისაგან. სააგენტოს მეგად აქტიური საქმიანობის შედეგად განხორციელდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ადამიანის სიცოცხლისათვის, გარემოსათვის სახიფათო, სამიში ბირთვული რეაქტორების და სხვა ობიექტების ფუნქციონირების შეჩერება, აგრეთვე ცალკეულ შემთხვევაში ასეთი ობიექტების საქმიანობის საერთოდ შეწყვეტა.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოთა ნაციონალური გარემოსდაცვითი საქმიანობის გაძლიერებასთან ერთად ფართოვდება, იზრდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სხვა სამთავრობათაშორისო და არასამთავრობათაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს საქმიანობა გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გლობალური პრობლემების გადასაწყვეტად.

ლიზინგის სამართლებრივი რეპულირება

ლიზინგის ხელშეკრულება, როგორც ეკონომიკაში ფულადი სახსრების ინვესტირების ახალი ფორმა, წარმოიშვა მეცხრამეტე საუკუნის 50-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში, დასაყვლით ევროპის ქვეყნებში კი მეოცე საუკუნის შუა წლებში. ლიზინგი – „ლიიზ“ – ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს ქონების გადაცემას დროებით, განსაზღვრული ვადით.

ლიზინგის ფართოდ გამოყენება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასაყვლით ევროპის ქვეყნებში გამოიწვია სარკინიგზო გრანსპორტის განვითარებამ. მიმღები ორგანიზაციების თხოვნით, საფინანსო კომპანიებმა დაიწყეს სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა საჭირო მოწყობილობების შეძენა მწარმოებლებისაგან, შემდგომში მათთვის ამ ქონების იჯარით გადაცემის მიზნით. სწორედ ამ პერიოდში წარმოიშენეს პირველი სალიზინგო კომპანიები, რომლებშიც მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების კომერციული ბანკები. ანალოგიური პროცესები განვითარდა დასაყვლით ევროპასა და იაპონიაში.

ამჟამად ლიზინგის ხელშეკრულება პრაქტიკულად გამოიყენება თითქმის ყველა ქვეყანაში. ზოგან მიიღეს სპეციალური ნორმატიული აქტები, რომლებიც აწესრიგებენ სალიზინგო ურთიერთობებს (მაგალითად, საფრანგეთმა მიიღო სპეციალური კანონი 1966 წლის 2 ივლისს, ინგლისმა – 1965 წელს და ა.შ.). ამ ქვეყნებიდან უმრავლესობაში ლიზინგს განიხილავენ როგორც იჯარის ხელშეკრულების ნაირსახეობას და ამიტომაც იგი მოწესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმებით, რომლებიც სახელშეკრულებო სამართლის თავშია მოცემული, ზოგიერთ ქვეყანაში კი, სადაც არ არის სპეციალური საკანონმდებლო ნორმები, ლიზინგი აისახა სასამართლო პრაქტიკაში (მაგალითად, გერმანია, იაპონია და ა.შ.).

ეკონომიკურ ლიგერატურაში ფართოდ გაერყელდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ლიზინგს აქვს არსებობის ათასწლოვანი ისტორია. სწავლული ეკონომისტები ლიზინგის კვალს პოულობენ ჯერ კიდევ ძველი შუმერის სახელმწიფოში (ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე ათასწლეული) და ხამურაბის კანონებში (1792-1750 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე), ასევე მიიჩნევენ, რომ იუსტინიანეს ინსტიტუციებში (483-565 წწ.) განხორციელდა იმ ნორმათა კოდიფიკაცია, რომლებიც აწესრიგებდნენ სალიზინგო ურთიერთობებს. თუმცა ეს მოსაზრება არასწორია, რამეთუ ეკონომისტები ლიზინგად მიიჩნევენ ისტორიულ დოკუმენტებში იმ ურთიერთობებს, რომლებიც

სინამდვილეში იყო იჯარის (ქონების ქირავნობის) ურთიერთობები და უფრო მეტიც, ლიზინგად მიიჩნევენ ყველა იმ ქონებრივ ურთიერთობას, რომლებიც დაკავშირებულია ქონების დროებით მფლობელობასთან (ეს მცდარი მოსაზრება დაკავშირებულია ლიზინგის არსის არასწორ გაგებასა და იჯარის ხელშეკრულებასთან მის გაიგივებასთან)¹.

ქვეყანათა მთელი რიგის მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს იმ სპეციფიკურ ნიშნებს, რითაც ლიზინგის ხელშეკრულება განიხილება როგორც იჯარის ხელშეკრულების ნაირსახეობა. მაგალითად, აშშ-ის ერთიანი სავაჭრო კოდექსის 2-ა – 103-ე მუხლში მოცემულია ლიზინგის ხელშეკრულების, როგორც ხელშეკრულების ერთ-ერთი ნაირსახეობის, დამახასიათებელი ნიშნები. ლიზინგი – ეს არის ისეთი იჯარა, როდესაც მეიჯარე არ აწარმოებს, არ ირჩევს ან არ აწვდის ქონებას, არამედ იძენს მას, ანდა მისი მფლობელობისა და სარგებლობის უფლებას იჯარის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. ამასთან, ხდება ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა: ა) მოიჯარე ღებულობს ხელშეკრულების ასლს, რომლის მიხედვითაც მეიჯარემ შეიძინა ქონება, ანდა მიიღო ამ ქონების მფლობელობისა და სარგებლობის უფლება იჯარის ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტამდე; ბ) მოიჯარის მიერ იმ ხელშეკრულების მოწონება, რომლითაც მეიჯარემ შეიძინა ქონება, ანდა მიიღო ამ ქონების მფლობელობისა და სარგებლობის უფლება, წარმოადგენს იჯარის ხელშეკრულების დადების არსებით პირობას; გ) მოიჯარე იჯარის ხელშეკრულების ხელმოწერამდე ღებულობს სრულ ინფორმაციას იმ უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ, რომლებიც მეიჯარეს მიანიჭა მომწოდებელმა იმ კონტრაქტით, რომლის თანახმადაც მეიჯარემ შეიძინა ქონება, ანდა მიიღო ამ ქონების მფლობელობის ან სარგებლობის უფლება; დ) თუკი იჯარა არ წარმოადგენს სამომხმარებლო ხელშეკრულებას, მეიჯარემ, სანამ მოიჯარე ხელს მოაწერს იჯარის ხელშეკრულებას, წერილობითი ფორმით უნდა მიუთითოს მოიჯარეს ის პირი, ვისგანაც მეიჯარე ღებულობს ქონებას, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც თვითონ მოიჯარემ შეარჩია ქონების მიმწოდებელი და მიანიჭა მეიჯარეს უფლება, შეეძინა მოცემული პირისაგან ქონება, ანდა ამ ქონების მფლობელობის ან სარგებლობის უფლება².

რაც შეეხება კვებეკის სამოქალაქო კოდექსს (ძალაში შევიდა 1994 წლის იანვარში), რომელშიც შერწყმულია როგორც საერთო, ისე კონტინენტური სამართლის სისტემები, იგი ლიზინგს განიხილავს როგორც სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულების ცალკეულ სახეს (ქონების ქირავნობის ხელშეკრულებასთან ერთად) და უთმობს მას ცალკე მესამე თავს – „ლიზინგი“. მუხლი 1842-1850. აღნიშნული კოდექსის თანახმად, ლიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის გამცემი გადასცემს მოძრავ ქონებას ლიზინგის მიმღებს განსაზღვრული ვადით სასყიდლიან სარგებლობაში. ლიზინგის გამცემი ლიზინგის ხელშეკრულების საგანს იძენს მესამე პირი-

¹ Газман В.Д., Лизинг: теория, практика, комментарии, М., 1997.

² Единый торговый кодекс США, М., 1998.

საგან ლიზინგის მიმღების მოთხოვნითა და მისი მითითების შესაბამისად. ლიზინგის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ სამეწარმეო მიზნებისათვის. ლიზინგის ხელშეკრულების საგანი, თუნდაც იგი დაკავშირებული იყოს უძრავი ქონებასთან, ანდა მასთან იყოს მიერთებული, ინარჩუნებს მოძრავი ქონების ხასიათს ლიზინგის ხელშეკრულების მთელი მოქმედების მანძილზე, თუკი იგი არ კარგავს თავის ინდივიდუალურობას. ლიზინგის ხელშეკრულების არსებობის შესახებ ლიზინგის გამცემმა უნდა აღნიშნოს ქონების ნასყიდობის დოკუმენტებში. ამასთან ერთად, ნასყიდობის ხელშეკრულებით ქონების გამყიდველი უშუალოდ აგებს პასუხს ლიზინგის მიმღების წინაშე იმ კანონისმიერი და სახელშეკრულებო გარანტიებისათვის, რომელნიც დამახასიათებელია ნასყიდობის ხელშეკრულებისათვის. ლიზინგის მიმღების მფლობელობაში ქონების გადაცემის მომენტიდან მასზე გადადის ქონების დაღუპვის რისკი, მათ შორის შემთხვევითი დაღუპვის რისკიც. ასევე ლიზინგის მიმღებზე გადადის ქონების მოვლისა და შეკეთების ხარჯების გაღების ვალდებულებაც. იმ შემთხვევაში, თუკი ლიზინგის მიმღებს არ გადაეცა ქონება ხელშეკრულების დადების შემდეგ გონივრულ ვადაში, ანდა ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში, ლიზინგის მიმღებს შეუძლია, მოითხოვოს ლიზინგის ხელშეკრულების გაუქმება. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ლიზინგის მიმღები ვალდებულია, უკან დაუბრუნოს ლიზინგის გამცემს ქონება, თუკი იგი არ გამოიყენებს ქონების შექენის უფლებას (ასეთი უფლება შეიძლება ლიზინგის ხელშეკრულებით მიენიჭოს ლიზინგის მიმღებს).

აღსანიშნავია, რომ კონტინენტური სამართლის სისტემის ქვეყნების კანონმდებლობაში სალიზინგო ურთიერთობების მომწესრიგებელი ხელშეკრულებები აღნიშნულია სხვადასხვა ტერმინით. ასე მაგალითად, ლიზინგი მოგჯერ განიხილება როგორც „იჯარა-კრედიტი“, რომლის არსისაა, რომ ლიზინგის გამცემი გადასცემს ლიზინგის მიმღებს მატერიალურ ფასეულობებს დროებითი სარგებლობისათვის, ლიზინგის მიმღები კი ვალდებულია, აუნაზღაუროს ლიზინგის გამცემს მომსახურების ღირებულება და გადაუხადოს კრედიტის პროცენტი. მაგალითად, ფრანგულ კანონმდებლობაში აისახა ისეთი ხელშეკრულება, როგორცაა „იჯარა-კრედიტი“, რომელიც მოიცავს როგორც ქონების ქირავნობის ელემენტებს, ასევე საკრედიტო ურთიერთობების ელემენტებსაც და განიხილება ლიზინგის სპეციფიკურ სახედ. „იჯარა-კრედიტის“ ხელშეკრულების საფუძველზე პირობაა მოიჯარისათვის (ლიზინგის მიმღებისათვის) იჯარით გადაცემული ქონების შექენის უფლების მინიჭება. ბელგიის კანონმდებლობაში გამოიყენება როგორც ტერმინი „ქონების ქირავნობის-ფინანსირების ხელშეკრულება“ (location financement), ასევე ტერმინი „იჯარა“ (leasing)².

უცხოური კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე იურიდიულ ლიტერატურაში გამოყოფენ ლიზინგის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ თავისებურებებს:

¹ Гражданский кодекс Квебека, пер. с англ. и фр., М., 1999.

² Харитоновна Ю.С., Финансовая аренда (Лизинг), М., 1998.

ა) განსხვავებით ჩვეულებრივი იჯარისაგან (ქონების ქირავნობისაგან), ლიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის მიმღებს სარგებლობაში გადაეცემა ტექნიკური ობიექტი, რომელიც სპეციალურად იქნა შექმნილი, ანდა დამზადებული ლიზინგის მიმღებისათვის სალიზინგო ფირმის (ლიზინგის გამცემის) მიერ, მისი თხოვნით;

ბ) ლიზინგის ხელშეკრულება, როგორც წესი, იდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული განსაზღვრული ვადით. ამასთან, ლიზინგის გადაცემა ხდება ხანგრძლივი დროით, ხშირად ეფექტური სამსახურის მთელი დროით;

გ) ლიზინგით გადაცემული მოწყობილობების (ლიზინგის საგნის) სარგებლობისათვის გადახდილი სალიზინგო საზღაურის მთლიანი ჯამი მოიცავს საგნის მთლიან ღირებულებას (ფასს) ამორტიზაციის გათვალისწინებით, სალიზინგო საზღაურის თანხას და აგრეთვე ლიზინგის გამცემის მომსახურების ანაზღაურებას. ამგვარად, სალიზინგო საზღაურის მოცულობა უნდა აღემატებოდეს ლიზინგის საგნის გასაყიდ ღირებულებას, ხოლო სხვაობა კი არის ლიზინგის გამცემის მოგება (შემოსავალი). ამასთან ერთად, ქერიოდული გადასახდელების ოდენობა, წესი და ვადები ლიზინგის ხელშეკრულებაში განისაზღვრება იმგვარად, რომ ლიზინგის გამცემის მიერ გაწეული ხარჯები ქონების შექმნასთან დაკავშირებით ამ უკანასკნელს აუნაზღაურდეს შეძლებისდაგვარად მცირე ვადებში;

დ) ლიზინგის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ლიზინგის მიმღებს, როგორც წესი, ენიჭება უფლება, შეიძინოს ლიზინგის საგანი, თუკი ხელშეკრულება საგნის სრული ამორტიზაციით არ მთავრდება. ლიზინგის საგნის შეძენის შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნეს ამორტიზაციის ფაქტი. თუმცა გამორიცხული არ არის, რომ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ გათვალისწინებულ იქნეს ხელშეკრულების ვადის გაგრძელება განსაზღვრული ვადით, ანდა ლიზინგის გამცემისათვის ქონების უკან დაბრუნება;

ე) ლიზინგის ხელშეკრულებისათვის, განსხვავებით იჯარის ხელშეკრულებისაგან, დამახასიათებელია ხელშეკრულების მონაწილეთა შორის უფლება-მოვალეობების სხვაგვარი განაწილება, რომლის ძირითადი არსი ისაა, რომ ლიზინგის გამცემი გათავისუფლებულია მეიჯარის მოგიერთი ვალდებულებისაგან, როგორცაა: ლიზინგის საგნის კაპიტალური რემონტი, ქონების მოვლისა და ჯეროვან მდგომარეობაში ყოფნისათვის ხარჯების გადახდა და ა.შ. ეს გარემოება ხაზს უსვამს ლიზინგის გამცემის ვალდებულებებში უპირატესად საფინანსო ხასიათსა და მის განსაკუთრებულ როლს სალიზინგო ურთიერთობებში;

ვ) ლიზინგის მიმღებს შეიძლება მიენიჭოს განსაზღვრული უფლებები ქონების გამყიდველის მიმართ (მაგალითად, ლიზინგის მიმღებმა ლიზინგის გამცემისათვის პრეტენზიის წაყენებამდე უნდა მოითხოვოს დაკმაყოფილება ქონების მიწოდებისაგან), მიუხედავად იმისა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენს არა იგი, არამედ ლიზინგის გამცემი.¹

¹ Е.В. Кабатова, Лизинг: понятие, правовое регулирование, международная унификация, М., 1991.

სალიზინგო ოპერაციების ფართოდ გავრცელებამ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ლიზინგის ხელშეკრულების სამართლებრივ მოწესრიგებაში ამრთა შორის სხვაობის არსებობამ განაპირობა ის გარემოება, რომ 1988 წლის 28 მაისს ოგაევაში მიღებულ იქნა კონვენცია საერთაშორისო ფინანსური ლიზინგის შესახებ. აღნიშნული კონვენცია მიზნად ისახავს განსაზღვროს, თუ რომელი ქვეყნის სამართლით უნდა მოხდეს საერთაშორისო სალიზინგო ურთიერთობებთან დაკავშირებული კოლიზიური ნორმების მოწესრიგება.

კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, სალიზინგო გარიგება არის ისეთი გარიგება, რომლითაც ერთი მხარე (ლიზინგის გამცემი) მეორე მხარის (ლიზინგის მიმღების) მითითებით ღებს მესამე მხარესთან (მომწოდებელთან) ხელშეკრულებას, რომლითაც ლიზინგის მიმღები ყიდულობს მანქანებს, სატრანსპორტო საშუალებებს ან სხვა მოწყობილობებს ლიზინგის მიმღების მიერ მოწონებული პირობებით, რამეთუ ეს შეეხება მის ინტერესებს და ღებს ლიზინგის ხელშეკრულებას ლიზინგის მიმღებთან, რომლის ძალითაც უფლებას აძლევს ლიზინგის მიმღებს, გამოიყენოს შეძენილი მოწყობილობები განსაზღვრული დროის განმავლობაში, შეთანხმებული საბლაურის გადასდით. კონვენციაში მოცემულია ასევე მისი გამოყენების სფერო, სალიზინგო ხელშეკრულების ნიშნები, ხელშეკრულების საგანი, ფორმა, მხარეთა უფლება-მოვალეობები, ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები და ა.შ.²

როგორც უკვე აღვნიშნეთ, უმრავლეს ქვეყანაში ლიზინგს განიხილავენ როგორც იჯარის (ქირაუნობის) ხელშეკრულების ნაირსახეობას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა ლიზინგის ხელშეკრულება გაითვალისწინა როგორც ხელშეკრულების ერთ-ერთი სახე (ქირაუნობის ხელშეკრულების ნაირსახეობა) და დაუთმო მას ცალკე 576-ე, 580-ე მუხლები. ლიზინგის ხელშეკრულებით, ლიზინგის გამცემი (სალიზინგო კომპანია) ვალდებულია, ლიზინგის მიმღებს გადასცეს სარგებლობაში განსაზღვრული ქონება (როგორც მოძრავი, ისე უძრავი) ხელშეკრულებით დათქმული ვადით, ისე, რომ იგი ინარჩუნებდეს გადაცემულ ქონებაზე საკუთრების უფლებას.

ლიზინგის ხელშეკრულებაში მხარეებს წარმოადგენენ ლიზინგის გამცემი (სალიზინგო კომპანია) და ლიზინგის მიმღები, რომელსაც ქონება გადაეუა დროებით სარგებლობაში.

ლიზინგის გამცემის საქმიანობა ხორციელდება კომერციულ საფუძველზე. ლიზინგის გამცემად შეიძლება გამოვიდეს ნებისმიერი სალიზინგო კომპანია, რომელიც შექმნილია კანონით დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. როგორც წესი, ეს არის სააქციო საზოგადოების ფორმით შექმნილი იურიდიული პირი.

ლიზინგის ხელშეკრულებით, ლიზინგის გამცემი ვალდებულია, დაამზადოს ან შეიძინოს განსაზღვრული ქონება და გადასცეს მიმღებს ხელშეკ-

¹ Гражданское, торговое и семейное право капиталистических стран. Сборник нормативных актов, М., 1989.

² М.И. Брагинский, В.В. Витрянский, Договорное право. Книга вторая, М., 2000

რულებით გათვალისწინებული ვადით. ეს პროცესი შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ: პოტენციური ლიზინგის მიმღები, რომელსაც არ გააჩნია ფინანსური საშუალებანი, საქმიანი წინადადებით მიმართავს ლიზინგის გამცემს (სალიზინგო კომპანიას), რათა ამ უკანასკნელმა დაამზადოს გარკვეული სახისა და რაოდენობის ძვირადღირებული ქონება, ან შეიძინოს ეს ქონება სხვისაგან და გადასცეს ლიზინგის მიმღებს დროებით სარგებლობაში (მაგალითად, თვითმფრინავი, გემი, მაგარბელი, საწარმოო ნაგებობები და მოწყობილობები და ა.შ.). ორივე შემთხვევაში ლიზინგის საგნის მესაკუთრედ რჩება ლიზინგის გამცემი. ლიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის საგნის მწარმოებელი ფირმის შერჩევის უფლება შეიძლება მიეცეს როგორც სალიზინგო კომპანიას, ასევე ლიზინგის მიმღებს.¹

საქართველოში სალიზინგო ოპერაციების ფართოდ გავრცელებამ განაპირობა ის, რომ საქართველოს პარლამენტმა 2002 წლის 7 მაისს მიიღო კანონი სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ. აღნიშნული კანონი შედგება შესავლის, ექვსი თავისა და 14 მუხლისაგან.

კანონის შესავალ ნაწილში აღნიშნულია, რომ „ამ კანონის მიზანია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ლიზინგის ხელშეკრულებით წარმოშობილ ურთიერთობათა განვითარება და სალიზინგო საქმიანობის ხელისშეწყობა“.

პირველი თავი – ზოგადი დებულებები – შედგება ორი მუხლი-საგან.

პირველი მუხლი – „ტერმინთა განმარტება“ – მიზნად ისახავს კანონში გამოყენებული ტერმინების მნიშვნელობის გაგებას:

ა) ლიზინგი – ლიზინგის საგნის გამცემის მიერ (შემდგომში – გამცემი) ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ლიზინგის საგნის მესაკუთრისაგან ან მწარმოებლისაგან ლიზინგის საგნის შექმნა (ან მისი დამზადება) ლიზინგის საგნის მიმღებისათვის (შემდგომში მიმღები) დროებით ფასიან სარგებლობაში გადაცემის მიზნით, მისი გამოსყიდვის უფლებით ან ვალდებულებებით.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კანონში გამოყენებული ტერმინი „გამოსყიდვის უფლება ან ვალდებულება“ სრულ წინააღმდეგობაშია თვითონ ლიზინგის არსთან, ასევე სამოქალაქო კოდექსის 576-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან. როგორც ცნობილია, ლიზინგის ხელშეკრულებით ხდება ლიზინგის გამცემის მიერ ლიზინგის მიმღებისათვის ლიზინგის საგნის გადაცემა დროებით სარგებლობაში და არა საკუთრებაში. ამიტომაც გაურკვეველია, როგორ შეიძლება, რომ ლიზინგის გამცემი დაევალებულთ, ანდა მიეცეთ მას უფლება, უკან გამოისყიდოს ლიზინგის მიმღებისაგან ლიზინგის საგანი, მაშინ როდესაც მესაკუთრე არის თვითონ ლიზინგის გამცემი. ვფიქრობთ, კანონში გაპარულაა არსებითი ხასიათის შეცდომა, რადგან გამოსყიდვის ნაცვლად უნდა ეწეროს შესყიდვა, რაც სრულად შეესაბამებოდა ასევე სამოქალაქო კოდექსის 576-ე მუხ-

¹ მ. კახაძე, „ლიზინგის ხელშეკრულება“, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტ. I, 2001.

ლის მე-3 ნაწილს, რომლის თანახმადაც, ლიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის მიმღებს შეიძლება დაეკისროს ვალდებულება, ან მიენიჭოს უფლება, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ იყიდოს ლიზინგის საგანი, თუკი ხელშეკრულება საგნის სრული ამორტიზაციით არ მთავრდება.¹

მასასადამე, კანონმდებელი ლიზინგის მიმღებს, როგორც ლიზინგის საგნის დროებით მფლობელსა და მოსარგებლეს, ანიჭებს უფლებას, ან აკისრებს ვალდებულებას, ლიზინგის გამცემთან სათანადო შეთანხმების არსებობისას შეიძინოს ლიზინგის საგანი. ხოლო ლიზინგის გამცემი ვერანაირად ვერ შეიძენს ლიზინგის საგანს, რამეთუ იგი იმთავითვეა ლიზინგის საგნის მესაკუთრე;

ბ) ლიზინგის საგანი – ამორტიზაციას დაქვემდებარებული ნებისმიერი სახის ქონება (ლიზინგის ხელშეკრულების საგნის საკითხს სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა სხვადასხვაგვარად წყვეტს. რაც შეეხება აღნიშნულ კანონს, ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 576-ე მუხლს, მათი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ ლიზინგის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონება (როგორც მოძრავი, ისე უძრავი), რომლის ფლობა, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუ ეს აკრძალული არ არის კანონით);

გ) ლიზინგის საგნის საწყისი ღირებულება – ლიზინგის საგნის ღირებულება მისი გადაცემის მომენტისათვის (მაგალითად, ახალი „ბონგ 747“, რომელიც შეფასებულია, დაეუშვათ, 10 მილიონ ამერიკულ დოლარად);

დ) ლიზინგის ხელშეკრულების მთლიანი ფასი – ლიზინგის საზღაურის მთლიანი თანხა;

ე) ლიზინგის საზღაური – მიმღების მიერ გამცემისათვის პერიოდულად გადასახდელი, ლიზინგის ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა (ან ამ თანხის პროდუქცია), რომლის გადახდით (ან მიწოდებით) მიმღები გამცემს თანდათანობით უნაზღაურებს ლიზინგის საწყის ღირებულებასა (ლიზინგის საგნის ნარჩენი ღირებულების გამოკლებით) და ლიზინგის სარგებელს (მასასადამე, სალიზინგო საზღაური შეიძლება განისაზღვროს სხვადასხვა ფორმით: მყარი თანხით, რომელიც შეიძლება გადახდილ იქნეს პერიოდულად, გარკვეულ ვადებში, ლიზინგის მიმღების იმ წილის განსაზღვრით, რომელსაც იგი მიიღებს სალიზინგო ქონების გამოყენების შედეგად პროდუქციის, ნაყოფის ან შემოსავლის სახით; ლიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის მიმღების მიერ გადაცემული ქონების გაუზიარებლობისათვის გაწეული ხარჯების ჩათვლით. ლიზინგის ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს ლიზინგის მიმღების მიერ სალიზინგო საზღაურის გადახდის სხვადასხვა ფორმას, კერძოდ საღაბლევო დემოზიციით, ავანსით და ა.შ.);

ვ) ლიზინგის სარგებელი – ლიზინგის ხელშეკრულების მთლიან ფასსა და ლიზინგის საწყის ღირებულებას (ლიზინგის საგნის ნარჩენი ღირებულების გამოკლებით) შორის სხვაობა;

¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997.

ბ) შეღავათიანი პერიოდი – ლიზინგის საწყისი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მიმღები არ იხდის ლიზინგის საზღაურს;

თ) ქველიზინგი – მიმღების მიერ შესაძენი პირისათვის ლიზინგის საგნით სარგებლობის უფლების გადაცემა ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე;

ი) ლიზინგის საგნის გამყიდველი – ლიზინგის საგნის შესაკუთრე ან მწარმოებელი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ლიზინგის საგანს ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გადასცემს გამცემს ან მიმღებს.

ვანსახილველი კანონის მეორე მუხლი – ლიზინგის სახეები – ითვალისწინებს შემდეგი სახის ლიზინგს:

ა) პირდაპირი ლიზინგი, როდესაც გამცემი თვითონ არის ლიზინგის საგნის შესაკუთრე ან მწარმოებელი (პირდაპირი ლიზინგის დროს დამამზადებელ-გამსაღებელი საწარმო ლიზინგის მიმღებს შუამავლის გარეშე გადასცემს სარგებლობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ქონებას. მართალია, კანონში არააფერია ნათქვამი არაპირდაპირი ლიზინგის შესახებ, მაგრამ სამოქალაქო კოდექსის 576-ე მუხლის მეორე პუნქტი ითვალისწინებს ასეთი სახის ლიზინგს, როდესაც ლიზინგის გამცემი ვალდებულია, შეიძინოს მწარმოებელი ფირმისაგან ლიზინგის მიმღებისათვის საჭირო ქონება და გადასცეს მას);¹

ბ) კომპენსაციური ლიზინგი, როდესაც მიმღები ლიზინგის საზღაურს იხდის პროდუქციით (საქონელი, სამუშაო, მომსახურება);

გ) სერვისული ლიზინგი, როდესაც ლიზინგის ხელშეკრულება ითვალისწინებს გამცემის ან მის მიერ მოწეული პირის მიერ ლიზინგის საგნის მართვას, დაზღვევას, საგარანტიო მომსახურებას, რემონტს და ა.შ;

დ) სუფთა ლიზინგი, როდესაც ლიზინგის ხელშეკრულება არ ითვალისწინებს გამცემის მიერ ლიზინგის საგნის რაიმე სახით მომსახურებას (იურიდიულ ლიგერატურაში ლიზინგის გამცემის მიერ ლიზინგის მიმღებისათვის ლიზინგის საგნის მიმართ გაწეული მომსახურების მოცულობის მიხედვით განასხვავებენ სუფთა, სრულ და ნაწილობრივ ლიზინგს. სუფთა (net leasing) ლიზინგი ეწოდება ლიზინგის ისეთ სახეს, როდესაც ლიზინგის ხელშეკრულება არ ითვალისწინებს გამცემის მიერ ლიზინგის საგნის რაიმე სახით მომსახურებას და ყველა ხარჯს მიღებული ქონების მოვლისათვის იხდის მიმღები. სრული ლიზინგი (ზოგჯერ მას „სველ“ ლიზინგსაც უწოდებენ) „wet leasing“ – ესაა ისეთი ლიზინგი, რომლის დროსაც ლიზინგის საგნის მომსახურების ყველა ხარჯს იხდის გამცემი. როგორც წესი, ასეთი ხელშეკრულების დროს ლიზინგის გამცემი არის შესაბამისი მოწყობილობების მწარმოებელი ანდა მისი შეილობილი ფირმები. ნაწილობრივი ლიზინგი – ესაა შუალედური რგოლი სუფთა და სრულ ლიზინგს შორის, რომლის დროსაც ლიზინგის საგნის მომსახურების ხარჯები განაწილებულია ლიზინგის გამცემსა და ლიზინგის მიმღებს შორის.

¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997.

სალიზინგო ოპერაციებში მონაწილე პირთა სუბიექტური შემადგენლობის მიხედვით ერთმანეთისაგან განასხვავებენ ირიბ (არაპირდაპირ) და გაყოფად ლიზინგს. არაპირდაპირი ლიზინგის დროს მოწყობილობების მიწოდების (გამყიდველის) სახით გამოდის შესაბამისი მოწყობილობების დამამბადებლის შუამავალი, ხოლო გაყოფადი ლიზინგი (leveraged leasing) გამოიყენება ძვირადღირებული ფართომასშტაბიანი პროექტების დასაფინანსებლად არა ერთი, არამედ რამდენიმე სალიზინგო კომპანიის დახმარებით და ბანკების მთელი რიგის საკრედიტო რესურსების გამოყენებით.¹

სალიზინგო კომპანიების საქმიანობაში გამოიყენება, აგრეთვე, ლიზინგის ისეთი სახე, როგორცაა ოპერატიული ლიზინგი. ოპერატიული ლიზინგის სპეციფიკა ისაა, რომ ამ შემთხვევაში ლიზინგის ხელშეკრულება იღება გაცილებით უფრო მოკლე (მცირე) დროით, ვიდრე ეს საჭიროა ხელშეკრულებით გადაცემული ქონების თუ სხვა მოწყობილობების სრული ამორტიზაციისათვის. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ლიზინგის საგანი უკან უბრუნდება ლიზინგის გამყემს, რომელსაც აქვს უფლება, კვლავ გადასცეს ლიზინგით იგივე ქონება. ქონების ლიზინგით ხელშეკრულად გადაცემის შემთხვევაში ლიზინგის გადამყემს ეკისრება ისეთი ვალდებულება, როგორცაა ლიზინგის საგნის ჯეროვან მდგომარეობაში შენარჩუნება (მაგალითად, კაპიტალური რემონტის ჩატარება). ლიზინგის ეს სახე გამოირიხება ლიზინგის მიმღების შესაძლებლობას, შეიძინოს ლიზინგით მიღებული ქონება.²

განსახილველი კანონის მეორე თავი - ლიზინგის ხელშეკრულება - შედგება სამი მუხლისაგან: მუხლი 3, მუხლი 4, მუხლი 5.

მესამე მუხლი - ლიზინგის ხელშეკრულება - იყოფა ორ ნაწილად:

1. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისათვის მხარეების მიერ დადებული ხელშეკრულება ლიზინგის ხელშეკრულებად ჩაითვლება, თუ იგი ითვალისწინებს ერთ-ერთ შემდეგ პირობას:

ა) ლიზინგის ხელშეკრულების ვადის გასვლისას მიმღები ხდება ლიზინგის საგნის მესაკუთრე ისე, რომ არ იხდის დამატებით თანხას ან ეს თანხა უმნიშვნელოა;

ბ) ლიზინგის ხელშეკრულების ვადა არსებითად უთანაბრდება, ან მეტია ლიზინგის საგნის ეკონომიკური მომსახურების ვადაზე და მიმღები ხდება ლიზინგის საგნის მესაკუთრე უმნიშვნელო თანხის, გადახდით;

გ) ლიზინგის ხელშეკრულების ვადა არსებითად უთანაბრდება, ან მეტია ლიზინგის საგნის ეკონომიკური მომსახურების ვადაზე და მიმღებს არა აქვს უფლება, შეწყვიტოს ლიზინგის ხელშეკრულება, სულ ცოცა, ლიზინგის საზღაურის სრულად გადახდის გარეშე;

დ) ლიზინგის ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთი ან რამდენიმე საწისი ვადის გასვლისას მიმღები ვალდებულია, გააგრძელოს ლიზინგი ლიზინგის საგნის ეკონომიკური მომსახურების სრული ან არსებითად სრული ვადით, ან იყიდოს ლიზინგის საგანი;

¹ Гражданское и торговое право капиталистических государств, М., 1993.

² Попровская В.В., Международные коммерческие операции и их регламентация, М., 1996.

ე) ლიბინგის ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთი ან რამდენიმე საწყისი ვადის გასვლისას მიმღებს უფლება აქვს, გადაწყვიტოს, გააგრძელებს თუ არა ლიბინგს ლიბინგის საგნის ეკონომიკური მომსახურების სრული ან არსებითად სრული ვადით დამატებითი თანხის გადახდის გარეშე ან ლიბინგის გაგრძელების მომენტისათვის ლიბინგის საგნის საბაზრო ფასზე მნიშვნელოვნად ნაკლები თანხის გადახდით;

ვ) ლიბინგის ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთი ან რამდენიმე საწყისი ვადის გასვლისას მიმღებს უფლება აქვს, გადაწყვიტოს, გახდეს თუ არა ლიბინგის საგნის მესაკუთრე დამატებითი თანხის გადახდის გარეშე ან მესაკუთრედ გახდომის მომენტისათვის ლიბინგის საგნის საბაზრო ფასზე მნიშვნელოვნად ნაკლები თანხის გადახდით.

2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი პირობისა, ლიბინგის ხელშეკრულებაში, როგორც წესი, აღნიშნული უნდა იყოს, რა შემთხვევაში ითვლება ლიბინგის საგანი მიღებულად და ლიბინგის საგნის მიღების ვადა.

მეთოხე მუხლი – ქველიბინგის ხელშეკრულება – იყოფა ორ ნაწილად:

1. ქველიბინგის ხელშეკრულება არის ლიბინგის ფორმის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მიმღები ლიბინგის საგანს გადასცემს მესამე პირს;

2. გამცემის წერილობითი თანხმობის გარეშე ქველიბინგი დაუშვებელია. ლიბინგის საგნის სარგებლობაში გადაცემა გულისხმობს მის გამოყენებას უშუალოდ ლიბინგის მიმღების მიერ. ამ წესიდან არსებობს გამოწაკლისი, როდესაც ლიბინგის მიმცემი ლიბინგის გამცემის წერილობითი თანხმობით ლიბინგის საგანს გადასცემს მესამე პირს სარგებლობისათვის. ამ დროს იღება ქველიბინგის ხელშეკრულება. ქველიბინგის ხელშეკრულებით, ლიბინგის მიმღები მესამე პირთან ურთიერთობაში გამოდის ლიბინგის გამცემის როლში, მესამე პირი კი გამოდის ლიბინგის მიმღების როლში. ძირითადი ლიბინგის ხელშეკრულების ლიბინგის გამცემი არაერთარ სახელშეკრულებო ურთიერთობაში არ იმყოფება ქველიბინგის ხელშეკრულებაში ლიბინგის მიმღებთან. მესამე პირისათვის ნიეთის სარგებლობაში გადაცემის ყველა შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება ძირითადი ლიბინგის ხელშეკრულების ლიბინგის საგნის მიმღებს (როგორც საკუთარი მოქმედებებისათვის, ისე ქველიბინგის ქმედებისათვის). ქველიბინგის ხელშეკრულება იზიარებს ლიბინგის ხელშეკრულების ბედს. თუ ლიბინგის ხელშეკრულება ბათილად იქნება ცნობილი, მაშინ მის საფუძველზე დადებული ქველიბინგის ხელშეკრულებაც ბათილი იქნება. ლიბინგის ხელშეკრულების ვადაზე შეწყვეტა ნებისმიერი საფუძველით იწვევს მის საფუძველზე დადებული ქველიბინგის ხელშეკრულების შეწყვეტასაც, მიუხედავად იმისა, ამოიწურა თუ არა ამ უკანასკნელის მოქმედების ვადა. ლიბინგის ხელშეკრულების შეწყვეტა ლიბინგის მიმღების ბრალით, ქვემელიბინგს უფლებას აძლევს, მოითხოვოს ქველიბინგის ხელშეკრულების შეწყვეტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

ქველიბინგის ხელშეკრულება არ შეიძლება დაიდოს იმაზე მეტი ვადით, რა ვადითაც დადებულია ლიბინგის ხელშეკრულება. წინააღმდეგ

შემთხვევაში იგი შესაბამის ნაწილში ნამდვილი არ იქნება. ეს წესი გამოდინარეობს საერთო სამართლებრივი პრინციპიდან, რომლის თანახმადაც არავის არ შეუძლია, სხვას გადასცეს იმაზე მეტი უფლება, რასაც თავად ფლობს.

თანხმობა ქველიზინგზე ლიზინგის გამცემის მიერ უნდა მოხდეს წერილობითი ფორმით. ასეთი თანხმობის მიცემისას ლიზინგის გამცემს შეუძლია განსაზღვროს იმ უფლება-მოვალეობათა მოცულობა, რომელიც ლიზინგის მიმღების მიერ ქვემელიზინგისათვის უნდა იქნეს გადაცემული.

ქველიზინგი უნდა განეხილავოთ ისეთი შემთხვევისაგან, როცა ხდება თავდაპირველი ლიზინგის მიმღების შეცვლა. ასეთ დროს მესამე პირს გადაეცემა ლიზინგის მიმღების ყველა უფლება და მოვალეობა, ანუ ხდება თვითონ ლიზინგის მიმღების შეცვლა.

მესუთე მუხლი – ლიზინგის ხელშეკრულების რეგისტრაცია – იყოფა ორ ნაწილად:

1. ლიზინგის გამცემს შეუძლია, ლიზინგის ხელშეკრულება რეგისტრაციაში გაატაროს შესაბამის საჯარო რეესტრში (მართალია, კანონი არ ბლუდავს ლიზინგის გამცემს ლიზინგის ხელშეკრულების რეგისტრაციაში გატარების უფლებაში, მაგრამ აჯობებდა, თუკი რეგისტრაცია სავალდებულო იქნებოდა იმ შემთხვევაში, როცა ლიზინგის საგანი არის უძრავი ქონება);

2. თუ ლიზინგის ხელშეკრულება არ არის რეგისტრირებული შესაბამის საჯარო რეესტრში, ეს გარემოება არ არის მისი ბათილად ცნობის საფუძველი (მაშასადამე, კანონის აღნიშნული ნორმის დებულება ატარებს დისპოზიციურ ხასიათს, რაც იმით გამოიხატება, რომ მისი დაუცველობა არ იწვევს ლიზინგის ხელშეკრულების ბათილობას.

განსახილველი კანონის მესამე თავი – ლიზინგის ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობები – შედგება 5 მუხლისაგან.

მეექვსე მუხლი – გამცემის საკუთრების უფლების დაცვა.

ლიზინგის საგანი ცალკე უფლების ობიექტია და მიუხედავად იმისა, როგორ იქნება დაკავშირებული იგი სხვა უძრავ ან მოძრავ ნივთთან, გამცემის საკუთრების უფლება ლიზინგის საგანზე ძალაში რჩება ლიზინგის ხელშეკრულების შესაბამისად მიმღების საკუთრებაში ლიზინგის საგნის გადასვლის მომენტამდე (ეს დებულება კიდევ ერთხელ ნათლად ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ლიზინგის ხელშეკრულება ატარებს ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემის ხელშეკრულების ხასიათს. ლიზინგის საგნის მესაკუთრედ რჩება კვლავ ლიზინგის გამცემი, არ შეიძლება ლიზინგის საგანზე ლიზინგის მიმღების ვალების გამო გადახდევინების მიქცევა).

მეშვიდე მუხლი – გამცემის უფლება-მოვალეობები.

1. გამცემს შეუძლია, ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, თავისი უფლებები ან მათი ნაწილი გადასცეს მესამე პირს. ამასთან, ამ უფლებების გადაცემა არ ათავისუფლებს გამცემს ლიზინგის ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებებისაგან და არ ცვლის ლიზინგის ხელშეკრულების არსს (ე.წ. მოთხოვნის დათმობა ანუ „ცესია“);

2. მიმღების მიერ ლიზინგის ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში გამცემს უფლება აქვს, მოშალოს ლიზინგის ხელშეკრულება (მაგალითად, მიმღები არ იხდის სალიზინგო საზღაურს დათქმულ ვადებში, არ იყენებს ქონებას დანიშნულებისამებრ, არ ჩაუტარა ლიზინგის საგანს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რემონტი და ა.შ.);

3. ლიზინგის ხელშეკრულების მოშლამდე გამცემი ვალდებულია, თავის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეტყობინება ლიზინგის ხელშეკრულების მოშლის შესახებ გაუგზავნოს მიმღებს ლიზინგის ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – მიმღების ბოლო ცნობილ მისამართზე. ამ შეტყობინებაში აღნიშნული უნდა იყოს ის ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობის გამოც გამცემი აპირებს ლიზინგის ხელშეკრულების მოშლას და ვადა, რომელიც მიმღებს ეძლევა ვალდებულების შესასრულებლად. ეს ვადა არ უნდა იყოს 15 დღეზე ნაკლები. თუ ვალდებულება შესრულებდა გამცემის მიერ განსაზღვრულ ვადაში, ხელშეკრულება არ მოიშლება;

4. გამცემს უფლება აქვს, არ განუსაზღვროს მიმღებს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვადა, თუ აშკარაა, რომ:

- ა) მიმღებს არ შეუძლია ვალდებულების შესრულება;
- ბ) ლიზინგის საგანს მნიშვნელოვნად დაზიანების საფრთხე ემუქრება;
- გ) ლიზინგის საგანის ადგილსამყოფელი შეიძლება შეიცვალოს გამცემის ნებართვის გარეშე;

5. გამცემს უფლება აქვს, ლიზინგის ხელშეკრულების მოშლისთანავე დაიბრუნოს ლიზინგის საგანი;

6. მიმღების მიერ ლიზინგის ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში გამცემს უფლება აქვს, მიმღებს მოსთხოვოს ლიზინგის საზღაურის მთლიანი თანხის გადახდა და გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის გადასვლასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება. ამ მუხლის შესაბამისად ლიზინგის საგანზე მფლობელობისა და სარგებლობის უფლებების მოპოვების მომენტისათვის ლიზინგის საგნის საბაზრო ფასისა და იმ თანხის გამოკლებით, რომელიც მიმღებმა უკვე გადაიხადა ლიზინგის საზღაურის სახით. თუ ასეთი გაანგარიშების შედეგად მიიღება დადებითი რიცხვი, მიმღები ვალდებულია, გადაუხადოს გამცემს ამ რიცხვების შესაბამისი თანხა, ხოლო თუ მიიღება უარყოფითი რიცხვი, გამცემი ვალდებულია, გადაუხადოს მიმღებს ამ რიცხვის დადებითი ეკვივალენტის შესაბამისი თანხა;

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტის მიზნებისათვის ლიზინგის საგნის საბაზრო ფასის განსაზღვრისას სხვა ფაქტორებთან ერთად გათვალისწინებული უნდა იყოს გამცემის მიერ ლიზინგით გადაცემული ლიზინგის საგნის გაყიდვის ან ლიზინგის საგნის განმეორებითი ლიზინგით გადაცემის ფასი და პირობები.

მერვე მუხლი – მიმღების უფლება-მოვალეობები.

1. მიმღებს შეუძლია, ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, თავისი უფლებები მესამე პირს გადასცეს მხოლოდ გამცემის წერილობითი თანხმობით (მიგვაჩნია, რომ ეს დებულება ეწინააღმდეგება სამოქალაქო

სამართლის ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს, რომლის თანახმადაც, მოთხოვნის (უფლების) დათმობისას საჭირო არ არის მეორე მხარის თანხმობა. თანხმობა საჭიროა მაშინ, როცა ხდება მოვალეობების (და არა უფლებების) გადაცემა;

2. მიმღების მიერ ლიზინგის საგნის მიღების მომენტიდან მიუღი პასუხისმგებლობა ლიზინგის საგნის დაზიანების ან დაღუპვის შემთხვევაში გადაღის მიმღებზე (აღნიშნული დებულება საჭიროებს დამუშავებას: გასაგებია, რომ აქ იგულისხმება ლიზინგის მიმღების მხრიდან ბრალეული ქმედება, რამაც გამოიწვია ლიზინგის საგნის დაზიანება ან დაღუპვა. რაც შეეხება ლიზინგის საგნის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკს, საერთო წესის მიხედვით, იგი აწევს ქონების მესაკუთრეს, ანუ ლიზინგის გამცემს. ამ მოგვლი წესიდან შეიძლება არსებობდეს გამონაკლისებიც, რომელთა საერთო საფუძველს ლიზინგის მიმღების სუბიექტური ფაქტორი წარმოადგენს. მათ მიეკუთვნება ისეთი შემთხვევები, როცა საგნის შემთხვევითი დაღუპვა ან დაზიანება მოხდა ხელშეკრულებით განსაზღვრული აღნიშნულებისა და პირობების გაუთვალისწინებლად, ლიზინგის გამცემის ნებართვის გარეშე ნივთის სხვა პირისათვის გადაცემის შემთხვევაში. გარდა ამისა, იგივე მდგომარეობა შეიქმნება მაშინაც, როცა ლიზინგის მიმღებს, ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით, შეეძლო ლიზინგის საგნის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების თავიდან აცილება საკუთარი ქონების ხარჯზე, მაგრამ ეს არ გააკეთა და ამჟამინა საკუთარი ქონების შენარჩუნება. აღნიშნულ შემთხვევებში, ვფიქრობთ, ლიზინგის გამცემს უფლება აქვს, მოითხოვოს ლიზინგის მიმღებისაგან ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია, ნივთის შემთხვევითი დაზიანების ან დაღუპვის რისკი გადატანილ იქნეს ლიზინგის მიმღებზე.

3. თუ მიმღების თანხმობის გარეშე ნასყიდობის ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებებით მიმღებს მიაღდა ზიანი, ან მხარეების მიერ ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილად იქნა ცნობილი, მიმღებს უფლება აქვს, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება (აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როდესაც ლიზინგის გამცემი არ არის ლიზინგის საგნის დამამზადებელი, არამედ იგი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე იძენს გამყიდველისაგან განსაზღვრულ ქონებას და მას ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე გადასცემს მიმღებს);

4. ლიზინგის მიმღებს შეუძლია, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი ზიანის ანაზღაურებისათვის, რომელიც მას მიაღდა გამცემის მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და ლიზინგის ხელშეკრულების პირობების დარღვევით ლიზინგის საგნის დაზიანებისას. ამასთან, მიმღებს არა აქვს უფლება, მოითხოვოს თავის მფლობელობაში ლიზინგის საგნის აღდგენა.

მეცხრე მუხლი – მიმღების უფლებები ლიზინგის საგნის გამყიდველის მიმართ.

1. ლიზინგის საგნის გამყიდველის ყველა ვალდებულება განსაზღვრულია გამცემსა და ლიზინგის საგნის გამყიდველს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით, აგრეთვე ლიზინგის საგნის გამყიდველის მიერ

გამცემისათვის მიცემული ყველა სახის გარანტია სრულდება მიმღების სასარგებლოდ ისე, თითქოს მიმღები იყოს ნასყიდობის ხელშეკრულების მხარე, თუ ლიზინგის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (აღნიშნული ნორმა გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა ლიზინგის გამცემი თვითონ არ არის ლიზინგის საგნის დამამზადებელი, არამედ იძენს მას მესამე პირისაგან. ასეთ შემთხვევაში განსახილველი კანონის აღნიშნული ნორმის გარდა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამოქალაქო კოდექსის 587-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დებულებაც, რომლის თანახმადაც, ლიზინგის ხელშეკრულების მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ ლიზინგის მიმღებმა ლიზინგის გამცემისათვის პრეტენზიის წაყენებამდე უნდა მოითხოვოს დაკმაყოფილება ქონების მომწოდებლისაგან);

2. გამცემი ლიზინგის საგნის გამყიდველთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ასლს გადასცემს მიმღებს, ან სხვა ფორმით აცნობებს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებებსა და გარანტიებს მანამ, სანამ მიმღები ვალდებული გახდება ლიზინგის ხელშეკრულებით.

მეათე მუხლი – მიმღების ვალდებულებები გამცემის მიერ კონგროლის განხორციელებისას:

1. გამცემს უფლება აქვს, განახორციელოს კონგროლი მიმღების მიერ ლიზინგის ხელშეკრულებისა და სხვა თანმხლები ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე (მაგალითად, შეამოწმოს, იყენებს თუ არა მიმღები აღნიშნულებისამებრ ლიზინგის საგანს და ა.შ.);

მხარეები ლიზინგის ხელშეკრულებით ან სხვა თანმხლები ხელშეკრულებით წინასწარ განსაზღვრავენ ამავე ხელშეკრულებების პირობების შესრულებაზე კონგროლის განხორციელების მიზანსა და წესს.

მიმღები ვალდებულია, უმრუნველყოს გამცემის შეუფერხებელი დაშეება ლიზინგის საგანთან და მასთან დაკავშირებულ ტექნიკურ დოკუმენტაციასთან.

გამცემს უფლება აქვს, მიმღებს წერილობით მოსთხოვოს კონგროლის განსახორციელებლად საჭირო ინფორმაციის მოწოდება, ხოლო მიმღები ვალდებულია, დააკმაყოფილოს მოთხოვნა.

განსახილველი კანონის მეოთხე თავი – ანგარიშსწორების წესი – შედეგა ეერთი მუხლისაგან, რომელიც იყოფა ორ ნაწილად:

1. ლიზინგის საზღაურის მოცულობა, გადახდის წესი და პერიოდულობა განისაზღვრება ლიზინგის ხელშეკრულებით. თუ მიმღები და გამცემი ანგარიშსწორებას ახორციელებენ პროდუქციის მეშვეობით, ამ შემთხვევაში პროდუქციის ფასი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით ან მისი საბაზრო ფასით;

2. მიმღების მიერ ლიზინგის საზღაურის გადახდის ვალდებულება ძალშია საგნის მიღების მომენტიდან, რომელიც განსაზღვრულია ლიზინგის ხელშეკრულებით, ხოლო შედაეათიანი პერიოდის არსებობის შემთხვევაში – ლიზინგის ხელშეკრულებით განსაზღვრული თარიღიდან.

კანონის მეხუთე თავი – გაკოტრება – შედგება ორი მუხლისაგან: მე-12 მუხლი ითვალისწინებს მიმღების გაკოტრებას, ხოლო მე-13 მუხლი ითვალისწინებს გამცემის გაკოტრებას.

მიმღების გაკოტრების შემთხვევაში ლიზინგის ხელშეკრულებით მიღებული ლიზინგის საგანი არ არის გაკოტრების მასის ნაწილი (აღნიშნული დებულება ასახულია ასევე საერთაშორისო საფინანსო ლიზინგის შესახებ საერთაშორისო კონვენციის მე-7 მუხლში. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ ლიზინგის საგნის შესაკუთრედ რჩება ლიზინგის გამცემი ღა შესაბამისად არ შეიძლება ლიზინგის მიმღების ვალების გამო ლიზინგის გამცემის ქონებაზე გადახდევინების მიქცევა).¹

გამცემის გაკოტრების შემთხვევაში მის კრედიტორებს არა აქვთ იმაზე მეტი უფლება ლიზინგის საგანზე, ვიდრე გამცემს ექნებოდა ლიზინგის ხელშეკრულებით.

განსახილველი კანონი „სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ“ ძალაში შევიდა გამოქვეყნებისთანავე. აღნიშნული კანონის მიღებამ გამოიწვია დამატებების შეტანა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, ასევე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში.

სახელდობრ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსს დაემატა შემდეგი შინაარსის XXXIV¹ თავი.

XXXIV თავი¹

ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე საქმის განხილვის გამარტივებული წესი.

309-ე მუხლი. დასაშვებობა.

ამ თავით დადგენილი გამარტივებული წესით შეიძლება განხილულ იქნეს მოთხოვნები ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე (როგორც ცნობილია, განასხვავებენ სამოქალაქო სამართალწარმოების სამ ძირითად სახეს: სანარჩელო წარმოებას, გამარტივებულ წარმოებას, უდავო წარმოებას. სანარჩელო წარმოების აღძვრა ხდება სასამართლოში სარჩელის შეტანით, უდავო წარმოების აღძვრა კი ხდება განცხადების შეტანით.

რაც შეეხება გამარტივებულ წარმოებას, ამ წესით განიხილებოდა თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრული სარჩელები, ასევე დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმეები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსში დამატებების შეტანის გამო გამარტივებული წესით განიხილება აგრეთვე მოთხოვნები ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე).

309-ე² მუხლი. განცხადება ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე.

1. განცხადება ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ, რომელიც წარმოადგენს საქმის გამარტივებული წესით განხილვის საფუძველს, მიზნად უნდა ისახაღეს სასამართ-

¹ კონვენცია საერთაშორისო საფინანსო ლიზინგის შესახებ, ოტავა, 1988 წლის 28 მაისი.

ლოს მიერ ლიბინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიბინგის საგნის დაბრუნების შესახებ ბრძანების მიღებას (მაშასადამე, ისევე, როგორც დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმის გამარტივებული წესით განხილვისას განმცხადებელი მიზნად ისახავს სასამართლოს მიერ დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების მიღებას (გადახდის ბრძანება), ასევე განმცხადებელი ლიბინგის საგნის დაბრუნების შესახებ საქმის გამარტივებული წესით განხილვისას მიზნად ისახავს სასამართლოს მიერ ლიბინგის საგნის გამცემის მფლობელობაში დაბრუნების შესახებ ბრძანების მიღებას);

2. განცხადებაში ლიბინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიბინგის საგნის დაბრუნების თაობაზე, რომელსაც თან უნდა ახლდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, აღნიშნული უნდა იყოს შემდეგი მონაცემები:

ა) სასამართლოს დასახელება;

ბ) მხარეებისა და მათი წარმომადგენლების დასახელებები;

გ) განმცხადებლის მოთხოვნა;

დ) ვალდებულება, რომლის საფუძველზეც წაყენებულია მოთხოვნა;

ე) წაყენებული მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულება.

3. მოსამართლე განცხადებას ლიბინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიბინგის საგნის დაბრუნების თაობაზე განიხილავს სასამართლოში მისი შეგანიდან 3 დღეში (ეს დებულება საჭიროებს დამუსტგებას. როგორც ცნობილია, სსკ-ის 183-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ მოსამართლე ვალდებულია, განცხადების ჩაბარებიდან 5 დღის განმავლობაში გამოიგანოს განჩინება ამ განცხადების მიღების შესახებ. განცხადება მიღებულად მიიჩნევა მისი მიღების შესახებ განჩინების გამოგანის დღიდან, ხოლო თუ აღნიშნულ ვადაში განჩინება გამოგანილი არ იქნება, მაშინ – ამ ვადის გასვლის შემდეგ. ამიგომაც, როდესაც კანონმდებელი საუბრობს იმის შესახებ, რომ განცხადებას ლიბინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიბინგის საგნის დაბრუნების შესახებ სასამართლო განიხილავს შეგანიდან 3 დღეში, ეფიქრობთ, იგულისხმება კანონით დადგენილ მოთხოვნათა დაცვით სასამართლოს მიერ განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ განჩინების გამოგანიდან 3 დღეში).¹

309³-ე მუხლი. განსჯადობა.

განცხადება ლიბინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიბინგის საგნის დაბრუნების თაობაზე სასამართლოში შეიგანება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით (კანონის ეს დებულებაც დასაზუსტებელია. როგორც ცნობილია, განსჯადობის საკითხებს აწესრიგებს სსკ-ის მე-13-24-ე მუხლები. ამიგომაც სასურველი იქნებოდა, რომ, როგორც ეს სსკ-ის 304-ე მუხლით არის დადგენილი, საქმე გამარტივებული წესით დავალიანების გადახდევინების შესახებ სასამართლოს განხილვა მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ანალოგიურად ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრულიყო განსჯადობის საკითხი ლიბინგის

¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბ., 1997.

საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის უკან დაბრუნების შესახებ საქმის განხილვის დროსაც, რამეთუ მოგვლად განსჯადობის წესების შესახებ მითითებამ შეიძლება უამრავი გაუგებრობა გამოიწვიოს სასამართლო პრაქტიკაში).

309⁴-ე მუხლი. ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე განცხადების უმოძრაოდ დატოვება.

1. თუ მოსამართლე გამოარკვევს, რომ განცხადება ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე არ აკმაყოფილებს 309²-ე მუხლის მოთხოვნებს, იგი გამოიტანს განჩინებას არსებული ხარვეზის შევსების შესახებ და განმცხადებელს მისცემს ვადას მის შესავსებად. თუ განმცხადებელი განსამტკიცებელ ვადაში შეავსებს განჩინებაში მითითებულ სარვეზს, მოსამართლე გამოიტანს განჩინებას განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლე განცხადებას უმოძრაოდ დატოვებს და განმცხადებელს დაუბრუნებს;

2. სასამართლოს განჩინებაზე ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე განცხადების უმოძრაოდ დატოვებისა და მისი განმცხადებლისათვის დაბრუნების შესახებ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

309⁵-ე მუხლი. ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე განცხადების მიღებაზე უარის თქმა.

1. თუ განცხადებაში ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე 309²-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად აღნიშნული მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულება ვერ ასაბუთებს წაყენებულ მოთხოვნას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე განცხადების მიღებაზე უარის თქმის შესახებ (მიგვაჩნია, რომ აღნიშნული დებულება დასაბუსტებელია. სსკ-ის 309²-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს, რომ განცხადებას უნდა ერთვოდეს წაყენებული მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულება. განმცხადებლის მოვალეობა – დაამტკიცოს მტკიცებულებების გამოყენებით ის გარემოება, რომელზეც ამყარებს თავის მოთხოვნას, წარმოიშობა მხოლოდ განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ. თუკი განმცხადებელი ვერ წარმოადგენს სარწმუნო მტკიცებულებებს, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს, სასამართლომ უნდა გამოიტანოს არა განჩინება განცხადების მიღებაზე უარის თქმის შესახებ, არამედ განჩინება განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, ანუ ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ ბრძანების მიღებაზე უარის თქმის შესახებ).¹

2. სასამართლოს განჩინებაზე ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ ბრძანების მიღებაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბ., 1997.

309⁶-ე მუხლი. ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ ბრძანება.

ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ ბრძანებაში აღნიშნული უნდა იყოს, რომ ბრძანება ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას და, აგრეთვე, მისი გასაჩივრების წესი და ვადა (ეფიქრობთ, რომ უმჯობესი იქნებოდა კანონმდებელს უფრო დეტალურად ჩამოეყალიბებინა ბრძანების შინაარსი, როგორც არის, მაგალითად, სსკ-ის 306-ე მუხლში, რომელიც შეეხება დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანებას (გადახდის ბრძანება)).

309⁷-ე მუხლი. ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ ბრძანების გასაჩივრება.

სასამართლოს ბრძანებაზე ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. ამასთან, ეს ვერ შეაჩერებს ბრძანების აღსრულებას.

აღნიშნულის გარდა დამატებები შეტანილ იქნა სსკ-ის 38-ე და 39-ე მუხლებში. სახელდობრ, 38-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის ბოლოში დაემატა სიტყვები: „და განცხადებაზე ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე“, ხოლო 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტს სიტყვების – „კერძო საჩივრისათვის“ შემდეგ დაემატა სიტყვები: „და განცხადებისათვის გამარტივებული წესით გადახდის ბრძანების მიღების შესახებ და განცხადებისათვის ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე“.

ცვლილებები იქნა, აგრეთვე, შეტანილი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლში – აღსრულების ქვემდებარე აქტები. აღნიშნული მუხლის „ე“ ქვეპუნქტის ბოლოში დაემატა შემდეგი სიტყვები: „და ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე ბრძანება“.

სიასლმე საკუთრების ღარმომზობის საფუძკლუბო

საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსმა სხვა ს.ახლეებთან ერთად დაამკვიდრა საკუთრების წარმომზობის ისეთი საფუძველი, როგორცაა შექენითი ხანდაზმულობა.

შექენითი ხანდაზმულობა ძირითადი სანიეთო უფლების (საკუთრება, სერვიტუტი, უზუფრუქტი) შექენის საშუალებაა. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა სამოქალაქო სამართალი უფლების წარმომზობის ასეთ წესს არ იცნობდა. მაგრამ საბჭოთა მეცნიერებაში ამ ინსტიტუტისადმი ინტერესი არასოდეს განელეზულა. საბჭოთა სახელმწიფოს პირველი წლებიდან მოყოლებული, 1991 წლის 31 მაისს სსრ კაეშირისა და მოკაეშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველების მიღებამდე, მრავალი შრომა მიეძღვნა ამ თემას.

მეცნიერთა ერთი წრე თავგამოდებით იბრძოდა სამოქალაქო სამართალში შექენითი ხანდაზმულობის შემოღებისათვის. მათ რიცხვს მიეკუთვნებოდნენ ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორცაა: ო. იოფე, ა. ვენელიქტოვი, დ. გენკინი, ვ. რიასენცევი, ი. ტოლსტოი. იყო შექენითი ხანდაზმულობის შემოღების საწინააღმდეგო აზრიც, რომელსაც მხარს უჭერდა, მაგ., ს. მეერზონი და რ. ხალფინა.

მეცნიერები, რომლებიც მხარს უჭერდნენ საბჭოთა სამოქალაქო სამართალში შექენითი ხანდაზმულობის შემოღებას, თავიანთ ნაშრომებში განსჯიდნენ ამ ინსტიტუტის დამკვიდრების მიზანშეწონილობის სხვადასხვა კარიანტს, მაგ., შექენითი ხანდაზმულობა უნდა შეხებოდა მხოლოდ კეთილსინდისიერ თუ არაკეთილსინდისიერ მფლობელსაც; სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ცახვლასთან ერთად შექენითი ხანდაზმულობაც ამოწურულად ჩათვლილიყო, თუ პირიქით, ნიეთის ყოფილი მესაკუთრისათვის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა ამოწურულად ჩათვლილიყო იმ დროისათვის, როცა მესამე პირს შექენითი ხანდაზმულობის საფუძველით ნიეთზე საკუთრების უფლება წარმოემზობოდა და ა.შ.

მეორე ნაწილი ავტორებისა, რომელნიც მხარს არ უჭერდნენ შექენითი ხანდაზმულობის შემოღებას, თავიანთ მოსაზრებას იმით ასახულებდნენ, რომ კეთილსინდისიერი მფლობელის უფლებები დაცულია შექენითი ხანდაზმულობის გარეშეც ამ უფლებების ფაქტობრივი პრეზუმფციით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ნიეთის მესაკუთრე უკანონო მფლობელიდან მისი გამოთხოვისათვის დადგენილ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადას გაუ

შეებდა, ნიეთი საკუთრების უფლებით გადაეცემოდა სახელმწიფოს. ამასთან, ვინაიდან ვერ უარყოფდნენ მრავალ შემთხვევაში ნიეთის გაურკვეველ სამართლებრივ მდგომარეობას, თვლიდნენ, რომ უმჯობესია შენარჩუნებული იყოს ასეთი გაურკვეველობა, ვიდრე ის, რომ დაირღვეს უშრომელი შემოსავლის არსებული რეჟიმი და ასეთი ნიეთი მივაკუთვნოთ პირს, რომელსაც მანამდე მასზე საკუთრების წარმოშობის საფუძველი არ გააჩნდა. როგორც ცნობილია, ამავე პრინციპს იცავდა საბჭოთა კანონმდებლობაც.

გემოაღნიშნულის მიუხედავად არ შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობისათვის სრულიად უცხო იყო შეძენით ხანდაზმულობის პრინციპები. საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის თანახმად, უმეთვალყურეო და ირაო პირუტყვი, რომელიც დროებით შესანახად კოლმეურნეობას ან საბჭოთა მეურნეობას გადაეცემოდა და ასეთი წვრილფეხა პირუტყვის პატრონი სამი თვის განმავლობაში არ გამოჩნდებოდა, უმეთვალყურეო და ირაო პირუტყვი საკუთრების უფლებით შესანახად გადაეცემულ კოლმეურნეობას ან საბჭოთა მეურნეობას დარჩებოდა. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა შეძენითი ხანდაზმულობით ნიეთზე საკუთრების უფლების წარმოშობა.

ძველი ქართული სამართალი, მართალია, ხანდაზმულობით საკუთრების წარმოშობას არ იცნობდა, მაგრამ არანაკლებ საინტერესოა პირადი უფლების წარმოშობა ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნით. სამართლის წიგნის 202-ე მუხლის თანახმად, თუ საპატიო /პატიუსაცემი, დს/ კაცის ყმა მიატოვებდა თავის ბატონს, ოცდაათი წლის შემდეგ მას უფლება წარმოეშობოდა, სხვა კაცს დასდგომოდა ყმად. ასეთივე შინაარსისაა სამართლის წიგნის მე-200 და 201-ე მუხლები. ვფიქრობთ, აღნიშნული ნორმები ქართულ სამოქალაქო სამართალში ხანდაზმულობით უფლების შეძენის ერთ-ერთი წანამძღვარია.

ასევე, მართალია, საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობა პრინციპულად წინააღმდეგი იყო უშრომელი შემოსავლის მიღებაზე, მაგრამ ვერც ამჯერად ასცდა უშრომელი შემოსავლის მიღების შემთხვევებს – ნაჩუქრობა, მემკვიდრეობა, ჯილდო ნაპოვნისათვის და სხვა. ასე რომ, ამ საფუძველით შეძენით ხანდაზმულობაზე უარის თქმა არაა დამაჯერებელი და მიუღებელი იყო, და ყოველივე ამის მიუხედავად საბჭოთა კანონმდებლობაში შეძენითმა ხანდაზმულობამ ადგილი ვერ დაიმკვიდრა. ეს კი დიდ სიძნელეს ქმნიდა ყოველდღიურ ცხოვრებაში და სასამართლო პრაქტიკაში, რადგან უკანონო მფლობელობაში მყოფი ნიეთი განაგრძობდა გაურკვეველ სამართლებრივ მდგომარეობაში ყოფნას მას შემდეგაც, როცა მის შესაკუთრეს ნიეთის ვინდიკაციის ხანდაზმულობის ვადაც ამოეწურებოდა. იყო სხვა შემთხვევებიც, როცა უპატრონო ქონება სახელმწიფოს საკუთრებად უნდა გამოცხადებულიყო ან, როგორც სამემკვიდრეო მასა, სამემკვიდრეო უფლების მოწმობით სახელმწიფოს უნდა მიეცო, მაგრამ მათი უმნიშვნელო ღირებულების, ან არარენტაბელობის გამო სახელმწიფო მათზე საკუთრებას არ ითხოვდა. აღნიშნულის გამო, ნიეთის გა-

ურკეველი სამართლებრივი მდგომარეობა მათ ფაქტობრივ მფლობელ-საც სამართლებრივად მოუწესრიგებელ ურთიერთობაში ამყოფებდა.

შეძენითი ხანდაზმულობისადმი საზოგადოებამ დიდი ინტერესი გამოიჩინა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში. ომის გამო მოსახლეობის მიერ ძირითადი საცხოვრებელი ადგილის იძულებით დატოვების შედეგად მათი ყოფილი საკუთარი ნივთები მესამე პირთა ფაქტობრივ მფლობელობაში აღმოჩნდა, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში ფლობდნენ და სარგებლობდნენ როგორც საკუთარს, მაგრამ რამდენადაც კანონი ნივთის ფაქტობრივ მფლობელობას საკუთრების წარმოშობის საფუძველად არ მიიჩნევა, ნივთის ასეთი მფლობელიც მესამე პირების მიმართ გაურკვეველ სამართლებრივ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, რაც, თავის მხრივ, რთულ სამოქალაქო დავაში გადაიზრდებოდა.

როგორც ენახეთ, ყოველთვის შეიძლება არსებობდეს უკანონო მფლობელობა და სწორედ ამ გაურკვეველი ვითარების თავიდან აცილებას ემსახურება შეძენითი ხანდაზმულობის ინსტიტუტი. მისი წყალობით, ნივთის ფაქტობრივი მფლობელი მის მესაკუთრედ გადაიქცევა. „შეძენითი ხანდაზმულობა დამკვიდრდა საზოგადოების ინტერესების დასაცავად, რათა საკუთრებით ურთიერთობაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ზოგჯერ სამუდამოდ, გაურკვეველობა არ წარმოშობილიყო. შეძენითი ხანდაზმულობა არც მესაკუთრის უფლებებს არღვევს, რადგან საკუთრების უფლების დასაცავად მას საკმარისი დრო ჰქონდა კუთვნილი ნივთის მოსაძიებლად და გამოსათხოვად“ – აღნიშნავდა გაი¹. ამ პრინციპიდან გამომდინარე, შემდგომში შეძენითი ხანდაზმულობა ყველა განვითარებული სა-მოქალაქო სამართლის განუყოფელი ნაწილია. ამასთან, შეძენითი ხანდაზმულობა არამხოლოდ საკუთრების წარმოშობის საფუძველია. რომის სამართალი², საფრანგეთის სამოქალაქო სამართალი³ დასაშვებად მიიჩნევს ხანდაზმულობით სერვიტუტისა და უზუფრუქტის წარმოშობასაც.

მიუხედავად იმისა, რომ შეძენითი ხანდაზმულობის ინსტიტუტს დიდი ხნის ისტორია აქვს და მისი აუცილებლობა მრავალი ქვეყნის გამოცდილებამ დაადასტურა, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ზემოაღნიშნულ წინააღმდეგობათა დაძლევა მხოლოდ მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულში გახდა შესაძლებელი. პირველად რუსეთმა 1900 წლის 24 დეკემბერს მიიღო კანონი „საკუთრების შესახებ“. კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით აღიარებულ იქნა შეძენითი ხანდაზმულობის ინსტიტუტი, როგორც საკუთრების წარმოშობის ერთ-ერთი საფუძველი. უფრო მოგვიანებით შეძენითი ხანდაზმულობა აისახა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებშიც, რომელიც მიღებული იყო 1991 წლის 31 მაისს. მართალია, საბჭოთა კავშირი ამ დროისათვის ფაქტობრივად დაშლილი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში მან ერთგვარი დადებითი როლი მაინც შეასრულა.

¹ Н. Повицкий, Римское частное право, М., 1948, стр. 86

² ი ქ ე ე . გვ. 94.

³ Жюлио де ла Морандьер, Гражданское право Франции, т.2, М., 1960, стр. 137.

საქართველოში შექმნილი ხანდაზმულობის ინსტიტუტს „საკუთრების უფლების შესახებ“ კანონმა ჩაუყარა საფუძველი, რომლის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილში ნათქვამი იყო, რომ „ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც არ არის ქონების მესაკუთრე, მაგრამ სათანადო რეგისტრაციის შემდეგ კეთილსინდისიერად და ღიად, როგორც მესაკუთრე, ფლობს უძრავ ქონებას უწყვეტად სულ ცოტა 15 წლის ან სხვა ქონებას 5 წლის განმავლობაში, იძენს ამ ქონების საკუთრების უფლებას“.

როგორც ცნობილია, საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით კანონი „საკუთრების უფლების შესახებ“ გაუქმდა, ხოლო შექმნილი ხანდაზმულობას კოდექსში ოთხი მუხლი დაეთმო – 165-ე 168-ე.

მრავალი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსები და გამოცდილება გვიჩვენებს, რომ შექმნილი ხანდაზმულობით უფლების წარმოშობისათვის საჭიროა: ნივთის გარკვეული პერიოდით ფლობა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 165-ე და 167-ე მუხლებით მოძრავი ნივთისათვის დადგენილია 5 წელი, ხოლო უძრავი ნივთისათვის – 15 წელი). მფლობელობა უნდა იყოს უწყვეტი, კეთილსინდისიერი და ღია, პირი ნივთს უნდა ფლობდეს როგორც საკუთარს. მფლობელობითი ხანდაზმულობის ისტორია სხვა რეკვიზიტებსაც იცნობს. მაგალითად, რუსეთის იმპერიის სამოქალაქო საკულდებით სხვა პირობებთან ერთად საჭირო იყო, რომ მფლობელობა ყოფილიყო უღავო და მშვიდი (წყნარი). დასახელებული პირობები დღეს თვით რუსეთის სამოქალაქო კოდექსითაა უარყოფილი, რადგან მათ სრულად მოიცავს ნივთის კეთილსინდისიერი და ღია მფლობელობის შინაარსი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმისათვის, რომ შექმნილი ხანდაზმულობით საკუთრების უფლება წარმოიშვას, საჭიროა, პირი მოძრავ ნივთს ხუთი წელი, ხოლო უძრავ ნივთს თხუთმეტი წელი ფლობდეს, მაგრამ ისე არ უნდა გაეიცოთ, რომ მფლობელობის ეს ხანგრძლივობა აუცილებლად ერთ პირზე უნდა მოდიოდეს. ყოველთვის არ არის აუცილებელი, რომ პირი, რომელიც შექმნილი ხანდაზმულობით ნივთზე საკუთრების უფლებას მოითხოვს, უშუალოდ თვითონ ახორციელებს მფლობელობას კანონით დადგენილ ვადაში, მას შეუძლია, მიიერთოს იმ პირის მფლობელობის ხანდაზმულობა, ვის უფლებამონაცვლესაც ის წარმოადგენს. ასეთ უფლებამონაცვლედ, ჩვეულებრივ, აღიარებული უნდა იყოს კანონიერი ან ანდერძისმიერი მემკვიდრე. მაგალითად, თუ შექმნილი ხანდაზმულობის პირობათა დაკვირვებით სამკვიდროს დამტოვებელი 9 წლის განმავლობაში ფლობდა უძრავ ნივთს და გარდაიცვალა, ხოლო იმავე უფლებით ნივთის ფლობა მისმა მემკვიდრემ გააგრძელა, ამ უკანასკნელისათვის ნივთზე საკუთრების წარმოშობისათვის საკმარისია, რომ ის უძრავ ნივთს 6 წელი ფლობდეს. დასაშვებად მიგვაჩნია ასევე უფლებამონაცვლეობა სახელმეკრულებო ურთიერთობის საფუძველზეც. აქ მხედველობაში გვაქვს ისეთი შემთხვევა, როდესაც, მაგალითად, გამყიდველი კეთილსინდისიერად თვლიდა, რომ გასაყიდი ნივთი მას საკუთრების უფლებით ეკუთვნოდა, ფაქტობრივად კი შემქმნე მფლობელობის უფლება გადაეცადა. ამ შემთხვევაში „გამყიდველისა“ და „მყიდველის“ მიერ ნივთის მფლობელობის

ხანგრძლივობა შეიკრიბება. ვადების ამგვარ შეკრებაზე პირდაპირ მიუთითებს საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 2235-ე მუხლი. მართალია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ასეთი ნორმა არ გავაჩნია, მაგრამ მფლობელობითი ვადების შეკრების ამგვარი წესი ჩვენშიც უნდა იყოს გამოყენებული.

სამართლიანად მიგვაჩნია გ. შერშენევიჩის მოსაზრება, რომ საჯარო ეაჭრობის დროს, ძველსა და ახალ მფლობელებს შორის უფლებამონაცვლეობის კავშირი არ არსებობს, ამიგომ არც მფლობელობითი ვადების შეკრება დაიშვება¹. უფლებამონაცვლეობასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ იგი საფუძვლად უდევს საკუთრების წარმოშობის კლასიფიკაციას პირველად და ნაწარმოებ სახეებად. მიჩნეულია, რომ, როცა საკუთრების წარმოშობა უფლებამონაცვლეობას ემყარება (ეუფუნება), საკუთრების წარმოშობის ნაწარმოებ სახესთან ვეაქეს საქმე, ხოლო თუ საკუთრება წარმოიშობა პირველად, ე.ი., როცა ნივთს მანამდე არ ჰყავდა მესაკუთრე, ან საკუთრების წარმოშობა ნივთის წინამორბედი მესაკუთრის ნებაზე არ არის დამოკიდებული (მაგალითად საჯარო ეაჭრობა), საკუთრების წარმოშობის პირველად სახესთან გვექნება საქმე. საკუთრების წარმოშობის სწორედ ამ სახეს მიეკუთვნება შეძენითი ხანდაზმულობა, რადგან იგი წინამორბედი მესაკუთრის ნებაზე არ არის დამოკიდებული.

შეძენითი ხანდაზმულობით საკუთრების წარმოშობისათვის კანონით დადგენილი ვადა – 5 და 15 წელი – იმპერატიული ხასიათისაა და მისი გამრდა ან შემცირება არ შეიძლება, სამოქალაქო სამართალურთიერთობის მონაწილე სუბიექტების მიერ მფლობელობითი ხანდაზმულობის ვადა ძალიან წააგავს სასარჩელო ხანდაზმულობას. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ეს ვადები ბევრ შემთხვევაში ერთმანეთსაც ემთხვევა. მაგალითისათვის მოვიყვანთ დასახელებული კოდექსის 2262-ე მუხლს, მაგრამ ამის მიუხედავად მათი ერთმანეთში არევა არ შეიძლება. თუ შეძენითი ხანდაზმულობის გასვლა საკუთრების უფლებას წარმოშობს, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა პირიქით, პირს დაუკარგავს სუბიექტურ უფლებას. შეძენითი ხანდაზმულობით პირი უფლებას მოიპოვებს მფლობელობითი ხანდაზმულობით და არა იმის გამო, რომ მესაკუთრემ მისი მფლობელობიდან გამოსული ნივთი არ მოიძია სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაში. აქედან გამომდინარე, ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ მესაკუთრის მფლობელობიდან გამოსული ნივთი, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიუხედავად მის საკუთრებად რჩება მანამ, სანამ მესამე პირი – მისი ფაქტობრივი მფლობელი – შეძენითი ხანდაზმულობით მასზე საკუთრების უფლებას მოიპოვებს.

ერთი შეხედვით ეს მარტივი დებულება ყოველთვის ერთნაირად როდია გაგებული. რუსეთის სენატის 1906 წლის №38 საკასაციო გადაწყვეტილებით მიჩნეულ იქნა, რომ მფლობელობითი ხანდაზმულობით საკუთრების წარმოშობა დაფუძნებული იყო იმაზე, რომ მესაკუთრემ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაში არ განახორციელა და არ დაიცვა თავისი უფლე-

¹ Г. Шершеневич, Русское гражданское право, М., 1912, стр. 298.

ბები¹, რაც არ მიგვაჩნია სწორად, მაგრამ არც იმის დაშვება შეიძლება, რომ შეძენითი ხანდაზმულობა სასარჩელო ხანდაზმულობისაგან სრულიად განცალკევებულად განვიხილოთ და შევისწავლოთ. სასარჩელო ხანდაზმულობასა და შეძენით ხანდაზმულობას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი უნდა არსებობდეს. მათ შორის ისეთი თანაფარდობა უნდა დამყარდეს, რომ მანამ, სანამ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა არ ამოიწურება, არ შეიძლება შეძენითი ხანდაზმულობის ვადა დამთავრებულად ჩავთვალოთ. სასურველია, ეს ვადები ერთმანეთს ემთხვეოდეს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ სასარჩელო ხანდაზმულობა უფრო ადრე ამოიწურა, ვიდრე მფლობელობითი ხანდაზმულობა, ისე როგორც ეს ჩუენი სამოქალაქო კოდექსითაა გათვალისწინებული, შუალედში, შეძენითი ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე, ნივთი და მისი მფლობელი კვლავ გაურკვეველ სამართლებრივ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, ხოლო თუ ჯერ შეძენითი ხანდაზმულობის ვადა ამოიწურება და ე.ი. საკუთრება ამ საფუძვლით წარმოიშობა, ყოფილი მესაკუთრის უფლებებს შეეღახავთ.

შეძენითი ხანდაზმულობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა მფლობელობის უწყვეტობაა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში პირდაპირ არააფერი ნათქვამი იმის შესახებ, რომ მფლობელობითი ხანდაზმულობა უწყვეტად უნდა მიმდინარეობდეს. კოდექსის 166-ე მუხლში ნათქვამია, რომ თუ პირი ნივთს ფლობდა დროის გარკვეული მონაკვეთის დასაწყისში და ბოლოს, ივარაუდება, რომ იგი ფლობდა ამ ნივთს დროის შუა პერიოდშიც. დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, გამოდის, რომ, რა საფუძვლითაც არ უნდა იყოს შეწყვეტილი მფლობელობა, თუკი იგი კვლავ განახლდა, უნდა ჩაითვალოს, რომ პირი ნივთს უწყვეტად ფლობდა, რაც არ მიგვაჩნია სწორად. უწყვეტი მფლობელობის ამგვარი ფართო გაგებით წარმოდგენა დაარღვევს არა მარტო თვით უწყვეტობის, არამედ კეთილსინდისიერების პრინციპსაც. შეძენითი ხანდაზმულობისათვის ნივთის ფლობის უწყვეტობა გაგებული უნდა იყოს მხოლოდ ისეთი შემთხვევებისათვის, როცა მფლობელობა დროებითაა დაკარგული მფლობელის ნების გარეშე და არ უნდა გამოერიცხოს მფლობელობის სხვაგვარი შეჩერება და შეწყვეტა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 166-ე მუხლი სიასლე არ არის. იგი ანალოგიურია გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 938-ე მუხლისა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ სჯულდების დასახელებული ნორმის შემდგომ მუხლებში (940-941) დაზუსტებულია მფლობელობის უწყვეტობის პირობები, რომლის მიხედვითაც, რაც სრულიად ბუნებრივია, პირის ნების გარეშე მფლობელობის დაკარგვა, და არა ყველა შემთხვევა, ამ უფლების აღდგენას მოითხოვს. შესაბამისად მფლობელობის დარღვეული პერიოდის მფლობელობით ხანდაზმულობაში, ე.ი. უწყვეტ მფლობელობაში უნდა ჩაითვალოს. აღსანიშნავია, რომ ასეთ შემთხვევაშიც კი გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 940-ე მუხლით დარღვეული მფლობელობის უფლებები ერთი წლის ვადაში უნდა იყოს აღდგენილი. ეფიქრობთ, აღნიშნულის

¹ Г. Шершеневич, Русское гражданское право, М., 1912, стр. 298.

გათვალისწინებით, დამატებები უნდა შევიდეს სამოქალაქო კოდექსის 166-ე მუხლში, რადგან მისი დღევანდელი რედაქცია მფლობელობითი ხანდაზმულობის უწყვეტობის არასწორი გაგებაა.

სხვადასხვა შეხედულება არსებობს მფლობელობითი ხანდაზმულობის შეწყვეტასთან დაკავშირებით. პროფესორი რიასენცევი მიიჩნევს, რომ შეძენითი ხანდაზმულობის უწყვეტობა ისეთი პრინციპია, როცა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა საერთოდ არ უნდა შეწყდეს მისი საფუძვლის მიუხედავად, ხოლო თუ შეწყდა, მფლობელობის ვადის ათვლა თავიდან უნდა დაიწყოსო¹. სხვაგვარ ანალიზს უკეთებს ამ საკითხს ი. გოლსტოი. იგი აღნიშნავს, რომ მფლობელობითი ხანდაზმულობის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს იგივე გარემოება, რაც სასარჩელო ხანდაზმულობის. კერძოდ, მფლობელის მიერ მესაკუთრისათვის ნივთის დაბრუნების ვალდებულების აღიარება ან მესაკუთრის მიერ სარჩელის წარდგენა. შესაბამისად, ვადის შეწყვეტის შემდეგ მფლობელობითი ხანდაზმულობის ათვლა თავიდან დაიწყება². მიგვაჩნია, რომ ამ მხრივ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 168-ე მუხლი არასრულყოფილია. ის უნდა ითვალისწინებდეს არა მხოლოდ პრეტენზიის წარდგენას, არამედ ამავე კოდექსის 137-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევასაც – მფლობელის მიერ მესაკუთრის წინაშე ნივთის დაბრუნების ვალდებულების აღიარებასაც.

უფრო რთულად დგას საკითხი იმის შესახებ, გავრცელდეს თუ არა შეძენით ხანდაზმულობაზე ვადის შეჩერება. ბევრი ავტორი, მაგალითად შერშენევიჩი, დადებითად წყვეტდა ამ საკითხს და აღნიშნავდა, რომ თუ შეძენითი ხანდაზმულობის მფლობელი გარდაიცვლებოდა და მისი უფლებამონაცელე არასრულწლოვანი აღმოჩნდებოდა, ხანდაზმულობის ვადა შეჩერდება მფლობელის სრულწლოვანების მიღწევამდე. ვფიქრობთ, ასეთი მოსაზრება არ უნდა იყოს გამართლებული (თუმცა გ. შერშენევიჩი იმდროინდელ მოქმედ კანონს ემყარებოდა), რადგან არასრულწლოვანება საკუთრების წარმოშობას ხელს არ უშლის, წინააღმდეგ შემთხვევაში უფლებაუნარიანობის შემლუღვასთან გვექნებოდა საქმე. სხვა საკითხია, როცა ნივთის მესაკუთრის გარდაცვალების შემდეგ მისი უფლებამონაცელე იქნება არასრულწლოვანი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 134-ე მუხლის თანახმად, მის მიმართ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა შეჩერდება მანამ, სანამ პირი სრული ქმედუნარიანი გახდება. ამიტომ, იმის მიუხედავად, თუ ხანდაზმულობითი მფლობელი რამდენ ხანს ფლობს ნივთს, მასზე უფლებას ვერ მოიპოვებს და მფლობელობითი ხანდაზმულობა უნდა შეჩერდეს არასრულწლოვანი ან არაქმედუნარიანი მესაკუთრის სრული ქმედუნარიანობის მიღწევამდე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით სასარჩელო ხანდაზმულობის და შეძენითი ხანდაზმულობისათვის დადგენილი ვადებიდან გამომდინარე, შეიძლება ეთქვათ, რომ სასარჩელო ხანდაზმულობის შეჩერებამ არ შეიძლება შეძენითი ხანდაზმულობის ვადის შეჩერება გამოიწვიოს, რად-

¹ В. Рясенцев, ж. "Советская юстиция", №10, 1991, стр.21.

² Ю. Толстой, ж. "Правоведение", №3, 1992, стр.26.

გან ცალკეული შემთხვევის გარდა, შეძენითი ხანდაზმულობისათვის დადგენილი ვადების სანგრძლივობა დიდად აღემატება სასარჩელო ხანდაზმულობის ვადებს და ამიტომ ეს უკანასკნელი გავლენას ვერ ახდენს შეძენითი ხანდაზმულობის ვადებზე. თუ მხედველობაში არ მივიღებთ კოდექსის 128-ე მუხლით გამოწვეულ წინააღმდეგობებს, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

სამოქალაქო კოდექსის 165-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს, რომ ხანდაზმულობითი მფლობელი მფლობელობას კეთილსინდისიერად უნდა ახორციელებდეს. ეს კი ნიშნავს, რომ მფლობელობის კეთილსინდისიერებაში თვით მფლობელი უნდა იყოს დარწმუნებული და ეჭვი არ უნდა ეპარებოდეს მფლობელობის მართლზომიერებაში, რომ მფლობელობა კანონიერად მიიღო. ამასთან, კეთილსინდისიერი მფლობელობა შეძენითი ხანდაზმულობის მთელი პერიოდი უნდა გრძელდებოდეს. თუ მფლობელობის პერიოდში პირი შეიტყობს, რომ მისი მფლობელობა უკანონოა, აღარც კეთილსინდისიერ მფლობელობასთან გვექნება საქმე. მართალია, კოდექსში მფლობელობითი უფლებამონაცვლის კეთილსინდისიერებაზე არაფერია ნათქვამი, მაგრამ უდავოდ იგულისხმება, რომ კეთილსინდისიერი მფლობელობა უფლებამონაცვლესაც ევალება.

მფლობელობის კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით ერთი კითხვაც იბადება – როგორ გადაწყდეს საკითხი, თუ შეძენითი ხანდაზმულობის მთელ პერიოდში მფლობელობა კეთილსინდისიერად ხორციელდებოდა, მაგრამ ხანდაზმულობითმა მფლობელმა ვადის გასვლის შემდეგ გაიგო, რომ იგი ნივთის უკანონო მფლობელ იყო? ვფიქრობთ, ამ კითხვაზე პასუხს კოდექსის 165-ე მუხლის პირველი ნაწილი და 167-ე მუხლი იძლევა, რომლის მიხედვითაც საკუთრება წარმოიშობა შესაბამისი ვადის გასვლის შემდეგ იმის მიუხედავად, საკუთრების წარმოშობა დაფიქსირდა თუ არა რაიმე აქტით. ამიტომ მფლობელობითი ვადის გასვლის შემდეგ კეთილსინდისიერი მფლობელის არაკეთილსინდისიერ მფლობელად გადაქცევა შედეგზე გავლენას ვეღარ მოახდენს.

სამოქალაქო კოდექსში ღია მფლობელობაზე არაფერია ნათქვამი, მაგრამ ეს პირობა ისეთივე აუცილებელია, როგორც კეთილსინდისიერების პირობა. თუ პირი ნივთს ფარულად ფლობს, სპეციალურად აქვს გასაიდუმლოებული მფლობელობა და ამის გამო გარეშე პირისათვის უცნობია ხანდაზმულობითი მფლობელის მიერ ნივთის მფლობელობა, აღარც ღია მფლობელობა გვექნება და, თავის მხრივ, ეს საეჭვოდ ხდის კეთილსინდისიერების პირობასაც.

მფლობელობითი ხანდაზმულობის ერთ-ერთ აუცილებელი და ხშირად სადავო პირობაა ის, რომ პირი ნივთს უნდა ფლობდეს თავისთვის, როგორც საკუთარს. ამ დებულებას ღრმად აქვს ფესვები გადადგმული მფლობელობასთან და ამიტომაც ეერცერთი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსი მას ვერ ასცდა. ამასთან დაკავშირებით, მოკლედ გვინდა შევეხოთ მფლობელობის ზოგიერთ საკითხს.

მფლობელობა მისი არსებობის მანძილზე ორი მიმართულებით ვითარდებოდა: პირველი, რომის სამართლის მიერ შემუშავებული ლოქტრი-

ნაა, რომლის მიხედვითაც მფლობელობა არის ნიეთზე განხორციელებული ფაქტობრივი ბატონობა, რომელსაც თან ახლავს პირის განზრახვა, ნება, რომ ნიეთს ფლობდეს თავისთვის როგორც საკუთარს. აქედან გამომდინარე, მფლობელად უპირველესად ნიეთის მესაკუთრე მიიჩნევა, რამდენადაც ის საკუთარ ნიეთზე „ფაქტობრივ ბატონობასაც“ ახორციელებს და მისივე ნებით ფლობს თავისთვის როგორც საკუთარს. ასეთი ნება გააჩნია ასევე კეთილსინდისიერ მფლობელს, რომელიც კეთილსინდისიერად ცდება და თავის მფლობელობაში არსებული ნიეთის მესაკუთრედ თელის თავს, თუმცა იგი მესაკუთრე არ არის (კეთილსინდისიერი მფლობელი). და ბოლოს, კეთილსინდისიერი მფლობელისაგან განსხვავებით, არაკეთილსინდისიერმა მფლობელმა, მაგალითად ქურდმა, იცის რა, რომ ნიეთის უკანონო მფლობელია, მისი განზრახვა იქითაა მიმართული, ნიეთს ფლობდეს თავისთვის, როგორც საკუთარს და ამიგომ, რომის სამართლის მიხედვით, ქურდიც მფლობელად არის მიჩნეული.

დასახელებული სუბიექტური ნიშნის საპირისპირო პირობაა ნიეთზე ფაქტობრივი ბატონობის განხორციელება იმ განზრახვისა თუ ნების გარეშე, რომ ნიეთს ფლობდეს თავისთვის, როგორც საკუთარს, ანუ როცა იგი ნიეთს მესამე პირისათვის ფლობს. ასეთ მფლობელობასთან გეაქვს საქმე, როცა ფაქტობრივი მფლობელი ამ ნიეთზე სხვა პირის უფლებას აღიარებს, თვითონ კი მხოლოდ სარგებლობის უფლებას ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირის ნებართვით. ასეთი ურთიერთობა რომის სამართალში „დეტენციად“ იწოდებოდა, რაც ქართულად, ალბათ, მაყრობელად უნდა ითარგმნოს. ამრიგად, რომის სამართლის მიხედვით, დამჭირავებელი, მოიჯარე და მისთ. ნიეთის მაყრობელები არიან და არა მფლობელები.

მფლობელობის რომის სამართლისეული გაგებისაგან განსხვავებით, გერმანიის პოზიტიური სამოქალაქო სამართალი და მეცნიერება მფლობელობას განიხილავს როგორც ფაქტს. გერმანიის სამოქალაქო სკულებების 854-ე მუხლში ნათქვამია, რომ „მფლობელობა წარმოიშობა ნიეთზე ფაქტობრივი ბატონობის მიღწევით“, რითაც წაშალა ზღვარი მფლობელობასა და მაყრობელობას შორის და ნიეთის მესაკუთრესთან ერთად დამჭირავებელი, მოიჯარე, შემნახველი და სხვა ტიტულოვანი მოსარგებლეებიც მფლობელებად იქნენ აღიარებულნი. თავის მხრივ, ამან დასაბამი მისცა ყველა ტიტულოვანი მფლობელის დაცვის უფლებას. მაგალითად, საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 152-ე მუხლის თანახმად, „არამესაკუთრე მფლობელს“ მინიჭებული ჰქონდა ყველა ის უფლება, რაც მესაკუთრისათვისაა დადგენილი საკუთრების უფლების დასაყვად; მაშინ როდესაც, რომის სამართლის მიხედვით, მფლობელობის დაცვის უფლება მხოლოდ მოგირავენსა და სექესტრის მფლობელებს ჰქონდათ, რაც ამ ურთიერთობათა თავისებურებებით აიხსნებოდა.

როგორც უკვე ვნახეთ, გერმანიის სამართალმა მფლობელობის ფაქტად აღიარებით მფლობელობის დაცვის ფარგლები გააფართოვა, მაგრამ მფლობელობითი ხანდაზმულობით საკუთრების წარმოშობასთან დაკავშირებით მფლობელობის რომის სამართლისეული პრინციპი გამოიყენა,

რომლის მიხედვითაც მფლობელობა შიშველი ფაქტი კი არ არის, არამედ მას თან ახლავს პირის განზრახვა, ნება, რომ ნიეთს ფლობდეს თავისთვის, როგორც საკუთარს (გერმანიის სჯულდების 937-ე მუხლი).

ამრიგად, გერმანიის სამართალი მფლობელობის გაორებულ წარმოდგენას ქმნის – მფლობელობის დაუკისათვის და მფლობელობითი ხანდაზმულობით საკუთრების წარმოშობისათვის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსმაც მფლობელობის გერმანული გზა აირჩია, თუმცა, ვფიქრობთ, იგი ბევრ ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებასაც შეიცავს.

გერმანიის სამოქალაქო სჯულდების მსგავსად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლით, მფლობელობა წარმოიშობა ნიეთზე ფაქტობრივი ბატონობის მოპოვებით, ე.ი. მფლობელობა ფაქტია, მაგრამ ამავე მუხლის მეორე ნაწილში ნათქვამია, რომ მფლობელად არ ითვლება პირი, რომელიც ნიეთზე ფაქტობრივ ბატონობას კი ახორციელებს, მაგრამ სხვა პირის სასარგებლოდ, რაც გულისხმობს, რომ, რომის სამართლისეული გაგებით, დამქირავებელი მფლობელი არ არის და, ე.ი., მფლობელობა ფაქტი არ ყოფილა, ასევე კოდექსის 158-ე მუხლით პრეზუმუცირებულია, რომ მფლობელი მესაკუთრება, მაგრამ თუ მფლობელობა ფაქტია, მაშინ წინასწარ ისიც რატომ არ უნდა ეივარაუდოთ, რომ მფლობელი შეიძლება თვით ქურდიც იყოს.

გაუგებარია ასევე კოდექსის 163-ე მუხლის გერმინოლოგია – „არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი მფლობელი“. როგორც ამ ნორმის შინაარსიდან ირკვევა, აღნიშნულ გერმინში იგულისხმება „კეთილსინდისიერი მფლობელი“, რომელსაც თავიდანვე არ ჰქონია ნიეთის ფლობის უფლება. საუკუნეების განმავლობაში სამოქალაქო სამართლის მიერ შემუშავებული თეორიის თანახმად, კეთილსინდისიერი იმიტომაა კეთილსინდისიერი, რომ ის თავიდანვე უკანონო მფლობელია, მაგრამ სანამ ის კეთილსინდისიერია, არავის უფიქრია მისთვის მფლობელობის უფლების ჩამორთმევა.

მაგრამ ეს საკითხი ჩვენი დღევანდელი განხილვის საგანს არ წარმოადგენს. მფლობელობითი ხანდაზმულობით საკუთრების წარმოშობის საკითხში კი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ერთსულოვანია როგორც რომის, ისე გერმანიის სამართალთან. კერძოდ, კოდექსის 165-ე მუხლში ნათქვამია, რომ შეძენითი ხანდაზმულობით საკუთრებას მოიპოვებს პირი, რომელიც ნიეთს ფლობს „როგორც საკუთარს“.

ამრიგად, დავას არ იწვევს, რომ შეძენითი ხანდაზმულობით საკუთრების წარმოშობისათვის საჭიროა, პირი ნიეთს ფლობდეს თავისთვის, როგორც საკუთარს და სწორედ ეს უნდა იყოს ამოსავალი იმის გასარკვევად, თუ რა ურთიერთობიდან წარმოშობილ მფლობელობაზე გავრცელდეს შეძენითი ხანდაზმულობა.

მფლობელობა, რომელსაც თან სდევს პირის განზრახვა, ნება, ნიეთს ფლობდეს თავისთვის, როგორც საკუთარს, პირობითად შეიძლება სამ ჯგუფად დაეყოთ: 1. კეთილსინდისიერი მფლობელები; 2. არაკეთილსინდისიერი მფლობელები; 3. უპატრონო და ნაპოვნი ნიეთის მფლობელები.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ კეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ შეძენითი ხანდაზმულობის გამოყენება სადავოდ არაის გაუხდია. კეთილსინდისიერი მფლობელის თავისებურება ის არის, რომ მან ნიეთი მფლობელობაში მიიღო პირისაგან, რომელსაც მისი გადაცემის უფლებამოსილება არ ჰქონდა. ამიგომ, მართალია, იგი უკანონო მფლობელია, მაგრამ მან ამის შესახებ არ იცის და ნიეთს ფლობს როგორც საკუთარს, თუმცა ის ნიეთის მესაკუთრე არ არის. ამიგომ არ შეიძლება გამოარებული იყოს კეთილსინდისიერი შეძენის ისეთი დეფინიცია, რაც მოცემულია კოდექსის 187-ე მუხლში, რადგან, თუკი კეთილსინდისიერი შეძენი იმთავიდანვე მესაკუთრე გახდება, ფაქტობრივად შეძენითი ხანდაზმულობის სუბიექტიც აღარ გვეყოლება.

სხვაგვარად დგას საკითხი არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ. არაკეთილსინდისიერი მფლობელი, თავის მხრივ, მფლობელთა ორ კატეგორიას აერთიანებს: 1. პირი, რომელმაც არამართლზომიერად შეიძინა ნიეთი (სასყიდლით ან უსასყიდლოთ) და 2. პირი, რომელმაც ძალადობის გზით მოიპოვა ნიეთზე ფაქტობრივი ბაგონობა (ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა და სხვა). არაკეთილსინდისიერი მფლობელის ამგვარი დახასიათების შემდეგ, ერთი შეხედვით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ მათ მიმართ შეძენითი ხანდაზმულობის გამოყენება დაუშვებელი უნდა იყოს, მაგრამ თუ არაკეთილსინდისიერ მფლობელზე შეძენით ხანდაზმულობას არ გაეავრცელებთ, მაშინ ეს ინსტიტუტი საბოლოო შედეგს ვერ მიაღწევს და მიზანს ვერ გაამართლებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეძენითი ხანდაზმულობა ნიეთისა და მისი მფლობელის გაურკვეველი საშართლებრივი მდგომარეობის თავიდან აცილებას ისახავს მიზნად, მათი უმრავლესობა კი სწორედ არაკეთილსინდისიერი მფლობელებია. ამასთან, არ შეიძლება ერთი და იგივე პირობები იყოს შემოღებული კეთილსინდისიერი და არაკეთილსინდისიერი მფლობელების მიმართ. უნდა აღინიშნოს, რომ არცერთი განვითარებული ქვეყნის სამოქალაქო კოდექსს არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ შეძენითი ხანდაზმულობის გამოყენებაზე უარი არ უთქვამს. ფრანგი ცივილისტი ჟიულიო მორანდიერი აღნიშნავს, რომ ოცდაათწლიანი შეძენითი ხანდაზმულობა გამოიყენება არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიმართაც და იმ პირის მიმართაც კი, ვინც ძალადობით დაეუფლა ნიეთს¹ და აქვე განაგრძობს, რომ უკანასკნელის მიმართ ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაიწყოს იმ მომენტიდან, როცა ძალადობა შეწყდება (იხ. ასევე, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 2233-ე მუხლი). ასეთივე შინაარსის არის პორტუგალიის სამოქალაქო კოდექსის 1294-ე – 1295-ე მუხლები, რომელთა თანახმადაც შეძენითი ხანდაზმულობა გამოიყენება როგორც კეთილსინდისიერი, ისე არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიმართაც, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ არაკეთილსინდისიერი მფლობელისათვის დადგენილია უფრო ხანგრძლივი ხანდაზმულობა, ამასთან, შეძენითი ხანდაზმულობის ვადის ათვლა კეთილსინდისიერ მფლობელობაში გადაზრდის მომენტიდან დაიწყება.

¹ Жюлио де ля Морандьер, Гражданское право Франции, т. 2, М., 1960, стр. 141.

უფიქრობთ, ანალოგიური წესები უნდა იყოს გამოყენებული ჩვენთანაც არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ, მაგრამ ჩვენივე კოდექსის წყალობით, ჯერჯერობით ეს შეუძლებლად მიგვაჩნია, თუ მასში სათანადო ცვლილებები არ იქნა შეტანილი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლით ხანდაზმულობის საერთო ვადა ათი წლით განისაზღვრება, მაშინ როდესაც უძრავ ნივთებზე შეძენითი ხანდაზმულობით საკუთრების წარმოშობისათვის თხუთმეტი წელია დადგენილი (სამოქალაქო კოდექსის 167-ე მუხლი). საერთო ხანდაზმულობა იმიტომაა „საერთო“, რომ სამოქალაქო კანონით დადგენილი არცერთი ვადა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს და, ე.ი. არ უნდა აღემატებოდეს მას. ამიტომ მიგვაჩნია, რომ კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილის ამავე კოდექსის 167-ე მუხლთან (და არა მარტო მასთან) შესაბამისობაში მოსაყენანად და არაკეთილსინდისიერ მფლობელზე შეძენითი ხანდაზმულობის გავრცელების მიზნით საერთო ხანდაზმულობის ვადა იმდენად უნდა გაიზარდოს, რომ უნდა აღემატებოდეს სამოქალაქო კოდექსით დადგენილ ყველა ვადას. ამ ვადის ხანგრძლივობის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს ასევე, რომ სხვა ქვეყნის სამოქალაქო კოდექსები არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ შეძენითი ხანდაზმულობის გამოყენებისას სწორედ საერთო ხანდაზმულობას მიმართავენ. ამიტომ ისეთი ხანგრძლივობა უნდა შეირჩეს, რომ მიზანშეწონილი იყოს არაკეთილსინდისიერი მფლობელისათვის საკუთრების მოსაპოვებლად. ბევრ ქვეყანაში ასეთ ვადად 30 წელია შემოღებული.

როცა არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიერ ნივთზე შეძენითი ხანდაზმულობით საკუთრების წარმოშობაზე საუბარი, აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ არაკეთილსინდისიერი მფლობელი ასეთ უფლებას მოიპოვებს და ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაიწყება მას შემდეგ, როცა მფლობელობა კეთილსინდისიერ სახეს მიიღებს.

უპატრონო ქონებაზე ფაქტობრივი მფლობელისათვის საკუთრების მოპოვება შეძენითი ხანდაზმულობით არც საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო კოდექსისათვის იყო უცხო. ამ კოდექსის მიხედვით, უპატრონო ქონება, განძი, ნაპოვნი, უმეთვალყურეო და ირავ პირუტყვი საკუთრების უფლებით სახელმწიფოს ან კოლმეურნეობას გადაეცემოდა. მოქმედი სამოქალაქო კოდექსით კი ნაპოვნზე და საერთოდ უპატრონო ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა მის მპოვნელს, ფაქტობრივ მფლობელს, შემცირებული ხანდაზმულობის ვადაში.

საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღებასთან დაკავშირებით საზოგადოებაში და, არა მარტო რიგით მოქალაქეებში, სპეციალისტთა შორისაც ინტენსიური განსჯის საგანი გახდა, თუ რა ბედი ეწიოს („ატსტკუნით“) გასამცეველთი უფლებამოსილ პირს და რა ნორმა იყოს გამოყენებული ამ უკანასკნელსა და სახლის მესაკუთრეს შორის წარმოშობილი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად. ამ საკითხის ირგვლივ მსჯელობა ჯერ კიდევ სამოქალაქო კოდექსის პროექტის შემუშავების დროს წარმოიშვა, მაგრამ იგი კოდექსში რაიმე ფორმით ვერ აისახა. არსებობს აზრი, რომლის თანახმადაც – გასამცეველოს მიმართ შეძენითი

ხანდაზმულობა უნდა გაერცვლდეს, რაც ჩვენ არასწორად მიგვაჩნია, რადგან იგი სულ დაარღვევს შეძენითი ხანდაზმულობის პრინციპებს.

ათეული წლების განმავლობაში საზოგადოებაში ჩამოყალიბებული მარტივი წერილობითი ფორმის გასამცვლელოს („აგსტეუნოსი“) ხელშეკრულებით სახლის მესაკუთრე მეორე მხარეს სასყიდლით უთმობს საცხოვრებელ სადგომს, როგორც წესი, განუსაზღვრელი ვადით. სასყიდლის წინასწარი გადახდა ხელშეკრულების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ისაიეს მხრივ, მეორე მხარე კისრულობს ვალდებულებას, ძირითადი სასყიდლის გარდა მესაკუთრეს ყოველთვიურად გადაუხადოს ბინის ქირა (სიმბოლურად თვეში 2-3 ლარი). მასვე უფლება აქვს, „გაასხვისოს“ მის მიერ დაკავებული ფართობი იმავე უფლებით, რაც მას გააჩნია. მიღებული თანხის წინასწარი შეთანხმებით განსაზღვრული პროცენტები მესაკუთრეს უნდა მისცეს. როგორც ვხედავთ, გასამცვლელო რთული ბუნების ურთიერთობაა. იგი მოიცავს ნასყიდობის, ქირაუნობისა და ზოგჯერ აწქალადაკარგული საბინაო კოდექსით გათვალისწინებულ „სამისდლეში“ სარგებლობის ელემენტებს.

გასამცვლელოს ხელშეკრულებაში ნასყიდობისა და ქირაუნობის ხელშეკრულების ელემენტები ერთნაირი სიძლიერითაა წარმოდგენილი. ამ წინააღმდეგობათა გამო ის არც ნასყიდობისა და არც ქირაუნობის ხელშეკრულებად არ შეიძლება ჩაითვალოს. ყველაზე გონიერულ გამოსავლად გეჩვენება, რომ გასამცვლელოს მიმართ პირადი სერვიტუტი იყოს გამოყენებული, რადგან ყველაზე მეტი საერთო მასთან აქვს და არა შეძენით ხანდაზმულობასთან, თუმცა არც იმას გამოერიცხავთ, რომ გასამცვლელოს ცალკეული ელემენტები შეძენითი ხანდაზმულობის პირობებსაც აკმაყოფილებს.

გასამცვლელო და პირადი სერვიტუტი (უზუფრუქტი)¹ – ორივე ურთიერთობა შეიძლება მხარეთა შეთანხმებით წარმოიშუას, სასყიდლიანობა დამახასიათებელია როგორც ერთი, ისე მეორე ურთიერთობისათვის, უძრავი ნივთით სარგებლობის უფლების ვადა ორივე შემთხვევაში მხარეთა შეთანხმებით შეიძლება განისაზღვროს, მაგრამ ყველა შემთხვევაში უნდა შეწყდეს ამ უფლების მიმღები პირის გარდაცვალებისთანავე. პი-

¹ უნდა აღინიშნოს, რომ პირადი სერვიტუტი და უზუფრუქტი ყოველთვის განხილულია როგორც ერთი მნიშვნელობის ცნებები. იგი პრედიალური სერვიტუტის შემდეგი განვითარების შედეგია. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სამოქალაქო კოდექსში ჯერ სერვიტუტი ყოფილიყო განხილული და შემდგომ – უზუფრუქტი. ამასთან, არასწორად მიგვაჩნია კოდექსის 253-ე მუხლით ჩამოყალიბებული პირადი სერვიტუტის დეფინიცია და არამარტო დეფინიცია. ამ ნორმის თანახმად, პირადი სერვიტუტი ყოფილა უძრავი ნივთის სერვიტუტით დატვირთვა ამავე კოდექსის 247-ე მუხლში გათვალისწინებული პირობებით. ამრიგად, გამოდის, რომ 247-ე მუხლით გათვალისწინებული პრედიალური სერვიტუტი და პირადი სერვიტუტი ერთი მნიშვნისიანი ყოფილან და თუ ეს ასეა, მაშინ პირადი სერვიტუტის ცალკე გამოყოფა არ უნდა იყოს საჭირო. ობიექტურად პრედიალურ და პირად სერვიტუტს ანუ უზუფრუქტს საერთო აქვთ ის, რომ ორივე სერვიტუტია – სხვისა ქონებით მფლობელი სარგებლობის უფლება. ხოლო ინდივიდუალურია სარგებლობის პირობები და სწორედ ამ პირობებით უნდა განსვავებოდნენ ერთმანეთისაგან.

მიგვაჩნია, რომ კოდექსის 247-ე მუხლს მისი ნამდვილი მნიშვნელობით უზუფრუქტის ქვეთაში უნდა მიეუჩინოთ ადგილი.

რადი სერვიტუტის მსგავსად დაუშვებლად უნდა იყოს მიჩნეული გასამცელებლს უფლების შემკვიდრებებზე ან ოჯახის წევრებზე გადასვლა, რადგან ეს უხეშად ხელყოფდა სახლის მესაკუთრის უფლებებს. გასამცელებლს უფლების მქონე პირის გარდაცვალების შემდეგ, მისი ოჯახის წევრების მიმართ გამოყენებული უნდა იყოს ქირაულობის წესები, თუკი ამის თანახმა იქნება ბინის მესაკუთრე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არასწორად მიგვაჩნია სასამართლოს იმდაგვარი პრაქტიკა, როცა გასამცელებლს შეწყვეტის შედეგად ბინის მესაკუთრეს აკისრებენ ამ ურთიერთობისათვის ადრე მიღებულ სასყიდელს.

ახალი სამოქალაქო კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით კიდევ ერთმა პრობლემამ იჩინა თავი – „შინაურული ხელშეკრულებით“ ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად ცნობის საკითხმა (1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 47-ე მუხლი), სასამართლო პრაქტიკამ არა ერთი და ორი მაგალითი იცის ამ ურთიერთობიდან წარმოშობილი დავისა. მარტივი წერილობითი ფორმით ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების დადება ჩვენს საზოგადოებაში დღესაც ფართოდ გამოიყენება. ახალ სამოქალაქო კოდექსში კი ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. მარტივი წერილობითი ფორმით ბინის (სახლის ან მისი ნაწილის) ნასყიდობის ხელშეკრულება და მისგან წარმოშობილი მხარეთა უფლება-მოვალეობანი ერთი შეხედვით იძლევა იმის შესაძლებლობებს, რომ ბინის „შემსყიდველის“ მიმართ გამოვიყენოთ შეძენითი ხანდაზმულობა, რადგან ეს უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში ბინას ფლობს კეთილსინდისიერად, ღიად, როგორც საკუთარს. აღნიშნულის მიუხედავად, ბინის ფაქტობრივი მფლობელის მიმართ საკუთრების წარმოშობის ამ წესს ვერ გამოვიყენებთ, რადგან არ არის დაცული ხელშეკრულების ფორმა და საჯარო რეესტრში მესაკუთრედ არ არის რეგისტრირებული.

ნათქვამიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მსგავსი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავების გადაწყვეტა იურიდიულად სირთულეს არ წარმოადგენს – კანონით დადგენილი ფორმის დაუცელობის გამო გარიგება ბათილად იქნება ცნობილი, მაგრამ იქნება კი ეს საქმის სამართლიანი გადაწყვეტა? ვფიქრობთ, არა. არა მგონია, კოდექსის ნაკლად ჩათვლილიყო, საზოგადოებისათვის ამ მნიშვნელოვანი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად, თუნდაც შემლუღული სახით, 1923 წლის სამოქალაქო კოდექსის 182-ე მუხლის ანალოგიური ნორმა რომ გაეთვალისწინებინა ახალ კოდექსს, მაშინ როდესაც კოდექსში მრავლადაა 336-ე მუხლის (ქუჩებში დადებული ხელშეკრულების) ანალოგიური მკედარი ნორმები.

ობიექტი, რაზეც უნდა გავრცელდეს შეძენითი ხანდაზმულობა, სამოქალაქო კოდექსის 165-ე და 167-ე მუხლებით არის როგორც მოძრავი, ისე უძრავი ნივთები. უძრავ ნივთებზე შეძენითი ხანდაზმულობით მფლობელი 15 წლის მანძილზე საჯარო რეესტრში მესაკუთრედ უნდა იყოს რეგისტრირებული, რაც ფაქტობრივად გამორიცხავს უძრავი ნივთების მიმართ შეძენითი ხანდაზმულობის გამოყენებას. ცნობილია, რომ ყველა ცალკეულ შემთხვევაში უძრავ ნივთებზე საკუთრების წარმოშობისათვის საჭი-

როა რთული წერილობითი ფორმით გარიგების დადება და საჯარო რეგისტრში რეგისტრაცია. ამიგომ მესაკუთრის ნების გარეშე საჯარო რეგისტრში ცვლილებები პრაქტიკულად შეუძლებელია. სამოქალაქო კოდექსის 167-ე მუხლი ცხოვრებაში გამოუყენებელი და მკვდარი ნორმა იქნება. იქ, სადაც უძრავი ნივთების საჯარო რეგისტრს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, რასაც ჩვენც ვუჭერთ მხარს, შეძენითი ხანდამშულობით მათზე საკუთრების წარმოშობასაც აღარ უნდა ითვალისწინებდნენ, ვეფირობთ, ისე და ისე იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ასეთი ნორმა ვერ იმოქმედებს.

ამრიგად, შეძენითი ხანდამშულობის შესახებ კოდექსის 165-ე 168-ე მუხლები სერიოზულ ცვლილებებსა და დამატებებს საჭიროებენ.

ხშირად, მით უფრო ბოლო წლებში, ახალი კანონის სამოქმედოდ შემოღება მხოლოდ მატერიალურ ურთიერთობებს აწესრიგებს, მისი განხორციელების პროცესულური მექანიზმი კი არ არსებობს. რა მდგომარეობა გვაქვს მფლობელობით ხანდამშულობასთან? როგორც ენახეთ, შეძენითი ხანდამშულობით საკუთრების უფლება წარმოიშობა შესაბამისი ვადის გასვლის შემდეგ, მაგრამ ღგება საკითხი, თუ ვინ გასცეს საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი?

აქ, ობიექტის თავისებურებიდან გამომდინარე, ორგვარ წინააღმდეგობას შეიძლება წავაწყდეთ: როცა საკუთრების უფლება მოძრავ ნივთზე უნდა წარმოიშვას და მასზე საკუთრების უფლების დასამტკიცებლად სპეციალური უფლების დამდგენი დოკუმენტი საჭირო არ არის და მეორე, – როცა ნივთზე საკუთრების დადგენისთვის თვით კანონი მოითხოვს უფლების დამდგენ დოკუმენტს. პირველ შემთხვევაში დიდ სირთულესთან არ უნდა გექონდეს საქმე, მეორე შემთხვევისათვის კი, ვეფირობთ, შეძენითი ხანდამშულობის მფლობელმა შესაბამისი ვადის გასვლის შემდეგ, სასამართლოს უნდა მიმართოს უდავო წარმოების წესით იმის დასადაგენად, რომ მფლობელობითი ხანდამშულობით ნივთზე საკუთრების უფლება მოიპოვა. ამის თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილება საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი იქნება.

და ბოლოს, სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის თანახმად, შეძენითი ხანდამშულობის ვადის ათელა 1993 წლის 23 იელისიდან დაიწყება, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ კანონს უკუქცევითი ძალა არ მისცემია.

დავით ქაპუკაშვილი

იურიდიულ მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი

ინტელექტუალური საქართვების ცნება და სისტემა საქართველოს კანონმდებლობით

(ზომიერითი საკითხი)

ინტელექტუალური საკუთრების აღიარება სამოქალაქო სამართლის ქვედარგად ჩვენს ქვეყანაში უკავშირდება საქართველოს კონსტიტუციის, სამოქალაქო კოდექსისა და სპეციალური კანონების მიღებას. კონსტიტუციამ პირველად აღიარა და საქართველოს ტერიტორიაზე სავალდებულო მოქმედების ნორმით განამტკიცა¹ „ინტელექტუალური საკუთრება“. შესაბამისად, გამომდინარე იქიდან, რომ კონსტიტუციის უზენაესი ძალა გააჩნია სხვა კანონებთან და საერთაშორისო აქტებთან მიმართებით, სწორედ მისი ძალით მიეცა დასაბამი საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების სისტემის ჩამოყალიბებას. კონსტიტუციამ ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობა დაუქვემდებარა მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ განმგებლობას (მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის პ) ქვეპუნქტი) და დაუკავშირა რა იგი ინტელექტუალურ შემოქმედებით საქმიანობას, 23-ე მუხლით ადამიანის ძირითად, ხელშეუვალ უფლებად გამოცხადდა. ფაქტობრივად, ზოგიერთი ქვეყნისაგან განსხვავებით კონსტიტუციამ შემოიტანა ნორმა, რომელიც პირდაპირ განაპირობებს ინტელექტუალური საკუთრების ინსტიტუტის არსებობას. ამასთან ინტელექტუალური საკუთრება გაიგივებული არ არის სანივთო საკუთრებასთან, რომელიც 21-ე მუხლით არის აღიარებული და განმტკიცებული ადამიანის ერთ-ერთ უმთავრეს, ძირითად უფლებად. საკუთრების ამ ორ კონსტიტუციურ უფლებებს შორის მრავალი და განსხვავებული საერთო ნიშანი არსებობს. კონსტიტუციიდან გამომდინარე, სრულიად ნათელია, რომ ჩვეულებრივად გაგებულ სანივთო საკუთრებასთან

¹ საქართველო კონსტიტუციის მიღებამდე, 1994 წლის იანვრიდან მიერთებული იყო ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დამფუძნებელ კონვენციას, რომელიც შეიცავს ცნებას და იძლევა ინტელექტუალურსაკუთრებითი უფლებების გავრცელების ფარგლებს ობიექტების მიხედვით. გარდა ამისა, 1992 წლის მაისიდან მოქმედებდა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებით დამტკიცებული დებულებები გამოგონების, სასაქონლო ნიშნებისა და სამრეწველო ნიმუშების შესახებ. მიუხედავად ამისა, აღნიშნული აქტების რეალური ძალა არ იყო განმტკიცებული კონსტიტუციურად, რის გამოც ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი სისტემის შემადგენელ ნაწილად რეალურად არსებობამდე ჯერ კიდევ მორს იყო.

ერთად ინტელექტუალური საკუთრებაც კერძო სამართლის ნაწილია, მაგრამ გასარკვევია, ეს უკანასკნელი სანიეთო საკუთრების შემადგენელია, თუ ცალკე მდგომი, მასთან მჭიდრო კავშირში მყოფი ნაწილია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეორე წიგნი „სანიეთო სამართალი“ სანიეთო ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად შეიცავს 3 კარს, რომელთაგან 1-ლი კარი ქონებისადმი მიძღვნილი ზოგადი ნორმებითაა წარმოდგენილი, მე-2 კარი ეძღვნება მფლობელობას, ხოლო მე-3 კარი საკუთრებას, მაგრამ საკუთრება მეთხე წიგნის შემადგენელ უფლებადაც არის წარმოდგენილი მისი სათაურიდან – „ინტელექტუალური საკუთრების სამართალი“ – გამომდინარე. შესაბამისად, ცხადი ხდება, რომ სამოქალაქო სამართლით სანიეთო საკუთრებით და ინტელექტუალური საკუთრებითი ორი უფლებაც დაწესებული. როგორც ჩანს, კანონმდებელი ასსვავებს საკუთრების ამ ორ უფლებას ერთმანეთისაგან და ამიტომაც მიუჩენს მათ ცალკე გამოყოფილ ადგილებს. ამ ფაქტებიდან გამომდინარე, აქტუალურად გვესახება, წარმოვადგინოთ აღნიშნული ინსტიტუტების ურთიერთმედარება საერთო და განსხვავებული სამართლებრივი ნიშნების გამოყოფით, რაც სასარგებლო იქნება როგორც თეორიული, ისე კანონმემოქმედებითი და ნორმათა პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით. ამასთან, ვითვალისწინებთ, რომ, საზოგადოდ, იურიდიულ მეცნიერებაში „საკუთრება“ ერთიან ცნებად არის მიჩნეული, რასთან დაკავშირებითაც დამაჯერებელი დასაბუთებაა მოგანილი ქართველ მეცნიერ-იურისტების მიერ (პროფესორები: ბესარიონ ზოიძე, ლადო ჭანტურია)¹. რადგან საკუთრება ერთიანი უფლებაა, მიგვაჩნია, რომ დაწვრილებითაა გამოსაკვლევი ინტელექტუალური საკუთრების ცნება და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ინტელექტუალური საკუთრების ცალკე ქვედარგად ჩამოყალიბების მართებულობა. გასარკვევია, რა დამოკიდებულება არსებობს სანიეთო საკუთრებასა და ინტელექტუალურ საკუთრებას შორის საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით.

ის, რომ სამოქალაქო სამართლის მიხედვით სამოქალაქო სამართლის კოდექსის საკუთრება ვრცელდება მხოლოდ ფიზიკური სხეულის მქონე ნივთებზე, რაც სრულიად შეესაბამება რომის სამართალს, უეჭველია. მაგრამ, როგორც პროფესორი ლადო ჭანტურია აღნიშნავს, არსებობს ე.წ.

¹ „სამოქალაქო კოდექსი საბოლოოდ უარყოფს საკუთრების ფორმებად დაყოფას და მის ერთიან ცნებას განამტკიცებს. თუკი ჯერ კიდევ გვხვდება საკუთრების ფორმებზე საუბარი, ეს შეიძლება ითქვას მხოლოდ ეკონომიკურ ლიტერატურაზე. – საკუთრება ერთიანი ყველა შესაკუთრისათვის, ყველა შესაკუთრე თანასწორია საკუთრების წინაშე“. ბესარიონ ზოიძე, „სანიეთო სამართალი“, თბ., 1999, გვ. 59; საკუთრების ერთიან ცნებასთან დაკავშირებით მოვიგანთ კიდევ ერთ ციტატას: „საკუთრების სხვადასხვა ცნების აღიარება საკუთრების ობიექტების მიხედვით, ფაქტობრივად, სპობს საკუთრების ცნებას, ეინაიდან ამგვარი განსაზღვრების დროს წინა პლანზე წამოიწეხს სწორედ ის შემოღვეები, რომლებიც საკუთრების შინაარსის ერთეულ, გარეგნულ გამოხატულებებს წარმოადგენენ და არ ასახავენ მთლიანად საკუთრებისათვის დამახასიათებელ არსებით ნიშნებს. ამიტომ საკუთრების ცალკეული სახის განხილვა ნიშნავს, უწინარეს ყოვლისა, საკუთრების უწყიქიურ არსებობას, მოქმედებას და, ამდენად, არავითარ შემთხვევაში, არ შეიძლება შეეხოს საკუთრების ცნებას“. ლადო ჭანტურია, „უძრავი ნივთების საკუთრება“, თბ., 1994, გვ. 46.

საკუთრების პოპულარული ცნება, რომელიც საკუთრებას ავრცელებს არა მარტო სხეულებრივ ნივთებზე, არამედ ყველა სახის ქონებრივ საგნებზე, მათ შორის ე.წ. „ინტელექტუალურ საკუთრებაზე“¹. აქვე მითითებულია, რომ გერმანელ ცივილისტთა უმეტესობა არ აღიარებს ამ პოპულარულ გაგებას და მდარად მიიჩნევს მას, რისგან გასხვავებით, ზოგიერთი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსი, მაგალითად ავსტრიისა, პირის საკუთრებად აღიარებს ყველაფერს, რაც მას ეკუთვნის – ყველა სხეულებრივ და არასხეულებრივ ნივთებს. აღნიშნულზე დაყრდნობით, გამოტანილია დასკვნა, რომ სამოქალაქო სამართალი განსხვავებს ერთმანეთისაგან საკუთრებას სხეულებრივ ნივთებზე და საკუთრებას უსხეულო ობიექტებზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის განსხვავებულ წიგნებში მოთავსება სხეულებრივ და უსხეულო (ინტელექტუალური შრომის ნაყოფი) ნივთებზე საკუთრებისა, ასეთი მიდგომის ერთგულების დასტურია. ეს არ ნიშნავს, რომ სანივთო საკუთრებასა და არამატერიალურ საკუთრებას შორის კავშირი არ არსებობს. აღნიშნულ განსხვავებაზე და იმავდროულად ურთიერთდამოკიდებულებაზე მიუთითებენ რუსი ცივილისტებიც, მაგალითად შერშენევიჩი. იგი ამბობს, რომ რუსეთის კანონმდებლობა მისდევს რა ადრე გაბატონებულ თეორიულ შეხედულებებს, ინტელექტუალურ-საკუთრებით სამართალურთიერთობებს მიიჩნევს არა დამოუკიდებელ ურთიერთობებად, არამედ სანივთო უფლებათა შემადგენელ ნაწილად და განიხილავს მათ საკუთრების განსაკუთრებულ სახედ². თანამედროვე რუსეთის სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლით განმტკიცებულია ზოგადი ნორმა: „ამ კოდექსითა და სხვა კანონებით გათვალისწინებულ შემთხვევებსა და წესით აღიარებულია მოქალაქის ან იურიდიული პირის განსაკუთრებული უფლებები (ინტელექტუალური საკუთრება) ინტელექტუალური საქმიანობის შედეგებსა და მათთან გათანაბრებულ იურიდიული პირის, აგრეთვე, პროდუქციის, შესრულებული სამუშაოების ან მომსახურების (საფირმო სახელწოდება, სასაქონლო ნიშანი, მომსახურების ნიშანი და მისთ.) ინდივიდუალიზაციის საშუალებებზე“. საქართველოს სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებით, რუსეთის სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს ცალკე ნაწილს (წიგნს) ინტელექტუალური საკუთრებისათვის. განზრახული იყო ინტელექტუალური საკუთრების სამოქალაქო კოდექსის მე-3 ნაწილში წარმოდგენა, მაგრამ ამ მიდგომის მომხრეთა ძალისხმევა პროფესორ დოზორცევის თაოსნობით უშედეგოდ დასრულდა. რუსეთის სამოქალაქო კოდექსი შემოიფარგლა ინტელექტუალურ საკუთრებაზე მითითებითი ცალკეული ნორმების არსებობით. როგორც უხედავთ, რუსეთის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, „ინტელექტუალური საკუთრება“ გამოყენებულია განსაკუთრებული უფლებების აღმნიშვნელი ჯამური შინაარსის მქონე ცნებად. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რუსეთის სამოქალაქო სამართალი ინტელექტუალურ საკუთრებას სანივთო საკუთრების ცნებას არ უქვემდებარებს და განსხვავ-

¹ ლადო ჭანტურას დასახელებული ნაშრომი, ვვ. 49.

² Г. Шершеневич, Учебник русского гражданского права, М., 1995, стр. 254.

ეპული გამოვლინების უფლებად მიიჩნეეს. ასეთი მიდგომა დიდი ხნის წინ დაწყებული და ჯერ კიდევ დაუმთავრებელი კამათის გამოძახილია, რომლის მთავარი საგანია პასუხის გაცემა კითხვებზე: უნდა იქცეს თუ არა ცნება „ინტელექტუალური საკუთრება“ საკანონმდებლო ცნებად. მეცნიერთა ერთი ჯგუფის აზრით, „ინტელექტუალური საკუთრება“ შეიძლება აისახოს პოლიტიკური და არა პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე საკანონმდებლო აქტებში, რადგან მას მიიჩნევენ უზუსტო და მეცნიერულად დაუსაბუთებელ ტერმინად. ანალოგიური აზრი გამოთქმულია სხვა უცხოელი მეცნიერების მიერაც. კერძოდ, გამოჩენილი მეცნიერი, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის პირველი გენერალური დირექტორი პ. ბოდენჰაუზენი მიიჩნევს, რომ ტერმინი – „სამრეწველო საკუთრება“ არის გრადიციული, მაგრამ ნაკლებად ზუსტი, იგი გამოიყენება შემოქმედებითი არსის მქონე იდეებთან და განმასხვავებელი თვისებების მქონე ნიშნებთან დაკავშირებული განსაკუთრებული უფლებების აღსანიშნავად. შემდეგ იგი მიღის იმ დასკვნამდე, რომ „სამრეწველო საკუთრება“ მხოლოდ ანალოგიაა ჩვეულებრივად გაგებული საკუთრებისა¹. იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ ინტელექტუალური საკუთრებისა და ჩვეულებრივად გაგებული საკუთრების ცნებების ურთიერთმიმართების თაობაზე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მიმოვიხილოთ თეორიები, რომლებიც უღეეს საფუძვლად გასაანალიზებელ ცნებებს.

მე-17 საუკუნიდან კერძო პირის მიერ საკუთრებითი უფლებების ფლობა საბუთდებოდა ბუნებითი თეორიით. კერძოდ, ინგლისელი მოაზროვნე ჯონ ლოკი მიუთითებს, რომ ბუნებით ბოძებული სიკეთე ეკუთვნის ყველა ადამიანს, მაგრამ, თუ პიროვნებამ თავისი შრომით რაიმე დაამატა ამ საყოველთაო კუთვნილებას, მაშინ მოცემულ პიროვნებას უფლება აქვს, საკუთარი შრომის ნაყოფი გამოყოს საერთო კუთვნილებად არსებულასაგან და გახდეს მისი მებაგონე, ანუ პიროვნების საკუთრებად აღიარებულია ამ კონკრეტული პირის შრომის ნაყოფი – იქნება ეს გონებრივი შრომის შედეგი, თუ ხელით ნამუშევარი. პირველ შემთხვევაში უსხეულო სახის ობიექტებზე გაერელებულ (ინტელექტუალურ) საკუთრებასთან ვეაქვს საქმე, ხოლო მეორე შემთხვევაში სხეულებრივ ობიექტებზე (ნივთებზე) გაერელებულ საკუთრებასთან. ლოკის სიყვებით რომ ვთქვათ, ნებისმიერი პირი ბატონია საკუთარი შრომის შედეგისა, რა ვგარიც არ უნდა იყოს იგი². ბუნებითი უფლებების თეორიიდან გამომდინარე, შემოქმედების უფლება ადამიანის განუყოფელ ბუნებით უფლებას წარმოადგენს. იგი არსებობს თავისით და ინტელექტუალური საკუთრებითი უფლებების აღიარება არის მხოლოდ შემოქმედებითი საქმიანობის ბუნებითი

¹ Гражданское право, учебник, под редакцией проф. А.П. Сергеева и Ю.К. Толстого, т.3, 2001, стр.86.

² Г. Боденхаузен, Парижская конвенция по охране промышленной собственности, Комментарий, М., 1977, стр. 30.

³ Principles of Patent Law by Donald S. Chisum, Graig Allen Nard, Herbert F. Schwartz, Pauline Newmann, F. Scott Kieff. Cases and materials. University casebook, New York, New York Foundation Press, 1998, p.36.

უფლების დადასტურება¹. ამიგომაც არის, რომ შემოქმედებითი თავისუფლება და ინტელექტუალური საკუთრების უფლება ადამიანის ძირითად უფლებად არის საყოველთაოდ აღიარებული, რაც აისახა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში. ბელგიელი მეცნიერის ედმონ პიკარის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი თეორიის მიხედვით, ლიტერატურული, მხატვრული და საგამომგონებლო შემოქმედებითი შრომით შექმნილ ნაყოფზე უფლებები წარმოიქმნება შექმნისთანავე. ეს უფლებები განსაკუთრებული კატეგორიის უფლებებია, რომლებიც არ თავსდებიან რომის სამართლებრივ კლასიფიკაციაში, რაც სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებს ყოფს სანივთო, ვალდებულებით და პირად სამართალურთიერთობებად².

ბუნებითი თეორიის თანახმად, ნაწარმოები, გამოგონება და გონებრივ-შემოქმედებითი შრომის სხვა ნაყოფი ავტორთა საკუთრებაა. უფრო მეტიც, XVIII საუკუნეში ცხადდებოდა, რომ ყველაზე მეტად ადამიანის საკუთრებად უნდა განიხილებოდეს მისი გონებრივი შრომის შედეგი და არ შეიძლება არსებობდეს საკუთრება, რომელიც მას აღემატება, ამ აზრს ავითარებს მასაჩუსეტსის შტატის 1789 წლის კანონის პრეამბულა. საფრანგეთის რევოლუციის დროს ნაწარმოებების ავტორთა უფლებების გავრცელება მათი ნაშრომების საჯარო შესრულებაზე ეყრდნობოდა ცნობილ გამონათქვამს, რომ ავტორთა უფლებები „ყველაზე წმინდა და სწორებისაგან ყველაზე მეტად განუყოფელი საკუთრებაა“. გონებრივ-შემოქმედებით შრომის შედეგთან საკუთრების გაიგივებამ XIX საუკუნეში გამოიწვია საკანონმდებლო აქტებში ავტორთა და გამომგონებელთა უფლებების ჩვეულებრივად გაგებულ საკუთრებად მოხსენიება. ტერმინებმა: „ლიტერატურული და მხატვრული საკუთრება“, „სამრეწველო საკუთრება“ ფართოდ მოიკიდა ფესვი. მომდევნო პერიოდში მეცნიერულმა ანალიზმა ცხადი გახადა არსებითი განსხვავება ჩვეულებრივად გაგებული საკუთრებისა და ინტელექტუალური საკუთრებისაგან. სხეულოვანი ნივთის მატერიალური ბუნება თავისთავად განაპირობებს მისი მფლობელის მიერ საკუთრებითი უფლებების განხორციელებას და ამ უფლებებს დაქვემდებარებულ ფიზიკურ ფარგლებს ზუსტად განსაზღვრულ ჩარჩოებში აქცევს. ინტელექტუალურ-საკუთრებითი უფლებები ბუნებრივად არსებული უფლებები კი არ არის, არამედ ხელოვნურად შექმნილია კერძო სამართლით. გარდა აღნიშნულისა, სანივთოსამართლებრივი საკუთრება არ მოიცავს მესაკუთრის პირად არაქონებრივ უფლებებს. ინტელექტუალურსაკუთრებითი უფლება კი ასეთი უფლებების არსებობის გარეშე წარმოუდგენელია, რასაც ცალსახად იზიარებენ იურისტ-მეცნიერები,

¹ საფრანგეთის პირველ საპატენტო კანონში აღნიშნულია, რომ ყოველი ახალი იდეა, რომელიც საზოგადოებისათვის სასარგებლოა, ეკუთვნის მის შემქმნელ პირს. ადამიანის უფლებათა შემლუფა იქნებოდა, რომ ახალი სამრეწველო გამოგონება არ განხილულიყო შემქმნელის საკუთრებად.

² Е.А. Богатых, В.И. Левченко, Патентное право капиталистических и развивающихся государств, М., 1978, стр. 15-16.

³ Delia Lipszyc, Copyright and neighbouring rights, UNESCO, 1999, p. 29.

ოღონდ არსებობს ორგანიზაციის შეხედულება ინტელექტუალურ საკუთრებაზე. პირუელის მიხედვით იგი ორი სხვადასხვა კატეგორიის – ქონებრივი და პირადი – არაქონებრივი ხასიათის ცალკე მდგომარეობაში უფლებებია. ამ თეორიას ინტელექტუალური საკუთრების დუალისტური თეორია დაეყრდნობა; მეორე – მონისტური – თეორიის მიხედვით, უფლებათა ასეთი დაყოფა სინამდვილეში არ არსებობს და ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები ნაწარმოების, გამოგონების თუ სხვა ქმნილების ავტორის ერთ, საყოველთაო უფლებას შეადგენს. როგორც ვხედავთ, ორივე თეორია ხაზს უსვამს ინტელექტუალური საკუთრების განსხვავებას სანივთო საკუთრებისაგან.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაგები ხდება, რომ ინტელექტუალურსაკუთრებითი უფლებების ჩამოყალიბება-შექმნისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა მემოთ განხილული საკუთრების ბუნებითი თეორია და მასზე დაყრდნობით შექმნილი ლოკის თეორია. შუა საუკუნეებიდან მომდინარე, XIX საუკუნემდე ჯერ კიდევ არსებობდა შეხედულება, რომ ინტელექტუალურსაკუთრებითი უფლებები უფრო ქვეყნის ხელმწიფის მიერ რომელიმე პირისათვის ბოძებული უპირატესობის (პრივილეგიების) უფლებებია, ვიდრე საკუთრებითი. მაგალითად, რუსეთის მიერ ამ სფეროში 1812 წელს მიღებულ პირველ კანონს სათაურად ჰქონდა – „შხაგრობისა და ხელობის სფეროში სხვადასხვა გამოგონებასა და აღმოჩენებზე პრივილეგიების შესახებ“ (О привилегиях на разные изобретения и открытия в художествах и ремеслах). როგორც ვხედავთ, ამ უფლებებს საკუთრებით უფლებებად არ მიიჩნევს რუსეთის სამართალი. პრივილეგიებით უფლებების განმტკიცება ჯერ კიდევ არ უშლიდა ხელს ისეთი სარგებლის მიღებას, რაც დააკმაყოფილებდა ასეთი პრივილეგიის პატრონს, რადგან კონკურენტული გარემო რეალურად არ არსებობდა. ამასთან, პრივილეგიები რუსეთში (შენიშნავთ, რომ არა მარტო რუსეთში, არამედ სხვა ქვეყნებშიც) ებოძებოდა უფრო მეწარმეებს, მაგალითად გამოგონებებს, ვიდრე კონკრეტულ კერძო პირებს, რომლებმაც შექმნეს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი¹. იმაედროულად, როგორც აღნიშნეთ, XIX საუკუნეში უფლებები გონებრივ-შემოქმედებითი შრომის შედეგზე, ერთი მხრივ, იკვირებოდა სანივთო საკუთრებით უფლებებთან, ხოლო მეორე მხრივ, აღიარებულ იქნა განსხვავება ერთმანეთისაგან იმდენად, რომ ზოგიერთი ფრანგი და იტალიელი მეცნიერი მომხრე იყო ინტელექტუალურსაკუთრებითი უფლებების ცალკე მდგომარეობაზე უფლებებად ნორმატიული ჩამოყალიბებისა და „Sui generis“ სისტემით მათი დაცვისა. აღნიშნულ ხანაში მიმდინარე ფართომასშტაბიანი სამრეწველო რევოლუცია ითხოვდა საკითხისადმი ახალ მიდგომებს. სწორედ ამ დროს გახდა საჭირო სამეწარმეო კონკურენტულ გარემოში მყარი – აბსოლუტური ხასიათის – უფლებების არსებობა შემოქმედებითი დაღის მქონე ქმნილებებზე, რადგან სწორედ ისინი გახდნენ საქმიანობის წარმატებული განვითარების უმნიშ-

¹ В.О. Калятин, Интеллектуальная собственность (Исключительные права), учебник для ВУЗов, М., 2000, стр.15-17.

ენლოვანესი გარანტია (რამაც ჩვენს ხანაში კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინა). გამოჩენილმა გერმანელმა იურისტმა – იოზეფ კოლერმა შემოგვთავაზა არამატერიალურსაკუთრებითი უფლებების თეორია. კოლერის აზრით, სანივთოსამართლებრივი საკუთრებითი უფლება, რომელიც მნიშვნელოვანწილად განპირობებულია და განმტკიცებულია უპრობლემოდ განხორციელებადი ნივთის ფლობის უფლებით, გრადიციული გაგებით, დამახასიათებელია მხოლოდ სხეულოვანი საგნისთვის. შემოქმედებითი გარჯის შედეგად შექმნილი ქმნილება კი არ წარმოადგენს სხეულოვან ნივთს და, აქედან გამომდინარე, ქმნილების შემქმნელის უფლებები სანივთო-საკუთრებითი უფლებები ვერ იქნება. უსხეულო ნივთის – ქმნილების მესაკუთრეობა გულისხმობს მასზე სხვა კატეგორიის განსაკუთრებული უფლებების არსებობას, რომლებსაც ძალზე დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა გააჩნიათ. ეკონომიკური ხასიათის ამ უფლებებს კოლერმა თავისი ტერმინი „Immaterialgüterrecht“ (იმატერიალური) მოუქმენა¹. მაგრამ, იმავედროულად, კოლერი ამითი არ შემოიფარგლა და შემქმნელის უფლებების მეორე კატეგორიის არსებობაზე მიუთითა, რაც დამახასიათებელია მხოლოდ შემოქმედებითი შრომის შედეგად შექმნილი ქმნილების შემთხვევაში. ეს უფლებები კონკრეტულ პიროვნებასთან – შემოქმედთან განუყოფლად დაკავშირებული პირადი არაქონებრივი ხასიათის უფლებებია. მათ კოლერმა ტერმინი „Individualrechte“ მიუჩინა. ცხადია, ამ კატეგორიის უფლებები ვერ წარმოიქმნება თუმცა გონებრივი, მაგრამ ჩვეულებრივი გონებრივი, შრომის შედეგად შექმნილ რაიმეზე, რასაც შემოქმედებითი დაღის უქონლობის გამო ქმნილებას ვერ ვუწოდებთ და, შესაბამისად, ლოკის თეორიიდან გამომდინარე, მოცემულ პიროვნებას ვერ მივაკუთვნებთ. კოლერმა პირველად მიაქცია ყურადღება შემოქმედის უფლებების თავისებურებას და წინ წამოსწია მათი უფრო ღრმად შესწავლისა და პრაქტიკული გამოყენების საკითხი. აღსანიშნავია, რომ კოლერი იმატერიალური უფლებების დუალისტური თეორიის მიმდევარია. ინტელექტუალურსაკუთრებითი უფლებების ცალკე კატეგორიის უფლებებად გამოყოფაზე თავიდანვე გონებრივ-შემოქმედებითი შრომის შედეგის არამატერიალური ბუნება ახდენდა, და ამეამადაც ახდენს, გადამწყვეტ გავლენას. ძირეული კი ის არის, რომ ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებით საკუთრებითი უფლების ფლობა, რაც კანონით შეიძლება ეკუთვნოდეს მოცემულ პიროვნებას, ვერ უზრუნველყოფს იმ ობიექტის ფიზიკურ ფლობას, რამეც იგი ვრცელდება. ამ საკითხში არაერთი მეცნიერი არ არის სხვა აზრისა. მაგრამ ინტელექტუალური საკუთრება არის, თუ არ არის სანივთოსაკუთრებითი უფლებების პირდაპირი გამოზბატველი – განსხვავებული მიდგომები დღესაც არსებობს. ინტელექტუალური საკუთრების დუალისტური მიდგომა უბიძგებს მის ცალკეულ კატეგორიად გამოყოფისაკენ.

¹ ამ ტერმინიდან გამომდინარე, კოლერის თეორია იმატერიალურ თეორიადაც არის ცნობილი.

აზრის განვითარების იმავე მიმართულებისაკენ გვიბძგებს ინტელექტუალური საკუთრების მონისტური თეორიის დაუოკებელი მიმდევარი, გამოჩენილი ფილოსოფოსი ემანუელ კანტი. იგი გამორჩეულად ეხებოდა ლიბერატორული და მხატვრული ნაწარმოების ავტორთა უფლებებს. მისი აზრით, საავტორო უფლება ნაწარმოებში ჩაქსოვილი ავტორის „მე“-ს გამოხატულების ფაქტია და ყველა მისი უფლება განიხილება „*ius person-alisimum*“. კანტის მიხედვით, ნაწარმოები საზოგადოებამდე დაიყვანება ხელშესახები ნივთის – წიგნის სახით, რომელიც სანივთსაკუთრებითი უფლებით არის მოცული. მეორე მხრივ, წიგნის შემოქმედებით ავტორი საზოგადოებას უზიარებს საკუთარი გონებრივი შემოქმედების შედეგს, რომელიც, ჩვენი შეხედულებით, აზრების „გაყინულ ჯამს“ კი არა, არამედ ფსიქოემოციური ფონითა და შემოქმედებითი აღმაფრენით სასვე, „ცხრავე ან ერთ-ერთი რომელიმე მუშის გაუყენით“ ნაწარმოებში ავტორის პიროვნულ გამოხატულებას წარმოადგენს. შემოქმედებითი ხასიათის პიროვნული გამოვლენება, კანტის აზრით, ქმნის პერსონალურ (პიროვნულ) უფლებას. ამ უფლების არსი ის არის, რომ მხოლოდ ავტორი წყევტს, გახადოს ცნობილი თავისი ნაწარმოები, თუ შეინახოს იგი „ღრმა გამოქებაულში“ საიდუმლოდ. ეს უფლება პირადი არაქონებრივია, არ ექვემდებარება დროით ან სხვაგვარ შემღუღეას და არავის არ შეუძლია გამოაყხადოს მასზე რაიმე პრეტენზია ან მოთხოვნა. ამ თეორიის თანახმად, საავტორო უფლებები, მათ შორის ქონებრივი, მავალითად, კელაეწარმოების ან გავრცელების და ა.შ. უფლება, მხოლოდ და მხოლოდ პიროვნული უფლებების საფუძველზე აღმოცენდება. ქონებრივი ხასიათი დამატებითი მოვლენაა და არა აუცილებელი, რადგან ავტორის პიროვნულ ნებაზეა დამოკიდებული, მიანიჭოს მათ ქონებრივი მნიშვნელობა თუ არა. აქედან გამომდინარე, კანტის აზრს მიეყავართ იმ დასკვნამდე, რომ ინტელექტუალური საკუთრებითი უფლებები ერთმთლიანი უფლებებია. ამასთან, კანტის თეორიით, წიგნზე საკუთრება (სანივთო საკუთრებითი უფლებები) და გონებრივი საკუთრება ერთმანეთისაგან გაყოფილი არ არის. აქედან გამომდინარე, ინტელექტუალური საკუთრება განიხილება პიროვნულ და ეკონომიკურ უფლებათა ჯამურ უფლებად. ამ თეორიამ დიდი გავლენა იქონია საავტორო უფლებების თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბებაზე, მათი გონებრივ-სულიერ-შემოქმედებითი ბუნების გათვალისწინებით. მან ინტელექტუალური საკუთრების სხვა ობიექტებთან დაკავშირებითაც გამოავლინა თავისი მნიშვნელობა და გავლენა მოახდინა სამრეწველო საკუთრებითი უფლებების ჩამოყალიბება-განვითარებაზე. კერძოდ, უჭველია ის ფაქტი, რომ თუ გამოგონებელს არ სურს, თავისი ახალი იდეა გაუშვილოს საზოგადოებას, მას ვერაიენ ვერ დააძალებს ამას. გამოგონებაე ნაწარმოების მსგავსად გამოგონებლის პიროვნული გამოხატულებაა, რასაც ბიძგს ტექნიკური პრობლემის არსებობა აძლევს, ხოლო იქმნება მხოლოდ იმ პირის მიერ, ვინც დაჯილდოებულია გამოგონებლობის ნიჭით.

ჩვენ ზემოთ შევხეთ ედმონდ პიკარის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი უფლებების თეორიას, რომელიც კოლერის თეორიას არ ემიჯნება

და დამატებით, ხაზგასმით გამოყოფს ინტელექტუალურ საკუთრებას როგორც დამოუკიდებელ უფლებებს და მათ „ინტელექტუალურ უფლებებად“ ნათლავს, იმაზე უმთავრესი აქცენტის გაკეთებით, რომ აღნიშნული უფლებები არ ეკუთვნის სანივთო უფლებებს, რომ საჭიროა მათი „sui generis“ უფლებებად აღიარება და სამართლებრივ სისტემაში ცალკე გამოყოფა. ამ თეორიის დამსახურებად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ ინტელექტუალური საკუთრება თანამედროვე გაგებით გამოყენებად ცნებად განიხილა. ერთობლივად იქნა წარმოდგენილი საავტორო უფლებები და უფლებები გამოგონებებზე, სამრეწველო ნიმუშებსა და სასაქონლო ნიშნებზე.

გვინდა რა შემოვიფარგლოთ ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული თეორიების განხილვით, ყურადღებას კიდევ ერთ თანამედროვე თეორიაზე გავამახვილებთ, რომელიც იურისტების მიერ პატენტებთან დაკავშირებით განიხილება ხოლმე. მხედველობაში გვაქვს „პატენტის სახელმეკრულეო თეორია“. მის მიხედვით, გამოგონებულსა და სახელმწიფოს შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე გამოგონებულს ეძლევა პატენტი, რომელიც ანიჭებს მას აბსოლუტური ხასიათის ქონებრივ უფლებებს მხოლოდ გამოგონების არსის საჯაროდ გახსნის შემთხვევაში¹. ამ ამრს რომ გავყეეთ, ცხადი გახდება სახელმეკრულეო თეორიის ქმედითობა საავტორო და სხვა ინტელექტუალურ საკუთრებით უფლებებთან დაკავშირებით. ვერც ერთი ასეთი უფლება ვერ იქნება რეალურად ქმედითი, თუ არ გახდა ცნობილი მისი გავრცელების საგნობრივი ფარგლები. ამდენად, შეთანხმება სახელმწიფოსა და ინტელექტუალურ უფლებათა მესაკუთრეს შორის ყველა ობიექტთან დაკავშირებით არსებობს. ქმნილების შემქმნელის უფლებებს სახელმწიფო უზრუნველყოფს, თუ ყველასათვის ცნობილია ქმნილების არსი და ფარგლები. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ საავტორო უფლებები წარმოიშობა ნაწარმოების შექმნისთანავე და არსებობს გამოქვეყნებისაგან დამოუკიდებლად, სანამ ნაწარმოები არ გახდა ცნობილი, მასზე უფლებების დაცვას საავტორო სამართალი ვერ უზრუნველყოფს — უცნობია დაცვის საგანი. ეს თეორიაც მიუთითებს ინტელექტუალური — არამატერიალური საკუთრების უმთავრეს თავისებურებაზე, რაც იმით გამოიხატება, რომ ყოველთვის გასარკვევია უფლებათა მოქმედების საგნობრივი ფარგლები, რომლებიც ქმნილების ბუნებიდან გამომდინარე უნდა დადგინდეს. ინტელექტუალურსაკუთრებითი უფლებების კონკრეტული სპექტრი ნაწილობრივ სანივთოსაკუთრებით უფლებებს ემთხვევა და საგნის ბუნებიდან არის გამომდინარე; მეორე მხრივ, ხელოვნურად, კანონმდებლის მიერ დაცვის კონკრეტული ობიექტის სპეციფიკურობისა და ეკონომიკური სივრცის მოთხოვნილებების გათვალისწინებით დადგენილი უფლებებია. ინტელექტუალური ხასიათის ქმნილების ქონებრივი უფლებების ობიექტად ქცევა მხოლოდ ეკონომიკური ინტერესით შეიძლება იყოს განპირობებული და არა ბუნებრივი მდგომარეობით, როგორც ეს მატერიალურ ნივთ-

¹ Питер Розенберг, Основы патентного права США, М., 1979, с.47-52.

თან დაკავშირებით ულინდება¹. მაგალითად, განსაყმელი ადამიანისათვის ან იარაღი მეომრისათვის კერძო საკუთრებითი ობიექტი უხსოვარი დროიდან არის, რადგან პიროვნულად მხოლოდ კონკრეტული ადამიანის კუთვნილება შეიძლებოდა ყოფილიყო, განსხვავებით მიწისაგან, რომელიც მთელი თემის კუთვნილება იყო. აქედან გამომდინარე, განსხვავებით ნიუთისაგან, ინტელექტუალურსაკუთრებით ქმნილებაზე საკუთრებითი უფლებების დაწესება და მათი ფარგლების განსაზღვრა ხელოვნურად მოხდა და მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაინტერესებულმა პირებმა (გაყინისენით შუა საუკუნეების ინგლისის დროინდელი ხანა დედოფალ ელისაბედ I-ისა² და დედოფალ ანას მონოპოლიათა შესახებ და ნაწარმოებების კოპირების შესახებ სტატუტების მიღების ისტორია) დააყენეს საკითხი, რომ სამეწარმეო რისკის სანაცვლოდ მათ ქქონდათ აბსოლუტური ხასიათის უფლებები, სადღეისოდ აღარაინ უარყოფს ინტელექტუალურსაკუთრებითი უფლებების აბსოლუტურ ხასიათს. დროდადრო გასარკვევი ხდება ხოლმე, უნდა მიეჩინოს მათ ადგილი სანივთო-საკუთრებით უფლებათა წიაღში, თუ არა.

მეშთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ინტელექტუალური საკუთრება ძირითად კერძოსამართლებრივ უფლებად არის აღიარებული საქართველოში და საკუთარი ცალკე ნორმით არის წარმოდგენილი კონსტიტუციაში. სამოქალაქო კოდექსში ცალკე წიგნი აქვს დათმობილი, ანუ სანივთო სამართლის მსგავსად ინტელექტუალური საკუთრება სამოქალაქო სამართლის ქვედარგად არის მიჩნეული. ასეთი ვითარება შემთხვევითი არ არის, სამოქალაქო კოდექსის შემქმნელი ჯგუფი ბატონ სერგო ჯორბენაძის სელმძღვანელობით კარგად აცნობიერებდა³ თანამედროვე შეხედულებებს ინტელექტუალურ საკუთრებაზე და, მიუხედავად მრავალმხრივი წინააღმდეგობისა, სამოქალაქო კოდექსის ნაწილად აქცია იგი, რითაც თვით გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ვერ დაიკვეხნის. ინტელექტუალურ საკუთრებას გამოეძებნა და მიეჩინა მისთვის შესაფერისი ცალკე ადგილი სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში. ეს ადგილი განსაკუთრებულ კერძო სამართლად უნდა ჩაეთვალოთ საქართველოს მოგად კერძო სამართალში, რაც სამოქალაქო სამართლად არის მიჩნეული. აბსოლუტური ხასიათის უფლებებთან მიმართებაში ინტელექტუალური საკუთრებითი

¹ ინტელექტუალური საკუთრების იურიდიული დაცვა გერმანიაში საბოლოოდ ჩამოყალიბდა XIX საუკუნის ბოლოს, რათა მომხდარიყო სამართლებრივი ინსტიტუციონალიზაცია თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტული ეკონომიკისა, მათ შორის ფოლდაური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი პრივილეგიების სისტემის კერძო პირთა უფლებებად გარდაქმნის ხარჯზე. Michael Lehmann, The theory of property rights and the Protection of Intellectual and Industrial Property, in IIC, Volume 16, No. 5/1985, pp. 525-540.

² დაეთმ მამუკაშვილი, სამრეწველო საკუთრება. გამოვონება, სასარგებლო მოდელი, სამრეწველო ნიმუში, თბ., 1997, გვ. 10-11.

³ ამ ჯგუფის წევრი პროფესორი ლალო ჭანტურია 1994 წელს, როდესაც მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შექმნაზე, აღნიშნავდა: „საავტორო, საპატენტო და მათი მსგავსი არაქონებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები ასევე შეადგენენ განსაკუთრებული კერძო სამართლის ნაწილებს“. ლალო ჭანტურია, „უძრავი ნივთების საკუთრება“, თბ., 1994, გვ. 27.

უფლებებიც განსაკუთრებულ უფლებებად არის აღიარებული, ამდენად ქართული ცივილისტების მიდგომა სრულიად გამართლებულია. მაგრამ იმის გამო, რომ სანიეთო უფლებები პირდაპირ და მთლიანად ვერ გავრცელდება ინტელექტუალურ საკუთრებით უფლებებზე, ამ უკანასკნელთა მიმართ სამოქალაქო კოდექსი მითითებითი ნორმებით შემოიფარგლა, ხოლო კონკრეტული ინტელექტუალური საკუთრებითი ურთიერთობების მოწესრიგება სპეციალურ კანონებს ანდო.

იმდენად, რამდენადაც ინტელექტუალურსაკუთრებითი უფლებები ახლო მსგავსებით ხანისათდება, აღნიშნული ვითარების ანალიზს ძირითადად წარმოვადგენთ საავტორო უფლებათა ობიექტების მაგალითზე.

საავტორო უფლებათა ობიექტი ნაწარმოებია, რომელიც შეიძლება განემარტოთ როგორც შემოქმედებით იდეას დაქვემდებარებული შეწყობილი სიტყვები (ლიტერატურული, მხატვრული, მეცნიერული, ტექნიკური და ა.შ.), ბგერები (მუსიკალური) ან ფერები (გამოსახულება), ან ფორმები ფერებთან ერთად (ქანდაკება, გამოყენებითი ხელოვნების სამგანზომილებიანი ობიექტი, მენობა და ა.შ.). ნაწარმოები, როგორც წესი, ვერ მატერიალიზდება, გარდა მეცნიერულ-ტექნიკური და ზოგ შემთხვევაში გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებისა. შესაბამისად, საავტორო უფლებათა ობიექტი ნიუთად ვერ იქცევა. მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ინტელექტუალური საკუთრებითი ობიექტი ფიზიკურ სხეულს იძენს (მაგალითად, სამრეწველო საკუთრების ობიექტი – გამოგონება, სასარგებლო მოდელი, სამრეწველო ნიმუში), ნიუთი ინტელექტუალურსაკუთრებითი, მათ შორის საავტორო უფლებათა ობიექტი არ არის. საავტორო უფლებით დაცულია შემოქმედებითი იდეის გამოხატვის ფორმა. საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონი პირდაპირ უთითებს, რომ საავტორო უფლებები და საკუთრება ნაწარმოების ყოველ კონკრეტულ ეგზემპლარზე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია. ეგზემპლარის შექმნასთან ერთად მისი მესაკუთრე საავტორო უფლებათა მფლობელი ვერ ხდება, სამაგიეროდ იგი იძენს ამ კონკრეტულ ნიუთთან დაკავშირებულ სანიეთო უფლებას. როგორც ეხედავთ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობს სანიეთო და საავტორო უფლებები და მათი ერთიანად – ერთმანეთისაგან განუყოფლად განხილვა სწორი ვერ იქნება. მაშასადამე, ამ ორ უფლებას – სანიეთო უფლებასა და საავტორო უფლებას შორის სხვაობა ის არის, რომ ორივე უფლების ობიექტი, მართალია, ქონებაა, მაგრამ განსხვავებული ბუნებისა: ერთ შემთხვევაში ქონების ფიზიკური ფლობა შესაძლებელია და სწორედ ეს ხდის მესაკუთრეს ნიუთის უსაზღვრო ბატონს, ხოლო მეორე შემთხვევაში საავტორო უფლების ობიექტის ფიზიკურად ფლობა ვერასოდეს ვერ მოხერხდება და ვერც უსაზღვრო ბატონობა განხორციელდება. აქედან გამომდინარე, საკუთრებითი უფლების ის მხარე, რომ ფიზიკურად კონტროლირებადი იყოს ნაწარმოების უნებართვო გამრავლება და გავრცელება, სხვადასხვა მიზნით ვერასოდეს ვერ განხორციელდება. საავტორო უფლებათა მფლობელმა მხოლოდ *post factum* შეიძლება შეიგყოს მისი ნაწარმოების ეგზემპლარების უნებართვო გავრცელების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ეგზემპლარები

მისი საკუთრება არ არის, სახეზეა საავტორო უფლებათა დარღვევა. ნათელია, რომ სანიეთოსაკუთრებითი უფლება არ ირღვევა. მაშ, რა უფლება ირღვევა? — კანონმდებლის მიერ ხელოვნურად დაწესებული საავტორო ქონებრივი უფლებები. მაგრამ სანიეთო საკუთრებით უფლებებთან შედარებით საავტორო უფლებების კიდევ ერთი თავისებურება ის არის, რომ ისინი არ არიან მხოლოდ ქონებრივი უფლებები. იმის გამო, რომ საავტორო უფლებები ნაწარმოებს იცავს როგორც შემოქმედებით შედეგს, მათი შემადგენელი ნაწილი პირადი არაქონებრივი უფლებებიცაა, რომელთა ხელყოფაც ქონებრივი უფლებების მსგავსად დაუშვებელია და ამ უფლებათა დარღვევისათვის ავტორს შეუძლია თავისი ინტერესები დაიკმაყოფილოს ქონებრივი ხასიათის მოთხოვნითაც. მაგრამ ასეთი მოთხოვნა პირადი არაქონებრივი უფლებების „ბუნებითობიდან“ არ გამომდინარეობს და მათი არსებობაც ხელოვნურად შექმნილი იურიდიული კონსტრუქციის შედეგია. ნიეთის მესაკუთრე მოკლებულია პირად არაქონებრივ უფლებებს. სახეზეა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება ამ ორი საკუთრებითი უფლებისა. ჩვეულებრივი ნიეთის მესაკუთრეს შეუძლია, იგი გადააკეთოს როგორც სურს (გაანადგუროს კიდევ) და არავის არ დაეკითხება, მათ შორის იმ პირსაც, რომელმაც დაამზადა ნიეთი. მაგრამ, საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების გადაკეთება აუცილებლად უნდა იქნეს სანქცირებული. ამასთან, საინგერესო ის არის, რომ გადაკეთება აკრძალულია როგორც პირადი არაქონებრივი უფლებებით, ისე ქონებრივით. ნაწარმოების დედური ეგზემპლარის მესაკუთრეს, მაგალითად სახვითი ხელოვნებისას, ან მუსიკალურისას, უფლება არა აქვს, გაანადგუროს, ან დაამახინჯოს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იგი საკუთარი პროგრესის დედნის მესაკუთრეა. როგორც ვხედავთ, საავტორო უფლება ზღუდავს სანიეთო საკუთრებით უფლებას. ნაწარმოების დამახინჯება პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევაა, ხოლო გადაკეთება, რისი შედეგი ფაქტობრივად ახალი ნაწარმოებია, მაგალითად, კინოსცენარის შექმნა, ქონებრივი უფლებების დარღვევად აღიარა კანონმდებელმა. როგორც ვხედავთ, კელავ ხელოვნურ კონსტრუქციასთან ვაჟებს საქმე. იგივე ითქმის ნაწარმოების გამოქვეყნებისა და გამოცემის უფლებების შესახებ. თავისთავად, გამოქვეყნება გამოცემისაგან განსხვავებით ქონების მიღებასთან არ არის დაკავშირებული, შესაბამისად გამოქვეყნების უფლება პირადი არაქონებრივი უფლებაა, განსხვავებით გამოცემის უფლებისაგან. ასევე, თარგმნის უფლება სრულიად ხელოვნურად არის მიკუთვნებული ქონებრივ უფლებებს. სანიეთოსაკუთრებითი უფლებები საქართველოს კანონმდებლობით წარმოდგენილია ნიეთის მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილებებით. ამასთან, სიყბადის გამო, ნიეთით სარგებლობის ცალკეული სახეები მოცემული არ არის. წარმოადგენს რა სარგებლობის გემოთ აღნიშნული ტიპის უფლებამოსილებების ჯამს, საავტორო ქონებრივი — განსაკუთრებული უფლებების — ჩამონათვალი არამც თუ მოცემულია კანონით, არამედ ამომწურავია. ამასთან, ქონებრივი უფლებების კანონით დადგენილი სპექტრი დროთა განმავლობაში ფართოვდება და უფრო მეტი კონკრეტულობისაკენ

არის მიმართული. ამასთან, ზოგ შემთხვევაში ქონებრივი უფლება უკავშირდება ობიექტს. მაგალითად, კომპიუტერულ პროგრამასთან ან კინემატოგრაფიულ ნაწარმოებთან დაკავშირებით გამოყოფენ გაქირაების უფლებას, რომელიც ვერ იქნება დამახასიათებელი ისეთი ლიტერატურული ნაწარმოებისათვის, როგორც ლექსია. მაშასადამე, საკუთრების ეს მნიშვნელოვანი უფლებამოსილება ხან იჩენს თავს საავეტორო უფლებებთან დაკავშირებით, ხან არა. საავეტორო უფლებები უფრო ახლოსაა უძრავი ნივთის საკუთრებასთან, თუნდაც იმიტომ, რომ შემზღვევები დამახასიათებელი არ არის მოძრავი ნივთისათვის, ეს შემზღვევები განპირობებულია საკუთრების ობიექტის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობით და საავეტორო უფლებათა და საერთოდ ინტელექტუალურსაკუთრებით უფლებათა შემთხვევაში ვაცილებით მეტადაა წარმოდგენილი. ეს გასაგებიც არის, საავეტორო უფლებების განხორციელება დამოკიდებულია და უნდა იყოს დამოკიდებული საზოგადოებრივ ინტერესებზე. კერძოდ, საავეტორო უფლებით დაკულ ქმნილებას ახალი ცოდნა მოაქვს თან, იგი საზოგადოების განვითარების ღონეს, კულტურულს თუ მეცნიერულ-ტექნიკურს, ახალ საუფებურზე სწევს. აქედან გამომდინარე, აუცილებელი ხდება ისეთი შემზღვევების დაწესება საავეტორო უფლებათა მფლობელისათვის, რომლებიც უზრუნველყოფს საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის ნაწარმოების დაუბრკოლებლად გაცნობას. საავეტორო უფლებებისადმი ასეთი მიდგომა მიმართულია კერძო და საზოგადოებრივი ინტერესებს შორის ბალანსის განსაზღვრა-შენარჩუნებისაკენ. იმავე მიზანს ისახავს საავეტორო უფლებათა სხვა შემზღვევებიც, მაგალითად იძულებითი ლიცენზიის ხასიათისა (იძულებითი ლიცენზიები უფრო დამახასიათებელია საპატენტო სამართლისათვის). ასეთი შემზღვევა ირიბად ავალდებულებს საავეტორო უფლებათა მფლობელს, აუცილებლად გამოიყენოს ნაწარმოები¹, სოლო თუ თავად არ სურს გამოყენება, მაშინ სხეებმა უნდა შეძლონ ეს. მაგალითად, განვითარებადი ქვეყნებისათვის ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია ითვალისწინებს თარგმნის იძულებით ნორმას, თუ მოცემული ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია კონკრეტული ნაწარმოების გამოყენება, მაგალითად, სასწავლო მიზნით. რომ არა ამ ტიპის შემზღვევები, მაშინ კონკურენციაც შეიზღუდებოდა და ვერავინ ვერ გამოუშვებდა ბაზარზე, მაგალითად, სასწავლო სახელმძღვანელოებს საავეტორო უფლებათა მფლობელის ნების გარეშე. ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა პირდაპირ აცხადებს, რომ მისი ნორმები ინტელექტუალურ საკუთრებით უფლებებს არ ეხება.

უფლებების მოქმედების ფარგლები დამოკიდებულია არა მარტო იურიდიულ ბუნებაზე, არამედ ობიექტის საგნობრივ ფარგლებზე. ნივთი თუ მოპარულია, ერთი პრობლემა უნდა გადაწყდეს მხოლოდ – მოხდეს მისი იდენტიფიცირება. ნივთის ფარგლების დადგენის პრობლემა არ დგას

¹ საავეტორო უფლებათა ასეთი შემზღვევა ეთანხმება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლსაც, რომლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „კანონით შეიძლება დაწესდეს სარეზერვუაციო ან მოვლის და შენახვის ვალდებულება, თუკი ამ ნივთის გამოყენებლობა ან მოუვლელობა ხელყოფს საზოგადო ინტერესებს“.

- ისინი განსაზღვრულია ნივთის ფიზიკური საზღვრებით. ნაწარმოების შემთხვევაში საავეტორო უფლებათა დარღვევა უნდა დამტკიცდეს ნაწარმოების შინაარსისა და გამოხატვის ფორმის ანალიზით. ასეთი ანალიზის ჩატარება საჭირო იქნება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოიძობა საავეტორო უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული დავა. საავეტორო უფლებათა მფლობელის მოთხოვნები გაყრდნობა ყველა იმ ნივთზე (ნაწარმოების ეგზემპლარზე), რომლებიც მოხელეობიან დაღვნილ ფარგლებში. ამასთან, საავეტორო უფლებები მოიცავს ნაწარმოების როგორც უკვე დამზადებულ, ისე მომავალში დასამზადებელ ეგზემპლარებს, ანუ, ინტელექტუალურსამართლებრივი, კერძოდ საავეტორო უფლებების, მოქმედება ერთი რომელიმე კონკრეტული ეგზემპლარით არ შემოიფარგლება და ვრცელდება ეგზემპლარების უსასრულო რაოდენობაზე¹. სწორედ ამ თავისებურებამ აქცია ბილ გეიგსი მსოფლიოში უმდიდრეს ადამიანად. მან უკან ჩამოიგოვა ისეთი პირებიც კი, რომლებიც სარგებლობენ ბუნების წიაღისეულით.

სანივთო საკუთრებისაგან ინტელექტუალური საკუთრება იმითაც განსხვავდება, რომ საქმე გვაქვს „დროებით საკუთრებასთან“. მაგალითად, საავეტორო განსაკუთრებული უფლებები მოქმედებს 70 წლის განმავლობაში post mortem auctoris, საპატენტო განსაკუთრებული უფლებები 20 წლის განმავლობაში განაცხადის საპატენტო უწყებაში შეტანის დღიდან. ასეთი ვითარება ინტელექტუალურ-საკუთრებითი ობიექტის არსობრივი ბუნებიდან გამომდინარეობს. აბსურდულ სიტუაციაში აღმოჩნდებოდა საზოგადოება, რომ გამომგონებელს სამუდამოდ მისცემოდა გამოგონების ობიექტით სარგებლობის ერთპიროვნული უფლება. სარგებლობის უფლების ნეგატიური გამოხატულების მიხედვით, მესაკუთრე შეძლებდა, საერთოდ არ დაეშვა გამოგონებული ობიექტის გამოყენება და იგი კაცობრიობისათვის უსარგებლო მიღწევად ექცია. ცალკეულ ნივთზე ამას ვერ ვიტყვით და ამიგომაც არ იმღუდება საკუთრება დროით, ამ შემთხვევაში. განსაკუთრებული უფლებებისაგან განსხვავებით, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან დაკავშირებული პირადი არაქონებრივი ისეთი უფლება, როგორცაა ავეტორობის უფლება, სანივთოსაკუთრებითი უფლების

¹ ამ გავებით, ინტელექტუალური საკუთრების სამართლის ობიექტი, რომელიც არამატერიალურ სიკეთეს მიეკუთვნება, გარკვეული განსხვავებით გამოირჩევა და მასზე მთლიანად ვერ ვაყრდნობდებით პროფესორ ბესარიონ ზოიძის აზრი, რომ სხვანაირად დგას საითხი „უსხეულო ნივთების“ ვითარებაში, ამ შემთხვევაში თვით უფლება და მოთხოვნაა „ნივთი“, ხოლო ის მატერიალიზებული საგანი, რაშიც ისინია გამოხატული, არ წარმოადგენს მათ სხეულს. ასე მაგალითად, ფასიანი ქაღალდი გარკვეული მატერიალიზებული ობიექტია, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ იგი მასში გამოხატული მოთხოვნის სხეულია“. იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, თბ., 1999, გვ. 32. ჩვენი აზრით, სწორედ რომ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტია, მაგალითად, ნაწარმოები ან გამოგონება, მოთხოვნის სხეული, რადგან მხოლოდ მათი საგნობრივი საზღვრები იძლევა შესაძლებლობას, დადგინდეს მოთხოვნის ფარგლები და საერთოდ, თვით მოთხოვნის მართლმომიერება. უბრალოდ, ინტელექტუალური საკუთრების სამართლის ობიექტის შემთხვევაში ერთი და იმავე საგნობრივი ფარგლების მქონე უსასრულო რაოდენობის მოთხოვნის სხეული გვაქვს სახეზე.

მსგავსად, ღრობით არ იზღუდება, მაგრამ იგი არაქონებივია და ობიექტი სარგებლობას ხელს არ უშლის. საჭიროა მხოლოდ, რომ ავტორობის, სახელის ან ავტორის სხვა პირადი უფლება არ იქნეს ხელყოფილი.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გასხვავება ის არის, რომ ხშირად ინტელექტუალური საკუთრებითი უფლება ვერ იქნება მოპოვებული სანიეთო საკუთრების მსგავსად. მაგალითად, ხანდაზმულობით ინტელექტუალური საკუთრებითი უფლების შექმნა საერთოდ ვერ მოხდება. ამასთან, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტად ვერასოდეს ვერ გახდება ერთხელ უკვე შექმნილი, ანუ არსებული ქმნილება. მაგალითად, თუ ვინმე შეუცდება დიდი ხნის წინ ცნობილი, მაგრამ სრულიად მივიწყებული ნაწარმოების ან გამოგონების მისაკუთრებას, კანონი ამას არ დაუშვებს. ნაწარმოების შემთხვევაში ავტორს ხომ საკუთარი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი წვლილის შეტანის მტკიცება უწევს ორიგინალობის მოთხოვნასთან შესაბამისობის დასამტკიცებლად, ხოლო გამოგონების შემთხვევაში სიახლისა და საგამომგონებლო ღონის მტკიცება. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები, რომლებზეც ამოიწურა ქონებრივი უფლებების მოქმედების ვადა, კაცობრიობის კუთვნილება ხდება და ყველას აქვს უფლება, გამოიყენოს არსებული ქმნილება საკუთარი მიზნებისათვის. ამასთან, არავის არა აქვს უფლება, უკვე ცნობილი ქმნილება გამოაცხადოს თავის ინტელექტუალურ საკუთრებად. ეს არ ესება ნივთებს, მათ შორის ისეთს, რომლებიც ერთ დროს მოქმედი პატენტის საფუძველზეა დამზადებული.

საკუთრებითი უფლებების წარმოქმნის თვალსაზრისით, სანიეთო და ინტელექტუალური უფლებების მსგავსებაც შეიძლება აღინიშნოს. ორივე შემთხვევაში პირველად თვით შექმნა წარმოშობს უფლებებს, მაგალითად, საავტორო უფლებები წარმოიშობა ნაწარმოების შექმნასთან ერთად. ასევე, ნივთის შექმნა წარმოშობს საკუთრებით უფლებას. მეორე შემთხვევაში საკუთრება ელინდება საჯარო რეესტრიდან, სხვაგვარად უფლება ვერ წარმოიშობა. ამასთან, რეესტრში შეტანამდე დამატებით უნდა განხორციელდეს გარკვეული სახის შემოწმება, რომ დადგინდეს, ეკუთვნის თუ არა მოცემული ნივთი (ობიექტი) კონკრეტულ პირს და პასუხობს თუ არა ობიექტი ინტელექტუალურ-საკუთრებით კრიტერიუმებს.

განკარგვის უფლების განხორციელების თვალსაზრისითაც განსხვავდება ინტელექტუალური და სანიეთო საკუთრება. მაგალითად, გადაცემას არ ექვემდებარება პირადი არაქონებრივი უფლებები. მოგი, თუნდაც ნა-

¹ განსხვავებული ვითარებაა სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებით, რომლებიც, მიუხედავად ინტელექტუალური საკუთრების ობიექტად მიჩნევისა, ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ღონის მოთხოვნას არ ექვემდებარება. ეს გასაგებია არის, მეწარმისათვის მთავარია, რომ მისი ნიშანი ძლიერი განმასხვავებელი აღნიშნა იყოს და სულაც არ არის აუცილებელი მისი მაღალი შემოქმედებითი ღონე. ამიტომ, თუ აღნიშნა სხვისი ძალაში მყოფი სასაქონლო ნიშნის მოწმობის ობიექტს არ წარმოადგენს, შეიძლება ვახდეს რომელიმე მეწარმის საკუთრება, თუნდაც უკვე ცნობილი ქმნილება იყოს ის. მაგრამ საკუთრებითი უფლება შემოიფარგლება მხოლოდ მოცემული საქონლისათვის ან მომსახურებისათვის აღნიშნულ გამოყენებით.

წარმოების ხელშეუხებლობის უფლება, შეიძლება გადაეცეს სხვა პირზე, მაგალითად მემკვიდრეზე, მხოლოდ კონტროლის განხორციელებისათვის.

ამჯერად შემოვიფარგლებით მოგანილი ანალიზით, რაც, უფიქრობთ, საკმარისია იმისათვის, რომ გამოვიჩინოთ ერთმნიშვნელოვანი დასკვნა – ინტელექტუალური საკუთრება და სანიეთო საკუთრება განსხვავებულია როგორც იურიდიული, ისე საგნობრივი (არსობრივი) ბუნებით. ინტელექტუალური საკუთრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 147-ე და 170-ე მუხლებს დაქვემდებარებული ცნებაა, მაგრამ იმდენად თავისებურია, რომ ნივთსა და ინტელექტუალური საკუთრების ობიექტს შორის, აგრეთვე, არამატერიალური სიკეთის სხვა ობიექტებთან შედარებით განსხვავება მტკიცებას არ მოითხოვს, რაც ქართველ მეცნიერთა მიერაც არის აღიარებული. ინტელექტუალურ საკუთრებაზე საკუთრებითი ყველა უფლებამოსილება და სანიეთოსამართლებრივი ყველა ინსტიტუტი ვერ ვრცელდება. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, უფრო ღრმა მეცნიერულ გააზრებას მოითხოვს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი სისტემა, რათა მას მიეჩინოს შესაფერისი ადგილი სამართლის სისტემაში. ჩვენი აზრით, გამართლებული იქნებოდა ინტელექტუალური საკუთრების ერთიან კოდექსზე ფიქრიც.

საკორპორაციო ურთიერთობების რეგლამენტაციის ძირითადი საწყისები

საქართველოში საბაზრო-ეკონომიკური ხასიათის ურთიერთობების წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია თავისუფალი სამეწარმეო გარემოს და კონკურენტუნარიანი სამეწარმეო სტრუქტურების ჩამოყალიბება. მხოლოდ განვითარებული საბაზრო ინფრასტრუქტურის პირობებშია შესაძლებელი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მსოფლიო სამეურნეო სისტემასთან ადაპტირება. საზოგადოებრივი ურთიერთობების რადიკალურად შეცვლის ბაზაზე და სოციალისტური სისტემის საპირისპირო პოლიტიკური, ეკონომიკური ცნებების საფუძველზე შეიქმნა საბაზრო მეურნეობის პრინციპების ამსახველი ახალი ეკონომიკური სისტემა და მისი აღეკვამურად ამსახველი სამართლებრივი ბაზა. ასეთ პირობებში კერძო სამართლის ცალკეული დარგების განვითარებამ და სრულყოფამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. საქართველოს კონსტიტუციაში, სამოქალაქო კოდექსსა და „მეწარმეთა შესახებ“ კანონში აისახა თანამედროვე ეკონომიკური რეალიები, რაც საფუძველად დაედო სამეწარმეო და საკორპორაციო ურთიერთობების წარმატებით განხორციელებას. აღნიშნულმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შესძინა საკორპორაციო სამართლის, როგორც კერძოსამართლებრივი გაერთიანებების მომწესრიგებელი სამართლის ნორმათა ერთობლიობის¹, მეცნიერულ კვლევას. კორპორაციათა საქმიანობის ეფექტიანობა გარკვეულწილად დამოკიდებულია მისი შიდა სისტემის ორგანიზებაზე, რომლის დეტალური პარამეტრების სამართლებრივი მოწესრიგება საკორპორაციო სამართლის რეგულირების საგანს მოიცავს.² საკორპორაციო ურთიერთობები ხასიათდება დიდი მრავალფეროვნებით, ამიტომ აუცილებელია იმ საწყისების ზუსტად გამოყოფა და განხილვა, რომლებიც ასეთი სახის ურთიერთობების საფუძველია.

1999 წლის 26-27 მაისს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სხდომაზე ხელი მოეწერა ე.წ. კორპორაციული მართ-

¹ დ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., ეურნ. 1997, გვ. 48.

² ქ. ქოქრაშვილი, საკორპორაციო სამართლის ცნება და მნიშვნელობა თანამედროვე ქართულ სამართალში, ეურნ. „სამართალი“, № 12, 2001, გვ. 25.

ვის პრინციპებს, რომლებშიც აისახა ამ დროისათვის დაგროვილი შესაბამისი პრაქტიკა.¹ აღნიშნულის მიზანი იყო სახელმწიფოთა შესაბამისი კანონმდებლობის გაუმჯობესება, ასევე კორპორაციული ქცევის საუკეთესო პრაქტიკის ფორმირება. ეს პრინციპები საფუძვლად დაედო მრავალი სახელმწიფოს საკორპორაციო მართვის ნაციონალურ კოდექსს, რომელთა უმეტესობა რეკომენდაციულ ხასიათს ატარებს. მათში განმტკიცებულ ქცევის წესებს კომპანიები ასრულებენ არა იმიტომ, რომ დარდუევა გამოიწვევს სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული სანქციების გამოყენებას, არამედ იმიტომ, რომ ეს ხელსაყრელია თავად კომპანიისათვის. ასეთი სახის კოდექსები არის საუკეთესო პრაქტიკის სტანდარტები, ასევე ეთიკური და მორალური დებულებების ერთობლიობა. აღნიშნული ქცევის წესები ძირითადად ვრცელდება მსხვილ სააქციო საზოგადოებებზე, ასევე ნებისმიერ სხვა სამეურნეო სუბიექტზე, რომელსაც სურს მისი დებულებებით სარგებლობა. იმისათვის, რომ კორპორაციამ თავის საქმიანობაში გამოიყენოს კოდექსის ნორმები, საჭიროა გააკეთოს განაცხადი, მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება და თავის წესდებაში, ასევე სხვა შიდა დოკუმენტებში შეიტანოს სათანადო დებულებები, რომლებიც ასახავენ კოდექსის რეკომენდაციებს. ამასთან, კორპორაცია უფლებამოსილია, რეკომენდაციული კოდექსის მოდელის შესაბამისად მიიღოს კორპორაციული ქცევის თავისი კოდექსი.²

საკორპორაციო მართვის კოდექსის შემუშავება უზრუნველყოფს კორპორაციის წევრთა უფლებების რეალურად განხორციელებას; თანაბარ პირობებში პარგნიორების თანაბარ უფლება-მოვალეობებს; საკორპორაციო კონფლიქტის (საზოგადოების ორგანოებსა და პარგნიორებს შორის ან თავად პარგნიორებს შორის, თუ კონფლიქტი ეხება საზოგადოების ინტერესებს) წარმატებით დარეგულირებას; დირექტორატის მიერ კორპორაციის სტრატეგიულ მართვას; პარგნიორთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად კორპორაციის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაზე კონტროლს; საზოგადოების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალებას (მათ შორის მონაცემები კორპორაციის ფინანსურ მდგომარეობაზე, ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, მმართველობის სტრატეგიაზე), რათა კორპორაციის წევრებმა და ინვესტორებმა შეძლონ დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება.

საკორპორაციო სამართლის პრინციპები გულისხმობს საზოგადოებრივი ურთიერთობების საკორპორაციოსამართლებრივი რეგულირების ძირითად საწყისებს. პრინციპებზე, როგორც ფუძემდებლურ იდეებზე, საუბარი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ისინი ასახავენ საზოგადოებრივი

¹ Варламова А.Н., Кабатова Е. В., Российский кодекс корпоративного поведения: подготовка, структура, применение, ж. „Государство и право“. № 5, 2002, с. 35-36.

² იხ. ი ქ ე ე .

განვითარების ობიექტურ კანონზომიერებებს.¹ სწორედ სამართლის პრინციპების საფუძველზე ხდება სამართლის ანალოგიის გამოყენება.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია საკორპორაციო ურთიერთობების რეგულირების პრინციპების განსაზღვრა და მათი ანალიზი. აღნიშნული ხელს შეუწყობს ამ ურთიერთობათა ინსტიტუციური თავისებურებების წარმოჩენას და მათ წარმატებით განსორციელებას. საკითხის კვლევას აქტუალობას კმატებს ის გარემოება, რომ საკორპორაციო ნორმები გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება და მათი დაყოფა პირობითად შეიძლება საკორპორაციო კანონმდებლობად და თვით საზოგადოების მიერ დადგენილ საკორპორაციო-სამართლებრივ ნორმებად. საზოგადოება უფლებამოსილია, წესდებით განამტკიცოს საკორპორაციო სამართლის ნებისმიერი რაციონალური ნორმა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.² აქედან გამომდინარე, პრაქტიკაში ხშირად წარმოიშობა ისეთი სახის საკორპორაციო ურთიერთობის რეგულირების აუცილებლობა, რაც პირდაპირ არ არის მოცემული მოქმედ კანონმდებლობაში. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი იმ სტაბილური საწყისების, ძირითადი იდეების ანალიზი, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნეს სუბიექტებს შორის ნებისმიერი სახის საკორპორაციო-სამართლებრივი ურთიერთობის რეგლამენტაციისას.

პირობითად შესაძლებელია საკორპორაციო პრინციპების კლასიფიკაცია ზოგად და სპეციალურ კატეგორიებად. სწორედ აღნიშნული სახით არის განხილული ისინი წინამდებარე ნაშრომში. აქვე უნდა მივითითოს, რომ ზოგადი პრინციპები, თავის მხრივ, მოიცავს ზოგადსამართლებრივ და დარგთაშორის პრინციპებს, რომლებიც წარმოადგენს საერთოდ სამართლის სისტემის ან რამდენიმე სამართლის დარგის ძირითად საფუძვლებს. ნაშრომში განხილულია მხოლოდ ის ზოგადი პრინციპები, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ საკორპორაციო სამართლისათვის. რაც შეეხება სპეციალურ პრინციპებს, ნაშრომის მიზანია სწორედ მათი დეტალური ანალიზი. ისინი აერთიანებენ დარგობრივ და ინსტიტუციურ პრინციპებს, რომლებიც ქმნიან საკორპორაციო სამართლის, როგორც სამართლის დარგის ან მისი ცალკეული ინსტიტუტების, სამართლებრივ საწყისებს. შეუძლებელია არ დავეთანხმოთ იურიდიულ ლიგერატურაში აღიარებულ დებულებას, რომ ზოგადსამართლებრივი, დარგთაშორისი და დარგობრივი პრინციპები მრავალი ინსტიტუციური პრინციპის ფორმირების საფუძველია.³ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინსტიტუციურ პრინციპებს აქვთ საკუთარი შინაარსი, რაც განაპირობებს მათი დამოუკიდებლობის დეკლარირებას სამართლის პრინციპების სისტემაში.

ნაშრომში განხილულია ისეთი ზოგადი პრინციპები, როგორცაა:

¹ Кашанина Т. В., Корпоративное право, Учебник, 1999, с. 10.

² ქ. ქოქრაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 25.

³ Степанов П., Принципы регулирования корпоративных отношений, ж. „Хозяйство и право“. №4, 2002, с. 86.

მეწარმეობის თავისუფლების პრინციპი;
კეთილსინდისიერი კონკურენციის ხელშეწყობისა და მონოპოლიური
საქმიანობის დაუშვებლობის პრინციპი;
საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპი;
ერთიანი ეკონომიკური სივრცის პრინციპი;
სამეწარმეო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების პრინციპი.

1. მეწარმეობის თავისუფლების პრინციპი ასახულია საქართველო-
ს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტში: „სახელმწიფო ვალდებულია,
ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობის და კონკურენციის განვითარ-
ებას“. სახელმწიფოთა თანამედროვე კონსტიტუციებში განმტკიცებულია
ეკონომიკური ურთიერთობების მარეგულირებელი იმდენად ბევრი ნორმა,
რომ იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრდა კიდევ ერთი მეცნიერული
კატეგორია „ეკონომიკური კონსტიტუციის“ სახელწოდებით, რომელიც თა-
ვისი მნიშვნელობით და შინაარსით ემთხვევა ეკონომიკური სისტემის სა-
ფუძვლების კონსტიტუციურ ინსტიტუტს.¹ იგი აერთიანებს ყველა იმ სა-
წყისს, რასაც ეფუძნება ქვეყნის ეკონომიკა და მისი განვითარების სტრა-
ტეგია. ეკონომიკური კონსტიტუციის ქვაკუთხედს ქმნის სწორედ მეწარმე-
ობის თავისუფლებისა და საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპები.

მეწარმეობის თავისუფლება მოიცავს მეწარმის უფლებას, განახორ-
ციელოს მეწარმეობა კანონით ნებადართულ ნებისმიერ სფეროში კანონ-
ით გათვალისწინებული ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი
ფორმით. ამ პრინციპს უზრუნველყოფს კერძო სამართლის იურიდიული
პირების მოგადი უფლებაუნარიანობაც, რაც სამართლებრივად რე-
გლამენტირებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის
მე-2 ნაწილში. ამდენად, საწარმო შეიძლება გახდეს ნებისმიერი სამართ-
ლებრივი ურთიერთობის მონაწილე, ანუ იმ ურთიერთობებისა, რომლებიც
წესდებით პირდაპირ არის გათვალისწინებული როგორც მისი საქმიანობ-
ის საგანი და იმ ურთიერთობებისა, რომლებიც წესდებაში პირდაპირ არ
არის ჩამოყალიბებული. ყოველივე აღნიშნული განაპირობებს საბაზრო
ეკონომიკის ფუნდამენტური პრინციპის – ნებადართულია ყველაფერი,
რაც კანონით არ არის აკრძალული – პრაქტიკულ რეალიზაციას.

ნიშანდობლივია იმის აღნიშვნაც, რომ განხილული თავისუფლება უსა-
ზღვრო არაა. იგი შეიძლება შეიზღუდოს კანონმდებლობით საზოგადოების
ინტერესების შესაბამისად იმ მოცულობით, რაც აუცილებელია კონსტიტუ-
ციური წყობის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ასევე
სხვათა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. ასე მაგალი-
თად, მეწარმეობის თავისუფლება იზღუდება გარკვეული კატეგორიის სა-
მეწარმეო საქმიანობაზე სალიცენზიო-სანებართვო რეჟიმის დაწესებით.
ამ ურთიერთობების მარეგულირებელ აქტს წარმოადგენს საქართველოს

¹ Предпринимательское право. Под ред. Е. П. Губина, П. Г. Лахно, М., 2001, с.45.

კანონი „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ (2002 წლის 14 მაისი);

2. კეთილსინდისიერი კონკურენციის ხელშეწყობისა და მონოპოლიური საქმიანობის დაუშვებლობის პრინციპი პირდაპირ არის დაკავშირებული მეწარმეობის თავისუფლების პრინციპთან და განმტკიცებულია კონსტიტუციის იმავე მუხლში (30-ე მუხლის მე-12 პუნქტი). საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობისა და კონკურენტული გარემოს შექმნისათვის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ბაზის უზრუნველსაყოფად, ასევე მომხმარებელთა უფლებების დასაცავად მიღებულია კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ (1996 წლის 25 ივნისი).

კეთილსინდისიერი კონკურენცია საბაზრო ეკონომიკის განუყოფელი ნაწილია. იგი გულისხმობს ბაზარზე დამოუკიდებლად მოქმედი ეკონომიკური აგენტების (მეწარმე სუბიექტების) მეტოქეობას, რის პროცესშიც თითოეული მათგანის ქმედება ზღუდავს კონკურენტის შესაძლებლობას, უპირატესობა მოიპოვოს ბაზარზე და ხელს უწყობს მომხმარებლისათვის საჭირო საქონლის წარმოებას. ამდენად, კეთილსინდისიერი კონკურენცია უზრუნველყოფს მეწარმე სუბიექტების მიერ წარმოებული საქონლის ხარისხის ამაღლებას, საქონლის ასორტიმენტის გაუმჯობესებას და განახლებას, კომპლექსური მომსახურების შეთავაზებას, საქონლის რეალიზაციის სისტემის სრულყოფას, ფასების რეგულირებას და ა. შ. სწორედ კეთილსინდისიერი კონკურენციის პირობებშია შესაძლებელი მომხმარებელთა ინტერესების მაქსიმალური დაკმაყოფილება. იკრძალება მხოლოდ არაკეთილსინდისიერი კონკურენცია და მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება;

3. საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპი აისახა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლში: „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება“. საკუთრება როგორც ადამიანის ბუნებითი უფლება, მისი პიროვნული თავისუფლების უმნიშვნელოვანესი გარანტიაა.¹

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან ერთად შეიქცა ეკონომიკის ყველა შემადგენელი ნაწილი: რესურსების გადანაწილების წესი, საკუთრების ურთიერთობანი და მათი ამსახველი სამართლებრივი ბაზა. ახალმა სამოქალაქო კოდექსმა ახლებურად მოაწესრიგა საკუთრების ურთიერთობები. მან უარი თქვა საკუთრების ფორმებზე და განამტკიცა ერთიანი საკუთრების ცნება;

4. ერთიანი ეკონომიკური სივრცის პრინციპის თანახმად, დაუშვებელია საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის, მომსახურებისა და ფინანსების გადაადგილებაზე საბაჟო საზღვრების, გადასახადების, მოსაკრებ-

¹ ლ. ჭანტურია, უძრავი ნივთების საკუთრება, თბ., 1994, გვ.87.

ლების ან სხვაგვარი წინააღმდეგობების დაწესება. შემდეგების დადგენა შესაძლებელია მხოლოდ საკანონმდებლო წესით. აღნიშნული პრინციპი საფუძველია სახელმწიფოში თავისუფალი სამეწარმეო გარემოს შექმნისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლებას უზრუნველყოფენ სამოქალაქო კანონები (სამოქალაქო კოდექსის მე-9 მუხლი). ეს თავისუფლება კი გულისხმობს მომსახურებისა და ქონების შეუმღუღავე გადაადგილებას, თავისუფალ საქონელბრუნვას, მიმოსვლის თავისუფლებას, მესამე პირთა ინტერესების დაცვას;¹

5. სამეწარმეო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების პრინციპი არ შეიძლება გაეაივიეთ საბჭოთა პერიოდისათვის დამახასიათებელი სამეურნეო ურთიერთობების სახელმწიფო რეგულირების საფუძვლებთან. ეკონომიკის, მეწარმეობის სახელმწიფო რეგულირება სორციულდება ნებისმიერ ქვეყანაში. განსხვავებულია მხოლოდ ასეთი რეგულირების ფორმები და მეთოდები, რომლებიც განპირობებულია პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონით, ისტორიული ტრადიციებით, ეროვნული თავისებურებებითა და სხვა ფაქტორებით.²

თანამედროვე პირობებში ეკონომიკის მართვის გეგმური მეთოდები შეეკალა რეგულირების კერძოსამართლებრივმა მექანიზმმა. კერძო სამართლის რეგლამენტაციაში ცენტრალური ადგილი სამართლიანად დაიკავა კერძო ავტონომიის პრინციპმა. უფრო მეტიც, როგორც იურიდიულ ლიტერატურაში აღინიშნა, სახეზეა კერძოსამართლებრივი საწყისების საჯაროსამართლებრივ სიბრტყეში დანერგვის შემთხვევებიც, როცა საჯარო ურთიერთობები სულ უფრო ფართოდ რეგულირდება კერძოსამართლებრივი მეთოდის ცალკეული ელემენტების გამოყენებით.³

საბაზრო ხასიათის ურთიერთობების წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია ეკონომიკური სფეროს ლიბერალიზაცია. ამასთან, ეს უნდა იქნეს გაგებული არა როგორც ეკონომიკის სრული თავისუფლება და უკონტროლობა, არამედ როგორც სამეურნეო საქმიანობის ცივილურ, კერძოსამართლებრივ კალაპოტში დაბრუნება, მაგრამ ისე, რომ საჯარო მექანიზმი და მიდგომა შენარჩუნებულ იქნეს იქ, სადაც ამას საზოგადოებრივი ინტერესები მოითხოვს.

საქართველოს ეკონომიკის ცენტრალიზებული გეგმური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ეტაპი არა მარტო რთული და ხანგრძლივი, არამედ მეტად მტივიწეული აღმოჩნდა მთელი საზოგადოებისათვის. მიუხედავად ამისა, თანმიმდევრულად განხორციელდა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სისტემის გადასინჯვა და ზემოქმედების ეკონომიკური ღონისძიებების დამკვიდრება.

¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ., 1999, გვ. 38.

² Ершова И. В., Предпринимательское право, М., 2002, с. 14.

³ Бублик В., Правовое регулирование предпринимательства: частные и публичные начала. Ж. „Хозяйство и право“, №9, 2000, с. 13.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა უარი თქვა (და საესეებით სამართლიანად) ქონების სამეურნეო გამგებლობის და ოპერატიული მართვის უფლებებზე, რადგან სახელმწიფოს კუთვნილი აქტივების მართვა სახელმეურნეო საფუძველზე (მაგ., საკუთრების მინდობის ხელშეკრულების საფუძველზე) უფრო ხელსაყრელია ურთიერთობის ყოველი მხარისათვის, ვიდრე ქონების მინდობა ისეთი სანიტო უფლების საფუძველზე, როგორცაა ოპერატიული მართვა და სამეურნეო გამგებლობა. პრაქტიკული მაგალითების ანალიზით დასტურდება, რომ სახელმწიფოს კუთვნილი ობიექტების მართვის ურთიერთობები უფრო წარმატებით და ჯეროვნად სწორედ სახელმეურნეო კონსტრუქციების გამოყენებით ხორციელდება, რისი საფუძველიც მხარეთა ნების ავტონომიის გამოქვეყნება და ურთიერთობის ყველა მხარის ინტერესების მხედველობაში მიღებაა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონში „მეწარმეთა შესახებ“ 1999 წლის 19 თებერვლის ცვლილებების შეტანის გზით უარი ითქვა ისეთ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე, როგორც იყო სახაზინო საწარმო და მოხდა მათი სავალდებულო რეორგანიზაცია სააქციო საზოგადოებისა და შემდგომი პასუხისმგებლობის საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებად.

კორპორაცია რთული წარმონაქმნია, რომლის მეშვეობითაც ხდება კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის იურიდიული მექანიზმის რეალიზაცია, ანუ კოლექტიური ინტერესების დაკმაყოფილება.¹ სწორედ ამიტომ არის აუცილებელი საკორპორაციო ურთიერთობების ცალკეულ კატეგორიებზე, სამეურნეო ბრუნვის მონაწილეთა საქმიანობაზე საჯარო კონტროლის განხორციელება. ეს ისეთი შემთხვევებია, როცა საკორპორაციო სამართლის ძირითადი პრინციპების რეალიზაციისათვის რეგულირების კერძოსამართლებრივი მეთოდების გვერდით აუცილებელია საჯარო ხასიათის მეთოდების გამოყენება.²

სამეწარმეო საქმიანობა მეტად მრავალსიმომცველი სფეროა, რაც სახელმწიფოს მხრიდან ვარკვეულ კონტროლს საჭიროებს. აუცილებელია მეწარმის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობისა და მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების შემოწმება, აგრეთვე მეწარმის საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა, მის საქმიანობაში სამართალდარღვევის გამოვლენა, ან შესაბამისი სანქციის დადება. სწორედ ამ ურთიერთობათა რეგულირებას ითვალისწინებს საქართველოს კანონი „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ (2001 წლის 8 ივნისი). სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანო, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, მეწარმის საქმიანობაზე განახორციელოს კონტროლი მხოლოდ კანონით დადგენილი წესით.

¹ Кулагин М. И., Предпринимательство и право: опыт Запада. Избранные труды, М., 1997, с. 18-19.

² ვ. ბუბლიკი, დასახ. ნაშრ., გვ. 14.

სამეწარმეო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების პრინციპის¹ მიზანია მეწარმეთა კერძო ინტერესებსა და სახელმწიფოს, საზოგადოების საჯარო ინტერესებს შორის ბალანსის მიღწევა.

რაც შეეხება საკორპორაციო ურთიერთობების მარეგულირებელ სპეციალურ პრინციპებს, შესაძლებელია მათი ჩამოყალიბება შემდეგი სახით:

მიდაკორპორაციული დემოკრატიის პრინციპი;

კორპორაციის წევრთა (პარტნიორთა) უმცირესობის უფლებათა დაცვის პრინციპი;

კორპორაციის წევრთა პირადი ინტერესების საერთო კორპორაციული ინტერესებისადმი დაქვემდებარების პრინციპი;

ნებაყოფლობითი წევრობის პრინციპი;

კორპორაციის საქმეთა საჯაროდ წარმოების პრინციპი;

კორპორაციის მიმდინარე საქმიანობაში ჩარევის შეზღუდვის პრინციპი.

1. შიდაკორპორაციული დემოკრატიის პრინციპი კორპორაციის მიგნით ურთიერთობების რეგლამენტაციის ძირითადი საწყისია. შიდაკორპორაციულ დემოკრატიას, ისევე როგორც დემოკრატიას საერთოდ, საფუძვლად უდევს ურთიერთობის მონაწილეთა თანასწორობა. აღნიშნული პრინციპის არსის სწორად გაგებისათვის აუცილებელია მისი განხილვა ორი კუთხით: ერთი მხრივ, კორპორაციის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტა მისი წევრების მიერ, რომლებიც ერთობლივად ქმნიან მმართველობის უმაღლეს ორგანოს (მაგ.: პარტნიორთა კრება, აქციონერთა საერთო კრება და ა. შ.) და, მეორე მხრივ, მმართველობის უმაღლესი ორგანო გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით და უმცირესობა უნდა დაემორჩილოს მიღებულ გადაწყვეტილებას მაშინაც კი, როცა მან ხმა მისცა გადაწყვეტილების წინააღმდეგ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შიდაკორპორაციული დემოკრატიის პრინციპი დამახასიათებელია ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოსათვის, ანუ ე.წ. ამხანაგობის ტიპის საზოგადოებებისათვის, რომელთა დასაფუძნებლად კანონი არ მოითხოვს მინიმალურ საწესდებო კაპიტალს და რომელთა პარტნიორთა კრებაზეც ყოველ პარტნიორს აქვს ერთი ხმა, მიუხედავად მისი შესაგანისა საწესდებო კაპიტალში, და ე.წ. კაპიტალური საზოგადოებებისათვის, რომელთა დაფუძნებისათვის აუცილებელია მინიმალური საწესდებო კაპიტალი და რომელთა მმართველობის უმაღლეს ორგანოში გადაწყვეტილების მიღებისას ხმათა რაოდენობა განპირობებულია პარტნიორთა წილით საწესდებო კაპიტალში. ამასთან, ეს პრინციპი დამახასიათებელია არაკომერციული კორპორაციის, ანუ კავშირისთვისაც.

ერთი შეხედვით შეიძლება მკითხველს დაებალოს აზრი, რომ აღნიშნულ პრინციპს ეწინააღმდეგება „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მუხლი

¹ დაწერილებით იხ.: Лаптев В. В., Предпринимательское право: понятие и субъекты, М., 1997, с. 8-17.

633., რომლის თანახმადაც, კოოპერატივის წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს კოოპერატივის წევრისათვის კრებაზე რამდენიმე ხმის მიცემას, მაგრამ არაუმეტეს სამისა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს პირობა შეიძლება დაუწესდეს მხოლოდ იმ წევრებს, რომლებიც განსაკუთრებით უწყობენ ხელს კოოპერატივის საქმიანობის განვითარებას. ეს აიხსნება იმით, რომ კოოპერატივი არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე (მუხ.60.1.). პირობები, რომელთა გათვალისწინებითაც კოოპერატივის წევრს ერთზე მეტი ხმა მიეცემა, შეიძლება იყოს სხვადასხვა: კერძოდ, განსაკუთრებული ქონებრივი ან შრომითი წვლილი. როგორც წესი, ერთზე მეტი ხმის უფლება ენიჭებათ კოოპერატივის წევრ იურიდიულ პირებს.¹ ამდენად, მითითებული გამონაკლისი არათუ ეწინააღმდეგება შიდაკორპორაციული დემოკრატიის პრინციპს, არამედ აესებს მას და უსადაგებს აღნიშნულ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას მისი რეალების გათვალისწინებით.

შიდაკორპორაციული დემოკრატიის პრინციპი არ შეიძლება განვიხილოთ როგორც კორპორაციის ბატონობა თავის წევრებზე, რადგან, უპირველეს ყოვლისა, იგი არის საფუძველი წევრთა შორის ურთიერთობისა და, მეორე მხრივ, მითითებული პრინციპი მოქმედებს სხვა პრინციპებთან, მაგალითად, ნებაყოფლობითი წევრობის პრინციპთან ერთად. ამ პრინციპის განხილვისას არ შეიძლება საუბარი უმრავლესობის უმცირესობაზე ბატონობის შესახებ, რადგან კორპორაციული დემოკრატიის ეს წესი წინასწარ არის განმტკიცებული როგორც „მეწარმეთა შესახებ“ კანონში, ისე ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საზოგადოების წესდებაში². ამდენად, პირი, რომელიც შედის საზოგადოებაში და ეცნობა მის წესდებას, თავისი წევრობით თავისთავად გამოხატავს ნებას, დაემორჩილოს შიდაკორპორაციული დემოკრატიის პრინციპს. სწორედ ამ პრინციპის პრაქტიკული რეალიზაციის შედეგია ის, რომ უმრავლესობის ნება იქცევა თავად კორპორაციის ნებად.³

2. კორპორაციის წევრთა უმცირესობის უფლებათა დაცვის პრინციპი ითვალისწინებს უმცირესობისათვის საკანონმდებლო წესით გარანტიების დაწესებას, რათა შიდაკორპორაციული დემოკრატიის პირობებში არ მოხდეს მათი ინტერესების ხელყოფა. როგორც იურიდიულ ლიტერატურაში სამართლიანად მიუთითებენ, საქართველოს მოქმედი ნორმატიული ბაზა ამ პრინციპის ამსახველი ნორმების რაოდენობის მხრივ უფრო პროგრესულ სახეს იღებს, ვიდრე ზოგიერთი ევროპული ქვეყნის

¹ ლ. ჰანგურა, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოცემა, თბ., 2002, გვ. 469.

² Генкин Д. М., Правовая организация промысловой кооперации, М., 1930, с. 23.

³ Каминка А. И., Очерки торгового права, СПб., 1912, с. 333-335.

კანონმდებლობა.¹ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ შეიცავს ისეთ მუხლებს, რომლებიც უმცირესობას იცავს კორპორაციაში დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღებისაგან. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად კანონი ადგენს კვორუმს კორპორაციის მმართველობის უმაღლესი ორგანოს (მაგ.: პარტნიორთა კრება, აქციონერთა საერთო კრება და ა.შ.) გადაწყვეტილებაუნარიანობაზე, ასევე ხმათა იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ გადაწყვეტილების მისაღებად. ასე მაგალითად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ყველა გადაწყვეტილება, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, მოითხოვს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების გადაწყვეტილებას, თუ საზოგადოების წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს (მუხ.47.4.); ან კიდევ, ნორმა, რომლის თანახმადაც სააქციო საზოგადოებაში აქციონერთა საერთო კრებაზე ისეთი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მისაღებად, როგორცაა შერწყმა, გაყოფა ან გარდაქმნა, ასევე აქციონერების მიერ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმება, საჭიროა ხმის უფლების მქონე დამსწრე კაპიტალის 3/4-ზე მეტის შესაბამისი აქციების მფლობელთა ხმა (54.7.).

კორპორაციის წევრთა უმცირესობის უფლებათა დაცვის პრინციპმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სახელმწიფო საწარმოთა პრивატიზაციის პროცესში დაფუძნებული სააქციო საზოგადოებების მიმართ, სადაც აქციონერთა დიდ რაოდენობას საზოგადოების თანამშრომლები შეადგენენ. ასეთ კომპანიებში ვხვდებით უამრავ წვრილ აქციონერს, რომლებიც ფლობენ აქციათა უმნიშვნელო რაოდენობას, რაც მათ არ აძლევს საშუალებას, რაიმე ზეგავლენა მოახდინონ აქციონერთა საერთო კრებაზე მათთვის სასურველი გადაწყვეტილების მიღებაზე. მსხვილი ინვესტორების მიერ მიღებული გადაწყვეტილება (მაგ.: საზოგადოების რეორგანიზაციის, საწესდებო კაპიტალის გაზრდის და ა.შ.) მოგჯერ მეტად არახელსაყრელია წვრილი აქციონერებისათვის. მაგალითად, აქციათა დამატებითი ემისია, როგორც წესი, იწვევს თითოეულ აქციაზე დივიდენდის ოდენობის შემცირებას, რაც პირდაპირ ხელყოფს წვრილ აქციონერთა ინტერესებს.²

აქციათა სხვადასხვა რაოდენობა აქციონერს შესაბამისად ანიჭებს განსხვავებულ უფლებებს. საზოგადოებაზე ზეგავლენის გაზრდისათვის წვრილი აქციონერები ხშირად მიმართავენ აქციათა კონსოლიდაციას. აღნიშნული შესაძლებელია აქციების ნომინალური მფლობელისათვის ან აქციონერთა წარმომადგენლისათვის გადაცემით.

¹ დაწერილებით იხ.: რ. კნიპერი, უმცირესობაში მყოფი პარტნიორების უფლებების დაცვა საქართველოს სამეწარმეო სამართლის მიხედვით, კრ. საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში., თბ., 2000, გვ.95.

² Крапивин О., Вопросы защиты прав и интересов мелких акционеров, ж. „Хозяйство и право“. №9, 2000, с. 84.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აქციათა კონსოლიდაციის ინსტიტუტი ცნობილია როგორც ანგლოამერიკული, ისე კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის ქვეყნებისათვის. მაგალითად, ანგლოამერიკული სამართალი იცნობს ე.წ. ხმის მიცემის გრასტებს (Voting trust), რომლის საფუძველზეც წერილი აქციონერები თავიანთი ხმის უფლების მქონე აქციებს გადასცემენ მინდობის მესაკუთრეებს, კერძოდ კი ორგანიზაციებს, რომლებიც სანაცვლოდ გასცემენ სერტიფიკატებს, რომლებიც განამტკიცებს დივიდენდის მიღების უფლებას, აქციონერი კი სანაცვლოდ უარს ამბობს, მონაწილეობა მიიღოს კორპორაციის საქმეთა წარმოებაში. ხმის მიცემის გრასტის საშუალებით აქციონერები გამოდიან გარკვეულწილად ერთიანი სახით და მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის პროცესში იცავენ თავიანთ ინტერესებს.¹

რაც შეეხება კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის ქვეყნებს, აქ აქციათა კონსოლიდაცია ხორციელდება არა აქციონერის უფლებამოსილების დანაწილების (ვახლჩის) გზით, როგორც ეს გრასტის (მინდობილი საკუთრების) დროს ხდება, არამედ მათი მინდობილი მმართველისათვის გადაცემით. საქართველოში აქციების სამართავად გადაცემის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საკუთრების მინდობის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმები, კერძოდ კი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 724-ე 729-ე მუხლები.² აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აქციათა ნომინალური მფლობელი (მინდობილი მართვის განმახორციელებელი) ერთეუბა ფასიან ქალაქთან დაკავშირებულ სხვადასხვა ოპერაციაში. თუ აქციონერს სურს, მას შეუძლია აქციები გადასცეს არა მმართველს (მინდობილ მესაკუთრეს), არამედ თავის წარმომადგენელს, რომელიც უფლებამოსილია, აქციონერის დავალებით მის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე ხმის უფლებით მიიღოს მონაწილეობა მხოლოდ აქციონერთა საერთო კრებაზე.

კორპორაციის წევრთა უმცირესობის უფლებათა დაცვის პრინციპის კვლევისას აუცილებლად უნდა იქნეს განხილული სამართლებრივი ნორმები, რომლებიც განამტკიცებენ პარტნიორთა უფლებების ისეთ კატეგორიებს, რომელთა განხორციელებაც შესაძლებელია დამოუკიდებლად უმცირესობის მიერ. იქიდან გამომდინარე, რომ ამ უფლებათა მიზანია უმცირესობის ინტერესების დაცვა, იურიდიულ ლიტერატურაში მათ უწოდებენ „უმცირესობის უფლებებს.“³ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ შემუშავებული მოგადი პრინციპები სხვა საკითხებთან ერთად მცირე აქციონერთა უფლებების დაცვასაც ისახავს მიზნად. ამ მხრივ კონგრულისა და რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის

¹ Кипрос Матридис, Трaсты в офшорных зонах. Практическое руководство по использованию трастов на Кипре, Белгород, 1997, с. 13.

² დაწერილობით იხ.: თ. ზამბახიძე, კომერციული ბანკებისათვის მინდობილი ქონების მართვის სამართლებრივი ასპექტები ეურნ. „სამართალი“. №4-5., გვ. 50-62.

³ პ. სტეპანოვი, დასახ. ნაშრ., გვ.88.

უფლებები გამორჩეულად მნიშვნელოვან ადგილს იკავებს.¹ ასეთი ხასიათის ნორმებს შეიცავს საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“. მაგალითად, სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის ხუთი პროცენტის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ მოითხოვონ სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანად წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ არის დარღვევები (მუხ. 53.3.2.), ისინი აგრეთვე უფლებამოსილნი არიან, მოითხოვონ საწარმოს ინტერესების შესაბამისად რიგგარეშე კრების ჩატარებაც (მუხ. 53.3.3.). აქვე უნდა მიეთითოს აქციონერის უფლება მისი აქციების საზოგადოების მიერ გამოსყიდვის მოთხოვნის შესახებ (მუხ. 53¹).² აღნიშნული ხდება მაშინ, როცა აქციონერმა საერთო კრებაზე მხარი არ დაუჭირა წესდებაში ისეთი ცვლილების შეტანას, რომელიც არსებითად ლახავს მის უფლებებს, ან გადაწყვეტილებას საზოგადოების რეორგანიზაციის, ასევე საზოგადოების მიერ მსხვილი გარიგებების დადების შესახებ.

ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოს პარტნიორთა უმცირესობა, თუ იგი მიიჩნევს, რომ უმრავლესობამ ხელყო მისი უფლებები, უფლებამოსილია გაასაჩივროს შესაბამისი გადაწყვეტილება კანონით დადგენილი წესით. მაგ.: პარტნიორთა კრების, საერთო კრების, აგრეთვე, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრება შესაძლებელია კრების ოქმის შედგენიდან ორი თვის განმავლობაში (მუხ. 15.2).

3. კორპორაციის წევრთა პირადი ინტერესების საერთო კორპორაციული ინტერესებისადმი დაქვემდებარების პრინციპის მიზანია კორპორაციასა და მის წევრებს შორის ბალანსის მიღწევა.

კორპორაციის ყოველ წევრს აქვს გარკვეული პირადი ინტერესი, რომელიც განაპირობებს მის სხვადასხვა სამართლებრივ ურთიერთობაში, მათ შორის საკორპორაციო ურთიერთობაში, მონაწილეობას. ამასთან, კორპორაციის წევრის სხვა საზოგადოებაში მონაწილეობამ, კონფიდენციური ინფორმაციის გახმაურებამ, ასევე „საეჭვო“ ხასიათის გარიგებების დადებამ შეიძლება გამოიწვიოს როგორც სხვა წევრებისათვის, ისე საერთოდ კორპორაციისათვის ზიანის მიყენება. სწორედ ასეთი შედეგების თავიდან ასაცილებლად არის აუცილებელი კორპორაციის წევრთა პირადი ინტერესების საერთო კორპორაციული ინტერესებისადმი დაქვემდებარება. ამ პრინციპის რეალიზაციას გულისხმობს „მეწარმეთა შესახებ“ კანონში ფორმულირებული რიგი აღკვეთებისა (მაგ.: ნორმები, რომლებიც ეხებიან კონკურენციის აკრძალვას (მუხ. 9.6.), კონფიდენციური ინფორმაციის გამოქვეყნების წესს (მუხ. 18)), ასევე ნორმები, რომლებიც ითვალისწინებენ საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას (მაგ.: ნორმა, რომლის საფუძველზეც პარტნიორებს, ისევე როგორც დირექტორებს,

¹ ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი. მესამე გამოცემა, გვ.351.

² დაწერილებით იხ.: ე. შენგელია, სააქციო საზოგადოების ორგანიზაციისა და უუნქიონირების სამართლებრივი საფუძვლები, თბ., 2002, გვ.42-43.

ეკისრებათ სოლიდარული პასუხისმგებლობა საზოგადოების შექმნის მიზნით არასწორი მონაცემების წარმოდგენით ან დაფუძნების ხარჯების გამო კორპორაციისათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად (მუხ. 53)).

4. ნებაყოფლობითი წვერობის პრინციპი წარმოადგენს კერძო სამართლის ფუნდამენტური საწყისის, კერძო აგეონომიის ერთ-ერთ გამოხატულებას. კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნებისას სუბიექტები თავად ირჩევენ მათთვის მისაღებ და სასურველ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას. ამასთან, მათი ნება შემლუღულია numerus clausus-ის პრინციპით,¹ ანუ მათ შეუძლიათ დააფუძნონ კერძო სამართლის მხოლოდ იმ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირი, რომელსაც კანონი ითვალისწინებს.

ნებაყოფლობითი წვერობის პრინციპის თანახმად, პირი თავისი შეხედულებისამებრ წყვეტს კორპორაციაში წვერად შესვლის და კორპორაციიდან გამოსვლის საკითხს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონი ითვალისწინებს გარკვეულ ნორმებს, რომელთა ძალითაც კორპორაციაში გაწვერიანება მოითხოვს საზოგადოების თანხმობას (მაგ: მუხ. 52.3). მეტად სპეციფიკურია სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების გარდაცვლილი პარტნიორის მემკვიდრის საზოგადოებაში გაწვერიანების პროცედურაც (მუხ. 33).

5. კორპორაციის საქმეთა საჯაროდ წარმოების პრინციპის თანახმად, კორპორაციის ყოველი წევრი უფლებამოსილია მიიღოს სრული ინფორმაცია კორპორაციის საქმიანობის შესახებ. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მუხ. 3.9 განამტკიცებს პარტნიორთა კონგროლისა და შემოწმების უფლებებს, რომლებიც შეიძლება შეიზღუდოს კანონით და გაფართოვდეს საზოგადოების წესდებით ან სხვა კანონით. ნიშანდობლივია, რომ ამ პრინციპის რეალიზაცია თითოეული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირის მიმართ განსხვავებულად ხდება. მაგალითად, სააქციო საზოგადოების აქციონერს ინფორმაციის მიღების უფლების გამოყენება (ისევე როგორც, ჩვეულებრივ, სხვა უფლებების რეალიზაცია) შეუძლია მხოლოდ აქციონერთა საერთო კრებაზე და არა ზოგადად (მუხ. 53.3).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კორპორაციის საქმეთა საჯაროდ წარმოება, მისი საქმიანობის გამჭვირვალეობა არის საბაზრო ურთიერთობების წარმატებით განვითარების საფუძველი. ამასთან, აღნიშნული საჯაროობა მოიცავს არა მხოლოდ კორპორაციის წევრთა უფლებას, ფლობდნენ ინფორმაციას საზოგადოების საქმიანობის შესახებ, არამედ მესამე პირთა უფლებას, გაეცნონ საზოგადოების შესახებ გარკვეულ მონაცემებს. საჯარო ხასიათისაა სამეწარმეო რეესტრის მონაცემები, ასევე ინფორმაცია წილობრივი მონაწილეობისა და პარტნიორთა კრებების შესახებ. სხვა ინფორმაციისა და ფაქტების გამოსაქვეყნებლად აუცილებელია სამეთვალყუ-

¹ დაწერილებით ის: ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გვ. 243.

რეო საბჭოს წინასწარი თანხმობა, თუ ეს საბჭო არსებობს, ან პარგნიორთა კრების გადაწყვეტილება, როგორც მთლიანად, ასევე ცალკეულ შემთხვევებში (მუხ. 18.1). სუბიექტი, რომლისთვისაც ცნობილია კონფიდენციაური ინფორმაცია, ვალდებულია, არ გაახმაუროს იგი და ამით ზიანი არ მიაყენოს კორპორაციას.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ შემუშავებული კორპორაციული მართვის ზოგადი პრინციპები შეიცავს ერთ-ერთ ისეთ მნიშვნელოვან რეკომენდაციას, როგორცაა შიდა-ორგანიზაციული დოკუმენტის შემუშავება საზოგადოების საინფორმაციო პოლიტიკის დებულების სახით, რომელშიც უნდა აისახოს ისეთი საკითხები, როგორცაა: იმ ინფორმაციის ჩამონათვალი, რომლის გამოქვეყნების ვალდებულებასაც იღებს საზოგადოება. ამასთან, ამ ინფორმაციის სახე და მოცულობა დამოკიდებულია საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმასა და საქმიანობის სფეროზე; მასობრივი ინფორმაციის საშუალება, რომელშიც ქვეყნდება ინფორმაცია საზოგადოების შესახებ, მათ შორის ვებ-გვერდი (საიტი) ინტერნეტში (ბუნებრივია, თუ აქვს საზოგადოებას), რომელზეც შეიძლება ასეთი ინფორმაციის მოპოვება; იმ ინფორმაციის ჩამონათვალი, რომელიც განთავსებულია საზოგადოების საიტზე; ინფორმაციის გამოქვეყნების პერიოდულობა და ფორმა.¹

6. კორპორაციის მიმდინარე საქმიანობაში ჩარევის შეზღუდვის პრინციპი განპირობებულია იმ გარემოებით, რომ კორპორაცია არის ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი ნება, განკერძოებული ქონება და არის სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი. კორპორაციის წევრი შეიძლება მონაწილეობდეს საზოგადოების მართვაში, იღებდეს ინფორმაციას, ასაჩივრებდეს კორპორაციის ორგანოთა გადაწყვეტილებას და ქმედებებს, ჰქონდეს დიდი უფლებამოსილება კორპორაციაზე კონტროლის განსახორციელებლად (მაგ.: შეიღობილი საწარმოს მიმართ), მაგრამ იგი არ არის უფლებამოსილი, ჩაერიოს კორპორაციის მიმდინარე საქმიანობაში.²

აღნიშნული პრინციპი პირდაპირ არის დაკავშირებული კორპორაციის მმართველობის ორგანოთა დამოუკიდებლობასთან. კერძოდ, ისეთ შემთხვევებში, როცა ძირითადი საწარმო ფლობს არაძირითად საწარმოში განსაზღვრულ წილს, რაც მას ანიჭებს არაძირითად საწარმოში გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილებას, ან როდესაც ორივე მათგანის დირექტორი იდენტური სუბიექტია, თითოეული კორპორაციის მმართველობის ორგანო მაინც განსილულ უნდა იქნეს დამოუკიდებლად. ამდენად, ისეთ შემთხვევებშიც კი, როცა ფაქტობრივად ხორციელდება არაძირითადი საწარმოს მიმართ ძირითადი საწარმოს პოლიტიკა, მათი მმართველობის

¹ ა. ნ. ვარლამოვა, ე. ვ. კაბატოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 47.

² ს. სტეპანოვი., დასახ. ნაშრ., გვ. 90.

ორგანოები იურიდიულად დამოუკიდებელია.¹ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მუხ.17.6. ბათილად აცხადებს ყოველ ხელშეკრულებას, რომლითაც ერთი საწარმოს ორგანოები ემორჩილებიან სხვა საწარმოს ნებას.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში საკორპორაციო სამართლის განვითარებამ მიაღწია საკმაოდ მაღალ დონეს, შემუშავებული და მიღებულია მრავალი კანონი და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, დაგროვდა საკმაო სასამართლო პრაქტიკა. ამასთან, განსაზღვრულ ეტაპზე ნათელი გახდა, რომ პრაქტიკული პრობლემების გარკვეული ნაწილის სავალდებულო ნორმების საშუალებით გადაჭრა შეუძლებელია, რადგან მათი გადაწყვეტა სცილდება სამართლის ფარგლებს. როგორც დასაუღეთის, ისე საქართველოს გამოცდილება მოწმობს, რომ საკორპორაციო ურთიერთობათა წარმატებით განხორციელება ურთიერთნდობის, გარკვეული ეთიკური ნორმების დაცვის, ასევე გონიერების და კეთილსინდისიერების გარეშე შეუძლებელია. ამდენად, ვფიქრობთ, მართებული იქნება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ შემუშავებული საკორპორაციო მართვის პრინციპების გათვალისწინებით საკორპორაციო ქცევის კოდექსის ქართული მოდელის შექმნა, რომელსაც ექნება მხოლოდ რეკომენდაციული ხასიათი და ხელს შეუწყობს საკორპორაციო ურთიერთობების სტაბილურობას, მათი რეგლამენტაციის ძირითადი საწყისების რეალიზაციას. აღნიშნული მეტად მნიშვნელოვანია მსხვილი სააქციო საზოგადოებების შიდაკორპორაციული ურთიერთობების ოპტიმალურად რეგულირებისათვის. ამდენად, ვფიქრობთ, დამატებითი რეკომენდაციების შემუშავება, რომელთა მიზანიც იქნება როგორც პარტნიორობა, ისე პოტენციურ ინვესტორობა ინტერესების დაცვა, ურთიერთნდობის დამყარება საკორპორაციო ურთიერთობის მონაწილეთა შორის, საქართველოში დღევანდელ დღეს მოქმედი საკორპორაციო სამართლის ნორმატიული ბაზის გვერდით გახდება ამ სფეროს ეფექტური რეგლამენტაციის საფუძველი.

¹ ლ. ჯანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი. მესამე გამოცემა, გვ. 219, 220.

კომლის სამართლებრივი ბუნება

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, კომლი სოფელ ადგილას მცხოვრები ცალკე ოჯახი, მოსახლეა.

კომლს თავისი შინაარსობრივი თვალსაზრისით ვერ განეხილავეთ „ოჯახისაგან“ დამოუკიდებლად, რომელსაც, თავის მხრივ, უფრო ფართო (ვრცელი) შინაარსობრივი დატვირთვა აქვს, ვიდრე კომლს.

რომელი ოჯახიც არ უნდა ავიღოთ, დიდი იქნება ეს თუ მცირე, მისი ცნება სამ ელემენტს უნდა მოიცავდეს. ესენია: 1. სახლი, 2. ძალაუფლება. 3. ერთმანეთთან დაკავშირებულ პირთა სიმრავლე¹. სახლი, თავისი პირდაპირი გაგებით, ქონებრივ ხასიათს ატარებს და გულისხმობს საცხოვრებლად განკუთვნილ შენობა-ნაგებობას, ხოლო სოფლად „სახლში“ მოიაზრება საცხოვრებლად განკუთვნილი შენობა-ნაგებობა მიწის ნაკვეთთან ერთად.

ძველი სამართლის წყაროთა შესწავლისა და შედარებითი კვლევის შედეგად სახლი პირდაპირ ოჯახთანაც არის გაიგივებული. სახლი აღნიშნავს ოჯახის ქონებრივ მხარეს და ზოგჯერ ოჯახის სინონიმაცაა. მოკლედ, სახლში იგულისხმება ყველა იმ ქონების ერთობლიობა, რომელიც ოჯახის ხელთაა... სპარსულში სახლი ოჯახსაც აღნიშნავდა².

„სახლი“ ამა თუ იმ პირთა კუთვნილ მამულსაც და სამფლობელოსაც უდრიდა. „ამგვარი მნიშვნელობა აქვს ტერმინ სახლს „წურწყაბელის სამწყსოს სიაშიც: „ხურციძის სახლი, ბოცოთ-ხევი ხერთვისის ქვემოთ მისიაო“³.

„სახლი“, რომელიც ერთად აღებული მამული და სამფლობელო იყო, საკუთრების უფლებით თავისთავად ოჯახთან იყო გაიგივებული და ოჯახსაც ნიშნავდა. რასაც ადასტურებს ძველი ქართული ძეგლები. „შუშანიკის მარტვილობა“ ამტკიცებს, რომ უკვე მე-5 საუკუნეში საქართველოში „სახლი“ არა მარტო საგვარეულოსა და გვარს ნიშნავდა, არამედ ერთ ცოლქმრობაზე დამყარებულ ოჯახსაც. შემდეგში ხომ ამგვარი მნიშვნელობა უფრო და უფრო უნდა განმტკიცებულყო. ასეც მომხდარა. იოანე საბანისძეს, მაგალითად, იქ, სადაც აღნიშნული აქვს, რომ ნერსე ერისმთავარმა თავისი ოჯახობა აფხაზეთში გახიზნა, ასე უწერია „და წარგზავნეს დედაი და ცოლი და შვილნი და მონაგები და ყოველნი სახლისა

¹ ბ. ზოიძე, ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, თბ., 2000, გვ. 33.

² იქვე.

³ იე. ჯაფახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი 6, გვ. 184.

მისისანი“-ო¹. აღნიშნული გამონათქვამის მიხედვით, სადაც მოცემულია სახლის შემადგენლობის არასრული სია, ეს ერთად ნიშნავს ოჯახობას. „მონაგებნი და ყოველნი სახლისა მისისანი“ ნიშნავს, რომ სახლს ანუ ოჯახს შეადგენდა არა მხოლოდ ცოლი, ქმარი, შვილები, არამედ ოჯახში შეიძლებოდა ყოფილიყვნენ მეუღლეთა მშობლები. სწორედ ამას გულისხმობს გამონათქვამი „დედაი“, ე.ი. ნერსე ერისთავის დედა. ხოლო გამოთქმა „მონაგები და ყოველნი სახლისა მისისანი“ ნიშნავს, რომ ოჯახი ანუ „სახლი“ გულისხმობს არა მხოლოდ მის წვერთა შემადგენლობას, არამედ მათთან ერთად ქონებას – მოძრავ-უძრავსა და მონაგებს – შემოსაყლის სახით.

სახლ-ოჯახის, განსაკუთრებით კი ერთ ჭერქვეშ მცხოვრები სახლობის, აღსანიშნავად და მოსახლეობის აღმნიშვნელ ტერმინად მიღებული იყო სიტყვა „კომლიც“².

ამდენად, კომლიც ოჯახია, თუმცა, თუ მოვიშველიებთ კომლის ლექსიკონისეულ განმარტებას, ოჯახი უფრო ფართო ცნებაა და ზოგადია, კომლი კი სოფლად მცხოვრები ოჯახია.

კომლი და მათთან დაკავშირებულ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირება მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა საბჭოთა პერიოდის კანონმდებლობაში.

მოკლედ შევხებით მხოლოდ იმ მნიშვნელოვან დებულებებსა და ქონებრივ ურთიერთობებს, რომლებიც თეორიული თუ პრაქტიკული თვალსაზრისით დღესაც გარკვეულ ყურადღებას იქცევენ.

კომლი სოფლის ადგილობრივი ორგანოების მიერ ყოველთვის ცალკე იყო რეგისტრირებული ე.წ. მონარგაყრილ, საადგილმამულო წიგნში, ოჯახის თითოეული წევრისა და ოჯახზე რიცხული ქონების აღნიშვნით, რაც საშუალებას იძლეოდა, ყოფილიყო სრული მონაცემები ამა თუ იმ სოფლის შესახებ. კერძოდ, სოფლის საზღვრების, საზღვრებში მოქცეული მიწის საერთო ფართისა და კატეგორიების, სოფლის მცხოვრებთა რაოდენობისა და მათზე ინდივიდუალურად რიცხული მიწის ნაკვეთების მოცულობის, მიჯნებისა და სხვათა შესახებ.

რეფორმამდე არსებული აგრარული სისტემისა და კონკრეტული სოფლისათვის დამახასიათებელი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შესაბამისად მიწათსარგებლობისა და მფლობელობის გარკვეული თავისებურებები განაპირობებდა კომლის გარკვეულ სახეებად დაყოფას.

კერძოდ, სოფლად მცხოვრები ოჯახის, ანუ კომლის, ორი სახე გამოიკვეთა:

1. კომლი თავისი ზოგადი გაგებით და
2. საკოლმეურნეო კომლი.

აღნიშნული დაყოფა სამართლებრივად აისახა კანონმდებლობაშიც (1971 წლის მიწის კოდექსი, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი (1964 წ), კოლმეურნეობის სანიმუშო წესდება და სხვა).

¹ ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი 6, გვ. 195.

² იქვე, გვ. 196.

აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონმდებლობა დეგალურად არეგულირებდა კომლის სამართლებრივ ბუნებას, კომლის ქონებისა და მის წევრთა საქმიანობის რეგულირების სამართლებრივ რეჟიმს, თუმცა არ იყო მოცემული კომლის ოფიციალური განმარტება (ცნება).

კომლი არ ყოფილა და არც არის რაღაც განსაკუთრებული წესით შექმნილი იურიდიული სტატუსის მქონე დამოუკიდებელი სამართალსუბიექტი. კომლი წარმოადგენს ოჯახის წევრთა ერთიან კაეშირს, რომელსაც გააჩნია: ერთიანი ქონება, როგორც პირადი, ისე საერთო ინტერესები, გარკვეული უფლებები და მოვალეობანი, აგრეთვე პასუხისმგებლობა როგორც ერთმანეთის, ისე მესამე პირთა მიმართ.

კომლის საერთო ქონებით მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობა დგება იმ ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, რომელიც უკაეშირდება კომლის საერთო ინტერესებს და არა მისი წევრის პირად ინტერესს.

მიწის და საერთოდ სოფლის მეურნეობის სისტემაში რეფორმების განხორციელებამდე სოფლად ფუნქციონირებდნენ საბჭოთა მეურნეობები, როგორც სახელმწიფო სტრუქტურები და კოლმეურნეობები, რომლებიც შექმნილი იყო როგორც სოციალისტური მეურნეობის კოოპერატიული ფორმა, სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო საწარმო, რომელიც მოქმედებდა სრული დამოუკიდებლობისა და თვითდაფინანსების პირობებში.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ორი ფორმით არსებობა განაპირობებდა სწორედ კომლთა სხვადასხვაობას. კერძოდ: სოფელში, სადაც სასოფლო-სამეურნეო საწარმო ფუნქციონირებდა საბჭოთა მეურნეობების სახით, ოჯახები არსებობდა ზოგადი, ჩვეულებრივი კომლის სახით, ხოლო საკოლმეურნეო სოფლებში, იქ, სადაც სასოფლო-სამეურნეო საწარმოები იქმნებოდა კოლმეურნეობის სახით, ოჯახები ითვლებოდა საკოლმეურნეო კომლებად, თუ არ ჩავთვლით ოჯახებს, რომლის წევრებიც არ იყვნენ კოლმეურნეობის წევრები და, თავიანთი პროფესიიდან გამომდინარე, დასაქმებული იყვნენ სხვადასხვა სფეროში.

კომლთა სახეობებისა და მის წევრთა დასაქმების მისეღვით ხდებოდა სწორედ სოფლის მოსახლეობის კატეგორიების განსაზღვრა და მათ სარგებლობაში მიწის ნაკვეთების გადაცემის წესებისა და პირობების დადგენა.

1971 წლის კოდექსის 71-ე მუხლის თანახმად, საკოლმეურნეო კომლისათვის საკარმიდამო ნაკვეთის მიცემა ხდებოდა კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით და მისი ოდენობა განისაზღვრებოდა კომლის წევრთა რაოდენობისა და კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში მათი შრომითი მონაწილეობის გათვალისწინებით, ხოლო კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების თანახმად (59 პუნქტი), კოლმეურნის პირად საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ოდენობას, აგრეთვე პირუტყვისა და ფრინველის შენახვის ნორმებს, განსაზღვრავს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება საზოგადოებრივ მეურნეობაში მათი შრომითი მონაწილეობის გათვალისწინებით.

მიწის კოდექსის 77-ე მუხლი კი ადგენდა საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და მოსამსახურეებისათვის და სხვა მოქალაქეებისათვის სარგებლობაში მისაღები საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ნორმებს. აღნიშნული მუხლის მიხედვით, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუდმივ მუშებს, საქვიალისგებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც სოფლად მუშაობდნენ და ცხოვრობდნენ, მიწის ნაკვეთი გამოეყოფოდათ 0,25 ჰა-მდე; ყოფილ კოლმეურნეებს, რომლებიც მუდმივად სამუშაოდ გადავიდოდნენ საბჭოთა მეურნეობებში ან სხვა სახელმწიფო საწარმოებში, კოლმეურნეობების სახელმწიფო საწარმოებად გარდაქმნასთან დაკავშირებით უნარჩუნდებოდათ საკარმიდამო ნაკვეთები იმ ნორმით, რომლითაც ისინი სარგებლობდნენ კოლმეურნეობებში; სახელმწიფო და საზოგადოებრივი საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მუშებს, მოსამსახურეებს, აგრეთვე მასწავლებლებს, ექიმებსა და სხვა საქვიალისგებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ სოფლად, საქართველოს მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ნუსხის შესაბამისად – 0,25 ჰა-მდე; სოფლად მუდმივად მომუშავე მცხოვრებ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებზეც არ ვრცელდებოდა ამ მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების მოქმედება, აგრეთვე სოფელადგილებში მცხოვრებ პენსიონერებსა და ინვალიდებს – 0,15 ჰექტარამდე. ამდენად, აღნიშნული ნორმის ფარგლებში მიწის ნაკვეთები სარგებლობის უფლებით გამოეყოფოდათ არასაკოლმეურნეო კომლებს, სოფლად მცხოვრებ და მომუშავე პირებს.

გარდა ამისა, მიწის კოდექსის 76-ე მუხლი ითვალისწინებდა სოფლად მცხოვრები მუშების, მოსამსახურეების, ინვალიდებისა და პენსიონერებისათვის საკარმიდამო მიწის ნაკვეთების გადაცემის წესს, რომლის თანახმად, „თუ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში იყო თავისუფალი საკარმიდამო მიწები, საკარმიდამო მიწის ნაკვეთი შეიძლება მისცემოდა სოფლად მცხოვრებ მუშას, მოსამსახურეს, ინვალიდსა და პენსიონერს შესაბამისად კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების ან რწმუნებულთა კრების ან საბჭოთა მეურნეობის, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, რომელსაც ამტკიცებდა სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი“.

აღნიშნული ნორმების კომენტარებისა და რეფორმამდელი პერიოდის რეალობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სოფლად იყო კომლები, რომელთა წევრების შემადგენლობა განისაზღვრებოდა შერეული სახით, ანუ ასეთ კომლში შეიძლებოდა ყოფილიყო კომლის წევრი, რომელიც თავისი საქმიანობით დაკავებული იყო კოლმეურნეობაში და შესაბამისად იყო კოლწევრი, და აგრეთვე კომლის წევრი, რომელიც თავისი პროფესიით თუ ინდივიდუალური ხასიათის საქმიანობიდან გამომდინარე, არ იყო კოლმეურნეობის წევრი. ასეთი წევრები სარგებლობდნენ მიწათსარგებლობის განსხვავებული წესებით და მათთვის გამოყოფილი მიწის ნორმატივები იყო გარკვეულად შეზღუდული.

მერეული ხასიათის კომლებში თავისთავად არსებობდა მკვეთრად გამოჩენილი ქონება, თუმცა არსებობდა აგრეთვე კომლის საერთო საკუთრება, რომელზეც კომლის წევრთა ურთიერთობები რეგულირდებოდა ზოგადი ნორმების შესაბამისად, რაზეც ქვემოთ უფრო ვრცლად იქნება საუბარი.

გარდა სარგებლობაში მიწის გამოყოფის წესისა და ნორმებისა, საბჭოთა კანონმდებლობა დეტალურად ადგენდა საკოლმეურნეო კომლთან დაკავშირებულ სამართალურ ურთიერთობათა მარეგულირებელ ნორმებს. ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ ძირითად მომენტებზე.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ საკოლმეურნეო კომლი არასოდეს ითვლებოდა იურიდიულ პირად, თუმცა მისი გარკვეული სამართალსუბიექტობა იკვეთებოდა იმით, რომ საკოლმეურნეო კომლს გააჩნდა გარკვეული უფლება-მოვალეობები, რომელთა შესრულება განაპირობებდა მისთვის საკოლმეურნეო კომლის სტატუსის შენარჩუნებას.

მოქმედი კანონმდებლობა არც საკოლმეურნეო კომლის ოფიციალურ განმარტებას არ იძლეოდა, თუმცა ლიტერატურაში განმარტებული იყო შემდეგნაირად: „საკოლმეურნეო კომლი კოლმეურნეობის წევრთა საოჯახო შრომითი კავშირია. ასეთ კავშირში შემაჯავლი პირები ერთად ცხოვრობენ, მონაწილეობენ საკოლმეურნეო წარმოებაში, დაკავშირებული არიან ნათესაური ურთიერთობით, გააჩნიათ დამხმარე მეურნეობა საკარმიდამო ნაკვეთზე და რეგისტრირებული არიან სასოფლო საბჭოში“¹. საკოლმეურნეო კომლში შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც კოლმეურნეობის რამდენიმე, ისე ერთი წევრი.

ამასთან, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი განსაზღვრავდა საკოლმეურნეო კომლისა და კომლის წევრთა პირად ქონებას.

საკოლმეურნეო კომლს გააჩნდა საერთო საკუთრება, რომელიც მის წევრებს ეკუთვნოდა თანასაკუთრების უფლებით. საკოლმეურნეო კომლს საკუთრების უფლებით შეიძლებოდა პქონოდა დამხმარე მეურნეობა თავის სარგებლობაში მყოფ საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე, საცხოვრებელი სახლი, პროდუქტული პირუტყვი, ფრინველი და წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი კოლმეურნეობის წესდების შესაბამისად.

გარდა ამისა, საკოლმეურნეო კომლს ეკუთვნოდა კომლის წევრების შრომითი შემოსავალი, რომელიც მათ კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში მონაწილეობით მიიღეს, ან მათ მიერვე კომლის საკუთრებად გადაცემული სხვა ქონება, აგრეთვე საერთო სახსრებით შექნილი საოჯახო და პირადი მომსახურების საგნები (მუხ. 122).

კომლის საკუთრებას შეადგენდა აგრეთვე ის საყოფაცხოვრებო ხასიათის ნივთები, მაგ.: ავეჯი, ინსტრუმენტები, მანქანა და ა.შ., რომლითაც თანაბრად სარგებლობდნენ ოჯახის წევრები.

საკოლმეურნეო კომლის საერთო საკუთრებაში არსებული ქონების მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა წარმოებდა კომლის ყველა

¹ ნ. დომსაძე, მიწისა და საკოლმეურნეო სამართლის ზოგიერთი საკითხი – სამართლის ცოდნის საუბუკელი, თბ., 1977, გვ. 29.

წევრის თანხმობით. აღნიშნულ უფლებებთან დაკავშირებით კომლის წევრთა შორის წარმოშობილ დაეებს წყევტლა სასამართლო კომლის ერთ-ერთი, 16 წლის ასაკს მიღწეული, წევრის სარჩელით.

კომლის წევრი 15-დან 16 წლის ასაკამდე სარჩელს წარადგენდა თავისი მშობლების, მშვილებლების ან მზრუნველის თანხმობით, ხოლო სარჩელს კომლის იმ წევრთა ინტერესების დასაცავად, რომელსაც 15 წლის ასაკს არ მიუღწევია, წარადგენდნენ მისი მშობლები, მშვილებლები ან მეურვეები.

საკოლმეურნეო კომლის მეთაურად აღიარებული წევრი კომლის ქონებაზე არანაირი უპირატესი უფლებით არ სარგებლობდა. საკოლმეურნეო კომლის მეთაურის მიერ დადებული გარიგების მიხედვით საკოლმეურნეო კომლი პასუხს აგებდა მთელი თავისი ქონებით. თუ გარიგება დადებული იყო მხოლოდ კომლის მეთაურის პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, მაშინ, გარიგებიდან გამომდინარე, ვალდებულების შესრულება ევალებოდა მხოლოდ კომლის მეთაურს, რომელიც პასუხს აგებდა პირადი ქონებით.

კომლის სხვა წევრები პასუხს აგებდნენ, აგრეთვე, თავიანთი ვალდებულების მიხედვით, პირადი ქონებით და, აგრეთვე, თავისი წილით კომლის ქონებაში, თუ საქმის გარემოებათაგან არ გამომდინარეობდა, რომ გარიგება დადებულია კომლის ინტერესებისათვის.

საკოლმეურნეო კომლის იმ ქონების ნუსხა, რომლიდანაც არ შეიძლება ბოღა კრედიტორების მიმართ გადახდევინება, დადგენილი იყო სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით.

„საბჭოთა სამოქალაქო სამართლის ლიტერატურაში გამოთქმულია შეხედულება, რომ არსებობს ერთიანი ინსტიტუტი საერთო საკუთრებისა, და არა გვაქვს რაიმე საფუძველი საერთო საკუთრების ორი განსხვავებული სახის – საერთო წილობითი და თანაზიარი – საკუთრების შესახებ ვილაპარაკოთ. ამ შეხედულების მომხრენი თვლიან, რომ როგორც წილობითი, ისე თანაზიარი საკუთრების დროს მესაკუთრეს საერთო ქონების ღირებულებაში წილი აქვს და რომ, აქედან გამომდინარე, იურიდიული ბუნებაც საერთო საკუთრების ამ სახეები ერთნაირია. ძნელია დავეთანხმოთ ამ შეხედულებას...

საერთო წილობითი საკუთრება პირთა ნებისმიერად განსაზღვრულ კრებადობას ეკუთვნის წილობრივად. ამ საერთო საკუთრებისაგან განსხვავდება მეუღლეთა თანაზიარი საკუთრება და საერთო საკუთრება საკოლმეურნეო კომლისა, საერთო წილობით საკუთრებაში თითოეულ მონაწილეს ეკუთვნის განსაზღვრული წილი და ამ წილის გასხვისების უფლება. ამ გზით საერთო წილობით საკუთრებაში შეიძლება წილის გასხვისებით მონაწილის სხვა პირით შეცვლა. როგორც მეუღლეთა თანაზიარი საკუთრების, ასევე საკოლმეურნეო კომლის საკუთრების ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ ისინი ემყარებიან მისი მონაწილის პირად უფლებრივ კავშირს, რაც ამ საკუთრების მრავალი თავისებურების წარმოშობის სათავეა. ამიტომაც თანაზიარი საერთო საკუთრების მონაწილეებს არა აქვთ უფლება წილის გასხვისებისა უცხო პირზე. თანა-

ზიარ საკუთრებაში თითოეული მონაწილის წილი მისი გაყოფის ან გამოყოფის დროს განისაზღვრება¹. აღნიშნული მოსაზრება სამართლებრივად რეგულირდებოდა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსით (125-ე მუხლი), რომლის თანახმად, საკოლმეურნეო და, შესაბამისად, კომლის საერთო ქონებიდან კომლის წევრის წილის განსაზღვრა და გამოჯენა შესაძლებელი იყო მხოლოდ სამ შემთხვევაში, კერძოდ:

1. მისი გასვლისას კომლის შემადგენლობიდან ახალი კომლის შექმნელად (გამოყოფა);

2. ერთი კომლიდან ორი ან მეტი კომლის შექმნისას (გაყრა);

3. კომლის წევრის პირადი ვალდებულებების მიხედვით გადახდევინება.

კომლის ქონებაში ყველა წევრს, მათ შორის არასრულწლოვანსა და შრომისუნაროსაც, თანაბარი წილი ეუთენის, საკოლმეურნეო კომლის შრომისუნარიანი წევრის წილი შეიძლება შემეიარდეს კომლის შემადგენლობაში მისი ხანმოკლე ყოფნის გამო, ან კომლის მეურნეობაში პირადი შრომით, ან სამსახურით მისი უმნიშვნელო მონაწილეობის მიზეზით. საკოლმეურნეო კომლიდან წევრის გასვლისას, როდესაც არ ხდებოდა ახალი კომლის შექმნა, წილის გამოყოფა უნდა მომხდარიყო იმ პრინციპით, რომ დარჩენილი საკომლო ქონება საკმარისი ყოფილიყო დამსმარე მეურნეობის სრულყოფილი მართვისთვის. განსაკუთრებით ეს ეხებოდა ისეთ საკომლო ქონებას, როგორცაა აუცილებელი შენობა-ნაგებობანი, პირუტყვი და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი.

კომლიდან გასვლისა და ქონების გამოყოფის მოთხოვნის უფლება პქონდათ კომლის წევრებს, რომლებმაც 16 წელს მიაღწიეს. 15-დან 16 წლამდე ასაკის წევრებს ეს უფლება პქონდათ მშობლების, მშვილებლის ან მზრუნველის თანხმობით, ხოლო 15 წლამდე ასაკის წევრის კომლიდან გამოყოფა შეიძლებოდა მშობლების, მშვილებლის ან მზრუნველის მოთხოვნით. როგორც აღინიშნა, გამოყოფის დროს ახალი კომლი არ წარმოიშობოდა, ხოლო კომლიდან გამოყოფილი წევრი იღებდა მუშა-მოსამსახურის სტატუსს. შესაბამისად არ ხდებოდა კომლიდან გამოსული წევრისათვის კომლის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის წილის გამოყოფა. ასეთი წევრისთვის მიწის ნაკვეთის გადაცემა მოხდებოდა ზოგადი წესების შესაბამისად.

გარდა კომლიდან გამოყოფისა, კომლის წევრს შეიძლებოდა მოეთხოვა კომლის გაყრა და ახალი კომლის შექმნა. გამოსვლისგან (გამოყოფა) განსხვავებით, კომლიდან გაყრის მოთხოვნის უფლება პქონდათ კომლის მხოლოდ სრულწლოვან წევრებს, რომლებიც ამავე დროს იყვნენ კოლმეურნეობის წევრები. სხვაგვარად, კომლიდან გამოსული წევრი, ანუ წევრი, რომელიც კოლმეურნეობის წევრი არ იყო, ქმნიდა ჩვეულებრივ კომლს.

კომლის შრომისუნარიანი წევრი კარგავდა უფლებას კომლის ქონების წილზე, თუ იგი სამი წლის განმავლობაში შედიხედ არ მიიღებდა მონაწილეობას თავისი შრომით ან სახსრებით კომლის საერთო მეურნეო-

¹ ს. ჯორბენაძე, პირადი საკუთრება სოციალიზმის დროს, თბ., 1959, გვ. 35-36.

ბის წარმოებაში. ეს წესი არ გამოიყენებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც კომლის წევრი არ მონაწილეობდა მეურნეობის წარმოებაში ვადიან სამხედრო სამსახურში გაწვევის, სასწავლებელში სწავლის ან ავადმყოფობის გამო (მუხ. 128).

გარდა საკოლმეურნეო კომლის ქონებისა, რომელიც იყო კომლის წევრთა თანასაკუთრება, კანონი გამოყოფდა საკოლმეურნეო კომლის წევრის პირად საკუთრებას. პირადი საკუთრების ქონებას ეკუთვნოდა საკოლმეურნეო კომლის წევრის შრომითი შემოსავალი და დანაზოგი, აგრეთვე პირადი სახსრებით შექმნილი ან მემკვიდრეობით თუ ნაჩუქრობით მიღებული ქონება, რაც მას კომლის საკუთრებად არ გადაუცია, და შეადგენდა საკოლმეურნეო კომლის ცალკეული წევრის პირად საკუთრებას.

საკოლმეურნეო კომლის წევრის პირად საკუთრებად არ შეიძლებოდა ყოფილიყო ქონება, რომელიც, კოლმეურნეობის წესდების თანახმად, მხოლოდ საკოლმეურნეო კომლს ეკუთვნოდა. ე.ი. საკოლმეურნეო კომლისთვის კანონით დადგენილი ქონება ეკუთვნოდა საკოლმეურნეო კომლის ყველა წევრს და არა ინდივიდუალურად თითოეულს.

გარდა საკოლმეურნეო კომლისა, როგორც უკვე იყო აღნიშნული, სოფლად მაცხოვრებელი ოჯახი იყო აგრეთვე ჩვეულებრივი კომლი, რომლის წევრიც (წევრები) ეწეოდა ინდივიდუალურ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას. სოფლის მეურნეობაში აღნიშნული კომლისა და მის წევრთა ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს არეგულირებდა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წ.) სპეციალური ნორმა (მუხ. 130), რომლის შინაარსიდან გამომდინარე: იმ მოქალაქის ოჯახის საკუთრებაში, რომელიც ეწეოდა ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას სოფლის მეურნეობაში, შეიძლებოდა ყოფილიყო დამსმარე მეურნეობა მის სარგებლობაში მყოფ საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე, საცხოვრებელი სახლი, პროდუქტული პირუტყვი, ფრინველი და წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, აგრეთვე, მუშა პირუტყვი, რომელიც საჭირო იყო მისი სარგებლობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის დასამუშავებლად სხვისი შრომის გამოყენების გარეშე.

აღნიშნული კომლის (ოჯახის) ცალკეული წევრის პირად საკუთრებაში, რომელიც ეწეოდა ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას სოფლის მეურნეობაში, არ შეიძლებოდა ყოფილიყო შემოაღნიშნული ქონება. ეს უკანასკნელი მათ ეკუთვნოდათ თანასაკუთრების უფლებით.

უნდა აღინიშნოს, რომ თანასაკუთრების უფლებით არსებული ქონების მართეასთან, აგრეთვე, ასეთი კომლის გაყრასთან თუ გამოყოფასთან დაკავშირებით ვრცელდებოდა ის წესები, რომელნიც დადგენილი იყო საკოლმეურნეო კომლთან და მის ქონებასთან დაკავშირებით (1964 წ. სამოქ. სამ. კ. მუხ. 123-129).

ამდენად, ნაშრომში მოხსენიებულია მიწის რეფორმამდე სოფლად მცხოვრები ოჯახების (კომლი, საკოლმეურნეო კომლი) სამართლებრივი რეჟიმის მხოლოდ ძირითადი საკანონმდებლო დებულებები. ე.ი. კომლისა და მის წევრთა უფლება-მოვალეობების სამართლებრივი რეგულირების

ის დეგალები, რომლებიც თავისი თეორიული თუ პრაქტიკული თვალსაზრისით დღესაც გარკვეულ ყურადღებას იქცევენ.

1997 წელს მიღებულმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა ნაკლები ადგილი დაუთმო კომლთან დაკავშირებული ურთიერთობების სამართლებრივ რეგულირებას, ვიდრე მანამდე მოქმედმა კოდექსმა. უფრო მეტიც, კომლი მოხსენიებულია მხოლოდ 1323-ე მუხლში, რომელიც წარმოადგენს სპეციალურ ნორმას და ეხება მხოლოდ სამკვიდროს გახსნას კომლში. სპეციალური ნორმის არსებობა მიანიშნებს, რომ კომლისა და მისი წევრის სამკვიდრო ქონებაზე სამკვიდროს გახსნის დრო რეგულირდება განსხვავებულად, ვიდრე ზოგადად ოჯახისა, რომელიც არ ცხოვრობს სოფლად.

უნდა აღინიშნოს, რომ მიწისა და საერთოდ სოფლის მეურნეობის სისტემაში რეფორმის განხორციელებამ და, შესაბამისად, ახალი საკანონმდებლო ბაზის შექმნამ რადიკალურად შეცვალა სოფლად კომლის მიერ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მართვის, მიწის ნაკვეთის საკუთრებისა თუ სარგებლობის უფლებით შეძენის არსებული წესები, რამაც, მართალია, მოსპო კომლის სახეობად დაყოფის თეორიული და პრაქტიკული საფუძველი, თუმცა მაინც შემორჩა კომლი თავისი ზოგადი შინაარსით.

ამას ადასტურებს მოქმედი სამოქალაქო კოდექსის ხსენებული 1323-ე მუხლიც, რომლის თანახმად, კომლში კომლის საერთო ქონებაზე სამკვიდრო გაიხსნება კომლის ბოლო წევრის გარდაცვალების დღიდან. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ნორმის შესრულება და გამოყენება სასამართლო პრაქტიკაში დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, ვინაიდან კომლის გარდაცვლილი წევრის ქონების მემკვიდრეობით გადაცემასთან დაკავშირებით დაეების განხილვის დროს თავს იჩენს კომლთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, როგორცაა: კომლის, როგორც სამართლებრივი წარმონაქმნის, განმარტება, მისი რეგისტრაციის საკითხი, კომლის წევრის უფლება საკომლო ქონებაზე, ანუ რომელ ქონებაზე წარმოემოთა კომლის წევრს უფლება, ვინ ითვლება კომლის ბოლო წევრად, ვინ შეიძლება იყვნენ კომლის ქონებაზე მემკვიდრეები, კომლიდან წევრის გასახლების წესი და საფუძველი და ა.შ.

კომლი, როგორც ერთიანი მთლიანი ოჯახის ნაირსახეობა, არ შეიძლება განვიხილოთ როგორც სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი.

კომლის, როგორც ოჯახის ნაირსახეობის, გამოკვეთა და მითუმეტეს მისი კოდექსში დაფიქსირება განაპირობა სოფლად მცხოვრები ოჯახების ერთობლივი საქმიანობის წარმოებისა და მართვის თავისებურებებმა, რაც ძირითადად უკავშირდება სასოფლო (ფერმერული) მეურნეობის მართვას მისგან მიღებული შემოსავლის განაწილებისა და მიკუთვნების თავისებურებას, აგრეთვე კომლის საკუთრებაში არსებული ქონების სპეციფიკურობას. კომლის, როგორც ცალკე უკრედიის, რეგისტრაციის რაიმე სპეციალური წესი და შესაბამისად მისი, როგორც კომლის სახით რეგისტრაციის ვალდებულება არ არსებობს. თუმცა კანონმდებლობა ითვალისწინებს საკომლო მეურნეობის ცნებას და მისი რეგისტრაციის წესს.

სოფლად კომლის (მის წევრებთან ერთად) გამოკვეთილად ხელახალი რეგისტრაცია განაპირობა კომლებზე სარგებლობის უფლებით რიცხული მიწის ნაკვეთების საკუთრების უფლებით გადაცემამ და ამ უფლებების საჯარო რეესტრში რეგისტრირების საკანონმდებლო წესმა, რასაც არეგულირებს მიწის რეგისტრაციის შესახებ 1996 წლის 14 ნოემბრის კანონი. კანონის მოთხოვნათა დაკვირვებით რეგისტრაციის შედეგად კომლის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები აღმოჩნდა მის წევრთა თანასაკუთრებაში.

ამდენად, თავისთავად კომლი არ წარმოადგენს სამართლის სუბიექტს. სამართლებრივ ურთიერთობებში გარკვეულ სამოქალაქო სამართლებრივ უფლება-მოვალეობებს და მათ შესრულებაზე შესაბამის პასუხისმგებლობას კისრულობენ კომლის წევრები ერთად, ან ცალ-ცალკე, პერსონალურად, გამომდინარე იქიდან, უფლება-მოვალეობათა წარმოშობა უკავშირდება ყველა წევრის, ანუ კომლის, თუ კომლის რომელიმე წევრის ინტერესებს.

აღსანიშნავია, რომ კომლისა და მის წევრთა კუთვნილი ქონების სამართლებრივი რეგულირება ასევე ხდება სამოქალაქო კოდექსის როგორც ზოგადი, ისე სპეციალური ნორმების მეშვეობით, რასაც ემატება: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ კანონი (1996 წ. 22 მარტი); მიწის რეგისტრაციის შესახებ კანონი (1996 წ. 14 ნოემბერი) და ა.შ.

მნიშვნელოვანი მომენტია კომლის წევრთა ქონებრივი უფლება-მოვალეობების გამიჯვნის საკითხი, მათ შორის, საკუთრების უფლების რეგულირება კომლში არსებულ ქონებაზე.

კომლისა და, შესაბამისად, მის წევრთა საერთო საკუთრებას შეიძლება წარმოადგენდეს ყველა ის მოძრავ-უძრავი ქონება, რაც კი კანონით არ არის აკრძალული და შეიძლება იყოს კერძო პირთა საკუთრებაში. კომლის საკუთრებაში შეიძლება იყოს ფერმერული მეურნეობა ნაკვეთით, სათანადო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკითა და ინვენტარით, რომელთა მოცულობა არ არის შეზღუდული. სოფლად კომლის საერთო ქონების შექნის ძირითადი საფუძველი და, შესაბამისად, კომლის წევრთა საქმიანობისა და ერთიანი ზრუნვის საგანი ყოველთვის იყო და დღესაც არის მიწის ნაკვეთი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კომლის წევრთა ინტერესი მიწის ნაკვეთისადმი მას შემდეგ უფრო გაიზარდა, რაც მიწა იქცა კერძო საკუთრების ობიექტად. უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის სისტემაში რეფორმის განხორციელებამდე მიწის ნაკვეთები, რომლებიც ფიზიკურ პირებსა და კომლებს გადაცემული ჰქონდათ კერძო მფლობელობის უფლებით, მათვე გადაეცათ საკუთრების უფლებით, დადგენილი ნორმების ფარგლებში. ამდენად, მიწა გახდა კომლის წევრთა საერთო საკუთრება. კომლის ქონება კი შეიძლება არსებობდეს საერთო საკუთრებისა და პირადი საკუთრების სახით. კომლის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე უფლებისა და მისი მართვის სამართლებრივი რეჟიმის განსაზღვრა, ანუ კომლის ქონებაზე მის წევრთა უფლება-მოვალეობების გამიჯვნა ხდება

უშუალოდ კომლის წევრთა ურთიერთშეთანხმებით, მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობით.

კომლის ქონების მართვა ხშირად სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამას განაპირობებს კომლის წევრთა შემადგენლობის თავისებურებაანი. როგორც უკვე იყო აღნიშნული, არც ძველი და არც თანამედროვე ქართული კანონმდებლობა არ აკეთებს კონკრეტულ ჩამონათვალს იმ პირებისას, თუ ვინ შეიძლება იყოს კომლის წევრი. ოჯახის იდეალური შემადგენლობა ყოველთვის გულისხმობს (გულისხმობდა) მეუღლეებსა და მათ შვილებს. ამ მხრივ ცოტა უფრო სხვაგვარად წარმოგვიდგება სოფლად კომლის იდეალური შემადგენლობა. კერძოდ: მეუღლეები, შვილები და მეუღლეთა მშობლები, თუმცა, შესაძლებელია, კომლის წევრებად ითვლებოდნენ მეუღლეთა დები და ძმები და სხვ. აღნიშნულიდან გამომდინარე, იქმნება გარკვეული სირთულეები კომლის საერთო ქონების გამიჯვნისას, მის მართვასთან, აგრეთვე სამკვიდროს გასსნასთან დაკავშირებით და ა.შ., რაც ცალკე მსჯელობის საგანია.

კომლისა და მის წევრთა საკუთრებაში მიწის ნაკვეთის გადაცემას გარკვეული ეტაპობრივი ხასიათი ჰქონდა. რეფორმის პერიოდში სპეციალური ნორმატიული აქტების საფუძველზე სოფლის მცხოვრებთა (კომლი, კომლის წევრი) სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომელთა ნორმები გაიზარდა დადგენილი ზღვრული ნორმის ფარგლებში, მოსახლეობას გამოსყიდვის გარეშე გადაეცათ საკუთრების უფლებით. აღნიშნული უფლების პირველადი რეგისტრაცია კი, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მოხდა საჯარო რეესტრში მიწის რეგისტრაციის შესახებ 1996 წელს 14 ნოემბრის კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. ამდენად, მიწის ნაკვეთი, რომელიც სარგებლობის უფლებით ეკუთვნოდა კომლსა და კომლის წევრებს, რეგისტრაციის შემდეგ იქცა მათ საერთო საკუთრებად. თითოეული მიწის ნაკვეთზე რეგისტრაციაში შეღწევილი სარეგისტრაციო ბარათის შესაბამისად განყოფილებაში შეტანილ იქნა თანამესაკუთრეთა შესახებ მონაცემები, შესაბამისად გაიყა საკუთრების მოწმობა, როგორც მიწაზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი.

თუ სარეგისტრაციო ბარათის მესაკუთრის განყოფილებაში არ არის მონაცემები ამა თუ იმ თანამესაკუთრის შესახებ, კომლის წევრებს შორის ეს შეიძლება გახდეს დავის საფუძველი. აღნიშნული კი წარმოადგენს მიწაზე საკუთრების უფლების დაკარგვის საფუძველს. ასეთ შემთხვევაში ხარვეზის გამოსწორება, სათანადო მოთხოვნისა და დოკუმენტაციის საფუძველზე, მოხდება სარეგისტრაციო ბარათში დამატებითი ჩანაწერით. აღნიშნული შესწორებების შეტანის უფლება აქვს რეგისტრატორს. მიწის რეგისტრაციის შესახებ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის თანახმად, რეგისტრატორს შეუძლია შეასწოროს სააღრიცხვო ბარათი ან რომელიმე დოკუმენტი შეცდომის ან არასრულყოფილი მონაცემების არსებობისას. უკიდურეს შემთხვევაში მიწაზე საკუთრების უფლების დადგენის შესახებ სადავო საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს სასამართლოს გადაწყვეტილებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა (1997 წ.) სრულიად ახლებურად დაარეგულირა საკუთრების უფლება, მისი ცნება და შინაარსი, ვი-

დრე ეს მოცემული იყო 1964 წლის საბჭოთა პერიოდის სამოქალაქო სამართლის კოდექსში.

საბჭოთა სამართლისათვის პრაქტიკულ-იურიდიული მნიშვნელობა დაკარგული აქვს პირადი საკუთრების უფლების შექმნის დაყოფას პირველად და წარმოებულად, რამდენადაც ჩვენში საკუთრების სხვადასხვა ფორმები და სახეები არსებობენ და შესაბამისად განსხვავებულია საკუთრების უფლების შინაარსი¹.

მოქმედი სამოქალაქო კოდექსი ისევე განმარტავს საკუთრების შინაარსს, როგორც ეს გრადიციულად მომდინარეობს. რომის სამართლიდან მოყოლებული, კონტინენტური ევროპის სამართლით დამთავრებული, საკუთრების ზოგადსამართლებრივი თავისებურებანი ერთნაირი რჩება².

აღნიშნული გულისხმობს მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის ერთიანობას, ე.ი. მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი, ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მემობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას (სამოქალაქო კოდექსი, გვ 170, 1 ნაწილი).

გამომდინარე იქიდან, რომ ამა თუ იმ ნივთზე საკუთრების უფლება შეიძლება ერთობლივად გააჩნდეს რამდენიმე პირს, გრადიციულად არსებობს საერთო საკუთრების გამიჯვნა პირადი საკუთრებისაგან. თავის მხრივ საერთო საკუთრების ორი სახე არსებობს. კერძოდ, თანამიწარი და წილადი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას კანონის ან პირთა შეთანხმების საფუძველზე. საკუთრების უფლების რეგულირება ხდება სამოქალაქო კოდექსის როგორც ზოგადი, ისე სპეციალური ნორმების შესაბამისად, რომელიც თავისთავად ვრცელდება კომლისა და მის წევრთა ქონებრივ ურთიერთობებზე, მისი მართვის სამართლებრივ რეჟიმზე. ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კომლის ქონებასთან მიმართებით მეუღლეთა უფლება-მოვალეობის რეგულირებისას ასევე გამოიყენება საოჯახო სამართლის ის ზოგადი ნორმები, რომლებიც არეგულირებენ ოჯახის წევრთა, და შესაბამისად მეუღლეთა, ქონებრივ ურთიერთობებს.

კომლისა და, შესაბამისად, კომლის წევრთა ქონებრივი ურთიერთობების რეგულირება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამიგომაც მნიშვნელოვანია კომლის საკუთრებაში არსებული ქონების სამართლებრივი რეჟიმის დადგენა. შეეცხებით მხოლოდ მნიშვნელოვან დეტალებს.

კომლის საერთო საკუთრებას შეადგენს ერთად ცხოვრების პერიოდში შექმნილი ან გაუმჯობესებული როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონება.

ვფიქრობთ, მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, ქონების შექმნა ან გაუმჯობესება მოხდა კომლის წევრთა ერთობლივი საქმიანობის, თუ ინდივიდუალური, ე.ი. პროფესიული ან სხვა სახის, საქმიანობის შედეგად, რო-

¹ ს. ჯორბენაძე, პირადი საკუთრება სოციალიზმის დროს, თბ., 1959., გვ. 10.

² ბ. ზოძე, სანიეთო სამართალი, თბ., 1999, გვ. 69.

მელსაც შეიძლება ეწვოდნენ ისინი პარალელურად და რაზედაც მათ შორის არ არსებობს რაიმე სხვა სპეციალური შეთანხმება. კომლის წევრთა ერთობლივი საქმიანობა უმეტესად უკავშირდება კომლის საკუთრებაში ან იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთზე მოწყობილი მეურნეობის მართვას. რაც შეეხება კომლის არასრულწლოვან წევრებს, მათ საკუთრების უფლება გაუჩნდებათ სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ შეძენილ ქონებაზე, მის შექენაში მათი უშუალო მონაწილეობის შესაბამისად. თუმცა შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს სრულწლოვანების მიღწევამდე მათ მიერ წარმოებული შრომითი საქმიანობის მოცულობაც. თუ არ არსებობს სხვა შეთანხმება, მაშინ კომლის საერთო საკუთრება კომლის წევრებს ეკუთვნით თანაბიარი საკუთრების უფლებით.

თანაბიარ საკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობა და მისი განკარგვა ხდება კომლის წევრთა ურთიერთშეთანხმებით. ე.ი. კომლის საერთო ქონების გაქირავება, იჯარით გაცემა, გაცემა, გაჩუქება, გაყიდვა, დაგირავება, ან იპოთეკით დატვირთვა და ა.შ. უნდა მოხდეს მხოლოდ კომლის წევრთა თანხმობით.

კომლის საერთო საკუთრების წყაროა კომლის საერთო მეურნეობიდან მიღებული შემოსავალი, კომლის ინდივიდუალური საგნების გამოყენებითა და კომლის წევრთა შრომით მიღებული შემოსავალი, აგრეთვე კანონიერი საფუძვლით მიღებული სხვა შემოსავალი, რომელიც კომლის წევრთა გადაწყვეტილებით იქცევა საერთო საკუთრებად. კომლის საერთო საკუთრებად შეიძლება იქცეს კომლის წევრის მიერ გადაცემული პირადი საკუთრების ნივთები და შემოსავალი.

კომლის წევრებს გააჩნიათ გარკვეული ვალდებულებანი საერთო ქონების მიმართ, რაც გულისხმობს მის დაცვას, მიზნობრივ გამოყენებას, ღირებულების შენარჩუნებასა და მესამე პირთაგან უკანონო ქმედების აღკვეთას. საერთო ქონების მოვლა-პატრონობისათვის საჭირო ხარჯების გაღება მოხდება კომლის წევრთაგან ერთობლივად.

განსაკუთრებული გარემოების დროს კომლის ამა თუ იმ წევრს უფლება აქვს, სხვა წევრთაგან დამოუკიდებლად მიიღოს გადაუდებელი ზომები საერთო ქონების გადასარჩენად; მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილება კომლის საერთო ინტერესებიდან გამომდინარე. თუ რა შეიძლება იყოს განსაკუთრებული გარემოება, ამის განსაზღვრა შეიძლება მოხდეს კონკრეტული შემთხვევისას.

კომლის ინტერესების საწინააღმდეგოდ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხისმგებლობა ინდივიდუალურად ეკისრება კომლის იმ წევრს, რომელმაც დამოუკიდებლად მიიღო გადაწყვეტილება. ყველა სხვა შემთხვევაში კრედიტორების წინაშე ვალდებულების შესრულებაზე კომლის წევრები პასუხს აგებენ კომლის საერთო ქონებით, სოლიდარული პასუხისმგებლობის წესით.

კომლის ამა თუ იმ წევრს უფლება აქვს, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, გამოიყენოს კომლის საერთო ქონება, კერძოდ: გააქირაოს, იჯარით გასცეს, დააგირაოს, დატვირთოს იპოთეკით და ა.შ. თუმცა ეს

უნდა მოხდეს კომლის სხვა წევრთა თანხმობითა და მონაწილეობით, ანუ კომლის რომელიმე წევრის სასარგებლოდ კომლის საერთო ქონების ან მის ნაწილზე დადებული გარიგების მონაწილედ უნდა გამოვიდეს კომლის ყველა წევრი.

თანაზიარი საკუთრების შემთხვევაში, თუ კომლის რომელიმე წევრი მოისურვებს კომლიდან გასვლას, საფუძელის მიუხედავად, მაშინ თავდაპირველად უნდა მოხდეს კომლის საერთო ქონებიდან მისი წილის გამოიჯენა, რაც დაკავშირებულია მოძრავ-უძრავი ქონების გაყოფასთან. ეს კი უნდა მოხდეს ქონების გაყოფისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებითა და ზოგადი პრინციპებისა და წესების დაცვით. ეს უკავშირდება აგრეთვე უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენებას, თუ კი ამანვე დროს ხდება გამოყოფილი წილის გასხვისება.

კომლის საერთო ქონებაზე საკუთრების მიუხედავად, კომლის წევრებს გააჩნიათ პირადი საკუთრება, მისი შეძენის საფუძველი შეიძლება იყოს სამოქალაქოსამართლებრივი გარიგებანი, კერძოდ ნასყიდობა, გაცელა, ჩუქება და ა.შ., ამათგან უფრო მნიშვნელოვანი და მიღებულია ნასყიდობის ხელშეკრულება. პირადი საკუთრების წარმოშობის საფუძველი შეიძლება იყოს აგრეთვე მემკვიდრეობა. პირადი საკუთრების ობიექტების მუსიკა ჩამონათვალი არ არის მოცემული არც ახალ კანონმდებლობაში და არც მანამდე მოქმედი კანონმდებლობა იძლეოდა ამის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას. კომლის წევრთა პირადი საკუთრების ობიექტი შეიძლება იყოს როგორც პირადი მოხმარების საყოფაცხოვრებო ხასიათის ნივთები, ისე ნებისმიერი სხვა სახის როგორც ინდივიდუალური, ისე გვაროვნული სახის მოძრავ-უძრავი ქონება.

პირად საკუთრებაში არსებული ქონების მართვა (მფლობელობა, სარგებლობა, განკარგვა) კომლის წევრს შეუძლია კომლის სხვა წევრთაგან დამოუკიდებლად, კანონის მოთხოვნათა დაცვით, ისე, რომ ამით მიანი არ მიაღდეს კომლის საერთო საკუთრებას, საერთო მეურნეობას და სხვა წევრთა ინტერესებს. კომლის წევრი კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს ინდივიდუალურად თავისი პირადი ქონებით იმ ვალდებულებისათვის, რომელიც იკისრა მან დამოუკიდებლად და არ გამომდინარეობს კომლის საერთო ინტერესებიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული ნაშრომი მიზნად არ ისახავდა კომლთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობათა დეტალურ განხილვას. ამჯერად შემოვიფარგლეთ მხოლოდ ძირითად დებულებებზე ზოგადი მსჯელობით.

თეორიული და პრაქტიკული რეალობის განზოგადების საფუძველზე ცალკე შესწავლისა და დეტალური განხილვის საგანია ისეთი საკითხები, როგორცაა: კომლის წევრთა უფლება-მოვალეობები, საერთო საკუთრების მართვასთან დაკავშირებით; საერთო შემოსავლის განაწილებისა და მიკუთვნების წესი; საერთო საკუთრებასა და მის სახეებითან დაკავშირებული ზოგადი ნორმების გავრცელების საზღვრები კომლისა და მის წევრთა საკუთრებაზე; კომლის ქონებაზე მემკვიდროს გახსნისა და მემკვიდრეობითი სამართლის ზოგადი ნორმების გავრცელების შესაძლებლობები და ა.შ.

თანაავტორი - საავტორო უფლებათა სუბიექტი

საავტორო უფლებათა სუბიექტები არიან პირები, რომლებსაც ეკუთვნით საავტორო უფლებები, წარმოშობილი ლიგერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ნაწარმოების შექმნისა და გამოყენების დროს.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ავტორი არის ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შეიქმნა ნაწარმოები.

ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ნაწარმოების შექმნა მხოლოდ ფიზიკურ პირს შეუძლია. სწავლა, ფიქრი, შეფასება, ლიგერატურული, მუსიკალური და სხვა ნაწარმოების შექმნა მხოლოდ ადამიანს ხელეწიფება, მხოლოდ ადამიანია ის პირი, რომლის არა მარტო შემოქმედებითი, არამედ ამასთან ერთად, ინტელექტუალური საქმიანობის (შრომის) შედეგადაც წარმოიშობა საავტორო უფლებები.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ფიზიკური პირი შეიძლება იყოს როგორც საქართველოს მოქალაქე, ასევე მოქალაქეობის არმქონე პირი, უცხო ქვეყნის მოქალაქე, მიუხედავად ასაკისა, სქესისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა. საავტორო უფლებები შეიძლება შემკვიდრებესაც ან სხვა სამართალმემკვიდრესაც ჰქონდეთ, ქმელუნარიანობისა და უფლებაუნარიანობის მიუხედავად.

საავტორო უფლება მეცნიერების, ლიგერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე წარმოიშობა მათი შექმნის მომენტიდან. ნაწარმოები შექმნილად ითვლება, როდესაც იგი გამოხატულია რაიმე ობიექტური ფორმით, რაც მისი აღქმისა და რეპროდუქციების საშუალებას იძლევა.

ავტორთა უფლებების ქარტიაში ნათქვამია (თავი 2, პ.5-6):

„5. საავტორო უფლებათა საფუძველს წარმოადგენს ინტელექტუალური შემოქმედება. მისი წყარო თვით ბუნებაშია ჩადებული. კანონმა ამ მოღვაწეობის მხოლოდ რეგლამენტირება უნდა მოახდინოს...“

6. საავტორო უფლებათა ფლობის საფუძველია ინტელექტუალური შემოქმედება და მხოლოდ ფიზიკურ პირზე შეიძლება არსებობდეს ავტორობის უფლება ამ პირის საკუთარ ქმნილებაზე.

იურიდიული პირი არასდროს არ უნდა განიხილებოდეს ინტელექტუალურ ნაწარმოებზე საავტორო უფლებათა პირველად მფლობელად ...“

¹ მიღებულია ავტორთა და კომპოზიტორთა საზოგადოებების საერთაშორისო კონფერენციის (CISAC) მე-19 კონგრესზე, ქ. პამბურგში 1956 წლის 26 სექტემბერს.

საავტორო უფლებათა პირველადი მფლობელობა დაკავშირებულია პირად არაქონებრივ უფლებასთან — ავტორობასთან. ავტორობა კი იმ ფიზიკურ პირს ეკუთვნის, რომელმაც შექმნა ნაწარმოები.

საავტორო უფლებათა რომანული სამართლის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, პირველადი ავტორობის უფლება წარმოეშობა მხოლოდ ფიზიკურ პირებს, იურიდიულ პირებზე კი ეს უფლება განისილება, როგორც გამონაკლისი (მაგ., შედგენილი ნაწარმოები — ენციკლოპედია, ენციკლოპედიური ლექსიკონი, გაზეთი, ჟურნალი და ა.შ.).

ანგლოამერიკული სამართლებრივი ტრადიციის ქვეყნებში ხშირია შემთხვევა, როცა ავტორობა (რაც იძლევა საავტორო უფლებათა პირველადი მფლობელობის უფლებას) ენიჭება არა იმ ფიზიკურ პირს, რომელმაც შექმნა ნაწარმოები, არამედ სხვა ფიზიკურ პირს: შეკვეთით, სამსახურებრივი ხელშეკრულებით ან კინოსელონებისათვის შესრულებული ნაწარმოებით. ასეთი იურიდიული ფიქცია ხშირად გარკვეულ არეულობასა და გაუგებრობას იწვევს, როგორც ავტორობისა და საავტორო უფლებათა მფლობელობის, ისე საავტორო უფლებათა პირველად და შემდგომ მფლობელობას შორის.

ქონებრივ უფლებათა მოწესრიგება თითქმის მსგავსია საავტორო უფლებათა როგორც პირველად, ისე შემდგომ მფლობელობას შორის სხვადასხვა სამართლებრივი ტრადიციის ქვეყნებში.

ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია მოიხსენიებს (მუხლი 15) იმ პირებს, რომლებსაც უფლება აქვთ, დაიცვან საავტორო უფლებები. ამგვარი ფორმულირება ერთგვარი სიმბიოზია საავტორო უფლებათა პირველადი და შემდგომი მფლობელობის ერთობლივი არსებობისათვის.

ნაწარმოების ავტორად საქართველოს გერიტორიაზე შეიძლება გამოდიოდნენ მხოლოდ ფიზიკური პირები, გარდა იმ გამონაკლისისა, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი და იმ უცხოური იურიდიული პირებისა, რომლებიც ავტორებად წარმოდგებიან მათივე კანონმდებლობის (მაგ., აშშ) შესაბამისად.

ხშირია შემთხვევა, როცა ნაწარმოები იქმნება იმ პირთა მიერ, რომლებსაც არ მიუღწევიათ სრულწლოვნებისათვის, ან, კანონმდებლობის შესაბამისად, ქმედუნარო ან შეზღუდულ ქმედუნარიან პირებს წარმოადგენენ. მაგალითად, რუსუდან ფეგვიამვილს თავისი ნამუშევრების მრავალი გამოჟენა ჰქონდა, რითაც საყოველთაოდ აღიარებული გახდა, სანამ სრულწლოვანებას მიაღწევდა. სხვა არასრულწლოვანი ავტორები ხშირად აქვეყნებენ საკუთარ ლექსებს, მოთხრობებს და ა.შ.

არასრულწლოვანი და ქმედუნარო პირებისათვის პირად არაქონებრივ (ავტორობის, სახელის და ა.შ.) უფლებათა არსებობა არავითარ სამართლებრივ წინააღმდეგობებს არ იწვევს არც სამეცნიერო, არც პრაქტიკულ დონეზე, რადგანაც იგი დამოკიდებულია უფლებაუნარიანობაზე, რაც, თავის მხრივ, არსებობს, მიუხედავად ასაკისა, ჯანმრთელობის მდგომარეობისა, სახელმწიფოს რაიმე აქტისა და ა.შ.

უფლებაუნარიანობა ნიშნავს ფიზიკური პირის უნარს, პქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, ხოლო ამ უფლებათა გარდაქმნა საავტორო უფლებად და ფიზიკური პირისა – ავტორად, დამოკიდებულია იურიდიულ ფაქტზე – ნაწარმოების შექმნაზე. ეს უკანასკნელი კი შეუძლია განახორციელოს არასრულწლოვანმა (მათ შორის მცირეწლოვანმა).

90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში ჩამოვიდა პოლანდიელი ფსიქოლოგი, პროფესორი უეე პენჩელი, რომელიც ხუთ წლამდე ბავშვებისათვის ავტოვებდა ავტომობილების ნახატებს „მერსედისის“ ისეთი ახალი სატვირთო მოდელის შესაქმნელად, რომელიც მისაღები და მოსაწონი იქნებოდა ყველა კონტინენტზე, ყველა რწმენისა და სქესის ადამიანისათვის. ფსიქოლოგები თვლიან, რომ მცირეწლოვანი ბავშვი არ არის შემდეგული ტრადიციული ჩარჩოებით და მათი ფანტაზია უსაზღვროა.

ბავშვობის დროინდელი განცდები, შეხედულებები და ა.შ. მომრდილობის ასაკში მის არაანობიერში არსებობს, რაც საშუალებას მისცემს საყოველთაოდ ცნობილ ფირმას, მორიგი წარმატება მოიპოვოს საავტორო ბაზარზე. შეიძლება ითქვას, რომ „მერსედისის“ მომავალი მოდელის შემქმნელად მსოფლიოს ბავშვები ითვლებიან.

არასრულწლოვანთა და ქმედუნაროთა ქონებრივ უფლებათა განხორციელება კი უეეე მათზე არ არის დამოკიდებული. მათ ქონებრივ უფლებებს ახორციელებენ მშობლები, კანონიერი წარმომადგენელი (მეურეე). ისინი არიან უფლებამოსილნი, დადონ ხელშეკრულებები, დაიცვან ავტორები საავტორო უფლებათა დარღვევის შემთხვევაში და ა.შ., მაგრამ ეს არ გულისხმობს, რომ მშობლები ან კანონიერი წარმომადგენლები (მეურეეები) არიან ხელშეკრულების მხარეები, ისინი მხოლოდ არასრულწლოვანის ან ქმედუნაროს სახელით და მათთან ერთად მოქმედებენ.

იგივე მოქმედებები განხორციელდება შემდეგული ქმედუნარიან პირებზე, მათ შორის პირებზე, რომლებსაც დაუწესდათ მზრუნველობა ალკოპოლის ან ნარკოტიკული ნივთიერების გამოყენების გამო.

ავტორებთან ერთად საავტორო უფლებათა სუბიექტებია თანავტორები.

თანავტორებია: ორი ან მეტი პირი, რომლებმაც ერთობლივი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომის შედეგად შექმნეს ნაწარმოები. მათ ერთობლივად ეკუთვნიან საავტორო უფლება თანავტორობით შექმნილ ნაწარმოებზე, ე.ი. არიან საავტორო უფლებათა თანამფლობელები.

თანავტორებს საავტორო უფლება ეკუთვნიან ერთობლივად, იმის მიუხედავად, ეს ნაწარმოები არის ერთი განუყოფელი მთლიანობა, თუ შედგება ნაწილებისაგან, რომელთაგან თითოეულს დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს. თანავტორთა ურთიერთობა შეიძლება განისაზღვროს მათ შორის დადებული ხელშეკრულებით.

თანავტორობაზე, როგორც ერთობლივ ინტელექტუალურ-შემოქმედებით შრომაზე, სამართლებრივი დაცვის ისტორია გუგენბერგის გამოგონების შემდგომ, გაცილებით უფრო გვიან დაიწყო.

XIX საუკუნის დასასრულს, როდესაც ახალი მიღებული იყო ბერნის კონვენცია, ითვლებოდა, რომ ავტორობა (თანავტორობა) – ეს არის და-

მოუკიდებელი სულიერი შემოქმედება სიგყვის (იგულისხმება ნაწარმოები - ს. ჯ.) შექმნის სფეროში.¹

თანაავტორობაზე, თანაავტორობით შექმნილ ნაწარმოებებზე დავა, როგორც ბერნის კონვენციის მიღების, ასევე მოგვიანებით მასში შესული ცვლილებებისა და დამატებების შემდეგაც მიმდინარეობდა. განსაკუთრებული დავის საგანი ყოველთვის იყო თანაავტორობა სამეცნიერო ნაწარმოებზე, როგორც უფლებათა ბოროტად გამოყენების შესაძლებლობაზე, მაგრამ ამის გამო თანაავტორობა „ანათემას კი არ უნდა გადაეცეთ, არამედ უნდა ვიფიქროთ მის შესაძლო სოციალურ, სამართლებრივ რეგულირებაზე“.²

თანაავტორობა ისეთი კატეგორიაა, რომლის მიმართაც არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იძულება. არ არსებობს იძულებითი, იმპერატიული მითითება,³ რომლის ძალითაც შეიძლება წარმოიშვას თანაავტორობა. თანაავტორობა არის პირთა ნების თავისუფალი გამოვლენა ერთმანეთის მიმართ, რომელიც ორიენტირებულია მათ ერთობლივ ინტელექტუალურ-შემოქმედებით შრომაზე, რათა შეიქმნას ნაწარმოები.

თანაავტორად აღიარება ხორციელდება პირთა შეთანხმების საფუძველზე, მაგრამ საბოლოო შედეგის და არა სამუშაო პროცესის მიხედვით, ამიტომ ტექნიკური, მატერიალური, საკონსულტაციო და სხვაგვარი დახმარება თანაავტორობად არ ჩაითვლება.

რამდენიმე ათეული წლის წინ უკრაინელმა სატირიკოსმა მიკოლა ბილკუნმა გამოაქვეყნა⁴ სტატია - „თანაავტოროები“, სადაც მოთხრობილია არქიმედეს კანონის აღმოჩენაზე თანამედროვეობის თვალთ. არქიმედეს კანონის აღმოჩენაზე პრეტენზია აქვს აბანოს დირექტორს: „რადგან აღმოჩენა მოხდა ჩემს დაქვემდებარებულ დაწესებულებაში, ამიტომ არქიმედეს კანონის გამოქვეყნებისას ჩემი სახელი პირველი უნდა ეწეროსო“; მასაყისგსაც აქვს პრეტენზია მისი სახელის პირველ რიგში დასახელებაზე, რადგანაც მის მიერ გაკეთებულმა მასაყმა მისცა შესაძლებლობა არქიმედეს, მისულიყო ამ შედეგამდე; თავისი უფლებების შესახებ დავობს, აგრეთვე, ძველი მეაბანოე ...არქიმედე იძულებული შეიქნა, ეჩივლა მეფე გიერონთან. მეფემ უპასუხა, რომ თანაავტორობაზე პრეტენზიები სამართლიანია: „...ამასთან ერთად, არ დაივიწყო, თუ ვის ეკუთვნოდა გვირგვინი და ვინ მოგცა თემა სამეცნიერო მუშაობისათვის. მართალია, შენი გვარი „ა“-თი იწყება და ჩემი კი „ბ“-თი, მაგრამ უხერხულია მეფემ ხელი მოაწეროს კანონს მისი ქვეშევრდომის შემდეგ, დასკვნის გამოტანა შენთვის მომინდვია...“.

პირის თანაავტორად აღიარებისათვის არ არის აუცილებელი, რომ იგი მონაწილეობდეს ნაწარმოების შექმნის ყველა ეტაპზე, მან შეიძლება

¹ Дювернуа Н. Л., Чтения по гражданскому праву, С.-Петербургъ, 1898.

² Джорбенадзе С.М., Правовая охрана соавторства в научном творчестве. В кн. «Гражданско-правовая норма и формы ее применения», Тб., 1981.

³ „jus cogens“- იძულების უფლება, მიითითება, რომლითაც ყოველთვის უნდა ვიხელმძღვანელოთ და რომლის შეცვლაც არ შეიძლება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე. Римское право, М., 1989.

⁴ Ж „Наука и жизнь“, № 3, 1977.

მონაწილეობა მიიღოს საწყის, შუა ან დასასრულ საფეხურზე. თანაავტორობისათვის მთავარი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომითი წვლილი და არა ის მომენტი, როდესაც პირი ჩაერთო ნაწარმოების ერთობლივ შემოქმედებით შრომაში.

პირმა შეიძლება შემოქმედებითი მონაწილეობა მიიღოს ნაწარმოების მხოლოდ იდეების, მეთოდების, პროცესების, სისტემების, საშუალებების, კონსტრუქციების, პრინციპების, აღმოჩენების, ფაქტების შექმნასა და ჩამოყალიბებაში, მაგრამ იგი მაინც არ ჩაითვლება თანაავტორად (ან ავტორად) საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად.

მაგალითი:

ფიზიკოსმა ვაგაძემ ფანტასტ-მწერალ ილუმაშილს მოუთხრო ამის შესახებ, თუ რა შესაძლებლობები აქვს ადამიანს მომავალში მეცნიერების ასეთი ტემპით განვითარების შემთხვევაში, ამასთან ერთად, ესაუბრა იმ აუხსნელი მოვლენების შესახებ, რომელნიც ხდება ჩვენს რეალურ ცხოვრებაში, მაგრამ მეცნიერება ჯერჯერობით დამაჯერებელ არგუმენტებს ვერ უპირისპირებს, გარდა ვარაუდისა. ამ მონაცემების საფუძველზე ილუმაშილმა შექმნა მშვენიერი მოთხრობა, რომელიც ბესტსელერად იქცა. ფიზიკოსმა ვაგაძემ მოითხოვა მისი თანაავტორად აღიარება.

მიუხედავად იმისა, რომ ილუმაშილმა დაადასტურა აღნიშნული საუბრის არსებობა, ვაგაძე თანაავტორად მაინც არ ჩაითვლება.

თავის მხრივ, მწერალსაც არ ექნება არავითარი უფლება, მოითხოვოს მომავალში იმ გამოგონებაზე ან მეცნიერულ თეორიაზე თანაავტორობა, რომელიც მის ნაწარმოებში იქნა გადმოცემული. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ წყააქვეუმა ნაეის გამოგონებლად კიულ ვერნი უნდა მიგვეჩნია.

თანაავტორობაზე თანხმობა უმეტეს შემთხვევაში წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ხორციელდება. თუმცა ასეთი შეთანხმება შეიძლება დიალოგის, კამათის დროსაც მოხდეს: „განსიღის პროცესში, კამათისა და კოლეგათა დიალოგის დროს იდეა განიცდის ისეთ დამუშავებას, მოთელვას, რომ ხშირად ძნელი ხდება თვალის დევნება მისი თანდათანობითი ფორმირებისათვის, მისი პირვანდელი სახით გამოვლენა და, აქედან გამომდინარე, იდეის კონკრეტულად იმ პირისადმი მიკუთვნება, რომელმაც პირველად წარმოაჩინა იგი“.

თანაავტორობა შესაძლებელია, აგრეთვე, უკვე არსებული ნაწარმოების გაერთიანებით.

მაგალითი:

მათემატიკოსები ალფიაური და ბეგაძე მუშაობდნენ ცნობილი პრობლემის (თეორემის) ამოხსნაზე, რომლისთვისაც დაწესებული იყო საკმაოდ დიდი ფულადი პრემია. ალფიაური მუშაობდა თეორემის პირობიდან შედეგის მიღების დამტკიცების მეთოდით, ხოლო ბეგაძე პრობლემის ამოხსნას ცდილობდა შედეგიდან პირობის მიღებამდე. მრავალწლიანი

¹ Джорбеналдзе С.М., Правовая охрана соавторства в научном творчестве. В кн. «Гражданско-правовая норма и формы ее применения», Тб., 1981.

მუშაობის შემდეგ ერთმანეთს გაუზიარეს მიღებული შედეგები თეორემის დამტკიცების შესახებ და იმის გამო, რომ პრობლემის სრულყოფილი ამოხსნისათვის აუცილებელი იყო ორივე მეთოდი, გადაწყვიტეს, გაეერთიანებინათ თავიანთი შრომები და გამოექვეყნებინათ თანაავტორობით.

შესაძლებელი იყო, აგრეთვე, შემდეგი ვარიანტი: ორივეს ცალ-ცალკე გამოექვეყნებინა თეორემის დამტკიცება, ხოლო შემდეგ გაეერთიანებინათ ისინი და თანაავტორობით გამოეცათ.

ნაწარმოებზე თანაავტორობის წარმოშობა შესაძლებელია აგრეთვე ახალი გამოცემების დროსაც.

მაგალითი:

ლომაძემ, რომელიც იყო ავტორი ნაწარმოებისა – „საქართველოს ფლორა და ფაუნა“, გამომცემლობას მიმართა თხოვნით, რომ შემდგომი გამოცემებისათვის მასთან ერთად თანაავტორად აღიარებულ იქნეს მუხაძე, იმის გათვალისწინებით, რომ ახალი მასალა, რაც კი დაემატა ძველ გამოცემას, მოპოვებული და დამუშავებულია მუხაძის მიერ.

გამომცემლობა ეალდებულება, დაემორჩილოს ლომაძის თხოვნას, მაგრამ თუ ლომაძეს ასეთი თხოვნით არ მიუმართავს და, თუ შემდგომი გამოცემებისათვის იგი ეოცხალი აღარ იქნება, შესაძლებელია მუხაძის მითითება არა თანაავტორად, არამედ დამატებებისა და გადამუშავების განმხორციელებლად, ცხადია, მემკვიდრის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობის შემთხვევაში. თუმცა შესაძლებელია თანაავტორობის დამუშავებაც, როდესაც საქმე ეხება გარდაცვლილი ავტორების ნაწარმოებთა საბოლოო დამუშავებას, დასრულებას ან დახვეწას. ამის მაგალითია ცნობილი რუსი კომპოზიტორის რ. შჩედრინის მიერ XIX ს-ის ფრანგი კომპოზიტორის ჟ. ბიზეს ნაწარმოების საბოლოო დამუშავება, რომელსაც დაერქვა „კარმენ-სიუიტა“.

ხშირად სადავოა პირის თანაავტორად აღიარება, როდესაც ნაწარმოები არის ლიტერატურული ჩანაწერი ან მოგონება. ასეთი ნაწარმოებები ძირითადად გამოდის იმ პირის სახელით, ვისაც ეკუთვნის მოგონებები, რაც ხშირად არ ასახავს ავტორის წვლილს ნაწარმოების შექმნაში. მაგალითად, მთხრობელი მწერალს უყვება იმ ისტორიული ფაქტების, მოვლენების ან დეტალების შესახებ, რაც მას გადახდა ცხოვრების გარკვეულ პერიოდში, მწერალი კი იღებს რა აღნიშნულს საფუძვლად, აყალიბებს მხატვრულ სახეთა სისტემას, სხვადასხვა მოგონებას უკავშირებს ერთმანეთს და ქმნის სრულყოფილ, ერთიან ნაწარმოებს. ამ შემთხვევაში მსოფლიო სასამართლო პრაქტიკა იქითკენ იხრება, რომ საავტორო უფლებათა მფლობელად მხატვრული ნაწარმოების ავტორს აღიარებს.

მაგალითი:

სარჩიმელიამ გადაწყვიტა, თავისი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, საკუთარი მოგონებებისათვის მიეცა ლიტერატურული ნაწარმოების სახე. იმის გამო, რომ ამას მარტო ვერ მოახერხებდა, გადაწყვიტა, დახმარებისათვის მიემართა ლიტერატორ პასხულიასთვის, რომელიც ლიტერატურულ-მხატვრულ ფორმას მისცემდა მას. სარჩიმელიას მონათხრობის მიხედვით, პასხულიამ დაწერა რომანი და გამოაქვეყნა

თავისი სახელით. სარჩიმელია მოითხოვდა მის აღიარებას თანაავტორად და ჰონორარის ნახევრის მისთვის გადაცემას.

სასამართლომ სარჩიმელიას სარჩელი არ დააკმაყოფილა, გამოძიწნარე იქიდან, რომ მოგონებები არ იყო ლიგერაგურული ფორმით გამოხატული, მოსარჩელეს მონაწილეობა არ მიუღია მოქმედი პირებისა და სახეების შექმნაში და ა. შ., იგი მხოლოდ მისხრობელია გარკვეული ეპიზოდებისა და ფაქტების.

40 წლის წინანდელი ეს სასამართლო დავა (გვარები შეცვლილია ს.ჯ.), დღესაც აქტუალურია, თუმცა ხშირ შემთხვევაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ცნობილ პოლიტიკურ, სამხედრო, ხელოვნებისა და სხვა მოღვაწეთა ნაწარმოებები გამოდის, ლიგერაგორები არავითარ პრეგენზიას ავტორობაზე ან თანაავტორობაზე არ აცხადებენ ხოლმე. ამის მაგალითია 1978 წელს გამოსული ლ. ბრეჯნევის სამი ნაწარმოები: „მცირე მიწა“, „აღორძინება“ და „ყამირი“.

კანონი აწესებს გარკვეულ ვრდადაცის: საავტორო უფლება ნაწარმოებზე ერთობლივად ეკუთვნის თანაავტორებს იმის მიუხედავად, ეს ნაწარმოები წარმოადგენს ერთ განუყოფელ მთლიანობას თუ შედგება ნაწილებისაგან, რომელთაგან თითოეულს დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს.

როგორც ესედავთ, კანონი განსაზღვრავს თანაავტორობის ორ სახეს: განუყოფელ და გაყოფად თანაავტორობას.

განუყოფელი თანაავტორობის დროს ნაწარმოები ერთ განუყოფელ მთლიანობას წარმოადგენს, რომლიდანაც შეუძლებელია მისი ცალკეული ნაწილების გამოყოფა. მაგალითად, ი. ილუისა და ე. პეგროვის რომანები – „12 სკამი“ ან „ოქროს კერპი“ – არის განუყოფელი თანაავტორობით შექმნილი ნაწარმოებები.

განუყოფელი თანაავტორობის დროს ნაწარმოების ავტორთა ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომითი წვლილის ცალ-ცალკე გამოყოფა შეუძლებელია.

განუყოფელი თანაავტორობა შეიძლება არსებობდეს შემდეგ სამ შემთხვევაში:

1. როდესაც ნაწარმოები არ შედგება ნაწილებისაგან, მაგალითად, მოთხრობა, ეპიგრამა;

2. როდესაც ნაწარმოები შედგება ნაწილებისაგან, მაგრამ მათ არა აქვთ დამოუკიდებელი მნიშვნელობა;

3. როდესაც ნაწარმოები შედგება ნაწილებისაგან, თითოეულ მათგანს აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა, მაგრამ ისინი შეიქმნა ყველა თანაავტორის ერთობლივი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომის შედეგად.

გაყოფადი თანაავტორობა წარმოიშობა მაშინ, როცა თანაავტორობით შექმნილი ნაწარმოები არის ერთი მთლიანობა, მაგრამ არა განუყოფელი მთლიანობა. მაგალითად, ლ. ჭანტურიასა და თ. ნინიძის „მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი“ არის გაყოფადი თანაავტორობით შექმნილი ნაწარმოები, რადგანაც წიგნში მითითებულია იმ კონკრეტული მუხლების შესახებ, რომლის კომენტარიც გააკეთეს ავტორებმა და ამ კომენტარის გამოყენება შეიძლება დამოუკიდებლად, ცალკეული საკითხების მიხედვით.

გაყოფადი თანაავტორობის მაგალითია, აგრეთვე, მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები და სხვ.

თანაავტორობით შექმნილი ნაწარმოების ნაწილი ჩაითვლება დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონედ, თუ იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნაწარმოების სხვა ნაწილების გარეშე.

თანაავტორობა ურთიერთობა (აქ ურთიერთობა გაგებული უნდა იყოს როგორც თანაავტორობა შორის ურთიერთობა და არა ნებისმიერი სხვა, მაგ., მთარგმნელთან ურთიერთობა. სიტყვა „შორის“ სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებით, საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ კანონში აღარ ფიგურირებს) შეიძლება განისაზღვროს მათ შორის დადებული ხელშეკრულებით.

კანონმდებლობა ითვალისწინებს თანაავტორობა არა მარტო გარკვეულ უფლებებს, არამედ შეზღუდვებსაც. კერძოდ, არც ერთ თანაავტორს არა აქვს უფლება, აკრძალოს ნაწარმოების გამოყენება საამისოდ საკმაო საფუძვლების არსებობის გარეშე. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის ეს პუნქტი ეხება იმ სიტუაციას, როდესაც განუყოფელი თანაავტორობით (გაყოფადი თანაავტორობის შემთხვევას ამავე მუხლის მეოთხე პუნქტი ეხება) შექმნილი ნაწარმოების ავტორები გარკვეული მიზეზების გამო ვერ თანხმდებიან ერთმანეთში ნაწარმოების გამოყენების შესახებ.

თანაავტორებს შორის ამგვარი დაეა შეიძლება გადაწყდეს სასამართლოს მეშვეობით. სასამართლოს შეუძლია დართოს ნაწარმოების გამოყენების ნება რომელიმე მათგანს, მიუხედავად იმისა, რომ ამის წინააღმდეგია ერთი ან რამდენიმე თანაავტორი, თუ არ არსებობს საკმაო საფუძველი ამ აკრძალვისა.

კანონით დადგენილი არაა „საკმაო საფუძვლების“ კრიტერიუმები, ეს სასამართლოს გადასაწყვეტია.

მაგალითი:

დოლიძემ, გაგუამ, აბაშიძემ, ბარამიძემ და კალანდაძემ მოითხოვეს მათ მიერ შექმნილი ნაწარმოების გამოყენების აკრძალვა იმ მოტივით, რომ ყოველ მათგანს სურდა, პირველად თავისი გვარი ყოფილიყო მოხსენიებული. სასამართლომ გადაწყვიტა გვარების მითითება ანბანის მიხედვით.

თანაავტორობის ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტად დასაშვებია ფსევდონიმის გამოყენება.

მაგალითი:

ახალგაზრდა ფრანგმა მათემატიკოსებმა 1937 წელს დააარსეს ჯგუფი, რომელიც ახორციელებდა სხვადასხვა მათემატიკური თეორიის განხილვას ერთიანი ფორმალური აქსიომატური მეთოდის პოზიციებიდან. ამ ჯგუფის წევრთა რაოდენობა და ვინაობა საიდუმლო იყო; შემადგენლობა პერიოდულად იცვლებოდა, რადგან 50 წელს მიღწეული წიგნი ადგილს უთმობდა უფრო ახალგაზრდას. ამ ჯგუფმა 1939 წელს დაიწყო და დღესაც აგრძელებს მრავალტომეული გრაჟტაგის – „მათემატიკის ელემენტების“ გამოცემას საერთო ფსევდონიმით – ნიკოლა ბურბაკი (Nicolas Bourbaki).

აღსანიშნავია, რომ, რადგანაც ბურბაკის ყოველი ნაწარმოები, მიუხედავად იმისა, რომ არის თანაავგორობით შექმნილი და ამავე დროს არის ფსევდონიმით გამოქვეყნებული, ამიგომ მასზე საავგორო უფლების მოქმედების ვადა განისაზღვრება 70 წლით ამ ნაწარმოების გამოქვეყნების თარიღიდან.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი ანონიმ თანაავგოროს საერთოდ არ მიუთითებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ერთი ან რამდენიმე ავგოროს ანონიმურობის შემთხვევაში ხდება მკითხველის ღებნიფორმაცია, რადგანაც ნაწარმოები შეიძლება ჩაითვალოს არა თანაავგორობით შექმნილად, არამედ ერთი ან რამდენიმე კონკრეტული პირის შექმნილად. მიგვაჩნია, რომ ასეთი რამ არ არის დასაშვები.

მაგალითი:

სააკაძემ და ანანიაშვილმა ერთობლივად დაწერეს წიგნი. ერთმანეთში მოილაპარაკეს, რომ გავრცელების შედეგად მიღებულ თანხას თანაბრად გაინაწილებდნენ, ამასთან, ანანიაშვილმა მოისურვა ანონიმ ავგოროდ დარჩენა. იურისტებთან კონსულტაციების მიღების შემდეგ შეთანხმდნენ, რომ, რადგანაც ანანიაშვილს არ სურდა თავისი ვინაობის გამჟღავნება, წიგნის ავგოროდ მითითებული ყოფილიყო: „სააკაძე და ა“ ან „სააკაძე და K^ბ“.

მგაესი მითითება შეიძლება გაკეთდეს შემოკლების მიზნითაც. 2001 წელს მსოფლიო პარლამენტარობის კვლევითი ცენტრის მიერ გამოიცა „მსოფლიო ქვეყნების სამართლებრივი სისტემები. ცნობარი – ნაწილი I“, რომლის ყდაზე ავგორობად (თანაავგორობად) აღნიშნულია: „ოთარ მელქაძე და მისი გუნდი“. წიგნს პყავს 22 ავგორო (თანაავგორო), წარმოადგენს გაყოფად თანაავგორობით შექმნილ ნაწარმოებს და თანაავგოროთა ვინაობაც ცნობილია (ბოლოში დართული აქვს ბიოგრაფიული მონაცემები მათ შესახებ). ამ შემთხვევაში არ შეიძლება საქმე გექონდეს ანონიმ ავგოროთან, თუმცა წყაროზე მითითების შემთხვევაში, ბ-ნ ო. მელქაძის გარდა, სხვები მაინც ანონიმ ავგორობად ჩაითვლებიან.

ყოველ თანაავგოროს აქვს უფლება, გამოიყენოს ნაწარმოების ის ნაწილი, რომელიც მის მიერ არის შექმნილი და რომელსაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს, თუ მათ შორის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ეს ხორციელდება მხოლოდ გაყოფადი თანაავგორობის დროს. ამ შემთხვევაში არ არის საჭირო თანაავგოროების არც გაფრთხილება, არც მათგან თანხმობის მიღება და სხვ.

თუკი ხელშეკრულებაში ამის ამკრძალავი ან შემზღუდავი ნორმაა გათვალისწინებული, თანაავგოროებმა ხელშეკრულებით უნდა იხელმძღვანელონ. ასეთი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს, მაგალითად, მუსიკალური ნაწარმოების ავგოროსა და გექსტის ავგოროს შორის, რაითა გექსტის ავგორომა არ დადოს ხელშეკრულება სხვა კომპოზიგოროთან ამ გექსტის გამოყენებით ახალი ნაწარმოების შექმნაზე.

სააქციო საზოგადოების დირექტორებისა და სხვა წარმომადგენლების პასუხისმგებლობა

მიდასამოგადოებრივ ურთიერთობებში განსაზღვრული თავისებურებებით ხასიათდება იმ პირთა პასუხისმგებლობა, რომლებიც მმართველობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით სარგებლობენ. მხედველობაშია დირექტორების ურთიერთობა სამეთვალყურეო საბჭოსთან და საზოგადოების საერთო კრებასთან. დირექტორები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოების საქმეებს კეთილსინდისიერად უნდა გაუძღვნენ, კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მათი ამგვარი ქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისთვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, მაშინ წარმოშობილი ზიანისათვის საზოგადოების წინაშე სოლიდარულად აგებენ პასუხს. ამასთან ერთად, ბრალეულობის მტკიცების გვირგვინი ამ პირებზე გადადის, ამიტომ მათ უნდა დაამტკიცონ, რომ არ დაურღვევიათ კანონითა და წესდებით გათვალისწინებული მოვალეობანი და დამდგარ შედეგში მათ ბრალი არ მიუძღვით. მეწარმეთა შესახებ კანონის 56-ე მუხლში აღნიშნულია, რომ „დირექტორებმა კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ უნდა შეასრულონ დაკისრებული ამოცანები. თუ დირექტორი არ შეასრულებს თავის მოვალეობას, ვალდებულია აანაზღაუროს საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანი. დირექტორები კი პასუხს აგებენ სოლიდარულად“.

კანონის ეს მოთხოვნა დასაზუსტებელია იმის გათვალისწინებით, ჰქონდა თუ არა დირექტორს ერთპიროვნულად მართვის უფლებამოსილება და, აქედან გამომდინარე, მესამე პირებთან ერთპიროვნული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. სხვა დირექტორებისაგან განსხვავებით, თუ მხოლოდ ის იყო ერთპიროვნული წარმომადგენელი, მაშინ საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება მხოლოდ მას უნდა დაეკისროს. სოლიდარული იქნება პასუხისმგებლობა მხოლოდ მაშინ, თუ დირექტორები ერთობლივად მოქმედებენ. მაგალითად, ორი ან სამი დირექტორი ერთობლივად ხელმძღვანელობს საზოგადოებას და ერთობლივად აწერს ხელს იმ ხელშეკრულებას, რომელიც საზოგადოების სახელით იდება მესამე პირებთან. სოლიდარული უნდა იყოს პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე მაშინაც, როცა რომელიმე დირექტორი სხვა პირთან,

კერძოდ პროკურისგთან, ერთად მოქმედებს წარმომადგენლობით ურთიერთობებში. ამ დროს დირექტორისა და პროკურისგის პასუხისმგებლობა იგულისხმება. შეიძლება დირექტორებს მაშინაც მოუწიოთ სოლიდარული პასუხისმგებლობა, როცა ყველანი ერთნაირად არიან აღჭურვილი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით, მაგრამ ერთ რომელიმე დირექტორს ავალებენ სხვები ამა თუ იმ სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობას. როცა რამდენიმე პირს ევალება ვალდებულება შესრულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში – ეს სოლიდარული ვალდებულებაა. ამ დროს სააქციო საზოგადოებას შეუძლია, თავისი სურვილისამებრ მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოსთხოვოს ნებისმიერ დირექტორს როგორც მთლიანად, ისე ნაწილობრივ. ვალდებულების მთლიანად შესრულებამდე დანარჩენი დირექტორების ვალდებულება ძალაში რჩება. ერთ-ერთი დირექტორის მიერ ზიანის ანაზღაურების მთლიანად შესრულება დანარჩენ დირექტორებს ათავისუფლებს ვალდებულების შესრულებისაგან. ასეთ დროს დირექტორს, რომელმაც მთლიანად აანაზღაურა საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანი, სხვა დირექტორების მიმართ წარმოეშობა უკუმოთხოვნის უფლება. სააქციო საზოგადოებას არ შეუძლია, უარი თქვას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე. ამიგომ ბათილად ითილება საზოგადოების კომპრომისი, თუ ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად.

დირექტორი საზოგადოების წინაშე პასუხს აგებს კონკურენციის აკრძალვის წესების დარღვევისათვის. თუ დირექტორი იმავე საქმიანობას მისდევს, რასაც საზოგადოება და ამის შესახებ სასაზე არ არის სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა, იგი ვალდებულია, უკან დააბრუნოს ამ საქმიანობით მიღებული სიკეთე, დათმოს გასამრჯელოს მიღების მოთხოვნები და აანაზღაუროს საზოგადოებისათვის ამით მიყენებული ზიანი. ისეთ შემთხვევებში, როცა საკითხი ეხება დირექტორთა მიერ თავიანთი მოვალეობების არაკეთილსინდისიერად შესრულებას, მათთან ურთიერთობაში საზოგადოების სახელით სამეთვალყურეო საბჭოს წევრებიც შედიან. მეწარმეთა შესახებ კანონის 55-ე მუხლში აღნიშნულია, რომ სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია, დირექტორებთან გარიგებების შესრულებისას წარმოადგინოს საზოგადოება, აგრეთვე საერთო კრების გადაწყვეტილებით, საზოგადოების სახელით მათ წინააღმდეგ წარმართოს სამართლებრივი დავა. სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია, თუ საკითხი შეეხება მისი წევრის პასუხისმგებლობას, აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების გარეშე დირექტორების წინააღმდეგ შეიგანოს სარჩელი. მაგრამ, როცა საკითხი ეხება სამეთვალყურეო საბჭოს დირექტორების წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობას, საზოგადოების საერთო კრება იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას და თვითონვე ნიშნავს ამ პროცესისათვის თავის წარმომადგენელს.

გარკვეული თავისებურებებია დამახასიათებელი სააქციო საზოგადოების ურთიერთობებისათვის პროკურისგთან, სავაჭრო მინდობილობის მქონე პირთან, სავაჭრო წარმომადგენელთან და კომისიონერთან. მათი

ურთიერთობა არ თავსდება მარტო საგარეო ან შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობათა ფარგლებში. მაგალითად, როცა პროვიზიის გატარებას ეხება საკითხი, მაშინ შიდასაზოგადოებრივი ურთიერთობაა სახეზე. მაგრამ, როცა პროკურისტი მინდობილობის გარეშე დებს ხელშეკრულებას შესაბამე პირებთან, კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობისას მან შეიძლება დღის წესრიგში დააყენოს პროკურისტიკის პასუხისმგებლობა იმ მიზნისათვის, რომელიც პროკურისტიკის სამართლებრივად უსაფუძვლო მოქმედებამ გამოიწვია. კომისიონერი, მართალია, სააქციო საზოგადოების ისეთი წარმომადგენელი არ არის, როგორც პროკურისტი ან სავაჭრო წარმომადგენელი, მაგრამ მისი ურთიერთობა საზოგადოებასთან განსაზღვრულ ვალდებულებებთან არის დაკავშირებული და მათი შეუსრულებლობა საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის საფუძველი ხდება. ასევე ეკისრება საზოგადოებას, რეგულარულად უხადოს კომისიონერს საკომისიო საზღაური.

სავაჭრო წარმომადგენელი და კომისიონერი ვალდებული არიან, საზოგადოებას შეთანხმებულ ვადებში წარუდგინონ ანგარიშები შესრულებული სამუშაოს, აგრეთვე პროვიზიისა და კომისიის ოდენობის შესახებ. მათ საზოგადოებას ასევე უნდა მოსთხოვონ სათავედებო პროვიზია. პროვიზიისა და კომისიის მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობა საზოგადოების ქონებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია. თავის მხრივ, სავაჭრო წარმომადგენელსა და კომისიონერს, საზოგადოების თანხმობის გარეშე, არა აქვთ უფლება, სხვაგვარად იმოქმედონ, ან მონაწილეობა მიიღონ კონკურენციულ საქმიანობაში. თუ ეს ვალდებულება დაირღვევა, სააქციო საზოგადოებას უფლება აქვს, სავაჭრო წარმომადგენელს ან კომისიონერს მოსთხოვოს მიანის ანაზღაურება. გარდა ამისა, საზოგადოებას უფლება აქვს, სავაჭრო წარმომადგენელს ან კომისიონერს წაუყენოს მოთხოვნა, რომ კონკურენტ საწარმოსთან დადებული გარიგებები გადასცეს სააქციო საზოგადოებას, აგრეთვე უკან დააბრუნოს ამ გარიგებიდან მიღებული სარგებელი, ან საერთოდ არ მოითხოვოს იგი.

სააქციო საზოგადოებასა და მის წარმომადგენლებს შორის თუ არ არსებობს საკონკურენტო საქმიანობის აკრძალვის შეთანხმება სახელშეკრულებო ურთიერთობის დამთავრების შემდეგაც, აკრძალვას მხოლოდ მაშინ ექნება ძალა, თუ საზოგადოება ამისათვის იხდის კომპენსაციას. ასეთი შეთანხმება დაიშვება მხოლოდ ერთი წლის ვადით. სავაჭრო წარმომადგენელს შეუძლია, სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ სააქციო საზოგადოებას მოსთხოვოს შესაბამისი კომპენსაცია – თუ სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ სხვა საზოგადოებას მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს იმ ახალ კლიენტებთან საქმიან კავშირში, რომლებიც მოიზიდა სავაჭრო წარმომადგენელმა. სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის გამო სავაჭრო წარმომადგენელი კარგავს იმ პროვიზიის მოთხოვნის უფლებას, რომელიც ექნებოდა მის მიერ მოზიდულ კლიენტთან უკვე დადებული ან მომავალში გასაფორმებული გარიგების გაგრძელებისას. ახალი კლიენტის მოზიდვას უთანაბრდება სავაჭრო წარმომადგენლის მიერ კლიენტთან საქმიანი კავშირის

ისე გაფართოება, რომ იგი ეკონომიკური თვალსაზრისით დიდად მომგებიანი იყოს. კომპენსაცია არ უნდა აღემატებოდეს საევაჭრო წარმომადგენლის მიერ უკანასკნელი ხუთი წლის საქმიანობისას გამოანგარიშებული წლიური პროიზიის ან სხვა წლიური გასამრჯელოს საშუალო ოდენობას, უფრო ხანმოკლე სახელშეკრულებო ურთიერთობისას საშუალო გამოანგარიშება მთელი საქმიანობის ხანგრძლივობიდან. დაუშვებელია კომპენსაციის მოთხოვნაზე უარი ან წინასწარი დაკმაყოფილება ხელშეკრულების შეწყვეტამდე. კომპენსაციის მოთხოვნის უფლება არ არსებობს, თუ: 1. საევაჭრო წარმომადგენელმა მოშალა ხელშეკრულება, იმ შემთხვევის გარდა, როცა ამისათვის საბაზი მისცა საწარმოს მოქმედებამ ან საევაჭრო წარმომადგენლის მიერ თავისი საქმიანობის გაგრძელება ასაკის ან აჯადმყოფობის გამო შეუძლებელია; 2. სხვა საწარმომ შეწყვიტა სახელშეკრულებო ურთიერთობა და ამის მნიშვნელოვან საფუძველს შეადგენს საევაჭრო წარმომადგენლის ბრალეული მოქმედება; 3. საწარმოსა და საევაჭრო წარმომადგენელს შორის შეთანხმების საფუძველზე საევაჭრო წარმომადგენლის ნაცელად სახელშეკრულებო ურთიერთობებში შედის მესამე პირი. ასეთ შემთხვევაში შეთანხმება არ შეიძლება დაიდოს სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტამდე. კომპენსაციის მოთხოვნის უფლება გამოყენებულ უნდა იქნეს ხელშეკრულების შეწყვეტიდან ერთი წლის ვადაში.

პროკურისგისა და საევაჭრო წარმომადგენლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება სააქციო საზოგადოების მიერ გაცემული რწმუნების ფარგლებში უნდა ხორციელდებოდეს. მინდობილობაში გამოხატული რწმუნების ფარგლები ამ შემთხვევაში მთავარია. ამიგომ, როცა ხდება უფლებამოსილებაში ცვლილებების შეტანა ან მისი გაუქმება, ამის შესახებ უნდა ეცნობოს მესამე პირებს. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობისას ეს ცვლილებები და უფლებამოსილების საერთოდ გაუქმება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მესამე პირთა მიერ, იმ შემთხვევის გარდა, როცა მხარეებმა ხელშეკრულების დადებისას ამის შესახებ იცოდნენ, ანდა უნდა სცოდნოდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოებას დაეკისრება შესაბამისი პასუხისმგებლობა. სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილია წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველები. მათ მიეკუთვნება: 1. იმ ვადის გასვლა, რა ვადითაც გაიყა უფლებამოსილება; 2. უფლებამოსილი პირის უარი; 3. უფლებამოსილების გამცემი პირის მიერ უფლებამოსილების გაუქმება; 4. უფლებამოსილების გამცემი პირის გარდაცვალება ან მისი ქმედუენარობის დადგომა, თუკი შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული; 5. შესრულება. უფლებამოსილების გაქარწყლების შემდეგ წარმომადგენელმა უფლებამოსილების საბუთი უნდა დაუბრუნოს უფლებამოსილების გამცემს. საბუთის დატოვების უფლება მას არა აქვს. ამას შეიძლება მოჰყვეს ყოფილი წარმომადგენლის მიერ რწმუნების გარეშე ამა თუ იმ მოქმედების შესრულება. ასეთ შემთხვევებში საკითხი უნდა გადაწყდეს შემდეგნაირად: თუ პირი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე სხვისი სახელით დებს ხელშეკრულებას, ამ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია წარმოდგენილი პირის თანხმობაზე. ხელშეკრულების მეორე მხარე, თუ წარმოდგენილი პირისა-

გან ითხოვს თანხმობას, მაშინ ამის შესახებ უნდა ეცნობოს მხოლოდ მას. თანხმობა შეიძლება გაიცეს მოთხოვნიდან ორი კვირის ვადაში. ამ ხნის განმავლობაში თანხმობის მიუღებლობა ნიშნავს იმას, რომ მოთხოვნა უარყოფილია. თუ თანხმობა არ არის სახეზე, მაშინ ხელშეკრულებაც არ უნდა ჩაითვალოს სამართლებრივად გამართულად, აქედან გამომდინარე შედეგებით პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს სააქციო საზოგადოებას ან მის წარმომადგენლებს იმის მიხედვით, თუ რა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლი ვისი ბრალითაა გამოწვეული. მესამე პირი ასეთ შემთხვევაში შედარებით უენებელია. ერთია მხოლოდ, ხელშეკრულების დასადავად თანხმობის მიცემაზე მესამე პირს უფლება აქვს, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, იმ შემთხვევის გარდა, როცა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ მან ხელშეკრულების დადების დროს იცოდა. ხელშეკრულების დადებაზე უარი პროკურისტის ან სავაჭრო წარმომადგენლის მიმართაც შეიძლება გამოითქვას. თუ პროკურისტი ან სავაჭრო წარმომადგენელი დებს ხელშეკრულებას და თავის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ვერ ადასტურებს, ვალდებულია, მესამე პირის სურვილით ან შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება, ან აანაზღაუროს ზიანი, თუკი წარმოდგენილი პირი – სააქციო საზოგადოება ხელშეკრულებაზე თანხმობის მიცემას უარყოფს. იმ შემთხვევაში, თუკი პროკურისტმა ან სავაჭრო წარმომადგენელმა არ იცოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ, იგი ვალდებულია, აანაზღაუროს მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მესამე პირს უფლებამოსილების ნდობის გამო დაემართა.

თუ ხელშეკრულების დადებისას პროკურისტი ან სავაჭრო წარმომადგენელი არ მიუთითებს თავის წარმომადგენლობით უფლებამოსილებაზე, მაშინ ხელშეკრულება უფლებებსა და მოვალეობებს წარმოშობს საზოგადოებისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ხელშეკრულების მეორე მხარეს – საზოგადოების კონტრაგენტს უნდა ევარაუდა წარმომადგენლის შესახებ. სააქციო საზოგადოების წარმომადგენელი პასუხს არ აგებს, თუ მესამე პირმა იცოდა, ან მას უნდა სცოდნოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების შესახებ. ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა დაეკისრება სააქციო საზოგადოების კონტრაგენტს. სააქციო საზოგადოების წარმომადგენელი პასუხს არ აგებს მაშინაც, როცა ქმედუნარიანობა შეზღუდული ქქონდა, მაგრამ იგი მოქმედებდა თავისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და ღირექტორს შორის საქართველოში ურთიერთობის წარმოშობა და დასრულება

(შეღარებითი ანალიზი გერმანულ საპართალთან)

1. ქართული სამეწარმეო სამართლის მიხედვით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში (შპს) ხელმძღვანელობის უფლება აქვს საზოგადოების ღირექტორს, რომელიც ასევე წარმოადგენს საზოგადოებას მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობაში¹. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებათა შესახებ გერმანული სამართალიც საზოგადოების საქმეების გაძღოლისა და სასამართლო თუ სასამართლოსგარეშე ურთიერთობაში წარმომადგენლობის უფლებას ანიჭებს ღირექტორს, ანუ „საქმეების გაძღოლს“ (Geschäftsführer)². ქართული სამართლის მიხედვით, სააქციო საზოგადოებაშიც საზოგადოების საქმეების გაძღოლისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილება გააჩნია ღირექტორს³. ოღნავ განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს გერმანულ სააქციო საზოგადოებაში, სადაც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებით აღჭურვილია გამგეობა (Vorstand)⁴. თუმცა აღნიშნული გამგეობა სხვა არაფერია, თუ არა „კოლექტიური ღირექტორი“, რომელიც შეიძლება ერთი კაცისგანაც კი შედგებოდეს⁵.

ღირექტორი ქმედუნარიანობას ანიჭებს თავად შპს-ს. ახალშექმნილი საზოგადოება ვერ იქნება რეესტრში რეგისტრირებული, თუკი ამის შესახებ განაცხადი არ წარადგინა ღირექტორმა.

2. შპს-ის მიერ ღირექტორთან სამართლებრივი ურთიერთობა მყარდება ორი სამართლებრივი აქტის საფუძველზე: დანიშვნის აქტით და შრომის (სასამსახურო) ხელშეკრულებით. ხოლო თავად სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისათვის საკმარისია მხოლოდ დანიშვნის აქტის გამოცემა. შრომის (სასამსახურო) ხელშეკრულება ღირექტორთან შეიძლება ასევე დაიდოს დანიშვნის აქტთან ერთად, თუმცა მისი არარსებობა

¹ მფკ, მუხლები 9,1; 9,4; 49,1 და 56,1.

² GmbHG, № 35 I.

³ მფკ, მუხლები 9,1 და 56.

⁴ AktG, № № 76-78.

⁵ AktG, № 76. II.

ვერ შეაფერხებს შპს-სა და ღირექტორს შორის უკვე წარმომოხილ ურთიერთობას. შრომის (სასამსახურო) ხელშეკრულების დადების ერთადერთი მიზანია, სრულყოფილად მოაწესრიგოს უკვე არსებული სამართლებრივი ურთიერთობის კონკრეტული საკითხები.

ამრიგად, შრომის (სასამსახურო) ხელშეკრულება იდება მხოლოდ დანიშნულ ღირექტორთან, ანუ პირთან, რომელმაც ასეთი სამართლებრივი სტატუსი დანიშვნის შედეგად შეიძინა. თუკი ხელშეკრულება დაიდო პირთან, რომელიც თავიდანვე არ იყო დანიშნული ღირექტორად, მაშინ ასეთი ხელშეკრულება წარმოადგენს არარა გარიგებას, რომელიც ვერ წარმომოხსნის რაიმე სამართლებრივ შედეგებს.

3. შპს-ში ღირექტორის დანიშვნის აქტი (Bestellungsakt) ძირითადად გამოიყენება პარტნიორთა გადაწყვეტილებით¹. თუ შპს-ში შექმნილია სამეთვალყურეო საბჭო, მაშინ დანიშვნის აქტის გამოცემის წყარო ეს ორგანოა². დანიშვნის აქტი მიიღება პარტნიორთა კრებაზე და ფორმდება პარტნიორთა კრების ოქმით. გერმანული სამართალი უშეებს იმის შესაძლებლობასაც, რომ ღირექტორი წესდებითაც იქნეს დანიშნული. დანიშვნის აქტში მიეთითება, რომ ესა თუ ის პიროვნება ინიშნება კონკრეტული შპსის ღირექტორად. დანიშვნის აქტი არის სწორედ ის აუცილებელი ღოკუ მენტი, რომელიც რევისტრაციისათვის მარევისტრირებულ სასამართლოს უნდა წარედგინოს³. დანიშვნის აქტი ძალმოსილებას იძენს მას შემდეგ, რაც ღირექტორი დაეთანხმება მას⁴. ღირექტორის თანხმობა გამოიხატება სასამართლოში წარდგენილი განცხადებით შპს-ის რევისტრაციის შესახებ, რომელსაც ხელს აწერს თავად ღირექტორი და რომელშიც მითითებულია მონაცემები ღირექტორის შესახებ⁵.

პარტნიორის (პარტნიორების) მიერ ღირექტორის დანიშვნა (Bestellung) არ განიხილება ვალდებულებითსამართლებრივ ჭრილში. შესაბამისად, დანიშვნის აქტი არ არის ხელშეკრულება. იგი ცალმხრივად ასახავს პარტნიორის (პარტნიორების) ნებას, მიანიჭოს კონკრეტულ პიროვნებას ღირექტორის უფლებამოსილება. გერმანულ ლიტერატურაში ღირექტორის დანიშვნის აქტს განიხილავენ, ერთი მხრივ, როგორც სამეწარმეოსამართლებრივ ქმედებად⁶, ხოლო მეორე მხრივ, — „კორპორაციულ აქტად“ (Körperschaftlicher Akt)⁷. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში დანიშვნის აქტს „საკორპორაციოსამართლებრივ აქტად“ მოიხსენიებენ⁸.

დანიშვნის აქტით დანიშნული ღირექტორის თანამდებობას სხვაგვარად „ორგანულ (ან ორგანოსმხრივ) თანამდებობას“ (Organstellung) უწოდებ

¹ მეწკა, მუხლები: 47, „პ“; GmbHG, § 46, პუნქტი 5.

² მეწკა, მუხლები: 48 და 55, „ვ“.

³ შდრ.: მეწკა, მუხლი 5,5 „პ“; GmbHG, §8, პუნქტი 2.

⁴ შდრ., აგრეთვე, ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მე-3 გამოცემა, თბ., 2002, მუხლი 56 გვ. 423.

⁵ მეწკა, მუხლები: 5,2 და 5,4,3 „გ“.

⁶ Sudhoff, Der Gesellschaftsvertrag der GmbH, §8. Aufl. 1992, გვ. 227.

⁷ Baumbach/Hueck, GmbH-Gesetz, 15. Aufl., 1988, 6, Rdn 13, გვ. 126.

⁸ ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, იქვე, მუხლი 47, გვ. 303.

ბენ. დანიშენის აქტით ღირექტორი ორგანულად მიბმული ხდება დანიშენელ ორგანოზე (ანუ პარტნიორთა კრებაზე). გარდა ამისა, დანიშენის აქტით ღირექტორი თავად იქცევა შპს-ის ორგანოდ, კერძოდ მის ხელმძღვანელ და წარმომადგენლობით ორგანოდ. ლიგერაგურაში ღირექტორის (ღირექტორატის) აღმასრულებელ ორგანოსაც უწოდებენ¹. ღირექტორის ორგანული თანამდებობა აფუძნებს მხოლოდ საეციფიკურ ორგანულ უფლებებსა და მოვალეობებს, აგრეთვე წარმომადგენლობით ძალაუფლებას (Vertretungsmacht).

დანიშენის აქტით, ღირექტორსა და შპს-ს შორის წარმომოხილი სამართლებრივი ურთიერთობა მაინც არასრულყოფილია. კერძოდ, ამ აქტით არ ხდება ღირექტორისათვის გასამრჯელოს დანიშენა, და შესაბამისად – არც მისი სიდიდის განსაზღვრა. დანიშენის აქტი მხოლოდ ამა თუ იმ პიროვნების ღირექტორის თანამდებობაზე გამწესებაზე საუბრობს. გარდა ამისა, დანიშენის აქტი არაფერს ამბობს არც ღირექტორის მიერ შესასრულებელი ვალდებულებების მოცულობაზე და არც საზოგადოების საპასუხო შესრულებაზე ღირექტორის მიმართ, კერძოდ, მისი განსაზღვრული სოციალური ინტერესების დაყვამზე, გაწეული ხარჯების ანაზღაურებაზე და სხვ². ყველა ეს საკითხი კონკრეტულად უნდა მოწესრიგდეს შრომის (სასამსახურო) ხელშეკრულებით.

4. პარტნიორთა კრების მიერ ღირექტორის დანიშენა უნდა განეხილოს ერთ შრომის სამართალში არსებული ისეთი ურთიერთობისაგან, როგორცაა: „სამუშაოზე მიღება“, „სამუშაოზე აყვანა“, ანუ სხეგვარად, „დაქირაება“. ამიგომ აქ ცალსახად უნდა ითქვას, რომ ღირექტორის დანიშენით არ ხდება შპს-ის მიერ მისი მუშაკად „დაქირაება“. ღირექტორის დანიშენის შედეგად წარმომოხილი ურთიერთობა ერთგვარად სცილდება არა მხოლოდ სამოქალაქო სამართლით მოწესრიგებულ სახელშეკრულებო ურთიერთობას, არამედ, აგრეთვე, ქართული შრომის სამართლით მოწესრიგებულ შრომითსახელშეკრულებო ურთიერთობას.

გერმანული სამართლის მიხედვით, პირის სამუშაოზე აყვანას, ანუ მის მუშაკად „დაქირაებას“ (Anstellung), საფუძვლად უდევს „დაქირაების ხელშეკრულება“ (Anstellungsvertrag)³. როგორც უკვე აღენიშნე, დანიშენა ღირექტორს აქცევს შპს-ის ორგანოდ და მის კანონიერ წარმომადგენლად. ამ დროს ისეთივე წარმომადგენლობითი ურთიერთობა არსებობს, როგორც ეს რწმუნებულის შემთხვევაში გვხვდება. ამის საპირისპიროდ, „დაქირაება“ (Anstellung) შეეხება სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარებას ღირექტორსა და შპს-ს, ანუ საკუთრივ ღირექტორის ხელშეკრულებას შორის⁴.

„დაქირაების ხელშეკრულების“ დადება იმდენადაა საინტერესო ღირექტორისათვის, რამდენადაც მასში ღეტალურად განისაზღვრება საზო-

¹ ლ. ჰანტურია, თ. ნინიძე, იქვე, მუსლი 9, გვ. 119.

² უფრო დაწერილებით ამის შესახებ, Baumbach/Hueck, GmbH-Gesetz, §35. Rdn. 7ff., გვ. 441-442.

³ Sudhoff, Der Gesellschaftsvertrag der GmbH, გვ. 227.

⁴ Sudhoff, იქვე; Baumbach/Hueck, GmbH-Gesetz, §6, IV., გვ. 126-129.

გაღობასთან მისი კონკრეტული ურთიერთობის საკითხები, როგორცაა: საქმიანობის სახე, სამუშაო დრო, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, ხელშეკრულების ხანგრძლივობა, ხელფასი, ხარჯების ანაზღაურება (მათ შორის მიეღწევისა და სხვა ხარჯებისა), სამსახურებრივი ბინითა და სამსახურებრივი ავტომანქანით სარგებლობა, შვებულება და სხვ¹. ამის საპირისპიროდ, დანიშნვის აქტი მხოლოდ დირექტორის თანამდებობაზე დანიშნვის ინფორმაციას შეიცავს. სხვა ყველა შემთხვევაში ჩამოთვლილი საკითხი კი ღიად არის დარჩენილი.

გერმანული იურიდიული მეცნიერება დღესაც არ არის ერთიანი იმავით, წარმოადგენს თუ არა დირექტორის დაქირავება შრომითსამართლებრივ ურთიერთობას. მაგალითად, მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ დირექტორის ხელშეკრულებისათვის გამოიყენება შრომის სამართლის ნორმები, ანუ დირექტორის ხელშეკრულებას განიხილავენ როგორც შრომის ხელშეკრულებას (Arbeitsvertrag). თუმცა აქვე მიუთითებენ, რომ, დირექტორის ფუნქციიდან გამომდინარე, სრულყოფილად მაინც არ ხდება ამ ხელშეკრულების მიმართ შრომის სამართლის გამოყენება².

მეცნიერთა მეორე ნაწილის მიერ გამოთქმული მოსაზრების თანახმად, დაქირავების სახელშეკრულებო ურთიერთობა დანიშნულ დირექტორსა და შპს-ს შორის ემსგავსება, ერთ შემთხვევაში, განსაზღვრული სამუშაოს შესრულების ან სამსახურის გაწევის ხელშეკრულებას (Dienstvertrag), თუკი დირექტორი იღებს ვასამრჯელოს თავისი ამ საქმიანობისათვის³. ასეთი ურთიერთობების დროს შემსრულებელს დაეალებული აქვს გარკვეული საქმეებისათვის ზრუნვა (Geschäftsbesorgung). ამიტომ არის, რომ გერმანული სამოქალაქო სამართალი სამსახურის გაწევის ხელშეკრულებას განსაზღვრული საქმეებისათვის ზრუნვის ხელშეკრულებას (Geschäftsbesorgungsvertrag) უწოდებს. შესაბამისად, მითითება ხდება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (BGB) §611-სა და შემდგომ მუხლებზე, რომლებიც აწესრიგებენ სწორედ სამსახურის გაწევის სამართლებრივ ურთიერთობებს, აგრეთვე §675-ზე, რომელიც აწესრიგებს საქმეების სასყიდლიან ზრუნვასთან (entgeltliche Geschäftsbesorgung) დაკავშირებულ ურთიერთობებს;

მეორე შემთხვევაში, შპს-სა და დირექტორს შორის ურთიერთობას ამსგავსებენ დავალების (Auftrag) სამართლებრივ ურთიერთობას, თუკი დირექტორი უსასყიდლოდ ასრულებს თავის სამუშაოს⁴. ამ დროს მითითება ხდება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (BGB) §662-სა და შემდგომ მუხლებზე. დავალების არსი კი ისაა, რომ დირექტორი ახორციელებს ისეთ მინდობილ მოქმედებას, როგორცაა საზოგადოების ხელმძღვანელობა (მართვა). დავალებაზე დაფუძნებული ურთიერთობა, თავის მხრივ, ემყარება წარმომადგენლობით თეორიას, რომელიც იურიდიულ პირსა და

¹ Sudhoff, იქვე: გვ. 227.

² Klunzinger, Grundzüge des Gesellschaftsrechts, 3. Auflage, 1984, გვ. იქვე. 210.

³ Sudhoff, იქვე: გვ. 227.

⁴ შტრ. Sudhoff, Der Gesellschaftsvertrag der GmbH. გვ. 227.

მის წარმომადგენელ კონკრეტულ ფიზიკურ პირს შორის სამანდატო ურთიერთობებზეა აგებული¹. თავის მხრივ, მინიჭებული მანდატი განსაზღვრავს წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლებსა და შინაარსს;

მესამე შემთხვევაში ამ ურთიერთობას განიხილავენ როგორც ნარდობის ხელშეკრულებიდან (Werkvertrag) წარმოშობილ ურთიერთობას და ასევე აფუძნებენ მას გერმანული სამოქალაქო კოდექსის (BGB) §611-სა და შემდგომ მუხლებზე, ასევე დამატებით §631-სა და შემდგომ მუხლებზე. ამ მუხლების თანახმად კი, ის პირი, ვინც სამუშაოს შესრულების ან სამსახურის გაწევის ხელშეკრულების დროს თანხმობა განაცხადა სამუშაოს შესრულებაზე ან სამსახურის გაწევაზე (Dienste zusagt), ეალღებულება, შეასრულოს (გასწიოს) შეპირებული სამუშაო (სამსახური), ხოლო სამსახურის მიმღები ეალღებულება, გადაუხადოს მას გასამრჯელო². ანალოგიური წესებია დადგენილი ნარდობის ხელშეკრულებისას³.

სამსახურის გაწევის ხელშეკრულება, ანუ Dienstvertrag-ი, თავის მხრივ, განიხილება როგორც შრომის ხელშეკრულების ერთ-ერთი სახე, თუმცა გერმანული ლიგერატურა მაინც არ იყენებს ღირექტორის ამ ხელშეკრულების მიმართ ტერმინს – „შრომის ხელშეკრულება“. გერმანული იურიდიული ლიგერატურა Dienstvertrag-ს განიხილავს ურთიერთმხრივ ხელშეკრულებად და განმარტავს მას როგორც „შეპირებული სამსახურის გაწევის (Leistung der versprochenen Dienste) ხელშეკრულებას“⁴. სამეწარმეო საზოგადოებაში, მათ შორის შპს-ში ღირექტორს ეეისრება ერთადერთი განსაზღვრული სამუშაოს შესრულება, ანუ სამსახურის გაწევა, როგორცაა საზოგადოების ხელმძღვანელობა (მართვა). შესაბამისად, იგი სრულიად სხვა სახის ხელშეკრულებაა, ვიდრე შრომის ხელშეკრულება.

5. ქართული სამართლის მიხედვით, შპს-ში დანიშნულ ღირექტორთან შეიძლება დაიდოს შრომის ხელშეკრულება⁵. სამეწარმეო სამართალში მითითებული ეს ნორმა ეწინააღმდეგება თავად შრომის სამართალს. ეს წინააღმდეგობა ეფუძნება სამეწარმეო და შრომის სამართლის არსსა და ფილოსოფიას. XX საუკუნის 90-იან წლებში შექმნილი სამეწარმეო სამართალი თანამედროვე დარგია, რომელიც, აგრეთვე, აწესრიგებს თავად სამეწარმეო საზოგადოებასა და მის ღირექტორს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს. ამის საპირისპიროდ, ქართული შრომის სამართალი, რომელიც შეიქმნა ჯერ კიდევ „განვიითარებული სოციალიზმის“ ეპოქაში⁶, დღეს უკვე თანამედროვე ქართულ სამართალში ერთ-ერთ ანაქრონისტულ დარგად მიიჩნევა. დღესაც საკამათოდ არის გამხდარი საკითხი იმის შესახებ, თუ სად უნდა მიეჩინოს ადგილი შრომის სამართალს: დარჩეს

¹ შტრ. ლალო ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997, გვ. 239.

² BGB, §611 ff.

³ BGB, §631 ff.: სამკო, მუხლი 629 და ა.შ.

⁴ Griefelds, Rechtsörterbuch, 13. Aufl. 1996, gv. 295.

⁵ მეწკა, მუხლი 47,3 „პ“.

⁶ საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი ამოქმედდა 1973 წ. 1 ოქტომბრიდან.

ისევ სამართლის დამოუკიდებელ დარგად, თუ მოხდეს მისი ინტეგრაცია სამოქალაქო კოდექსში.

შრომის ქართულ სამართალში არსებული ურთიერთობა აგებულია „ადმინისტრაცია – მუშაკის“ ვერტიკალურ სამართლებრივ ურთიერთობაზე და არა დამსაქმებელ-დასაქმებულის“ თანაბარუფლებიან კორიპორაციულ ურთიერთობაზე. გარდა ამისა, შრომის ხელშეკრულების მხარეებად, ქართული შრომის სამართლის მიხედვით, გამოდიან, ერთი მხრივ, თვითონ დირექტორი (ადმინისტრაციის სახით) და, მეორე მხრივ, დაქირავებული მუშაკი. ხოლო ხელშეკრულების საგანია მუშაკის მიერ საზოგადოებაში განსაზღვრული სამუშაოს შესრულება მისი სპეციალობის, კვალიფიკაციისა და თანამდებობის გათვალისწინებით¹. ხოლო შპს-ის მიერ დირექტორის დაქირავების ხელშეკრულების მხარეებად გამოდიან თვით შპს და დირექტორი, სადაც შპს არ წარმოადგენს „ადმინისტრაციას“. ამ სტატუსით მოგვიანებით აღიჭურვება თავად დირექტორი, როგორც შპს-ის ორგანო, ოღონდ მის მიერ სამუშაოზე აყვანილი პირების მიმართ.

როგორც ვრწმუნდებით, შპს-ის სახელშეკრულებო ურთიერთობა დირექტორთან უფრო მაღალი ხარისხისა და ღონის ურთიერთობაა, ვიდრე ადმინისტრაციასა (დირექტორს) და მუშაკს შორის ურთიერთობა. ხოლო დირექტორის ხელშეკრულებას არაფერი აქვს საერთო შრომითსამართლებრივ ურთიერთობასთან, რომელიც მოწესრიგების სულ სხვა საგანს გვთავაზობს². ამასთან, მისასაღებებელია ის გარემოება, რომ ქართულ სამართლო პრაქტიკაში უკვე არსებობს გადაწყვეტილებები, სადაც პირდაპირ არის უარყოფილი შპს-ის დირექტორსა და მის პარტნიორებს შორის ურთიერთობებზე შრომის კანონთა ნორმების გამოყენების შესაძლებლობა³.

დირექტორის ხელშეკრულების თავისებურებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ ქართულ სამართალში შპს-ის დირექტორთან დასაბუთებ ხელშეკრულებას ეწოდოს არა „შრომის ხელშეკრულება“, არამედ „საზოგადოების მართვის ხელშეკრულება“, როგორც ეს მიღებულია გერმანულ სამართალში, ანდა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტერმინი „სასამსახურო ხელშეკრულება“. „მეწარმეთა შესახებ“ კანონპროექტის გერმანულ ვარიანტში, ისევე როგორც 1995 წელს გამოცემულ კანონის 473 მუხლის „J“ პუნქტის გერმანულ ტექსტში ტერმინი – „შრომითი ხელშეკრულება“ საერთოდ არ ფიგურირებდა. მასში მითითებული იყო Dienstvertrag⁴, რომელიც შეესაბამებოდა ტერმინს – „სასამსახურო ხელშეკრულება“. სწორედ სასამსახურო ხელშეკრულებად ითარგმნა იგივე სიტყვა Di-

¹ შრომოკო, მუხლი 16.

² შტრ. აგრეთვე ლ. ჰანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მე-3 გამოცემა, თბ., 2002, მუხლი 47, გვ. 303.

³ შტრ. თბილისის საოლქო სასამართლოს 2000წ. 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება შპს „უბონი“ და დირექტორ თბ.-ს საქმეზე, სუსტ. № 7, 2001 წ., გვ. 713.

⁴ იხ. ამასთან დაკავშირებით „მეწარმეთა შესახებ“ კანონის სამენოვანი (ქართული, რუსული, გერმანული) გამოცემა, თბ., 1995, Art. 47.3, Punkt „O“, გვ. 244.

ensvertrag სააქციო საზოგადოების დირექტორთან მიმართებაში¹. აღნიშნული გერმინის („სასამსახურო ხელშეკრულება“) გამართლება იმითაც შეიძლება, რომ დირექტორის საქმიანობა სწორედ საზოგადოებისათვის შეიკრებელი „სამსახურის გაწვევასთან“ არის დაკავშირებული. ხოლო აღნიშნული სამსახურის გაწვევას საფუძვლად უდევს პარტნიორთა კრების მიერ განსაზღვრული სამეურნეო პოლიტიკა. ხოლო ამ პოლიტიკის განხორციელების მთავარ ფიგურას წარმოადგენს სწორედ დირექტორი, რომელიც ვალდებულია, თავისი მოვალეობა, როგორც საზოგადოების მიერ ნდობით აღჭურვილმა თანამდებობის პირმა, შეასრულოს კომერსანტის გულისხმიერებითა და კეთილსინდისიერებით².

სწორედ ამიგომ, ვიდრე საბოლოოდ არ გაირკვევა შრომის სამართლის ადგილი ქართული სამართლის სისტემაში, მიზანშეწონილია, რომ მსს-ის დირექტორის ხელშეკრულებას ეწოდოს „სასამსახურო ხელშეკრულება“. მით უმეტეს, რომ ამ ტიპის ხელშეკრულება იღება სააქციო საზოგადოების დირექტორთან. ხოლო ეს ორი კაპიტალური საზოგადოება უფრო მეტად არის ერთმანეთის მსგავსი, ვიდრე განსხვავებული.

6. მსს-ის სახით დირექტორთან ურთიერთობაში გამოდის პარტნიორთა კრება, რომელსაც შეიძლება წარმოადგენდეს ან ყველა პარტნიორი ერთად, ან ერთი პარტნიორი, კრების გადაწყვეტილების საფუძველზე. სამეწარმეო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც დირექტორთან ხელშეკრულების გაფორმება ეკისრება იმ პარტნიორს, რომელიც თავმჯდომარეობდა დირექტორის დამნიშნველ კრებას. თუ მსს-ში შექმნილია სამეთვალყურეო საბჭო, მაშინ საზოგადოებას დირექტორთან ურთიერთობაში წარმოადგენს ეს ორგანო. ხოლო დირექტორთან ხელშეკრულებას აფორმებს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე³.

ქართულ სამეწარმეო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც დირექტორთან არ იღება არავითარი ხელშეკრულება და იგი საზოგადოებაზე სამართლებრივად „მიბმული“ ხდება მხოლოდ დანიშნის აქტით. სამუხაროდ, ხელშეკრულების დადების სამართლებრივი კულტურა ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა. ამიგომ ხელშეკრულების გაფორმებლობის გამო წარმოშობილი პრობლემები თავს იჩენს მაშინ, როცა პარტნიორთა კრება გაათავისუფლებს დირექტორს თანამდებობიდან, ხოლო ეს უკანასკნელი ცდილობს, დაიცვას თავისი „დარღვეული უფლება“ სასამართლოს მემკვიდრით. სასამსახურო ხელშეკრულების გაუფორმებლობით დირექტორის სამართლებრივი მდგომარეობა უფრო ნაკლებად არის განსაზღვრული და დაკული, ვიდრე ხელშეკრულების დადებისას⁴.

¹ იქვე, Art. 55.8, Punkt „f“, აგრეთვე, მეწკა, მუხლი 55.8 „ა“.

² მღრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წ. 30 მარტის განჩინება მსს „ემოს“ და დირექტორ ტ.თ.-ს საქმეზე, სუსტ, №7, 2001 წ., გვ. 715.

³ ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მე-3 გამოცემა, მუხლი 55, თბ., 2002., გვ. 410.

⁴ ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, იქვე, მუხლი 47, გვ. 304.

7. შპს-ის ღირექტორთან სამართლებრივი ურთიერთობა დასრულებს როგორც მისი გამოწვევით (თანამდებობიდან გათავისუფლებით), ისე ხელშეკრულების შეწყვეტით.

ღირექტორის გამოწვევა (თანამდებობიდან გათავისუფლება), ისევე როგორც ხელშეკრულების მოშლა, იმავე ორგანოს კომპეტენციაა, ვინც იგი დანიშნა თანამდებობაზე (პარტნიორთა კრება ან სამეთვალყურეო საბჭო). ღირექტორის გამოწვევა (Abberufung), გერმანული სამართლის მიხედვით, ხორციელდება დანიშვნის აქტის გაუქმებით¹, რომელიც ისევე პარტნიორთა კრებაზე მიიღება. აღნიშნულის შესახებ პირდაპირაა მითითებული შპს-ის კანონის §38-ში. რაც შეეხება ქართულ სამართალს, იგი ასე პირდაპირ არ საუბრობს დანიშვნის აქტის გაუქმებაზე და ღირექტორის გამოწვევას მხოლოდ პარტნიორთა კრების კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს. საქართველოში არსებული სამეწარმეო პრაქტიკა საერთოდ ერიდება ტერმინს – „გამოწვევა“ და უპირატესობას ღირექტორის „თანამდებობიდან გათავისუფლებას“ ანიჭებს. ამრიგად, ღირექტორის გამოწვევა (ანუ მისი გათავისუფლება), ქართული სამართლის მიხედვით, უშუალოდ გამოწვევის (გათავისუფლების) აქტით ხორციელდება, თუმცა გერმანული სამართალი „გამოწვევასა“ (Abberufung) და „გათავისუფლებას“ (Entlassung) განსხვავებულ ინსტიტუტებად განიხილავს და ნორმატიულად მიჯნავს კიდევ მათ ერთმანეთისაგან².

გერმანული სამართალი პირდაპირ მიუთითებს, რომ ღირექტორი შეიძლება გამოწვეულ (თანამდებობიდან გათავისუფლებული) იქნეს კრების მიერ ნებისმიერ დროს, ამასთან, ისე, რომ არ იქნეს მითითებული გაწვევის (გათავისუფლების) საფუძველი³. ქართული სამართალი აქაც ღმს, თუმცა ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, ისევე როგორც ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში, პირველად აღინიშნა, რომ ღირექტორისათვის საწარმოს მართვისა და ქონების განკარგვის უფლების მინიჭების რისკის საკომპენსაციოდ პარტნიორებს ყოველთვის უნდა ჰქონდეთ უფლება, ნებისმიერ დროს გაათავისუფლონ ღირექტორი და ამ შემთხვევაში შრომის კანონთა მოთხოვნები არ შეიძლება გავრცელდეს⁴. ხოლო შპს-ის მიერ ღირექტორის ნებისმიერ დროს გათავისუფლება თავიდან ააცილებს საზოგადოებას არახელსაყრელი ღირექტორისაგან ქონების გასხვისებისა და დაკარგვის რისკს⁵. მაშასადამე, პარტნიორებს ყოველთვის უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, რაიმე საფუძვლის, მოტივისა და მიზეზის მითითების გარეშე გაათავისუფლონ ღირექტორი თანამდებობიდან. ყოველგვარი საფუძვლისა თუ მოტივის გარეშე ღირექტორის გათავისუფლება ეფუძნება შპს-სა და ღირექტორს შორის არსებულ ორგანულ ურთიერთობებს. თა-

¹ GmbHG. §38.

² შპრ. GmbHG. §46, Punkt 5.

³ Sudhoff, Der Gesellschaftsvertrag der GmbH, გვ. 267.

⁴ შპრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წ. 30 მარტის განჩინება შპს „ემოს“ და ღირექტორ თ.გ.-ს საქმეზე, სუსტ, №7, 2001 წ. გვ. 715.

⁵ შპრ. ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მე-3 გამოცემა, მეხლეები 47 და 56, თბ., 2002, გვ. 304, 426.

ვის მხრივ, მისასაღმებელია ისიც, რომ ქართული სასამართლო პრაქტიკაც უკვე ამ მიმართულებით ყალიბდება, თუმცა ჯერ კიდევ არ გვხვდება მსჯელობა იმ განსხვავების შესახებ, რაც არსებობს ღირექტორის საკორპორაციოსამართლებრივ გაწვევასა (გათაეისუფლებასა) და მასთან შრომის ხელშეკრულების შეწყვეტას შორის¹.

ღირექტორის თანამდებობიდან გათაეისუფლება (გამოწვევა) არის ხელშეკრულების მოშლის ერთ-ერთი საუუქველი, ხოლო ღირექტორთან ხელშეკრულების მოშლა არ იწვევს იმაედროულად მის თანამდებობიდან გათაეისუფლებას – იგი კვლავ რჩება თანამდებობაზე. ხელშეკრულების მოშლით გაუქმდება მხოლოდ ამ ხელშეკრულებიდან წარმომღარი ღირექტორის უფლებები, როგორცაა, მაგალითად, გასამრჯელის მოთხოვნის, ხარჯების ანამღაურების, შებულებით სარგებლობის, საზოგადოების ქონების გამოყენების და სხვ უფლებები.

ხელშეკრულების მოშლის მიუხედავად, „თანამდებობაშენარჩუნებუღი“ ღირექტორი სრულად ინარჩუნებს სამოქალაქო და საპროცესო უფლებაუნარიანობას, რაც იმას ნიშნავს, რომ მას შეუძღია, შპს-ის სახელით, კვლავ დადოს სამოქალაქო და შრომითსამართლებრივი გარიგებები, განახორციელოს მოთხოვნები, მონაწილეობა მიიღოს სასამართლო პროცესებში და ა.შ.

¹ მღრ. შპს „ემოს“ და ღირექტორ თ.გ.-ს საქმე, სუსტ, 2001 წ. №7, გვ. 715.

**დაკარგულ საწარმდგენლო ფასიან ქალაქსა
და საორღერო ფასიან ქალაქზე უფლების აღდგენა
(გამოწვევითი წარმოება)**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 328-ე მუხლის თანახმად, პირს, რომელსაც დაეკარგა საწარმდგენლო ფასიანი ქალაქი ან საორღერო ფასიანი ქალაქი, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეუძლია სთხოვოს სასამართლოს დაკარგული ფასიანი ქალაქის ბათილად ცნობა და დაკარგულზე უფლების აღდგენა.

განცხადება შეტანილ უნდა იქნეს სასამართლოში ამ მუხლში მითითებული საბუთის გამყები დაწესებულების ადგილმდებარეობის მიხედვით.¹

ყოველდღიურ ცხოვრებაში არის საწარმდგენლო ფასიანი ქალაქის ან საორღერო ფასიანი ქალაქის დაკარგვის შემთხვევები. ამის გამო წარმოიშობა იმ პირთა უფლებების დაცვის საჭიროება, რომლებმაც დაკარგეს ასეთი დოკუმენტები. ასეთ შემთხვევებში სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს აღნიშნულ დოკუმენტებზე უფლების აღდგენის განსაკუთრებულ წესს, რომელსაც გამოწვევით წარმოებას უწოდებენ. აღნიშნული საქმეების განხილვა უდავო წარმოების წესით განპირობებულია სამოქალაქო უფლებათა ისეთი ობიექტის სპეციფიკით, როგორცაა ფასიანი ქალაქები. ფასიანი ქალაქი ეწოდება კანონით დადგენილი სათანადო ფორმით გაფორმებულ დოკუმენტს, რომელიც შეიცავს რაიმე უფლებას და ამ უფლების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ თითო ამ ფასიანი ქალაქის წარდგენის გზით. ფასიანი ქალაქის გადაცემა იწვევს მისით განპირობებული ყველა უფლების გადასვლას.²

ფასიან ქალაქს მიეკუთვნება: თამასუქი, ჩეკი, სადემოზიტო და სამემბახველო სერთიფიკატები, საბანკო-სამემბახველო წიგნაკი, კონოსამენტი, აქცია, საპრივატიზაციო ფასიანი ქალაქები, სასაწყობო მოწმობა და სხვა დოკუმენტები, რომლებიც ფასიანი ქალაქების შესახებ კანონის

¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბ., 1998.

² ე. შარნაძე, ფასიანი ქალაქების ბრუნვიდან წარმოშობილი ვალდებულებანი. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2002.

თანახმად, ანდა მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით, განეკუთვნებიან ფასიანი ქალაქების რიცხვს.

სამოქალაქო კანონმდებლობა შემთხვევით არ გამოყოფს საწარმდგენლო ფასიან ქალაქებსა და საორდერო ფასიან ქალაქებს, მიუთითებს რა მათზე უფლების აღდგენის სასამართლო ფორმაზე. ამ ფასიან ქალაქებს უდიდესი ბრუნვაუნარიანობა გააჩნიათ. უფლების აღდგენა ნებისმიერ ფასიან ქალაქზე განსაზღვრული ხარისხით ეწინააღმდეგება სასაქონლო ბრუნვას, ხელს უშლის იმ მესამე პირების უფლებების განხორციელებას, რომლებიც ფასიანი ქალაქების ფაქტობრივ მფლობელებს წარმოადგენენ. ამ მიზეზით ზოგიერთ ფასიან ქალაქზე შესაძლებელია ვინდიკაციის შეზღუდვა მისი მფლობელის მიმართ. ასე მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, არ შეიძლება გამოთხოვილ იქნეს კეთილსინდისიერი შემძენისგან ფული, ფასიანი ქალაქები, ანდა აუქციონზე გასხვისებული ნივთები.¹

ამ კატეგორიის საქმეთა არსზე არსებობს ორი შეხედულება. აეგორთა ერთი ნაწილი თელის, რომ გამოწვევითი წარმოების საქმეებში სასამართლო წყვეტს მხოლოდ იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ საკითხებს, ხოლო უფლების შესახებ საკითხების გადაწყვეტა ხდება სასამართლო პროცესის ფარგლებს გარეთ.² სხვა აეგორები თელიან, რომ ამ საქმეებზე დგინდება არა მარტო იურიდიული ფაქტები, არამედ უშუალოდ წყდება უფლების შესახებ საკითხები.³ მაგ., ამ კატეგორიის საქმეთა შესახებ დ.მ. ჩეჩოტი წერს, რომ კანონში პირდაპირ წერია დაკარგულ საწარმდგენლო დოკუმენტებზე უფლების აღდგენის შესახებ და სასამართლოს მიზანი ისაა, არა მარტო ბათილად ცნოს დაკარგული დოკუმენტი, არამედ დაადგინოს, რომ მისგან გამომდინარე უფლებები ნამდვილად განმცხადებელს ეკუთვნის.⁴

ჩვენ ვეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, გამოწვევითი წარმოების საქმეებზე სასამართლო დაცვის საგანია უდავო უფლება. ასეთ შემთხვევებში სასამართლოს მიზანია განმცხადებლისათვის იმ უფლებების რეალიზაციაში თანადგომა, რომელსაც ის ფლობს.

ჩვენი აზრით, ასეთი საქმეების სამართლებრივი ბუნების დადგენისას, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია გამოვიდეთ იმ სამართლებრივი ურთიერთობის არსიდან, რომელიც წარმოიშვა მოქალაქესა და საკრედიტო დაწესებულებას შორის, სადაც წარმომდგენზე შეტანილია ანაბარი. საკრედიტო დაწესებულებაში წარმომდგენზე შეტანილი ანაბარი არის საკუთრების უფლების ობიექტი. ეს გარემოება დიდ გავლენას ახდენს გამოწვევითი წარმოების არსზე.

¹ მ. ძლიერიშვილი, უდავო წარმოება, თბ., 2001.

² Хабаква М.А., Дела вынужденного производства, Л., 1961, с. 131

³ Поголоцкий Л.Н., Лисковец Б.А., Соминский А.С., Дела особого производства, М. 1978, с. 98.

⁴ Чечот Д.М., Ненсковые производства, М., 1978, с. 165.

საწარმდგენლო დოკუმენტები ღირებულია არა მარტო უფლებით, რომელსაც იგი შეიცავს, არამედ იმიტომაც, რომ მასზე მოთხოვნის უფლება ეკუთვნის ნებისმიერ პირს, რომელიც წარმოადგენს მას. ასეთი კატეგორიის საქმეებზე უფლების აღდგენის მოთხოვნას ორი მომენტი ახასიათებს: 1) განმცხადებლის მოთხოვნას საფუძვლად უნდა ედოს წარმომდგენზე შეტანილი ანაბრის შედეგად წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა. ეს გასაგებიცაა, რამდენადაც მოთხოვნა წარმოიშვა დაკარგულ საწარმდგენლო დოკუმენტზე უფლების აღდგენის გამო, იმდენად აუცილებელია, რომ არსებობდეს ის სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც ამ დოკუმენტებით არის გაფორმებული. გამოწვევითი წარმოების საქმეებზე ეს მომენტი აუცილებელს ხდის არა მარტო მათი დაკარგვის ფაქტის დადგენას, არამედ საკრედიტო დაწესებულებაში აღნიშნული ანაბრის არსებობას. საქმის გადაწყვეტა უნდა მოხდეს მისი არსებობიდან ან არარსებობიდან გამომდინარე; 2) განმცხადებლის მოთხოვნა არ უნდა იყოს დაკავშირებული ანაბარზე უფლების შესახებ დარღვევასთან ან დაეასთან. განსახილველი შემთხვევებისთვის დამახასიათებელია ისეთი მდგომარეობა, როდესაც ანაბრის შემტანებს არ შეუძლიათ განახორციელონ თავიანთი უფლებები, ხოლო საკრედიტო დაწესებულება უფლებამოსილი არ არის, შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა იმის გამო, რომ ამ უკანასკნელისთვის გაურკვეველია, თუ ვის ეკუთვნის ანაბარზე საკუთრების უფლება.

ეს გაურკვეველობა წინასწარ განსაზღვრულია სხვადასხვა ობიექტური გარემოებით და შეიძლება გამოიხატოს საწარმდგენლო დოკუმენტების საერთოდ დაკარგვით ან მათ მიერ გადახდისუნარიანობის ნიშნების დაკარგვით. ამიგომ, განმცხადებელმა რომ განახორციელოს თავისი უფლებები, აუცილებელია არა მარტო დაკარგვის ფაქტის, არამედ იმის დამტკიცებაც, რომ დოკუმენტზე უფლება ეკუთვნის მას და არა სხვა პირს.

იმისათვის, რომ დაკარგულ საწარმდგენლო დოკუმენტზე უფლების აღდგენის შესახებ აღძვრას საქმე და შედგეს სასამართლო განხილვა, ისევე როგორც სხვა სამოქალაქო საქმეებზე, განმცხადებელს აუცილებლად უნდა ჰქონდეს უდავო წარმოების საქმეებზე სასამართლოში მიმართვის უფლება. განმცხადებლისათვის განცხადებით მიმართვის კანონით გათვალისწინებული უფლების არსებობა ან არარსებობა დგინდება მოსამართლის მიერ ამ განცხადების აღძვრის წინამძღვრების შემოწმების გზით.

გამოწვევითი წარმოების მიმართ განვიხილოთ მხოლოდ ის წინამძღვრები, რომლებიც მისთვისაა დამახასიათებელი და რომელთა გარეშეც ასეთი საქმის აღძვრა არ შეიძლება:

1. დაკარგულ საწარმდგენლო დოკუმენტზე უფლების აღდგენის შესახებ საქმეთა უწყებრივი ქვემდებარობა. უდავო წარმოების სხვა საქმეებისაგან განსხვავებით, — მაგალითად, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ საქმეები, — კანონმდებელმა გაითვალისწინა დაკარგულ საწარმდგენლო დოკუმენტზე უფლების აღდგენის მხოლოდ სა-

სამართლო წესი. თუმცა, იმ მიზეზების ხასიათიდან გამომდინარე, რომლებიც იწვევენ ამ საქმეთა წარმოშობას, ისინი შეიძლება დაიყოს ორ სხვადასხვა კატეგორიად, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც აღძვრის, ისე განხილვის წესით, თუმცა ორივე შემთხვევაში საუბარია საწარმდგენლო ანაბარზე უფლების აღდგენის შესახებ, რომელიც განმცხადებლის მტკიცებით ეკუთვნის მას:

ა) პირველ კატეგორიას განეკუთვნება საქმეები, როდესაც დაკარგულია საშემნახველო წიგნაკი ან მისი საკონტროლო ფურცელი, ან ორივე ერთად. აღნიშნული დოკუმენტების დაკარგვის შემთხვევაში პირმა შეიძლება სასამართლოს მიმართოს თხოვნით დაკარგული დოკუმენტის ბათილად ცნობის და დაკარგულ დოკუმენტზე უფლების აღდგენის შესახებ. ყასიანი ქალაქის დაკარგვა გულისხმობს მთლიანად მის დაკარგვას ანდა მისი საგადაძღვლო თვისებების დაკარგვას. ასეთ შემთხვევაში უფლების აღსადგენად განმცხადებელი მიმართავს სასამართლოს;

ბ) საქმეები, ასევე უწყებრივად ქვემდებარე სასამართლოსადმი, თუმცა აქ სასამართლოში მიმართვის უფლება ექვემდებარება სპეციალურ წინაპირობას, რომლის არსიც ისაა, რომ განმცხადებელმა სასამართლოში მიმართვამდე საკრედიტო დაწესებულებაში უნდა გაარკვიოს მის ხელთ არსებული დოკუმენტით, რომელიც გამოუსადეგარია, უფლების განსორციელების შესაძლებლობა. თუ საკრედიტო დაწესებულება უარს აცხადებს ასეთი მოქმედების განხორციელებაზე, მაშინ გამოიყენება უფლების აღდგენის სასამართლო წესი.

საწარმდგენლო დოკუმენტები, რომლებმაც დაკარგეს გადახდისუნარიანობის ნიშანი, გულისხმობს დოკუმენტს, რომელმაც არაჯეროვანი შენახვის ან სხვა მიზეზების შედეგად დაკარგა ის რეკვიზიტები, რომლებიც გამოხატავენ მის შინაარსს და რომელთა გარეშეც მესაკუთრეს არ შეუძლია მასში მითითებული უფლებების განხორციელება, მაგალითად, შემნახველ წიგნაკში წაიშალა აღნიშვნა სალაროში დარჩენილი თანხის რაოდენობის შესახებ.

თუ დოკუმენტის დაკარგვის შემთხვევაში საერთოდ შეუძლებელია მათი აღმოჩენა, გადახდისუნარიანობის ნიშნების დაკარგვის შემთხვევაში ისინი მესაკუთრის ხელთაა, თუმცა მათი წარდგენა შეუძლებელია საკასო ოპერაციების განსახორციელებლად.

ამრიგად, საწარმდგენლო დოკუმენტის დაკარგვა ან გადახდისუნარიანობის ნიშნების დაკარგვა – ესაა ობიექტური გარემოებანი და თითოეული მათგანი უფლების განხორციელებისას წინასწარ განსაზღვრავს საწარმდგენლო დოკუმენტზე უფლების აღდგენის ფორმას, მაგრამ პირველ შემთხვევაში უფლების აღდგენის შესახებ საკითხი წყდება იმავდროულად სასამართლოში, მაშინ როცა მეორე შემთხვევაში სასამართლო წესი გამოიყენება მხოლოდ საკრედიტო დაწესებულების მიერ გაცემულ დოკუმენტზე საკასო ოპერაციების განხორციელებაზე უარის თქმისას, რაც გამოწვეულია მის მიერ გადახდისუნარიანობის ნიშნების დაკარგვით.

როგორც სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, გამოწვევითი წარმოების საქმეები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმდგენლო დოკუმენტების გადახდისუნარიანობის ნიშნების დაკარგვასთან, ხშირად განიხილება სასამართლოს მიერ. ამასთან დაკავშირებით, შესაძლებელია, რომ სსკ-ის 328-ე მუხლი შეივსო იმაზე მითითებით, რომ საწარმდგენლო დოკუმენტებზე სასამართლო უფლებას აღადგენს მაშინაც, როდესაც ეს დოკუმენტი დაკარგავს გადახდისუნარიანობის ნიშნებს, მაგრამ მხოლოდ საკრედიტო დაწესებულების მიერ მასზე გადახდის განსორციელებაზე უარის თქმისას.

მოთხოვნა, რომლითაც განმცხადებელი მიმართავს სასამართლოს უდავო წარმოების საქმეებზე, არ უნდა იყოს დაკავშირებული უფლებაზე დაევასთან. ამიგომ საწარმდგენლო დოკუმენტზე უფლების აღდგენის შესახებ საქმე უდავო წარმოების წესით სასამართლოს ქვემდებარე არ იქნება, თუ განმცხადებელი განცხადებაში მიუთითებს დოკუმენტის მფლობელზე. ასეთ შემთხვევაში შეიტანება ჩვეულებრივი სარჩელი ქონების გამოთხოვის შესახებ. ასეთი განცხადების ბუნებაა, რომ იგი ეწინააღმდეგება პროცესის აღძვრას უდავო წარმოების წესით. თუმცა ასეთ შემთხვევაში მოსამართლე უფლებამოსილი არ არის, უარი თქვას განცხადების მიღებაზე, რადგანაც განცხადების მიღებაზე უარის თქმის ასეთი საფუძველი კანონით გათვალისწინებული არ არის. მოსამართლეს მხოლოდ შეუძლია განუმარტოს განმცხადებელს, რომ წარმოშობილი დავა ექვემდებარება სასარჩელო წარმოების წესით განხილვას (სსკ-ის 311-ე მუხ. მე-2 ნაწილი);

2. იმავე საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ან განჩინების არარსებობა. თუ სასამართლომ გამოიგანა გადაწყვეტილება განცხადების დაკმაყოფილების ან უარის თქმის შესახებ, ან განჩინება იგივეობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, მაშინ იმავე განმცხადებლის მიმართვა იმავე საგანსა და იმავე საფუძველზე სასამართლოში არ დაიშვება. აქ უნდა აღინიშნოს, რომ გამოწვევითი წარმოების საქმეთა შეწყვეტის შესახებ განჩინების გამოტანა შეიძლება შემდეგ სამ შემთხვევაში: 1) როდესაც დაკარგული დოკუმენტის მფლობელი წარმოადგენს მას სასამართლოში და ამასთან არ აცხადებს თავის უფლებებს მასზე; 2) თუ განმცხადებელი აცნობებს სასამართლოს იმის შესახებ, რომ დაკარგული დოკუმენტი აღმოჩენილია; 3) სასამართლომ გაცხადებულ მოთხოვნაზე მიიღო განმცხადებლის უარი.

ამასთან ერთად, იგივეობის ელემენტის მიუხედავად, შესაძლებელია დაკარგულ საწარმდგენლო დოკუმენტზე უფლების აღდგენის შესახებ ახალი განცხადებით მიმართვა იმ შემთხვევაში, როდესაც ადრე აღძრული განცხადება განუხილველად იქნა დატოვებული დოკუმენტის ხელთქონის გამოცხადების გამო, რის საფუძველზეც დავა უკვე განხილული უნდა ყოფილიყო სასარჩელო წესით, თუმცა კი საქმის განხილვა სასარჩელო წარმოების წესით შეუძლებელი გახდა საბუთის ხელთქონის გარდაცვალების გამო, ხოლო დოკუმენტი კი მის მიერ არ იქნა სასამართლოში წარდგენილი და შეუძლებელია მისი აღმოჩენა;

3. სასამართლოს წარმოებაში იმავე განცხადებაზე საქმის არარსებობა. თუ სასამართლოს წარმოებაში არის საქმე იმავე განმცხადებლის მოთხოვნით, იმავე საგანსა და საფუძველზე, მაშინ განმცხადებელს არა აქვს უფლება, აღძვრას ანალოგიური საქმე. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ აღნიშნული წინაპირობა არ არის დაცული და მოსამართლეები ყოველთვის არ ამოწმებენ მას. გამოწვევითი წარმოების საქმეებზე პუბლიკაციის დღიდან სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ ხდება განმცხადებლის მიერ განცხადების განმეორებითი წარდგენის შემთხვევები დაკარგულ საწარმდგენლო დოკუმენტებზე უფლების აღდგენის შესახებ იმავე თხოვნით, ხოლო მოსამართლეები იღებენ ასეთ განცხადებებს და მათ საფუძველზე გამოაქვთ განჩინება საქმის წარმოებაში მიღების შესახებ. ასეთი მოქმედებები ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს, რამეთუ ერთი და იმავე საქმის განსახილველად შეიგანება ორი სრულიად ერთნაირი განცხადება.

ლიგერაგურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ დაკარგულ საწარმდგენლო დოკუმენტებზე უფლების აღდგენის შესახებ განცხადებით მიმართვა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.¹ ჩვენი აზრით, ეს მტკიცება არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. სსკ-ის 328-ე მუხლის თანახმად, დადგენილია, რომ დაკარგულ საწარმდგენლო დოკუმენტებზე სასამართლოში განცხადების შეტანა შეუძლია მხოლოდ იმ პირს, რომელმაც დაკარგა დოკუმენტი. იმ პირში, რომელმაც დაკარგა საწარმდგენლო დოკუმენტი, ჩვენი აზრით, უნდა ვიყარაუდოთ პირი, რომელმაც შეიგანა ანაბარი და ეისაც მიეცა საწარმდგენლო დოკუმენტი.

პ.ი. სედუგინი ამტკიცებს, რომ ამ საქმეებზე განცხადება შეიძლება შეგანილ იქნეს ხანდამშულობის საერთო სამწლიანი ვადის განმავლობაში სარჩელზე უფლების წარმოშობის მომენტიდან.¹ ეს მოსაზრება არსებითად წინააღმდეგობას იწვევს. მართალია, გამოწვევითი წარმოების წესით ხდება უფლების დაცვა, ამასთან სასარჩელო ხანდამშულობის ვადები მათზე არ ვრცელდება ზოგიერთი მიზეზის გამო, პირველ ყოვლისა, ამ საქმეებზე განცხადება ძირითადად დაკავშირებულია ანაბრის შესახებ სამართალურთიერთობასთან. ამ მოთხოვნებზე სასარჩელო ხანდამშულობა არ ვრცელდება. მეორეც, ხანდამშულობა – ესაა დარღვეული ან სადავო სამოქალაქო უფლების დაცვის კანონით დადგენილი ვადა. უდავო წარმოებაში არ არის უფლებაზე დაუვა და არც მოდავე მხარეებია. ამას გარდა, ხანდამშულობის ცნება მჭიდროდაა დაკავშირებული სარჩელის ცნებასთან,² ამიტომ კანონის პირდაპირი მნიშვნელობიდან გამომდინარე მოთხოვნებზე, რომელნიც უდავო წარმოების წესით განიხილებიან, ხანდამშულობა არ ვრცელდება.

¹ Седугин П.И. Вклады граждан в кредитных учреждениях, М., 1964, с. 9.

² იქვე, გვ. 56.

² Добровольский А.А., Иванова С.А., Основные проблемы исковой формы защиты права, М., Изд. МГУ, 1972, с. 105

განცხადება დაკარგულ საწარმდგენლო ღოკუმენტებზე უფლების აღდგენის შესახებ შედგენილ უნდა იქნეს სსკ-ის 178-ე მუხლის შესაბამისად. საერთო რეკვიზიტებთან ერთად იგი უნდა შეიცავდეს ისეთ მონაცემებსაც, რომლებიც დამახასიათებელია მხოლოდ ამ კატეგორიის საქმეებისათვის. სახელდობრ: დაკარგული საბუთის განმასხვავებელი ნიშნები, საბუთის გამკეში დაწესებულების სახელწოდება, ავრეთვე საბუთის დაკარგვის გარემოებანი.

გამოწვევით წარმოებაში განცხადების მიღებაზე უარის თქმა შეიძლება მხოლოდ სსკ-ის 186-ე მუხლის საფუძველზე.

ყველა წანამძღვრისა და პირობის დაცვის შემთხვევაში, რაც აუცილებელია სასამართლოში მიმართვისათვის გამოწვევითი წარმოების საქმეებზე, მოსამართლე ვალდებულია, გამოიტანოს განჩინება განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ სსკ-ის 183-ე მუხლის მიხედვით.

გამოწვევითი წარმოების საქმეების სასამართლო განხილვისათვის მომზადების სპეციფიკა უმთავრესად განპირობებულია იმ გამონაკლისებითა და დამატებებით, რაც კანონმდებლობითაა დადგენილი უდავო წარმოების საქმეებზე.

თუმცა, ისევე როგორც სხვა სამოქალაქო საქმეების მომზადებისას, მოსამართლემ დაკარგულ საწარმდგენლო ღოკუმენტზე უფლების აღდგენის შესახებ საქმეებზე უნდა იხელმძღვანელოს სსკ-ის მე-200, 209-ე მუხლების შესაბამისად. ამასთან ერთად, უნდა გავითვალისწინოთ, რომ სპეციალური ნორმები გარკვეულ ფარგლებში გამოირიცხავენ სასამართლო განხილვისათვის უდავო წარმოების საქმეთა მომზადების საერთო წესების გამოყენების შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, სსკ-ის 203-ე მუხლში მითითებული ყველა მოქმედების განხორციელება მოსამართლის მიერ გამოწვევითი წარმოების საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადების დროს გამოირიცხულია. დაკარგულ საწარმდგენლო ღოკუმენტზე უფლების აღდგენის შესახებ საქმეებზე, ჩვენი აზრით, აუცილებელია საერთო და სპეციალური მოსამზადებელი მოქმედებების განსხვავება.

გამოწვევითი წარმოების საქმეებზე საერთო მოსამზადებელი მოქმედებები განსაზღვრულია სსკ-ის 203-ე მუხლში და გამოიხატება განმცხადებლის გამოკითხვით გაცხადებული მოთხოვნის შესახებ, იმ გარემოებების გარკვევით, რომლებიც უნდა იყოს მტკიცების საგნად. მაგალითად, მოსამართლე ამუსტებს, რომელი საწარმდგენლო ღოკუმენტი დაკარგული, აღგენს ღოკუმენტის გამკეში დაწესებულების მუსტ დასახელებას და ადგილმდებარეობას. მნიშვნელოვანია ასევე ღოკუმენტის დაკარგვის გარემოებების დადგენა (დრო, ადგილი და სხვა).

თუ განცხადებაში არ არის მითითებული დაკარგული საწარმდგენლო ღოკუმენტის განმასხვავებელი ნიშნები (ანგარიშის ნომერი, ანაბრის შეტანის თარიღი, ანაბრის ოდენობა, დარჩენილი ანაბრის თანხა და ა.შ.), მაშინ საქმის მომზადებისას საჭიროა მათი დაზუსტება. განმასხვავებელი ნიშნების ცოდნა აუცილებელია როგორც გადასდის წარმოებაზე აკრძალ-

ვის დასაღებად, ისე იმისათვის, რომ შემდგომ გაცხადებული მოთხოვნა გადაწყდეს არსებითად.

აუცილებლობის შემთხვევაში მოსამართლე წყვეტს იმ მოწმეთა გამოძახების შესახებ საკითხს, რომლებსაც შეუძლიათ, საქმის არსიდან გამომდინარე, მისცენ ჩვენება. იგი განუმარტავს განმცხადებელს მის პროცესუალურ უფლებებს და მოვალეობებს. იმ შემთხვევაში, როდესაც დოკუმენტს დაკარგული აქვს გადახდისუნარიანობის ნიშნები, გამორიცხული არ არის საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადების დროს ექსპერტიზის დანიშვნის შესაძლებლობა. იგი მოიცავს ტექნიკურ გამოკვლევას, რომელიც საშუალებას იძლევა, გამოარკვიოს დოკუმენტში ნებისმიერი სახის ცვლილება.

გამოწვევითი წარმოების საქმეებზე დაინგერესკული პირია საწარმდგენლო საბუთის გამცემი დაწესებულება. საქმეში ამ ორგანოთა მონაწილეობა განპირობებულია იმ ურთიერთობით, რომელშიც ისინი იმყოფებიან განმცხადებელთან.

გამოწვევითი წარმოების საქმეებზე დოკუმენტის გამცემის მონაწილეობაში არის გარკვეული მომენტი, როცა მათ უნდა მისცენ საქმეზე დასკვნა, მაგრამ ჯერ საჭიროა მათი მოწვევა, როგორც დაინგერესკული პირებისა. მათი სამართლებრივი მოვალეობა განპირობებულია შეანაბრეთა უფლებებით. სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც ამტკიცებს ანაბარზე განმცხადებლის უფლებას, მათ მიმართ წარმოშობს განმცხადებლისათვის ანაბრის ან ახალი დოკუმენტის გაცემის ვალდებულებას.

მოსამართლე ვალდებულია, აცნობოს საკრედიტო დაწესებულებას წარმოებაში არსებული საქმისა და მისი განხილვის დროის შესახებ. თუ დაკარგულია შემნახველი წიგნაკი და საკონტროლო ფურცელიც, ხოლო განმცხადებელს არ ახსოვს დოკუმენტის ნომრები, მაშინ ფასიანი ქაღალდების კუთვნილება დგინდება ანაბრის შეტანის თარიღის, დარჩენილი ანაბრის თანხისა და სხვა გარემოებათა შესაბამისად. ჩვენი ამრით, ასეთ შემთხვევაში საკრედიტო დაწესებულების წარმომადგენლის მონაწილეობა აუცილებელია.

გამოწვევითი წარმოების საქმეთა სასამართლო განხილვისათვის მომზადების თავისებურებანი ისაა, რომ საერთო მოქმედებების გარდა, მოსამართლე ახორციელებს სპეციალურ მოსამზადებელ მოქმედებებსაც, რომლებიც სასიათდება როგორც საკონტროლო-უმრუნველმყოფი. ამ მიზნით მოსამართლეს გამოაქვს ორი სხვადასხვა შინაარსის განჩინება:

პირველი – საწარმდგენლო დოკუმენტის გამცემი ორგანიზაციისათვის ამ დოკუმენტით ყოველგვარი გადახდისა და გაცემის აკრძალვის შესახებ. გამოწვევითი წარმოების საქმეებზე განმცხადებელმა შეიძლება ალაღვინოს უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ამ საბუთით ჯერ კიდევ არ მომხდარა გადახდა იმ პირისათვის, ვინც ეს საბუთი იპოვა. ამიგომ მნიშვნელოვანია, რომ საბუთის გამცემმა დაწესებულებამ დაუყოვნებლივ მიიღოს გადახდის ან გაცემის განხორციელების აკრძალვის შესახებ განჩინება.

ნების ასლი. სასამართლოს განჩინება ერთადერთი და აუცილებელი სა-
ფუძველია საკრედიტო დაწესებულებისათვის, რომ არ გასცეს ანაბარი.

გამოწვევითი წარმოების საქმეებზე აკრძალვის სამართლებრივი ბუ-
ნება გამოიხატება იმით, რომ ეს არის დაკარგულ საწარმდგენლო დოკუ-
მენტზე უფლების აღდგენის შესახებ გაცხადებული მოთხოვნის თავისებუ-
რი სახე.

გამოწვევითი წარმოების საქმეებზე მნიშვნელოვანია, რომ საკრედი-
ტო დაწესებულებამ დაუყოვნებლივ მიიღოს გადახდის ან გაცემის წარმო-
ების აკრძალვის შესახებ განჩინების ასლი. ასეთი განჩინების გამოტანასა
და მის დაუყოვნებლივ გაგზავნაზე უარის თქმამ შეიძლება გააძნელოს, ან
საერთოდ უსაგნო გახადოს სასამართლო განხილვა. ამიტომ, სსკ-ის 330-ე
მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ასეთი განჩინების გამოტანაზე უარი შე-
იძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით. განმცხადებლისათვის ამ უფლების
მინიჭება არის მისი ინტერესების დაცვის დამატებითი გარანტია.

მეორე განჩინება, რომელიც მოსამართლეს გამოაქვს, — ესაა გან-
მცხადებლის ხარჯზე ადგილობრივ პრესაში პუბლიკაციის გამოქვეყნების
შესახებ. ამ საქმეებზე პუბლიკაციის მნიშვნელობა ძალიან დიდია. თუ სა-
ბუთით ყოველგვარი გადახდისა და გაცემის წარმოების აკრძალვა არის
გაცხადებული მოთხოვნის უმრუნველყოფის საშუალება, პუბლიკაცია გვე-
ვლინება დაკარგულ დოკუმენტებზე განმცხადებლის უფლებების არსებობ-
ის ან არარსებობის ერთ-ერთ პირდაპირ მტკიცებულებად.

საპროცესო ლიგერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ,
რომ გამოწვევითი წარმოების მთავარი მიზანია დოკუმენტის მფლობელის
აღმოჩენა. ამას არ შეიძლება დავეთანხმოთ. გამოწვევითი წარმოების
მთავარი მიზანია დაკარგულ საწარმდგენლო დოკუმენტზე უფლების აღ-
დგენა, მაშინ, როცა დაკარგული დოკუმენტის მფლობელის აღმოჩენა პუბ-
ლიკაციის მიზანია. პუბლიკაციით დოკუმენტის მფლობელი გამოძახებულია
სასამართლოში დაკარგულ საწარმდგენლო დოკუმენტზე განმცხადებელ-
თან მისი ურთიერთობის გასარკვევად, მხოლოდ პუბლიკაციის შედეგად
შეუძლია დოკუმენტის მფლობელს, შეიტყოს გამოწვევითი წარმოების აღ-
ძერის შესახებ და თუ რომელ სასამართლოში უნდა გამოცხადდეს.

პუბლიკაციის შინაარსი განსაზღვრულია სსკ-ის 331-ე მუხლში. იგი უნ-
და შეიცავდეს:

ა) იმ სასამართლოს დასახელებას, რომელშიც შეტანილია განცხადება
საბუთის დაკარგვის შესახებ;

ბ) განმცხადებლის დასახელებასა და მის საცხოვრებელ ადგილს;

გ) საბუთის დასახელებასა და განმასხვავებელ ნიშნებს;

დ) წინადადებას იმ საბუთის ხელთქონის მიმართ, რომლის დაკარგ-
ვის შესახებაც შეტანილია განცხადება, რომ მან პუბლიკაციის დღიდან სა-
მი თვის განმავლობაში შეიტანოს განცხადება სასამართლოში ამ საბუთზე
თავისი უფლების შესახებ.

აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის განზოგადებამ გვიჩვენა, რომ მოსამართლეები პუბლიკაციის წარმოებისას მოკიდრთ შემთხვევაში უშვებენ სხვადასხვა სახის შეცდომებს.

მაგალითად, კანონი ითვალისწინებს მონაცემებს, რომლებსაც უნდა შეიცავდეს პუბლიკაცია. ამასთან, არის შემთხვევები, როდესაც დოკუმენტები არაა დაკარგული, ისინი მესაკუთრის ხელთაა, მაგრამ მათ დაკარგვს გადახდისუნარიანობის ნიშნები. ისმის კითხვა: აუცილებელია ასეთ შემთხვევაში პუბლიკაციის გამოქვეყნება? ხოლო თუ აუცილებელია, მაშინ როგორი უნდა იყოს მისი შინაარსი?

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ შემთხვევაში მოსამართლეებს გამოაქვთ განჩინება პუბლიკაციის წარმოების შესახებ, მაგრამ მათი შინაარსი არ შეესაბამება საქმის ნამდვილ გარემოებებს.

ასეთ საქმეებზე პუბლიკაცია აგარებს ფორმალურ ხასიათს და არაერთარ გაელენას არ ახდენს საქმის გადაწყვეტაზე, რადგანაც განმცხადებელი და საბუთის ხელთმქონე ერთი და იგივე პირია. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ დოკუმენტების მიერ გადახდისუნარიანობის ნიშნების დაკარგვისა და მათი განმცხადებლის ხელში ყოფნის შემთხვევაში არ მოხდეს პუბლიკაციის გამოქვეყნება და სამი თვე მოცდა, არამედ საქმე განხილულ იქნეს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს ერთ თვეში. ჩვენი აზრით, ამასთან დაკავშირებით, უნდა მოხდეს სსკ-ის XXXIX თავის შევსება შემდეგი წესით: „განმცხადებლის ხელთ არსებულ საწარმდგენლო დოკუმენტზე, რომელმაც დაკარგა გადახდისუნარიანობის ნიშნები, უფლების აღდგენის შესახებ საქმეს სასამართლო განიხილავს განცხადების მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში, საბუთის გამცემი დაწესებულებისათვის (პირისათვის) ამ საბუთით ყოველგვარი გადახდისა და გაცემის წარმოების აკრძალვის შესახებ განჩინებისა და განმცხადებლის ხარჯზე ადვილობრივ პრესაში პუბლიკაციის შესახებ განჩინების გამოგანის გარეშე.

საქმეს დაკარგული საბუთის ბათილად ცნობის შესახებ სასამართლო განიხილავს პუბლიკაციის დღიდან 3 თვის ვადის გასვლის შემდეგ, თუკი საბუთის ხელთმქონისაგან არ შემოვიდა სსკ-ის 332-ე მუხლში აღნიშნული განცხადება. ამგვარად, ამ საქმეებზე სასამართლო განხილვა დამოკიდებულია გარკვეულ პირობაზე: იმისდა მიხედვით, გამოცხადდა თუ არა ხელთმქონე და როგორია მისი ურთიერთობა საწარმდგენლო დოკუმენტთან, წარმოიშობა რიგი პროცესუალური შედეგებისა, რომლებიც გამოხატავენ წარმოდგენილი განცხადების მომავალი ბედის თავისებურებებს.

შესაძლებელია სხვა ვარიანტი: ა) საწარმდგენლო საბუთის გამცემი დაწესებულება სასამართლოს აცნობებს იმის შესახებ, რომ ანაბარი გაცემულია გადახდისა და გაცემის წარმოების აკრძალვაზე გამოგანილი განჩინების მიღებამდე; ბ) დოკუმენტის ხელთმქონე წარმოადგენს მათ სასამართლოში და აცხადებს, რომ არა აქვს მასზე უფლება; გ) დოკუმენტის ხელთმქონე წარადგენს მას სასამართლოში, მაგრამ აცხადებს თავის უფლებას მასზე. პირველ ორ შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩი-

ნება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. ამას გარდა, მეორე შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩინება გადახდისა და გაცემის წარმოებაზე აკრძალვის გაუქმების შესახებ, ხოლო განმცხადებელს უბრუნებს ხელთმქონის მიერ წარდგენილ დოკუმენტს.

მესამე შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩინება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ და ადგენს ეადას, რომლის განმავლობაშიც ამ დოკუმენტის გამცემ დაწესებულებას ეკრძალება ყოველგვარი გადახდისა და გაცემის წარმოება. ეს ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს ორ თვეს, ხოლო მისი ათვლა იწყება განჩინების გამოგანის დღიდან. იმაედროულად, სასამართლო განუმარტავს განმცხადებელს მის უფლებას, აღძრას სარჩელი საბუთის გამოთხოვის შესახებ იმ პირის მიმართ, ვისაც ხელთა აქვს საბუთი, ხოლო ამ უკანასკნელს – მის უფლებას, გადაახდევინოს განმცხადებელს ზარალი, რაც გამოწვეულია აკრძალვის ღონისძიებებით.

თუკი პუბლიკაციის დღიდან 3 თვის გასვლის შემდეგ საბუთის ხელთმქონე არ განაცხადებს საბუთზე თავისი უფლებების შესახებ, სასამართლო საქმეს განიხილავს არსებითად.

შესაძლო ხელთმქონისაგან თავისი უფლებების შესახებ განცხადების არარსებობა არ წარმოადგენს განმცხადებლის უფლების პირდაპირ მტკიცებულებას. ეს ფაქტი შეიძლება განხილულ იყოს როგორც არაპირდაპირი მტკიცებულება, რომელიც წარმოშობს უფლებას, მაგრამ მას არ მიეყვართ დაკარგული დოკუმენტის ბათილად ცნობის და მასზე უფლების აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების გამოგანის აუცილებლობასთან. ამიგომ სასამართლომ, დოკუმენტის დაკარგვის გარემოებების დადგენის გარდა, ყოველმხრივ უნდა შეამოწმოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ დაკარგულ დოკუმენტზე განმცხადებლის უფლებას.

ამისათვის აუცილებელია იმ ფაქტების გამოკვლევა, რომლებიც ემსახურებოდნენ ანაბარზე წარმომდგენის უფლების წარმოშობას. ეს ფაქტები იურიდიულ ლიგერატურაში განისაზღვრება როგორც უფლებაწარმომშობი. გამოწვევითი წარმოების საქმეებზე მათ განეკუთვნება ანაბრის შეტანის, დოკუმენტის გამცემი დაწესებულების არსებობისა და პირადი ანგარიშის ფაქტები, რომელთა განმასხვავებელი ნიშნებიც უნდა შეესაბამებოდეს დაკარგული დოკუმენტების განმასხვავებელ ნიშნებს: ანაბრის შეტანის თარიღი, ანაბრის ოდენობა, დარჩენილი ანაბრის ოდენობა, საშემოსავლო და საგასავლო ოპერაციების რაოდენობა.

სასამართლო ვალდებულია, დაადგინოს ამ ნიშნების უცუუარობა, რადგან მათი უქონლობა გამოიწვევს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. ამასთან ერთად, დაკარგულ დოკუმენტზე თავისი უფლების შესახებ სხვა პირებისაგან სასამართლოში განცხადების ჩაუბარებლობა და საკრედიტო დაწესებულებაში მითითებული ნიშნებით ანაბრის არსებობა წარმოადგენს მტკიცებულებას იმისას, რომ დაკარგულ საწარმდგენლო დოკუმენტზე ანაბრის უფლება ეკუთვნის განმცხადებელს.

საქმის სწრაფად და დროულად გადაწყვეტისა და განხილვის ერთ-ერთი პროცესუალური გარანტიაა საქმეთა განხილვის კანონით დადგენილი ვადები. სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, ყველა სამოქალაქო საქმეს, კანონით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა, სასამართლოები განიხილავენ განცხადების მიღებიდან არა უგვიანეს ორი თვისა.

დაკარგულ საწარმდგენლო ღოკუმენტზე უფლების აღდგენის შესახებ საქმეს ასევე განხილულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ორი თვისა, მაგრამ რამდენადაც ისინი განხილვას ექვემდებარებიან უდავო წარმოების წესით, გამოწვევითი წარმოების საქმის განხილვის დროდ მიიჩნევა პუბლიკაციის სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგი დღიდან გადაწყვეტილების გამოტანამდე პერიოდი. ეს თავისებურება მხოლოდ ამ კატეგორიის საქმეთათვის არის დამახასიათებელი.

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც გამოწვევითი წარმოების საქმის განხილვა ხდება პუბლიკაციის გამოქვეყნების დღიდან სამთვიანი ვადის გასვლამდე. აღნიშნული მოქმედებები იწვევენ ღოკუმენტის ხელთმქონის უფლებების აშკარად დარღვევას. სამთვიანი ვადის იურიდიული მნიშვნელობა გამოიხატება იმით, რომ ის არის ვადა, რომლის განმავლობაში ხელთმქონეს შეუძლია, განაცხადოს ღოკუმენტზე თავისი უფლება.

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სასამართლოები ზედაპირულად იკვლევენ საქმის იმ გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა გააჩნიათ დაკარგულ ღოკუმენტზე უფლების აღსადგენად. საქმეები განიხილება საბუთის გამცეში დაწესებულებისათვის შეტყობინების გარეშე, გადაწყვეტილება გამოაქვთ მხოლოდ განმცხადებლის ახსნა-განმარტების საფუძველზე, ხშირად ხდება უდავო წარმოების არევა სასარჩელო წარმოებასთან – განმცხადებელი იწოდება მოსარჩელედ, საბუთის გამცეში დაწესებულება მოპასუხედ ან მესამე პირებად.

აღნიშნული პროცესუალური შეცდომების შესახებ არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს, რომ საქმეში მონაწილე რომელიმე პირის არასწორად დასახელება მოწმობს არა მარტო პროცესის დაბალ კულტურაზე, არამედ მის ცალკეულ მონაწილეებს აყენებს გაურკვეველ პროცესუალურ მდგომარეობაში, ვინაიდან ლახავს პროცესუალურ უფლებებს, ან პირიქით, სხვებს უსაფუძვლოდ ანიჭებს ამ უფლებებს.

გამოწვევითი წარმოების საქმეებზე სასამართლოს გადაწყვეტილება არის ერთადერთი და საბოლოო აქტი, რომლითაც არსებითად წყდება დაკარგულ საწარმდგენლო ღოკუმენტზე განმცხადებლის უფლების შესახებ საკითხი. გადაწყვეტილება სავალდებულოა საბუთის გამცეში დაწესებულებისათვის და განმცხადებლისთვის ანაბრის მიღების ან ახალი ღოკუმენტის გაცემის საფუძველია.

ზვიად გაბისონია

იურიდიულ მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი

«საჯარო წესრიგის» ცნების გამოყენების ზოგიერთი საკითხი საქართველოს კერძო სამართლის დოქტრინაში

თანამედროვე საერთაშორისო კერძო სამართლის (შემდგომში „სკს“) დოქტრინა კოლიზიური ნორმის შეზღუდვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად „საჯარო წესრიგის“ შესახებ დათქმას მიიჩნევს.

„საჯარო წესრიგის“ ცნება (*ordre public, public policy, öffentliche Ordnung, Vorbehaltsklausel*) ცნობილია თითქმის ყველა ქვეყნის სკს-ისათვის, მაგრამ მისი შინაარსი არც დოქტრინით, არც სასამართლო პრაქტიკითა და არც კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის¹. აღნიშნული დათქმის დანიშნულებაა, შეზღუდოს კოლიზიური ნორმის მოქმედება და გამორიცხოს უცხო ქვეყნის იმ კანონის გამოყენება, რომელიც შეუსაბამოდ მიიჩნევა მოცემული ქვეყნის საჯარო წესრიგისადმი². აღნიშნული დათქმა შეიძლება ერთგვარ დამცავ ფაქტორადაც ჩაითვალოს, ვინაიდან კოლიზიური ნორმები ხშირად უცხო ქვეყნის კანონთა განუსაზღვრელი წრის გამოყენებისკენაა მიმართული.

საჯარო წესრიგის შესახებ დათქმა მიმართულია იმ კოლიზიური ნორმის შესაზღუდად, რომელიც მიუთითებს უცხო ქვეყნის კანონის გამოყენებაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი უცხო ქვეყნის კანონი, რომელზეც მიუთითებს კოლიზიური ნორმა, არ უნდა იქნეს გამოყენებული. აღნიშნული შეზღუდვის მიხედვით, ქვეყნის სასამართლოებმა არ უნდა გამოიყენონ ისეთი უცხოური კანონი, რომელიც არღვევს, ან ეწინააღმდეგება მოცემული სახელმწიფოს საჯარო წესრიგს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო წესრიგის შესახებ დათქმა უცხოური სამართლის იგნორირებას (არაღიარებას) კი არ ნიშნავს, არამედ მიუთითებს მისი გამოყენების შეუძლებლობაზე³. ამასთან, საჯარო წესრიგის შესახებ დათქმა არის სკს-ის ისეთი კატეგორია, რომელიც აღკვეთს უცხოურ სამართლებრივ წესრიგზე კოლიზიური მითითებით გამოწვეულ ნეგატიურ შედეგებს. ამგვარ მიდგომას იზიარებს მსოფლიო ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა.

¹ თენგიზ ლილუაშვილი, საერთაშორისო კერძო სამართალი, თბ., 2001, გვ. 42.

² В.П. Звекон, Международное частное право, М., 1999, с. 150.

³ Г. Федосеева, Мсждународное частное право, М., 1999, с. 95.

მემოალნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია შემდეგი დასკვნის გაკეთება: ა) არ შეიძლება საუბარი საჯარო წესრიგის ცნების გამოყენებაზე იმ კოლიზიური ნორმის გარეშე, რომელიც მიუთითებს უცხო ქვეყნის სამართლის ნორმის გამოყენებაზე; ბ) უცხო ქვეყნის სამართლის არ გამოყენება ან/და უცხო ქვეყნის კანონის გამოყენებით სუბიექტური უფლებების არაღიარება დაკავშირებულია მათი შესაძლო გამოყენების ნეგატიურ შედეგებთან¹.

ისეთი ნორმების გამოყენების შეზღუდვა, რომლებიც ეწინააღმდეგებიან „მორალს“, „კეთილ ნებას“, ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან არის ცნობილი. მისი პირველი ჩანასახები გლოსაგორების მოძღვრებაში უნდა ეეძიოთ. ასე, მაგალითად, ცნობილი გლოსაგორი ბართოლომეოსი ერთმანეთისაგან მიჯნავდა ორი ტიპის სტატუსს: პირველი ტიპის სტატუსი მოქმედებდა მხოლოდ იმ ქალაქის ტერიტორიაზე, რომელმაც იგი გამოსცა; მეორე ტიპის სტატუსს კი გააჩნდა ექსტერიტორიული ხასიათი – იგი შეიძლებოდა სტატუსის მიმღები ქალაქის ფარგლებს გარეთაც ყოფილიყო გამოყენებული. შესაბამისად, პირველი ტიპის სტატუსები ხასიათდებოდნენ მკაცრად განსაზღვრული ტერიტორიული ხასიათით, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი შეიძლება მიეკუთვნოთ საჯარო წესრიგის ცნებაში შემავალ ნორმებს. ამის მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ ჯერ კიდევ გლოსაგორებამდე ცნობილი ნორმა, რომლის მიხედვითაც ქალს არ ჰქონდა მემკვიდრეობითი უფლებები.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, გლოსაგორების პერიოდის შემდგომ საჯარო წესრიგის ცნებას თეორიული და პრაქტიკული ვაზრცელება არ მოჰყოლია. ამის ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ შუა საუკუნეების სამართალში ძირითადად მოქმედებდნენ ე.წ. პროვინციათაშორისი კოლიზიები, რომლებიც, როგორც წესი, გამორიცხავდნენ უცხო ქვეყნის სამართლის გამოყენებას.

საჯარო წესრიგის ცნების შემდგომი განვითარება დაკავშირებულია ცნობილი ჰოლანდიელი პოსტგლოსაგორის (კომენტატორის), ულრიკ ჰუბერის სახელთან. მისი ცნობილი მესამე პრინციპის მიხედვით: „სუვერენებმა უნდა იმოქმედონ კეთილი ნების საფუძველზე იმგვარად, რომ ერთი სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში შექმნილმა უფლებებმა თავისი ძალა ყველგან შეინარჩუნონ, მხოლოდ იმ პირობით, რომ მიანი არ მიაღებდნენ მოცემული ქვეყნის ან მის ქვეშევრდომთა ძალაუფლებასა და უფლებებს“.

უნდა აღინიშნოს, რომ „საჯარო წესრიგის“ ცნების კლასიკური კონცეფცია ფრანგულმა სამართალმა ჩამოაყალიბა. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის (ნაპოლეონის კოდექსი) მე-6 მუხლი ითვალისწინებს, რომ არ შეიძლება კერძო ხასიათის შეთანხმებებით დაიშვას იმ კანონის გამოყენება, რომლითაც დაინტერესებულია სახელმწიფოს საჯარო წესრიგი და კეთილი ნება. აღნიშნული ნორმის შემოღების ძირითადი მიზანი იყო, მიეთითებინა საფრანგეთის იმგვარი კანონმდებლობის არსებობაზე, რომელიც ზღუდავდა კერძო შეთანხმებებით უცხო ქვეყნის კანონთა გამოყენებას. ფრანგული საერთაშორისო კერძო სამართლის დოქტრინა ამგვარ

¹ Международное частное право. Современные проблемы, М., 1994, с. 463.

კანონებს „შიდა“ ანუ „ნაციონალურ“ საჯარო წესრიგს უწოდებს (ordre public interne). პრაქტიკამ დაადგინა, რომ „შიდა საჯარო წესრიგის“ ძალით, არ შეიძლება შეთანხმებით ზიანის მიყენების ანაზღაურების, იურიდიული ფაქტების დადგენისა და სხვა საკითხების მოწესრიგება. მოგვიანებით ფრანგულმა სასამართლო პრაქტიკამ აღიარა, რომ „საჯარო წესრიგის“ მარეგულირებელი კანონები კრძალავენ თვით ფრანგული კოლიზიური ნორმების გამოყენებას, მიუთითებენ რა უცხო ქვეყნის იმგვარი მატერიალური ნორმების გამოყენებაზე, რომლებიც საფრანგეთის საჯარო წესრიგს ეწინააღმდეგებიან. ამგვარ საჯარო წესრიგს ფრანგულ სკს-ის დოქტრინაში „საერთაშორისო საჯარო წესრიგი“ (ordre public international) ეწოდება.

ფრანგული დოქტრინის მსგავსად, სკს-ის იტალიური დოქტრინა, რომლის თანამედროვე თეორიის ფუძემდებლად პასკუალე სტანისლაო მანჩინი ითვლება, საჯარო წესრიგის კონცეფციას, „მოქალაქეობისა“ და „ნების ავტონომიის“ პრინციპებთან ერთად, მიიჩნევს იმ სამ ფუნდამენტურ ქვაკუთხედად, რომელთაც ეფუძნება მთლიანად საერთაშორისო კერძო სამართალი. საჯარო წესრიგის პრინციპისადმი ამგვარი მიდგომა დამკვიდრდა 1865 წლის იტალიის სამოქალაქო კოდექსში (Codice Civile-ში). იგი აისახა, აგრეთვე, ესპანეთის, პორტუგალიის, ბრაზილიისა და არგენტინის სკს-ის დოქტრინებში.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ვერც საფრანგეთისა და ვერც იტალიის კოლიზიონისტებმა ვერ შეძლეს, მოეყათ საჯარო წესრიგის მარეგულირებელ კანონთა მუსტი ჩამონათვალი. მაგალითად, ცნობილი ფრანგი კოლიზიონისტი პილე საჯარო წესრიგის ცნებაში გულისხმობდა იმ კანონთა ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფდა „სოციალურ თანასწორობასა და წესრიგს“. ამგვარ კანონებს ის მიაკუთვნებდა სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის მარეგულირებელ ნორმებს, ფულის მიმოქცევის შესახებ კანონმდებლობას, დაბოლოს, მორალის წესებს.

ამგვარ მიდგომას, ცხადია, მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდნენ. ამ თეორიის კრიტიკოსები მიუთითებენ, რომ ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში (გარდა მორალის წესებისა) საუბარია იმგვარ იმპერატიული ხასიათის ნორმებზე, რომლებიც საერთოდ გამორიცხავენ კოლიზიური პრობლემის დასმას. გარდა ამისა, აღნიშნული ურთიერთობები საჯარო ხასიათისაა და, შესაბამისად, ვერ იქნება გამოყენებული სკს-ის კოლიზიური ნორმები.

უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო წესრიგის მარეგულირებელ კანონთა მუსტი განსაზღვრის ცდები შემდგომშიც უშედეგოდ განხორციელდა. ამიტომაცაა, რომ, როგორც ზოგიერთი კოლიზიონისტი შენიშნავს, ყოველი ცდა საჯარო წესრიგის ცნების ამომწურავი განსაზღვრისა უნდა ჩაითვალოს გულუბრყვილობად¹.

იმის გამო, რომ საფრანგეთის სკს-ის დოქტრინა და კანონმდებლობა მუსტად არ განსაზღვრავს საჯარო წესრიგის ცნებას, სასამართლოებს ეძლევათ მისი ინტერპრეტირების საშუალება. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ფრანგული სასამართლო პრაქტიკა, საზოგადოდ, გამოირჩევა თავისი

¹ W. Niederer, Einführung in die allgemeinen Lehren des IPR, Zürich, 1956, S. 287.

მკაცრი დამოკიდებულებით უცხო ქვეყნის კანონმდებლობის გამოყენებისადმი. ეს განსაკუთრებით შეეხება იმ საქმეებს, რომლებიც დაკავშირებულია საქორწინო-საოჯახო სამართლებრივ სფეროსთან (ქორწინებისა და განქორწინების წესები, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების სამართლებრივი მდგომარეობა, შეილება და ა.შ). უცხო ქვეყნის კანონები, რომლებიც აღნიშნულ სფეროში უფრო მარტივ სამართლებრივ რეჟიმს აწესებდნენ, ვიდრე საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი, იზღუდებოდნენ „საჯარო წესრიგის“ დათქმამე მითითებით, ხოლო ფრანგულ კანონმდებლობაზე უფრო მკაცრ უცხოურ კანონებს არ შეხეყდრიათ წინააღმდეგობა *ordre public*-ისაგან. ამასთან დაკავშირებით ცნობილი ფრანგი კოლიზიონისტი ბატიფოლი აღნიშნავს, რომ ფრანგული სასამართლოები „ბოროტად იყენებდნენ საჯარო წესრიგის სამართლებრივ კატეგორიას და იგი არ შეესაბამებოდა ფრანგულ კოლიზიურ ნორმებს“¹. აღნიშნულთან მიმართებით საინტერესოა საფრანგეთის სასამართლოების დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის მიერ ნაციონალიზებულ ქონებასთან დაკავშირებულ საქმეთა განხილვისადმი. მაგალითად, საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს 1928 წლის გადაწყვეტილებით, „*Ропит*“²-ის საქმეზე უარი ეთქვა საბჭოთა მთავრობის მოთხოვნას თეთრგვარდიელთა მიერ საზღვარგარეთ გაყვანილი ნაციონალიზებული საზღვაო ხომალდების დაბრუნებაზე. მსგავსი გადაწყვეტილებების მოძიება მრავლად შეიძლება საფრანგეთის სასამართლოების პრაქტიკაში³. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნო, რომ საფრანგეთის სასამართლოებმა ზოგიერთ შემთხვევაში მხარი დაუჭირეს საბჭოთა კავშირის მიერ განხორციელებულ ნაციონალიზაციას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა მაგალითი ფრანგული სასამართლო პრაქტიკიდან, რომელიც შეეხება ცნობილი რუსი მეცენატის ი. შჩუკინის სურათების კოლექციას. 1918 წელს რუსეთის მიერ ნაციონალიზებულ იქნა შჩუკინის სამხატვრო გალერეა. 1954 წელს, როდესაც აღნიშნულ კოლექციაში შემავალი პიკასოს სურათები წაიღეს გამოფენაზე, პარიზში, მეცენატის ქალიშვილმა ე. შჩუკინა-კელერმა სარჩელით მიმართა საფრანგეთის სასამართლოს და მოითხოვა მამის კოლექციის დაბრუნება. საფრანგეთის სენის დეპარტამენტის სასამართლომ უარი განაცხადა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და მიუთითა, რომ ამ შემთხვევაში „არ შეუძლებელია საფრანგეთის საჯარო წესრიგი, რადგანაც აღნიშნულ სურათებზე საკუთრების უფლება დიდი ხნის წინ შეიძინა უცხოურმა სუვერენულმა სახელმწიფომ თავისი ქვეყნის მოქალაქისაგან თავის გერიტორიაზე და საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობის საფუძველზე.“

მსგავსად ფრანგული სამართლისა, გერმანული სკს-ის დოქტრინაც საჯარო წესრიგის ცნებას „ელასტიკურ პარაგრაფად“ მიიჩნევს, რომელიც სასამართლოს ანიჭებს შესაძლებლობას, გააფართოოს ან შეკუცოს მისი

¹ Л.А. Луни, Международное частное право, М., 1970, с. 273.

² Ропит – Российское общество пароходства и торговли.

³ Breer, Die Anwendung des sowjet-russischen Rechts in der Praxis der deutschen, französischen und englischen Gerichte, Würzburg, 1933.

შინაარსი და მოქმედების ფარგლები. ჯერ კიდევ ცნობილი გერმანელი ცივილისტის საეინის დროს გერმანულ თეორიაში აღიარებული იყო, რომ საჯარო წესრიგის დათქმაზე მითითება და მისი გამოყენება უნდა ყოფილიყო მიჩნეული გამონაკლისად, ანომალიად. საეინიმ ნაციონალური სამართლის იმპერატიული ნორმები (ius cogens) გამიჯნა ორ სახედ. პირველ რიგში იგი გამოყოფდა იმპერატიულ ნორმებს, რომლებიც ეხებოდნენ მხოლოდ უფლებათა მაგარებელ პირთა ინტერესებს; მეორე მხრივ კი იგი საუბრობდა ისეთ ნორმებზე, რომლებიც ეხებოდნენ არა მარტო კონკრეტულ პირთა წრეს, არამედ საზოგადოების საჯარო ინტერესებს და მორალურ საფუძვლებს. საეინის აზრით, იმპერატიული ნორმების პირველი კატეგორია არ გამოიყენება იმ შემთხვევებში, რომლებიც კოლიზიური მითითებით უშეებს უცხო ქვეყნის სამართლის სისტემის გამოყენებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აღნიშნული ნორმები არ სასიათლებიან ისეთი კატეგორიულობით, რომ ყველანაირ ვარიანტში გამორიცხონ უცხო ქვეყნის სამართლის ნორმების გამოყენება. ამავე დროს, მეორე კატეგორია იმპერატიული ნორმებისა გამოიყენება ყველა შემთხვევაში და იგი გამორიცხავს უცხო ქვეყნის სამართლის გამოყენებას¹. ამიტომაც გერმანულმა სამართალმა განაეითარა ფრანგულ-იტალიურისაგან განსხვავებული საჯარო წესრიგის ცნების გაგების ნეგატიური კონცეფცია², რომელიც შემდგომში აისახა საბერძნეთის, ბრაზილიის, ეკვიპტის, სირიისა და სხვა ქვეყნების სპეციალურ კანონმდებლობაში³.

უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო წესრიგის ცნების ის კონცეფცია, რომელიც აისახა გერმანიის იმდროინდელ კანონმდებლობაში, არ იყო ამომწურავად ფორმულირებული, რაც სასამართლოებს აძლევდა მისი თავისუფალი ინტერპრეტაციის საშუალებას. იმდროინდელი რაიხის სასამართლოს (Reichsgericht) გადაწყვეტილებებში მითითებული იყო, რომ არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული ის პოლიტიკური და სოციალური კონცეფციები, რომლებსაც ეყრდნობოდნენ კოდიფიცირებული კანონები (უცხოური და გერმანული). აღნიშნული იმდენად არსებითი იყო, რომ უცხო ქვეყნის კანონის გამოყენება უშუალოდ ეხებოდა გერმანიის პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების საფუძვლებს⁴.

თანამედროვე პირობებში საჯარო წესრიგის შესახებ დათქმას ითვალისწინებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის მე-6 მუხლი. აღნიშნული მუხლის მიხედვით, „არ გამოიყენება სხვა ქვეყნის სამართლის ნორმა, თუ მისი გამოყენება არღვევს გერმანული სამართლის საჯარო წესრიგის საფუძვლებს. იგი არ გამოიყენება, აგრეთვე, იმ შემთხვევაში, თუ მითითება ეწინააღმდეგება ძირითად უფლებებს“⁵. აღნიშნული პრინციპის საფუძველზე იქნა მიღებული გერმანიის ფედერალური სასამართლოს 1992

¹ M. Wolff, *Международное частное право*, М., 1948, с.188.

² P.H. Neuhaus. *Die Grundbegriffe des IPR.*, Berlin, Leipzig, 1932, S. 261. G. Kegel. *Internationales Privatrecht*, München, 1964, S. 184.

³ Leberout-Pigeonniere, *Droit International Prive*, Dalloz, 1959, S. 378.

⁴ A. Nussbaum, *Deutsches Internationales Privatrecht*, Tübingen, 1932, S. 65.

⁵ *Bürgerliches Gesetzbuch.*, Beck-Texte im dtv, 48. Aufl., 2001, S. 438.

წლის 14 ოქტომბრის გადაწყვეტილება „ვალაიაგის“ საქმეზე, რომელიც ეხებოდა არასრულწლოვან შვილებზე მშობლების მზრუნველობისა და აღმზრდელის დანიშვნის საკითხებს¹.

კონტინენტური ევროპის ქვეყნებთან შედარებით, საჯარო წესრიგის შესახებ დათქმა (public policy) ინგლისურ-ამერიკულ დოქტრინასა და პრაქტიკაში შედარებით ნაკლებ როლს ასრულებს. ამის ძირითადი მიზეზია ის, რომ იმ ინსტიტუტების რეგულირება, რომლებიც ევროპაში მოქალაქეობის პრინციპის კოლიზიური ნორმის გამოყენებით რეგულირდება, საერთო სამართლის სისტემის მქონე ქვეყნებში ადგილობრივი მაგრიო-ალური სამართლის ნორმებით რეგულირდება. აშშ-ის სასამართლოები საჯარო წესრიგის ცნებას ძირითადად პოლიტიკურ, სოციალურ და სხვა ფაქტორთა გაგენით იყენებდნენ. მაგალითად, მე-19 საუკუნეში აშშ-ში აღნიშნული დათქმა ემსახურებოდა იმას, რომ ჩრდილოეთის შტატებს უარი ეთქვათ სამხრეთ შტატების იმგვარი კანონების გამოყენებაზე, რომლებიც განამტკიცებდნენ მონობას. აშშ-ის სამხრეთ შტატებში კი, თავის მხრივ, ბათილად აცხადებდნენ ჩრდილოეთ შტატებში რეგისტრირებულ ქორწინებას თეთრკანიანებსა და შავკანიანებს შორის.

სკს-ის ევროპული დოქტრინა „საჯარო წესრიგის“ ორ კონსეფციას აეთარებს – პოზიტიურსა და ნეგატიურს. პოზიტიური კონსეფციის (რომელსაც სხვაგვარად „ფრანკო-იტალიურ“ კონსეფციასაც უწოდებენ, მისი წარმოშობის ქვეყნების მიხედვით) თანახმად, საჯარო წესრიგის ცნება გულისხმობს სასამართლოს ქვეყნის მაგერიალურ-სამართლებრივი ნორმებისა და პრინციპების ერთობლიობას, რომლებიც გამორიცხავენ კოლიზიური ნორმების მეშეობით უცხო ქვეყნის სამართლის გამოყენებას, მისი თვისების მიუხედავად. ნეგატიური კონსეფცია (რომელსაც გერმანულ კონსეფციასაც უწოდებენ) ითვალისწინებს უცხოური სამართლებრივი ნორმის არგამოყენების საფუძველს, თვით აღნიშნული ნორმის თვისებიდან გამომდინარე. აღნიშნული პრინციპი პირველად სკს-ის გერმანულმა დოქტრინამ განაეითარა, რასაც შემდგომ მისი საკანონმდებლო განმტკიცება მოჰყვა. კერძოდ, იმ პერიოდში მოქმედი გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესაეალი კანონის 30-ე მუხლის მიხედვით, უცხო ქვეყნის კანონის გამოყენება გამოიციება, თუ აღნიშნული გამოყენება ეწინააღმდეგება გერმანული კანონის კეთილ ნებას ან მის მიზნებს.

როგორც აღინიშნა, „საჯარო წესრიგის“ ნეგატიურმა ანუ გერმანულმა კონსეფციამ საყოველთაო აღიარება მოიპოეა თანამედროეე სკს-ის დოქტრინებში. ამის ძირითადი მიზეზი კოლიზიური ნორმის საფუძველზე უცხოური სამართლის გამოყენების შექანიშმია. როგორც სკს-ის რუსული დოქტრინის წარმომადგენლები მიიჩნევენ, საჯარო წესრიგის შესახებ დათქმა კანონმდებლობაში შეიძლება მოქმედებდეს და ფიქსირდებოდეს მხოლოდ ნეგატიურ ვარიანტში. გარდა რუსეთისა, საჯარო წესრიგის შესახებ დათქმას კანონმდებლობით განამტკიცებს ევროპის ცალკეული სახ-

¹ Zivilsenat, Beschluß vom 14. Oktober 1992 in einem Sorgerechtsverfahren, XII ZB 1892, BGHZ 120, S. 29-38.

ელმწიფოებიც. მაგალითად, შეედეათის სამართლის მიხედვით, უარყოფილია უცხოური სამართლის დებულებათა გამოყენება, თუ მათი გამოყენება დაუპირისპირდება შეედეათის სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს. კერძოდ, უცხოეთის კერძო სამართლის ის დებულებები, რომლებიც აქემბენ დისკრიმინაციას რასისტული, ეთნიკური თუ რელიგიური ნიშნის მიხედვით, ვერ იქნებიან გამოყენებული შეედეათში. თანამედროვე პირობებში ფრანგული დოქტრინა პოზიტიურ კონცეფციასთან ერთად იყენებს საჯარო წესრიგის ცნების ნეგატიურ კონცეფციასაც.

გარდა ცალკეული შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა, საჯარო წესრიგის ნეგატიური კონცეფცია განმტკიცებულია საერთაშორისო კონვენციებშიც. ამის თეალსაჩინო მაგალითად უნდა იქნეს მიჩნეული რომის 1980 წლის კონვენცია სახელშეკრულებო ვალდებულებებში გამოსაყენებელი სამართლის შესახებ. კერძოდ, კონვენციის მე-16 მუხლის („ordre public“) თანახმად, „კონვენციის მიხედვით განსაზღვრული უცხო ქვეყნის სამართლის ნორმის გამოყენებაზე უარის თქმა არ დაიშვება, თუ აღნიშნული გამოყენება აშკარად შეუსაბამოა სასამართლოს ქვეყნის საჯარო წესრიგისათვის“¹. ის, თუ რა უნდა ჩაითვალოს „საჯარო წესრიგისადმი აშკარად შეუსაბამოდ“, უნდა გადაწყდეს მოცემული ქვეყნის სასამართლოს მიერ, ვინაიდან ხშირად ის, რაც შეუსაბამოა ერთი ქვეყნის საჯარო წესრიგისადმი, მისაღებია მეორე სახელმწიფოსათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სკს-ის შესახებ სპეციალურ კანონმდებლობაში „საჯარო წესრიგის“ ცნების გამოყენებას განსაზღვრავს რამდენიმე მუხლი. მაგალითად, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს 1998 წლის 29 აპრილის კანონის მე-5 მუხლის მიხედვით, „საქართველოში უცხო ქვეყნის სამართლის ნორმები არ გამოიყენება, თუ ეს ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს“. გარდა მემორალნიშნულისა, საჯარო წესრიგის შესახებ დათქმას ითვალისწინებს კანონის 63-ე, 64-ე და 68-ე მუხლები. ამასთან, საჯარო წესრიგზე ლაპარაკია არა მარტო საერთაშორისო კერძო სამართლის კანონში, არამედ საქართველოს სამოქალაქო კოდექსშიც. კერძოდ, კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „ჩვეულებანი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება სამართლისა და მნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს“.

საჯარო წესრიგის ცნების განსაზღვრის დოქტრინული მცდელობა ქართულ სამართალშიც განხორციელდა. კერძოდ, როგორც პროფ. ბ. გოიბე მიიჩნევს, მასში იგულისხმება სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტური პრინციპები, როგორცაა: საკუთრების, ხელშეკრულებისა და მეწარმეობის თავისუფლებანი და ა.შ. საჯარო წესრიგის დარღვევით ილახება არა მარტო ურთიერთობის ყველა მონაწილის უფლებები, არამედ იგი ვნებას აყენებს, პირველ რიგში, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს².

¹ Erik Jeame, Reiner Hausmann. Internationales Privat- und Verfahrensrecht. 10. Aufl., München, 2000, S. 151.

² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ., 1999, გვ. 178.

**სისხლისსამართლებრივი
სექცია**

ბრალი შეფასებითი ცნებაა

თანამედროვე იურიდიულ ლიგერატურაში ისევე სადავოდ ითვლება სისხლისსამართლებრივი ბრალის საკითხი. მეოცე საუკუნემდე თითქმის ერთსულოვნად იყო აღიარებული, რომ ბრალი ნიშნავს დამნაშავეს ფსიქიკურ დამოკიდებულებას საკუთარი ქმედებისადმი. ეს თეალსაზრისი თანდათან შეიცვალა და მიიჩნიეს, რომ ბრალი ნიშნავს დამნაშავეს ეთიკურად ან მორალურ-პოლიტიკურად გასაკიცხ ფსიქიკურ დამოკიდებულებას. შემდეგ ეს თეალსაზრისიც უარყვეს და ცნობილი გერმანელი კრიმინალისტების: რ. ფრანკის და ა. ეელცელის ზეგავლენით, ბრალის ცნება დამნაშავეს მხოლოდ გაკიცხვით შემოფარგლეს.

თავდაპირველად უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულმა კრიმინალისტიკამ: თ. წერეთელმა, ვ. მაყაშიელმა, ო. გამყრელიძემ, მ. უგრეხელიძემ, მ. ტურავამ, გ. კუტალიამ, გ. ნაჭყებია მეტად საგულისხმო მოსაზრებები გამოთქვეს სხენებულ პრობლემაზე.

ამ პრობლემით ჯერ კიდევ სკულენტობიდან დაინტერესდი. ამჯერად მკითხველს ამ მიმართულებით ჩემს მოსაზრებებს გაეცნობ.

თავდაპირველად მიზანშეწონილად მიმაჩნია ნათელყო ბრალის ცნების ფილოსოფიური სათავეები. აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ, განსაკუთრებით გერმანიაში დამკვიდრებული, აქსიოლოგიური თეორია. აქსიოლოგია, რომლის ფესვები თეორიული და პრაქტიკული გონების დაპირისპირებიდან მომდინარეობს, უპირატესად დაინტერესებულია შემეცნების პრობლემით მნიშვნელობისა (Geltens) და ღირებულების (Werte) სფეროში.

ბადენი ნეოკანტიანური სკოლის მამამთაყარი ვ. ვინდელბანდი ეყარებოდა კანტის იდეას იმის შესახებ, რომ ფილოსოფიის, როგორც მეცნიერების, დანიშნულებაა შემეცნების ფორმების კვლევა. ამისდა მიხედვით, ვ. ვინდელბანდმა ფილოსოფია მთლიანად ჩამოაყილა რეალური სამყაროს შესწავლას და იგი ჯერარსობით, ნორმატიული სფეროთი შემოფარგლა. ამ თეალსაზრისით მეტად ნიშანდობლივია სკოლის მეორე წარმომადგენლის გ. რიკერტის დებულება, რომ „ყოფიერების შესახებ ყველა მეცნიერებისათვის, მიუხედავად მათი განსხვავებისა, საერთოა ის, რომ ცდილობენ დაადგინონ, რაც არის და როგორ არის. თეორიული შემეცნება, როგორც მეცნიერება თეორიულ ღირებულებათა შესახებ, არასდროს არ არის ამდაკვარი საკითხებით დაინტერესებული. მისი ერთადერთი პრობლემა

არის ღირებულებანი, რომლებსაც უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა, რათა პასუხები ყოფიერებაზე (რა არის?) კითხვის შესახებ საერთო აზრისა იყოს¹.

სწორედ ასეთი თეოლოგიურ-მეფასებითი მეთოდის საფუძველზე გერმანელმა კრიმინალისტებმა: ე. ბელინგმა და, განსაკუთრებით გ. მაიერმა განიხილეს საკითხი დანაშაულის შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის შესახებ.

ბელინგი დანაშაულის შემადგენლობას წმინდა აღწერილობით, დესკრიფციულ ცნებად თვლიდა. ამის გამო მან ამ ცნებიდან გამორიცხა ბრალი და მართლწინააღმდეგობა. მისი აზრით, შემადგენლობა მოქმედების შინაარსის აღწერისას არ შეიცავს მართლწინააღმდეგობას. იმის დადგენა, რომ ქმედება შეესაბამება შემადგენლობას, შესაძლებელს ხდის, დავაყენოთ შემდეგი საკითხი – არის თუ არა ეს ქმედება მართლსაწინააღმდეგო?

ბელინგის მსგავსად მ. მაიერი დანაშაულის შემადგენლობას წმინდა ობიექტური თვალსაზრისით განიხილავდა, თუმცა მან მართლწინააღმდეგობა განსაზღვრა არა როგორც წინააღმდეგობა პოზიტიურ სამართალთან, არამედ როგორც წინააღმდეგობა კულტურის ნორმებთან.²

ამგერად ჩვენი მიზანია არა დანაშაულის შემადგენლობისა და მართლსაწინააღმდეგო ურთიერთობის საკითხის განხილვა, არამედ აღწერილობითი (დანაშაულის შემადგენლობა) და მეფასებითი (მართლწინააღმდეგობა) ცნებების თანაფარდობის გამოვლენა. აქ მთავარია, დავადასტუროთ აღწერილობითი და მეფასებითი ნიშნების ურთიერთობა ბრალის ცნებაში. მანამდე კი შევეცდებით, საერთოდ გავაშუქოთ აღწერილობითი და მეფასების ცნებების რაობა. ეს საჭიროა იმიტომ, რომ გადავწყვიტოთ საკითხი: ბრალი აღწერილობითი ცნებაა თუ მეფასებითი? თავდაპირველად საკითხის ისტორია.

როგორც თავშივე აღინიშნა, XIX საუკუნეში ბრალი ჩვეულებრივად განსაზღვრებოდა როგორც ფსიქიკური დამოკიდებულება ქმედებისადმი განზრახვის ან გაუფრთხილებლობის სახით. ბრალის ასეთ განსაზღვრებას უსათუოდ პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა ფეოდალური იუსტიციის თვითნებობასთან ბრძოლისა და კანონიერების საწყისების განმტკიცებისათვის. ეს დაკავშირებული იყო იმასთან, რომ გამარჯვებული ხელისუფლება ილაშქრებდა ფეოდალურ იუსტიციაში ფართოდ გავრცელებული ობიექტური მერყეადობის წინააღმდეგ. ბრალის ცნების აღნიშნული განსაზღვრება გულისხმობდა, რომ სასამართლოს პირის დამნაშავედ ცნობისას თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში დაედგინა მისი განსაზღვრული ფსიქიკური დამოკიდებულება ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებასთან. ამით გამოიხატებოდა პირის განსაზღვრული და ფორმალურ-სამართლებრივი გარანტიები.

XX საუკუნეში დასავლეთის სისხლისსამართლებრივ თეორიაში გაბატონდა ბრალის მეფასებითი კონცეფცია. ჩვეულებრივად ამ კონცეფციას უკავშირებენ გერმანელი კრიმინალისტის რ. ფრანკის 1907 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომს „ბრალის ცნების აგების შესახებ“. რ. ფრანკმა არასწო-

¹ Риккерт Г., Два пути познания, „Новые идеи философии“, 1918, №7, с. 52-57.

² Beling E., Die Lehre von Verbrechen, 1906, გვ.195.

³ об. Mayer M., Der Allgemeine Teil des deutschen Staatsrechts.

რად ჩათვალა მაშინ გაბაგონებული შეხედულება იმის შესახებ, რომ ბრალი ნიშნავს ფსიქიკურ დამოკიდებულებას ქმედებისადმი განზრახვის ან გაუფრთხილებლობის სახით. მისი აზრით, ბრალის ასეთი ცნება შეუძლებელს ხდის გამოვარკვევით, თუ რაგომ უნდა ჩაითვალოს ერთსა და იმავე დანაშაულში ბრალი უფრო მძიმედ, ხოლო სხვა შემთხვევაში შედარებით უფრო მსუბუქად. მისივე აზრით, განზრახვა და გაუფრთხილებლობა არ არის ბრალის ფორმები, ბრალი არ არის განზრახვისა და გაუფრთხილებლობის გვარობითი ცნება. ბრალის ცნების ერთ-ერთი ელემენტია განზრახვა ან გაუფრთხილებლობა. ბრალის ცნება მოიცავს აგრეთვე პირის შერაცხადობასა და დანაშაულის სხვა გარემოებებს. ამ ელემენტების გამაერთიანებლად და ყველაზე არსებითად იგი თელის გასაკიცხობას (Verwerbarkeit). ბრალი – ეს გასაკიცხობაა, ბრალეული ქმედებაა. შემდგომში ბრალის შეფასებითა თეორიამ ცვლილება განიცადა: განზრახვა და გაუფრთხილებლობა, აგრეთვე დანაშაულის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი განიხილებოდა არა ბრალის ელემენტებად, არამედ ნორმატიული შეფასების ობიექტად. საბოლოოდ, ბრალის ცნება განიხილებოდა მხოლოდ საყვედურად, მოსამართლის შეფასებით მსჯელობად.¹

თავის დროზე ბრალის შეფასებითი თეორია იდეოლოგიურად და პოლიტიკურად მიუღებელი აღმოჩნდა საბჭოთა სისხლის სამართლისათვის. აღნიშნავენ, რომ შეფასებითი თეორიით არ შეიძლება ბრალი ობიექტური სინამდვილის ფრაგმენტად, ფაქტად ვაღიაროთ. სასამართლო ამ თეორიის მიქედვით უარყოფითად აფასებს, კიცხავს დამნაშავეს ქმედებას, რომელიც ნორმატიულ მოთხოვნას ეწინააღმდეგება. ასეთი პოზიცია სასაყვედურს იღებდა „არსობასა“ და „კერარსობის“ ნეოკანგინური დაპირისპირებიდან. ნეოკანგინელთა აზრით, სამართლის სფერო მოიცავს ადამიანის ქცევის კანონიერ ან უკანონო აქტად შეფასებას. მართლსაწინააღმდეგო ქცევა მაშინ შეერაცხება პირს, როდესაც მას შეიძლება უსაყვედურონ, გაკიცხონ იმისათვის, რომ მან ჩაიდინა ეს ქმედება. უფრო მოგვიანებით განზრახვასა და გაუფრთხილებლობას, აგრეთვე დანაშაულის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს არ თვლიდნენ ბრალის ელემენტად. ისინი მიიჩნიეს ნორმატიული გაკიცხვის ობიექტად.

ბრალის შეფასებითი ცნება ფართოდ გავრცელდა დასავლეთის სამართლებრივ ლიტერატურაში. ამ თეორიას ემხრობოდნენ როგორც სამართლის ზოგადი თეორიის, ისე სისხლის სამართლის თეორიის წარმომადგენლები. შეფასებით თეორიას მხარს უჭერდა პ. კელმენი. მისი აზრით, ბრალი სრულიად თავისუფალია ფსიქოლოგიური შინაარსისაგან, იურისპრუდენცია საერთოდ უნდა განთავისუფლდეს ყოველგვარი აღწერილობითი ელემენტებისაგან, სამართლებრივი ცნებები უნდა იყოს ნორმატიული, შეფასებითი. ისინი უნდა გათავისუფლდნენ რეალური სინამდვილის ამსახველი შინაარსისაგან. სამართლებრივი ცნებები უნდა იყვნენ ნორმატიული, შეფასებითი, თავისუფალნი რეალური სინამდვილის გადმონაშთებისაგან. კელმენი იმ აზრისა იყო, რომ ბრალი კი არ არის სასჯელის შეფასების

¹ ob. Frank R., Über den Aufbau Schuldbegriffs, 1997.

წანამძღვარი, არამედ, პირიქით, რაკი სასჯელი შეეფარდა, ეს იმას ნიშნავს, რომ არსებობს ბრალი, როგორც ქვეყნის უარყოფითი შეფასება.

საბჭოურ სისხლისსამართლებრივ ლიგერატურაში ბრალის შეფასებითი თეორია განავითარა პროფ. ბ. უტევსკიმ, რომელმაც ამ პრობლემას სქელგანიანი მონოგრაფია მიუძღვნა.¹ ჩემი აზრით, მან ვერ გარისკა და მოლიანად ბრალი არ მიიჩნია შეფასებით ცნებად. იგი განასხვავებდა ბრალის ცნებას ვიწრო მნიშვნელობით, რომელიც მოიცავს განზრახვასა და გაუფრთხილებლობას, როგორც დანაშაულის სუბიექტურ მხარეს და ბრალს ფართო მნიშვნელობით. აქ იგი გულისხმობდა ბრალს როგორც სისხლის სამართლებრივ საფუძველს. ამტკიცებდა, რომ სწორედ ამ უკანასკნელის საფუძველზე წყდება პირის ბრალეულად ან უდანაშაულოდ ცნობის საკითხი.

საბოლოოდ, ბ. უტევსკი ასე განსაზღვრავდა ფართო მნიშვნელობით ბრალის არსებით ნიშნებს: 1) იმ სუბიექტურ და ობიექტურ გარემოებათა ერთობლიობა, რომლებიც ახასიათებენ განსასჯელს, მის მიერ ჩადენილ დანაშაულის შედეგს, პირობებსა და მოტივებს; 2) სოციალისტური სახელმწიფოს სახელით ყველა ამ გარემოების უარყოფითი საზოგადოებრივი (მორალური პოლიტიკური) შეფასება; 3) საბჭოთა სასამართლოს რწმენა, რომ განსასჯელის მოქმედების ამ შეფასებას უნდა მოჰყვეს სისხლისსამართლებრივი და არა სხვა (ადმინისტრაციული, დისციპლინური, სამოქალაქო სამართლებრივი) პასუხისმგებლობა.²

ამრიგად, პროფ. ბ. უტევსკის აზრით, ბრალის არსი ამოიწურება სასამართლოს შეხედულების თანახმად პირის მორალურ-პოლიტიკური გაკიცხვით. მოსალოდნელი კრიტიკისაგან იგი თავს იმით იცავდა, რომ ამ შემთხვევაში შეფასება არის პარტიული, ე.ი. შეფასდება მშრომელთა სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე.

დისკუსიამ, რომელიც ბ. უტევსკის თვალსაზრისმა გამოიწვია, მეტად მძაფრი ხასიათი მიიღო. დისკუსიის ბევრი მონაწილე მის მიმართ ყოველგვარ ბრალდებას, პოლიტიკურსაც არ ერიდებოდა. ამ დისკუსიას მეტად უარყოფითი შეფასება მისცა კომპარტიის იმდროინდელმა იდეოლოგმა პოსკრიბიშევმა. მან სკკპ XIX ყრილობაზე განაცხადა: იურისტებს ისე აურ-დაურიეს ბრალის საკითხი, რომ „Без вины не разобратся“.³

ასეთია საკითხის ისტორია. ახლა თავად აღწერილობითი და შეფასებითი ნიშნების რაობის შესახებ.

შემეცნების შედეგები, უპირველეს ყოვლისა, აისახება აღწერილობით, დესკრიფციულ მსჯელობაში. შემეცნების შემდეგ კი ღვინდება ის, თუ რამდენად მისაღებია, ან მიუღებელია ადამიანისათვის ობიექტური სინამდვი-

¹ იხ. Утевский, Вина в советском уголовном праве, М., 1950.

² ი ქ ე ე . გვ. 281-282.

³ იმდროინდელი პარტიული ხელისუფლების ასეთმა მკვეთრმა უარყოფითმა პოზიციამ გამოიწვია, რომ თითქმის აიკრძალა დისკუსიები და პუბლიკაციები ბრალის ნორმატიული თეორიის შესახებ. მაშინ, 1951 წელს მე სტუდენტი ვიყავი, განზრახული იყო სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომების კრებულის გამოქვეყნება. კრებულში უკვე აწყობილი იყო ჩემი მოხსენების თეზისები ბრალის შესახებ. სამწუხაროდ, იმდროინდელი ვითარების გამო ჩემი ხსენებული თეზისები აღარ გამოქვეყნდა.

ლე. აღწერილობითი მსჯელობა ასახავს მხოლოდ საგანს, ხოლო შეფასებით მსჯელობაში აისახება სუბიექტის დამოკიდებულება ობიექტისადმი, ე.ი. სუბიექტი ამ შემთხვევაში არ არის ფაქტების, მოვლენების მხოლოდ პასიური რეგისტრატორი. პროფ. ნ. ჭავჭავაძე აღნიშნავდა, რომ საგნის თეოლოგიური შეფასება ნიშნავს არა მისი ბუნებრივი თვისებების დადგენას (ვიზიანდან ბუნებრივი თეოლოგიური თვისებები უბრალოდ არ არსებობს), არამედ მის შეფასებას ისე, როგორც ის უნდა იყოს, ე.ი. კიმჩველთ მის შესახებ ჯერარსობის თეალსაზრისით, მისი შესაბამისობის მიხედვით ჯერარსობისა და არა არსობის მიმართ¹. რასაკვირველია, შეფასებითი მსჯელობის ანალიტიკური განსაზღვრება მეტად რთულია, მოგჯერ შეუძლებელიც კი. პოლონელ ლოგიკოსს გ. კოტარბინსკის ანალიტიკურ განსაზღვრებათა მეთოდების დასახასიათებლად მოტანილი აქვს „სულგრძელობის“ არისტიკული განსაზღვრება. ამ ცნების განსაზღვრების მიზნით არისტიკულ ესება საკითხს იმის შესახებ, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს სულგრძელ ადამიანად და აღნიშნავს, რომ სოკრატეს გიჟი სულგრძელად მიაჩნიათ, რადგან ამ კატეგორიის ადამიანები ინარჩუნებენ წონასწორობას ყველა შესაძლებელ ვითარებაში. აიაქსისა და ალიბიალეს გიჟის ადამიანები სულგრძელად მიაჩნდათ იმის გამო, რომ ისინი დაუსჯელად არ გოვებდნენ არცერთ შეურაცყოფას. გარდა ამისა, სულგრძელობას აქვს სხვა, თანაც ძირითადი აზრი. კერძოდ, სულგრძელად მიაჩნიათ ის ადამიანები, რომლებიც უანგაროდ, სამიშროების მიუხედავად უხეად უწევენ დახმარებას მათ, რომლებიც სარჩენად აიყვანეს, ამასთან, მაქსიმალური მოთმინებით და საკუთარი ღირსების გრძნობით არ ფიქრობენ სამაგიეროს მიზლვაზე მიყენებული შეურაცყოფის გამო².

მოგანილ მაგალითში გერმინი „სულგრძელი“ სულ სხედასხვა შინაარსისაა. ეს კი ქმნის დიდ გაუგებრობას. ამ გერმინის დასადაგენად ბევრი კონტექსტის ანალიზია საჭირო. როგორც ჩანს, მისი მუსტი განსაზღვრება შეუძლებელია.

ეს მაგალითი მხოლოდ იმიტომ მოვიგანე, რათა მეჩვენებინა შეფასებითი ცნების განსაზღვრების სიძნელე.

სამოგადოდ აღწერილობითი მსჯელობის ძირითადი ფუნქციაა ფაქტობრივი მღგომარეობის აღწერა. ასეთი ცნებებით სარგებლობენ აღწერილობითი მეცნიერებანი, სადაც წინა პლანზე დგას მსჯელობა ფაქტის შესახებ. მაგრამ, ვთქვათ, ბუნების კანონი, რომელიც აღწერილობითი მსჯელობის გიჟური მაგალითია, შეიცავს არა მარტო მიზეზშედეგობრივი კაეშირების აღწერას, არამედ იმავდროულად მოითხოვს სუბიექტურ განსაზღვრულ მოქმედებას.

პირიქით, ნორმატიული მსჯელობის ძირითადი ფუნქციაა მოთხოვნა, შეფასებით-ნორმატიული ფუნქცია. სწორედ იმის გამო, რომ ადამიანის აზროვნება აქცენგს აკეთებს აღწერილობით და შეფასებით მსჯელობათა ძირითად ფუნქციაზე, იქმნება ნიადაგი მათი ფარული, მაგრამ რეალური, თუმა მეორესხარისხოვანი ფუნქციის უარსაყოფად.

¹ Культура в свете философии, Тб., 1997, с. 58.

² об. Котбинский, Избр. произв., 1963, с. 631.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით ბრალის ძირითადი ფუნქციაა შეფასება. ესაა მათი მთავარი დანიშნულება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი თავისუფალია აღწერილობითი მომენტისაგან, ბრალი ნიშნავს გაკიცხვას, მაგრამ ეს გაკიცხვა ეფუძნება ფსიქიკურ დამოკიდებულებას, მოტივებს.

ამრიგად, ბრალის ძირითადი ფუნქციაა შეფასება, გაკიცხვას გულისხმობს, ეს არ ნიშნავს იმის უარყოფას, რაც ასეთი შეფასების საფუძველია.

მზია ლეკავიშვილი

*იურიდიულ მეცნიერებათა
კანდიდატი, პროფესორი*

გორა გაგულაშვილი

*იურიდიულ მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი*

საერთაშორისო დანაშაულის კოდიფიკაციის ზომიერთი ასპექტი

საერთაშორისო დამნაშავეობა თანამედროვე სამყაროს მეტად რთული და საშიში მოვლენაა. წინააღმდეგობრივი გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში იზრდება გრანსნაციონალური დამნაშავეობა. სწორედ ამით არის განპირობებული გაეროს სულ უფრო მზარდი ყურადღება ამ გლობალური პრობლემის მიმართ. გაერომ არაერთი რეზოლუცია მიიღო, რომლებიც ხაზს უსვამენ ორგანიზებულ საერთაშორისო დამნაშავეობის საშიშროებას და მიზნად ისახავენ მსოფლიო თანამეგობრობის თანამშრომლობის გაძლიერებას მასთან საბრძოლველად. საერთაშორისო დანაშაულთან ბრძოლაში გადამწყვეტი როლი ენიჭება სახელმწიფოთა თანამშრომლობას, ვინაიდან ნაციონალურ სამართლებრივ სისტემებს არ შეუძლიათ არსებითი წინააღმდეგობა და კონტროლი გაუწიონ მსგავსი მასშტაბის დანაშაულს. დამნაშავეობის ინტერნაციონალიზაციამ და მის წინააღმდეგ საბრძოლველად სახელმწიფოთა გაერთიანების აუცილებლობამ წარმოშვა სისხლის სამართლის ინტერნაციონალიზაციის გენდენციაც, რაც გულისხმობს სახელმწიფოთა სისხლისსამართლებრივი და პროცესუალური სისტემების დაახლოებას, ურთიერთთანამშრომლობის შესაძლებლობის გაზრდას. ამის ნათელი დადასტურებაა იმ საერთაშორისო კონვენციების რიცხვის ზრდა, რომლებიც ავალებებულებენ სახელმწიფოებს განსაზღვრული ქმედების კრიმინალიზაციას, სამართლებრივ ურთიერთდახმარებას, საერთაშორისო სისხლის სამართლის გრიბუნალების დაარსებას, რასაც სულ ახლახან შეემატა მუდმივმოქმედი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო პააგაში. 1998 წლის 17 ივლისს რომში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუსის შემცველი ხელშეკრულების ხელმოსაწერად გახსნილ პირველად მსოფლიო ისტორიაში სამართლებრივი საფუძველი ჩაეყარა მუდმივმოქმედი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განმხორციელებელი ორგანოს შექმნასა და ფუნქციონირებას. თუ აქამდე საერთაშორისო სისხლის სამართლის ნორმატიული

ლიზაცია ნაციონალური სისხლისსამართლებრივი სისტემის მეშვეობით ხდებოდა, ახლა მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლო შეიქმნა, რომელიც უშუალოდ გამოიყენებს საერთაშორისო სისხლის სამართლის ნორმებს. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო ახალ პერსპექტივას ქმნის საერთაშორისო დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

დღესდღეობით საერთაშორისო დანაშაულთან ბრძოლაში სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ძირითადი მაკოორდინებელი ცენტრი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაა. საერთაშორისო ხელშეკრულებათა პროექტებისა და ნორმაშემოქმედების სხვა ფორმების მომზადება გაეროს გენერალური ასამბლეის, მისი სამდივნოს, სხვა ორგანოებისა და სპეციალურ დაწესებულებათა კომპეტენციაში შედის. სწორედ მისი დამსახურებაა საერთაშორისო დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის ნორმატიული ბაზის განვითარება და ახალ საფეხურზე აყვანა, საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების, საყოველთაოდ აღიარებული ნორმებისა და სტანდარტების შემუშავება.

გაერომ ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო და დღესაც აგრძელებს საკოდიფიკაციო მუშაობას საერთაშორისო დანაშაულსა და მასთან ახლოს მდგომ საერთაშორისო ხასიათის სამართალდარღვევაზე. საერთაშორისო სისხლის სამართლის განვითარებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისია. ჯერ კიდევ 1947 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ სწორედ აღნიშნულ კომისიას დაავალა, მოემზადებინა კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კოდექსი, რომლის პირველი მოსმენით მიღება მხოლოდ 1991 წელს გახდა შესაძლებელი. ეს პროექტი გაეროს გენერალური მდივნის მეშვეობით განსახილველად დაეგზავნა სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებს.

ამიგომაც არის, რომ დღეს სისხლის სამართლის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ითვლება საერთაშორისო სისხლის სამართალი. მე-20-21-ე საუკუნეებში შეიმჩნევა განვითარებულ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის დაახლოების ტენდენცია. როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, მომავალში ინტენსიურად განვითარდება ამ ქვეყნების სისხლის სამართლის ნორმათა უნიფიკაციის პროცესი. ი. გოლიკის აზრით, ამ პროცესს უწეება ორი ძირითადი მიმართულება: 1. სხვადასხვა ქვეყნის სისხლის სამართლის ნორმების დაახლოება ურთიერთმისაღები, მსგავსი და ერთმნიშვნელოვანი დებულებების დადგენის მეშვეობით; 2. თანდათანობით სხვადასხვა სახელმწიფოში ერთობლივი საერთაშორისო სისხლის სამართლის ნორმების შემუშავება და პრაქტიკაში მათი დანერგვა. სისხლის სამართლის განვითარების კონვენციური გზა ის მაგისტრალური ხაზია, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ მიგვიყვანს სისხლის სამართლის საერთაშორისო საფუძვლების ფუნდამენტური სამართლებრივი აქტის შექმნასთან.¹

¹ Ю. В. Голик, Перспективы развития уголовного права; Уголовное право в XXI веке, Материалы международной научной конференции 2001 года, 2001.

მართლაც, გაეროს ძალისხმევითა და ხელშეწყობით საერთაშორისო სამართლის ნორმებით ნაციონალური სისხლის სამართლის შევსებამ გამოიწვია სამართლის სხვადასხვა სისტემის მქონე სახელმწიფოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის დაახლოება, კერძოდ: რომაულ-გერმანულის, საერთო სამართლის, მუსლიმური და სხვა. სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის მქონე ქვეყნების კანონმდებლობაში გაჩნდა ერთგვაროვანი ნორმები, თუმცა ბევრი რამ კვლავაც აზრთა სხვადასხვაობისა და დავის საგანია.

საერთაშორისო სამართალი და იურიდიული ლოქტრინა განასხვავებს ორი სახის საერთაშორისო დანაშაულს: 1) საერთაშორისო დანაშაული, რომლისთვისაც პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია საერთაშორისო სამართლით (იგი მოიცავს ისეთ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, როგორცაა: გენოციდი, დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ, ომის დანაშაული) და 2) საერთაშორისო ხასიათის დანაშაული (კონვენციური, გრანსნაციონალური დანაშაული), რომლისთვისაც პასუხისმგებლობა დადგენილია საერთაშორისო კონვენციებით. ეს არის მოგადი ხასიათის სამართალდარღვევები, რომლებიც სცილდება ერთი სახელმწიფოს საზღვრებს (იგი მოიცავს საერთაშორისო ტერორიზმს, იარაღისა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვას, სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, კონტრაბანდას, მეკობრეობას, ბირთვული მასალის გაგაცემას და სხვა).

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს პოპილია იმის თაობაზე, რომ საერთაშორისო დანაშაული და საერთაშორისო ხასიათის დანაშაული, გამომდინარე პირველის მაღალი სამოგადოებრივი საშიშროებიდან, უნდა განვასხვავოთ ხელყოფის ობიექტის მიხედვით. არსებობს საერთაშორისო მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა სხვა კლასიფიკაცია, რომელიც ეფუძნება სამართალდარღვევის სუბიექტს, ქმედების ჩადენის საშუალებას და სხვა კრიტერიუმებს.

პირველ რიგში უნდა განვიხილოთ საერთაშორისო დანაშაული. საერთაშორისო სამართლის კომისია სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ საკანონმდებლო პროექტსა და კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა პროექტზე მუშაობისას იყენებს „სახელმწიფოს საერთაშორისო დანაშაულისა“ და „კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა“ ცნებებს.

პროექტის მე-19 მუხლის თანახმად, დანაშაულთა პირველი კატეგორია განისაზღვრება როგორც საერთაშორისო საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული ინტერესის ხელყოფის შედეგად საერთაშორისო ვალდებულების დარღვევა, რომელიც საერთაშორისო საზოგადოების მიერ დანაშაულად განიხილება. ამ მუხლის მეორე პუნქტში მოცემულია არა მარტო საერთაშორისო დანაშაულის მოგადი ცნება, არამედ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა სანიმუშო ჩამოთვლა, რომლებიც საერთაშორისო დანაშაულად უნდა იქნეს განიხილული.

1996 წელს საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ მეორე მოსმენით მიღებულ კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კოდექსის პროექტში ხაზგასმულია, რომ კაცობრი-

ობის მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული საერთაშორისო სამართლის დანაშაულია და იგი დასჯადია მიუხედავად იმისა, ისჯება თუ არა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით.

ზოგიერთი მეცნიერი (მაგალითად, ვ. ვადაპალასი) დადებითად აფასებს გემოაღნიშნულ დანაშაულთა ორი კატეგორიის გამოჩენას. იგი თვლის, რომ შემუშავებულია ის კრიტერიუმი, რომელიც იძლევა შესაძლებლობას, გაიმიჯნოს კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, როგორც საერთაშორისო, ისე საერთაშორისო ხასიათის დანაშაულისაგან. მისი აზრით, ამგვარ კრიტერიუმს უნდა მიეკუთვნოთ ხელყოფის ობიექტი, ქმედების სუბიექტი და ქმედების საკვალიფიკაციო ნიშნები.¹

კ. კურისის აზრით, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის განსაკუთრებულმა საზოგადოებრივმა საშიშროებამ შექმნა ისეთი სპეციფიკური სამართლებრივი სიგუაცია, როდესაც ფაქტობრივად ერთი და იგივე ქმედება განისაზღვრება როგორც სახელმწიფოს საერთაშორისო დანაშაული, რაც იწვევს მის საერთაშორისო სამართლებრივ პასუხისმგებლობას, და როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, რის შედეგადაც ღებება ფიზიკური პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.²

საერთაშორისო დანაშაულსა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან შორის განსხვავება იმითაც საბუთდება, რომ ეს დანაშაულები წარმოადგენენ ორ სხვადასხვა იურიდიულ კატეგორიას და სამართლის სხვადასხვა სისტემას მიეკუთვნებიან: პირველი მიეკუთვნება საერთაშორისო სამართალს, მეორე – ნაციონალურ სისხლის სამართალს.

ნ. უშაკოვის აზრით კი, არაერთი განსაკუთრებული საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ არსებობს. ინდივიდები პასუხს აგებდნენ და აგებენ, ღდესაც და ალბათ მომავალშიც, ჩადენილი დანაშაულისთვის. არ არსებობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაკუთრებული სახე, მაგალითად, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისა. იგი არ არის დადგენილი, ვინაიდან საცესებით საკმარისია სისხლის სამართლის ნაციონალური სისტემების არსებული ფორმა.³

ნ. უშაკოვი თვლის, რომ როგორც საერთაშორისო აქტები, ისე მათი შემუშავების პროცესი იძლევა საფუძველს, დაეასკენათ, რომ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ორი ერთი და იმავე სახელწოდების აგრესიის, გენოციდის, აპარტეიდის და ა.შ. ცნება. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი თვლის, რომ აღნიშნული საერთაშორისო დანაშაულები წარმოშობენ როგორც სახელმწიფოთა, ისე ფიზიკური პირების საერთაშორისო სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ვ. პანოვი საერთაშორისო დანაშაულად თვლის საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების ადამიანური ცივილიზაციისათვის განსაკუთრებით სამიმ დარღვევას, რომელთაც ფუძემდებლური მნიშვნელობა

¹ Вадалпалас В. Д., Развитие института международно-правовой ответственности (международное право в современном мире, М., Международные отношения, 1991, с. 44.

² Курис П. М., Международные правонарушения и ответственность государства, Вильнюс, 1973, с. 126.

³ Ушаков И. А., Основания международной ответственности государств, М., 1983, с. 23.

აქეთ მშვიდობის უზრუნველსაყოფად, პიროვნებისა და მთლიანად საერთაშორისო სამოგალობრიობის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად¹.

ი. ლუკაშუკი და ა. ნაუმოვი საერთაშორისო დანაშაულად მიიჩნევენ ინდივიდის მიერ საერთაშორისო სისხლის სამართლის ნორმების ბრალეულ დარღვევას. ასეთი დანაშაული მოითხოვს საერთაშორისო ელემენტის არსებობას. ეს ელემენტი შეიძლება არსებობდეს თვით მართლსაწინააღმდეგო ქმედების ხასიათში, ხელყოფის ობიექტში ან შედეგში². ასეთი დანაშაული შეიძლება მიმართული იყოს მშვიდობისა და უშიშროების საერთო ინტერესების წინააღმდეგ, ანდა ცალკე აღებული უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ.

საერთაშორისო დანაშაულის კონცეფცია, შეიძლება ითქვას, საუკუნეების მანძილზე იხილებოდა და, შესაბამისად, თანდათან იხვეწებოდა. ამ სახის დანაშაულთან ბრძოლა განიხილებოდა როგორც ეროვნულ სამღერებს გამცლარი პრობლემა³. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1927 წელს ვარშაეაში გაიმართა პირველი საერთაშორისო კონფერენცია, მიძღვნილი სისხლის სამართლის უნიფიკაციის საკითხისადმი, რომელმაც საერთაშორისო მართლწესრიგის ხელმყოფ დანაშაულთა რიცხვს მიაკუთვნეს მეკობრეობა, ყალბი ფულის დამზადება; მონებით, ქალებით და ბავშვებით ვაჭრობა; ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა, პორნოგრაფია და სხვა დანაშაულები, რომელთათვისაც პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია საერთაშორისო კონვენციებით. მოგვიანებით კიდევ რამდენიმე საერთაშორისო ფორუმი ჩატარდა, რომლებმაც კვლავ იყო საერთაშორისო დანაშაულობასთან ბრძოლის შესახებ კანონმდებლობის უნიფიცირების მცდელობა. ამავე ფორუმზე გამოითქვა მოსაზრება, რომ საშიში საერთაშორისო სამართალდარღვევები ოფიციალურად დაყოფილიყო საერთაშორისო დანაშაულად და საერთაშორისო ხასიათის სისხლის სამართლის დანაშაულად.

არ შეიძლება დაეთანხმოთ ნ. უშაკოვის აზრს იმის თაობაზე, რომ საყოველთაოდ აღიარებული გერმინი – „საერთაშორისო დანაშაული“ – შეიცვალოს გერმინით – „საერთაშორისო ხასიათის სისხლის სამართლის დანაშაული“. მართალია, დოქტრინაში არსებობს გერმინი „საერთაშორისო ხასიათის დანაშაული“, მაგრამ მასში იგულისხმება ისეთი დანაშაულები, როგორცაა: მეკობრეობა, ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობა, მონათმფლობელობა, ფულის ნიშნების გაყალბება და სხვა. ამ სახის დანაშაულთან ბრძოლით დაინტერესებულია ყველა სახელმწიფო და მათ მიმართ დადგენილია უნივერსალური იურისდიქციის პრინციპი. ამისდა მიუხედავად, არ შეიძლება მათი გათანაბრება საერთაშორისო დანაშაულთან. ეს დანაშაულები საერთაშორისო ხელშეკრულებისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის, როგორც საერთაშორისო სამართლის დარგის, საგანს წარმოადგენენ.

ი. ფისენკო არ ეთანხმება იურიდიულ ლტერაგურაში გამოთქმულ პოზიციას იმის თაობაზე, რომ საერთაშორისო დანაშაული წარმოიშვა სი-

¹ В. П. Панов, Международное уголовное право, М., 1997, с. 53-67.

² И. И. Лукашук, А. В. Наутов, Мсждународное уголовное право, М., 1999, с. 69.

³ ქ. ხუციშვილი, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო – ახალი პერსპექტივა საერთაშორისო დანაშაულიან ბრძოლაში, „საერთაშორისო სამართლის ჟურნალი“, ტ. V, №1 2002, გვ. 31.

სხლის სამართლის დანაშაულიდან. ამ მოსაზრების სიმყარე კარგად ჩანს უმეტესი საერთაშორისო დანაშაულის წარმოშობის ისტორიიდან. მაგალითად, აგრესია, გენოციდი და სხვა დანაშაული პირველად დადგენილი იყო საერთაშორისო აქტით და მისი მიღების შემდეგ სდებოდა მათი შეგანა ნაციონალურ სისხლის სამართალში.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი საერთაშორისო დანაშაული ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდეც შეტანილი იყო ნაციონალურ სისხლის სამართლის კოდექსებში. ასეთი იყო, მაგალითად, „გეროროისტული აქტი უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლის წინააღმდეგ“ და „ომის პროპაგანდა“. მაგრამ, გასათვალისწინებელია ის, რომ გემოაღნიშნული ქმედებები შედიოდა სახელმწიფო დანაშაულებში, თუმცა იმის გამო კი არა, რომ სახელმწიფოს უზრუნველყო უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლების დაცვა. მისი მიზანი იყო და დღესაც არის თვით იმ სახელმწიფოს ინტერესის დაცვა, რომელსაც თავის სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული პქონდა ამ დანაშაულთა დასჯადობა, რათა ამგვარ ქმედებას უარყოფითად არ ემოქმედა მის საერთაშორისო ურთიერთობაზე.

საერთაშორისო მართლწესრიგის დაცვის სფეროში საერთაშორისო სამართლის ნორმებს უპირატესობა ენიჭებათ, სახელმწიფოთა ნაციონალურ კანონმდებლობას კი მეორეხარისხოვანი, დაქვემდებარებული მნიშვნელობა აქვს. საერთაშორისო სამართლის ნორმების მეშვეობით ხდება საზოგადოების არსებობის საფუძვლების დაცვა. ამიგომაც საერთაშორისო დანაშაულის ჩადენის შედეგად სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა სამართალდამრღვევსა და საერთაშორისო საზოგადოებას შორის.²

საერთაშორისო სისხლის სამართლის კოდიფიკაციის ოფიციალურ და საწყისად შეიძლება ჩაითვალოს 1945 წელს საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდების მიღება და მის საფუძველზე 1946 წელს ნიურნბერგში მთავარ სამხედრო დამნაშავეთათვის განაჩენის გამოცანა. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1946 წლის დეკემბერში სპეციალური რეზოლუციით საყოველთაოდ აღიარებულად ჩათვალა საერთაშორისო სისხლის სამართლის წესდების ის ნორმები, რომლებიც რეალიზებული იყო სამხედრო ტრიბუნალის განაჩენში.

საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდების მე-6 მუხლის საფუძველზე საერთაშორისო დანაშაული სამ ჯგუფად დაიყო: მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ომის დანაშაული და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. მასში ამ დანაშაულთა ჩამონათვალი ამომწურავი იყო. შემდგომში მას დაემატა ახალი დანაშაულები და ამასთან ერთად დაზუსტდა ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობა.

ნიურნბერგის პროცესის მიმდინარეობისას ამ დაყოფას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა პქონდა. საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა შემდეგ კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპის გამოყენება მშვიდობის

¹ И. В. Фисенко. Борьба с международными преступлениями в международном уголовном праве, Минск, 2000, с. 7.

² Курс международного права, в 7 т., т. 3. Основные институты международного права, М., 1990, с. 223.

წინააღმდეგ მიმართული შეთქმულების შემთხვევაში; ხოლო ომის დანაშაულსა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა მიმართ კი გამოიყენა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპი. კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების კოდექსის პროექტზე მუშაობისას ეს განსხვავება სასარგებლო იყო ცალკეული დანაშაულის მიმართ მიღგომის განსაზღვრავად, მაგრამ შემდგომში ამათგან ის შედეგი გამოიღო, რომ კოდექსის პროექტში შეტანილ იქნა მხოლოდ ორი მუხლი. ამათგან ერთი განსაზღვრავდა ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო ბრუნვას, როგორც დანაშაულს მშვიდობის წინააღმდეგ, მეორე კი იმავე დანაშაულს, როგორც დანაშაულს ადამიანურობის წინააღმდეგ.

არსებითად, გემოაღნიშნული სამი კატეგორიის დანაშაულთა შორის განსხვავების დადგენა უფრო გართულდა, ამიგომ კომისიამ 1991 წელს კოდექსის პროექტის პირველი მოსმენით განხილვისას დანაშაულთა ამგვარ დაყოფაზე უარი თქვა.

ცალკეული მეცნიერებისა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ საერთაშორისო დანაშაულთა კერძო კოდიფიკაციებში ფართოდ გამოიყენება ინდივიდებისა და სახელმწიფოს მიერ ჩადენილ დანაშაულთა ურთიერთკავშირის კრიტერიუმი.

იმ შემთხვევაში, თუ დანაშაული ჩადენილია სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ თავისი ოფიციალური ფუნქციის შესრულებისას, იგი პირდაპირ სახელმწიფოს შეერაცხება. სხვაგვარად წყდება საკითხი, თუ დანაშაული ჩადენილია იმ პირის მიერ, რომელიც არ წარმოადგენს სახელმწიფოს, არ არის სახელმწიფო აპარატის მოხელე, არ ასრულებს ოფიციალურ ფუნქციას და თავისი ინიციატივით მოქმედებს. პირის სახელმწიფოსთან ურთიერთკავშირის პრინციპი არსებობს იმ შემთხვევაშიც, თუ სახელმწიფო თავის იურისდიქციაში არსებული დანაშაულის მიმართ არ ასრულებს ვალდებულებას მისი აღკვეთის, შეწყვეტისა და დამნაშაულის დასჯის შესახებ და ამიგომ დამნაშაუესთან ერთად იზიარებს პასუხისმგებლობას.¹

ამჟამად საერთაშორისო სისხლის სამართალი ნორმატიულად რეგლამენტებულია გაეროს მრავალ აქტში. მაგალითად, 1990 წლის 14 დეკემბერს მიღებულ გაეროს 45/107 რეზოლუციაში სახელმწიფოებს მიეცათ რეკომენდაცია, გააქტიურებინათ ბრძოლა საერთაშორისო დამნაშაუეობის წინააღმდეგ, საერთაშორისო ურთიერთობებში კანონიერების დაცვისა და გამტკიცების გზით. ამასთან, სახელმწიფოებს წინადადება ეძლეოდათ, გადაეხედათ თავიანთი ნაციონალური კანონმდებლობებისათვის საერთაშორისო სისხლის სამართლის ნორმათა მოთხოვნებისადმი შესაბამისობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ორმოცდაათიანი წლების დასაწყისიდან სხვადასხვა სახელმწიფოს სისხლის სამართლის კოდექსებში სულ უფრო დაწვრილებით აწესრიგებენ საერთაშორისო დანაშაულის ჩადენისათვის პასუხისმგებლობის საკითხს.

¹ Bassiouni M. Ch. A Draft international Criminal Code and Draft statute for an international Criminal Court, Dordrecht, 1987, p. 56-57.

90-იან წლებში სხვადასხვა სახელმწიფოს მიერ მიღებულ ახალ სისხლის სამართლის კოდექსებში საერთაშორისო დანაშაულის ნორმები გამოყოფილია ცალკე თავად ან კარად. მაგალითად, 1992 წლის საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მეორე წიგნი იწყება კარით – „კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული“, რომელშიც ორი თავია გათვალისწინებული: გენოციდი და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაული. 1995 წლის ესპანეთის კოდექსმა 24-ე კარში გაითვალისწინა დანაშაული საერთაშორისო საზოგადოების წინააღმდეგ. მასში აისახა კაცობრიობის უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ნორმები, ნორმები გენოციდის შესახებ და ცალკე თავი ომის დანაშაულის შესახებ.

პოლონეთის რესპუბლიკის 1998 წლის სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი იწყება მე-16 თავით, სახელწოდებით – „დანაშაული მშვიდობის, ადამიანურობის წინააღმდეგ და ომის დანაშაულის“ შესახებ.

ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში 1997 წლის იანვრამდე პარადოქსული მდგომარეობა იყო. ერთი მხრივ, ხდებოდა საერთაშორისო დანაშაულის კონცეფციის ღრმა თეორიული დამუშავება, მეორე მხრივ კი, საერთაშორისო სისხლის სამართლის დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის საკითხის აშკარად არასაკმარისი მოწესრიგება. რუსეთის ფედერაციის 1996 წლის სისხლის სამართლის კოდექსმა ცალკე, დამოუკიდებელ მე-12 კარში 34-ე თავად გამოყო „დანაშაული კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ“. ამ თავში გათვალისწინებულია 8 ნორმა, რომელიც კლასიფიცირებულია სამ გჯგუფად: დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ; – ომის დანაშაული და დანაშაული კაცობრიობის უშიშროების წინააღმდეგ.

ბელარუსის 1999 წლის და უკრაინის 2001 წლის სისხლის სამართლის კოდექსები უფრო დაწვრილებით აწესრიგებენ საერთაშორისო დანაშაულთა კარს. ბელარუსის კოდექსში კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავით იწყება სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი. მე-6 კარი დასათაურებულია შემდეგნაირად: „დანაშაული კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ და ომის დანაშაული“. მასში 17 მუხლია, რომელიც კლასიფიცირდება ორ თავში: „დანაშაული კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ“ და „ომის დანაშაული და ომის წარმოების კანონებისა და ჩვეულებათა სხვა დარღვევა“.

რაც შეეხება საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსს, მასში მეთოთხმეტე კარის 47-ე თავი ეთმობა დანაშაულს კაცობრიობის წინააღმდეგ. იგი მოიცავს 10 მუხლს. 47-ე თავში გადმოცემულია კაცობრიობის მშვიდობისა, უშიშროებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის საწინააღმდეგო დანაშაულები. ამ დანაშაულთა მოთავსება სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ბოლოს აბსოლუტურად გაუმართლებელია, რამდენადაც იგი არ შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების პრიმატს, ასევე საერთაშორისო დანაშაულის საზოგადოებრივ საშიშროებას და არც საერთაშორისო სისხლის სამართლის განვითარების პერსპექტივას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ზოგიერთი საერთაშორისო დანაშაულისათვის დამახასიათებელია თავისებური ბლანკეტურობა. იგი მიუთითებს საერთაშორისო სისხლის სამართლის კონკრეტულ აქტებზე. ცხადია, რომ მათი იურიდიული ძალა, კოდექსის სხვა ბლანკეტურ ნორმებთან შედარებით, უფრო მაღალია. კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ზოგიერთ მუხლში ეს ბლანკეტურობა პირდაპირ არის მითითებული. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართალს კოდექსის 406-ე მუხლი აწესებს პასუხისმგებლობას საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით აკრძალულ ქიმიურ, ბიოლოგიურ ან მასობრივი განადგურების სხვა იარაღის დამზადების, შექენის, ან გასაღებისათვის; ან კიდევ 413-ე მუხლის ბ) პუნქტი: სამხედრო ოპერაციაში ან შეიარაღებულ კონფლიქტში ისეთი საშუალების, მასალის ან მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენება, რომელიც აკრძალულია საერთაშორისო ხელშეკრულებით; ასევე ამ მუხლის დ) პუნქტი: ომის სხვა დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით და არ ისჯება ამ კოდექსის 411-ე ან 412-ე მუხლებით.

ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ მიზანშეწონილია სისხლის სამართლის კოდექსში მუსლობრივად იქნეს მითითებული საერთაშორისო სამართლებრივ აქტებზე. ამას მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სისხლის სამართლის კოლიზიის გადასაწყვეტად და კოდექსის სათანადო მუხლებზე სამართალგამოყენებისა და დოქტრინული ახსნა-განმარტებისათვის.¹

როგორც აღინიშნა, ჯერ კიდევ 1947 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ დაეალება მისცა საერთაშორისო სამართლის კომისიას, რომელიც წარმოადგენს გაეროს მთავარ ორგანოს საერთაშორისო სისხლის სამართლის კოდიფიკაციის სფეროში შეიმუშავენინა კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კოდექსის პროექტი. კომისიამ 1991 წელს ეს პროექტი მიიღო პირველი მოსმენით. პროექტი შედგებოდა ორი თავისებური ნაწილისაგან: ზოგადი და კერძო ნაწილები-საგან. კერძო ნაწილი შეიცავდა დანაშაულის თორმეტ სახეს, როგორც უშუალოდ კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ დანაშაულს, ისე საერთაშორისო ხასიათის დანაშაულს (მაგალითად: ნარკოტიკულ დანაშაულს, ეკოლოგიურ დანაშაულს და სხვა). ოცდაორი სახელმწიფოს მიერ გაკეთებულ შენიშვნათა გათვალისწინებით, პროექტი გადაამუშავებული და განახლებული სახით მიღებულ იქნა მეორე მოსმენით 1994 წელს.

საერთაშორისო სამართლის იურისდიქციას დაექვემდებარა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული, დანაშაული, რომელიც ხელყოფს საერთაშორისო საზოგადოების ინტერესს: აგრესია, გენოციდი, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული და ომის დანაშაული. ამგვარ დანაშაულთა ნუსხა ამომწურავია, თუმცა ჩამოთვლილ დანაშაულთა გარდა, სასამართლოს იურისდიქციას მიეკუთვნება საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანაშაული. ამ სტატუსის მიხედვით, სას-

¹ Курс уголовного права, Учебник для вузов, т. 5, Особенная часть, М., 2002, с. 343-344.

ჯელად გათვალისწინებულია მხოლოდ თავისუფლების აღკვეთა; სიკვდილით დასჯა და უვადო თავისუფლების აღკვეთა არ დაიშვება. საერთაშორისო სასამართლოს არ გააჩნია უფლებამოსილება 18 წელს მიუღწეველ პირთა მიმართ. თანამდებობების პირთა ნაციონალური ან საერთაშორისო სასამართლებრივი იმუნიტეტი არ აბრკოლებს დამნაშავეთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას. სტატუტის დებულებები გამოიყენება ყველას მიმართ, მიუხედავად მისი ოფიციალური სამსახურებრივი მდგომარეობისა, მათ შორის სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურის, პარლამენტის წევრისა და სხვათა მიმართ.

ვენის ლეკლარაციაში – „დამნაშავეობისა და მართლმსაჯულების შესახებ. პასუხი XXI საუკუნის გამოწვევაზე“ (რომელიც მიღებული იყო 2000 წელს გაეროს X კონგრესზე დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და სამართალდამრღვევთა მიმართ მოპყრობის შესახებ) – განსაკუთრებული შემოთება გამოითქვა გრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულისა და მისი სხვადასხვა სახის ურთიერთკავშირის გამო. ამ ლეკლარაციით პირველად იყო დადგენილი კონკრეტული ვადა – 2005 წელი, როდესაც უმრუნველყოფილი იქნებოდა საერთაშორისო ხასიათის ისეთ დანაშაულთა მნიშვნელოვანი კლება, როგორცაა ადამიანებით ვაჭრობა, მიგრანტების უკანონო შეყვანა, იარაღის უკანონო ბრუნვა. აუცილებლად იყო მიჩნეული სასჯელის შემოღება იმ საერთაშორისო ხასიათის დანაშაულისათვის, როგორცაა კომპიუტერებისა და უმაღლეს ტექნოლოგიათა უკანონო დამზადება, რასობრივი დისკრიმინაცია, ქსენოფობია და მასთან დაკავშირებული შეუწყნარებლობის ფორმები. გაეროს ვენის კონგრესზე გაეროს გენერალურმა მდივანმა ზოგადად დაახასიათა XX საუკუნის ბოლოს გრანსნაციონალური დამნაშავეობა. სწორედ იგი განსამზღვრავს XXI საუკუნის საერთაშორისო სისხლის სამართლის განვითარების ტენდენციას.

რომის სტატუტის, რომელიც ძალაში შევიდა 2002 წლის 1 ივნისს, ძირითადი მიზანი იყო, შეექმნა ისეთი სასამართლო სტრუქტურა, რომელიც შეძლებდა საერთაშორისო სამოგადოებისათვის ყველაზე საშიში დანაშაულისათვის დასჯის უმრუნველყოფას. სტატუტში ასეთი სახის დანაშაულები პირდაპირ არის მითითებული და მეტ-ნაკლებად განმარტებული. რომის სტატუტში მოცემულ დანაშაულთა ცნება ზოგჯერ საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს. ამის მაგალითია 1976 წლის კონვენცია აპარტიდის დანაშაულის შესახებ, ასევე 1984 წლის კონვენცია წამების შესახებ და სხვა.

საერთაშორისო სასამართლოს შექმნის მოსამზადებელი კომისია მივიდა დასკვნამდე, რომ სტატუტში უნდა შესულიყო ის დანაშაულები, რომლებიც ჩვეულებით საერთაშორისო სამართალში უკვე აღიარებული იყო. მრავალი დისკუსიისა და კონსენსუსის მიღწევის შედეგად დადგინდა, რომ საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია დაექვემდებარებოდა და გავრცელდებოდა შემდეგ დანაშაულებზე: 1) გენოციდის დანაშაული; 2) ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული; 3) ომის დანაშაული და 4) აგრესიის დანაშაული. სტატუტში განისაზღვრა, რომ სასამართლო აგრე-

სიის დანაშაულზე იურისდიქციას განახორციელებს მას შემდეგ, როდესაც განისაზღვრება ამ დანაშაულის ცნება.

საქართველოში რომის სტატუტის ამოქმედებისათვის აუცილებელი იყო მისი რატიფიცირება პარლამენტის მიერ, რაც მოხდა კიდეც. ჩვენი კანონმდებლობით, სახელდობრ, კანონით „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ“, საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირებასთან ერთად პარლამენტში შეტანილ უნდა იქნეს კანონპროექტი სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ რომის სტატუტთან მიმართებით. მართალია, დღეს არსებული სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ ეწინააღმდეგება რომის სტატუტის ძირითად მოთხოვნებს, მაგრამ ბევრი რამ მაინც არის გასაკეთებელი კოდექსის სისტემის თვალსაზრისით. კარგი იქნება, თუ ის მუხლები, რომლებზეც დღეს მიმოფანტულია სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა თავში და, ფაქტობრივად, საერთაშორისო ხასიათის დანაშაულს წარმოადგენს, ცალკე თავად იქნება გაერთიანებული.

ამ საკითხზე თავისი მოსაზრება გამოთქმული აქვს მ. გურაეას სტატი-
აში – „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტთან“
საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის ანალიზი“¹. ამასთან, მ.
გურაეა საბოლოო რეზიუმეში აღნიშნავს, რომ „საქართველოს კონსტიტუ-
ცია და სისხლის სამართლის მაგერიალური კოდექსი აუცილებლობით
არავეითარ ცვლილებას და დამატებას არ მოიხზოეს.“

როგორც ვემოთ აღინიშნა, საერთაშორისო დანაშაულთან ერთად სა-
ერთაშორისო დამნაშავეობის ერთ-ერთი სახეა საერთაშორისო ხასიათის
დანაშაული. იგი განისაზღვრება როგორც „საერთაშორისო მართლსაწინა-
აღმდეგო ქმედება (უცხოური ელემენტის არსებობით), რომელიც ქმნის საე-
რთაშორისო ურთიერთობის განვითარებისათვის საფრთხეს.“²

საერთაშორისო ხასიათის დანაშაულს საერთაშორისო ხასიათი აქვს
არა დანაშაულის შემადგენლობის მიხედვით, არამედ ქმედების ჩადენის
გარემოებათა გამო; ეს ისეთი დანაშაულია, რომელიც თუმცა ისჯება ქვეყ-
ნის შიდა კანონმდებლობით, მაგრამ კონკრეტულ გარემოებათა არსებო-
ბის გამო საერთაშორისო ხასიათი გააჩნია. ამგვარ დანაშაულთა უშუალო
ობიექტს ზოგადი სისხლისსამართლებრივი ხასიათი აქვს (განსხვავებით
საერთაშორისო დანაშაულისაგან, რომლის ხელყოფის ობიექტი – საერ-
თაშორისო ურთიერთობა, კაცობრიობის ცხოვრებისეული ინტერესი – რე-
გულირდება საერთაშორისო სამართლით); მეკობრეობის შემთხვევაში
ესაა ქონებრივი ურთიერთობა და ადამიანის უსაფრთხოება; საერთაშო-
რისო ხასიათის ტერორიზმის დროს – შიდასახელმწიფოებრივი პოლიტი-
კური ურთიერთობა და სხვა.

საერთაშორისო ხასიათის დანაშაულს უმეტეს შემთხვევაში, მაგრამ არა
ყოველთვის, პირი სჩადის საკუთარი ინიციატივით, პირადი სარგებლის მიღე-
ბის მიზნით, კერძო ინტერესის რეალიზაციისათვის. საერთაშორისო ურთი-

¹ საერთაშორისო სამართლის ეურნალი, ტ. V, №1, (საქეილური გამოშვება), 2002, გვ. 14-15.

² Словарь международного права, М., 1982, с. 168.

ერთობებს ზიანი ადგებათ იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად: მეკობრეობა ხელყოფს საერთაშორისო საზღვაო მიმოსვლის ურთიერთობებს, საერთაშორისო ხასიათის გერორიზმი – დიპლომატიურ ურთიერთობათა სფეროს (უცხო სახელმწიფოს აგენტზე ხელყოფის შემთხვევაში), საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის ურთიერთობებს და სხვა. არსებითად ეს გრანსნაციონალური დანაშაულია.¹

საერთაშორისო ხასიათის დანაშაული სხვადასხვა წყაროში სხვადასხვა სახელით მოიხსენიება: „საერთაშორისო სისხლის სამართლის დანაშაული“, „საერთაშორისო ხასიათის სისხლის სამართლის დანაშაული“, „კონვენციური დანაშაული“, „გრანსნაციონალური დანაშაული“ და ა.შ. მაგრამ ეს განსხვავება გერმინოლოგიურ ხასიათს ატარებს და ფაქტობრივად სინონიმებს წარმოადგენს.

ამ კატეგორიის დანაშაულთა დამახასიათებელ თავისებურებად მიიჩნევენ იმას, რომ მასში უცხოური ელემენტი ფიგურირებს, სახელდობრ, მისი ჩადენა ხდება არა ერთი, არამედ ორი ან მეტი სახელმწიფოს ტერიტორიაზე და შესაბამისად ხელყოფს საერთაშორისო მართლწესრიგს და მასში მონაწილეობს რამდენიმე ქვეყნის მოქალაქე. ამ დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები შესაბამისი კონვენციებით არის დადგენილი და ასახულია ნაციონალურ კანონმდებლობაში. ამიგომ პასუხისმგებლობა კონვენციური (გრანსნაციონალური) დანაშაულისათვის დგება ნაციონალური სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე. კონვენციური ნორმების რეალიზაციის მექანიზმი გამოიხატება იმით, რომ ისინი აუაღლებულებენ მონაწილე სახელმწიფოს, შესაბამისი ნორმები შეიგანოს შიდასახელმწიფოებრივ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. კონვენციების შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყოს იმ შემთხვევაშიც კი, როცა დანაშაული უშუალოდ მის ინტერესს არ ხელყოფს. აქ მოქმედებს ცნობილი პრინციპი – გაეცი ან გაასამართლე (aut dedere aut judicare). ამას გარდა, ამ კატეგორიის დანაშაულთა დევნა, სასამართლო განხილვა და განაჩენის აღსრულება მოითხოვს სახელმწიფოთა ურთიერთდახმარებას.

ხშირად, საერთაშორისო დანაშაულისა და საერთაშორისო ხასიათის დანაშაულს შორის განსხვავების დადგენა საკმაოდ რთულია: საერთაშორისო ხასიათის დანაშაულის ობიექტი სარგებლობს უფრო გაძლიერებული დაცვით და დანაშაულის კვალიფიკაციის საფუძველს წარმოადგენს. რეალურად კი იგი არ არის დამნაშავის პირდაპირი განზრახვის ობიექტი,² მაგრამ ასეთი განსხვავება მაინც არსებობს და იგი მნიშვნელოვანია საერთაშორისო სისხლის სამართლისათვის.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ საერთაშორისო ხასიათის დანაშაულის სწორედ ასეთი გაგება იძლევა დანაშაულთა ამგვარი კატეგორიის გამოყოფის შესაძლებლობას. კ. კანოვის აზრით, ამ შემთხვევაში დანაშაულებრივი ხელყოფის ობიექტად გვევლინება არა საერთაშორისო

¹ Bassionni, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

² Моджорян Л. А., Терроризм на море, М., Международные отношения, 1991, с. 23.

მშვიდობა და კაცობრიობის უშიშროება, არამედ მხოლოდ სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობა, ადამიანის უფლებები და საერთაშორისო სამართლით დაცული სხვა ზოგადსაკაცობრიო ფასეულობა.¹ ი. ფისენკო კი თელის, რომ საყოველთაო – სახალხო ღირებულების, ადამიანის უფლებების ხელყოფა, თუ ისინი სერიოზული და მასობრივია, უნდა დაკვალიფიციონდეს საერთაშორისო დანაშაულად.²

იურიდიულ ლიტერატურაში საერთაშორისო ხასიათის დანაშაულთა კლასიფიკაციას ძირითადად ხელყოფის ობიექტის მიხედვით ახდენენ. ასე მაგალითად, ე. პანოვი ამ დანაშაულებს ხელყოფის ობიექტის, საერთაშორისო სამშრომლობის ხარისხისა და სხვა ნიშნების მიხედვით პირობითად ხუთ ჯგუფად ყოფს: 1) დანაშაული საერთაშორისო ურთიერთობის სტაბილურობის წინააღმდეგ (საერთაშორისო ტერორიზმი, მძევლად აყვანა, თვითმფრინავისა და სხვა ავიასაგრანსპორტო საშუალების დაუფლება, გატაცება და სხვა დანაშაული, რომელთა ჩადენა ხდება საპაეოო ხომალდზე და საერთაშორისო აეროპორტებში; ბირთვული მასალის გატაცება, დაქირავებულთა გადაბირება, გამოყენება, დაფინანსება და სწავლება, აგრეთვე დაქირავებულის მონაწილეობა სამხედრო მოქმედებაში; უკანონო გელერადიომარშუყებლობა; ომის პროპაგანდა); 2) მოქმედება, რომელიც ზიანს აყენებს სახელმწიფოთა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას (ყალბი ფულის დამზადება; დანაშაულებრივი შემოსავლის ლეგალიზაცია; ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალების უკანონო ბრუნვა; კონგრახანდა; არალეგალური ემიგრაცია და ხალხის კულტურულ ღირებულებათა ხელყოფა); 3) ადამიანის პირადი უფლებების დანაშაულებრივი ხელყოფა (მონობა, მონებით ვაჭრობა, ბავშვებითა და ქალებით ვაჭრობა, მესამე პირების მიერ მათი ექსპლუატაცია პროსტიტუციის მეშვეობით; პორნოგრაფიის გაერცელება, ადამიანის უფლებების სისტემატური და მასობრივი დარღვევა; წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების დამამცირებელი მოპყრობა და სხვა); 4) ღია ზღვაში ჩადენილი დანაშაული (მეკობრეობა, წყალქვეშა კაბელის ან მილსადენის დამიანება; საზღვაო ხომალდების შეჯახება; ზღვაზე დაუხმარებლობა; ზღვის გაბინძურება მავნე ნივთიერებით და სხვა); 5) საერთაშორისო ხასიათის სამხედრო დანაშაული (ომის წარმოების აკრძალული საშუალების და მეთოდის გამოყენება; სამხედრო მოქმედების რაიონში მოსახლეობაზე ძალადობა; წითელი ჯერისა და წითელი ნახევარმთვარის ნიშნების უკანონო გარება ან ბოროტად გამოყენება; მაროდორობა და სხვა).

ი. ლუკაშუკი და ა. ნაუშოვი კონვენციურ დანაშაულს, ხელყოფის ობიექტის მიხედვით, პირობითად ასევე ხუთ ჯგუფად ყოფენ: 1) დანაშაული, რომელიც საერთაშორისო ტერორიზმის გამოელენა (საპაეოო ხომალდის დაუფლება და სხვა უკანონო მოქმედება სამოქალაქო ავიაციის უშიშროების წინააღმდეგ; მძევლად აყვანა; დანაშაული საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირის წინააღმდეგ; ბირთვული მასალის უკანონო დაუფლე-

¹ Папов В. П., Международное уголовное право, Учебное пособие, М., ИНФРА -М., 1997, с. 69.

² И. Фисенко, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 15.

ბა და გამოყენება; მეკობრეობა და სხვა უკანონო აქტი ზღვაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ); 2) დანაშაული, რომელიც ხელყოფს ადამიანის თავისუფლებას (მონობა და მონებით ვაჭრობა; ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობა); 3) დანაშაული, რომელიც ხელყოფს სამოგადოებრივ და ეკონომიკურ უსაფრთხოებას (გარემოს დაზიანება; ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შექმნა და შენახვა; საგრანსპორტო დანაშაული; ხულიგნური მოქმედება სპორტული ღონისძიების დროს, საზღვაო ხომალდების შეჯახება და ზღვაზე დაუხმარებლობა, საზღვაო კაბელის დაზიანება); 4) დანაშაული, რომელიც ხელყოფს მოსახლეობის ჯანმრთელობას და სამოგადოებრივ მწიბვრებს (ნარკოტიკული საშუალების და ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო წარმოება და ბრუნვა; ხალხთა კულტურულ ფასეულობათა ხელყოფა; პორნოგრაფიის გავრცელება); 5) ეკონომიკური ხასიათის დანაშაული (ფულის ნიშნების გაყალბება; დანაშაულებრივი შემოსავლის ლეგალიზაცია, განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში ჩადენილი დანაშაული; კონტინენტურ შეღწევა ჩადენილი დანაშაული).

ი. კარპეცი სახელმწიფოთაშორისი ინტერესების ხელმყოფ საერთაშორისო ხასიათის დანაშაულს უშუალო ობიექტის მიხედვით ყოფს შემდეგ ჯგუფებად: 1) დანაშაული, რომელიც ზიანს აყენებს სახელმწიფოებს შორის მშვიდობიან თანამშრომლობას და ურთიერთობის ნორმალურად განხორციელებას.¹ მას მიეკუთვნება ტერორიზმი და მასთან ახლოს მდგომი დანაშაული, მაგალითად: თვითმფრინავის გატაცება, უკანონო რადიომუწყებლობა; 2) დანაშაული, რომელიც ზიანს აყენებს საერთაშორისო ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ განვითარებას. მათ ავგორი მიაკუთვნებს: ეკოლოგიურ დანაშაულს; ხალხთა ეროვნულ-კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს; კონტრაბანდას, ფულის გაყალბებას, ნარკოტიკებით ვაჭრობას და სხვა; 3) დანაშაული, რომელიც ზიანს აყენებს პიროვნებას, კერძო და სახელმწიფო საკუთრებას და მორალურ ღირებულებებს. ამ ჯგუფში შედის: ადამიანებით ვაჭრობა, მეკობრეობა, პორნოგრაფიის გავრცელება და სხვა დანაშაული, რომელთა თაობაზე არსებობს საერთაშორისო შეთანხმება; 4) საერთაშორისო ხასიათის სხვა დანაშაული. მას მიეკუთვნება: საპაერო ხომალდზე ჩადენილი დანაშაული, გელეგრაფის საზღვაო კაბელის დაზიანება, დაუხმარებლობა გემების შეჯახების დროს და სხვა.²

ზოგიერთი ავტორი საერთაშორისო ხასიათის დანაშაულთა კატეგორიას არ გამოყოფს ობიექტისა და მისი ჩადენის საშუალების კრიტერიუმის საფუძველზე. ისინი ძირითად განსხვავებას საერთაშორისო ხასიათის დანაშაულსა და საერთაშორისო დანაშაულს შორის ხედავენ საერთაშორისო ხასიათის დანაშაულის შედარებით ნაკლებ სიმძიმესა და საშიშროების ხარისხში.³ მაგრამ, ჩვენი აზრით, ასეთი დაყოფისას დანაშაულის ამ ორ კატეგორიას შორის მკვეთრ განსხვავებას ვერ ვნახავთ. უნდა გვახსოვდეს, რომ დროთა განმავლობაში შეიძლება აღმოცენდეს ახალი დანაშაუ-

¹ И. И. Лукашук, А. В. Наумов, Международное уголовное право, М., 1999, с. 132-133.

² Карпец И. И., Преступления международного характера, М., Международные отношения, 1979, с. 48-49.

³ Карпец И. И., დასახ. ნაშრომი, с. 48.

ლი ან დანაშაულმა დაკარგოს მისთვის ადრე დამახასიათებელი განსაკუთრებული საშიშროება, აქედან გამომდინარე, დანაშაული ვადაეიდეს ერთი კატეგორიიდან მეორეში.¹ საერთაშორისო ხასიათის დანაშაულის ასეთი ვაგებებისას კონკრეტულ დანაშაულთა მიკუთვნება ამა თუ იმ კატეგორიისათვის სუბიექტური შეუსაფრის საგანი ხდება.

საერთაშორისო დანაშაულისა და საერთაშორისო ხასიათის დანაშაულის გასამიჯნად იყენებენ ასევე სუბიექტურ კრიტერიუმს: საერთაშორისო დანაშაულისაგან განსხვავებით, საერთაშორისო ხასიათის დანაშაულის ჩადენისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება არა სახელმწიფოს, არამედ ინდივიდს. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ გასამიჯნად ეს პოზიცია კრიტერიუმად ვერ გამოგვადგება, რადგანაც პიროვნებას სახელმწიფოსთან კავშირის გარეშე შეუძლია ჩაიდინოს როგორც საერთაშორისო, ისე საერთაშორისო ხასიათის დანაშაული.

დაბოლოს, არსებობს მოსამრება, რომ საერთაშორისო ხასიათის დანაშაულების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს მათი შემადგენლობის განმტკიცება სპეციალურ საერთაშორისო ხელშეკრულებაში.²

სახელმწიფოთა პოზიცია საერთაშორისო სისხლის სამართლისა და საერთაშორისო ხასიათის დანაშაულთა თანაფარდობის შესახებ განსხვავებულია. მონისტური პოზიცია არ აღიარებს საერთაშორისო სისხლის სამართლის ნორმების პირდაპირ მოქმედებას საკუთარ გერიტორიაზე (მაგ., აშშ), დუალისტური კი სამართლიანად მიიჩნევს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი იურისდიქციის არსებობას. ჩვენი აზრით, უფრო სწორია მეორე პოზიცია. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იგი შეიძლება რეალიზებულ იქნეს საერთაშორისო დანაშაულთა კოდექსის მიღების, ასევე საერთაშორისო მართლმსაჯულების სისტემის შექმნის შემდეგ. კაცობრივთა თანდათანობით მიდის სამართლის სისტემათა დაახლოებისა და საერთაშორისო სასამართლო ორგანოების შექმნის გზით.

მიზანშეწონილია, რომ საერთაშორისო ხასიათის დანაშაულში შევიდეს სისხლისსამართლებრივ დანაშაულთა ის ჯგუფი, რომელსაც მაღალი საერთაშორისო საშიშროება ახასიათებს, მაგრამ საერთაშორისო სისხლის სამართლის სათანადო აქტებით ასეთად არ არის ცნობილი. ასეიი ხასიათის დანაშაული მიანს აყენებს ორ ან, უფრო ხშირად, მეტ სახელმწიფოს. ამგვარ დანაშაულთა საერთაშორისო მართლწინააღმდეგობა ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია.

დამნაშაევობის გლობალიზაციის პროცესის აღეკვავურად იზრდება ისეი განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა რიცხვი, როგორცაა: ეკონომიკური, სამოსელეო, ძალადობრივი დანაშაული, ასევე გერორიზმი, მკვლელობა შეკვეთით, იარაღისა და ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო ბრუნვა, კომპიუტერული დანაშაული და სხვა. კომპიუტერული დანაშაული, მავალითად, უმარმამარ მაგერიალურ მიანს აყენებს სახელმწიფოებს და მი-

¹ Наумов А. В., Преступления против мира и безопасности человечества и преступления международного характера; Государство и право, 1995, №6, с. 48-49.

² შოგერეთი ავტორი ხმარობს სპეციალურ გერმინს - „კონენიური დანაშაული“, რომელშიც საერთაშორისო ხასიათის დანაშაულს გულისხმობს.

სი საერთაშორისო სამიშროების პროგნოზი შეუქმლებელია. ამიგომაც თანდათანობით ამგვარი ხასიათის დანაშაული ნაციონალური დანაშაულიდან საერთაშორისო დანაშაულად უნდა იქნეს მოდიფიცირებული. 21-ე საუკუნეში საერთაშორისო სისხლის სამართლის წამყვან მიმართულებად ჩაითვლება სახელმწიფოთა თანამშრომლობა დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში.

ამგვამად არსებობს მრავალი რეგიონთაშორისი სელშეკრულება, მიმართული ნარკოტიკების, პორნოგრაფიის, ყალბი ფულის დამზადების, კონტრაბანდის, იარაღის უკანონო ბრუნვის, ადამიანით ვაჭრობისა და სხვათა წინააღმდეგ. მრავალმა სახელმწიფომ მიაღწია შეთანხმებას გარემოს, ხალხის ნაციონალური და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის აუცილებლობის, ზღვაზე დასმარების, ზღვის კაბელის დამიანებისა და დასმარების აღმოჩენის თაობაზე და სხვა. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 კარში – „დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ“ – ცალკე თავი ეთმობა გერორიზმს და მასში გათვალისწინებულია ისეთი დანაშაულები, როგორცაა: გერორიტული აქტი (მ. 323-ე), ტექნოლოგიური გერორიზმი (მ. 324), მძევლად ხელში ჩაგდება გერორიზმის მიზნით (მ. 329-ე) და სხვა. კოდექსის მე-10 თავში განხილულია დანაშაული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის შესახებ; 34-ე თავში – ფრენის საერთაშორისო წესის დარღვევა და მრავალი სხვა.

დამნაშავეობის გრანსნაციონალიზაცია სულ უფრო გააფართოვებს საერთაშორისო ხასიათის დანაშაულთა წრეს. ამიგომაც დღესდღეობით ქვეყანათა მთელი რიგის სისხლის სამართლის კოდექსებში გათვალისწინებულია საერთაშორისო ხასიათის „კონვენციური დანაშაულები“.

საერთაშორისო სისხლის სამართლის განვითარების ისტორია მოწმობს, რომ ბევრი კონვენციური დანაშაული საერთაშორისო დანაშაულად იქნა აღიარებული მსოფლიო თანამეგობრობის მიერ. ასე მაგალითად, ქვნივის კონვენციებით „ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ“ ყოფილი იუგოსლავიის სამხედრო გრიბუნალის წესდებით მრავალი ისეთი ქმედება გამოცხადდა საერთაშორისო დანაშაულად, რომელთაც მანამდე საერთაშორისო სამართალი არ იცნობდა. საერთაშორისო ხასიათის დანაშაულის საერთაშორისო დანაშაულად აღიარების მაგალითია დაქირავებულის მონაწილეობა შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსმა იგი ჩათვალა კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად. ან კიდევ, ბელარუსის სისხლის სამართლის კოდექსი კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად თვლის უცხო სასელმწიფოს წარმომადგენლის წინააღმდეგ მიმართულ გერორიტულ აქტს, ჩადენილს ომის პროვოკაციის ან საერთაშორისო ურთიერთობის გართულების მიზნით; რასობრივი, ნაციონალური ან რელიგიური შუღლის გაღვივებას; შეიარაღებული კონფლიქტის დროს უმოქმედობას ან დანაშაულებრივი ბრძანების გაცემას; საერთაშორისო ხელშეკრულებით დაცულ ამოსაცნობი ნიშნით უკანონო სარგებლობას და სხვა.

საკითხავია, რაგომ არ უნდა ჩაითვალოს საერთაშორისო დანაშაუ-
ლად გეროორიზმის ისეთი აგრესიული გამოვლინება, რაც აშშ-ში მოხდა
2001 წლის 11 სექტემბერს?! ან კიდევ, სულ ახლახან მოსკოვში განხორციე-
ლებული გეროორისტული აქცია?

გეროორიზმი ზოგადასაკაცობრიო პრობლემად იქცა. ის ამჟამად სახელ-
მწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისა და ნაციონალური სახელმწიფოე-
ბრივი უშიშროების მთავარი საფრთხეა. მიუხედავად იმისა, რომ გეროორიზ-
მის პრობლემა ახალი არაა კაცობრიობისათვის, მსოფლიო თანამშეგობრო-
ბა ვერ ახერხებს შეიმუშაოს გეროორისტული აქტის ერთიანი განსაზღვრება,
შექმნას ერთიანი საერთაშორისო მექანიზმი მასთან საბრძოლველად.

გეროორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის სულ უფრო ეფექტური ია-
რალი ხდება საერთაშორისო სისხლის სამართლის კანონმდებლობა. შემუ-
შავებულია მთელი რიგი უნივერსალური და რეგიონული ხასიათის კონვენ-
ციებისა, რომლებშიც ჩამოყალიბებულია სახელმწიფოთა თანამშრომლო-
ბის ძირითადი პრინციპები საერთაშორისო გეროორიზმის წინააღმდეგ საბ-
რძოლველად, თუმცა ყოველივე ეს საკმარისი არ არის.

საერთაშორისო გეროორიზმთან საბრძოლველად საქართველომ საერ-
თაშორისო სამართლის ნორმების გრანსფორმაცია უკვე მოახდინა ახალ
სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, რითაც შიდასახელმწიფოებრივ
დონეზე მოახდინა საერთაშორისო ვალდებულებათა ფაქტობრივი რეალი-
ზაცია. საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსი ცალკე თავად
ითვალისწინებს გეროორიზმს (38-ე თავი), რომელიც ცხრა შემადგენლობას
აერთიანებს. მასში მოცემულია როგორც ტრადიციული გეროორისტული
ქმედება, ისე მსოფლიო პრაქტიკის გაზიარებით შექმნილი დელიტებიც.
ამას გარდა, გეროორისტული ხასიათის დანაშაული მოთავსებულია საზო-
გადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაუ-
ლთა თავში. ეს მიზანშეწონილიც არის, ვინაიდან ამ დანაშაულებს გერო-
ორიზმის შინაარსი შეიძლება სულაც არ ჰქონდეთ. მათ შეიძლება გამოიწ-
ვიონ დიდი მატერიალური ზარალი, ადამიანთა, მსხვერპლი, სახელმწიფო-
ში ვითარების დესტაბილიზაცია, პანიკა, უარყოფითი მორალურ-ფსიქო-
ლოგიური აგმოსფეროს ჩამოყალიბება და სხვა. ამ ინტერესების ხელყოფა
საზოგადოებრივი უშიშროების ყველაზე საშიში დარღვევაა. ცხადია,
რომ გეროორისტული ხასიათის დანაშაულის ჩადენის დროს საზოგადოებ-
რივი უშიშროება ყოველთვის ხდება ხელყოფის ობიექტი, მიუხედავად იმი-
სა, თუ როგორ არის ფორმულირებული ამა თუ იმ დანაშაულის შემადგენ-
ლობის ნიშნები და სისხლის სამართლის კოდექსის რომელ თავში არიან
ისინი მოთავსებული.

ამ კატეგორიის დანაშაულისათვის დამახასიათებელი მოქმედების საყო-
ველთაოდ საშიში ხერხი და ხელყოფის მრავალობიექტიანობა საფუძველს
აძლევს იურიდიულ ლიტერატურაში იმ მოსაზრების არსებობას, რომ, რამდენ-
ადაც საზოგადოებრივ უშიშროებას ხელყოფს გეროორისტული ხასიათის ყვე-
ლა დანაშაული, იმდენად იგი მიზანშეწონილია, მოთავსებული იყოს საზოგა-
დოებრივი უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შორის.

გერორისგული ხასიათის დანაშაულის სისტემასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ საერთაშორისო კონვენციები არ ავალდებულებენ მის ხელმოწერ სახელმწიფოებს, შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში სიტყუასიტყვიით გაიმეორონ, იმავე ფორმით და შინაარსით ასახონ შესაბამისი კონვენციის დებულებები, თუმცა კონვენციის მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, ნაციონალური სისხლის სამართლის კანონმდებლობა შესაბამისობაში მოიყვანოს კონვენციის ნორმებთან. ისიც გასათვალისწინებელია, რომ საქმაოდ რთულია მაგერიალურ სისხლის სამართლის ნორმებში კონვენციის დებულებათა ასახვა. ამდენად, რა ნიშნით ჩამოყალიბდება ნაციონალური ნორმა და სისტემის თვალსაზრისით სად განათავსებს მას ესა თუ ის სახელმწიფო, ეს მისი შიდასახელმწიფოებრივი საქმეა. მთავარია, რომ კონვენციის მონაწილე სახელმწიფომ შეთანხმების ძირითადი დებულებების გრანსფორმაცია მოახდინოს ნაციონალურ კანონმდებლობაში.

აქედან გამომდინარე, არ არის პრობლემა, თუ სისხლის სამართლის კოდექსში სად იქნება მოთავსებული საერთაშორისო ხასიათის დანაშაული – საზოგადოებრივი უშიშროების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, სახელმწიფო დანაშაულის ჯგუფში თუ სხვაგან. ლოგიკურად გამართლებულად მიგვაჩნია გერორისგული ხასიათის დანაშაულთა ისეთი სისტემა, როგორც საქართველოს ახალ სისხლის სამართლის კოდექსშია. რამდენადაც გერორიზმის თავში შემავალ დანაშაულთა ჩადენის მიზანია სახელმწიფო ხელისუფლებაზე გემოქმედება და სახელმწიფოს წარმოჩენა მართლწესრიგის უზრუნველყოფის საქმეში უუნაროდ, ხოლო სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფა და საზოგადოებრივი სიმყუდროვის აგმოსფეროს შექმნა სახელმწიფოს ერთ-ერთი უპირველესი ფუნქციაა, ამიტომ უპირანია ამ დანაშაულთა მოთავსება სახელმწიფო დანაშაულთა კარში. ამავე დროს ცხადია, რომ 38-ე თავში (გერორიზმი) გაერთიანებული დანაშაულები არ წარმოადგენენ გერორისგული ხასიათის დანაშაულების ამომწურავ ჩამონათვალს.

საქართველოს ახალ სისხლის სამართლის კოდექსში გერორისგული ხასიათის დანაშაული სხვა თავებშიც არის მოცემული. ასეთია, მაგალითად, საქაერო ან წყლის ხომალდის გატაცება (227-ე მუხლი), მეკობრეობა (228-ე მუხლი), ბირთვული მასალის ხელში ჩაგდება (231-ე მუხლი) და სხვა.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემობას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში აისახა მსოფლიო თანამეგობრობის მიერ გერორიზმად აღიარებული თითქმის ყველა დანაშაული. უფრო მეტიც, მასში საერთაშორისო სისხლის სამართლის ისეთი ნორმებიც არის გრანსფორმირებული, რომელთა რატიფიკაცია ჯერ კიდევ არ მოუხდენია საქართველოს პარლამენტს. ასე რომ, საქართველოში მაგერიალური სისხლის სამართლის მთელი რიგი საკითხებისა საერთაშორისო კონვენციების რატიფიკაციამდეა მოგვარებული.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მართებულად არ მიგვაჩნია, როცა ზოგად სისხლისსამართლებრივ დანაშაულს, რომელიც არ ხელყოფს საერთაშორისო მართლწესრიგს, მაგრამ ამ დანაშაულისათვის დევნა, სასამართლო განხილვა და განაჩენის აღსრულება სახელმწიფოთა ურთიერთდახმა-

რებას მოითხოვს, საერთაშორისო ხასიათის დანაშაულთა რიგში განიხილებენ. მაგალითად, საერთაშორისო დანაშაულებრივი დაჯგუფება სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიაზე სჩადის ისეთ დანაშაულს, როგორცაა: ქურდობა, თაღლითობა, გამოძალა ან სხვა ზოგადი ხასიათის დანაშაული, ანდა დანაშაულის ჩადენის შემდეგ იმალება სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე. მსგავს შემთხვევებში შეიძლება ვისაუბროთ მხოლოდ საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესუალურ მხარეზე, სამართლებრივ ურთიერთდახმარებაზე. ე. პანოვის მართებული შენიშვნით, მსგავსი დანაშაული, რამდენადაც იგი არ ატარებს კონვენციურ ხასიათს, არ შეიძლება მივაკუთვნოთ საერთაშორისო ხასიათის დანაშაულთა რიცხვს¹. მართლაც, ასეთი დანაშაულები ვერ იქცევიან საერთაშორისო ხასიათის დანაშაულად, ეინაიდან, არ ხელყოფენ სახელმწიფოთაშორის ინტერესს. სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის ქვეყნების კანონმდებლობაში მათ სხვადასხვა შეფასებას აძლევენ როგორც საზოგადოებრივი საშიშროების თვალსაზრისით, ისე სასჯელის ზომის დადგენითაც.

ყოველივე ზემოთ თქმული მოწმობს, რომ კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისა და საერთაშორისო ხასიათის დანაშაულის სათანადო გამიჯვნის პრობლემა მეტად აქტუალურია. არსებობს სადავო მოსაზრება, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის სერიოზულ დანაშაულთა რაოდენობის მრდა კონვენციურ დანაშაულთა ხარჯზე მიზანშეწონილი არ არის. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარმა ტენდენციამ თავისი გამოხატულება პოვა კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შესახებ კოდექსის პროექტში. აგრესიის, გენოციდის, აპარტეიდის, ომის დანაშაულთა გარდა, მას მიეკუთვნა ასევე საერთაშორისო ხასიათის დანაშაულის ისეთი ნორმები, როგორცაა, მაგალითად, საერთაშორისო ტერორიზმი, ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო ბრუნვა, გარემოსათვის წინასწარი განზრახვით სერიოზული ზიანის მიყენება².

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ისტორიაში პირველად რომის სტატუტში სქესობრივი დანაშაული აღიარებული და კოდიფიცირებულია როგორც დამოუკიდებელი დანაშაული საერთაშორისო სამართლის ყველაზე სერიოზულ დანაშაულთა შორის³.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სისხლის სამართლის დანაშაულთან ბრძოლაში სხვადასხვა სახელმწიფოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის დაახლოების მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს საერთაშორისოსამართლებრივი კონვენციების მიღება. მისი აუცილებლობა განპირობებულია საერთაშორისო დანაშაულისა და საერთაშორისო ხასიათის დანაშაულთან ბრძოლის ამოცანებით. სათანადო კონვენციის მონაწილე სახელმწი-

¹ ე. პანოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

² Курь уголовного права, т. 5, Особенная часть, под ред. Г. И. Борзенкова, В. С. Комиссарова, М., 2002, с. 389.

³ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება, მიღებული გავროს უფლებამოსილ წარმომადგენელთა დიპლომატიურ კონფერენციაზე (რომის სტატუტში), ძალაში შევიდა 2002 წლის 1 იელისს.

ფოები იღებენ ვალდებულებას, გაითვალისწინონ თავიანთ ნაციონალურ კანონმდებლობაში კონვენციის ნორმები. მართალია, ეს კონვენციები არ შეიცავენ სისხლისსამართლებრივ სანქციებს, მაგრამ მათი შინაარსი ასახული უნდა იქნეს ეროვნულ სისხლის სამართლის კოდექსებში. დღესდღეობით რამდენიმე ათეული საერთაშორისო კონვენცია მეტად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ნორმების შინაარსზე.

ზოგიერთი მეცნიერი იურისტი უფრო შორს მიდის და თვლის, რომ ღრთა დაისვას საკითხი საერთაშორისო სისხლის სამართლის ნორმების კოდიფიკაციის შესახებ, სახელდობრ, შეიქმნას საერთაშორისო სისხლის სამართლის კოდექსი თავისი ზოგადი და კერძო ნაწილებით. ა. ნაუმოვის აზრით, კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების კოდექსზე არცთუ წარმატებული მუშაობა არ უნდა წარმოადგენდეს ასეთი ამოცანის დაყენებისათვის დაბრკოლებას. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შესახებ კოდექსის პროექტის ფარგლებს მიღმა დარჩა საერთაშორისო სისხლის სამართლის ნორმათა უმრავლესობა. ა. ნაუმოვი ეხება ნაციონალურ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში საერთაშორისო სისხლის სამართლის ნორმათა იმპლემენტაციის საკითხს. ეს ეხება საერთაშორისო დანაშაულთა, მათ შორის საერთაშორისო ხასიათის დანაშაულთა, სათანადო შემადგენლობათა განსაზღვრას და სისხლის სამართლის ტექნიკის საშუალებათა გამოყენებით ნაციონალური სისხლის სამართლის ნორმების შესაბამისობაში მოყვანას საერთაშორისო კონვენციების დებულებებთან. ავტორი თვითონვე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამ ამოცანის რეალიზაცია მეტად რთული იქნება.¹

თანამედროვე საერთაშორისო სამართალში არსებობს სხვადასხვა მოსაზრება საერთაშორისო სისხლის სამართლის შესახებ. ზოგიერთი ავტორი მას საერთაშორისო საჯარო სამართლის დარგად მიიჩნევს, ზოგი – საერთაშორისო კერძო სამართლის დარგად, სხვები მას საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელ დარგად თვლიან, ზოგიერთი კი საერთოდ უარყოფს საერთაშორისო სისხლის სამართლის არსებობას. მეცნიერთა ერთი ჯგუფი მას შემდეგნაირად განმარტავს: საერთაშორისო სისხლის სამართალი არის სამართლის პრინციპებისა და ნორმების ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს სახელმწიფოთა თანამშრომლობის ურთიერთობებს საერთაშორისო დანაშაულისა და საერთაშორისო ხასიათის დანაშაულის თავიდან აცილებისა და მისი ჩადენისათვის სასჯელის შეფარდების სფეროში.

ვ. პანოვი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოთა თანამშრომლობის ობიექტი უნდა განისაზღვროს როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანაშაული.² ეს მოსაზრება მთლად მუსტი არ არის. ცნობილია, რომ ზოგიერთი საერთაშორისო დანაშაული საერთაშორისო ხელშეკრულებაში საერთოდ არ არის გათვალისწინებული, არამედ მოცემულია

¹ А. В. Наумов, Влияние норм и принципов международного права на сближение уголовного права различных систем, Уголовное право в XXI веке, Материалы международной научной конференции, 2002.

² Панов В., *დასახ. ნაშრომი*, გვ. 15.

საერთაშორისო სამართლის ჩვეულებითი ნორმებით. თვით ვ. პანოვი საერთაშორისო დანაშაულს მიაკუთვნებს ეკოციდსა და ბიოციდს, რომელთა ცნებაც არცერთ საერთაშორისო ხელშეკრულებაში არ ვგვხვდება.

საერთაშორისო სამართლის დასაქვლურმა დოქტრინამ კარგა ხანია, რაც დამოუკიდებელ დარგად ცნო საერთაშორისო სისხლის სამართალი. მაგრამ დღემდე არ არსებობს ამ დარგის გამოყოფის ერთნაირი კრიტერიუმები. მრავალ გამოკვლევაში საერთაშორისო სისხლის სამართალი გაგებულია როგორც ძირითადი იარაღი სახელმწიფოთაშორის ურთიერთობაში წესრიგის დასამყარებლად. უნდა შევნიშნოთ, რომ არასწორად მიგვაჩნია საერთაშორისო სისხლის სამართლის ამგვარი გაგება. ფაქტობრივად, ასეთი განსაზღვრებისას იმლება ზღვარი საერთაშორისო სისხლის სამართალსა და საერთაშორისო სამართალს შორის.

ყოველივე ამის მიუხედავად, შეიძლება დავასკვნათ, რომ არსებობს საერთაშორისო სამართლის დარგი – საერთაშორისო სისხლის სამართალი. საერთაშორისო სისხლის სამართალს აქვს თავისი საგანი, დიდი მოცულობის ნორმატიული მასალა, ასევე მრავალი პრეცედენტი. მას აქვს თავისი მეთოდი, მაგრამ საერთაშორისო სამართლებრივი იძულების თავისებური ხასიათი საერთაშორისო დანაშაულში სპეციფიკურს ხდის ამ მეთოდს. საერთაშორისო საზოგადოება დანიტერესებულია დარგის კომპონენტების განვითარებით, რასაც მოწმობს საერთაშორისო დანაშაულთან ბრძოლის სფეროში აქტიური სამართალმემოქმედება და მუდმივი თუ დროებითი ხასიათის იურისდიქციული ორგანოების შექმნა.

საერთაშორისო სისხლის სამართალს აქვს თავისი სისტემა. მისი დახასიათებისათვის ხშირად ხმარობენ „კომპლექსურობის“ ცნებას. მისი ამგვარი ხასიათი გამომდინარეობს დარგის საგნიდან: მასში საერთაშორისო დანაშაულთან ერთად შედის საერთაშორისო ხასიათის დანაშაული. დანაშაულთან ეს ორი სახე მოითხოვს საერთაშორისო ორგანიზაციულ რეპრესიას, ისინი მიმართულია განსხვავებული ობიექტების წინააღმდეგ, რაც იწვევს პასუხისმგებლობის განსხვავებულ პროცედურას.

საერთაშორისო სისხლის სამართლის კვლევისას ხაზი უნდა გაესვას მის დაყოფას მაგერიალურ და პროცესუალურ სამართლად. ამასთან, ხშირად პრიორიტეტი ეძლევა საერთაშორისო პროცესუალურ სისხლის სამართალს.

საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის რეალიზაციის საკითხზე თანდათანობით სულ უფრო დიდი მნიშვნელობა მიიღო, ვინაიდან მაგერიალური საერთაშორისო სისხლის სამართლის ნორმების დარღვევისას აუცილებელი გახდა ისეთი მექანიზმის შექმნა, რომელიც ნორმის შეუსრულებლობისას საშუალებას მისცემდა საერთაშორისო საზოგადოებას, იძულების გზით აღესრულებინა იგი.

საერთაშორისო სისხლის სამართალი მჭიდროდ არის დაკავშირებული სამართლის სხვა დარგებთან. სულ უფრო ხშირად შეიმჩნევა გენდენცია, როდესაც დარგობრივი პრინციპების და ნორმების სერიოზული დარღვევა საერთაშორისო დანაშაულად აღიქმება. ამის ყველაზე მრავალრიცხოვანი მაგალითები მოკვმულია ჰუმანიტარულ სამართალში. იგივე ახასიათებს საერთაშორისო საჰაერო, საზღვაო, ეკოლოგიურ სამართალს და სხვა.

ყველაზე მჭიდრო კავშირი არსებობს საერთაშორისო სისხლის სამართალსა და საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს შორის, რომელიც მოიცავს ადამიანის უფლებათა სფეროში არსებულ ყველა პრინციპსა და ნორმას.

მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან საერთაშორისო სამართალში გამოყოფენ ახალ მიმართულებას – საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს. აღმოცენდა რა დოქტრინიდან, მან შემდგომ ნორმატიული სტაგუსი მიიღო. საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში იგულისხმება იურიდიული პრინციპებისა და ნორმების სისტემა, რომელიც გამოიყენება როგორც საერთაშორისო, ისე არასაერთაშორისო კონფლიქტებში. ეს პრინციპები და ნორმები აღგენენ საერთაშორისო სამართლის სუბიექტების ურთიერთსანაცვლო უფლებებსა და მოვალეობებს შეიარაღებული ბრძოლის წარმოებისას განსაზღვრული მეთოდებისა და საშუალებათა აკრძალვისაგან მათი გამოყენების შეზღუდვის შესახებ; ასევე უზრუნველყოფენ ამ ბრძოლაში კონფლიქტის მსხვერპლთა დაცვას და ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევისათვის პასუხისმგებლობას.¹

ადამიანის უფლებათა დარღვევა, რომელიც საერთაშორისო დანაშაულს წარმოადგენს, შეიძლება განხორციელდეს როგორც მშვიდობიანობის, ისე ომის დროს. აქედან გამომდინარე, ერთ შემთხვევაში დაირღვევა ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლის ნორმები, მეორე შემთხვევაში კი – ჰუმანიტარული სამართლის ნორმები, რომლებიც, როგორც აღინიშნა, გამოიყენება შეიარაღებული კონფლიქტის დროს. მაგრამ, ორივე შემთხვევაში, გამოიყენება იმ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ნორმები, რომლებმაც სახელმწიფო გამოიყენეს საერთაშორისო დანაშაულის ჩადენის იარაღად.²

ამრიგად, როგორც საერთაშორისო და კონვენციური დანაშაულის მიმოხილვიდან დავინახეთ, ახალი ქართული კანონმდებლობა არსებითად შესაბამისობაშია მოყვანილი საერთაშორისო სისხლის სამართლის ნორმებთან. საერთაშორისო სისხლის სამართლის განვითარების ტენდენცია საქართველოში შეიძლება პოზიტიურად შეფასდეს.

¹ Калугин В. В., Павлов Л. В., Фисенко И. В., Международное гуманитарное право, Минск, 1999.

² Герниченко С. В., Права человека и гуманитарная проблематика в современной дипломатии, Москов. журнал международного права, №3, 1992, с. 35.

კრიმინოლოგიის ცნებისა და სისტემის საკითხისათვის

გერმინი „კრიმინოლოგია“ ხმარებაში შემოვიდა და ფართოდ ვავრცულდა მას შემდეგ, რაც იტალიელმა მეცნიერებმა გოპინარდომ და ვაროუალომ 1885 წელს გამოსცეს ამავე სახელწოდების მონოგრაფია.

კრიმინოლოგია ეტიმოლოგიურად (წარმომავლობის, შემადგენლობისა და თავდაპირველი მნიშვნელობის მიხედვით) აღნიშნავს მოძღვრებას (სწავლებას) დანაშაულის შესახებ. იგი რთული სიტყვაა, შედგება ლათინური „crimen“ (criminis) – დანაშაული და ბერძნული სიტყვისაგან „Logos“ – მოძღვრება. შემდგომ მან განვითარების შედეგად უფრო ფართო მნიშვნელობა შეიძინა და ამჟამად გაგებულია როგორც მეცნიერება დანაშაულთა შესახებ.

კრიმინოლოგია სხვა საზოგადოებრივ და, კერძოდ, იურიდიულ მეცნიერებათა შორის შედარებით ახალი დარგია. მისი არსებობის ათვლა, როგორც უკვე შევნიშნეთ, იწყება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან. დანაშაულობა, როგორც სოციალური მოვლენა, ყოველთვის აინტერესებდათ არა მხოლოდ სხეადასხეა მიმართულების სპეციალისტებს, არამედ ნებისმიერ ადამიანსაც. კაცობრიობას ყოველთვის შიშს ჰკვირდა და ჰკვირს დანაშაულობა, ამიტომ ეძებდა და ეძებს იგი მასთან ბრძოლის ეფექტურ მეთოდებსა და ხერხებს. რაც შეეხება მეცნიერებს, ისინი ამ პრობლემის შესწავლით ყოველთვის იყვნენ დაინტერესებულნი. უძველესი დროიდან დაწყებული, მრავალი ფილოსოფოსის, ფსიქოლოგის, ფსიქიატრის, ექიმის, ისტორიკოსისა და სამართალმცოდნის შრომებში გვხვდება მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა ფენომენია დანაშაულობა, ვინ არიან დამნაშავენი, რატომ სჩადიან დანაშაულს და ა.შ.

მეცნიერები, თავიანთი სპეციალობის შესაბამისად, განიხილავდნენ დანაშაულობისა და დამნაშავეის პიროვნებასთან დაკავშირებულ პრობლემებს და ქმნიდნენ „საკუთარ“ თეორიებს. სახელდობრ, დანაშაულობის გამოწვევე მიზეზებზე, ხელშემწყობ პირობებზე, დანაშაულის ჩამდენ ადამიანებზე და სხვ. ამის შედეგად თანდათანობით იქმნებოდა დანაშაულობის სურათი. დანაშაულობის (როგორც სოციალური მოვლენის) გააზრებაში თავისი წვლილი შეიტანეს მწერლებმაც, რომელთა ნაწარმოებებში დანაშაულობის თემა, ისევე როგორც მსჯელობა ამ მოვლენის მიზეზების ირგვლივ და იმ პირობებზე, რომლებიც სჩადიოდნენ დანაშაულს, ფართო სპექტრით იყო წარმოდგენილი. აღსანიშნავია ისიც, რომ, თუმცა ყველა მეცნიე-

რი, მწერალი, გამოძიებელი, მოსამართლე, პროკურორი, ადვოკატი, პოლიციელი დანაშაულობას ბოროტებად თვლიდა და თელის ღღესაც, მაგრამ მხატვრულ ნაწარმოებებში სშირად მწერალს გამოყვანილი ჰყავს ისინი როგორც კეთილშობილი დამნაშავეები, რომელთა ქმედება თუმცა კანონით გათვალისწინებულ დანაშაულს მიეკუთვნება, მაგრამ მაინც თანაუგრძნობს მათ. ლიტერატურასა და ადამიანთა სოციალურ ყოფაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ჩადენილია სხვადასხვა სახის დანაშაული, მაგრამ მისი ჩამდენი პირები, იმის გამო, რომ ისინი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის „ლიდერების“, პარტიათა „ბელადების“, „პოლიტიკოსებისა“ და ა.შ. როლში გამოდიან, დასჯილნი არ არიან და მათ მიერ ჩადენილი დანაშაულები სისხლის სამართლის სტატისტიკაში არ ხვდება. ასეთად უნდა მივიჩნიოთ, მაგალითად, აფხაზი სეპარატისტების მიერ ჩადენილი დანაშაულები.

ზემოაღნიშნული სახის ქმედებებს, მართალია, გმობს მსოფლიო საზოგადოება, მაგრამ ასეთი დაგმობა რჩება „ხმად მლაღაღებლისა უდაბნოსა შინა“. როგორც ვხედავთ, სამწუხაროდ, ადამიანები, თუმცა აღიარებენ, რომ ისტორიის მწარე წარსულიდან საჭიროა დასკვნების გამოტანა, მაგრამ ძალაუფლების მოპოვებისათვის ბრძოლაში თვითონვე სჩადიან ერთსა და იმავე ბოროტმოქმედებას და იმეორებენ ერთსა და იმავე შეცდომებს. აქედან გამომდინარე, ნათელი ხდება, რომ დანაშაულობას გარკვეულ ასპექტში არა მხოლოდ საერთო სისხლისსამართლებრივი, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობაც გააჩნია.

კრიმინოლოგია, უპირველეს ყოვლისა, არის მეცნიერება საერთოსისხლისსამართლებრივი დანაშაულობის შესახებ, ხოლო დანაშაულობა, როგორც სპეციფიკური ნიშნების მქონე სოციალური მოვლენა, მისი საგანგებო შესწავლის საგანია, თანაც მის წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელია მისი შემეცნების გარეშე.

კრიმინოლოგიის, როგორც მეცნიერების, განვითარების გზა დასაწყისშივე ისე განისაზღვრა, რომ დანაშაულობის თეორიული გააზრება ხდებოდა ამა თუ იმ მეცნიერების ძირითადი ნიშნების გათვალისწინებით. ყალიბდებოდა ასევე კონკრეტული მიმართულებები (სკოლები), რომელთა ამოცანას შეადგენდა დანაშაულობის შემეცნება განსაზღვრული მეთოდოლოგიური პოზიციებიდან, მაგალითად, შეუძლებელია ვილაპარაკოთ დანაშაულობათა თავიდან აცილებაზე ისე, თუ არ შემუშავდა მისი თავიდან აცილების კონკრეტული ღონისძიებები.

კრიმინოლოგიური მეცნიერების განვითარების გააზრება და ანალიზი საშუალებას იძლევა ვილაპარაკოთ მის სამ ძირითად მიმართულებაზე: სოციოლოგიურ, ბიოკრიმინოლოგიურსა და შერეულზე. მათში შეიმჩნევა ან ეკლექტიკური შერწყმა სოციალურისა და ბიოლოგიურის, ან მეცნიერულად უფრო მისაღები სოციალურის წინ წამოწევიტ ადამიანის პიროვნული თავისებურებების – ბიოლოგიურისა და ფიზიოლოგიურის – გათვალისწინება, მაგრამ არა როგორც დანაშაულობის მიზეზების, არამედ როგორც სოციალური მოვლენის შემეცნებისა და აღქმის ხელშემწყობი პირობების სახით. ამასთან, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ხანგრძლივი დროის მანძილზე

მეცნიერთა საკმაოდ დიდი ნაწილი დანაშაულობას განიხილავდა როგორც ფსიქიკურ გადახრას, ავადმყოფობას და სწორედ ამის გამო მას შეისწავლდნენ ფსიქიატრები. უახლოეს წარსულში საბჭოურ და, საერთოდ, მარქსისტულ მეცნიერებაში თითქმის ყველა მიმართულებას (სოციოლოგიურსაც კი) ძალიან ხშირად განიხილავდნენ როგორც „არამეცნიერულს“ ან, „რბილად“ რომ ვთქვათ, „ფსევდომეცნიერულს“, „ბურჟუაზიულს“, „ანტიმარქსისტულს“. ახლა, როცა შემოადინებულმა დრომ (პერიოდმა) განვლო, უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა ეს თეორია, – მისაღებია თუ არა იგი ჩვენთვის, – შექმნილია მეცნიერების მიერ (რომლებიც ამ პრობლემას განიხილავდნენ მეცნიერების განვითარების თავისი დროის დონის შესაბამისად) და ამიტომ თავი უნდა შევიკავოთ იარღიყების მიკუთვნებისაგან.

მეცნიერებისათვის აუცილებელია წარსულის კრიტიკული აღქმა. სწორედ აღქმა და არა იარღიყური უარყოფა, ვინაიდან ზოგიერთი თეორია. დღესაც პერსპექტიულია ამა თუ იმ მოვლენის არსის შემეცნების თეალსაზრისით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ არის თეორიები, რომლებიც სცილდებიან ჭეშმარიტებას. ასევე არის თეორიები, რომელთა გარეშე არ არის და არც შეიძლება იყოს პრაქტიკა და ბოლოს, არის თეორიები თეორიებისათვის, რომლებიც მოკლებულია პრაქტიკულ ინგერესს, მათი ცოდნა საჭიროა, მაგრამ კრიტიკულად უნდა ვჭვრეტდეთ მათ არსს. კაცობრიობისათვის მიუღებელ (მავნე) თეორიებთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ ისინი ზოგიერთი პოლიტიკოსის მიერ, საკუთარი ანგარების მიზნით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადამიანთა საწინააღმდეგოდ. აქედან გამომდინარე, საჭიროა განვასხვავოთ საკუთრივ თეორიები და მათი გამოყენების პრაქტიკა. ჩვენ უკვე აღარაფერს ვამბობთ თეორიების მქედარ და დამახინჯებულ გაგებაზე დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმესთან დაკავშირებით, რაც, სამწუხაროდ, არცთუ ისე იშვიათად აღინიშნება სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში.

ყოველივე ამასთან ერთად კრიმინოლოგიის მიზნები: დანაშაულობისა და მის ჩამდენ პირთა შემეცნება და შესწავლა, დანაშაულობის მიზეზებისა და პირობების გარკვევა, თავიდან აცილების ღონისძიებების შემუშავება და სხვ., რაც, თავის მხრივ, მიმართულია საზოგადოებრივი ურთიერთობისა და დანაშაულობასთან ბრძოლის ეფექტურად წარმართვისაკენ.

კრიმინოლოგიამ საბჭოთა პერიოდში განვითარების მეტად რთული გზა განვლო – სრული უარყოფისა და ცრუმეცნიერებად გამოცხადებიდან კანონმდომიერებისა და დანაშაულობასთან ბრძოლის პრაქტიკის თეორიულ საფუძვლად აღიარებამდე. იგი ცრუმეცნიერებად, უპირველეს ყოვლისა, იმის გამო ითვლებოდა, რომ აღიარებდა დანაშაულობის მიზეზების არსებობას „ყველაზე სრულყოფილ“ საზოგადოებაში, რაც დიდი ხნის მანძილზე მიიჩნეოდა სოციალიზმის ცილისწამებად და ეს მაშინ, როდესაც წინააღმდეგობანი აშკარა და ცხადი იყო. დანაშაულობა არა მარტო რაოდენობრივად მაგულობდა, არამედ უფრო საშიში ხდებოდა შინაარსობლივადაც (იგულისხმება თვისებრივი მარვეულებები), თანაც დანაშაულობის მიზეზების მარარსებობის პირობებში. ამავე დროს, ცნობილია, რომ როგორც ბუნებაში, ისე არც საზოგადოებაში მოვლენები უმიზეზოდ არ არსებობს. ამ პერიოდის იდეოლოგიის მთავარი მიზანი

იყო, დაემტკიცებინათ სოციალიზმის უპირატესობა ყველგან და ყველგან. ამით, ცხადია, გამოუსწორებელი მიანი ადგებოდა დანაშაულობის პრობლემების თეორიულ გააზრებასა და მასთან ბრძოლის პრაქტიკას.

ნებისმიერი სოციალური საქმიანობა მხოლოდ მაშინ არის ეფექტური, როდესაც იგი გააზრებულია, მეცნიერულადაა ახსნილი, დასაბუთებულია და გამოვლენილია მისი კანონზომიერებანი, ასევე განსაზღვრულია მისი ამოცანები, ახლო და საბოლოო მიზნები. ადამიანის სოციალური ყოფა ისევე მრავალგვარია, როგორც მისი თანმხლები წინააღმდეგობანი და კონფლიქტები. სწორედ ამით არის განპირობებული ის სირთულეები, რაც წარმოიშობა სამოგადობრივ ურთიერთობებში, ასევე, სოციალურ ჯგუფებს, კონკრეტულ ადამიანებსა და თვით საზოგადოებასა და პიროვნებას შორის.

სოციალური საქმიანობის განსაკუთრებულ სახეობას მიწის ნიშნით წარმოადგენს ადამიანების დანაშაულებრივი საქმიანობა, კერძოდ, დანაშაულის ჩადენა. სამართლებრივმა მეცნიერებებმა (სისხლის სამართალი, სისხლის სამართლის პროცესი, სასჯელთაღსრულების სამართალი და სხვ.), ადამიანებს შესაძლებლობა მისცა, გაეგოთ დანაშაულის ბუნება, დანაშაულის სახეობები, დანაშაულობასთან ბრძოლის ფორმები და მეთოდები, პროცესუალური საქმიანობისა და დამნაშავეობისადმი მოპყრობის წესები. პრობლემებში ღრმად ჩაუვლიდამ, თავის მხრივ, ნათელყო სხვა მეცნიერებათა მიღწევების (დამოუკიდებელი მეთოდების) გამოყენების აუცილებლობა დანაშაულობასთან ბრძოლაში. სწორედ ეს ამოცანა გადაწყვიტა კრიმინოლოგიამ. ამ მეცნიერებამ დანაშაულობასთან ბრძოლის სამართლებრივი და არასამართლებრივი (ტექნიკური, საბუნებისმეტყველო და სხვა) მეთოდების სინთეზირება მოახდინა. დანაშაულობის შეცნობის პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მედიცინამ (ფსიქიატრიამ), ასევე სწრაფად განვითარებადმა სასამართლო (კრიმინალურმა) ფსიქოლოგიამ. მართალია, ამ მეცნიერებებმა ვერ მოიცვა (და არც შეუძლია ამის გაკეთება თავისი სპეციფიკის გამო) დანაშაულობის პრობლემა – როგორც მოვლენა მთლიანობაში, მაგრამ მათი მიღწევების გამოყენებამ ხელი შეუწყო კრიმინოლოგიის განვითარებას. ეს უკანასკნელი შეისწავლის დანაშაულობას, როგორც სოციალურ მოვლენას, რომელიც არსებობს საზოგადოებაში და უკავშირდება სხვა სოციალურ მოვლენებს, მას გააჩნია თავისი წარმოქმნის, არსებობისა და განვითარების კანონზომიერებანი. მასთან ბრძოლა მოითხოვს სპეციფიკურ და ზოგადი სახის მეთოდების გამოყენებას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სისხლის სამართლის მეკლევართა შორის არსებობს თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც უარყოფილია კრიმინოლოგია არა მხოლოდ როგორც დამოუკიდებელი ზოგადთეორიული მეცნიერება დანაშაულობის შესახებ, არამედ როგორც მეცნიერება საერთოდ. ეს მეცნიერები თვლიან, რომ კრიმინოლოგია სისხლის სამართლის სოციოლოგიის ნაწილია.¹ ცხადია, ასეთი შეხედულებები მომდინარეობს მე-20 საუკუ-

¹ მაგალითად, საბჭოური კრიმინოლოგიის ფუძემდებელი ა. ა. გერცენზონი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ კრიმინოლოგია სისხლის სამართლის ნაწილია. ასეთივე პოზიცია ეკავა ა. ს. შლაპაპოვნისთვის. შემდგომში მათ ეს შეხედულება შეცვალეს და კრიმინოლოგია დამოუკიდებელ დისციპლინად მიიჩნიეს. დღემდე ასეთი პოზიცია აქვს კრიმინოლოგთა აბსოლუტურ უმრავ-

ნის ოციანი წლებიდან, როდესაც დამნაშავეობის მიზეზების საკითხი სოციალიზმის დროს გადაწყვეტილი იყო „მთლიანად, ცალსახად და საბოლოოდ“. დიდ მტკიცებას არ საჭიროებს ის ფაქტი, რომ კრიმინოლოგიური გამოკვლევები და დასკვნები საშუალებას გვაძლევს, უფრო ღრმად შევისწავლოთ სისხლის სამართლის, სასჯელთაღსრულებითი სამართლის, პროცესუალური სამართლის, კრიმინალისტიკის, სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის ინსტიტუტები, რომელთა საბოლოო მიზანია დანაშაულობასთან წარმატებული ბრძოლა. ყოველივე ეს სრულებითაც არ „აღარბებს“ დასახელებული მეცნიერების დარგებს, როგორც ამას ამტკიცებენ კრიმინოლოგიის (როგორც მეცნიერების) აშკარა მოწინააღმდეგენი.

კრიმინოლოგია გამოეყო რა სისხლის სამართლისა და ზოგად სოციოლოგიას (ამჟამად ასეთი აზრიც არსებობს), მას მიეცა დამოუკიდებელი განვითარების შესაძლებლობა. ამასთანავე, იგი მკიდრო კავშირშია სისხლის სამართლისა და სხვა სამართლებრივ მეცნიერებებთან, აგრეთვე სოციოლოგიასთან, ფილოსოფიასთან, მედიცინასთან, განსაკუთრებით ფსიქიატრიასთან (რადგან საჭიროა განეასხევაოთ ავადმყოფის ასოციალური ქცევა დანაშაულისაგან) და ზოგ სხვა მეცნიერებასთან.

კრიმინოლოგიური აზროვნებისა და კრიმინოლოგიური მეცნიერების ლოგიკური განვითარება უფლებას გვაძლევს, ვილაპარაკოთ კრიმინოლოგიაზე როგორც დანაშაულობის, მისი თანმხლები მიზეზებისა და პირობების, დანაშაულის ჩამდენ პირთა და დანაშაულობასთან ბრძოლის მეთოდების შესახებ ზოგადთეორიულ მეცნიერებაზე.

კრიმინოლოგია, როგორც შეენიშნეთ, მკიდრო კავშირშია სხვა მეცნიერებებთან. ამიგომ, როდესაც ლაპარაკია მეცნიერების საგანზე, საჭიროა გამოეყოს ის მთავარი, არსებითი, რაც განასხევეებს მას მომიჯნავე მეცნიერებებისაგან. ეს აუცილებელია იმიგომაც, რომ ბევრ მეცნიერს, როდესაც ლაპარაკია კრიმინოლოგიაზე, მისი არსებობის დასაწყისიდან დღემდე, უჩნდება ცდუნება, გააფართოს მის საგანში შემაჯალ საკითხთა წრე. ეს გასაგებიცაა, რადგან თვით დანაშაულობას, როგორც სოციალურ მოვლენას, გადგმული აქვს ფესვები საზოგადოებაში.

კრიმინოლოგიის საგნის სადღეისო ვაგება არ ყოფილა ცალსახა. მეცნიერების განვითარებასთან ერთად ის მუგტდებოდა, იძენდა ხან ვიწრო. ხან კი უფრო ფართო მნიშვნელობას. კრიმინოლოგიის საგნის შემადგენელ ელემენტებს ერთდროულად არ მოუპოვებია კუთვნილი ადგილი. ზოგი ადრე დამკვიდრდა, ზოგიც მოგვიანებით. მაგალითად, „დამნაშავის პიროვნებაზე“ შედარებით მოგვიანებით დამკვიდრა თავისი ადგილი კრიმინოლოგიის საგანში. მანამდე „დამნაშავის პიროვნებაზე“ სწავლობდნენ სოციოლოგები, ფსიქოლოგები, მედიკოსები (განსაკუთრებით ფსიქიატრები) და სხვები. დანაშაულობის, როგორც სოციალური მოვლენის. ღრმა შესწავლის შემდეგ აშკარა გახდა, რომ არ შეიძლებოდა პიროვნების მოწყობა

ლესობას, გამონაკლისია ნ. მაღაბოვი, ა. ფეფლოვი და სხვ. რომლებსაც კრიმინოლოგია მეცნიერებად არ მიიჩნევენ (იხ. Криминалогия, М., 1995, стр. 16). ქართველ კრიმინოლოგებში კრიმინოლოგიას მეცნიერებად არ მიიჩნევენენ პროფ. ბ. ფურცხვანიძე და პროფ. ბ. სარამიშვილი.

ქმედებისგან და, რომ კრიმინოლოგიის გარდა, არც ერთ მეცნიერებას არ შეეძლო „თავისად“ ჩაეთვალა დანაშაულობის მთელი პრობლემა, ე.ი. ეს პრობლემა მთლიანად კრიმინოლოგიის შესწავლის ობიექტი გახდა.

კრიმინოლოგიის არსის გაგების საფუძველი კრიმინოლოგიის სახისა და მისი ობიექტების შეპირისპირება და გამოიჯენაა. სოციოლოგიური გაგებით, კვლევის ობიექტია ყოველივე ის, რაც შეიმეცნება (რამეთუ ის ჯერ არ არის შეცნობილი და თუ იგი ცოდნას უპირისპირდება); მოვლენები, პროცესები, მათი მხარეები და ურთიერთობები, თუ ისინი მოითხოვენ შემდგომ კვლევას, არის კვლევის საგანი. აქედან გამომდინარე, კრიმინოლოგიის კვლევის საგნად გვევლინება დანაშაულობა (როგორც სოციალური მოვლენა), მისი მიზეზები და პირობები, დამნაშავის პიროვნება (ვინც სჩადის დანაშაულს), დანაშაულობის თავიდან აცილებისა და კონტროლის ფორმები და მეთოდები. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ დანაშაულობა არა უბრალოდ სოციალური მოვლენაა, არამედ სამართლის ჩარჩოებში (ფარგლებში) „ჩასმული“ სოციალური მოვლენა. იგი მოძრავია, რადგან კონკრეტულ დანაშაულთა ცნება არ არის გაყინული კატეგორია. სოციალური ცხოვრების ეს მოვლენები ობიექტურად არსებობს და მეგნაკლებადაა დამახასიათებელი ნებისმიერი სოციალურ-პოლიტიკური სისტემისათვის. ბუნებრივია, არსებობს განსხვავებაც, რამაც თავი იჩინა კაცობრიობის განვითარების უფრო გვიანდელ ეტაპებზე და რაც დამოკიდებულია ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და ეროვნულ თავისებურებებზე.

ამრიგად, კრიმინოლოგიის მეცნიერების საგანია თვით მოვლენა (დანაშაულობა), თავისი არსის ერთობლიობითა და მრავალსახეობით და ის ფაქტორები, რომლებიც უშუალოდაა მასთან დაკავშირებული.

საინტერესოა პროფ. ა. ა. გერცენზონის შეხედულება კრიმინოლოგიის საგანზე. მისი აზრით, კრიმინოლოგია სისხლის სამართლის მეცნიერების ერთ-ერთი ცენტრალური განყოფილებაა და მოიცავს მთელ რიგს საკითხებისას, რომლებიც დაკავშირებულია დანაშაულობის სრული აღმოფხვრის ამოცანის გადაწყვეტასთან სახელმწიფო და საზოგადოებრივი ღონისძიებების გამოყენების გზით. ამ ცენტრალური ამოცანის გადასაწყვეტად კრიმინოლოგია შეისწავლის დანაშაულობას, მის გამომწვევ მიზეზებს, მისი ჩადენის ხელშემწყობ პირობებს, აგრეთვე დამნაშავეთა პიროვნებას და ამუშავებს ღონისძიებათა სისტემას, რომელიც მიმართულია დანაშაულთა წინასწარ აცილებაზე.

დანაშაულობის შესწავლა და წინასწარ აცდენა თეორიული თვალსაზრისით, – აღნიშნავს ა. გერცენზონი, – სისხლის სამართლის მეცნიერების კომპლექსურია. სწორედ ეს მეცნიერება, რომელიც შეისწავლის სისხლის სამართლის კანონებს, დანაშაულს, სასჯელსა და დანაშაულობასთან ბრძოლის სხვა ღონისძიებებს, მოწოდებულია, გამოიკვლიოს დანაშაულობის პრობლემა და მასთან ბრძოლის ღონისძიებანი არა მარტო იურიდიული, არამედ სოციალურ-პოლიტიკური, სოციოლოგიური თვალსაზრისითაც. მაგრამ დანაშაულობის, მისი მიზეზების, ხელშემწყობი პირობების წინასწარ აცდენის ღონისძიებათა სოციოლოგიური შესწავლა ხასიათდება თავისებური სპეციფიკით, გულისხმობს თავისებური ხერხების, სპეციალური მეთოდების გამოყენებას, რაც

სცილდება სისხლის სამართლის მეცნიერების ფარგლებს. ამიტომ დანაშაულობის პრობლემის სოციოლოგიური შესწავლისათვის საჭიროა განეაივთაროთ სისხლის სამართლის მეცნიერების ფარგლებში მისი სპეციალური განყოფილების სახით კრიმინოლოგია.

სისხლის სამართლის მეცნიერების ასეთი განყოფილების შექმნის წინადადებასა და ცდას, – აღნიშნავს პროფ. ა. გერცენზონი, – წინააღმდეგობას უწევდა ზოგიერთი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი მუშაკი. ერთი მიმოხედს, რომ საბჭოთა კრიმინოლოგია აითვისებდა ბურჟუაზიული კრიმინოლოგიის იდეებს; მეორენი ფიქრობდნენ, რომ კრიმინოლოგიის შემოღების შედეგად დანაშაულობის შესწავლისა და წინასწარ აცდენის საკითხები ამოეარდებოდა სისხლის სამართლის მეცნიერების ფარგლებიდან და მოხვდებოდა ბიოლოგიების, ფსიქოლოგიების, ფსიქიატრებისა და სხვათა გავლენის სფეროში, რის გამოც სისხლის სამართლის მეცნიერებას დარჩებოდა მხოლოდ დანაშაულის შესწავლის იურიდიულ-დოგმატური ასპექტი, ხოლო თვით დანაშაულების პრობლემა გადაიჭრებოდა ბიოფსიქოლოგიური თვალსაზრისით. დაბოლოს, იყვნენ ისეთინც, რომელთაც არ წამოუყენებიათ არაერთი კონკრეტული მოსაზრება კრიმინოლოგიის წინააღმდეგ, მაგრამ ისინი შეპყრობილი არიან რა სიახლის შიშით, ფიქრობენ, თუ აქამდე არ გვექონდა ეს მეცნიერება, მომავალშიც შეიძლება უამისოდ მუშაობაო.

პროფ. ა. გერცენზონს ყველა აღნიშნული მოსაზრება უსაფუძვლოდ მიაჩნია. მისი აზრით, მითითება იმაზე, რომ კრიმინოლოგია „ბურჟუაზიული წარმოშობისაა“, იმგვარადვე მოკლებულია საფუძველს, როგორც, ვთქვათ, მითითება სისხლის სამართლის პროცესის, კრიმინალისტიკის წარმოშობაზე. იმის შიში, რომ დანაშაულობის პრობლემა „ამოეარდება“ სისხლის სამართლის მეცნიერების სფეროდან, უსაფუძვლოა, რამდენადაც ჩვენ გამოვდივართ იმ სავალდებულო წინამძღვრიდან, რომ კრიმინოლოგია წარმოადგენს სისხლის სამართლის მეცნიერების ნაწილს, განყოფილებას, რომელსაც თუმცა აქვს თავისი სპეციფიკა, მაგრამ იგი მაინც მჭიდროდაა დაკავშირებული სისხლის სამართლის მეცნიერებასთან. დაბოლოს, მოსაზრება, რომ აქამდე თეორია და პრაქტიკა მუშაობდა კრიმინოლოგიის გამოყენებლად და მომავალშიც შეიძლება უამისოდ მუშაობაო, აგრეთვე მოკლებულია საფუძველს, ვინაიდან სახელმწიფომ და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობამ დააყენა სრული მოცულობით დანაშაულობის აღმოფხვრის ამოცანა, რაც უნდა განხორციელდეს. თავის მხრივ, ამ ამოცანის შესრულება შეუძლებელია დანაშაულობის სისტემატური შესწავლის გარეშე. თეორიამ უნდა მიაწოდოს პრაქტიკას ყველაფერი, რაც კი საჭიროა დანაშაულობის ყოველდღიური შესწავლისა და წინასწარი აცილების ორგანიზაციისათვის, ამის მიღწევა კი შესაძლოა სისხლის სამართლის მეცნიერების ახალი განყოფილების – კრიმინოლოგიის განვითარების გზით.

პროფ. ა. გერცენზონის შეხედულებით, კრიმინოლოგიის სავანს შეადგენს: 1) დანაშაულობა; 2) დანაშაულის პიროვნება; 3) დანაშაულობის მიზეზები და ხელშემწყობი და პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ დანაშაუ-

ლთა ჩადენას; 4) დანაშაულობის წინასწარ აცდენის ღონისძიებანი; 5) დანაშაულობის შესწავლისა და წინასწარ აცდენის მეთოდის საკითხები.¹

პროფ. ი. კარპეცის შეხედულებით, კრიმინოლოგიამ უნდა შეისწავლოს არა მხოლოდ დანაშაული და მისი გამოვლენის სხვადასხვა ფორმა, არამედ ზოგიერთი ამორალური გამოვლენება, რაც დანაშაულებრივი ქცევის თავისებური წინაპირობაა. მაგრამ სადაა ამ მოვლენათა შესწავლის საზღვრები იურიდიულ მეცნიერებაში? შეუძლია თუ არა კრიმინოლოგიას, უსასრულოდ გაფართოედეს და გაღრმავედეს უარყოფითი მოვლენების შესწავლით?

ი. კარპეცს მოაქვს ლოთობის მაგალითი და აღნიშნავს, რომ ამ მოვლენას სწავლობენ სოციოლოგები, ფსიქოლოგები, ექიმები და სხვ., მაგრამ ყველა მკვლევარი ლოთობას განიხილავს სხვადასხვა პოზიციიდან. ერთნი შეისწავლიან მის სოციალურ მნიშვნელობას, მეორენი – მის გავლენას ადამიანის ფსიქიკურ და ფიზიკურ მდგომარეობაზე და ა.შ. ამ პრობლემა-სადმი კრიმინოლოგიის ინტერესი კი იმით გამოიხატება, რომ დაადგინოს, თუ რა სახის დანაშაულს სჩადიან ყველაზე ხშირად ის პირები, რომლებიც იმყოფებიან მთვრალ მდგომარეობაში. დაადგენს რა ყველაზე უფრო გი-პურ დანაშაულებს (ჩადენილს სიმთვრალეში), ამის საფუძველზე კრიმინოლოგიამ უნდა შეიმუშაოს რეკომენდაციები ამ სახის გამოვლენებასთან საბრძოლველად. თავისი დასკვნები და რეკომენდაციები, ცხადია, მან უნდა გადასცეს სოციოლოგებს, პედაგოგებს, ფსიქოლოგებსა და ა.შ. კრიმინოლოგიის როლი უნდა გამოიხატოს ამორალურ გამოვლენებათა გამომე-ღაენებით, ე.ი. დანაშაულისწინა ქცევების დადგენით, რაც ყველაზე ახლოსაა დანაშაულობასთან და რომლის თავიდან აცილება რეალურად აისახე-ბა სამართალდარღვევათა შემცირებასა და იმ პირთა რიცხვზე, რომლებიც ასეთ საქციელში არიან შემჩნეული. გარდა ამორალური ქცევისა, – აღნიშ-ნავს ი. კარპეცი, – არის საზოგადოებრივ პრაქტიკაში სხვა მოვლენები, რომლებიც ახლოსაა დანაშაულობის პრობლემასთან, მაგრამ ისინი არ შეისწავლება კრიმინოლოგიის მიერ, მაგალითად, ისეთი მოვლენა, როგო-რიცაა თვითმკვლელობა. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ამ მოვლენას უნდა სწავლობდეს კრიმინოლოგია, რამდენადაც თვითმკვლელობის ფაქტზე აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ ეს ხდება იმისათვის, რომ დადგინდეს, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ხომ არ ყოფილა თვითმ-კვლელობაზე მიყვანა. ასეთი ფაქტის დადგენის შემთხვევაში კრიმინოლო-გია ხსნის მიზეზებს, ხოლო თუ ხდება თვითმკვლელობა, მაშინ კრიმინოლო-გიას არ უნდა ჰქონდეს ინტერესი მისდამი, რადგან მისი მიზეზები ინდივი-დუალურია და დანაშაულობასთან კავშირი არა აქვს. სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, ასეთი მოვლენა საჭიროა შე-სწავლილ იქნეს, რადგან იგი ხდება საზოგადოებაში, მაგრამ თვითმკვლე-ლობის ფაქტი – ესაა სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური პრობლემა.²

დასასრულს, კრიმინოლოგიის საგნის საკითხთან დაკავშირებით, ხაზი გვინდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში

¹ იხ. А. А. Герцензон, Введение в криминологию, М., 1965, с. 21-43.

² И. И. Карпец, Проблема преступности, М., 1969, с. 163-164.

კრიმინოლოგიისა და მისი საგნის შესახებ არსებობს ავტორების აზრთა სხვადასხვაობა, რაც, ბუნებრივია, იწვევს კრიმინოლოგიის საგნის სხვადასხვაგვარ განმარტებას. მაგალითად, 1967 წელს გამოცემული ლექციების კრებულში ხაზგასმულია, რომ კრიმინოლოგიის საგნად გვევლინება „დანაშაულობა მისი წარმომშობი მიზეზები და პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ დანაშაულის ჩადენას“. „დამნაშავეთა პიროვნება და დანაშაულობის თავიდან აცილების ღონისძიებები“, ხოლო 1968 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში კი კრიმინოლოგია განსაზღვრულია როგორც „მეცნიერება დანაშაულობის მდგომარეობაზე, დინამიკაზე, შესწავლის მეთოდებზე, მისი თავიდან აცილების გზებსა და საშუალებებზე ჩვენს საზოგადოებაში“.

1976, 1979, 1988, 1995, 1997, 2000 და 2003 წლებში გამოცემულ სახელმძღვანელოებში კი კრიმინოლოგიის საგნად მიჩნეულია არა მარტო ინდივიდუალური დანაშაულებრივი ქცევა, არამედ თვით დანაშაულობაც როგორც მასობრივი ქცევა; რაც შეეხება კრიმინოლოგიის განსაზღვრას, იგი მიჩნეულია ზოგადიოვრიულ მეცნიერებად დანაშაულობის შესწავლაზე; ესელებით ისეთ განმარტებასაც, რომლის მიხედვითაც კრიმინოლოგია არის მეცნიერება დანაშაულობის კანონზომიერებებისა და მისი შინაარსის შესახებ.

გემოაღნიშნული განმარტებები სრულყოფილი არ არის. კრიმინოლოგიის მეცნიერების საგანში უნდა შევიდეს: დანაშაულობა და მისი ძირითადი მაჩვენებლები (სახელდობრ: მდგომარეობა, დინამიკა, სტრუქტურა); დანაშაულობის მიზეზები და ხელშემწყობი პირობები; დანაშაულის ჩამდენი პირი; ლატენტურობის, ვიქტიმოლოგიისა და დანაშაულობის პროცნობირების საკითხები. მისმა საგანმა უნდა მოიცვას ასევე კრიმინოლოგიის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ისეთი საკითხები, როგორიცაა: არასრულწლოვანთა და ასალგაზრდობის დანაშაულობა; ძალადობითი დანაშაულობა; ეკონომიკური დანაშაულობა; ორგანიზებული დანაშაულობა; პროფესიული დანაშაულობა; რეციდიული დანაშაულობა; გაუფრთხილებლობითი დანაშაულობა; დანაშაულობის შესწავლის მეთოდები და დანაშაულობის თავიდან აცილების ღონისძიებები; კრიმინოლოგიამ გვერდი არ უნდა აუაროს ასევე დანაშაულობის მდგომარეობის, დინამიკის, მიზეზებისა და პირობების შესწავლას საზღვარგარეთის ქვეყნებში, აგრეთვე სამეცნიერო სკოლებისა და კრიმინოლოგიური თეორიების ანალიზს.

საბოლოოდ უნდა ვთქვათ, რომ კრიმინოლოგია – ესაა მოძღვრება დანაშაულობისა და მისი თავიდან აცილების შესახებ. სხვანაირად თუ ვიგყვით, ესაა მეცნიერება დანაშაულობის როგორც სოციალური მოვლენის შესწავლისა და მისი თავიდან აცილების ღონისძიებათა შემუშავების შესახებ.

ლიტერატურაში სადავოა საკითხი ასევე იმის შესახებ, თუ რა ადგილი უკავია კრიმინოლოგიას სამართლებრივ მეცნიერებათა სისტემაში. ავტორთა ერთი ნაწილი კრიმინოლოგიას მიიჩნევს დამოუკიდებელ კომპლექსურ მეცნიერებად, რომელშიც შედის, ერთი მხრივ, სისხლის სამართლის, აღმინისგნაიული სამართლის, სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის ცალკეული ელემენტები, ხოლო მეორე მხრივ, სტატისტიკის, ფსიქოლოგიის, პედაგოგიკისა და ეკონომიური მეცნიერების ელემენტები. ავტორთა მეორე ჯგუფი კრიმინოლოგიას განიხილავს როგორც სისხლის სამართლის მე-

ნიერების ნაწილს, რომელიც, მათი აზრით, განუყოფელ კავშირშია სისხლის სამართლის პროცესთან, სტაგისტიკასთან, ფსიქოლოგიასთან და სხვ. ვეიქრობთ, ეს უკანასკნელი მოსაზრება უფრო სწორია.

კრიმინოლოგები ერთი აზრისანი არიან იმაში, რომ კრიმინოლოგია სოციალური მეცნიერებაა და შეეხება იურიდიული მეცნიერების ფარგლებს.

კრიმინოლოგიის სისტემის საკითხთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ კრიმინოლოგიის სისტემაზე საუბარი გულისხმობს მის მიერ შესა

სწავლ პრობლემათა განხილვის რიგს, ვთქვათ, ყველაზე უფრო ზოგადიდან, გლობალურიდან, ფუძემდებლურიდან კონკრეტულამდე. მრავალ სახელმძღვანელოსა და სალექციო კურსში სწორედ ასეთი პრინციპია გატარებული.

სამართლის დარგებში (რომლებიც დაკავშირებულია კანონმდებლობასთან), მეცნიერების სისტემა ხშირად ემთხვევა კანონმდებლობის სისტემას. როგორც ცნობილია, სისხლის სამართლის მეცნიერება შედგება „ზოგადი“ და „კერძო“ ნაწილისაგან და, შესაბამისად სისხლის სამართლის კოდექსსაც გააჩნია „ზოგადი“ და „კერძო“ ნაწილი. „ზოგად“ ნაწილში მოცემულია ზოგადთეორიული, მეცნიერებისა და პრაქტიკისათვის ამოსავალი დებულებები, „კერძო“ ნაწილში კი – დანაშაულთა სახეები, მათი კონკრეტული შემადგენლობა და სასჯელის ზომა.

იმის გამო, რომ გრადიციებს მეცნიერებაში საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, კრიმინოლოგიაც (მისი უფლებებში აღდგენისა და 1966 წელს პირველი სახელმძღვანელოს გამოსვლიდან) დაიყო „ზოგად“ და „კერძო“ ნაწილებად. კრიმინოლოგიის „ზოგად“ და „კერძო“ ნაწილს, განსხვავებით სისხლის სამართლისაგან, არ გააჩნია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლების, კვალიფიკაციის, კონკრეტულ სასჯელთა და სხვა პრობლემა. სწორედ ამის გამო იგი წარმოგვიდგება, პირობითად რომ ვთქვათ, ისეთ დისციპლინად, რომელიც მოიცავს დანაშაულობის პრობლემებთან დაკავშირებულ ზოგად და კერძო ხასიათის საკითხებს. მეცნიერთა უმრავლესობა, ვინც გრადიციას მისდევს, ამტკიცებს, რომ კრიმინოლოგიის „ზოგადი“ ნაწილი მოიცავს ისეთ პრობლემებს, როგორცაა: დანაშაულობა, მისი მიზეზები, დანაშაულის ჩამდენი პიროვნება, დანაშაულის თავიდან აცილების ზოგადი თეორია, ხოლო „კერძო“ ნაწილი – დანაშაულობის სახეობათა და მათი თავიდან აცილების კონკრეტულ ღონისძიებათა დახასიათებას.¹ ასეთი პოზიცია, რა თქმა უნდა, სწორად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ აქვე უნდა დავსძინოთ, რომ კრიმინოლოგიის ნაწილებად დაყოფის საკითხის გააზრება უნდა მოხდეს ზოგადისა და კონკრეტულის ურთიერთდამოკიდებულების საფუძველზე. საქმე ისაა, რომ საკითხების უმრავლესობა, თითქოსდა სამართლიანად მიკუთვნებული „კერძო“ ნაწილის პრობლემებს (მაგალითად, რეციდიული დამნაშავეობა), თავისთავად მეტად დიდ ზოგადთეორიულ პრობლემას წარმოადგენს, ე.ი. საკითხების უმრავლესობა კრიმინოლოგიაში ორმაგი შინაარსითაა დატვირთული, რაც,

¹ ასეთი თვალსაზრისისაა: ა. გერცენზონი, ა. ვაზნიშვილი, ა. შლიაპოჩნიკოვი, ვ. კუდრაიაკევი, ი. კარპუცი, ნ. კუზნეცოვა, ა. გაბიანი, ვ. ზვირბული, ა. ლარკოვი, ვ. იასტრეხოვი, ვ. ერმაკოვი, ი. ანტონიანი, ა. კაზარინა, ა. იაკოვლევი, ს. ბუზინოვი, ვ. ვენიოვი, გ. კორიაგინა და სხვა მრავალი ცნობილი მეცნიერი.

თავის მხრივ, მათი დაყოფის შესაძლებლობას იძლევა ზოგად და „კერძო“ (კონკრეტულ) ნაწილებად.

დანამაშულობის დაყოფა სახეებად (ორგანიზმულ, პროფესიულ, რეციდიულ, არასრულწლოვანთა, ქალთა, თანამდებობის პირთა და ა.შ.), რაც ამ მოვლენის მთლიანობის ამსახველია, მეცნიერების სისტემაში შემავალ ნაწილებად უნდა მივიჩნიოთ. სხეანაირად თუ ვიგყვიტ, კრიმინოლოგიის მეცნიერების სისტემას მასში შემავალი საკითხები განსამღვრავს.

ბოლო დროს გამოცემულ კრიმინოლოგიის სახელმძღვანელოებში¹ სისტემის საკითხი არასრულყოფილადაა წარმოდგენილი. სახელდობრ, მათში ზოგად და კერძო ნაწილზე მითითებას ვერ ვხვდებით. სისტემა მსოლოდ თავების დასახელებით მთაერდება, რაც არასწორად უნდა მივიჩნიოთ.

კრიმინოლოგიის სისტემის საკითხი ჩვენ ასეთნაირად წარმოგვიდგენია: ზოგადი ნაწილი – აქ უნდა შევიდეს შემდეგი თავები: 1) კრიმინოლოგიის მეცნიერება და მისი საგანი; 2) დანამაშულობის რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლები (მახასიათებლები); 3) დანამაშულობის მიზეზები და მისი ჩადენის ხელშემწყობი პირობები; 4) დანამაშულის ჩამდენი პიროვნება და დანამაშულებრივი ქცევის მიზეზები; 5) დანამაშულობის თავიდან აცილების ზოგადი პრობლემები; 6) კრიმინოლოგიის განვითარების ისტორია და მისი თანამედროვე მდგომარეობა; 7) დანამაშულობის მიზეზების შესახებ კონსეფციები სამღვარგარეთის ქვეყნების კრიმინოლოგიაში; 8) დანამაშულობის კრიმინოლოგიური დახასიათება; კერძო ნაწილი – აქ უნდა შევიდეს შემდეგი თავები: 1) ორგანიზმული დანამაშულობა და მისი თავიდან აცილება; 2) რეციდიული დანამაშულობა და მისი თავიდან აცილება; 3) პროფესიული დანამაშულობა და მისი თავიდან აცილება; 4) არასრულწლოვანთა დანამაშულობა და მისი თავიდან აცილება; 5) ქალთა დანამაშულობა და მისი თავიდან აცილება; 6) ეკონომიკური დანამაშულობა და მისი თავიდან აცილება; 7) ძალადობითი დანამაშულობა, ხულიგნობა და მისი თავიდან აცილება; 8) ეკოლოგიური დანამაშულობა და მისი თავიდან აცილება; 9) გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანამაშულობა და მისი თავიდან აცილება; 10) სამხედრომსამსახურეთა მიერ ჩადენილ დანამაშულობათა თავიდან აცილება; 11) სოციალური გადახზრები და დანამაშულობა; 12) პენიტენციარული დანამაშულობა; 13) კორუფციული დანამაშულობა; 14) საკუთრების საწინააღმდეგო დანამაშულობა.²

¹ Криминология, М., 1885; Криминология, М., 1992; Криминология, М., 1988; Криминология, М., 2000, под редакцией проф. А. И. Долговой (ამ სახელმძღვანელოში სისტემა წარმოდგენილია შვიდი კარისა და 33 თავის სახით, რაც შეეხება დაყოფას „ზოგად“ და „კერძო“ ნაწილებად, ასეთს ამ სახელმძღვანელოში ვერ ვხვდებით, რაც ნაკლად უნდა მივიჩნიოთ).

² დაწერილებით იმ საკითხთა თანმიმდევრობაზე, რაც უნდა მოიცავს კრიმინოლოგიის სახელმძღვანელომ, ისილეთ ჩვენ მიერ შედგენილ კრიმინოლოგიის პროგრამაში. თსუ გამომცემლობა, 1999 წელი.

სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლებაში მიცემის ბუნებისა და დანიშნულების საკითხისათვის

სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლებაში მიცემის ბუნებისა და დანიშნულების გასარკვევად ბუნებრივი იქნებოდა თვით პასუხისმგებლობის კატეგორიული ანალიზი. კერძოდ, პასუხისმგებლობა სოციალური ფილოსოფიის კატეგორიაა და ორი ასპექტისაგან შედგება: პოზიტიური ანუ პროსპექტულისაგან და ნეგატიური ანუ რეგროსპექტიული ასპექტისაგან. პირველი არის პასუხისმგებლობა მომავლისათვის, რადგან სუბიექტი მომავლის ინტერესებისათვის აწმყომი იღებს პასუხისმგებლურ გადაწყვეტილებას. პასუხისმგებლობის ეს ასპექტი წამყვანია, რადგან იგი სოციალურ ღირებულებათა განხორციელების მძლავრი ფაქტორია; მეორე ანუ რეგროსპექტიული ასპექტი ნიშნავს წარსულში ბრალულ ქმედებაზე უარყოფით რეაქციას.

ამკარაა, რომ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლებაში მიცემა – ეს არის ნეგატიური პასუხისმგებლობის წინაპირობა, რადგან თუ პირი ნეგატიურ პასუხისმგებლებაში არ იქნა მიცემული, მაშინ ნეგატიური პასუხისმგებლობის დაკისრება შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლებაში მიცემის ბუნებისა და დანიშნულების კვლევა პოზიტიური პასუხისმგებლობისაგან მოწყვეტით შეუძლებელია. სამწუხაროდ, იურიდიულ ლიგურატურაში პასუხისმგებლობა, როგორც წესი, გაგებულია მხოლოდ ნეგატიური ასპექტით. ამის მიზეზი ისაა, რომ დღემდე ბატონობს დანაშაულის ჩადენის გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეა. ამ ლოგიკით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება იყოს მხოლოდ ნეგატიური, რადგან დანაშაულის ჩადენას ნეგატიური პასუხისმგებლობა მოჰყვება. ცხადია, პასუხისმგებლებაში მიცემა ნეგატიურ პასუხისმგებლობას ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რადგან ნეგატიური პასუხისმგებლობა სისხლის სამართალში ბრალის ვარსებზე შეუძლებელია, მაშინ როდესაც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლებაში მიცემის ეტაპზე სუბიექტის ბრალი ჯერ კიდევ დადგენილი არ არის.

სამწუხაროდ, სისხლის სამართალში პოზიტიური პასუხისმგებლობის უარყოფა ან უგულვებლყოფა არ იძლევა საშუალებებს, სწორად გადაეწყვიტოს მთელი რიგი პრინციპული მნიშვნელობის პრობლემებისა, მათ შორის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლებაში მიცემის პროცესუალური დანიშნულების პრობლემაც. კერძოდ, პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტი სისხლის სამართალში საბუთდება მხოლოდ მაშინ, თუ დასაბუთდება

დანამაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც პოზიტიური პასუხისმგებლობის გამოვლენის იურიდიულ ფორმას წარმოადგენს. სისხლის სამართლის სუბიექტი ვალდებულია, თავისი მართლზომიერი ქმედებით განახორციელოს სისხლის სამართლის ან წინდახედულობის ნორმის მოთხოვნა და შექმნას მართლწესრიგი. ამ თავალსაზრისით იგულისხმება მართლზომიერი ქმედების ვალდებულების შეგნება. მართლზომიერი ქმედების ვალდებულება დანამაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ელემენტია. საქმე ისაა, რომ მართლზომიერი ქმედების ვალდებულების შეგნება მისი პრაქტიკული აღსრულების აუცილებელი, მაგრამ საკმარისი პირობა არ არის. მართლაც, თუ მართლზომიერი ქმედების ვალდებულების შეგნება მისი პრაქტიკული აღსრულების აუცილებელი და საკმარისი პირობაა, მაშინ ამ ვალდებულების შეგნების შემთხვევაში იგი ყოველთვის აღსრულდება, მაგრამ მაშინ მოვალეობის შეგნებული დარღვევა შეუძლებელია. ეს კი ბრალის განზრახვი ფორმის უარყოფის გოლფისია. მამასადამე, მართლზომიერი ქმედების ვალდებულების შეგნების ვითარებაშიც შესაძლებელია მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ე.ი. ბრალის განზრახვი ფორმაც არსებობს. მაგრამ მაშინ რაა საჭირო იმისათვის, რომ მართლზომიერი ქმედების ვალდებულება პრაქტიკულად განხორციელდეს?

ამ კითხვაზე პასუხისათვის ბუნებრივი იქნებოდა იმისი თქმა, რომ მართლზომიერი ქმედების ვალდებულების აღსრულების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას ამ ვალდებულებისადმი სუბიექტის პასუხისმგებლური დამოკიდებულება შეადგენს. მართალია, ფორმალურად მართლზომიერი ქმედება შეიძლება ჩადენილ იქნეს მოსალოდნელი სასჯელის მიშითაც, მაგრამ ეს გამონაკლისი აღსაგურებს იმ მოგად წესს, რომ მართლზომიერი ქმედების ვალდებულების პრაქტიკული აღსრულების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას ამ ვალდებულებისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულება წარმოადგენს. ცხადია, იგულისხმება პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტი, რომელიც თავის იურიდიულ ფორმად სამართლებრივ ურთიერთობას გულისხმობს. კერძოდ, უკვე ითქვა, რომ მართლზომიერი ქმედების ვალდებულება სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი ელემენტია. იგულისხმება არა დანამაულის ჩადენის გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა, არამედ, პირიქით, დანამაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა. ამანვე შეგვეულებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის შესამე ნაწილი, რომლის თანახმად, „ამ კოდექსის მიზანია დანამაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა“. ცხადია, ამ მიზნის პრაქტიკული აღსრულება შეიძლება არა დანამაულის ჩადენით, არამედ დანამაულთა თავიდან აცილებით.

ამრიგად, მართლზომიერი ქმედების ვალდებულება სამართლებრივი ურთიერთობაზე მიუთითებს, ხოლო ამ ვალდებულებისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულება პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტის ნიშანია. მამასადამე, სისხლის სამართალში პოზიტიური პასუხისმგებლობის იურიდიულ ფორმას დანამაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა შეადგენს. სწორედ პასუხისმგებლობის პოზი-

გიური ასპექტი მოითხოვს დანაშაულთა თავიდან აცილების გამო ურთიერთობას, როგორც შინაარსი – თავის ფორმას. კერძოდ, სისხლის სამართლის სუბიექტი მოწოდებულია, მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობით მოეცილოს. აქედან ის დასკვნაც გამომდინარეობს, რომ მართლზომიერი ქმედების ვალდებულება და ამ ვალდებულებისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულება დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობისა და პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტის ერთიანობაზე მიუთითებს. ეს ერთიანობა მართლზომიერი ქმედების პირობაა, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც შემდგომ დავინახავთ, ქმედების მართლწინააღმდეგობისა და ბრალეულობის ერთიანობის ლოგიკური საფუძველია. ამ დებულების დასაბუთებისათვის მოკლედ განვიხილოთ დანაშაულის ცნება და მისი ელემენტები. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაული არის დანაშაულის საკანონმდებლო შემადგენლობის შესაბამისი, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. დანაშაულის ჩადენა კი დანაშაულის რომელიმე კონკრეტული შემადგენლობის განხორციელების გზითაა შესაძლებელი. დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება იმას ნიშნავს, რომ ქმედება სცილდება მართლზომიერი ქმედების გამო სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებს და, მაშასადამე, მართლზომიერი აქტი არ არის. დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი ქმედება ამავე დროს არც მართლსაწინააღმდეგოა, რადგან დანაშაულის შემადგენლობა ქმედების მართლზომიერებისა და მართლწინააღმდეგობის კავშირის ფორმას წარმოადგენს. მართლზომიერი ქმედება თავის დაპირისპირებულში ანუ მართლსაწინააღმდეგოში დანაშაულის შემადგენლობის მეშვეობით გადადის. აქედან ისიც ცხადია, რომ დანაშაულის შემადგენლობა არც მართლზომიერია და არც მართლსაწინააღმდეგო. თუ „მართლზომიერი“ და „მართლსაწინააღმდეგო“ ქმედების დადებითი და უარყოფითი შეფასებაა, დანაშაულის შემადგენლობა, როგორც მართლზომიერებისა და მართლწინააღმდეგობის ლოგიკური კავშირის ფორმა, შეფასებითი არ არის, აღწერილობითია, ფაქტის მსჯელობაა. აშკარაა, რომ დანაშაულის შემადგენლობის, როგორც ფაქტის, მსჯელობიდან მის მართლსაწინააღმდეგობაზე, როგორც შეფასებით მსჯელობაზე, პირდაპირი ლოგიკური გადასვლა შეუძლებელია.

ამრიგად, დანაშაულის საკანონმდებლო შემადგენლობის შესაბამისი ქმედება არც მართლზომიერია და არც მართლსაწინააღმდეგო; მეორე მხრივ, თუ განხორციელებულია დანაშაულის შემადგენლობა და ამავე დროს არ არსებობს მართლსაწინააღმდეგობის გამომრიცხავი რომელიმე გარემოება (მაგალითად, აუცილებელი მოგერიება), მაშინ ივარაუდება, რომ ქმედება მართლსაწინააღმდეგოა. დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეზე სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება, ხოლო დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი ქმედების მართლსაწინააღმდეგობის შესახებ ვარაუდი იმ დასკვნის საფუძველია, რომ განხორციელებულია სისხლისსამართლებრივი უმართლობა. ეს იმასაც ნიშნავს, რომ უმართებლობის განხორციელება აშკარად სცილდება სისხლის სამართლის საქმის

აღძერის ფარგლებს და სხვა პროცესუალურ აქტს მოითხოვს. ცხადია, სისხლის სამართლის საქმის აღძერის შემდეგ საქმე შეეხება სისხლისსამართლებრივი დევნის აღძერას, რომელიც, თავის მხრივ, უმართლობის სუბიექტური ელემენტებისაგან მოწყვეტით შეუძლებელია. კერძოდ, დანაშაულის შემადგენლობის, როგორც ფაქტის მსჯელობის, შეგნება განზრახვის, როგორც ბრალის ფორმის, ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი, მაგრამ საკმარისი პირობა არ არის. საჭიროა მართლსაწინააღმდეგობის შეგნება. თუ მართლსაწინააღმდეგობა არის დანაშაულის შეფასებითი ელემენტი, მაშინ მართლსაწინააღმდეგობის შეგნება სცილდება შეგნების წმინდა ფსიქოლოგიურ სფეროს და ღირებულებით ცნობიერებაში გადადის. ეს უკვე აქსიოლოგიური პრობლემაა. ბუნებრივია, რომ „განზრახვა“, როგორც ბრალის ფორმა, მართლსაწინააღმდეგობის, როგორც ქმედების უარყოფითი მნიშვნელობის, გაყვანისგან, რის გამოც სუბიექტის მართლსაწინააღმდეგო ქმედება გასაკიცხობის განსაზღვრულ ხარისხს გამოხატავს. რასაკვირველია, განზრახვა ბრალის ერთ-ერთი ფორმაა და არა თვით ბრალი, მაგრამ ბრალის ფორმაც გარკვეულწილად ბრალის თვისების მაგარეულია და, მამასადამე, ამდენადვე გასაკიცხია. უფრო ნაკლები ხარისხით ხდება გასაკიცხი გაუფრთხილებლობა, რადგან თვითიმედოვნებისას უმართლობის შეგნება არსებობს, ხოლო დაუდევრობისას – მისი შეგნების შესაძლებლობა.

ამრიგად, უმართლობის სუბიექტურ ელემენტებში იკვლისხმება არა მარტო მიზანი, როგორც ეს ჩვეულებრივია მიღებული გერმანულ სისხლისსამართლებრივ ლიგერატურაში, არამედ ბრალის ფორმებიც. ამ უკანასკნელთა გასაგებად კი საჭიროა ბრალის ცნება. ბრალი არც გასაკიცხობაა და არც ფსიქიკური დამოკიდებულების სახე. კერძოდ, ჩვენ უკვე ვთქვი, რომ სისხლის სამართლის სუბიექტი მოწოდებულია, მართლმომიერი ქმედების ვალდებულებას პასუხისმგებლობით მოეცილოს. მაგრამ ის, ვინც განზრახ არღვევს მართლმომიერი ქმედების ვალდებულებას, მოქმედებს უპასუხისმგებლოდ. ამ შემთხვევაში სუბიექტი შეგნებულად უარყოფს სახელმწიფოს წინაშე თავის პოზიტიურ პასუხისმგებლობას და ამ უპასუხისმგებლობას მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენით გამოხატავს. გაუფრთხილებლობისას კი სუბიექტი უპასუხისმგებლოდ ეკიდება წინდახედულობის ნორმის მოთხოვნებს და სჩადის მართლსაწინააღმდეგო ქმედებას. მამასადამე, განზრახვისა და გაუფრთხილებლობის გვარობითი ნიშანი უპასუხისმგებლობაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ბრალი სისხლის სამართალში არის სისხლის სამართლის ან წინდახედულების ნორმისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, რომელიც დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი და მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენით გამოიხატება. ცხადია, მართლმომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება უეჭველად გასაკიცხია, რადგან სუბიექტს შეეძლო, ამ ვალდებულებისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულება ჰქონოდა.

როგორც უკვე ჩანს, დანაშაულის ჩადენა სისხლისსამართლებრივ ურთიერთობას კი არ ქმნის, არამედ, პირიქით, ამ ურთიერთობის დანგრევაა. კერძოდ, დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებით სუბიექტი გადის

სახელმწიფოსთან სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის გარეთ. უფრო მეტიც, დანაშაულის ჩადენას მისი ჩამდენი პირი ვაჰყავს სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობის ფარგლებს გარეთაც, ე.ი. უპასუხისმგებლობის ვითარებაში. ეს უპასუხისმგებლობა სუბიექტის ბრალის ნიშანია, მაგრამ ბრალის დადგენამდე საჭიროა, სუბიექტი მიეცეს ნეგატიურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში. ამ ეტაპზე კი შესაძლებელია მხოლოდ ბრალის ფორმების დადგენა. ბრალის ფორმებიც გვეკარნახობენ, რომ სუბიექტმა შეგნებულად უარყო ან უგულებელყო სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობა და, მამასადამე, უმართლობის განხორციელებით იგი გადავიდა უპასუხისმგებლობის ვითარებაში. უპასუხისმგებლობის ეს ვითარება კი ობიექტურია, რადგან სუბიექტი გასულია სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობის ფარგლებიდან და ნეგატიურ პასუხისმგებაში ჯერ კიდევ მიცემული არ არის, რაც ნიშნავს, რომ სუბიექტი იმყოფება როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური პასუხისმგებლობის გარეთ. ეს კი მეტად საშიშია, დაუშვებელია, მოუთმენელია, რადგან სახელმწიფო პიროვნებასთან იურიდიული კავშირისა და ამ სახელმწიფოს წინაშე სისხლის სამართლის სუბიექტის პოზიტიური პასუხისმგებლობის გარეშე შეუძლებელია. ამიტომ ბუნებრივი იქნებოდა ამ ობიექტური უპასუხისმგებლობის აღკვეთა. ცხადია, იგულისხმება პირის მიცემა ნეგატიურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში. ამ პასუხისმგებაში მიცემა კი ჯერ კიდევ არაა ნეგატიური პასუხისმგებლობა, რომელიც ბრალის გარეშე შეუძლებელია, ბრალის დადგენა კი სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე ხდება, როდესაც სასამართლო აღდგენს იმას, რომ განსასჯელი ვალდებული იყო, ემოქმედა მართლმომიერად. მას შეეძლო, ამ ვალდებულებისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულება პქონოდა. აქედან სასამართლო ასკენის, რომ სუბიექტის მართლსაწინააღმდეგო ქმედება მისი უპასუხისმგებლობის აქტია. ცხადია, რომ სუბიექტი ნეგატიური წესით პასუხს აგებს მისი უპასუხისმგებლო ანუ ბრალეული ქმედებისათვის.

ამრიგად, ნეგატიურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში მიცემა ჯერ კიდევ არაა ნეგატიური პასუხისმგებლობა. იგი არც ამ პასუხისმგებლობის რეალიზაციაა, როგორც ამას ხშირად ამტკიცებენ. ჩვენი აზრით, ნეგატიურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში მიცემა — ესაა სისხლისსამართლებრივი უმართლობის განხორციელების შედეგად შექმნილი ობიექტური უპასუხისმგებლობის აღკვეთის პროცესუალური ხერხი, რომელიც ბრალდებულის პროცესუალური მდგომარეობის გამომხატველია.

ცხადია, სუბიექტის ბრალდება დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი და მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში ბრალის ფორმების გარეშე შეუძლებელია. მით უმეტეს, შეუძლებელია ბრალის ფორმების გარეშე სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობის შეგნებული უარყოფა ან უგულებელყოფა და, მამასადამე, სუბიექტის გადასვლა უპასუხისმგებლობის ობიექტურ ვითარებაში, მაგრამ ბრალდებული ჯერ კიდევ არაა ბრალეული. საქმე ის გახლავთ, რომ ბრალის ფორმებიდან ბრალზე უკუდასკვნა ინდუქციურია, ე.ი. საეარაულოა და არა კატეგორიული. ამიტომაც, რომ ბრალდებული მაინც არაბრალეულია, ვიდრე მისი ბრალი ჩა-

დენილ ქმედებაში არ იქნება დადგენილი კანონიერ ძალაში შესული გამამკყუნებელი განაჩენის ფორმაში.

ამრიგად, ნეგატიურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიეცმა ნეგატიური პასუხისმგებლობა კი არაა, არამედ უმართლობის განხორციელების შედეგად შექმნილი ობიექტური უპასუხისმგებლობის აღკვეთის პროცესუალური ხერხია, რომელიც „ბრალდებულის“ პროცესუალური მდგომარეობით გამოიხატება. სუბიექტი, რომელიც სასულმწიფოსთან ურთიერთობაში და პასუხისმგებლობაში იყო, მაგრამ უმართლობის განხორციელების შედეგად უპასუხისმგებლობის ობიექტურ ვითარებაში გადავიდა, სამიზნა, მისი ამგვარი ობიექტური უპასუხისმგებლობაც მოუთმენელია და ამიგომბა საჭირო ამ ობიექტური უპასუხისმგებლობის აღკვეთა და სუბიექტისათვის ბრალდებულის სტატუსის მინიჭება.

ამკარაა, რომ პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტის გარეშე შეუძლებელია არა მარტო ბრალის ცნების დადგენა, არამედ სხვა ფუნდამენტური საკითხების გადაწყვეტაც. პოზიტიური პასუხისმგებლობის იდეა კი, თავის მხრივ, დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეას მოითხოვს. მართლზომიერი ქმედების ვალდებულება და ამ ვალდებულებისადმი სუბიექტის პასუხისმგებლური დამოკიდებულება ერთიანია, რომელიც, თავის მხრივ, ქმედების მართლწინააღმდეგობისა და ბრალეულობის ერთიანობის ლოგიკური საფუძველია. კერძოდ, მართლზომიერი ქმედების ვალდებულების დარღვევა ქმედების მართლწინააღმდეგობის ნიშანია, ხოლო ამ ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება – მისი ბრალეულობის ნიშანი. სამწუხაროდ, გერმანელ კოლეგებს დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეა არ გააჩნიათ და მაშინ მათ არც პოზიტიური პასუხისმგებლობის იდეა არ ექნებათ. რუს კოლეგებს კი დღემდე აქვთ დანაშაულის ჩადენის გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეა, რომლის ლოგიკით პასუხისმგებლობა სისხლის სამართალში მხოლოდ ნეგატიურია და არ არსებობს პოზიტიური პასუხისმგებლობის დასაბუთების ლოგიკური პირობა. პოზიტიური პასუხისმგებლობისაგან მოწყვეტით კი ბრალი, როგორც უპასუხისმგებლობის სინონიმი, შეუძლებელია. უფრო მეტიც, პოზიტიური პასუხისმგებლობისაგან მოწყვეტით შეუძლებელია თვით ნეგატიური პასუხისმგებლობის გაგებაც, მაგრამ ამ საკითხს დამოუკიდებელი შესწავლა სჭირდება.

ნისსლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ზოგიერთი ნარკოტიკული დანაშაულისათვის

მუხლი 260. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შექენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება.

განსახილველი მუხლი მოიცავს სამ ნაწილს და შენიშვნას. პირველი ნაწილი ითვალისწინებს ამ დანაშაულის ძირითად სახეს: ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შექენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათ წლამდე.

მეორე ნაწილში გადმოცემული დანაშაულის დამამძიმებელი (მაკვალიფიცირებელი) გარემოებები:

იგივე ქმედება ჩადენილი:

ა) დიდი ოდენობით;

ბ) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;

გ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

დ) არაერთგზის;

ე) იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან თორმეტი წლამდე.

მუხლის მესამე ნაწილი კი ითვალისწინებს განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებს: ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:

ა) განსაკუთრებით დიდი ოდენობით;

ბ) ორგანიზებული ჯგუფის მიერ, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რეიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

რაც შეეხება ამ ნორმის შენიშვნას, მას ჩვენ ნაშრომის დასასრულს განვიხილავთ.

წინამდებარე მუხლი რამდენადმე განსხვავდება ადრე მოქმედი სს კოდექსის შესაბამისი მუხლისაგან თავისი შემადგენლობით. ეს ძირითადად გამოიხატება იმით, რომ ახალი კოდექსი არ ახდენს ნარკოტიკულ საშუალებათა მომხმარებლისა და გამსაღებლის პასუხისმგებლობის დიფერენცი-

აიყას (თუ მხედველობაში არ მივიღეთ პირადი მოხმარებისათვის მყივრი ოღენობით ნარკოტიკული საშუალებების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მყივრი ოღენობით უკანონო დამზადებას, შექენას, შენახვას ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარებას (სსკ-ის 273-ე მ).

აღნიშნული დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაციის ობიექტია ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის ბრუნვის კანონით დადგენილი წესი და მოსახლეობის ჯანმრთელობა. აღნიშნული წესი დადგენილია როგორც კანონში „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შესახებ“, ისე იმ საერთაშორისო კონვენციებში, რომელთაც საქართველო შეუერთდა და რომელი კონვენციებიც აწესრიგებენ ამ საკითხს. ესენია: გაეროს 1961 წლის კონვენცია „ნარკოტიკული საშუალებების შესახებ“, გაეროს 1971 წლის კონვენცია „ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ“, გაეროს 1988 წლის კონვენცია „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“. ამ უკანასკნელს დართული აქვს I და II ცხრილი, სადაც ჩამოთვლილია ის ნივთიერებები, რომლებიც ხშირად გამოიყენებიან ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო დამზადებისას და ამდენად, მათზე საჭიროა კონტროლის დაწესება.

აღნიშნულ კონვენციებზე დაყრდნობით საქართველოს პარლამენტი მიიღო კანონი „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებისა და პრეკურსორების შესახებ“.¹

ნარკოტიკული საშუალებების ცნება მოიცავს ორ ასპექტს: სამედიცინოს და იურიდიულს. სს კოდექსში იგულისხმება ამ ცნების იურიდიული ასპექტები. კერძოდ, ნარკოტიკული საშუალებები გულისხმობს სინთეტიკური ან ბუნებრივი წარმოშობის ნივთიერებებს, პეპარატებს, მყენარეებს, რომლებიც გაეროს კონვენციის დებულებათა შესაბამისად შეტანილია კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ჩამონათვალში.

რაც შეეხება პრეკურსორებს, – ესაა ნივთიერებები, რომლებიც გამოიყენებიან ნარკოტიკული საშუალებების ან ფსიქოტროპული ნივთიერების საწარმოებლად, დასამზადებლად, გადსამუშავებლად და გაეროს კონვენციების დებულებათა შესაბამისად შეტანილია კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ჩამონათვალში.²

ნარკოტიკული საშუალების ანალოგი გულისხმობს საქართველოში ბრუნვისათვის აკრძალულ სინთეტიკური ან ბუნებრივი წარმოშობის საშუალებებს ან ნივთიერებებს, რომლებიც არ არიან შეტანილი კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა სიებში, მაგრამ მათი ქიმიური სტრუქტურა და ორგანიზმზე ფსიქოაქტიური მოქმედება მსგავსია კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ჩამონათვალში შეტანილი ნარკოტიკული საშუალების ქიმიური სტრუქტურისა და ორგანიზმზე ფსიქოაქტიური მოქმედებისა.

¹ შემდეგში „კანონპროექტი“.

² კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებებში, გაეროს კონვენციების დებულებათა შესაბამისად, იგულისხმება საქართველოში ბრუნვაზე კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალებები, ფსიქოტროპული ნივთიერებები ან პრეკურსორები.

კანონპროექტში ჩამოთვლილია საქართველოში კონგროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების სია:

ა) I სია მოიცავს ნარკოტიკულ საშუალებების კრებით ჩამონათვალს. აქ შედის ნარკოტიკული საშუალებები, რომელთა სამედიცინო მიზნით გამოყენება სახელმწიფო ფარმაცოპეასა და სამედიცინო ცნობარში შეგანა საქართველოში აკრძალულია და ნარკოტიკული საშუალებები, რომელთა სამედიცინო მიზნით გამოყენება საქართველოში შეზღუდულია.

აღნიშნულ სიაში შეტანილი მცენარის საშუალების, ნივთიერების ან პრეპარატის¹ არსებობა ნიშნავს, რომ ისინი მიეკუთვნებიან ნარკოტიკულ საშუალებას. სახელდობრ, №1 სიაში შეტანილ ნარკოტიკულ საშუალებათა ბრუნვა საქართველოში ნებადართულია მხოლოდ სამეცნიერო და სასწავლო მიზნით, ასევე საქესპერგო და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის წარმოებისას, ოპერატიული ექსპერიმენტის ჩატარებისას, საგნებისა და ღოკუმენტების გამოკვლევისას, ამგვარი ნივთიერებების ნიმუშების შეგროვება შედარებითი გამოკვლევისათვის, ხოლო მათი გამოყენება სამედიცინო მიზნით, როგორც ეს გემოთ აღინიშნა, დაუშვებელია.

ამ ნარკოტიკულ საშუალებებს მიეკუთვნება: აცეტილირებული ოპიუმი, პამიში (ანაშა), პერონი (დიაცეტილმარფინი), კანამირი (მარიხუანა), ეფედრინი (მეტაკაინონი) და უამრავი სხვა.

ბ) II სია – ნივთიერებები, რომელთა სამედიცინო მიზნით გამოყენება სახელმწიფო ფარმაცოპეასა და სამედიცინო ცნობარში შეგანა საქართველოში აკრძალულია.

გ) III სია – ნარკოტიკული საშუალებების სია, რომელთა ბრუნვა საქართველოში შეზღუდულია.

დ) IV სია – ფსიქიატრიული ნივთიერებები, რომელთა ბრუნვა საქართველოში შეზღუდულია.

ე) V სია – პრეკურსორების სია, რომელთა ბრუნვა საქართველოში შეზღუდულია.

ეს სიები კანონით დადგენილ შემთხვევაში ცვალებადია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონით შესაძლოა, გამოირიცხოს კონგროლის ზომები ზოგიერთი პრეპარატის ბრუნვის მიმართ, რომლებიც შეიცავენ ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების მცირე ოდენობას და ამდენად, მათი მოხმარება არ წარმოადგენს საშიშროებას, თუკი ეს პრეპარატები არ იქნებიან თავისუფლად ხელმისაწვდომი. ასეთ პრეპარატებში კონგროლს დაქვემდებარებული ნივთიერების შემცველობის დასაშვებ ზღვრულ ოდენობას ადგენს საქართველოს სოციალური და ჯანდაცვის სამინისტრო შს სამინისტროსთან შეთანხმებით, რასაც საბოლოოდ ამტკიცებს პარლამენტი.

სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგანს წარმოადგენს ნარკოტიკული საშუალებები, მისი ანალო-

¹ პრეპარატი – ნებისმიერ ფიზიკურ მდგომარეობაში მყოფ ნივთიერებათა ნარევი, რომელიც შეიცავს კონგროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებისა და მათი პრეკურსორების ჩამონათვალში შეტანილ ერთ ან რამდენიმე ნარკოტიკულ საშუალებას ან ფსიქოტროპულ ნივთიერებებს.

გი და პრეკურსორი. ნარკოტიკულ საშუალებებს მიეკუთვნება მაგ: კოკაინი, ოპიუმი, მარფინი, მარიხუანა, ჰერონი, ჰაშიში, ყაყაჩოს ნამჯა და ა.შ.

ნარკოტიკული საშუალებები, ფსიქოტროპული ნივთიერება და პრეკურსორები სივრცეში ჩამოთვლილია მათი საერთაშორისო დაურეგისტრირებელი, ქიმიური დასახელებით, მაგრამ თუკი მოცემულ ნივთიერებას არ გააჩნია ამგვარი დასახელება, მაშინ სიამი გამოიყენება მათი კომერციული, სამედიცინო ანდა საყოველთაოდ მიღებული დასახელება. თითოეულ ნარკოტიკულ საშუალებას და ფსიქოტროპულ ნივთიერებასაც, როგორც წესი, რამდენიმე სინონიმი აქვს, მაგრამ სათანადო სივრცეში არაა საეაღდეგულო ძირითადი დასახელების გვერდით მათ სინონიმებზე მითითება. თუ პრაქტიკაში გასარკვევი გახდა საკითხი, მიეკუთვნება თუ არა ამა თუ იმ დასახელების მოცემული ნივთიერება ნარკოტიკულ საშუალებას, უნდა მიემართოთ ჯანდაცვის სამინისტროსთან არსებულ ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერების ლეგალურ ბრუნვაზე კონტროლის რესპუბლიკურ ინსპექციას.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, საკითხის გადაწყვეტა – მიეკუთვნება თუ არა ესა თუ ის ნივთიერება ნარკოტიკულ საშუალებებს, ფორმალური-ურიდიული საკითხია და არა სამედიცინო. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ დროს სასამართლომ არ შეიძლება იხელმძღვანელოს ფარმაცევტული ცნობარებით, ან თუნდაც მოცემული ნივთიერების შეფასება მოახდინოს როგორც ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებისა მათი ქიმიური თუ ფარმაკოლოგიური დასასაბათების საფუძველზე. სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს იმ სპეციალური სიით, რომელიც შექმნილია ერთობლივად ჯანდაცვისა და შს სამინისტროების მიერ. ე.ი. ნარკოტიკულ საშუალებად უნდა ჩაითვალოს სწორედ ის ნივთიერებები, რაც ჩამოთვლილია ამ სიაში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საკითხის გადასაწყვეტად საკმარისია უკანონო ბრუნიდან ამოღებული ნივთიერების დასათაურების დამთხვევა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ სიაში ჩამოთვლილ რომელიმე ნარკოტიკული საშუალების დასათაურებასთან. საჭიროა გაირკვეს, ამოღებული ნივთიერების დასახელება ნამდვილად შეესაბამება თუ არა მის თვისებას. ამისათვის კი სპეციალური სამედიცინო გამოკვლევაა საჭირო, რასაც სასამართლო ვერ შეძლებს. ამიგომ აღნიშნული კატეგორიის საქმის განხილვისას სასამართლოები უნდა ფლობდნენ სათანადო ექსპერტიზის დასკვნას. ეს ექსპერტიზები კი ჩატარებული უნდა იყოს უფლებამოსილი სპეციალისტების მიერ შესაბამის დაწესებულებებში და კანონით დადგენილი მეთოდების გამოყენებით.

განსახილველი ნორმის ობიექტური მხარე გამოიხატება შემდეგი ქმედებებით:

1. მითითებულ ნივთიერებათა უკანონო დამზადება, 2. უკანონო წარმოება, 3. უკანონო შექმნა, 4. უკანონო შენახვა, 5. უკანონო გადაზიდვა, 6. უკანონო გადაგზავნა ან 7. უკანონო გასაღება.

ჩამოთვლილ ქმედებათა უკანონობა გამოიხატება იმით, რომ ეს ქმედებები ჩადენილია ნარკოტიკული ნივთიერებების, მათი ანალოგებისა და

პრეკურსორების ბრუნვის კანონით დაგენილი წესის დარღვევით,¹ სათანადო ნებართვის გარეშე.

ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება გულისხმობს განზრახ ქმედებას, როცა პირი, ვისაც არა აქვს კანონიერი უფლებამოსილება, ნარკოტიკების შემცველი მცენარისაგან, პრეპარატის ანდა ქიმიური თუ სხვა სახის ნივთიერებისაგან მიიღებს მოხმარებისა ან გამოყენებისათვის მზა ერთ ან რამდენიმე ნარკოტიკულ საშუალებას, მის ანალოგს ან პრეკურსორს, რომელიც შეგანილია სპეციალურ სიაში და მათ ბრუნვაზე დაწესებულია სახელმწიფო კონტროლი. გერმინი „დამზადება“ უნდა განვესხვაოთ გერმინ „მომზადებისაგან“. ნარკოტიკული საშუალების მომზადებაში იგულისხმება შესაბამისი ლიცენზიის მქონე აუთიიქში რეცეპტის საფუძველზე სათანადო ტექნოლოგიით ნარკოტიკული სამკურნალო საშუალებისათვის წამლის ფორმის მიცემა. უკანონო დამზადება შეიძლება მოხდეს სხვადასხვა ხერხით: მექანიკური, ფიზიკური თუ ქიმიური მითითების გამოყენებით და ამას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

უკანონო დამზადებად ჩაითვლება ასევე მოქმედება, რომლის შედეგადაც მოცემულ ნარკოტიკულ საშუალებაში გაიზარდა ნარკოტიკული ნივთიერების შემცველობა (კონცენტრაცია) და ამდენად ეს ნივთიერება უფრო ძლიერმოქმედი ნარკოტიკული საშუალება გახდა. უკანონო დამზადებად არ უნდა ჩაითვალოს ნარკოტიკების შემცველი მცენარეების მოპოვებისას მისი გაწმენდა სხვადასხვა მინარევისაგან, გასუფთავება, დანაწილება, რათა გამოყენებისათვის უფრო მოხერხებული იყოს. ამ დროს არ ხდება ნარკოტიკული საშუალების კონცენტრაციის გაზრდა.

უკანონო დამზადება დამთავრებულ დანაშაულად ჩაითვლება მაშინ, როცა მიღებული იქნება უკვე გამოყენებისათვის მზა ნივთიერება. თუკი პირი სხვადასხვა ხერხით ეცადა ნარკოტიკული საშუალების დამზადებას, მაგრამ ვერ მოახერხა გამოყენებისათვის მზა ნივთიერების შექმნა, მაშინ იქნება ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო დამზადების მცდელობა და მისი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის მე-19, 260-ე მუხლის I ნაწილით.²

უკანონო წარმოების დროს ხშირად ამზადებენ არა ერთ ან რამდენიმე ნარკოტიკულ საშუალებას, მის ანალოგს ან პრეკურსორს, არამედ ხდება ქიმიური ნივთიერებისაგან, მცენარეებისაგან ან ბუნებრივი მასალისაგან ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის სერიული მიღება. ამდენად, უკანონო წარმოება უფრო საშიშია თავისი მნიშვნელობით, ვიდრე უკანონო დამზადება, ვინაიდან წარმოება უფრო მასშტაბურია.

¹ ამ წესებს ჩვენ დაწერილებით შეეხებით სსკ-ის 269-ე მუხლის კომენტარებისას.

² ამასთან დაკავშირებით ვერ დავეთანხმებით იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო დამზადება დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს მოქმედების დაწყებისთანავე, თუ მისი მიზანი იყო გამოყენებისათვის მზა ნარკოტიკული საშუალების მიღება (Комментарий к уголовному кодексу Российской Федерации, М., 2000, с. 576); Курс уголовного права, т. 4, М., Зерцало Л., 2002, с. 375). „დამზადება“ გულისხმობს მომზადების პროცესის სრულყოფას, დამთავრებას, მზა პროდუქციის მიღებას. წინააღმდეგ შემთხვევაში პროდუქცია არ ჩაითვლება დამზადებულად.

უკანონო შეძენა გულისხმობს ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მიღებას უკანონოდ, სხვადასხვა გზით. მათი ყიდვა, მიღება გასესხებული ნივთის სანაცვლოდ (მაგ., ფულის გამსესხებელმა ფულის ნაცვლად მოვალისაგან აიღო ნარკოტიკული საშუალება); სხვისთვის გაწეული სამსახურისათვის ან სამუშაოსათვის ფულის ნაცვლად ნარკოტიკული საშუალების მიღება; სხვა ნივთში გაცვლა; ნაპოვნი ნარკოტიკული საშუალების მითვისება; ველურად აღმოცენებული ნარკოტიკული მცენარეების შეგროვება; ანდა მათი შეგროვება მიწის ისეთ ნაკვეთებზე, რომელსაც ჰყავს მესაკუთრე, მაგრამ ეს მცენარეები მესაკუთრის მიერ არაა დათესილი ან მოყვანილი და ისინი ბუნებრივად აღმოცენდნენ. ამ შემთხვევაში ნარკოტიკული საშუალებების მოყვანაზე აღაშინის შრომა არაა დახარჯული და ამდენად, მათ არა აქვთ მაგერიალური ღირებულება, თანაც ისინი არ იმყოფებიან კანონიერ მფლობელობაში. ამიგომ ეს ნარკოტიკული საშუალებები არ წარმოადგენს სსკ-ის 264-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგანს. უკანონო შეძენად უნდა ჩაითვალოს ასევე მოსაუღლის ალების შემდეგ დაუცველ მინდვრებში დატოვებული ნარჩენი ნარკოტიკული საშუალებების შემცველი მცენარეების შეგროვება. საქმე ისაა, რომ, მართალია, ამ შემთხვევაში ეს მცენარეები მოყვანილ იქნა კანონიერად და მასზე გარკვეული შრომაცაა დახარჯული, მაგრამ მოსაუღლის ალების შემდეგ იგი ნარჩენის სახით დატოვებულ იქნა დაუცველ ადგილზე თვით მესაკუთრის მიერ. ამდენად, ეს მცენარეები უკვე გამოსულია მესაკუთრის მფლობელობიდან მისივე ნებით და არავის საკუთრებაში არ იმყოფება. ამდენად, აქაც მედღეგია საუბარი სსკ-ის 264-ე მუხლის შემადგენლობაზე: ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებაზე.

როგორც ვხედავთ, სხენებულ ნორმაში შეძენის ცნება ფართო გაგებითაა ნახმარი.

ნარკოტიკულ საშუალებათა შეძენა კანონიერად ჩაითვლება, თუ იგი შეძენილია სპეციალური ლიცენზიის მქონე ავთიიქებსა და ჯანდაცვის დაწესებულებებში სპეციალური რეცეპტით ან კანონმდებლობით ნებადართული საქმიანობის განხორციელების მიზნით.

უკანონო შენახვა გულისხმობს ნებისმიერ განზრახ ქმედებას, რაც უკანონოდ მფლობელობაში არსებული ნარკოტიკული საშუალების ადგილსამყოფელის განსაზღვრისაკენაა მიმართული. მაგალითად, მისი შენახვა ბინაში, გარაჟში, მანქანის საბარგულში, იმის მიუხედავად, მანქანას აგარებს ეს პირი თუ იგი უძრავ მდგომარეობაში იმყოფება, მაგრამ თუკი აღნიშნული აეგომანქანით პირი ახდენს ამ ნარკოტიკული საშუალების გადაზიდვას ერთი ადგილიდან სხვა ადგილას მისი შენახვის მიზნით, მაშინ ეს ქმედება ჩაითვლება არა უკანონო შენახვად, არამედ უკანონო გადაზიდვად. შენახვა შეიძლება ნარკოტიკული საშუალების თან გარებით (მაგ., პიჯაკის შიდა ჯიბეში). ამ შემთხვევაშიც, თუ ეს დაკავშირებულია აღნიშნული ნივთიერების გადაზიდვასთან სხვა ადგილას, ქმედება დაკვალიფიცირდება უკანონო გადაზიდვით და არა უკანონო შენახვით.

იურიდიულ ლიგერატურაში ვაბატონებულია მოსაზრება, რომ ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო შენახვა გამოიხატება აქტიურობით – მოქმედებით. ჩვენი აზრით, გამორიცხული არაა, იგი უმოქმედობაში გამოვლინდეს. მხედველობაში გვაქვს შემთხვევა, როცა თავიდან ნარკოტიკული საშუალებები პირის მართლზომიერ მფლობელობაში იმყოფებოდა. შემდეგში მართლზომიერების ეს პირობები შეწყდა, მაგრამ პირმა არ ჩააბარა სათანადო დაწესებულებებს ეს ნივთიერებები. მაგალითად, მძიმე სენით დაავადებული პირის გარდაცვალების შემდეგ ოჯახში დარჩა გამოუყენებელი ნარკოტიკული საშუალება, რომელიც გარდაცვლილი ავადმყოფისათვის იყო შეძენილი კანონით დადგენილი წესით. ოჯახში დარჩენილი წევრი იმ განზრახვით, რომ შეიძლება ეს ნივთიერება მომავალში გამოადგეს, არ აბარებს მას სათანადო დაწესებულებას. ამ შემთხვევაში ხდება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შენახვა უმოქმედობით, რა თქმა უნდა, იმ პირობით, რომ ნარკოტიკული საშუალება იმყოფება კვლავ იმ ადგილას, სადაც იყო თავდაპირველად და შესანახად იგი არ იქნა გადატანილი რაიმე სპეციალურ სამალაეში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვალიფიკაციისათვის არა აქვს მნიშვნელობა დროს, რომლის განმავლობაშიც უკანონოდ იყო შენახული ნარკოტიკული საშუალება, მისი ანალოგი ან პრეკურსორი. შენახვის ხანგრძლივობა სასამართლოს შეუძლია მხედველობაში მიიღოს მხოლოდ სასჯელის განსაზღვრისას. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ არ უნდა ჩაითვალოს უკანონო შენახვად ნარკოტიკული ნივთიერების დროებით მიბარება შესანახად მისი კანონიერი მფლობელისაგან სხვა პირზე. მაგალითად, პირმა სპეციალურ ავთიაქში კანონის მოთხოვნათა დაცვით შეიძინა ნარკოტიკული საშუალება და სანამ შინ მიიტანდა, დროებით შესანახად მიაბარა იგი თავის ახლობელს. ამ უკანასკნელის ქმედება არ უნდა ჩაითვალოს უკანონო შენახვად, რადგან ეს ქმედება არაა მიმართული ამ ნივთიერების უკანონო ბრუნვაში მოქცევისაკენ. მართალია, ფორმალურად ამ პირს აქვს მისი შენახვის კანონიერი უფლებამოსილება, მაგრამ ეს შენახვა მიზნად ისახავს მცირე დროის გასვლის შემდეგ ამ ნივთიერების კვლავ კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნებას და ამდენად, საფრთხეს არ უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას. 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი სწორედ მოსახლეობის ჯანმრთელობაა.

მოცემულ შემთხვევაში ქმედება არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს არც სს კოდექსის 269-ე მუხლით – ნარკოტიკული საშუალების ან პრეკურსორის შენახვის წესის დარღვევად. ეს იმიტომ, რომ ამ დანაშაულის სუბიექტია პირი, ვისაც გააჩნია ამ ნივთიერებათა შენახვის უფლებამოსილება, მაგრამ იგი არღვევს იმ წესებს, რაც დადგენილია ნარკოტიკულ ნივთიერებათა შენახვისათვის, რასაც თავის მხრივ შედეგად მოჰყვება მისი უკანონო ბრუნვაში მოქცევა. ე.ი. ამგვარი შემთხვევები, როცა კანონიერი მფლობელი დროებით შესანახად გადასცემს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებას პირს, ვისაც არა აქვს მისი შენახვის უფლე-

ბამოსილება, არ გვაძლევს დანაშაულის შემადგენლობას და არც არსებობს მისი კრიმინალიზაციის აუცილებლობა.

საქციალურ კონგროლს დაქვემდებარებული ნივთიერების შენახვის უფლება აქვთ შესაბამისი ლიცენზიის მქონე იურიდიულ პირს, ასევე ინდივიდუალურ მეწარმეს. ამ უკანასკნელს შეუძლია შეინახოს მხოლოდ პრეკურსორი. შენახული ნივთიერება არ უნდა აღემატებოდეს იმ რაოდენობას, რაც საჭიროა მათი საქმიანობისათვის.

რაც შეეხება უკანონო ბრუნვიდან ამოღებულ ნივთიერებებს, მათი შენახვა შეუძლიათ უფლებამოსილ სახელმწიფო დაწესებულებებს.

უკანონო გადაზიდვა აღინიშნება მაშინ, როცა ხდება საქციალურ კონგროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალებების ნებისმიერი მეთოდით გადაადგილება ერთი ადგილიდან საქართველოს სხვა ადგილას მისი განთავსების მიზნით, გვირთის გამგზავნის თანდასწრებით. უკანონო გადაზიდვისას მნიშვნელობა არა აქვს, გრანსპორტის რა საშუალება იქნა გამოყენებული. მთავარია, გადაზიდვა ხდებოდეს საქართველოს ტერიტორიაზე. თუ პირის მიზანია ნარკოტიკული საშუალების საქართველოს ტერიტორიიდან უკანონო გატანა ან გრანზიგის საერთაშორისო გადაზიდვა, მაშინ პასუხისმგებლობა დადგება სს კოდექსის 262-ე მუხლით.

პრაქტიკაში ნარკოტიკული საშუალების უკანონო გადაზიდვის გაშიჯვისათვის უკანონო შენახვისაგან ყურადღება უნდა მიექცეს სხვადასხვა გარემოებას: პირის მიზანს – ნარკოტიკულ საშუალებათა გადაადგილება თუკი ხდება სხვა ადგილას მისი მოთავსების მიზნით, გვექნება უკანონო გადაზიდვა, წინააღმდეგ შემთხვევაში უკანონო შენახვა. ამ მიზნის დადგენისას მნიშვნელობა ენიჭება გრანსპორტის სახეს, მასზე მოთავსებული ნარკოტიკული საშუალებების ოდენობას, გრანსპორტში მათი განთავსების ადგილსა და სხვა გარემოებებს. ნარკოტიკული საშუალებების უკანონო გადაზიდვა თავისთავში მოიცავს უკანონო შენახვისაც და მისი დამატებითი კვალიფიკაცია არაა საჭირო.

ნარკოტიკულ საშუალებათა კანონიერი გადაზიდვის უფლება აქვთ იურიდიულ პირებს საქციალური ლიცენზიის არსებობისას, ხოლო ფიზიკურ პირებს ამის უფლება აქვთ იმ ნარკოტიკული საშუალებების მიმართ, რომელიც მათ კანონის დაცვით სამედიცინო დანიშნულების მიზნითა აქვთ მიღებული შესაბამის ავთიაქებში. ეს ავთიაქები გასცემენ საქციალურ დოკუმენტს, რომელიც ამტკიცებს ამ ნივთიერებათა მიღების კანონიერებას.

უკანონო გადაგზავნაში იგულისხმება საქციალურ კონგროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების საქართველოს ტერიტორიაზე საქციალური ნებართვის გარეშე ნებისმიერი საშუალებით გადაადგილება გვირთის გამგზავნისა და აღრესატის დაუსწრებლად. ეს დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება აღნიშნული ნივთიერებების ფოსტაში ან საბარგულში ჩაბარების მომენტიდან მისი სხვა ადგილას გადაგზავნის მიზნით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირის მიერ ნარკოტიკულ საშუალებათა მცირე ოდენობით უკანონო გადაგზავნა პირადი მოხმარების მიზნით, თუნდაც ასეთი ქმედებისათვის აღმინისტრაციული სასჯელის დადების შემდეგ, არ მოკცემს განსახილველი ნორმის შემადგენლობას. ასეთი ქმედე-

ბა არაა გათვალისწინებული არც სს კოდექსის 273-ე მუხლით. ე.ი. ეს ქმედება არაა დანაშაული. რაც შეეხება ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგიის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო გადაზიდვას პირადი მოხმარებისათვის ექიმის დანიშნულების გარეშე, აღნიშნული ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს პირადი მოხმარებისათვის ამ ნივთიერებების მცირე ოდენობით უკანონო შენახვად, ე.ი. სს კოდექსის 273-ე მუხლით. ეს იმიტომ, რომ უკანონო გადაზიდვისას აღნიშნული ნივთიერებების გადაადგილება ხდება გამგზავნის თანდასწრებით და ნარკოტიკული საშუალება მოთავსებულია ან გადაზიდველის განსაცემლსა თუ ჩანთაში, ან იმ სატრანსპორტო საშუალებაში, რომლითაც ხდება ამ ნივთიერებების გადაზიდვა. ე.ი. სახეზე გვაქვს ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო შენახვა.

ისევე როგორც უკანონო გადაზიდვისას, უკანონო გადაგზავნის მიზანი თუკი არის ამ ნივთიერებების საქართველოს ტერიტორიიდან უკანონო გატანა, ან პირიქით, საქართველოში მათი უკანონო შემოტანა, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სს.კ-ის არა 260-ე მუხლით, არამედ 262-ე მუხლით.¹ სს კოდექსის 260-ე მუხლთან ერთობლიობით კვალიფიკაცია მაშინ იქნება საჭირო, თუ უკანონოდ შემოტანილ ნარკოტიკულ საშუალებას პირი შემდგომში ასაღებს ან ინახავს სათანადო ნებართვის გარეშე.

ჩვენ მიერ განხილული ქმედებები (უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა და გასაღება) შეიძლება ჩაღწილ იქნეს მხოლოდ განზრახ. თუ პირი გაუფრთხილებლობით სჩადის რომელიმე მითითებულ ქმედებას (მაგ., ინახავს ნარკოტიკულ საშუალებას სათანადო ნებართვის გარეშე და არ იცის, რომ ეს ნივთიერება წარმოადგენს ნარკოტიკულ ან სხვა კონტროლს დაქვემდებარებულ საშუალებას), მაშინ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა სს კოდექსის 260-ე მუხლით გამოორიყებულია. ამასთანავე, მიგვაჩნია, რომ სახეზე უნდა იყოს პირდაპირი განზრახვა. ძნელი წარმოსადგენია ამ ქმედებების ჩადენა არაპირდაპირი განზრახვით. უფრო სწორი იქნება, თუ ვიგყვიტ, რომ თვით ნორმის შინაარსიდან და მიზნებიდან გამომდინარე, გაუმართლებელი იქნება პასუხისმგებლობის დაკისრება ამ ქმედებათა არაპირდაპირი განზრახვით ჩადენისათვის. ასე მაგალითად, პირმა მისი ნაცნობისაგან დროებით შესანახად ჩაიბარა საგულდაგულოდ შეფუთული ნივთი, როგორც ძვირფასი პირადი მოხმარების ნივთების ფუთა, თუმცა ნივთის პაგრონის პიროვნებიდან გამომდინარე, იგი არ გამოორიყბავს და ეჭვობს, რომ ეს ნივთი არის ნარკოტიკული საშუალება. ასეთ ვითარებაში, ჩვენი აზრით, არ შეიძლება აღნიშნული ქმედება შეფასდეს როგორც ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო შენახვა.

¹ ჩვენ ვერ დავეთანხმებით იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ნარკოტიკულ საშუალებათა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა უკანონო გადატანა ქვეყნის საბაჟო საზღაურის გამოყენებით, უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით (Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации, М, 2000, с. 577). რურ სსკ 188-ე მუხლის, ასევე, შესაბამისად, საქართველოს სს კოდექსის 262-ე მუხლის შემადგენლობა მთლიანად მოიცავს ზემოთ აღნიშნულ ქმედებას და დამატებით კვალიფიკაცია სს კოდექსის 260-ე მუხლით საჭირო არ არის.

სს კოდექსის 260-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენისათვის მაკვალიფიცირებული მნიშვნელობა არა აქვს მიზანს. ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ რა მიზნით ჩაიდინა პირმა ზემოთ ჩამოთვლილი ქმედებანი, სასამართლომ უნდა დაადგინოს მხოლოდ სასჯელის ინდივიდუალიზაციის საკითხის გადასაწყვეტად. ამ მხრივ, 2000 წლის 1 ივნისს ძალაში შესული სს კოდექსის ეს ნორმა ძირეულად განსხვავდება ადრე მოქმედი სს კოდექსის შესაბამისი ნორმისაგან – ამ ნორმაში კანონმდებელი სხვადასხვა ნაწილებით აკვალიფიცირებდა ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზნით და ასეთი მიზნის გარეშე ჩადენილ ქმედებებს. კერძოდ, ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზნით ჩადენილი ქმედებანი (უკანონო დამზადება, შექენა, შენახვა და ა.შ.) ითვლებოდა დამამძიმებელ გარემოებად და მათთვის დაწესებული იყო გაცილებით მკაცრი სასჯელი, ვიდრე იმავე ქმედებისათვის გასაღების მიზნის გარეშე. ე.ი. კანონმდებელი გასაღების მიზნით ჩადენილ ქმედებას აფასებდა როგორც მომეტებული საშიშროების შემცველს და ამ საკითხის გადაწყვეტას არ ანდობდა მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს. დღეისათვის კი სასჯელის განსაზღვრა გასაღების მიზნით თუ ამ მიზნის გარეშე ჩადენილი ქმედებისათვის მთლიანად სასამართლოზეა მიხედობილი. ფაქტობრივად, სამოგადოებრივი საშიშროების მხრივ რადიკალურად განსხვავებული ქმედებანი ერთ ნორმაშია მოქცეული. ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო ბრუნვა მათი გასაღების მიზნით მეტად საშიში დანაშაულია, იგი ხელყოფს ან საფრთხეში აყენებს არა კონკრეტულად ერთი პირის, არამედ პირთა განუსაზღვრელი წრის (მოსახლეობის) ჯანმრთელობას. თანაც ამ ჯანმრთელობაში იგულისხმება არა მხოლოდ სხეულებრივი, არამედ მორალური, სულიერი სიჯანსაღე. რაც შეეხება გასაღების მიზნის გარეშე ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო ბრუნვას, აქ მიანი ადგება მხოლოდ მომხმარებლის ჯანმრთელობას და მისი საშიშროება იმდენად ნაკლებია, რომ მეცნიერებაში სერიოზული დაუა დღესაც გრძელდება ამ ქმედების კრიმინალიზაციის მიზანშეწონილობის შესახებ. მართლაც, სისხლის სამართალი ხომ სამოგადოებრივი ურთიერთობებს იყავს. ე.ი. მისი მიზანია, დაიყვას პირი სხვათა მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაგან და არა თვითდაზიანებისაგან. ასეთ ვითარებაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრა ნარკოტიკულ საშუალებათა გამსაღებლებზე და მის მომხმარებლებზე ერთი და იმავე ნორმით არ მიგვაჩნია გამართლებულად. მართალია, სს კოდექსის 260-ე მუხლის სანქცია სასჯელის ინდივიდუალიზაციის ფართო გასაქანს აძლევს სასამართლოს („ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათ წლამდე“, ე.ი. 6 თვიდან 10 წლამდე), მაგრამ ეს პრობლემას მაინც ეერ მოხსნის. სასამართლოს შეუძლია, ზოგ შემთხვევაში ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელს განუსაზღვროს სასჯელის უფრო მკაცრი ზომა (მაგალითად, იგი წარსულში ნასამართლევია სხვადასხვა დანაშაულისათვის და სხვა გარემოების გათვალისწინებით), ვიდრე ასეთი ნივთიერების გამსაღებელს (დანაშაული ჩაიდინა პირველად, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის ზეგავლენით, აღიარებს დანაშაულს და სხვ). არადა ამ ქმედებათა საშიშროება იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ კანონმდ-

ბელმა იმთავითვე უნდა გამოორიცხოს მომხმარებელთა და გამსაღებელთა თუნდაც თანაბარი სიმკაცრის დასჯის შესაძლებლობა. ამდენად, მიგვაჩნია, რომ ნარკოტიკულ საშუალებათა გამსაღებლების მიმართ პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს სს კოდექსის 260-ე მუხლის ცალკე ნაწილით, როგორც დამამძიმებელი გარემოება.

უკანონო გასაღებაში იგულისხმება ნარკოტიკული საშუალებების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის სხვა პირზე უკანონოდ გადაცემის ნებისმიერი ხერხი, როგორც საზღაურით, ისე საზღაურის გარეშე. ეს ხერხებია: გაყიდვა, გაჩუქება, გაცემა სხვა ნივთში, გასესხება (ნარკოტიკული საშუალების გადაცემა სხვა პირზე იმ პირობით, რომ გარკვეული დროის შემდეგ მან უკანვე დაუბრუნოს იმავე სახის ან სხვა ნარკოტიკული საშუალება) ვალის გადახდით (პირს ემართა სხვისი ფული და კრედიტორს ფულის ნაცვლად ვალში მისცა ნარკოტიკული საშუალებები). უკანონო გასაღებაში უნდა ჩაითვალოს ასევე ნარკოტიკული საშუალების სხვის ორგანიზმში შეყვანა პირის თანხმობით. მაგრამ ასეთი ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება უკანონო გასაღებად, თუ ეს ნარკოტიკული საშუალება ეკუთვნის თვით მომხმარებელს, ან იმყოფება მომხმარებლისავე მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში.

თუ ნარკოტიკული საშუალების უკანონო მფლობელი სხვა პირის ორგანიზმში მისი ნების საწინააღმდეგოდ შეიყვანს ნარკოტიკულ საშუალებას, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით: როგორც უკანონო გასაღება და ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე დაყოლიება (სსკ-ის 260-ე და 272-ე მუხლებით).

უკანონო გასაღება დამთავრებულად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა გამსაღებელი სხედასხვა ხერხით გაასხვისებს ნარკოტიკულ საშუალებას სხვა პირზე, გადასცემს მას სხვას. წინააღმდეგ შემთხვევაში გვექნება დანაშაულის ან მომზადება, ან კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით, მისი მცდელობა (ე.ი., მე-18, 260-ე, ან მე-19, 260-ე მუხლები).

სს კოდექსის 260-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობები დამთავრებულია თვით ქმედების დამთავრების მომენტიდან და არაა სავალდებულო რაიმე მძიმე შედეგის დადგომა. მაგალითად, ნარკოტიკულ საშუალებათა დამზადება დამთავრებულია თუნდაც ერთი ნარკოტიკული საშუალების მზა პროდუქციის მიღებისას; შეძენა დამთავრებულია, როცა პირი უკანონოდ დაეუფლება შესაბამის ნივთიერებას ან საშუალებას, გასაღება კი მაშინ, როცა ამგვარი ნივთიერება გადაეცემა თუნდაც ერთ პირს.

ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო გასაღებას სუბიექტურის მხრივ არის პირდაპირი განზრახი დანაშაული. ე.ი. პირს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ ასაღებს ნარკოტიკულ საშუალებას, მის ანალოგს ან პრეკურსორს და თანაც ის, რომ არა აქვს ამგვარი ქმედების ჩადენის კანონიერი უფლებამოსილება.

როდესაც პირი ასაღებს სხვა რაიმე ნივთიერებას როგორც ნარკოტიკულ საშუალებას, ე.ი. ატყუებს შემძენს და ამას აკეთებს სხვისი ქონების (მაგალითად, ფულის) დასაუფლებლად, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს თაღლითობად (სსკ-ის 180-ე მუხ.), ხოლო შემძენის ქმედება, რომელსაც

კგონია, რომ უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება, ანდა მისი ანალოგი ან პრეკურსორი, დაკვალიფიცირდება ამ ნივთიერებათა უკანონო შექმნის მცდელობად (მე-19, 260-ე მუხ.).

ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო გასაღებისას სუბიექტის მოტივსა და მიზანს არა აქვს მნიშვნელობა კვალიფიკაციისათვის. იგი მხედველობაში მიიღება მხოლოდ სასჯელის დანიშვნისას. უმეტესწილად აქ გვხვდება ანგარების მოტივი. ასევე შესაძლებელია, უკანონო გამსაღებელს ამოძრავებდეს სხვა მოტივებიც. მაგალითად, გასაჭირში მყოფი ამხანაგისათვის დახმარების აღმოჩენის სურვილით პირმა აჩუქოს ნარკოტიკული საშუალება ნარკომანს, რომელიც ნარკოტიკული შიმშილის მდგომარეობაში იძყოფება.

საერთოდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 260-ე მუხლის I ნაწილით გასაღების წინებული ქმედებების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს ამ ქმედებათა მოტივსა და მიზანს. ისინი მხედველობაში მიიღებიან მხოლოდ სასჯელის დანიშვნისას.

სს კოდექსის 260-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული ქმედების სუბიექტია 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი, როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე მოქალაქეობის არმქონე ან უცხოელი მოქალაქე.

განსახილველი მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით დამამძიმებელ ვარემოებადაა მიჩნეული იგივე ქმედება, ჩადენილი დიდი ოდენობით. ნარკოტიკული საშუალების ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მარტო ამ ნივთიერებათა წონა და ოდენობა, არამედ მისი თვისებები, მისი შემოქმედების უნარი ორგანიზმზე. ამიტომ, რომ ოდენობის განსაზღვრისას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ნარკოტიკული საშუალების სახეობას, არამედ მის ფიზიკურ მდგომარეობას, ე.ი. იმას, იგი მოცემულია ფხვნილის ან აბის სახით, თუ ამჟღავნაში სითხის სახით, ასევე ნაყენის სახით. მიღებული წესის თანახმად, უკანონო ბრუნვიდან ამოღებული სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების ოდენობას განსაზღვრავს 2003 წლის 23 ივლისის საქართველოს პარლამენტის დადგენილება „უკანონო მფლობელობიდან ან ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი აღნაგობის ნუსხის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნულ სიაში მოცემულია არაკანონიერ ბრუნვაში ან მფლობელობაში აღმოჩენილ ნარკოტიკულ საშუალებათა მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობა, რაც შეეხება ფსიქოტროპულ ნივთიერებებსა და მის ანალოგს, მათი, როგორც ოდენობის, ისე სახეობის, განსაზღვრა მოხდება მაშინ, როცა საქართველოს პარლამენტი მიიღებს კანონს „ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შესახებ“ და იგი შევა კანონიერ ძალაში.

შემოთ ხსენებული სიის თანახმად, ნარკოტიკულ საშუალებათა ოდენობის ჩამონათვალი იწყება მცირე ოდენობით. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნივთიერება აღმოჩნდება მცირე ოდენობაზე ნაკლები, მაშინ პირი მიეცემა არა სისხლისსამართლებრივ, არამედ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში. ასე მაგალითად, მოცემული სიის თანახმად, მარფინი მცირე ოდენობით ჩაითვლება 0,03 გრამის ოდენობით,

ე.ი. 1%-იანი 3 აშპულა. მაშასადამე, თუ უკანონო ბრუნვიდან ამოღებულ იქნა უფრო მცირე ოდენობის მარფინი (მაგალითად, 0,003 გრ), მაშინ პასუხისმგებლობა დადგება ადმინისტრაციული წესით. შემდეგ გრაფებში მოცემულია დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობები.

უფრო რთულია ოდენობის განსაზღვრა, როცა პირის ქმედება დაკავშირებულია სხეადასხვა სახის ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო ბრუნვასთან. მაგალითად, პირმა ერთდროულად უკანონოდ გაასალა მარფინი და კოკაინი. ასეთ შემთხვევაში მიგვაჩნია, რომ ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა მივიღოთ არა ცალ-ცალკე აღებული მათი წონა, არამედ მთლიანობაში მათი წონა და ეფექტურობა (სიძლიერე).

იმავე ქმედების ჩადენა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ მეტი საზოგადოებრივი საშიშროებით ხასიათდება და ამიგომაც იგი ერთ-ერთი დამამძიმებელი გარემოებაა. საქართველოს სს კოდექსის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ მასში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად. ე.ი. ქმედების ამ ნორმით კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, სულ მცირე, ორი პირი 260-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების დაწყებამდე შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად. თუ ერთი პირის მიერ დაწყებულ ქმედებას შეუერთდება მეორე პირი, თუნდაც ურთიერთშეთანხმებით, საქმე არა გვაქვს სს კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტთან. მაგალითად, პირმა დაიწყო ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო დამზადება. შემდეგ კი მზა პროდუქტის მიღებამდე დაიხმარა სხვა პირი დამზადების პროცესის გასაადვილებლად. ეს ქმედება არ დაკვალიფიცირდება 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით. ასევე პირის ქმედება, თუ არ არის სხვა დამამძიმებელი გარემოება, უნდა დაკვალიფიცირდეს 260-ე მუხლის I ნაწილით – უკანონო დამზადებით.

ამასთანავე, უნდა აღვნიშნოთ, რომ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ეს დანაშაული მაშინაა ჩადენილი, თუ წინასწარი შეთანხმებით მოქმედებდნენ ამსრულებლები. ე.ი. 260-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებულ რომელიმე ქმედების ჩადენაში მონაწილეობდა ორი პირი მაინც. მაგალითად, ორი ან მეტი პირი წინასწარი შეთანხმებით უკანონოდ შეუდგა ნარკოტიკული საშუალების გასაღებას, ანდა ორი ან მეტი პირი სათანადო ნებართვის გარეშე უშუალოდ მონაწილეობს ნარკოტიკული საშუალების გადაზიდვის პროცესში და ა.შ. თუ ამსრულებელია ერთი პირი, რომელიც მოქმედებს ორგანიზატორთან, წამქეზებელთან ან დამხმარესთან წინასწარი შეთანხმებით, ხოლო ეს უკანასკნელნი არ მონაწილეობენ ქმედების ჩადენაში, კვალიფიკაცია მოხდება სსკ-ის 260-ე მუხლის I ნაწილით. ხოლო თანამონაწილეთა (ორგანიზატორის, წამქეზებლის, დამხმარის) ქმედებანი დაკვალიფიცირდება სსკ-ის 25-ე და 260-ე მუხლების I ნაწილით.

შემდეგი მაკვალიფიცირებელი გარემოებაა იგივე ქმედება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. ამ შემთხვევაში კანონმდებელი მიუთითებს სპეციალურ სუბიექტზე, რომელიც 260-ე მუხლის I ნაწილში მითითებული ქმედების ჩადენისას იყენებს თავის სამსახურ-

რებრივ მდგომარეობას, ე.ი. კანონით მინიჭებულ უფლებებსა და რწმენებს. ასეთი პირები შეიძლება იყვნენ როგორც სახელმწიფო მოხელეები (თანამდებობის პირები), ისე ის პირები, რომლებიც არ არიან მოხელეები.¹ მაგალითად, მოხელედ ჩაითვლება საქციალური აფთიაქის გამგე, რომელსაც, კანონის მოთხოვნათა დაცვით, უფლება აქვს, გაყიდოს ნარკოტიკული საშუალებანი, ასევე ონკოლოგიური საავადმყოფოს მთავარი ექიმი, ან განყოფილების გამგე, რომლის კანონიერ მფლობელობაში იმყოფება ნარკოტიკული საშუალება. თუ ეს პირები, გამოიყენებენ რა თავიანთ სამსახურებრივ მდგომარეობას, უკანონოდ გაასაღებენ ნარკოტიკულ საშუალებებს იმ პირებზე, ვისაც არა აქვთ ნარკოტიკული საშუალების შექმნის კანონიერი უფლება, ქმედება დაკვალიფიცირდება სს კოდექსის 260-ე მუხ. II ნაწილის „გ“ პუნქტით.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ მოხელის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება მიმართული უნდა იყოს ნარკოტიკული საშუალების უკანონო ბრუნვასთან. თუ პირი იყენებს სამსახურებრივ მდგომარეობას და არღვევს ნარკოტიკული საშუალების მიპყრობისადმი კანონით დადგენილ წესს ისე, რომ მისი მიზანი არაა ამ ნივთიერების უკანონო ბრუნვაში მოქცევა, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა 260-ე, არამედ 269-ე მუხლით – ნარკოტიკული საშუალების, პრეკურსორის დამზადების, წარმოების, მიღების, აღრიცხვის გაცემის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან შემოგანის წესის დარღვევა. მაგალითად, საავადმყოფოს მთავარი ექიმი, რომელსაც აქვს საქციალური ნებართვა ნარკოტიკული საშუალების შენახვისა, საქციალურ საცავში კანონის დაცვით შიღებულ ნარკოტიკულ საშუალებებთან ერთად ინახავს სხვა ნარკოტიკულ საშუალებებსაც, რომელთა შენახვაზე მას არა აქვს კანონიერი ნებართვა. ამ შემთხვევაში გდება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შენახვა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით – 260-ე მუხ. II ნაწილის „გ“ პუნქტი. ხოლო, თუ, იგივე პირი, მართალია, ინახავს კანონის მოთხოვნის დაცვით შემოგანილ ნარკოტიკულ საშუალებას, მაგრამ ინახავს მას შენახვისათვის დადგენილი წესის დარღვევით (მაგალითად, კარადაში, რომელსაც აქვს ნაყულად რკინისა, შემინული კარები და მისი ჩამტვრევა ადვილია), ქმედება დაკვალიფიცირდება სს კოდექსის 269-ე მუხლით. ე.ი. 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტის ძირითადი განსხვავება 269-ე მუხლისაგან არის შემდეგი: 260-ე მუხლის სუბიექტის მოქმედება უშუალოდ მიმართულია ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო ბრუნვასთან და ამ დროს იგი იყენებს სამსახურებრივ მდგომარეობას. 269-ე მუხლის სუბიექტს კი გააჩნია კანონით მინიჭებული უფლებამოსილება მოცემული ნარკოტიკული საშუალების მიღებისა, აღრიცხვისა, გაცემისა, შენახვისა, გადაზიდვისა და ა.შ., მაგრამ ამ ფუნქციის განხორციელებისას იგი არღვევს ამ ნივთიერებისადმი მოპყრობის დადგენილ წესს, რასაც გაუფრთხილებლობის შედეგად მოჰყვება ამ ნივთიერების უკანონო ბრუნვა-

¹ მოხელის ცნებასთან დაკავშირებით იხ. კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ (1997 წ. 31 ოქტომბერი), ასევე მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი, დანაშაული სახელმწიფოსა და სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ, თბ., 2002, გვ. 108-113.

ში მოქცევა. მაგალითად, გემოთ ხსენებულ შემთხვევაში, როცა მთავარი ექიმი შემინულ კარადაში ინახავს ნარკოტიკულ საშუალებას, ამ ქმედებით სარგებლობს სხვა პირი და ფარულად ეუფლება მას (სსკ-ის 269-ე მუხ.).

ამ ნორმის სუბიექტი სახელმწიფო მოხელესთან ერთად შეიძლება იყოს ინდივიდუალური საწარმოს ხელმძღვანელი, რომელიც არაა მოხელე. მხედველობაში გვაქვს ის ინდივიდუალური მეწარმე, რომელსაც კანონით მინიჭებული აქვს პრეკურსორის შენახვის უფლება. მას შეუძლია, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით გაასაღოს პრეკურსორი იმ პირზე, ვისაც არა აქვს პრეკურსორის შექმნის უფლება, ან ჩაიღინოს 260-ე მუხლის I ნაწილში მითითებული სხვა ქმედება.

მიგვაჩნია, რომ 260-ე მუხ. II ნაწილის „გ“ პუნქტის სუბიექტი შეიძლება იყოს ამა თუ იმ დაწესებულების რიგითი (ტექნიკური) მუშაკიც, რომელიც ხსენებული დანაშაულის ჩადენისას იყენებს სამსახურებრივ მდგომარეობას. მაგალითად, ამა თუ იმ გრანსპორტის მძღოლი, რომელიც კანონიერი გზით ახდენს ნარკოტიკული საშუალების გადაზიდვას, სარგებლობს თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით და გრანსპორტირებადი ნივთიერების ნაწილს უკანონოდ ასაღებს. ანდა, საავადმყოფოს მედლა, რომელსაც ნარკოტიკული საშუალება გადაცემული აქვს ავადმყოფზე საინექციოდ, უკანონოდ ყიდის მას სხვა პირზე, ხოლო ავადმყოფს უკეთებს სხვა წამალს. მედლა ამ შემთხვევაში უკანონოდ ასაღებს ნარკოტიკულ ნივთიერებას, იყენებს რა თავის სამსახურებრივ მდგომარეობას. არ გვექნება ამ დანაშაულის შემადგენლობა, როცა მოხელე იყენებს არა სამსახურებრივ უფლებამოსილებას, არამედ სამსახურებრივ ავტორიტეტს.

შემდეგი დამამძიმებელი გარემოება, რომელსაც ითვალისწინებს 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ პუნქტი, არის იგივე ქმედება, ჩადენილი არაერთგმის. არაერთგმისი დანაშაულის ცნების გასარკვევად უნდა მივმართოთ სს კოდექსის მე-15 მუხლს. ამ მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, 260-ე მუხლში არაერთგმისობა გულისხმობს ამავე მუხლით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენას. თუ პირს ადრე ჩადენილი ჰქონდა არა ამ მუხლით, არამედ ამ თავით (ნარკოტიკული დანაშაული) გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, მისი ქმედება დაკვალიფიცირდება 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ პუნქტით და არ „დ“ პუნქტით.

აქვე უნდა გაირკვეს საკითხი: როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს პირის ქმედება, რომელმაც ორჯერ ჩაიღინა 260-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული ქმედება და არც ერთი მათგანისათვის არაა ნასამართლევი. ამ შემთხვევაში პირის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს 260-ე მუხლის II ნაწ. „დ“ პუნქტით. აქ დამატებითი კვალიფიკაცია იმავე მუხლის I ნაწილით საჭირო არ არის. საკითხის ამგვარად გადაწყვეტის საფუძველს იძლევა სსკ-ის მე-15 მუხლის მე-3 ნაწილი, სადაც ნათქვამია: „თუ არაერთგმისი დანაშაული ამ კოდექსით გათვალისწინებულია გარემოებად, რომელიც უფრო მკაცრ სასჯელს იწვევს, პირის მიერ ჩადენილი ორი ან მეტი დანაშაული დაკვალიფიცირდება ამ კოდექსის მუხლის შესაბამისი ნაწილით, რომლითაც გათვალისწინებულია სასჯელი არაერთგმისი დანაშაუ-

ლისათვის“. ვინაიდან 260-ე მუხლის II ნაწილი უფრო მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს, ვიდრე პირველი ნაწილი, ამდენად არაა აუცილებელი, თითოეულ დანაშაულს ცალ-ცალკე შეუახება მიეცეს. ე.ი. ქმედება დაკვალიფიცირდება მხოლოდ 260-ე მუხლის II ნაწილის „დ“ პუნქტით,¹ მაგრამ თუ პირს ადრე ჩადენილი აქვს 260-ე მუხლის II ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე ქმედება (მაგალითად, უკანონოდ დაამზადა ნარკოტიკული საშუალება დიდი ოდენობით), მაშინ განმეორებით ამ ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენისას კვალიფიკაცია უნდა მოხდეს 260-ე მუხლის II ნაწილის შესაბამისი პუნქტებით, ჩვენს მიერ განხილულ შემთხვევაში – მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ პუნქტით. ეს იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში არაერთგზისი დანაშაულის ჩადენისათვის არაა დაწესებული უფრო მკაცრი სასჯელი. 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის პუნქტებისათვის სასჯელები ერთნაირია. ქმედების რამდენიმე პუნქტით კვალიფიკაციისას სასამართლოს შეუძლია მე-2 ნაწილის სანქციის ფარგლებში უფრო მკაცრი სასჯელი დანიშნოს, რისი შესაძლებლობაც მას უნდა მიეცეს კადეც. რა თქმა უნდა, სადავო არ უნდა გახდეს ქმედების კვალიფიკაცია ერთობლიობით, როცა პირს ადრე ჩადენილი ჰქონდა 260-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება.

აქვე მიზანშეწონილია არაერთგზისი დანაშაულის განსხვავება განგრძობადი დანაშაულისაგან. სს კოდექსის მე-14 მუხლით „განგრძობადია ამ კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რომელიც მოიცავს ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით ჩადენილ ორ ან მეტ ქმედებას“. აქედან გამომდინარე, 260-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე ქმედება განგრძობად დანაშაულად ჩაითვლება, თუ პირი სჩადის რამდენიმე დანაშაულებრივ ქმედებას, რომელიც მოცემულია ერთი საერთო მიზნითა და განზრახვით. მაგალითად, პირმა მიწის რომელიმე მონაკვეთზე იპოვა ეელურად გაზრდილი ყაყაჩოს ყვავილი და გადაწყვიტა მისი უკანონოდ დაუფლება. ამ მიზნით იგი ნაწილ-ნაწილ ეზიდება ამ ნივთიერებას თავის საცხოვრებელ სახლში, რათა მომავალში მისგან დაამზადოს ნარკოტიკული ნივთიერება. მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სს კოდექსის 260-ე მუხლის I ნაწილით, როგორც ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო შექმნა, რადგან მას ამოძრავებს ერთიანი მიზანი და განზრახვა, დაეუფლოს მინდორში არსებულ ნარკოტიკულ საშუალებას. მართალია, მისი ქმედება რამდენიმე აქტისაგან შედგება, მაგრამ ეს არ მიუთითებს მოქმედების არაერთგზისობაზე.

განგრძობადი დანაშაულის გამიჯვნისას არაერთგზისი დანაშაულისაგან განსასჯელის ჩვენებასთან ერთად ყურადღება უნდა მიექცეს ჩადენილ ქმედებებს შორის დროის ინტერვალს, ქმედების ჩადენის ადგილს, ხერხებს, სუბიექტებს და სხვა გარემოებებს, რომელიც დაეხმარება სასამართლოს, განსაზღვროს, პირის მიერ ჩადენილი სხვადასხვა ქმედება იყო თუ არა ერთიანი მიზნითა და განზრახვით მოცული. კერძოდ, თუ ქმედებები ჩადენილია დროის მცირე ინტერვალის დამორებით, ჩადენილია ერთი და

¹ აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა იმგვარად, როგორც ეს მოცემულია საქართველოს სს კოდექსის მე-15 მუხლის III ნაწილში, იურიდიულ ლიტერატურაში სადავოა, მაგრამ ჩვენ აქ ამ თემაზე არ შეეჩერდებით.

იმავე პირის მიერ ერთი და იმავე ხერხებისა და საშუალების გამოყენებით, ერთსა და იმავე ადგილას, მაშინ სასამართლოს აქვს საფუძველი, დაადგინოს, რომ ჩადენილია განგრძობადი ნარკოტიკული დანაშაული და თუ არ არსებობს სხვა დამამძიმებელი გარემოება, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს 260-ე მუხლის I ნაწილით.

შემდეგი მაკვალიფიცირებელი გარემოებაა იგივე ქმედება, ჩადენილი იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს კოდექსის ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული. ამ პუნქტის სუბიექტია ის პირი, ვისაც წინათ ჩადენილი ჰქონდა არა 260-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, არამედ კოდექსის ამ თავით (ნარკოტიკული დანაშაული) გათვალისწინებული სხვა რომელიმე დანაშაული, დაწყებული 261-ე მუხლიდან, დამთავრებული 274-ე მუხლით. ქმედების ამ პუნქტით კვალიფიკაციისას მნიშვნელობა არა აქვს იმას, პირი ადრე ჩადენილი დანაშაულისათვის იყო თუ არა ნასამართლევი. მთავარია, რომ მას არ უნდა ჰქონდეს წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული, ანდა არ უნდა იყოს კანონით დადგენილი წესით გათავისუფლებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. თუ ეს პირობა დაკმაყოფილია, ქმედების კვალიფიკაცია უნდა მოხდეს ერთობლიობით, ე.ი. 260-ე მუხ. II ნაწილის „ე“ პუნქტითა და ნარკოტიკული დანაშაულის იმ მუხლით, რომლის შემადგენლობაც არსებობს პირის ადრე ჩადენილ ქმედებაში. აქ უკვე მნიშვნელობა არა აქვს იმას, ადრე ჩადენილი დანაშაულისათვის როგორი სასჯელია დაწესებული – 260-ე მუხლის II ნაწილის სანქციით გათვალისწინებულზე მკაცრი თუ უფრო მსუბუქი. ეს იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში არ ვრცელდება სს კოდექსის მე-15 მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნები, მე-15 მუხლი ხომ არაერთგზის ჩადენილი დანაშაულის შემთხვევებს აწესრიგებს.

როცა განსახილველი დანაშაული ჩადენილია ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით (პუნქტი „ბ“) ან თანამონაწილეობით, მე-2 ნაწილის „ე“ პუნქტი შეფუარდება მხოლოდ იმ პირს, რომელსაც წინათ ჰქონდა ჩადენილი ამ თავით გათვალისწინებული სხვა დანაშაული, ვინაიდან, სს კოდექსის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ამსრულებლის ან თანამონაწილის პიროვნებისათვის დამახასიათებელი პერსონალური ნიშანი შეერაყხება იმ ამსრულებელს ან თანამონაწილეს, რომელსაც იგი ახასიათებს. განსახილველი პუნქტი, ჩვენი აზრით, რედაქციულად უფრო გამართული იქნება, თუ ჩამოყალიბდება შემდეგნაირად: „იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს კოდექსის ამ თავით გათვალისწინებული სხვა რომელიმე დანაშაული“. ამით ხაზი გაესმის იმას, რომ აქ საუბარია არა ამ თავის ნებისმიერ დანაშაულზე, არამედ 260-ე მუხლის გარდა სხვა დანაშაულზე. გარდა ამისა, მიზანშეუწონლად მიგვაჩნია განსახილველი მუხლის მე-2 ნაწილში „დ“ და „ე“ პუნქტების ერთობლივად არსებობა. უფრო უპირიანი იქნება, თუ შემოვიფარგლებით მხოლოდ „დ“ პუნქტით – არაერთგზისობით და 260-ე მუხლს გაუუკეთებთ შენიშვნას, რომ არაერთგზისად ჩაითვლება 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, თუ მას წინ უსწრებდა როგორც ამ მუხლით, ისევე კოდექსის ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენა.

ამ მუხლის მე-2 ნაწილში არაერთი ვიზისობის ცალკე პუნქტად გამოყოფის მიზანი, ალბათ, 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მომეტებული საშიშროების საზღვასა იყო სხვა ნარკოტიკულ დანაშაულებთან შედარებით, მაგრამ, ვინაიდან „დ“ და „ე“ პუნქტებს ერთი და იგივე სანქცია აქვთ, შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებლის ეს მიზანი განუხორციელებელი რჩება, რაც შეეხება სასამართლო პრაქტიკას და ასევე განსასჯელის პიროვნებას, ამ ორი პუნქტის არსებობა მხოლოდ სირთულეს თუ შექმნის. კერძოდ, რამდენადმე გართულდება კვალიფიკაცია, როცა აღმოჩნდება, რომ პირს 260-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენამდე ჩადენილი ჰქონდა ორი დანაშაული: ერთი გათვალისწინებული კვლავ 260-ე მუხლით, ხოლო მეორე ამ თავით გათვალისწინებული სხვა ნარკოტიკული დანაშაული. თუ 260-ე მუხლის მეორე ნაწილიდან ამოვიღებდით „ე“ პუნქტს და სათანადო შენიშვნით დარჩებოდა მხოლოდ „დ“ პუნქტი, კვალიფიკაცია ბევრთ სხენებული შემთხვევებისათვის იქნება გამარტივებული – 260-ე მუხლის II ნაწილის „დ“ პუნქტი – არაერთი ვიზისობის. მაგრამ დღის მდგომარეობით ეს კვალიფიკაცია არაა საკმარისი და სასამართლომ „ე“ პუნქტიც უნდა გამოიყენოს. რაც შეეხება განსასჯელს, ქმედების „დ“ და „ე“ პუნქტის ერთობლიობის კვალიფიკაციით მას ხელოვნურად უმძიმდება მდგომარეობა. ასეთ შემთხვევაში ხომ სასამართლოს უფლება აქვს, მუხლის მე-2 ნაწილში მოცემული სანქციის ფარგლებში მას უფრო მკაცრი სასჯელი დაუნიშნოს, გამოდის, რომ უპირატეს მდგომარეობაში აღმოჩნდა პირი, რომელსაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ორი, და ორივე 260-ე მუხლით გათვალისწინებული, დანაშაული. ეს იმიტომ, რომ მის მიმართ გამოიყენება მხოლოდ 260-ე მუხლის II ნაწილის ერთი „დ“ პუნქტი. მისი ქმედება მხოლოდ მაშინ დაკვალიფიცირდება სხვა მუხლებთან ერთობლიობით, თუ ადრე ჩადენილი დანაშაულისათვის დაწესებულია უფრო მკაცრი ან 260-ე მუხლის II ნაწილის შესაბამისი სასჯელი.

აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ მე-2 ნაწილში „ე“ პუნქტის არსებობა ზედმეტია. სამაგიეროდ, ამავე მუხლის მე-3 ნაწილს უნდა დაემატოს ახალი დამამძიმებელი გარემოება, პუნქტი „გ“ – იმ პირის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლეთი ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულისათვის.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ, როცა პირის ქმედებაში არსებობს ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული რამდენიმე დამამძიმებელი გარემოების ნიშნები; ყველა მათგანი უნდა დაკვალიფიცირდეს დამოუკიდებლად შესაბამისი პუნქტების მიხედვით.

260-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულია ამ დანაშაულის განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოებები. პირველი მათგანია ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით. ისე, როგორც დიდი ოდენობა, განსაკუთრებით დიდი ოდენობაც შეუასებითი ცნებაა და სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს როგორც მოცემული ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის რაოდენობა, ასევე მისი ორგანიზმზე გემოქმედების უნარი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასამართლოებმა ოდენობის განსამდგომისას უნდა იხელმძღვანელონ საქართველოს პარლამენტის

მიერ შედგენილი სიით, რომელიც დაყოფილია გრაფებად: მე-3, მე-4 და მე-5 გრაფაში მოცემულია შესაბამისად მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობები, ხოლო მე-2 გრაფაში ნარკოტიკულ საშუალებათა სახეებია ჩამოთვლილი. უფრო დაწვრილებით ოდენობების საკითხი განხილულია 206-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტის განხილვისას.

ამ ნორმის მეორე განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოებაა ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ. იგი ჯგუფური დანაშაულის ყველაზე საშიში ფორმაა. სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განხორციელდა პირთა მყარმა ჯგუფმა, რომლებიც წინასწარ შეკავშირდნენ რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად.

ჯგუფის სიმყარეში იგულისხმება რამდენიმე დამახასიათებელი ნიშანი:

1. სულ მცირე, ორი პირისაგან უნდა შედგებოდეს;
2. უნდა ჰყავდეს ხელმძღვანელი (ორგანიზატორი), რომლის მითითებანი სავალდებულოა ჯგუფის თითოეული წევრისათვის და მისი შეუსრულებლობა მკაცრად ისჯება მათივე დადგენილი წესებით;

3. მყარი ჯგუფის წევრები არ იცვლებიან, ე.ი. არ ხდება მათი დენადობა. ორგანიზებული ჯგუფიდან წევრის გასვლა მის ნებაზე არაა დამოკიდებული, მის ჯგუფში გაერთიანებისას პირობა აქვს დადებული, რომ ბოლომდე ითანამშრომლებს ამ ჯგუფთან;

4. მონაწილეთა ფუნქციები მუსკადაა განსაზღვრული;

5. ჯგუფში მიღება არ აგარებს შემთხვევით ხასიათს, არამედ წევრად აღებული იხილავს პირს, ვისი პიროვნებაც ჯგუფის ხელმძღვანელისათვის წინასწარაა კარგად შესწავლილი. პირის ამ ჯგუფში მიღებას თან ახლავს გარკვეული რიტუალის შესრულება (მაგ. ფიცის დადება);

6. მყარი ჯგუფი იქმნება ხანგრძლივი დროით მოქმედების მიზნით;

7. მისი მიზანია არა ერთი, არამედ რამდენიმე დანაშაულის (ჩვენს შემთხვევაში 260-ე მუხლით გათვალისწინებული ნარკოტიკული დანაშაულის) ჩადენა, რომლის განხორციელებასაც ისინი გეგმავენ თანდათანობით. ჩამოთვლილი ნიშნებიდან განსაკუთრებით ბოლო ორი ნიშანი: ხანგრძლივი დროით მოქმედება და რამდენიმე დანაშაულის ჩადენის მიზანი ორგანიზებულ ჯგუფს ხდის განსაკუთრებით საშიშს და ძირითადად სწორედ ამ ნიშნებით განსხვავდება იგი წინასწარ შეთანხმებით პირთა ჯგუფისაგან.

ორგანიზებული ჯგუფის ერთ-ერთ ყველაზე საშიშ სახედ უნდა ჩაითვალოს მაფია. მთელ მსოფლიოში მაფიური ჯგუფები ხშირად ნარკოტიკული დანაშაულის ჩასადენადაა შექმნილი, რადგან იგი ერთ-ერთი ყველაზე სარფიანი კრიმინალური ბიზნესია. ნარკოტიკულ დანაშაულთა პროცენტული მაჩვენებლების თანდათანობითი მრდა საქართველოში იძლევა საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ ნარკომაფია საქართველოშიც არსებობს, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი დიდი ლაგენტურობით ხასიათდება.

მაფიოზური დაჯგუფებისათვის, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნებისა, დამახასიათებელია სხვა თავისებურებანიც, კერძოდ:

1. მაფიას აუცილებლად ჰყავს თავისი მფარველი სახელმწიფო სამსახურში, რომელიც იყენებს რა თანამდებობრივ მდგომარეობას, ხელს უწყობს ნა-

რკოტიკული დანაშაულის ჩასადენად ორგანიზებულ ჯგუფს. ეს პიროვნება შეიძლება იყოს მაფიის წევრიც, მაგრამ არაა გამორიცხული, იგი ამ დაჯგუფების ორგანიზატორადაც მოგვევლინოს. რაც მეტი მუარველი ჰქაყს მაფიას სახელმწიფო სამსახურში, მით უფრო საშიშ დაჯგუფებად იქცევა იგი;

2. ნარკომაფიისათვის დამახასიათებელია ასევე საერთაშორისო მასშტაბები. ე.ი. ამ დაჯგუფებას დანაშაულებრივი კავშირი აქვს სხვადასხვა ქვეყნის ნარკობიზნესით დაკავებულ კრიმინალურ ჯგუფებთან;

3. ნარკომაფიისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ნიშანია ასევე ის, რომ მათ საქმიანობას თან ახლავს გარდა ნარკოტიკულისა, სხვა სახის დანაშაულთა ჩადენა. მაგალითად, უკანონო მემოსაელის ლეგალიზაცია, სამოხელეო დანაშაულები, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები, იარაღის უკანონო დამზადება, გარეზა, შეძენა და ა.შ. ყველა ამ თანამდევ დანაშაულებს, რა თქმა უნდა, ცალკე შეუასება უნდა მიეცეს. ე.ი. მათი კვალიფიკაცია მოხდება ერთობლიობის წესით.

როდესაც ორგანიზებული ჯგუფი ჩადის 260-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს, ჯგუფის ორგანიზატორის ქმედება 27-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით კვალიფიცირდება, როგორც ამსრულებლისა სს კოდექსის მონაწილე ნაწილის შესაბამის მუხლზე მითითების გარეშე, თუ მისი განზრახვა მოიცავდა ჯგუფის მიერ ამ კონკრეტული ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენას. აქ უკვე მნიშვნელობა არა აქვს იმას, ორგანიზატორი უშუალოდ მონაწილეობდა თუ არა კონკრეტული ქმედების ჩადენაში. საკითხის ამკუარი გადაწყვეტა განპირობებულია არა მარტო ორგანიზებული ჯგუფის მომეტებული საშიშროებით, არამედ სხვა მომენგიითაც: დანაშაული ვერ ჩაითვლება ჩადენილად ორგანიზებული ჯგუფის მიერ, თუ ჯგუფის საქმიანობა არაა ორგანიზებული ორგანიზატორისაგან, ე.ი. ორგანიზების პროცესი აღმოჩნდა დანაშაულის შემადგენლობაში და ამდენად, ორგანიზატორიც ამსრულებლად მოგვევლინა.

რაც შეეხება ჯგუფის წევრებს, 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემთხვევაში, ისინი, როგორც ამსრულებლები, პასუხს აგებენ, თუკი მონაწილეობდნენ მის მომზადებაში ან ჩადენაში, მაგრამ როცა ორგანიზებული ჯგუფის წევრი არ მონაწილეობს 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის არც მომზადებაში და არც ჩადენაში, მას არ შეიძლება შეერაცხოს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტი, თუნდაც იყო დეი, რომ ჯგუფის სხვა წევრების მიერ ჩადენილია ეს დანაშაული. ეს აზრი პირდაპირ გამომდინარეობს სს კოდექსის 27-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან, სადაც ნათქვამია, რომ ორგანიზებული ჯგუფის სხვა მონაწილე პასუხს აგებს ჯგუფში მონაწილეობისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში (ხაზგასმა ჩემია, ნ. თ.), აგრეთვე იმ დანაშაულისათვის, რომლის მომზადებაში ან ჩადენაში იგი მონაწილეობდა.

როგორც ვხედავთ, ჯგუფის წევრი ჯგუფში მონაწილეობისათვის მან აგებს პასუხს, თუ ჯგუფში მონაწილეობის ფაქტისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის დაკისრება. ორგანიზებულ ჯგუფში მონაწილეობა დანაშაულის შემადგენლობას გვაძლევს სს კოდექსის 223-ე მუხლის მე-2 ნაწილში და 224-ე მუხლის შემადგენლობებში (შესაბამისად – უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა ან ხელმძღვანელობა, ანდა მასში მონაწილეობა; ბანდიტიზმი).

ენიანიდან 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტის შემადგენლობაში არაა გათვალისწინებული ორგანიზებულ ჯგუფში მონაწილეობა, ამდენად მხოლოდ ჯგუფში მონაწილეობის ფაქტი ვერ მოგვცემს ამ ნორმის შემადგენლობას.

ამ დანამაულის ჩადენა ორგანიზებული ჯგუფის მიერ უნდა განესახეაოთ არაერთგმისი დანამაულისაგან (260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ პუნქტ). მათ შორის ძირითადი განსხვავება ისაა, რომ არაერთგმისი დანამაული შეიძლება ჩაიღინოს როგორც ერთმა, ისე პირთა ჯგუფმა; არაერთგმისი დანამაულის ჩადენისას პირებს წინასწარვე არა აქვთ გადაწყვეტილი, რომ უნდა ჩაიღინონ რამდენიმე ნარკოტიკული დანამაული. მათ ახალი დანამაულის ჩადენის გაზრახვა წარმოემოხაოთ ერთი დანამაულის ჩადენიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ხოლო ორგანიზებულ ჯგუფს შექმნისთანავე განზრახული აქვს, ჩაიღინოს არა ერთი, არამედ სს კოდექსის 260-ე მუხლით გათვალისწინებული რამდენიმე დანამაული.

როდესაც ორგანიზებული ჯგუფი ჩაიღენს 260-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას განსაკუთრებით დიდი ოდენობით, ქმდება უნდა დაკვალიფიცირდეს მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ პუნქტებით. მაგრამ თუ პირის ქმედებაში არის 260-ე მუხლის როგორც მე-2, ისე მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებები (მაგალითად, ჯგუფმა წინასწარი შეთახმებით უკანონოდ გაასალა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება), ქმდება უნდა დაკვალიფიცირდეს სს კოდექსის მხოლოდ მესამე ნაწილის შესაბამისი პუნქტით. ამ მუხლის მე-3 ნაწილის დისპოზიცია ფორმულირებულია შემდეგნაირად: „ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი“ და შემდეგ ჩამოთვლილია პუნქტები. ეს იმას ნიშნავს, რომ მე-3 ნაწილში გათვალისწინებულია I და II ნაწილის ქმედებები.

სს კოდექსის 260-ე მუხლს დართული აქვს შენიშვნა: ამ თავით გათვალისწინებული დანამაულის ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება ის, ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებს ნარკოტიკულ საშუალებას, მის ანალოგს, პრეკურსორს, ფსიქოტროპულ ნივთიერებას, მის ანალოგს ან ძლიერმოქმედ ნივთიერებას, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანამაულის ნიშნები.

ამ ნიშნების გეჭსტიდან ირკვევა, რომ კანონმდებელი ამ თავით გათვალისწინებული ყველა დანამაულის ჩადენას ჰპატიებს პირს, თუკი:

ა) იგი ნებაყოფლობით ჩააბარებს შენიშვნაში ჩამოთვლილ ნივთიერებებს და ბ) მის ქმედებაში არ არის სხვა დანამაულის ნიშნები. სხვა დანამაულში იგულისხმება ნარკოტიკული დანამაულის გარდა ყველა სხვა თავით გათვალისწინებული ქმედებები.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული შენიშვნა მოითხოვს სათანადო დახევენას. ყოველად გაუპართლებელია, პირს უპატიოს ნარკოტიკული საშუალებების უკანონო გასალაება, მათი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება, მით უმეტეს მაშინ, როცა გამოყენებული იყო სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ან მუქარა (სს-კის 264-ე მუხ.), ასევე ამ ნივთიერებების მოხმარებაზე დაყოლიება მხოლოდ იმიტომ, რომ მან ნებაყოფლობით ჩააბარა ეს ნივთიერებები და მის ქმედებაში არ არის ამ კოდექსის სხვა თავით გათვალისწინებული დანამაულის ნიშნები. მაგალითად, პირმა სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის გამოყენებით აუთიაქიდან მართლსაწინააღმდეგოდ მისსაკუთრა პრეკუ-

რსორი. შემდეგ მან ამ პრეკურსორის გამოყენებით უკანონოდ დაამზადა ნარკოტიკული საშუალება. შემდეგ ამისა, ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე დაიყოლია არასრულწლოვანი და მათვე უკანონოდ მიახადა ნარკოტიკული საშუალებები, დარჩენილი ნარკოტიკული საშუალება კი ჩააბარა ნებაყოფლობით.

ვინაიდან 260-ე მუხლის შენიშვნა არ ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას მხოლოდ ჩაბარებული ნივთიერებების მიმართ, გამოდის, რომ შემოთ ხსენებულ პირს უნდა ეპატიოს ყველა ჩადენილი დანაშაული, მათ შორის ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღებაც. ეს დანაშაულები ხომ ამ თავშია გათვალისწინებული. როგორც იცყვიან, აქ კომენტარი ზედმეტია.

260-ე მუხლის ეს შენიშვნა არა თუ ხელს არ უწყობს ნარკოტიკულ დანაშაულთა თავიდან აცილებას, არამედ პირიქით. ახალისებს პირს, ჩაიდინოს ნუბისმიერი ნარკოტიკული დანაშაული და თუ შემდეგ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების დარჩენილ ნაწილს მაინც ჩააბარებს, იგი გათავისუფლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.

აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული მუხლის შენიშვნა უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ამ თავით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (გარდა სსკ-ის 264-ე, 272-ე მუხლებისა, ან ამ შენიშვნაში ჩამოთვლილ ნივთიერებათა უკანონო გასაღებისა) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლება ის, ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებს ნარკოტიკულ საშუალებას, მის ანალოგს, პრეკურსორს, ფსიქოტროპულ ნივთიერებას, მის ანალოგს ან ძლიერ მოქმედ ნივთიერებას, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.

ზია ხუროშვილი
იურიდიულ მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარების ქირითადი ტენდენციები

მეცნიერებას ორი ძირითადი ფუნქცია აქვს: ანალიზისა და პროგნოზირებისა. პროგნოზირების ფუნქციის განსაზღვრა მეტად რთულია, და განსაკუთრებით სისხლის სამართალში, როცა დამნაშავეობისა და მისი თავიდან აცილების პროგნოზი ხდება.

სისხლის სამართლის კანონმდებლობაზე მუშაობისას მეტად მნიშვნელოვანია:

1. საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტენდენციების განსაზღვრა;
2. დამნაშავეობის დინამიკის შესწავლა;
3. სისხლის სამართლის კანონმდებლობის კანონზომიერების ზუსტი გათვალისწინება.

საქართველოში არსებულმა სისტემურმა კრიზისმა, რომელიც გასული ათასწლეულის ბოლო ათწლეულში განვითარდა, სერიოზული საფრთხე შეუქმნა საზოგადოებას. დამნაშავეობის ობიექტური და სუბიექტური მიზეზები სახეზეა, თუმცა აღძრული სისხლის სამართლის საქმეებიდან სასამართლომდე მხოლოდ ნახევარი თუ აღწევს. საკმაოდ მაღალია ორგანიზებულ, „ელიტარულ-სახელისუფლებო“ და „ბიზნეს-ელიტარულ“ დანაშაულთა ლატენგურობის ხარისხი. მის სამიშროებას აძლიერებს ასევე ის ფაქტორი, რომ მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში ეს დანაშაულები გრანსნაციონალურ ხასიათს მიიღებენ.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარების ძირითადი ტენდენციები უშუალოდ დეტერმინებულია, ერთი მხრივ, კრიმინოლოგიური პროგნოზით, მეორე მხრივ, სისხლის სამართლის შესაძლებლობით – თავიდან აიცილოს დანაშაული. პროგნოზირების ერთ-ერთ მეთოდს მიეკუთვნება – ექსტრაპოლაციის მეთოდი, ე.ი. მოვლენათა კანონზომიერებისა და ტენდენციების წარსულიდან აწმყოსა და მომავალში გადაგანა, რაც უფრო დიდია დროის პერიოდი, მით უფრო ზუსტია პროგნოზი. ეინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი სულ რაღაც 2 წელია, რაც მოქმედებს, ამიტომ ექსტრაპოლაციის მეთოდის გამოყენება ჯერ მაინც

მიზანშეწონილად მიგვაჩნია. თუმცა ამ დროის განმავლობაში საჭირო ცვლილებებია შეტანილი და ზოგიერთი ნორმა კვლავ დახვეწას ღირსობოდა.

1. თანამედროვე მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში შესაძლებელია გრანსნაციონალური დამნაშავეობის მრდის გენდენცია. ამიტომ შეიძლება ლოენანია საერთაშორისო სისხლის სამართლის განვითარება. ამისათვის საჭიროა მრავალი საერთაშორისო სამართლებრივი აქტის რატოფიკაცია და მათი იმპლემენტაცია შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში. ასევე მნიშვნელოვან ფაქტორად მიგვაჩნია დსთ-ის ქვეყნებისა და ეკონომიკური რეგიონების კავკასიურ სახელმწიფოთა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ერთმანეთთან დაახლოება. ამისათვის უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს 1996 წელს სანკე-პეტერსბურგში დსთ-ის სახარულამენტოამორისო ასამბლეის მიერ დსთ-ის ქვეყნების მოდელურად ხსენების სამართლის კოდექსის მიღება.

სხვადასხვა ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობის ერთმანეთთან დაახლოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ამა თუ იმ სახარულამენტოამორისო წინააღმდეგ ბრძოლისათვის საერთაშორისოსანიშნობრივ ხელშეკრულებაში მონაწილეობა. შესაბამის კონვენციათა მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან, კონვენციის მოთხოვნები ასახონ სახელმწიფოში მოქმედ აქტებში (კონვენცია არ შეიძლება პირდაპირ იქნეს გამოყენებული, სანქციის არარსებობის გამო). აქედან გამომდინარე, ერთი და იგივე სისხლისსამართლებრივი აკრძალეა აისახება როგორც რომანულ-გერმანულ ასევე ანგლოსაქსონური, მუსლიმანური და სოციალისტური სამართლის ქვეყნებშიც. დღესდღეობით, შეიძლება ითქვას, რომ სწრაფი მეტი სახელმწიფოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილში გათვალისწინებულ დანაშაულთა უმრავლესობა სწორედ ამ კონვენციების მოთხოვნების შესაბამისადაა შედგენილი, თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ნორმათა იმპლემენტაცია საკანონმდებლო გექნიკის საკითხია და უშუალოდ სახელმწიფო წყევებს საკითხს იმის შესახებ, საერო ნორმებში გამოხატოს კონვენციათა მოთხოვნები, თუ სპეციალური დანაშაულის შემადგენლობები დაუთმოს მათ;

2. ახალი სისხლის სამართლის კოდექსის შედგენისას კანონპროექტის აეგორებმა შეგნებულად აარიდეს თავი აღმინისგრაიული პრეიუდიციის გამოყენებას. ერთადერთ შემთხვევად რჩებოდა ნარკოტიკულ საშუალებათა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება. დღეს საკანონმდებლო ინიციატივის მქონე ორგანოები წარმოადგენენ კანონპროექტებს, რომლებიც ითვალისწინებენ აღმინისგრაიული პრეიუდიციის შემოგანახას. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობას კარგავს აღმინისგრაიულ სამართალდარღვევათა კოდექსი და დგება საკითხი დანაშაულის კატეგორიად გადაცდომის შემოგანისა;

3. საყოველთაოდ ცნობილია, რომ 1999 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით ანტიკონსტიტუციურად გამოაცხადა კონფისკაცია, როგორც სასჯელის სახე და გააუქმა იგი. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან შესაბამისობაში მოვიდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი და სასჯელის სახეებიდან ამო-

დებულ იქნა კონფისკაცია. თუმცა 2001 წლის 6 ივნისის კანონი საბაჟო წესების დარღვევისთვის სასჯელთან ერთად შესაძლებლად მიიჩნიეს სისხლისმართლებრივი იძულებითი ღონისძიების დანაშაულის საგნის ან საშუალების ჩამორთმევის სახით.

უკანასკნელ პერიოდში იუსტიციის სამინისტროში მომზადდა კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც ნაევრაუღევია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 41-ე მუხლს დაემატოს მე-4 ნაწილი იმის შესახებ, რომ დამნაშავის მიმართ სასჯელთან ერთად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სისხლისმართლებრივი ღონისძიება – დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლის ან ამ შემოსავლით წარმოშობილი საკუთრების ჩამორთმევა.

გემოაღნიშნული საკითხების ამგვარი გადაწყვეტა ჩვენი ეჭვს იწვევს. საქმე ისაა, რომ 41-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დებულება ფაქტობრივად იმეორებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ დებულებას პროცესუალური ანუ სპეციალური კონფისკაციის შესახებ, რაც საკითხის გადაწყვეტისას კოლიზიურ ნორმებს წარმოშობს. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით მეცნიერ და პრაქტიკოს იურისტთა შეხვედრის გამართვა;

4. ამა თუ იმ სახის დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით შეინიშნება სასჯელის ზედა ზღვრის მექანიკური გაზრდის მცდელობა, მაშინ როდესაც არ არის სასამართლო პრაქტიკა გაანალიზებული, რაც შესაძლებლობას მოგვეცემდა, გვემსჯელა სასჯელის გამკაცრებისა თუ შემსუბუქების ეფექტურობის შესახებ. თავისუფლების აღკვეთის ვადების მომატებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ჩვენი სასჯელალსრულებითი დაწესებულებების სავალალო მდგომარეობა და მათი უზრუნველყოფის საშუალებათა არარსებობა;

5. კანონის უკუძალის გამოყენება ყოველთვის ჰუმანიზმის პრინციპითაა ნაკარნახევი. სრულიად გაუგებარია კანონმდებლის პოზიცია, რომელმაც სისხლის სამართლის კოდექსიდან განდევნა დებულება, რომლის მიხედვითაც სისხლის სამართლის კანონს უკუძალა პქონდა მაშინაც, „თუ იგი სხვაგვარად აუზობესებდა დამნაშავის მდგომარეობას“ და პირიქით, კანონს უკუძალა არ გააჩნია, „თუ იგი სხვაგვარად აუარესებდა დამნაშავის მდგომარეობას“. ამიტომაც მივიჩნევთ, რომ ასეთი ნოვაცია პრაქტიკაში გარკვეულ სირთულეებს წარმოშობს და აუცილებელია ამ დებულებათა კანონში ზუსტად დაფიქსირება;

6. მეტად აქტუალურია სისხლის სამართლის კანონმდებლობაში გამოყენებულ ტერმინთა და ცნებათა რედაქციულ-სტილისტური დახვეწა, რაც საკანონმდებლო ტექნიკის სფეროს მიეკუთვნება. მაგ., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლი ითვალისწინებს შენიშვნას, რომლის მიხედვითაც „ამ თავით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება ის, ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებს ნარკოტიკულ საშუალებას, მის ანალოგს, პრეკურსორს, ფსიქოტროპულ ნივთიერებას, ან ძლიერმოქმედ ნივთიერებას, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები“. სტიყეასიგყ

ვით თუ მიეყვებით კანონის ტექსტს, გამოდის, რომ თუ პირმა 10 გრამი პეროინიდან ჩააბარა 5 გრამი, ხოლო 5 გრამი ვაასადა, იგი უნდა განთავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ვინაიდან ნარკოტიკული დანაშაულის გასაღება ამ თავითაა გათვალისწინებული;

7. მოსამართლე უნდა მოქმედებდეს საკუთარი რწმენის შესაბამისად, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მას აქვს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღების უფლება. მსოფლიო საკანონმდებლო პრაქტიკაში შეიმჩნევა პრეცედენტული სამართლის კონკრეტიზაციის მცდელობა, თუმცა, თავის მხრივ, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებით რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნებში იმრდება მოსამართლის სამართალშემოქმედებითი როლი. (სასამართლო პრეცედენტის როლი, თუმცა იგი შორსაა ამ ცნების კლასიკური შინაარსიდან).

ამიტომ მეტად საყურადღებოა სისხლის სამართალში გამოყენებულ ცნებათა და ტერმინთა განმარტების საკითხი. ოფიციალური განმარტებებიდან მნიშვნელოვნად გვეჩვენება სისხლის სამართლის კოდექსის ცალკეული ტერმინების განმარტება. მართალია, ღღეს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას არა აქვს ოფიციალური განმარტების ძალა, ჩვენ ვთვლით, რომ იგი მაინც შეიცავს ნორმატიულობის მომენტს და პრეცედენტულად მოქმედებს ქვედა ინსტანციის სასამართლოებზე. ამიტომ უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები უნდა იყოს ფართო განხილვის საგანი და იგი უნდა აისახოს მონოგრაფიებსა და სამეცნიერო კომენტარებში;

8. დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ძალზე სასურველი იქნებოდა ყოველწლიური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების მოწყობა, სადაც გამოთქმული მოსაზრებები დიდად წაადგებოდა ერთიან და სტაბილურ კანონმდებლობას და მის უუქტურ გამოყენებას.

ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგიერთი ასპექტი მოტივისა და მიზნის მიხედვით

საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების საქმიანობის ძირითადი საზრისი სისხლის სამართლის საქმეებზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენაა, რომლის ერთ-ერთი წინაპირობაც მომხდარ ფაქტზე დამნაშაეის სუბიექტურ დამოკიდებულებათა რეალური ახსნაა. ადამიანის ქცევის ფსიქოლოგიური მხარის გახსნის გარეშე შეუძლებელია ქმედების კონკრეტულ დანაშაულად სწორი კვალიფიცილება.

ადამიანის ნებისმიერი ქცევა გარკვეული მოთხოვნების დაკმაყოფილების სურვილითაა ნაკარნახევი. თუ არ არსებობს მოთხოვნილება, ინტერესი, მაშინ ადამიანის აქტივობაც გამოორიცხულია. მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისაკენ სწრაფვის პროცესში პიროვნება განსჯის გარესამყაროში არსებულ ობიექტურ ფაქტორებს, შემდეგ თავის სუბიექტურ შესაძლებლობებს, თუ რამდენად ძალუძს მას დაბრკოლებათა გადალახვა და იღებს გადაწყვეტილებას, რაც საბოლოო ჯამში გვევლინება მოტივის სახით. მოტივის ფორმირებასთან ერთად პიროვნება ისახავს მიზანს და შემდეგ ახდენს იდეალურად არსებული გეგმის პრაქტიკულ რეალიზაციას.

სისხლის სამართლის თეორიაში დღესაც სადავოა მოტივისა და მიზნის ადგილი დანაშაულის სისტემაში, მოტივისა და მიზნის ბრალთან მიმართება და ბოლოს, შესაძლებელია თუ არა მოტივისა და მიზანზე საუბარი, როდესაც ქმედება განხორციელებულია ფსიქიკურად ავადმყოფის მიერ.

ცნობილია, რომ სისხლის სამართლის კლასიკური სისტემის წარმომადგენლებმა ყოველგვარი სუბიექტური მომენტი გამოორიცხეს უმართლობიდან და უმართლობა წმინდა ობიექტურ-აღწერილობით ცნებად აქციეს, ხოლო ცოტა მოგვიანებით ნეოკლასიკოსებმა ობიექტურად ვაგებულ უმართლობაში შეიგანეს ისეთი სუბიექტური ნიშანი, როგორიცაა მიზანი. ეს კი, თავის მხრივ, წინგადადებული ნაბიჯი იყო. უმართლობის სუბიექტური ელემენტები ყველაზე საფუძვლიანად ედმუნდ მეცკერმა დაამუშავა. ისტორიის მსვლელობის შედეგად ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში აღმოჩნდა დანაშაულის ცნება, როდესაც ფინალური მოძღვრების მამამთავარმა პ. ველცელმა

ყოველგვარი სუბიექტური მომენტი უმართლობაში გადაიგანა და ამით მართლსაწინააღმდეგო ქცევა პერსონალურ უმართლობად იქცა.¹

მოტივი და მიზანი, როგორც ნებისმიერი ქცევის განუყოფელი ატრიბუტი, ობიექტურად გამოხატული ქმედებისაგან მოწყვეტით შეძლებულია, რადგან ადამიანის ქცევას მხოლოდ მაშინ აქვს საზრისი, თუ იგი მიზანმიმართულია. წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანის, როგორც ცნობიერი არსების, ქცევა დაემსგავსება ცხოველის ინსტიქტურ მოქმედებას. როგორც მართებულად შენიშნავენ პროფ. გ. ნაჭყებია: „თუმცა წმინდა ობიექტური შემადგენლობის შესახებ სხვა არაფერია, თუ არა ობიექტივიზმი, რომლის საფუძველზე არც დანაშაულის შემადგენლობაა შესაძლებელი და არც მართლსაწინააღმდეგობა“.² ე.ი. შეიძლება ითქვას, რომ მოტივი, მიზანი, წინასწარი შეცნობადობა, ემოცია უნდა მოთავსდეს დანაშაულის შემადგენლობაში. მართლაც, ვერცერთ შემთხვევაში ჩვენ ვერ ვისაუბრებთ ქურდობის შემადგენლობაზე, თუ დავეყრდნობით მხოლოდ და მხოლოდ ნიეთის გარეგნულად ვინმეს მიერ წადების ფაქტს. ქურდობა, ძარცვა და სხვა მსგავსი დელიქტები მიზნითაა ღებერმინებული, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ პირს სწორედ ის მიზანი არ ამოძრავებს, რასაც კანონმდებელმა ქმედების კრიმინალიზაცია დაუკავშირა, მაშინ გამორიცხულია ყოველგვარი საუბარი ამა თუ იმ შემადგენლობაზე.

შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ გამოძიების პროცესში სისხლის სამართლის საქმეებზე ქმედების ამა თუ იმ დანაშაულად კვალიფიციურება უმეტეს შემთხვევაში სწორედ იმის გამოა, რომ დამნაშაის ნამდვილი მოტივისა და დასახული მიზნის გარკვევის კვალობაზე ხდება. მაგალითად, თუ დამნაშავე იარაღის გასროლით წაკლებად მძიმე დაზიანებას მიაყენებს პირს, მხოლოდ მისი დათვალეიერების შემდეგ შეუძლებელია ითქვას, რომელი გიპის უმართლობაა განსორციელებული. თუ ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხით ვიმსჯელებთ, მაშინ ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული გვექნება, მაგრამ კვალიფიკაციისათვის განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს თვით დამნაშაის მიზანი, რომელიც არსებითად ცვლის საქმის ვითარებას. თუკი დაადგინეს, რომ პირს პქონდა მკვლელობის მიზანი, მაშინ სახებეა მკვლელობის უმართლობა. მაშასადამე, კვალიფიკაცია ობიექტურად არსებულ პირობებთან ყოველთვის განისაზღვრება პიროვნების სუბიექტური მხარით. ჩვენს მაგალითში, მოტივისა და მიზნის მიხედვით, რამდენიმე ვერსია შეიძლება აიგოს: 1. ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მცდელობა; 2. ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება პირდაპირი განზრახვით; 3. ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება ვეუნტუალური განზრახვით; 4. ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიებისას ან მისი ფარგლების გადაცილებით; 5. ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება დამნაშაის შეპყრობისას ან მისი აუცილებელი მომის გადაცილებით; 6. ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე

¹ დაწერილებით იხ. ო. გამყრელიძე, „სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი“, თბ., 1989.

² გ. ნაჭყებია, სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება (ლექციების კურსი), თბ., 2002, გვ. 96.

დამიანება თვითიმედოვნებით; 7. ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება დაუღვერობით; 8. ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში; 9. მკვლელობის მცდელობა; 10. მსხვერპლის თხოვნით მკვლელობის მცდელობა; 11. დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ; 12. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევა შეიარაღებული კონფლიქტის დროს; 13. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევა სახელმწიფოთაშორისი ან შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ჯანმრთელობის საფრთხის შექმნით ან ფიზიკური დასახიჩრებით; 14. სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდება ავადმყოფობის სიმულაციით ან სხვაგვარი მოტყუებით (თუ დაზარალებული სამხედრო ვალდებულია).

მეორე საკითხი, რომელიც მიზანთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, უფრო პრობლემატურია, ის შემთხვევაა, როდესაც, პიროვნების ქმედებიდან გამომდინარე, თითქოს „ორმაგი“ ბუნების მიზანთან გვაქვს საქმე. ფსიქოლოგიურად კი ცნობილია, რომ ყოველ ქცევას ერთი მოტივი და მიზანი აქვს. თეალსაჩინოებისათვის განვიხილოთ ქურდობა უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში. ქურდობის შემადგენლობა მხოლოდ მაშინ გვაქვს, თუ დადგინდა მისაკუთრების მიზანი, მაგრამ არის თუ არა ამგვარი მიზანი საკმარისი იმისათვის, რომ პირის მოქმედება მართლსაწინააღმდეგოდ მივიჩნიოთ? რა თქმა უნდა, არა. თუკი პირი საკვებს მიითვისებს სიცოცხლის გადარჩენის მიზნით, მაშინ სამართლებრივ სიკეთეთა შედარებით პირის მოქმედება მართლზომიერია, რადგან სამართლებრივ სიკეთეთა იერარქიაში სიცოცხლე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საკუთრება. ლოგიკურად შემდგენიარად გამოიყურება პიროვნების ქცევის შინაგანი მხარე: საკვების დაუფლება მითვისების მიზნით უფრო მნიშვნელოვანია სიკეთის გადარჩენის მიზნის უზრუნველსაყოფად. დანაშაულის შემადგენლობაში კანონმდებელს შეაქვს ნორმატიული, შეფასებითი ნიშანი – მართლწინააღმდეგობა, რადგან, თუ პირს მართლსაწინააღმდეგოდ მითვისების მიზანი არა აქვს, არც ქურდობის შემადგენლობა გვაქვს. თუმცა ქურდობის შემადგენლობა, ანუ კოდექსით გათვალისწინებული ქმედება, უნდა იყოს მოცემული მართლწინააღმდეგობის გარეშე. ვფიქრობთ, საკითხი უნდა გადაწყდეს იმ დებულების თანახმად, რომ ადამიანის ქცევაში მიზანი არის მხოლოდ ის საბოლოო ამრობრივი იდეალური მოდელი, რისკენაცაა მიმართული მისი ფსიქოლოგიური აქტივობა. მოცემულ მაგალითში მისაკუთრების მიზანი ემსახურება სიცოცხლის გადარჩენის მიზანს, ხოლო როდესაც წინარე მიზნით ხდება საბოლოო მიზნის მომსახურება, მაშინ მისაკუთრების მიზანი გვევლინება სიცოცხლის გადარჩენის საშუალებად, შეიძლება ითქვას, რომ ქცევის მიზნის განსაზღვრა საკმაოდ ფარდობითია, რადგან ერთ შემთხვევაში მიზნად აღიარებული დასახული შედეგი მეორე შემთხვევაში საშუალებად მოგვევლინოს. მაგალითად, თუ ავტომანქანას გაეიცატებ დროებითი გამოყენების მიზნით, რითაც მე შევძლებ დაჭრილი მეგობრის დროულად მიყვანას სააუადმყოფოში, დროებითი გამოყენების მიზანი ემსახურება სიცოცხლის გადარჩენის მიზანს, ე.ი. ამ უკანასკნელ მიზანთან მიმართებით დროებითი გამოყენების მიზანი სიცოცხლის გადარჩენის საშუალებად

გადაიქცა. სწორედ საბოლოო მიზნით უნდა გადაწყდეს კვალიფიკაციის საკითხი. მაშასადამე, სიციოცხლის გადარჩენის მიზანი არ შეიძლება დანაშაულის შემადგენლობაში მოთავსდეს, მისი ადგილი მართლწინააღმდეგობაში უნდა ვეძებოთ.

საკითხის ასეთი დაყენება, ჩვენი აზრით, არ ეწინააღმდეგება მიზნის ფსიქოლოგიურ ბუნებას. მაგალითად, შესაძლებელია, გამდიდრების სურვილი ყველა პირს სქონდეს, თუმცა ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ, რადგან ასეთი მიზანი ყველას აქვს, ყოველი მათგანი მეშხანური სულის პაგრონია. ზოგიერთ მათგანს გამდიდრება სურს როგორც სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალება, ხოლო ზოგს, – როგორც თვითმიზანი. ზემოაღნიშნულ მაგალითშიც სწორედ ანალოგიური შემთხვევაა: მე იმიტომ მაქვს მითვისების მიზანი, რომ ამის საშუალებით უფრო მაღალი მიზანი აღვასრულო, ე.ი. გადავარჩინო სიციოცხლე.

ჩვენ შეგნებულად აღარ გვაგამახვილებთ ყურადღებას იმ მუხლებზე, რომლებშიც მიზნით დაფუძნებული დელიქტებია მოცემული. მხოლოდ იმას შევნიშნავეთ, რომ სწორედ მიზნის დადგენა იძლევა საშუალებას, განვსაზღვროთ უმართლობის გიპი. მაგალითად, სახელმწიფო დალაგის მუხლების უმეტესობა მიზნითაა დეტერმინებული. თუმცა სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილშიც ვხვდებით ნორმას, რომელიც პირდაპირ მოითხოვს მიზნის დადგენას ნებისმიერი განზრახვი დანაშაულისას. კერძოდ, სსკ-ის მე-14 მუხლის თანახმად, „განგრძობადია ამ კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რომელიც მოიცავს ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით ჩადენილ ორ ან მეტ ქმედებას“. ერთიანი მიზნის დადგენა საშუალებას იძლევა, ერთმანეთისაგან განვასხვავოთ არაერთგზისი დანაშაული (რომელიც კვალიფიკაციურ შემადგენლობას იძლევა) განგრძობადი დანაშაულისგან, რომელიც მარტივ შემადგენლობას ქმნის. ასეთი დანაშაულების გამიჯვნა იბიექტური მხარის მიხედვით შეუძლებელია, რადგან ორივე შემთხვევაში რამდენიმე მოქმედება გვაქვს, ხოლო სუბიექტური მხარე თუ არაერთგზისი დანაშაულებში ხასიათდება მიზანთა სიმრავლით ჩადენილ ქმედებათა შესაბამისად, განგრძობად დანაშაულებში რამდენიმე მოქმედება სწორედ ერთი მიზნის ქვეშ ერთიანდება.

საინტერესოა, შესაძლებელია თუ არა, ფსიქიკურად დაავადებული პირის მოქმედებისას ვისაუბროთ მოგივსა და მიზანზე. ვფიქრობთ, საკითხი დადებითად უნდა გადაწყდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება მისი ქმედების მართლზომიერად ან არამართლზომიერად შეფასება. როგორც შემდეგ დავინახავთ, წმინდა ინტელექტუალური, გაცნობიერებული მიზნის ძიება სულიერად აუადმყოფებთან ურთად საეჭვოა. თუკი ვიგყვით, რომ სულიერად აუადმყოფს მიზანდასახული ქცევა არ ძალუძს, მაშინ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებათა გამოყენების უფლება მათ არ ექნებათ. მაგალითად, აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების ერთ-ერთი პირობა არის დაცვის მიზანი, ხოლო ვინც ამ მიზნით არ მოქმედებს, მისი მოქმედება მართლსაწინააღმდეგოა. სრული აბსურდი იქნება, თუკი ვიგყოდით, რომ სულით აუადმყოფის ქცევა არასოდეს არ შეიძლება იყოს მიზნით წარმართული, რადგან თუ იგი ბოროტმოქმედის თაყდა-

სხმისაგან თავს დაიცავდა, მაინც ბრალის არარსებობის გამო უნდა გაგვე-
თავისუფლებინა. ეს კი უსამართლობაა, რადგან ბრალის არარსებობის გა-
მო პირის ვათავისუფლება პასუხისმგებლობისაგან ნიშნავს მის გამგყუნე-
ბას, რაც იძულებით ღონისძიებათა შეფარდების საფუძველია.

საკმაოდ პრობლემატურია ასევე შემდეგი საკითხი – შეუძლია თუ არა
შეურაცხადს ნებისმიერი უმართლობის განხორციელება?

თუ კვლავ ქურდობის მაგალითს ავიღებთ, დავრწმუნდებით, ქურდობის
უმართლობის განხორციელება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ პირს გაცნობი-
ერებული აქვს, რომ ნივთი „სხვისია“. შეიძლება შემოგვედავონ, რომ ნივთი
სხვისია, მიუხედავად მისი გაცნობიერებისა, ანუ ნიშანი „სხვისი“ მისი ობიექ-
ტური თვისებიდან გამომდინარეობს. ამის საწინააღმდეგოდ ჩვენ შეგვიძლია
ვთქვათ, რომ ქურდობისათვის საკმარისი არ არის ნივთის სხვისად არსებო-
ბა მხოლოდ ობიექტური თვალსაზრისით, ამისათვის საჭიროა მისი სხვისად
აღქმა. თუ პირი ნივთს სხვისად არ აღიქვამს და ჰგონია, რომ მისი საკუთრე-
ბაა, მაშინ სახეგა შეედგება. როგორც ცნობილია, ქურდობა ფინალური დე-
ლიქტია, ე.ი. მისი განხორციელება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეი-
ძლება. შეედგება კი, მისი ფსიქოლოგიური ბუნებიდან გამომდინარე, პირდაპირი
განზრახვით არ შეიძლება. მაშასადამე, თუ პირს შეცნობილი არა აქვს,
რომ ნივთი სხვისია, მაშინ ქურდობაზე საუბარი გედმეტია. გამოდის, რომ სუ-
ლიერად აუადყოფი ვერასოდეს განახორციელებს ქურდობის უმართლობას,
რადგან მას გაცნობიერებული არა აქვს ნიშანი „სხვისი“.

კიდევ სხვა მუხლების მოყვანა შეიძლება, რომელთა განხორციელებაც
ფსიქიკურად დაავადებულებს არ ძალუძთ, მაგ.: 310-ე (საქართველოს საგა-
რეო უშიშროების ხელყოფა), 318-ე (საბოგაკი) და სხვ. ვის შეუძლია თქვას,
რომ შეურაცხადს შეიძლება ჰქონდეს საქართველოს დასუსტების მიზანი?
მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ ყველა დანაშაულის უმართლობის გა-
ნხორციელება ნებისმიერ პირს არ შეუძლია, რადგან კანონმდებელი ქმე-
დების კრიმინალიზაციას სწორედ დანაშაულის შინაგან განწყობაზე აქცენ-
ტის გადატანით ახდენს. ე.ი. ფსიქიკურად დაავადებულ პირთაგან ყოველ-
თვის გამორიცხულია ფინალური დელიქტების განხორციელება.

აქვე აღვნიშნავთ, რომ სსკ-ის 177-ე, 179-ე, 180-ე, 182-ე, 183-ე, 184-ე, 228-ე,
264-ე, 236-ე, 237-ე მუხლებში სიგყვა „მართლსაწინააღმდეგო“ გედმეტია საკა-
ნონმდებლო ტექნიკიდან გამომდინარე. ნებისმიერი დანაშაული, რა თქმა უნ-
და, თავისთავად გულისხმობს მართლწინააღმდეგობას და ბრალეულობას,
წინააღმდეგ შემთხვევაში გამოდის, რომ სხვა მუხლები მოითხოვს სიგყვა
მართლწინააღმდეგობის ჩამატებას. ვთქვათ, 117-ე მუხლი, სადაც საუბარია
ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაზე, თავისთავად გულისხმობს,
რომ ასეთი ქმედება გიპურად მართლსაწინააღმდეგო მიზნითაა ჩადენილი.
არ არის გამორიცხული, რომ ადამიანის ჯანმრთელობა განზრახ მძიმედ
დაზიანდეს, მაგრამ იგი მართლმომიერი იყოს.

საყურადღებოა სსკ-ის 109-ე მუხლის „ა“ პუნქტით კვალიფიკაციით
პრობლემა მოტივისა და მიზნის მიხედვით ორი ან მეტი პირის მკვლელო-
ბისას. აქ მოტივს განმსაზღვრელი მნიშვნელობა არა აქვს. მთელი აქცენტი
კანონმდებელს გადატანილი აქვს მიზნის ერთიანობაზე. არასწორია შეხე-

დუღება, თითქოს ორი ან მეტი პირის მკვლელობა უნდა მოხდეს მაშინვე, ან დროის მცირე მონაკვეთში. ასეთი პოზიცია არ გამომდინარეობს კანონიდან. მთავარია აქ მიზნის ერთიანობა და არა დრო, ამასთან, საკმაოდ გაურკვეველია „დროის მცირე მონაკვეთის საზღვრები“. მაგალითად, თუ ბოროტმოქმედი მთელი ოჯახის ამოსაწყვევად შეეარღება ბინაში, მაგრამ მხოლოდ ოჯახის ერთი წევრი დახედება და მოკლავს, ხოლო ოჯახის დანარჩენ წევრებს მოსაკლავად ჩაუსაფრდება და მეორე დღეს მოკლავს, ვის შეუძლია თქვას, რომ ერთი დღე „დროის მცირე“ მონაკვეთია. ვიმეორებთ, აქ მთავარია მიზნის ერთიანობა და არა დროის ფაქტორი, ისევე როგორც განგრძობადი დანაშაულის შემთხვევაში გვაქვს.

ყურადღებას იპყრობს სსკ-ის 113-ე, 114-ე, 122-ე და 123-ე მუხლები, სადაც შესაბამისად, საუბარია აუცილებელი მოვერიების ფარგლებისა და დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ბომის გადაცილებაზე. ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, თითქოს აღნიშნულ დანაშაულთა განხორციელება შეიძლება როგორც პირდაპირი, ისე ევენტუალური განზრახვით.¹ მოცემულ დანაშაულთა ჩადენა პირდაპირი განზრახვით შეუძლებელია, რადგან აუცილებელი მოვერიების მართლზომიერების ერთ-ერთი პირობაა დაცვის მიზანი, ხოლო დამნაშავის შეპყრობისას – პირის წარდგენა ხელისუფლების ორგანოში. მაშასადამე, არ შეიძლება, პირს ერთდროულად ამოქმედებდეს დანაშაულებრივი მიზანი, რაც პირდაპირი განზრახვის დროს ყოველთვის გვაქვს და მართლზომიერი მიზანი.

მოგივისა და მიზნის ცნების ჩამოყალიბება ფსიქოლოგიის საქმეა და ყოველად დაუშვებელია მოგივისა და მიზნის სამართლებრივი განსაზღვრება, როგორც ამას ეხედებით იურიდიულ ლიტერატურაში,² ისევე, როგორც არ შეიძლება მიზეზობრივი კავშირის ან ქცევის სიხის ჩამოყალიბებულ კატეგორიება. საქმე ისაა, რომ ერთი მეცნიერების მიერ ჩამოყალიბებულ კატეგორიას თუ ცნებას მეცნიერების სხვა დარგი იყენებს თავისი ამოცანების შესაბამისად. მაგალითად, სამოქალაქო სამართლის ნორმები ბათილად ცნობს ქორწინებას, თუ იგი არ მოხდა ოჯახის შექმნის მიზნით. თუ მეცნიერების ყველა დარგი ცნებებსა და კატეგორიებს საკუთარი შეხედულებით განმარტავს, მაშინ გამოდის, რომ იარსებებს, ვთქვათ, სამოქალაქოსამართლებრივი მიზანი, სისხლისსამართლებრივი მოგივი და ა.შ.

მოგივისა და მიზნის დადგენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო განზრახ, არამედ გაუფრთხილებელ დანაშაულთა კვალიფიკაციის დროს, რამდენადაც ადამიანის ნებისმიერი ქცევა გარკვეული მოთხოვნილებითაა ნაკარნახევი, რომელიც ყოველთვის მოგივის, როგორც შინაგანად ჩამოყალიბებულ სამოქმედო ფაქტორთა, პრაქტიკულად რეალიზაციის მტკიცე ფსიქოლოგიური გადაწყვეტილებითაა დასაზრისებული. ფსიქოლოგიურად ნებე-

¹ См.: Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации, под общей редакцией Генерального Прокурора Российской Федерации профессора Ю. И. Скуратова и Председателя Верховного Суда Российской Федерации В. М. Лебедева, М., 1996, с. 245; Уголовное право Российской Федерации. Особенная часть. Авторский коллектив, М., с. 46.

² См.: А. В. Наумов, Уголовное право. Общая часть. Курс лекций, изд. «Век», М., 1996, с. 229; В. С. Волков, Проблема воли и уголовная ответственность, 1965, с. 57.

ლობითი ქცევა ყოველთვის განმზარახია და ფსიქოლოგიისათვის მიუღებელია გაუფრთხილებლობა, რადგან სიყვეა „გაუფრთხილებლობა“ უკვე თავისთავად ქვეყის შეფასებას ნიშნავს გარკვეული ღირებულებების მიხედვით, რამდენადაც ფსიქოლოგია არის მეცნიერება ფაქტობრივად არსებულის აღწერისა და არა შეფასების შესახებ, ამიგომ მისთვის მოვლენებისადმი ნორმატიულ-მეფასებითი მსჯელობა მიუღებელია. იურიდიულ ლიგერატურაში გავრცელებულია აზრი, თითქოს გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს არც მოტივს და არც მიზანს, რაც ნაკლებსარწმუნოა.¹ მაგალითად, თუკი ადამიანი ოთახში ანთებულ სანთელს დატოვებს, რამაც სახლის დაწვა გამოიწვია და შემდეგ სასამართლო დაადგენს, რომ ანთებული სანთლის დავეიწყება გამოწვეული იყო ავადმყოფობით და თუ იგი სასწრაფოდ არ წავეილოდა ექიმთან, გარდაიქვლებოდა, მაშინ სიცოცხლის გადარჩენის მიზანმა უეჭველად თავიდან უნდა აგვეცილოს ქმედების გაუფრთხილებლობით დანაშაულთა კვალიფიკაცია. ასეთი ქმედება პირს არ შეიძლება შეერაცხოს ბრალად. ამიგომ არასწორია შეხედულება, თითქოს მოტივი და მიზანი წარმოადგენს დანაშაულის სუბიექტური მხარის ფაკულტატიურ ნიშნებს და მათი გათვალისწინება მხოლოდ მაშინ ხდება კვალიფიკაციისას, როდესაც კანონი პირდაპირ მიუთითებს მასზე.² ფეიქრობთ, გავგებობა აქ გამოწვეულია იმით, რომ რუსული სისხლისსამართლებრივი აზროვნება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლად დანაშაულის შემადგენლობას აღიარებს.

არსებობს მოტივი და მიზანი, ერთი მხრივ, რომელიც შემადგენლობას აფუძნებს და, მეორე მხრივ, არსებობს მოტივი და მიზანი, რომელიც შემადგენლობის გარეთ მოიაზრება. რადგან რუსმა მეცნიერებმა მართლწინააღმდეგობა და ბრალი შემადგენლობაში შეიგანეს, ამიგომ ასეთი განსხევებაც ლოგიკურად ვერ გააკეთეს. მაგალითად, 184-ე მუხლში ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების დროებითი გამოყენების მიზანი დანაშაულის შემადგენლობას აფუძნებს, ხოლო თუ პირმა ავტომანქანა დაჭრილი მეგობრის გადარჩენის მიზნით გაიტაცა, მაშინ ამ უკანასკნელმა მიზანმა დააფუძნა ქმედების მართლზომიერება, რადგან დროებითი გამოყენების მიზანი იქცა მართლზომიერი მიზნის მიღწევის საშუალებად. მამსადაამე, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ, როდესაც მოსამართლე ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციას ახდენს, ყოველთვის არკვევს, ხომ არ ჰქონდა დანაშაულის შემადგენლობის განმახორციელებელს რაიმე მართლზომიერი მიზანი. თუ ასეთი მიზანი არ აღმოჩნდა, მოსამართლე გადადის განხორციელებული უმართლობის ბრალად შერაცხვის ეტაპზე.

გაოცებას იწვევს რუსი მეცნიერების პოზიცია, როდესაც ევენტუალურ განზრახვას და გაუფრთხილებლობის ორივე სახეს მოტივისა და მიზნის გარეშე ტოვებენ. მკითხველის ინტერესებიდან გამომდინარე, სრულად მოეახდენთ ტექსტის ციტირებას: „იმ მეცნიერთა აზრი უფრო მართებულია, რომლებიც

¹ Курс уголовного права. Общая часть. Учение о преступлении, под редакцией док. юр. наук, профессора Н. Ф. Кузнецовой, кандидата юр. наук, доцента И. М. Тяжковой. М., 2002, т. 1, с. 344-345.

² იქვე, გვ. 345.

თელიან, რომ გაუფრთხილებლობით დანაშაულთან მიმართებით შეიძლება მხოლოდ ქვეყის, მაგრამ არა დანაშაულის, მოტივსა და მიზანზე საუბარი. ამ თეალსაზრისის სასარგებლოდ მეგყველებს ის, რომ კანონმდებელს მოტივი და მიზანი არ შეაქვს გაუფრთხილებელ დანაშაულთა შემადგენლობების არც საეალდებულო და არც კვალიფიციურ ნიშანთა რიცხვში. ამასთან, მიზანი, რომელიც არის წარმოდგენა სასურველი შედეგის შესახებ, არაფრით არ თავსდება გაუფრთხილებელი ბრალის ფარგლებში. ამასთან, არ შეიძლება არ ეალიაროთ, რომ ნებისმიერი შერაცხადი პირის ქვევა არის მოტივირებული და მიზანმიმართული. თუმცა ქვეყის მოტივები ამ შემთხვევაში არ გამოდის დანაშაულის ჩადენის მოტივების როლში, რამდენადაც დანაშაულს წარმოადგენს უმეტესწილად არა თვით მოქმედება ან უმოქმედობა, არამედ დამდგარი საზოგადოებრივად საშიში შედეგი, რომლისკენაც პირი არა მარტო არ ისწრაფოდა, არამედ არც უმეებდა შათი დადგომის შესაძლებლობასაც.¹

უპირველეს ყოვლისა, სრული აბსურდია გაუფრთხილებელ დანაშაულში ქმედების და არა დანაშაულის, მოტივსა და მიზანზე მითითება. თუკი ესაუბრობთ განზრახ დანაშაულთა მოტივებსა და მიზნებზე, მაშინ გაუფრთხილებელი დანაშაულიც ხომ დანაშაულია და რატომ არ შეიძლება მსჯელობა დანაშაულის მოტივსა და მიზანზე გაუფრთხილებლობისას. თუმცა იქვე აცხადებენ, რომ შერაცხადი პირის ქვევა მოტივირებული და მიზანმიმართულია. დებულებას, თითქოს მოტივსა და მიზანს გაუფრთხილებელ დანაშაულში ქმედების და არა დანაშაულის მოტივი და მიზანი ეწოდება, იმით ხსნიან, რომ გაუფრთხილებელი დანაშაული შედეგით საბუთდება. აქ ამკარაა გაუფრთხილებელ დანაშაულში ქმედების როლის დამცირება. შედეგი სწორედ იმიტომ დგება, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ადამიანის ქმედება უღირსი იყო, რამეთუ წინდახედულების ნორმა დაირღვა, რომელიც გახდა შედეგის დადგომის მიზეზი. დასახელებული წიგნის ავტორების აზრით, ლოგიკურად გამოდის, რომ დანაშაულებრივი მხოლოდ შედეგია და ქმედება სისხლისსამართლებრივად ირევეანტურია, რაც უღიღისი უაბრობაა, რადგან დანაშაული ქმედების გარეშე არ არსებობს.

ყოველი დანაშაულის ჩადენის შემდეგ იქნება ეს განზრახი თუ გაუფრთხილებელი, ქმედების დანაშაულად კვალიფიციციისას ბუნებრივად უნდა დაისევას კითხვა: რატომ და რისთვის ჩაიდინა პირმა დანაშაული? ე.ი. უნდა დადგინდეს მოტივი და მიზანი. მართებულად შენიშნავს პროფ. გ. ნაჭყებია, რომ „ჩადენილი ქმედების მოტივისა და მიზნის მუსკად დადგენის გარეშე ბრალის ფორმების დადგენა შეუძლებელია“.² მაშასადამე, ევენტუალური და გაუფრთხილებელი დანაშაულის დროს გვაქვს მოტივი და მიზანი.

დასახელებული სისხლის სამართლის კურსიდან გამომდინარეობს აბრი, რომ არსებობს ქმედების მოტივი და მიზანი და დანაშაულის მოტივი და მიზანი.

ასეთი დაყოფა გაუმართლებელია, რადგან აქ დანაშაული ლოგიკურად ქვეყის ნაირსახეობად არის წარმოდგენილი, ფსიქოლოგიურად კი

¹ Указ. Курс уголовного права., т. 1, с. 348.

² გ. ნაჭყებია, ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, თბ., 2001, ვვ. 207.

დანაშაული ქცევა ვერ იქნება, რადგან იგი ნორმატიული ცნებაა, ხოლო ის, რაც შეფასებითია, ფსიქოლოგიაში ვერ მოთავსდება. ამ მხრივ საყურადღებოა პროფ. ბ. ხარაშიშვილის პოზიცია, რომლის თანახმადაც დანაშაული თვითონ კი არაა ქცევა, არამედ ქცევის (მოტივისა და მიზნის) განხორციელების ხერხია.¹

ამრიგად, მტკიცება იმის შესახებ, თითქოს მოტივსა და მიზანს მხოლოდ პირდაპირი განზრახვის დროს აქვს მნიშვნელობა, მცდარია. ასეთი მცდარი წარმოდგენა გამოწვეულია იმით, რომ ევენტუალური და განსაკუთრებით გაუფრთხილებელი დანაშაულის დროს დამნაშაის მიზანი და დამდგარი შედეგი ერთმანეთს არ ემთხვევა, განსხვავებით არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი დელიქტებისაგან. შემთხვევითი არ არის, რომ პერსონალური უმართლობის მოძღვრების მამამთავარი პ. ველცელი, რომელიც იწუნებდა მოქმედების კაუზალურ გავლენას, როგორც ნაგურალის-ტურს და ამტკიცებდა, რომ ადამიანის მოქმედების არსებითი ნიშანია არა კაუზალობა, არამედ ფინალობა, ე.ი. ადამიანის მოქმედება ყოველთვის მიზნით წარმართული საქმიანობაა. ფინალური მოქმედება გვაქვს როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებელ დელიქტებში. პ. ველცელის ამრით, თუკი განზრახ დანაშაულებში ფინალობა სოციალურად არასასურველი შედეგისკენაა მიმართული, გაუფრთხილებელ დანაშაულებში ფინალობა მიმართულია დანაშაულის შემადგენლობისათვის ირელევანტური შედეგისაკენ.²

პ. ველცელის მოსაზრება უადრესად საყურადღებოა. მართლაც, ფსიქოლოგიურად ადამიანის ნებელობითი ქცევა ყოველთვის მიზანმიმართულია, ე.ი. ფინალურია ის ფაქტი, რომ განზრახვით ჩადენილი დელიქტებისას პირი „დანაშაულებრივ“ მიზანს ისახავს, ხოლო გაუფრთხილებლობისას სოციალურად დადებით მიზანს, კიდევ ამტკიცებს დებულებას, რომ მოტივი და მიზანი ბრალის ნებისმიერი ფორმით ჩადენილ დელიქტებში კვალიფიკაციის განმსაზღვრელია. მაგალითად, თუ პირი მოუმატებს ავტომანქანის სიჩქარეს იმ მიზნით, რომ მალე აცნობოს დედას შვილის ჯარიდან დაბრუნება და გზაში გაუფრთხილებლობით კაცს დაეჯახება, სწორედ მიზანზე დაკვირვება გვაძლევს საშულებას, ეს ქმედება დავაკვალიფიციროთ გაუფრთხილებელ დანაშაულად და არა განზრახ დანაშაულად. მარტო ობიექტურად გამოხატული ქმედების მიხედვით, როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა ერთნაირი სიმძიმით ხასიათდება.

ამრიგად, მოტივი და მიზანი ყოველი დანაშაულებრივი ქმედების ყურადღების ცენტრშია იმდენად, რამდენადაც მათ საფუძველზე დგინდება ბრალის ფორმები, რომლებიც ადამიანის ქცევის შეფასების კრიტერიუმებია პირისათვის დადგენილი ნორმის მოთხოვნისადმი ღირებულებითი დამოკიდებულების მიხედვით. სწორედ ამიტომ, რომ განზრახვა უფრო მეტად იკიცხება, ვიდრე გაუფრთხილებლობა. მოტივისა და მიზნის ფორმირება ერთ ცოკლად მიმდინარეობს. „მოტივს თავისთავად არ შეუძლია გახდეს აქტიური ძალა, რომელიც იწვევს ნებელობით ქცევას, თუ იგი დაკავშირებული არ იქ-

¹ Б. В. Хорнабуджели, Психологическая сторона вины, Тб., 1981, с. 6.

² თ. გამყრელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 146-148.

ნება მიზანთან. მოტივაციის პროცესი, ე.ი. მოტივის ფორმირების სტადია, თავისთავად გულისხმობს კონკრეტული მიზნის განისაზღვრასა.¹

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მოტივსა და მიზანზე დაყრდნობით ღვინდება ბრალი. თუმცა მოტივით შემთხვევაში ქმედების გაკიცხვა სხვა ნიშნებს ემყარება. მაგალითად, აუცილებელი მოგვიჩვენებს ფარგლების გადაცილებით მკვლელობის მოტივი შეიძლება იყოს შიში, ხოლო მიზანი ყოველთვის თავდაცვის სურვილით განისაზღვრება. გაკიცხვის ღირსი აქ შეიძლება იყოს ის საშუალება, რომლითაც ამ მიზნის უზრუნველყოფა ხდება. ასეთ საშუალებად ამ დელიქტში გვევლინება თავდამსხმელისათვის სიცოცხლის მოსპობა, ე.ი. საშუალებამ ვერ ვაპარათლა მიზანი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ პირი იკიცხება მიზნის მისაღწევად არასწორი საშუალების არჩევისათვის.

ჩენი აზრით, მოტივი და მიზანი სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით შეიძლება სამი მნიშვნელობის იყოს: 1) მოტივი და მიზანი, რომელიც მართლმსაჯულებას აინტერესებს დანაშაულის შემადგენლობის ტიპის განსაზღვრისათვის (მაგ., ანგარება ან სხვა ქვენაგრძობა, როგორც 174-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის დამუშენებელი მოტივი; შეილად აყვანის მიზანი, 172-ე მუხლში მოცემული დანაშაულის შემადგენლობის დაფუძნებისათვის); 2) მოტივი და მიზანი, რომელიც უნდა დადგინდეს მართლწინააღმდეგობის ან ბრალის დადგენისათვის (მაგ., თავდაცვის მიზანი – აუცილებელი მოგვიჩვენებს; შიში, მღელვარება ან არასწორი შეხედულება, რომელიც შეცდომის მოტივი გახდა, რაც ბრალს გამორიცხავს); 3) მოტივი და მიზანი, რომელიც ბრალის ხარისხზე ანუ სასჯელის სიმძიმეზე მოქმედებს (მაგ., სიბრაღული მშვიერი ბავშვების მიმართ შეიძლება გახდეს ღარიბი მამისათვის ქურდობის მოტივი; ხალხის გადარჩენის მიზანი – შეცდომისა).

დამნაშაის ქცევის ფსიქოლოგიური საზრისის გახსნა ურთულესი პრობლემაა, რომელიც ცალკე დეტალურ ანალიზს მოითხოვს. აქ მხოლოდ რამდენიმე სიგყვით შევნიშნავეთ ადამიანის აქტიუობის მოტივით ასპექტს. მაგალითად, ჰუმანიტარული ფსიქოლოგიის ფუძემდებელი მასლოუ ადამიანს აღწერს როგორც „მსურველ არსებას“, რომელიც იშვიათად აღწევს სრული, განხორციელებული კმაყოფილების მდგომარეობას“.² მისი აზრით, ადამიანის ყველა მოთხოვნილება გარკვეულ იერარქიას ექვემდებარება: ა) ფიზიოლოგიური მოთხოვნილებანი; ბ) უსაფრთხოებისა და დაცვის მოთხოვნილებანი; გ) კუთვნილებისა და სიყვარულის მოთხოვნილებანი; დ) თვითპატივისცემის მოთხოვნილებანი; ე) თვითაქტუალიზაციის ანუ პირადი სრულყოფის მოთხოვნილებანი. აღნიშნული იერარქია შეიძლება ყველა ადამიანმა საკუთარი სურვილისამებრ ააგოს იმისდა მიხედვით, თუ ვინ რომელ მოთხოვნილებას უფრო პრიორიტეტულად თვლის.³ მართლაც, რაიმეს მიღწევის სურვილია სწორედ ადამიანის მამოძრავებელი ძალა, ხოლო თუ რომელ გზას აირჩევს ადამიანი, მართლზომიერს თუ არამართლზომიერს, მის ღირებულებით ორიენტაციამა და მოკიდებული, რომელიც

¹ Б. В. Харазшвили, Вопросы мотива поведения преступника в советском праве. Тб., 1963, с. 44.

² Л. Хелл, Д. Зилгер, Мастера психологии теории личности, Санкт-Петербург, 2001, с. 487.

³ იქვე.

ადამიანს მისი სოციალიზაციის პროცესში უყალიბდება. „თუმცა ქცევის ათვისებული ფორმები მტკიცდება და იღებს მდგრად ხასიათს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანისათვის იგი ხდება გარკვეული მოტივების, მისწრაფებების, მოთხოვნილებების რეალიზაციის საშუალებად“¹.

ამრიგად, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისას შესწავლილ უნდა იქნეს არა მარტო კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის მიზეზები, არამედ დანაშაულის ჩამდენი პირი უნდა გამოვიკვლიოთ კომპლექსურად, რაც უამრავ ობიექტურ და სუბიექტურ თავისებურებას მოიცავს. სწორედ ამ ამოცანის გადაჭრით შეიძლება მიიღწეს სასჯელის ეფექტურობა.

¹ В. Л. Васильев, Учебник нового века, Юридическая психология, 3-е издание дополненное, Санкт-Петербург, 2002, с. 57.

დანაშაულობის აღმოფხვრაში კულტურის ფუნოქციის შესახებ

დანაშაულობის აღმოფხვრაში კულტურის ფუნოქციებზე რომ ვისაუბროთ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გავიაზროთ მისი არსი. დასაყუდების კრიმინოლოგიაში (ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი და სხვ.) ამ საკითხის ინტერპრეტაციას კრიმინოლოგიურ ასპექტში მეტად აქტუალურად მიიჩნევენ.

კულტურა ურთულესი სოციალური ფუნოქციაა. პრაქტიკულად იგი დაკავშირებულია ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა ასპექტთან, მათ შორის კრიმინალურ ასპექტთანაც (თვით ადამიანის ყოფიერებაც მრავალმხრივია და არსებობს სიერციით, ღრთისა და კულტურის განზომილებებში). კულტურა წარმოადგენს ძლიერ ბარიერს, რომელიც ხელს უშლის სოციალური მანკის წარმომობასა და გავრცელებას. ამ რაკურსით კულტურა გვევლინება დანაშაულობის ნერევის ეუქტურ ინსტრუმენტად. სამწუხაროდ, კულტურას შეუძლია შეასრულოს დესტრუქციული როლიც. ზოგჯერ კულტურული გარემო კრიმინოგენურ ფაქტორს წარმოადგენს. იმ შემთხვევაში, როცა კრიმინალური სამყარო ქმნის თავის კულტურას და როდესაც მისი გავრცელების მასშტაბები და როლი სოციალურ ცხოვრებაში უმნიშვნელოა, ამ ფუნოქციას, ჩვეულებრივ, უწოდებენ კრიმინალურ სუბკულტურას. XX საუკუნის ბოლოს მრავალ ქვეყანაში აღინიშნა კრიმინალური სუბკულტურის ფუნოქციის ექსპანსია (გაელენის სფეროს გაფართოება და მისი ტრანსფორმაცია (გარდაქმნა, სახეცეცილება) სამოგადოების თავისებურ („ნახევრადკრიმინალურ“) კულტურად. ყოველივე აღნიშნული მეტად აქტუალურს ხდის კულტურის როგორც ანტიკრიმინალური, ასევე კრიმინოგენური პოტენციალის ანალიზს. ამ რაკურსით კრიმინოლოგიურ გამოკვლევათა კულტუროლოგიური ასპექტები იძენს განსაკუთრებულ ღირებულებას.

მოცემული მოვლენის ანალიზისას კრიმინოლოგს, უწინარეს ყოვლისა, აინტერესებს ის, კულტურაზე გემოქმედებით შესაძლებელია თუ არა გავლენის მოხდენა საერთოდ დანაშაულობაზე და, კერძოდ, ეკონომიკურ დანაშაულობაზე. რამდენად მართლმომიერი იქნება კულტურის როგორც დანაშაულობაზე გემოქმედების ინსტრუმენტად მიჩნევა და სხვ. ამაზე პასუხის გასაცემად, როგორც უკვე შევნიშნეთ, საჭიროა კულტურის არსისა და ბუნების გაანალიზება.

მეცნიერებს დღეს არა აქვთ შეხედულებათა ერთიანობა მოცემული მოვლენის განსაზღვრის თაობაზე (სხვადასხვა მონოგრაფიებში შეიძლება კულტურის სუთასზე მეტ განსაზღვრებას წააწყდეს).

გერმინი „კულტურა“ ლათინური წარმოშობისაა (cultura) და ნიშნავს დამუშავებას, მოვლას, განათლებას, განვითარებას, ადამიანისა და საზოგადოების მოქმედების ფორმათა ერთობლიობას, რომელიც ელინდება ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში და გამოსატყვევებს ადამიანის სოციალიზაციისა და საზოგადოების ჰუმანიზაციის დონეს. განსაზღვრულ ეპოქაში ხალხის, ერის, საზოგადოების მიღწევათა ერთობლიობა შეადგენს მათ კულტურას. ციკლონმა პირველმა გამოიყენა ეს სიტყვა სულის დამუშავებისა და სრულყოფის მნიშვნელობით. ძველი რომაელი მოაზროვნეების მიერ კულტურა და აღზრდა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში განიხილებოდა როგორც ანალოგიური მოვლენა. დღეს არავის ეპარება ეჭვი, რომ აღზრდა წარმოადგენს კულტურული პროცესის მნიშვნელოვან ასპექტს, რომ კულტურის ფენომენი უფრო ფართოა და ღრმადი. ცალკეული ავტორები ერთმანეთს უგოლებენ ისეთ გლობალურ ფენომენებს, როგორიცაა: ცივილიზაცია, სამყარო (მაგალითად, არაბთა სამყარო), სუპერეთნოსი და კულტურა.¹ კულტურის ყველაზე მრავალმხრივ განსაზღვრათა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი: „კულტურა – ესაა მეგისმეტად რთული, მრავალგვარი მოვლენა, რომლითაც გამსჭვალულია საზოგადოებისა და ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა სფერო. მასში შედის: ადამიანის მატერიალური და სულიერი ფასეულობანი; ადამიანთა ცხოველქმედების წესი; მათი ურთიერთდამოკიდებულება; ერისა და ხალხთა ცხოვრების თავისებურებანი; საზოგადოების განვითარების დონე; საზოგადოების განვითარების ისტორიაში დაგროვილი ინფორმაცია; სოციალური ნორმების, კანონების, წეს-ჩვეულებათა, გრადიციების ერთობლიობა; რელიგია, მითოლოგია, მეცნიერება, ხელოვნება, პოლიტიკა; და ბოლოს, ნიშანთა სისტემა“². ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, კულტურა – ესაა საზოგადოების მიღწევათა ერთობლიობა განათლების, მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების, სულიერი ცხოვრებისა და, აგრეთვე, ყოფა-ცხოვრების დარგში.³

გემოაღნიშნული განმარტებიდან აშკარად მოიპოვება მისი გამოყენების შესაძლებლობა სხვადასხვა მიზნის მისაღწევად, მათ შორის დანაშაულობასთან ბრძოლის რაკურსიც.

მოყვანილი განსაზღვრებებიდან ასევე ჩანს, თუ რამდენად ღრმად ამ მოვლენის გამოვლენათა ფორმების მრავალფეროვნება. კულტურა შეიძლება განიხილებოდეს, აგრეთვე, როგორც ინფორმაციული გარემო ადამიანისა და ბუნებას შორის, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა ოპტიმალურ ყოფიერებას. კულტურული გარემოს შესახებ ინფორმაციის ხასიათი და შინაარსი, ასევე მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფელი მექანიზმები განსაზღვრავს კულტურული პროცესების არსსა და დანაშაულობაზე კულტურის გავლენის ხასიათს.

¹ იხ. Гумилев Л. Н., Этногенез и биосфера Земли, М., 1997, с. 132.

² იხ. Введение в культурологию, М., 1995, с. 24.

³ იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ერთგომეული), თბ., 1986, გვ. 272.

ეკონომიკური დანაშაულობისა და კულტურის ურთიერთქმედების ზღვართან დაკავშირებით უნდა შეენიშნოს, რომ კულტურული ფენომენის კრიმინოლოგიური ანალიზი საშუალებას გვაძლევს, გამოვყოთ მისი ურთიერთქმედების რამდენიმე ასპექტი კრიმინალურ ფენომენთან;

1. კულტურა აყალიბებს მოთხოვნილებათა სოციალურ იერარქიას. პირველადი მოთხოვნილებების ჩამოყალიბება (შემუშავება) ხდება კულტურულ გარემოში. შემდგომში სწორედ ამ გარემოში ადამიანის მოთხოვნილებათა სფერო განიცდის არსებით გრანსფორმაციას (სახეცვლილებას). სახელდობრ, მოთხოვნილებები იძენენ სხვადასხვა სოციალურ მნიშვნელობას. ასე მაგალითად, ერთი კულტურულ სისტემაში სოციალურად მოწონებულია სულიერი მოთხოვნილებები, რომელთა რეალიზაცია დაკავშირებულია რელიგიურ ან სამეცნიერო საქმიანობასთან, ხოლო მეორეში – მატერიალური. ქრისტიანულ კულტურაში ღორმუცელობა (გაუმაძღრობა) ცოდება, არარელიგიურ კულტურაში უმრავლესობაში უხვი სადილი ძვირადღირებულ რესტორანში პრესტიჟის, სოციალური მნიშვნელობისა და განსაკუთრებული სიამაყის სიმბოლო და ობიექტია, ისლამური კულტურა უარყოფს სპირტიანი სასმელებისა და ნარკოტიკების მოხმარებას (საუდის არაბეთში სპირტიანი სასმელების მიღებისათვის შარიათის სასამართლოს შეუძლია მიუსაჯოს ადამიანს ორასი დარგჰმა ჯოხით, ნარკოტიკების მოხმარება ირანში სიკვდილით ისჯება. კრიმინალურ სუბკულტურაში კი ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება პრესტიჟულია.

ცალკეულ სოციალურ სისტემებში სპირტიანი სასმელებისა და ნარკოტიკების მოხმარება ოფიციალურად არ არის მოწონებული, მაგრამ არსებული სოციალური ყოფიერების წესი უბიძგებს ადამიანს ალკოჰოლისა და ნარკოტიკის გარკვეული ღირებულების მიღებისაკენ. ზოგჯერ ფორმა უპირისპირდება მინაარსს, ამიტომ კულტურის ფენომენის ანალიზისას მეტად მნიშვნელოვანია ინტეგრირებული ექვტორის, ადამიანთა ყოფაქცევის რეალური დეკორმინირების მექანიზმის მოქმედების ჯამური შედეგის (კულტურის არსის) გამოვლენა.

ამა თუ იმ კულტურისათვის დამახასიათებელი ნიშნები და სოციალური იერარქიის სტანდარტები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ დანაშაულობაზე, კერძოდ, მის მასშტაბებზე, სტრუქტურასა და დინამიკაზე.

2. მოთხოვნილებათა სტრუქტურის ჩამოყალიბების გარდა, კულტურა განსაზღვრავს მათი დაკმაყოფილების საშუალებებსაც. ცალკეული კულტურები უარყოფენ საერთოდ ძალადობას. ზოგ კულტურაში დადებითად ფასდება ძალადობის (თვითდაცვის) ერთი ასპექტი და უარყოფითად – მეორე (ავრესია). კრიმინალურ სუბკულტურებში ძალადობის ნებისმიერი ფორმა შეიძლება ჩაითვალოს დამსახურებად. მართლმადიდებლურ ქრისტიანულ კულტურაში სიღარიბე ყოველთვის იწვევდა თანაგრძნობას, ხოლო სიმდიდრე დასაბამიდან ითვლებოდა ბიწიერებად (რამეთუ, როგორც ამტკიცებდა იესო, „უმაღ აქლემი გაძერება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდრის წინ გაიხსნება სამოთხის კარი“). ქრისტიანული პროტესტანტიზმისათვის¹ (კაპიტალიზ-

¹ პროტესტანტიზმი – ესაა საერთო სახელწოდება სხვადასხვა ქრისტიანული სარწმუნოებისა (ლუთერანობისა, კალვინიზმისა და სხვ.), რომლებიც წარმოიშვნენ მე-16 საუკუნის

მის იდეოლოგიური საფუძვლისთვის) სიმდიდრე ღმერთთან სიახლოვის სიმბოლოა: რაც უფრო მეტად მოეწონება უზენაეს გონებას ადამიანი, ღმერთი მით უფრო მეტად შეუწყობს ხელს მის ფინანსურ წარმატებას.

ძველი გერმანელები ხოცავდნენ თანამემამულეებს წარყვნილი ზნისათვის, ძველ რომში კი პომპიუსულიზმში თანდათან განმტკიცდა როგორც სქესობრივი ცხოვრების ნორმალური ასპექტი. გერმანელების ზეწოლით გამოწვეული ძველი რომის ცივილიზაციის კრახი გვიჩვენებს, თუ რაოდენ სერიოზული შედეგი შეიძლება მოჰყვეს ერთი შეხედვით უმნიშვნელო ბიჭიერებას (მანკიერებას). დღეს მართლმადიდებლური ქრისტიანობა პომპიუსულიზმს ღმერთის უარყოფად მიიჩნევს, ხოლო პროტესტანტი მღვდლები აკურთხებენ ქორწინებას ერთი სქესის პირთა შორის.

მოთხოვნილებათა გიჟობრივი სტრუქტურები და მათი დაკმაყოფილების გიჟობრივი საშუალებები ქმნიან ქცევის სტანდარტებს, რომლებიც შეიძლება შეფასდეს კრიმინოგენური პოტენციალის არსებობისა და სიდიდის თვალსაზრისით. ამ ასპექტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის სოციალური აქტიურობის რეალიზაციის კულტურას, რაც ბევრად არის დამოკიდებული როგორც გრადიციებზე, ასევე არსებული ცხოვრების ობიექტურ პირობებზე.

კულტურათა გიჟობრივი კრიმინოლოგიურ ასპექტებთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ არსებობს აგრესიული და არააგრესიული კულტურები. მათი აღმოცენების საფუძველია შესაბამისი ხელშემწყობი კულტურების არსებობა. ამასთან დაკავშირებით გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს ე. ფრომის მიერ ჩატარებული პირველყოფილ კულტურათა გამოკვლევა. აგრესიულობის (ან მშვიდობისმოყვარეობის) თვალსაზრისით ე. ფრომმა შეისწავლა ანთროპოლოგების მიერ აღწერილი ოცდაათი პირველყოფილი კულტურა. მეცნიერმა გამოავლინა მეტად მნიშვნელოვანი კანონზომიერება: „30 საზოგადოების შესწავლისას ერთბაშად გამოაშკარადა სამი სხვადასხვა ტიპის სისტემა – A, B, C.

A სისტემა ცხოველყოფილი საზოგადოებაა. მისთვის დამახასიათებელი ნიშანია კეთილმოსურნეობა ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებაში. დესტრუქციულობა აქ არ არსებობს. მკვლელობის ფაქტები ადამიანებისათვის უცნობია. კონფლიქტის ერთადერთ ფორმად რჩება ჩხუბის ფაქტები ეჭვიანობის ნიადაგზე, მაგრამ სერიოზულ ვნებას ეს ჩხუბი არ იწვევს. კაპიტალის დაგროვების პრობლემა ასეთ საზოგადოებაში პრაქტიკულად არ არის. კონფლიქტები საკუთრების გამო მეტად იშვიათია და სწრაფად გვარდება. ყველაზე ნაკლებ ფასეულობას წარმოადგენს პირადი ავტორიტეტი. კარგ ადამიანად ითვლება რბილი, დამთმობი, კეთილსინდისიერი და გულითადი ადამიანი. ამ სისტემაში ყველა იდეალი, ინსტიტუტი, ალათი და ზნე-ჩვეულებები მიმართულია მისი შენარჩუნებისა და განვითარებისაკენ. მტრობა, ძალადობა, სისასტიკე მინიმალურად ვლინდება, პრაქტიკულად არ არსებობს რეპრესიული ინსტიტუტები. არ არის არც დანაშაული, არც

რეჟორმაიის დროს, როგორც პროტესტი კათოლიციზმის წინააღმდეგ (დაწერილებით ამ საკითხზე იხილეთ: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი მე-8, თბ., 1984, გვ. 210).

სასჯელი, ომის ინსტიტუტი საერთოდ არ არსებობს ანდა ასრულებს მინიმალურ როლს. ბავშვებს ზრდიან მეგობრობისა და ერთგულების სულისკვეთებით, ფიზიკური დასჯა არ არის მიღებული პრაქტიკაში;

B სისტემა არადესტრუქციული, მაგრამ მაინც აგრესიული საზოგადოებაა. ამ სისტემაში, მართალია, არაა დესტრუქციულობა, მაგრამ საზოგადოებაში გავრცელებულია ინდივიდუალიზმი, მეტოქეობა და იერარქიულობა, რაც შეეხება აგრესიულობასა და ომებს, ისინი ითვლებიან ნორმალურ მოვლენებად;

C სისტემა დესტრუქციული საზოგადოებაა. ამ საზოგადოების წევრებისთვის დამახასიათებელია აგრესიულობა, სისასტიკე, განადგურებისადმი მიდრეკილება. საზოგადოებაში გამეფებულია მეომრული სულისკვეთება, მგრობა, შუღლი და შიში. ფართოდაა გავრცელებული ვერაგობა და გამცემლობა. დიდ როლს ასრულებს კერძო საკუთრება.

კონსტრუქციულ და დესტრუქციულ კულტურებთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ ერის ფიზიკურ, ფსიქიკურ და მწეობრივ ჯანმრთელობაზე კულტურის გავლენის ხასიათის თვალსაზრისით შეიძლება გამოვეყოთ კონსტრუქციული და დესტრუქციული კულტურები. პირველი მათგანი ხელს უწყობს საზოგადოების გაჯანსაღებას, ხოლო მეორენი ინიცირებენ მის დეგრადაციას. ნარკოტიკში, ალკოჰოლიზმში და ლოთობა, კომოსექსუალიზმში, სიმდიდრის, ფუფუნებისა და კომფორტის კულტი – სოციალური დეგრადაციის მაინიცირებელი კულტურის ნიშნებია. ისტორიული გამოცდილება დამაჯერებლად მოწმობს, რომ ეროვნულ კულტურაში აღნიშნული ელემენტების განვითარება თავდაპირველად დეგრემინირებს დამნაშავეების ზრდას, ხოლო შემდეგ იწვევს საზოგადოების დეგრადაციასა და ეთნოსის დაღუპვას.¹

მაგერიალური დაკმაყოფილებისა და სულიერი განვითარების კულტურასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ ნებისმიერ კულტურაში ეს ორი ქვესახეობა ორგანულადაა შერწყმული, მაგრამ თითოეულ ამ ქვესახეობას მაინც სხვადასხვა ხედვრითი წონა და თანაფარდობა გააჩნია, რაც, თავის მხრივ, კულტურათა გიპოლოგიის საფუძველია (იგულისხმება გიპოლოგია ორიენტაციის ხასიათის მიხედვით).

ქონებით მაგერიალურ დაკმაყოფილებასა და ასევე მის მოხმარებაზე ორიენტირებულ კულტურას გააჩნია მნიშვნელოვნად დიდი კრიმინოგენური პოტენციალი, ვიდრე მათ სულიერ ანგიაოდს. მაგერიალური დოვლათის დაგროვება და მისი მოხმარება მხოლოდ გარკვეულ მღვრამდე ზრდის დაკმაყოფილებას. მაგერიალური მოყირკბულობა სულიერი ცხოვრების უქონლობასთან შეხამებული, როგორც წესი, იწვევს მწეობრივ კრიზისს, რასაც მოჰყვება სუბიექტურად მეტად არასასიამოვნო ვრძნობის განცდა. ამ კრიზისიდან გამოსვლის საშუალებაა სულიერ მოთხოვნილებათა განვითარება. ტყუილად კი არ იყო, რომ როგორც საქართველოში, ასევე სხვა ქვეყნებშიც ბევრი მდიდარი ვაჭარი, რომლებმაც მოიპოვეს დიდი სიმდიდრე, გახდნენ მეცენატები (ხსნიდნენ სამხატვრო გალერეას, აარსებდ-

¹ Фромм Е., *Анатомия человеческой деструктивности*, М., 1994, с. 148-149.

² Гумилев Л. Н., *Этногенез и биосфера Земли*, М., 1997, с. 137.

ნენ უნივერსიტეტებს, აშენებდნენ საავადმყოფოებსა და გაძრებს). მოყირ-
ჭებულობის კრიზისიდან გამოსვლის სხვა ვარიანტია სპირტიანი სასმელე-
ბის ან ნარკოტიკების მოხმარება – საკუთარ პიროვნებაში უმაღლესი სა-
წყისის ჩახშობა, რომელიც დაუკმაყოფილებლობის გრძნობის მეშვეობით
იკომბინება, რომ აღამიანმა გადაუხეია სწორ გზას.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება გამოვეყნოთ კულტურის ორი სახეობა:

1. კულტურა, ორიენტირებული ქონების უზრუნველყოფაზე („იოლი ბედნიე-
რება“, „კაიფი“);

2. კულტურა, ორიენტირებული საქმიანობის უზრუნველყოფაზე, რასაც
ძალუძს გამოიწვიოს აღამიანში ღრმა და მყარი კმაყოფილების შეგრძნე-
ბა („მძიმე ბედნიერება“).

ინგლისელმა ფილოსოფოსმა დე. ს. მოლმა (1806-1873) ასე დაახასიათა
„მძიმე ბედნიერების“ არსი: „მე მივხედი, რომ თუ აღამიანს სურს, იყოს
ბედნიერი, მან უნდა დაისახოს რაიმე მიზანი; ამ მიზნისაკენ სწრაფვაში ის
განივლის ბედნიერებას ისე, რომ თავსაც არ შეიწუხებს“.¹

როგორც წესი, „იოლი ბედნიერება“ (ასეთ კულტურებში, ჩვეულებრივ,
სიმდიდრე და ბედნიერება გოლმნიშენელოვანი ცნებებია) კრიმინალური
ტაქების იდეალია, ხოლო მისკენ სწრაფვა მათი აბსოლუტური
უმრავლესობის ოცნება და მიზანია, რომლის მიღწევასაც ცდილობენ ან-
ვარებითი და ძალადობითი დანაშაულის ჩადენით.

სულიერი კრიზისი „იოლი ბედნიერების“ მეორე მხარეა და მას გააჩ-
ნია კრიმინოგენობის ორი ასპექტი. აქედან პირველი ამალღებს (აღიღებს)
თვით კრიზისში მყოფი პირის კრიმინოგენობას (იგულისხმება თავშეკავე-
ბისა და თვითკონტროლის მექანიზმების დისბალანსი, ალკოჰოლიზმისა
და ნარკომანიის მოხმარების ზრდა); მეორე ასპექტით კრიზისი, როგორც
წესი, არ შემოიფარგლება ერთი პიროვნებით, არამედ იგი წარმოაჩენს
ოჯახის წევრთა ზნეობრივ სახეს. წარმოჩენის ყველაზე მეტი უნარი კი ბა-
ევშეებს გააჩნიათ. მომავალში სწორედ „დარდიმანდი ახალგაზრდობა“ აე-
სებს დამნაშავეთა და ნარკომანთა არმიას. ზოგჯერ მათი დანაშაული
პროტესტის ხასიათისაა. მათთვის ნაკლებმნიშენელოვანია დანაშაულებ-
რივი შედეგი, მთავარია მშობლებისათვის უსიამოვნების მიყენება, თავისი
წრის აღამიანების დანაშაულში ჩათრევა და მათგან გამიჯვნა.

დესტრუქციულ საზოგადოებაში ფასეულობა და კომფორტი თავისებუ-
რი ნარკოტიკია. აღამიანს, რომელმაც შეითვისა კომფორტის კულტურა,
პრაქტიკულად არ შეუძლია უარი თქვას მასზე, შეიცვალოს ცხოვრების წე-
სი, ხელი მოჰკიდოს საქმიანობას, რომელიც უზრუნველყოფს მის სულიერ
დაკმაყოფილებას. ნორმალურ რეაქციას „მაძღრობის კრიზისზე“ წარმოა-
დგენს ექსცენტრული (მათ შორის კრიმინალური) მოქმედება ან გადაეარ-
დნა პალუცინაციების სამყაროში.

კულტურათა ურთიერთქმედებასა და ურთიერთგავლენასთან დაკავ-
შირებით უნდა შევნიშნოთ, რომ ცალკეულ ხალხთა კულტურა კონსერვა-

¹ დე. ს. მოლის ციტირება მოგვაქვს ლეონტიევის წიგნიდან (იხ. Леоиъев А. II.,
Избранные психологическис произведения, М., 1983, с. 209).

ტიულია, ჩაკეტილია და მიუწვდომელია ვარეგანი გავლენისაგან. თანამედროვე სამყაროში ასეთი მდგომარეობა იშვიათი გამოჩენილია. სინამდვილეში დედაბიწის ინფორმაციული ველი ძალზე ფართოა და აქ ღრმინირებს სხვადასხვა კულტურის ურთიერთგავლენა. კულტურათა ურთიერთქმედებას შეუძლია, ხელი შეუწყოს მათ განვითარებას, მაგრამ, ამავე დროს, შეუძლია ერთ-ერთი ურთიერთმოქმედი მხარის დეგრადაციის ინიცირებაც. მაგალითად, ძველი რომისა და ძველბერძნულ კულტურათა ურთიერთქმედებამ გაამდიდრა რომაელები ლიტერატურის, ხელოვნებისა და ფილოსოფიის მხრივ. თუმცა იმავედროულად რომაულმა კულტურამ შეითვისა ბერძნული სამყაროს ისეთი მანკიერი მხარეები, როგორცაა: ფუფუნება, პომოსექსუალიზმი, პროსტიტუცია, ლეიზის სმა და ა.შ.; რამაც მნიშვნელოვანწილად სელი შეუწყო დიდი ხალხის დეგრადაციას.

ახალი ისტორია კულტურულ ვარემოში აღინიშნა ისეთი ახალი ფენომენების გაჩენითა და განვითარებით, როგორცაა: იდეოლოგიური ომები, კულტურული დიფერენცია და სხვ. ამ რაკურსში გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს სხვადასხვა ხალხის კულტურაში სექსუალური პიპერგრადიუების საკითხის ახსნა. ამ უკანასკნელის ექსპანსია, მაგალითად ჩვენს ქვეყანაში, ხდება სხვადასხვა ხასიათის სექსუალური ფილმების შემოგანიითა და ჩვენებით, ასევე ასეთი ხასიათის ლიტერატურის გაერცელებით, რაც მიუღებლად უნდა მივიჩნიოთ.

კულტურის ნაკლოვანებანი სექსუალურ სფეროში ყოველთვის ნეგატიურ გავლენას ახდენდა და ამჟამადაც ასდენს სქესობრივი დანაშაულის რაოდენობრივ და თვისებრივ მაჩვენებლებზე (იგულისხმება ქალმომრეობითი ხასიათის მოქმედებანი და ის შედეგები, რაც დაკავშირებულია სექსის განხორციელებასთან).

აქვე უნდა დავსძინოთ ისიც, რომ სექსუალური რეეოლუციის ექსპორტი ძირს უთხრის ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიულ უსაფრთხოებას. პორნოგამოცემათა და პორნოფილმების ნაკადით ინიცირებული (წარმოჩენილი) სექსუალური რეეოლუცია იწვევს სექსუალურ აღვირახსნილობას, ოჯახური საფუძვლების შესუსტებას, მნეობის დეგრადაციასა და არასასურველ ორსულობათა მრდას, მათ შორის 14 წლამდე გოგონებშიც. ნებისმიერი ვარიანტით ამ პროცესის შედეგი უკიდურესად ნეგატიურია სამოგადოებისათვის. ორსულობის ხელოვნურ შეწყვეტას კი რიგ შემთხვევაში თან ახლავს უშეილობა. საბოლოო ჯამში, ყოველივე ეს იწვევს შობადობის შემცირებას. მართებულად გვესახება ამ ზემოაღნიშნული უარყოფითი მოვლენების აღმოფხვრაში მოსახლეობის სოციალური ფენების საერთო კულტურის ამაღლება.

კულტურათა კონფლიქტის საკითხთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, უნდა შევნიშნოთ, რომ მსოფლიო კულტურული ვარემოს ერთ-ერთი თავისებურება კულტურათა მრავალფეროვნებაა. ქვეყნის სხვადასხვა მხარეში სტიქიურად ყალიბდებოდა განსხვავებული კულტურა. თვით ერთი თემის ფარგლებშიც კი ფორმირდებოდა ისეთი განსხვავებული მოთხოვნის მქონე და ქცევითი სტანდარტები, რომლებიც დროდადრო კონფლიქტში იყო ერთმანეთთან.

კულტურათა კონფლიქტის საფუძველი ადამიანთა ფსიქიკურ თავისებურებებშია. სწორედ აქედან გამომდინარეა, რომ ზოგიერთი ადამიანი ძნელად იცვლის ტრადიციებსა და ჩვეულებს და ზოგსაც ამის უნარი საერთოდ არ გააჩნია. ფსიქიკურ თავისებურებას უკავშირდება მეორე მომენტიც: ის, რაც ადამიანისათვის ვაუგებარია და ძნელად შეითვისება, იგი მის მიერ ხშირად უარყოფითად ფასდება (ლ. გუმბლიოეი ამ ფენომენს უწოდებს „განსხვავებაზე უფლების უარყოფის პრინციპს“).¹

ამ ფენომენის გაანალიზების ერთ-ერთი პირველი ცდა იყო 1938 წელს გორსტონ სელინის მიერ გამოცემული ნაშრომი „კულტურათა კონფლიქტი და დანაშაულობა“. გ. სელინმა კრიმინოგენურ ფაქტორად განიხილა სხვადასხვა საზოგადოებათა კულტურულ ფასეულობებს შორის არსებული კონფლიქტი. მისი პიპოთეზის საფუძველს წარმოადგენდა ჩიკაგოელ მკვლევართა შედეგები, რომლებმაც დაადგინეს დანაშაულობის მაღალი დონე არამკვიდრი ამერიკელების კვარტლებში (ზანგების, პუერტორიკოელების, იტალიელების). გ. სელინმა თავისი კულტურათა კონფლიქტის თეორიით ახსნა არა მარტო ეს ფენომენი, არამედ ამ თეორიამ მას საშუალება მისცა, ემიგრანტების დანაშაულობასთან ერთად გამოეაშკარაებინა წინააღმდეგობათა კრიმინოგენურობა სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს შორის. არსებითად გ. სელინმა მოახდინა კლასობრივი წინააღმდეგობების მარქსისტული თეორიის ტრანსფორმირება, კერძოდ, მან აღნიშნულ თეორიას ჩამოაცილა ყველაზე მწვავე და რევოლუციური ასპექტები, ასევე რამდენაღმე შეამყარა მისი მასშტაბები. ყოველივე ამან მას საშუალება მისცა, გამოეყენებინა ის არა მხოლოდ საზოგადოების ორი ნაწილის დაპირისპირების ანალიზისათვის, არამედ უფრო მცირე სოციალურ ჯგუფებს შორის წინააღმდეგობათა წარმოშობის ახსნისათვის.²

კულტურათა კონფლიქტის არსი ისაა, რომ ცხოვრებაზე სხვადასხვა თვალსაზრისი, ჩვევები, აზროვნებისა და ქცევის სტერეოტიპები აძნელებს ადამიანთა ურთიერთგაგებას; უფრო მეტიც, კულტურათა კონფლიქტის საფუძველზე აღმოცენებულმა გაუგებრობებმა შეიძლება გააბოროტოს ამა თუ იმ კულტურათა მატარებლები. აქედან გამომდინარე, ცალკეულ შემთხვევაში საზოგადოებაში გაბატონებული სამართლებრივი და მორალური ნორმები შეიძლება შეფასდეს როგორც ხელსაყრელი და მისაღები მხოლოდ გარკვეული სოციალური ჯგუფისათვის და მიუღებელი სხვა სოციალური ჯგუფისათვის.

ამერიკელმა სოციოლოგმა ა. კოენმა 1955 წელს შეიმუშავა სუბკულტურათა კონცეფცია. ა. კოენმა უფრო მეტად შეამყარა სოციალური ჯგუფების მასშტაბები და განიხილა კრიმინალური გაერთიანებების (ბანდების, დაჯგუფებების) „კულტურულ ფასეულობათა“ თავისებურებანი. მისი აზრით, ასეთ მიკროჯგუფებში შეიძლება ჩამოყალიბდეს ეგრეთ წოდებული მინიკულტურები: შეხედულებები, ჩვევები, ცოდნა, ქცევის სტერეოტიპები,

¹ იხ. ლ. ნ. გუმბლიოვის დასახ. ნაშრომი, გვ. 140.

² დაწერილებით გორსტონ სელინის თვალსაზრისზე იხ. Sellin T. Culture conflict and Crime N. Y., 1938.

³ Cohen A., Delinquent Boys, The Culture of the Gang Glencoe, N. Y., 1955.

ურიოიერთობააა ნორმები, უფლებები და მოვალეობები, ნორმების დამრღვე-
ეთა დასჯის მომები (რაც, ცხადია, შემუშავებულია ასეთი მიკროჯგუფების
მიერ). ამ ფენომენს ა. კოინი უწოდებს სუბკულტურას. როგორც წიი, კრიმი-
ნალური სუბკულტურა უპირისპირდება სამოგადობაში გაბატონებულ ფასე-
ულობებს. აღამიანი, რომელიც მოხელა დანაშაულებრივ ჯგუფში და შეითვი-
სა მისი სუბკულტურა, ამით იგი თითქოსდა თავისუფლება სხუა სოციალური
აკრძალვებისგან, უფრო მეტიც, ხშირად მის მიერ ჩადენილი დარღვევა წარ-
მოადგენს კრიმინალური სუბკულტურის ერთ-ერთ ნორმას.

კულტურის შეცვლა საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია, აქედან გამომდინ-
ნარე, დანაშაულობაზე ზემოქმედების პროცესსაც არ შეიძლება ჰქონდეს
წამიერი ხასიათი. სამართალდამრღვევთა კრიმინოგენურ თვისებათა კო-
რექცია (შესწორება) ზოგჯერ შეუძლებელია კრიმინალური სუბკულტურის
რღვევის გარეშე, რომელიც, შუა საუკუნეების ციხე-დარბაზების კედლების
მსგავსად, იყავს კრიმინალურ შეგნებას სამოგადობის აღმზრდელითი
ზემოქმედებისგან. ამის დასტურია კრიმინოლოგების მიერ განხორციელე-
ბული პაგიმართა სუბკულტურის ორიგინალური გამოკვლევა ჩართული
დაკეირეების მეთოდით. მეცნიერები პაგიმრებთან ერთად ცხოვრობდნენ
საპყრობილემი. მათმა დაკეირეებამ და პირაღმა გამოცდილებამ ცხადყო,
თუ რაოდენ ძლიერ პარალიზებდა ზემოქმედებას ახდენს, დამნაშავე მსჯაფრ-
დებულთა ახლებურად აღზრდის თვალსაზრისით, პაგიმართა განსაკუთრე-
ბული სუბკულტურის არსებობა.¹

კულტურათა კონფლიქტს საფუძვლად შეიძლება ეღოს როგორც არსე-
ბითი, ასევე ფორმალური (ან მოჩვენებითი) წინააღმდეგობანი. არსებითია
წინააღმდეგობანი, როცა ერთი კულტურის მიერ ხდება მეორე კულტურის
ჩახშობა, ან როცა ერთი კულტურის მაგარებლებს თავს ასეევენ ცხოვრე-
ბის სხვა წესს. ასეთი კულტურული ექსპანსიის ყველაზე ნათელ გამოვლი-
ნებად შეიძლება ჩაითვალოს დაპყრობითი ომები, როდესაც დამარცხებუ-
ლებს აიძულებდნენ, უარი ეთქვათ მშობლიურ კულტურაზე. ცივილიზაციის
განვითარებასთან ერთად კულტურული ექსპანსიის ფენომენი იქენს სულ
უფრო დახვეწილ და ვაწაფულ ხასიათს. კულტურული ექსპანსია შეიძლება
განხორციელდეს შენიღბულადაც. მაგალითად, 90-იანი წლებიდან მოყო-
ლებული, ჩვენს კულტურულ გარემოში თვალმისაცემი ხდება როგორც და-
საეღეთის კულტურის ყველაზე ცუდი ეარიანტების ექსპანსია, ასევე კრი-
მინალური კულტურის მიერ სულ ახალი და ახალი პოზიციების დაპყრობა.

მიგაკულტურულ წინააღმდეგობათა არსის გააზრებასთან მიმართება-
ში საჭირო ხდება შევეხოთ კულტურათა გიპოლოგიის ისეთ ასპექტებს,
როგორიცაა: კულტურა ბუნებრივი (ნატურალური), გრანსცენდენტული
(რაც სამღვარს სცილდება), სამართლიანი და უსამართლო.

ძველი ბერძენი მოაზრონე ღემოკრიტე აღნიშნავდა, რომ აღამიანი
ქმნის კულტურას საკუთარი მოთხოვნილებებისადმი დამორჩილებითა და
არსებულისადმი (ბუნებრივისადმი, ნატურალურისადმი) მიბაძვით. სწო-

¹ ob. Mathiesen T., The Defences of the Weak, L., 1965

რედ ამ უკანასკნელისადმი (ბუნებრივისა ანუ ნატურალურისადმი) მიბაძვაში ელინდება ბუნებრივი კულტურის არსი.

გრანსცენდენტური კულტურები (ისინი ძირითადად რელიგიური ხასიათისაა) მნიშვნელოვანწილად უარყოფენ ბუნებრიობას (ნატურალურობას) და ორიენტირებულნი არიან უმაღლესის არსზე, რომელიც მიუწვდომელია რაციონალური შემეცნებისა და ახსნისათვის. სწორედ ამის აღმნიშვნელია გერმინი „გრანსცენდენტულობა“. ეს უკანასკნელი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს იმას, რაც სცილდება ცდის, გამოცდილების ფარგლებს და რაც მიუწვდომელია შემეცნებისათვის, ესე იგი ის, რაც მიღმაა და რაც საზღვარს სცილდება. გერმინი ავეუსტინე ნეტარმა შემოიგანა პლატონისეული ცნების – „მიღმურის“ – აღსანიშნავად. ფართო გაგებით, გრანსცენდენტურს უწოდებენ ფილოსოფიას, რომელიც ცდილობს, ყოველი გონითი აქტივობა ადამიანის შემოქმედებითი ბუნებით ახსნას.¹

გერმანელი ფილოსოფოსი ო. შპენგლერი (1880-1936) იყო პირველი, ვინც შეადარა კულტურა ცოცხალ ორგანიზმს. ის კულტურას უწოდებდა ისტორიულ ინდივიდუუმს. კულტურა თვითგანვითარებადი სისტემაა, რომლის განვითარების იდეალი და ზღვარი მისი მაგარებლებისათვის ბედნიერების უზრუნველყოფაა (სრულყოფილი ცხოვრებით დაკმაყოფილება).²

ბუნებრივი კულტურის თავისებურება ისაა, რომ მას არ ძალუძს საზოგადოების ყველა წევრის ერთნაირად მაღალი დონით დაკმაყოფილების უზრუნველყოფა. გარკვეულ ჯგუფს კი (არისტოკრატია, ელიტა, ნუვორიშები³ – „ახალი მდიდრები“) ყოველთვის უფრო მეტად მიუწვდებათ ხელი მაგარიალურ და სულიერ კეთილდღეობაზე. რაც შეეხება სხვებს (მონები, დაქირაებული მუშაკები, უმუშევრები), ისინი არიან პირველთა კომფორტის უზრუნველყოფის საშუალებანი. შესაბამისად, საზოგადოებაში ჩამოყალიბებულია რამდენიმე კულტურა: უმაღლესთა, საშუალოთა და უდაბლესთა. აქედან მხოლოდ უმაღლესთა კულტურაა ჩაყენებული ისეთ პირობებში, რომ შეუძლია განვითარდეს იმ დონემდე, რომელიც უზრუნველყოფს მისი მაგარებლების ბედნიერებას, უდაბლესთა კულტურა განვითარდება რა მათი ფიზიკური არსებობის უზრუნველყოფის დონემდე, შემდეგი განვითარებისათვის შეექმნება დაბრკოლება სხვადასხვა სოციალური მექანიზმების სახით, რომლებიც უზრუნველყოფენ უმაღლესთა ბედნიერებას.

იმაედროულად უდაბლესთა კულტურა როგორც სისტემური თვითგანვითარებადი წარმონაქმნი, ფუნქციონირების ხასიათისა და განვითარების ვექტორის მიხედვით, პრინციპულად არაფრით არ განსხვავდება უმაღლესი ნიმუშებისაგან. უდაბლესი კულტურის განვითარების ვექტორს⁴ ასევე წარმოადგენს მისი მაგარებლებისათვის ბედნიერების უზრუნველყოფა. პატარა

¹ იხ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1964, გვ. 377: ასევე ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, მე-10 ტომი, თბ., 1986, გვ. 40.

² იხ. Шпенглер О., Закат Европы, Новосибирск, 1993, с. 172.

³ ნუვორიში (ფრანგ. nouveau riche, „ახალი მდიდარი“) – სავაჭრო სპეკულაციების შედეგად გამდიდრებული ადამიანი.

⁴ ვექტორი (ლათ. vector წამყვანი) – სწორი ხაზის მონაკვეთი, რომელსაც გარკვეული მდგომარეობა და მიმართულება აქვს.

მცენარის მსგავსად, რომელიც ასფალტის ფენის ქვეშაა მოქცეული, მას ძალუქს გაარღვიოს დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის მის განვითარებას.

ზოგჯერ დაბრკოლებათა ვადალახეის ვარიანტად წარმოიჩნდება დაძაბული შრომა, რომელსაც წარმატებულ შედეგებთან კავშირში მოაქვს სიმდიდრე და უმაღლეს სფეროებში მოხელდის შესაძლებლობა. მაგრამ ასეთი რამ მეტად იშვიათია და ის კუთუნის უფრო გამოწვევას რიყეს. თუმცა ასეთი მაგალითების აქტიური რეკლამით პროპაგანდა ცდილობს დაამტკიცოს, რომ სწორედ ზემოაღნიშნულია ცხოვრების წესი, ნორმა (ყოველივე ეს სხვა არაფერია, თუ არა უმაღლესი კულტურის დაკვითვი მიქანიზმი).

გრანსცენდენტური კულტურა – ესაა კულტურა, დაფუძნებული მისტიკურ ელემენტებზე, წარმოდგენებსა და მებუნებრივ ძალებზე (ამით გამოიხატება მისი გრანსცენდენტობა, რაციონალური მიუწვდომლობა და ბუნებაზე ორიენტირებული კულტურის დაპირისპირება). გრანსცენდენტური კულტურები პრაქტიკულად მთლიანად უარყოფენ მაგერიალურ ფასეულობებს. ბუნებრივ მაგერიალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას განიხილავენ როგორც ბოროტებას ან როგორც უხერხულ მდგომარეობას, რომლისგანაც თავის დაღწევა არ ხერხდება ჯერჯერობით. ასეთ კულტურებში განჯევა-წამება იძენს კეთილდღეობის სტატუსს, განიხილება როგორც დამსახურებათა წყარო და რჩეულთა ნიშანი. გრანსცენდენტურ კულტურაში ბუნებრივ ფასეულობათა აბსოლუტური უმრავლესობა იყელის ნიშნებს და იქცევა ანტიფასეულობად. ამრიგად, გრანსცენდენტური კულტურა დაკავშირებულია მხოლოდ ღმერთთან და მხოლოდ მას შეუძლია შექმნას უზენაესი, იდეალური ცხოვრება.

გრანსცენდენტურ კულტურას ათვისებები ხშირად განიხილავენ როგორც ირაციონალურს (კანონზომიერებას მოკლებულს), რაც ეწინააღმდეგება ადამიანის ბუნებას. გედაპირული ანალიზისას ეს თითქოს ასეც არის. მაგრამ ღრმა ანალიზი სულ სხვა რამეს მოწმობს. მოთხოვნილებები – ესაა ნებისმიერი კულტურის პირველსაწყისი. სწორედ ისინი წარმოადგენენ იმ გენოტიპს, რომელიც მიკროელემენტიდან აყალიბებს დიდ ორგანიზმს. გრანსცენდენტური კულტურები ვერ შეძლებდა ჩამოყალიბებასა და დიდხანს არსებობას, რომ მას საყრდენად არ ქქონოდა ისეთი რამ, რაც გამოძახილს პოულობს ადამიანის ბუნებაში. გრანსცენდენტური კულტურის გენოტიპს წარმოადგენს ყველა ადამიანისთვის დამახასიათებელი სიცოცხლის აზრის (არსის) გააზრება და პერიოდულად აღმოცენებული მოთხოვნილება იმისა, რომ ნახონ დასაყრდენი მძიმე და გამოუვალ სიტუაციებში. ამ უკანასკნელიდან გამოსაქვალს ისინი ღმერთში ხედავენ, რომლისადმი მიმართვა რაციონალურია (გონიერულია) განსაზღვრულ პირობებში. პარადოქსულია, მაგრამ უდავოა ის, რომ რაციონალიზმი¹ უძღურია, უჩვენოს ადამიანს მისი ყოფიერების საბოლოო მიზანი. აბსოლუტური რაციონალიზმი გადაიქცევა

¹ რაციონალიზმი (ლათ. გონიერული) – I. ფილოსოფიური რწმენა იმისა, რომ შემეცნებისათვის ყველაფერი მისაწვდომია; დარწმუნებულობა ადამიანის გონების უსაზღვრო ძალაში. 2. შემეცნების თეორიის მიმართულება, რომელიც ჰემმარტივი ცოდნის ერიადერთ წყაროდ გონებას მიიჩნევს.

ირაკიონალიზმად¹ და სიციოცხლის აზრის კრიზისად, ღრმა დაუკმაყოფილებლობის ფაქტორად. ამ აზრით, გრანსცენდენტური კულტურები შეიძლება მიიჩნიოთ ბუნებრიობის უმაღლესი ხარისხის გამოვლინებად.

გრანსცენდენტური კულტურები ურთიერთწინააღმდეგობრივია. მაგალითად, ზოგი ორიენტირებს (ემსახურება) კეთილ, ზოგიც – ბოროტ ძალებზე. ბოროტ ძალებზე ორიენტირებულებს სწორი იქნება, თუ ვეწოდებთ ანტიკულტურებს. ისინი წარმოადგენენ უზენაესი სამართლიანობის სგანდარტების აღქმის უუნარობისა და სურვილის არქონის გამოვლინებას და მეტწილად ვლინდებიან სიმართლის, სიკეთის, სამართლიანობის, პატიოსნების უარყოფასა და პირიქით, აგრესიულობის, ვერაგობის, უღმობლობისა და გულგრილი დამოკიდებულებისადმი მხარდაჭერით. სწორედ ეს ელემენტები უდევს საფუძვლად დანაშაულთა აბსოლუტურ უმრავლესობას.

გრანსცენდენტურ კულტურას, რომელიც ორიენტირებულია უზენაესი სამართლიანობის განმტკიცებაზე, აქვს აშკარად გამოხატული ანტიკრიმინალური შინაარსი, სახელდობრ, ანეიგრალებს ისეთ მძლავრ კრიმინოგენურ ფაქტორს, როგორც სოციალური უთანასწორობა გვევლინება; იდეალურ ღონეზე ებრძვის დაუსჯელობას (ნებისმიერ ცუდ საქციელს მოჰყვება უარყოფითი შეფასება); ზღუდავს გაზრდილ მატერიალურ მოთხოვნილებებს, რომლებიც საფუძვლად უდევს დანაშაულთა აბსოლუტურ უმრავლესობას; ასწავლის მოთმინებას, ასევე ზედმეტი თავმოყვარეობისა და სიამაყის დაძლევას; ორიენტირებს ბოროტებისა და ძალადობის აღმოფხვრაზე; ნერგავს ახლობლისადმი დახმარების იდეასა და სხვ. მათი ნაკლი მხოლოდ ისაა, რომ მათ შეუძლიათ გრანსფორმირება გრანსცენდენტურ ანტიკულტურებში, რომლებიც ხშირად ინარჩუნებენ რელიგიურ რიგორიკას (ფორმას), მაგრამ თავისი არსით მაინც კრიმინალური ნიშნების მაგარებელია.

რამდენადაც არსებობის მატერიალური წყაროები შეზღუდულია, იმდენად კონკურენტული ბრძოლა წარმოადგენს ბუნებრივი კულტურის არსებით დახასიათებას. დანაშაულობა ბუნებრივ კულტურულ გარემოში წარმოადგენს არსებობის წყაროდ მოპოვების ერთ-ერთ ფორმას. თავისი არსით ბუნებრივი კულტურა უკავშირდება სოციალური წყობილების სამართლიანობის ცნების გააზრებას. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ არსებობს ორი მიდგომა სოციალური წყობილების სამართლიანობის გაგებისადმი: პირველი – ეს არის სოციალური უთანასწორობის ისეთი კონფიგურაციის კონსტრუირების ცდა, რომლის ღრმსაც განსხვავებას უფლებებსა და შესაძლებლობებში ეძლევა გონივრული ახსნა. თუ ადამიანი ასრულებს უფრო რთულ ფუნქციებს, უფრო დაძაბულად შრომობს, გამოირჩევა დიდი უნარიანობითა და საბოლოო ანგარიშით მოაქვს მეტი სარგებლობა საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის, სამართლიანი იქნება, მიანიჭო მას მეტი უფლებები და მეტის მოვნის შესაძლებ-

¹ ირაკიონალიზმი – იდეალისტური ფილოსოფიის უკიდურესად რეაქციული მიმართულება, რომლის მიხედვითაც სინამდვილის ყველა მოვლენის საფუძველია რაღაც ირაკიონალური საწყისი და ამიგომ შეუძლებელია ობიექტური სინამდვილის შექმნება; რაც შეეხება სიტყვა „ირაკიონალურს“ (ლათ. უკუნური) – იგი კანონზომიერებას მოკლებულს და ამიგომ გონებისათვის მიუწვდომელს, ლოგიკის ცნებებით აუხსნელს ნიშნავს.

ლობა. ასეთი სამართლიანობის ერთ-ერთი მაგალითი შეიძლება მოვიგანოთ ძველი რომის ისტორიიდან. აქ მსედრიონთა წოდება სარგებლობდა დიდი პრივილეგიებითა და პატივისცემით იმიტომ, რომ თავის დიდ შესაძლებლობას ისინი იყენებდნენ ყველას სასარგებლოდ. მათ შეეძლოთ შეუძინათ საომარი ცხენი და მძიმე აღჭურვილობა, საომარი მოქმედების დროს ეკავათ ყველაზე სახიფათო ადგილი, ასრულებდნენ ყველაზე რთულ ფუნქციებს. მათი საბრძოლო გამოყენების ეფექტურობა, როგორც წესი, იყო ყველაზე მაღალი. მიუხედავად სამართლიანობის ასეთი უზრუნველყოფისა (სამოგადოების სტრუქტურისა და განხილული სქემის იდეალური შესატყვისობის შემთხვევაშიც კი), სამოგადოების დაბალი ფენები უკმაყოფილონი იყვნენ. საქმე ისაა, რომ მათაც სურდათ საერთო საქმეში თავისი წვლილის შეტანა. ქვეცნობიერად ამის განხორციელების შესაძლებლობას ისინი ყოველთვის გრძნობდნენ. ამას ამტკიცებს ძველ რომში მრავალრიცხოვანი აჯანყებები, პლებეების ბრძოლა არისტოკრატებთან უფლებრივი გათანაბრებისათვის და სხვ.

მეორე მიდგომა გამოისაგება იმის მტკიცებით, რომ გასაგარებელ მნიშვნელოვან ღონისძიებებსა და მის უზრუნველმყოფ საშუალებებს შორის იდეალური შესატყვისობა პრაქტიკულად არ არსებობს, ხოლო თუკი ასეთი იდეალური შესატყვისობა (დამთხვევა) წარმოიშობა რომელიმე სახელმწიფოში, მაშინ მას ხანმოკლე ხასიათი ექნება (ასეთი დასკვნის საფუძველია – ალბათობის გააზრება სოციალური მოვლენების შესწავლასთან დამოკიდებულებაში).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ გრანსცენდენტული კულტურები სამართლიანობის მხრივ შეიძლება ჩაითვალოს ეტალონად, რადგან ისინი ორიენტირებული არიან საყოველთაო თანასწორობისა და ბედნიერების უზრუნველყოფაზე. პრობლემაა მათი გადაგვარება (მაგალითად, ომი. ქრისტიანებს შორის, საეკლესიო იერარქების¹ მიერ ინდულგენციების² გაყიდვა, მათი მონაწილეობა ნათლობითა და თუთუნით ვაჭრობაში), ზოგჯერ კი გრანსფორმირება ანტიკულტურაში.

ჭეშმარიტად სამართლიანი კულტურის ჩამოყალიბება და მისი განმტკიცება ადამიანთა სამოგადოებაში დანაშაულობის უარყოფის გლობალური მიმართულებაა.

ცვლილებები კულტურულ სფეროში გარდაუვალად (აუცილებლად) ახდენენ ზემოქმედებას დანაშაულობაზე. თავის მხრივ, დანაშაულობის ცვლილებები ყოველთვის ასე თუ ისე დაკავშირებულია კულტურულ პროცესებთან.

ადამიანთა ქცევის სტანდარტების შეცვლა შესაძლებელია როგორც თვითონ კულტურის შეცვლით, ასევე მისი რეგენერაციის (აღდგენის) მექანიზმების შეცვლით სოციალურ გარემოში. კულტურის ელემენტების გადაცემა ხდება ერთი ადამიანიდან მეორეზე, თაობიდან თაობაზე და ა.შ.

კულტურის შეცვლა ბუნებრივი და უწყვეტი პროცესია. კულტურას გარეებული ბუნება აქვს. ერთი მხრივ, ის ყალიბდება სტიქიურად ეთნოსის

¹ იერარქი (ბერძ. წმინდა მეთაური) – ეპისკოპოსის საეკლესიო ოფიციალური სახელი.

² ინდულგენცია (ლათ. წყალობა) – ცოდვების მიტევების სიგელი, რომელსაც კათოლიკური ეკლესია რომის პაპის სახელით იძლევა განსაკუთრებული დამსახურებისათვის.

გარემოსთან ურთიერთობის პროცესში. ამ აზრით, ყოველი თაობის წინა-შე კულტურა წარსდგება როგორც რაღაც მოცემულობა; მეორე მხრივ, ყოველ თაობასა და ყოველ ადამიანს შეაქვს თავისი წვლილი კულტურაში, მისი ფუნქციონირების პროცესებში.

კულტურის შეცვლის ფაქტორები შეიძლება იყოს: ბუნება; მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება; გარესამყაროს, ყოფიერების არსისა და აზრის გააზრება.

კულტურა შეიძლება შეიცვალოს **სტიქიურად** (ბუნებრივი გარემოს გემოქმედებით ან მეცნიერულ აღმოჩენებთან და ტექნიკის დარგში პროგრესთან დაკავშირებით) და მიზანმიმართულად – ადამიანის შეგნებული საქმიანობის გემოქმედებით ამა თუ იმ სოციალური მიზნის მისაღწევად. საზოგადოების განვითარებასთან ერთად სულ უფრო და უფრო შეიმჩნევა კულტურული პროცესების მართვის ტენდენციის განვითარება.

კულტურულ გარემოზე გავლენის ერთ-ერთი მიზანია დანაშაულობაზე გემოქმედება. ამასთან, ამა თუ იმ სუბიექტის განზრახვაში ყოველთვის არ შედის კულტურის შეცვლა დანაშაულობის შემცირების მიზნით. ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობს კულტურის განვითარების კრიმინალური და ანტიკრიმინალური, კონსტრუქციული და დესტრუქციული ვექტორი. კულტურის დესტრუქციული განვითარების იმპულსების წყარო შეიძლება იყოს როგორც გარეგანი (შესაძლებელი მოწინააღმდეგე, ეკონომიკური კონკურენტები), ასევე შინაგანი (კრიმინალური სამყარო, კომპრადორის¹ ბურჟუაზია და სხვა კონსორციები,² რომელთათვისაც ხალხის კულტურული სამყარო უცხოა) ფაქტორები. ამასთან კავშირში არ არის ინტერესს მოკლებული დალესის მსჯელობა სსრ კავშირის წინააღმდეგ ამერიკული ომისშემდგომი ლოქრინის რეალიზაციის თაობაზე: „დაეთესავთ რა იქ ქაოსს, ჩვენ შეუმჩნეველად შევეცლით მათ ფასეულობებს ყალბი ფასეულობებით და ვაიძულებთ, იწამონ ეს ყალბი ფასეულობები. როგორ? ჩვენ თვით რუსეთში მოენახავთ ჩვენს თანამზრახველებს, მოკავშირეებსა და დამხმარეებს. ერთიმეორის მიყოლებით ეპიზოდებად გათამამდება დედამიწაზე ყველაზე ქედმოუხრელი ხალხის, მათი თვითშეგნების საბოლოო, შეუქცევადი დაშრეგის, თავის მასშტაბებით გრანდიოზული დალუქვის გრაგედია... ლიგერატურამ, თეატრამ და კინომ უნდა გამოხატოს და დიდებით შემოსოს ადამიანის უარყოფითი ქვენა გრძნობები. ჩვენ ყოველმხრივ მხარს დაუჭერთ და აეაშაღლებთ ეგრეთ წოდებულ ხელოვანთ, რომლებიც დანერგავენ და ადამია-

¹ კომპრადორი (ესპ. მყოფელი) – 1. განვითარებად ქვეყნებში ადგილობრივი ვაჭარი ან მწვარე, რომელიც შუამავლობას ეწევა უცხოურ კაპიტალსა და ეროვნულ ბაზარს შორის; 2. ადგილობრივი ბურჟუაზიის წარმომადგენელი, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული საზღვარგარეთის კაპიტალთან (იხ. Юридическая энциклопедия, М., 1998, с. 206).

² კონსორციუმი (ლათ. თანამონაწილეობა) – დამოუკიდებელ ორგანიზაციათა დროებითი სამეურნეო კავშირი, რომლის მიზანაც შეიძლება იყოს მათი სამეწარმეო საქმიანობის სხვადასხვა მაკოორდინებელი მიმართულების განხორციელება (მაგ., სესხის გაერყელება, კრედიტის მიწოდება და სხვა, ვი. ფართო მასშტაბის კომერციული და ფინანსური ოპერაციების გატარება). სხვანაირად თუ ვიტყვი, ესაა კომპანიების ან ბანკების ჯგუფების დროებითი გაერთიანება კონკრეტული პროექტის განხორციელების ან კრედიტის მიწოდებისათვის (იხ. Юридическая энциклопедия, М., 1998, с. 208).

ნებს თაემი ჩაუდებენ სექსის, ძალადობის, საღიშმისა და გამცემლობის კულტს — ერთი სიგყვით, ყოველგვარ უზნეობას... პატიოსნება და წესიერება გახდება დასაცინი და იგი არავის არ დასჭირდება, რადგან ვადაიქცევა წარსულის გადმონამსაღ. უტიურობა და თავხედობა, სიცრუე და გყუღლი, ლოთობა და ნარკომანია, ერთიმეორისადმი ცხოველური შიში და ურყხეობა, მუსანათობა, ნაციონალიზმი და საღხთა შორის მტრობა და, უწინარეს ყოვლისა, მტრობა და სიძუღვილი რუსი ხაღხისადმი — ყველაფერ ამას ჩვენ მოხერხებულად და შეუძნველად დაენერგავთ. მხოლოდ ცოტანი, ძალიან ცოტანი თუ მიხედებიან ან გაიგებენ, რა ხდება. მაგრამ ასეთ ადამიანებს ჩვენ ჩაუყენებთ უძწეო მღვობარეობაში, გაეხლით ქვეყნის სასაყლოდ, მოვახერხებთ მათთვის ცილის დაწამებასა და საზოგადოებისათვის ნაძირაღებად გამოცხადებას“.¹

კულტურის ტრანსფორმირება ხდება უმთავრესად მოიხოენიღებათა დაკმაყოფიღების საშუაღებათა შეეღლის ხარჯზე. ზოგჯერ ამას შეუძლია, შეეეალოს მოთხოენიღებათა სტანდარტები. ძირითადად კი მოთხოენიღებათა იერარქიის შეეეღა ხდება იღვოლოგიისა და რეღიღიის გაეღენით. კულტურის შეეეღა დამოკიღებულია საზოგადოების მიერ ახღის აღქმის მზადყოფნაზე. ეს ფენომენი შედარებით აეგონომიურია.

კულტურის შეეეღა შეიღღება იყოს რადიკალური ან თანდათიანობითი. ის შეიღღება განხორციეღღეს მაკროღონზე (საზოგადოება).

მინიღონზე (ჯგუფი) და მიკროღონზე (იღუღისხმება ცალკეული პიროენების კულტურა) გასატარებელ კულტურულ ღონისიღებათა მასშტაღების მიმართ მხედვეღობაში უნდა გექონღეს შემღვეი: რაღ უფრო მასშტაღურია ამოცანა, მით მეტი ღრო, ძალა და საშუაღებაა საჭირო მისი რეაღიზაციისათვის, რომ მომზადებამ უნდა მოიეეას პრობღემის როგორღ თეორიული გააზრება, ასევე მისი უზრუნვეღყოფის მაგერიაღური მზარე.

კულტურის შინაარსი დისკრეტულია.² იგი შეღღება განსაზღვრული ეღემენტებისაგან, რომღებიღ ერთმანეთთან მეღღროდ (მტკიეღ) არაა დაკავშირებული. მათი რიღცხა შეიღღება გაიზარღოს ან შემკირღეს; ერთი სახის ეღემენტი შეიღღება შეიეეაღოს მეორით (ფენომენის სისტემური არსის შეუეეღელად).

თანამედროვე პირობებში (როღესაც ხღღება მრავალ კულტურათა ურთიერთქმედება და ურთიერთგაეღენა) ეროენული კულტურის შეეეღაზე საუბრისას იღუღისხმება ის ფაქტი, რომ აქ ლაპარაკია არა რაღაც პრინციპულად ახღის წარმოზობაზე, არამედ ერთ კულტურაში მეორე კულტურის ეღემენტების შეტანაზე, რის შეღვეად შეიღღება წარმოიღვას ახალი კულტურული სტრუქტურა, რომელსაც მოსღვეს სისტემური ცეღიღებები საზოგადოებაში და ადამიანთა ცხოერების წესში.

მსოფლიო კულტურული გარემო მეღისმეღად მრავალეეარი და პოღიფონიურია. არსებობენ კულტურები, რომღებიღ უარყოფენ დამნაშაეეობასა და, პირიქით, — აეითარებენ მას. ასეთი პირობებში განსაკუთრებულ

¹ იბ. Литературная Россия, 1992, 31 июля.

² დისკრეტული (ლათ. discretus) — ნაწყეეგ-ნაწყეეგი, წყეეიღი, ცალკეული ნაწიღებისაგან შემღვარი.

მნიშვნელობას იძენს არა იმდენად კულტურის ახალი ელემენტების ჩამოყალიბების პროცესი, რამდენადაც ანტიკრიმინალური კულტურების გავრცელებისათვის ხელშეწყობა (ჯანსაღი ეროვნული ტრადიციების განვითარება, გარედან პოზიტიურის აღქმა) და ასევე დანაშაულობის ხელშეწყობი ანტიპოლების განვითარებისათვის ხელის შეშლა. მოცემულ კონტექსტში ლაპარაკია პოზიტიური კულტურული იდეალის განმტკიცებასა და მის ყოველმხრივ განვითარებაზე საზოგადოებაში.

კულტურული იდეალის ფორმულირება საყოველთაო მოცულობით პრაქტიკულად შეუძლებელია, მაგრამ სამაგიეროდ შესაძლებელია მისი ძირითადი ელემენტების მოხაზვა, რომელშიც შედის:

1. სულიერ მოთხოვნილებათა განვითარება (მათ შორის ორიენტაცია უმაღლეს სამართლიანობაზე), მათთვის პრიორიტეტის შექმნა სოციალურ იერარქიაში;

2. ელემენტების გამორიცხვა, რომლებიც ავითარებენ სოციალურ პათოლოგიას – კულტურა ხელს უნდა უწყობდეს ერის ჯანმრთელობის განმტკიცებას და იმავდროულად ხელს უნდა უშლიდეს სოციალურ დეზორგანიზაციასა და დეგრადაციას;

3. ძალადობისა და ინდივიდუალიზმის, როგორც სოციალური ყოფიერების ფორმების, შეზღუდვა და მათი ცხოვრებიდან თანდათანობით განდევნა.

კულტურის განვითარების მექანიზმების სრულყოფას სახელმწიფომ და საზოგადოებამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაპყროს. გაკონტროლებისა და შემოწმების მიზანი კი უნდა იყოს როგორც კულტურული იდეალის გავრცელებისათვის ხელშეწყობა (კულტურის გავრცელების არხების ფუნქციონირების ეფექტურობის ამაღლებისთვის სახსრების გამოძებნა), ასევე ანტიკულტურის შეზღუდვა, ხოლო ზოგიერთი ასპექტით მისი პროპაგანდის აკრძალვა, კერძოდ ყველაფრისა, რაც უარყოფს კულტურულ იდეალს).

დღეს ჩვენს ქვეყანაში ბევრ კულტურულ პროცესს აქვს პირდაპირ საწინააღმდეგო მიმართულება, ანტიკულტურა აქტიურად ინერგება საზოგადოებრივ ცნობიერებაში. საქართველოში თანამედროვე სიტუაცია შეიძლება შევაფასოთ როგორც თავისებური ტესტირება.

სიცოცხლისუნარიანი კულტურის ნიშნებად უნდა მივიჩნიოთ: ა) მანკიერი ელემენტების ჩამოშორება და ბ) თვითაღდგენის უნარი გარედან დესტრუქციული ზემოქმედების შემდეგ (საქართველოს ისტორია დაბეჯითებით მოწმობს, რომ ქართველი ხალხის კულტურის თვითაღდგენის უნარი მიეკუთვნება ჩვენი ქვეყნის როგორც სოციალური ორგანიზმის არსებით დახასიათებას).

დაბოლოს, დასკვნის სახით, გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას (თეზას), რომ კულტურის დონის ამაღლება კრიმინოგენურობის შემამცირებელი ფაქტორია, ხოლო კულტურის დონის დაღმასვლა კრიმინოგენურობის ზრდის მასტიმულირებელ ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ.

უოთხეტი საგანგებო

*იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, სისხლის სამართლის პრო-
ცესისა და კრიმინალისტიკის კათედრის
კამპე, იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი*

დანაშაულთა გახსნის მეთოდის ზოგიერთი პრობლემა

ა) დანაშაულის შემცნების მოგვირეოთი ასპექტი. დანაშაულებრივი შემთხვევის, როგორც წარსულში მომხდარი გამოსაძიებელი ფაქტის, შემცნების პროცესი მეტად რთული და შრომატევადია. მას ართულებს ისიც, რომ მოგვირეოთ ამა თუ იმ დანაშაულებრივი ფაქტის ჩამდენად გვევლინება გარკვეული პირობებით ურთიერთდაკავშირებული გამოცდილ დანაშაულთა ჯგუფი ან ამა თუ იმ დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც თავის პროფესიულ ცოდნას იყენებს დანაშაულებრივი მიზნების განხორციელების, დანაშაულის ჩადენისა და მისი კვალის დაფარვისათვის და ქმნის „თვითდაჯერებულ“ დანაშაულის გაუხსნელობის მოდელს.

იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს ყოველგვარი სახის შენიღბული დანაშაულის გახსნა, საჭიროა: სისწრაფე, ოპერატიულობა, კანონიერების უმკაცრესად დაცვის მოთხოვნათა შესაბამისად, დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილების მიზნით, კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებულ მტკიცებულებათა აღმოჩენის, ფიქსაციისა და მათი გამოკვლევის სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების, ტექნიკური ხერხებისა და მეთოდების სრულყოფილი ცოდნა-გამოყენება, საგამომძიებო ვერსიების აგება და მათი სრული, ყოველმხრივი შემოწმება, გამოსაძიებელ საქმეზე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამომძიებო მოქმედებათა ჩატარების პროცესში შეკრებილი მტკიცებულებების სწორი გაანალიზება და შეფასება.

თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით, შესაძლებელია ყველა დანაშაულებრივი შემთხვევის გახსნა, ან მათი გაუხსნელობის უმნიშვნელო მინიმუმამდე დაყვანა, თუკი შეეძლებოდა დანაშაულთა გახსნის ხელისშემშლელი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების აღმოფხვრას, თუ დანაშაულის გახსნის უფლებით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები მაქსიმალურად სწრაფად, ოპერატიულად, კანონიერების უმკაცრესი დაცვით, სწორად და მიზნობრივად გამოიყენებენ კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებულ სათანადო სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებებს, ტექნიკურ ხერხებსა და დანაშაულის გახსნისათვის რეკომენდებულ მეთოდებს.

ამავე მიზნით სრულყოფილად უნდა იქნეს გამოყენებული ლოგიკური აზროვნებისა და კვლევის შემეცნების ისეთი მძლავრი ხერხები, როგორიცაა: ლოგიკური აზროვნების ინდუქციური და დედუქციური მეთოდები, ანალოგია და სინთეზი, საგამოძიებო ვერსიების აგებისა და შემოწმების ჰიპოთეზური კვლევის მეთოდები, სპეციალური ცოდნისა და საექსპერტო კვლევის მეთოდები, ოპერატიულ-სამძებრო, საექსპერტო, საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის განზოგადებისა და კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებულ დანამაშულთა გახსნისა და თავიდან აცილების სხვა გაქტიკური ხერხები, სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები და მეთოდები.

ამავე კეთილშობილური მიზნის მისაღწევად სწორად და კანონზომიერად უნდა იქნეს გამოყენებული დიალექტიკური და კრიმინალისტიკური მეცნიერების მიერ შემუშავებული შემეცნების სხვა სპეციალური საერთო და კერძო მეთოდები.

მომხდარი დანამაშულებრივი შემთხვევის მთლიანი მექანიზმის ახსნის, მისი სრული, ყოველმხრივი შემეცნებისა და გამოსაძიებელ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მომენგისათვის საქმეში არსებული ის ფაქტობრივი მონაცემები, რომელია საფუძველზე უნდა მოხდეს საგამოძიებო ვერსიების სწორი დასაბუთებული აგება და შემოწმება, ე.ი. გამოსაძიებელ საქმეზე საგამოძიებო ვერსიების აგებასა და შემოწმებას, როგორც კრიმინალისტიკური კვლევისა და შემეცნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მეთოდს, სხვა საშუალებებთან ერთად დანამაშულთა გახსნის ზოგად და კერძო მეთოდების სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

მაგალითად, ადამიანის გვამის აღმოჩენის ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დროს გამოსაძიებელი შემთხვევის ასახსნელად და იმის გასარკვევად, თუ რა გარემოებასთან გვაქვს საქმე, საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, მოპოებული პირველადი მონაცემების საფუძველზე ავაგოთ და შევამოწმოთ ისეთი საგამოძიებო ვერსიები, როგორიცაა: მკვლელობა მოხდა თუ თვითმკვლელობა, უბედური შემთხვევა თუ მისი ინსცენირება, ან ხომ არ იყო ჩვეულებრივი, ბუნებრივი სიკვდილი. ამ ზოგადი სახის საგამოძიებო ვერსიების შემოწმების შემდეგ საჭიროა გადავიდეთ კერძო და დეტალური საგამოძიებო ვერსიების აგებასა და შემოწმებაზე და მრავალმხრივი შემეცნების ეს უწყვეტი პროცესი ვაწარმოოთ ლოგიკური აზროვნების კანონებისა და მიღებული შედეგების სწორი, თანმიმდევრული, ანალიზური და სინთეზური კვლევა-ძიებით კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებული სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების, გაქტიკური ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით.

ბ) დანამაშულთა „გახსნისა“ და „გამოძიების“ ცნება, არსი და მნიშვნელობა. როგორც აღვნიშნეთ, კრიმინალისტიკურ ლიგერატურაში ზოგჯერ ერთნაირი მნიშვნელობით ხმარობენ დანამაშულის „გახსნისა“ და „გამოძიების“ ცნებას, რაც გარკვეულ დავას იწვევს. ამ საკითხს პირველად პროფესორმა ბ. ხარაბიშვილმა მიაქცია ყურადღება 1956 წელს გამოცემულ თავის წიგნში – „კრიმინალისტიკა, განსაკუთრებული ნაწილი“, სადაც იგი ამ ცნებათა ურთიერთგამიჯენის მიზნით მათ შორის გარკვეულ პარალელს ავლებს.

ამ ცნებათა არსის სწორად გაგებისათვის საჭიროა, პასუხი ვაეცყო ისეთ კითხვაზე, როგორცაა: გოლფასონიანი თუ არა ეს ცნებები და შეიძლება თუ არა მათი ხმარება ერთი და იმავე დანიშნულებით?

უკანასკნელ პერიოდში რუსულ ენაზე გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოებსა და სპეციალურ ლიტერატურაში ეროვნობად გაბატონებული სახე მიიღო შეხედულებამ, რომლითაც დანაშაულის „გამოძიების“ ცნება უფრო ფართოდაა გაგებული და დანაშაულის „გახსნის“ ცნების მომცველადაა მიჩნეული. კერძოდ, ეს ორი სხვადასხვა ცნება იქ შემდეგი თანმიმდევრობითაა მოხსენიებული: „დანაშაულის გახსნა და გამოძიება“.

ამ ცნებათა ასეთი ლოგიკური თანმიმდევრობით დალაგება იმაზე მეტყველებს, თითქოს ჯერ ხდებოდეს დანაშაულის გახსნა, მასზე ჭეშმარიტების დადგენა და შემდეგ მისი გამოძიება, რაც არასწორია, რადგან თავისთავად დანაშაულის გახსნა გამოძიების შედეგია და არა პირიქით. გამოსაძიებელ საქმეზე მტკიცებულებათა აღმოჩენა, მათი ამოღება და დამაგრება წინასწარი გამოძიების პრეროგატივაა და იგი უნდა მოხდეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. სწორედ ამ მტკიცებულებათა შეკრების საფუძველზე ხდება დანაშაულის გახსნა და გამოსაძიებელ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა.

ამიგომ ზემოაღნიშნული სახით დანაშაულის „გახსნისა“ და „გამოძიების“ ცნებათა ურთიერთშეფარდება, როგორც აღენიშნეთ, სადავოა და ვარკვეულ შეკამათებას იწვევს. ამასთან დაკავშირებით, დამატებით შეიძლება დაიბადოს კითხვა: განა ყველა დანაშაული, რომელზეც გამოძიება ჩატარდა, გაიხსნა? ცხადია, არა.

წარმოუდგენელია, საქმე გახსნილი იყოს და იგი გამოძიებული არ იყოს. როცა ვლაპარაკობთ, რომ დანაშაული გახსნილია, მასში ისიც იგულისხმება, რომ იგი გამოძიებულიცაა. მაგრამ, სამწუხაროდ, დანაშაულის გამოძიებას ყოველთვის ვერ მიეყვართ დანაშაულის გახსნამდე. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ პრაქტიკაში საერთოდ არ იარსებებდა დანაშაულთა გაუხსნელი საქმეები.

დანაშაულის „გახსნა“ ნიშნავს არა მარტო დანაშაულებრივი ფაქტის გამოვლინებას, დამნაშავე პირისა და დანაშაულის შემადგენლობის სხვა ელემენტების დადგენას, არამედ საქმეზე მნიშვნელობის მქონე ყველა ვარემოების სრულ, ყოველმხრივ გამოკვლევას. ყოველივე ეს მეტყველებს იმაზე, რომ დანაშაულის „გახსნის“ ცნება უფრო ფართოა, ვიდრე „გამოძიებისა“, რომ დანაშაულის გახსნა მოიცავს დანაშაულის გამოძიებასაც. ამიგომ, როგორც აღენიშნეთ, უფრო სწორი და ლოგიკურია, „დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკის“ ნაცვლად ვიხმართ დანაშაულთა შემეცნების ისეთი ცნება, როგორცაა: „დანაშაულის გახსნის მეთოდიკა“ და ისევე, როგორც კრიმინალისტიკური ტექნიკის განხილვის დროს, აქაც უპირატესობა მიენიჭოს დანაშაულის „გახსნის“ ცნებას და კრიმინალისტიკის საგნის ამ დიდ განყოფილებას ამის შესაბამისად ეწოდოს „დანაშაულთა გახსნის მეთოდიკა“ და არა „დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკა“.

გ) დანაშაულთა გახსნის მეთოდიკის განვითარების მოკლე ისტორიული მიმოხილვა. კრიმინალისტიკის საგნის, როგორც იურიდიული

ციკლის სისტემაში შემავალი ერთ-ერთი დამოუკიდებელი მეცნიერების დარგის, ჩამოყალიბებამ განვითარების რთული გზა განვლო. სანამ გამოძიების სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები, ტექტიკური ხერხები და მეთოდები ერთ მთლიან მეცნიერულ სისტემაში იქნებოდა მოყვანილი, მანამდე დანაშაულთა გამოძიების პროცესში ამა თუ იმ სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენება აგარებდა ეპიზოდურ ხასიათს, კრიმინალისტიკის საგნის მეცნიერული საფუძვლების ჩამოყალიბება ხდებოდა სწორედ მისი ცალკეული დარგების აღმოცენებისა და განვითარების მიხედვით, უმთავრესად კი გამოძიების ტექნიკისა და ტექტიკური ხერხების სახით. ამიგომ კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში კრიმინალისტიკის ცალკეული დარგების განვითარების ისტორია უფრო დიდი ხნისაა, ვიდრე თვით კრიმინალისტიკის საგნის ჩამოყალიბებისა.

კრიმინალისტიკა, როგორც მეცნიერების ერთ-ერთი დამოუკიდებელი დარგი გამოძიების ტექნიკის, ტექტიკისა და მეთოდის შესახებ, პირველად აღიარებულ იქნა ავსტრიელი კრიმინალისტის ჰანს გროსის ნაშრომის – „სახელმძღვანელო გამოძიებლებისათვის, როგორც კრიმინალისტიკის სისტემა“ – გამოცემის შემდეგ.

სისხლის სამართლის რეალობის მოძღვრების შესახებ არსებული ამ ახალი მეცნიერების დარგის აღსანიშნავად პირველად სწორედ ჰანს გროსმა იხმარა ლათინური ტერმინი – კრიმინალისტიკა – „KRIMINALIS“, რაც ნიშნავს დანაშაულებრივს. ჰანს გროსის ამრით, სისხლის სამართლის მეცნიერების დებულებები უსიციოებლო იქნებოდა, თუ გამომძიებელი ან მოსამართლე არასწორად შეაფასებდა მოწმეთა ჩვენებას, თუ მას შეცდომაში შეიყვანდა დანაშაულთა ხერხები, თუ ის ვერ შეძლებდა დანაშაულთა კვალის გამოვლინებას, ან თუ არ ეცოდინებოდა ის უამრავი დებულება, რომელთა ერთიანობასაც კრიმინალისტიკა შეადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ სამღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში კრიმინალისტიკის საგნის განვითარება ძირითადად სამეცნიერო-ტექნიკურ ხერხებსა და საშუალებებზე დაყრდნობით მიმდინარეობდა. ისინი ცდილობდნენ შეექმნათ ისეთი უნივერსალური ტექნიკური საშუალება, რომელთა გამოყენებით შეძლებდნენ ნებისმიერი დანაშაულის გახსნას. სწორედ ამიგომ იყო, რომ მეცნიერების ამ ახალ დარგს ყველა სახელმწიფოში ერთნაირად კი არ ეწოდა „კრიმინალისტიკა“, არამედ ზოგან იგი მოიხსენიებოდა კრიმინალისტიკური ტექნიკის ამსახველი ისეთი სახელწოდებებით, როგორცაა: „სისხლის სამართლის ტექნიკა“, „მეცნიერული პოლიცია“, „ტექნიკური პოლიცია“ და სხვ.

ჰანს გროსის, ვაინგარტის, შნეიკერტის, გელვიგისა და სამღვარგარეთელი სხვა კრიმინალისტების აღრინდელი ნაშრომებიც უმეტესწილად გამოძიების ტექნიკასა და მათი გამოყენების ხერხებს ეხებოდა. ამ ნაშრომების გარკვეული ნაწილი რუსულ ენაზეც იქნა თარგმნილი. მაგალითად, ა. ვაინგარტის „სისხლის სამართლის ტექნიკა“ (1910 წ.), რ. ა. რეისის „დანაშაულთა გამოძიების სამეცნიერო ტექნიკა“ (1912 წ.), რუსი კრიმინალისტების: ს. ნ. გრეგუბოვის „სისხლის სამართლის ტექნიკის საფუძვლები“ (1915 წ.), ვ. ი.

ლებედვის „სასამართლო-პოლიციური ფოტოგრაფია“ (1909 წ.), მისივე „დანაშაულთა გახსნის ხელოვნება“ (1912 წ.) და სხვ.

კრიმინალისტიკური მეცნიერების განვითარების ასეთისავე პოზიციებზე იდგა შემდგომ პერიოდში გამოცემული ზოგიერთი ნაშრომიც, მაგალითად: რ. პენდლის „სისხლის სამართლის ტექნიკა“ (თარგმანი გერმანულიდან, 1925 წ.), გ. შნეიკერგის „სისხლის სამართლის ტექნიკის შესავალი“ (1926 წ.), ნ. პ. მაკარენკოს „დანაშაულთა გახსნა“ (1925 წ.), ნ. დ. ვორონოვსკის „სისხლის სამართლის ტექნიკა“ (1931 წ.) და სხვ. თუმცა აქედან ზოგიერთი უცხოელი კრიმინალისტი, კერძოდ ა. ვაინგარტი, გ. შნეიკერგი, ა. გელევი და სხვები შეეცადნენ, გამოძიების ტექნიკისა და ტაქტიკის საკითხებთან ერთად, თავიანთ ნაშრომებში გაეშუქებინათ აგრეთვე დანაშაულთა გამოძიების მეთოდის საკითხებიც, მაგრამ მათ ვერ მოგვეცეს დანაშაულთა ცალკეული სახის გახსნის მეთოდის მეცნიერული საფუძვლები. მოცემული საკითხების განხილვისას ისინი ძირითადად კმაყოფილდებოდნენ მარგოლდენ დამნაშავეთა მიერ ცალკეული ტექნიკური ხერხებისა და, აგრეთვე, დანაშაულის გახსნის მიზნით ბუნებრივი და ტექნიკური მეცნიერებების ზოგიერთი მიღწევის გამოყენების გადმოცემით.

ამ გარემოებამ, ცხადია, ერთგვარი გავლენა მოახდინა აღრიხედელ პერიოდში გამოცემულ კრიმინალისტიკურ ლიტერატურაზეც, როცა პირველი რუსი კრიმინალისტების მუშაობის აქცენტირება კელავ მარგოლდენ გამოძიების ტექნიკის საკითხების დამუშავებაზე იყო გადატანილი და მას განიხილავდნენ როგორც სისხლის სამართლის ტაქტიკის შემადგენელ ნაწილს. დანაშაულთა გახსნის მეთოდის საკითხების მეცნიერულ დამუშავებას კი შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. პირველ ხანებში ასეთი გავლენა შეიმჩნეოდა მეოცე საუკუნის ისეთი ცნობილი კრიმინალისტების ნაშრომებშიც, როგორცაა: პ. სემენოვსკის „დაქტილოსკოპია, როგორც რეგისტრაციის მეთოდი“ (1923 წ.), ნ. პ. მაკარენკოს „დანაშაულთა გამოძიების ტექნიკა“ (1925 წ.), ელ. გრომოვის „დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების ტექნიკა“ (1931 წ.), ნ. დ. ვორონოვსკის „სისხლის სამართლის ტექნიკა“ (1931 წ.), ი. ნ. იაკიმოვის „სისხლის სამართლის ტაქტიკა“ (1929 წ.), ელ. გრომოვის „ნივთიერი მხილებანი და სისხლის სამართლის სამეცნიერო ტექნიკა“ (1932 წ.) და სხვ. მაგრამ, ცხადია, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ამ კრიმინალისტების მიერ დანაშაულთა ცალკეული სახეების გახსნის მეთოდის საკითხები, სხვა საზღვარგარეთელი კრიმინალისტების მსგავსად, სრულიად ყურადღების გარეშე ყოფილიყო მიტოვებული.

კრიმინალისტიკის აღმოცენებისა და განვითარების პირველივე პერიოდთან დანაშაულთა გახსნის მეთოდის საკითხები მიჩნეულ იქნა კრიმინალისტიკის ერთ-ერთ აუცილებელ შემადგენელ ნაწილად. მაგალითად, დანაშაულთა გამოძიების პრაქტიკულ სახელმძღვანელოსა (მოსკოვი, 1924 წ.) და წიგნში – „კრიმინალისტიკა“ (მოსკოვი, 1925 წ.) პროფ. ი. ნ. იაკიმოვი კრიმინალისტიკის საგანს ყოფდა სამ ძირითად ნაწილად: 1. სისხლის სამართლის ტექნიკის, 2. სისხლის სამართლის ტაქტიკისა და 3. დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების სამეცნიერო ტექნიკის, ტაქტიკისა და მეთოდოლოგიის გამოყენების განყოფილებად (გვ. 25). გასული საუკუნის 30-

იან წლებში კუ უკუ გამოჩნდა გამოძიების მეთოდის საკითხებისადმი მიძღვნილი სპეციალური ნაშრომები და მონოგრაფიები, რომელთაგან აღსანიშნავია: ვლ. გრომოვის „დანაშაულთა გამოძიების მეთოდის“ (1929 წ.), ვლ. გრომოვისა და ნ. ლაგოვიერის „სამეურნეო და თანამდებობრივ დანაშაულთა გამოძიება“ (1928 წ.), ს.ა. გოლუნსკისა და გ. კ. რავინსკის „დანაშაულთა გამოძიების ტექნიკა და მეთოდის“ (1934 წ.), ვლ. გრომოვისა და პ. ტარასოვი – რადიონოვის „საბჭოთა აპარატში დატაცებისა და თანამდებობების ბოროტად გამოყენების გამოძიება“. (1934 წ.), ბ. მ. შავერის მიერ 1938 წელს ეურნალ „სოციალისტურ კანონიერებაში“ (№ 1) გამოქვეყნებული სტატია „დანაშაულთა გამოძიების კერძო მეთოდის ძირითადი პრინციპების შესახებ“ და სხვ. აღსანიშნავია, რომ ცოცხა მოგვიანებით კი მთლიანად დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების მეთოდის მიძღვნა ს. ა. გოლუნსკისა და ბ. მ. შავერის მიერ 1939 წელს გამოცემული კრიმინალისტიკის სახელმძღვანელო და პროფ. ბ. ხარაზიშვილის „კრიმინალისტიკა, განსაკუთრებული ნაწილი. დანაშაულთა ცალკეული სახეების განხილვის მეთოდის“ (თბილისი, 1956 წ.). ე.ი. 1959 წლამდე გამოცემული საბჭოთა კრიმინალისტიკის ყველა სახელმძღვანელო გამოდიოდა ორ ნაწილად: ზოგადი და კერძო (განსაკუთრებული) ნაწილის სახით.

ამრიგად, დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების მეთოდის, როგორც კრიმინალისტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, იქმნებოდა თანდათანობით, საგამოძიებო პრაქტიკის შესწავლითა და განზოგადებით, რაც შეეხება თვით ცნებას – „კერძო მეთოდის“, პირველად ნახმარი იყო ვლ. გრომოვის, ი. იაიშოვისა და ნ. მაკარეკის შრომებში. შემდეგ კი იგი გამოყენებულ იქნა კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოებშიც. მაგალითად, ს. ა. გოლუნსკისა და ბ. მ. შავერის მიერ 1939 წელს გამოცემულ კრიმინალისტიკის – „დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების მეთოდის“ – სახელმძღვანელოში ნათქვამი იყო: დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების მეთოდის არის კრიმინალისტიკის განსაკუთრებული ნაწილი (გვ. 4).

კრიმინალისტიკის ზემოაღნიშნული სახელმძღვანელოების პირველ (ზოგად) ნაწილში განხილული იყო მოძღვრება კრიმინალისტიკის საგნის, კრიმინალისტიკური ტექნიკის ცალკეული დარგებისა და კრიმინალისტიკური ტექნიკის უშუალო საკითხების შესახებ. კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოს მეორე, განსაკუთრებულ ნაწილში კი გადმოცემული იყო დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების მეთოდის საკითხები. ასე იყო აგებული, მაგალითად, ა. ი. ვინბერგისა და ს.პ. მიტრიჩევის რედაქციით 1950 წელს გამოცემული კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოს მეორე ნაწილი, ბ. ხარაზიშვილის მიერ 1954-1956 წლებში გამოცემული კრიმინალისტიკის ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილის სახელმძღვანელოები. თითქმის ასეთსავე პრინციპზე იყო აგებული ა. ი. ვინბერგისა და ბ. მ. შავერის მიერ გამოცემული იურიდიული სკოლისათვის განკუთვნილი კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოები და სხვა.

1959 წელს ს. ა. გოლუნსკის რედაქციით კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოს გამოცემით დაირღვა ამ სახელმძღვანელოების გამოცემის მანამდე არსებული პრაქტიკა და მასში პირველად გაერთიანდა დანაშაულთა ცალკე-

ული სახეების გამოძიების მეთოდია, როგორც კრიმინალისტიკის ერთ-ერთი შემადგენელი და არა როგორც მისი კერძო (განსაკუთრებული) ნაწილი. ასეთივე სახით გამოიყენა ქართულ ენაზე 1969 წელს პროფესორ ბ. ხარაბიშვილის „კრიმინალისტიკა“. ამავე სახით გრძელდება დღესაც რუსულ და ქართულ ენაზე¹ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოების გამოცემა.

ზოგად და კერძო ნაწილად კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოების დაყოფაზე უარის თქმა, ჩვენი აზრით, გამართლებული არაა. მართალია, კრიმინალისტიკის საგნის ასეთ დაყოფას თვით საგნის არსებისათვის რაიმე პრინციპული ხასიათის მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ როცა ვლაპარაკობთ საგნის საერთო და სპეციალურ მეთოდებზე, მის ზოგად დებულებებზე, რომლებიც პრაქტიკულად მხოლოდ დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების პროცესში რეალიზდებიან, რაგომ უნდა მიგვეჩნია ულოგიკოდ საგნის დაყოფა ზოგად და კერძო (განსაკუთრებულ) ნაწილებად? განა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ეურსის ცალკეული ინსტიტუტებისა და დებულებების ცოდნა ხელს არ უწყობს სისხლის სამართლის განსაკუთრებულ ნაწილში. დაყენებული საკითხების სწორად გადაწყვეტას? განა აქ არ ხდება მისი პრაქტიკული გამოყენების რეალიზაცია? ცხადია, კი. და თუ ეს ასეა, მაშინ რაგომ უნდა ვთქვათ უარი მის ასეთ დაყოფაზე?

კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოების აგება ზოგად და კერძო ნაწილებად სრულიადაც არ ნიშნავს ამ საგნის გაყოფას, მის გაღარიბებას, კრიმინალისტიკური ტექნიკის, ტაქტიკისა და მეთოდის საკითხების ურთიერთვათიშვას. პირიქით, კრიმინალისტიკური ტექნიკის სწავლება კრიმინალისტიკის მეთოდოლოგიის საკითხებთან ერთად, უსაგნო და უმიზნო იქნებოდა დანაშაულთა გახსნის ტაქტიკისა და მეთოდის გარეშე, რადგან კრიმინალისტიკური ტექნიკის ცალკეული დარგების მიღწევების პრაქტიკულ რეალიზაციას ოპერატიულ-სამძებრო და საგამომიებო მოქმედებათა ჩატარებით გამოიხატება, კერძოდ: კრიმინალისტიკური ფოტოგრაფიის, გრასოლოგიის, კრიმინალისტიკური ბალისტიკის, დოკუმენტების კრიმინალისტიკური გამოყვლევის, გარეგანი ნიშნების მიხედვით პიროვნების იდენტიფიკაციის და კრიმინალისტიკის სხვა დარგების მიღწევების გამოყენება უშუალოდ ხდება გამოძიების პროცესში სხვადასხვა სახის საგამომიებო მოქმედებების ჩატარების დროს.

ასევე კრიმინალისტიკური ტაქტიკის ორგანიზაციული და ცალკეული სახის საგამომიებო მოქმედებათა ჩატარების ტაქტიკური რეკომენდაციები პრაქტიკულად გამოიყენება დანაშაულთა გახსნის მეთოდოლოგიაში. კერძოდ: გამოძიების დაგეგმვა, საგამომიებო ვერსიების აგება, დანაშაულთა კრიმინალისტიკური დიხასიათება, მასალების შემოწმება და სისხლის სამართლის საქმის აღძერა, საქმეზე ჩასატარებელი საგამომიებო მოქმედებების ტაქტიკური ხერხები და სხვ. პრაქტიკულად გამოიყენება კონკრეტული სახის დანაშაულთა გამოძიების პროცესში და, ამდენად, ისინი ურთიერთკავშირშია ზოგადისა და კერძოს სახით, ამიგომ უფრო ლოგიკურია კრიმინალისტიკის სახელმძღვანელო

¹ იხ. ა. ფალიაშვილისა და მ. ქურდაძის რედაქტორობით გამოცემული კრიმინალისტიკის ორგომული (კრიმინალისტიკა, ტ. I და II, თბ., 1995).

ლოების გამოცემა კელაე ზოგადისა და კერძო (განსაკუთრებული) ნაწილის სახით სისხლის სამართლის სახელმძღვანელოების მსგავსად.

კრიმინალისტიკის საგნის ზოგად ნაწილში შესწავლილი და გაანალიზებული უნდა იქნეს კრიმინალისტიკის საგნის მეთოდოლოგიისა და კრიმინალისტიკური ტექნიკის ცალკეული დარგები შესაბამისი მეცნიერების თანამედროვე მიღწევებით და მას ეწოდოს „კრიმინალისტიკა, ზოგადი ნაწილი“. კრიმინალისტიკის საგნის მიერ, განსაკუთრებულ ნაწილში კი განხილული და განზოგადებული უნდა იქნეს დანაშაულთა გახსნის ტექტიკისა და მეთოდის ცალკეული დარგები ერთ მთლიანობაში და მას ეწოდოს „კრიმინალისტიკა, განსაკუთრებული ნაწილი“, ან „კრიმინალისტიკა, დანაშაულთა გახსნის ტექტიკა და მეთოდიკა“.

1969 წელს ქართულ ენაზე გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოში პროფ. ბ. ხარაზიშვილი აკრიტიკებდა 1959 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოს ავტორთა პოზიციას კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოში ზოგადი და კერძო ნაწილის გაერთიანებათა შესახებ და აღნიშნავდა, რომ „თვითონ 1959 წლის სახელმძღვანელოშიც ცალ-ცალკეა განხილული კრიმინალისტიკური ტექნიკა, ტექტიკა და მეთოდიკა, მაგრამ განა ეს ნიშნავს, რომ გამოძიების დროს ისინი ერთმანეთისაგან გათიშულნი არიან, ან კი შეიძლება მათი ერთად განხილვა? როგორ იქნებოდა მოსახერხებელი მათი ურთიერთკავშირისა და განსხვავების დადგენა, თუ ცალ-ცალკე არ ჩაეწვდებოდათ თითოეულის არსებობას, ან სად ვაგონილა ზოგადისა და კერძოს ურთიერთდამოკიდებულების იმდაგვარი ინტერპრეტაცია, როგორც ამას შემდგომ სახელმძღვანელოებში ვხვდებით, განა საპეციალურ მტკიცებას მოითხოვს, რომ კრიმინალისტიკური ტექტიკისა და ტექტიკის სწავლება ზოგადი ხასიათისაა დანაშაულის ცალკეული სახეების გახსნის მეთოდისათან დაკავშირებით, განა გასაგები არ არის, რომ, თუ ლაპარაკია, მაგალითად, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ტექტიკაზე, იგი ზოგადი საკითხია იმდენად, რამდენადაც პრაქტიკაში დათვალიერების ჩატარება სავარაუდოა ყველა სახის დანაშაულის გამოძიების დროს?“ (გვ. 270). მაგრამ პროფ. ბ. ხარაზიშვილის ეს მოსაზრება არ შეიძლება უყოყმანოდ გაეიზაროთ თვით საგნის სისტემასთან მიმართებით.

კრიმინალისტიკის საგანს, როგორც ზოგადსა და კერძოს, მოიხსენიებს აგრეთვე პროფ. ს. პ. მიგრიჩევი თავის ნაშრომში – „საბჭოთა კრიმინალისტიკის თეორიული საფუძვლები“ (მოსკოვი, 1965 წ.).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ უფრო სწორად და ლოგიკურად გვეჩვენება პრაქტიკა, როცა კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოების გამოცემა ხდებოდა ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილის სახით. ამიტომ ჩვენც ამ სახით ვახდენთ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოს დამუშავებასა და გამოცემას იმ ცვლილებებით, რომ მეორე განსაკუთრებულ ნაწილში შეგანილ იქნეს კრიმინალისტიკური ტექტიკის საკითხებიც.

ეს მოსაზრება ჯერ კიდევ ადრე, 1991 წელს გამოცემულ ჩემს ნაშრომში – „დანაშაულთა გახსნის ზოგადი მეთოდის პრობლემები“ – ჩამოვყალიბე და დავასაბუთე, და ფრიალ სასიამოვნოა, რომ ანალოგიური აზრი გაგარდა 2000 წელს რუსულ ენაზე გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღ-

ღებანლოშიც, სადაც ნათქვამია: კერძო კრიმინალისტიკური მეთოდის არ შეიძლება ვაგებულ იქნეს როგორც ამა თუ იმ სახის დანაშაულის წარმატებით გამოძიებისათვის საჭირო მოქმედებების, ტექნიკური საშუალებებისა და ტაქტიკური ხერხების მექანიკური ვაერთიანება. კერძო მეთოდის გამოყენებაში განხილული უნდა იყოს არა მარტო ეფექტური საშუალებები და რეკომენდაციები, არამედ, აგრეთვე, მათი გამოყენების მეთოდები. გამოძიების ორგანიზაციის – გამოძიების დაგეგმვის, გიპური საგამოძიებო ვერსიების აგების, ამა თუ იმ სახის სპეციალური ცოდნის გამოყენების, მოსახლეობისა და მასობრივი ინფორმაციის დახმარების შესახებ და სხვა, რომ კერძო კრიმინალისტიკური მეთოდის შინაარსი არის ის თავისებურება, რისთვისაც მუშავდება და არის კრიმინალისტიკური მეცნიერების ეს განყოფილება და რომ კრიმინალისტიკური მეთოდის შემუშავებისას მეცნიერება უკუაგდებს ცდას, შექმნას ყველა, ნებისმიერი დანაშაულის გახსნისათვის სასარგებლო სქემა, ე.წ. „უნივერსალური გამსხნელის სახით.“¹

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიუხედავად იმისა, დანაშაულთა ცალკეული სახეების გახსნის მეთოდის კრიმინალისტიკის ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი ნაწილია და, რომ კრიმინალისტიკური მეცნიერება ვითარდებოდა და ვითარდება კრიმინალისტიკური ტექნიკის, ტაქტიკისა და დანაშაულთა ცალკეული სახეების გახსნის მეთოდის სახით, ეს უკანასკნელი მაინც გარკვეულად ჩამორჩა კრიმინალისტიკური მეცნიერების დანარჩენი განყოფილებების განვითარებას. ამის შესახებ მართებულად იყო აღნიშნული ა. ვ. დულოვის („დანაშაულთა გამოძიების მეთოდის ცნება და სტრუქტურა“), ნ. პ. იაბლოკოვის (დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების მეთოდის სრულყოფის შესახებ), ა. ნ. კოლესნიჩენკოს სადოქტორო დისერტაციაში (დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების მეცნიერული და სამართლებრივი საფუძვლები) და სხვათა ნაშრომებში.

70-იანი წლების შემდგომ პერიოდში კი კვლავ გაიმართა კრიმინალისტიკის ინტერესი დანაშაულთა ცალკეული სახეების გახსნის მეთოდის პრობლემებისადმი და უკვე გამოჩნდა არა მარტო მეთოდის საკითხებისადმი მიძღვნილი ცალკეული ნაშრომები და მონოგრაფიები, არამედ საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებიც. მაგალითად, ი. მ. ლუზინის სადოქტორო დისერტაცია – „გამოძიება, როგორც შემეცნების პროცესი“; ა. ნ. კოლესნიჩენკოს სადოქტორო დისერტაცია – „დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების სამეცნიერო და სამართლებრივი საფუძვლები“; ნ. პ. იაბლოკოვის სადოქტორო დისერტაცია – „შრომის დაყვისა და უსაფრთხოების ტექნიკის დარგში ჩადენილ დანაშაულთა გამოძიებისა და თავიდან აცილების პრობლემები“; შ. ფაფიაშვილის საკანდიდატო დისერტაცია – „მექრთამეობის გახსნისა და თავიდან აცილების საკითხები საბჭოთა კრიმინალისტიკის მიხედვით“, თბილისი 1966 წ. და სხვ.

დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების პრობლემებს მიეძღვნა: ა. ნ. კოლესნიჩენკოს სტატია – „დანაშაულთა გამოძიების მეთოდის პრობლემები“ – წიგნში: „კრიმინალისტიკის პრობლემები“, ხარკოვი, 1969;

¹ Криминалистика, Учебник для вузов, под редакцией профессора Р. С. Белкина, М., 2000.

ი. ა. ვომგრინის „დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების მეთოდიკის სტრუქტურის შესახებ“ წიგნში: „დამნაშავეობასთან, ბრძოლის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები“, 1974; მისივე „ცალკეული სახეების დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკის სტრუქტურის შესახებ“ წიგნში: „დამნაშავეობასთან ბრძოლის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები“, ლენინგრადი, 1974; ა. ნ. ვასილევის სტაგია – „დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების მეთოდიკის პრობლემები“, ჟურნ. „სოციალისტური კანონიერება“, 1975 წ., №4; მისივე მონოგრაფია – „დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკის პრობლემები“, 1978; ი. ფ. გერასიმოვის სტაგია – „დანაშაულთა გახსნის მეთოდიკის აგების პრინციპები“, – წიგნში: „კრიმინალისტიკური მეთოდოლოგიის ტექნიკისა და გამოძიების მეთოდიკის საკითხები“, 1978; მისივე „დანაშაულთა გახსნის ეტაპები“ წიგნში: „საგამოძიებო სიტუაცია და დანაშაულთა გახსნა“, მისივე სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი – „დანაშაულთა გახსნის თეორიული პრობლემები“, 1978; ს. პ. მიტრიჩევის მონოგრაფია – „დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების მეთოდიკის ძირითადი დებულებების შესახებ“, 1973; კ. კ. ფახრუტდინოვის მონოგრაფია – „დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების მეთოდიკა“, ყაზანი 1974; რ. მ. ლუზგინის – „დანაშაულთა ცალკეული სახეების მეთოდიკის განვითარება“, ჟურნ. „პრავოვედენიე“, 1977 წ. №2; ნ. პ. იაბლოკოვის სტაგია – „დანაშაულის კრიმინალისტიკური დახასიათება და ტიპური საგამოძიებო სიტუაციები, როგორც დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკის შემუშავების მნიშვნელოვანი ფაქტორები“, „დამნაშავეობასთან ბრძოლის საკითხები“, გამოცემა 30-ე, 1979; ამავე ნაშრომის ავტორის – შ. ფაფიაშვილის მონოგრაფია „მექრთამეობის გამოძიება“, თბ., 1972; „დანაშაულთა გახსნის ზოგადი მეთოდიკის პრობლემები“, თბ., 1991; „კრიმინალისტიკა. დანაშაულთა გახსნის ტექნიკა და მეთოდიკა“, (ლექციების კურსი) თბ., 1995; კრიმინალისტიკა. დანაშაულთა გახსნის ტექნიკა, თბ., 2001 და სხვ.

დ) დანაშაულთა გახსნის მეთოდიკის ცნება, მნიშვნელობა და ადგილი კრიმინალისტიკის საგნის სისტემაში. საბჭოური პერიოდის კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში და მათ შორის საქართველოში კრიმინალისტიკური მეცნიერების აღმოცენებისა და განვითარების პირველივე პერიოდთან დანაშაულთა გახსნის მეთოდიკის საკითხები თავიდანვე სწორად მიიჩნეეს კრიმინალისტიკის ერთ-ერთ აუცილებელ შემადგენელ ნაწილად. მაგალითად, საბჭოთა კრიმინალისტიკის პირველი სახელმძღვანელოს ავტორი პროფ. ი. ნ. იაკიმოვი კრიმინალისტიკის საგანს ყოფდა სამ ძირითად ნაწილად: სისხლის სამართლის ტექნიკის, სისხლის სამართლის ტექნიკისა და დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების სამეცნიერო ტექნიკის, ტექნიკისა და მეთოდოლოგიის გამოყენების განყოფილებად, რომლებიც ერთიმეორესთან გენეტიკურად არიან დაკავშირებული და ერთ მთლიანობაში ქმნიან იურიდიული მეცნიერების დამოუკიდებელ დარგსა და საგანს – კრიმინალისტიკას.¹

¹ ჩვენ არ ვიზიარებთ ცნობილი პროცესუალისტების (პროფესორი მ. სტროგოვიჩის, პროფესორ ბ. ფურცხვანიძის და სხვ.) იმ არასწორ შეხედულებას, რომლითაც შეეცადნენ, კრიმინალისტიკის საგანი გავყოთ, ხელოვნურად გავხლიჩაოთ ორ – ტექნიკურ და იურიდიულ (სამართლებრივ) – დისციპლინად. კრიმინალისტიკა არის იურიდიული მეც-

როგორც აღვნიშნეთ, 30-იან წლებში უკვე გამოჩნდა გამოძიების საკითხებისადმი მიძღვნილი (ელ. გრომოვის, მ. ლაგოვიერის, ს. ა. გოლუნსკის, გ. კ. რაგინსკის და სხვ.) ცალკეული შრომები და მონოგრაფიები. ცოცხალი მოგვიანებით კი მთლიანად დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების მეთოდურ მუშაობას მიეძღვნა ს. ა. გოლუნსკისა და გ. მ. შავერის მიერ 1939 წელს გამოცემული კრიმინალისტიკის სახელმძღვანელო. 70-იანი წლების პერიოდში კიდევ უფრო გაიზარდა საბჭოთა კრიმინალისტიკის ინტერესი დანაშაულთა გამოძიების მეთოდურ პრობლემებისადმი და უკვე გამოჩნდა არა მარტო ამ საკითხებისადმი მიძღვნილი ცალკეული შრომები, მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, არამედ საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებიც.

1939 წელს გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოში დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების მეთოდურ ცნებაში გატეხილი იყო უფრო მეტად მიზანშეწონილი ხერხებისა და მეთოდების გამოყენების განზოგადება.

1953 წელს ს. პ. მიგრინიჩისა და პ. ი. გარასოვ-როდონოვის რედაქციით გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების მეთოდურ განმარტებული იყო როგორც კრიმინალისტიკური მეცნიერების ის ნაწილი, რომელიც განამოგადებს დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების გამოყენებას, სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოთხოვნათა შესაბამისად დაიცვისა და თითოეული კატეგორიის საქმეების სპეციფიკური თავისებურებების გახსნის, გამოძიებისა და თავიდან აცილების მეცნიერულ ხერხებსა და მეთოდებს.

1956 და 1969 წლებში ბ. ხარაშიშვილის მიერ გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოებში კი დანაშაულთა ცალკეული სახეების გახსნის მეთოდურ განმარტებული იყო როგორც კრიმინალისტიკური მეცნიერების ის ნაწილი, რომელიც მოიცავს იმ ტექნიკური ხერხებისა და ტექნიკურ საშუალებათა ერთობლიობას, რაც უზრუნველყოფს ამა თუ იმ სახის დანაშაულის გახსნას, მათი ჩადენის კონკრეტულ თავისებურებათა გათვალისწინებით.

მოსკოვში იურიდიული ინსტიტუტის მიერ 1963 და 1966 წლებში გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოებში დანაშაულთა გამოძიების მეთოდურ განმარტებული იყო როგორც კრიმინალისტიკური მეცნიერების ის ნაწილი, რომელიც სოციალისტური კანონიერების შესაბამისად დაიცვის საფუძველზე ქმნის დანაშაულთა გახსნის, გამოძიებისა და თავიდან აცილების ეფექტურ მეთოდებს.

დანაშაულთა გამოძიების მეთოდურ ცნება კიდევ უფრო გაფართოებული სახით იქნა წარმოდგენილი ლენინგრადის უნივერსიტეტის მიერ 1976 წელს პროფ. ი. ფ. კრილოვის რედაქციით გამოცემულ სახელმძღვანელოში, სადაც იგი განმარტებული იყო როგორც იმ მეცნიერული დებულებების, ტექნიკური საშუალებების, ტექნიკური ხერხებისა და მეთოდური რეკომენდაციების (წესების) ერთიანობა (სისტემა), რომლებიც გამოიყენება დანაშაულთა

ნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი, რომელსაც აქვს თავისი კვლევის საგანი, სპეციალური მეთოდები და ერთობლიობაში წარმოადგენს სამართლის მნიშვნელოვან, დამოუკიდებელ დარგს, დამოუკიდებელ იურიდიულ დისციპლინას.

ცალკეული სახეების გამოძიების, გახსნისა და თაყიდან აცილების დროს თითოეული მათგანის თავისებურებათა გათვალისწინებითა და კანონიერების მოთხოვნათა მკაცრად დაცვით.

ასევე, 2000 წელს რ. ბელკინის რედაქციით გამოცემულ კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოში კრიმინალისტიკური მეთოდიკა განმარტებულია როგორც მეცნიერული დებულებებისა და მათ საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციების სისტემა ცალკეული სახის დანაშაულთა გამოძიების ორგანიზაციისა და თავიდან აცილების განხორციელებათა შესახებ (გვ. 43).

ყველა შემოაღნიშნული განმარტებისათვის დამახასიათებელი ისაა, რომ მასში მთავარი ყურადღება გადატანილია მის სახეობრივ განმარტებაზე, – რომ იგი არის კრიმინალისტიკური მეცნიერების მიერ რეკომენდებულ დანაშაულთა გახსნის სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების, ტექნიკური ხერხებისა და მეთოდების ერთიანობა. საგნის სხვა დამახასიათებელ ნიშნებზე კი მათში არაფერია ნათქვამი.

ამ თვალსაზრისით შედარებით უკეთ გამოიყურება მოსკოვის უნივერსიტეტის მიერ 1980 წელს გამოცემული კრიმინალისტიკის სახელმძღვანელო, სადაც დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკა განმარტებულია, როგორც სხვადასხვა სახის დანაშაულთა გამოძიების სპეციფიკურ პირობებში გამოძიების ამოცანების საუკეთესოდ გადაწყვეტისათვის გარკვეულ თეორიულ და მეთოდურ საფუძველზე შემუშავებული გამოძიებლის საქმიანობის ოპტიმალური ხერხებისა და საშუალებების სისტემა. ამასთან, მასში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ამ ოპტიმალური ხერხებისა და საშუალებების სისტემის გამოყენება უნდა მოხდეს სისხლის სამართლის პროცესულურ მოთხოვნათა, დანაშაულის სისხლისსამართლებრივ და კრიმინალისტიკურ დახასიათებათა გათვალისწინებით (გვ. 388).

ეს უკანასკნელი განმარტება შედარებით სრულია, რადგან მასში დანაშაულის გახსნის სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების, ტექნიკური ხერხებისა და მეთოდების გარდა მითითებულია, აგრეთვე, დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკის საგნის იურიდიულ ბუნებაზეც, კერძოდ იმაზე, რომ დანაშაულის გახსნის ამ სპეციფიკური ხერხებისა და სამეცნიერო ტექნიკური საშუალებების გამოყენება უნდა მოხდეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად და ასევე, გამოსაძიებელი შემთხვევის – დანაშაულებრივი ქმედების სისხლისსამართლებრივი და კრიმინალისტიკური დახასიათების გათვალისწინებით.

შემოაღნიშნულის მიუხედავად, ჩვენ მაინც უმართებულოდ მიგვაჩნია იმაზე მითითება, რომ იგი არის „ოპტიმალური ხერხებისა და საშუალებების სისტემა“, რადგან თავისთავად სისტემა არ შეიძლება იყოს დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკის საგანი და ამდენად იგი ამ საგნის მთავარ განმსაზღვრელ კრიტერიუმდაც არ გამოდგება.

ჩვენი აზრით, არც ისაა სწორი, რომ გამოძიების მეთოდიკის საგნად მივიჩნიოთ დანაშაულის გახსნის პროცესი, როგორც ამას გვთავაზობს ა. კოლესნიჩენკო თავის ნაშრომში – „დანაშაულთა ცალკეული სახეების გახსნის მეთოდიკის ზოგადი დებულებები“, (გვ. 4). დანაშაულის გახსნა კი არაა დანაშაულის გამოძიების მეთოდიკის საგანი, არამედ იგი არის გამოძიების

უპირველესი ამოცანა. თავისთავად გამოძიება კი სხვა არა არის რა, თუ არა დანაშაულის გახსნის პროცესუალური ფორმა. ამიგომ არ შეიძლება მათი ერთიმეორეში აღრევა.

დანაშაულის გახსნის მეთოდის ამოცანაა, შექმნას ისეთი ზოგადი და კონკრეტული სახის რეკომენდაციები, რომელთა სწორი გამოყენება ხელს შეუწყობს როგორც ყველა სახის დანაშაულის გახსნას, ისე ერთგვაროვანი ან ცალკეული, კონკრეტული სახის დანაშაულის სწრაფ, სრულ გახსნას და გამოსაძიებელ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას. ჩემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დანაშაულთა გახსნის მეთოდის ცნება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: დანაშაულთა გახსნის მეთოდიკა არის კრიმინალისტიკური მეცნიერების ის ნაწილი, რომელიც საგამომძიებო პრაქტიკისა და თეორიის განზოგადების, გამოსაძიებელი კონკრეტული დანაშაულებრივი შემთხვევის სისხლისსამართლებრივი და კრიმინალისტიკური დახასიათების, მისი გარემოებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლის მტკიცებულებათა აღმოჩენის, ფიქსაციის, გამოკვლევისა და მიღებული მონაცემების შეფასების სპეციალური სამეცნიერო-გეჟნიკური საშუალებების, ტექნიკური ხერხებისა და მეთოდების ეფექტურ გამოყენებას დანაშაულის სწრაფი, სრული გახსნისა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის.

ვ) დანაშაულთა გახსნის ზოგადი და კერძო მეთოდის ცნება.

კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოებში დანაშაულთა გახსნის მეთოდის სისტემა, როგორც კრიმინალისტიკური მეცნიერების საგნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილისა, აგებულია სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში მოცემულ დანაშაულთა ცალკეული სახეების ან ერთგვაროვან დანაშაულთა მიხედვით, რომელთაც წინ უძღვის დანაშაულთა გახსნის მეთოდის ზოგადი დებულებები (ზოგადი პრინციპები). ამის შესაბამისად, დანაშაულთა გახსნის მეთოდის მიხედვით უნდა განვასხვავოთ ორი ნაწილი: დანაშაულთა გახსნის ზოგადი და კერძო მეთოდიკა. ზოგად მეთოდის უნდა მივაკუთვნოთ ის ზოგადი დებულებები და პრინციპები, რომლებიც საერთოა ყველა სახის დანაშაულის გამოძიებისათვის, კერძო მეთოდის კი ის კონკრეტული ტექნიკური ხერხები და მეთოდები, რომელთა გამოყენება ხელს უწყობს ცალკეული, კონკრეტული სახის დანაშაულთა გახსნას და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

დანაშაულთა გახსნის ზოგადი მეთოდიკა შეისწავლის საკითხების იმ წრეს, რომელიც დამახასიათებელია საერთოდ ყველა სახის დანაშაულის გახსნისათვის. აქედან აღსანიშნავია დანაშაულთა გახსნის მეთოდის ზოგადი თეორიული და მეთოდოლოგიური ხასიათის დებულებები. კერძოდ: დანაშაულთა გახსნის მეთოდის ცნება, საგანი, მისი არსი და მნიშვნელობა, მიზნები და ამოცანები; დანაშაულთა გახსნის მეთოდის საგნის სისტემა და სტრუქტურა; დანაშაულის კრიმინალისტიკური დახასიათება; პირველადი მასალების შემოწმება და სისხლის სამართლის საქმის აღქ-

რა; გამოძიებით დასადგენი გარემოებების წრის განსაზღვრა; კრიმინალისტიკური სწავლება დანაშაულთა ჩადენის ხერხების შესახებ; საგამოძიებო ვერსიების აგება და გამოძიების დაგეგმვა; გამოძიებლისა და მოკვლევის ორგანოების ურთიერთკავშირი; სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებისა და საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების ტექნიკური ხერხების გამოყენება დანაშაულთა გამოძიების პროცესში და სხვ. ე.ი. დანაშაულთა გახსნის ზოგადი მეთოდისა შეისწავლის კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებულ იმ რეკომენდაციებს, რომლებიც თავიანთი დანიშნულებით უფრო ზოგადია კერძობასთან მიმართებით, და მეტ-ნაკლები სიღრმით გამოიყენება ყველა სახის დანაშაულის გამოძიების პროცესში და გარკვეული მნიშვნელობა აქვს დანაშაულთა გახსნის მეთოდის არსის სწორად გაგებისათვის.

ამრიგად, დანაშაულთა გახსნის ზოგადი მეთოდის არის კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებული ისეთი საერთო დებულებები (პრინციპები) და რეკომენდაციები, რომლებიც საფუძვლად უდევს კერძო ანუ ცალკეული სახის დანაშაულთა გახსნის მეთოდისა და მეტ-ნაკლები სიღრმით გამოიყენება ყველა სახის დანაშაულის გახსნის პროცესში.

კერძო მეთოდისა არის დანაშაულთა გახსნის მეთოდის ის ნაწილი, რომელიც შეისწავლის ისეთ ერთგვაროვანი ან ცალკეული სახის დანაშაულთა გახსნის საკითხებს, როგორცაა: მკვლელობის გახსნის მეთოდისა; გაუპატიურების გახსნის მეთოდისა; შრომის უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივი დარღვევის გახსნის მეთოდისა; საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის გახსნის მეთოდისა; მექრთამეობისა და სხვა სამოხელეო სახის დანაშაულის გახსნის მეთოდისა; საგრანსპორტო დანაშაულისა და ხანძრის გახსნის მეთოდისა; გარემოცვითი ბუნების დაცვის წესების დანაშაულებრივი დარღვევის გახსნის მეთოდისა და სხვ.

ვ) დანაშაულთა გახსნის მეთოდის სტრუქტურა. დანაშაულთა გახსნის ზოგადი მეთოდისა და კერძო ანუ დანაშაულთა ცალკეული სახეების გახსნის მეთოდის სტრუქტურა შეისწავლის თითოეული კონკრეტული ან ერთგვაროვანი დანაშაულის გახსნის მეთოდის სტრუქტურას და მის შესაბამისად, კონკრეტულ ან ერთგვაროვან დანაშაულთა გახსნის მიზნით, ჩასატარებელ ორგანიზაციულ, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების თანმიმდევრობასა და თავისებურებას გამოსაძიებელი დანაშაულებრივი შემთხვევის სპეციფიკურობის გათვალისწინებით.

დანაშაულთა გახსნის მეთოდის სტრუქტურის შესახებ კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში არსებობს აზრთა სხვაობა და იგი კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოებშიც სხვადასხვა სახითა და მოცულობითაა წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, ყველა მათგანისათვის დამახასიათებელი ისაა, რომ მათში მკვეთრადაა გამოხატული გამოძიების მეთოდის შინაარსი. ამასთან, ზოგიერთ მათგანს აშკარად ეტყობა დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების მეთოდის სტრუქტურისათვის დამახასიათებელი საკითხების ხელოვნური გაზრდა ან შემცირება.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში დანაშაულთა გახსნის მეთოდის სისტემის შესახებაც არსებობს აზრთა სხვაობა. ზოგიერთი კრიმინალისტი არასწორად მიიჩნევს დანაშაულთა ცალკეული სახეების მიხედვით გამოძიების მეთოდის გრადიციულ სისტემას, მათ დაყოფას ერთგვაროვან დანაშაულთა მიხედვით. მაგალითად, ე. გ. გასანევიჩი და ე. ა. ობრამცოვი თავიანთ ნაშრომში „დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათების შესახებ“, „დამნაშაევობასთან ბრძოლის საკითხები“, (მოსკოვი, 1976, 25-ე გამოც. გვ., 103, 104), ავითარებენ აზრს, რომლითაც ტერმინი „დანაშაულთა ცალკეული სახე“ კრიმინალისტიკაში გამოტანილია სისხლის სამართლიდან და გამოძიების მეთოდის შემუშავებისას ძირითად ორიენტირებას აკეთებენ გამოსაძიებელი დანაშაულებრივი ქმედების სისხლისსამართლებრივ დახასიათებაზე იურიდიული შემაღგენლობის გათვალისწინებით, რაც, მათი აზრით, არასწორია, რადგან უმთავრესად დანაშაულთა სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციის ამოსავალი დანაშაულის ხელყოფის ობიექტია.

ზემოაღნიშნული მოსაზრება უსაფუძვლო არაა და მას სჭირდება შემდგომი დახვეწა. სადავო არაა, რომ თვით კვალიფიციური განზრახ მკვლელობის ყველა შემთხვევაშიც საჭიროა გაირკვეს მართლსაწინააღმდეგოდ სხვა ადამიანის სიცოცხლის განზრახ მოსაპობსთან დაკავშირებული მრავალი ერთი და იგივე საკითხი. მაგრამ ამ საკითხების ახსნა ყოველთვის არ განსამღვრავს გამოძიების მეთოდის თავისებურებას ყოველგვარი სახის მკვლელობის საქმეებზე, – დანაშაულთა გახსნის მეთოდის თავისებურება ერთიმეორისაგან განსხვავდება, მაგალითად, ჩხუბში ჩადენილი მკვლელობა და ეჭვიანობის ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობა (როცა დამარალებულის გვაში შემთხვევის ადგილზეა აღმოჩენილი და მისი ვინაობა ცნობილია) სხვა ისეთი მკვლელობის შემთხვევებისაგან, როცა მკვლელობის შემდეგ მოხდა გვამის გადამალება, გამოძიებისათვის უცნობია მოკლულის ვინაობა და მისი გვამის ადგილსამყოფელი და სხვა. ამიტომ მართებულად უნდა ჩაითვალოს ზემოაღნიშნულ ავტორთა შეხედულება, რომ შემდგომში დანაშაულთა გამოძიების კერძო მეთოდის განვითარება მოხდეს არა დანაშაულთა ცალკეული სახეების სისხლისსამართლებრივი დახასიათების მიხედვით, არამედ მისი ამოსავალი ექიოთ ისეთ ერთგვაროვან დანაშაულთა ჯგუფში, რომლებიც ერთიმეორესთან გაერთიანებულია მათი კრიმინალისტიკური დახასიათებით.

დანაშაულის გახსნის ამოსავალი ყველა ერთგვაროვანი დანაშაულისათვის არ შეიძლება იყოს ერთნაირი. მაგალითად, იგივე დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობა, ჩადენილი ანგარებით, ხულიგნური ქვენაგრძობით, განსაკუთრებული სისასტიკით და სხვ., რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს გვამის დანაწევრებასთან, დაწეასთან, გადამალებასთან და ა.შ., დანაშაულთა გამოძიების მეთოდის თვალსაზრისით ერთიმეორისაგან განსხვავდება.

კრიმინალისტიკური თვალსაზრისით, დანაშაულთა გახსნის ამოსავალი უნდა ექიოთ უშუალოდ გამოსაძიებელი დანაშაულებრივი შემთხვევის კრიმინალისტიკურ დახასიათებაში, სისხლის სამართლის საქმის აღძვ-

რის მომენტში არსებულ ფაქტობრივ მონაცემებში, გამოსაკვლევ კონკრეტულ დანაშაულთა თავისებურებაში. ამიგომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დანაშაულთა ცალკეული სახეების გახსნის კერძო მეთოდის აგება მოხდეს არა ერთგვაროვან დანაშაულთა მიხედვით, არამედ მათი კრიმინალისტიკური დახასიათების, მათი ელემენტების, გამოსაძიებელ საქმეზე დასადგენი დანაშაულის ჩადენის დროის, ადგილის, ხერხებისა და სხვ. გარემოებების გათვალისწინებით. მაგრამ, ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ საერთოდ უარი ვიქვათ კონკრეტული სახის დანაშაულის გახსნის მეთოდის სტრუქტურაში გამოსაკვლევი დანაშაულის სისხლისსამართლებრივ დახასიათებაზე. მით უმეტეს, რომ სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული მკვლევარებიდან ერთ შემთხვევაში შეიძლება იყოს დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობა, მეორე შემთხვევაში – განზრახ მკვლელობა, ჩადენილ დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე, მესამეში – ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი განზრახ მკვლელობა, მეოთხეში – მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების დროს, მეხუთეში – გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა, მეექვსეში – თვითმკვლელობამდე მიყვანა და სხვ.

ასევე სამოხელეო თანამდებობრივ დანაშაულთა თავში მოთავსებულ დანაშაულთა გახსნის მეთოდის შემუშავების მიზნით, შეიძლება გამოვიყენოთ სისხლის სამართალში მიღებული ამ დანაშაულთა პირობითი დაყოფა ფორმალური და მატერიალური სახის შემადგენლობებად. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ და გავითვალისწინოთ ისიც, რომ როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, თითოეული კატეგორიის დანაშაულის გახსნის მეთოდის სტრუქტურაში, ცხადია, გარკვეული ადგილი უნდა დაეთმოს მისი იურიდიული შემადგენლობების გამოკვლევას, რადგან, როგორც მკვლელობის თითოეული სახე, ისე თანამდებობრივი დანაშაულის სახეებიც თავიანთი იურიდიული შემადგენლობებით ერთიმეორისაგან განსხვავდება და ამ ქმედებათა სწორი კვალიფიკაციის მიზნით საჭიროა, გამოძიებელმა საფუძვლიანად იყოღდეს მათი იურიდიული შემადგენლობა.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ერთგვაროვანი დანაშაულის გახსნის კერძო მეთოდის შემუშავებისათვის საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს გამოსაკვლევ დანაშაულთა სრულყოფილ კრიმინალისტიკურ დახასიათებას, სისხლის სამართლის საქმის აღძერისა და საქმის წარმოებაში მიღების მომენტში გამოძიებლის ხელთ არსებული ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე გამოსაკვლევი დანაშაულის გახსნის მეთოდის მოდელის სწორ ჩამოყალიბებას.

დანაშაულთა გახსნა წარმოუდგენელია ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობის არსისა და მისი იურიდიული შემადგენლობის სწორად გაგების გარეშე. ამ უკანასკნელის ახსნისა და გაანალიზების გარეშე კი შეუძლებელია ქმედების სწორი კვალიფიკაცია. ამიგომ დანაშაულთა გახსნის მეთოდის სტრუქტურაში ამ საკითხების განხილვა-გადმოცემასაც სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით დანაშაულთა ცალკეული სახეების გამოძიების მეთოდოდიკის სტრუქტურა შეიძლება წარმოღვენილი იქნეს შემდეგი სახით:

1. გამოსაძიებელი დანაშაულებრივი შემთხვევის სისხლის სამართლებრივი და კრიმინალისტიკური დახასიათება;

2. პირველადი მასალების შემოწმების თავისებურება და სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ან არააღძვრის საკითხის გადაწყვეტა;

3. საგამოძიებო ვერსიების აგება და გამოძიების დაგეგმვა;

4. პირველდაწყებითი გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებებისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შერჩევა და მათი ჩატარების ტაქტიკური თავისებურებანი;

5. მომდევნო საგამოძიებო მოქმედებები და მათი ჩატარების ტაქტიკა;

6. გამოძიებლის საქმიანობა დანაშაულით მიყენებული ზიანის დადგენასა და მის ანაზღაურებასთან მიმართებით;

7. გამოძიებლის საქმიანობა დანაშაულის გამოიწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების დადგენასა და მათი თავიდან აცილებასთან დაკავშირებით.

დანაშაულთა ცალკეული სახეების გახსნის მეთოდოდიკის ზემოაღნიშნული სტრუქტურა სარეკომენდაციო ხასიათისაა და იგი არ შეიძლება მიეიჩინოთ ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ მყარ, უნივერსალურ სქემად. მაგალითად, დანაშაულის გახსნის მეთოდოდიკის ამ სტრუქტურას, როგორც აღვნიშნეთ, შეიძლება ცალკე დაემაგოს გამოსაძიებელი დანაშაულის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური დახასიათება, მკიცების საგნისა და ფარგლების განსაზღვრა და სხვ., რადგან ამ საკითხების გამოკვლევა საშუალებას გვაძლევს, უფრო სწორად განვსაზღვროთ გამოძიების ამოცანები, დანაშაულებრივი ქმედების მართლწინააღმდეგობის ხასიათი, მისი მომეტებული საფრთხე, პიროვნების პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, რასაც, ხშირ შემთხვევაში, არსებითი მნიშვნელობა აქვს პირის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიკაციისა და სასჯელის მართებულად განსაზღვრისათვის და სხვა.

აპოლონ ფალიაუზილი

*იურიდიულ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი*

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სრულყოფის საკითხები

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განმეორებით იქნა მიღებული 1998 წლის 20 თებერვალს და ამოქმედდა 1999 წლის 15 მაისს. ამოქმედების შემდეგ საპროცესო კოდექსში შევიდა უამრავი ცვლილება და დამატება (500-ზე მეტი), რამაც უზრუნველყო საპროცესო კოდექსის ნაწილობრივი გაუმჯობესება. მიუხედავად აღნიშნულისა, საპროცესო კოდექსში დღესაც არის ისეთი ხარვეზები, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას.

ამემაღ დასმულია საკითხი საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შემუშავების შესახებ, რასაც გარკვეული დრო დასჭირდება. სწორედ ამიგომ მოქმედ საპროცესო კოდექსში კელავ უნდა იქნეს შეტანილი ცვლილებები და დამატებები. ყველა მათგანზე ყურადღების გამახვილება სტატიის ფარგლებში შეუძლებელია, ამიგომ ჩვენ შევჩერდებით ზოგიერთ ისეთ საკითხზე, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციას, ეწინააღმდეგება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ საპროცესო კოდექსი და საქართველოს სხვა კანონები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას მოქმედებს კონსტიტუცია. ასეთი დებულება აბსოლუტურად სწორია, მაგრამ საპროცესო კოდექსთან მიმართებაში, ხანდახან, იგი არ მოქმედებს და ძალაშია კოდექსის ისეთი დებულებები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას:

1. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის I ნაწილი აღიარებს, რომ აღამიანის თავისუფლება ხელშეუვალია. ეს პრინციპი აღიარებულია, აგრეთვე, საერთაშორისო ხასიათის აქტებით და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. სწორედ ამიგომ პიროვნების თავისუფლების შეზღუდვა კანონით შესაძლებელია უნდა განისაზღვროს და ამ საკითხში გამოირიცხოს წინააღმდეგობანი. კანონით შესაძლებელია უნდა დადგინდეს პიროვნების დაკავებისა და დაკავშირების ვადის დინების დაწყება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის მე-2 პუნქტი როცა ეხება პატიმრობის ვადებს, სწორად მიუთითებს,

რომ პატიმრობის ვადა განისაზღვრება ეჭვიგანილის დაკავების ან ბრალდებულის დაპატიმრების მომენტიდან.

ამ წესის საწინააღმდეგო და არასწორი დებულებაა მოცემული იმავე 162-ე მუხლის პირველ პუნქტში, სადაც მითითებულია: „ბრალდებულის პატიმრობის ვადა გამოითვლება ეჭვიგანილის სახით პოლიციის დაწესებულებაში ან მოკვლევის ორგანოში მისი მიყვანის მომენტიდან“. სინამდვილეში კი ეჭვიგანილს კონსტიტუციით მინიჭებული თავისუფლების უფლება ეზღუდება არა პოლიციის ან მოკვლევის ორგანოში მისი მიყვანის მომენტიდან, არამედ მისი ფაქტობრივი დაკავებიდან.

ეჭვიგანილის პოლიციის ან მოკვლევის ორგანოში მიყვანამდე შეიძლება გაევიდეს დიდი დრო (პოლიციის ან მოკვლევის ორგანოს სიმორი, უამინდობა, საგრანსპორტო საშუალების უქონლობა, ეჭვიგანილის ავადმყოფობა, მისი ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობა და ა.შ.), აღნიშნული დრო კი ითვლება პიროვნების თავისუფლების შეზღუდვის უკანონო დროდ.

მითითებული შეცდომა უნდა გამოსწორდეს იმგვარად, რომ 162-ე მუხლის მე-2 ნაწილს უნდა შეესაბამებოდეს ამავე მუხლის პირველი ნაწილი. დაკავებისა და პატიმრობის ვადა ყველა შემთხვევაში უნდა გამოითვლებოდეს პიროვნების ეჭვიგანილის ან ბრალდებულის სახით დაპატიმრების მომენტიდან და არა პოლიციის ან მოკვლევის ორგანოში მიყვანის მომენტიდან;

2. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. უდანაშაულობის პრეზუმფციის ამ დებულებას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლი (ნაწილი პირველი) სამართლიანად აღიარებს როგორც ზოგადსამართლებრივ და სისხლის სამართლის პროცესის პრინციპს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სრულიად ნათელია, რომ პირის დამნაშავეობის შესახებ საუბარი შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი შევა კანონიერ ძალაში. მანამდე პირი (ეჭვიგანილი, ბრალდებული, განსასჯელი) შეიძლება იყოს ბრალეული და არა დამნაშავე. „ბრალეული“ და „დამნაშავე“ სხვადასხვა ცნებაა და მათი გაიგივება დაუშვებელია.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, გამომძიებელი დაკითხვის დაწყებამდე ეკითხება ბრალდებულს, ცნობს თუ არა იგი თავს „დამნაშავედ წაყენებულ ბრალდებაში“. საპროცესო კანონის ასეთი მითითება რომ იყოს ერთჯერადი, შეიძლება იგი ჩაივლილიყო რედაქციულ უზუსტობად, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი მეორდება სხვა შემთხვევებშიც. კერძოდ, ვინაიდან სასამართლო გამოძიების დროს ირკვევა განსასჯელის პოზიცია, 472-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, თავმჯდომარე ეკითხება თითოეულ განსასჯელს, ცნობს თუ არა თავს დამნაშავედ. ბოლოს საპროცესო კოდექსის 475-ე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულია: „სასამართლო გამოძიება შედგება განსასჯელის დამნაშავეობის თუ უდანაშაულობის დამადასტურებელ მტკიცებულებათა წარდგენისა და გამოკვლევისაგან“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა მივიღეთ იმ დასკვნამდე, რომ საპროცესო კოდექსის მითითებული მუხლები უნდა იყოს მოყვანილი საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლთან შესაბამისობაში, რომლის თანახმად პირი დაზარალებული ითვლება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც სასამართლოს გამამკყუნებელი განაჩენი შევა კანონიერ ძალაში. ამ მომენტამდე პირი ითვლება უდანაშაულოდ ამიგომ არ შეიძლება ვისმართო გერმინი „დამნაშავე“;

3. საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებს მხოლოდ სასამართლოები“. 84-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს“. კონსტიტუციის ამავე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, „ბათილია ყველა აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას“.

საქართველოს კონსტიტუციის აღნიშნული მუხლების შესაბამისად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის პირველ ნაწილში მითითებულია, რომ არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. მოსამართლე სასამართლო მტკიცებულებას აფასებს თავიანთი შინაგანი რწმენით. საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის მე-ნაწილის შესაბამისად, სასამართლო შებოჭილი არ არის მხარეთა მოსაზრებით.

აღნიშნული პრინციპული ხასიათის საკონსტიტუციო და საპროცესო კოდექსის დებულებებს ამკარად ეწინააღმდეგება იმავე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცალკეული დებულებები, რომლებიც ავალდებულებს სასამართლოს, რომ მან საქმე გადაწყვიტოს არა თავისი შინაგანი რწმენისა და კანონის დაცვის საფუძველზე, არამედ დაემორჩილოს პროკურორისა და დამარალებულის მოსაზრებას.

საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, „თუ პროკურორი სასამართლოში უარს იცხვებს ბრალდებაზე, სასამართლო ვალდებულია (ხაზგასმა ჩვენია, ა.ფ.), შეწყვიტოს სისხლის სამართლის საქმე, ან გამოიგანოს გამამართლებელი განაჩენი“. საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ბრალმდებლის უარი ბრალდებაზე იწვევს სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას, ან გამამართლებელი განაჩენის გამოგანას. საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „პ“ პუნქტის შესაბამისად, საქმე უნდა შეწყდეს წარმოებით, თუ პროკურორი და დამარალებული უარს იცხვიან ბრალდებაზე.

საპროცესო კანონის მითითება იმის შესახებ, რომ სასამართლო ვალდებულია გაიზიაროს პროკურორის ანდა პროკურორისა და დამარალებულის მოსაზრება, ხელყოფს მოსამართლის (სასამართლოს) დამოუკიდებლობის პრინციპს, რადგან აიძულებს მას, პროკურორისა და დამარალებულის პოზიციას უსიგყვოდ დაემორჩილოს. თუ ამ ლოგიკას დავეჭვებდებარებით, სასამართლო ასევე უნდა დაექვემდებაროს განსაკუთრებისა და მისი დამცველის პოზიციას, რადგანაც ბრალდებისა და დაცვის მხარეებს აქვთ თანაბარი საპროცესო უფლებები და შესაძლებლობანი (სსკ-ის 439-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

ამ საკითხთან დაკავშირებით იმასაც უნდა გაეხეიას ხაზი, რომ პროკურორმა, შესაძლოა, შეეცდომის, პირადი დაინგერესების ან სხვა მოსაზრებათა შეგავლენით, დაზარალებულთან შეთანხმებით, მოხსნას სასამართლოში წაყენებული ბრალდება და ასეთ შემთხვევაშიც საპროცესო კოდექსი ავალდებულებს მოსამართლეს, მაინც გამოიგანოს გამამართლებელი განაჩენი, ან შეწყვიტოს საქმე წარმოებით, რაც არის ყოველგვარი ვაუგებრობის საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმ კატეგორიულ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ აუცილებელია, საპროცესო კოდექსის ბემით მითითებული მუხლები შეიცვალოს და შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, რომელიც აღიარებს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას და მოსამართლის მოქმედებას მხოლოდ კანონის დაყენისა და შინაგანი რწმენის საფუძველზე.

აღნიშნულ პირველ და მეორე საკითხებზე (პუნქტი მე-2, მე-3) პროკუსორულ ლიგერატურაში პროფ. შ. ფაფიაშვილის, დოც. ი. გაბისონიას, დოც. ა. კახნიაშვილისა და ჩვენ მიერ გამოითქვა სწორი მოსაზრება;

4. საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი საგლეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლების შეზღუდვა სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე კანონით გათვალისწინებულია გადაუდებელი აუცილებლობისას“.

საქართველოს კონსტიტუციის აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მუსგად უნდა განსაზღვრავდეს და ადგენდეს საგლეფონო და სხვა სახის საუბრების მოსმენის ჩაწერის წესსა და პირობებს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (1998 წლის 20 თებერვალი) საცხებით სამართლიანად აღიარებდა, როგორც პრინციპს, საგლეფონო საუბრების ინფორმაციის ხელშეუხებლობას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ასევე სწორად და კონსტიტუციის შესაბამისად, იყო მითითებული, რომ საგამოძიებო მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია საგლეფონო საუბრების შეტყობინების საიდუმლოების შეზღუდვასთან, გარდება მოსამართლის ბრძანებით და კოდექსის 65-ე მუხლის მე-3 ნაწილი უშვებდა, აგრეთვე, საგლეფონო საუბრების მოსმენას მოსამართლის ბრძანების გარეშე მოკვლევის ორგანოს უფროსის მოტივირებული დადგენილებით და პროკურორის სანქციით.

გაოცებას იწვევს 1999 წელს საპროცესო კოდექსში შეგანილი ცვლილებები, რომლის მიხედვითაც საგლეფონო საუბრების ან სხვა ინფორმაციის მიყვრება — ჩაწერა ტექნიკური საშუალებით საერთოდ უკვე აღარ არის საპროცესო კანონით რეგლამენტირებული და ამ მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა ბუნდოვანებით არის მოცული. ამ მომენტიდან იწყება

შემობრუნება უარესობისაკენ და საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის მოთხოვნას უკვე აღარ შეესაბამება მოქმედი საპროცესო კოდექსი.

ამრიგად, დღეისათვის სრულიად გაუგებარია, თუ როგორ და რა წესით უნდა მოხდეს გამოძიების პროცესში სატელეფონო საუბრების მოსმენა, დასაშვებია თუ არა გადაუდებელ შემთხვევებში აღნიშნული მოქმედების ჩატარება მოსამართლის ბრძანების გარეშე, შესაძლებელია თუ არა, სატელეფონო საუბრების მიყურადება და ჩაწერა მოხდეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე მოსამართლის ბრძანებით ან მის გარეშე.

1999 წლის 30 ოქტომბერს მიღებულ იქნა კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, რომლის ძალითაც განისაზღვრა სატელეფონო საუბრების მოსმენა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ჩატარების პროცესში მოსამართლის ბრძანებით. აღნიშნულმა კანონმა გადაწყვიტა პროცესუალური საკითხი, რითაც გაცხილდა თავისი კომპეტენციის ფარგლებს.

ფაქტია ის გარემოება, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი საერთოდ არ აწესრიგებს სატელეფონო საუბრების მოსმენის საკითხებს (პროცესუალურ საკითხს), მაშინ როდესაც საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის ძალით სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით წარმოებული საუბრების მოსმენა შეიძლება მხოლოდ მოსამართლის ბრძანების (გადაწყვეტილების) საფუძველზე. მოსამართლის მიერ ბრძანების გაცემის საკითხი არის მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კანონის პრეროგატივა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ კონსტიტუციის მე-20 მუხლის შესაბამისობაში უნდა იყოს მოყვანილი საპროცესო კოდექსის ის ნორმა, რომელიც მოაწესრიგებს სატელეფონო საუბრების მოსმენის საკითხს კონსტიტუციის მე-20 მუხლის შესაბამისად;

5. საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება მართლმსაჯულების მეშვეობით. მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები (83-ე მუხლის მეორე ნაწ.). მართლმსაჯულების განხორციელება კი ნიშნავს სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვა-გადაწყვეტას განაჩენის ან გადაწყვეტილების გამოტანის გზით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, სასამართლო არ არის სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანო, არ ასრულებს დაცვისა და ბრალდების ფუნქციას. ეს დებულება არის პრინციპული ხასიათისა და აღიარებულია როგორც სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი პრინციპი.

საქართველოს კონსტიტუციის 91-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველოს პროკურატურა ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას. ეს დებულება ასახულია აგრეთვე საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის პირველ ნაწილში. სისხლისსამართლებრივ დევნას ასევე ახორციელებენ: მომკვლევნი, გამოძიებელი, ე.ი. პირები, რომლებსაც უფლება აქვთ, აღძვრან სისხლის სამართლის საქმე, განახორციელონ მოკვლევის ფუნქციები, აწარმოონ წინასწარი გამოძიება.

რამდენადაც, საქართველოს კონსტიტუციის ძალით, სასამართლო ახორციელებს მხოლოდ მართლმსაჯულებასა და არა სისხლისსამართლებრივ დევნას, სწორედ ამიტომ მოსამართლეს არა აქვს უფლება, აღძრას სისხლის სამართლის საქმე კონკრეტული პირის მიმართ, ე.ი. განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა.

აღნიშნული პრინციპული ხასიათის დებულების საწინააღმდეგოდ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მოსამართლეს ანიჭებს უფლებას, აღძრას კერძო ბრალდების საქმე კონკრეტული პირის მიმართ, ე.ი. შეასრულოს ბრალდების ფუნქცია და შემდეგ იმავე მოსამართლემ არსებითად განიხილოს და გადაწყვიტოს იგივე საქმე, ე.ი. განახორციელოს მართლმსაჯულება. ბრალდებისა და მართლმსაჯულების განსორციელების ფუნქციის შესრულება ერთი და იმავე პირის მიერ ყოველად დაუშვებელია და ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.

საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის მეორე ნაწილის, 627-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. მოსამართლეს უფლება აქვს, აღძრას კერძო ბრალდების საქმე. კერძო ბრალდების საქმეთა სასამართლოში წარმოებას მიძღვნილი აქვს ცალკე თავი – „კერძო ბრალდების საქმეთა წარმოება“.

პარადოქსია 627-ე მუხლის მეოთხე ნაწილის მითითება, რომლის თანახმადაც, კერძო ბრალდების საქმეზე „თუ საჩივარი შეტანილია მოკვლევის ორგანოში, გამომძიებელთან ან პროკურორთან, მან იგი უნდა გადასცეს განსჯადობის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს“.

საპროცესო კოდექსის აღნიშნული მითითება იმას ნიშნავს, რომ მომკვლევი, გამომძიებელი, პროკურორი, რომლებსაც ევალებათ ბრალდების ფუნქციის განხორციელება, შეუძლიათ, უარი თქვან მითითებული ფუნქციის შესრულებაზე და კერძო ბრალდების საქმე გადასცენ აღსაძვრელად და განსახილველად მოსამართლეს, რომელიც უფლებამოსილი არ არის, განახორციელოს ბრალდების ფუნქცია.

მოსამართლე, რომელიც აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს კერძო ბრალდების საქმეზე და შემდგომ იგივე მოსამართლე განიხილავს საქმეს, ცხადია, ეჭვქვეშ აყენებს მის ობიექტურობას და იგი უნდა დაექვემდებაროს აცილებას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „მ“ პუნქტისა და იმავე მეორე ნაწილის შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ კერძო ბრალდების საქმეთა აღძვრა მოსამართლის მიერ იმავე მოსამართლის მიერ საქმის განხილვა-გადაწყვეტა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციასა და სასამართლოს უფლებამოსილებას, რომელსაც არ აკისრია ბრალდების ფუნქციის განხორციელება¹.

¹ აღნიშნულ საკითხზე სწორი მოსაზრება გამოთქმულია პროცესუალურ ლიტერატურაში. იხ. შავალითაძე: შ. ფაცია, მოსამართლის მიერ კერძო ბრალდების სისხლის სამართლის საქმის აღძვრის კონსტიტუციურობის საკითხები, ჟურნ. „აღამიანი და კონსტიტუცია“, 2001 წ. № 1, გვ. 136-142; კ. კობახიძე, სისხლისსამართლებრივი დევნის ნორმების გარკვევისათვის (კერძო სისხლის სამართლებრივი დევნა), ჟურნ. „სამართალი“, 2001 წ., № 7, გვ. 72-76.

როგორი უნდა იყოს გამომძიების ხვალისდელი დღე?

რთული და საპასუხისმგებლო პერიოდი უდგას დღეს საქართველოს სამართალდაცვით ორგანოებს. ქვეყანაში მსჯელობენ და კამათობენ მათი ინსტიტუციური რეფორმის შესახებ. ისტორიული კუთხით თუ შევხედავთ, ეს კანონმომხიერი პროცესიცაა, რამეთუ სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ცვლილებას ხვედასხვა ისტორიულ ეპოქაში ყოველთვის თან სდევდა სახელმწიფო ორგანოთა იმდაგვარად მოწყობა, რომელიც მიესადაგებოდა არა მხოლოდ კონკრეტული სახელმწიფოს სამოგადოების სამართლებრივ კულტურას, არამედ ცივილიზებული სახელმწიფოების გამოცდილებასაც.

ქართველმა ხალხმა აღიდგინა რა დაკარგული სახელმწიფოებრიობა და აიჩრია ევროპული ინტეგრაციის პროცესებში მონაწილეობის გზა, კიდევ აიღო ვალდებულება, იმდაგვარად განახორციელოს სამართლებრივი რეფორმა, რომელიც ადამიანს აქცევს ქვეყნის უპირველეს სამზუნავედ, უზრუნველყოფილი იქნება კანონის უზენაესობა, ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, ხალხთა თანასწორობა და ა.შ.; მოუთმენელი გახდება დანაშაულის ყოველგვარი გამოვლენა. სწორედ ეს სულისკვეთება ჩანს ანტიკორუფციული საბჭოს მიერ უშიშროებისა და სამართალდაცვის სისტემის ორგანოების ინსტიტუციური რეფორმის წინადადებების შემუშავებული ეროვნული უშიშროების საბჭოსთან არსებულ დროებით საუწყებათამორისო კომისიაში განსახილველად წარმოდგენილ „სახელი-სუფლებო სტრუქტურის რეორგანიზაციის“ პროექტში.

პროექტში ჩვენი ყურადღება მიიქცია აღმასრულებელ ხელისუფლებაში გამომძიების სახელმწიფო დეპარტამენტის შექმნის საკითხმა, რომელიც თავის თავში გააერთიანებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსა და პროკურატურის საგამომძიებო ფუნქციებს, რითაც მოხდება გამომძიების კონსოლიდაცია ერთი უწყების ქვეშ. ჩვენ ამ მოსაზრებას ნაწილობრივ ვეთანხმებით და მიგვაჩნია, რომ ამკამინდელი სახით საგამომძიებო სამსახურის შენარჩუნება შეუძლებელია.

დღევანდელი მსოფლიო იცნობს წინასწარი გამომძიების ორგანიზაციის ორ ძირითად მოდელს: ინგლისურ-ამერიკულსა და ფრანგულს. ინგლისურ-ამერიკული მოდელი გამოირჩევა იმით, რომ წინასწარი გამომძიება აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემაშია (მაგალითად, აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს სისტემაში). არსებული გამომძიების ფედერალური ბიურო, ფინანსთა

სამინისტროს საგამოძიებო სამსახური და ა.შ.); ფრანგული მოდელით, საგამოძიებო სამსახური სასამართლო ხელისუფლების სისტემაშია და სისხლის სამართლის საქმეების წინასწარ გამოძიებას სპეციალურად უფლებამოსილი მოსამართლე-გამომძიებლები აწარმოებენ (საფრანგეთი, იტალია და ა.შ.).

სხვათა შორის, წინასწარი გამოძიების ორგანიზაციის ფრანგული მოდელი რუსეთის იმპერიაში შემოღებულ იქნა 1864 წლის სასამართლო რეფორმის შემდეგ. აქ წინასწარი გამოძიების სისტემისა და წესის დადგენისას გამოყენებული იყო საფრანგეთის 1808 წლის კოდექსის დებულებანი, წინა პლანზე იყო წამოწეული სისხლის სამართლის შერეული პროცესი და უფრო მეტად იყო გარანტირებული ბრალდებულის უფლებანი, აგრეთვე გამოძიებლის დამოუკიდებლობა პროკურორის მიმართ. ამ მოდელის მიხედვით, წინასწარ გამოძიებას ატარებდნენ მოსამართლე-გამომძიებელნი, რომელნიც მოღვაწეობდნენ საოლქო სასამართლოებთან და ამ სასამართლოთა წევრების უფლებებით სარგებლობდნენ. ეს სასამართლო-გამომძიებლები დასაველეთ ევროპის სახელმწიფოთა მოსამართლე-გამომძიებლებისაგან უმთავრესად იმით განსხვავდებოდნენ, რომ ისინი ამ თანამდებობაზე ინიშნებოდნენ არა მოსამართლეთა შემადგენლობიდან გარკვეული ვადით, არამედ უვადოდ და საერთო მოსამართლეებისაგან ცალკე და ამით განსაკუთრებულ ინსტიტუტს წარმოადგენდნენ. ამ ფორმით გამოძიებამ რუსეთში იარსება 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე.

რაც შეეხება გამოძიების საბჭოურ სისტემას, მისი ისტორია იწყება რუსეთის სახკომსაბჭოს 1917 წლის 24 ნოემბრის №1 დეკრეტიდან „სასამართლოს შესახებ“. ამ დეკრეტით გაუქმდა მოსამართლე-გამომძიებლის ინსტიტუტი და წინასწარი გამოძიების ჩატარება დაეკისრა საბჭოებთან არსებულ საგამოძიებო კომისიებს. კომისიები სისხლის სამართლის საქმეებს იძიებდნენ კოლეგიურად – სამი წევრის შემადგენლობით. გამოძიების ასეთი ფორმა აიხსნებოდა იმით, რომ იმ პერიოდში განიცდიდნენ პროფესიონალი გამოძიებლების ნაკლებობას, არც ბაზა ჰქონდათ იმისა, რომ უმოკლეს ვადაში აღეზარდათ კადრები და ამ ფორმით ცდილობდნენ პროფესიონალური ჩვევების ათვისებას, გამოუმუშავენას. საგამოძიებო კომისიის დადგენილება შეიძლება გასაჩივრებულიყო რევოლუციურ ტრიბუნალში, რომლის შემადგენლობაშიც არსებობდა თვითონ საგამოძიებო კომისია, თუმცა მას არ ემორჩილებოდა სამსახურებრივად.

1918 წლის 31 იანვრიდან წინასწარი გამოძიების წარმოებისა და სისხლისსამართლებრივი რეპრესიების სასამართლოს გარეშე გამოყენების უფლება ეძლევა რუსეთის საგანგებო კომისიას.

1920 წლის 21 ოქტომბერს მიღებული და სამოქმედოდ შემოღებულ იქნა ახალი დებულება „სახალხო სასამართლოს შესახებ“. ამ დებულებით წინასწარი გამოძიების ჩატარება დაეკისრა ერთპიროვნულად მოქმედ სახალხო გამოძიებლებს.

1922 წლიდან, როდესაც მიღებულ იქნა დებულება „საპროკურორო მუდამხედველობის შესახებ“, პროკურატურას მიენიჭა წინასწარი გამოძიების სტადიაზე კანონთა შესრულებაზე ზედამხედველობის უფლება.

1928 წლამდე გამოძიებლები იმყოფებოდნენ სასამართლო ორგანოების სისტემაში და მათ ექვემდებარებოდნენ. გამოძიებელი მდგომარეობით იყო სასამართლოს გამოძიებელი (ანუ მოსამართლე-გამოძიებელი), მაგრამ არ იყო სასამართლოს წევრი. თუმცადა აღმინისტრაციულად იგი სასამართლოს ექვემდებარებოდა, ხოლო წინასწარ გამოძიებას კი პროკურორის ზედამხედველობით ასორციელებდა. პროკურორის მითითებანი კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე მისთვის სავალდებულო იყო. ზოგიერთ სადავო საკითხში გამოძიებელს უფლება ჰქონდა, თუ ის პროკურორის მითითებებს არ ეთანხმებოდა, გადასაწყვეტად გადაეცა სასამართლოსათვის.

გამოძიებლის ორმაგ დაქვემდებარებას წერტილი დაესვა 1928 წელს, როდესაც გამოძიებლები ჩამოაშორეს სასამართლო სისტემას და გადაიყვანეს პროკურატურის აპარატში, ასე რომ, გამოძიებლები საპროცესო კონტროლის მხრივ და აღმინისტრაციულადაც დაუქვემდებარეს პროკურატურას. ასეთი რეფორმა აიხსნა იმით, რომ გამოძიების „ორმაგი დაქვემდებარება“ სასამართლოსა და პროკურატურისადმი, თუნდაც განსხვავებულ სფეროებში, ართულებდა გამოძიების ხელმძღვანელობას.

უფრო მოგვიანებით, კერძოდ კი 1963 წლიდან, საგამოძიებო სამსახურები ყალიბდება სამოგალოებრივი წესრიგის დაცვის (შემდეგში შინაგან საქმეთა) სამინისტროს სისტემაში.

საბოლოო ჯამში გამოძიების ორგანოები შენარჩუნდა პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს უწყებებში. საქართველოში ამჟამადაც ამ უწყებებშია თავმოყრილი წინასწარი გამოძიება.

საბჭოთა პერიოდში, როდესაც პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით, ავად თუ კარგად ახერხებდნენ წინასწარი გამოძიების ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას, უმთავრეს პრობლემად წარმოჩნდებოდა ხოლმე წინასწარი გამოძიების ხარისხის ამაღლება, სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისას დეფექტებისა და კანონის დარღვევათა აღმოფხვრა. მაგრამ აღნიშნული პრობლემის გადაჭრას გარკვეული სიძნელეებიც ელოებოდა. ერთი მხრივ, კანონმდებელი იძლეოდა სისხლის სამართლის საქმეთა განსაზღვრულ წრეს, რომლებმაც სავალდებულო იყო წინასწარი გამოძიება, ხოლო, მეორე მხრივ, ზრდიდა იმ საქმეების წრეს, რომელთა გამო გამოძიება შეიძლებოდა მოკვლევით დამთავრებულიყო (შემდგომი წინასწარი გამოძიების ჩაუტარებლად), იზრდებოდა მოკვლევაზე საპროცესო ფორმების გავრცელება, რომლებსაც წინათ მხოლოდ წინასწარ გამოძიებას მიაკუთვნებდნენ (ბრალდების წაყენება, საბრალდებო დასკვნის შედგენა და ა.შ.), ე.ი. შეიძლება დავასკვნათ, რომ მოკვლევა გარკვეულწილად ცვლიდა, უახლოვდებოდა წინასწარ გამოძიებას.

მოკვლევის დაახლოება წინასწარ გამოძიებასთან გამოიხატა ჯერ კიდევ რუსსრ-ის პირველ, 1922 წლის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, მკვეთრი გარდატეხა ამ სფეროში მოხდა 1924 წელს საბჭოთა იუსტიციის მოღვაწეთა სრულად რუსეთის V ყრილობაზე, სადაც საჭიროდ ცნეს მოკვლევის მკვეთრად დაახლოება წინასწარ გამოძიებასთან. ეს წესი ვრცელდებოდა, რა თქმა უნდა, საქართველოშიც. ის კი არადა, ზოგიერ-

თი რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში საერთოდ მოხსნილი იყო განსხვავება მოკვლევასა და წინასწარ გამოძიებას შორის, ისინი შეერთდა „წინასწარი მოკვლევის“ ერთიან საპროცესო წესად, ე.ი. მოკვლევა შეიმოსა წინასწარი გამოძიების ფორმებით.

ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით, სწავლულ იურისტებს შორის გაჩნდა მოსაზრებაჲ. თაიდან რომ იქნეს აცილებული პარალელიზმი სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებისას პროკურატურის გამოძიებლებსა და მოკვლევის ორგანოების გამოძიებლებს შორის, მიზანშეწონილი ხომ არაა, შეიქმნას საგამოძიებო აპარატი მილიციის სისტემაში და შეიკვეცოს გამოძიებლის ინსტიტუტი პროკურატურის ორგანოებში.

ხსენებულ მოსაზრებას უარი ეთქვა 1958 წლის „სისხლის სამართალწარმოების“ საფუძვლებით, სადაჲ აღინიშნა, რომ წინასწარ გამოძიებას აწარმოებენ პროკურატურის გამოძიებლები და განსაკუთრებით სამიშ სახელმწიფოთა დანაშაულებებზე სახელმწიფო უშიშროების ორგანოების გამოძიებლები. მილიციის ორგანო კი განისაზღვრა როგორც აღმინისტრაციული ორგანო, რომელიც საზოგადოებრივი წესრიგის დაკვირვა და სამძებრო-ოპერატიული საქმიანობის სრულყოფილად განხორციელების მიზნით ასრულებს სხვადასხვაგვარ ფუნქციებს. თუმცაჲ, როგორც უკვე ზემოთ შევნიშნეთ, 1963 წლიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში მაინც ჩამოყალიბდა საგამოძიებო აპარატი, და უკვე, 60-იანი წლებიდან წინასწარ გამოძიებას ახორციელებდნენ: პროკურატურის გამოძიებლები, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს გამოძიებლები. თავის მხრივ კი, მილიციის ორგანო განახორციელებდა მოკვლევას ორი ფორმით: ა) როდესაც წინასწარი გამოძიება სავალდებულო იყო და ბ) როდესაც წინასწარი გამოძიება სავალდებულო არ იყო, მოკვლევის ორგანო მოკვლევის მასალის საბრალდებო დასკვნით წარუდგენდა პროკუროს და მისი დასტურით საქმე იგზავნებოდა სასამართლოში განისაზღვრულად.

ცალკეულ უწყებებში საგამოძიებო აპარატის არსებობა სოცოცხლისუნარიანს ხდიდა და დღესაც ხდის იღვას „ერთიანი საგამოძიებო აპარატის“ შექმნის შესახებ.

საქართველოში ბოლო წლებში მიმდინარე პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა პროცესებმა თავისი კვალი დატოვა სახელმწიფო ორგანოთა სისტემაზე და მათ შორის საგამოძიებო სამსახურზეც.

გარდაუვალი გახდა საგამოძიებო სამსახურის რეფორმა. ამჟამად, რომ არსებულის შენარჩუნება შეუძლებელია. მას სალხი არ ენდობა, საჭიროა ჩამოყალიბდეს თვისებრივად სახეშეცვლილი საგამოძიებო რგოლი, რომელიც შეძლებს ავტორიტეტის მოპოვებას საზოგადოების თვალში.

ასეთად გვესახება: სასამართლო ხელისუფლებაში, კერძოდ კი პროკურატურის დაწესებულებაში, მაგრამ აღმინისტრაციულად პროკურატურისაგან დამოუკიდებლად, უნდა შეიქმნას გამოძიების ცენტრალური სახელმწიფო დეპარტამენტი, ცენტრალური სამძებრო-ოპერატიული სამსახურით. ორგანიზაციულად პროკურატურისა და გამოძიების რგოლის ერთად განთავსება გამართლებულია იმიო, რომ სისხლის სამართლის საქმის წარმოება ერთიანი პროცესია და მისი ოპერატიულად წარმართვა ამ მხრივ

უფრო ეფექტური, შედეგიანი იქნება. გამოძიების ცენტრალური სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელის დანიშვნა იმდაგვარად უნდა ხდებოდეს, როგორც საქართველოს გენერალური პროკურორის, ხოლო ქვემდგომი საგამოძიებო რგოლების დანიშვნას უნდა ახორციელებდეს გამოძიების ცენტრალური სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელი. ცენტრალური სამძებრო-ოპერატიული სამსახურის უფროსს უნდა ნიშნავდეს დეპარტამენტის ხელმძღვანელი და იგი უნდა იყოს საგამოძიებო დეპარტამენტის ხელმძღვანელის ერთ-ერთი მოადგილე. ტერიტორიულად ერთ შენობაში პროკურატურისა და გამოძიების ორგანოების განთავსება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მოხდება პროკურატურის უწყების უფლებამოსილების გაზრდა, მისი მონსტრად ქცევა. ფაქტობრივად, ისინი იქნებიან დამოუკიდებელი უწყებები და იხელმძღვანელებენ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებით. ერთის ფუნქცია იქნება გამოძიება, ხოლო მეორის სისხლისსამართლებრივი დენის განხორციელება და სასამართლოში სახელმწიფო ბრალდებისათვის მსარდაჭერა. რაც შეეხება ეგრეთწოდებულ საპროცესო ხელმძღვანელობას გამოძიების მიმართ, მიგვაჩნია, რომ იგი უნდა განახორციელოს გამოძიების ცენტრალური სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა და შესაბამისი საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელებმა. მათი უკანონო მოქმედება კი პროცესის მონაწილეებმა უნდა გაასაჩივრონ შესაბამის სასამართლოებში.

შემოთ ხსენებულ ნაბიჯის გადადგმით მივიღებთ ერთი უწყების ქვეშ განთავსებულ ძლიერ საგამოძიებო რგოლს. მომძღაერდებიან და უფრო ეფექტურად განახორციელებენ კანონმდებლობით მინიჭებულ და მათთვის კუთვნილ ფუნქციებს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო და პროკურატურა.

სისტემა ერთიანი საგამოძიებო სამსახურისა ასეთ რიგად გვესახება: იქნება ცენტრალური საგამოძიებო დეპარტამენტი, ავტონომიური რესპუბლიკების საგამოძიებო დეპარტამენტები და რაიონის (ქალაქის) საგამოძიებო ნაწილები. საგამოძიებო სამსახურებთან აუცილებლად უნდა არსებობდეს სამძებრო-ოპერატიული სამსახური. მოკვლევა, როგორც წინასწარი გამოძიების თავდაპირველი ეტაპი, უნდა გაუქმდეს.

ცენტრალური საგამოძიებო დეპარტამენტის ქვემდებარეობაში უნდა იყოს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა და სახელმწიფო მოხელეთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა გამოძიება. ცენტრალურმა აპარატმა უნდა მოიცვას ყველა ის რგოლი, რომელიც დღეს არსებობს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში და გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში. აქვე უნდა იყოს ცენტრალური სამძებრო-ოპერატიული სამსახურიც, რომელიც ორგანიზაციულად დაემორჩილება ცენტრალური საგამოძიებო დეპარტამენტის ხელმძღვანელს.

რაც შეეხება ავტონომიური რესპუბლიკების საგამოძიებო დეპარტამენტებსა და რაიონის (ქალაქის) საგამოძიებო ნაწილებს, მათ დაქვემდებარებაში უნდა მოექცეს მძიმე და ნაკლებადმძიმე დანაშაულთა გამოძიება. მათ სისტემაში უნდა შეიქმნას სხვადასხვა განყოფილება დანაშაულთა სახეობითი ობიექტების მიხედვით, რაც დანაშაულთა გამოძიებას გახდის ეფექტურს და, თავის

მხრივ, აამაღლებს გამოძიებულთა პროცესიონალიზმს. აღნიშნული საგამოძიებო რგოლებიც მონაბრუნება თავისი სამსახურ-ოპერატიული სამსახურით.

თუმცა შესაძლებლად მიგვაჩნია, დანაშაულის ხელყოფის ობიექტის მიხედვით საგამოძიებო რგოლებში შექმნილი განყოფილებები, თავიანთი სპეციფიკიდან გამომდინარე, გატანილ იქნენ ცალკეულ სახელმწიფო უწყებებში, მაგალითად: საფინანსო სფეროში ჩაღვნილ დანაშაულთა გამოძიება განახორციელონ ფინანსთა სამინისტროსთან არსებულმა საგამოძიებო სამსახურებმა და ა.შ., მაგრამ ცალკეულ სახელმწიფო უწყებებთან არსებული საგამოძიებო სამსახურები უნდა დაექვემდებარონ და ანგარიშით წარსდგნენ ერთიანი ცენტრალიზებული საგამოძიებო დეპარტამენტის წინაშე.

საგამოძიებო რგოლების ძირითადი ფუნქცია უნდა იყოს გამოძიება. მათ იურიდიულ ფაქტთან დაკავშირებით უნდა ჩაატარონ მთლი რიგი საგამოძიებო მოქმედებებისა, მოიპოვონ ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებები და, როდესაც მიიჩნევენ, რომ კონკრეტული პირის მიმართ ბრალდების წასაყენებლად საკმარისი მტკიცებულებები არსებობს, საქმე შემდგომი მსვლელობისათვის უნდა გადასცენ შესაბამის პროკურატურის ორგანოს, რომელსაც მიეცემა შესაძლებლობა, კლასიკური ფორმით განახორციელოს კონსტიტუციით მინიჭებული სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის განხორციელება. ე.ი. ჩვენ შევნიშნავთ, რომ პირის სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყება მას შემდეგ, როდესაც პროკურორი საგამოძიებო რგოლისაგან მიღებულ მტკიცებულებებს საკმარისად მიიჩნევს იმისათვის, რათა ეჭვმიტანილ პირს წარედგინოს ბრალდება. მას ამასთან დაკავშირებით გამოაქვს დადგენილება პირის ბრალდებულის სახით პასუხისმგებამი მიცემის შესახებ და ჩაერთვება უკვე სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში.

ჩვენ მიგვაჩნია, რამდენადაც საქმის წარმოება გამოიყენა საგამოძიების ორგანოდან და გადაეცა პროკურატურის ორგანოს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისათვის, სისხლის სამართლის საქმის ეს წარმოება უნდა მონათლოს სისხლისსამართლებრივი დევნის სტადიად. ამ სტადიაზე საქმის წარმოების ბატონ-პაგრონი არის პროკურორი, იგი წარუდგენს ეჭვმიტანილ პირს ბრალდებას და დაკითხავს მას ბრალდებულის სახით. ბრალდებულის დაკითხვისას მან უნდა დაისწროს საგამოძიებელი (რა თქმა უნდა, ის საგამოძიებელი, რომელმაც მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე შეკრიბა მტკიცებულებები) და ბრალდებულის უფლებების დამცველი. საგამოძიებელს, დამცველს შეუძლია, დაუსვან ერთმანეთს ან ბრალდებულს შეკითხვა, მაგრამ მხოლოდ პროკურორის თანხმობით.

მას შემდეგ, რაც პროკურორი მიიღებს სისხლის სამართლის საქმეს წარმოებაში, უფლება ექნება, ბრალდებულის მიმართ ბრალდების გასამაგრებლად მოითხოვოს დამატებით მტკიცებულებები (რომელიც, რა თქმა უნდა, არ იყო საგამოძიების მეორე მოპოვებული), გადაამოწმოს საგამოძიებლის, დამცველის მიერ მოპოვებული მასალები.

ყოველივე მას შემდეგ, როდესაც ბრალდებული დაკითხება, შემოწმდება სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებები, პროკურორი წერს საბრალდებო დასკვნას და საქმეს წარმოებისათვის გადასცემს შესაბამის სასამართლოს.

აქვე, საბრალდებო დასკვნასთან დაკავშირებით დავსძენდით ჩვენს მოსაზრებასაც – მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეიქვეყნოს საბრალდებო დასკვნის ფაბულა. სასურველი არ არის, პროკურორმა თავისი ბრალდების გასამაგრებლად მოახდინოს ცალკეულ მტკიცებულებათა შეფასება და ამის ფონზე დაწეროს ვრცელი საბრალდებო დასკვნა (არ არის გამორიცხული, სასამართლო გამამტყუნებელი განაჩენის გამოგანის დროს დაესესხოს პროკურორის ანალოზს, კარგა იქნება, თუკი პროკურორი, თუნდაც ასეთი გამარტივებული შინაარსით, გამოხატავდა თავის პოზიციას: „რომ გამოძიების ორგანოების მიერ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების შესწავლითა და ჩვენ მიერ მოპოვებული მასალებით მივედით იმ დასკვნამდე, რომ სისხლის სამართლის საქმეში საკმარისი საფუძველია ბრალდებულის სამართალში მისაყვამად“.

აქვე იმასაც შევნიშნავთ, რომ თუ პროკურორმა გამოძიებლის მიერ წარდგენილ სისხლის სამართლის საქმეში ვერ იპოვა ბრალდების დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებები, ის შეინიშნებით საქმეს უბრუნებს გამოძიებელს.

ბევრთ აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, შეიძლება მივიღეთ იმ დასკვნამდე, რომ: 1) ისტორიულად ჩვენს ქვეყანაში გამოძიება ყოველთვის ფრანგულ მოდელთან იყო ახლოს, ამ დამკვიდრებულ გრადიციას უარი არ უნდა ეთქვას, პირიქით, ვფიქრობთ, უფრო დახვეწილი სახით უნდა წარმოჩნდეს. როდესაც ამას ვამბობთ, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ გამოძიება უნდა განთავსდეს არა აღმასრულებელ ხელისუფლებაში, არამედ სასამართლო ხელისუფლებაში, ამით პროგრესულ ნაბიჯს გადავდგამთ ხელისუფლების დანაწილების პრინციპის რეალურად განხორციელების საქმეში.

თავიდან იქნება აცილებული აღმასრულებელი ხელისუფლების ჩარევა გამოძიებაში. მხედველობაში გვაქვს შეზღვევა: აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომლის სისტემაშიც იარსებებს გამოძიება, ფაქტობრივი შესაძლებლობა ექნება, ზეგავლენა მოახდინოს მასზე, სასამართლო კი მოგ შემთხვევაში უძლური იქნება, გამოასწოროს გამოძიების ხარევი. ამდენად, აღმასრულებელი ხელისუფლება არაპირდაპირ მეგავლენას მოახდენს სასამართლო ხელისუფლებამდე;

2) სისხლის სამართლის საქმის ოპერატიულად წარმოებისა და სახელმწიფოს მხრიდან დამატებითი ხარჯების თავიდან აცილების მიზნით გამოძიება, თავისი სამმებრო-ოპერატიული სამსახური ი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო რეალი, გერიტორიულად უნდა განათავსდეს პროკურატურაში;

3) მოკვლევა, როგორც წინასწარი გამოძიების თავდაპირველი ეტაპი, უნდა გაუქმდეს;

4) გამოძიების ორგანოების ფუნქცია უნდა იყოს გამოძიება, კონსტიტუციით მინიჭებული სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია, რაც, როგორც ეს ბევრ ცივილიზებულ ქვეყანაშია, კლასიკური ფორმიი უნდა რეალურად განახორციელოს პროკურატურამ;

5) სისხლისსამართლებრივი დენა, რომელიც ხასიათდება თავისებურებათა მთელი რიგით, უნდა ჩამოყალიბდეს სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესის დამოუკიდებელ სტადიად;

6) დაიხვეწოს საბრალდებო დასკვნა (რაც უნდა აისახოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში).

შენიშვნის სახით დაესქენდით, რომ თუნდაც უნიკალური პროექტის შექმნა სამართალდაცვითი ორგანოებისა და საჯამოძიებო სამსახურის მოწყობის შესახებ, საკმარისი არ არის. აღნიშნული რგოლების ეფექტურად ასამუშავებლად, უპირველეს ყოელისა, საჭიროა: ა) აქ მოღვაწე მუშაკების საქმისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა; ბ) მაგერიალურ-გექნიკური ბაზის არსებობა; გ) მუშაკთა პროფესიონალიზმის ამაღლებასთან ერთად მათი ანამლაურების საერთაშორისო სტანდარტებისადმი მისადაგება.

დაცვალის მიერ ვიქტიმოლოგიური მონაცემების გამოყენების შესახებ

თანამედროვე პირობებში დიდია ინტერესი დაცვის ინსტიტუტის ყველა საკითხის კომპლექსური გამოკვლევისადმი. საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, დამცველი მოვალეა, გამოიყენოს დაცვის ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი იმ გარემოებათა გამოსავლენად, რომლებიც ამართლებენ ბრალდებულს, ანდა ამსუბუქებენ მის პასუხისმგებლობას. ამიგომ ბრალდებულის დაცვის ჯეროვნად განსახორციელებლად მნიშვნელოვანია დამცველის მიერ არა მხოლოდ ბრალდებულის მოქმედების ან პიროვნების შესახებ მონაცემების დადგენა, არამედ ისეთი მონაცემების გამოკვლევაც, რომლებიც ახასიათებენ დაზარალებულს.

ვიქტიმოლოგიური მონაცემები შეიძლება გახდეს ბრალდებულის გამართლების ან უფრო ნაკლებად მძიმე ბრალდებით მისი ქმედების დაკვალიფიცირების, ან სასჯელის შემსუბუქების, ანდა სასჯელისაგან და საერთოდ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან მისი განთავისუფლების საფუძველი.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულებრივი ხელყოფის მსხვერპლთან დაკავშირებული საკითხები შეიძლება იყოს სხვადასხვა მეცნიერული დისციპლინების – კრიმინოლოგიის, სასამართლო ფსიქოლოგიის, სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესის შესწავლის საგანი. ამასთან, თითოეული მეცნიერება ამ საკითხებს შეისწავლის განსხვავებული კუთხით, მსხვერპლთან დაკავშირებულ საკითხებს კი კომპლექსში იკვლევს ვიქტიმოლოგია.

ცნობილია, რომ „ვიქტიმოლოგია“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს სწავლებას მსხვერპლის შესახებ. მეცნიერებაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ ორ ცნებას: „ვიქტიმურობა“ და „ვიქტიმიზაცია“.

ვიქტიმურობა არის პიროვნების დახასიათება, ადამიანის გაბრდილი, მომეტებული უნარი, მიდრეკილება, გახდეს დანაშაულებრივი ხელყოფის მსხვერპლი.

ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება ვიქტიმურობაზე, როგორც ქცევის მახასიათებელზე. ქცევის ვიქტიმურობა იმით გამოიხატება, რომ პირი განსაზღვრულ სიტუაციაში თავისი მოქმედებით უქმნის საფრთხეს საკუთარ თავს, გახდეს დანაშაულის მსხვერპლი. ამასთან, ვიქტიმურია მხოლოდ ის მოქმედება, რომელიც განსხვავდება მსგავს სიტუაციაში დანაშაულის მსხვერპლთა უმრავლესობის ჩვეულებრივი მოქმედებისაგან, ქცევი-

საგან, ეს არაჩვეულებრივი ქცევა ზრდის დანაშაულის ჩადენის ალბათობას იმ პირობის მიმართ, რომლებიც უშვებენ ვიქტიმურ მოქმედებას.¹

ვიქტიმურობა შეიძლება გარკვეულწილად განვიხილოთ როგორც დაზარალებულად პირის გახდომის ალბათობა, რაც განპირობებულია პირადი, პროფესიული, სოციალურ-ფსიქოლოგიური თვისებების ერთობლიობით.

ვიქტიმიზაცია კი აღწერს პოტენციური მსხვერპლის რეალურ მსხვერპლად გადაქცევის პროცესს.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ არსებობს ადამიანთა გარკვეული კატეგორია, რომლებიც ვიქტიმურობით ხასიათდებიან, ე.ი. უნარით, გახდნენ დანაშაულის მსხვერპლნი მაშინ, როდესაც იგი შეიძლებოდა თავიდან ყოფილიყო აცილებული. ამიგომ დანაშაულთა გარკვეული ნაწილის ჩადენა განპირობებულია თვით მსხვერპლის ქცევით. აქედან გამომდინარე, ბევრ შემთხვევაში დანაშაულის გამოძიება და სასამართლოს მიერ სამართლიანი განაჩენის გამოტანა შეუძლებელია დაზარალებულის პიროვნების დეტალური შესწავლის, მსხვერპლის ქცევის ღრმა გამოკვლევის გარეშე.

ვიქტიმოლოგიურ მონაცემებს მნიშვნელობა აქვთ „მსხვერპლის მეშვეობით“ დანაშაულის გახსნისათვის, ბრალდებულის პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციისათვის, დანაშაულის პროფილაქტიკისათვის. ვიქტიმოლოგიური მონაცემების შესწავლას ასევე მნიშვნელობა აქვს პოტენციური მსხვერპლის გამოვლენისათვის, იმ დაზარალებულთა გამოვლენისათვის, რომელთა ქცევა, ცხოვრების წესი ქმნის კრიმინოგენურ და ვიქტიმოგენურ სიტუაციას.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვიქტიმურობა არ შეიძლება იყოს დანაშაულის დამოუკიდებელი მიზეზი. მხოლოდ კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციაში, ბრალდებულის პიროვნულ-ფსიქოლოგიური თვისებების გათვალისწინებით, მან შეიძლება ხელი შეუწყოს საზოგადოებრივად სამიში შედეგის დადგომას. ადამიანთა არცთუ მცირე რაოდენობა ვარდება კონფლიქტურ სიტუაციაში, მაგრამ მხოლოდ ერთეულები პოულობენ დანაშაულში გამოსავალს. მართალია, დაზარალებულის ქცევამ არ შეიძლება მექანიკურად გამოიწვიოს სხვა პირთა მიერ დანაშაულის ჩადენა, მაგრამ დანაშაულის მოტივის ფორმირებაზე უთუოდ გააულებას ახდენს დაზარალებულის პიროვნება და მისი ქცევა. ამიგომ დაზარალებულის ნეგატიური ქცევა შეიძლება იყოს დანაშაულის ჩადენის ან მისი პროვოცირების ხელშემწყობი ფაქტორი.

იურიდიულ ლიტერატურაში სადასკუსიოა საკითხი დაზარალებულის პროცესუალური სტატუსის მინიჭების შესახებ იმ პირობებზე, რომლებიც თავიანთი ანგისაზოგადოებრივი ქცევით ვიქტიმური არიან, გარკვეულ შემთხვევებში დაზარალებულის არამართლზომიერმა ქცევამ მოგიერთ პროცესუალისგს (ვ. დუბროვნი, ლ. ილინა, ვ. სტრემოვსკი) მისცა საბაბი, რეკომენდაცია მიეცათ გამოძიების ორგანოებისა და სასამართლოსათვის – არ ეცნოთ დანაშაულის შედეგად დაზარალებული პირები დაზარალებულად თავიანთი უღირსი ქცევის გამო და დაშვებულ იქნენ ისინი საქმეში მოწ-

¹ იხ. Франк Л. В., Витимология и витимность, Душанбе, 1972, с. 18, 19; Рыбалская В. Я., Витимологические исследования в системе криминологической разработки проблем профилактики преступлений несовершеннолетних, в кн.: Вопросы борьбы с преступностью, вып. 33, М., 1980, с. 33; Антонов-Романовский Г. В., Лютов А. А., Витимность и нравственность, в сб.: Вопросы борьбы с преступностью, вып. 33, М., 1980, с. 43.

მის სახით. უღირსი ქცევა გულისხმობს იმას, რომ დაზარალებულის ქცევა წინდაუხედავია, სარისკო, ქარაფშეგული, პროვოკაციული, რასაც შედეგად მოჰყვება ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენა.

დაზარალებულის შესახებ მონაცემები ხშირად განსამზღვრავს დამცველის პროცესუალურ პოზიციას. დაცვის ეფექტურობიდან გამომდინარე, დამცველის მიზანია, არა მხოლოდ გააქარწყლოს დაუსაბუთებელი ბრალდება, არამედ გამოძიებასა და სასამართლოს წარუდგინოს ყველა მონაცემი, რომლებიც მეტყვევებენ ბრალდებულის, განსასჯელის სასარგებლოდ.¹

დაცვის ფუნქციის ჯეროვანი განხორციელების მიზნით დამცველმა ღრმად უნდა გამოიკვლიოს დაზარალებულის პიროვნება და მისი მოქმედების დამახასიათებელი ფაქტორები, დაადგინოს მისი დამოკიდებულება ბრალდებულთან. აღნიშნული გარემოებები განსაკუთრებით ყურადსაღებია მკვლელობის, გაუპატიურებისა და ავტოსატრანსპორტო დანაშაულებათა საქმეებზე.

პრაქტიკით აღდგენილია, რომ არიან ადამიანები, რომლებიც ხშირად გამოდიან დაზარალებულის როლში და წარმოადგენენ ე.წ. „რეციდივისტ დაზარალებულებს“. ცნობილია ისეთი სისხლის სამართლის საქმეები, რომლებშიც დაზარალებულებმა მძიმე შეურაცყოფით, სიმკაცრით, ღესპოგიზმით, ავრესიულობითა და ა.შ. მოახდინეს ბრალდებულის ქცევის პროვოცირება, ამიგომ ხშირ შემთხვევაში რომ არა დაზარალებულთა არასათანადო ქცევა, მრავალი დანაშაული არ იქნებოდა ჩადენილი. დაზარალებულის არასწორი მოქმედება ხშირად ბრალდებულის ღებორიენტირებას იწვევს. ბრალდებულს უჭირს, გაერკვეს დაზარალებულის განზრახვაში, კარგავს თვითკონტროლს, რადგან მოქმედებს არაორდინარულ, ემოციური დატვირთვის მდგომარეობაში, არ გააჩნია საკმარისი თვითშეკავება და არ შეუძლია ღრმად გააანალიზოს თავისი გადაწყვეტილება.

თუ დაზარალებულის ქცევა იყო გამომწვევი, პროვოკაციული, მაშინ ბრალდებულის ქმედების საშიშროება, რომელიც ამ პროვოკაციას წამოეგო, მნიშვნელოვნად უნდა შემცირდეს.

საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად აუცილებელია ვიქტომოლოგიური მონაცემების ყოველმხრივი, სრულყოფილი და ობიექტური დადგენა. ამასთან, სასამართლომ უნდა გააანალიზოს არა მხოლოდ დაზარალებულის - პიროვნებისა და ქცევის შესახებ ობიექტური მონაცემები, არამედ მათ შესახებ ბრალდებულის სუბიექტური შეფასებაც.

გარკვეულ შემთხვევაში დამცველმა, ბრალდებულის სრულყოფილი დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოში უნდა დააყენოს მოტივირებული შუამდგომლობა და დაასაბუთოს დაზარალებულის პიროვნებისა და მისი ქცევის შესახებ მონაცემების გათვალისწინების აუცილებლობა, რამდენადაც ამაზე შეიძლება იყოს დამოკიდებული როგორც ბრალდებულის რეაბილიტაცია, ასევე მისი ბრალის ხარისხის განსაზღვრა.

დამცველს უფლება აქვს, დაზარალებულის პიროვნების შესახებ დახასიათებები, ცნობები და სხვა დოკუმენტები, რაც აუცილებელია ბრალდებულის დაცვისათვის, გამოითხოვოს ადვოკატურის მეშვეობით სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში შეკითხვის გაგზავნის გზით.

¹ ივ. Филимонов Б. А., Защитник в германском уголовном процессе, М., 1997, с. 41, 99.

მეტად მნიშვნელოვანია სისხლის სამართალწარმოებაში ვიქტიმოლოგიური ასპექტების მოცულობის სწორი განსაზღვრა. ამ მონაცემების უზომო გაფართოებამ შეიძლება გამოიწვიოს გამოძიებასა და სასამართლოში საქმის განხილვის ვადების გაზრდა, საქმის დაგვირგითა ისეთი ფაქტებითა და გარემოებებით, რომელთაც არა აქვთ განსაკუთრებული მნიშვნელობა საქმის არსებითად გადასაწყვეტად, მაგრამ, მეორე მხრივ, სისხლის სამართალწარმოებაში ვიქტიმოლოგიური ასპექტების გაუმართლებელმა შემცირებამ შეიძლება გამოიწვიოს სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის არასისრულე და ცალმხრივობა, რაც წარმოადგენს განაჩენის გაუქმების ან შეცვლის საფუძველს.

დამზარალებულის შესახებ მონაცემების იგნორირებას, მათ არასწორ შეფასებას მოსდევს სასამართლო შეცდომები. იურიდიულ ლიტერატურაში არაერთხელ აღინიშნა ისეთი განაჩენების მედარობის შესახებ, რომლებშიც არაფერია ნათქვამი დამზარალებულთა უარყოფითი მონაცემების შესახებ.

ფეიქრობთ, სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ პროვოცირებული დანაშაულის ჩადენისათვის დამზარალებულის ვიქტიმოლოგიური მონაცემები, როგორც ბრალდებულის ერთ-ერთი შემამსუბუქებელი გარემოება. ამასთან, განაჩენში უნდა აისახოს სწორედ დამზარალებულის ვიქტიმოლოგიურმა მონაცემებმა რომ განაპირობეს განსასჯელის ბრალის შემსუბუქება.

დამკვლელმა არა მარტო უნდა აღძრას შეამდგომლობა გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს, არამედ თავის დაცვით სიყველაში სასამართლო კამათში გამოსვლისას ხაზგასმით უნდა აღნიშნოს დამზარალებულის ვიქტიმოლოგიური მონაცემებისა და მათი როლის შესახებ განსასჯელის მიერ დანაშაულის ჩადენაში და, შესაბამისად ამისა, უნდა იშუამდგომლოს სასამართლოს წინაშე განსასჯელის ბრალდების შემსუბუქების, ან უფრო ნაკლები ბრალდებით მისი მსჯაერდების, ანდა გამამართლებელი განაჩენის გამოტანის თაობაზე.

ვიქტიმოლოგიური მონაცემების გათვალისწინება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა ბრალდების საქმეებზე. მათ მოქმედებაზე გავლენას ახდენს როგორც ცხოვრებისეული გამოცდილების არასაკმარისობა და ინტელექტუალური განვითარების დაბალი დონე, ასევე, ხშირ შემთხვევაში, დამზარალებულის პროვოცაციული, მართლსაწინააღმდეგო და ამორალური ქცევა. ზოგიერთ შემთხვევაში ასეთმა ქცევამ უნდა შეამციროს, ან საერთოდ გამორიცხოს არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

როგორც სამართლიანად აღნიშნავენ ლ. ფრანკი,¹ დამნაშავეობის შემცირება დამოკიდებულია არა მხოლოდ იმ პირთა შემცირებაზე, რომლებსაც ევენტუალურად შეუძლიათ გახდნენ დამნაშავენი, არამედ იმ პირთა რაოდენობის შემცირებაზეც, რომლებსაც პოტენციურად შეუძლიათ გახდნენ დანაშაულებრივი ხელყოფის მსხვერპლნი.

¹ იხ. ლ. ფრანკი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 25.

სისხლის სამართალწარმოების გამარტივების თანამედროვე პრობლემები (კომპაქტური სქემატური ფორმატი)

1. მცირე ექსკურსი: ისევე, როგორც თანამედროვე მსოფლიოს ცხოვრების სადღეისო და სახვალყო პერიპეტეებს ღიდად განსაზღვრავს ორი საყოველთაო, საკაცობრიო მასშტაბის ტენდენცია – გლობალიზაცია და ლოკალიზაცია, სისხლის სამართალწარმოებაშიც აშკარად მეტოქეობს (და ეს „სულისკვეთება“ მეტ-ნაკლებად საუკუნეთა თანამდევიცაა!) ორი ურთიერთსაპირისპირო ტენდენცია თუ „საპროცესო პარადიგმა“: პროცესის გართულება და პროცესის გამარტივება. თუ ბოლო საუკუნეებში – თვით მე-20 საუკუნის ბოლო პერიოდამდეც კი – ღომინანტობდა პროცესის გართულების (რაც, სავსებით საფუძელიანად, ადამიანის უფლებათა გარანტირების ხარისხის ამაღლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებად იყო მიჩნეული) ტენდენცია, თანდათანობით თავი იჩინა მისმა საპირისპირო ტენდენციამ – პროცესის მეტ-ნაკლებად გამარტივებამ მის სხვადასხვა სტადიასა თუ ეტაპზე.

როგორ გამოიხატა ღემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოებისათვის ამ ფრიად „უხეზხული“ ტენდენციის წარმოშობისა და მისი თანდათანობითი „აჩქარების“ მიზეზები თუ თეორიულ-კონცეპტუალური წანამძღვრები?

2. პროცესის გამარტივების მიზეზები და თეორიული წანამძღვრები (მოკლე მიმოხილვა). სისხლის სამართალწარმოების პერმანენტული გართულების (მათ შორის სულ უფრო მზარდი ფორმალიზაციის) თეორიული ბაზის ამოსაყვალ (საყრდენ) დებულებას ღემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს იდეისკენ მიღრეკილი ქვეყნებისათვის წარმოადგენდა შემდეგი: სისხლის სამართალწარმოება თავისი იმანენტური ბუნებით იმთავითვე მეგად ფაქიზია, რადგან იგი არეგულირებს სამართალდარღვევათაგან ყველაზე მძიმეზე – სისხლის სამართალდარღვევებზე ანუ დანაშაულებზე¹ რეაგირების პროცედურას. ამიტომ მას

¹ აქ, ცხადია, მხედველობაშია გრადიციული საბჭოურ-სოციალისტური და პოსტსოციალისტური მოღელი, რომლის მიხედვითაც ყველა სისხლისსამართლებრივი დარღვევა დანა-

გაცილებით უფრო მკაცრად, დეტალურად, სკრუპულოზურად სჭირდება მოწესრიგება – ფორმალიზაცია, რაც ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლებრივ (კერძოდ, საპროცესო-სამართლებრივ) გარანტიათა სისტემის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილთაგანია.

საგანგებოდ გამარტივებულ ამ ფორმულაში არეკლილი შემოსენებელი ტენდენცია იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ, მისი წყალობით, უცხოურ თუ ქართულ (საბჭოურ და პოსტსაბჭოურ) სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობებში (დოქტრინაზე რომ არაფერი ვთქვათ) თანდათან დაგროვდა და „დაიღეჭა“ მეტად გართულებული, მოჯაჯერ აბსურდულობამდე მისული პროცედურებისა თუ მისი ცალკეული ელემენტების მეტად შთამბეჭდავი კორპუსი (მაგალითების მოხმობა, ცხადია, მრავლად შეიძლება, მაგრამ, ვინაიდან ეს ნაშრომი მის „ანტიპოდს“ - პროცესის გამარტივებას შეეხება, საილუსტრაციო მასალაუქვემოთ მასთან კომპლექსში, „კომბინირებულად“ იქნება წარმოჩენილი).

ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, პროცესის გამარტივების იდეის რაიმე ფორმით თუ მოცულობით გამოყვანილებას მოწინავე ქვეყნებში, ცალკეული ექსტრემალური პერიოდების თუ საერთო „კონგექსტიდან ამოუარდნილი“ კერძო შემთხვევების გამოკლებით, ნაკლებად წყალობდნენ (და ეს „ინერცია“ ნაწილობრივ დღემდეც გრძელდება). ეს განსაკუთრებით შეეხებოდა პროცესის თეორეტიკოსებს – დოქტრინა, როგორც ცნობილია, ყოველთვის მიდრეკილი იყო სულ ახალი-ახალი საპროცესო გარანტიების „გამოჩხრეკისაკენ“ (მოჯაჯერ – მეგისმეტად ხელოვნურადაც). ამან - ბარემ აქვე დაეაფიქსირებ ჩემს პოზიციას! – მთლიანობაში (!) დიხხაც პოზიტიური როლი შეასრულა მსოფლიოში საპროცესო გარანტიების მყარ სისტემაზე აგებული სისხლის სამართალწარმოების ჩამოყალიბებაში, მისი ძირითადი პრინციპებისა და გრადიციული ნოველების მყარად დამკვიდრებაში, მეტიც, მათი ერთი (უმნიშვნელოვანესი!) ნაწილის თვით თავისებური „საპროცესო პიპოსტასების“ რანგში (ხარისხში) აყვანის საქმეში. ამის ერთ-ერთი რელიეფური დადასტურებაა ამ პრინციპთა თუ კერძო დებულებათა ასახვა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის (მათ შორის საქართველოს) კონსტიტუციებში (ძირითად კანონებში).

მაგრამ, ბუნებრივია, თანდათან, ჯერ ერთი, დაღვა ამგვარი პროცედურებით სისხლის სამართალწარმოების „გაჯერების მომენტი“. მეორეც, როგორც იცყვიან, „დრონი იცვალნენ“ და თან მოიგანეს ახალი პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაც ცალსახად უბიძგებს სახელმწიფოებს „კომპრომისული ვარიანტისაკენ“ - პროცესის მეტ-ნაკლებად ოპტიმიზაციის პრინციპის დაცვით გამარტივებისაკენ. ამის საჭიროების შეცნობა (პრაგმატული ფაქტორი!) „გაჯერების ზღურბლზე“ მი-

შეუღალა ალიარებული - განსხვავებით ფრანგული, გერმანული, პოლანდური, ამერიკული და ზოგიერთი სხვა ქვეყნის კანონმდებლობათაგან, სადაც დანაშაული ან სისხლის სამართალდარღვევის მხოლოდ ერთ-ერთი ნაირსახეობაა („კერძო შემთხვევა“), (მაგ, საფრანგეთში), ანდა იგი მხოლოდ „აბსტრაქტული“, კრებსითი ცნებაა და „რეალურად“ არსებობს მხოლოდ ცალკეულ კატეგორიათა სახით (მაგ, აშშ-ში - ფელონია და მისლიმინორი).

სელის ფაქტის გაცნობიერებამ ისედაც ლოგიკურად წარმოქმნა – ცხოვრებაში, სამართალგამოყენებითა პრაქტიკაში თანდათან ცხადყო ზოგიერთი მეტისმეტად ფორმალიზებული, ძალზე „დამძიმებული“ პროცედურული წესის აბსოლუტურად თუ დიფერენცირების წესით გამარტივების მიზანშეწონილობა. კერძოდ, ამგვარი გამარტივება, ჯერ ერთი, საზოგადოდ, უფრო მოქნილს ხდის სისხლისსამართლებრივ იუსტიციას – მართლმსაჯულების (ყართო ვაგებით) გრადიციულად მეტისმეტად მძიმედ, დროში მეტად გაწელილად მოძრავ „მანქანას“¹, მეორეც, როგორც წესი, საგრძნობლად აიაფებს სისხლის სამართალწარმოებას – ამ ძვირადღირებულ „სიამოვნებას“² – ეს ჩვეულებრივ პირობებში მაგრამ, როგორც ზემოთ უკვე მივანიშნე, გაჩნდა ახალი, მნიშვნელოვანი ნეგატიური „მუხტის“ შემყველი პრობლემებიც – კაცობრიობის განვითარების აღმავალი (?) ხაზის სამწუხარო თანამდევი „გვერდითი“ პროდუქტი თუ ნაყოფი. ძალზე მოკლედ რომ ვთქვათ, სისხლის სამართლის პროცესის გამარტივების მიზანშეწონილობიდან (საჭიროებიდან) აუცილებლობისაკენ (!) „დრეიფის“ მიზეზს წარმოადგენს, ერთი მხრივ, მართლმსაჯულების შემოსვენებული „მანქანის“ მანამდე წარმოუდგენელი გადატვირთვა, რაც ძირითადად გამოწვეულია მსოფლიოში დამნაშავეობის პერმანენტული რაოდენობრივი (როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი) ზრდის დამაფიქრებელი, არსებითად შეუქცევადი ტენდენციით³, მეორე მხრივ კი დამნაშავეობის ხარისხობრივი (თვისებრივი) გაუარესების არანაკლებ სამიში გამოვლინებებით. მაგალითად, ბოლო ორმოციოდე წლის მანძილზე აშშ-ში დამნაშავეობა გაიზარდა... დაახლოებით 7-ჯერ, საფრანგეთში – 5-ჯერ, შვედეთში – 5,6-ჯერ, ინგლისსა და გერმანიაში – 2,6 – 2,7-ჯერ და ა. შ. ამასთან ერთად, სულ უფრო საგანგაშო ფაქტი ხდება დამნაშავეობის გიგანტური ტემპებით მზარდი გლობალიზაცია – ინტერნაციონალიზაციისა თუ გრანს-ნაციონალიზაციის სახით, ამასთან, ორგანიზებული დამნაშავეობის (მეტწილად ასეთია ტერორიზმი, ნარკობიზნესი, კორუფცია, გრეფიკინგი, იარაღით ეაჭრობა, კომპიუტერული და „აყვავების ხანაში“ მყოფი სხვა მსგავსი დანაშაულები, რომელთა გამოვლინება, გამოკვლევა ანუ მოკვლევა-გამოძიება და განხილვა უდიდეს სიძნელებებთანაა დაკავშირებული – როგორც რაოდენობრივი ანუ მოცულობის, ისე ხარისხობრივი ანუ სირთულის

¹ მართლმსაჯულების ეს არასასურველი თვისება მრავალმხრივად აისახა კლასიკურ თუ თანამედროვე ლიტერატურაში. ამჯერად საილუსტრაციოდ საკმარისად მიმაჩნია დაეასახელო ფრანც კაჟუკას დაუმთავრებელი რომანი „პროცესი“, რომლის მთავარი პერსონაჟი ისე დააპატიმრეს და ისე აღუსრულა სისხლისსამართლებრივი იუსტიციის ლაბირინთებში დაუსრულებელი კირთების გამო, რომ ვერც კი გაიგო, რას აბრალებდნენ.

² ცნობილი რომაული ფორმულა - „არაფერი ისე ძვირად არ უჯდება ხალხსა და ქვეყანას, როგორც იაფი იუსტიცია“ - თავისთავად დიხაზე მართებულია, მაგრამ ამ შემთხვევაში მისი პათოსი სხვა სიბრტყეში ლეეს - მეტისმეტად ძვირი იუსტიციის შეძლებისდაგვარად, მისი ნორმალური ფუნქციონირების შეუღაზავად (!) გაიაფება სულაც არაა ურიგო საქმე, მითუმეტეს, ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისათვის.

³ ი. გაბისონა, სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა სასამართლოში, თბ., 2002, გვ. 174.

თვალსაზრისით) ხვედრითი წილის შემამოქმედებელი პროგრესირება. ამ მიმართულებით სახელმწიფოთა ყურადღების უპირატესად კონცენტრირების აუცილებლობა კი იწვევს „ჩვეულებრივი“ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის (ამგვარ დანაშაულთა გამოკვლევა-გაჩიხვის) პრობლემებისადმი ყურადღების შესუსტებას. ეს გარემოება, ცხადია, ხელს უწყობს სამართალწარმოებისა ვადების ზრდას, ანუ გაჭიანურებას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს საქმეთა არასაკმარისი „გამტარუნარიანობის“ გამო მათ „ჩაწოლას“. ეს კი სისხლისსამართლებრივი იუსტიციის „ექსპანიზმებს“ მათი „გადამეგობრების“ გამო გაჩერება-დამსხვერველითა კი ემუქრება!..

ცალკე საუბრის თემაა სოციალისტური სისტემის კრახისა და პერტურბაციის შედეგების „პირმო“ - არნახული ეკონომიკური დაცემა (სტატისტიკის თანდათან გადაზრდა ანუმიამი), „...რამაც, მანამდე მთლიანად ჩაკეტილი საზღვრების ერთბაშად გახსნის ყითარებაში, ეს ქვეყნები აქცია დამნაშავეობის არნახული „აუფეთქების“ სამიშ კერად, გოგალური მიჯორებისა და დამნაშავეთა საერთაშორისო სინდიკატების (და, საერთოდ, „კრიმინალური ბაზრის“) იაფი „კრიმინალური მუშახელით“ მომარაგების უმრეტ წყაროდ².

ფიქრობთ, გედმეგია იმის მტკიცება, რომ ამგვარი „პერსპექტივა“ (ნეგატიური გამოსავალი), საბოლოო ჯამში, ნებისმიერი ქვეყნისათვის სახელმწიფოებრივი კატასტროფის გოლფასია.³ ამიგომაც, გაეროს მე-10 (და ჯერჯერობით ბოლო) კონგრესმა (რომელიც, გრადიციულად, დამნაშავეობასთან ბრძოლის პრობლემებს მიეძღვნა; ვენა, 2000 წლის 10-17 აპრილი) დამნაშავეობის ამგვარ აღმეგებას, სავსებით მართებულად, 21-ე საუკუნის გამოწვევა უწოდა და კაცობრიობას ოპერატიული, აღეკებატური რეაგირებისკენ („პასუხისაკენ“) მოუწოდა!⁴

ერთ-ერთი გზა თუ საშუალება რეაგირებისა, ცხადია, შეიძლება იყოს (და არის კიდევ) სისხლისსამართლებრივი იუსტიციის სისტემის (სასამართლო, პროკურატურა, საგამომიებო, ოპერატიულ-სამძებრო და სასჯელაღსრულების ორგანოები) შემდგომი განმტკიცება-გამრავალრიცხოვნება ანუ მისი ინსტიტუციურ-სტრუქტურული რეორგანიზაცია, მაგერიალურ-ტექნიკური (დაფინანსება, აღჭურვა და მისთ.) თუ საკადრო-სამგატო უზრუნველყოფის მეკეთრად გზრდა, აგრეთვე სამართლებრივი ბაზის შემდგომი სრულყოფა. როგორც პირეელი („სამართალდამცავი“), ისე მეორე („ნორმატიული“) ქვესისტემის ოპტიმიზაციის გემოთ მისითებულ გზა-საშუალებათაგან უმეტესობა ექსტენსიურია – მათი პერმანენტული რეალიზაციის

¹ აღნიშნული პრობლემაციის (რომლის ასპექტებსაც ამ ნაშრომის აეტორი სწავლობს მონოგრაფიულად) საკითხებზე უფრო დაწერილებით იხ. მაგალითად: В. В. Лунеев, Преступность XX века. Мировой криминологический анализ. М., 1999, с. 14-50 и др.

² ი. გაბისონია, პროკურატურის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში (ძირითადი კონცეპტუალური საკითხების მედარებით – სამართლებრივი გამოკვლევა), თბ., 1999, გვ. 10.

³ სწორედ ამიგომ მეცნიერთა ნაწილს მიაჩნია, რომ დამნაშავეობა 21-ე საუკუნეში ისეთ-სავე გლობალურ საფრთხეს შეუქმნის კაცობრიობას, როგორსაც მას უქმნიდა და უქმნის მსოფლიო ომები და ეკოლოგიური კატასტროფები.

⁴ იხ. Десятый конгресс Организации Объединенных Наций по предупреждению преступности и обращению с правонарушителями. Сборник документов. М., 2001, с. 9, 19-22.

შესაძლებლობები არათუ საქართველოსნაირი ქვეყნისთვის, არამედ მოწინავე ქვეყნებისთვისაც კი არაა ამოუწურავი! არც, ვთქვათ, სისხლის სამართლის (მაგთრიალურის თუ საპროცესოს) გამუდმებით, მეტისმეტად გამკაცრება¹ დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოებისათვის მისაღები, გნებათ, ჯეროვნად ეფექტიანი გზა. ამდენად, პრიორიტეტად რჩება არსებული სისტემის მოდერნიზაცია-ინტენსიფიკაცია, რაც, ცხადია, უნდა განხორციელდეს არა ვოლუნტარისტულ-სუბიექტივისტური და უწყებრივი მიდგომის, არამედ ჭეშმარიტად სახელმწიფოებრივი (გნებათ, ეროვნულ-პატრიოტული) და პროფესიული მიდგომის, თეორიისა და პრაქტიკის ღრმა, არსებული რეალიების გათვალისწინებით ანალიზისა და კვალიფიკურად სინთეზირების გზით. შემდგომი დაკონკრეტებისას კი აშკარად საცნაური ხდება, რომ ამ მაგისტრალის ერთ-ერთ მნიშვნელოვან განშტოებას სწორედ სისხლის სამართალწარმოების გამარტივება წარმოადგენს – იგი, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ინტენსიური გზა-საშუალებათადაცაა გემოთ მითითებული გლობალური ამოცანის გადაჭრის თვალსაზრისით.

როგორია ამ მხრივ მსოფლიო პრაქტიკა?

3. სისხლის სამართალწარმოების გამარტივების ტენდენციის მოგვიერთი თვალსაზრისით მაგალითი საზღვარგარეთის ქვეყნებში. ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში დანაშაულებრივ ქმედებათა გამოკვლევა-განხილვისას საკმაოდ ფართოდ გამოიყენება გამარტივებული სამართალწარმოება, ოღონდ ეს ძირითადად შეეხება მცირემნიშვნელოვან თუ ნაკლებად მძიმე, ამასთან, აშკარა დანაშაულებს, ანდა დანაშაულებს, რომლებზეც გამოიყენება სასამართლო გამოძიების გაუქმებისა თუ შეკეცის წესი, მათ შორის ე.წ. „ბრალის აღიარების შესახებ გარიგების“ ინსტიტუტის (ანგლოსაქსონური – ძირითადად, ამერიკული – არქეტაის თუ მისი კონტინენტური – მაგალითად, გერმანული ვარიანტის) გამოყენებით. საილუსტრაციოდ მოვიხმობ მრავალთაგან ორიოდ მაგალითს.

ერთ-ერთი ყველაზე რელიეფური გრადიციული დემოკრატიის ქვეყნის – ინგლისის მაგალითი: იქ არა მარტო სასამართლო გამოძიების გაუქმება თუ შეკეცაა დაშვებული, არამედ, 1980 წლის კანონის (სტაგუტის) შესაბამისად, დაწესებულა ე.წ. დაუსწრებელი სამართალწარმოებაც. მაგალითად, თუ მცირემნიშვნელოვანი დანაშაულის საქმეზე განსასჯელი არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა, ჩვენთან მიღებული გადადების ნაცვლად, სასამართლო საქმეს იხილავს განსასჯელისა და დამცველის გარეშე – მარტოდენ ბრალმდებლის მონაწილეობით. მეტიც, თუ განსასჯელმა, რომელმაც მიიღო კლერკის (ასე ვთქვათ, „მოსამართლის თანაშე-

¹ მოწინავე ქვეყნებში კანონმდებლობის ამგვარი გამკაცრება, როგორც წესი, უკავშირდება მაღალი ხარისხის ექსტრემალურ მოუღენებს. ამის ყველაზე რელიეფური მაგალითია აშშ-ის მიერ 2001 წლის 11 სექტემბრის ცნობილი ტერაქტის პასუხად მეტად მკაცრი, დემოკრატიულად უპრობლემოდ ფრიალ საოპოზიციო ე.წ. „პატრიოტის აქტის“ მიღება. (აღნიშნულის შესახებ უფრო ვრცლად იხ.: В. Власихин, Угрожает ли «Акт патриота» Биллию о правах? (Новой антитеррористический закон США). «Росс. юстиция», 2002, №1, с. 59-61, №2, с. 56-60).

მწის“) წერილობითი წინადადება (გამოძახება) ამგვარი დანაშაულის თაობაზე საქმის განხილვის დანიშნის შესახებ და თუნდაც ფოსტით (!) შეაგვობინა სასამართლოს, რომ აღიარებს ბრალს, საქმე შეიძლება განხილულ იქნეს...თვით ბრალმდებლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში კი!

გერმანიის სსკ-ის² მე-6 წიგნი ეძღვნება წარმოების განსაკუთრებულ სახეებს, რომელთაგან ამჯერად განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პირველ თავში (პარაგრაფები 407-412) გათვალისწინებული (პროცესის ორთოლოქს თეორეტიკოსთა პოზიციიდან ლამის „მკრეხელური“) პროცედურა, რომელსაც გერმანული კანონმდებლობა და ლოჭრინა უწოდებს „წარმოებას დასჯის შესახებ ბრძანების გამოცემის თაობაზე“. ეს უკიდურესად გამარტივებული წესი - ე.წ. „დაჩქარებული პროცესი“ - გამოიყენება მხოლოდ გადაცდომების³ მიმართ - როგორც საუბნო მოსამართლის მიერ - ერთპიროვნულად, ისე შეფენების სასამართლოს მიერ - კოლეგიურად. კერძოდ, მოსამართლე (სასამართლო) ამგვარ ბრძანებას გამოსცემს პროკურორის წერილობითი შუამდგომლობის საფუძველზე, წერილობითი მასალების მიხედვით, საქმის მოსმენის და/ან განსასჯელის გამოძახება-დაკითხვის გარეშე. ამასთან, თუ მოსამართლე (სასამართლო) არ ეთანხმება შუამდგომლობას სასჯელის (კერძოდ, ჯარიმის, როგორც ძირითადი სასჯელის; აგრეთვე ავტოგრანსპორტის უფლების ჩამორთმევის, ავტომანქანის მართვის უფლების მოწმობის 2 წლამდე ვადით ჩამორთმევის ან ქონების კონფისკაციის - როგორც დამატებითი სასჯელის) კონკრეტული ზომის ნაწილში, ანდა სხვა რაიმე მიზეზით ამას საჭიროდ მიიჩნევს, იგი ნიშნავს სასამართლო განხილვას. თუ მსჯავრდებული ორი კვირის ვადაში არ გაასაჩივრებს ბრძანებას, იგი იძენს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის მნიშვნელობას და მიექცევა აღსასრულებლად. თუ ბრძანება გასაჩივრდა, საქმე განიხილება ჩვეულებრივად წესით და, თუ ბრალდება დადასტურდა, მთავრდება განაჩენით, რომელიც საჩივრდება სააპელაციო წესით⁴. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროკურორის წინადადებისა და მოსამართლის (სასამართლოს) პოზიციას შორის ამგვარი უთანხმოება პრაქტიკაში ძალზე იშვიათია, რადგან, როგორც წე-

¹ Т. В. Апарова, Судья и судебный процесс в Великобритании. М., 1996, с. 117.

² об. Уголовно-процессуальный кодекс Федеративной Республики Германии. М., 1994.

³ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სსკ-ის მე-12 პარაგრაფის მე-2 აბზაცის მიხედვით, გადაცდომად ჩაითვლება სისხლისსამართლებრივად მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომლისთვისაც გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 1 წლამდე ვადით, ან ფულადი ჯარიმა (об. Уголовное законодательство зарубежных стран. М., 1999, с. 254.)

⁴ გერმანიის საპროცესო კანონმდებლობის ამ და სხვა საინტერესო (ამ ნაშრომის თვალსაზრისით) ზოგიერთი სხვა თავისებურების შესახებ იხ.: ი. გაბისონია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის პროცესის ძირითადი კონცეპტუალური საკითხები (მოკლე მიმოხილვა), უკრ. „სამართალი“, 2001, №6. აქვე დაესძენ, რომ ამ პროცედურისაღმდეგ ინტერესი არსებითად მთლიანად (რამდენადაც განსხვავებული ვარიანტით) გაიზიარა უზიშროებისა და სამართალდაცვის სისტემის ორგანოების რეფორმის კონცეფციის შემუშავებულმა საუწყებოთაშორისო კომისიამ (სელმდევანელი - საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, პროფ. ლ. ჭანტურია).

სი, ისინი წინასწარ თანხმდებიან (! ესეუ მეორე „მკრეხელური“ ელემენტი - ი. გ.) სასჯელის მომაზე¹.

ამ პროცედურასთან ახლოს დგას გერმანელი პროკურორის უფლებამოსილება - თავისუფალი შეხედულების მიხედვით გადაწყვიტოს ვარკველი კატეგორიის საქმეთა სასამართლოში წარმართვის გარეშე შეწყვეტის საკითხი. საერთოდ, გერმანიაში მოკვლეულ (წინასწარი გამოძიება იქ საერთოდ გაუქმებულია 1975 წლიდან) საქმეთა დაახლოებით 60%-ის წარმოება წყდება პროკურორთა მიერ², - ზოგ შემთხვევაში, მოსამართლის თანხმობით³.

4. სისხლის სამართალ წარმოების გამარტივების ზოგიერთი საკითხი წინასწარი გამოძიების სტადიაზე. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ უშიშროებისა და სამართალდამცავი ორგანოების რეფორმის ზემოთ, სქოლიოში მოხსენიებული კონცეფცია (შემდგომში „კონცეფცია“) გრადიციულ საპროცესო მოქმედებას - „სისხლის სამართლის საქმის აღძვრას“ - ევლის მოქმედებით, რომელსაც უწოდებს „გამოძიების დაწყებას“ (გამოძიებულს აღნიშნულის თაობაზე გამოაქვს დადგენილება), ხოლო თუ იგი პირის მიმართ იწყება, ამ მომენტიდან ბრალდების წარუდგენლად ხდება არა ეჭვიმჩანილი, როგორც ამჟამადაა, არამედ ბრალდებული, რაც, კონცეფციის ავტორთა აზრით (რომელიც ეყრდნობა უცხოელ ექსპერტთა დასკვნებს), აუმაჯობებს ამ პირის საპროცესო მდგომარეობას. ამგვარ კონსტრუქციას აქვს უამრავი (თვით უცხოურ დოქტრინაშიც სადავო) ბუნდოვანი თუ საჭოჭმანო ასპექტი (მით უფრო სადავოა, თუ რამდენად ოპტიმალური აღმოჩნდება ამგვარი გამარტივება ჩვენს პირობებში), მაგრამ ამჯერად აქ ყურადღებას გავამახვილებ რამდენიმე გარემოებაზე. პირველი-კონცეფციიდან არ ჩანს, თუ რა მომენტიდან ჩაითვლება პირი ბრალდებულად იმ საქმეში, რომელზეც გამოძიება დაიწყება არა პირის მიმართ, არამედ ფაქტზე⁴, რა აქტი (საპროცესო დოკუმენტით) და-

¹ იხ. Б. А. Флимингов. Основы уголовного процесса Германии, М., 1994, с. 96.

² ი ქ ე ე . გვ. 59; იხ. აგრეთვე, პროფ. ჰანს კუნეს სტატია კრებულში: „ვეროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები“ (ინგლისურიდან თარგმნა კ. წიქარიშვილმა. სამეცნიერო რედაქტორი ნ. გვენეტაძე), თბ., 2002, გვ. 171.

³ უნდა აღინიშნოს, რომ ამ უფლებამოსილების ქართული პროკურორებისათვის მინიჭება, აგრეთვე, გათვალისწინებულია პროკურატურისა და გამოძიების რეფორმის „დარგობრივი“ კონცეფციებით. კერძოდ, ლაპარაკია მოსამართლის თანხმობით „გამოძიების პროცესის შეწყვეტაზე“ შემდეგი 4 პირობის ერთდროულად არსებობისას: ა) ქმედებისათვის სასჯელი არ უნდა აღმკვეთდეს 3 წელს; ბ) ბრალი უნდა იყოს „მცირემნიშვნელოვანი“; გ) შიანი უნდა იყოს მცირემნიშვნელოვანი; დ) არ უნდა არსებობდეს სისხლისსამართლებრივი ღვენის საჯარო ინტერესი. კონცეფციის ეს წინადადება, ეფიქრობ, დასახეწვია - განსაკუთრებით ბრალის ახალი კონცეფციის პოზიციიდან, - როცა იგი გავებულია როგორც მოსამართლის მიერ ქმედების ჩამდენის ინდივიდუალური გაიციცვა (იხ. შ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2001, გვ. 117-118).

⁴ პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა (ამჟამინდელი მოდელით) თუ გამოძიების დაწყება (შემოთავაზებული მოდელით) გრადიციული სადავო საკითხია, მაგრამ ამჟამად ამ საკითხზე მსჯელობას არ გავაუარქმევ (ამ საკითხის ზოგიერთ ასპექტზე იხ. ჩემი მონოგრაფია: „პროკურატურის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში...“, გვ. 255-263).

ფიქსირდება ეს, რა ეტაპზე, ვის მიერ (გამომძიებელს ხომ სისხლის-სამართლებრივი დევნის ფუნქცია აღარ ექნება) და ა. შ. ასევე, ბუნ-ლოვანია ე.წ. „სამართლიანი მოსმენის“ პრინციპის რეალიზაციის მექანიზმის ძირითადი კონტურებიც კი. აქვე ყურადღებას იქცევს შემ-დეგი: ლეგალურობის პრინციპიდან (იგი, აგრეთვე, ნასუსხებია გერმა-ნული მოდელიდან) გამომდინარე, გამოძიების დაწყების მოვალეობა აკი-სრია პროკურატურასა და საგამოძიებო ორგანოებს, მაგრამ სხვა ქვეთაე-ში – „გამოძიების დაწყება“ – რაგომდაც ლაპარაკია მხოლოდ გამოძიე-ბლის მიერ გამოძიების დაწყების შესახებ დადგენილების გამოგანაზე – პრიოკურორი, როგორც სუბიექტი, აქ არ ჩანს.

მეორე. კონსტრუქციის ცენტრალური საკითხთაგანია მოკვლევის გაუქ-მება – მისი შთლიანად შერწყმა გამოძიებასთან – გამოძიებლის „მარ-ტისულ“, მაგრამ „ყველგანმყოფ“ საპროცესო ფიგურაში (რომელსაც არ ექნება სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია), რაც, თავისთავად, პრო-ცესის გამარტივებას, საგამოძიებო მოქმედებების დუბლირების თავიდან აცილებას მართლაც შეუწყობს ხელს. გასამართლებელია დებულება, რომ საჭიროა „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონში შეტანი-ლი რამდენიმე წმინდა საპროცესო ნორმის ახალ სსსკ-ში გადატანა¹. არც გამოძიებლის (როგორც წმინდა საპროცესო ფიგურის – ამას არაერთგზის იმეორებს კონსეფცია) და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის მაქსიმალურად ეფექტიანი, მჭიდრო თანამშრომლობის საჭიროება იწვევს ეჭვს. მაგ-რამ, ამასთან დაკავშირებით, ახალი საპროცესო კოდექსი გარდაუვალად აღმოჩნდება შემდეგი ურთულესი საკითხების გათვალისწინებისა და ში-ნაგანი წინააღმდეგობების ეფექტიანად, ოპტიმალურად გადაჭრის აუცილე-ბლობის წინაშე:

ა) რამდენად გაამართლებს ჩვენს სინამდელიეში სისხლისსამართ-ლებრივი დევნისა და გამოძიების პრინციპულად გამიჯვნის, ნეიტრალურ-ი (ანუ მიუკერძოებელი, „საბრალოდებო გადახრისაგან“ თავისუფალი) გამოძიებლის კონსეფცია? მკითხველს შეეახსენებ, რომ სწორედ ამ კონსეფციაზე იყო აგებული ამჟამად მოქმედი კოდექსის პროექტის პირვე-ლი, სამოგადოების სამსჯელოდ გამოტანილი ვარიანტი. პროექტის გა-ნხილვისას გამოქვეყნებულ სტატიაში² (შემდგომში კი – პროკურატურის სტატუსისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში) მიუთითობდი, რომ ეს თეორი-ულად ფრიად მიმზიდველი კონსტრუქცია პრაქტიკაში აუცილებლად წარმოშობს შემდეგ სერიოზულ სიმწეღეს: „მართალია, გამოძიებლის „ნეიტრალურობა“ (როცა იგი საქმეზე მხოლოდ აგროვებს როგორც სამხი-ლებს, ისე გამამართლებელ მტკიცებულებებს პროკურორისათვის გადასა-

¹ ამ საკითხზე თავის დროზე სპეციალურად გაამახვილა ყურადღება პროფ. ა. ფალიაშვი-ლიძე – იხ. მისი სტატია: „საქართველოს კონსტიტუცია და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (შეუთავსებლობა და წინააღმდეგობები)“, ურნ. „აღამიანი და კონსტიტუცია“, 2001, № 4, გვ. 56).

² იხ. ი. გაბისონია, სისხლისსამართლებრივი დევნის საპროკურორო ფუნქციის განხორციე-ლების ზოგიერთი კონსტიტუციური საკითხი, ურნ. „სამართალი“, 1997, № 7-8.

ცემად, თვითონ კი პასუხისგებაში მიცემასთან არაფერი ესაქმება), გარკვეულწილად მართლაც ანელებს მის „ბრალმდებლურ განწყობას“ და შესაბამის გადასრას, მაგრამ, მეორე მხრივ, გადაუწყვეტელი რჩება დილემა: მიზანი (დამნაშავის პასუხისგებაში მიცემა) ფსიქოლოგიურად განაპირობებს გამოძიებლის საპროცესო მოქმედებათა აქტიურობას, და, პირიქით – ადეკვატური მიზნის უქონლობა მას მკვეთრად ასუსტებს¹. აქვე მივუთითებლი იმასაც, რომ თვით შემოხსენებული გამოიჯნა რელატიურია, ანუ ფარდობითია, პირობითია, ამორფულია. დაესძენ, რომ ამგვარი გამოძიებელი, არსებითად, გამოძიებლის მხოლოდ სახელწოდებას ინარჩუნებს (აღბათ უფრო გრადიციის გაელენით) – სინამდვილეში მას საერთო ბევრი არაფერი აქვს არც სადღეისოდ ჩვენში მიუღებელ ფრანგული მოდელის საგამოძიებო მოსამართლესთან², არც მის ცარიზმისდროინდელ რუსულ ვარიანტთან – სასამართლო გამოძიებელთან და არც სოციალისტური და პოსტსოციალისტური სამყაროს გამოძიებელთან მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელ საპროცესო ფიგურასთან. აქვე გაკერით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ახალი მოდელით პროკურორებს უორკეცდებათ „საწერი“ თუ „საჩხრეკი“ სამუშაოები - გამოძიების მასალების რეალიზაციის³ მიზნით.

ბ) რამდენად „წმინდა საპროცესო ფიგურად“ დარჩება გამოძიებელი? თუ იგი წმინდა საპროცესო ფიგურაა, ვინ და რა წესით (მექანიზმით) მოახდენს მისი საქმიანობის ოპერატიულ-სამძებრო უზრუნველყოფას? რამდენად დამოუკიდებელი იქნება კვლავ უწყებას (უწინარესად – მს სამინისტროს) „შეფარებული“, გაცილებით ნაკლებად უფლებამოსილი გამოძიებელი უწყების ხელმძღვანელებისაგან თუ მასზე „მძლავრი“ ოპერატიულ-სამძებრო სამსახურებისაგან? ეს საკითხები, ჩემი ღრმა რწმენით (რაც არაერთ პუბლიკაციაში გამომიხატავს), დამნაშავეობის ეფექტიანი კონტროლისა (1) და ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტირების (2) ორი უმნიშვნელოვანესი, იმანენტურად იმთავითვე დილემური (ხშირად კი ურთიერთანგაგონისტური) ამოცანის სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოსათვის მისაღები (ან თუნდაც მოსათმენი მანინც!) სახით გადაჭრის ქვაკუთხედაა, უმძიმესი „საჯილდაო ქვაა“!!! ამდენად, მათ გადაწყვეტაზე დიდად იქნება დამოკიდებული, ღირდა თუ არა საერთოდ საპროცესო და „მომიჯნავე“ კანონმდებლობათა მთელი ეს მასშტაბური (ლამის „რევილუციური“) რეფორმირება.

მესამე. გამოძიების პროცესის ეკონომიურობას უთუოდ წაადგება გიური საბჭოურ-ფორმალური ინსტიტუტის – გამოძიების ვადების გაუქმე-

¹ ი. გაბისონია, პროკურატურის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში..., გვ. 259-260.

² ფრანგული მოდელის საგამოძიებო მოსამართლის მიუღებლობის თაობაზე იხ: ი. გაბისონია, საგამოძიებო მოსამართლის ინსტიტუტი (მოკლე რეტროსპექტიული ანალიზი), ეურნ. „სამართალი“, 2002, №4.

³ პრაქტიკოსებში, არცთუ უსაფუძვლოდ, მუსირებს აზრი, რომ სინამდვილეში კვლავ გამოძიებელს მოუწევს საბრალდებო დოკუმენტების წერა, ოღონდ პროკურორის სახელით.

ბა¹. ამასთან, მოსაფიქრებელია გამოძიების გაჭიანურების პროფილაქტიკის (თავიდან აცილების), მისი კონტროლის კონკრეტული ალტერნატიული მექანიზმები (ფორმები).

მეოთხე. გამოძიების დაჩქარების (დანაშაულის ჩადენასა და ბრალდებულის სასამართლოსათვის წარდგენას შორის ღროის მონაკვეთის მაქსიმალურად შემცირების) ამოცანის ფარვატარში უნდა მოვიაზროთ მტკიცებულებათა სისტემის საკითხი. კერძოდ, ძალზე მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად დიფერენცირებულ-ფორმალისტული მოთხოვნები წაყენება მტკიცებულებებს, განსაკუთრებით მათი დასაშვებობის თვალსაზრისით. შემოთავაზებულ მოდელში, უფიქრობ, რომ წინასწარი გამოძიების სტადიაზე ეერ აცდებით ე.წ. თავისუფალი მტკიცების (როცა მტკიცებულებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ყველა მასალა, მიუხედავად ფორმისა, ახსნა-განმარტებებიდან დაწყებული...) თეორიის (რომელიც, სხვადასხვა ვარიაციით, ფართოდაა გაერცელებული გერმანიისა და მრავალი სხვა ქვეყნის კანონმდებლობასა და ღოქტრინაში²) ამა თუ იმ „ღომით“ აღიარებას.

5. პროცესის გამარტვიების პრობლემა წინასწარ გამოძიებაზე სასამართლო კონტროლის განხორციელებისას. ამჯერად შევეხებით მხოლოდ ერთ საკითხს. კერძოდ: თანახმად სტაგისტიკისა, საგამომძიებო მოქმედებათა გამოყენებასთან დაკავშირებით 2000 წელს სულ განხილულ იქნა 13 873 შეამდგომლობა, რომელთაგან 13827 ანუ 99,7%(!) დაკმაყოფილდა³. 2001 წელს შესაბამისი მონაცემები შეადგენდა 16038-ს და 15871-ს, ანუ 99%-ს⁴. აღნიშნული მონაცემები, აგრეთვე მოსამართლეთა, პროკურორთა და გამომძიებელთა ზეპირი ინტერვიუების შედეგები ცალსახად მოწმობს, რომ ამ სფეროში სასამართლო კონტროლი უადრესად ზერელე, ფორმალური და, ამდენად, არაეფექტურია. აქედან გამომდინარე, უფიქრობ, ამ სფეროში სასამართლო კონტროლის არეალი გონიერულად უნდა შეიზღუდოს, რაც

¹ ამ აბსურდული პროცედურის (თითქოს შეიძლებოდა საგამომძიებო ვადა არ ვაერტყდებლიყო!) ჩასატარებლად გამომძიებელი, მისი ხელმძღვანელები თუ ზემდგომი პროკურორები კარგავენ აურაცხელ ღროსა და ენერჯიას. ჩემი მიახლოებითი განტარიშებით, ეთქვავთ, შსს საგამომძიებო დეპარტამენტის ავტონომიურ რესპუბლიკაში შემაყალი რაიონული საშახხურის გამომძიებელმა გენერალური პროკურატურის ხელმძღვანელობის მიერ საგამომძიებო ეადის გასატარებლად უნდა მიიღოს დაახლოებით 10 საუწყებო და საპროცესო ხელმძღვანელის წინასწარი თანხმობა (ეიზა), რომელთა შევროვებასაც რამდენიმე დღე სჭირდება!.

² იბ. ბ. ა. ფილიმონოვის დასახ. ნაშრომი, გვ. 25; კრებული: „ეეროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები“... გვ.37 – ბულგია; გვ.77 – დანია; გვ.134 – საფრანგეთი; გვ. – 267 – იტალია; გვ.347 – პორტუგალია და ა.შ.; Правовая система Нидерландов, М., 1998, с. 274, 286-289.

³ მართლმსაჯულება საქართველოში. 2000 წლის სტაგისტიკა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ შედგენილი სტაგისტიკური კრებული), თბ., 2001, გვ. 66.

⁴ მართლმსაჯულება საქართველოში. 2001 წლის სტაგისტიკა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ შედგენილი სტაგისტიკური კრებული), თბ., 2002, გვ. 83.

ნაწილობრივ მინც გამოათავისუფლებს რაიონული (საქალაქო) რგოლის უზომოდ გადაჭიმულ მოსამართლეთა კორპუსს¹.

6. სისხლის სამართალწარმოების გამარტივების მოგიერთი საკითხი სასამართლო განხილვის სტადიებზე. ამ სტადიებზე, მიუხედავად ახალი სსსკ-ის მიერ პროცესის გაუქმებისა თუ შეკვეცის პროცედურის, აგრეთვე მოგიერთ სხვა ეტაპზე პროცესის გამარტივების ცალკეულ ელემენტთა შემოღებისა, რეზერვები საკმაოდ არსებობს. მათგან დასჯის შესახებ ბრძანების, დაუსწრებელი მართლმსაჯულების განხორციელების თაობაზე, უცხოური გამოცდილების მოშველიებით, უკვე ითქვა. კონცეფცია ვითარდება, აგრეთვე, დამატებითი გამოძიების ინსტიტუტის გაუქმებას (რაც, ჩემი აზრით, ცალსახად პოზიტიური ან ნეგატიური ნაბიჯი, ამ ეტაპზე ვერ იქნება...), რაც, გამოძიებაზე უფრო, სასამართლოებს განგერთავს ხელახლა შემოსულ საქმეთა განმეორებით განხილვებისაგან.

გადასახედია აქელაციის ინსტიტუტი, ვთქვათ, იმ ასპექტში, თუ რა საჭიროა ახალი განაჩენის შედგენა გასაჩივრებული განაჩენის მთლიანად უცვლელად დატოვებისას, ანდა რატომ არ იქნება საკმარისი ახალი, ვრცელი განაჩენის გარეშე – მოკლე განჩინებით! – გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა, მაგალითად, მაშინ, როცა სააპელაციო საჩივარი შეეხება მხოლოდ დამხოლოდ განაჩენის სიმკაცრეს (სსსკ-ს აქ, უბრალოდ, მეუძლია დაადგინოს, რომ გამოყენებულ იქნეს კასაციის მსგავსი წესები, რაც გაამარტივებს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს საქმიანობას). ბოლოსდაბოლოს, იგივე გერმანული (და არა მარტო გერმანული!) საპროცესო კოდექსი იცნობს არამოტივირებული თუ შეკვეცილი განაჩენების გამოტანის შემთხვევებს.

დიდ სიძნელეებს ქმნის (განსაკუთრებით ჩვენს პირობებში, როცა სხდომის დარბაზებიც კი არაა საკმარისი!) ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს და საოლქო სასამართლოებში საქმეთა კოლეგიური განხილვა, მათ შორის პირველი ინსტანციით, სამი მოსამართლის შემადგენლობით, მაშინ, როცა საქართველოს უზენაეს სასამართლოში პირველი ინსტანციით საქმეს ფაქტობრივად იხილავს ერთი პროფესიონალი მოსამართლე (მართალია, ორი მსაჯულის მონაწილეობით, მაგრამ ეს სხვა საკითხია). ვფიქრობ, გასაზიარებელია უცხოეთის მოგებით, მაგრამ ეს სხვა საკითხია). ვფიქრობ, გასაზიარებელია უცხოეთის მოგებითი კოლეგიურად იხილავს მხოლოდ ცალკეული კატეგორიის საქმეებს, საქმეთა უმეტესობა კი განიხილება ერთპიროვნულად. რუსეთის ფედერაციის ახალი სსსკ-ით (მუხ. 30, ნაწ. 3) სააპელაციო წესით საქმეს ერთპიროვნულად იხილავს ფედერალური მოსამართლე.

¹მაგალითად, გაუგებარია, თუ რა საჭიროა, მოსამართლემ, ფაქტობრივად ავტომატურად დააკანონოს ის ჩხრეკა, რომლის შედეგადაც არაფერი ამოღებულა და მის კანონიერებას არავინ ხდის სადავო. მეტიც, ცნობილია, რომ პრაქტიკაში ჩხრეკა-ამოღების შედეგების შექანიკურად დაკანონება (რაც არ საჩივრდება) შემდგომში დაიცვას უქმნის ღამის გადაულახავ ბარიერს და რეალურად კი არ რგებს, არამედ ენებს პირის უფლებებს.

² იხ. Уголовно-процессуальный кодекс Российской Федерации, М., 2002.

სასამართლო სგადიებზე პროცესის გამარჯიების ამგვარი რემერგების მოძიება მრავლად შეიძლება, მაგრამ ამჟერად საჭიროდ ეთელი მიუბრუნდვ ერთ მეგად მნიშვნელოვან, საკვანძო საკითხს. კერძოდ:

კონსტუციით შემოთავაზებული წინასწარი გამოძიების მოდელი, როგორც აღინიშნა, ძირითადად ემყარება გერმანულ მოდელს (სახელწოდებები აქ მეორესხარისსოიანია). დაჩქარებული გამოძიება (გერმანიაში – მოკვლევა), როგორც წესი, ცხადია, იძლევა ნაჩქარევ, არასრულყოფილ მასალას სასამართლო განხილვისათვის. გერმანიაში ამ ხარეგმს აკომპენსირებს გერმანული სასამართლო, რომელიც (სახელმწიფოში ერთადერთი!) აწარმოებს დანაშაულის სრულყოფილ, ამომწურავ გამოძიებას, რისთვისაც მას (განსაკუთრებით სხდომის თაემჯდომარეს) უფლებამოსილებათა მეგად ფართო „ნაკრები“ გააჩნია, მითუმეტეს, რომ გერმანიის საპროცესო კანონმდებლობა უარყოფს შეჯიბრებითობისა და მხარეთათანასწორობის პრინციებს. ჩვენში გაცრელებული გავებით. ქართული სასამართლო, რომელიც, თანახმად კონსტიტუციისა და საპროცესო კანონმდებლობისა, ემყარება ჩემოსხენებულ „კიოსგასურ“ პრინციებს, მოკლებული ამგვარ უფლებამოსილებათა კორპუსს. ისმის კითხვა: როგორ გადაჭრის ამ საკითხს სსსკ მაშინ, როცა კონსტუციით არაა გათვალისწინებული რაიმე კონსტიტუციური ცვლილება, ამასთან, იგი შებოჭილია, ავრთევე, საერთაშორისო აქტებიდან თუ ხელშეკრულებებიდან, ევროსაბჭოს წევრობიდან, ადამიანის უფლებათა ევროპული (სგრასბურგის) სასამართლოს იურისდიქციის აღიარებიდან გამომდინარე ვალდებულებებით?!

7. დასკვნების მაგიერ. სტაგის შესავალ ნაწილში მინიშნებული დამაუიქრებელი კრიმინოგენური და სხვა არახელსაყრელი სიტუაციები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესალახად. ეს არის ამოსაეალი პრინციპი, საერთო წესი, რომელიც ცალსახად გამომდინარეობს „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ“ ევროპის ცნობილი კონვენციის მე-რ და სხვა მუხლებიდან, სხვა საერთაშორისო აქტებიდან, რომლებიც „სამართლიანი სასამართლოს“ უფლების გარანტიებს შეეხება¹. ამასთან, ამკარაა ისიც, რომ საპროცესო კანონმდებლობის, სამართალდამკავი სისტემის რეფორმირებისაკენ აუცილებლობით მიეყავართ მოცემულ ეტაპზე განსახორციელებელი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის სპეციფიკურ სისხლბორცულ ამოცანებს². ევროპული კომენტატორები თვითონვე აღიარებენ, რომ „ნებისმიერ სამართლებრივ სისტემაში წარმოიშობა სიტუაცია, როცა პირის თავისუფლებამ, აუცილებლობისას, უნდა დაუიომოს საზოგადოების ცალკეულ ინტერესებს³. ამკვარი რაციონალური, პრაგმატული მიდგომის გამოხატულებად, ავრთევე, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1987 წლის 14 მაისის რეკომენდაცია № დ(87)18 „სისხლის სამართლის მართლ-

¹ ამ „პროფილის“ აქტებისა და სხვა დოკუმენტების კომპაქტური კრებლობა მოცემულია ჟურნალ სასარგებლო წიგნში: „სამართლიანი სასამართლოს უფლება“, თბ., 2001.

² С. С. Быхолов, Основы уголовной политики, М., 1999, с. 41-61.

³ об. Европейское право в области прав человека, М., 1997, с. 348.

მსაჯულების გამარტივების შესახებ“¹, რომელიც 1996 წელს კიდევ ერთხელ დაადასტურა ევროპის ქვეყნების იუსტიციის მინისტრთა თათბირმა და გაიზიარა ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობებმა.² ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოა, ხოლო სასამართლო დაცვა – სახელმწიფოებრივი (ანუ „ყველას“) დაცვის ერთ-ერთი სახეა³, დილემური ხასიათის დიხოტომია – „ბრალდებული – დაზარალებული“ კი, საბოლოოდ გადასაწყვეტად, სწორედ მას აწევს კისერზე, მომავალმა ქართულმა კანონმდებლობამ არ უნდა დაუშვას მისი მომავლე მეტად ორიენტირება დამნაშავეობის კონტროლის რაიმე ფორმით გაძლიერებაზე მრუნეის მიმართულებით, რადგან ეს ბრალდების ფუნქციაა, ხოლო „მართლმსაჯულების იდეა ფიქციად იქცევა, როცა იგი თანამოქმედებს ბრალდებასთან“⁴. ბოლოს და ბოლოს, ცნობილი მოსამართლისა და მეცნიერის ა. ბარაკის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, საჭიროა „ოქროს შუალედის“ მოძებნა, რადგან, მართალია, „სახელმწიფოს უსაფრთხოება კანონის ბაგონობაშია“, მაგრამ, ამასთან, არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ „კონსტიტუცია თვითმკელელობის რეცეპტი როდია“⁵.

დაბოლოს, ახალმა საპროცესო კოდექსმა თავიდან უნდა აიცილოს როგორც სინონიმია, ისე პოლისემია, რაც ამკარად შეინიშნება კონცეფციაში, განსაკუთრებით პროკურორისა და გამომძიებლის უფლებამოსილებათა ხასიათის კვალიფიკაციისას.

¹ იხ. კრებული: „სამართლიანი სასამართლოს უფლება“..., გვ. 120-132.

² См. В. В. Лунеев, Правовое регулирование общественных отношений – важный фактор предупреждения организованной и коррупционной преступности (тезисы доклада), «Гос. и право», 2001, №5, с. 112.

³ იხ. Общая теория прав человека /Под. ред. Е. А. Лукашевой. М., „Норма“, 1996, с. 170 (автор - А. М. Ларин).

⁴ И. И. Стецовский, Судебная власть (учебное пособие). М., «Дело», 1999, с. 143.

⁵ А. Барак, Судейское усмотрение (перевод с английского). М., «Норма», 1999, с. 356.

ღალი ფაფიაფილი

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი,
სისხლის სამართლის პროცესისა და
კრიმინალისტიკის კათედრის დოცენტი,
საქართველოს პარლამენტის წევრი

ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციით თავისუფლებასაკვეთილი პირებისათვის მინიჭებული ზოგიერთი პროცესუალური გარანტია

*„The European Convention on Human Rights
remains the essential reference point for the protection of human rights
everywhere in Europe both in terms of guaranteed and
of its judicial mechanisms of control“¹*

1. შესავალი

ადამიანის უფლებათა დაცვა ევროსაბჭოს საქმიანობისა და პირველ რიგში ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ქეაკუთხელია.

მე-5 მუხლი უზრუნველყოფს პიროვნული თავისუფლების გარანტიების დაცვას, ხელს უწყობს და გარკვეულწილად აჩქარებს კიდევ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის რეფორმას კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებში.

მე-5 მუხლის 25-ე პუნქტი ადგენს უკანონოდ დაკავებული პირის განთავისუფლების გარანტიებს. უფლება ფიზიკურ თავისუფლებასა და უსაფრთხოებაზე იმდენად მნიშვნელოვანი უფლებაა, რომ ჭეშმარიტად დემოკრატიულ ქვეყნებში, რომლებიც აღიარებენ დემოკრატიულ ღირებულებებს, ეს, როგორც წესი, თავისთავად იგულისხმება. ეს უფლება ყველა იმ სახელმწიფოებრივი სისტემის ქეაკუთხელია, რომელსაც აქვს კანონიერების პატივისცემისა და დაცვის პრეტენზია. ასეთი დებულებები ემსახურება სახელმწიფო ორგანოების ფუნდამენტურ მოვალეობას, დაიცვან და პატივი სცენ ყოველი ადამიანის უფლებას ფიზიკურ უსაფრთხოებაზე.

¹ „ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია მთელ ევროპაში ადამიანის უფლებების დაცვის ძირითად ორიენტირად რჩება როგორც მის მიერ გარანტირებული უფლებების, ასევე მის მიერ შექმნილი კონტროლის სასამართლო მექანიზმის თვალსაზრისით“. Council of Europe Committee of Ministers's Declaration on the Protection of Human Rights 8 November 2001, 109th Session.

ნებისმიერი აქტი, რომელიც ხელყოფს პირთა თავისუფლებას, უნდა ემყარებოდეს არა მხოლოდ მე-5 მუხლში აღნიშნულ საფუძვლებს, არამედ იყოს „კანონიერი“, ე.ი., როგორც მინიმუმ, ნებადართული ეროვნული კანონმდებლობით როგორც საფუძვლების, ისე შესაბამისი პროცედურის თვალსაზრისით. მაგრამ ერთია, როდესაც ეროვნული კონსტიტუცია შეიცავს პიროვნული თავისუფლების უზრუნველყოფ ბრწყინვალედ ჩამოყალიბებულ გარანტიას და მეორეა – სამართლებრივი სისტემა, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილებების მეშვეობით უზრუნველყოფს სწრაფ და ეფექტიან დაცვას პირის თავისუფლების აღმკვეთი ნებისმიერი ოფიციალური ორგანოს წინააღმდეგ, „მარტივი და, როგორც წესი, ძალიან მცირე მოგების მომგანია პიროვნული თავისუფლების უფლების დეკლარირება. ჭეშმარიტი სირთულე მისი განხორციელების უზრუნველყოფაა.“¹

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, განიხილოს ევროპის კონვენციის მე-5 მუხლის ზოგიერთი დებულება, რომელთანაც დაკავშირებულია სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტების მნიშვნელოვანი ნაწილი.

2. ევროპის კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარანტიები

ევროპის კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ნებისმიერ დაპატიმრებულ პირს, მისთვის გასაგებ ენაზე, დაუყოვნებლივ აცნობებენ მისი დაპატიმრების მიზეზებს და მისთვის წაყენებულ ბრალდებას.

ამ მუხლის მოქმედება ვრცელდება ნებისმიერი საფუძვლით და არა მხოლოდ სისხლის სამართლის ბრალდებასთან დაკავშირებით² განხორციელებულ როგორც თავდაპირველ, ისე განთავისუფლების შემდეგ ხელახალი დაკავების შემთხვევებზე.³

ხსენებული მუხლის მიზანია, უზრუნველყოს დაკავებული პირის ინფორმირება მისი დაკავების მიზეზების შესახებ,⁴ რომ მან შეძლოს სახელმწიფოს მიერ მის მიმართ განხორციელებული ქმედების კანონიერების განსაზღვრა და მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით მისთვის მინიჭებული შესაძლებლობის გამოყენება. ამისათვის კი იგი დროულად და სათანადოდ უნდა იყოს ინფორმირებული მისი დაკავების მიზეზების შესახებ. დაკავების მომენტში მოგადი ფორმით მიწოდებული ეს ინფორმაცია უნდა ეხებოდეს დაკავების სამართლებრივ საფუძვლებს და საკმარისი უნდა იყოს დაკავების დასაბუთებისათვის.⁵ ეს არ გულისხმობს სამართალდარღვევაში მონაწილეობის ეჭვის საფუძვლებში პირის გარკვევის აუცილებლობას⁶ და „დაკავების მომენტში დაკავების განმარტოვებული პირის მიერ ინფორმაციის სრულად მიწოდების მოვალეობას“, თუ „დაკავებული პირი ინფორმირებულია მისი დაკავე-

¹ European Human Rights Law: Text and Materials, M. Janis, R. Kay, & A. Bradley, 1995, 298.

² Van Der Leer v Netherlands, A 170-A, para. 27 (1990).

³ X v Belgium, N4741/71, 43 CD 14 at 19 (1973). Cf v UK, A46, para. 66 (1981).

⁴ Fox, Campbell and Harley v UK A182 para 40 (1990).

⁵ X v UK, N 4220/69, 14 YB 250 at 278 (1971).

⁶ McVeigh, O'Neil and Evans v UK, N8022/77, 8025/77, 8027/77, 25 DR 15-45 (1981).

ბის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლების შესახებ ერთდროულად ან სკადიებზე, დაკავების მომდევნო პერიოდში მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად.¹ პირი საკმარისად უნდა იქნეს ინფორმირებული იმ ფაქტებისა და მტკიცებულებების შესახებ, რომლებიც საერთაშორისო საფუძვლად დაედება გადაწყვეტილებას მისი დაკავების შესახებ, რომ მას შეეძლოს გააკეთოს განსწავლება მერაცხული სამართალდარღვევის აღიარება ან უარყოფის შესახებ.² თუ ადამიანი დაიკითხა მის დაკავებამდე და შეკვლა სხვა ეჭვმიტანილებსაც, იგი სრულყოფილად უნდა იქნეს ინფორმირებული მისი დაკავების მიზეზებისა და მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებების ხასიათის შესახებ, მაგრამ შემდგომი მუსგი ინფორმაციის მიწოდება აუცილებელი არ არის.³ ინფორმაციის საკმარისობა საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით განისაზღვრება და მისი მინიმალური გარკვეულწილად დაკავების სახეზე დამოკიდებული (მაგალითად, დეჰორმაციის ის გუბუნების მიმართ მე-2 მუხლის 1(ფ) პუნქტის შესაბამისად დაკავებულ პირს უფლება აქვს, იცოდეს მის მიმართ ასეთი წარმოების მიზანდასახულობა და არა სამართალწარმოების მიზეზების შესახებ.⁴ ინფორმაცია უნდა იყოს საკმარისად დეტალური, რომ გასაგები იყოს, თაუვისუფლების აღკვეთის ეჭვით საფუძვლიდან რომლის გამოყენებაა გათვალისწინებული.⁵

მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი მოითხოვს დაკავებული პირის ინფორმირება მისი დაკავების მიზეზების შესახებ. ამავე დროს, არ არის საჭირო, დაკავებული პირის მკაფიოდ, პირდაპირ ინფორმირება მისი დაკავების მიზეზების შესახებ, თუ ეს ცხადია დაკავების გარემომცველი გარემოებებისა.⁶

საჭიროა თუ არა დეპორტაციის ან ექსტრადიციის მიზანდასახულობა დაკავებული პირის ინფორმირება მისი დაკავების მიზეზებისა და მის მიზანდასახულობის განსახორციელებელი ქმედების მიზეზების შესახებ? ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ინფორმაციის მიწოდება საჭირო მისთვის ერთგული კანონმდებლობის თანახმად, რათა მიეცეს შესაძლებლობა, სადავო გათადოს მისი დაკავების კანონიერება.⁷

თუ პირს ქმედუნარობის ან შეზღუდული ქმედუნარობის გამო არ შეუძლია, გაიგოს აღნიშნული ინფორმაციის არსი, ეს ინფორმაცია უნდა წარედგინოს ადვოკატს,⁸ მზრუნველს,⁹ ან ნებისმიერ სხვა პირს, რომელიც უფლებამოსილია იმოქმედოს მისი სახელით და მის ინტერესებში.

დაკავების მიზეზები განმარტებულ უნდა იქნეს დაკავებული პირისათვის გასაგებ ენაზე,¹⁰ რაც გულისხმობს, რომ დაკავების სამართლებრივი

¹ Fax. Campbell and Hartley v UK, A182, para. 40 (1990).

² X v FRG, N8098/74 DR 16, 11, at 114 (1978).

³ N1936/63 YB 7, 224 at 244 (1964).

⁴ Caprino v UK, DR22, para. 65, 5, at 12 (1980).

⁵ მე-2 მუხლის 1(ე) პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში არ არის აუცილებელი ყველა იმ ბრალდების მითითება, რომელიც შეიძლება მოგვიანებით წაყენდეს დაკავებულ პირს.

⁶ Fax. Campbell and Hartley v UK, A182 (1990); ასევე იხ. Neumeister v Austria, N1936/63, 7 YB 224 (1964); Freda v Italy, N8916/80, 21 DR 250 (1980); B v France, N10179 82, 52 DR 111 (1987).

⁷ Trechsel, European System, 316.

⁸ X v UK, B41 (1980) Comm. Rep. para. 111.

⁹ X v UK, B41 para. 102-108, 33-34 (1980).

და ფაქტობრივი საფუძველი მოცემული უნდა იქნეს მარტივ და არატექნიკურ ენაზე.¹ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი არ მოითხოვს დაკავების მიზეზების რაიმე კონკრეტული გზით განმარტებას,² მაგალითად, წერილობით, ორდერის ან დაკავებაზე უფლებამოსილების მიმნიჭებელი სხვა დოკუმენტის გეტქსში მითითებას,³ არ უზრუნველყოფს დაკავებული პირის უფლებას აღვოკატზე.⁴ თუ დაკავების განმასორციელებელი პირი თვითონ არ საუბრობს დაკავებული პირის ენაზე, მაშინ ასეთი ინფორმაცია წარდგენილ უნდა იქნეს სახელმწიფო ბრალმდებლის ან მაგისტრანტის მიერ, თუ დაპატიმრებული დაუყოვნებლივ იქნება მასთან მიყვანილი.

თუ პირის ადგილსამყოფელი უცნობია, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მას უნდა მიეწოდოს მისი ადგილსამყოფელის ადგილისთანავე.⁵

მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ფარავს მე-5 მუხლის მე-4 პუნქტს⁷ და გარკვეულწილად მე-6 მუხლის მე-3(ა) პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას. მაგრამ მე-6 მუხლის მე-3 (ა) პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციასთან შედარებით „უფრო ლეგალური და სპეციფიკური“⁸ ვინაიდან ამ უკანასკნელის მიზანია, ხელი შეუწყოს პირის დაკავების კანონიერების სადავოდ გახდომას, ხოლო მე-6 მუხლის მე-3(ა) პუნქტის მიზანია, უზრუნველყოს ბრალმდებელი პირი მისი დაცვის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაციით.

მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ერთ-ერთი დანიშნულებაა, შესაძლებლობა მისცეს დაკავებულ პირს, გამოთქვას აზრი სამართალდარღვევაში მისი ბრალეულობა-უდანაშაულობის თაობაზე,⁹ მაშინაც კი, თუ იგი ქმედუნაროა და მოიპოვოს განთავისუფლება სასამართლო პროცედურისადმი მიმართვის გარეშე.¹⁰

3. ევროპის კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გარანტიები

ევროპის კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს ენიჭება უფლება:

1. დაუყოვნებლივ წარუდგინოს მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელების უფლების მქონე სხვა პირს;

2. „ეონიერულ ვადაში“ სასამართლო განხილვაზე ან სასამართლო განხილვამდე გათავისუფლებისა.

¹ Fox, Campbell and Hartley v UK, A182, para. 40 (1990).

² X v Netherlands, N2621/65, 9 YB, 474 at 480 (1966).

³ X v Netherlands, N1211/61, 5 YB, 224 at 228 (1962).

⁴ X v Netherlands, N2621/65, 9 YB, 474 at 480 (1966).

⁵ X v Denmark, N8828/79, 30 DR, 93 at 94 (1982).

⁶ Keus v Netherlands, A 185-C, para. 22 (1990); X v UK, N7125/75, 1 Digest 458 (1977).

⁷ X v UK, A46, para. 66 (1981).

⁸ Nielsen v Denmark, N343/57, 2 YB, 412 at 462 (1959), GSM v Austria, N9614/81, 31 DR 119 (1983).

⁹ X v FRG, N8098/77, Dr 16, 111-114 (1978).

¹⁰ X v UK, N80810/77, 16 DR, 101-114 (1979).

მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის წინაპირობაა უფლება პირად თავისუფლებაზე და უდანაშაულობის პრეზუმეცია. მისი მიზანია პირადი თავისუფლების შეზღუდვაზე სასამართლო კონტროლის განხორციელება,¹ სისხლის სამართლის პროცესში აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან „თვითინებობის საშიშროების მინიმუმამდე შემცირება“, მე-5 მუხლის 1(ე) პუნქტით გათვალისწინებული დაკავების ზღვრული ვადის განსაზღვრა და ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მხრიდან დაკავების მიზანშეუწონლად გავრძელების აღკვეთა.² ამ გარანტიას „განსაკუთრებული მნიშვნელობა იმ სახელმწიფოებში ენიჭება, სადაც არსებობს პოლიციის მხრიდან წამების ან სასტიკი მოპყრობის რეალური საშიშროება“, ვინაიდან ასეთი მეთოდების გამოყენება ხანგრძლივ კვალს არ გოვებს.³

მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედება, როგორც წესი, ერცელდება მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (ე) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დაკავების შემთხვევებზე,⁴ მაგრამ მისი გამოყენება შესაძლებელია მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (ე) ქვეპუნქტთან მჭიდროდ დაკავშირებულ სხვა სახის დაკავებასთან მიმართებითაც, „ვინაიდან ეს არის ზოგადი პრინციპი და გამოიყენება, როდესაც პირი დაპატიმრებულია ქმედებისათვის, რომელიც მან ჩაიდინა, ან რომლის ჩადენაშიც არის იგი ეჭმიტანილი“.⁵ ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედება არ ერცელდება პირის პირობითად გათავისუფლების, სასამართლოს განაჩენით დაკისრებული სასჯელის მოხდის,⁶ გადაცემის ან გაძევების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულების მოლოდინში დაკავებულ პირებზე.

3.1. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა უფლება „გონივრულ ვადაში“ სასამართლო განხილვაზე.

დაკავებულ ბრალდებულთა უფლება „გონივრულ ვადაში“ სასამართლო განხილვაზე გულისხმობს, რომ ბრალდებულთა წინასწარი დაკავება არ უნდა გაგრძელდეს გონივრულ ვადაზე უფრო დიდ ხანს.⁸ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი და სასამართლოს პრეცედენტული სამართალი არ აღგენს სასამართლო განხილვამდე დაკავების მაქსიმალურ ხანგრძლივობას, არ აღგენს „გონივრული ვადის“ მედა ზღვარს. „გონივრული ვადის“ ცნება უნდა განისაზღვროს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებებზე დაყრდნობით დაკავების საფუძვლებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებულს აღკვეთილი აქვს თავისუფლება. ძნელია ცალსახად იმის თქმა, თუ როდის ჩაითელება სასამართლომდელი დაკავება მიუღებლად.⁹ გონივრულობის არაადაბუსტებული ცნება წინასწარი დაკავების კონკრეტული ვადის მითითების გარეშე, როგორც ჩანს, საკმაოდ სუს-

¹ Brogan v UK, A145-B, para. 58 (1988).

² Wemhoff v FRG, A7, 21, para. 4 (1968); Stogmuller v Austria, A-9, 39, para. 3 (1969)

³ Trechsel, European System, 333.

⁴ De Wilde, Ooms and Versyp v Belgium, A-12, 39, para. 71(1971); Lawles v Ireland, A4, 51, para. 14 (1971).

⁵ Ireland v UK, N25/1/1076, YB 19, 512-574.

⁶ Campbell v UK, N8233/78 (1979), unpublished.

⁷ Braccgirle v UK, N5020/71 (1972), unpublished.

⁸ Wemhoff v FRG, A7, 22, para. 5.

⁹ Stogmuller v Austria, A9, 39, para. 4.

გია. სწორედ ამიგომ ენიჭება პრეცედენტული სამართლის შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა.

აღნიშნული ვადა მოიცავს დროის მონაკვეთის სამართალდარღვევის ჩაღწევის შესახებ ეჭვის საფუძველზე ბრალდებულის დაკავებიდან საქმის განმხილველი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მის მსჯავრდებამდე ან გამართლებამდე. ამდენად, მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება სააპელაციო წარმოების მოლოდინში ბრალდებულის დაკავებამდე.

თავისუფლების აღკვეთის საწყისი მომენტის განსაზღვრა იშვიათად ქმნის სირთულეებს. გამონაკლისია შემთხვევები, როდესაც დაკავების პერიოდი წყდება² ან განკარგულება დაკავების შესახებ ესება პირს, რომელიც უკვე დაკავებულია სხვა საფუძველით.³ უფრო ძნელია იმ მომენტის განსაზღვრა, როდის უნდა ჩაითვალოს ხელახალი დაკავება დამთავრებულად. სასამართლოს განმარტებით, წინასწარი პატიმრობის დამთავრების ვადად უნდა ჩაითვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოგანის დღე,⁴ მაგრამ არ არის განსაზღვრული დაკავების დასრულების მომენტი, თუ ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, განაჩენის აღსრულება დაიშვება მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოგანის შემდეგ.⁵

დაკავების პერიოდების გონიერულობასთან დაკავშირებული მოსაზრებების „ფართო განსხვავების“ შესამცირებლად⁶ სასამართლომ შეიმუშავა დაკავების ხანგრძლივობის „გონიერულობის“ განმსაზღვრელი კრიტერიუმები.

თავდაპირველად ევროპული კომისია დაკავების ხანგრძლივობის შეფასების შიდა კრიტერიუმს იყენებდა,⁷ მაგრამ საქმეზე – *Wemhoff v FRG* – სასამართლომ უპირატესობა სპეციალურ კრიტერიუმებთან შედარებით ზოგად მოსაზრებებს მიანიჭა:

1. სახელმწიფოს მიერ დაკავების დასაბუთებისათვის მოყვანილი მოტივების საკმარისობა და შესაბამისობა – ე.ი. რამდენად მართლზომიერია ეროვნული ორგანოების მიერ მოცემულ შემთხვევაში საზოგადოებრივი ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭება თავისუფლებამზე პირის უფლებასთან შედარებით.

იმის განსაზღვრისათვის, საკმარისად დიდია თუ არა საშიშროება, რამაც შეიძლება გაამართლოს პირის დაკავება, ევროპული სასამართლო

¹ სააპელაციო სამართალწარმოების მიზანშეწონილობა შეიძლება ვადამოწმდეს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული „გონიერული“ დროის გარანტიის საფუძველზე. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის გამოყენების წინაპირობაა მე-5 მუხლის 1(ე) -ლი პუნქტი. შესაბამისად, ვინაიდან ბრალდებულის მსჯავრდების შემდეგ დაკავების საფუძველი მე-3 მუხლის 1(ე)-ლი პუნქტის ნაცვლად მე-5 მუხლის 1(ა)-ლი ხდება, ისობაა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის გამოყენების წინაპირობა.

² *Neumeister v Austria*, (1968) A8, 37, para. 6; *Herczegfalvy v Austria*, N10533/83, Comm. rep. 1/3/1991, para. 225.

³ N10533/83, para. 224.

⁴ *Wemhoff v FRG*, A7 (1968), იქვე.

⁵ *Ringisen v Austria*, A13 (1971).

⁶ *Wemhoff v FRG* A7, 24, para. 11 (1968).

⁷ იქვე, para. 2, at 15-16.

⁸ *Wemhoff v FRG* A7, 24, para. 16, at 25-16.

სხვა გარემოებებთან ერთად ითვალისწინებს ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა განადგურების,¹ ახალი სამართალდარღვევის ჩაღწევის,² მისი მიმალვის საშიშროებას,³ ბრალდებული „პირის ხასიათს, მის მწიბობას, საცხოვრებელ ადგილს, პროფესიას, ოჯახურ და სხვაგვარ კავშირებს იმ სახელმწიფოსთან, რომელშიც იგი იღებება“;

2. ეროვნული ხელისუფლების ორგანოების, ან ბრალდებულის მხრიდან პროცესის გაჭიანურება.⁴ არსებით გარემოებებს, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული (ისევე როგორც მე-2 მუხლის 1-ლ პუნქტთან მიმართებით) მიეკუთვნება საქმის სირთულე, ბრალდებულის ქცევა და ეროვნული ორგანოების ეფექტიანობა. დაწერილებით განიხილება ეროვნული ორგანოების ქმედება საქმის არსისა და სირთულის გათვალისწინებით.⁵ გამოძიების ორგანოების პასიურობა, რაც დაკავების ვადის განმავლობაში მათი მხრიდან ჯეროვანი მოწოდებების და სისწრაფის გარეშე მოქმედებას გულისხმობს, არის მე-3 პუნქტის მოთხოვნათა ხელყოფა.

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, სასამართლო განხილვამდე პირის დაკავების ვადის „გონიერულობის“ საკითხის გადაწყვეტისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი გარემოებები:

1. დაკავების ფაქტობრივი ხანგრძლივობა;
2. წინასწარი დაკავების ხანგრძლივობა სამართალდარღვევის ხასიათთან და შესაბამის შემთხვევაში სასჯელთან მიმართებით;
3. მაგერიალური, მორალური და სხვა სახის შედეგები დაკავებულისათვის;
4. ბრალდებულის ქცევა;
5. გამოძიების წარმოების წესი;
6. შესაბამისი სასამართლო ორგანოების ქცევა;

სასამართლო განხილვის მოლოდინში ბრალდებულის ორი ან მეტი დამოუკიდებელი ვადით დაკავების შემთხვევაში დაკავებაში ყოფნის ყველა ეადა უნდა შეიკრიბოს მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული „გონიერული ვადის“ მოთხოვნის დაკმაყოფილების საკითხის განხილვისათვის.⁶ სტრასბურგის სასამართლოს მიერ კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უფლების ხელყოფის შესახებ განცხადების განხილვისას დაკავების პერიოდი განაცხადის შეგანიდან გადაწყვეტილების მიღებამდე შეიძლება ასევე იქნეს მხედველობაში მიღებული, თუ ეს საქმე კვლავაც ეროვნული სასამართლოს განხილვის მოლოდინშია. მეორე მხრივ, დაკავების ხანგრძლივობა, რომელიც წინ უსწრებდა პირის იმ

¹ ი ქ ე ე , para. 13-14, at 25; Ringeisen v Austria, A13, at 42-43, para. 105-106 (1971); Letellier v France, A207, para. 37-39 (1991).

² Stogmuller v Austria, A9, at 43, para. 13-14 (1969); Matznetter v Austria, A10, at 32-33, paras. 7-11 (1969).

³ Wemhoff v FRG, A7, at 25, paras. 13-15 (1968); Neumeister v Austria, A8, at 38-40, paras. 9-12 (1968); Letellier v France, A207, paras. 40-43 (1991).

⁴ Wemhoff v FRG, A7, at 25, para. 16 (1968).

⁵ ი ქ ე ე , para. 17 at 26.

⁶ Kommache v France, A218, para. 44 (1991).

სახელმწიფოში ექსტრადირებას, სადაც იგი ბრალდებულ იქნა, არ წარმოადგენს მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის კონგრუილის საგანს.¹

უქვეყლია, რომ საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, ბრალდებულის სხვადასხვა პერიოდით გონივრულად დაკავების შემთხვევაშიც კი, შეიძლება წარმოიშვას მე-3 პუნქტის ხელყოფა, თუ ნებისმიერი მიზეზით, სამართალწამოება მნიშვნელოვანი ვადით გაგრძელდება.² ხელყოფა ხდება მაშინაც, თუ სამართალწარმოების პროცესში არსებობს დროის მონაკვეთები, რომელთა განმავლობაში პრაქტიკულად არაფერი ან ძალიან ცოტა რამ კეთდება, არანაირი ან უმნიშვნელო პროგრესი იქნა მიღწეული.³ სასამართლო განხილვამდე ბრალდებულის მიერ პატიმრობაში გატარებული ვადის დასაბუთება უნდა შეუასდეს მისი დაკავების ფაქტთან ერთად.

სასამართლო განხილვასთან მიმართებით „გონივრული ვადის“ მოთხოვნა შეესაბამება მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ ანალოგიურ მოთხოვნას, რომელიც ეხება ყველა ბრალდებულს იმის მიუხედავად, დაკავებულნი არიან ისინი თუ არა, მაგრამ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით დასაშვები ვადა უფრო ხანმოკლეა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ ვადასთან შედარებით, ვინაიდან აღნიშნული პუნქტის მიზანია, პირის დაკავების ხანგრძლივობის შეზღუდვა და არა მაქსიმალურად სწრაფი სასამართლო განხილვის უზრუნველყოფა.⁴ ამიტომ ერთნაირი ხანგრძლივობის დროის მონაკვეთი შეიძლება შეესაბამებოდეს 6.1. მუხლს და ხელყოფდეს 5.3. მუხლის მოთხოვნებს. დაკავების ხანგრძლივობის მიზანშეწონილობა არ არის დამოკიდებული სასამართლოსათვის დაკავებული პირის წარდგენის დაყოვნების გონივრულობაზე.

3.2. სასამართლო განხილვამდე გარანტიით გათავისუფლების უფლება.

მიუხედავად იმისა, რომ მე-3 პუნქტის ფორმულირება, ერთი შეხედვით, სასამართლო ორგანოებს ანიჭებს არჩევანის შესაძლებლობას, იგი არ უნდა იქნეს ისე გაგებული, თითქოს სასამართლო ორგანოებს ეძლევათ არჩევანის შესაძლებლობა გონივრულ ვადაში ბრალდებულის სასამართლოსათვის გადაცემასა და სასამართლო განხილვამდე გარანტიით მის განთავისუფლებას შორის.⁵

სასამართლო განხილვამდე გარანტიით გათავისუფლების შესაძლებლობა არ არის აბსოლუტური უფლება. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი არ გულისხმობს თავდებქვეშ გათავისუფლების უფლებას, როგორც ასეთს.⁶ სასამართლო განხილვის მოლოდინში პირის დაკავების „საკმარისი და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე“ მიზეზების არარსებობის შემთხვევაში სახელმწიფოს მოვალეობა – გაათავისუფლოს დაკავებული პირი – სამართალ-

¹ X v Italy and FRG, N5078/71, 46 CD35 (1972).

² Wemhoff v FRG, A7, 26, para. 16 (1968).

³ Toth v Austria, A224 (1991); Tomasi v France, A241-A (1992).

⁴ Matznetter v Austria, A8, 37, para. 4 (1968).

⁵ Neumeister v Austria, A8, 37, para. 4 (1968).

⁶ Swiatkowski v UK, N6148/73, Dec. 5/776, Unpublished (1976).

⁷ Wemhoff v FRG, A7, 24 9(1968).

დარღვევის ჩადენაში ექვემდებარებილი პირებისათვის მინიჭებული სასამართლო განხილვის მოლოდინში დაკავების ვადის შემყარების საშუალებაა.

ადამინის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შეიმუშავა გამოცხადების გარანტიით სასამართლო განხილვამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის შემდეგი ოთხი საფუძველი:

1. *გაქცევის საშიშროება* – გამოცხადების გარანტიით სასამართლო განხილვამდე გათავისუფლებაზე აღნიშნული საფუძველი უარის თქმისათვის „უნდა არსებობდეს მთელი რიგი გარემოებებისა“ ვარაუდისათვის, რომ მიმალვის შედეგები ბრალდებულს უფრო ნაკლებ ბოროტებად მიაჩნია, ვიდრე განგრძობადი თავისუფლების აღკვეთა.¹ თუ ბრალდებულის დაკავების ერთადერთი საფუძველი ბრალდებულის სასამართლოში გამოუცხადებლობის საშიშროებაა, ის უნდა გათავისუფლდეს, თუკი შესაძლებელია სასამართლოზე მისი გამოცხადების უზრუნველყოფელი გარანტიების მოპოვება.²

სასამართლო განხილვაზე გამოცხადების უზრუნველყოფელი გარანტიები შეიძლება განსხვავებული იყოს, მაგრამ ფინანსურ საქმეებზე ეს, როგორც წესი, გიროს გულისხმობს.³ მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გარანტიის მიზანია ბრალდებულის სასამართლო განხილვაზე დასწრების უზრუნველყოფა და არა დანაკარგის რეპარაცია. ამიგომ, გარანტიის სახით გიროს გამოყენების შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს მისი მიზანი – ბრალდებულის გაქცევის თავიდან აცილება.⁴ მაგრამ ცალკეულ შემთხვევაში ბრალდებულის გაქცევის საშიშროების თავიდან აცილებისათვის შეიძლება არ იყოს საკმარისი გიროს არანაირი ოდენობა.⁵

თანხის ისეთი ოდენობის დაწესება, რომელიც აღემატება ბრალდებულის გაქცევის თავიდან აცილების მიზნის მიღწევისათვის საჭირო ოდენობას, ხელყოფს მე-5 მუხლის მე-3 პუნქტს.⁶

აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს „სამართალდარღვევის ჩამდენი პირის ხასიათი, მნეობა, საქმიანობა, ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობა, ბრალდებულის მიერ გაქცევის დაგეგმვა,⁷ მის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევისათვის მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრე,⁸ სასჯელის ხანგრძლივობა და ა.შ.

2. *მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა*. იგი გულისხმობს ბრალდებულის მიერ დოკუმენტების განადგურებას,⁹ სხვა შესა-

¹ Stogmuller v Austria, A9, 44 (1969).

² Wemhoff v FRG, A7, 25, para. 15 (1968); Letellier v France, A207, para. 46 (1991).

³ Wemhoff v FRG, A7, 25, para. 15 (1968).

⁴ Neumeister v Austria, A8, 40 (1968).

⁵ Neumeister v Austria, A8, 40 (1968).

⁶ Schertenlieb v Switzerland, N8339/78, 23 DR 137 at 196 (1980), Comm. rep.; CM Res DH (81)9.

⁷ Maizmetter v Austria, A10, 23 (1969).

⁸ უნდა აღინიშნოს, რომ თავისთავად სასჯელის სიმკაცრე არ ქმნის გარანტიით გათავისუფლებაზე უარის თქმისა და ბრალდებულის მიმალვის საშიშროების მოტივით წინასწარი (სასამართლომდელი) დაკავების გამართლების საკმარის საფუძველს. Letellier v France, A207, para. 43 (1991).

⁹ Wemhoff v FRG, A7, 25, para. 15 (1968); W v Switzerland, A254 -A (1993).

ძლო ეჭვმიტანილების გაფრთხილებას ან მათთან შეთქმულებას,¹ მოწმეებზე ზეგავლენას² და ა.შ.

აღნიშნული საფუძვლით სასამართლო განხილვის მოლოდინში ბრალდებულის გამოცხადების გარანტიით ვათავისუფლებამზე უარის თქმისთვის წარმოდგენილ უნდა იქნეს ბრალდებულის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის დამადასტურებელი მტკიცებულებები.³ ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ, რაც უფრო დიდხანს ვრძელდება დაკავება და რაც უფრო მეტად მიიწვევს წინ გამოძიება, მით უფრო ნაკლებად საეარაუდოა, რომ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა კვლავაც იქნება დაკავების გამამართლებელი საკმარისი საფუძველი.

3. ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება. ამ შემთხვევაში უნდა არსებობდეს საკმარისი საფუძველი რწმენისათვის, რომ ვათავისუფლების შემთხვევაში ბრალდებული ჩაიდენს მის მიერ უკვე ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის ანალოგიურ დანაშაულს ან დანაშაულებს.⁴ ამასთან, არ არის აუცილებელი რომელიმე კონკრეტული დანაშაულის ჩადენის შესახებ ეჭვის არსებობა.

ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ, ერთი მხრივ, პრევენციული დაკავება, რომელიც არ არის დაკავშირებული დაკავებული პირის წინააღმდეგ სისხლის სამართალწარმოებასთან და, მეორე მხრივ, იმ პირის დაკავება, ვინც უკვე საფუძვლიანად არის ეჭვმიტანილი სერიოზული სამართალდარღვევის ჩადენაში და ვის საქმესთან მიმართებითაც არსებობს სპეციალური „გარემოებები“.⁵

4. საჯარო წესრიგის დაცვა. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ პირთა დაკავება, რომელთაც ემუქრებათ პასუხისმგებლობა დანაშაულისათვის, შეიძლება დასაბუთდეს სამოგადოებრივი წესრიგის ხელყოფის თავიდან აცილების მოტივით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი „დაეფუძნება გარემოებას, რომ ბრალდებულის განთავისუფლება ზიანს მიიყენებს საჯარო წესრიგს“. უფრო მეტიც, დაკავება კარგავს კანონიერ ხასიათს, როგორც კი მოისპობა საჯარო სიმშვიდისათვის საშიშროების მიყენების საფრთხე.⁶

სასამართლო განხილვის მოლოდინში გამოცხადების გარანტიით პირის განთავისუფლება პირველ რიგში კონვენციის წევრი ქვეყნების პრეზოგატივა და მათი შეფასების საგანია. სამართლიანი ბალანსის უზრუნველყოფა ბრალდებულისა და სამოგადოების დაცვის ინტერესებს შორის ეფექტიანი სისხლის სამართლებრივი ღონის განხორციელებაში დაინტერესებასა და სამართლიან სამართალწარმოებას შორის პირველ რიგში ეროვნული ორგანოების ამოცანაა მაგრამ ევროპული სასამართლო უფლებამოსილია, კონვენციასთან შესაბამისობის თვალსაზრისით განიხილოს გან-

¹ Wemhoff v FRG, A7, 25, (1968);

² Letellier v France, A207 (1991).

³ Clooth v Belgium, A225, para. 44 (1991).

⁴ Clooth v Belgium, A225, para. 43 (1991).

⁵ Clooth v Belgium, A225, para. 40 (1991). B v Austria, A175; Toth v Austria, A224 (1991).

⁶ Matznetter v Austria, A10, (1969).

⁷ Letellier v France, A207, para. 47-51 (1991).

თავისუფლების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე ეროვნული ორგანოების მიერ უარის თქმის საყუქელები.

33. მოსამართლესთან ან სასამართლო ხელისუფლების განმარტებულ სხვა პირთან დაუყოვნებლივ წარდგენა.

ევროპის კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი მოითხოვს, რომ დაკავებული პირი „დაუყოვნებლივ“ წარედგინოს მოსამართლეს ან სხვა თანამდებობის პირს. გერმინ „დაუყოვნებლივ“-ის შეფასება უნდა მოხდეს მე-5 მუხლის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, ყოველი კონკრეტული შემთხვევის თავისებურებიდან გამომდინარე, მაგრამ ამ თავისებურებებისათვის მინიჭებულ მნიშვნელობას არ შეუძლია, ზეგაელენა იქონიოს დასაცავი უფლების არსზე და დააკინინოს იგი, ე.ი. გაათავისუფლოს სახელმწიფო დაკავებულის სწრაფი განთავისუფლების ან მოსამართლესთან მიისი დაუყოვნებელი მიყვანის მოვალეობისაგან.¹

ცნება „დაუყოვნებლივ“ ინგლისურ ტექსტში უფრო ფართოა ფრანგულ ტექსტში მის შესატყვისთან (aussitot) შედარებით. ამდენად, ცნება „დაუყოვნებლივისათვის“ მინიჭებული მოქნილობის ხარისხი შემდუღულია.²

მართალია, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობის კანონმდებლობა მოითხოვს სამართალდარღვევის ჩადენაში ეჭვმიტანილი დაკავებული პირის დაუყოვნებლივ მოსამართლესთან მიყვანას, ღროითი მღვარი ყველა მათგანში განსხვავებულია.³

ღრო, რომელიც საჭიროა საქმის სასამართლო განხილვისათვის მოსამდებლად, არ უკავშირდება წინასწარი დაკავების გამართლებისათვის აუცილებელ ვადებს. აღნიშულთან დაკავშირებით გერმინი „დაუყოვნებლივ“ გულისხმობს რამდენიმე ღდეს, მაშინ როღესაც „გონიერული ვაღა“ ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება გულისხმობდეს რამდენიმე თვეს და ზოგჯერ წლებსაც კი. ეს შეესაბამება სიგყა „დაუყოვნებლივ“-ის პირდაპირ მნიშვნელობას და მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიზანს, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, „აღმასრულებელი ხელისუფლების თვითნებობის“ რისკის მინიმუმამღე შემიტრებით გამოიხატება. აღნიშნული ცნების უფრო ფართო ინტერპრეტაციას შეუძლია მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გარანტიის შესუსტება, რაც დაუშვებელია.

დაკავების მაქსიმალური ვაღა (მოსამართლესთან მიყვანამღე) არ უნდა აღემატებოდეს 4 ღდეს.⁴ შესაბამისად, პირის დაკავება სამნახევარი ღდით არ ეწინააღმდეგება დაუყოვნებლივის ცნებას.⁵ მაგრამ ნებისმიერი დაკავება 4 ღდებე მგტი ხნით, თუნდაც განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას (მაგალითად, სამოგაღოების გეროროიზმისაგან დაყვის მიზნით) მე-5 მუ-

¹ Brogan and Others v UK, A145-B, 32, para. 59 (1988).

² Brogan and Others v UK, A145-B (1988).

³ X v Netherlands, N2894/66, YB 9, 564, 566-568 (1966).

⁴ European Human Rights Law: Text and Materials, M. Janis, R. Kay & A. Bradley, 1995, 344.

⁵ Egue v France, N11256/84, Dec. 9/5/88.

⁶ McConnell v UK, N14671/89, Dec 11.1.90, unpublished.

ხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნათა ხელყოფა.¹ შესაბამისად, სასამართლოსათვის წარდგენის გარეშე პოლიციაში პატიმრობაში გაგარებული 4 დღე და 6 საათი სცილდება კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი ნაწილით ნებადართულ ვადას. „სპეციალური თავისებურებების“ კონტექსტში, კერძოდ, სამხედრო დანაშაულთან მიმართებით სასამართლომ აღნიშნა, რომ „სამხედრო ცხოვრების მოთხოვნებისა და სამართლიანობის გათვალისწინების შემთხვევაშიც კი, ხუთდღიანი დაყოვნება მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნათა ხელყოფაა.“

იქმნება წარუმატებელი დიქტომია სასამართლოსათვის დაუყოვნებელი გადაცემის თავდაპირველი გარანტიის უზრუნველყოფისაკენ სწრაფვასა (რომელიც გათვალისწინებულია მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით) და ხანგრძლივ, შემდგომში სასტიკონირებულ გამოძიებას შორის. „განსასჯელი დგება არჩევანის წინაშე – აირჩიოს პროცესისათვის უფრო ღრმა მომზადება ან უფრო სწრაფი პროცედურა. გარკვეულ ხარისხამდე იგი იძულებულია, თავად იტვირთოს ასეთი არჩევანის შედეგები.“² „გედმიწევნითობამ, რომელიც მოითხოვება, არ უნდა შეუშალოს ხელი სასამართლოს, ნათელი მოპოვინონ გამოვლენილ გარემოებებს, მისცენ როგორც დაცვის, ასევე ბრალდების მხარეს მტკიცებულებათა წარმოდგენისა და განმარტებების გაკეთების შესაძლებლობა, გამოიგანონ გადაწყვეტილება სამართალდარღვევის ფაქტის არსებობის და დასჯის შესახებ მხოლოდ სრულყოფილი განსჯის შემდეგ.“

საქმის სირთულე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ საშუალებების ეფექტიანობითა და შედეგიანობით განისაზღვრება, რომლებიც აქვს სახელმწიფოს თავისი კანონმდებლობის გამოყენებისათვის. გასათვალისწინებელია ის უარყოფითი შედეგებიც, რომლებიც შეიძლება იქონიოს დაკავებამ ბრალდებულის მიერ საკუთარი თავის დაცვის საშუალებებზე.³

4. კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარანტიები

ევროპის კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებს თავისუფლებადაკეცილ პირთა უფლებას სასამართლო განხილვაზე, რომლის განმავლობაშიც სასამართლო სწრაფად წყევს დაკავების კანონიერების საკითხს და გამოაქვს დადგენილება განთავისუფლების შესახებ, თუ უკანონოდ მიიჩნევს დაკავებას.

კანონიერების ცნება გულისხმობს დაკავების განხილვას „როგორც ეროვნული კანონმდებლობის, ასევე კონვენციის ტექსტისა და ზოგადი

¹ Schiess v Switzerland, A34. 12-13, para. 27-31 (1979).

² Koster v Netherladn, A221 (1991). ასევე იხ. Jong, Baljet and Van Den Brink v Netherlands, A77, para. 53 (1984); Duinhof and Duijf v Netherlands, A79 (1984); Van Der Stuijs, Zuiderveld and Klappe v Netherlands, A78 (1984).

³ Schertenleib v Switzerland, N8339/78, 23DR, para. 185-187, Comm. rep., 1980; Toth v Austria, N311894/85, para. 86, 112, Comm. rep., 1990.

⁴ Wemhoff v FRG, A7, 26, para. 17 (1968).

⁵ T. Buergenthal, Comparison of the Jurisprudence of national Courts with that of the Organs of the Convention, in: A. H. Robertson (Ed.), Human Raights in National and International Law, 1969, 163.

პრინციპების, მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვების მიზნების საფუძველზე“.¹

მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი წარმოადგენს Habeas Corpus-ის საერთაშორისო ანალოგს. იგი მოვადი ხასიათისაა და მასში ფორმულირებული უფლების არსებობა არ არის დამოკიდებული დაკავების ან დაპატიმრების მიზეზზე, რაც გულისხმობს, რომ აღნიშნული გარანტია ვრცელდება თავისუფლების აღკვეთის ყველა, როგორც მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ, ისე სხვა შემთხვევებზე.² გამონაკლისია ეროვნული ორგანოების მიერ სასამართლო განხილვის დაწყებამდე პირის გათავისუფლების და ის შემთხვევები, როდესაც დაკავებას მოსდევს პირის დაუყოვნებელი გათავისუფლება სახელმწიფოს ტერიტორიიდან.³

ამ მუხლის მიზანია, უზრუნველყოს პირი დაკავების კანონიერების შემოწმების რეალური და ქმედითი შესაძლებლობით, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს დაკავებული პირისათვის საჭირო დროისა და საშუალებების მინიჭებას.⁴ დროის მონაკვეთი არ უნდა იყოს იმდენად მცირე, რომ დააზარალოს მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საშუალების ხელმისაწვდომობა. რაც შეეხება საშუალებებს, მას უნდა ეცნობოს დაკავების მიზეზები, რაც მნიშვნელოვანია დაკავების კანონიერების გადამოწმებისათვის. მაგრამ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი მოითხოვს დაკავების მხოლოდ არსებითი საფუძვლებისა და არა დაკავების ყველა ღებალის ან ასაკუტის სასამართლო გადასინჯვას.⁵ ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საშუალების ან საშუალებების ხელმისაწვდომობა და ფარგლები „საკმარისად განსაზღვრული უნდა იყოს“ დაკავებული პირის ან მისი ადვოკატისთვის, რათა უზრუნველყოს დაცვის საშუალების „ეფექტურობა და ხელმისაწვდომობა“, რაც იგულისხმება მე-4 ქვეპუნქტით. ამავე დროს, ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ მე-4 პუნქტი ვრცელდება მხოლოდ დაკავების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებთან შესაბამისობის კანონიერებაზე და არ ანიჭებს დაკავებულ პირს უფლებას, სადავო გახადოს პირობები, რომლებშიც იგი იმყოფება.

საჭიროა თუ არა დაკავების კანონიერების დამატებითი სასამართლო გადასინჯვა, თუ ნებართვა დაკავებაზე სასამართლოს მიერ იქნა გაცემული?

შესაბამისი პროცედურის დაცვით სასამართლოს მიერ თავისუფლების აღკვეთის შესახებ თავდაპირველი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სასამართლოსადმი მიმართვის უფლება ინკორპორირებულია აღნიშნულ გადაწყვეტილებაში.⁷ ამ შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს, შემდგომში სასამართლო ორგანომ

¹ Brogan and Others v UK, A145-B, 34, para. 65 (1988); E v Norway, A181-A, 21, para. 49 (1990); Bouamir v Belgium, A129, para. 60 (1988); Zamir v UK, N9174/80, 40DR, 42-58 (1983), Comm. rep.; Whitehead v Italy, N13930/88, 60Dr, 272-283 (1989).

² De Jong, Baljet and den Brink v Netherlands, A77, 25, para. 57 (1984).

³ X and Y v Sweden, N376/76; 7447/76, Dr7, 123 (1976), unpublished.

⁴ K v Austria A 255-B (1993).

⁵ X v UK 46, para 66 (1981).

⁶ Ashingdane v UK, A93, para. 52 (1985).

⁷ De Wilde, Ooms and Versyp v Belgium, A12, para. 73 (1971).

გადასინჯოს ქვემდგომი სასამართლოს მიერ პირის თავისუფლების შეზღუდვის შესახებ გამოგანილი გადაწყვეტილება.

პირის თავისუფლების აღკვეთის შესახებ გადაწყვეტილების აღმინისგრაციული ორგანოების მიერ მიღების შემთხვევაში, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, წევრი-სახელმწიფოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება.

„ინკორპორაციული ზედამხედველობის“ ნათელ მაგალითს წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთა „კომპეტენტური სასამართლოს მიერ პირის მსჯავრების შემდეგ“.¹

არც თავდაპირველი სასამართლო გადასინჯვა და არც საჭიროებისას, ინკორპორაციული ზედამხედველობა უპირობოდ არ ანიჭებს იურიდიულ ძალას დაკავების მთელ პერიოდს, ვინაიდან შეიძლება შეიცვალოს დაკავების შესახებ თავდაპირველი გადაწყვეტილების საფუძველები.

თავისთავად ის გარემოება, რომ გადაწყვეტილება პირის დაკავების შესახებ სასამართლომ მიიღო ან აღმინისგრაციული დაკავება მოგვიანებით სანქცირებულ იქნა სასამართლოს მიერ, არ იქნება საკმარისი მე-4 პუნქტის მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის, თუ თავისუფლების აღკვეთის არსი მოითხოვს კანონიერების გონიერულ ინტერვალებში გადასინჯვას.

მიუხედავად იმისა, რომ პრეცედენტულ სამართალში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული დავები არ არის მრავალრიცხოვანი, სახელმწიფოს მოვალეობა ამ საკითხებში დამოკიდებულია:

1. თავისუფლების აღკვეთის სახეზე;²
2. დაკავების კანონიერების კონტროლის პერიოდულობაზე.³

უნდა აღინიშნოს, რომ მე-5 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებს შორის გარკვეული კავშირი არსებობს. ორივე მათიგანის მიერ გათვალისწინებულმა დაკეის საშუალებებმა შეიძლება თავისუფლებააღკვეთილი პირის გათავისუფლებამდე მივიყვანოს, მაგრამ:

1. მე-4 პუნქტის საფუძველზე ბრალდებულის დაკავების „კანონიერების“ განხილვისას წამოჭრილი საკითხები, როგორც წესი, უფრო რთულია, ვიდრე მე-3 პუნქტის საფუძველზე წამოჭრილი, როდესაც გადასაწყვეტია გირაოზე უარის თქმისათვის ჯეროვანი საფუძვლის არსებობა;⁴

2. მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სისწრაფის ცნება (promptly) გულისხმობს უფრო მეტ სისწრაფეს, გადაუდებლობას, ვიდრე მე-4 პუნქტით გათვალისწინებული – speedily;

3. მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პროცესუალური გარანტიები მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ გარანტიებთან შედარებით ნაკლებ მკაცრია. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ, თუ მე-3 პუნქტის შესაბამისად მიმდინარე პროცესი პასუხობს მე-4 პუნქტის მოთხოვნებს, მე-4 პუნქტით გათვალისწინებული „სასამართლო კონტროლი“ ინკორპორირებულია მე-4 პუნქტის შესაბამისად განხორციელებული დაკავებული პირის დაკავების ნებისმიერი

¹ De Wilde, Ooms and Versyp v Belgium, A12, 40, para. 76 (1971).

² X v UK, para. 52, 22 (1981).

³ Bezicheri v Italy, A161 (1989).

⁴ E v Norway A 181 para 64 (1990).

სახის დადასტურებით მოსამართლის ან სასამართლო ხელისუფლების განმახორციელებელი ნებისმიერი სხვა ოფიციალური წარმომადგენლის მიერ.

5. დაკავების კანონიერების შემოწმება

ევროპის კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებს უწყვეტი სასამართლომდელი დაკავების შემოწმებას რეგულარული პერიოდულობით. დაკავების კანონიერების უზრუნველყოფისათვის დაკავების პერიოდული შემოწმება შეიძლება აუცილებელი ამოჩნდეს მამინაც, თუ:

1. დაკავება განხორციელდა დანაშაულისათვის მჯავრდების შემდეგ;

2. სასჯელი შეიცავს განუსაზღვრელობის ელემენტს;

3. შესაძლებელია დადგინდეს ცვლილებები დაკავების ხასიათში თავდაპირველ ხანგრძლივობასთან შედარებით;

4. საჭიროა რაიმე ახალი საკითხის განხილვა.

შემოწმების მიზანია, უზრუნველყოს უწყვეტი დაკავების შესაბამისობა იმ მიზნებთან, რასაც ისახავდა დაკავების შემფარდებელი სასამართლო.¹ მისი განხორციელების უფლება აქვს დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოს, რომელიც ვალდებულია, უზრუნველყოს შემოწმების შედეგების ხელმისაწვდომობა პროცესის მონაწილისათვის.

შემოწმება უნდა ხორციელდებოდეს რეგულარულად.² კონგროლის სიხშირე დამოკიდებულია საქმის გარემოებებზე, დაკავების ხასიათისა და ფორმაზე, დაკავების მიზანზე, სასამართლომდელი დაკავება უნდა იყოს მკაცრად ინტელექტუალური ხანგრძლივობის და, შესაბამისად, კონგროლიც დროის მცირე ინტერვალებში უნდა განხორციელდეს. ლოდინის ხანგრძლივობა, რომელიც აითვალება თეთობით და არა კვირობით, ეწინააღმდეგება მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ „სისწრაფის“ მოთხოვნას. ამიგომ, როგორც წესი, მიზანშეწონილია სასამართლომდელი დაკავების ყოველთვიური გადასინჯვა.³ გამონაკლისია პირის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსების შემთხვევები, როდესაც მისაღებია კონგროლის შედარებით ხანგრძლივი ინტერვალები⁴ მაგრამ ამ შემთხვევაში პერიოდი 1 წლის ხანგრძლივობით მიჩნეულ იქნა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნათა ხელყოფად.⁵ თუ არსებობს პირის გონივრული მდგომარეობის შეცვლის მტკიცებულება, სასამართლო განხილვა შეიძლება უფრო ხანმოკლე მონაკვეთებში გახდეს საჭირო.⁶

მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოვალეობის მოცულობა იცვლება დაკავების ფორმირებისა და გარემოებებიდან გამომდინარე. იმის განსაზღვრისათვის, ითვალისწინებს თუ არა სამართალწარმოება ადეკვატურ

¹ Weeks v UK, A114 (1987), para 69, 42-43; Thynne, Wilson and Cunnell v UK, A190 -A, para. 80, at 30 (1990).

² Winterwerp v Netherlands, A33, 22, para. 55 (1979); X v UK, A46, 22, para. 51 (1981); Toth v Austria, A224, 18, para. 67 (1991).

³ Bezicheri v Italy, A164, 10-11, para 21 (1989). უფრო ხანმოკლე დროის შუალედებთან დაკავებისათვის სასამართლოს არ გამოუხატავს თავისი პოზიცია (იხ. Liberty v Italy, A75, para. 25 91984); Van der Ler v Netherlands, A170-A (1990), Koendjibiharie v Netherlands, A185-B (1990).

⁴ Bezicheri v Italy, A164, at 10 (1989).

⁵ Herczegfalvy v Austria, A244 (1992).

⁶ M v FRG, N10272/83, 38DR. 104 (1984).

გარანტიებს, ყურადღება უნდა მიექცეს სამართალწარმოების პირობებს.¹ სასამართლომ შეიმუშავა შემდეგი მოგადი პრინციპები:

1. სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი უნდა იყოს ეფექტიანი და საკმარისად განსაზღვრული;²

2. უმრუნელყოფილ უნდა იქნეს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა, რომელსაც შეუძლია მოითხოვოს განმცხადებლის სახელით პროცესუალური გარანტიების შესრულება³ და მიიღოს გადაწყვეტილება მოცემული პირის განთავისუფლების შესახებ;⁴

3. დაცვის საშუალებების ხელმისაწვდომობის დაუყოვნებლივ უმრუნელყოფა.

ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული დაცვის საშუალებები ეფექტიანი უნდა იყოს, ე.ი. იძლეოდეს დაკავების კანონიერების ეჭვის ქვეშ დაყენების, გადაწყვეტილების დისკრეციული და არსებითი ელემენტების შემოწმებისა და არა მხოლოდ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტის ან პროცესის მსგელობისას ხარვეზის დადგენის შესაძლებლობას.⁶

ყველა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურის ეფექტიანობა განიხილება ერთიანობაში მუხლთან შესაბამისობის შეფასებისას, ვინაიდან „ერთი პროცესის აშკარა დეფექტები შეიძლება გამოსწორდეს სხვა პროცესში ხელმისაწვდომი (არსებული) გარანტიებით“.⁷

გარკვეული სირთულე შეიძლება არსებობდეს, ერთი მხრივ, პროცესუალური სამართლიანობის უმრუნელყოფასა და, მეორე მხრივ, გადაწყვეტილების „სწრაფად“ გამოგანას შორის. მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დაკავების კანონიერების შემოწმება „სწრაფად“ უნდა იქნეს ხელმისაწვდომი. ეს მოთხოვნა ეხება როგორც კონგრულის, ასევე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას.⁹ ამდენად, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი შეიცავს ორ დამოუკიდებელ მოთხოვნას:¹⁰

1. თავისუფლებააღკვეთილი პირისათვის დაკავების კანონიერების სასამართლო კონგრულის დაკავებისთანავე ხელმისაწვდომობა;

2. ამ საშუალების დროულად განხორციელება.

მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი მოითხოვს, რომ გადაწყვეტილება დაკავების კანონიერების შესახებ სწრაფად იქნეს მიღებული. აღნიშნული მიზნისათვის დროის ათვლა, როგორც წესი, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალის-

¹ Winterwerp v Netherlands, A33, mpara. 57, at 23; Bouamar v Belgium, A129, para. 60, 57, at p. 23-24 (1988).

² Van Droogenbroeck v Belgium, A50, para. 54, (1982).

³ Van Droogenbroeck v Belgium, A50, para. 21, at 42-44 (1982)

⁴ X v UK, A46, para. 61, at 26 (1981); ასევე იხ. Van Droogenbroeck v Belgium, A50, (1982); Weeks v UK, A114 (1987); Thynne, Wilson and Cunnell v UK, A190-A (1990).

⁵ X v UK, A46, para. 17.

⁶ E v Norway, A181-A, para. 60, at 25 (1990); Ireland v UK, A25, para. 200, 76 (1978).

⁷ Winterwerp v Netherlands, A33, para. 62 (1979).

⁸ Neumeister v Austria, A8, para. 24, at 43 (1968).

⁹ Sanchez-Reisse v Switzerland, A107, para. 55, at 20 (1986).

¹⁰ De Jong, Balajet and Van Den Brink v Netherlands, A77, para. 58 (1984); X v UK, B41, para. 138 (1980) Comm. rep.

წინებული პროცედურების დაწყების მომენტიდან იწყება.¹ თუ სასამართლოში მიმართულებულ თავისუფლებათა დაცვითი ღონისძიებები უნდა გამოიყენოს დაცივის აღმინისტრაციული საშუალება, დროის ათეულა აღმინისტრაციული ორგანოსათვის საქმის გადაცემის მომენტიდან იწყება.² მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნათა სეკიონი იქნება იმ შემთხვევაში, თუ თავისუფლებათა დაცვითი ღონისძიებები უნდა მოწვევს დაცდა, ვიდრე მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დაცივის საშუალება მისთვის ხელმისაწვდომი ვახდებდა.

დროის ათეულა მიადრდება დაკავების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მომენტში, თუ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოცხადება არ ვსწრებოდა თავისუფლებათა დაცვითი ღონისძიებები ან მისი აღდგომა, მაშინ – აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ მათი შეცდომისთვის დღეს.³ აქ არ იგულისხმება იმ პირის გათავისუფლების დღე, ვისი დაკავება უკანონოდ იქნა ცნობილი.⁴ ამავ დროს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული გასაჩივრების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე გასული ვადის ხანგრძლივობა, თუ ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს ასეთი გასაჩივრების შესაძლებლობას.

საკითხის გადასაწყვეტად – სწრაფად იქნა თუ არა მიღებული გადაწყვეტილება – გამოიყენება იგივე კრიტერიუმები და მიდგომები, რაც გამოიყენება იმ საკითხის გადასაწყვეტად, დაეული იყო თუ არა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით და მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული გარანტიები ვონიერულ ვადაში სასამართლო განხილვის ჩატარების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ არ არის დადგენილი გადაწყვეტილების მიღებისათვის დროითი ზღვარი. საკითხი წყდება საქმის კონკრეტული ვარემოებებიდან გამომდინარე.⁵ ამასთან, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ეროვნული ხელისუფლების ორგანოების ძალისხმევა, თავისუფლებათა დაცვითი ღონისძიებისა და ნებისმიერი სხვა ვარემოებით ვამოწვეული დაყოვნება, რომელიც არ არის დაკავშირებული სახელმწიფოს პასუხისმგებლობასთან.

W v Switzerland საქმეზე აღინიშნა, რომ ევროპაში არსებული სისხლის საპროცესო სისტემების თანახმად, სასამართლომდელი დაკავების (საერთო) ფაქტობრივი ან ნებადართული ხანგრძლივობა დღეს უკვე 4 წელზე ბევრად ნაკლებია.⁶ შესაბამისად უნდა არსებობდეს სასამართლო განხილვამდელი დაკავების ხანგრძლივობის აბსოლუტური ზღვარი. ჭეშმარიტად ძალიან სერიოზული მტკიცებულებებია საჭირო ვირაომე უარის თქმისათვის და საქმის ვამოძიება-განხილვამდე დახარჯული 4 წლიანი ვადის დასაბუთებისათვის.⁷

მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით დაეული უფლება პროცესუალური უფლებათა, რომელიც ვარეველწილად ეხმიანება მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტს, თუმ-

¹ Van Der Leer v Netherlands, A170-A (1990).

² Sanchez-Reisse v Switzerland, A107, para 54 (1986); Ireland v UK, A25, para. 200 (1978).

³ Koendjibihari v Netherlands, A185-B, para. 28 (1990).

⁴ Luberti v Italy, A75 (1984).

⁵ Sanchez-Reisse v Switzerland, A107, para. 55 (1986).

⁶ Delays in the Criminal Justice Systems „Reports Presented to the 9th Criminological Colloquium (1989) Council of Europe Press 1992.

⁷ A254-A (1993) - მოსამართლე Pettiti-ის განსაკუთრებული მოსაზრება.

ცა მათ შორის მკაფიო განსხვავებაც არსებობს. პირველ შემთხვევაში საუბარია დაკავების კანონიერების გასაჩივრებაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში – სისხლისსამართლებრივი ბრალდების ან სამოქალაქო უფლებისა თუ მოვალეობის განსაზღვრაზე. მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი წინასწარი წესით დაკავებულ პირს ანიჭებს სასამართლოში მიმართვის უფლებას მისი დაკავების ან პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. ბევრი ამ პრინციპთან ერთნაირად გამოიყენება როგორც მე-5 მუხლის მე-4 პუნქტთან, ისე მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტთან მიმართებით. აქ არ არის აუცილებელი მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ყველა მოთხოვნის დაცვა და შეიძლება გამოყენებულ იქნეს გამარტივებული პროცედურებიც. არ არის აუცილებელი პირის დასწრება და გადაწყვეტილების ღია სხდომაზე გამოტანა. ასევე არ არის ნათელი, საჭიროა თუ არა მხარეთა კამათი.¹

მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სასამართლო განხილვა ყოველთვის არ უნდა სორციელდებოდეს იმ გარანტიების თანხლებით, რომლებიც აუცილებელია მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად სისხლის ან სამოქალაქო სამართლებრივი დაცვისათვის. მაგრამ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი და მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მარეგულირებელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს „საშუალებათა თანასწორობის“ პრინციპი წარმოადგენს. სასამართლოს აზრით, ამ პრინციპის დაცვისათვის პირს უნდა ჰქონდეს სასამართლოში პირადად გამოსვლისა და აუცილებლობისას მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ სასამართლო განხილვაზე გარკვეული სახის წარმომადგენლობაზე უფლება, სასამართლოში გამოცხადებისა და სასამართლოს მიერ უშუალოდ მისი ან მისი წარმომადგენლის მოსმენის შესაძლებლობა.²

მიუხედავად იმისა, რომ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი არ ითვალისწინებს ადეოკატთან კომუნიკაციის უფლებას,³ ცალკეულ შემთხვევაში (მაგალითად, როდესაც ბრალდებული ძალიან ახალგაზრდაა) სასამართლო განხილვის მეჯინბრებითობის უზრუნველყოფისათვის შეიძლება საჭირო იყოს პირისათვის სასამართლოში იურიდიული წარმომადგენლობისა⁴ და საქმის გაცნობის შესაძლებლობის მინიჭება. ბრალდებულს უნდა ჰქონდეს საქმის მასალებთან დაშვების შესაძლებლობა, რაც გამოძიების ორგანოების მიერ გამოიყენება წინასწარი პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთებისათვის.⁵ წინააღმდეგ შემთხვევაში თავისუფლებააღკვეთილ პირს არ ექნება თავისუფლების აღკვეთის საკითხთან დაკავშირებული ძირითადი პროცესუალური გარანტია.

„დაკავების აუცილებლობისა და ბრალეულობის შემდგომ შეფასებას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. დაუშვებელია უარის თქმა დაკავებისას მასალების გასაცნობად წარდგენაზე, მაშინ როდესაც ეს მოითხოვება კანონით ბრალეულობის შეფასებისას.“⁶

¹ Sanchez-Reisse v Switzerland, A107, para. 51, at 19 (1986).

² Winterwerp v Netherlands, A33 (1979).

³ X v Denmark, N8829/79, 30DR, 93-94 (1982).

⁴ Bouamar v Belgium, A129, para. 60, at 32 (1988).

⁵ Lamy v Belgium, A151 (1989).

⁶ Lamy v Belgium, A151, para. 29, at 16 (1989); Weeks v UK, A114, para. 66, at 32 (1987).

სასამართლო განახლებებს დაკავების შესახებ თავდაპირველ გადაწყვეტილებას დაკავების ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებისაგან, როდესაც შეიძლება წარმოიშვას ახალი საკითხები ან ფაქტები. მაგრამ ორივე შემთხვევაში ნებისმიერი ორგანო, რომელიც აკმაყოფილებს „სასამართლოს“ მოთხოვნებს, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, უნდა იყოს დამოუკიდებელი და პქონდეს შესაძლებლობა, განახორციელოს დაკავება კანონისა და ფაქტების საფუძველზე ან, შესაბამისად, გაათავისუფლოს პირი, თუ სახელმწიფომ ვერ დაასაბუთა დაკავების აუცილებლობა.¹

6. კომპენსაციის უფლება

კონვენცია ადგენს კომპენსაციის შესაძლებლობას მასში გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფისათვის. მე-4 მუხლი კონვენციის ერთადერთი დებულებაა, რომელიც ითვალისწინებს კომპენსაციის შესაძლებლობას ეროვნულ დონეზე კონვენციით გარანტირებული უფლების დარღვევისათვის. ეს უფლება ავსებს 50-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლებას „სამართლიან ანაზღაურებაზე“. მაგრამ თუ მე-4 პუნქტის გამოყენების წინაპირობაა მე-5 მუხლით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე უფლების ხელყოფა, მაშინ 50-ე მუხლი ზოგადი ხასიათის დებულებაა, რომელიც არეგულირებს „სამართლიანი კომპენსაციის“ უფლებას, თუ სასამართლო აღმოაჩენს კონვენციით გარანტირებული ნებისმიერი ერთი ან რამდენიმე უფლების ხელყოფის ფაქტს და მოქმედი ეროვნული სამართალი არ ითვალისწინებს ადეკვატურ კომპენსაციას.²

„სამართლიანი ანაზღაურების“ მინიჭება მხოლოდ ევროპული სასამართლოს კომპეტენციაა, მაშინ, როდესაც მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაცია უნდა განხორციელდეს ეროვნული სასამართლოების მიერ იმ ორგანოებთან მიმართებით, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა უკანონო დაპატიმრების ან დაკავებისათვის. მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის გამოყენება არ გამოირიცხავს 50-ე მუხლის შესაბამისად აღნიშნული საკითხის ევროპული სასამართლოს მიერ გადასინჯვას.³ ნებისმიერი ოლქობის კომპენსაციის გადახდა არ ართმევს შესაბამის პირს „დამზარალებულის“ სტატუსს მე-4 მუხლით გარანტირებული უფლებების ხელყოფასთან დაკავშირებით.⁴

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო პასუხობს მე-4 პუნქტით მასზე დაკისრებულ მოვალეობას, თუ „განსაზღვრულობის საკმარისი ხარისხით შეუძლია აჩვენოს მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დაცვის საშუალების ხელმისაწვდომობა განმცხადებლისათვის“.⁵

მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, უფლება კომპენსაციაზე მოიცავს როგორც მატერიალურ, ასევე მორალურ გიანს, მაგრამ კომპენსაცია გაიცემა

¹ De Wilde, ooms and Versyp v Belgium, A12 91971; Weeks v UK, A114 (1987).

² Brogan v UK A145-B para 67 (1983).

³ Brogan and Other v UK, A145-B (1988); Ciulla v Italy A148 (1989).

⁴ Woukam Moudefo v France, N10868/84, A141-B, para. 1, at 79 (1988); Egue v France, N11256.84, para. 1 (1988), unpublished.

⁵ Ciulla v Italy A 148 paras 43-45 (1989).

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებულს შეუძლია დაამტკიცოს მისთვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტი, ეინაილან „კომპენსაციის შესახებ საკითხი არ დგება მატერიალური და მორალური ზიანის გარეშე, რომელიც ანაზღაურებულ უნდა იქნეს“¹. სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ადგენს მე-1 მუხლის მე-1 პუნქტი გამოყენების ორ პირობას:

1. კომპენსაციის მოთხოვნა მე-1 მუხლის დებულებათა ხელყოფით განხორციელებული დაკავების ან დაპატიმრებისათვის დაყენებულ უნდა იქნეს ეროვნული სამართალწარმოებისას;

2. უნდა არსებობდეს მე-1 მუხლით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე არსებითი დებულების ხელყოფა.²

უნდა აღინიშნოს, რომ მე-1 პუნქტით გათვალისწინებული უფლების გამოყენების წინაპირობა არ არის განმცხადებლის მიერ ეროვნული კანონმდებლობით ხელმისაწვდომი შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვა იმის განსაზღვრისათვის, შეუძლია თუ არა მას, მიიღოს მე-1 პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაცია ეროვნული კანონმდებლობით.

კომპენსაციის უფლება, როგორც წესი, გულისხმობს ფინანსურ კომპენსაციას და არა *ex gratia* გადასახადს სახელმწიფოს მიერ (მიუხედავად იმისა, რომ ეს შეიძლება უფრო ფართო იყოს ფინანსურ კომპენსაციასთან შედარებით). საკომპენსაციო თანხის ოდენობის განსაზღვრა წევრი-სახელმწიფოების პრეროგატივაა.

უნდა აღინიშნოს, რომ 50-ე მუხლის მე-2 პუნქტისაგან განსხვავებით, მე-1 მუხლის მე-1 პუნქტი განმცხადებელთა მცირე ინტერესს იწვევს, რითაც აიხსნება პრეცედენტულ სამართალში ამ პუნქტთან დაკავშირებული პრეცედენტების შედარებითი სიმცირე.

7. დასკვნა

პიროვნების თავისუფლება ევროპული კონვენციით გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემის განუყოფელი ნაწილია. სხვა საერთაშორისო დოკუმენტებისაგან განსხვავებით, მე-1 მუხლი მედმიწევნით დეტალურად განსაზღვრავს პიროვნული თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების შემადგენელ საფუძვლებს, ითვალისწინებს პიროვნული თავისუფლების დაცვას კლასიკური და არა ფართო მნიშვნელობით.

სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე პირთა ხელშეუხებლობისა და თავისუფლების რეალური განხორციელებისათვის ეროვნული სამართალწარმოებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა მე-1 მუხლის დებულებათა სწორ და ერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას, პრეცედენტული სამართლის მოთხოვნათა დაცვას ენიჭება.

¹ Wassink v Netherlands, A185-A para. 38 at 14 (1990).

² Murray v UK, A300-A (1994).

პროკურორის საბრალდებო სიტყვის სტრუქტურა

მტკიცებულებათა გამოკვლევის შრომატევადი და რთული პროცესი ლოგიკურ დასასრულს სასამართლო (მხარეთა) კამათში პოულობს. იგი საქმის სასამართლოში განხილვის ის ეტაპია, რომელიც მოწინააღმდეგე (ბრალდებისა და დაცვის) მხარეებს შესაძლებლობას აძლევს, გამოთქვან სასამართლოს წინაშე თავიანთი შემაჯერებელი აზრი სისხლის სამართლის საქმეზე წამოჭრილი ყველა საკითხის ირგვლივ.

სასამართლო კამათის წარმართვის წესს, რომელიც იწყება სასამართლო გამოძიების დამთავრებისთანავე და მთავრდება განსასჯელის საბოლოო სიტყვის წინ, აწესრიგებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სამიოდე (489-ე-491-ე) მუხლი. მხარეთა კამათი მოიცავს გამოსვლებს, რომლებსაც რიგითობით წარმოთქვამენ: სახელმწიფო ან კერძო ბრალმძებელი, სამოქალაქო მოსარჩელე ან მისი წარმომადგენელი, დამცველი ან განსასჯელი (თუ დამცველი სასამართლო განხილვაში არ მონაწილეობს), სამოქალაქო მოპასუხე და მისი წარმომადგენელი. სასამართლო კამათი სისხლის სამართლის საპროცესო საქმიანობის სწორედ ის ეტაპია, რომელიც სამართალწარმოებაში დაკავებული ადგილით, მხარეთა საპროცესო უფლებების რეალიზაციის ფორმით, სასამართლოსა და აუდიტორიაზე წმინდა ემოციური გემოვნებებით არის შეჯიბრებითობის იდეის პრაქტიკული განხორციელების მწვერვალი, აპოგეა.¹ იგი არის ყველაზე ცოცხალი, მოძრავი, ფორმითა და მოცულობით ცვალებადი ნაწილი სასამართლო შეჯიბრებითობისა.²

სასამართლო კამათის მნიშვნელობა იმით გამოიხატება, რომ მისი მონაწილენი აჯამებენ სასამართლო გამოძიების შედეგებს და აუხსნებენ მტკიცებულებებს, რითაც ხელს უწყობენ სასამართლოს შემადგენლობას, პროცესის სხვა მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას, რათა უკეთესად გაერკვნენ საქმის ფაქტობრივ და იურიდიულ გარემოებებში, ნათელს ხდიან კამათის თითოეული მონაწილისათვის მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებას, ფაქტებისადმი დამოკიდებულებას, არგუმენტებს და საერთო პოზიციას.

¹ В. М. Савицкий, Очерк теории прокурорского надзора в уголовном судопроизводстве, М., 1975, с. 335.

² А. Ф. Коин, Собр. соч., т. 4., М., 1967, с. 366.

სასამართლო კამათის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი, მისი პირველი ეტაპი პროკურორის საბრალდებო სიტყვაა, რომელსაც ღრმა შინაარსობრივი დატვირთვა აქვს. საბრალდებო სიტყვა პროკურორის (სახელმწიფო ბრალმძღვლის) მიერ სასამართლო გამოძიების შედეგების საფუძველზე გაკეთებული იმ დასკვნების ერთობლიობაა, რომელიც ბრალდების მტკიცებას, დანაშაულის კვალიფიკაციას, სასჯელის სახესა და ზომას და სხვა საკითხებს ეხება. პროკურორი სასამართლო გამოძიებისას გამოკელებული მტკიცებულებების საფუძველზე სასამართლოს წინაშე ასაბუთებს განსასჯელის ბრალეულობას, რითაც, შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით, სხვა მხარეების თანასწორად, გამოსატყუარ საკუთარ პროცესუალურ ინტერესს, მის სასიათსა და მიმართულებას. სახელმწიფო ბრალმძღვლის მიერ საჯაროდ წარმოთქმული სიტყვა მნიშვნელოვნად განაპირობებს საქმეზე საბოლოო ჭეშმარიტების დადგენას და მოსამართლის შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებას.

ის მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო ნორმები, რომლებიც მხარეთა კამათის წესს არეგულავენ, არ მიუთითებენ პროკურორის მიერ საბრალდებო სიტყვის წარმოთქმის სავალდებულობაზე. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 490-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებულია კამათის მონაწილეთა უფლებაზე (მათ შორის – სახელმწიფო ბრალმძღვლის) – გამოთქვან აზრი განსასჯელის დამნაშავედ ცნობის, სასჯელის შესახებ და ა.შ., მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ, რომ პროკურორი სწორედაც ვალდებულია, წარმოთქვას საბრალდებო სიტყვა. ასეთი მოსაზრება გამომდინარეობს საპროცესო კოდექსის 57-ე და 446-ე მუხლების მოთხოვნებიდან, რომელთა მიხედვით, პროკურორი პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოდის როგორც სახელმწიფო ბრალმძღველი და მას ეკისრება ბრალდების მტკიცების მოვალეობა, ხოლო თუ შეკრებილი მტკიცებულებები არ ადასტურებენ ბრალდებას, პროკურორი ვალდებულია, უარი თქვას ბრალდებაზე და უნდა დაასაბუთოს იგი. ამდენად, ბრალდების მტკიცების (მათ შორის მტკიცებულებათა შეფასების) მოვალეობა საბრალდებო თემის დასაბუთებას ნიშნავს, რაც უზრუნველყოფილია, უმთავრესად, საბრალდებო სიტყვის საშუალებით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა პროკურორის საბრალდებო სიტყვის დეტალურ სტრუქტურას არ განსაზღვრავს, თუმცა ამ სიტყვის შემადგენლობაზე აზრთა სხვადასხვაობაა სამეცნიერო ლიტერატურაში, სადაც საბრალდებო სიტყვის შემადგენელი ნაწილის რაოდენობაზე, შინაარსსა და ურთიერთდამოკიდებულებაზე რამდენიმე განსხვავებული პოზიციია დაფიქსირებული, კერძოდ:

ა. ფალიაშვილის აზრით, საბრალდებო სიტყვა შედგება სამი ელემენტისაგან:

1) შესავალი ნაწილი, სადაც გადმოცემულია სისხლის სამართლის საქმის შინაარსი და დანაშაულის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეფასება;

2) დამამტკიცებელი საბუთების ანალიზი, აგრეთვე დანაშაულის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების, დანაშაულის სიმძიმის, დამნაშავის პიროვნების, დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და პირობების ანალიზი;

3) მოსაზრება დანაშაულის კვალიფიკაციის, სასჯელის სახისა და ზომის, გარალის ანაზღაურების, სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების თაო-

ბაზე.¹ ზემოაღნიშნული კომპაქტური, ასე ეთქვათ, შემჭიდროებული სტრუქტურა საბრალდებო სიტყვისა იმავე ავტორმა მოგიიანებით უფრო გაერყობილად წარმოადგინა, სადაც საბრალდებო სიტყვის შემადგენლობაში შეტანილი იქნა რვა ელემენტი: 1) დანაშაულის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეფასება; 2) დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებების აღწერა; 3) ცალკეულ მტკიცებულებათა ანალიზი და შეფასება; 4) განსასჯელის პიროვნების დახასიათება; 5) დანაშაულის იურიდიული ანალიზი; 6) დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ გარემოებათა და მიზეზთა ანალიზი; 7) მაგერიალური მიანის ანაზღაურების საკითხი (და 8) მოსაზრება სასჯელის სახისა და ზომის შესახებ.² ამ შემთხვევაში ავტორს მოსაზრება არ შეუცვლია, უბრალოდ 3 ელემენტში თავმოყრილი 8 შემადგენელი ნაწილი გამოცალკევდა თითო ელემენტის სახით, რაც თავისთავად საბრალდებო სიტყვის შინაარსისა და დანიშნულებას არ ცვლის (ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი არაფერს ამბობს ნივთიერი მტკიცებულებების ბეღზე, რაც, ჩვენი აზრით, საბრალდებო სიტყვის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს).

ვ. ბასკოვი 1968 წელს გამოცემულ ნაშრომში გეთავაზობს საბრალდებო სიტყვის შემდეგ სტრუქტურას: 1) სისხლის სამართლის საქმის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეფასება; 2) მტკიცებულებათა ანალიზი და შეფასება; 3) დანაშაულის აღკვეთის ღონისძიებათა შესახებ წინადადებები; 4) დანაშაულის იურიდიული შეფასება; 5) განსასჯელის პიროვნების დახასიათება; 6) სასჯელის შესახებ მოსაზრებები; 7) წინადადებები მაგერიალური მიანის ანაზღაურების შესახებ.³ იმავე ავტორმა 1972 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში აღნიშნულ სტრუქტურას დაუმატა მე-8 ელემენტი – ნივთმტკიცებათა ბედის შესახებ წინადადებები.⁴ 1975 წლის ნაშრომში „ამოავლო“ დანაშაულის თავიდან აცილების ღონისძიებათა შესახებ მოსაზრებები,⁵ ხოლო 1986 წელს ეს ელემენტი კვლავ შეიგანა საბრალდებო სიტყვის სტრუქტურაში,⁶ რა მოსაზრებაც მან ვააგარა ბოლო პერიოდის ჩათვლით, თუმცა საერთოდ არაფერია ნათქვამი საქმის ფაქტობრივი გარემოებების გადმოცემაზე.⁷

შინაარსის მსგავს სტრუქტურას გეთავაზობენ რ. ჭოლოშვილი და ი. აქუბარდია.⁸ ვ. სავიციი თვლიდა, რომ საბრალდებო სიტყვის შემადგენლობა შეიძლება იყოს პრაქტიკული, თუმცა მასში, მიუხედავად საქმის სპეციფიკისა, აუცილებლად უნდა გაშუქდეს მტკიცებულებები, დანაშაულის კვალიფიკაცია და სასჯელის ღონისძიება.

¹ ა. ფალიაშვილი, საქართველოზე ზედამხედველობა სსრ კავშირში, თბ., 1970, გვ. 195-196.

² საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი (ა. ფალიაშვილისა და ლ. თალაკვაძის რედაქტორობით), თბ., 1988, გვ. 417.

³ В. И. Басков, Прокурор в суде первой инстанции, М., 1968, с. 125-188.

⁴ В. И. Басков, Поддержание государственного обвинения в суде, М., 1972, с. 33.

⁵ В. И. Басков, Надзор прокурора в суде по уголовным делам, М., 1975, с. 33-38.

⁶ В. И. Басков, Прокурорский надзор за исполнением законов при рассмотрении уголовных дел в судах, М., 1986, с. 98-128.

⁷ В. И. Басков, Курс прокурорского надзора, М., 1999, с. 260-261.

⁸ რ. ჭოლოშვილი, საქართველოზე ზედამხედველობა, თბ., 1997, გვ. 79.

⁹ ი. აქუბარდია, საქართველოს პროკურატურის ისტორია და თანამედროვე ორგანიზაცია, თბ., 1999, გვ. 164.

¹⁰ В. М. Савицкий, Очерк теории прокурорского надзора в уголовном судопроизводстве, М., 1975, с. 342.

მ. სტროგოვიჩის აზრით, საბრალდებო სიგყვა 3 ძირითად ელემენტს უნდა მოიცავდეს: 1) საქმის საზოგადოებრივ-პოლიტიკური დასასიათება; 2) სასამართლო გამოძიებისას დადგენილი ფაქტობრივი მონაცემების ანალიზი, შემოწმებულ მტკიცებულებათა განხილვა და მათგან გამოგანილი დასკვნები დანაშაულის ფაქტის, გარემოებებისა და განსასჯელის დამნაშავეობის შესახებ; 3) დანაშაულის კვალიფიკაცია და სასჯელის შომის მითითება. მისივე აზრით, ეს სტრუქტურა პირობითია და თანმიმდევრობის დაცვა არაა სავალდებულო; ამასთან, გარდა ძირითადი ელემენტებისა, საბრალდებო სიგყვაში შეიძლება აისახოს სხვა საკითხებიც, თუკი ისინი წამოიჭრნენ სასამართლო განხილვის პროცესში, მაგალითად; სამოქალაქო სარჩელის შესახებ, დანაშაულის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად კერძო განჩინების გამოგანის თაობაზე და სხვ.¹

მ. მალიაროვი საუბრობს საბრალდებო სიგყვის 8 ელემენტზე, რომელთა შორის არ მოიხსენიებს დანაშაულის ჩადენის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების ანალიზს. სამაგიეროდ გეთავაზობს „ახალ“ ელემენტს – დასკვნას, რომელიც, მისი აზრით, სავალდებულო არაა ყველა საქმეზე და რომელშიც პროკურორმა საზოგადოების ყურადღება უნდა მიაპყროს იმას, თუ რა დასკვნები უნდა იქნეს გამოგანილი მოცემული სასამართლო პროცესიდან, მიუთითოს პროცესის აღმზრდელობით ხასიათზე.² აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავტორს აღრინდელ მონოგრაფიაში საერთოდ იგნორირებული ჰქონდა ზიანის ანაზღაურების შესახებ პროკურორის მოსაზრებები,³ რომლის გარეშეც საბრალდებო სიგყვა, ჩვენი აზრით, არასრული იქნებოდა.

ნ. ალექსეევსა და მ. მაკაროვას საბრალდებო სიგყვის შემადგენლობაში შეაქვეთ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტი, თუმცა ზოგი მათგანი გაერთიანებულია ერთ შემადგენელ ნაწილად (სულ 7 ნაწილი),⁴ რასაც, ჩვენი აზრით, რაიმე გადამწყვეტი მნიშვნელობა არ გააჩნია.

ლ. ჩერქეზია მიუთითებს საბრალდებო სიგყვის ისეთ შემადგენელ ნაწილებზე, როგორებიცაა: შესავალი, საქმის გარემოებათა გადმოცემა, მტკიცებულებათა განხილვა, განსასჯელის დასასიათება, დანაშაულის შემადგენლობის ანალიზი და სასჯელის ღონისძიებები,⁵ თუმცა ამ სტრუქტურაში არ შეაქვეთ ზიანის ანაზღაურების შესახებ მოსაზრებები, ღონისძიებები დანაშაულის ხელშემწყობი მიზეზების აღმოფხვრის შესახებ და წინადადებები ნივთიერი მტკიცებულებების საკითხის გადასაწყვეტად, რაც მის მიერ შემოთავაზებული სტრუქტურის აშკარა ხარვეზად მიგვაჩნია.

დაახლოებით მსგავს სტრუქტურას გეთავაზობს ლ. ზაიჩიცი, რომელიც, ამასთან, აშკარად მიუღებელ მოსაზრებას აყალიბებს, როდესაც მიუთითებს, რომ საბრალდებო სიგყვაში მტკიცებულებათა ანალიზი და შეფასება ყოველთვის არ არის საჭირო, მაგალითად განსასჯელის მიერ ჩადე-

¹ М. С. Строгович, Курс советского уголовного процесса, т. II, М., 1970, стр. 310-315.

² Поддержание государственного обвинения в суде. Под ред., св. М. П. Малярова, М., 1970, с. 12-13.

³ М. П. Маляров, Речь государственного обвинителя, ж. «Социалистическая законность», 1964, №9, с. 26.

⁴ Н. С. Алексеев, З. В. Макарова, Ораторское искусство в суде, 1985, с. 91.

⁵ Л. Черкезия, Судья о речи государственного обвинителя, ж. «Социалистическая законность», 1971.

ნილი დანაშაულის აღიარების დროს.¹ ამ პოზიციას ვერ დაეთანხმებით, ვინაიდან ნებისმიერი მგვიკივებულება საჭიროებს ლეგალურ, ყოვლმხრივ და ობიექტურ გამოკვლევას და შეფასებას მისი უტყუარობის, საქმესთან დამოკიდებულების, დასამუებობის, ხოლო სხვა მგვიკივებულებებთან ერთობლიობაში – საკმარისობის თეალსაზრისით. ასეთივე მიდგომაა საჭირო განსასაჯელის აღიარებით ჩვენებასთან, თუნდაც იმიგომ, რომ დადგინდეს, თაეისი აღიარებით მას სასამართლოს ყურადღების მოღუნება ხომ არ სურს სხვა უფრო მძიმე დანაშაულის დასაფარავად.

საბრაღლებო სიგყეის სტრუქტურის სხეადასხეა ვარიანტს გეთაეაზობენ, აგრეთვე, ე. ცარეე² და ი. პერლოვი, რომლებიც მას ყოფენ ხუთ ელემენტად. ი. კოსტანოვი და ე. ნაზაროვი მიუთითებენ 7 ნაწილზე. მ. შიფმანი ყურადღებას ამახვილებს ამღენსავე შემადგენელ ნაწილზე, მათ შორის დასკენაზე, სადაც ვაღმოყეული უნდა იქნეს ყველა წინა ნაწილში მოყვანილი მოსაზრებების მოკლე ანალიზი და მნიშვნელობა.³ ი. საღოესკი საბრაღლებო სიგყეას ყოფს რვა ნაწილად,⁴ მინაარსობრივად იმავე შემადგენლობაზე მიუთითებს ლ. სმირნოვიც.

საბრაღლებო სიგყეის შემოაღნიშნული სტრუქტურა, ჩვენი აზრით, არასრულყოფილა და მოგი ისეთი ელემენტის დამატებას საჭიროებს, რომლებზეც ყურადღება არ გამახვილებულა და რომელთა გარეშეც მისი უმთავრესი მიზანი – ხელი შეუწყოს სასამართლოს საქმის ფაქტობრივი გარემოებების უკეთ გარკვევასა და დასაბუთებული, კანონიერი განაჩენის გამოგანაში – შესრულებელი ღარჩებოდა. მხედველობაში გვაქვს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 498-ე მუხლით გათვალისწინებული მოგიერთი მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც განაჩენის დადგენისას სასამართლომ აუცილებლად უნდა იმსჯელოს და მიიღოს გადაწყვეტილება ისეთი საკითხების ირგვლივ, როგორიცაა: 1) საჭიროა თუ არა გაუქმდეს, შეიყვალოს ან შეიარჩეს აღკვეთის ღონისძიება; 2) ეის უნდა დაეკისროს სასამართლოს ხარჯები; 3) ბრაღული პირის მიმართ უნდა გამოიყენონ თუ არა იძულებითი მკურნალობა. მითითებული საკითხების შეგანა პროკურორის საბრაღლებო სიგყეის შემადგენლობაში მიზანშეწო-

¹ Л. Зайчик, Подготовка и структура речи государственного обвинителя, ж. «Социалистическая законность», 1971, №3, с. 44

² В. Царев, Воспитательная роль государственного обвинителя, ж. «Социалистическая законность», 1972, №9, с. 23.

³ И. Перлов, Судебные прения и последнее слово подсудимого в советском уголовном процессе, М., 1957, с. 49.

⁴ Ю. Костанов, В. Назаров, Содержание речи государственного обвинителя, ж. «Социалистическая законность», 1971, №2 с. 61-62.

⁵ М. Л. Шифман, Прокурор в уголовном процессе (стадия судебного разбирательства), М., 1948, с. 169. 170-235.

⁶ И. М. Садовский, Судебная речь прокурора, (в книге «Прокурорский надзор в суде первой инстанции по уголовным делам», под ред. П. Н. Кудрявцева), М., 1978, с. 98-134.

⁷ Л. Н. Смирнов, Речь государственного обвинителя (в книге «Государственный обвинитель в советском суде», под ред. В. А. Болдырева), М., საბრაღლებო სიგყეის სტრუქტურის შესახებ იხ., აგრეთვე: სისხლის სამართლის პროცესი (სახელმძღვანელო ა. ჟაღიაშვილის რედაქციით), თბ., 2002, გვ. 462; ი. გაბისონია, სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა სასამართლოში, თბ., 2002, გვ. 209-211 და სხე.

ნილია, უპირველეს ყოვლისა, იმ გარემოებების გამო, რომ სასამართლო კამათის დროს პროკურორმა უნდა იმსჯელოს ყველა იმ საკითხზე, რაც საბოლოოდ სასამართლოს გადასაწყვეტია განაჩენით, რათა საბრალდებო სიგყვა იყოს სრულყოფილი, ამომწურავი, მოიცავდეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 493-ე მუხლის შესაბამისად, სათაბიბრო ოთახში სასამართლოს გასვლამდე სახელმწიფო ბრალმდებელს (ისევე, როგორც ბრალდებისა და დაცვის მხარის სხვა წარმომადგენლებს) უფლება აქვს, სასამართლოს წერილობით წარუდგინოს განაჩენის მისეული ფორმულირება, რომლის განხილვა განაჩენის გამოგანისას საეალდებულოა. ამ უფლების გამოყენების დროს პროკურორი გარკვეული პრობლემების წინაშე დადგება, თუკი მას თავიდანვე მხარეთა კამათისას არა აქვს გაანალიზებული და გამოთქმული აზრი ალკეთის ღონისძიების, სასამართლო ხარჯების ან ბრალეული პირის მიმართ იძულებითი მკურნალობის გამოყენების შესახებ.

სხვა საკითხია, გემოაღნიშნული ელემენტები უნდა მიეკუთვნოთ საბრალდებო სიგყვის საეალდებულო თუ არასაეალდებულო ნაწილებს. ამასთან დაკავშირებით, ჩვენი აზრი ასეთია: ალკეთის ღონისძიების გამოყენების, გაუქმების ან შეეკლის საკითხის ირგვლივ მსჯელობა აუცილებელია, რადგან მისი რეაგირების გარეშე დაგოეებამ, ანდა ფორმალურმა მიდგომამ შეიძლება გამოიწვიოს, ჯერ ერთი, ისეთი გაუთეალისწინებელი შედეგები, როგორიცაა: მსჯაერდებულის მიმალვა განაჩენის კანონიერ ძალაში შესეალამდე, ან პირიქით, მისი უფლებების ისეთი შეზღულევა, რაც ამკარად შესაბამო იქნებოდა საქართველოს სსსკ-ის 151-ე მუხლით გათეალისწინებულ ალკეთის ღონისძიებათა გამოყენების მიმანთან და საფუძელთან; მეორე, ალკეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტა სისხლისამართლებრივი დევის ერთ-ერთი ელემენტია, ხოლო პროკურორი ამ კონსტიტუციური უფლებამოსილების განმახორციელებელი სუბიექტი, რომელსაც ბრალდების ფუნქციის საეალდებულო განხორციელებისას, უბრალოდ, უფლება არა აქვს, გვერდი აუაროს მას, წინააღმდეგ შემთხვევაში ბრალდების ფუნქცია (როგორც პროკურორის მიერ განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა დანაშაულის ჩამდენი პირის სამხელად) არასრულყოფილი და ნაკლებეფექტური იქნებოდა.

სასამართლო ხარჯების დაკისრების საკითხის გადაწყვეტა პროკურორის საბრალდებო სიგყვის ასევე აუცილებელ ელემენტად უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან, საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სასამართლოში საქმის გაგზავნისას გამოძიებელი ალგენს ცნობას მოკელებისა და წინასწარი გამოძიების ხარჯების შესახებ, რომლის უგყუარობაც უნდა შემოწმდეს სასამართლოს სხდომაზე. რა თქმა უნდა, მის შემოწმებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს სახელმწიფო ბრალმდებელმა, როგორც მხარე და სსსკ-ის 217-ე მუხლის საფუძელზე გაარკვიოს: ა) რა თანხებია გადასახდელი დამრალდებულის, დამსწრის, ექსპერტის, სპეციალისტისათვის, მათი გამოცხადების ხარჯებისა და დღიური თანხის ანაზღაურების წესით; ბ) რა თანხა უნდა გადაუხადონ ექსპერტს, სპეციალისტსა და თარჯიმანს გასამრჯელოს სახით, თუ ეს პირები მოქმედებდნენ არასამსა-

სურებრივი დაეალების შესრულების წესით; გ) რა ოდენობით თანხები უნდა მიეცეთ მოწმეს, დაზარალებულს, მის კანონიერ წარმომადგენელს ჩვეულებრივი საქმიანობისაგან მოცდენის შემთხვევაში (თუ მათ მუდმივი ხელფასი არ გააჩნიათ), ანდა რა თანხები უნდა აუნაზღაურდეთ მიუღებელი ხელფასის სახით პროცესის მონაწილე პირებს, პროცესის მწარმოებელ ორგანოში გამოძახებასთან დაკავშირებით გაცდენილი მიუღი დროის გათვალისწინებით; დ) რა თანხები უნდა გადაუხადონ დამცველს, როცა იგი მონაწილეობდა დანიშნით ან ექვმიგანილი (ბრალდებული) გათავისუფლებული იყო დამცველის შრომის ანაზღაურებისაგან; ე) ნიეთიერ მტკიცებულებათა შენახვისა და გადაგზავნის ხარჯების ოდენობა.

აღნიშნული თანხების უკუუარობისა და ოდენობის გარკვევასთან ერთად სახელმწიფო ბრალმდებელმა უნდა დაადგინოს მსჯავრდებულის სასამართლო ხარჯებისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლების საფუძვლები (გადახდისუნარიანობის, შრომისუნარიანობის ან ოჯახის მიმღე მატერიალური მდგომარეობის გამო) და თავისი საბოლოო მოსაზრების სასამართლოს უნდა წარუდგინოს სწორედ სასამართლო კამათისას, რის გამოც აღნიშნული საკითხის გაშუქება საბრალდებო სიტყვაში საველდებულო უნდა იყოს, რაც სასამართლოს გაუადვილებს საკითხის სწორად გადაწყვეტას განაჩენის გამოგანისას მსჯავრდებულისათვის სასამართლო ხარჯების დაკისრების ნაწილში.

რაც შეეხება საკითხს, ბრალეული პირის მიმართ გამოიგანონ თუ არა იძულებითი მეურნალობის გადაწყვეტილება, აღნიშნული გარემოება შეიძლება ჩაითვალოს პროკურორის საბრალდებო სიტყვის არასავალდებულო (ფაკულტატიურ) ელემენტად, ვინაიდან იგი, სავარაუდოდ, სასჯელთან ერთად, შეიძლება დანიშნოს არა ყოველთვის, არამედ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მსჯავრდებულმა დანაშაული ჩაიდინა შერაცხად მდგომარეობაში, თუმცა მას ესაჭიროება ისეთი ფსიქიკური დაავადების მეურნალობა, რაც არ გამოიხატავს შერაცხადობას, მაგრამ შეიძლება მისი შემდგომი ქცევა საშიში იყოს თავად მისთვის ან გარშემო მყოფთათვის, თანახმად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 102-ე მუხლისა. საკითხის გარკვევა ხდება სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის გზით და საქართველოს სისხლისსამართლის საპროცესო კოდექსის 66-ე მუხლის მიხედვით ეს გარემოებანი აუცილებლად მოითხოვს დამტკიცებას. მაგრამ იმ შემთხვევაში (შეიძლება ითქვას – უმრავლეს შემთხვევაში), როცა პირის (ჯერ კიდევ განსასჯელის) ფსიქიკური მდგომარეობა ნორმალურია და შერაცხადობა ექვს არ იწვევს, ამ საკითხზე ყურადღება არ მახვილდება და შესაბამისად იგი პროკურორის საბრალდებო სიტყვაში არ იქნება განხილული.

რა თქმა უნდა, შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ საბრალდებო სიტყვის ყველა შემადგენელი ელემენტის წარმოჩენა სავალდებულოა სასამართლო კამათში ყოველ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე. ასეთი ტრაფარეტის (ე.წ. „რეცეპტის“) მიყვება შეუძლებელია და მიზანშეუწონელიც; მაგრამ ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმის წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის შედეგად გამოიკვეთა ის საერთო გარემოებები და საკითხები, რომელთა შეფასება და კონკრეტული აზრის გამოთქმა საჭირო და აუცილებელია პროკურორის საბრალდებო სიტყვაში

ყველა საქმეზე. შესაბამისად, საბრალდებო სიგყვის შემადგენელი ნაწილები შეიძლება დაიყოს საჯალდებულო და არასაჯალდებულო ელემენტებად, რომელთა ირგვლივ სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ სასამართლო კამათში აზრის გამოთქმა აუცილებელი (როცა საქმე გვაქვს ისეთ საკითხებთან, რომლებიც უნდა აისახოს სასამართლოს განაჩენშიც), ანდა არაა აუცილებელი და დამოკიდებულია პროკურორის სურვილზე ან კონკრეტული საქმის გარემოებებზე.

გემოთქმულიდან გამომდინარე, საბრალდებო სიგყვის სტრუქტურა, ჩვენი აზრით, შესაძლებელია ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

1. შესავალი (დანაშაულის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეფასება);
2. საქმის შინაარსი (დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებების აღწერა);
3. მტკიცებულებათა შემოწმება (ანალიზი) და შეფასება;
4. დანაშაულის კვალიფიკაცია (იურიდიული ანალიზი);
5. განსასჯელის პიროვნების დასასიათება;
6. მოსაზრება სასჯელის სახისა და ზომის შესახებ;
7. აღკვეთის ღონისძიების შერჩევის, შეცვლის ან გაუქმების საკითხი;
8. მოსაზრება ნივთიერი მტკიცებულებების ბეღზე;
9. სამოქალაქო სარჩელის საკითხი;
10. მოსაზრება სასამართლო ხარჯების ანაზღაურების შესახებ;
11. დანაშაულის ჩაღენის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების ანალიზი.

მოცემული სტრუქტურა, ჩვენი აზრით, სრულყოფილად ასახავს საქმის ყველა მნიშვნელოვან გარემოებას და ნათელ წარმოდგენას იძლევა პროკურორის მიერ შერჩეულ პოზიციამზე.

გარდა საბრალდებო სიგყვის გემოთ მითითებული სავალდებულო ელემენტებისა, როგორც აღინიშნა, შესაძლებელია, იგი (კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე) მოიცავდეს იძულებითი შკურნალობის გამოყენების შესახებ მოსაზრებებს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 491-ე მუხლი ითვალისწინებს სასამართლო კამათის ყველა მონაწილის სიგყვით გამოსვლის შემდეგ მათ მიერ იმავე თანმიმდევრობით, კიდევ ერთხელ, მოკლედ, საწინააღმდეგო აზრის ან შენიშვნის გამოთქმის უფლებას გამოსვლაში ნათქვამის თაობაზე, ანუ რეპლიკის უფლებას. სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ წარმოთქმული რეპლიკა – ესაა მისი საპასუხო გამოსვლა დაცვის მხარის წარმომადგენლის (და არა მარტო დაცვის მხარის – პროკურორის შეუძლია, შეეპასუხოს თავისავე, ბრალდების მხარის, წარმომადგენელსაც, მაგალითად, როცა დამარალბებულმა არასწორად შეაფასა დანაშაულის სიმძიმე, განსასჯელის პიროვნება და მოითხოვა აშკარად ლმობიერი სასჯელი, ანდა იმავე დამარალბებულმა მოითხოვა განსასჯელის დასჯა აშკარად არასწორი კვალიფიკაციით) მიერ წარმოთქმულ სიგყვაზე. იგი არაა აუცილებელი, მაგრამ მნიშვნელოვანი ელემენტია პროკურორის გამოსვლისა. პროკურორმა რეპლიკას უნდა მიმართოს არა ყოველთვის, ვინაიდან დაცვის მხარე თითქმის ყოველთვის სახელმწიფო ბრალმდებლის საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამს და ყოველ მის (დაცვის) მოსაზრებაზე რეპლიკის სახით შეპასუხება მიგვიყვანდა ერთი და იმავე თემისების უსარგებლო განმეორებად, რითაც ბრალეულობა და პასუხისმგებლობა უკანა პლანზე გა-

დავიდოდა და საბრალდებო სიგეყის ქმედითობას დააქვეითებდა. პროკურორმა რეპლიკას უნდა მიმართოს თავისი პოზიციის დასასაბუთებლად მხოლოდ მაშინ, როცა დაცვის მხარე გამოიყვამს მცდარ დასკვნებს, ან ამკარად ამახინჯებს ფაქტებს, არასწორად განმარტავს კანონს, დამახინჯებულია სახელმწიფო ბრალმდებლის პოზიცია, ანდა, როცა თვით პროკურორი თელის, რომ საბრალდებო სიგეყის წარმოთქმისას გამორჩა მნიშვნელოვანი ვარეყოება ან არასაკმარისად გააშუქა რაიმე საკითხი. თუმცა სასურეყელია, საბრალდებო სიგეყა აიგოს ისე, რომ იგი იყოს მაქსიმალურად სრულყოფილი, ამომწურავი და მასში თავიდანვე შეძლებისდაგვარად აისახოს დაცვის მხარის ყველა მოსალოდნელი, სავარაუდო მოსაზრება. რეპლიკაში განხილულ უნდა იქნეს, დაცვის მხარის რომელ კონკრეტულ მოსაზრებას ეპასუხება პროკურორი და რა საკითხების გაშუქებას თელის საჭიროდ. ამასთან, პროკურორის რეპლიკა უნდა ემყარებოდეს კონკრეტულ მტკიცებულებით მასალას, უნდა იყოს დასაბუთებული და გამომდინარეობდეს კანონის მოთხოვნებიდან. რეპლიკა უნდა იყოს მოკლე, ლაკონიური, შემჭიდროებული, მკაფიო, ზუსტი, რომლითაც სახელმწიფო ბრალმდებელი კონკრეტულად წარმოაჩენს, რატომ იყო არასწორი დაცვის მხარის მოსაზრება და რას თელის თვითონ დადგენილად. რეპლიკა მოკლე შექასუებაა და იგი არ უნდა გადაიქცეს მეორე საბრალდებო სიგეყად, რაც ძირითადი სიგეყის სისუსტეზე მიუთითებს.

და ბოლოს, საბრალდებო სიგეყის მნიშვნელობის შესახებ: იგი განუსაზღვრელად დიდია, ვერ ერთი, იმიტომ, რომ საბრალდებო სიგეყით მთავრდება პროკურორის პროცესუალური საქმიანობა პირველი ინსტანციის სასამართლოში, რაც გამოიხატება ბრალდების მტკიცების მოვალეობით, სახელმწიფოს სახელითა და მისი ინტერესებიდან გამომდინარე. იმიტომ პროკურორის გრიბუნა სასამართლოში საქმის განხილვისას, მისი კანონიერი მოთხოვნა ბრალეული პირის დასჯისა, ნიშნავს სახელმწიფო ნების გამოხატულებას; მეორე, თავისი დამაჯერებელი, სამართლიანი, ღრმად გაანალიზებული საბრალდებო თეზისების წარმოჩენით, სახელმწიფო ბრალმდებლის სიგეყა ეხმარება სასამართლოს კანონიერი და დასაბუთებული განაჩენის გამოგანაში, რითაც ხელს უწყობს მართლმსაჯულების განხორციელებას, და შესამეც, საბრალდებო სიგეყის აუცილებელი აგრიბუგები – საქმის ღრმა იურიდიული და ფსიქოლოგიური ანალიზი, დარწმუნება, დასაბუთებულობა, უნაკლო ლოგიკური მსჯელობა და მნიებრივ-ეთიკური ნორმების დაცვა ქმნის განსასჯელის მორალური გამამართლების აგმოსფეროს; პროკურორის ყოველი ეესტი, დებულება, ფრაზა, წარმოთქმული ასეთი ფორმით საჯარობის აგმოსფეროში, გამიმწულია არა მარტო სასამართლოს, არამედ დამსწრე საზოგადოებისათვისაც, დადებითად ფასდება აუდიტორიის მიერ, ღრმა ეეალს გოეებს მათ ცნობიერებაში და არწმუნებს მსმენელს, გააკეთოს სწორი დასკვნები ყოველი სასამართლო პროცესიდან ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის აუქდენლობის მიმართებით, ხელს უწყობს დანაშაულის პროფილაქტიკას და, შესაბამისად, უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც გააჩნია.

¹ პროკურორის საბრალდებო სიგეყის მნიებრივ-ეთიკური ასპექტების შესახებ დაწერილებით ის.: პ. კობალაძე, პროკურორის საბრალდებო სიგეყის მნიებრივ-ეთიკური საკითხები, ეურნ. „სამართალი“, 2001, № 11.

კომპენსაცია მცდარი მსჯავრდებისათვის

კონსტიტუციის თანახმად, საქართველო „ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ღირებულებებს“ და მათ უშუალოდ მოქმედ სამართლად აღიარებს. ამასთან, საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ ის არ ეწინააღმდეგება ჩვენს ძირითად კანონს, აქვს უპირატესი ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. ამდენად, ევროპის კონვენციასა და მის ოქმებს კონსტიტუციითვე აქვთ მინიჭებული უმაღლესი იურიდიული სტატუსი, ხოლო ევროსაბჭოში გაწვერიანებით ხელისუფლებამ აიღო ვალდებულება, ეროვნული კანონმდებლობა შესაბამისობაში მოიყვანოს ევროკონვენციის მოთხოვნებთან და უზრუნველყოს უფლება-თავისუფლებათა დაცვა ნებისმიერი ადამიანისათვის.

ამდენად, ვინაიდან საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციური „ურყევი ნებაა“, დაამკვიდრონ სამართლებრივი სახელმწიფო, ხოლო პარლამენტმა ევროკონვენციისა და მისი ოქმების რატიფიცირება მოახდინა, ბუნებრივია, ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, ევროკონვენციის სხვა დებულებებზე არანაკლებ მნიშვნელოვანია მე-7 ოქმის მე-3 მუხლი – „კომპენსაცია მცდარი მსჯავრდებისათვის“, – რომელიც მართლმსაჯულების განხორციელებისას დაშვებული შეცდომის გამო დაზარალებულ პირთათვის თანამოძიერი კომპენსაციის გადახდას ითვალისწინებს და ორიგინალში შემდეგი სახით არის ფორმულირებული:

European Convention for the Protection of Human
Rights and Fundamental Freedoms
Protocol 7, Article 3 - Compensation for wrongful conviction

When a person has by a final decision been convicted of a criminal offence and when subsequently his conviction has been reversed, or he has been pardoned, on the ground that a new or newly discovered fact shows conclusively that there has been a miscarriage of justice, the person who has suffered punishment as a result of such conviction shall be compensated according to the law or the practice of the State concerned, unless it is proved that the non-disclosure of the unknown fact in time is wholly or partly attributable to him.¹

ქართულ ენაზე დებულება შემდეგი სახით შეიძლება ჩამოყალიბდეს:

¹ European Convention on Human Rights, Council of Europe, Strasbourg, 2000.

„თუ პირის დამნაშავედ ცნობის შემდეგ მის მიმართ გამოგანილი განაჩენი გაუქმდა ისეთი ახალი (ახალგამოვლენილი) ან ახალდმოჩენილი გარემოების გამო, რომელიც დამაჯერებლად ადასტურებს სასამართლოს შეცდომის არსებობას, შესაბამისი სახელმწიფოს კანონისა ან სამართალწარმოების პრაქტიკის შესაბამისად, მას მიუყვება კომპენსაცია მედარი მსჯავრდებისათვის, ვარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თავად მიუძღვის ბრალი ამ გარემოებათა დაფარვაში ან დროულად აღმოუჩენლობაში.“

ევროპის კონვენციის მოცემული ნორმა ეხება იმ პირებს, რომელთა მიმართ გამოგანილი გამამგყუნებელი განაჩენები შევიდა კანონიერ ძალაში და მართლმსაჯულების განხორციელების შედეგად დაეკისრათ სასჯელის მოხდა. ამასთან, აღნიშნული მუხლი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ გამამგყუნებელი განაჩენი გადაისინჯება (გაუქმდება), ან პირი შეწყალებული (გამართლებული) იქნება იმ საფუძველზე, რომ რომელიმე ახალდმოჩენილი, ან ახალი (ახალგამოვლენილი) გარემოება დამაჯერებლად (უდავოდ) დაამტკიცებს სასამართლო შეცდომის არსებობას. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სამართალწარმოებისას დაშვებულ სერიოზულ ხარვეზებთან, რომლებმაც იმოქმედეს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.

მართლმსაჯულების განხორციელებისას დაშვებული შეცდომის შედეგად დაზარალებულ პირს უნდა მიეცეს კომპენსაცია, იმ შემთხვევის ვარდა, როდესაც თავად მიუძღოდა ბრალი მისი გამამართლებელი გარემოების დაფარვაში ან დროულად აღმოუჩენლობაში.

ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავე პირის მიმართ გამოყენებული იქნება ამნისტიის აქტი, ან იგი შეწყალებული იქნება, სახელმწიფო თავისუფლდება კომპენსაციის გადახდისაგან, მაგრამ თუ არსებობს ახალი (ახალგამოვლენილი) ან ახალდმოჩენილი გარემოებები, რომელთა საფუძველზე პირს შეუძლია მოითხოვოს მის მიმართ გამოგანილი განაჩენის გადასინჯვა და რომელსაც მოჰყვება პირის გამართლება, ან თუნდაც მის მიმართ გამოგანილი განაჩენის გადასინჯვა (შემსუბუქების კუთხით), პირს უნდა მიეცეს კომპენსაცია.

ამდენად, სადავოდ მიგვაჩნია ევროპის კონვენციის მე-7 ოქმის მე-3 მუხლთან მიმართებაში ევროკონვენციის კომენტარებში გამოთქმული თვალსაზრისი, რომლითაც „გამამგყუნებელი განაჩენის გაუქმება, შეწყალება, ან უსამართლობის გამოსწორების სხვა ანალოგიური საშუალებები

¹ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მომზადებულ გამოცემაში ევროპის კონვენციის მე-7 ოქმის მე-3 მუხლი შემდეგი რედაქციით არის მოცემული: „კომპენსაცია მედარი განაჩენის გამოგანის შემთხვევაში“.

„თუ რომელიმე პირი ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში და თუკი შესაბამისად მისთვის გამოგანილი განაჩენი გაუქმებულ იქნა, ან იგი შეწყალებულ იქნა იმ საფუძველზე, რომ რომელიმე ახალი, ან ახლად აღმოჩენილი გარემოება მტკიცედ ადასტურებს სასამართლო შეცდომის არსებობას, მაშინ პირი, რომელიც დასჯილ იქნა ამგვარი გასამართლების შედეგად, იღებს კომპენსაციას შესაბამისი სახელმწიფოს კანონის ან პრაქტიკის შესაბამისად, თუკი დამტკიცებელი არ იქნება, რომ ამგვარი გარემოების დაფარვაში თავის დროზე მთლიანად ან ნაწილობრივ დამნაშავეა ეს პირი“.

„როგორც ჩანს, აღნიშნული ფორმულირება უთუოდ მოიხიბვს დახვეწას, რაც ნათლად მიგვაჩინებს საერთაშორისო აქტების ქართულ ენაზე თარგმნის პრობლემის აქტუალობაზე.“

ათაივისუფლებენ სახელმწიფოს კომპენსაციის გადახდისაგან¹. ვფიქრობთ, სამართლიანი იქნება, თუ ახალგაშობულნილი ან ახალაღმორჩენილი გარემოებები იძლევა აღრო გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვის საშუალებას და პირის გამართლებას (ან განაჩენის შემსუბუქებას) იწვევს, ყველა შემთხვევაში, პირმა უნდა მიიღოს თანამომიერი კომპენსაცია ფაქტობრივად მოხდილი სასჯელისათვის და სისხლის სამართლის პასუხისგებაში შეცდომით მიცემისათვის (მიუხედავად იმისა, რომ შემდგომში სახელმწიფომ გამოსაწორა პირის მიმართ უსამართლობა). სასამართლოს ყველა შემთხვევაში უნდა შეეძლოს შეცდომის გამოსწორება, მათ შორის, აღრემოქმედი კანონის (რომლითაც დაისაჯა პირი) შეცვლისას, ახალი კანონის მიღებისას, ან სხვა ახალი გარემოებების გამოვლენისას და მართლმსაჯულების განხორციელებით დაზარალებულისათვის (ყოფილი მსჯავრდებულისათვის) თანამომიერი კომპენსაციის გადახდა.

საქართველოში 1999 წლის 15 მაისამდე მოქმედებდა 1960 წლის 30 დეკემბერს, საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კოდექსი, რომელიც ფაქტობრივად საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თარგმანს წარმოადგენდა და 1961 წლის 31 მარტიდან შევიდა ძალაში. მოქმედების თითქმის 40 წლის განმავლობაში კოდექსში 400-მდე ცვლილება-დამატება იქნა შეტანილი (უმრავლესობა საქართველოს ახალი, 1995 წლის კონსტიტუციის მიღების შემდეგ). მართალია, უკანასკნელ წლებში დაიხვეწა საპროცესო მოქმედებები, შემცირდა დაკავების ვადები, მაგრამ, ძირითადად, ფაქტობრივად, უცვლელი დარჩა გოგალიტარიზმისათვის დამახასიათებელი პრიორიტეტები, კერძოდ, სახელმწიფო ინტერესებისა – პიროვნულზე, ბრალდებისა – დაცვაზე და ა.შ.

ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში საპროცესო კოდექსში ნაკლებად იქნებოდა გათვალისწინებული სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული და შეცდომით მსჯავრდებული პირის ინტერესები.

საპროცესო კოდექსი თავდაპირველად საერთოდ არ ითვალისწინებდა სასამართლო შეცდომის შემთხვევაში რაიმე კომპენსაციის გაცემის შესაძლებლობას, თუმცა 1990 წელს შეტანილი დამატების თანახმად, სასამართლოს დაევადა, გამამართლებელი განაჩენის დადგენისას „განემარტა მოქალაქეებისათვის დარღვეული უფლებების აღდგენის წესი და მიელო კანონით გათვალისწინებული ზომები მოქალაქისათვის უკანონო მსჯავრდებით, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემით, აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის უკანონოდ გამოყენების შედეგად მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად“ (მუხლი 52¹). ამასთან, იმავე მუხლის მეორე პუნქტი ადგენდა, რომ „ზარალის ანაზღაურების პირობები და წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით“.²

¹ Домна Гомьен, Дэвид Харрис, Лео Зваак, Европéйская Конвенция о правах человека и Европéйская социальная Хартия, 1998, с. 258.

² აღნიშნული ღებულებები, ფაქტობრივად, არ იძლეოდა გამართლებული პირისათვის ზიანის ანაზღაურების საშუალებას, ვინაიდან მოსამართლეს საშუალება არ ჰქონდა, თავად განესაზღვრა ზიანის ოდენობა. ამასთან, „კანონმდებლობით განსაზღვრული წესი“ არ ით-

ამასთან, ძველი კოდექსი არ იცნობდა ახალგაზრდოვანულ (ახალ) გარემოებებს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში სპეციალური თავი (33-ე) ეთმობოდა „საქმეების განახლებას ახალაღმოჩენილ გარემოებათა გამო“. 394-ე მუხლის თანახმად, იმ საქმეების განხილვა, რომლებზეც არსებობდა კანონიერ ძალაში შესული განაჩენი (გამამკვეთებელი და გამამართლებელიც), დასაშვებია იყო, თუ აღმოჩნდებოდა რაიმე ახალი გარემოება, მაგალითად, როცა დადგინდებოდა მოწმის ჩვენების, ექსპერტის დასკვნის, ან ძირითადი მტკიცებულების სიყალბე, გამოძიებლის ან მოსამართლის დანაშაულებრივი ბოროტმოქმედება ან სხვა გარემოებები, რომლებიც განაჩენის გამოგანის დროისათვის სასამართლოსათვის ცნობილი არ იყო, რაც თავისთავად თუ სხვა დადგინდებულ გარემოებებთან ერთად იძლეოდა საშუალებას, დამტკიცებელიც მსჯავრდებულის უდანაშაულობა ან მის მიერ უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენა, ვიდრე ის, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო.

შემოსულ განცხადებაში ან შეტყობინებაში ახალაღმოჩენილ გარემოებაზე მიმნიშნებული რომელიმე საუბრის არსებობისას პროკურორს ვამოქონდა დადგენილება ახალაღმოჩენილ გარემოებათა გამო წარმოების აღძვრის შესახებ და პირადად ან გამოძიებლის მეშვეობით წარმართავედა ამ გარემოებათა გამოძიებას. თუ მოიპოვებდა საკმარის საფუძველს საქმის განახლებისათვის, წარუდგენდა საქმეს და საგამოძიებო აქტებს შემდგომ პროკურორს, რომელიც დასკვნასთან ერთად საქმეს იმ სასამართლოს შემდგომ ორგანოს გადაუგზავნიდა, რომელმაც გამოიგანა განაჩენი.¹

შემდგომ სასამართლოს შეეძლო, გაეუქმებინა აღრიხული განაჩენი და ახალი გამოძიებისათვის ან ახალი სასამართლო განხილვისათვის გადაეცა, შეეძლო შეეწყვიტა საქმე, ან გამოეგანა გადაწყვეტილება პროკურორის დასკვნის უარყოფის შესახებ. ამასთან, ახალაღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების შემდეგ, აგრეთვე სასამართლოს შემდგომ განაჩენის გასაჩივრება წარმოებდა საერთო წესით (398-ე, 399-ე მუხლები).

გარდა ამისა, საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 28 დეკემბრის კანონში „საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო წყობილების შესახებ“ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის უფლებამოსილებაში განისაზღვრა „თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმეების განხილვა“ (63-ე მუხლი).

საბჭოთა ხელისუფლების წლებში, თუ ახალაღმოჩენილ გარემოებათა საფუძველზე განაჩენების გადასინჯვა იშვიათობას წარმოადგენდა, ხოლო კომპენსაციის მიღებაზე ლაპარაკი კი ზედმეტი იყო, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მწვავე საკითხად იქცა კომუნისტების დროინდელი რეპრესიებისა და გოგატიგარიზმის დროინდელ სასამართლოთა მიერ გამო-

ვალისწინებდა მიყენებული ზიანის სრულ ანაზღაურებას და ვარკვეულ ზღვრულ ოდენობებს ადგენდა.

¹ თუ გავითვალისწინებთ, რომ უზენაესი სასამართლო სისხლის სამართლის საქმეებს I ინსტანციითაც იხილავდა, გამოდიოდა, რომ საქმეები იმავე სასამართლოს ეგზავნებოდა (მიუხედავად იმისა, რომ საქმეებს ვანიხილავდა უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმი).

ტანილი გადაწყვეტილების გადასინჯვის აუცილებლობა, რაც სამართლებრივთან ერთად პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებასაც საჭიროებდა. ამასთან, გაუმართლებელიც იქნებოდა კომპენსაციის საკითხის გადაწყვეტის მინდობა იმ სასამართლო ხელისუფლებისადმი, რომლის მოსამართლეების 95%-ს ჯერ კიდევ კომუნისტების მმართველობის დროს შერჩეული კადრები წარმოადგენდნენ.

საქართველოს პარლამენტის მიერ 1997 წლის 11 ნოემბერს მიღებულ იქნა სპეციალური კანონი „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“, რომლითაც განისაზღვრა რეპრესირებულად ცნობის პროცედურა და სახელმწიფო იგვირთა გარკვეული კომპენსაციების გაცემა.

კანონის თანახმად, მოქალაქეები (რეპრესირებულები და მათი ოჯახის წევრები) მიმართავდნენ განცხადებით რაიონულ სასამართლოებს საცხოვრებელი ადგილის მისეღვით, რომლებსაც გამოქონდათ გადაწყვეტილება „რეპრესირებულად“ ცნობის შესახებ, რის საფუძველზეც შესაბამისი აღმასრულებელი სტრუქტურები გასცემდნენ გარკვეულ კომპენსაციას (კანონით განსაზღვრული სოციალური დაცვის ორგანოების საშუალებით).

ამდენად, თავად პროცედურა შესაბამისი იყო ევროპის კონვენციის მე-7 ოქმის მე-3 მუხლის მოთხოვნასთან, რომელიც კომპენსაციის გაცემას „შესაბამისი სახელმწიფო კანონით“ ითვალისწინებს, თუმცა სოციალური დაცვის საშუალებათა, ანუ კომპენსაციის ოდენობა ამკარად არათანაზომიერი იყო ამ ადამიანთა მიმართ ჩადენილი უსამართლობისადმი (რაც საქართველოს ეკონომიკური პრობლემებითა და საბიუჯეტო კრიზისით იყო განპირობებული).

ევროპის კონვენციის მე-7 ოქმის მე-3 მუხლის მოთხოვნათა რეალიზაციისათვის აუცილებელ სამართლებრივ ბაზას საფუძველი საქართველოს პრინციპულად ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებით ჩაეყარა.

მისი ამოქმედება თავიდან 1998 წლის 1 მაისისათვის იყო დაგეგმილი, მაგრამ ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორების მთელი რიგის გამო, მხოლოდ 1999 წლის 15 მაისიდან ამოქმედდა. ამ დღიდან შევიდა ძალაში საქართველოს ორგანული კანონიც „უზენაესი სასამართლოს შესახებ“, რომლის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „საზედამხედველო პალატა სისხლის სამართლის საპროცესო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით განიხილავს საჩივრებს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილ და კანონიერ ძალაში შესულ განაჩენებზე, განჩინებებსა და სხვა შემაჯამებელ გადაწყვეტილებებზე ახლად გამოვლენილ გარემოებებთან დაკავშირებით, აგრეთვე საქართველოს გენერალური პროკურორის წარდგინებებს ახლად აღმოჩენილ გარემოებებთან დაკავშირებით. ამასთან, საზედამხედველო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება“ (მუხლი 10.4).

თუ გავითვალისწინებთ, რომ იმავე უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია (რომელიც ერთი მოსამართლისა და ორი, საბჭოთა სისტემიდან შემორჩენილი „მსაჯულისგან“ შედგე-

ბა) „პირველი ინსტანციით განიხილავს სისხლის სამართლის საქმეებს, რომლებიც სისხლის სამართლის საპროცესო კანონით საქართველოს უზენაესი სასამართლოს განსჯადია“ (მუხლი 8.1.), აშკარა ხდება არსებითი დაბრკოლება მათთვის, ვინც შეეცლება უზენაესი სასამართლოს კოლეგიის მიერ გამოგანალი განაჩენის გადასინჯვას (ფაქტობრივად, იმავე სასამართლოში მოუწევთ. ის გარეუობება, რომ საზღვარსცივლო პალატა სხვა მოსამართლეებისაგან შედგება, ვითარებას არსებითად არ ცვლის. მოსამართლეები ერთ კოლექტივს წარმოადგენენ, ერთ შენობაში მუშაობენ და, ბუნებრივია, გარკვეული ურთიერთობები აკავშირებთ (მითუმეტეს, საქართველოში გრადიციული სამეგობრო ურთიერთობების გათვალისწინებით), რაც საქმის ობიექტური გადასინჯვის და თანამოიერი კომპენსაციის მიღების შესაძლებლობას მეგად სათუოს ხდის).

ამ მიმართებით, საყურადღებოა, უზენაეს სასამართლოში ახალდმოიჩენილი გარემოებების გამო ვადასასინჯად შესულ საჩივართა სტაგისტიკაც. მაგალითად, 1999 წლის 15 მაისიდან – სასამართლო რეფორმის ამოქმედების დღიდან, 2000 წლის 30 მაისამდე უზენაესი სასამართლოს საზღვარსცივლო პალატამ განიხილა სულ 431 საჩივარი, ამასთან, მხოლოდ 4 შემთხვევაში იქნა განაჩენი გაუქმებული და საქმე შეწყვეტილი, ხოლო 14 შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილება შეიცვალა უფრო მსუბუქი ფორმით.

უნდა აღინიშნოს, რომ 1997 წლის 25 ნოემბერს მიღებულ საქართველოს ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში საეციალური თავი დაეთმო „განაჩენისა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვას ახლად გამოელენილ და ახლად აღმოჩენილ გარეუობებთან გამო“ (593-ე, 601-ე მუხლები). ასეთებად კოდექსი 9 პუნქტად ჩამოთვლილ ფაქტობრივ (6) და სამართლებრივ (3) გარემოებებს მიიჩნედა, თუცა არ იყო ერთმნიშუნელოვნად გამოკეცილი, თუ რომელი მათგანი იყო ახალდმოიჩენილი და რომელი ახლდგამოელენილი, ამასთან, თავად ამ ცნებებს მცდარი სახით განმარტავდა.¹

კოდექსის ამოქმედებაამდე 2 დლით აღრე აღნიშნული გერმინოლოგიური ხარევი გამოსწორდა და 1999 წლის 13 მაისსა და 2000 წლის 5 მაისს შეტანილი ცვლილება-დამატებების შედეგად, ახალდმოიჩენილ გარემოებებად მიჩნეულ იქნა გარემოებები, რომლებიც არსებობდა განაჩენის გამოგანის მომენტში, მაგრამ მათ შესახებ სასამართლომ არაფერი იცოდა, კერძოდ:

ა) როცა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია მოწმის ჩვენება ან ექსპერტის დასკვნა, აგრეთვე ყალბია სხვა მტკიცებულება, რომელიც საფუძვლად დაედო განაჩენს ან განჩინებას;

ბ) როცა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით დადგენილია მოსამართლის, მომკვლევის, გამომძიებლის ან პროკურორის დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც მის მიერ ჩადენილი იყო ამ საქმის განხილვის დროს;

გ) სხვა გარემოება, რომელიც განაჩენის ან განჩინების გამოგანის დროს სასამართლოსათვის ცნობილი არ იყო, ხოლო თავისთავად თუ

¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მიღებისთანავე მრავალ არსებით ხარეშს შეიცავდა, რომელთა გამოსწორება სისტემატურად ხდებოდა. ამის გამო მისი ამოქმედება რამდენჯერმე გადაიღო და მიღებიდან დღემდე 1000-მდე ცვლილება-დამატება განიცადა.

სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამგვიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას, ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქ ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამგვიცებს გამართლებულის, ან იმ პირის ბრალულობას, ვის მიმართაც საქმე შეწყვეტილი იყო;

ღ) გარემოებანი, რომლებიც მოწმობენ კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამდგენი სასამართლოს უკანონო შემადგენლობას, იმ მტკიცებულებათა დაუშვებლობას, რომლებიც საფუძვლად დაედო განაჩენს.

ასლად გამოვლენილად მიჩნეულ იქნა გარემოებები, რომლებიც არ იყოფა და არც შეიძლება სცოდნოდა სასამართლოს, მათ შორის სხვა სასამართლოს გადაწყვეტილება, რადგან ისინი შემდგომ გამოვლინდა. კერძოდ:

ა) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების დადგენისას გამოყენებული კანონი;

ბ) კანონიერ ძალაში შესული განაჩენის, ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოგანის შემდეგ ახალი კანონის მიღება, რომელიც აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.¹

ამასთან, ახალაღმოჩენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ საჩივარი უნდა შევიდეს საქართველოს გენერალურ პროკურორთან, ხოლო ახალგამოვლენილ გარემოებათა გამო უშუალოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს საბუღალსმხედველო პალატაში (აგეონომიური რესპუბლიკების სასამართლოების მიერ გამოგანილ განაჩენებზე, რომლებიც კანონიერ ძალაშია შესული, საჩივარი შედის შესაბამისად აგეონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების პრეზიდიუმებში).

გენერალური პროკურორი საჩივრის საფუძვლიანობის შემთხვევაში აღძრავს წარმოებას საჩივრის გამო და გამოძიებას ავალებს პროკურორს ან გამოძიებულს, რომლებიც ადგენენ მოტივირებულ დასკვნას, რასაც ამგვიცებს გენერალური პროკურორი და არაუგვიანეს 10 დღისა მიმართავს წარდგინებით უზენაესი სასამართლოს საბუღალსმხედველო პალატას.

თუ ვერ დადგინდა საქმის გადასინჯვის საფუძველი, პროკურორი ან გამოძიებელი წყვეტს წარმოებას მოტივირებული დადგენილებით, რასაც ამგვიცებს შესაბამისი ბემდგომი პროკურორი და დადგენილების ასლი ეგზავნება მომჩივანს, რომელიც მიღებიდან 10 დღის ვადაში უფლებამოსილია გაასაჩივროს საჩივარი უზენაესი სასამართლოს საბუღალსმხედველო პალატაში.

საქართველოს გენერალური პროკურორი უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივითაც მიმართოს უზენაესი სასამართლოს საბუღალსმხედველო პალატას მოქალაქეთა ინტერესების დასაცავად. იმ შემთხვევაში კი, თუ პრეზიდიუმი უარყოფს წარდგინებას, მიმართოს უზენაესი სასამართლოს პლენუმს.

სრულიად გაუგებარია, კოდექსის 597-ე მუხლის ახალი რედაქცია, რომლითაც ღვინდება „ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საჩივრის შეტანის“ პროცედურა და, ფაქტობრივად, გამეორებულია 594-ე მუხლის

¹ უნდა აღინიშნოს, რომ ახალაღმოჩენილი და ახალგამოვლენილი გარემოების საკითხში გარკვეული სიყვანის შეტანასთან ერთად კანონმდებელმა საგრძნობლად შეზღუდა აღნიშნულ გარემოებათა ჩამონათვალი.

(„საჩივრის შეგანა ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო...“) შესაბამისი პუნქტები.

კოდექსის 596-ე მუხლი დასათაურებელია როგორც „ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო წარმოების აღძვრა და გამოძიება“, თუმცა მასში სასამართლო განხილვის მექანიზმზე არის ლაპარაკი. ამასთან, 598-ე მუხლით ცალკე რეგულირდება „ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საჩივრის განხილვა აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოების პრეზიდიუმებში“, სადაც მოსამართლეს დასკვნის შესადგენად 30 დღე აქვს გამოყოფილი, რის შემდეგაც წარუდგენს პრეზიდიუმს, რომელიც, თავის მხრივ, არაუგვიანეს 1 თვისა, ნიშნავს პრეზიდიუმის სხდომას საჩივრის არსებითად განსახილველად. განხილვის შედეგად მიღებული დადგენილება, არაუგვიანეს 7 დღისა, ეგზავნება მომჩივანს, რომელსაც უფლება აქვს, არაუგვიანეს 14 დღისა, გაასაჩივროს უზენაესი სასამართლოს საშეღამხედველო პალატაში.

ახალგამოვლენილ და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საჩივრის განხილვის პროცედურა საქართველოს უზენაესი სასამართლოს საშეღამხედველო პალატაში, კოდექსის ცალკე, 539-ე მუხლშია განსაზღვრული და იმავე წესს ადგენს, რასაც 598-ე მუხლი.

გარდა იმისა, რომ საჩივრების განხილვის პროცედურა, კოდექსში 1999 წლის 13 მაისს, 23 იელისსა და 9 სექტემბერს შეტანილი ცვლილებადამატების შედეგად არ შეიძლება გაუმჯობესებულად ჩაითვალოს, ამჟამად არაგონივრულად მიმჩნია საჩივრების განხილვის ვადები და შეაღწეული ინსტანციების არსებობა.

თუ გავითვალისწინებთ, კანონის 595-ე მუხლი მოითხოვს, რომ „საჩივარი უნდა შეიცავდეს დასკვნებს, რომლებიც ასაბუთებენ კანონიერ ძალაში შესული განაჩენის და (ან) შემდგომი სასამართლო გადაწყვეტილებების გაუქმების აუცილებლობას“, ამასთან, „საჩივარს უნდა დაერთოს საპროცესო ან სხვა დოკუმენტები და მასალები, რომლებიც ადასტურებენ ახლად აღმოჩენილ ან ახალგამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გაუქმების აუცილებლობას“, ამდენად, კოდექსში შემოთავაზებული პროცედურის ჯერ პროკურატურაში, შემდეგ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში, შემდეგ კი უზენაეს სასამართლოში მიმართვისა და საჩივრის განხილვის ვადის, ფაქტობრივად, რამდენიმე თვეზე გაანგარიშება, იმ ვითარებაში, როდესაც საქმე მსჯავრდებულ პირს ეხება, სრულიად გაუმართლებელია.

თუ გავითვალისწინებთ საქართველოში სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის არასათანადო ხარისხს, საქმისწარმოების ვადების დაუცველობის მანკიერ გრადიციებს, ფაქტობრივად გამოვა, რომ დარღვეული უფლების აღდგენას წლები დასჭირდება. საქმარისი იქნებოდა მომჩივანს, ყველა შემთხვევაში, პირდაპირ უმაღლესი სასამართლო ინსტანციისთვის მიემართა, რომელიც მაქსიმალურად შეშუტიდრობულ ვადებში მიიღებდა გადაწყვეტილებას.

ადრე მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვისა, ან მისი გაუქმების შესაძლებლობასთან ერთად, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კო-

დექსი ითვალისწინებს მექანიზმებს მცდარი მსჯავრდებისათვის შესაბამისი კომპენსაციის მისაღებად. კერძოდ, საპროცესო კოდექსის 221-ე მუხლის თანახმად, „უნდა ანაზღაურდეს საქმის შედეგის მიუხედავად ზიანი, რომელიც პირს მიადგა უკანონოდ, ან დაუსაბუთებელი დაკავებით, დაჰაგიმრების ანდა სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსების შედეგად, აგრეთვე თანამდებობიდან გადაყენების, ჩხრეკის, ამოღების, ქონებაზე ყადაღის დადების, საგამოძიებო ექსპერიმენტის, სამართალწარმოების სხვა ორგანოების სხვა უკანონო, ან დაუსაბუთებელ მოქმედებათა შედეგად, რომლებმაც ბრალდებულსა თუ სხვა პირს ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანი მიაყენა“.

საპროცესო კოდექსის 223-ე მუხლის თანახმად: „რეაბილიტირებული-სათვის უკანონო ან დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ქონებრივი ზიანი სრული მოცულობით ანაზღაურდება“.

საპროცესო კოდექსის 227-ე მუხლის თანახმად: „თუ რეაბილიტაციის საუქმელო გამოვლინდა სასამართლოში, მან საქმის შეწყვეტის შესახებ გამამართლებელ განაჩენში ან განჩინებაში (დადგენილებაში), რომელსაც რეაბილიტაცია მოსდევს, უნდა ცნოს რეაბილიტირებულისათვის მიყენებული ყველა სახის ზიანის ანაზღაურების უფლება“. გადაწყვეტილების გამოცანიდან 6 თვის განმავლობაში რეაბილიტირებულს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს, რომელიც მისი განცხადების მიხედვით განსაზღვრავს მისთვის მიყენებული ზიანის ოდენობას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მოითხოვს შესაბამისი „საფინანსო ორგანოებისა და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების გაანგარიშებას“.

„ზიანის ოდენობის განსაზღვრის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება (დადგენილება) ყველა სახის ზიანის ანაზღაურების შესახებ“, რომლის შესრულება საეკლესიო ყველა დაწესებულების, საწარმოსა და ორგანიზაციისათვის, საკუთრების ფორმის მიუხედავად (227-ე მუხლის, მე-5-მე-6 პუნქტები).

ძირითად პრობლემას კომპენსაციის დადგენა და შემდგომ მისი აღსრულების საკითხი წარმოადგენს, რაც სასამართლოს რეფორმის ხარვეზებითა და სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების დაბალი დონით არის გამოწვეული (ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული შესაბამისი ხარჯები).

დასასრულს, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კანონმდებლობა, კერძოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მიუხედავად მასში გარკვეული ცვლილებების შეტანის აუცილებლობისა, ძირითადად უზრუნველყოფს ევროპის კონვენციის მე-7 ოქმის მე-3 მუხლის მოთხოვნების რეალიზაციას.

კოდექსში გათვალისწინებულია როგორც ახალადმოჩენილ და ახალ (ახალგამოვლენილ) გარემოებათა გამო ადრე გამოტანილ განაჩენთა გადასინჯვის, ასევე შეცდომით მსჯავრდებულთათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა.

ამასთან, უადრესად არაეფექტურია აღნიშნულ ნორმათა სამართალწარმოების პრაქტიკაში დამკვიდრების საკითხი. გასაჩივრების მექანიზმი შეიცავს ბიუროკრატიულ ელემენტებს და არაგონიერულად გაჭიანურებუ-

ლია. სასამართლოების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ჯერ კიდევ დაბალი ხარისხი, აგრეთვე ის გარემოება, რომ უზენაესი სასამართლო თავად იხილაეს I ინსტანციით სისხლის სამართლის საქმეებს და ამასთან, ის გარემოებაც, რომ სასამართლო რეფორმა უზენაეს სასამართლოს მხოლოდ ნაწილობრივ შეესო, განაპირობებს გადასინჯულ საქმეთა და შეცდომით მსჯავრდებულთა გამართლების შემთხვევათა სიმცირეს.

ამასთან, ევროპის კონვენციის მე-7 ოქმის მ-3 მუხლში აღნიშნული „შესაბამისი სახელმწიფო კანონები“, კერძოდ, საქართველოს კანონი ბიუჯეტის შესახებ, ფაქტობრივად, არ ითვალისწინებს ხარჯებს სასამართლო შეცდომათა კომპენსაციისათვის, რაც ქმედით შეფერხებას წარმოადგენს აღნიშნული მუხლის ეფექტურად გამოყენებისათვის. დაბალი საშემსრულებლო დისციპლინა და აღსრულების პრობლემები, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდის გამართლებისა და კომპენსაციის მიკუთვნების თაობაზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დროულ შესრულებას.

საკანონმდებლო ბაზის შემდგომი სრულყოფის აუცილებლობასთან ერთად (მხედველობაში მაქვს საპროცესო კოდექსის 523-ე-601-ე მუხლები), ევროპის კონვენციის მე-7 ოქმის მე-3 მუხლის ეფექტურობა დამოკიდებული იქნება საქართველოში მიმდინარე სამართლებრივი და ეკონომიკური რეფორმების განხორციელების ტემპებზე.

გამარტივებას საჭიროებს ახალდმოჩენილ და ახალგამოელენილ გარემოებათა გამო განაჩენითა გასაჩიერების პროცედურა. მხარეებს, უშუალოდ უზენაეს სასამართლოში მიმართვის საშუალება უნდა გააჩნდეთ, ხოლო უზენაესი სასამართლოს შესაბამის პალატას კომპენსაციის განსაზღვრასთან ერთად, უნდა შეეძლოს, სათანადო პროცედურის დაკვირვებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი თანხის გონიერულ ელბაში გაეცმა შეცდომით მსჯავრდებულისათვის.

ამასთან, უნდა დაწესდეს მკაცრი აღმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი სანქციები კომპენსაციის თაობაზე (ან ზოგადად) სასამართლოების გადაწყვეტილებების დროულად შესრულებლობისათვის (არასთანადო შესრულებისათვის) ან განზრახ შესრულებლობისათვის.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ყოველივე ზემოაღნიშნული გათვალისწინებულიყო როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ახალ პროექტზე მუშაობისას, ასევე მიმდინარე კანონმდებლობით საქმიანობაში, რაც გარკვეულწილად ხელს შეუწყობდა სისხლის სამართალწარმოებაში აღამიანის უფლებათა დაცვის გარანტიების გამყარებას.

ანზორ მახარაიძე

სისხლის სამართლის პროცესისა
და კრიმინალისტიკის კათედრის
მასწავლებელი

დაზარალებულის ცნება სისხლის სამართალწარმოებაში

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა აუცილებელი პროცესუალური გარანტიების გათვალისწინება იმ პირთა ინტერესების დასაცავად, რომლებიც დანაშაულისაგან არიან დაზარალებულნი.

აქამდე მოქმედი საბჭოური პერიოდის სისხლის საპროცესო სამართლის კანონმდებლობა არსებითად ზღუდავდა დაზარალებულის უფლებებს. უფრო მეტიც, რევოლუციის შემდგომ პერიოდში, 1958 წლის სისხლის სამართალწარმოების საფუძელების მიღებამდე, საპროცესო კანონმდებლობა დაზარალებულის ცნებას არ განსაზღვრავდა. იურიდიულ კანონმდებლობაში დაზარალებულად ცნობდნენ პირს შესაბამისად მხოლოდ კერძო ბრალდების საქმეზე და დანაშაულისაგან ხელყოფილ პირს საქმეში მონაწილეობის მიღება შექმლო ორ შემთხვევაში: პირველი – კერძო ბრალდების საფუძველზე აღძრულ საქმეში და მეორე – მის მიერ სამოქალაქო სარჩელის წარდგენისას, როგორც სამოქალაქო მოსარჩელე, და მისი საქმიანობა ამოიწურებოდა მაგერიალური ბარალის ანაზღაურების მოთხოვნით.

ეს არც იყო ვასაკეირი, რამდენადაც პირს, როგორც დანაშაულებრივი ქმედებისგან დაზარალებულს, 1923 წლის სსს კოდექსის შესაბამისი ნორმები ფაქტობრივად არ ცნობდა დამოუკიდებელი პროცესის მონაწილედ და პროცესში, როგორც მხარე, იღებდა მონაწილეობას ორ შემთხვევაში (აღნიშნული გარემოებები ზემოთ იყო აღნიშნული). ყველა სხვა შემთხვევაში წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის სგადიაზე დაზარალებულს ეკავა მოწმის მდგომარეობა.

ამ საკითხებში არსებითი ცვლილებები შეიგანა 1960 წელს მიღებულმა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა, რომელმაც პირველად განსაზღვრა დაზარალებულის ცნება.

დაზარალებულის პროცესუალური მდგომარეობის შეცვლამ, ერთი მხრივ, უმთავრესად უზრუნველყო დანაშაულისაგან დაზარალებულ პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, მეორე მხრივ, ხელი შეუ-

წყობილი დაინტერესებულ პირთა ჩაბმას სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ყოველმხრივი გამოვლენისათვის.¹

უნდა ითქვას, რომ დაზარალებული აღნიშნული კანონმდებლობის საფუძველზე მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილი გახდა, მინიჭებული უფლებებით მონაწილეობა მიეღო საჯარო ბრალდების, კერძო-საჯარო და კერძო ბრალდების საქმეებზე თავისი კანონიერი ინტერესების დასაცავად, რომელიც რეალურად შეზღუდულ ხასიათს აგარებდა.

დაზარალებულის პროცესუალური მდგომარეობის საკითხები სისხლის სამართლის საქმისათვის ლიგერატურაში მნიშვნელოვნად განვითარდა, რაც გამოიხატა თუნდაც იმით, რომ სისხლის სამართლის სამართალწარმოების საფუძვლების მიღების შემდეგ (1958 წ.) ამ საკითხზე დაიწერა რამდენიმე მონოგრაფია და სტატია.²

ამ პერიოდის იურიდიულ ლიგერატურაში მეცნიერული დაეა არ წყდებოდა იმის შესახებ, თუ ვინ შეიძლებოდა ცნობილიყო დაზარალებულად საქმეში და რა გარემოებების საფუძველზე უნდა გველიარებინა პირი ასეთად. დაზარალებულის პროცესუალური მდგომარეობის განმკვიცებისათვის აუცილებელია შესწავლა და გადაწყვეტა მრავალი ისეთი საკითხისა, რომელთა საბოლოო მოწესრიგებაც იურიდიულ ლიგერატურაში ჯერ არ მომხდარა. ეს პრობლემები გამოირჩევიან თავიანთი აქტუალურობით და აქვთ დიდი მნიშვნელობა, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით. მათ შორის არის კარდინალური ხასიათის ამოსავალი საკითხები იმის შესახებ, თუ ვინ შეიძლება გამოცხადდეს დაზარალებულად — მხოლოდ ფიზიკური პირი, თუ დაზარალებულად შეიძლება ცნობილ იქნეს იურიდიული პირიც? შეიძლება თუ არა დაზარალებულად გამოცხადდეს პირი, თუ არსებობს მონაცემები მისი კანონსაწინააღმდეგო ქმედებისა, რომელმაც მოახდინა მოცემული დანაშაულის პროვოცირება? მსჯელობის საგანია დალუქულის ნათესავის დაზარალებულად ცნობის მიზანშეწონილობა. არაერთმნიშვნელოვნად იჭრება საკითხი დაზარალებულად ცნობის შესაძლებლობის შესახებ, როდესაც დანაშაულებრივი საქმიანობა დასრულებულია მომზადების ან მცდელობის სტადიაში. კამათს იწვევს, აგრეთვე, საკითხი პირის დაზარალებულად ცნობის შესაძლებლობაზე მისთვის შეურაცხი პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად ზიანის მიყენების შემთხვევაში.

დაზარალებულის ცნება, რომელმაც ადგილი დაიმკვიდრა სისხლის სამართლის პროცესუალურ კანონმდებლობაში, აგარებს არა პროცესუალურ, არამედ მაგერიალურ-სამართლებრივ ხასიათს.

დაზარალებულის ცნება ფართოდაა გავრცელებული როგორც ყოველდღიურ ურთიერთობაში, ასევე იურიდიულ ლიგერატურასა და კანონმდებლობაში. დაზარალებული არის პირი, რომელსაც მართლსაწინააღმდეგო

¹ В. М. Савицкий, Н. И. Потеружа, Потерпевший в Советском Уголовном процессе, М., 1963, с. 19-20.

² Рахунов Р. Д. Участники уголовно-процессуальной деятельности, М., 1961; Савицкий В. М., Потеружа И. И., Потерпевший в Советском Уголовном процессе, М., 1963; Якуб М. Л., Показания свидетелей и потерпевших, М., 1968; Кокоев Л. Д., Потерпевший в Советском Уголовном процессе и Советское государство и право. Воронеж, 1962.

ქმედების შედეგად მიაყენეს გარკვეული ზიანი. აქედან გამომდინარე, პირს, რომელმაც მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად ზიანი განიცადა, შეუძლია გამოვიდეს როგორც სისხლის სამართლის პროცესულურ ურთიერთობებში, ასევე სამართლის სხვა დარგების სამართლებრივ ურთიერთობებში.

მიუხედავად დაზარალებულის სხვადასხვა პროცესულურ ურთიერთობებში მონაწილეობისა, დაზარალებულის ცნება კანონმდებლობაში პირველად ჩამოყალიბდა საქართველოს სს კოდექსის 47-ე მუხლში (მიღებული 1960 წლის 30 დეკემბერს). ამ მუხლის თანახმად, „დაზარალებულად ჩაითვლება პირი, რომელსაც დანაშაულმა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი მიაყენა“¹.

„დაზარალებული“, როგორც ტერმინი, სიტყვა „ზარალს“ უკავშირდება. თვითონ ზარალი კი სიტყვა „დაზრომისაგან“ უნდა იყოს ნაწარმოები: სულხან-საბა ორბელიანის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, დაზრობა ყინვისაგან დაწვას ნიშნავს.²

1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე, რომლის პრიორიტეტიც მიმართულია ადამიანის, როგორც სოციალური მოვლენის, უფლებებისა და თავისუფლებების წინა პლანზე წამოწევისაკენ. სწორედ ამით იყო განპირობებული, რომ საქართველოში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმების პერიოდში (რომელიც ახლაც მიმდინარეობს), 1998 წლის 20 თებერვალს მიღებულ იქნა საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც ამოქმედდა 1999 წლის 15 მაისს.

მიუხედავად იმისა, რომ ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა მისი ამოქმედებიდან მნიშვნელოვანი ცვლილებები და დამატებანი განიცადა, იგი ახლებურად წარმოაჩინეს და წყვეტს აქტუალურ საკითხს.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად სისხლის სამართლის პროცესში რჩება დანაშაულისაგან დაზარალებული პირის იურიდიული უზუნველყოფა, რაც იმით გამოიხატება, რომ მოცემულმა პირმა მიიღო ერთობლივად სპეციფიკური პროცესულური უფლებები, რომელნიც სამუალებას იძლევიან, მინიჭებული უფლებების საფუძველზე დანაშაულისაგან დაზარალებულმა პირმა დაიცვას თავისი უფლებები და კანონიერი ინტერესები. ახალმა საპროცესო კანონმდებლობამ მნიშვნელოვნად გააფართოვა დანაშაულისაგან დაზარალებული პირის უფლებები, რომელნიც, ვფიქრობთ, გამოსარკვევი და შესასწავლია, რამდენადაც ეს პრობლემები გამოირჩევიან თავიანთი აქტუალობითა და დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 თავი (68-ე – 71-ე მუხლები) განსაზღვრავს დაზარალებულისა და მისი წარმომა-

¹ საქართველო სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ცვლილებებითა და დამატებებით 1985 წლის 1 მარტამდე, თბ., 1985.

² სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. 1, თბ., 1991, გვ. 189.

დღევანდის პროცესუალურ სტაგუსს და მათ უფლებამოსილებას სისხლის სამართლის პროცესში.

საქართველოს სსს კოდექსის 68-ე მუხლის 1 ნაწილის თანახმად, „ღაზარალეული არის ფიზიკური პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიაღება უშუალოდ დანაშაულის ან შეურაცხი პირის მართალსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად, ანდა რომელსაც ასეთი ზიანი მიიყენა დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაავადებულმა პირმა“¹.

ბუნებრივია, ამ განმარტებას არ გააჩნია წმინდა პროცესუალური დავიკირთვია, რადგან იგი დაფუძნებულია მატერიალურ-სამართლებრივ ნიშნებზე. ამლენად, დამარალეულზე, როგორც პირზე, რომელსაც დანაშაულმა მიიყენა ზიანი, ლაპარაკობს ასევე, მატერიალური სისხლის სამართლის კანონმდებლობა. (მაგ.: 117-ე; 121-ე; 125-ე; 126-ე; 137-ე; 138-ე; 143-ე; 144-ე; 149-ე; 181-ე მუხლები).²

მიუხედავად აღნიშნულისა, დამარალეულის ცნებას მატერიალურ სისხლის და სისხლის საპროცესო სამართალში სხვადასხვა შინაარსი აქვთ.

სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ჯერ კიდევ არ არსებობს დამარალეულის ცნების ჩამოყალიბებული ფორმულირება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში დაწერილ მრავალ ნაშრომში, სისხლის სამართლის საკითხებისადმი მიძღვნილ ლიგერაგურაში საკმარისად ფართოდაა გაშუქებული დამარალეულის პიროვნებასთან და ქვეყასთან დაკავშირებული პრობლემები. დამარალეულის ცნება, როგორც იურიდული კატეგორია, ყოველთვის შეიცავს როგორც მატერიალურ-სამართლებრივ, ასევე პროცესუალურ დამახასიათებელ ნიშნებს.³ როგორც მატერიალურ-სამართლებრივი ცნება, ის ასახავს დანაშაულით მიყენებული ზიანის ობიექტურ ფაქტს.⁴ პირი დამარალეულად ითვლება იმ მომენტიდან, რა მომენტიდანაც ხდება დანაშაულებრივი გეწოლა მისი კანონით დაკული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მიმართ. დანაშაულის შედეგად მიყენებული მორალური, ფიზიკური და ქონებრივი (მატერიალური) ზიანი არის დამარალეულის ცნების მატერიალურ-სამართლებრივი მსარე. დანაშაულის ჩადენის მომენტიდან, თუ პირისათვის მიყენებულია კანონით გათვალისწინებული გეწოთ აღნიშნული ზიანი, ან თუ იქმნება ასეთი ზიანის მიყენების საფურთხე, მაშინ ასეთი პირი ფაქტობრივად ითვლება დამარალეულად.⁵

დამარალეულის ცნების პროცესუალური მხარე მოიცავს იმ პირობებს, როგორ პირობებშიც დამარალეული ხდება სისხლის სამართლის მონაწილე და იძენს მასთან დაკავშირებულ პროცესუალურ უფლებებსა

¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ცვლილებებითა და დამატებებით 2001 წლის 20 აგვისტოს მდგომარეობით, თბ., 2001.

² საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, ცვლილებებითა და დამატებებით 2003 წლის 15 მარტამდე, თბ., 2003.

³ Коржанский Н. И., Предмет преступления, Волгоград. 1976; Давель П. С. Потерпевший в Советском Уголовном праве. В сборнике статей «Потерпевший от преступления» Владивосток, 1974.

⁴ Никифоров Б. С., Объект преступления, М., 1960, с. 30-31

⁵ Савицкий В. М., Теоретическая модель нового Уголовного-процессуального регулирования. Советское Государство и право», 1991, №6, с. 6, 7.

და მოვალეობებს. მოცემული პრობლემის გამორკვევისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის შედეგად დაზარალებულ პირობა ცნების არსის გარკვევას, ე.ი. გარკვევას, თუ რა მომენტიდან ითულება დაზარალებული პირი სისხლის სამართლის პროცესის მონაწილედ. მოქალაქე სისხლის სამართლის საქროცესო ურთიერთობების მონაწილედ ითულება სწორედ იმ მომენტიდან, როდესაც მომკვლევს, გამოძიებელს, პროკურორს ან მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება, ხოლო სასამართლოს – განჩინება პირის დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის შესახებ. (სსკ-ის 68-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

კანონმდებელი სისხლის სამართლის საქროცესო კანონმდებლობაში, ნიშნების გარეშე, მხოლოდ ზიანის სახეების ჩამოთვლას ახდენს. პირის დაზარალებულად ცნობისათვის ვათვალისწინებულია ზიანის შემდეგი სახეები: მორალური, ფიზიკური და ქონებრივი.

ჯერ კიდევ 1964 წელს გამოთქმულ იქნა მოსაზრებები იმის შესახებ, რომ დანაშაულებრივ ხელყოფათა შედეგად მიყენებული ზიანი ყოველთვის არ შეიძლება მიეკუთვნოთ მორალურს, ფიზიკურს ან მაგერიალურს (პირველი გულისხმობდა პირისათვის ზნეობრივ ტანჯვათა მიყენებას, რომლის ინტერესების წინააღმდეგ ჩადენილ იქნა დანაშაული). ამასთან დაკავშირებით შემოთავაზებული იყო სისხლის სამართლის საქროცესო კანონში დაზარალებულად პირის ცნობისათვის სხვა ახალი ზიანის (მორალურის, ფიზიკურისა და მაგერიალურის გარდა) მიყენების შესაძლებლობის ვათვალისწინება.¹

ბ. ს. სკრიპჩენკო აფასებდა როგორც წარუმატებელს სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების 24-ე მუხლში კანონმდებლის მითითებას მხოლოდ ფიზიკურ, ქონებრივ და მორალურ ზიანზე, რადგან თელიდა, რომ სისხლის სამართლის კანონით ვათვალისწინებული დანაშაულებები არ შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ ამ ცნებებით, კერძოდ, ეწ. „არამაგერიალურ ზიანში“ იგი მორალურის გარდა გულისხმობდა ფსიქიკურ ზიანსაც და პოლიტიკურსაც.

ამასთან დაკავშირებით სკრიპჩენკო ვეთავაზობდა, დაზარალებულის ცნების შესაბამის მუხლში მიგვეითებინა: „ან კანონით დაცულ ინტერესზე, რომელიც უშუალოდ დარღვეულია, ან ემუქრება დარღვევა“. იგი აღნიშნავდა, რომ „არამაგერიალური ზიანის“ ყველა სახეობის ჩამოთვლა ძნელია და საეჭვოა, რომ იყოს მიზანშეწონილი.²

პროცესუალურ ლიტერატურაში ჩამოყალიბებული შეხედულებების თანახმად, ვადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ზიანის ყველა სახის მეცნიერულ შესწავლას, რომლის შესახებაც შემდგომში გვექნება საუბარი.

საერთაშორისო სამართალი (იხ., მაგალითად, 1985 წლის 29 დეკემბრის გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული „მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების დეკლარაცია ხელისუფლების დანაშაულობა-

¹ Кокоров Л. Д., Потерпевший от преступления в Советском Уголовном процессе, Воронежский ун., 1964.

² Скрипченко Б. В., Вред как основные признания потерпевшим. В тематическом сборнике. Потерпевший от преступления (отв. редактор проф. П. С. Дагель, 1974, ст. 181-182).

თა და ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის“) და მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა იყენებს არა გერმინ „დამარალებულს“, არამედ „მსხვერპლს“. კერძოდ მასში ნათქვამია: გერმინი მსხვერპლი აღნიშნავს პირს, რომელსაც ეროვნული სისხლის სამართლის კანონების დარღვევით აყენებენ ზიანს. თანაც უნდა ითქვას, რომ ზიანი განიმარტება უფრო ფართოდ, ვიდრე საქართველოს კანონმდებლობაში. მას მიაკუთვნებენ არა მარტო სხეულის დამიანებებს, მორალურსა და მატერიალურ ზარალს, არამედ მსხვერპლის ემოციურ ტანჯვას, ავრეთვე პიროვნების ძირითად უფლებათა არსებით შელახვას. (დეკლარაცია, 118).

უნდა აღინიშნოს, რომ გერმინი „მსხვერპლი“ გამოყენებულია საქართველოს მატერიალურ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში (სს.კ-ის 109-ე; 111-ე; 115-ე მუხლებში).

კანონმდებელი ამ გერმინში გულისხმობს პირს, რომლის მიმართ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების (მოქმედების ან უმოქმედობის) შედეგად პირი გარდაიცვალა, ე.ი. დაღვა საზოგადოებრივად საშიში შედეგი – დამარალებულის სიკვდილი.

იმისათვის, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ დამარალებულის პროცესუალურ მდგომარეობაზე, აუცილებელია, ერთმანეთს შევადაროთ „დამარალებულისა“ და „დანაშაულის მსხვერპლის“ ცნებები:

პირველი – ყველა დანაშაულის მსხვერპლი შეიძლება ვერ გახდეს დამარალებული სისხლის სამართლის პროცესის მნიშვნელობით (მაგალითად, მსხვერპლი ლატენგური დანაშაულების დროს, როდესაც ამა თუ იმ მიზეზით ისინი არ მიმართავენ სამართალდამცევი ორგანოებს); მეორე – დანაშაულის მსხვერპლი სისხლის სამართლის პროცესში დამარალებული სტატუსს იძენს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც პროცესის მწარმოებელი თანამდებობის პირი გამოიტანს მოტივირებულ დადგენილებას მისი დამარალებულად ცნობის შესახებ; მესამე – კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში დამარალებულად იცნობა არა დანაშაულის მსხვერპლი, არამედ მისი ახლო ნათესავი (მაგალითად, იმ დანაშაულის საქმეებზე, რომელ ქმედებასაც მსხვერპლის სიკვდილი მოჰყვა).

იმ ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, რომლებიც იყენებენ სამართალწარმოების ანგლოსაქსურ მოდელს, არ ცნობს ისეთ სისხლის სამართლის პროცესის სუბიექტს, როგორცაა დამარალებული. ამის შედეგია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში დამარალებულის მდგომარეობის მარეგულირებელი ნორმების არარსებობა. დანაშაულებრივი ქმედების შემთხვევაში დამარალებული პირი გამოდის როგორც ბრალდების მოწმე და მისი როლი შემოიფარგლება ჩვენებათა მიცემით. დანაშაულით მისთვის ზარალის მიყენების შემთხვევაში მას შეუძლია წარადგინოს სარჩელი საერთო-სამოქალაქო წესით.

სისხლის სამართალწარმოების კონტინენტური სისტემის სახელმწიფოებში „დამარალებულის“ (როგორც საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე) უფლებამოსილებებს ასრულებს კერძო ბრალმდებელი (ჯვრ); თანაბრალმდებელი (ჯვრ); სამოქალაქო მოსარჩელე (ჯვრ, საფრანგეთი).

გურ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დაზარალებულს მიძღვნილი აქვს მეხუთე წიგნი – „დაზარალებულის მონაწილეობა პროცესში“, რომელიც შედგება 4 თავისაგან: „კერძო ბრალდება“, „თანაბრალდება“, „დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება“, „დაზარალებულის სხვა უფლებამოსილებანი“.

დაზარალებულს, გერმანიის სისხლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, შეუძლია გამოვიდეს: როგორც კერძო ბრალმდებელი (კერძო ბრალდების საქმეებზე), თანაბრალმდებელი (საჯარო ბრალდების საქმეებზე) და სამოქალაქო მოსარჩლე.

გურ-ის სსს კოდექსის 403-ე პარაგრაფის მიხედვით, დაზარალებული ან მისი მემკვიდრე უფლებამოსილია, სისხლის სამართლის პროცესში წარუდგინოს ბრალდებულს ქონებრივ-სამართლებრივი მოთხოვნები, გამომდინარე მის მიერ სისხლისსამართლებრივი დასჯადი ქმედების ჩადენის გამო.

ასე რომ, გურ-ის სსს-ის 374-ე პარაგრაფის შესაბამისად, დაზარალებულს შეუძლია, აღძრას გამოძიება კერძო ბრალდების წესით – ბინის, სამსახურებრივი სადგომის ხელშეუხებლობის დარღვევის (გურ-ის სსს-ის §123-ე), შეურაცხყოფის (გურ-ის §185-187a), თუ შეურაცხყოფა არ შეეხება გურ-ის სსს-ის §194-ე მე-4 აბზაცში დასახელებულ არც ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციას; მიმოწერის საიდუმლოების დარღვევის (გურ-ის სსს-ის §202), სხეულის დაზიანებების (გურ-ის სსს §223, 223a, 230) მუქარის (გურ-ის სსს §241) და გურ-ის სსს 374-ის პირველ ნაწილში სპეციალურად განსაზღვრულ სხვა დანაშაულთა შესახებ საქმეებზე პროკურატურაში წინასწარი მიძღვნილი გარეშე.

კერძო ბრალდების აღძრის უფლება, აგრეთვე, აქვს დაზარალებულის კანონიერ წარმომადგენელს.

დაზარალებულს, რომელიც გამოდის როგორც კერძო ბრალმდებელი, შეიძლება აყაედეს ადვოკატი, (სსს-ის §378).

გურ-ის სსს-ის §377-ე პირველი აბზაცის თანახმად, პროკურორი არ მონაწილეობს პროცესში კერძო ბრალდების საქმეებზე, თუმცა მას უფლება აქვს, განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე, საქმეზე წარმოების ნებისმიერ ეტაპზე თავის თავზე აიღოს სისხლისსამართლებრივი დევნა სპეციალური განცხადების საფუძველზე. დაზარალებულს უფლება აქვს, გაიწვიოს კერძო ბრალდება საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე.

დაზარალებული, რომელიც გამოდის როგორც თანაბრალმდებელი (საჯარო ბრალდების საქმეებზე), უფლება აქვს: დაესწროს სასამართლოს სხდომას, იყოილოს წარმომადგენელი, გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალას, განაცხადოს ექსპერტის აცილება, დასვა შეკითხვები, გამოთქვას საწინააღმდეგო აზრი, განაცხადოს შუამდგომლობები მტკიცებულებების წარდგენის თაობაზე, მონაწილეობა მიიღოს სასამართლო კამათში.

დაზარალებულს უფლება აქვს, საჯარო ბრალდების საქმეებზე გაასაჩივროს სასამართლოს განჩინება, რომლითაც შეწყვეტილ იქნა საქმეზე წარმოება ორ შემთხვევაში: 1. თუ საქმე შეწყვეტილია იმ გარემოებების გამო, რომლებიც გამორიცხავენ წარმოებას საქმეზე, 2. თუ საქმე შეწყვეტილია სისხლის სამართლის კანონის შეცვლის გამო.

ქონებრივ-სამართლებრივი მოთხოვნა დანაშაულის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ დაზარალებულმა უნდა განაცხადოს წერილობითი ან ზეპირი შუამდგომლობის ფორმით, უშუალოდ სასამართლო განხილვისას, მაგრამ სასამართლო კამათამდე. (სსსკ-ის §403).¹

საფრანგეთის სსს კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, ნებისმიერ პირს, რომელიც თელის, რომ დანაშაულის ან გადაცდომის შედეგად მას მიაყენეს ზიანი, საჩივრის შეგანის შემდეგ შეუძლია გამოვიდეს კომპეტენტური გამოძიების მოსამართლის წინაშე, როგორც სამოქალაქო მოსარჩელე. სამოქალაქო სარჩელი არ შეიძლება წარდგენილ იქნეს სისხლის სამართლის სარჩელის ხანდამშულობის ვადის გასვლის შემდეგ (სსსკ-ის მე-10 მუხლი).²

საფრანგეთის კანონმდებლობით, სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობა დასაშვებია ნებისმიერ სტალიაზე, თანაც პროცესში არ ხდება შეტყობინება ამის შესახებ სხვა მხარეებისათვის. პროკურატურას, ბრალდებულს ან სხვა სამოქალაქო მოსარჩელეს უფლება აქვს, გაასაჩივროს სარჩელი. ამ შემთხვევაში, ან თუ სარჩელი ცნობილია მიუღებლად, გამოძიების მოსამართლე ვალდებულია, გამოიგანოს მოგივირებული დადგენილება.³

სამოქალაქო მოსარჩელეს უფლება აქვს, ჰყავდეს წარმომადგენელი და გამოძიების ნებისმიერ მომენტში შეაგყობინოს გამოძიების მოსამართლეს არჩეული წარმომადგენლის შესახებ (სსსკ-ის 117-ე მუხლი). კანონით წარმომადგენელთა რაოდენობა არ არის შეზღუდული.

უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით სამოქალაქო მოსარჩელის უფლებები დამოკიდებულია იმაზე, თუ სასამართლოს რა შემადგენლობით განიხილება სისხლის სამართლის საქმე: ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში, გამასწორებელ გრიბუნალში თუ პოლიციის გრიბუნალში.

ერთი შეხედვით, საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ცნებები: „დაზარალებული“ და „სამოქალაქო მოსარჩელე“ სინონიმებს წარმოადგენენ.

ა. ლუბინსკი მართალია, როცა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო სარჩელის წარდგენა აუცილებლად იწვევს სისხლისსამართლებრივი დენის აღძვრას. ასეთი სახის სამოქალაქო სარჩელი შეიძლება არც შეიყავდეს რაიმე მაგერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას.⁴

კანონით დაზარალებულისათვის გამოყოფილია ორი საპროცესო სამართლებრივი საშუალება, რითაც შეუძლია დაიყვას თავისი კანონიერი ინტერესები: პირველი, მას უფლება აქვს წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის პროცესში და დამოუკიდებლად დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დენა; მეორე, დაზარალებულს უფლება აქვს, ჩაერთოს სისხლის სამართლის პროცესში, როგორც სამოქალაქო მოსარჩელე,

¹ Уголовно-процессуальный кодекс ФРГ с изменениями и дополнениями на первое января 1993 г.

² Уголовно-процессуальный кодекс Франции 1958 года по состоянию на 1-го января 1995., М., 1196.

³ Бобятов С. В. Правосудие во Франции, М., 1994.

⁴ А. Лубенский Предварительное расследование по законодательству капиталистических государств, М., 1977, с. 132.

როდესაც უკვე აღძრული იყო სისხლისსამართლებრივი დევნა პროკურატურის მიერ საჯარო სარჩელის წესით.

შემდგომში სამოქალაქო მოსარჩელე პროცესში გამოდის, როგორც ბრალდების მხარე. კანონით დაზარალებულს სასამართლოში მინიჭებული აქვს ფართო უფლებები.

ზემოთ განხილული საკითხების ანალიზი გვაძლევს უფლებას, აღვნიშნოთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში გამოყენებული ცნება „დაზარალებულა“ და კონგინენტური ქვეყნების კანონმდებლობაში გამოყენებული „დაზარალებულის ცნებები“ ილენტურ ხასიათს ატარებენ და სრულიად შესაბამებიან საერთაშორისო სტანდარტებს.

ახლა განვიხილოთ პრობლემატური საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ შეიძლება გამოცხადდეს დაზარალებულად – მხოლოდ ფიზიკური პირი თუ იურიდიული პირიც?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაზარალებულის ცნების განსაზღვრებაში კანონმდებელი პირდაპირ მიუთითებს, რომ დაზარალებულად შეიძლება ცნობილ იქნეს მხოლოდ ფიზიკური პირი. მოქმედი სისხლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, იურიდიულ პირს დანაშაულის შედეგად შეიძლება მიაღვეს ქონებრივი და მორალური ზიანი (სსსკ-ის 30 მუხლის მე-2 ნაწილი) და ამდენად ის სისხლის სამართლის პროცესში შეიძლება მონაწილეობდეს მხოლოდ და მხოლოდ როგორც სამოქალაქო მოსარჩელე.

პროცესუალურ ლიტერატურაში მოცემულ საკითხებზე სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. პროცესუალისტების უმეტესობა თვლის, რომ დაზარალებულად შეიძლება აღიარებული იქნეს მხოლოდ ფიზიკური პირი.¹ არ ეეთანხმებით რა ამ საკითხისადმი ასეთ მიდგომას, ამავე დროს არ შეგვიძლია იგი მკაცრად მივიჩნიოთ, რადგან მოყვანილი არგუმენტები ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას. ძირითადი მიზეზი, რის გამოც იურიდიული პირი არ შეიძლება დაზარალებულად იქნეს აღიარებულნი ისაა, რომ მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პასუხისმგებლობას იურიდიული პირის პატივისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე.

მამასადამე, თუ საფუძვლად მივიღებთ მოქმედ სისხლის სამართლის კანონმდებლობას, ამ ავგორთა მიერ გამოთქმული აზრი უნდა მივიჩნიოთ სწორად. ამგვარი საკანონმდებლო რეგულირება ზოგიერთი პროცესუალისტის სამართლიანი კრიტიკის საგანი გახდა.² მათი აზრით, დანაშაულისაგან დაზარალებულად აღიარებულ უნდა იქნეს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი. აღნიშნული პროცესუალისტები არ გამოორიცხავენ იურიდიული პირისათვის მორალური ზიანის მიყენების გარემოებებს. ამასთან დაკავშირებით მ. სტროგოვიჩი აღნიშნავს, რომ „არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ იურიდიულ პირსაც შეუძლია წაუყენოს სამოქალაქო სარ-

¹ Савицкий В. М., Потеружа Н. Н., Потерпевший в советском уголовном процессе, М., 1963, с. 5.; Демченко Н. С. Обеспечение прав потерпевшего на предварительном следствии Друд ВЮЗИ, М., 1972, с. 104; Юрченко В. А., Гарантии прав потерпевшего в судебном законодательстве.

² Строгович М. С., Курс советского уголовного процесса, М., т. I, 1968, с. 256.

ჩელი არა მხოლოდ მიყენებული მაგერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, არამედ საკუთარი პატივისა და ღირსების დასაცავადაც“. ამიტომაც მ.ს. სტროგოვიჩი ექვტარეშე ამტკიცებდა, რომ დაზარალებული „შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური პირი — მოქალაქე, ისე იურიდიული პირიც — ორგანიზაცია, საწარმო, დაწესებულება, როცა დანაშაულის შედეგად ილახება მათი პატივი და ღირსება“.¹ ამ პოზიციას იზიარებს ლ. დ. კოკორევი.² საბაზრო ეკონომიკის განვითარების დღეებში პირობებში ორგანიზაციებს შორის მზარდი კონკურენციისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იქონის იურიდიული პირის დაზარალებულად აღიარება. აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის მიზნით საწყის მდგომარეობად ჩვენ მივიღებთ შემდეგს:

1. საბაზრო ეკონომიკის პირობებში იქმნება მრავალი ვაეროიანება, ასოციაცია, ბანკი, მსხვილი საწარმო, ფირმა და სხვა ორგანიზაცია, რომლებიც მუდმივი კონკურენციისა და მეგობრობის ვითარებაში იმყოფებიან. ბევრი მათგანი ზოგჯერ ცდილობს, ნებისმიერი საშუალებით, მათ შორის დანაშაულებრივი გზითაც, სახელი გაუტეხოს მასთან კონკურენციაში მყოფ ორგანიზაციას. ასეთი სუბიექტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით სახელმწიფო ვალდებულია, შეიმუშაოს სათანადო საკანონმდებლო საშუალებანი. ასეთ აუცილებელ ვუქტურ საშუალებად შეიძლება იქცეს იურიდიულ პირთა ღირსებისა და პატივის დამცველი სისხლისსამართლებრივი მექანიზმების ჩამოყალიბება და მათი ამოქმედების წესის დადგენა. დღესდღეობით მრავლადაა იურიდიულ პირთათვის დანაშაულის შედეგად მორალური ზიანის მიყენების ფაქტები, მაგრამ დაინტერესებულ იურიდიულ პირებს არ შეუძლიათ საკუთარი ინტერესების დაცვა. მოცემულ შემთხვევაში იურიდიული პირი აბსოლუტურად დაუცველია. ჩვენი აზრით, თუ იურიდიულ პირს დანაშაულის შედეგად მიაღება მორალური და ქონებრივი ზიანი, შესაბამისი ორგანოები და თანამდებობის პირები ვალდებულნი არიან, ცნონ იგი დაზარალებულად. აქედან გამომდინარე, ძნელია დაეთანხმონ იმ პროცესუალისტებს, რომელთა აზრითაც იურიდიულ პირს შეიძლება მიაღვეს მხოლოდ ქონებრივი ზიანი. იურიდიულ პირთათვის დანაშაულის შედეგად მორალური ზიანის მიყენების შესაძლებლობა იმდენად რეალურია, რამდენადაც რეალურია ქონებრივი ზიანის მიყენების შესაძლებლობა და ამიტომ სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულად ცნობილი უნდა იყოს არა მარტო ფიზიკური, არამედ იურიდიული პირიც.

2. ავტორები, რომლებიც არ მიიჩნევენ მართებულად იურიდიული პირის დაზარალებულად აღიარების აუცილებლობას, თვლიან, რომ იურიდიულ პირს სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დაცვა შეუძლია როგორც სამოქალაქო მოსარჩელეს. პრაქტიკული მაგალითების ანალიზი გვიჩვენებს, რომ იურიდიული პირის, როგორც სამოქალაქო მოსარჩელის, უფლებები საკმარისად ვერ ხორციელდება. ხშირად იურიდიული პირისათვის მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება ხდება მისი სამოქალაქო მოსარჩელედ აღიარებამდე.

¹ იქვე, გვ. 253.

² Кокорев Л. Д. Погрешный от преступлений в советском уголовном процессе, Воронеж, 1964, с. 7.

ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, პროცესის მწარმოებელი თანამდებობის პირი – გამომძიებელი ან სასამართლო – იურიდიულ პირს არ აღიარებენ სამოქალაქო მოსარჩელედ. ქონებრივი ზიანის ანაზღაურების შემდეგ ქრება სამოქალაქო სარჩელის წაყენების მიზემი და შესაბამისად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველიც. სსსკ-ის 86-ე მუხლის პირველი ნაწილის „ქ“ პუნქტის თანახმად, „სამოქალაქო მოსარჩელეს უფლება აქვს, უარი თქვას სარჩელზე“. იურიდიულ პირს კი, რომლის წინააღმდეგაც განხორციელდა დანაშაულებრივი ქმედება, არ შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს პროცესში და რაიმე ზემოქმედება მოახდინოს საქმის შედეგებზე. იურიდიული პირისათვის დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურებამ არაეითარი ზეგავლენა არ უნდა მოახდინოს მის სასამართლო პროცესში მონაწილეობაზე.

ასეთი საკანონმდებლო შემდეგის აღმოსაფხვრელად და იურიდიული პირისათვის სისხლის სამართალმწარმოებაში უფლებებისა და კანონიერი ინტერესებისათვის უზრუნველყოფის გარანტიების მისაქემად კანონში უნდა იყოს რეგლამენტირებული ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც შესაბამისი ორგანოები და თანამდებობის პირები ვალდებული იქნებიან, აღიარონ იურიდიული პირი დამარალეულად და უზრუნველყონ მისი მონაწილეობა წინასწარ გამოძიებასა და სასამართლო განხილვაში მისი კანონიერი წარმომადგენლის სახით, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ამ პირის მხრიდან აღძრული სამოქალაქო სარჩელი;

3. იურიდიული პირის დამარალეულის უფლებებით აღჭურვა აუცილებელია სისხლის სამართალმწარმოებაში მისი მონაწილეობის გააქტიურებისათვის. იურიდიულ პირთა დამარალეულად აღიარება აუცილებელია არა მარტო მათი მატერიალური და მორალური ინტერესების დაცვის უზრუნველყოფისათვის, არამედ იმისათვის, რომ მათ ხელი შეუწყონ დანაშაულის გახსნას, მისი ჩამდენი პირის მხილვას. იურიდიულ პირთა დამარალეულად აღიარება ხელს შეუწყობს, აგრეთვე, მათთვის მიყენებული მორალური და ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იბადება კითხვა: რამდენად რეალურია, იურიდიული პირისათვის მიყენებულ იქნეს მორალური ზიანი? – რამდენადაც ზიანის მოცემული სახესხვაობა გამოიყენება მხოლოდ ფიზიკური პირების მიმართ, რამდენადაც მხოლოდ ადამიანისათვისაა დამახასიათებელი ფიზიკური განჯვა და სულიერი განცდები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მორალური ზიანის ცნება უართო გავებით უნდა განიმარტოს, რომელიც მისი პატივისა და ღირსების შელახვასთან ერთად მისი საქმიანი რეპუტაციის შელახვასაც გულისხმობს.¹

ყოველივე ზემოთ ჩამოყალიბებული საშუალებას გვაძლევს, გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა: იურიდიული პირი შეიძლება ცნობილ იქნეს დამარალეულად სისხლის სამართლის პროცესში იმასთან დაკავშირებით, რომ:

¹ შ. ჩიკვაშვილი, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბ., 1998, გვ. 23.

1. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში არსებობს ამისათვის საფუძველი – დანაშაულით ქონებრივი და მორალური ზიანის მიყენების შემთხვევაში დაზარალებულად ცნობის შესაძლებლობა;

2. იურიდიულ პირთა დაზარალებულად ცნობის გზით მიღის საგამოძიებო პრაქტიკა ევროპის ცივილიზებულ ქვეყნებში;

3. სისხლის სამართლის მაგერიალური კანონი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ისეთი დანაშაულისათვის, რომელთა ჩადენის შედეგად ზიანი შეიძლება მიყენებულ იქნეს მხოლოდ იურიდიული პირისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვთვლით, რომ მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში შეგანილ უნდა იქნეს არსებითი ცვლილებები:

სსს კოდექსის 68-ე მუხლში, სადაც განსაზღვრულია დაზარალებულის ცნება, გამოყენებულ უნდა იქნეს როგორც „ფიზიკური“, ასევე „იურიდიული პირის“ ცნებაც.

„დაზარალებულის“ ცნება შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „დაზარალებული არის ფიზიკური პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად, ანდა რომელსაც ასეთი ზიანი მიაყენა დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაავადებულმა პირმა. ასევე იურიდიული პირი, რომელსაც დანაშაულმა მიაყენა ქონებრივი ზიანი და შელახა მისი საქმიანი რეპუტაცია“.

უნდა ითქვას, რომ მსგავს რეგულირებას ითვალისწინებს მრავალი ქვეყნის კანონმდებლობები. ამ ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, დაზარალებულის სტატუსი ენიჭება როგორც მოქალაქეს, ასევე ორგანიზაციას, საწარმოს, დაწესებულებას.

როგორც ცნობილია, საფრანგეთის ახალი 1992 წლის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში იურიდიული პირის მიყენებას.

მაგერიალური სისხლის სამართლის პრობლემები შესაბამისობაში უნდა მოყვანილიყო საპროცესო კანონმდებლობასთან, რამდენადაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში უნდა რეგლამენტირებულიყო ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მაგერიალური სისხლის სამართლის ნორმების რეალიზაციას დაისვა საკითხი იმის შესახებ, თუ რა სახით მიიღებს მონაწილეობას იურიდიული პირი სისხლის სამართლის პროცესში, კერძოდ წინასწარი გამოძიების სტადიაზე.

1992 წლის 16 დეკემბრის კანონმა №92-1336 შეიგანა დამატება საფრანგეთის მოქმედ 1958 წლის სსს-ის კოდექსში, მეოთხე წიგნის მე-18 კარში „სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის შესახებ, წინასწარ გამოძიებასა და სასამართლო განხილვისას იმ დანაშაულებზე, რომელიც ჩადენილია იურიდიული პირების მიერ“ (სსს-ის 706⁴¹-ე – 706⁴⁶-ე მუხლები).

სსს-ის 706⁴³-ე მუხლის თანახმად, „საჭირო სარჩელი შეიძლება აღიძვრას იურიდიული პირის წინააღმდეგ, მისი კანონიერი წარმომადგენლის სახით, რომელიც წარმოადგენს იურიდიულ პირს ყველა საგამოძიებო მოქმედების განხორციელებისას.“

იმ შემთხვევაში, როცა სისსლისსამართლებრივი დეენა აღიძერება ფიზიკური პირის მიმართ, რომელიც არის იურიდიული პირის წარმომადგენელი, ან თუ იურიდიულ პირს არ ჰყავს წარმომადგენელი (შეიძლება იმალება), დიდი ინსტანციის ტრიბუნალის თავმჯდომარე ნიშნავს რწმუნებულს, რომელიც ასრულებს იურიდიული პირის კანონიერი წარმომადგენლის ფუნქციას. სსს კოდექსის 706⁴⁴-ე მუხლში ერთმნიშვნელოვნად მითითებულია, რომ იურიდიული პირის წარმომადგენელი სარგებლობს მოწმის პროცესუალური სტატუსით.

იმ შემთხვევაში, თუ იურიდიულმა პირმა დანაშაულებრივი ქმედებით განიცადა ზიანი (მაგერიალური თუ მორალური), იგი განიხილება, როგორც დაზარალებული და უფლება აქვს, წამოაყენოს სამოქალაქო სარჩელი.

რუსეთის ფედერაციის სსს კანონმდებლობით დაზარალებულად შეიძლება ცნობილ იქნეს როგორც ფიზიკური პირი – მოქალაქე, ასევე იურიდიული პირიც, რომელსაც დანაშაულმა მიაყენა ქონებრივი ზიანი და შელახა მისი საქმიანი რეპუტაცია. (რუსეთის ფედერაციის სსსკ-ის 42-ე მუხლი).

•

⁴⁴ Головкин Л. В., Дознание и предварительное следствие в уголовном процессе Франции, М., 1995, с. 79.

ბეჟან ხარაზიშვილი და მისი უხედავლებები კრიმინალისტიკური მეცნიერების ზომიერობის დარგის შესახებ

ბეჟან ხარაზიშვილი (ხორნაბუჯელი) იყო პიროვნება და მეცნიერი, რომელსაც ამოუწურავი იდეები და შესაძლებლობები ქმონდა სამართლის სხვადასხვა დარგში – კრიმინალისტიკა, სისხლის სამართალი, სისხლის სამართლის პროცესი, მტკიცებითი სამართალი, სასამართლო ფსიქოლოგია და სხვა დარგები. იგი ავტორია 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მრავალი დამსმარე სახელმძღვანელოსი და პუბლიკაციისა, ასევე უამრავი მხატვრული ნაწარმოებისა და სტაგიის, სადაც მას უუნდამენგურად აქვს განხილული სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის, იუსტიციის ორგანიზაციისა და ბრალის ფსიქოლოგიური მხარის საკითხები. ხარაზიშვილი პირველი კრიმინალისტი იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის კრიმინალისტებს შორის, რომელმაც დამნაშაუის ქცევის მოტივს მიუძღვნა მონოგრაფია. მის კალამს ეკუთვნის ასევე სიცრუის ფსიქოლოგია, ბრალის ფსიქოლოგიური მხარისა და სისხლისსამართლებრივი გაგების ურთიერთდამოკიდებულება სხვადასხვა რთული პრობლემის გადაწყვეტისას.

ხარაზიშვილის ერთ-ერთი სერიოზული ნაშრომი „მტკიცებითი სამართალია“, სადაც იგი სამართლის ლიგერატურასა და პრაქტიკაში გავრცელებულ ტერმინს – „მტკიცებულებით სამართალს“ – არ ეთანხმება და მიზანშეწონილად თელის ტერმინ „მტკიცებითი სამართლის“ გამოყენებას, ვინაიდან მტკიცებითი სამართალი თავისთავად მტკიცებულებასაც გულისხმობს, იგი დინამიკურობას გამოსაგავს და მიმდინარე პროცესებზე მიგვივითებს, მტკიცებულება კი თავისთავად უკვე მოპოვებული ინფორმაციაა.

თუმცა ამჯერად მის ისეთ ნაშრომზე შეეჩერდებით, როგორცაა 1953 წელს რუსულ ენაზე გამოცემული „ხელნაწერების გამოკვლევის სასამართლო ბურჟუაზიული მეთოდების კრიტიკა“ და კრიმინალისტიკის სახელმძღვანელო, რომელიც 1956 წელს გამოიცა და 1954 წელს გამოცემული ნაშრომის გავრცელებას წარმოადგენს. სახელმძღვანელოს რედაქტორი პროფესორი ბორის ფურცხვანიძეა. წიგნის მოცულობა მეზღუდულია და შედგება წინასიტყვაობის, შესავალი ნაწილისა და დანაშაულის ცალკეული სახეების გახსნის მეთოდის საკითხებისაგან, რომელნიც, თავის მხრივ, მოიცავს ისეთ დანაშაულთა გახსნის მეთოდებს, როგორცაა პიროვნების,

მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ასევე გექნიკური უშიშროების წესების დარღვევის და საბჭოთა სოციალისტური მეურნეობის დარღვევა ჩადენილი დანაშაულის გახსნის მეთოდია. აღნიშნულ ნაშრომში საკითხები თეორიისა და პრაქტიკის ძირითად მონაცემებს მოიცავს და გამოდღრებულია უამრავი პრაქტიკული მაგალითით, რაც მკითხველს უადვილებს საკითხების უკეთ აღქმას. ნაშრომი სტრუქტურისა და სასამართლო-საგამოძიებო ორგანოების მუშაუებისათვის იყო განკუთვნილი და მრავალი წლის მანძილზე მართლაც მათ სამაგიდო წიგნს წარმოადგენდა. სწორედ მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ნაშრომს საუნივერსიტეტო პრემია მიენიჭა.

ხარაბიშვილი ნაშრომის შესავალში ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ სასამართლო წარმოების ისტორიის შესწავლა მხოლოდ საკანონმდებლო აქტების ისტორიის შესწავლით როდი უნდა შემოიფარგლებოდეს, ეინაიდან ცხოვრება კანონმდებლობის გვერდით ყოველთვის აყენებდა და დღესაც აყენებს ახალ ამოცანებს იმისათვის, რომ კანონმდებლის აზრი გაგარდეს ცხოვრებაში. კანონს კი არ შეუძლია მოიცვას ყველა ეს ხერხი და საშუალება, რათა მოხდეს მისი სრულად განხორციელება. აღნიშნულმა ფაქტობრივად დაულო საფუძველი კრიმინალისტიკურ მეცნიერებას, რომლის შექმნისა და განვითარების ისტორია გარკვეულ სიძნელებებსა და გაუგებრობასთან იყო დაკავშირებული. ამ დარგის მეცნიერების წარმომადგენელთა შეხედულებასა და მოსაზრებას ყოველთვის სწორად ვერ აღიქვამდა საზოგადოება და იყო ისეთი ფაქტებიც, როგორც 1669 წელ მოხდა: რავენო, რომელმაც დოკუმენტების სიყალბის დადგენის ხერხებს მიუძღვნა ნაშრომი, იუსტიციის სასახლის წინ დაწვეს, როგორც საზოგადოებისათვის საშიში და საზიანო, თუმცა, სანამ კრიმინალისტიკა მეცნიერების სპეციალური დარგი გახდებოდა, საგამოძიებო პრაქტიკა გვერდს ვერ უვლიდა დანაშაულის გახსნის გექნიკისა და გაქტიკის საკითხებს. რავენოს გვერდით უნდა აღინიშნოს იმ მეცნიერთა დეაწლიც, რომელთაც უდიდესი წვლილი შეიტანეს კრიმინალისტიკის განვითარებაში. ესენი არიან: ბაუერი, იავენმანი, შტაიბერი და პანს გროსი, რომელმაც პირველად იხმარა ტერმინი „კრიმინალისტიკა“ თავის ნაშრომში: „სასამართლო გამოძიებლის სახელმძღვანელო“ მე-3 გამოცემაში 1893 წელს, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათ გვერდით კრიმინალისტიკის განვითარებასა და ქართული კრიმინალისტიკური სკოლის შექმნაში არანაკლები წვლილი შეიტანა ბუჟან ხარაბიშვილმა.

ხარაბიშვილი კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოში აკრიტიკებდა დასაუღეთ ევროპაში გავრცელებულ დაკითხვის ხერხებს და მათ მოთხოვნას – „მექანიზებული“ გამხდარიყო გამოძიება, ეინაიდან ისინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ გამოძიების გექნიკური საკითხების შესწავლას, მაშინ როდესაც საგამოძიებო გაქტიკა ბედმიწვევით დასასვეწვი იყო, ასევე ძირითადი სიძმძმე გადატანილი იყო მხოლოდ პიროვნებაზე და სათანადო ყურადღება არ ეთმობოდა დანაშაულის შემადგენლობის დამტკიცების პრობლემას. ამის ბრწყინვალე მაგალითია დაკითხვის გაქტიკა, როდესაც ბრალდებულის დაკითხვა ხდებოდა ისეთი „ფიზიკური შთავგონების“ გამოყენებით, როგორცაა დასაკითხ პირზე ძლიერი ელექტროდენით ზემოქმე-

დება, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა და თვით სასამართლო პროცესის დროსაც კი მისი გამოყენებისას ნაფიცი მსაჯულები უყოყმანოდ აღიარებდნენ „სიცრუის გამომძლავრებლის“, „სიცრუის ლეგექტორის“ ჩვენების გადამწყვეტ მნიშვნელობას. ეს კი კიდევ ერთხელ უსყამდა ხაზს ნაფიცი მსაჯულთა მონაწილეობის ფორმალურ მხარეს „მართლმსაჯულების“ განხორციელების საქმეში. „სიცრუის ლეგექტორის“ საკითხი ძალზე პრობლემატური იყო და მას დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. მაგალითად, იგი გათვალისწინებულია გერმანიისა და იტალიის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით და შესაბამისად მიჩნეული დაუშვებელ მტკიცებულებად (§ 136a stgp), მასში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ აკრძალულია ყოველგვარი ე.წ. მესამე ხარისხის დაკითხვა, მაგალითად დაკითხვა წამებით, მოგყუებით, მუქარით, ან ჰიპნოზის გამოყენებით. ასევე აკრძალულია ყველა სხვა მეთოდი, რომელიც მსგავს ზეგავლენას ახდენს ეჭვმიტანილის ნებაზე. მაგალითად დაკითხვა სიცრუის ლეგექტორის გამოყენებით.¹

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის საკითხის განხილვისას კი იგი არ ეთანხმებოდა პანს გროსის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „ქონების შესანახი საცაყის გაგვხვასთან დაკავშირებული ქურდობის ადგილის დათვალეირებისათვის გამოყენებული ყოფილიყო სხვადასხვა დარგის სპეციალისტები“, არ დაკმაყოფილებულიყვნენ გამოძიებლები საკუთარი ცოდნით და მოუწეით ექსპერტი-კრიმინალისტები, ხარაგები და - სხვა, რათა მათ ადგილზე საფუძვლიანად შეესწავლათ გაგვხვის ხერხები და საშუალებანი. მას მიაჩნდა, რომ არაფრით არ იქნებოდა გამართლებული ექსპერტი-კრიმინალისტების არა მარტო მოწვევა შემთხვევის ადგილზე და მათ მიერ ექსპერტიზის ჩატარება, არამედ მათი დახმარებაც კი გამოძიებისათვის ნიუთიერი დამამტკიცებელი საბუთების მოძიებისა და შენახვაში, ვინაიდან ექსპერტი-კრიმინალისტი ისეთივე ცოდნით არის აღჭურვილი როგორც გამოძიებელი. მათ ერთი პროფესიის, მხოლოდ სხვადასხვა თანამდებობაზე მომუშავე პირებად მიიჩნედა, რომელნიც თავიანთ მოვალეობას ასრულებენ, გამონაკლისს უშვებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გამოძიებლის მოქმედების სფერო სცილდებოდა თავის სპეციალობას და საჭირო იყო მეცნიერების სხვა დარგის წარმომადგენელთა დახმარება. ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ გამოძიებელი და ექსპერტი კრიმინალისტი ერთნაირად სწავლობდნენ სასამართლო მედიცინას იურიდიული განათლების მიღების დროს, ცხადია, არც ერთ მათგანს არ შეუძლო შეესრულებინა ექიმის ფუნქცია. ამ დროს საჭირო იყო ყველა შემთხვევაში ექიმის მოწვევა.

გამომძიებლის როლი გამოკვეთილი აქვს ასევე შემთხვევის ადგილის დასვისას, რაც უკავშირდება მის მიერ ყველა ზომის მიღებას, რათა არ მოხდეს ვარემე პირთა ვაუმართლებელი შეხება საგნებთან და მოხდეს დამნაშავეთა კვალის აღმოჩენა. ვინაიდან კვალის მიხედვით ცაილებით ადვილია გადამალული ნიუთის აღმოჩენა, ე.ი. აქ ხარაზიშვილი ხაზს უსვამს იმ

¹ ეროვგავრთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისგემები, 2002.

გარემოებას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია შემთხვევის ადგილის დათვალიერება და იმ კვალის აღმოჩენა, საითაც მიიმალა დამნაშავე და უპირატესობას ანიჭებს დანაშაულის ცხელ კვალზე ვახსნას, რასაც გარკვეულწილად უწყობს ხელს მოწმეთა დაკითხვა, ჩხრეკა და სხვა საგამომძიებო მოქმედებებიც. შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ასევე საუბარდებულად მიიჩნევა ისეთი საკითხების გადაწყვეტას, როგორცაა:

1. საიდან მოვიდნენ დამნაშავენი;
2. რა გააკეთეს დამნაშავეებმა დანაშაულის ჩადენის ადგილზე;
3. სახელდობრ, რა იქნა მოპარული;
4. საით წავიდნენ დამნაშავენი.

აქვე უნდა აღინიშნოს იმ ფაქტის შესახებ, რომ ხარამიშვილი შემთხვევის ადგილს ყოველთვის მოიხსენიებს როგორც დანაშაულის ადგილს, რაც, რა თქმა უნდა, გამართლებული არ არის, ეინაიდან დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის ადგილი, რის გამოც ხდება დათვალიერება, ხშირ შემთხვევაში არ ემთხვევა დანაშაულის ჩადენის ადგილს. ეს უფრო თვალსაჩინოა ისეთი დანაშაულის შემთხვევაში, როგორცაა, მაგალითად, მკვლელობა – როდესაც დამნაშავე პასუხისმგებლობისაგან თავის დასაღწევად ახდენს უბედური შემთხვევის ინსცენირებას, ან გადაადგილებს გვამს. ამ შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის ადგილი და შემთხვევის ადგილი ერთმანეთს არ ემთხვევა და მხოლოდ მისი შემადგენელი ნაწილია. ხარამიშვილი ასევე გამოძიებლის პრეროგატივად მიიჩნევს ეჭმიტგანილის გაკონტროლებას და იმის გარკვევას, ხომ არ იყო დანაშაულის სიმულაცია, რათა არ მოხდეს მის მიერ მოპარული ნივთის მოშორება. თუმცა არანაკლებ წარმოაჩენს გამოძიებლის როლს პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემთხვევაში, როდესაც საჭიროა დადგინდეს, მოვლენას ნამდვილად მოხდა თუ არა და შეიძლება თუ არა იგი დანაშაულის ნიშნებს და დაკონკრეტდეს ისეთი საკითხები, როგორცაა:

1. სად მოხდა დანაშაული
2. როდის იყო იგი ჩადენილი
3. ვის მიმართ, ან რის მიმართ იყო მიმართული დანაშაული
4. რა საშუალებით და იარაღით, რა გარემოებაში და რა ხერხით იქნა

ჩადენილი დანაშაული

5. ვინ ჩაიღინა იგი
6. როგორია ბრალის ფორმა, დანაშაულის მოტივები და მიზეზები
7. პასუხისგებაში მიცემული პირის მიმართ დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი
8. დანაშაულებრივი მოქმედების შედეგები, მიყენებული ზარალის ოდენობა

9. დამნაშავე პირის მიერ ჩადენილი ქმედების იურიდიული კვალიფიკაცია

10. რა გარემოებებმა გახადეს შესაძლებელი ან გააადვილეს დანაშაულის ჩადენა და მოხდეს საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა.

სისხლის სამართლის საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისათვის ასევე აუცილებელია მტკიცებულებათა სათანადოდ შეფასებაც, რადგან გამოძიების პროცესში დამამტკიცებელი საბუთების სწორად გამოყენებამ

ბერადა და მოკიდებული გამოძიების ან მოსამართლის რწმენის ჩამოყალიბება. დამამტკიცებელი საბუთები კი საშუალებას იძლევა, გავიგოთ და შევიცნოთ ფაქტები, საქმის გარემოება პიროვნების ბრალეულობის საკითხის გადასაწყვეტად. იგი არის მტკიცების პროცესის აუცილებელი და შემაჯანბნელი საფეხური, ამრობრივი და ლოგიკური პროცესი, შედეგების აუცილებელი პირობა.

გამომძიებელი და მოსამართლე რწმენის ჩამოყალიბებისას საკუთარი შინაგანი რწმენით ხელმძღვანელობენ, რაც, რა თქმა უნდა, კანონის დაცვის საფუძველზე ყოველმხრივ, სრულყოფილად და ობიექტურად უნდა მოხდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მტკიცებულებით მნიშვნელობას დაკარგავს. მტკიცებულებათა შეფასება შინაგანი რწმენისა და კანონის მოთხოვნის დაცვით კი, თავის მხრივ, გამორიცხავს მტკიცებულებათა შეფასების ფორმალურ მიდგომას, ე.ი. რომელიმე მტკიცებულებისათვის უპირატესობის მინიჭებას, რა დროსაც მოსამართლე, გამომძიებელი და პროკურორი არ არიან ვალდებული, პროცესის რომელიმე მწარმოებელი პირის შეფასების შედეგები გაიზიარონ. აღნიშნულმა პირებმა უნდა გაითვალისწინონ ეჭმიგანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, დამარაღებულის, მოწმის ჩვენების ფორმირების პროცესიც, რომელსაც შეუძლია, გარკვეული შემოქმედება მოახდინოს ჩვენების აღიარების ობიექტურობაზე, რა დროსაც მხედველობაში იყოს მიღებული ფაქტებისა და გარემოებათა აღქმა, მათი დამახსოვრება და გამოცემა, ანუ ის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები, რომელნიც უდიდეს გავლენას ახდენენ ჩვენების სისწორეზე. ეჭმიგანილის, ბრალდებულის, განსასჯელის ჩვენებათა შეფასების დროს დამატებით უნდა იქნეს ასევე გათვალისწინებული და კრიტიკულად შეფასებული ბრალის აღიარების ფაქტი, გათქმა, თვითგათქმა და აღიბიც, რადგანაც, ფაქტობრივად, ეს ფაქტორები განსაზღვრავენ თითოეული მტკიცებულების ძალასა და პროცესულად მნიშვნელობას კონკრეტულ საქმეზე.

„მოსამართლეთა რწმენა – წერდა ვიშინსკი – ეს არა მარტო ცოდნაა, არამედ ფაქტების ცნობაც არის, არა მარტო იმის ცოდნა, როგორ და რის შედეგად მოხდა მოცემული მოვლენა, არამედ უნარი მოვლენის მნიშვნელობის სწორად შეფასებისა“. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ დანაშაულის გახსნის მეთოდის განვითარება წარმოუდგენელია საგამოძიებო პრაქტიკისაგან მოწყვეტით.

მკვლევლობისა და გაუპატიურების საქმეთა გამოძიებისას ხარაზიშვილი აღნიშნავს, რომ ძნელია იმაზე საუბარი, მიუვითოთ უფრო რთულ საქმეზე, ვიდრე ამ კატეგორიის დანაშაულებია და არ ეთანხმება ინგლისისა და სხვა ქვეყნების მაგალითს იმის შესახებ, თითქოს ქალის გაუპატიურება შესაძლებელი იყოს ბუნებრივი ძილის დროს, ხოლო ჯგუფური გაუპატიურებისას კი მიიჩნევა, რომ ამოცნობის მიზნით (როდესაც დანაშაულის უცნობი არისა) მთელი ჯგუფის ერთდროულად წარდგენა მოხდეს დამარაღებულის წინაშე, რაც დაუხმარება მას იმის აღდგენაში, თუ რა როლი შეასრულა თითოეულმა მათგანმა დანაშაულის ჩადენისას. მკვლევლობის საქმეებს კი, თავის მხრივ, ყოფს რამდენიმე კატეგორიად, კერძოდ:

1. როდესაც ცნობილია დანაშაულები და მსხვერპლი;

2. როდესაც აღმოჩენილია გვამი, მაგრამ არ არის გარკვეული, თუ ვინ არის მოკლული და დამნაშავე;

3. როდესაც აღმოჩენილია გარკვეული პირის გვამი, მაგრამ დაუდგენელია დამნაშავე;

4. როდესაც დაუდგენელია გვამის ადგილსამყოფელი.

ამ კატეგორიის საქმეების გამოძიებისასაც ხარაზიშვილი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს კვლავ გამოძიებლის როლს, ვინაიდან იმ შემთხვევაში, როდესაც გამოძიებელი ძნელად გასარკვევ ფაქტს სათანადო ყურადღებას არ მიაქცევს, ან შემთხვევითობად ჩათვლის დანაშაულის ჩადენას, ან რომელიმე ფაქტის დამთხვევას შედეგად მოჰყვება შეცდომა იმის გამო, რომ გამოძიებელმა თავის დროზე კრიტიკული თვალსაზრისით არ შეაფასა საქმის ყველა გარემოება.

შეიძლება იყოს ისეთი შემთხვევაც, როდესაც სულიერად აებადმყოფმა განაცხადოს მის მიერ ჩადენილი მკვლელობის შესახებ და მიუთითოს მისეულ მიზეზებზე, მაგალითად, ერთ-ერთი ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე სულიერად დააბადებულმა პირმა რევოლვერი ესროლა მისთვის უცნობს და გვემართა პოლიციელისაკენ, გადასცა მას რევოლვერი და სამხედრო წესით მოახსენა – „სამშობლოს წინაშე მოვიხადე ვალიო“, მეორე დღეს კი ამის შესახებ არც კი ახსოვდა. ან შეიძლება იყოს ისეთი შემთხვევაც, როდესაც პოლიციაში გამოცხადდეს პიროვნება და განაცხადოს მკვლელობის შესახებ, სინამდვილეში კი არ ჰქონდეს ჩადენილი დანაშაული.

რაც შეეხება დოკუმენტების კრიმინალისტიკურ გამოკვლევას, ხარაზიშვილი აკრიტიკებს გამოკვლევის ბურჟუაზიულ მეთოდს, რომლითაც არაერთი მეცნიერი იყო დაინტერესებული და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ მათ არა მარტო თანამედროვე პერიოდში, არამედ საუკუნეების მანძილზეც, რაც კარგად ჩანს საკანონმდებლო ძეგლების შესწავლისას, სადაც მოსამართლეები ჯერ კიდევ უძველეს დროში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ დაწერილ (ხელნაწერ) დოკუმენტებს, როგორც მტკიცებულებას და აყენებდნენ მოთხოვნას, დაეული ყოფილიყო დოკუმენტები გაყალბებისაგან.

თვით ხამურაბის კანონშიც კი არის მთელი რიგი ისეთი მუხლებისა, რომლებშიც საეციალური მითითებებია იმის შესახებ, თუ რა იურიდიული მნიშვნელობა აქვს დოკუმენტებს, რომელნიც გამოიყენებოდნენ სამოქალაქო სამართალურთიერთობის სფეროში. ვინაიდან სავაჭრო ურთიერთობის განვითარებასთან ერთად წარმოიშვა საჭიროება არა მარტო მოწმეების მონაწილეობისა იურიდიულ გარიგებებში, არამედ ასევე საჭირო გახდა წერილობითი დოკუმენტების გამოყენებაც. მაგ. ხამურაბის კანონის 122-ე მუხლში ნათქვამია: „უკეთუ კაცი ვერცხლის, ანდა ოქროს, ანდა სხვა რამ საქონელს შესანახად ვინმეს აბარებს, ყველაფერი, რასაც აბარებს, მოწმეებს უნდა აჩვენოს, ხელშეკრულება გაამზადოს და შესანახად ისე მიაბაროს“. აღნიშნული ფართოდ გავცელდა და საკმაოდ კარგადაც აისახა XIX საუკუნის საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკაში. მაგალითად,

¹ ხამურაბის კანონები, (122-ე მუხლი) თბ., 1988, გვ. 25.

ალფრედ ღრეიფუმისა და ემილ ზოლას საქმეს, რომელიც 1894-1898 წწ. მიმდინარეობდა, ძალზე დიდი გამოხმაურება მოჰყვა და ბრალეულობის საკითხის გადაწყვეტა ფაქტობრივად დამოკიდებული გახდა ხელნაწერის გამოკვლევაზე, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის ექსპერტებმა მიიღეს მონაწილეობა და რამდენიმეწლიანი გამოკვლევის შედეგად მივიღეთ იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული წერილი ღრეიფუმს კი არა ესტერაგაზის ეკუთვნოდა და ძირითადად ყურადღება გაამახვილეს „M“ და „A“ ასოების მოყვანილობასა და წერის მანერაზე, რომელიც ესტერაგაზის კორესპონდენტის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი იყო. ასევე ყურადღება გაამახვილეს ორმაგი „S“-ის წერის ფორმაზე, რომელიც ღრეიფუმის ხელნაწერებში არ ხვდებოდათ ანალოგიური ფორმით, თავის მხრივ კი ჩამონათვალის დროს ღრეიფუმის მიერ გამოყენებული მინიშნება 1⁰, 2⁰, 3⁰ არ იყო ესტერაგაზისათვის დამახასიათებელი.

წერილობითი დამამტკიცებელი საბუთების დიდ მნიშვნელობას როდესაც ვეხებით ეგვიპტესა და საფრანგეთში, არ უნდა დაგვაიწყდეს ისიც, რომ გვიანყოფალო საქართველოში აღებშიცემობის, ვაჭრობის, ეკონომიკური ცხოვრების თანდათანობით განვითარებასთან ერთად იზრდებოდა მტკიცების ამ სახის მნიშვნელობაც. ვალდებულებითი ურთიერთობიდან გამომდინარე, სარჩელთა განხილვა სასამართლო წესით წერილობითი დამამტკიცებელი საბუთების გარეშე შეუძლებელი ხდებოდა.

ვახტანგის სამართლის წიგნის სხვადასხვა მუხლში მიმოხეული ცნობებით ირკვევა წერილობითი დოკუმენტების უდიდესი მნიშვნელობის შესახებ. მაგალითად, 143-ე მუხლის ძალით „კრედიტორის მიერ ვალის გადახდის მოთხოვნისას აუცილებელია თამასუქის წარდგენა, რომელიც სათანადოდ გასინჯული და შემოწმებული უნდა იქნეს“².

აღნიშნულის გარდა, სასამართლო პრაქტიკის უამრავი მასალითაა სათანადოდ ნათელყოფილი წერილობითი დოკუმენტის, როგორც მტკიცების ერთ-ერთი სახის, დიდი მნიშვნელობა სასამართლოში საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის პროცესში. წერილობითი დოკუმენტების საეაღდებულო გაფორმების აუცილებლობაზე სასამართლოს მრავალ გადაწყვეტილებაშია მითითებული. 1780 წელს მსაჯულთ შეკრებულება წერდა: „ჩვენ მსაჯულთ ესენი მოვისმინეთ, ნასყიდობის წიგნი ენახეთ ნიკოლოზ მაღალაშვილის დაწერილი იყო, ამიღახვარიშვილის ნიკოლოზის ბეჭედი იჯდა. ცხინვალის მამასახლისისა და მურადაშვილისა და ძალიაშვილისა და სხვა, ვინც საპატიო კაცის შვილები მოწმედ ეწერნენ, არც ერთის ბეჭედი არ იჯდა, არც ფეშანგის ხელი იყო მოწერილი, არც ბეჭედი, არც მაალისა, არც რევაზისა... ერთი წარყენილი და გამოუცნობელი ბეჭედი იჯდა, ამათს ბეჭედს არც სახე და რადგანაც არც ხელი აქვთ მოწერილი, არც ბეჭედი უბისთ“³, ამიგომ უნდა დაიფიციონ, ე.ი., ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტი არ პა-

¹ Судебные ораторы Франции XIX века - Речь в политических и уголовных процессах, М., 1959, стр. 153.

² შ. ლეკვეიშვილი, სასამართლო პროცესი მე-17-18 საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1963, გვ. 90.

³ შ. ლეკვეიშვილი, სასამართლო პროცესი მე-17-18 საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1963, გვ. 92.

სუსობდა მოთხოვნებს, რომელნიც წერილობით დამამტკიცებელ საბუთს წაუყენებდა და ასეთი საეჭვო საბუთით სიმართლის დადგენა შეუძლებელი იყო, სასამართლო ფიცს აწესებდა.

ნაწერის გამოკვლევის ბურჟუაზიული მეთოდებიდან ხარამიშვილი გამოყოფდა: 1) კალიგრაფიულ, 2) ნიშანალწერით, 3) გრაფომეტრიულ და 4) გრაფოლოგიურ მეთოდებს.

კალიგრაფია ლამაზად წერას ნიშნავს, ამიგომ იყო, რომ ნაწერის გამოკვლევის კალიგრაფიული მეთოდის მიმდევრებად და სპეციალისტებად ითვლებოდნენ ის პირები, რომლებმაც ლამაზი წერა იცოდნენ, ან კალიგრაფიულ გამოკვლევას აწარმოებდნენ, განსაკუთრებით სტამბის მუშაკები და ხატვა-ხაზვისა და სუფთა წერის მასწავლებლები.

ხელნაწერების კალიგრაფიულ მეთოდს იკვლევდნენ მხოლოდ ექსპერტი პრაქტიკოსები, რომელთაც არაერთი თეორიული ბაზა არ გააჩნდათ. ასეთი კალიგრაფ-ექსპერტებიდან ცნობილია ბოემე, რომელმაც ღრეიფუზის საქმეზე არასწორი დასკვნა მისცა.

ბეჟან ხარამიშვილს მოჰყავდა პროფესორ რეოსის შეხედულება იმის შესახებ, რომ იგი არ ამართლებდა გრაფიკული ექსპერტიზისათვის კალიგრაფების მოწვევას, იგი აცხადებდა: თითქოს კმარა, ბავშვებს ვასწავლოთ სუფთა წერა იმისათვის, რომ გაუმკლავდნენ ერთ-ერთ ყველაზე რთულ და ძნელ ექსპერტიზას“, ასევე ოტელენგიც არანორმალურად მიიჩნევდა ქვეყნების უმრავლესობის შეხედულებას იმის შესახებ, რომ გრაფიკული გამოკვლევის ჩატარება მხოლოდ კალიგრაფებს უნდა ჩაეტარებინათ, თუმცა არასწორად მიიჩნევდა ხელწერის წერილთან ურთიერთდამოკიდებულებას და ვერ ხედავდა იმას, რომ ისინი განუყრელნი იყვნენ, როდესაც განიხილავდა ხელწერას როგორც გენინის მუშაობის შედეგს, სოლო წერილს ფიზიოლოგიურ გამოვლინებას.

ბურინსკის შეხედულებით კი კალიგრაფიული „გამოკვლევა“ მიუღებელია, ვინაიდან არსებობს ხელწერის ექსპერტიზის ორგვარი სახე: გამოცდილების ექსპერტიზა და ცოდნის ექსპერტიზა, მათ შორის განსხვავება ისაა, რომ I შემთხვევაში გამოცდილებაა საჭირო, მეორე შემთხვევაში ექსპერტიზის დასკვნა ეფუძნება ხელწერის ანალიზის შედეგს. ექსპერტების მუშაობის შედეგები კი არადადამაკმაყოფილებელია, რაც არა მარტო კალიგრაფების ბრალია, არამედ სასამართლოსიც.

კალიგრაფი-ექსპერტები ნაწერის გამოკვლევის დროს ყურადღებას მხოლოდ ხელის ზოგად ნიშნებზე ამახვილებდნენ და მის საფუძველზე „ადგენდნენ“ პიროვნებას. მუსგად ამ მეთოდს დაედო საფუძველად ბერტილიონის „სიტიყვიერი პორტრეტი“ – რომელმაც 1897 წელს გამოსცა წიგნი „ხელნაწერების შედარება და გრაფიკული იდენტიფიკაცია“. ავტორი იცავს იმ აზრს, რომ ნიშნების აღწერის საფუძველზე შესაძლებელია ისევე ვიცნოთ ხელნაწერი, როგორც აზროვნების ამოცნობა შეგვიძლია მისი გარეგნობის მიხედვით; ნიშანალწერითი მეთოდის წარმომადგენლები იყვნენ: ოტელენგი, გროსი, შნეიკერტი.

ნაწერის გამოკვლევის ნიშანალწერითი მეთოდი ძირითადად ემყარება იმ ხელის ზოგად ნიშნებს და ყურადღების გარეშე ტოვებდა ღოკუმენ-

ტების შინაარსს. ნიშანალწერითი მეთოდის ზოგიერთი წარმომადგენელი ხელის ზოგადი ნიშნების გარდა ხელის კერძო ნიშნებსაც უწევდა ანგარიშს, თუმცა არასწორად აქონდა წარმოდგენილი ხელის კერძო ნიშნები, რომლებიც დამახასიათებელია დამწერისათვის, არამედ ისეთს, რომელიც მხოლოდ ცალკეული პირებისათვის იყო დამახასიათებელი. მისი აზრით, გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნა ალბათობით ხასიათს უნდა აკარებდეს. ლოკარის მიხედვით კი, გრაფიკული ექსპერტიზის დროს საჭიროა ხელნაწერებში დადგინდეს პროპორციული დამოკიდებულება წერით ნიშნებსა და მათ ელემენტებს შორის. სოლო იმ მიზნით, რომ თავიდან აეცილებოთ მოსალოდნელი შეცდომები მილიმეტრის მეათედებით გაზომვისას, გამოისაკელევი საბუთებიდან უნდა გადაეიღოს ფოტოსურათები იორჯერ ან სამჯერ გადიდებული და გაზომვა უნდა მოხდეს ფოტოსურათზე სამწახნაგოვანი სახაზავით, რომელსაც ექსება ნახეარმილიმეტრიანი დანაყოფები. თუმცა იგი არ მიუთითებს, სახელდობრ, რა უნდა იქნეს ხელნაწერებში გაზომილი. იგი ამ საქმეს მთლიანად ანდობს ექსპერტს, რომელმაც პირველ რიგში უნდა მონახოს ეს მსგავსი ნიშნები, რომლებიც მას გამოსალეგად ერეენება და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგეს მათ გაზომვას.

ცხადია, ამგვარი გამოკვლევის საფუძველზე გაკეთებული საექსპერტო დასკვნა მტლარი იქნება, რადგან ექსპერტისათვის მუშაობის დაწყებამდე წინასწარ არაა ცნობილი ვასამომი ობიექტები და ასეთ ექსპერტიზას საფუძველად არ უღევს ერთნაირი ობიექტური კრიტერიუმი, მეცნიერული საწყისები.

ცნობილია, რომ სხვადასხვა პირთა ნაწერებში ხშირად გვხვდება მსგავსი ხელის ნიშნები და თუ ექსპერტი თავის დასკვნას მხოლოდ გრაფომეტრიული მსგავსების კრიტერიუმებზე დაამყარებს, მაშინ გამორიცხულია მისი დამაჯერებლობა.

გაზომვის წესების დაუღვენლობაზე მიგვიითიუებს თუნდაც ის ფაქტი, რომ, როგორც თვითონ აეტორი აცხადებს, არ შეიძლება, სხვადასხვა პირმა მოახდინოს გაზომვა გამოსაკვლევსა და ნიმუშად წარმოდგენილ ღოკუმენტებს შორის. გრაფომეტრიული გაზომვა არ შეიძლება ჩაითვალოს მეცნიერულ მეთოდად, რადგანაც ნაწერში თითქმის არ გვხვდება სიდიდითი დენგური ხელის ნიშნები. ამავე დროს, ეს მეთოდი სრულიად არ ითვალისწინებს ხელის ნიშნების შეკვლას წერის სხვადასხვა პირობებში, სინამდვილეში კი ხელის საერთო ნიშნების ცვლილებებთან ერთად იცვლება ნიშნებისა და მათი შეფარდებების გაზომვის შედეგებიც. ეს იმიტომ, რომ ნიშნების სიდიდეთა შორის პროპორცია გარკვეულ ხელნაწერ ტექსტში არ შეიძლება იყოს მუდმივი.

ხარაზმივილი ასევე განმარტავს ხელსა და ხელწერას და მიჯნავს მათ ერთმანეთისაგან. ხელს უშუალოდ აკაემირებს ხელნაწერთან და მის ორგანულ ნაწილად, მის გარეგნულ მხარედ მიიჩნევს, ნაწერს კი წერილობითი მეტყველების შინაარსის გამოხატულებად.

ხელი არის ხელნაწერის აეტომატურად შესრულებული გრაფიკული მოხაზულობის ინდივიდუალურ თავისებურებათა ჯამი, წერის გრაფიკული მოხაზულობის თავისებურებათა ჯამი კი უალრესად ინდივიდუალურია და ერთმანეთისაგან ყოველთვის განსხვავდება და მაინც ყოველი დამწერი პირი კითხულობს მეორის ნაწერს. ხელის ძირითადი დამახასიათებელი

ნიშანი ისაა, რომ იგი იქმნება იმ საერთოს ბაზაზე, რაც დამახასიათებელია გრადიციის მიხედვით დაკანონებული წერის სისტემისათვის მოკემულ ეპოქაში, მოკემულ ენაზე. წერის ჩვევის ჩამოყალიბება კი პირობითი რეჟიმის გამოქმნავების შედეგია, რამდენადაც ხელის ჩამოყალიბება არის ჩვევის შედეგი, წარმოქმნილი ადამიანის ინდივიდუალური მოღვაწეობის შედეგად, ამის, საფუძვლად უდევს ადამიანის შეგნებული ვარჯიში წერისა და ხელის გამოქმნავების მიზნით.

წერის სწავლების პროცესი იმდენად რთული ჩვევაა, რომ მისი ჩამოყალიბების პროცესში საჭიროა რამდენიმე დამოუკიდებელი ჩვევის ათვისება. კერძოდ: ტექნიკური, ორთოგრაფიული და გრაფიკული ჩვევა. თვით წერის პროცესში კი შეიძლება გამოვყოთ: ელემენტარული, ბგერითი, ბგერების გადაბმისა და ჩქარი წერის საფეხურები, ამის საფუძველზე კი ყველა ადამიანის ხელი, ფაქტობრივად, შედარებით უცვლელია და, ამავე დროს, ინდივიდუალური, რაც გასდა საფუძველი იმისა, რომ მომხდარიყო ხელნაწერის კრიმინალისტიკური გამოკვლევა.

გამოკვლევის შედეგად ექსპერტ-ხელმოღნემ შეიძლება გააკეთოს შემდეგი სახის დასკვნა: კატეგორიული დადებითი ან უარყოფითი, მოგჯერ კი სავარაუდო (ალბათობითი) დასკვნაც, რაც დღევანდელი კანონმდებლობითაც არის გათვალისწინებული და რასაც ხარაზიშვილი აკრიტიკებდა. იგი მიიჩნევდა, რომ ალბათობა არ შეიძლება წარმოგვედგინა როგორც ექსპერტის წმინდა სუბიექტური მოსაზრება, ვინაიდან იგი არ იყო ობიექტურ მონაცემებზე დამყარებული. ე.ი. ალბათობა არის სუბიექტური შეხედულება, რადგანაც კატეგორიული დასკვნისათვის არა გვაქვს ობიექტური მონაცემები, რაც საშუალებას არ აძლევს ექსპერტს, კატეგორიულად დაამტკიცოს რაიმე, რადგანაც სხვა პირობებში შეიძლება მათი სხვანაირად შეფასებაც და, აქედან გამომდინარე, მიიჩნევს, რომ საექსპერტო დასკვნის მეცნიერულ დასაბუთებას მიენიჭოს არსებითი მნიშვნელობა. ალბათობითი დასკვნის შემთხვევაში, მაშინ, როდესაც ექსპერტი იძლევა სავარაუდო დასკვნას, თითქოს ხელმოწერა „შეეძლო შეესრულებინა ნ. აბდუშელაშვილს“, რა თქმა უნდა, ასეთ დასკვნას არ უნდა მიენიჭოს მტკიცებულებითი მნიშვნელობა, ვინაიდან აქ ექსპერტი კი არ ადგენს ფაქტს, არამედ მხოლოდ ვარაუდს გამოთქვამს და იმისდა მიუხედავად, რომ ჩვენი შეხედულება ყოველთვის ვარაუდს გამოხატავს, გარკვეულწილად მაინც არ არის გამართლებული აღნიშნული დასკვნის შემთხვევაში, ვინაიდან ექსპერტის ყოველი დასკვნა უნდა იყოს დასაბუთებული და თვალსაჩინო. ექსპერტის დასკვნის თვალსაჩინოება კი კარგად გამოჩნდება მის მიერ წარმოდგენილ შესაბამის ილუსტრაციებში, რომლიც ფოტოგაბულაზე უნდა იყოს წარმოჩენილი ისრების მეშვეობით. აღნიშნული კი გამოძიებულს, სასამართლოს, ბრალდებულს, დაზარალებულსა და პროცესის სხვა შესაბამის მონაწილეს აძლევს საშუალებას, უშუალოდ დარწმუნდეს ხელნაწერების საერთო და კერძო ნიშანთა დამთხვევისა თუ სხვაობის ფაქტებში.

და ბოლოს, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ბუეან ხარაზიშვილის წვლილი კრიმინალისტიკური მეცნიერების განვითარების საქმეში ძალზე დიდია და მასზე საუბარი დაუსრულებლად შეიძლება.

საგამოძიებო ფუნქცია და წინასწარი გაგამოძიება სამართლებრივ სისხლის სამართლის პროცესში

საგამოძიებო სამსახურის რეფორმა სამართალდამცავი ორგანოების რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა, რომლის წარმატებით გადაწყვეტა უშუალოდ არის დაკავშირებული საქართველოში კანონიერების რეჟიმის შემდგომ განმტკიცებასთან, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების აუცილებელ დაცვასთან, სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირებასთან. უკვე ღიდი ხანია, იურიდიულ მეცნიერებაში მიმდინარეობს დისკუსიები საგამოძიებო სამსახურის რეფორმის აუცილებლობის, საგამოძიებო სამსახურის შემდგომი ბედის შესახებ. მიუხედავად გამოიქმნილი მოსაზრებების ურთიერთპოლარული ხასიათისა, ერთი ძირითადი საერთო ხაზი მაინც იკვეთება – აუცილებელია საგამოძიებო სამსახურების რეფორმირება. ამ საკითხთან დაკავშირებით მომზადდა კანონპროექტი „წინასწარი გამოძიების ორგანიზაციის შესახებ“, რომელიც, ჩვენი მონაცემებით, სრულიად მოულოდნელად ჩაეარდა და საუბარიც გამოძიების რეფორმირების შესახებ მიჩუმდა. დღეს შეიძლება ითქვას, რომ დაწყებულია სერიოზული მუშაობა სამართალდამცავი ორგანოების რეფორმირებისათვის, რომლის ქეაკუსხედი, ჩვენი აზრით, სწორედ საგამოძიებო სამსახურების რეფორმაა, რაც პირველ რიგში უნდა გამოისატოს ეროვნული საგამოძიებო ბიუროს შექმნითა და საგამოძიებო ორგანოს დამოუკიდებლობით.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, დაამტკიცოს, რომ პირველ რიგში:

1. აუცილებელია გამოძიების ფუნქციის, როგორც დამოუკიდებლის, აღიარება და
2. უნდა მოხდეს საგამოძიებო ორგანოების ერთი ორგანოს შემადგენლობაში თავმოყრა.

პროცესუალური ფუნქციის არსი და მნიშვნელობა

სისხლის სამართლის პროცესუალურ ფუნქციებზე არც ადრე და არც ახლა არ არის ერთიანი აზრი. სწავლულ იურისტთა მრავალი თაობა დაეობდა იმაზე, თუ რა არის პროცესუალური ფუნქციები: ცალკეული სახეები, ცალკეული მიმართულებები სისხლის სამართლის პროცესუალური საქმიანობისა თუ სპეციალური დანიშნულება და როლი პროცესის სუბიექტებისა, განპირო-

ბებული სამართლის ნორმებითა და სისხლის სამართლის პროცესუალური საქმიანობის შესაბამისი მიმართულებით გამოხატული.¹ ზოგი მეცნიერის აზრით, პროცესუალური ფუნქციები არის არა სასუბი და მიმართულებები პროცესუალური საქმიანობისა, არამედ არის გამოხატულება მიმართულებებისა სისხლის სამართლის პროცესში, დანიშნულება და როლი თითოეული პროცესის მონაწილისა, იმისდა მიუხედავად, თუ რომელ სტადიაზე იმყოფებიან ისინი. ნაწილი მიიჩნევდა, რომ ეს არის ცალკეული სასუბი, მხარეები ან მიმართულებები პროცესუალური მოღვაწეობისა, რომლებშიც გამოიხატება როლი, პროცესუალური მდგომარეობა, მიზანი პროცესის მოქმედი პირებისა. იმისათვის, რომ ნათელი მოსაზრება შეგვექმნას ამ თეორიებზე, განვიხილოთ რამდენიმე მათგანი.

სტროგოვიჩის აზრით (და თითქმის ყველა პროცესუალისტი ასე ფიქრობდა), „ფუნქციები – ეს არის პროცესუალური მოღვაწეობის მიმართულებები“... მაგრამ როგორი? აი, სწორედ აქ არის თავსატეხი – ჩაითვალოს თუ არა პროცესის ყველა მონაწილის საქმიანობა პროცესუალურ ფუნქციად? ავტორის აზრით კი, არ შეიძლება, ყველა მონაწილის საქმიანობა ჩაითვალოს სისხლის სამართლის ძირითად მიმართულებებად და მხოლოდ ცალკეული სახეები და მიმართულებები მივიჩნიოთ ასეთად. აქედან გამომდინარე, იგი ასახელებდა სამ ძირითად ფუნქციას:

1. ბრალდება;

2. დაცვა;

3. საქმის გადაწყვეტა, განხილვა.

სწავლულ იურისტთა დიდი ნაწილი ამ აზრს არ ეთანხმებოდა და, ჩვენი აზრითაც, სამი პროცესუალური ფუნქციის თეორია ვერ ახერხებს, მთლიანობაში წარმოაჩინოს პროცესის ძირითადი მიმართულებები, ფუნქციების თანაფარდობა და ურთიერთკავშირი, მათი მექანიზმი და რეალიზაცია. მას გარდა ამ თეორიის ავტორი არ ითვალისწინებს, რომ არის კიდევ ერთი დამოუკიდებელი, გამოძიების ფუნქცია, რომლის მოაზრება არ შეიძლება არც ერთი სხვა ფუნქციის ქვეშ.

ცნობილი პროცესუალისტის რახუნოვის შეხედულებებზე დაყრდნობით კი, სტროგოვიჩს გამოგოვებული ჰქონდა (გარდა გამოძიების ფუნქციისა) მთელი რიგი ფუნქციებისა, ამავედროულად რახუნოვი აცხადებს, რომ პროცესის ყველა სტადიაზე ეს ფუნქციები არ ხორციელდება, მაგ., წინასწარი გამოძიების დროს არ ხორციელდება ბრალდება, ამავედროულად თითქმის შეიძლება საქმის გადაწყვეტის ფუნქციის არსებობა. ავტორის აზრით, არასწორად არის გააზრებული ბრალდების ფუნქცია, ანუ როგორც წამყვანი ძალა, სისხლისსამართლებრივი პროცესისა.²

ჩვენი აზრით, სტროგოვიჩის მიერ წამოყენებული მოსაზრება გასაზიარებელია, გარდა იმ ადგილისა, სადაც იგი გამოძიებას ბრალდების შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს, ვინაიდან გამოძიება სრულიად დამოუკიდებელია და არ შეიძლება არ იყოს გამოკვეთილი ცალკე, მაგრამ ამაზე ღეგა-

¹ М. С. Строгович, Курс Советского уголовного процесса, том I, М., 1968.

² Р. А. Рахунов, Участники уголовно-процессуальной деятельности, М., 1961

ლურად ქვემოთ ვისაუბრებთ. ახლა კი მივეყვით მსჯელობას. როგორც მოგახსენეთ, რახუნოვი არ ეთანხმება სტროგოვიჩს და ასახელებს 6 ძირითად ფუნქციას: პირველში შედის: 1. გამოძიება; 2. ბრალდება; 3. დაცემა; 4. სამოქალაქო სარჩელის წაყენება; 5. სამოქალაქო სარჩელისაგან თავის დაცემა; და 6. საქმის გადაწყვეტა. ვფიქრობთ, ავტორს მედმეტად აქვს გაუართობებული ფუნქციები, რაც გამომდინარეობს პროცესუალური ფუნქციების ცნების ავტორისეული განმარტებიდან, როდესაც იგი აცხადებს, რომ „ფუნქცია – ეს არის როლი, დანიშნულება, პროცესის თითოეული მონაწილისა“. მაგრამ, თუ აქ მოიაზრება პროცესის ყველა მონაწილე, მაშინ რატომ არ უნდა ჩაითვალოს ექსპერტის, თარჯიმნის, მოწმის და სხვა მონაწილეების საქმიანობა პროცესუალურ ფუნქციად?! განა მათ თავიანთი როლი არ აკისრიათ პროცესის მიმდინარეობისას?! სულ სხვაგვარ კლასიფიკაციას გვთავაზობს ასევე ცნობილი პროცესუალისტი ელკინდი. იგი ორ ნაწილად ყოფს ფუნქციებს – ძირითად და არაძირითად ფუნქციებად: 1. გამოძიება; 2. დაცემა; 3. საქმის სასამართლოში განხილვა და გადაწყვეტა. მეორეში კი ფუნქციები, რომლებშიც გამოისახება მოწმეების, ექსპერტის, დამსწრის, თარჯიმნის, სასამართლო სხდომის მდივნის, სამოქალაქო მოსარჩელისა და სამოქალაქო მოპასუხის მოღვაწეობა. პირველ რიგში ისმის კითხვა: სად არის აქ ბრალდების ფუნქცია? ვინაიდან არაერთარ შემთხვევაში არ შეიძლება მისი მოაზრება არცერთი ფუნქციის ქვეშ. ბრალდება ხომ უმნიშვნელოვანესი ნაწილია სისხლის სამართლის პროცესისა, მის გარეშე წარმოუდგენელია პროცესის მიმდინარეობა, მას ისეთივე დომინირებული მდგომარეობა უკავია სისხლის სამართლის პროცესში, როგორც გამოძიებას, დაცემას, სასამართლო განხილვას. აქედან გამომდინარე, ელკინდის პოზიციის გაზიარება მიუღებლად მიმაჩნია. აქ შეეაჩერებთ სხვადასხვა ავტორის მოსაზრებების განხილვას ფუნქციათა რაოდენობის შესახებ და გავაგრძელებთ საუბარს სისხლის სამართლის პროცესის ფუნქციის ცნებაზე.

იმას, რომ პროცესუალური ფუნქციები პროცესუალური მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებებია, ამას რახუნოვი ეთანხმება, მაგრამ შემდეგ აცხადებს: „პროცესუალური ფუნქციების განხორციელება ხდება თითოეული მონაწილის მიერ თავისი უფლებამოსილებისა და მოვალეობების შესრულების დროს“.¹ აქ რახუნოვი არ ითვალისწინებს, რომ პროცესის არა ყველა მონაწილის მოქმედებაა პროცესუალური ფუნქცია, არამედ მხოლოდ იმათი, რომელთა მოღვაწეობა დაკავშირებულია პროცესის ძირითად მიმართულებებთან, ანუ პროცესის მონაწილეებზე კი არ დაიყვანება ფუნქცია და ძირითადი მიმართულებები, არამედ ძირითადი მიმართულებებიდან გამომდინარეობს პროცესის მონაწილეთა უფლება-მოვალეობები. იგივე შეიძლება ითქვას ელკინდის თეორიის მიმართაც, რომელიც, ჯერ ერთი, არ აღიარებს ბრალდების ფუნქციას და, მეორეც, ფუნქციონალურ დაგვირთვას აძლევს იმ სუბიექტებს, რომლებიც მხოლოდ ეხმარებიან ძირითად მონაწილეებს ჭეშმარიტების დადგენაში. ფუნქციები ხომ წარმოადგენენ დამაკავშირებელ რგოლებს პროცესის მონაწილეთა შორის, გარდა

¹ P. A. Рахунов, Участники уголовно-процессуальной деятельности, М., 1961.

ამისა, ფუნქციების დატვირთვა გამოისაგება იმით, რომ იგი ეხმარება პროცესის თითოეულ მონაწილეს, იპოვოს თავისი ოპტიმალური ადგილი პროცესის მიმდინარეობისას. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროცესულური ფუნქცია არის სისხლის სამართლის პროცესულური მოღვაწეობის ძირითადი მამართლებები. ე.ი. პროცესულური ფუნქციებია: 1. გამოძიება; 2. ბრალდება; 3. დაცვა; 4. საქმის განხილვა და გადაწყვეტა.

ბამოძიების ფუნქცია

გამოძიების ფუნქციაზე საუბრისას აუცილებელია, მიმოვიხილოთ ისტორიული ექსკურსი, რაც უცილობლად დაგვეხმარება პრობლემების გადასაჭრელად. საბჭოთა საგამოძიებო აპარატმა სათავე აიღო რუსეთის სახკომსაბჭოს 1917 წლის 22 ნოემბერის №1 დეკრეტით „სამართლის შესახებ“. ამ დეკრეტმა გააუქმა მოსამართლე-გამომძიებლის ინსტიტუტი და წინასწარი გამოძიების ჩატარება გადასცა საბჭოებთან არსებულ საგამოძიებო კომისიებს. კომისიების გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებულ იყო კომისიის შემდგომ ორგანოში. იმავედროულად ყალიბდება სპეციალური უფლებამოსილების საგანგებო კომისიები (ჩეკა). 1918 წლის 31 იანვარს სრულიად რუსეთის საგანგებო კომისარს ენიჭება უფლებამოსილება წინასწარი გამოძიების წარმოებისა და სისხლისსამართლებრივი რეპრესიების სასამართლოს ვარემე გამოყენებისა. სამოქალაქო ომის შემდეგ იღებენ დებულებას „საპროკურორო მუდამხელეველობის შესახებ“, იმავე წელს დებულებით „სასამართლო წყობილების შესახებ“ ჩამოყალიბდა საგამოძიებო განყოფილება იუსტიციის სახალხო კომისარიატის სის-ტემაში არსებულ პროკურატურის განყოფილებაში. ნელ-ნელა უწყება და კანონმდებლობა იხვეწებოდა და ბოლოს დღევანდელ ფორმამდე მოვიდა. დღეისათვის საქართველოში წინასწარ გამოძიებას აწარმოებს სამი უწყება: საქართველოს პროკურატურა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი, სამხედრო მოსამსახურეთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე – სამხედრო პროკურატურა.

გადავიდეთ კვლავ წარსულში და გაეაანალიზოთ, რას ფიქრობდნენ მეცნიერები გამოძიების ფუნქციაზე. როგორც ზევით აღინიშნა, ამ ფუნქციას აღიარებდა სწავლული მეცნიერი რახუნოვი, რომელიც ამტკიცებდა მის დამოუკიდებლობას. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევდა, რომ გამოძიების ფუნქცია განხილულიყო როგორც საპროკურორო გამოძიება. აცხადებდნენ, რომ გამოძიება – ეს იგივეა, რაც სამძებრო საქმიანობა. ამავედროულად იყო მოსაზრებები, რომ გამოძიებელი ერთდროულად ახორციელებდა ბრალდების, დაცვისა და საქმის გადაწყვეტის ფუნქციას. ამ აზრს იზიარებდა ცნობილი მეცნიერი გულაევი, მას ეს მოვლენა კანონზომიერად მიიჩნია. მისი აზრით, ყოველივე ეს განპირობებულია საქმის სრული და ყოველმხრივი გამოძიებით. საინტერესოა მისი მოსაზრება გამოძიების მიერ დაცვის ფუნქციის განხორციელებაზე: „გამომძიებელის მონაწილეობა დაცვის ფუნქციის განხორციელებაში განპირობებულია ბრალდებულის დაცვის

კონსტიტუციური უფლებით და სისხლისსამართალწარმოების ერთ-ერთი ამოცანით.¹ სამწუხაროდ, იგივე დატვირთვა აქვს დღეს ჩვენთან გამოძიებას. გამოძიებინარე აქედან, შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს ინკვიზიციური პროცესთან, რაც უდიდეს დარღვევას აყენებს ქართულ იურისპრუდენციას, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს გამოძიებას ხელს არ უშლის, დაადგინოს საქმეზე ჭეშმარიტება, განახორციელოს ისეთი ფუნქციები, როგორცაა: მოკვლევა, გამოკვლევა დანაშაულის ჩამდენი პირების, მასალების მიწოდება სასამართლოსათვის, დაკითხვა და ა.შ. ჩვენი აზრით, გამოძიება მოითხოვს ძალზე ფაქტ მდგომარეობას, ეინაიდან მთელი საქმის ბედი დამოკიდებულია კარგად წარმართულ გამოძიებაზე. აქ კი წარმოიშობა ერთი პრობლემა: ეინაიდან დღეს გამოძიება ახორციელებს ბრალდების ფუნქციას, საფიქრებელია, რომ პირველ რიგში იგი აქცენებს გააკეთებს გაიმამტყუნებელი მტკიცებულებების მოპოვებაზე, რააა ჩაეგის იმ მცირე დროში, რომელიც დადგენილია ბრალდების წარსადგენად. თან, თუ გავითვალისწინებთ დღევანდელ რეალობას, დაეინახავთ, რომ კორუპციონული გამოძიებულის ხელში მისი უფლებები შეიძლება საკმაოდ ძლიერ იარაღად გადაიქცეს მართლმსაჯულების წინააღმდეგ. მართალია, პროკურატურა აწარმოებს საპროკურორო ხელმძღვანელობას გამოძიებაზე, მაგრამ თუ იმ აზრსაც გავითვალისწინებთ, რაც დღეს პროკურატურის ირგვლივ გრიალებს, დაეინახავთ, რომ ეს ორი ორგანო სასწრაფო რეფორმირებას მოითხოვს, რაც, პირველ რიგში, გამოძიების ორგანოების რეფორმირებით უნდა გამოიხატოს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე კი, გამოძიებას უნდა აეკრძალოს საბრალდებო დასკვნის შედგენის უფლება, ანუ გამოძიებამ უარი უნდა ითქვას ბრალდების ფუნქციის განხორციელებაზე, იგი მობილიზებული უნდა იყოს საქმის სრულ და ყოველმხრივ გამოძიებაზე, ანუ საკითხი ნათელია: „გამომძიებელი-ბრალდებელი თავის დანიშნულებას ვერ ამართლებს და იგი არადემოკრატიულია. გამოძიებულის მოვალეობაა საქმეზე მტკიცებულებების მოპოვება, ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა და არა საბრალდებო, სამართლებრივი დენის ფუნქცია, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ პროცესის ერთ სუბიექტს დაუშვებელია, აქონდეს ორი ან მეტი თვისებრივად ურთიერთგამომრიცხავი საქმიანობის მიმართულება. „გამომძიებელი უნდა იყოს „ორსახიანი იანუსი“, ბრალდება და სისხლისსამართლებრივი დენა უნდა გაიმიჯნოს გამოძიებისაგან“.² ეს ორი ურთიერთგამომრიცხავი ცნებაა. სწორედ ამდგვარი მიდგომა საკითხისადმი გამოარჩევს შეჯიბრებითობით პროცესს ინკვიზიციურისაგან. ამავეს ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომელშიც დეკლარირებულია, რომ სამართალწარმოება ხორციელდება მსარეობა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. ყოველივე ზემოთქმული კიდევ ერთხელ ადასტურებს გამოძიების დამოუკიდებელ ფუნქციად გამოყოფის საკითხს, იგი, თავის

¹ Уголовный процесс, под редакцией Н. С. Алексеева, В. З. Лукашевича, П. С. Эткинда. М., 1972.

² გ. მეფარიშვილი, თ. ნინიძე, განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონპროექტზე წინასწარი გამოძიების ორგანიზაციის შესახებ, თბ., 1996, გვ. 14.

მხრივ, აყენებს მოთხოვნას ერთიანი საგამოძიებო ბიუროს შექმნის თაობაზე, რომელიც მოახდენს გამოძიების ორგანოების ერთ ორგანოში – ამასთანავე სრულიად დამოუკიდებელში – გაერთიანებას. თუმცაღა, სანამ გამოძიების ბიუროზე გადავალოთ, სასურველია შევხვით უწყებრივი გამოძიების პრობლემას.

უწყებრივი გამოძიება

უწყებრივი გამოძიება, ანუ საგამოძიებო ქვემდებარეობა ეწოდება საქმის თვისებას, რაც იმით გამოიხატება, რომ იგი ეკუთვნის ამა თუ იმ გამოძიებლის ან გამოძიებულთა კატეგორიის გამგებლობას. ამ მხრივ საგამოძიებო ქვემდებარეობა სასამართლო ქვემდებარეობის ანალოგიურია. დღესდღეისობით საგამოძიებო საქმიანობას აწარმოებენ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი, პროკურატურა, სამხედრო პროკურატურა, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო აპარატი. წინასწარი გამოძიების ორგანოებში გამოძიებლის შემდეგი თანამდებობებია: გამოძიებელი, უფროსი გამოძიებელი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამოძიებელი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამოძიებელი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 62-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ სისხლის სამართლის საქმე განეკუთვნება შინაგან საქმეთა ორგანოების გამოძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას და ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამ მუხლით არის განსაზღვრული, თუ რომელ საქმეებს იძიებს პროკურატურა, სამხედრო პროკურატურა, გრანსპორტის პროკურატურა, სასჯელაღსრულების დაწესებულებათა პროკურატურა, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს გამოძიებლები. აღსანიშნავია, რომ ერთ წარმოებაში რამდენიმე ბრალდების საქმის გაერთიანებისას საქმეს იძიებს ის გამოძიებელი, რომლის საგამოძიებო ქვემდებარეობასაც განეკუთვნება ყველაზე მძიმე დანაშაული. ამავდროულად, თუ არსებობს კონკრეტულად სხვადასხვა სახის საგამოძიებო ქვემდებარეობას შორის კონკურენცია, უპირატესობა ენიჭება უწყებრივ ქვემდებარეობას. გარდა ამისა, არსებობს ასევე გერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობა, რომლის მიხედვითაც საქმეს აწარმოებს ის გამოძიებელი, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება იმ გერიტორიაზე, სადაც მოხდა დანაშაული. ისმის კითხვა: თუ ჩადენილია მძიმე დანაშაული, რა სდება მაშინ? აქაც ისევე, როგორც უწყებრივ გამოძიებაში, საქმეს იძიებს ის გამოძიებელი, რომლის ქვემდებარეობასაც განეკუთვნება ყველაზე მძიმე დანაშაული. გერიტორიული ქვემდებარეობის დროს აღსანიშნავია ისიც, რომ, თუ გამოძიებელი დაადგენს, ეს საქმე არ ეკუთვნის მის საგამოძიებო ქვემდებარეობას, მას არა აქვს უფლება, შეწყვიტოს გამოძიება, ან ჩამოშორდეს ძიებას, პირიქით იგი, ვალდებულია, ჩაატაროს გადაუღებელი საგამოძიებო მოქმედებანი, ანდა საქმე გადასცეს პროკურორის საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით. რაც შეეხება ქვემდებარეობას, მას წყვეტს გენერალური პროკურორი.

მემოალნიშნული მდგომარობა, ანუ საგამოძიებო ქვემდებარეობა საჭიროებს დახვეწას. მის დასადასტურებლად მოვიყვან რამდენიმე მაგალითს:

1. სსრ კავშირის არსებობის მთელ პერიოდში სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს პერიოდულად უფართოვდებოდა მისი საგამოძიებო სამსახურისთვის ქვემდებარე საქმეების რაოდენობა, განსაკუთრებით 70-იანი წლების ბოლოს. მაგალითად, 1978 წელს არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეები გამოსაძიებლად გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს. შეიქმნა გაუგებარი სიტუაცია – არასრულწლოვანის მიერ ჩადენილ მკვლელობას ან გაუპატიურებას იძიებდა შსს, ხოლო სრულწლოვანისას პროკურატურა;

2. ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ გადავხედავთ საგამოძიებო პრაქტიკას ჩვენს ქვეყანაში ისეთი მნიშვნელოვანი საქმეების გამოძიებისას, როგორცაა გერორიზმი. მაგალითად, შს მინისტრის პირველი მოადგილის ვია ვულუას მკვლელობის საქმეს იძიებდა სახელმწიფო უშიშროების სამსახურის საგამოძიებო სამმართველო. ელჰ-ს ლიდერის ვია ჭან-გურიას მკვლელობას იძიებდა პროკურატურა. სოლიკო საბეიშვილის მკვლელობის გამოძიებას კი აწარმოებდა უშიშროების სამსახური. 1995 წლის 29 აგვისტოს გერაქტის საქმეს იძიებდნენ პროკურატურისა და შსს გამოძიებლები ერთად. პარადოქსი კი ისაა, რომ ყველა საქმე ერთი მუხლით – ძველი სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლით აღიძრა. ამას, ალბათ, უკვე კომენტარი აღარ სჭირდება;

3. კონსტიტუცია 95-ე მუხლის თანახმად, პროკურატურა სასამართლო ხელისუფლების დაწესებულებაა, შინაგან საქმეთა სამინისტრო და სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო კი აღმასრულებელ ხელისუფლებაშია. გამოდის, რომ გამოძიების ორგანოები, რომელთა საქმიანობის ერთიანი წესია დადგენილი, ფუნქციონირებენ როგორც სასამართლო, ისე აღმასრულებელ ხელისუფლებაში;

4. საგამოძიებო პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ საშუალოდ ყოველი მე-10 სისხლის სამართლის საქმე იყლის თავის პირვანდელ საგამოძიებო ორგანოს და გადადის ერთი საგამოძიებო ორგანოდან მეორეში. სურათი დაახლოებით ასე გამოიყურება: შსს საგამოძიებო დეპარტამენტებიდან პროკურატურაში, ან პირიქით, სახელმწიფო უშიშროების საგამოძიებო სამსახურიდან შსს-ში, ან პროკურატურაში. ყველა ასეთი გადათამაშება საქმის ინტერესის წინააღმდეგ არის მიმართული. 1995 წელს ერთი უწყებიდან მეორეში გადავიდა 2450 სისხლის სამართლის საქმე;

5. ხანგრძლივმა პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ ოპერატიული სამსახურების გვერდით წინასწარ გამოძიებას უჭირს დამოუკიდებლობის შენარჩუნება. აგებს რა პასუხს დაქვემდებარებული უწყების საქმიანობაზე, ოპერატიული სამსახურის ხელმძღვანელები არ შეიძლება ჩაერიონ გამოძიებაში. ამასთან, ოპერატიული სამსახურები ყოველთვის დაინტერესებულნი იყვნენ და არიან, თავიანთ „ჭკერქვეშ“ კყავდნენ მორჩილი საგამოძიებო სამსახური, რადგან გამოძიება ყოველთვის იყო და არის ოპერატიული სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის ეფექტურობის უმკაცრესი კონტროლიორი. პრაქტიკულად, ოპერატიული სამსახურების მიერ დანაშაულის ჩა-

მდენი პირის დაკავებისას გამოძიებულს სშირად უხდებოდა მიღებული შედეგების მხოლოდ საპროცესო გაფორმება. მისი მაგალითი იყო ცალკეულ ბრალდებულზე გაუხსნელი დანაშაულების „მიწვებითი“ პრაქტიკა. ვერც ის გამოდგება არგუმენტად, რომ გამოძიებისა და ოპერატიული სამსახურების ერთ ჭერქვეშ ყოფნა გადამწყვეტია დანაშაულის გახსნისათვის. მარტო 1995 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა გაუხსნელობის გამო შეაჩერა 5668 სისხლის სამართლის საქმე 15 163 საქმიდან.¹ მიუხედავად ზემოთქმულისა, მთლიანად დაშორება გამოძიებისა და ოპერატიული საქმიანობისა დაუშვებლად მიმაჩნია. ოპერატიული ორგანოები უნდა ასრულებდნენ გამოძიებლის დაეალებებს და სხვა მხრივ არ უნდა ერეოდნენ გამოძიების პროცესში, ეინაიდან ამ ჩარევამ კარგად დაგეანახვა, თუ რა უარყოფითი შედეგები მოსდევს არაკომპეტენტური ორგანოების მიერ გამოძიების წარმოებას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცილებელი ხდება გამოძიების დამოუკიდებელი ბიუროს შექმნა, რომელიც მოაწესრიგებს აღნიშნულ პრობლემებს და მოახდენს გამოძიების სათანადო დონეზე დაყენებას. ახლა კი, უპრიანი იქნება, განვიხილოთ საზღვარგარეთის პრაქტიკა და შევადაროთ ჩვენს, როგორც დღევანდელ, ასევე სამომავლო, მოდელს.

საზღვარგარეთის ქმეყნების პრაქტიკა

ცივილიზებული მსოფლიოს გამოცდილება საშუალებას გვაძლევს, შეჯიბრებითობის გიპის წინასწარი გამოძიების ორი მოდელიდან – ინგლისურ-ამერიკული და ფრანგული – ავირჩიოთ ერთი რომელიმე. ფრანგულ მოდელს ახასიათებს, რომ წინასწარი გამოძიების სტადიას პროკურატურა აწარმოებს, პროკურატურა წარმართავს და ხელმძღვანელობს მოკვლევის ორგანოების საქმიანობას, ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დენას, აყალიბებს ბრალდებას. ამ მოდელით ყოველგვარ საპროცესო დავებს წინასწარი გამოძიების სტადიაზე მონაწილე მხარეებს შორის წყევებს დამოუკიდებელი სასამართლო (მოსამართლე). მასვე ევალება იმ საპროცესო იძულებითი ხასიათის ღონისძიებათა სანქციონირება, რომლებიც ზღუდავენ ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს. მაგალითად, ფრანგული სისხლის სამართლის პროცესში მოკვლევის ორგანოები, უმთავრესად პოლიცია, დადგენილი საპროცესო წესით ემორჩილებიან პროკურორს და სასამართლო კონგროლის პირობებში ახორციელებენ ბრალდების ფუნქციას მძიმე დანაშაულთა საქმეებზე, რომლებსაც იძიებენ მოსამართლე-პროკურორები, ახორციელებენ, წარადგენენ და მხარს უჭერენ ბრალდებას, ითხოვენ მოსამართლე-გამომძიებელისაგან იმ საგამომძიებო მოქმედებათა ჩატარებას, რომლებიც აუცილებელია ბრალდების დასადასტურებლად და ა.შ. გერმანიაში, მართალია, წინასწარი გამოძიების სტადია, როგორც ასეთი, 1974 წლიდან აღარ არსებობს, მაგრამ იქ ამ

¹ გ. მეფარიშვილი, თ. ნინიძე, განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონპროექტზე წინასწარი გამოძიების ორგანიზაციის შესახებ, თბ., 1996.

საქმეს საპროცესო პროკურორის ხელმძღვანელობით და მასთან ერთად ახორციელებს კრიმინალური პოლიცია.

ინგლისურ-ამერიკული მოდელის თავისებურება ისაა, რომ სისხლის-სამართლებრივი დევნის საპროცესო ფუნქციას სასამართლომდე ახორციელებს პოლიცია, სასამართლოში კი აგორნეი ან სოლისტკერი. ამ მოდელით შეჯიბრებითობის პრინციპის დაყვა გამოძიების სგადიაზე უზრუნველყოფილია დაცვისათვის ფართო საპროცესო უფლებების მინიჭებით. ბრალდებულს და მის ადვოკატს უფლება აქვთ, გაასაჩივრონ პოლიციელის მოქმედება მოსამართლე-მაგისტრიან. სწორედ ეს უკანასკნელი ახდენს საპროცესო იძულებითი ხასიათის ღონისძიებათა სანქცირებას. თავისებურება ინგლისურ-ამერიკული მოდელისა ისიცაა, რომ გამოძიება იქ გაგებულია განსაკუთრებული მნიშვნელობით და არ ხდება გამოძიების ჩვენთან გრადიციულად არსებული სისხლის სამართლის საპროცესო და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ურთიერთგამიჯენა.

უცხოეთის ქვეყნების პრაქტიკაზე მეტს აღარ შეიჩერდებით, რადგან, ჩვენი აზრით, ეს ორი მოდელი ყველაზე უფრო გავრცელებული და მისაღებია, თან, რაც მთავარია, ამ მოდელეებმა პრაქტიკაში ძალიან კარგი შედეგები აჩვენა.

ოპერატიულ-სამძებრო აპარატივი და გამოძიების ეროვნული ბიურო

როდესაც ვსაუბრობთ გამოძიების ეროვნული ბიუროს შექმნაზე, წარმოიშობა საკითხი, თუ როგორ ითანამშრომლებს ეს ორგანო ოპერატიულ-სამძებრო სამსახურებთან, ხომ არ შეუშლის გამოძიების რეფორმირება ხელს დანაშაულის გასსნას? ამ კითხვაზე პასუხს სცემს კანონპროექტი „წინასწარი გამოძიების ორგანიზაციის შესახებ“, რომელიც ვეთავაზობს თანამშრომლობის სამ ფორმას: 1. ოპერატიული აპარატების თანამშრომლობა სისხლის სამართლის საქმის აღძერაზე; 2. ოპერატიული აპარატების საქმიანობა საგამოძიებო ორგანოებთან სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მერე და 3. ოპერატიული აპარატების საქმიანობა სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეჩერების შემდეგ.

პირველი ფორმა ეხება ოპერატიული სამსახურების საქმიანობას ჯერ კიდევ იმ ეტაპზე, როცა სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა და არც გამოძიება დაწყებულია. აქ მხედველობაში არის ისეთი საქმიანობა, რომელიც მიმართულია კონკრეტული დანაშაულის ან კონკრეტული დანაშაულის ჩამდენი პირის გამოუღენის მიზნისაკენ. ყველასათვის ცნობილია, რომ დანაშაულს ახასიათებს ლატენგურობა და, აქედან გამომდინარე, ოპერატიული სამსახურების საქმიანობა შეიძლება ითქვას, ძალზე მნიშვნელოვანია და რომ გამოძიების სამსახურების ამით დაკავებამ, სავარაუდოა, უკუშედეგები მოგვიტანოს. სწორედ ასეთი დანაშაულობების გამოღენის მერე იწყება გამოძიება. როგორც ვხედავთ, ოპერატიული აპარატების მუშაობის ეს ფორმა საქმეზე გამოძიების დაწყებამდე მიმდინარეობს და რომელ სისტემაში იქნება, ერთი შეხედვით შეიძლება უმნიშვნელოდ

მოგვეჩვენოს, თუმცაღა ოპერატიული განყოფილების არსებობა გამოძიების ბიუროში წინაპირობაა მათი ეფექტური მუშაობისა.

მეორე ფორმასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ოპერატიული სამსახურები შეთანხმებულ მუშაობას ეწევიან, როგორც პროკურატურის, ასევე, შსს გამოძიებლებთან, მიუხედავად იმისა რომ, პირველები შედიან პროკურატურაში, მეორენი კი შსს-ში. ასეთი ერთობლივი თანამშრომლობა უკვე ათწლეულები მიმდინარეობს პროკურატურასთან ერთად ბანდიტიზმის, ადამიანის ვაჭარების, განზრახ მკვლელობისა და ა.შ. წინააღმდეგ. ასე რომ თუ ცალკე გავა გამოძიების სამსახური, მათი შეთანხმებული მუშაობა შესაძლებელი იქნება, მაგრამ კიდევ მინდა აღვნიშნო, რომ ამ ორი უწყების ერთად ყოფნა იქნება წინაპირობა მდგომარეობის გამოსწორებისა, თუმცაღა მთავარი ის კი არაა, ერთ ჭერქვეშ იქნება ოპერატიული სამსახური და გამოძიება, არამედ ის, თუ როგორ შეასრულებენ ისინი კანონის მოთხოვნას და დაკისრებულ საქმეებს.

ახლა კი რაც შეეხება მესამე ფორმას, გაუხსნელი სისხლის სამართლის საქმეები დღემდე იყო და მომავალშიც იქნება, მიუხედავად იმისა, რომ გატარდა სასამართლო რეფორმა, იწყება პროკურატურის რეფორმირება, გარდება მთლიანად სამართალდამცავი ორგანოების რეფორმა. აქ მთავარია შეიქმნას ისეთი სისტემა, რომელიც მაქსიმალურად გააძლიერებს და ხელს შეუწყობს სამართალდამცავ ორგანოებს საქმიანობაში და მინიმუმამდე დაიყვანს გაუხსნელი საქმეების რიცხვს. აღსანიშნავია, რომ ასეთი ღონისძიების გატარება იწყება მას შემდეგ, რაც გამოძიებული გამოიტანს დადგენილებას სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეჩერების შესახებ და დავალებას მისცემს ოპერატიულ სამსახურს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა გატარების თაობაზე. ამდენად, ამ შემთხვევაშიც კარგად ჩანს, რომ ოპერატიული სამსახურების გამოძიების ეროვნული ბიუროსადმი დაქვემდებარება ბევრად შეუწყობს ხელს მდგომარეობის გაუმჯობესებას.

გამოძიების ეროვნული ბიურო

გამოძიების ორგანიზაციაზე ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში საუბრობდნენ და აღნიშნავდნენ, რომ საგამოძიებო ორგანოები უნდა გაერთიანებულიყვნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში, თუმცა მათივე განცხადებით, ეს არ იყო ოპტიმალური ვარიანტი. მაგ., ა. მ. ორნეევა აცხადებს, რომ საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა ერთიანი საგამოძიებო კომიტეტის შექმნა, რაც პირველ რიგში გამოძიებლის დამოუკიდებლობას უზრუნველყოფდა.

აღსანიშნავია, რომ ეს პროგრესული იდეა გაიზიარა ბევრმა ქვეყანამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და თავად რუსეთმაც გარკვეული თავისებურებებით. მაგ. ყაზახეთის რესპუბლიკამ 1995 წლის ოქტომბრის ბრძანებულებით შექმნა ყაზახეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საგამოძიებო კომიტეტი და მხოლოდ იგი აწარმოებს წინასწარ გამოძიებას სისხლის სამართლის საქმეებზე. რუსეთმა კი 1993 წლის 31 მარტის კანონით „საგამო-

ძიებო კომიტეტის შესახებ“ საგამომიებო კომიტეტი ჩამოაყალიბა აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემაში.

როცა ესაუბრობთ საქართველოში გამოძიების ერთ დამოუკიდებელ ორგანოში გაერთიანებაზე, მხედველობაში უნდა მივიღოთ რამდენიმე აუცილებელი გარემოება. საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ ფარგლებში საქართველოს პროკურატურა ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას და მისთვის ამ ფუნქციის ჩამორთმევა მიუღებელი და გაუმართლებელიცაა. აქედან გამომდინარე, პროკურატურა არ უნდა ჩაეროოს სისხლის სამართლის საქმის აღძერაში, წინასწარი გამოძიების წარმართვაში, მაგრამ ამის შემდეგ, როცა გამოძიებელი მიიჩნევს, რომ საქმეზე ყველა მასალა მოპოვებულია, ყველა საგამომიებო მოქმედება სრულყოფილად და ადამიანის უფლებათა დაცვით არის ჩატარებული, საქმეს გადასცემს პროკურორს საბრალდებო დასკვნის შესადგენად და შემდგომში სასამართლოში მის წარსამართავად. თუკი პროკურორი მიიჩნევს, რომ საქმე არასრულად არის გამოძიებული, დააბრუნებს მას წინასწარ გამოძიებაში მოტივირებული დასკვნით და შესაძლებელია მოითხოვოს გამოძიებლის პასუხისმგებლობის საკითხის დასმაყ. გამოძიებლის ქმედების კანონიერებას განიხილავს ზემდგომი გამოძიებელი, ხოლო პროკურორისას – ზემდგომი პროკურორი.

აუცილებელია, რომ გამოძიების ბიუროში ჩამოყალიბდეს სპეციალიზებული განყოფილებები, რაც ხელს შეუწყობს საქმეების გახსნას, ანუ ეკონომიკურ დანაშაულებზე შეიქმნება ცალკე განყოფილება, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელმყოფ დანაშაულობებზე – კიდეე სხვა და ა.შ.

გამომიების ეროვნულ ბიუროზე საუბრისას გასათვალისწინებელია კიდეე ერთი საკითხი, თუ სად შეიძლება ამ ბიუროს ჩამოყალიბება. გამოძიების ფუნქციის დამოუკიდებლობა და გამოძიებლის დამოუკიდებლობა გვაძლევს იმის საფუძველს, რომ გამოძიების ეროვნული ბიურო შეიქმნას დამოუკიდებელი რგოლის სახით, ბიუროს ხელმძღვანელი დაამტკიცოს საქართველოს პარლამენტმა საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით. მაგრამ მთავარია, რომ გამოიება უნდა იყოს დამოუკიდებელი, ჩამოყალიბებული ერთიან სამართლებრივ პრინციპებზე და მის საქმიანობაში გამორიცხული უნდა იყოს პარალელიზმი. გამოძიების დამოუკიდებელი სამსახური გამორიცხავს უწყებრივ მეწოლას გამოძიების საქმიანობაზე მოკლევინის ორგანოების მხრიდან. მათი ურთიერთქმედება უნდა გადაეღოს თვისებრივად ახალ განზომილებაში.

გამომიების ეროვნული ბიუროს შექმნა დადებითად გადაწყვეტს დანაშაულის ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოძიებას, გამოძიებლის როლის ობიექტურ შეფასებას დანაშაულის გახსნის თვალსაზრისით, პროფესიონალიზმის ამაღლებას, ერთიანი სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარებას, მოწინავე გამოცდილებების ოპერატიულად დანერგვას საგამომიებო პრაქტიკაში, შეუძლებლს გახდის საქმეთა ერთი უწყებიდან მეორეში გადაგზავნას და ამით – როგორც საქმის გაჭინაურებას, ასევე ადამიანის უფლებათა დარღვევას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ არსებული სიტუაციიდან გამომდინარე და ზემოთ მოყვანილ მაგალითებზე დაყრდნობით, აუცილებელი და სასწრაფოდ გასახორციელებელია საგამოძიებო სისტემის რეფორმა, რათა დროულად შეიქმნას გამოძიების ერთიანი, დამოუკიდებელი ორგანო. ამავდროულად უნდა წარიმართოს მუშაობა იქითკენ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში მოხდეს გამოძიების, როგორც დამოუკიდებელი ფუნქციის, აღიარება და მისი დეკლარირება, რაც უდავოდ შეუწყობს ხელს გამოძიების სისტემის რეფორმირებას.

შინაარსი

რომან შენგელა – იურიდიული ფაკულტეტის 80 წლისთავი 3

კონსტიტუციურსამართლებრივი საქცია

ვალერიან მეტრეველი – ბავრაგიონთა დეაწლი ქართულ სამართალში	35
გიორგი დავითაშვილი – სისხლის აღების ინსტიტუტის რელიგიურ-სამართლებრივი ასპექტები	56
გივი ინწკირველი – სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის როლი იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში	67
ჯონი ხეცურიანი – ქართული ეკლესიის კონსტიტუციური საფუძვლები	74
ვალერი ლორია – აღმინისგრაიული გადაცდომის საქმისწარმოება აღმინისგრაიულ ორგანოში	82
ელდარ ახვლედიანი – გარდამავალი გიპის სახელმწიფოსა და სამართლის ზოგიერთი თავისებურება	92
გიორგი გოგიაშვილი – შედერალიზმის მსოფლიო გამოცდილება და საქართველოს ტერიტორიული მოწყობის პრობლემები	105
კახი ყურაშვილი – ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციური პრინციპების რეალიზაციის პრობლემები საქართველოში	122
ნანა ჭილაძე – ფრაქცია საპარლამენტო მექანიზმში	132
მაკა სალხინაშვილი – საჯარო აღმინისგრაიული მმართველობა და სახელმწიფო სამსახურის ინსტიტუტები	140
თამარ გარდაფხაძე – სამოქალაქო საზოგადოების სამართლებრივი საფუძვლები	147
ირმა ნოზაძე – სასამართლო პრეცედენტი ინგლისში	152
ალექსანდრე ჩხიტაური – საბაჟო ურთიერთობები 1918-1921 წლების საქართველოში	166
ბიძინა სავანელი – გლობალიზაცია, ადამიანი, სამართალი (თანამედროვეობის აქტუალური საკითხები)	170

სამოქალაქოსამართლებრივი საქცია

შალვა ჩიკვაშვილი – დელიქტური ვალდებულებები სამოქალაქო სამართალში	181
აკაკი ლაბარტყავა – გარემოს საერთაშორისო სამართლებრივი დაცვის საკითხისათვის	190
ზურაბ ძლიერიშვილი – ლიზინგის სამართლებრივი რეგულირება	199

დავით სუხიტაშვილი – სიახლე საკუთრების წარმოშობის საფუძვლებში	217
დავით ძამუკაშვილი – ინტელექტუალური საკუთრების ცნება და სისტემა საქართველოს კანონმდებლობით (მოგიერთი საკითხი)	232
თამარ ზამბახაძე – საკორპორაციო ურთიერთობების რეგლამენტაციის ძირითადი საწყისები	248
თამარ ჩიტოშვილი – კომლის სამართლებრივი ბუნება	263
სანდრო ჯორბენაძე – თანავეგორი – საავგორო უფლებათა სუბიექტი...	277
ეკა შენგელია – სააქციო საზოგადოების დირექტორებისა და სხვა წარმომადგენლების პასუხისმგებლობა	286
როინ მიგრიაული – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და დირექტორს შორის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა და დასრულება	291
დავით იმნაძე – დაკარგულ საწარმდგენლო ფასიან ქალაქსა და საორდერო ფასიან ქალაქზე უფლების აღდგენა (გამოწვევითი წარმოება)	300
ზვიად გაბისონია – „საჯარო წესრიგის“ ცნების გამოყენების მოგიერთი საკითხი საერთაშორისო კერძო სამართლის დოქტრინაში	312

სისხლისსამართლებრივი სექცია

გიორგი ტყემელიაძე – ბრალი შეფასებითი ცნება	321
მზია ლეკვეიშვილი, გოჩა მამულაშვილი – საერთაშორისო დანაშაულის კოდიფიკაციის ბოგიერთი ასპექტი	327
ზაურ წულაია – კრიმინოლოგიის ცნებისა და სისტემის საკითხისათვის	349
გურამ ნაჭყეია – სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის ბუნებისა და დანიშნულების საკითხისათვის	360
ნონა თოდუა – სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ბოგიერთი ნარკოტიკული დანაშაულისათვის	366
გია ხუროშვილი – საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარების ძირითადი ტენდენციები	338
ირაკლი დვალაძე – ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ბოგიერთი ასპექტი ბოტივისა და მიზნის მიხედვით	392
დავით წულაია – დანაშაულობის აღმოფხვრაში კულტურის ფუნქციონის შესახებ	403
შოთა ფაფიაშვილი – დანაშაულთა გახსნის მეთოდის ბოგიერთი პრობლემა	419
აპოლონ ფალიაშვილი – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სრულყოფის საკითხები	436
რევაზ გოგმელიძე – როგორი უნდა იყოს გამოძიების	

ხეალისდელი დღე?	442
ირინა აქუბარდია – დამცველის მიერ ვიქტიმოლოგიური მონაცემების გამოყენების შესახებ	450
იური გაბისონია – სისხლის სამართალწარმოების გამარტივების თანამედროვე პრობლემები (კომპაქტური სექმატური ფორმატი)	454
ლალი ფაფიაშვილი – ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციით თავისუფლებადკვეთილი პირებისათვის მინიჭებული ზოგიერთი პროცესუალური გარანტია	467
პაატა კობალაძე – პროკურორის საბრალდებო სიგყვის სტრუქტურა	487
ავთანდილ კახნიაშვილი – კომპენსაცია მცდარი მსჯავრდებისათვის	496
ანზორ მახარაძე – დამარალებულის ცნება სისხლის სამართალწარმოებაში	506
ნინო გოგნიაშვილი – ბეჟან ხარაზიმეილი და მისი შეხედულებები კრიმინალისტიკური მეცნიერების ზოგიერთი დარგის შესახებ	519
კახაბერ კერესელიძე – საგამოძიებო ფუნქცია და წინასწარი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში	529

გამომცემლობის რედაქტორი თამარ გაბელაია
ტექრედაქტორი ჟრიდონ ბუდალაშვილი
კორექტორები: მათა ქუმსიაშვილი, ქეთევან გაჩეჩილაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა ხათუთა ბადრიძე
მარიკა ურუშაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.XII.03

საბეჭდი ქალაღლი 60X84

პირ. ნაბეჭდი თაბახი 53,72

სააღრ.-საგამომც. თაბახი 35,55

შეკვეთა №20 გირაკი 300

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,

0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 14.

თბილისის უნივერსიტეტის სარედაქციო-საღრუბლიკაციო

კომპიუტერული სამსახური, 0128, თბილისი

ი. ჭავჭავაძის გამზ., 1.